Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)
http://ciml.250x.com

Georgian Section
www.joseph-stalin.net

SHMG Press – 2012
Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

კ. მარქსი
ფ. ენგელსი

რჩეული ნაწერები

ტომი
I

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი

კ. მარქსი
ფ. ენგელსი

რჩეული ნაწერები
ორ ტომად

*

ტომი
I

თბილისი · 1950



Karl Marx



F. Engels

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეული ნაწერების ორტომეულის ქართული გამოცემისათვის

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის «რჩეული ნაწერების» ორტომეულში შეტანილია მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა ძირითადი ნაწარმოებები, რომლებიც აშუქებენ მარქსიზმის სამივე შემადგენელ ნაწილს — ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიას და სოციალიზმს.

ორტომეულში მოთავსებულ ნაწარმოებთაგან ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა: კ. მ ა რ ქ ს ი ს — «ბრიტანეთის ბატონობა ინდოეთში», «მომავალი შედეგები ბრიტანეთის ბატონობისა ინდოეთში», «დამფუძნებელი მანიფესტი მუშათა საერთაშორისო ასოციაციისა», მუშათა საერთაშორისო ასოციაციის საერთო წესდება, «სიტყვა «სახალხო გაზეთის» იუბილეზე» და «ბურჟუაზია და კონტრრევოლუცია»; ფ. ე ნ გ ე ლ ს ი ს — «ავტორიტეტის შესახებ», «ბინის საკითხისათვის», «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში», «კომუნისტთა კავშირის ისტორიისათვის» და «რუსეთის საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესახებ». პირველადაა თარგმნილი აგრეთვე კ. მ ა რ ქ ს ი ს ა და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი ს «ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კომუნისტთა კავშირისადმი».

ხელახლა ითარგმნა კ. მ ა რ ქ ს ი ს «კლასთა ბრძოლა საფრანგეთში» და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი ს «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა».

ყველა თარგმანი შესრულებულია ორიგინალებიდან ან ორიგინალთა ფოტოასლებიდან. ძველი თარგმანები ხელახლაა შეჯერებული სათანადო დედნებთან.

ამ კრებულში მოთავსებული ყველა მასალა შედარებულია აგრეთვე 1948 წლის რუსულ გამოცემასთანაც.

ორტომეულში შეტანილ ნაწარმოებთა ზემოაღნიშნული ახალი თარგმანები შეასრულეს: საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის თანამშრომლებმა — უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა პ. იაშვილმა («ბინის საკითხისათვის», «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა»), და უმცროსმა მეცნიერმა მუშაკმა ლ. ჩიქოვანმა («ბურჟუაზია და კონტრრევოლუცია», «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში»). სტატიები: «ბრიტანეთის ბატონობა ინდოეთში», «მომავალი შედეგები ბრიტანეთის ბატონობისა ინდოეთში», «დამფუძნებელი მანიფესტი მუშათა საერთაშორისო ასოციაციისა», «მუშათა საერთაშორისო ასოციაციის საერთო წესდება», «კომუნისტთა კავშირის ისტორიისათვის», «რუსეთის საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესახებ», «სიტყვა «სახალხო გაზეთის» იუბილეზე», «ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კომუნისტთა კავშირისადმი» თარგმნა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა, ხოლო სტატია «ავტორიტეტის შესახებ» — თ. სახოკიამ.

ორტომეულის ქართული გამოცემის რედაქცია შეასრულა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა დ. ლაშქარაძემ.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი.

წინასიტყვაობა

ამ კრებულში შეტანილია მარქსისა და ენგელსის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები, რომლებიც აშუქებენ მარქსიზმის სამივე შემადგენელ ნაწილს — ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიას და სოციალიზმს. მარქსმა და ენგელსმა კრიტიკულად გადაამუშავეს ადამიანის აზრის ყველა საუკეთესო მიღწევა ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სოციალიზმის დარგში, განაზოგადეს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ჩაგრული კლასების ბრძოლისა მათი დამმონებლების წინააღმდეგ და შექმნეს მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრება, რომელიც რევოლუციურ გადატრიალებას წარმოადგენს და ახალ ეპოქას ქმნის საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში.

ყველა სხვა ფილოსოფიურ და პოლიტიკურ სისტემათა წინააღმდეგ მარქსიზმი მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ძირითად ინტერესებს გამოხატავს. მარქსიზმი არის არა ერთეულთა ან ცალკეული სექტების დამაარსებელთა მოძღვრება, არამედ ეს არის მოძღვრება, რომელიც პროლეტარიატისათვისაა განკუთვნილი და მოწოდებულია მის რევოლუციურ ბრძოლაში კომპასის როლი შეასრულოს. მარქსიზმი — დროშაა, რწმენის სიმბოლოა მუშათა კლასისათვის, რომელსაც მან აღმოუჩინა მისი ისტორიული მისია — კაცობრიობის განთავისუფლება ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან — და მიუთითა გზა კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ. ამაშია მარქსიზმის ძალა, ეს ხდის მას უძლეველად. «მარქსი და ენგელსი არიან რომელიმე ფილოსოფიური «სკოლის» არა უბრალო მამამთავრები — ისინი ცოცხალი ბელადებია ცოცხალი პროლეტარული მოძრაობისა, რომელიც დღითი დღე იზრდება და ძლიერდება» (ი. სტალინი).

მარქსიზმი გზას იკაფავდა რეაქციული იდეალისტური ფილოსოფიის, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის, სექტანტური

და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში.

მეცნიერული სოციალიზმის ძირითადი იდეები მარქსმა და ენგელსმა კლასიკურად გადმოცეს სახელგანთქმულ საპროგრამო დოკუმენტში «კომუნისტური პარტიის მანიფესტში», რომლითაც იწყება ეს კრებული. «ამ ნაწარმოებში — აღნიშნავდა ლენინი — გენიალური სიცხადითა და სიმკვეთრით გამოხატულია ახალი მსოფლმხედველობა, თანმიმდევრული მატერიალიზმი, რომელიც სოციალური ცხოვრების სფეროსაც მოიცავს, დიალექტიკა, როგორც განვითარების ყოველმხრივი და უღრმესი მოძღვრება, კლასობრივი ბრძოლის თეორია და პროლეტარიატის, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო ისტორიული რევოლუციური როლი». «კომუნისტური პარტიის მანიფესტმა» — «მარქსიზმის ქებათა-ქებამ», — როგორც მას ამხანაგმა სტალინმა უწოდა, თეორიული იარაღი მისცა ყველა ქვეყნის მილიონობით პროლეტარებს კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მომავალი გადაუშალა მათ და საბრძოლო პროგრამა დაუსახა მოქმედებისათვის.

მარქსის სამი ნაშრომი XIX საუკუნის საფრანგეთის ისტორიის შესახებ — «კლასთა ბრძოლა საფრანგეთში», «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» და «სამოქალაქო ომი საფრანგეთში», რომლებიც შეტანილია კრებულში, წარმოადგენს ისტორიის კონკრეტულ მოვლენათა ანალიზის მიმართ ისტორიული მატერიალიზმის მეთოდის გამოყენების ბრწყინვალე ნიმუშს. ამავე დროს მათ დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვთ: აქ ასახულია განვითარება მარქსისტული მოძღვრებისა პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. პროლეტარული მოძრაობის ნამდვილი ბელადი მარქსი თვითონ სწავლობდა მასებისაგან, ისტორიის ამ შემოქმედთაგან და მათი ბრძოლის გაკვეთილებით ამდიდრებდა რევოლუციურ თეორიას. 1848 — 1849 წლების რევოლუციის მდიდარმა გამოცდილებამ ბიძგი მისცა მარქსის შეხედულებათა განვითარებასა და კონკრეტიზაციას სახელმწიფოს შესახებ. თუ «კომუნისტური პარტიის მანიფესტში» მოცემული იყო ჯერ კიდევ მხოლოდ ზოგადი ფორმულირება პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების გარდაუვალობის შესახებ, თავის თხზულებაში «18 ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა», 1848—1851 წლებში საფრანგეთის კლასთა ბრძოლის გამოცდილების განზოგადოების შედეგად,

მარქსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ძველი სამხედრო-ბიუროკრატიული მანქანის, ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის აპარატის დანგრევა. უფრო გვიან «ზეცის მოიერიშე» პარიზის კომუნარების გმირულმა საქმემ მარქსი მისი მოძღვრების განვითარების უაღრესად მნიშვნელოვან ნაბიჯამდე მიიყვანა. როდესაც მარქსი თავის თხზულებაში «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» ანალიზს უკეთებდა ხალხთა მასების ცდას — შეექმნათ პარიზში საკუთარი მუშური სახელმწიფო, იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სწორედ პარიზის კომუნის ტიპის პოლიტიკური ორგანიზაცია და არა პარლამენტური რესპუბლიკა წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმას. ბოლოს, «გოთას პროგრამის კრიტიკაში», ოპორტუნისტების წინააღმდეგ მიმართულ თვალსაჩინო დოკუმენტში, ოპორტუნისტებისა, რომლებიც ცდილობდნენ დაემახინჯებინათ მარქსიზმის რევოლუციური სული, მარქსი აღნიშნავს აუცილებლობასა და ისტორიულ გარდაუვალობას იმ «პოლიტიკური გარდამავალი პერიოდისა», რომლის სახელმწიფო უნდა გახდეს პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა. ამ ნაწარმოებში, რომლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ფასდაუდებელია, მარქსმა პირველად ჩამოაყალიბა ცნობილი დებულება სოციალიზმსა და კომუნიზმზე, როგორც ორ ფაზაზე ახალი, კომუნისტური საზოგადოებრივი წყობის განვითარებაში.

პროლეტარულ სოციალიზმთან განუწყვეტელ შინაგან ერთიანობაშია დიალექტიკური მატერიალიზმი — რევოლუციური პროლეტარიატის მსოფლმხედველობა: «მარქსიზმი, — წერდა ამხანაგი სტალინი, — არ არის მარტო სოციალიზმის თეორია, — ის მთელი მსოფლმხედველობაა, ფილოსოფიური სისტემაა, საიდანაც თავისთავად გამომდინარეობს მარქსის პროლეტარული სოციალიზმი».

«თეზისებში ფოიერბახის შესახებ», რომელიც ენგელსმა დაახასიათა როგორც «პირველი დოკუმენტი, სადაც ახალი მსოფლმხედველობის გენიალური ჩანასახია მოცემული», მარქსმა ჯერ კიდევ 1845 წ. განუწყვეტელი კავშირი გამოაცხადა ფილოსოფიასა და საზოგადოებრივ პრაქტიკას შორის. «ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად გ ა ნ მ ა რ ტ ა ვ დ ნ ე ნ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შ ე ც ვ ლ ი ლ ი ქ ნ ე ს», ამბობდა მარქსი. მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტად მეცნიერული მსოფლმხედველობა, შეიძლება იყოს

ფილოსოფია პროლეტარიატისა, იმ რევოლუციური კლასისა, რომელიც მოწოდებულია გარდაქმნას სამყარო. მარქსი და ენგელსი, რომლებიც ამხელდნენ იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის ბრძოლის კლასობრივ ხასიათს, იცავდნენ ფილოსოფიაში პარტიულობის პრინციპს. «მარქსი და ენგელსი, — წერდა ლენინი, — თავიდან ბოლომდე პარტიულები იყვნენ ფილოსოფიაში, ისინი ადვილად ამჩნევდნენ გადახრას მატერიალიზმისაგან და დათმობას იდეალიზმისა და ფიდეიზმისადმი ყველა და ყოველგვარ «უახლეს» მიმართულებაში».

თავის წინასიტყვაობაში «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» მარქსმა ისტორიული მატერიალიზმის არსის, ე. ი. საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებათა გამოყენების გენიალური ფორმულირება მოგვცა.

იმ კლასიკურ ნაწარმოებებს, რომლებშიც მოცემულია მარქსიზმი, როგორც მთლიანი მსოფლმხედველობა, მიეკუთვნება ენგელსის ნაშრომი «სოციალიზმის განვითარება« უტოპიიდან მეცნიერებისაკენ». ეს ნაწარმოები წარმოადგენს იმ სამ თავს «ანტი-დიურინგიდან», რომლებიც ენგელსმა სპეციალური მიზნით გადაამუშავა, რათა მიეცა მუშებისათვის მარქსისტული მოძღვრების პოპულარული გადმოცემა. ენგელსი მოკლედ ახასიათებს მარქსიზმის სამ შემადგენელ ნაწილს და გვიჩვენებს, რომ მსოფლიო კულტურის ყველა მიღწევა კრიტიკულად გადაამუშავა მარქსმა, რომ მარქსმა შექმნა ახალი მსოფლმხედველობა, რომელიც თვისებრივად განირჩევა ყველა წინამორბედი საზოგადოებრივი მოძღვრებისაგან.

ენგელსის შრომა «ლუდვიგ ფოიერბახი» არის მატერიალისტური მსოფლმხედველობის დაცვისა და დასაბუთებისათვის საბრძოლო გამოსვლა. აქ ენგელსი გვაძლევს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის — ყოფიერებისადმი აზროვნების, ბუნებისადმი სულის დამოკიდებულების — კლასიკურ ფორმულირებას, — საკითხისა, რომელიც ფილოსოფოსებს ორ ბანაკად ჰყოფს: იდეალისტებად და მატერიალისტებად. შრომებში «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ» და «ლუდვიგ ფოიერბახი» ენგელსი ხაზს უსვამს ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკისადმი მარქსის მატერიალისტური დიალექტიკის დაპირისპირებულობას და ამხელს ფოიერბახის მეტაფიზიკური მატერიალიზმის ნაკლოვანებასა და შეზღუდულობას.

დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვთ მარქსისა და ენგელსის ცალკეულ წერილებს, რომლებიც ამ კრებულში იქნა შეტანილი და რომლებიც ისტორიული მატერიალიზმის საკითხებს ეხება. წერილებში ანენკოვისა და ვაიდემაიერისადმი მარქსი მოკლედ აყალიბებს იმ ახალ შენაძენს, რაც მან საზოგადოებრივი განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის თეორიაში შეიტანა. წერილებში კ. შმიდტისა, ი. ბლოხისა, ფ. მერინგისა და გ. შტარკენბურგისადმი, ენგელსმა სასტიკად გაილაშქრა ისტორიის მატერიალისტური გაგების ვულგარიზაციისა და საზოგადოების განვითარებასა და კლასთა ბრძოლაში იდეოლოგიური ფაქტორის შეუფასებლობის წინააღმდეგ. თავის შრომაში «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე» ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს, თუ რა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა პარტიისთვის, სტიქიურობის ტრედ-უნიონისტური თეორიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ენგელსის ამ თეორიულ გამოსვლას: «საჭირო იყო დამტკიცებულიყო იდეის დიდი მნიშვნელობა. და აი გამოვიდა ენგელსი და თავის წერილებში (1891 — 1894 წლები) აღნიშნა, რომ მართალია იდეა ზეციდან არ ვარდება, ის ცხოვრების ღვიძლი შვილია, მაგრამ რაკი ერთხელ დაიბადება, მას დიდი მნიშვნელობა აქვს, ის თავს უყრის ადამიანებს, აერთებს მათ და თავის დაღს ასვამს მის მშობელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, — იდეას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ მოძრაობაშიო» (ი. ს ტ ა ლ ი ნ ი).

საზოგადოებრივი განვითარების ისტორიის მიმართ ისტორიული მატერიალიზმის თეორიის ოსტატური გამოყენების ნიმუშს წარმოადგენს ენგელსის წიგნი «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა». ენგელსი ამ წიგნში ააშკარავებს ოჯახის, გვარის, კერძო საკუთრების, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის სათავეებს, გვიჩვენებს მათი განვითარების კანონზომიერებას და მათ დამოკიდებულებას წარმოების მატერიალური წესისაგან და ასაბუთებს ერთი საზოგადოებრივი ფორმების მეორე ფორმებით შეცვლის გარდაუვალობას. ლენინი ენგელსის ამ შრომას ახასიათებდა როგორც თანამედროვე სოციალიზმის ერთ-ერთ ძირითად ნაწარმოებს.

«მარქსის თეორიის ყველაზე ღრმა, ყოველმხრივსა და დეტალურ დადასტურებას და გამოყენებას წარმოადგენს მისი ეკონომიური მოძღვრება» (ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი). თავის უკვდავ შრომაში «კაპიტალი» მარქსმა მოგვცა კაპიტალისტური საზოგადოების მოძრაობის ეკო-

ნომიური კანონის გენიალური ანალიზი, განიხილა ამ საზოგადოების წარმოშობა, განვითარება და დაქვეითება. ამ კრებულში მოთავსებულია «კაპიტალის» I ტომის სახელგანთქმული XXIV თავის უკანასკნელი მეშვიდე განყოფილება. ამ განყოფილებაში მარქსი ააშკარავებს კაპიტალისტური დაგროვების ისტორიულ ტენდენციას, მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის წინააღმდეგობათა გამწვავების გარდაუვალობას, პროლეტარული რევოლუციისა და «ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის» გარდაუვალობას. ენგელსის რეცენზია «კაპიტალის» პირველ ტომზე ფართო მკითხველს აცნობს მარქსის ამ შრომის შინაარსს. აქ ენგელსი გვიჩვენებს მუშათა კლასის ბრძოლის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას და გადმოგვცემს მოძღვრებას ზედმეტი ღირებულების შესახებ, რომელიც «მარქსის ეკონომიური თეორიის ქვაკუთხედია» (ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი).

ამ კრებულში შედის აგრეთვე ორი ნაწარმოები, რომლებიც მარქსის მიერ მუშათა ფართო მასებისათვის იყო განკუთვნილი. პირველ თხზულებას — «დაქირავებული შრომა და კაპიტალი» — საფუძვლად დაედო ლექციები, რომლებიც მარქსმა 1847 წელს ბრიუსელის გერმანელ მუშათა საზოგადოებაში წაიკითხა. მეორე ნაწარმოები — «ხელფასი, ფასი და მოგება» — წარმოადგენს მარქსის მოხსენებას მუშათა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური საბჭოს ორ სხდომაზე 1865 წელს. ამ შრომებში მარქსი პოპულარული ფორმით გვაძლევს ღრმა თეორიულ ანალიზს იმ ეკონომიური ურთიერთობებისა, რომლებზედაც დაფუძნებულია ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობა, გვიხსნის ზედმეტი ღირებულების წარმოშობასა და არსს და მიჰყავს მკითხველი იმ რევოლუციურ დასკვნამდე, რომ დაქირავებული მონობის მოსპობისათვის აუცილებელია მუშათა კლასის ბრძოლა.

მეცნიერული სოციალიზმის ერთ-ერთ ძირითად ნაწარმოებს წარმოადგენს ენგელსის შრომა «ბინის საკითხისათვის». მასში მოცემულია ბინის საკითხის გადაწყვეტის პრუდონისტული პროექტების კრიტიკა; ენგელსი ამ კრიტიკას მთელი კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ მიმართულ საბრალმდებლო აქტად აქცევს. წინააღმდეგ პრუდონისტებისა და სხვა სოციალ-რეფორმატორებისა, ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავს კაპიტალიზმის დროს ბინის საკითხის გადაჭრის შეუძლებლობას. ენგელსი აქ აყენებს მნიშვნელოვან

თეორიულ საკითხს ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირებულობის მოსპობის შესახებ და ამტკიცებს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტური საზოგადოების პირობებში.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები საერთაშორისო პროლეტარიატის პირველი ორგანიზატორები და ბელადები იყვნენ. მარქსიზმის თეორიის დამუშავება პირველი დღეებიდანვე განუწყვეტლივ იყო დაკავშირებული მარქსისა და ენგელსის ბრძოლასთან პროლეტარული პარტიის შექმნისათვის. როგორც ცნობილია, «კომუნისტური პარტიის მანიფესტი» დაწერილი იყო პროგრამის სახით პროლეტარიატის პირველი საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაციის — კომუნისტთა კავშირისათვის, რომელიც მარქსმა და ენგელსმა შექმნეს. ენგელსის სტატიაში «კომუნისტთა კავშირის ისტორიისათვის» მოცემულია ამ ორგანიზაციის მოღვაწეობის მოკლე ნარკვევი. მარქსის მოღვაწეობა გერმანიის 1848 — 1849 წლების რევოლუციაში გაშუქებულია ენგელსის სტატიაში «მარქსი და «ახალი რაინის გაზეთი». ცნობილ თხზულებაში «ც. კ. მიმართვა კომუნისტთა კავშირისადმი» შეჯამებულია 1848—1849 წლების რევოლუციური ბრძოლის შედეგები და ჩამოყალიბებულია დებულება განუწყვეტელი რევოლუციის შესახებ. ეს დებულება იმპერიალიზმის ეპოქაში ლენინმა განავითარა ბურჟუაზიული დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის თეორიად.

როდესაც მუშათა მოძრაობის ახალი აღმავლობის ნიადაგზე მუშათა საერთაშორისო ასოციაცია წარმოიშვა (1864—1872), მარქსმა იკისრა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და დაუწერა მას «დამფუძნებელი მანიფესტი» და «წესდება», რომლებშიც ყველაზე მარტივ, ყველა მუშისთვის მისაწვდომ ფორმაში წამოყენებული იყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად დამოუკიდებელი პროლეტარული პარტიის შექმნის ამოცანა.

მარქსმა დაწერა საერთაშორისო ასოციაციის დოკუმენტების დიდი ნაწილი, მათ შორის ამ კრებულში შეტანილია ორი «მოწოდება საფრანგეთ-პრუსიის ომის შესახებ». მარქსის კლასიკური შრომა «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» დაწერილი იყო აგრეთვე როგორც მუშათა საერთაშორისო ასოციაციის მიმართვა. მარქსის სტატია «პრუდონის შესახებ», ენგელსის სტატიები «ავტორიტეტის შესახებ», «რუსეთის საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესახებ» და რიგი სხვა სტატიებისა, რომლებიც სტატიების და წერილების

კრებულში შევიდა, ნათლად ასახავენ მარქსიზმის ფუძემდებლების თანამიმდევრულ ბრძოლას ყველა ფორმის უტოპიური და წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმის, მუშათა მოძრაობაში სექტანტობის წინააღმდეგ.

ევროპის მუშათა მოძრაობის განვითარების მომდევნო ეტაპზე, როდესაც ცალკეულ ქვეყნებში სოციალისტური მუშათა პარტიები წარმოიქმნებიან, მარქსი და ენგელსი, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის აღიარებული ბელადები, ამ პარტიების განმტკიცების მიზნით აწარმოებენ ბრძოლას აშკარა ოპორტუნიზმის, შემრიგებლობის და მემარცხენე ფრაზერობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ისეთ შრომებში, როგორიცაა ზემოხსენებული «გოთას პროგრამის კრიტიკა», შრომის — «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში» — მეორე გამოცემის წინასიტყვაობა», «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში» და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც ამ კრებულშია მოთავსებული.

ნაწარმოებებში, რომლებიც შეტანილია ამ კრებულში, გადმოცემულია საფუძვლები რევოლუციური თეორიისა, რომელსაც მარქსიზმის ფუძემდებლები ნახევარი საუკუნის მანძილზე დაუღალავად ანვითარებდნენ და სრულყოფდნენ. მარქსისა და ენგელსის სიკვდილის შემდეგ II ინტერნაციონალის ლიდერები ბურჟუაზიის საამებლად ამახინჯებდნენ მარქსის რევოლუციურ მოძღვრებას, ცდილობდნენ გადაექციათ იგი გაქვავებულ დოგმათა კრებულად. კაპიტალიზმთან გადამწყვეტი შეჯახების წინადღეს საჭირო იყო მარქსიზმის რევოლუციური სულის დაცვა, მუშათა მოძრაობის რიგებიდან პოლიტიკანობის, რენეგატობის, პროლეტარიატის საქმისადმი ღალატის მოსპობა. ლენინისა და მისი საუკეთესო მოწაფისა და საქმის გამგრძელებლის ამხანაგ სტალინის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მათ მოახდინეს «II ინტერნაციონალის ავგიოსის თავლების გენერალური შემოწმება და გენერალური წმენდა». მაგრამ მარქსისტული თეორია, როგორც მეცნიერება საზოგადოებაზე, როგორც მეცნიერება პროლეტარიატის რევოლუციაზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზების შესახებ, არ შეიძლება ერთ ადგილზე იდგეს; იგი ახალი გამოცდილებითა და ახალი ცოდნით უნდა მდიდრდებოდეს. ახალ ისტორიულ პირობებში საჭირო იყო წინ წაწევა რევოლუციური თეორიისა, რომელსაც საფუძვლები მარქსმა და ენგელსმა ჩაუ-

ყარეს. მეცნიერების ორმა დიდმა კორიფეემ — ლენინმა და ამხანაგმა სტალინმა ეს მსოფლიო-ისტორიული ამოცანაც შეასრულეს. მათ შემდგომ განავითარეს მარქსისა და ენგელსის მოძღვრება და ახალ საფეხურზე აიყვანეს იგი.

«გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ენგელსის სიკვდილის შემდეგ უდიდესი თეორეტიკოსი ლენინი, ხოლო ლენინის შემდეგ — სტალინი და ლენინის სხვა მოწაფეები — იყვნენ ერთადერთი მარქსისტები, რომლებიც წინ სწევდნენ მარქსისტულ თეორიას და რომლებმაც გაამდიდრეს იგი ახალი გამოცდილებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში. და სწორედ იმიტომ, რომ ლენინმა და ლენინელებმა წინ წასწიეს მარქსისტული თეორია, ლენინიზმი წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომ განვითარებას, მარქსიზმს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმს, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის მარქსიზმს» (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი).

ლენინ-სტალინის პარტია, რომელიც ამდიდრებს მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას ახალი თეორიული დებულებებით, წინ სწევს მას და თავის მოღვაწეობაში მუდამ ამ მეცნიერებით ხელმძღვანელობს.

* * *

ამ კრებულში შეტანილი მარქსისა და ენგელსის ყველა ნაწარმოების თარგმანი შემოწმებულია და შესწორებული.

თვითეულ ტომს ახლავს სახელთა და საგანთა საძიებელი. ავტორის შენიშვნები მოცემულია სქოლიოში, ხოლო სარედაქციო შენიშვნები, რომლებიც აგრეთვე შეტანილია სქოლიოში, დათქმულია რედაქციის მიერ.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული
მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი

კომუნისტური პარტიის მანიფესტი

წინასიტყვაობა
1872 წ. ზერმანული გამოცემისათვის

«კომუნისტების კავშირმა», — მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელიც მაშინდელ პირობებში, თავისთავად ცხადია, მხოლოდ ფარული შეიძლებოდა ყოფილიყო, — 1847 წლის ნოემბერს ლონდონში შემდგარ კონგრესზე დაგვავალა ქვემორე ხელისმომწერთ შეგვედგინა გამოსაქვეყნებლად გაშლილი თეორიული და პრაქტიკული პროგრამა პარტიისა. ასე წარმოიშვა წინამდებარე «მანიფესტი», რომლის ხელნაწერი რამდენიმე კვირით ადრე თებერვლის რევოლუციამდე[1] ლონდონს გადაიგზავნა დასაბეჭდად. პირველად ის გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა და ამ ენაზე, სულ ცოტა რომ ვთქვათ, თორმეტი სხვადასხვა გამოცემა გამოვიდა გერმანიასა, ინგლისსა და ამერიკაში. ინგლისურ ენაზე ის პირველად გამოქვეყნდა 1850 წელს ლონდონში «Red Republican»-შიმისს ჰელენ მაკფარლეინის მიერ თარგმნილი, და შემდეგ 1871 წელს, სულ ცოტა რომ ვთქვათ, სამი სხვადასხვა თარგმანი გამოვიდა ამერიკაში. ფრანგულ ენაზე პირველად პარიზში გამოვიდა ცოტა ხნით ადრე 1848 წლის ივნისის აჯანყებამდე, ახლახან კი — ნიუ-იორკის «Le Socialiste»-ში. მზადდება ახალი თარგმანი. პოლონურ ენაზე ლონდონში დაიბეჭდა მალე პირველი გერმანული გამოცემის შემდეგ. რუსულ ენაზე მესა-

[1] იგულისხმება 1848 წლის თებერვლის რევოლუცია საფრანგეთში. რ ე დ.

მოცე წლებში დაიბეჭდა ჟენევაში. დანიურ ენაზედაც იგი გადაითარგმნა მალე მისი გამოქვეყნების შემდეგ.

რაგინდ ძლიერად იყოს შეცვლილი ვითარება უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში, ამ „მანიფესტში" განვითარებული ზოგადი ძირითადი დებულებები დღესაც ინარჩუნებენ კიდევ საერთოდ და მთლიანად თავიანთ სრულ სისწორეს. ალაგ-ალაგ ზოგი რამ კი უნდა შესწორებულიყო. ამ ძირითად დებულებათა პრაქტიკული გამოყენება, როგორც თვით «მანიფესტი» აცხადებს, ყველგან და ყოველთვის დამოკიდებული იქნება ისტორიულად არსებულ გარემოებებზე, და ამიტომ სრულიადაც არ ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა მეორე თავის ბოლოში წამოყენებულ რევოლუციურ ღონისძიებებს. ამჟამად ეს ადგილი ბევრის მხრივ სხვანაირად უნდა ყოფილიყო გამოთქმული. თუ მხედველობაში მივიღებთ მსხვილი მრეწველობის უდიდეს განვითარებას უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში და მასთან დაკავშირებულ წინსვლას მუშათა კლასის პარტიული ორგანიზაციისას, თუ მხედველობაში მივიღებთ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც მოგვცა ჯერ თებერვლის რევოლუციამ და შემდეგ უფრო მეტად პარიზის კომუნამ, სადაც პირველად ორი თვის განმავლობაში პროლეტარიატს ეპყრა პოლიტიკური ძალაუფლება, — უნდა ვთქვათ, რომ ეს პროგრამა დღეს ალაგ-ალაგ დაძველებულია. განსაკუთრებით კომუნამ დაამტკიცა, რომ «მუშათა კლასს [illegible] შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს მზამზარეულ სახელმწიფო მანქანას და აამუშაოს იგი თავისი საკუთარი მიზნებისათვის» (იხ. «საშოქალაქო ომი საფრანგეთში. საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის გენერალური საბჭოს მოწოდება», გერმანული გამოცემა, გვ. 19, სადაც ეს უფრო ვრცლად არის განვითარებული [1]). შემდეგ, თავისთავად ცხადია, რომ სოციალისტური ლიტერატურის კრიტიკა დღეისათვის სრული არ არის, ვინაიდან ის მხოლოდ 1847 წლამდე აღწევს; აგრეთვე შენიშვნები კომუნისტების დამოკიდებულებაზე სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებთან (თავი IV), თუმცა ძირითად მუხლებში დღესაც სწორია, მაგრამ მაინც დეტალებში დაძველებულია, უკვე იმის გამო, რომ პოლიტიკური მდგომარეობა სავსებით შეიცვალა და ისტორიულმა განვითარებამ იქ ჩამოთვლილი პარტიების მეტი წილი აღგავა დედამიწის პირისაგან.

მაგრამ «მანიფესტი» ისტორიული დოკუმენტია, რომლის შეცვლის უფლება ჩვენ უკვე აღარა გვაქვს. შეიძლება შემდეგ გამოცემას

[1] იხ. ეს ტომი, გვ. 594. რ ე დ.

ჩვენ წავუმძღვაროთ შესავალი, რომელიც მოიცავდეს 1847 წლიდან დღემდე განვლილ დროს; წინამდებარე გამოცემა კი ისე მოულოდნელი იყო ჩვენთვის, რომ ამისათვის საჭირო დრო ჩვენ არ დაგვირჩა.

ლონდონი, 24 ივნისი 1872 წ.

კარლ მარქსი. ფრიდრიხ ენგელსი

წინასიტყვაობა
1882 წ. რუსული გამოცემისათვის

პირველი რუსული გამოცემა «კომუნისტური პარტიის მანიფესტისა», რომელიც ბაკუნინის ნათარგმნი იყო, «კოლოკოლის» სტამბაში დაიბეჭდა მესამოცე წლების დასაწყისში[1]. იმ დროს «მანიფესტის» რუსული გამოცემა დასავლეთის ადამიანთა თვალში მარტოოდენ ლიტერატურულ კურიოზად თუ შეიძლებოდა ყოფილიყო მისაჩნევი. დღეს ასეთი შეხედულება უკვე შეუძლებელი იქნებოდა.

რამდენად შეზღუდული იყო მაშინ (1847 წ. დეკემბერში) პროლეტარიატის მოძრაობის გავრცელების არე, ამას ყველაზე უკეთ გვიჩვენებს «მანიფესტის» უკანასკნელი თავი: «კომუნისტების დამოკიდებულება სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებთან სხვადასხვა ქვეყანაში». ამ თავში აკლია სწორედ რუსეთი და შეერთებული შტატები. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთი მთელი ევროპული რეაქციის უკანასკნელ დიდ რეზერვს წარმოადგენდა და როდესაც გადასახლება შეერთებულ შტატებში ევროპის პროლეტარიატის ჭარბ ძალებს ნთქამდა. ორივე ეს ქვეყანა ევროპას აძლევდა ნედლეულს და იმავე დროს შეადგენდა ბაზარს ევროპის სამრეწველო ნაწარმთა გასასაღებლად. მაშასადამე, ორივე ეს ქვეყანა მაშინ ევროპაში არსებული საზოგადოებრივი წყობილების საყრდენს წარმოადგენდა ამა თუ იმ სახით.

როგორ შეიცვალა ეს დღეს! სწორედ ევროპულმა იმიგრაციამ შეუწყო ხელი იმ მეწარმეობის უდიდეს განვითარებას ჩრდილო ამერიკაში, რომელიც თავისი კონკურენციით სულ ძირიანად არყევს ევროპის მსხვილ და წვრილ მიწათმფლობელობას. ამ იმიგრაციამ, გარდა ამისა, შესაძლებლობა მისცა შეერთებულ შტატებს ხელი მოეკიდნათ მათი სამრეწველო განვითარების მდიდარი წყარო-

[1] თარიღი არაზუსტად არის ნაჩვენები: აღნიშნული გამოცემა 1869 წელს გამოვიდა. რ. ე. დ.

ების ექსპლოატაციისათვის ისეთი ზომით და ისეთი ენერგიით, რომ-ლებმაც მოკლე დროში ბოლო უნდა მოუღონ დასავლეთ ევროპისა და განსაკუთრებით ინგლისის სამრეწველო მონოპოლიას. ორივე ეს გარემოება თავის მხრივ რევოლუციურად მოქმედებს ამერიკაზეც. ფერმერების წვრილი და საშუალო მიწის საკუთრება, საფუძველი ამერიკის მთელი პოლიტიკური წყობილებისა, თანდათან ეცემა უდიდესი ფერმების კონკურენციით; ამავე დროს სამრეწველო რაიონებში პირველად ვითარდება მრავალრიცხოვანი პროლეტარიატი და კაპიტალების საზღაპრო კონცენტრაცია.

გადავიდეთ რუსეთზე. 1848 — 1849 წლების რევოლუციის პერიოდში არა თუ ევროპის მონარქებს, არამედ ევროპის ბურჟუებსაც ევროპის საქმეებში რუსეთის ჩარევა მიაჩნდათ ერთადერთ ხსნად პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელმაც ის იყო იწყო გამოღვიძება. რუსეთის მეფე მათ გამოაცხადეს ევროპის რეაქციის მეთაურად. დღეს იგი გატჩინაში ზის როგორც რევოლუციის სამხედრო ტყვე, და რუსეთი წარმოადგენს ევროპის რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმს.

«კომუნისტური მანიფესტის» მიზანი იყო ხმამაღლა განეცხადებია თანამედროვე ბურჟუაზიული საკუთრების გარდუვალი მომავალი დაღუპვა. მაგრამ რუსეთში, სწრაფ განვითარებაში მყოფი კაპიტალისტური ციებცხელებისა და ბურჟუაზიული მიწის საკუთრების გვერდით, რომელიც ეს არის ჩნდება, ჩვენ ვხედავთ, რომ მიწის ნახევარზე მეტი გლეხების სათემო მფლობელობაშია. კითხვა იბადება ახლა: შეძლებს რუსული თემი — ეს, მართალია, უკვე ძალიან დარღვეული ფორმა პირველყოფილი კოლექტიური მიწათმფლობელობისა — უშუალოდ გადავიდეს მიწათმფლობელობის უმაღლეს კომუნისტურ ფორმაზე? თუ, პირიქით, მან ჯერ უნდა გაიაროს იგივე რღვევის პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს დასავლეთის ისტორიულ განვითარებაში?

ერთადერთი, დღეს შესაძლებელი პასუხი ამ კითხვაზე შემდეგია: თუ რუსეთის რევოლუცია გახდება სიგნალი პროლეტარული რევოლუციისა დასავლეთში, ისე რომ ორივე ერთმანეთს შეავსებს, მაშინ შესაძლებელია დღევანდელი რუსეთის მიწის სათემო საკუთრება გადაიქცეს კომუნისტური განვითარების გამოსავალ წერტილად.

კარლ მარქსი. ფ. ენგელსი

ლონდონი, 21 იანვარი 1882 წ.

წინასიტყვაობა
1883 წ. გერმანული გამოცემისათვის

ამ გამოცემის წინასიტყვაობას, სამწუხაროდ, მარტო მე უნდა მოვაწერო ხელი. მარქსი, ის ადამიანი, რომლისაგანაც ევროპისა და ამერიკის მთელი მუშათა კლასი უფრო მეტადაა დავალებული, ვიდრე სხვა ვინმესაგან, — განისვენებს ჰაიგეტის სასაფლაოზე და მის საფლავზე უკვე ამოვიდა პირველი ბალახი. მისი სიკვდილის შემდეგ ხომ სულ აღარ შეიძლება ლაპარაკი «მანიფესტის» გადამუშავებასა ან შევსებაზე. მით უფრო საჭიროდ მიმაჩნია სრული გარკვეულობით ერთხელ კიდევ განვაცხადო აქ შემდეგი:

ძირითადი აზრი, რომელიც წითელ ზოლად გასდევს მთელ «მანიფესტს», აზრი, რომ ყოველი ისტორიული ეპოქის ეკონომიური წარმოება და მისგან გარდუვალად გამომდინარე აგებულება საზოგადოებისა შეადგენენ ამ ეპოქის პოლიტიკური და გონებრივი ისტორიის საფუძველს; რომ ამის შესაბამისად (მას შემდეგ, რაც დაიშალა პირველყოფილი სათემო მფლობელობა მიწისა) მთელი ისტორია იყო ისტორია კლასობრივი ბრძოლისა, ბრძოლისა ექსპლოატირებულთა და ექსპლოატატორთა, დამონებულ და გაბატონებულ კლასებს შორის საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე; და რომ ამ ბრძოლამ ახლა ისეთ საფეხურს მიაღწია, როდესაც ექსპლოატირებული და დაჩაგრული კლასი (პროლეტარიატი) ვერ შეძლებს განთავისუფლდეს მისი ექსპლოატატორი და მჩაგვრელი კლასისაგან (ბურჟუაზიისაგან), თუ ამავე დროს მთელ საზოგადოებას სამუდამოდ არ გაათავისუფლებს ექსპლოატაციისა, ჩაგვრისა და კლასობრივი ბრძოლისაგან, — ეს ძირითადი აზრი მარტოდმარტო მარქსს ეკუთვნის შეუცილებლად[1].

მე წინათაც ხშირად მითქვამს ეს, მაგრამ სწორედ ახლაა საჭირო, რომ თვით „მანიფესტსაც" წინ უძღოდეს ეს განცხადება.

ფ. ენგელსი

ლონდონი, 28 ივნისი 1883 წ.

---

[1] «ამ აზრს», — ვწერდი მე ინგლისური თარგმანისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში, — «რომელსაც, ჩემის აზრით, ისეთივე მნიშვნელობა უნდა ექნეს ისტორიისათვის, როგორიც დარვინის თეორიას ჰქონდა ბიოლოგიისათვის, ჩვენ ორნივე ვუახლოვდებოდით ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე 1845 წლამდე. თუ რამდენად მოვახერხე მე დამოუკიდებლად წავწეულიყავი წინ ამ მიმართულებით, ამის შესახებ ყველაზე უკეთ შეიძლება სჯა ჩემი ნაშრომის მიხედვით: «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში». ხოლო როდესაც, 1845 წლის

წინასიტყვაობიდან 1890 წ. გერმანული გამოცემისათვის

«მანიფესტს» თავისი საკუთარი ცხოვრების გზა ჰქონდა. როდესაც გამოქვეყნდა, მას აღტაცებით შეხვდა მეცნიერული სოციალიზმის მაშინ ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი მოწინავე რაზმი (როგორც ამას პირველ წინასიტყვაობაში აღნიშნული თარგმანები ამტკიცებენ), მაგრამ მალე იგი უკანა რიგში ჩააყენა იმ რეაქციამ, რომელიც დაიწყო 1848 წლის ივნისში პარიზის მუშათა დამარცხების შემდეგ და ბოლოს, კელნის კომუნისტების გასამართლებით 1852 წლის ნოემბერში იგი «კანონიერ საფუძველზე» კანონს გარეშე იქნა გამოცხადებული. თებერვლის რევოლუციასთან დაკავშირებული მუშათა მოძრაობა გაჰქრა საზოგადოებრივი ასპარეზიდან და მასთან ერთად «მანიფესტიც» უკანა რიგში ჩამოდგა.

როდესაც ევროპის მუშათა კლასი კვლავ საკმაოდ მოღონიერდა ახალი იერიშის მისატანად გაბატონებული კლასების ძალაუფლების წინააღმდეგ, წარმოიშვა «მუშათა საერთაშორისო ასოციაცია». მას მიზნად ჰქონდა ერთ დიდ არმიად გაეერთიანებია ევროპისა და ამერიკის მუშათა კლასის ყველა ბრძოლისუნარიანი ძალა. ამიტომ არ შეეძლო თავის გამოსავალ წერტილად აეღო «მანიფესტში» მოცემული ძირითადი დებულებები. მას ისეთი პროგრამა უნდა ჰქონებოდა, რომ შესასვლელი კარი არ დაეხშო ინგლისის ტრედუნიონებისათვის, ფრანგი, ბელგიელი, იტალიელი და ესპანელი პრუდონისტებისათვის და გერმანელი ლასალელებისათვის[1]. ასეთი პროგრამა — ინტერნაციონალის წესდების განმარტებითი შესავალი[2] — მარქსმა დაწერა ისეთი ხელოვნებით, რომელსაც თვით ბაკუნინი და ანარქისტებიც კი აღიარებდნენ. «მანიფესტში» გამოთქმულ დებულებათა საბოლოო გამარჯვებას მარქსი მოელოდა

გაზაფხულზე, მე კვლავ შევხვდი მარქსს ბრიუსელში, მას უკვე შემუშავებული ჰქონდა ეს აზრი და გადმომცა იგი თითქმის ისეთივე ნათლად გამოთქმული, როგორც მე მოვიყვანე აქ». (ენგელსის შენიშვნა 1890 წ. გერმანული გამოცემისათვის.)

[1] ჩვენთან ურთიერთობაში ლასალი პირადად თავის თავს ყოველთვის მარქსის «მოწაფედ» აღიარებდა, და როგორც ასეთი, რა თქმა უნდა, «მანიფესტის» ნიადაგზე იდგა. სხვაფრივ იქცეოდნენ მისი ის მომხრეები, რომელნიც ვერ გასცილებოდნენ მის მოთხოვნის სახელმწიფოს მხრივ საკრედიტო დახმარების მქონე მწარმოებელ ამხანაგობათა შესახებ და რომელნიც მთელ მუშათა კლასს ჰყოფდნენ სახელმწიფოებრივი დახმარების მომხრეებად და თვითდახმარების მომხრეებად. (ენგელსის შენიშვნა.)

[2] იხ. ეს ტომი, გვ. 435—436. რედ.

მხოლოდდამხოლოდ მუშათა კლასის გონებრივი განვითარებისაგან, რომელიც უნდა წარმოშობილიყო როგორც ერთად მოქმედებისა და დისკუსიის აუცილებელი ნაყოფი. მოვლენებსა და კაპიტალის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის პერიპეტიებს, — და ამასთან დამარცხებებს კიდევ უფრო, ვიდრე გამარჯვებებს, — არ შეიძლებოდა არ დაენახვებია მებრძოლთათვის მათ მიერ მანამდე აღიარებული ყველაფრისმკურნავი წამლების უვარგისობა და მუშათა კლასის განთავისუფლების ნამდვილი პირობების საფუძვლიანი შეგნებისათვის უფრო ამთვისებელი არ გაეხადა მათი გონება. და მარქსი მართალი იყო. 1874 წელს, როდესაც ინტერნაციონალი დაიშალა, მუშათა კლასი სრულიადაც აღარ იყო ის, რაც იყო ინტერნაციონალის დაარსებისას 1864 წელს. პრუდონიზმი რომანულ ქვეყნებში, სპეციფიკური ლასალიზმი გერმანიაში სულს ჰღაფავდა, და თვით მაშინდელი ინგლისის არქიკონსერვატიული ტრედუნიონებიც კი თანდათან უახლოვდებოდნენ იმ მომენტს, როდესაც მათი კონგრესის თავმჯდომარეს სუონსიში 1887 წელს შეეძლო მათი სახელით ეთქვა: «კონტინენტური სოციალიზმი ჩვენ აღარ გვაშინებსო». მაგრამ 1887 წელს კონტინენტურ სოციალიზმს თითქმის მარტო ის თეორია შეადგენდა, რომელიც «მანიფესტშია» გადმოცემული. ამგვარად, «მანიფესტის» ისტორია რამდენადმე ასახავს თანამედროვე მუშათა მოძრაობის ისტორიას 1848 წლის შემდეგ. ამჟამად იგი უეჭველად მთელი სოციალისტური ლიტერატურის ყველაზე ფართოდ გავრცელებული, უაღრესად ინტერნაციონალური ნაწარმოებია, საერთო პროგრამაა ყველა ქვეყნის მრავალ მილიონ მუშისა — ციმბირიდან კალიფორნიამდე.

და მაინც, როდესაც იგი გამოვიდა, ჩვენ მას ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მანიფესტი ვერ ვუწოდეთ. 1847 წელს სოციალისტებად იწოდებოდნენ ორი ჯურის ადამიანები. ერთი მხრივ, სხვადასხვა უტოპიური სისტემის მომხრეები, განსაკუთრებით ოუენისტები ინგლისში და ფურიერისტები საფრანგეთში; ორივე ეს მიმდინარეობა მაშინ უკვე დაკნინებული იყო უბრალო, გადაშენების გზაზე დამდგარ სექტებად. მეორე მხრივ, — ყოველგვარი სოციალური ექიმბაშები, რომელნიც ცდილობდნენ სხვადასხვა ყველაფრისმკურნავი საშუალებებით და ყოველგვარი საკერებლების შემწეობით მოესპოთ საზოგადოებრივი უბედურებანი, ისე კი, რომ არავითარი ზიანი არ მიეყენებიათ კაპიტალისა და მოგებისათვის. ორსა-

ვე შემთხვევაში ეს იყვნენ ადამიანები, რომელნიც მუშათა კლასის მოძრაობის გარეშე იდგნენ და უფრო «განათლებული» კლასების მხრივ ეძიებდნენ დახმარებას. პირიქით, მუშათა კლასის ის ნაწილი, რომელიც დარწმუნდა წმინდა პოლიტიკურ გადატრიალებათა არასაკმარისობაში და საზოგადოების ძირფესვიანად გარდაქმნას მოითხოვდა, თავის თავს კომუნისტურს უწოდებდა. ეს იყო ჯერ კიდევ ნაკლებად დამუშავებული, მარტოოდენ ინსტინქტური, ზოგ რამეში ტლანქი კომუნიზმი; მაგრამ იგი საკმაოდ ძლიერი იყო, რათა წარმოეშვა ორი სისტემა უტოპიური კომუნიზმისა: საფრანგეთში «იკარიული» კომუნიზმი კაბე'ი და გერმანიაში ვაიტლინგის კომუნიზმი. 1847 წელს სოციალიზმი ნიშნავდა ბურჟუაზიულ მოძრაობას, კომუნიზმი — მუშათა მოძრაობას. სოციალიზმი, კონტინენტზე მაინც, სავსებით სალონური (salonfähig) იყო, კომუნიზმი — სწორედ პირიქით. და რადგან ჩვენ უკვე მაშინ გადაჭრით ვადექით იმ აზრს, რომ «მუშათა კლასის განთავისუფლება უნდა იყოს მხოლოდ თვით მუშათა კლასის საქმე», ამიტომ ჩვენ ერთი წუთითაც კი არ შეიძლებოდა დავეჭვებულიყავით, თუ ამ ორ სახელწოდებაში რომელი უნდა აგვერჩია. შემდეგშიაც არასოდეს არ მოგვსვლია აზრად უარი გვეთქვა მასზე.

«პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!» — როდესაც ჩვენ ამ 42 წლის წინათ, პარიზის რევოლუციის წინადღით, — პირველი რევოლუციისა, რომელშიაც პროლეტარიატი თავისი საკუთარი მოთხოვნებით გამოვიდა, ეს სიტყვები მსოფლიოს გადავძახეთ, მხოლოდ რამდენიმე ხმა გამოგვეხმაურა. მაგრამ 1864 წლის 28 სექტემბერს დასავლეთ ევროპის მეტი წილი ქვეყნების პროლეტარები შეერთდნენ დიდებით მოსაგონარი «მუშათა საერთაშორისო ასოციაციის» სახით. მართალია, თვითონ ინტერნაციონალმა მხოლოდ 9 წელიწადი იცოცხლა. მაგრამ რომ კიდევ ცოცხლობს ყველა ქვეყნის პროლეტარების ის სამუდამო კავშირი, რომელიც მან დაამყარა, და ცოცხლობს უფრო მტკიცედ, ვიდრე ოდესმე, — ამის საუკეთესო დამამტკიცებელია სწორედ დღევანდელი დღე. ვინაიდან: დღეს, როდესაც მე ამ სტრიქონებს ვწერ, ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატი თავისი საბრძოლო ძალების დათვალიერებას აწარმოებს, ძალებისა, რომლებიც პირველადაა მობილიზებული ერთ ერმიად, ერთი დროშის ქვეშ და ერთი უახლოესი მიზნისათვის: რათა კანონმდებლობის გზით დაწესებულ იქნას რვაასაათიანი ნორმალური სამუშაო დღე, რაც ხმამაღლა გამოცხადებული იყო ჯერ კიდევ ინტერნაციონალის კონგრესზე ჟენევაში 1866

წელს და შემდეგ განმეორებული იყო პარიზის მუშათა კონგრესზე 1889 წელს. და დღევანდელი დღის სანახაობა ყველა ქვეყნის კაპიტალისტებსა და მემამულეებს ნათლად დაანახვებს, რომ ყველა ქვეყნის პროლეტარები ამჟამად მართლა შეერთებულნი არიან.

ნეტავი მარქსი ჩემ გვერდით იდგეს დღეს, რომ თავისი საკუთარი თვალით ენახა ეს!

ფ. ენგელსი

ლონდონი, 1 მაისი 1890 წ.

კომუნისტური პარტიის მანიფესტი

აჩრდილი დადის ევროპაში — აჩრდილი კომუნიზმისა. ძველი ევროპის ყველა ძალა საღმრთო კავშირში შეერთდა ამ აჩრდილის სადევნელად: პაპი და მეფე, მეტერნიხი და გიზო, საფრანგეთის რადიკალები და გერმანიის პოლიციელები.

სად მოიპოვება ისეთი ოპოზიციური პარტია, რომლისთვისაც კომუნისტობის დაწამებით სახელი არ გაეტეხოთ მთავრობაში მყოფ მის მოწინააღმდეგეებს? სად მოიპოვება ისეთი ოპოზიციური პარ-ტია, რომელსაც კომუნისტობის სამარცხვინო ბრალდება უკანვე არ ესროლნოს როგორც ოპოზიციის უფრო პროგრესულ წარმომადგე-ნელთათვის, ისე თავის რეაქციულ მოწინააღმდეგეთათვის?

ორი დასკვნა გამომდინარეობს ამ ფაქტიდან.

კომუნიზმს უკვე ძალად აღიარებენ ევროპის ყველა ხელის-უფალნი.

დიდიხანია დრო არის, რომ კომუნისტებმა მთელი მსოფლიოს წინაშე ამკარად გამოსთქვან თავიანთი შეხედულება, თავიანთი მიზნები, თავიანთი მისწრაფებანი და კომუნიზმის აჩრდილის შესა-ხებ არსებულ ზღაპარს დაუპირისპირონ თვით პარტიის მანიფესტი.

ამ მიზნით სრულიად სხვადასხვა ეროვნების კომუნისტები შეი-კრიბნენ ლონდონში და შეადგინეს შემდეგი «მანიფესტი», რომე-ლიც ქვეყნდება ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ფლამანდურ და დანიურ ენებზე.

I

ბურჟუები და პროლეტარები[1]

დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია[2] არის კლასთა ბრძოლის ისტორია.

თავისუფალი და მონა, პატრიცი და პლებეი, ბატონი და ყმა, ამქრის ოსტატი[3] და ქარგალი, მოკლედ — მჩაგვრელი და დაჩაგრული მუდმივ წინააღმდეგობაში უდგნენ ერთმანეთს, ეწეოდნენ შეუწყვეტელ — ხან მალულ, ხან აშკარა ბრძოლას, — ბრძოლას, რომელიც ყოველთვის თავდებოდა მთელი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნით ან მებრძოლ კლასთა საერთო დაღუპვით.

ისტორიის წინანდელ ეპოქებში ჩვენ თითქმის ყველგან ვპოულობთ საზოგადოების სრულ დანაწილებას სხვადასხვა წოდებებად, საზოგადოებრივ მდგომარეობათა მრავალგვარ საფეხურებს. ძველ რომში ჩვენ ვხედავთ პატრიციებს, მხედრებს, პლებეებს, მონებს; შუა საუკუნეებში — ფეოდალურ ბატონებს, ვასალებს, ამქრის ოსტატებს, ქარგლებს, ყმებს და ამასთან ერთად თითქმის თვითეულ ამ კლასში განსაკუთრებულ საფეხურებს.

---

[1] ბურჟუაზიად იგულისხმება კლასი თანამედროვე კაპიტალისტებისა, საზოგადოებრივი წარმოების საშუალებათა მესაკუთრეებისა, რომელნიც დაქირავებულ შრომას იყენებენ. პროლეტარიატად იგულისხმება კლასი თანამედროვე დაქირავებული მუშებისა, რომელნიც, რადგან წარმოების საკუთარი საშუალებები არა აქვთ, იძულებული არიან გაჰყიდონ ხოლმე თავიანთი სამუშაო ძალა, რათა იცხოვრონ. (ენგელსის შენიშვნა 1888 წ. ინგლისური გამოცემისათვის.)

[2] ესე იგი, ზუსტად რომ ვთქვათ, ისტორია, რომელიც წერილობითს წყაროებშია მოცემული. 1847 წელს თითქმის სრულიად უცნობი იყო საზოგადოების წინაისტორია, ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც წინ უძღოდა მთელ დაწერილ ისტორიას. შემდეგში ჰაქსტჰაუზენმა რუსეთში აღმოაჩინა მიწის თემური საკუთრება, ხოლო მაურერმა დაამტკიცა, რომ ეს თემური საკუთრება წარმოადგენდა საზოგადოებრივ საფუძველს, საიდანაც მომდინარეობდა ყველა გერმანელ ტომთა ისტორიული განვითარება, და თანდათან აღმოჩნდა, რომ სოფლის თემი საერთო მიწათმფლობელობით პირველყოფილი ფორმა იყო საზოგადოებისა ინდოეთიდან დაწყებული ირლანდიამდე. დასასრულ, მორგანმა დაგვირგვინა საქმე იმით, რომ აღმოაჩინა გვარის ნამდვილი ბუნება და მისი მდგომარეობა ტომში, რითაც ცხადჰყო ამ პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების შინაგანი ორგანიზაცია მის ტიპიურ ფორმაში. ამ პირველყოფილი თემის დაშლასთან ერთად იწყება საზოგადოების დიფერენციაცია განცალკევებულ და, ბოლოს, ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ კლასებად. მე შევეცადე დაშლის ეს პროცესი გამერკვია ჩემს ნაშრომში: «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა», მე-2 გამ., შტუტჰარტი, 1886. (ენგელსის შენიშვნა 1888 წ. ინგლისური გამოცემისათვის). იხ. ამ გამოცემის მეორე ტომი. რედ.

[3] ამქრის ოსტატი — ეს არის ამქრის სრულუფლებიანი წევრი, ოსტატი ამქარს შიგნით, და არა ამქრის მამასახლისი. (ენგელსის შენიშვნა 1888 წ. ინგლისური გამოცემისათვის.) — რედ.

თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომელიც დაღუპული ფეოდალური საზოგადოების ნანგრევებზე აღმოცენდა, როდი მოუსპია კლასობრივი წინააღმდეგობანი. მან ძველის ალაგას მხოლოდ ახალი კლასები, ჩაგვრის ახალი პირობები და ბრძოლის ახალი ფორმები დააყენა.

მაგრამ ჩვენი ეპოქა, ბურჟუაზიის ეპოქა, იმით განსხვავდება, რომ მან გაამარტივა კლასობრივი წინააღმდეგობანი. მთელი საზოგადოება სულ უფრო და უფრო იყოფა ორ დიდ მტრულ ბანაკად, ორ დიდ, ერთიმეორისადმი უშუალოდ დაპირისპირებულ კლასად — ბურჟუაზიად და პროლეტარიატად.

შუა საუკუნეების ყმებიდან წარმოიშვა პირველ ქალაქთა თავისუფალი მოსახლეობა; მოქალაქეთა ამ წოდებიდან განვითარდნენ ბურჟუაზიის პირველი ელემენტები.

ამერიკის აღმოჩენამ, აფრიკის გარშემო საზღვაო გზამ ახალი ასპარეზი შეუქმნეს აღმავალ ბურჟუაზიას. აღმოსავლეთ-ინდოეთის და ჩინეთის ბაზარმა, ამერიკის კოლონიზაციამ, კოლონიებთან გაცვლა-გამოცვლამ, გაცვლის საშუალებათა და საერთოდ საქონელთა გამრავლებამ მანამდე გაუგონარი აღმავლობა მისცა ვაჭრობას, ნაოსნობას, მრეწველობას და ამით სწრაფად განავითარა რევოლუციური ელემენტი დაშლის პროცესით მოცულ ფეოდალურ საზოგადოებაში.

მრეწველობის მანამდე არსებულ ფეოდალურ ან ამქრულ წარმოების წესს უკვე აღარ შეეძლო დაეკმაყოფილებია მოთხოვნა, რომელიც ახალ ბაზრებთან ერთად იზრდებოდა. მისი ადგილი მანუფაქტურამ დაიჭირა. ამქრის ოსტატები განდევნილ იქნენ მრეწველი საშუალო წოდების მიერ; შრომის დანაწილება სხვადასხვა კორპორაციებს შორის გაჰქრა, მან ადგილი დაუთმო შრომის დანაწილებას თვით ცალკეულ სახელოსნოში.

მაგრამ ბაზრები განუწყვეტლივ ფართოვდებოდნენ, მოთხოვნა სულ იზრდებოდა. მანუფაქტურაც უკვე აღარ კმაროდა. მაშინ ორთქლმა და მანქანამ მოახდინეს რევოლუცია სამრეწველო წარმოებაში. მანუფაქტურის ადგილი დაიჭირა თანამედროვე მსხვილმა მრეწველობამ, მრეწველი საშუალო წოდების ადგილი — მილიონერ-მრეწველებმა, მთელი სამრეწველო არმიების წინამძღოლებმა, თანამედროვე ბურჟუებმა.

მსხვილმა მრეწველობამ შეჰქმნა მსოფლიო ბაზარი, რომელსაც ნიადაგი მოუმზადა ამერიკის აღმოჩენამ. მსოფლიო ბაზარმა უზომო განვითარება მისცა ვაჭრობას, ნაოსნობასა და სახმელეთო მი-

მოსვლის საშუალებებს. ამან თავის მხრივ გავლენა იქონია მრეწველობის გაფართოებაზე, და იმავე ზომით, რა ზომითაც მრეწველობა, ვაჭრობა, ნაოსნობა, რკინიგზები იზრდებოდა, ვითარდებოდა ბურჟუაზია, იგი ადიდებდა თავის კაპიტალებს და უკანა რიგში ერეკებოდა შუა საუკუნეებიდან გადმოცემულ ყველა კლასს.

ჩვენ ვხედავთ, ამრიგად, რომ თანამედროვე ბურჟუაზია თვითონ ნაყოფია განვითარების ხანგრძლივი მსვლელობისა, წარმოების და აღებმიცემის წესში მომხდარი მთელი რიგი გადატრიალებებისა.

ბურჟუაზიის განვითარების თვითეულ ამ საფეხურს თან ახლდა შესაფერი პოლიტიკური წარმატება[1]. ბურჟუაზიამ, რომელიც წარმოადგენდა დაჩაგრულ წოდებას ფეოდალთა უღელქვეშ, შეიარაღებულ და თვითმმართველ ასოციაციას კომუნაში[2], აქ დამოუკიდებელ ქალაქის რესპუბლიკას, იქ მონარქიის[3] მესამე გადასახადვალდებულ წოდებას, შემდეგ, მანუფაქტურის დროს, თავადაზნაურობის წინააღმდეგ საპირწონე ძალას წოდებრივს ან აბსოლუტურ მონარქიაში და საერთოდ დიდი მონარქიების მთავარ საფუძველს, — ამ ბურჟუაზიამ, ბოლოს, მსხვილი მრეწველობისა და მსოფლიო ბაზრის დამყარების შემდეგ, თანამედროვე წარმომადგენლობითს სახელმწიფოში ბრძოლით მოიპოვა თავისთვის განსაკუთრებული პოლიტიკური ბატონობა. თანამედროვე სახელმწიფო ხელისუფლება მარტოოდენ კომიტეტია, რომელიც მთელი ბურჟუაზიული კლასის საერთო საქმეებს განაგებს.

---

[1] ენგელსის რედაქციით გამოსულ 1888 წ. ინგლისურ გამოცემაში სიტყვა «წარმატება»-ს შემდეგ ჩამატებულია სიტყვები: «ამ კლასისა». რ ე დ.

[2] «კომუნა» ეწოდებოდა ახლად წარმოშობილ ქალაქებს საფრანგეთში უკვე მანამდე, ვიდრე ისინი ბრძოლით მოიპოვებდნენ თავიანთი ფეოდალური მბრძანებლებისა და ბატონებისაგან ადგილობრივ თვითმმართველობას და «მესამე წოდების» პოლიტიკურ უფლებებს. ზოგადად თუ ვიტყვით, აქ ბურჟუაზიის ეკონომიური განვითარების ტიპიურ ქვეყნად აღებულია ინგლისი, ხოლო მისი პოლიტიკური განვითარების ტიპიურ ქვეყნად — საფრანგეთი. (ენ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1 8 8 8 წ. ი ნ გ ლ ი ს უ რ ი გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

კ ო მ უ ნ ა ს უწოდებდნენ იტალიისა და საფრანგეთის მოქალაქეები თავიანთ საქალაქო თემს, მას შემდეგ, რაც მათ თავიანთი ფეოდალური ბატონებისაგან შეისყიდეს ან ბრძოლით მოიპოვეს თვითმმართველობის პირველი უფლებები. (ენ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1 8 9 0 წ. გ ე რ მ ა ნ უ ლ ი გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

[3] 1888 წ. ინგლისურ გამოცემაში «დამოუკიდებელ ქალაქის რესპუბლიკას» შემდეგ ჩამატებულია სიტყვები: «(როგორც იტალიასა და გერმანიაში)», ხოლო

ბურჟუაზიამ უაღრესად რევოლუციური როლი შეასრულა ისტორიაში.

სადაც კი ბურჟუაზიამ გაბატონებას მიაღწია, ყველგან დაანგრია ყველა ფეოდალური, პატრიარქალური, იდილიური ურთიერთობანი. მან შეუბრალებლად დაწყვიტა ის მრავალფეროვანი ფეოდალური საბელი, რომლითაც ადამიანი მიბმული იყო მის «ბუნებრივ მბრძანებელზე», და არ დატოვა არავითარი სხვა კავშირი ადამიანსა და ადამიანს შორის, გარდა გაშიშვლებული ინტერესისა, გარდა უსულგულო «ნაღდად გადახდისა». ეგოისტური ანგარიშის ყინულოვან წყალში ჩაახრჩო მან საღმრთო ერუანტელი რელიგიური აღტყინებისა, რაინდული აღფრთოვანებისა, მეშჩანური გრძნობიერებისა. მან პირადი ღირსება საცვლელ ღირებულებად გადააქცია და უთვალავ ნაბოძვარ და კეთილშენაძენ თავისუფლებათა ადგილას დაამყარა ე რ თ ა დ-ე რ თ ი უსინიდისო თავისუფლება ვაჭრობისა. ერთი სიტყვით, რელიგიური და პოლიტიკური ილუზიებით მიჩქმალული ექსპლოატაციის ადგილას მან დაამყარა აშკარა, უსირცხვილო, პირდაპირი, ტლანქი ექსპლოატაცია.

ბურჟუაზიამ წმინდანობის შარავანდედი ახადა ყველა იმ მოქმედებას, რომელსაც დღემდე საპატიოდ თვლიდნენ და მოწიწების გრძნობით უცქეროდნენ. ექიმი, იურისტი, მღვდელი, პოეტი, მეცნიერი მან თავის საფასურიან დაქირავებულ მუშებად გადააქცია.

ბურჟუაზიამ ოჯახურ ურთიერთობას მისი მგრძნობიერ-სანტიმენტალური საბურველი ჩამოაფხრიწა და იგი მარტოოდენ ფულად ურთიერთობაზე დაიყვანა.

ბურჟუაზიამ ცხადჰყო, რომ უკიდურესი სიზანტე ღირსეული დამატება იყო იმ ძალლონის უხეში გამოაშკარავებისა, რასაც ესოდენ აღტაცებაში მოჰყავს რეაქციონერები შუა საუკუნეების მიმართ. პირველად მან გვიჩვენა, თუ რისი შესრულება შეუძლია ადამიანის მოქმედებას. მან შექმნა სულ სხვაგვარი საკვირველებანი ხელოვნებისა, ვიდრე ეგვიპტის პირამიდები, რომის წყალსადენები და გოტიკური ტაძრები, მან ჩაატარა სულ სხვანაირი ლაშქრობანი, ვიდრე ხალხთა გადასახლებანი და ჯვაროსნული ომები.

ბურჟუაზიას არსებობა არ შეუძლია, თუ არ გამოიწვია განუწყვეტელი რევოლუციური გარდაქმნა საწარმოო იარაღებისა, მაშასადამე — წარმოებითი ურთიერთობისა, მაშასადამე — მთელი სა-

---

სიტყვების: «მესამე გადასახადვალდებულ წოდებას მონარქიისას» შემდეგ ჩამატებულია სიტყვები: «(როგორც საფრანგეთში)». რ ე დ.

ზოგადოებრივი ურთიერთობისა. პირიქით, წარმოების ძველი წესის უცვლელად შენახვა არსებობის პირველი პირობა იყო ყველა წინანდელი სამრეწველო კლასისათვის. განუწყვეტელი გადატრიალება წარმოებაში, განუწყვეტელი რყევა ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობისა, მუდმივი უმყარობა და მოძრაობა განასხვავებს ბურჟუაზიულ ეპოქას ყველა წინანდელი ეპოქისაგან. ყველა მტკიცე, ყანგმოკიდებული ურთიერთობანი და მათი თანმყოლი ძველთაგან საპატიოდ მიჩნეული წარმოდგენანი და შეხედულებანი ირღვევიან, ყველა ახლად აღმოცენებულნი ძველდებიან, ვიდრე გაქვავებას მოასწრებდნენ. ყველაფერი წოდებრივი და უძრავი ჰქრება, ყველაფერი წმინდა შემწიკლული ხდება, და ადამიანები ბოლოს იძულებული ხდებიან ფხიზელი თვალით შეხედონ თავიანთი ცხოვრების მდგომარეობას და თავიანთ ურთიერთდამოკიდებულებას.

ის მოთხოვნილება, რომ თავის პროდუქტებს სულ უფრო და უფრო გაფართოებული გასაღება მოუპოვოს, ბურჟუაზიას ერეკება მთელი დედამიწის ზურგზე. მან ყველგან უნდა მოიკიდოს ფეხი, ყველგან მოიკალათოს, ყველგან კავშირურთიერთობა დაამყაროს.

მსოფლიო ბაზრის ექსპლოატაციის გზით ბურჟუაზიამ კოსმოპოლიტური გახადა ყველა ქვეყნის წარმოება და მოხმარება. რეაქციონერთათვის დიდად სამწუხაროდ, მან მრეწველობას ნაციონალური ნიადაგი გამოაცალა. ძველისძველი ნაციონალური სამრეწველო დარგები მოისპო და დღითიდღე ისპობა კიდევ. მათ აძევებენ მრეწველობის ახალი დარგები, რომელთა შემოღება სასიცოცხლო საკითხად ხდება ყველა ცივილიზებული ერისათვის, დარგები, რომელნიც უკვე არა ადგილობრივი ნედლეულის, არამედ დედამიწის უშორესი კუთხეებიდან მოტანილი ნედლეულის დამუშავებას ეწევიან და რომელთა ფაბრიკატები არა მარტო თვითონ იმ ქვეყანაში, არამედ ამავე დროს მსოფლიოს ყველა ნაწილში მოიხმარება. ძველი მოთხოვნილებების ადგილას, რომლებსაც სამშობლო ქვეყნის პროდუქტები აკმაყოფილებდნენ, ჩნდება ახალი მოთხოვნილებები, რომელთა დასაკმაყოფილებლად უშორესი ქვეყნებისა და ჰავის პროდუქტებია საჭირო. ძველი კუთხური და ნაციონალური თვითკმარობისა და კარჩაკეტილობის ნაცვლად წარმოსდგა ერების ყოველმხრივი კავშირი და ყოველმხრივი დამოკიდებულება ერთმანეთისაგან. და ასეა როგორც მატერიალურ, ისე გონებრივ წარმოებაშიც. ცალკეული ერის გონებრივი ნაწარმოები საერთო კუთვნილებად ხდება. ნაციონალური ცალმხრივობა და შეზღუდულობა სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება, და მრავალი ნაციონა-

ლური და ადგილობრივი ლიტერატურიდან ერთი მსოფლიო ლიტერატურა იქმნება.

ბურჟუაზია წარმოების ყველა იარაღის სწრაფი გაუმჯობესებით და უსასრულოდ გაადვილებული მიმოსვლის შემწეობით ცივილიზაციისაკენ მიაქანებს ყველა ერს, თვით უაღრესად ბარბაროსულსაც კი. მისი საქონლის სიიაფე — აი ის მძიმე არტილერია, რომლითაც იგი ძირიანად ანგრევს ყველა ჩინურ კედელს და იარაღს აყრევინებს ბარბაროსთა უჯიუტეს მძულვარებას უცხოელებისადმი. იგი აიძულებს ყველა ერს წარმოების ბურჟუაზიული წესი შეითვისონ, თუ არ უნდათ განადგურდნენ; იგი აიძულებს მათ შემოიღონ ევრეთწოდებული ცივილიზაცია, ე. ი. იქცნენ ბურჟუებად. ერთი სიტყვით, იგი თავის ხატად და მსგავსად ქმნის მთელ ქვეყანას.

ბურჟუაზიამ სოფელი ქალაქის ბატონობას დაუმორჩილა. მან შექმნა უზარმაზარი ქალაქები, უაღრესად გაამრავლა ქალაქის მოსახლეობის რიცხვი სოფლის მოსახლეობასთან შედარებით და ამგვარად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოგლიჯა სოფლური ცხოვრების იდიოტიზმს. როგორც სოფელი ქალაქისაგან, ისევე დამოკიდებული გახადა მან ბარბაროსული და ნახევრადბარბაროსული ქვეყნები ცივილიზებული ქვეყნებისაგან, გლეხი-ხალხები ბურჟუაზიული ხალხებისაგან, აღმოსავლეთი დასავლეთისაგან.

ბურჟუაზია სულ უფრო და უფრო სპობს წარმოების საშუალებების, ქონებისა და მოსახლეობის დაქუცმაცებას. მან შეამჭიდროვა მოსახლეობა, მოახდინა წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და საკუთრების კონცენტრაცია მცირეოდენთა ხელში. ამის აუცილებელი შედეგი იყო პოლიტიკური ცენტრალიზაცია. დამოუკიდებელი, თითქმის მხოლოდ დაკავშირებული პროვინციები, აღჭურვილნი სხვადასხვა ინტერესებით, კანონებით, მთავრობებით და ბაჟებით, შედუღებულ იქნენ ერთ ერად — ერთი მთავრობით, ერთი კანონმდებლობით, ერთი ნაციონალური კლასობრივი ინტერესით, ერთი საბაჟო ხაზით.

თავისი კლასობრივი ბატონობის ხანაში, რომელიც ძლივს ერთი საუკუნეა რაც გრძელდება, ბურჟუაზიამ უფრო მრავალრიცხოვანი და უფრო უზარმაზარი საწარმოო ძალები შექმნა, ვიდრე ყველა წარსულმა თაობამ, ერთად აღებულმა. ბუნების ძალთა დამორჩილება, მანქანური წარმოება, ქიმიის გამოყენება მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში, ორთქლის გემები, რკინიგზები, ელექტრონის ტელეგრაფები, დედამიწის მთელი ნაწილების თვისება

მიწათმოქმედებისათვის, მდინარეების მომართვა ნაოსნობისათვის, მთელი, თითქოს მიწიდან ამომძვრალი, მასები მოსახლეობისა — აბა რომელ წინანდელ საუკუნეს დაესიზმრებოდა, რომ ასეთი საწარმოო ძალები სთვლემდნენ საზოგადოებრივი შრომის წიაღში!

ამრიგად, ჩვენ ვნახეთ, რომ წარმოებისა და აღებმიცემის საშუალებანი, რომელთა საფუძველზე ბურჟუაზია აღმოცენდა, ფეოდალურ საზოგადოებაში წარმოიშვნენ. წარმოებისა და აღებმიცემის ამ საშუალებათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე ის ურთიერთობანი, რომლებშიაც ფეოდალური საზოგადოება აწარმოებდა და გაცვლა-გამოცვლას ეწეოდა, მიწათმოქმედებისა და მანუფაქტურის ფეოდალური ორგანიზაცია, ერთი სიტყვით — ფეოდალური საკუთრების ურთიერთობანი, აღარ შეეფერებოდნენ უკვე განვითარებულ საწარმოო ძალებს. ისინი აფერხებდნენ წარმოებას, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეეწყოთ მისთვის. ამდენად ისინი მის ბორკილებად იქცნენ. ისინი უნდა დამსხვრეულიყვნენ და დაიმსხვრნენ კიდეც.

მათი ადგილი დაიკავა თავისუფალმა კონკურენციამ მისი შესაფერი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებით, ბურჟუაზიული კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობით.

მსგავსი მოძრაობა წარმოებს ჩვენ თვალწინ. თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება, — მისი ბურჟუაზიული წარმოებითი და აღებმიცემითი ურთიერთობით, საკუთრების ბურჟუაზიული ურთიერთობით, — რომელმაც თითქოს ჯადოსნობით შექმნა ესოდენ ძლიერი წარმოებისა და აღებმიცემის საშუალებანი, იმ ჯადოქარს ჰგავს, რომელსაც ვეღარ დაუმორჩილებია მის მიერ ქვესკნელიდან ჯადოსიტყვით გამოწვეული ძალები. ეს რამდენიმე ათეული წელიწადია, რაც მრეწველობისა და ვაჭრობის ისტორია არის მხოლოდ ისტორია თანამედროვე საწარმოო ძალთა აჯანყებისა თანამედროვე წარმოებით ურთიერთობათა წინააღმდეგ, საკუთრების ურთიერთობათა წინააღმდეგ, რომელნიც ბურჟუაზიისა და მისი ბატონობის არსებობის პირობებს წარმოადგენენ. საკმარისია დავასახელოთ სავაჭრო კრიზისები, რომელნიც თავიანთი პერიოდული განმეორებით სულ უფრო და უფრო მრისხანედ აყენებენ ეჭვს ქვეშ მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობას. სავაჭრო კრიზისების დროს რეგულარულად ისპობა დიდი ნაწილი არა მარტო დამზადებული პროდუქტებისა, არამედ უკვე შექმნილი საწარმოო ძალებისაც. კრიზისების დროს იფეთქებს ხოლმე საზოგადოებრივი ეპიდემია, რომელიც ეველა წინანდელ

ეპოქას უაზრობად მოეჩვენებოდა, — ეპიდემია ჭარბწარმოებისა. საზოგადოება უეცრივ უკან იწევს და ბარბაროსობის მდგომარეობაში ვარდება; თითქოს შიმშილმა, გამანადგურებელმა საყოველთაო ომმა მოუსპო მას ყველა საარსებო საშუალებაო; გგონია, თითქოს მრეწველობა, ვაჭრობა მოისპო, — და რატომ? იმიტომ, რომ საზოგადოებას აქვს მეტისმეტად დიდი ცივილიზაცია, მეტისმეტად ბევრი საარსებო საშუალება, მეტისმეტად დიდი მრეწველობა, მეტისმეტად დიდი ვაჭრობა. მის განკარგულებაში მყოფი საწარმოო ძალები უკვე აღარ ემსახურებიან ბურჟუაზიულ ცივილიზაციისა და[1] საკუთრების ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებას; პირიქით, ამ ურთიერთობისათვის ისინი მეტისმეტად ძლიერნი გახდნენ, მისგან ისინი ბრკოლდებიან; ხოლო როგორც კი ისინი ამ დაბრკოლებას გადალახავენ, უწესრიგობაში მოჰყავთ მთელი ბურჟუაზიული საზოგადოება, ხიფათში აგდებენ ბურჟუაზიული საკუთრების არსებობას. ბურჟუაზიული ურთიერთობა მეტისმეტად ვიწრო შეიქნა, რათა დაიტიოს მის მიერ შექმნილი სიმდიდრე. რით ძლევს ხოლმე ბურჟუაზია კრიზისებს? ერთი მხრივ, საწარმოო ძალთა მთელი მასის იძულებითი მოსპობის გზით; მეორე მხრივ — ახალი ბაზრების დაპყრობით და ძველი ბაზრების უფრო საფუძვლიანი ექსპლოატაციით. მაშასადამე, რით? მით, რომ იგი უფრო ყოველმხრივსა და უფრო მძლავრ კრიზისებს ამზადებს და ამ კრიზისების ამარიდებელ საშუალებებს ამცირებს.

იარაღი, რომლითაც ბურჟუაზიამ ფეოდალიზმი დაამხო, ახლა თვით ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიიმართება.

— მაგრამ ბურჟუაზიამ არა მარტო გამოჭედა ის იარაღი, რომელიც მას სიცოცხლეს გამოასალმებს; მან ის ადამიანებიც წარმოშვა, რომელნიც ამ იარაღს მიმართავენ მის წინააღმდეგ, — ე. ი. თანამედროვე მუშები, პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ი.

— იმავე ზომით, რა ზომითაც ბურჟუაზია, ე. ი. კაპიტალი, ვითარდება, — ვითარდება პროლეტარიატიც, კლასი თანამედროვე მუშებისა, რომელთაც მხოლოდ მანამდე შეუძლიათ არსებობა, ვიდრე სამუშაოს შოულობენ, და რომელნიც მხოლოდ მანამდე შოულობენ სამუშაოს, ვიდრე მათი შრომა კაპიტალს ადიდებს. ეს მუშები, რომელნიც იძულებული არიან ცალობით ჰყიდონ ხოლმე თავიანთი თავი, ისეთსავე საქონელს წარმოადგენენ,

---

[1] შემდგომ გამოცემებში, 1872 წ. გერმანულ გამოცემიდან დაწყებული, სიტყვები: «ბურჟუაზიული ცივილიზაციისა და» გამოტოვებულია. რ ე დ.

როგორიცაა ვაჭრობის ყოველივე სხვა საგანი, და ამიტომ თანაბრად განიცდიან კონკურენციის ყველა ცვალებადობას, ბაზრის ყველა რყევას.

პროლეტარების შრომამ, მანქანების გავრცელებისა და შრომის დანაწილების გამო, სრულიად დაჰკარგა თავისთავადი ხასიათი და მით ყოველივე მიმზიდველობა მუშისათვის. მუშა მანქანის უბრალო დანამატად იქცევა, რომელსაც მოეთხოვება მხოლოდ უაღრესად მარტივი, უაღრესად ერთფეროვანი და ძლიერ ადვილად შესათვისებელი ხელმარჯვეობა. ამიტომ ხარჯები, რასაც მუშის დაქირავება იწვევს, განისაზღვრება თითქმის მარტო იმ საარსებო საშუალებებით, რომლებსაც მუშა საჭიროებს თავის სარჩენად და თავისი მოდგმის განსაგრძობად. მაგრამ ყოველი საქონლის ფასი და, მაშასადამე, შრომისაც [1], უდრის მისი წარმოების ხარჯებს. ამიტომ იმავე ზომით, რა ზომითაც იზრდება შრომის არასაამურობა, მცირდება ხელფასი. უფრო მეტიც: იმავე ზომით, რა ზომითაც მანქანების გამოყენება და შრომის დანაწილება იზრდება, მატულობს შრომის რაოდენობაც [2], სულერთია, ხდება ეს სამუშაო საათების გამრავლების გზით, ან იმ შრომის გადიდებით, რომელიც განსაზღვრულ დროში მოეთხოვება მუშას, თუ მანქანების აჩქარებული მოძრაობით და ა. შ.

თანამედროვე მრეწველობამ პატრიარქალური ოსტატის პატარა სახელოსნო მრეწველი კაპიტალისტის დიდ ფაბრიკად გადააქცია. ფაბრიკაში შეჯგუფებული მუშათა მასები ჯარისკაცურად არიან ორგანიზებული. როგორც მრეწველობის რიგითი ჯარისკაცები, ისინი დაყენებული არიან უნტეროფიცერთა და ოფიცერთა მთელი იერარქიის მეთვალყურეობის ქვეშ, ისინი მონები არიან არა მარტო ბურჟუაზიული კლასისა, ბურჟუაზიული სახელმწიფოსი, — მათ ყოველდღე და ყოველ საათს იმონებს მანქანა, ზედამხედველი და პირველ ყოვლისა თვითონ ცალკეული ბურჟუა-მეფაბრიკე. ეს დესპოტიზმი მით უფრო წვრილმანი, საძულველი და აღმაშფოთებელია, რაც უფრო აშკარად აღიარებს იგი თავის მიზნად გამდიდრებას.

---

[1] შემდეგში მარქსმა ვაარკვია, რომ მუშა ჰყიდის არა შრომას, არამედ სამუშაო ძალას. იხ. ამის შესახებ ენგელსის შესავალი მარქსის ნაშრომისათვის: «დაქირავებული შრომა და კაპიტალი», ამ ტომის 57—66 გვ. რ ე დ.

[2] 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში ნაცვლად სიტყვებისა: «შრომის რაოდენობა» დაბეჭდილია «შრომის სიმძიმე». რ ე დ.

რაც უფრო ნაკლებ დახელოვნებასა და ძალღონეს მოითხოვს ხელით მუშაობა, ე. ი. რაც უფრო ვითარდება თანამედროვე მრეწველობა, მით უფრო მეტად იდევნება მამაკაცების შრომა ქალებისა და ბავშვების შრომით. მუშათა კლასისათვის არავითარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აღარა აქვს სქესისა და ასაკის განსხვავებას. არსებობს კიდევ მხოლოდ სამუშაო ინსტრუმენტები, რომელნიც ასაკისა და სქესის მიხედვით სხვადასხვა ხარჯებს იწვევენ.

როდესაც მუშის ექსპლოატაცია მეფაბრიკის მიერ იმდენად თავდება, რომ მუშა თავის ხელფასს ნაღდად ღებულობს, მას თავს ესხმიან ბურჟუაზიის სხვა ნაწილები: სახლის პატრონი, მედუქნე, მევახშე და სხვ.

საშუალო წოდების წინანდელი დაბალი ფენები, — წვრილი მრეწველები, ვაჭრები და რანტიეები, ხელოსნები და გლეხები, — ყველა ეს კლასები პროლეტარიატის რიგებში ცვივიან, ნაწილობრივ იმის გამო, რომ მათი პატარა კაპიტალი საკმაო არ არის მსხვილი სამრეწველო წარმოებებისათვის და იგი ვერ უძლებს მსხვილი კაპიტალისტების კონკურენციას, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მათ ხელმარჯვეობას ფასი ეკარგება წარმოების ახალი წესების მეოხებით. ასე გროვდება პროლეტარიატი მოსახლეობის ყველა კლასიდან.

პროლეტარიატი გადის განვითარების სხვადასხვა საფეხურებს. მისი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ მისი არსებობის დღიდანვე იწყება.

თავდაპირველად ბრძოლას ეწევიან ცალკეული მუშები, მერე ერთი ფაბრიკის მუშები, შემდეგ შრომის ერთი დარგის მუშები ერთ განსაზღვრულ ადგილას ცალკეული ბურჟუას წინააღმდეგ, რომელიც მათ უშუალოდ უწევს ექსპლოატაციას. ისინი თავიანთ შეტევას აწარმოებენ არა მარტო ბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთობათა წინააღმდეგ, არამედ თვით წარმოების იარაღების წინააღმდეგაც; ისინი სპობენ მეტოქე უცხოურ საქონელს, ამტვრევენ მანქანებს, ცეცხლს უკიდებენ ფაბრიკებს, ცდილობენ აღადგინონ შუასაუკუნეების მუშის დაკარგული მდგომარეობა.

ამ საფეხურზე მუშები წარმოადგენენ მთელ ქვეყანაში გაფანტულ და კონკურენციის გამო დაქუცმაცებულ მასას. მუშათა მასების შემჭიდროება ჯერ კიდევ არ არის შედეგი მათი საკუთარი გაერთიანებისა, არამედ შედეგია ბურჟუაზიის გაერთიანებისა: ბურჟუაზიამ თავისი საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მთელი პროლეტარიატი მოძრაობაში უნდა მოიყვანოს და ამას იგი

დროებით ახერხებს კიდეც. მაშასადამე, ამ საფეხურზე პროლეტარები ებრძვიან არა თავიანთ მტრებს, არამედ თავიანთი მტრების მტრებს, აბსოლუტური მონარქიის ნაშთებს, მიწათმფლობელებს, არამრეწველ ბურჟუებს, წვრილ ბურჟუებს. ამრიგად, მთელი ისტორიული მოძრაობა ბურჟუაზიის ხელშია თავმოყრილი; ყოველ გამარჯვება, ასეთ პირობებში მიღწეული, ბურჟუაზიის გამარჯვებას წარმოადგენს.

მაგრამ მრეწველობის განვითარებასთან ერთად არა მარტო რიცხვობრივად მატულობს პროლეტარიატი; იგი უფრო დიდ მასად მჭიდროვდება, მისი ძალა იზრდება და ამ ძალას იგი უფრო და უფრო გრძნობს. ინტერესები და ცხოვრების პირობები პროლეტარიატის შიგნით სულ უფრო და უფრო გათანაბრებული ხდება, რამდენადაც მანქანა უფრო და უფრო აქარწყლებს შრომის სხვადასხვაობას და თითქმის ყველგან ერთნაირად დაბალ დონეზე ჩამოჰყავს ხელფასი. მზარდი კონკურენცია ბურჟუებისა ერთმანეთს შორის და აქედან წარმომდგარი სავაჭრო კრიზისები უფრო და უფრო მერყევს ხდიან მუშების ხელფასს; სულ უფრო და უფრო სწრაფი განვითარებით მიმავალი შეუწყვეტელი გაუმჯობესება მანქანებისა სულ უფრო და უფრო ნაკლებ უზრუნველყოფილს ხდის მუშების მთელ საარსებო მდგომარეობას; შეჯახებანი ცალკეულ მუშასა და ცალკეულ ბურჟუას შორის სულ უფრო და უფრო იღებენ ორი კლასის შეჯახებათა ხასიათს. მუშები იწყებენ იმით, რომ კოალიციებს[1] ადგენენ ბურჟუების წინააღმდეგ, ერთიანდებიან თავიანთი ხელფასის დასაცავად. ისინი მუდმივ ასოციაციებსაც კი აარსებენ იმისათვის, რომ სახსრებით უზრუნველჰყონ თავიანთი თავი შესაძლებელ შეტაკებათა შემთხვევაში. ალაგ-ალაგ ბრძოლა აშკარა აჯანყებად იქცევა.

მუშები დროდადრო იმარჯვებენ, მაგრამ ეს გამარჯვებები მხოლოდ წარმავალია. მათი ბრძოლის ნამდვილ შედეგს წარმოადგენს არა უშუალო წარმატება, არამედ მუშების გაერთიანება, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება. ამას ხელს უწყობენ სულ უფრო და უფრო გამრავლებული სამიმოსვლო საშუალებანი, რომელთაც მსხვილი მრეწველობა ჰქმნის და რომელნიც ერთმანეთთან აკავშირებენ სხვადასხვა ადგილების მუშებს. მხოლოდ ეს დაკავშირებაა საჭირო, რომ მრავალი ადგილობრივი

[1] 1888 წ. ინგლისურ გამოცემაში სიტყვა «კოალიციებს» შემდეგ ჩამატებულია: «(პროფესიულ კავშირებს)». რ ე დ.

ბრძოლა, რომელსაც ყველგან ერთნაირი ხასიათი აქვს, ცენტრალიზებულ იქნას ერთ ნაციონალურ, ერთ კლასობრივ ბრძოლად. ხოლო ყოველი კლასობრივი ბრძოლა არის ბრძოლა პოლიტიკური. და იმ გაერთიანებას, რომლისთვისაც შუა საუკუნეების მოქალაქეებს, მათი სასოფლო გზების არსებობისას, საუკუნეები სჭირდებოდათ, თანამედროვე პროლეტარები, რკინიგზების მეოხებით, რამდენსამე წელიწადში ახორციელებენ.

პროლეტარების ეს ორგანიზაცია კლასად, და ამით პოლიტიკურ პარტიად, ყოველ წუთს ირღვევა თვით მუშებს შორის არსებული კონკურენციით. მაგრამ იგი კვლავ აღმოცენდება ხოლმე, უფრო ძლიერად, უფრო მტკიცედ, უფრო ძალუმად. იგი სარგებლობს ბურჟუაზიის შიგნით არსებული განხეთქილებით და აიძულებს, რომ კანონმდებლობის წესით აღიარებულ იქნას მუშათა ცალკეული ინტერესები. ასე წარმოიშვა, მაგალითად, ათსაათიანი სამუშაო დღის კანონი ინგლისში.

საერთოდ ძველი საზოგადოების შიგნით წარმოებული შეჯახებანი ბევრნაირად უწყობენ ხელს პროლეტარიატის განვითარების მსვლელობას. ბურჟუაზია განუწყვეტელ ბრძოლაში იმყოფება: ჯერ — არისტოკრატიის წინააღმდეგ, შემდეგ — თვით ბურჟუაზიის იმ ნაწილების წინააღმდეგ, რომელთა ინტერესები წინააღმდეგობაში ვარდება მრეწველობის განვითარებასთან, და ყოველთვის — ყველა უცხო ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ყველა ამ ბრძოლაში იგი იძულებულია პროლეტარიატს მიმართოს, დახმარებისათვის მოუწოდოს და ამგვარად იგი პოლიტიკურ მოძრაობაში ჩაითრიოს. მაშასადამე, იგი თვითონ აწვდის პროლეტარიატს თავისი საკუთარი განათლების ელემენტებს [1], ე. ი. აძლევს იარაღს თვით თავისი თავის წინააღმდეგ.

შემდეგ, როგორც დავინახეთ, გაბატონებული კლასის მთელი შემადგენელი ნაწილები, მრეწველობის პროგრესის გამო, პროლეტარიატის რიგებში ცვივიან ან, ყოველ შემთხვევაში, მათი საარსებო პირობები საფრთხეში ვარდება. ამათაც შეაქვთ პროლეტარიატში განათლების დიდძალი ელემენტები [2].

---

[1] 1888 წ. ინგლისურ გამოცემაში ნაცვლად სიტყვებისა: «თავისი საკუთარი განათლების ელემენტებს» დაბეჭდილია: «თავისი საკუთარი პოლიტიკური და საერთო განათლების ელემენტებს». რ ე დ.

[2] 1888 წ. ინგლისურ გამოცემაში ნაცვლად სიტყვებისა: «განათლების ელემენტები» დაბეჭდილია: «განათლებისა და პროგრესის ელემენტები». რ ე დ.

დასასრულ, იმ პერიოდებში, როდესაც კლასთა ბრძოლა გადამჭრელ მომენტს უახლოვდება, დაშლის პროცესი გაბატონებული კლასის შიგნით, მთელი ძველი საზოგადოების შიგნით, ისეთ მძაფრ, მწვავე ხასიათს ღებულობს, რომ გაბატონებული კლასის მცირე ნაწილი ეთიშება ამ კლასს და უერთდება რევოლუციურ კლასს, იმ კლასს, რომელსაც მომავალი თავის ხელთ უპყრია. ამიტომ, როგორც წინათ თავადაზნაურობის ნაწილი ბურჟუაზიის მხარეზე გადადიოდა, ისევე დღეს ბურჟუაზიის ნაწილი პროლეტარიატის მხარეზე გადადის, განსაკუთრებით კი იმ ბურჟუა-იდეოლოგების ნაწილი, რომელნიც მთელი ისტორიული მოძრაობის თეორიულ გაგებამდე ამაღლდნენ.

ყველა იმ კლასთა შორის, რომელნიც დღეს ბურჟუაზიის პირისპირ დგანან, მხოლოდ პროლეტარიატია ნამდვილად რევოლუციური კლასი. ყველა სხვა კლასები უძლურდებიან და ისპობიან მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად, პროლეტარიატი კი ამ მრეწველობის საკუთარი პროდუქტია.

საშუალო წოდებები: წვრილი მრეწველი, წვრილი ვაჭარი, ხელოსანი, გლეხი, — ყველა ესენი ებრძვიან ბურჟუაზიას, რათა დაღუპვისაგან დაიცვან თავიანთი არსებობა როგორც საშუალო წოდებებისა. მაშასადამე, ისინი არიან არა რევოლუციონერები, არამედ კონსერვატორები. კიდევ მეტიც, — ისინი რეაქციონერები არიან: ისინი ცდილობენ ისტორიის ჩარხი უკან მიატრიალონ. თუ ისინი რევოლუციონერები არიან,— ეს იმდენად, რამდენადაც მათ მოელით პროლეტარიატის რიგებში გადასვლა, რამდენადაც ისინი იცავენ თავიანთ არა ახლანდელ ინტერესებს, არამედ სამერმისო ინტერესებს, რამდენადაც ისინი ტოვებენ თავიანთ საკუთარ თვალსაზრისს, რათა პროლეტარიატის თვალსაზრისზე დადგნენ.

ლუმპენპროლეტარიატი, ეს პასიური ნაყოფი ძველი საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენების ლპობისა, პროლეტარული რევოლუციის მიერ ალაგ-ალაგ მოძრაობაში ჩაითრევა, მაგრამ მთელი თავისი საარსებო მდგომარეობის მიხედვით მას უფრო ის მიდრეკილება აქვს, რომ რეაქციული ინტრიგებისათვის გაჰყიდოს თავისი თავი.

ძველი საზოგადოების საარსებო პირობები უკვე მოსპობილია პროლეტარიატის საარსებო პირობებში. პროლეტარი მოკლებულია საკუთრებას; მის ურთიერთობას ცოლთან და შვილებთან აღარაფერი აქვს საერთო ბურჟუაზიულ ოჯახურ ურთიერთობასთან; თანამედროვე სამრეწველო შრომამ, თანამედროვე დამონებამ კაპი-

ტალის მიერ, ერთნაირმა როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში, როგორც ამერიკაში, ისე გერმანიაში, მოაცალა პროლეტარს ყოველივე ნაციონალური ხასიათი. კანონები, მორალი, სარწმუნოება მისთვის ასევე მხოლოდ ბურჟუაზიული ცრუაზრებია, რომელთა უკან ბურჟუაზიული ინტერესები იმალება.

ყველა წინანდელი კლასები, რომელნიც ბატონობას იპყრობდნენ, ცდილობდნენ თავიანთი უკვე მოპოვებული საარსებო მდგომარეობა იმით უზრუნველეყოთ, რომ მთელს საზოგადოებას უქვემდებარებდნენ თავიანთი შეძენა-გამდიდრების პირობებს. პროლეტარებს კი მხოლოდ მაშინ შეუძლიათ საზოგადოებრივი საწარმოო ძალების დაპყრობა, როდესაც ისინი მოსპობენ თავიანთ საკუთარს, აქამდე არსებულ წესს მისაკუთრებისას და ამით მოსპობენ მისაკუთრების მთელ აქამდე არსებულ წესსაც. პროლეტარებს თავიანთი არაფერი გააჩნიათ, რაც მათ უნდა დაიცვან, მათ უნდა დაანგრიონ ყველაფერი, რაც დღემდე იცავდა და უზრუნველჰყოფდა კერძო საკუთრებას.

აქამდე არსებული ყველა მოძრაობა იყო მოძრაობა უმცირესობისა ან უმცირესობის სასარგებლოდ. პროლეტარული მოძრაობა არის თავისთავადი მოძრაობა დიდძალი უმრავლესობისა დიდძალი უმრავლესობის სასარგებლოდ. პროლეტარიატი, თანამედროვე საზოგადოების ეს ყველაზე დაბალი ფენა, ვერ წამოდგება, ვერ გაიმართება წელში უიმისოდ, თუ ამასთანავე გაცამტვერებული არ იქნა იმ ფენების მთელი ზედნაშენი, რომელნიც ოფიციალურ საზოგადოებას შეადგენენ.

თუ შინაარსით არა, ფორმის მიხედვით მაინც პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პირველ ყოვლისა ნაციონალური ბრძოლაა. თვითეული ქვეყნის პროლეტარიატმა, რასაკვირველია, პირველად თავის საკუთარ ბურჟუაზიას უნდა მოუღოს ბოლო.

როდესაც პროლეტარიატის განვითარების ყველაზე ზოგად ფაზებს აღვნიშნავდით, ჩვენ კვალდაკვალ მივყვებოდით მეტნაკლებ ფარულ სამოქალაქო ომს არსებული საზოგადოების შიგნით იმ მომენტამდე, როდესაც იგი აშკარა რევოლუციად იფეთქებს და როდესაც ბურჟუაზიის ძალდატანებითი დამხობის გზით პროლეტარიატი თავის ბატონობას ამყარებს.

როგორც ვნახეთ, აქამდე არსებული ყველა საზოგადოება დამყარებული იყო წინააღმდეგობაზე მჩაგვრელსა და დაჩაგრულ კლასებს შორის. მაგრამ რათა შესაძლო იყოს რომელიმე კლასის დაჩაგვრა, საჭიროა ისეთი პირობების უზრუნველყოფა, რომლებშიაც

მონური არსებობა მაინც შეეძლოს ამ კლასს. ყმა ავიდა კომუნის წევრის მდგომარეობამდე ბატონყმობის დროს, ისე როგორც წვრილი ბურჟუა ავიდა ბურჟუას მდგომარეობამდე ფეოდალური აბსოლუტიზმის უღელქვეშ. პირიქით, თანამედროვე მუშა, ნაცვლად იმისა, რომ მრეწველობის პროგრესთან ერთად მაღლა იწევდეს, სულ უფრო და უფრო თავისი კლასის საარსებო პირობებზე დაბლა ეშვება. მუშა იქცევა პაუპერად და პაუპერიზმი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოსახლეობა და სიმდიდრე. ამით აშკარა ხდება, რომ ბურჟუაზიას არ შესწევს უნარი დარჩეს მეტხანს საზოგადოების გაბატონებულ კლასად და თავისი კლასის საარსებო პირობები საზოგადოებას მოახვიოს თავს, როგორც მარეგულირებელი კანონი. იგი უუნაროა ბატონობისათვის, იმიტომ რომ მას არ შესწევს უნარი უზრუნველჰყოს თავისი მონის არსებობა მისი მონობის ფარგლებშიც კი, იმიტომ რომ იგი იძულებულია ისეთ მდგომარეობამდე დააშვებინოს თავი ამ მონას, როდესაც მან ეს მონა უნდა არჩინოს, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ ღებულობდეს იმისგან საარჩოს. საზოგადოებას აღარ შეუძლია უკვე ბურჟუაზიის ბატონობის ქვეშ ცხოვრება, ე. ი. ბურჟუაზიის არსებობა უკვე შეუთავსებელია საზოგადოების არსებობასთან.

ბურჟუაზიული კლასის არსებობისა და ბატონობის არსებით პირობას წარმოადგენს სიმდიდრის დაგროვება კერძო პირების ხელში, კაპიტალის შექმნა და გადიდება; კაპიტალის არსებობის პირობას შეადგენს დაქირავებული შრომა. დაქირავებული შრომა დამყარებულია მარტოოდენ მუშების კონკურენციაზე ერთმანეთს შორის. მრეწველობის პროგრესი, რომლის უნებური და წინააღმდეგობისუუნარო მატარებელიც ბურჟუაზიაა, კონკურენციით მუშების განცალკევების ადგილას აყენებს მათ რევოლუციურ გაერთიანებას ასოციაციის მეშვეობით. მაშასადამე, მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად ბურჟუაზიას ფეხქვეშ ეცლება თვით ის საფუძველი, რომელზედაც იგი პროდუქტებს აწარმოებს და ისაკუთრებს. იგი უწინარეს ყოვლისა თავის საკუთარ მესაფლავეებს ჰქმნის. ბურჟუაზიის დამხობა და პროლეტარიატის გამარჯვება თანაბრად გარდუვალია.

II

პროლეტარები და კომუნისტები

რა დამოკიდებულება აქვთ კომუნისტებს პროლეტარებთან საერთოდ?

კომუნისტები არ წარმოადგენენ რაიმე განსაკუთრებულ პარტიას, სხვა მუშათა პარტიების მოპირისპირეს.

მათ არა აქვთ არავითარი ისეთი ინტერესები, რომლებიც განცალკევებული იყოს მთელი პროლეტარიატის ინტერესებისაგან.

ისინი არ აყენებენ არავითარ განსაკუთრებულ[1] პრინციპებს, რომელთა თანახმადაც მათ პროლეტარული მოძრაობის ჩამოყალიბება სურდეთ.

კომუნისტები მხოლოდ იმით განირჩევიან დანარჩენი პროლეტარული პარტიებისაგან, რომ, ერთი მხრივ, პროლეტარების სხვადასხვა ეროვნულ ბრძოლებში ისინი წინ აყენებენ და იცავენ მთელი პროლეტარიატის საერთო, ეროვნებისაგან დამოუკიდებელ, ინტერესებს და, მეორე მხრივ, იმით, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, რომლებსაც გაივლის ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ისინი მუდამ ერთობლივი მოძრაობის ინტერესებს იცავენ.

მაშასადამე, კომუნისტები პრაქტიკულად წარმოადგენენ ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების ყველაზე უფრო შეუპოვარ, მუდამ წინ მისწრაფებულ ნაწილს; თეორიულად კი მათ ის უპირატესობა აქვთ პროლეტარიატის დანარჩენ მასასთან შედარებით, რომ შეგნებული აქვთ პროლეტარული მოძრაობის პირობები, მსვლელობა და საერთო შედეგები.

კომუნისტების უახლოესი მიზანი იგივეა, რაც ყველა დანარჩენი პროლეტარული პარტიებისა: პროლეტარიატის ჩამოყალიბება კლასად, ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა, პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა პროლეტარიატის მიერ.

კომუნისტების თეორიული დებულებანი სრულიადაც არ ემყარებიან ისეთ იდეებს, პრინციპებს, რომლებიც გამოუგონია თუ აღმოუჩენია მსოფლიოს ამა თუ იმ რეფორმატორს.

ისინი მხოლოდ არსებული კლასობრივი ბრძოლის ფაქტიური ვითარების, ჩვენს თვალწინ წარმოებული ისტორიული მოძრაობის

---

[1] 1888 წ. ინგლისურ გამოცემაში ნაცვლად სიტყვისა «განსაკუთრებულ» ნათქვამია «სექტანტურ». რ ე დ.

საყოველთაო გამოხატულებას წარმოადგენენ. საკუთრების დღემდე არსებულ ურთიერთობათა მოსპობა სრულიადაც არ შეადგენს კომუნიზმის დამახასიათებელ ნიშანს.

საკუთრების ყველა ურთიერთობანი ყოველთვის განიცდიდნენ მუდმივ ისტორიულ ცვლილებას, მუდმივ ისტორიულ გადასხვაფერებას.

საფრანგეთის რევოლუციამ, მაგალითად, ფეოდალური საკუთრება მოსპო ბურჟუაზიული საკუთრების სასარგებლოდ.

კომუნიზმის განმასხვავებელ ნიშანს შეადგენს არა საერთოდ საკუთრების მოსპობა, არამედ ბურჟუაზიული საკუთრების მოსპობა.

მაგრამ თანამედროვე ბურჟუაზიული კერძო საკუთრება არის უკანასკნელი და უსრულესი გამოხატულება პროდუქტთა ისეთი წარმოების და მისაკუთრებისა, რომელიც დამყარებულია კლასობრივ წინააღმდეგობაზე, ერთის მიერ მეორეს ექსპლოატაციაზე [1].

ამ აზრით კომუნისტებს შეუძლიათ თავიანთი თეორია ამ ერთი დებულებით გამოსახონ: კერძო საკუთრების მოსპობა.

ჩვენ, კომუნისტებს, გვისაყვედურებდნენ, — თქვენ გსურთ მოსპოთ პირადად შეძენილი, თავისი შრომით მოპოვებული საკუთრება, საკუთრება, რომელიც ყოველი პირადი თავისუფლების, მოქმედებისა და თავისთავადობის საფუძველს შეადგენსო.

შრომით მოპოვებული, პირადად შეძენილი, პირადად მონაგარი საკუთრება! ხომ არ ლაპარაკობთ თქვენ წვრილბურჟუაზიულ, წვრილგლეხურ საკუთრებაზე, რომელიც წინ უძღოდა ბურჟუაზიულ საკუთრებას? ჩვენ არ გვჭირდება მისი მოსპობა, — მრეწველობის განვითარებამ მოსპო იგი და სპობს მას ყოველდღე.

ან იქნებ თქვენ თანამედროვე ბურჟუაზიულ კერძო საკუთრებაზე ლაპარაკობთ?

მაგრამ განა დაქირავებული შრომა, პროლეტარის შრომა უქმნის მას საკუთრებას? სრულიადაც არა. იგი ჰქმნის კაპიტალს, ე. ი. საკუთრებას, რომელიც დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას ეწევა და რომელსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გადიდდეს, როდესაც ჰქმნის ახალ დაქირავებულ შრომას, რათა ხელახლა გაუწიოს მას ექსპლოატაცია. თავისი დღევანდელი სახით საკუთრება

[1] 1888 წ. ინგლისურ გამოცემაში ნაცვლად სიტყვებისა: «ერთის მიერ მეორეს ექსპლოატაციაზე» დაბეჭდილია: «უმცირესობის მიერ უმრავლესობის ექსპლოატაციაზე». რ ე დ.

მოძრაობს კაპიტალისა და დაქირავებული შრომის დაპირისპირებაში. განვიხილოთ ამ დაპირისპირების ორივე მხარე.

კაპიტალისტად ყოფნა ნიშნავს არა მარტო წმინდა პირადი, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკავებას წარმოებაში. კაპიტალი კოლექტიური პროდუქტია და მისი მოძრაობაში მოყვანა შეიძლება მხოლოდ საზოგადოების მრავალ წევრთა ერთად მოქმედებით, ხოლო საბოლოო ანგარიშით — საზოგადოების ყველა წევრთა ერთად მოქმედებით.

ამრიგად, კაპიტალი არის არა პირადი, არამედ საზოგადოებრივი ძალა.

მაშასადამე, თუ კაპიტალი კოლექტიურ, საზოგადოების ყველა წევრთა კუთვნილ, საკუთრებად გადაიქცევა, ეს არ იქნება პირადი საკუთრების გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად. შეიცვლება მხოლოდ საზოგადოებრივი ხასიათი საკუთრებისა. ის დაჰკარგავს თავის კლასობრივ ხასიათს.

გადავიდეთ დაქირავებულ შრომაზე.

დაქირავებული შრომის საშუალო ფასი არის მინიმუმი ხელფასისა, ე. ი. ჯამი საარსებო საშუალებათა, რომლებიც საჭიროა, რომ მუშას როგორც მუშას სიცოცხლე შეუნარჩუნოს. მაშასადამე, ის, რასაც დაქირავებული მუშა ისაკუთრებს თავისი მოქმედებით, კმარა მხოლოდ იმისათვის, რომ მისი მჭლე სიცოცხლე იქნას კვლავ წარმოებული. ჩვენ სრულიადაც არ გვინდა მოვსპოთ პირადი მისაკუთრება შრომის პროდუქტებისა, რომლებიც საჭიროა უშუალოდ სიცოცხლის კვლავ წარმოებისათვის, მისაკუთრება, რომელიც არ ტოვებს არავითარ წმინდა შემოსავალს, რასაც შეეძლო მოეცა ძალაუფლება სხვის შრომაზე. ჩვენ გვინდა მოვსპოთ მხოლოდ ბეჩავი ხასიათი ამ მისაკუთრებისა, როდესაც მუშა მხოლოდ იმისათვის ცხოვრობს, რომ კაპიტალი გაადიდოს, და ცხოვრობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას გაბატონებული კლასის ინტერესი მოითხოვს.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ცოცხალი შრომა მარტოოდენ საშუალებაა დაგროვილი შრომის გასადიდებლად. კომუნისტურ საზოგადოებაში კი დაგროვილი შრომა მხოლოდ საშუალებაა მუშის ცხოვრების პროცესის გასაფართოებლად, გასამდიდრებლად, მისთვის ხელისშესაწყობად.

მაშასადამე, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარსული ბატონობს აწმყოზე, კომუნისტურ საზოგადოებაში კი აწმყო ბატონობს წარსულზე. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კაპიტალი თავისთავადი და

პიროვნულია, მაშინ როდესაც მშრომელი ინდივიდუუმი არათავისთავადი და უპიროვნოა.

და ამ ურთიერთობის მოსპობას ბურჟუაზია უწოდებს პიროვნებისა და თავისუფლების მოსპობას! მართალიც არის. რასაკვირველია, საქმე ეხება ბურჟუაზიული პიროვნების, ბურჟუაზიული თავისთავადობის და ბურჟუაზიული თავისუფლების მოსპობას.

დღევანდელი ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობის ფარგლებში თავისუფლება ესმით როგორც ვაჭრობის თავისუფლება, ყიდვა-გაყიდვის თავისუფლება.

მაგრამ როდესაც იღუპება ჩარჩობა, იღუპება თავისუფალი ჩარჩობაც. ფრაზებს თავისუფალი ჩარჩობის შესახებ, ისე როგორც ჩვენი ბურჟუაზიის სხვა მაღალფარდოვან სიტყვებს თავისუფლების შესახებ, საერთოდ აზრი აქვთ მხოლოდ შებოჭვილი ჩარჩობის მიმართ, შუა საუკუნეების დამონებული მოქალაქის მიმართ, მაგრამ არა აქვთ აზრი, როდესაც საქმე შეეხება ჩარჩობის, ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობისა და თვით ბურჟუაზიის მოსპობას კომუნისტების მიერ.

თქვენ თავზარდაცემული ხართ იმის გამო, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ კერძო საკუთრება. მაგრამ თქვენს დღევანდელ საზოგადოებაში კერძო საკუთრება უკვე მოსპობილია მის წევრთა ცხრა მეათედისათვის; იგი არსებობს სწორედ იმის მეოხებით, რომ არ არსებობს ცხრა მეათედისათვის. მაშასადამე, თქვენ იმას გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ ის საკუთრება, რომელიც აუცილებელ პირობად გულისხმობს საკუთრების არქონას საზოგადოების დიდძალი უმრავლესობის მიერ.

ერთი სიტყვით, თქვენ იმას გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ თქვენი საკუთრება. რა თქმა უნდა, ჩვენ ეს გვსურს.

იმ წუთიდან, როდესაც შრომა ვეღარ გადაიქცევა კაპიტალად, ფულად, მიწის რენტად, მოკლედ — იმ საზოგადოებრივ ძალად, რომელიც შეიძლება მონოპოლიზებულ იქნას, ე. ი. იმ წუთიდან, როდესაც პირადი საკუთრება ვეღარ გადაიქცევა ბურჟუაზიულ საკუთრებად, — აი ამ წუთიდან პიროვნება მოსპობილიაო, აცხადებთ თქვენ.

მაშასადამე, თქვენ თვითონ აღიარებთ, რომ პიროვნებად სხვას არავის გულისხმობთ, გარდა ბურჟუასი, ბურჟუაზიული მესაკუთრისა. ეს პიროვნება კი, რასაკვირველია, უნდა მოისპოს.

კომუნიზმი არავის არ ართმევს საზოგადოებრივი პროდუქტების მისაკუთრების შესაძლებლობას, იგი მხოლოდ იმის შესაძლებლო-

ბას ართმევს, რომ ამ მისაკუთრების შემწეობით დაიმონონ სხვისი შრომა.

კამათობდნენ, კერძო საკუთრების მოსპობასთან ერთად მოისპობა ყოველივე საქმიანობა და საყოველთაო ზარმაცობა გამეფდებაო.

ეს რომ ასე იყოს, ბურჟუაზიული საზოგადოება დიდიხანია უნდა დაღუპულიყო ზარმაცობის გამო, ვინაიდან აქ ის, ვინც მუშაობს, არაფერს იძენს, ხოლო ვინც იძენს, არ მუშაობს. ყველა ამგვარი შიში იმ ტავტოლოგიის გამომხატველია, რომ აღარ იქნება დაქირავებული შრომა, რაკი აღარ იქნება კაპიტალი.

ყველა ის შენიშვნები, რომლებიც მიმართულია მატერიალური პროდუქტების მისაკუთრებისა და წარმოების კომუნისტური წესის წინააღმდეგ, ვრცელდება აგრეთვე გონებრივი შრომის პროდუქტების მისაკუთრებასა და წარმოებაზე. როგორც კლასობრივი საკუთრების მოსპობა ბურჟუას თვით წარმოების მოსპობად მიაჩნია, ისევე კლასობრივი განათლების მოსპობა მის წარმოდგენაში საერთოდ განათლების მოსპობას ნიშნავს.

განათლება, რომლის დაკარგვას ის დასტირის, დიდძალი უმრავლესობისათვის მანქანად გადაქცევის განათლებაა.

მაშ ნუ გვედავებით, რამდენადაც თქვენ ბურჟუაზიული საკუთრების მოსპობას ზომავთ თანახმად თქვენი ბურჟუაზიული შეხედულებისა თავისუფლების, განათლების, სამართლის და სხვ. შესახებ. თვით თქვენი იდეები ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობის და ბურჟუაზიული საკუთრების ურთიერთობის ნაყოფია, ისევე როგორც თქვენი სამართალი მხოლოდ კანონად გამოცხადებული ნება-სურვილია თქვენი კლასისა, ნება-სურვილი, რომლის შინაარსი თქვენი კლასის ცხოვრების მატერიალური პირობებითაა განსაზღვრული.

მიკერძოებულ წარმოდგენას, რომლის წყალობითაც თქვენ თქვენს წარმოებითსა და საკუთრების ურთიერთობას ისტორიული, წარმოების განვითარების მსვლელობაში წარმავალი ურთიერთობიდან ბუნებისა და ვონების მარადიულ კანონებად აქცევთ, — ამ მიკერძოებულ წარმოდგენას თქვენ იზიარებთ ყველა წინათ გაბატონებულ და დაღუპულ კლასთან ერთად. რასაც თქვენ მიმხვდარი ხართ ანტიკური საკუთრების შესახებ, რასაც თქვენ მიმხვდარი ხართ ფეოდალური საკუთრების შესახებ, იმას თქვენ ვერ ბედავთ მიხვდეთ ბურჟუაზიული საკუთრების შესახებ.

ოჯახის მოსპობა! თვით უკიდურესი რადიკალებიც კი აღშფოთებული არიან კომუნისტების ამ საზიზღარი განზრახვის გამო.

რაზეა დამყარებული თანამედროვე, ბურჟუაზიული ოჯახი? კაპიტალზე, კერძო შეძენაზე. სავსებით განვითარებულად იგი მხოლოდ ბურჟუაზიისათვის არსებობს; მაგრამ იგი თავის დამატებას პოულობს პროლეტართა იძულებითს უოჯახიანობაში და საჯარო პროსტიტუციაში.

ბუნებრივია, რომ ბურჟუას ოჯახი მოისპობა ამ მისი დამატების მოსპობასთან ერთად და ორივენი გაჰქრებიან კაპიტალის გაქრობასთან ერთად.

ან იმას ხომ არ გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ ბავშვების ექსპლოატაცია მშობლების მიერ? ჩვენ ვაღიარებთ ამ დანაშაულს.

მაგრამ თქვენ ამტკიცებთ, რომ ჩვენ ვსპობთ ადამიანისათვის უძვირფასეს ურთიერთობას, როდესაც შინაური აღზრდის ადგილას ვამყარებთ საზოგადოებრივ აღზრდას.

მაგრამ განა თქვენებური აღზრდა კი არ არის საზოგადოების მიერ განსაზღვრული? განა იგი არაა განსაზღვრული იმ საზოგადოებრივი ურთიერთობით, რომელშიც თქვენ ზრდით, არაა განსაზღვრული საზოგადოების პირდაპირი ან არაპირდაპირი ჩარევით სკოლის მეშვეობით და ა. შ.? კომუნისტები როდი თხზავენ საზოგადოების გავლენას აღზრდაზე; ისინი მხოლოდ ცვლიან ამ აღზრდის ხასიათს, აცლიან მას გაბატონებული კლასის გავლენას.

ბურჟუაზიული ყბედობა ოჯახსა და აღზრდაზე, მშობლებისა და შვილების გულითადს ურთიერთობაზე მით უფრო ზიზღის მომგვრელი ხდება, რაც უფრო ირღვევა მსხვილი მრეწველობის წყალობით ყველა ოჯახური კავშირი პროლეტარებისათვის და შვილები უბრალო სავაჭრო საგნებად და სამუშაო იარაღებად იქცევიან.

მაგრამ თქვენ, კომუნისტებს, ხომ ცოლების ერთობის შემოღება გსურთ, — ერთხმად მოგვყვირის მთელი ბურჟუაზია.

ბურჟუა თავის ცოლს უცქერის როგორც წარმოების უბრალო იარაღს. მას ესმის, რომ წარმოების იარაღები საერთო გამოყენების საგანი უნდა გახდეს და, რასაკვირველია, სხვანაირად არ შეუძლია იფიქროს, თუ ეს ერთობა ასევე ქალების ხვედრადაც არ წარმოიდგინა.

მას აზრადაც არ მოსდის, რომ ლაპარაკია სწორედ იმაზე, რომ მოსპობილ იქნას ქალის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ეს წარმოების უბრალო იარაღს წარმოადგენს.

მართლაც და — მეტად სასაცილოა ჩვენი ბურჟუების მაღალზნეობრივი ძრწოლა ვითომ ცოლების ოფიციალური ერთობის გამო კომუნისტებში. კომუნისტებს არ სჭირდებათ ცოლების ერთობის შემოღება, იგი თითქმის მუდამ არსებობდა.

ჩვენი ბურჟუები, რომლებიც არ კმაყოფილდებიან იმით, რომ მათ განკარგულებაში არიან მათი პროლეტარების ცოლები და ქალიშვილები, ოფიციალურ პროსტიტუციაზე რომ სულაც არაფერი ვთქვათ, უმთავრეს სიამოვნებას იმაში ჰპოვებენ, რომ ერთმანეთის ცოლები შეაცდინონ ხოლმე.

ბურჟუაზიული ქორწინება სინამდვილეში ცოლების ერთობას წარმოადგენს. კომუნისტებისათვის დიდი-დიდი ის თუ შეიძლებოდა ესაყვედურნათ, რომ ცოლთა ამ ფარისევლურად დამალული ერთობის ადგილას მათ თითქო სურთ შემოიღონ ცოლთა ოფიციალური, აშკარა ერთობა. თუმცა-ღა თავისთავად იგულისხმება, რომ დღევანდელი წარმოებითი ურთიერთობის მოსპობასთან ერთად მოისპობა აგრეთვე იქიდან გამომდინარე ცოლთა ერთობა, ე. ი. გაჰქრება ოფიციალური და არაოფიციალური პროსტიტუცია.

შემდეგ, კომუნისტებს უსაყვედურებენ, რომ მათ სურთ მოსპონ სამშობლო, ეროვნება.

მუშებს არა აქვთ სამშობლო. მათ არ შეიძლება წაართვათ ის, რაც არა აქვთ. რადგან პროლეტარიატმა უწინარეს ყოვლისა უნდა დაიპყროს პოლიტიკური ბატონობა, ამაღლდეს ნაციონალური კლასის მდგომარეობამდე [1], ჩამოაყალიბოს თავისი თავი ერად, ამიტომ თვით იგი ჯერ კიდევ ნაციონალურია, თუმცა სრულიადაც არა იმ აზრით, როგორც ეს ბურჟუაზიას ესმის.

ხალხთა ნაციონალური განკერძოება და დაპირისპირებანი უფრო და უფრო ჰქრებიან, რაც უფრო ვითარდება ბურჟუაზია, იქმნება ვაჭრობის თავისუფლება, მსოფლიო ბაზარი, სამრეწველო წარმოების ერთნაირობა და მისი შესაფერი ცხოვრების პირობები.

პროლეტარიატის ბატონობა კიდევ უფრო დააჩქარებს მათ გაქრობას. შეერთებული მოქმედება, ცივილიზებული ქვეყნებისა მაინც, პირველი პირობათაგანია პროლეტარიატის განთავისუფლებისა.

იმდენად, რამდენადაც მოისპობა ერთი ინდივიდუმის ექსპლოა-

---

[1] 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში ნაცვლად სიტყვებისა: «ამაღლდეს ნაციონალური კლასის მდგომარეობამდე» დაბეჭდილია: «ამაღლდეს ერის წამყვანი კლასის მდგომარეობამდე». რ ე დ.

ტაცია მეორის მიერ, მოისპობა ~~ერთი ერის~~ ექსპლოატაცია მეორის მიერ.

ერის შიგნით კლასთა წინააღმდეგობის დაცემასთან ერთად დაეცემა ეროვნებათა მტრული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი.

ის ბრალდებანი კომუნიზმის წინააღმდეგ, რომელნიც წამოყენებული არიან რელიგიური, ფილოსოფიური და საერთოდ იდეოლოგიური თვალსაზრისით, უფრო დაწვრილებითი განხილვის ღირსნი არ არიან.

ნუთუ ღრმააზრიანობაა საჭირო იმის გასაგებად, რომ ადამიანთა ცხოვრების პირობების, მათი საზოგადოებრივი ურთიერთობის, მათი საზოგადოებრივი ყოფიერების ცვლილებასთან ერთად იცვლება აგრეთვე მათი წარმოდგენანი, შეხედულებანი, ცნებანი, ერთი სიტყვით — იცვლება მათი ცნობიერებაც?

აბა რას ამტკიცებს იდეათა ისტორია, თუ არა იმას, რომ გონებრივი წარმოება გარდაიქმნება ხოლმე მატერიალურ წარმოებასთან ერთად? ამა თუ იმ ხანის გაბატონებული იდეები ყოველთვის იყო მხოლოდ გაბატონებული კლასის იდეები.

ლაპარაკობენ იდეებზე, რომელნიც მთელ საზოგადოებას არევოლუციურებენ; ამით გამოსთქვამენ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ძველი საზოგადოების შიგნით ახალი საზოგადოების ელემენტები წარმოიშვა, რომ ძველი ცხოვრების პირობების დარღვევასთან ერთად იმავე ნაბიჯით მიდის ძველი იდეების დარღვევაც.

როცა ძველმა მსოფლიომ დაცემისაკენ იბრუნა პირი, ძველი რელიგიები ქრისტიანულმა რელიგიამ დაამარცხა. როდესაც მე-18 საუკუნეში ქრისტიანულ იდეებზე გაიმარჯვეს განმანათლებელთა იდეებმა, ფეოდალური საზოგადოება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა მაშინდელ რევოლუციურ ბურჟუაზიასთან. სინდისისა და რელიგიის თავისუფლების იდეები გამოხატავდნენ მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის ბატონობას სინდისის [1] სფეროში.

«მაგრამ», გვეტყვიან, «რელიგიური, მორალური, ფილოსოფიური, პოლიტიკური, სამართლის და სხვ. იდეები, რასაკვირველია, იცვლებოდნენ ისტორიული განვითარების მსვლელობაში, ხოლო რელიგია, მორალი, ფილოსოფია, პოლიტიკა, სამართალი მუდამ შენარჩუნებული რჩებოდა ამ ცვლილებაში.

[1] შემდგომ გამოცემებში, 1872 წ. გერმანული გამოცემიდან დაწყებული, სიტყვა: «სინდისის» ნაცვლად არის: «ცოდნის». რ ე დ.

გარდა ამისა, არსებობენ მარადიული ჭეშმარიტებანი, როგორიც არის თავისუფლება, სამართლიანობა და სხვ., რომლებიც საერთოა ყველა საზოგადოებრივი მდგომარეობისათვის. კომუნიზმი კი სპობს მარადიულ ჭეშმარიტებას, იგი სპობს რელიგიას, მორალს, ნაცვლად იმისა, რომ განაახლოს ისინი; მაშასადამე, იგი ეწინააღმდეგება მთელ დღემდე არსებულ ისტორიულ განვითარებას».

რას ამბობს ეს ბრალდება? დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია მოძრაობდა კლასების დაპირისპირებათა ფარგლებში, და კლასების ეს დაპირისპირებანი სხვადასხვაგვარ სახეს იღებდნენ სხვადასხვა ეპოქაში.

მაგრამ რა ფორმაც კი უნდა მიეღოთ მათ, საზოგადოების ერთი ნაწილის ექსპლოატაცია მეორის მიერ არის ფაქტი, რომელიც საერთოა ყველა წარსული საუკუნისათვის. ამიტომ არაა საკვირველი, რომ ყველა საუკუნის საზოგადოებრივი ცნობიერება, მთელი მრავალფეროვნებისა და ყველა განსხვავების მიუხედავად, მოძრაობს გარკვეულ საერთო ფორმებში, ისეთ ფორმებში, — ცნობიერების ფორმებში, — რომელნიც მხოლოდ კლასობრივი დაპირისპირების სრულ მოსპობასთან ერთად მოისპობიან სავსებით.

კომუნისტური რევოლუცია ნიშნავს ყველაზე რადიკალურად კავშირის გაწყვეტას ტრადიციულ საკუთრების ურთიერთობასთან; გასაკვირველი არაა, რომ მისი განვითარების მსვლელობაში ყველაზე რადიკალურად წარმოებს კავშირის გაწყვეტა ტრადიციულ იდეებთან.

მაგრამ დავანებოთ თავი კომუნიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის მიერ წამოყენებულ მოსაზრებებს.

ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ პირველ ნაბიჯს მუშათა რევოლუციაში წარმოადგენს პროლეტარიატის გადაქცევა გაბატონებულ კლასად, დემოკრატიის ბრძოლით მოპოვება.

პროლეტარიატი თავის პოლიტიკურ ბატონობას იმისათვის გამოიყენებს, რომ თანდათან გამოგლიჯოს ბურჟუაზიას მთელი კაპიტალი, მოახდინოს წარმოების ყველა იარაღის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს, ე. ი. გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატის ხელში და რაც შეიძლება სწრაფად გაამრავლოს საწარმოო ძალთა ჯამი.

პირველად, რა თქმა უნდა, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ დესპოტური ჩარევით საკუთრების უფლებასა და ბურჟუაზიულ წარმოებითს ურთიერთობაში, მაშასადამე, ისეთი ღონისძიებებით, რომელნიც ეკონომიური თვალსაზრისით არასაკმარისად და გამოუსა-

დეგრად გვეჩვენებიან, მაგრამ მოძრაობის მსვლელობაში თავიანთ თავს გასცილდებიან და აუცილებელნი არიან როგორც საშუალება წარმოების მთელ წესში გადატრიალების მოსახდენად.

რა თქმა უნდა, ეს ღონისძიებები სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით სხვადასხვანაირი იქნება.

მაგრამ ყველაზე მოწინავე ქვეყნებში შესაძლოა თითქმის ყველგან გამოყენებულ იქნას შემდეგი ღონისძიებები:

1) მიწის საკუთრების ექსპროპრიაცია და მიწის რენტის გამოყენება სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად.

2) მაღალი პროგრესული გადასახადი.

3) მემკვიდრეობის უფლების გაუქმება.

4) ყველა ემიგრანტისა და მეამბოხის საკუთრების კონფისკაცია.

5) კრედიტის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში სახელმწიფო კაპიტალითა და განსაკუთრებული მონოპოლიით აღჭურვილი ნაციონალური ბანკის მეშვეობით.

6) მთელი ტრანსპორტის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში.

7) სახელმწიფო ფაბრიკების, წარმოების იარაღთა გამრავლება, ყამირების გატეხა და მიწების გაუმჯობესება საერთო გეგმის თანახმად.

8) ერთნაირად სავალდებულო შრომა ყველასათვის, სამრეწველო არმიების დაწესება, განსაკუთრებით მიწათმოქმედებისათვის.

9) მიწათმოქმედების შეერთება მრეწველობასთან, ხელისშეწყობა ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების[1] თანდათანობითი მოსპობისათვის.

10) ყველა ბავშვის საზოგადოებრივი და უსასყიდლო აღზრდა. ბავშვთა საფაბრიკო შრომის ახლანდელი ფორმის მოსპობა. აღზრდის შეერთება მატერიალურ წარმოებასთან და ა. შ.

როდესაც განვითარების მსვლელობაში მოისპობა კლასობრივი განსხვავება და მთელი წარმოება ასოციაციაში გაერთიანებულ პიროვნებათა ხელში მოიყრის თავს, მაშინ საჯარო ძალაუფლება დაკარგავს თავის პოლიტიკურ ხასიათს. პოლიტიკური ძალაუფლება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არის ერთი კლასის ორგანიზებული ძალადობა მეორე კლასის დასათრგუნავად. თუ პროლეტარიატი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებლად ერთიანდება კლასად, რევოლუციის გზით თავის თავს გაბატონებულ კლა-

[1] შემდგომ გერმანულ გამოცემებში, 1872 წ. გამოცემიდან დაწყებული, სიტყვა: «დაპირისპირების» შეცვლილია სიტყვით: «განსხვავების». რ ე დ.

სად აქცევს და როგორც გაბატონებული კლასი ძალდატანებით სპობს ძველ წარმოებითს ურთიერთობებს, — ცხადია, ამ წარმოებით ურთიერთობებთან ერთად იგი სპობს კლასობრივი დაპირისპირების საარსებო პირობებს, აგრეთვე კლასებს საერთოდ[1] და ამით თავის, როგორც კლასის, საკუთარ ბატონობასაც.

ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ადგილს მისი კლასებით და კლასობრივი დაპირისპირებით იკავებს ასოციაცია, სადაც თვითეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა.

III

სოციალისტური და კომუნისტური ლიტერატურა

1. რეაქციული სოციალიზმი

ა) ფეოდალური სოციალიზმი

საფრანგეთის და ინგლისის არისტოკრატია თავისი ისტორიული მდგომარეობით მოწოდებული იყო ეწერა პამფლეტები თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ. საფრანგეთის 1830 წლის ივლისის რევოლუციაში და ინგლისის მოძრაობაში პარლამენტური რეფორმის სასარგებლოდ იგი ერთხელ კიდევ დამარცხებულ იქნა საძულველი მეტიჩარას მიერ. რაიმე სერიოზულ პოლიტიკურ ბრძოლაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა. მას დარჩა მხოლოდ ლიტერატურული ბრძოლა. მაგრამ სალიტერატურო ასპარეზზედაც შეუძლებელი გახდა რესტავრაციის დროის[2] ძველი ფრაზებით ლაპარაკი. თანაგრძნობის მოსაპოვებლად არისტოკრატიას უნდა მოეჩვენებია, რომ იგი აღარ ზრუნავს თავის საკუთარ ინტერესებზე და მხოლოდ ექსპლოატირებული მუშათა კლასის ინტერესებისათვის ადგენს თავის საბრალდებო აქტს ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამრიგად, იგი კმაყოფილებას ღებულობდა იმით, რომ სალანძღავ ლექსებს თხზავდა თავისი ახალი ბატონის შესახებ და ყურში

[1] შემდგომ გერმანულ გამოცემებში, 1872 წ. გამოცემიდან დაწყებული, ნაცვლად სიტყვებისა: «აგრეთვე კლასებს საერთოდ» არის: «აუქმებს კლასებს საერთოდ». რ ე დ.

[2] იგულისხმება არა ინგლისის რესტავრაცია 1660—1689 წწ., არამედ საფრანგეთის 1814—1830 წწ. რესტავრაცია. (ენ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1888 წ. ინ გ ლ ი ს ურ ი გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

ნასჩურჩულებდა მას მეტნაკლები ავბედობის წინასწარმეტყველებას.

ამრიგად წარმოიშვა ფეოდალური სოციალიზმი — სანახევროდ გოდება, სანახევროდ პასკვილი, სანახევროდ წარსულის გამოძახილი, სანახევროდ მომავლის მუქარა, ზოგჯერ ბურჟუაზიის შიგ გულში მომხვედრი თავისი მწარე, გონებამახვილი, გესლიანი განაჩენით, მაგრამ ყოველთვის კომიკური შთაბეჭდილების მომხდენი მით, რომ იგი სავსებით მოკლებულია უნარს გაიგოს თანამედროვე ისტორიის მსვლელობა.

პროლეტარიატის სამათხოვრო ჩანთა არისტოკრატიამ ხელში აიღო და დროშად ააფრიალა, რათა თავის გარშემო ხალხი შემოეკრიბა. მაგრამ ყოველთვის, როდესაც მას ხალხი გაჰყვებოდა, მის ზურგზე ძველ ფეოდალურ ღერბს ხედავდა და მაშინვე უკან გარბოდა ხმამაღალი და უპატივცემო ხარხარით.

ამ კომედიას თამაშობდა საფრანგეთის ლეგიტიმისტების ნაწილი და «ახალგაზრდა ინგლისი» [1].

როდესაც ფეოდალები ამტკიცებენ, რომ მათი წესი ექსპლოატაციისა სხვა სახის იყო, ვიდრე ბურჟუაზიული ექსპლოატაცია, მათ ავიწყდებათ მხოლოდ, რომ ისინი სრულიად სხვა, ახლა უკვე დრომოჭმულ, გარემოებებსა და პირობებში ეწეოდნენ ექსპლოატაციას. როდესაც ისინი ამტკიცებენ, რომ მათი ბატონობის დროს თანამედროვე პროლეტარიატი არ არსებობდა, მათ ავიწყდებათ, რომ სწორედ თანამედროვე ბურჟუაზია იყო აუცილებელი ნაყოფი მათი საზოგადოებრივი წყობილებისა.

თუმცა ისინი ისე ნაკლებ ჰფარავენ თავიანთი კრიტიკის რეაქციულ ხასიათს, რომ მათი უმთავრესი ბრალდება ბურჟუაზიის წინააღმდეგ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ბურჟუაზიის რეჟიმის პირობებში ვითარდება კლასი, რომელიც ააფეთქებს მთელ ძველ საზოგადოებრივ წყობილებას.

ბურჟუაზიას ისინი უფრო მეტად იმას უსაყვედურებენ, რომ მან რევოლუციური პროლეტარიატი წარმოშვა, ვიდრე იმას, რომ საერთოდ პროლეტარიატი წარმოშვა.

---

[1] ლ ე გ ი ტ ი მ ი ს ტ ე ბ ი — პარტია მემამულე-თავადაზნაურებისა, ბურბონთა დინასტიის აღდგენის მომხრეებისა. «ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ი ნ გ ლ ი ს ი» — დაახლოებით 1842 წელს დაარსებული წრე ინგლისის არისტოკრატებისა, პოლიტიკური მოღვაწეებისა და ლიტერატორებისა, რომლებიც კონსერვატიულ პარტიას ემხრობოდნენ. კონსერვატორთა ამ ნაწილის გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ დიზრაელი, თომას კარლეილი და სხვ. რ ე დ.

ამიტომ პოლიტიკურ პრაქტიკაში ისინი მონაწილეობენ მუშათა კლასის საწინააღმდეგო ყველა ძალმომრეობით ღონისძიებაში, ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათი გაბერილი ფრაზეოლოგიის მიუხედავად, შემთხვევას არ უშვებენ აჰკრიფონ ოქროს ვაშლები[1], ანაცვალონ ერთგულება, სიყვარული და პატიოსნება ცხვრის მატყლით, შაქრის ჭარხლით და არაყით გაწეულ ჩარჩობას[2].

როგორც ხუცესი ყოველთვის ფეოდალთან ხელი-ხელჩაკიდებული დადიოდა, ისევე ხუცური სოციალიზმი მიდის ხელი-ხელჩაკიდებული ფეოდალურ სოციალიზმთან.

იმაზე ადვილი არა არის რა, რომ ქრისტიანულ ასკეტიზმს სოციალისტური ელფერი მიეცეს. განა ქრისტიანობა არ ამხედრებულა კერძო საკუთრების, ქორწინებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ? განა იგი მათ ნაცვლად არ ქადაგებდა ქველმოქმედებასა და გლახაკობას, უქორწინობასა და ხორცის მოკვდინებას, განდეგილობასა და ეკლესიას? ქრისტიანული სოციალიზმი მხოლოდ აიაზმის წყალია, რომლითაც ხუცესი ასხურებს არისტოკრატიის გაბოროტებას.

ბ) წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი

ფეოდალური არისტოკრატია არ არის ერთადერთი კლასი, რომელიც ბურჟუაზიამ დაამხო და რომლის ცხოვრების პირობები თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უარესდებოდა და იშრიტებოდა. შუა საუკუნეების მოქალაქეთა წოდება და წვრილი გლეხობა თანამედროვე ბურჟუაზიის წინამორბედნი იყვნენ. მრეწველურად და კომერციულად ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში ეს კლასი კიდევ განაგრძობს ბეჩავ არსებობას აღმავალი ბურჟუაზიის გვერდით.

იმ ქვეყნებში, სადაც თანამედროვე ცივილიზაცია განვითარდა, წარმოიშვა ახალი წვრილი ბურჟუაზია, რომელიც პროლეტარიატსა

---

[1] 1888 წ. ინგლისურ გამოცემაში ამ სიტყვების შემდეგ: «ოქროს ვაშლები» ჩამატებულია: «რომლებიც მრეწველობის ხიდან ცვივა». რ ე დ.

[2] ეს შეეხება უმთავრესად გერმანიას, სადაც მიწის არისტოკრატია და ფუნკრობა თვითონ ეწევა თავის ხარჯზე მოურავების მეშვეობით თავისი მიწების უდიდესი ნაწილის დამუშავებას; ისინი ამასთან ჭარხლის შაქრისა და სპირტის ქარხნების მსხვილი მფლობელები არიან. უფრო მდიდარი ინგლისელი არისტოკრატები აქამდე ჯერ არ მისულან; მაგრამ ამათაც იციან, თუ როგორ შეიძლება რენტის დაცემის ანაზღაურება მეტნაკლებ საეჭვო საქციო კომპანიების დამფუძნებლებისათვის თავიანთი სახელის დათმობის გზით. (ენ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1888 წ. ინ გ ლ ი ს ურ ი გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

და ბურჟუაზიას შორის მერყეობს და როგორც შემვსები ნაწილი ბურჟუაზიული საზოგადოებისა მუდამ კვლავ წარმოიშობა ხოლმე; მაგრამ კონკურენცია განუწყვეტლივ ისვრის ამ კლასის წევრებს პროლეტარიატის რიგებში, და ისინი უკვე ამჩნევენ იმ წამის მოახლოებას, როდესაც მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად ისინი სრულიად გაჰქრებიან როგორც თავისთავადი ნაწილი თანამედროვე საზოგადოებისა, და ვაჭრობასა, მანუფაქტურასა და მიწათმოქმედებაში მათ ადგილს დაიჭერენ სამუშაოს ზედამხედველნი და დაქირავებული მოსამსახურენი.

ისეთ ქვეყნებში, როგორიც საფრანგეთია, სადაც გლეხობა მოსახლეობის ნახევარზე გაცილებით მეტს შეადგენს, ბუნებრივი იყო, რომ მწერლები, რომლებიც პროლეტარიატის მხარეს იჭერდნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული წყობილების თავიანთ კრიტიკაში ამ წყობილებას წვრილბურჟუაზიული და წვრილგლეხური საზომით უდგებოდნენ და მუშებს წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით იცავდნენ. ამნაირად წარმოიშვა წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი. სისმონდი ამ ლიტერატურის მეთაურია არა მარტო საფრანგეთში, არამედ ინგლისშიც.

ამ სოციალიზმმა უაღრესად მკვეთრი ანალიზი გაუკეთა თანამედროვე წარმოებითი ურთიერთობაში არსებულ წინააღმდეგობებს. მან გამოამზეურა ეკონომისტების ფარისევლური აპოლოგეტობა. მან აუცილებლად დაამტკიცა მანქანებისა და შრომის დანაწილების დამრღვევი მოქმედება, კაპიტალისა და მიწათმფლობელობის კონცენტრაცია, ჭარბწარმოება, კრიზისები, წვრილი ბურჟუებისა და გლეხების აუცილებელი დაღუპვა, პროლეტარიატის სიღატაკე, ანარქია წარმოებაში, აღმაშფოთებელი უთანაბრობა სიმდიდრის განაწილებაში, სამრეწველო გამანადგურებელი ომი ერებს შორის, დარღვევა ძველ ზნე-ჩვეულებათა, ძველ ოჯახურ ურთიერთობათა, ძველ ეროვნებათა.

მაგრამ თავისი დადებითი შინაარსის მიხედვით ამ სოციალიზმს სურს ან აღადგინოს ძველი საწარმოო და საგაცვლო საშუალებანი და მათთან ერთად ძველი საკუთრების ურთიერთობანი და ძველი საზოგადოება, ან მას სურს კვლავ ძალად ჩატენოს თანამედროვე საწარმოო და საგაცვლო საშუალებანი ძველ საკუთრების ურთიერთობათა ჩარჩოებში, რომლებიც მათ ააფეთქეს და აუცილებლად უნდა აეფეთქებიათ. ორსავე შემთხვევაში იგი რეაქციულიც არის და უტოპიურიც ერთსა და იმავე დროს.

ამქრული ორგანიზაცია მანუფაქტურაში და პატრიარქალური მეურნეობა სოფლად — აი მისი უკანასკნელი სიტყვა.

თავის შემდგომ განვითარებაში ეს მიმართულება მხდალ წუწუნზე ჩამოქვეითდა [1].

ბ) გერმანული ანუ «ჭეშმარიტი» სოციალიზმი

საფრანგეთის სოციალისტური და კომუნისტური ლიტერატურა, რომელიც გაბატონებული ბურჟუაზიის მხრივ შევიწროების პირობებში წარმოიშვა და ამ ბატონობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ლიტერატურულ გამოხატულებას წარმოადგენს, გერმანიაში შეტანილ იქნა იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიამ იქ ის იყო დაიწყო თავისი ბრძოლა ფეოდალური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ.

გერმანელი ფილოსოფოსები, ნახევრად-ფილოსოფოსები და ლამაზი ფრაზების მოყვარული პირები ხარბად დაეწაფნენ ამ ლიტერატურას, მათ დაავიწყდათ მხოლოდ, რომ ამ ნაწერების საფრანგეთიდან გადმოტანასთან ერთად გერმანიაში არ გადმოსულა საფრანგეთის ცხოვრების პირობები. გერმანულ პირობებში ფრანგულმა ლიტერატურამ დაჰკარგა ყოველივე უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა და მიიღო წმინდა ლიტერატურული მიმდინარეობის სახე. იგი უნდა დამსგავსებოდა ფუჭ მსჯელობას ჭეშმარიტი საზოგადოების შესახებ [2], ადამიანის არსის განხორციელების შესახებ. ამრიგად, საფრანგეთის პირველი რევოლუციის მოთხოვნებს XVIII საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსებისათვის აზრი ჰქონდა მხოლოდ როგორც საერთოდ «პრაქტიკული გონების» მოთხოვნებს, ხოლო საფრანგეთის რევოლუციური ბურჟუაზიის ნების გამოაშკარავება მათ თვალში მოასწავებდა წმინდა ნების კანონის გამოაშკარავებას, ნებისა, როგორიც იგი უნდა იყოს, ე. ი. ჭეშმარიტად ადამიანური ნებისა.

---

[1] 1888 წ. ინგლისურ გამოცემაში ნაცვლად სიტყვებისა: «თავის შემდგომ განვითარებაში ეს მიმართულება მხდალ წუწუნზე ჩამოქვეითდა» დაბეჭდილია: «ბოლოსდაბოლოს, როდესაც უცილობელი ისტორიული ფაქტების ზეგავლენით წარიშალა ილუზიების მომხიბვლელობის ყოველგვარი კვალი, სოციალიზმის ეს ფორმა უბადრუკ წუწუნზე ჩამოქვეითდა». რ ე დ.

[2] შემდგომ გამოცემებში, 1872 წ. გერმანული გამოცემიდან დაწყებული, სიტყვები: «ჭეშმარიტი საზოგადოების შესახებ» არ არის. რ ე დ.

გერმანელი ლიტერატორების მთელი მუშაობა იმაში მდგომარეობდა, რომ ახალი ფრანგული იდეები თავიანთ ძველ ფილოსოფიურ სინდისთან თანხმობაში მოეყვანათ ანუ, უფრო სწორად, ფრანგული იდეები თავიანთი ფილოსოფიური თვალსაზრისით შეეთვისებინათ.

ეს შეთვისება იმგვარადვე მოხდა, როგორც ითვისებენ საერთოდ უცხო ენას, — თარგმანის შემწეობით.

ცნობილია, რომ ხელნაწერებზე, რომელნიც ძველი წარმართობის დროის კლასიკურ ნაწარმოებთ შეიცავდნენ, ბერები ტექსტის ზემოთ კათოლიკურ წმინდანთა ცხოვრების უაზრო ისტორიას წერდნენ. გერმანელი ლიტერატორები საფრანგეთის ურჯულო ლიტერატურას პირიქით მოექცნენ. ფრანგული დედნის ქვეშ მათ თავიანთი ფილოსოფიური უაზრობა ჩააწერეს. მაგალითად, ფულადი ურთიერთობის ფრანგული კრიტიკის ქვეშ მათ ჩააწერეს «ადამიანის არსების გასხვისება», ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფრანგული კრიტიკის ქვეშ — «აბსტრაქტულ-საყოველთაოს ბატონობის გაუქმება» და ა. შ.

თავიანთი ფილოსოფიური ფრაზეოლოგიის შეჩხირვა ფრანგულ თეორიებში მათ მონათლეს როგორც «მოქმედების ფილოსოფია», «ჭეშმარიტი სოციალიზმი», «გერმანული მეცნიერება სოციალიზმისა», «ფილოსოფიური დასაბუთება სოციალიზმისა» და ა. შ.

ამგვარად, ფრანგული სოციალისტურ-კომუნისტური ლიტერატურა მთლად გამოფიტული შეიქნა. და რადგანაც იგი გერმანელის ხელში აღარ გამოხატავდა ერთი კლასის ბრძოლას მეორის წინააღმდეგ, ამიტომ გერმანელი იმ რწმენამ მოიცვა, რომ მან გადალახა «ფრანგული ცალმხრივობა», რომ იგი იცავს ჭეშმარიტ მოთხოვნილებათა ნაცვლად ჭეშმარიტების მოთხოვნილებას, ხოლო პროლეტარიატის ინტერესების ნაცვლად — ადამიანის არსების ინტერესებს, საერთოდ ადამიანის ინტერესებს, ადამიანისა, რომელიც არც ერთ კლასს, საერთოდ არავითარ სინამდვილეს არ ეკუთვნის, არამედ მხოლოდ ფილოსოფიური ფანტაზიის ბურუსიან ცაში იმყოფება.

ამ გერმანულმა სოციალიზმმა, რომელიც თავის უსუსურ მოწაფურ ვარჯიშობას ესოდენ სერიოზულ და საყურადღებო საქმედ თვლიდა და მის ქებას გაჰკიოდა, მაინც დაჰკარგა თანდათან თავისი პედანტური უმანკოება.

გერმანიის, განსაკუთრებით პრუსიის, ბურჟუაზიის ბრძოლა ფეოდალებისა და აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ, ერთი

სიტყვით — ლიბერალური მოძრაობა სულ უფრო და უფრო სერიოზული შეიქნა.

ამგვარად, «ჭეშმარიტ» სოციალიზმს სასურველი შემთხვევა მიეცა პოლიტიკური მოძრაობისათვის სოციალისტური მოთხოვნები დაეპირისპირებია, ტრადიციული ფორმით შეეჩვენებია ლიბერალიზმი, წარმომადგენლობითი სახელმწიფო, ბურჟუაზიული კონკურენცია, პრესის ბურჟუაზიული თავისუფლება, ბურჟუაზიული სამართალი, ბურჟუაზიული თავისუფლება და თანასწორობა და ხალხის მასისათვის ექადაგნა, რომ ამ ბურჟუაზიულ მოძრაობაში იგი ვერაფერს მოიგებდა და, პირიქით, ყველაფერს დაჰკარგავდა. გერმანულმა სოციალიზმმა სწორედ შესაფერ დროს დაივიწყა, რომ ფრანგული კრიტიკა, რომლის უნაყოფო გამოძახილს იგი წარმოადგენდა, გულისხმობდა თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას მისი შესაფერი მატერიალური საარსებო პირობებით და შესაფერი პოლიტიკური კონსტიტუციით, ე. ი. სწორედ იმ წინაპირობებს, რომელთა დაპყრობაზეც გერმანიაში ჯერ მხოლოდ ლაპარაკი იყო.

გერმანიის აბსოლუტურ მთავრობებს მათი ხუცებისა, სკოლის მასწავლებლებისა, პროვინციელი აზნაურებისა და ბიუროკრატებისაგან შემდგარი ამალით ეს სოციალიზმი სასურველ საფრთხობელად გამოადგა საშიშრად ამოძრავებული ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

იგი მოტკბო დამატება იყო მწარე მათრახებისა და თოფის ტყვიებისა, რითაც ეს მთავრობები აქრობდნენ გერმანიის მუშათა აჯანყებებს.

ამნაირად, თუ «ჭეშმარიტი» სოციალიზმი იარაღს შეადგენდა მთავრობების ხელში გერმანიის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იგი უშუალოდაც იცავდა რეაქციულ ინტერესს, გერმანული წვრილი ბურჟუაზიის [1] ინტერესს. მე-16 საუკუნიდან დაშთენილი და მას შემდეგ სხვადასხვა ფორმით მუდამ ისევ და ისევ აღორძინებული წვრილი ბურჟუაზია გერმანიაში წარმოადგენს არსებული წყობილების ნამდვილ საზოგადოებრივ საფუძველს.

მისი შენარჩუნება ნიშნავს გერმანიაში არსებული წყობილების შენარჩუნებას. ეს წვრილი ბურჟუაზია უფრთხის ბურჟუაზიის სამ-

[1] 1888 წ. ინგლისურ გამოცემაში, განყოფილებაში «ჭეშმარიტი» სოციალიზმის შესახებ, ნაცვლად გამოთქმებისა: «გერმანიის მეშჩანური ბურჟუაზია», «გერმანელი მეშჩანი» ნახმარია გამოთქმები: «გერმანელი ფილისტერები», «გერმანელი წვრილბურჟუაზიული ფილისტერი». რ ე დ.

რეწველო და პოლიტიკურ ბატონობას, რომლისგანაც მას უეჭველი დაღუპვა მოელის, ერთი მხრივ, კაპიტალის კონცენტრაციის შედეგად, მეორე მხრივ — რევოლუციური პროლეტარიატის აღმავლობის გამო. მას ეგონა, რომ «ჭეშმარიტი» სოციალიზმი ერთი გასროლით ორ კურდღელს ჰკლავდა. და «ჭეშმარიტი» სოციალიზმი ეპიდემიასავით ვრცელდებოდა.

სამოსელი, სპეკულაციის აბლაბუდიდან ნაქსოვი, რიტორიკული ყვავილებით მოქარგული, სანტიმენტალური ცვრით დანამული, ეს ფართო სამოსელი, რომელშიაც გერმანელი სოციალისტები ახვევდნენ თავიანთ ორიოდე მჭლე «სამარადისო ჭეშმარიტებებს», მხოლოდ ადიდებდა მათი საქონლის გასაღებას ამ საზოგადოებაში.

თავის მხრივ გერმანული სოციალიზმი სულ უფრო და უფრო ცნობდა თავის მოწოდებას — ყოფილიყო ამ წვრილი ბურჟუაზიის მაღალფარდოვანი წარმომადგენელი.

მან გამოაცხადა გერმანელი ერი სანიმუშო ერად და გერმანელი მეშჩანინი სანიმუშო ადამიანად. ამ მეშჩანინის ყოველ სიმდაბლეში იგი ხედავდა დამალულ, მაღალ, სოციალისტურ აზრს, რომლითაც ამ სიმდაბლეს სულ საწინააღმდეგო მნიშვნელობა ეძლეოდა. მან უკანასკნელი დასკვნა გააკეთა, როდესაც პირდაპირ გაილაშქრა კომუნიზმის «უხეშ-დამრღვევი» მიმართულების წინააღმდეგ და გამოაცხადა, რომ თვითონ იგი თავისი დიადი მიუკერძოებლობით ყოველგვარ კლასობრივ ბრძოლაზე მაღლა მდგომია. ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, ყველაფერი, რაც გერმანიაში ვითომდა სოციალისტური და კომუნისტური ნაწერების სახით მიმოიქცევა, ამ ბინძური, გულის გამწყალებელი ლიტერატურის დარგს ეკუთვნის [1].

2. კონსერვატიული ანუ ბურჟუაზიული სოციალიზმი

ბურჟუაზიის ერთ ნაწილს სურს განკურნოს სოციალური სატკივრები, რათა მით განამტკიცოს ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობა.

ამ წრეს ეკუთვნიან ეკონომისტები, ფილანტროპები, ჰუმანურობის მომხრენი, მშრომელ კლასთა მდგომარეობის გამაუმჯობესე-

[1] 1848 წ. რევოლუციის ქარტეხილმა მთლად გაჰხვეტა ეს ბილწი მიმართულება და მის მატარებლებს ხალისი დაუკარგა კვლავ განეგრძოთ სოციალისტური მანკვა. ამ მიმართულების მთავარი წარმომადგენელი და კლასიკური ტიპი არის ბ-ნი კარლ გრიუნი. (ენგელსის შენიშვნა 1890 წ. გერმანული გამოცემისათვის.)

ბელნი, ქველმოქმედების ორგანიზატორები, პირუტყვთა მფარველი საზოგადოების წევრები, სიფხიზლის საზოგადოებათა დამაარსებლები, ყოველი ჯურის წვრილფეხა რეფორმატორები. მთელ სისტემებადაც კი შემუშავდა ეს ბურჟუაზიული სოციალიზმი.

მაგალითისათვის დავასახელოთ პრუდონის «სიღატაკის ფილოსოფია».

ბურჟუა-სოციალისტებს სურთ შეინარჩუნონ თანამედროვე საზოგადოების საარსებო პირობები, მაგრამ უბრძოლებოდ და საფრთხის გარეშე, რომელნიც აუცილებლობით გამომდინარეობენ ამ პირობებიდან. მათ სურთ შეინარჩუნონ თანამედროვე საზოგადოება, მაგრამ მისი გამარევოლუციურებელი და დამრღვევი ელემენტების გამოკლებით. მათ სურთ ბურჟუაზია უპროლეტარიატოდ. ბურჟუაზიას, რასაკვირველია, საუკეთესო ქვეყნად წარმოუდგენია ის ქვეყანა, სადაც თვითონ ბატონობს. ამ სანუგეშო წარმოდგენას ბურჟუაზიული სოციალიზმი აყალიბებს მთელ სისტემად ან ნახევარ-სისტემად. როდესაც იგი პროლეტარიატს მოუწოდებს განახორციელოს მისი სისტემა და შევიდეს ახალ იერუსალიმში, ამით იგი არსებითად მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ პროლეტარიატი დარჩეს დღევანდელ საზოგადოებაში, მაგრამ თავიდან მოიშოროს თავისი წარმოდგენა ამ საზოგადოებაზე, როგორც საძულველზე.

მეორე, ნაკლებ სისტემატური, მხოლოდ უფრო პრაქტიკული ფორმა ამ სოციალიზმისა იმას ცდილობდა, რომ მუშათა კლასისათვის ჩაეგონებია უარყოფითი დამოკიდებულება ყოველივე რევოლუციური მოძრაობისადმი იმის მტკიცებით, რომ მისთვის სასარგებლო შეიძლება იყოს არა ესა თუ ის პოლიტიკური ცვლილება, არამედ მხოლოდ ცხოვრების მატერიალური პირობების ცვლილება, ეკონომიურ ურთიერთობათა ცვლილება. მაგრამ ცხოვრების მატერიალური პირობების ცვლილება ამ სოციალიზმს ესმის არა როგორც ბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთობათა მოსპობა, რაც მხოლოდ რევოლუციური გზით არის შესაძლებელი, არამედ როგორც ადმინისტრაციული გაუმჯობესებანი, რომელნიც ამ წარმოებით ურთიერთობათა ნიადაგზე სრულდებიან, მაშასადამე, არაფერს ცვლიან კაპიტალისა და შრომის ურთიერთობაში, უკეთეს შემთხვევაში მარტოოდენ უმცირებენ ბურჟუაზიას მისი ბატონობის ხარჯებს და ამარტივებენ მის სახელმწიფო მეურნეობას.

თავის შესაფერ გამოხატულებას ბურჟუაზიული სოციალიზმი მაშინ პოულობს, როდესაც იგი მარტოოდენ ორატორულ სიტყვიერებად იქცევა.

თავისუფალი ვაჭრობა! მუშათა კლასის ინტერესებისათვის; მფარველობითი ბაჟები! მუშათა კლასის ინტერესებისათვის; საკანიანი სატუსაღოები! მუშათა კლასის ინტერესებისათვის: ეს არის ბურჟუაზიული სოციალიზმის ერთადერთი უკანასკნელი სერიოზულად ნათქვამი სიტყვა.

ბურჟუაზიის სოციალიზმი სწორედ იმის მტკიცებაში მდგომარეობს, რომ ბურჟუები ბურჟუები არიან — მუშათა კლასის ინტერესებისათვის.

3. კრიტიკულ-უტოპიური სოციალიზმი და კომუნიზმი

ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ იმ ლიტერატურაზე, რომელიც ყველა დიდ თანამედროვე რევოლუციაში პროლეტარიატის მოთხოვნებს გამოთქვამდა (ბაბეფის თხზულებანი და სხვ.).

პროლეტარიატის პირველი ცდები — უშუალოდ განეხორციელებია თავისი საკუთარი კლასობრივი ინტერესები საყოველთაო მღელვარების დროს, ფეოდალური საზოგადოების დამხობის პერიოდში, აუცილებლად დამარცხებას განიცდიდა თვით პროლეტარიატის განუვითარებლობის გამო და აგრეთვე მისი განთავისუფლების მატერიალური პირობების უქონლობის გამო, რომელნიც სწორედ თვით წარმოადგენენ ბურჟუაზიული ეპოქის ნაყოფს. რევოლუციური ლიტერატურა, რომელიც თან ახლდა პროლეტარიატის ამ პირველ მოძრაობათ, თავისი შინაარსით აუცილებლად რეაქციული იყო. იგი ქადაგებდა საერთო ასკეტიზმსა და ტლანქ გათანასწორებას.

ნამდვილი სოციალისტური და კომუნისტური სისტემები, სისტემები სენ-სიმონის, ფურიესი, ოუენისა და სხვ. ჩნდებიან პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ბრძოლის პირველ, განუვითარებელ პერიოდში, რომელიც ჩვენ ზემოთ დავხატეთ (იხ. «ბურჟუაზია და პროლეტარიატი»).

ამ სისტემების გამომგონნი, მართალია, ხედავენ კლასთა ანტაგონიზმს, ასევე დამრღვევი ელემენტების მოქმედებასაც თვით გაბატონებული საზოგადოების შიგნით. მაგრამ ისინი პროლეტარიატის მხარეზე ვერ ხედავენ ვერავითარ ისტორიულ თვითმოქმედებას, ვერავითარ მის დამახასიათებელ პოლიტიკურ მოძრაობას.

რადგანაც კლასთა ანტაგონიზმის განვითარება მრეწველობის განვითარების თანაბარი ნაბიჯით მიმდინარეობს, ამიტომ ისინი ვერ პოულობენ მატერიალურ პირობებს პროლეტარიატის განთავისუფ-

ლებისათვის და სოციალურ მეცნიერებას, სოციალურ კანონებს ეძებენ, რათა ეს პირობები შექმნან.

საზოგადოებრივი საქმიანობის ადგილი უნდა დაიჭიროს მათმა პირადმა საგამომგონებლო საქმიანობამ, განთავისუფლების ისტორიული პირობების ადგილი — ფანტასტიკურმა პირობებმა, პროლეტარიატის თანდათან კლასად ორგანიზების ადგილი — მათ მიერ გამოგონილმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ. მომავალი მსოფლიო ისტორია მათთვის ბოლოსდაბოლოს წარმოადგენს მათი საზოგადოებრივი გეგმების პროპაგანდას და პრაქტიკულ განხორციელებას.

მართალია, მათ შეგნებული აქვთ, რომ ისინი თავიანთ გეგმებში უმთავრესად იცავენ მუშათა კლასის, როგორც ყველაზე უფრო ტანჯული კლასის, ინტერესს. პროლეტარიატი მარტოოდენ ამ სახით — უაღრესად ტანჯული კლასის სახით არსებობს მათთვის.

მაგრამ კლასობრივი ბრძოლის განუვითარებელი ფორმა და აგრეთვე მათი საკუთარი მდგომარეობა ცხოვრებაში იწვევს იმას, რომ მათ თავიანთი თავი წარმოდგენილი ჰყავთ ამ კლასობრივ წინააღმდეგობაზე მაღლა მდგომად. მათ სურთ საზოგადოების ყველა წევრის საარსებო მდგომარეობის გაუმჯობესება, იმათიც კი, ვინც საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფებიან. ამიტომ ისინი მუდამ მიმართავენ მთელ საზოგადოებას განურჩევლად და უპირატესად — გაბატონებულ კლასსაც კი. მათი აზრით, საკმარისია მხოლოდ გაიგო მათი სისტემა, რომ იგი საუკეთესო საზოგადოების საუკეთესო გეგმად მიიჩნიო.

ამიტომ ისინი უარჰყოფენ ყოველ პოლიტიკურ, განსაკუთრებით ყოველ რევოლუციურ მოქმედებას, უნდათ თავიანთ მიზანს მშვიდობიანი გზით მიაღწიონ და ცდილობენ პატარ-პატარა, აშკარად უდღეური ექსპერიმენტებით, მაგალითის ძალით გზა გაუკაფონ ახალ საზოგადოებრივ სახარებას.

მომავალი საზოგადოების ეს ფანტასტიკური აღწერა წარმოშობილია იმ დროს, როდესაც პროლეტარიატი ჯერ კიდევ ძალიან განუვითარებელია, მაშასადამე, როდესაც თვითონ მას ჯერ კიდევ მეტად ფანტასტიკურად აქვს თავისი საკუთარი მდგომარეობა წარმოდგენილი, და შეესაბამება მუშების პირველ, წინათგრძნობით აღსავსე მისწრაფებას საზოგადოების საერთო გარდაქმნისაკენ.

მაგრამ ეს სოციალისტური და კომუნისტური თხზულებანი კრიტიკულ ელემენტებსაც შეიცავენ. ამ თხზულებებს იგრიში მიაქვთ არსებული საზოგადოების ყველა საფუძველზე. ამიტომ მათ შეტად

ძვირფასი მასალა მოგვცეს მუშების გასაცნობიერებლად. მათი დადებითი დებულებები მომავალი საზოგადოების შესახებ, მაგალითად, ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების მოსპობა, ოჯახის, კერძო შეძენის, დაქირავებული შრომის მოსპობა, საზოგადოებრივი ჰარმონიის გამოცხადება, სახელმწიფოს გადაქცევა მარტოოდენ წარმოების მმართველობად — ყველა ეს მათი დებულება გამოხატავს მხოლოდ იმ კლასობრივი დაპირისპირების მოსპობის საჭიროებას, რომელიც ეს არის იწყებს განვითარებას და რომელსაც ისინი მხოლოდ ჯერ კიდევ მისი პირველი უსახო, გაურკვეველი ფორმით იცნობენ. ამიტომ ამ დებულებებს ჯერ კიდევ წმინდა უტოპიური ხასიათი აქვთ.

კრიტიკულ-უტოპიური სოციალიზმისა და კომუნიზმის მნიშვნელობა შებრუნებულ შეფარდებაში იმყოფება ისტორიულ განვითარებასთან. რამდენადაც კლასობრივი ბრძოლა ვითარდება და უფრო და უფრო გარკვეულ ფორმას იღებს, იმდენადვე ყოველივე პრაქტიკული მნიშვნელობა, ყოველივე თეორიული გამართლება ეკარგება ამ ფანტასტიკურ თავის დაყენებას კლასობრივ ბრძოლაზე მაღლა, ამ ფანტასტიკურ უარყოფით დამოკიდებულებას მის მიმართ. ამიტომ, თუ ამ სისტემების დამაარსებელნი ბევრის მხრივ რევოლუციონერები იყვნენ, მათი მოწაფეები მუდამ რეაქციულ სექტებს შეადგენენ. ისინი მტკიცედ იცავენ თავიანთ მასწავლებელთა ძველ შეხედულებებს, მიუხედავად პროლეტარიატის შემდგომი ისტორიული განვითარებისა. ამიტომ ისინი სრულიად ლოგიკურად იქცევიან, როდესაც ცდილობენ დააჩლუნგონ კლასთა ბრძოლა და შეარიგონ წინააღმდეგობანი. ისინი კიდევ ოცნებობენ ცდების გზით თავიანთი საზოგადოებრივი უტოპიების განხორციელებაზე, ცალკეული ფალანსტერების დაარსებაზე, შინაგანი კოლონიების [«Home-colonies»] დაფუძნებაზე, პატარა იკარიის[1] —

[1] ფალანსტერები ეწოდებოდა შარლ ფურიეს გეგმით გათვალისწინებულ სოციალისტურ კოლონიებს; იკარიას უწოდებდა კაბე თავის უტოპიურ ქვეყანას, ხოლო უფრო გვიან თავის კომუნისტურ კოლონიას ამერიკაში. (ენგელსის შენიშვნა 1888 წ. ინგლისური გამოცემისათვის.)

Home-colonies (კოლონიებს ქვეყნის შიგნით) ოუენი უწოდებდა თავის სანიმუშო კომუნისტურ საზოგადოებას. ფალანსტერები ეწოდებოდა ფურიეს გეგმით გათვალისწინებულ საზოგადოებრივ სასახლეებს. იკარია ეწოდებოდა იმ უტოპიურ-ფანტასტიკურ ქვეყანას, რომლის კომუნისტური დაწესებულებები აწერილი აქვს კაბეს. (ენგელსის შენიშვნა 1890 წ. გერმანული გამოცემისათვის.)

ახალი იერუსალიმის მცირეფორმატიანი გამოცემის — მოწყობაზე, და ყველა ამ ოცნებითი კოშკების ასაგებად ისინი იძულებული არიან მიმართონ ბურჟუაზიული გულისა და ქისის კაცთმოყვარეობას. ისინი თანდათან ეშვებიან ზემოაღწერილ რეაქციულ ან კონსერვატიულ სოციალისტთა კატეგორიაში და განირჩევიან მათგან მხოლოდ თავიანთი უფრო სისტემატური პედანტიზმით, ფანატიკური ცრუმორწმუნეობით თავიანთი სოციალური მეცნიერების სასწაულთმოქმედი ძალისადმი.

ამიტომ ისინი გააფთრებით ეწინააღმდეგებიან მუშების ყოველგვარ პოლიტიკურ მოძრაობას, რომლის გამომწვევია, მათი აზრით, მხოლოდ ბრმა ურწმუნოება ახალი სახარების მიმართ.

ოუენისტები ინგლისში და ფურიერისტები საფრანგეთში გამოდიან — პირველნი ჩარტისტების წინააღმდეგ, მეორენი რეფორმისტების წინააღმდეგ [1].

IV

კომუნისტების დამოკიდებულება სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებთან

II თავში ნათქვამის შემდეგ თავისთავად გასაგებია კომუნისტების დამოკიდებულება უკვე ჩამოყალიბებულ მუშათა პარტიებთან, ე. ი. მათი დამოკიდებულება ჩარტისტებთან ინგლისში და აგრარული რეფორმის მომხრეებთან ჩრდილოეთ ამერიკაში.

კომუნისტები იბრძვიან მუშათა კლასის უახლოესი მიზნებისა და ინტერესების განსახორციელებლად, მაგრამ იმავე დროს დღევანდელ მოძრაობაში ისინი მოძრაობის მერმისსაც იცავენ. საფრანგეთში კომუნისტები, კონსერვატიული და რადიკალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, სოციალისტურ-დემოკრატიულ პარტიას [2] ემხრობიან, თუმცა ამავე დროს უფლებას ინარჩუნებენ

---

[1] ლაპარაკია გაზეთ «La Réforme»-ის («რეფორმა») მომხრეებზე; «La Réforme» გამოდიოდა პარიზში 1843 წლიდან 1850 წლამდე. რ ე დ.

[2] ეს პარტია მაშინ წარმოდგენილი იყო პარლამენტში ლედრიუ-როლენით, ლიტერატურაში — ლუი ბლანით, ყოველდღიურ პრესაში — გაზ. «La Réforme»-ით [«რეფორმა»-ით]. სახელწოდება — სოციალისტურ-დემოკრატიული — იმას ნიშნავდა, რომ დემოკრატიული ანუ რესპუბლიკური პარტიის ეს ნაწილი, ისე როგორც ამ სახელწოდების ავტორები, მეტნაკლებ სოციალისტურად იყო შეფერადებული. (ენ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1 8 8 8 წ. ი ნ გ ლ ი ს ურ ი გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს.)

კრიტიკა გაუწიონ რევოლუციური ტრადიციით მომდინარე ფრაზებსა და ილუზიებს.

შვეიცარიაში ისინი მხარს უჭერენ რადიკალებს, მაგრამ ამასთან არ ივიწყებენ, რომ ეს პარტია მოწინააღმდეგე ელემენტებისაგან შედგება, ნაწილობრივ დემოკრატიული სოციალისტებისაგან, ფრანგული მნიშვნელობით, და ნაწილობრივ რადიკალური ბურჟუებისაგან.

პოლონეთში კომუნისტები მხარს უჭერენ იმ პარტიას, რომელიც ნაციონალური განთავისუფლების პირობად აგრარულ რევოლუციას აღიარებს, იმავე პარტიას, რომელმაც გამოიწვია კრაკოვის აჯანყება 1846 წელს.

გერმანიაში, რამდენადაც ბურჟუაზია რევოლუციურად გამოდის, კომუნისტური პარტია იბრძვის ბურჟუაზიასთან ერთად აბსოლუტური მონარქიის, ფეოდალური მიწის საკუთრებისა და წვრილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მაგრამ ეს პარტია ერთი წუთითაც არ უგულებელყოფს მუშებში რაც შეიძლება ნათელი შეგნების გამომუშავებას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არსებული მტრული დაპირისპირების შესახებ, რათა გერმანიის მუშებს შეეძლოთ მაშინვე ბურჟუაზიის საწინააღმდეგო იარაღად გამოიყენონ ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობები, რომლებიც უნდა მოჰყვეს თან ბურჟუაზიის გაბატონებას, რათა, გერმანიაში რეაქციული კლასების დამხობისთანავე, დაწყებულ იქნას ბრძოლა თვით ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გერმანიას კომუნისტები თავის მთავარ ყურადღებას აქცევენ იმიტომ, რომ გერმანიაში ბურჟუაზიული რევოლუციის წინადღეა, და იმიტომ, რომ გერმანია ამ გადატრიალებას შეასრულებს საერთოდ ევროპის ცივილიზაციის უფრო განვითარებულ პირობებში და გაცილებით უფრო განვითარებული პროლეტარიატის დროს, ვიდრე ეს მოხდა ინგლისში მე-17 საუკუნეში და საფრანგეთში მე-18 საუკუნეში; მაშასადამე, გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუცია შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალო პროლოგი პროლეტარული რევოლუციისა.

იმ პარტიას, რომელიც მაშინ საფრანგეთში თავის თავს სოციალისტურ-დემოკრატიულს უწოდებდა, პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოადგენდა ლედრიუ-როლენი და ლიტერატურაში ლუი ბლანი; ამგვარად, იგი, როგორც ცა დედამიწისაგან, განსხვავდებოდა თანამედროვე სოციალ-დემოკრატიისაგან. (ენგელსის შენიშვნა 1890 წ. გერმანული გამოცემისათვის.)

ერთი სიტყვით, კომუნისტები ყველგან მხარს უჭერენ ყოველ რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც მიმართულია არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ.

ყველა ამ მოძრაობაში ისინი წინ აყენებენ საკუთრების საკითხს, როგორც მოძრაობის ძირითად საკითხს, რაგინდ მეტნაკლებად განვითარებული ფორმა ჰქონდეს მას მიღებული.

დასასრულ, კომუნისტები ყველგან მუშაობენ ყველა ქვეყნის დემოკრატიული პარტიების შესაერთებლად და შესათანხმებლად.

კომუნისტებს სამარცხვინოდ მიაჩნიათ დამალონ თავიანთი შეხედულებანი და განზრახვანი. ისინი აშკარად აცხადებენ, რომ მათი მიზნების მიღწევა შესაძლოა მხოლოდ მთელი დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილების ძალადობითი დამხობის გზით. დაე გაბატონებული კლასები ძრწოდნენ კომუნისტური რევოლუციის შიშით. მასში პროლეტარები არაფერს დაჰკარგავენ გარდა თავიანთი ბორკილებისა. შეიძენენ კი მთელ ქვეყნიერებას.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დაწერილია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ 1847 წ. დეკემბერსა და 1848 წ. იანვარში.
პირველად დაიბეჭდა 1848 წ. ლონდონში.

იბეჭდება 1848 წლის გერმანული გამოცემის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან.

კ. მ ა რ ქ ს ი

ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა დ ა კ ო ნ ტ რ ა ნ ტ ი ზ ა ც ი ა

ს ტ ა ტ ი ა მ ე ო რ ე

კელნი, 11 დეკემბერი

როდესაც მარტის წარღვნამ — ამ მინიატურულმა წარღვნამ გადაიარა, ბერლინის მიწის ზედაპირზე მან დატოვა არა ბუმბერაზები, არა რევოლუციური ტიტანები, არამედ ძველი ყაიდის ქმნილებანი, ჯუჯა ბურჟუაზიული ფიგურები.— შეერთებული ლანდტაგის ლიბერალები, პრუსიის შეგნებული ბურჟუაზიის წარმომადგენლები. პროვინციებმა, რომელთაც ყველაზე უფრო განვითარებული ბურჟუაზია გააჩნდა, — რაინის პროვინციამ და სილეზიამ,— შესძლო ახალ სამინისტროებში მთავარი კონტინგენტის წარგზავნა. მათ მისდევდა მთელი წყება რაინის იურისტებისა. იმდენად, რამდენადაც ფეოდალები უკანა რიგში სწევდნენ ბურჟუაზიას, რაინის პროვინციამ და სილეზიამ ძველ პრუსიულ პროვინციებს დაუთმო ადგილი სამინისტროებში. ბრანდენბურგის სამინისტრო მარტოოდენ ერთი ელბერფელდელი ტორის მეშვეობითღა არის რაინის პროვინციასთან დაკავშირებული. ჰ ა ნ ზ ე მ ა ნ ი და ფ ო ნ დ ე რ ჰ ა ი დ ტ ი! ამ ორ სახელშია პრუსიის ბურჟუაზიისთვის მთელი განსხვავება 1848 წლის მარტსა და დეკემბერს შორის!

პრუსიის ბურჟუაზია სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მწვერვალებზე იქნა ატყორცნილი, მაგრამ არა ისე, როგორც მას სურდა: გ ვ ი რ გ ვ ი ნ თ ა ნ მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი გ ა რ ი გ ე ბ ი ს გ ზ ი თ, არამედ რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს მიერ. ამიერიდან მას თავისი საკუთარი ინტერესები კი არ უნდა დაეცვა გვირგვინისაგან, ე. ი. თ ა ვ ი ს თ ა ვ ი ს ა გ ა ნ, რადგან გვირგვინი ბურჟუაზიის თვალში წარმოადგენდა იმ ღვთაებრივ საბურველს, რომლის უკან

მას უნდა დაემალა თავისი მიწიერი ინტერესები, — არამედ ხალხის ინტერესები, რადგან სახალხო მოძრაობამ გაუკვლია მას გზა ხელისუფლებისაკენ. შეუვალობა ბურჟუაზიის საკუთარი ინტერესებისა, და ამ ინტერესების შესაბამის პოლიტიკური ფორმებისა კონსტიტუციურ ენაზე გადმოთარგმნით ნიშნავდა გვირგვინის შეუვალობას. აქედან გერმანელი და განსაკუთრებით კი პრუსიის ბურჟუაზიის ოცნება კონსტიტუციურ მონარქიაზე. ამიტომ, თუმცა თებერვლის რევოლუცია თავისი გამოძახილითურთ გერმანიაში მეტად ხელსაყრელი იყო პრუსიის ბურჟუაზიისათვის, რადგან მისი წყალობით პრუსიის ბურჟუაზიას ჩაუვარდა ხელთ სახელმწიფო საჭე, მაგრამ ამასთანავე ამ რევოლუციამ აურ-დაურია მას ანგარიშები, რადგან ამიერიდან პრუსიის ბურჟუაზიის ბატონობა დაკავშირებული იყო ისეთ პირობებთან, რომელთა შესრულება მას არც უნდოდა და არც შეეძლო.

ბურჟუაზიას ხელი არ გაუნძრევია. მისთვის ბრძოლა მან ხალხს მიანება. ამიტომ ძალაუფლება, რომელიც მას მიართვეს, იყო არა მტერზე გამარჯვებული სარდლის ძალაუფლება, არამედ ძალაუფლება უშიშროების კომიტეტისა, რომელსაც ძლევამოსილმა ხალხმა თავისი ინტერესების დაცვა მიანდო.

კამპჰაუზენი კიდევ გრძნობდა ამგვარი მდგომარეობის მთელ უხერხულობას და მისი სამინისტროს მთელი სისუსტეც გამომდინარეობს სწორედ ამ გრძნობისა და აგრეთვე იმ პირობებისაგან, რომლებმაც იგი გამოიწვიეს. ამიტომ სირცხვილის ერთგვარი სიწითლე გადაჰკრავს მისი მთავრობის ყველაზე უტიფარ აქტებს. აშკარა ურცხვობა და თავხედობა წარმოადგენდა ჰანზემანის პრივილეგიას. წითელი ელფერი ქმნის ერთადერთ განსხვავებას ორივე ამ მხატვარს შორის.

არ უნდა ავურიოთ მარტის რევოლუცია პრუსიაში არც ინგლისის 1648 წლისა და არც საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციებში.

1648 წლის რევოლუციაში ბურჟუაზია ახალ თავადაზნაურობასთან კავშირში იბრძოდა მონარქიის, ფეოდალური თავადაზნაურობისა და გაბატონებული ეკლესიის წინააღმდეგ.

1789 წლის რევოლუციაში ბურჟუაზია ხალხთან კავშირში იბრძოდა მონარქიის, თავადაზნაურობის და გაბატონებული ეკლესიის წინააღმდეგ.

1789 წლის რევოლუციას თავის პირველსახედ (ყოველ შემთხვევაში ევროპაში) მარტოოდენ 1648 წლის რევოლუცია ჰქონდა. 1648 წლის რევოლუციას — მხოლოდ ნიდერლანდების აჯანყება ესპანეთის წინააღმდეგ. ორივე რევოლუციამ მთელი საუკუნით გაუსწრო თავის პირველსახეს არა მარტო დროის, არამედ შინაარსის მიხედვითაც.

ორივე რევოლუციაში ბურჟუაზია იყო ის კლასი, რომელიც ნამდვილად ედგა მოძრაობას სათავეში. პროლეტარიატს და ქალაქის მოსახლეობის იმ ფენებს, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ ბურჟუაზიას, ან არ გააჩნდათ ჯერჯერობით ბურჟუაზიისაგან განცალკევებული ინტერესები, ანდა ისინი არ შეადგენდნენ დამოუკიდებლად განვითარებულ კლასებსა თუ კლასთა ნაწილს. ამიტომ იქაც კი, სადაც ისინი ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, მაგალითად, 1793 და 1794 წწ. საფრანგეთში, ისინი იბრძოდნენ მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესების განხორციელებისათვის, თუმცა არაბურჟუაზიული წესებით. საფრანგეთის მთელი ტერორიზმი სხვა არა იყო რა, თუ არა ბურჟუაზიის მტრებთან, აბსოლუტიზმთან, ფეოდალიზმთან და მეშჩანობასთან პლებეური საშუალებით გასწორება.

1648 წლის და 1789 წლის რევოლუციები არ იყო ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციები, ისინი ევროპული ყაიდის რევოლუციები იყვნენ. ისინი არ წარმოადგენდნენ საზოგადოების გარკვეული კლასის გამარჯვებას ძველ პოლიტიკურ წყობილებაზე; ისინი აცხადებდნენ პოლიტიკურ წყობილებას ევროპის ახალი საზოგადოებისათვის. ბურჟუაზიამ გაიმარჯვა ამ რევოლუციებში; მაგრამ ბურჟუაზიის გამარჯვება ნიშნავდა მაშინ ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებას, ბურჟუაზიული საკუთრების გამარჯვებას ფეოდალურზე, ერის გამარჯვებას პროვინციალიზმზე, გამარჯვებას კონკურენციისა — ამქრებზე, საკუთრების განაწილებისა — მაიორატზე, მესაკუთრისადმი მიწის დამორჩილებისა — მიწისა მესაკუთრის დამორჩილებაზე, განათლებისა — ცრუმორწმუნეობაზე, ოჯახისა — გვარზე, მრეწველობისა — გმირულ სიზარმაცეზე, ბურჟუაზიული სამართლისა — შუასაუკუნეობრივ პრივილეგიებზე. 1648 წლის რევოლუცია იყო მე-17 საუკუნის გამარჯვება მე-16 საუკუნეზე, 1789 წლის რევოლუცია იყო მე-18 საუკუნის გამარჯ-

მას უნდა დაემალა თავისი მიწიერი ინტერესები, — არამედ ხალხის ინტერესები, რადგან სახალხო მოძრაობამ გაუკვლია მას გზა ხელისუფლებისაკენ. შეუვალობა ბურჟუაზიის საკუთარი ინტერესებისა, და ამ ინტერესების შესაბამის პოლიტიკური ფორმებისა კონსტიტუციურ ენაზე გადმოთარგმნით ნიშნავდა გვირგვინის შეუვალობას. აქედან გერმანელი და განსაკუთრებით კი პრუსიის ბურჟუაზიის ოცნება კონსტიტუციურ მონარქიაზე. ამიტომ, თუმცა თებერვლის რევოლუცია თავისი გამოძახილითურთ გერმანიაში მეტად ხელსაყრელი იყო პრუსიის ბურჟუაზიისათვის, რადგან მისი წყალობით პრუსიის ბურჟუაზიას ჩაუვარდა ხელთ სახელმწიფო საჭე, მაგრამ ამასთანავე ამ რევოლუციამ აურ-დაურია მას ანგარიშები, რადგან ამიერიდან პრუსიის ბურჟუაზიის ბატონობა დაკავშირებული იყო ისეთ პირობებთან, რომელთა შესრულება მას არც უნდოდა და არც შეეძლო.

ბურჟუაზიას ხელი არ გაუნძრევია. მისთვის ბრძოლა მან ხალხს მიანება. ამიტომ ძალაუფლება, რომელიც მას მიართვეს, იყო არა მტერზე გამარჯვებული სარდლის ძალაუფლება, არამედ ძალაუფლება უშიშროების კომიტეტისა, რომელსაც ძლევამოსილმა ხალხმა თავისი ინტერესების დაცვა მიანდო.

კამპჰაუზენი კიდევ გრძნობდა ამგვარი მდგომარეობის მთელ უხერხულობას და მისი სამინისტროს მთელი სისუსტეც გამომდინარეობს სწორედ ამ გრძნობისა და აგრეთვე იმ პირობებისაგან, რომლებმაც იგი გამოიწვიეს. ამიტომ სირცხვილის ერთგვარი სიწითლე გადაჰკრავს მისი მთავრობის ყველაზე უტიფარ აქტებს. აშკარა ურცხვობა და თავხედობა წარმოადგენდა ჰანზემანის პრივილეგიას. წითელი ელფერი ქმნის ერთადერთ განსხვავებას ორივე ამ მხატვარს შორის.

არ უნდა ავურიოთ მარტის რევოლუცია პრუსიაში არც ინგლისის 1648 წლისა და არც საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციებში.

1648 წლის რევოლუციაში ბურჟუაზია ახალ თავადაზნაურობასთან კავშირში იბრძოდა მონარქიის, ფეოდალური თავადაზნაურობისა და გაბატონებული ეკლესიის წინააღმდეგ.

1789 წლის რევოლუციაში ბურჟუაზია ხალხთან კავშირში იბრძოდა მონარქიის, თავადაზნაურობის და გაბატონებული ეკლესიის წინააღმდეგ.

1789 წლის რევოლუციას თავის პირველსახედ (ყოველ შემთხვევაში ევროპაში) მარტოოდენ 1648 წლის რევოლუცია ჰქონდა. 1648 წლის რევოლუციას — მხოლოდ ნიდერლანდების აჯანყება ესპანეთის წინააღმდეგ. ორივე რევოლუციამ მთელი საუკუნით გაუსწრო თავის პირველსახეს არა მარტო დროის, არამედ შინაარსის მიხედვითაც.

ორივე რევოლუციაში ბურჟუაზია იყო ის კლასი, რომელიც ნამდვილად ედგა მოძრაობას სათავეში. პროლეტარიატს და ქალაქის მოსახლეობის იმ ფენებს, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ ბურჟუაზიას, ან არ გააჩნდათ ჯერჯერობით ბურჟუაზიისაგან განცალკევებული ინტერესები, ანდა ისინი არ შეადგენდნენ დამოუკიდებლად განვითარებულ კლასებსა თუ კლასთა ნაწილს. ამიტომ იქაც კი, სადაც ისინი ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, მაგალითად, 1793 და 1794 წწ. საფრანგეთში, ისინი იბრძოდნენ მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესების განხორციელებისათვის, თუმცა არაბურჟუაზიული წესებით. საფრანგეთის მთელი ტერორიზმი სხვა არა იყო რა, თუ არა ბურჟუაზიის მტრებთან, აბსოლუტიზმთან, ფეოდალიზმთან და მეშჩანობასთან პლებეური საშუალებით გასწორება.

1648 წლის და 1789 წლის რევოლუციები არ იყო ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციები, ისინი ევროპული ყაიდის რევოლუციები იყვნენ. ისინი არ წარმოადგენდნენ საზოგადოების გარკვეული კლასის გამარჯვებას ძველ პოლიტიკურ წყობილებაზე: ისინი აცხადებდნენ პოლიტიკურ წყობილებას ევროპის ახალი საზოგადოებისათვის. ბურჟუაზიამ გაიმარჯვა ამ რევოლუციებში; მაგრამ ბურჟუაზიის გამარჯვება ნიშნავდა მაშინ ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებას, ბურჟუაზიული საკუთრების გამარჯვებას ფეოდალურზე, ერის გამარჯვებას პროვინციალიზმზე, გამარჯვებას კონკურენციისა — ამქრებზე, საკუთრების განაწილებისა — მაიორატზე, მესაკუთრისადმი მიწის დამორჩილებისა — მიწისა მესაკუთრის დამორჩილებაზე, განათლებისა — ცრუმორწმუნეობაზე, ოჯახისა — გვარზე, მრეწველობისა — გმირულ სიზარმაცეზე, ბურჟუაზიული სამართლისა — შუასაუკუნეობრივ პრივილეგიებზე. 1648 წლის რევოლუცია იყო მე-17 საუკუნის გამარჯვება მე-16 საუკუნეზე, 1789 წლის რევოლუცია იყო მე-18 საუკუნის გამარჯ-

ვება მე-17-ზე. ეს რევოლუციები მთელი იმდროინდელი მსოფლიოს მოთხოვნილებებს უფრო გამოხატავდნენ, ვიდრე სამყაროს იმ ნაწილებისას, სადაც ისინი მიმდინარეობდნენ, ე. ი. ინგლისისა და საფრანგეთისა.

პრუსიის მარტის რევოლუციაში მსგავსი არაფერი ყოფილა. — თუ თებერვლის რევოლუციამ გ ა ა უ ქ მ ა კონსტიტუციური მონარქია საქმით, ხოლო ბურჟუაზიის ბატონობა იდეაში, მარტის რევოლუციას პრუსიაში უნდა დ ა ე მ ყ ა რ ე ბ ი ნ ა კონსტიტუციური მონარქია იდეაში, და ბურჟუაზიის ბატონობა საქმით. მეტად დაშორებული იმას, რომ ყოფილიყო ე ვ რ ო პ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ა, იგი წარმოადგენდა ევროპის რევოლუციის მარტოოდენ უბადრუკ გამოძახილს ჩამორჩენილ ქვეყანაში. ნაცვლად იმისა, რომ წინ გაესწრო თავისი საუკუნისათვის, იგი ნახევარ საუკუნეზე მეტით ჩამორჩებოდა თავის ეპოქას. იგი იმთავითვე მ ე ო რ ა დ ი მოვლენა იყო, მაგრამ ცნობილია, რომ შებრუნებული ავადმყოფობანი უფრო ძნელად განსაკურნავია და ამავე დროს უფრო მეტად არღვევენ ორგანიზმს, ვიდრე პირველი დაავადება. საქმე ეხებოდა არა ახალი საზოგადოების შექმნას, არამედ ბერლინში იმ საზოგადოების აღდგენას, რომელიც პარიზში გარდაიცვალა. მარტის რევოლუცია პრუსიაში ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ც, გ ე რ მ ა ნ უ ლ ი ც კ ი არ ყოფილა. იგი იმთავითვე პროვინციალური, პრუსიული იყო. ვენის, კასელის, მიუნხენის და ყველა სხვა ჯურის პროვინციალური აჯანყებები მასთან ერთად მიმდინარეობდნენ და პირველობასაც ეცილებოდნენ მას.

იმ დროს, როდესაც 1648 და 1789 წლების რევოლუციები აღსავსე იყვნენ საკუთარი ღირსების უსაზღვრო გრძნობით, რადგანაც ისინი შემოქმედების გვირგვინს წარმოადგენდნენ, ბერლინელთა პატივმოყვარეობა 1848 წელს იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ანაქრონიზმს წარმოადგენდნენ. მათი შუქი ემსგავსებოდა შორეულ ვარსკვლავთა სინათლეს, რომელიც ჩვენამდე, დედამიწის მცხოვრებლებამდე, აღწევს მისი გამომსხივებელი ვარსკვლავის ჩაქრობიდან 100 000 წლის შემდეგ. მარტის რევოლუცია პრუსიაში წარმოადგენდა ასეთ მცირე, — როგორც საერთოდ ყოველივეს მცირე ზომით წარმოგვიდგენდა იგი, — ვარსკვლავს ევროპისათვის; მისი სინათლე იყო უკვე დიდი ხნის გახრწნილი საზოგადოების მიერ გამოსხივებული სინათლე.

გერმანული ბურჟუაზია ისე დუნედ, ისე ლაჩრულად და ნელა ვითარდებოდა, რომ, იმ მომენტში, როდესაც იგი მტრულად უპი-

რისპირდებოდა ფეოდალიზმსა და აბსოლუტიზმს, ასევე მტრულად დაპირისპირებული აღმოჩნდა პროლეტარიატისა და ქალაქის მოსახლეობის ყველა ფენის მიმართაც, რომელთა ინტერესები და იდეები პროლეტარიატს ენათესავებოდნენ. პრუსიის ბურჟუაზიამ არა მარტო მის უკან დაინახა მტრულად განწყობილი კლასი, არამედ თავის წინაშეც მთელი ევროპა. პრუსიის ბურჟუაზია არ ჰგავდა 1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიას, იგი არ იყო ისეთი კლასი, რომ მთელი ახალი საზოგადოების სახელით დაპირისპირებოდა ძველი საზოგადოების წარმომადგენლებს — მონარქიასა და თავადაზნაურობას. იგი რაღაც ისეთი წოდებაც დონემდე ჩამოქვეითდა, რომ განკერძოებული იყო გვირგვინისაგანაც და ხალხისაგანაც, ორივესადმი ოპოზიციურად იყო განწყობილი და ცალ-ცალკე თვითეული თავისი მტრის წინააღმდეგ გაუბედავად მოქმედებდა, რადგან ყოველთვის ორივეს ან ზურგში ხედავდა ან თავის წინაშე. იგი თავიდანვე მზად იყო ხალხისათვის ეღალატნა და ძველი საზოგადოების გვირგვინოსან წარმომადგენელს მორიგებოდა, რადგან იგი უკვე თვითონ ეკუთვნოდა ძველ საზოგადოებას. ბურჟუაზია ატარებდა არა ახალი საზოგადოების ინტერესებს ძველი საზოგადოების წინააღმდეგ, არამედ გაახლებულ ინტერესებს დრომოჭმულ საზოგადოებაში; მას ხელთ ეპყრა რევოლუციის საჭე, არა იმიტომ, რომ მის უკან ხალხი იდგა, არამედ იმიტომ, რომ ხალხი უბიძგებდა მას; იგი სათავეში იდგა არა როგორც ახალი საზოგადოებრივი ინიციატივის წარმომადგენელი, არამედ როგორც ძველი საზოგადოებრივი ეპოქის უკმაყოფილების გამომხატველი. ეს იყო ძველი სახელმწიფოს ქანი, რომელმაც თვითონ კი არ გაიკვლია გზა, არამედ რომელიც მიწისძვრამ ამოაგდო ახალი სახელმწიფოს ზედაპირზე. ურწმუნო თავისი თავის მიმართ, ურწმუნო ხალხის მიმართ, გაუბედავად მდრტვინავი მაღალი ფენის წინააღმდეგ და მძრწოლი დაბალი ფენის წინაშე, ეგოისტური როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ და თავისი ეგოიზმის შემგნები, რევოლუციური — კონსერვატორების მიმართ და კონსერვატიული რევოლუციონერების მიმართ, თავისი საკუთარი ლოზუნგებისადმი უნდობლობით გამჭვალული, ფრაზებით იდეების მაგიერ, მსოფლიო ქარიშხლით დამფრთხალი და ამავე ქარიშხლის ექსპლოატაციის გამწევი, — ყოველგვარ ენერგიას მოკლებული, პლაგიატი ყოველი მხრით, უხამსი, რადგან იგი არ იყო ორიგინალური, ხოლო ორიგინალური თავის უხამსობაში, — თავისი საკუთარი სურვილებით მოვაჭრე, უინიციატივო, ურწმუნო ხალხის

მიმართ, მსოფლიო-ისტორიულ მოწოდებას მოკლებული, —შეჩვენებული მოხუცი, რომელიც განწირულია თავისი ბებრული ინტერესების შესაბამისად წარმართოს და შერყვნას სიცოცხლით სავსე ხალხის პირველი ახალგაზრდული სწრაფვანი. ბრმა, ყრუ, უკბილო, ყოვლად დაძაბუნებული, — ასეთი აღმოჩნდა პრუსიის ბურჟუაზია, როდესაც ის, მარტის რევოლუციის შემდეგ, პრუსიის სახელმწიფოს სათავეში მოექცა.

დაწერილია კ. მარქსის მიერ 1848 წ. 11 დეკემბერს. დაბეჭდილია «Neue Rheinische Zeitung»-ში 1848 წ. 15 დეკემბერს ხელმოუწერლად.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით. თარგმანი გერმანულიდან.

კ. მ ა რ ქ ს ი

დაქირავებული შრომა და კაპიტალი

შესავალი ფ. ენგელსისა

წინამდებარე შრომა იბეჭდებოდა 1849 წლის 4 აპრილიდან «ახალ რაინის გაზეთში» [1] მთელი რიგი მოწინავე სტატიების სახით. მას საფუძვლად უდევს ის ლექციები, რომლებიც მ ა რ ქ ს მ ა 1847 წელს ბრიუსელის გერმანელ მუშათა კავშირში წაიკითხა. მისი ბეჭდვა არ დამთავრებულა; გაზეთის № 269-ში სტატიის დასასრულს ეწერა: «შემდეგი იქნებაო», მაგრამ ეს შეუსრულებელი დარჩა სწრაფად განვითარებული ამბების გამო: უნგრეთში რუსები შეიჭრნენ, დრეზდენსა, იზერლონსა, ელბერფელდსა, პფალცსა და ბადენში აჯანყება მოხდა; ამ ამბებმა თვით გაზეთის დახურვაც გამოიწვია (1849 წლის 19 მაისს). მარქსის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობაში ამ გაგრძელების ხელნაწერი არ აღმოჩნდა.

«დაქირავებული შრომა და კაპიტალი» რამდენიმეჯერ გამოიცა ცალკე ანაბეჭდად, ბროშურის სახით, უკანასკნელად — 1884 წ., ჰეტინგენ-ციურიხს, «შვეიცარიის კოოპერატიულ სტამბაში». ეს წინანდელი გამოცემები იძლეოდა ორიგინალის ზედმიწევნით სწორ ტექსტს. წინამდებარე ახალი გამოცემა, როგორც პროპაგანდისტული შრომა, უნდა გავრცელდეს არანაკლებ ათი ათასი ცალისა, და აი აქ ჩემს წინაშე დგება საკითხი, ცნობდა თუ არა თვით მარქსი მიზანშეწონილად ასეთ პირობებში ტექსტის უცვლელად გადმოღებას.

ორმოციან წლებში მარქსს ჯერ კიდევ არ ჰქონია დამთავრებული თავისი კრიტიკა პოლიტიკური ეკონომიისა. ეს მხოლოდ ორმოცდა-

[1] «Neue Rheinische Zeitung» — გამოდიოდა კელნში 1848 წლის 1 ივნისიდან 1849 წლის 19 აგვისტომდე. მისი მთავარი რედაქტორი იყო მარქსი. რ ე დ.

ათიან წლების ბოლოში მოხდა. ამიტომ ის ნაწერები, რომლებიც მისი შრომის «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» პირველი რვეულის გამოსვლამდე (1859 წ.) დაიბეჭდა, ცალკეულ პუნქტებში განსხვავდება იმ ნაწერებისაგან, რომლებიც 1859 წ. შემდეგ გამოქვეყნდა, და ამასთანავე ისეთ გამოთქმებსა და მთელ წინადადებებს შეიცავს, რომლებიც ახლა მრუდედ და შემცდარადაც გვეჩვენება. თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვეულებრივს, ფართო მკითხველ საზოგადოებისათვის დანიშნულ გამოცემებში ამ წინანდელ თვალსაზრისს, რომელიც ავტორის გონებრივი განვითარების ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს, თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, რომ როგორც ავტორს, ისე საზოგადოებას აუცილებლად უფლება აქვთ ამ ძველი ნაწერების უცვლელი გამოცემა იხილონ. მე სიზმარშიც არ მომივიდოდა აზრად, რომ ასეთ გამოცემისას აქ თუნდაც ერთი სიტყვა შემეცვალა.

სულ სხვაა, როცა ახალი გამოცემა მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდის მიზნებს უნდა ემსახუროს მუშათა წრეებში. ასეთ შემთხვევაში თვით მარქსი 1849 წელში დაბეჭდილ შრომას უსათუოდ თავის ახალ თვალსაზრისს შეუთანხმებდა. და მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი სურვილის მიხედვით ვმოქმედებ, რომ ამ გამოცემაში ცოტაოდენი ცვლილებები და დამატებები შემაქვს, რომლებიც აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად ყველა არსებით მუხლში. ამიტომ მკითხველს წინდაწინვე ვეუბნები: ეს ბროშურა არაა სავსებით ისეთი, როგორიც მარქსმა 1849 წელს დაწერა, არამედ ისეთია, როგორსაც იგი დაახლოებით 1891 წ. დაწერდა. ამას გარდა ნამდვილი დედანი იმდენ ეგზემპლარად გავრცელდა, რომ ის სრულიად საკმაოა, სანამ შესაძლებლობა მექნება მომავალ სრულ გამოცემაში მას კიდევ უცვლელად დავბეჭდავდე.

ჩემ მიერ შეტანილი ყველა ცვლილება ერთიდაიმავე მუხლის გარშემო ტრიალებს. დედნის მიხედვით მუშა ჰყიდის კაპიტალისტზე თავის შრომას და მის ნაცვლად ღებულობს ხელფასს. ახლანდელი ტექსტის მიხედვით კი ის ჰყიდის თავის სამუშაო ძალას. მე ვალდებული ვარ ეს ცვლილება განვმარტო. უნდა განვუმარტო ეს მუშებს, რათა მათ დაინახონ, რომ აქ სიტყვის უბრალო თამაში კი არ არის, არამედ საქმე შეეხება მთელი პოლიტიკური ეკონომიის ერთ უმნიშვნელოვანეს მუხლს. განმარტება უნდა მივცე ბურჟუებს, რათა ისინი დარწმუნდნენ, რომ გაუნათლებელი მუშები, რომელთათვისაც შეიძლება ძალიან ადვილად გასაგები გახადო უძნელესი ეკონომიური საკითხები, შეუდარებლად სჯობნიან

ჩვენს კადნიერ «განათლებულებს», რომელთათვის ეს რთული საკითხები მთელ სიცოცხლეში აუხსნელი რჩება.

კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ[1] სამრეწველო პრაქტიკიდან შეითვისა ფაბრიკანტის ზერელე წარმოდგენა, თითქო ის თავის მუშებისაგან ყიდულობდეს შ რ ო მ ა ს. ეს წარმოდგენა სრულიად საკმაო იყო ფაბრიკანტის წარმოების საჭიროებისათვის, ბუხჰალტერიისა და ფასების კალკულაციისათვის. მაგრამ, როცა ის გულუბრყვილოდ პოლიტიკურ ეკონომიაში გადაიტანეს, იქ უცნაური არევ-დარევა და შეცდომები გამოიწვია.

პოლიტიკურმა ეკონომიამ უპირველეს ყოვლისა შეამჩნია ის ფაქტი, რომ ყველა საქონლის ფასი და მათ შორის იმ საქონლის ფასიც, რომელსაც იგი «შრომას» უწოდებს, შეუჩერებლივ იცვლება. ფასები იზრდებიან და ეცემიან მრავალი გარემოების გამო, რომელსაც თვით საქონლის წარმოებასთან ხშირად არავითარი კავშირი არ აქვს, და ისინი ჩვეულებრივად თითქო წმინდა შემთხვევაზე არიან დამოკიდებული. როგორც კი ეკონომია მეცნიერებად[2] გადაიქცა, მისი უპირველესი ამოცანა გახდა გამონახვა იმ კანონისა, რომელიც ერთის შეხედვით თითქო იმალებოდა საქონლის ფასებზე გაბატონებული შემთხვევის უკან, ხოლო ნამდვილად კი თვით ამ შემთხვევას განაგებს. საქონლის ფასების მუდმივ რყევაში და ხან ზევით და ხან ქვევით მოძრაობაში იგი ეძებდა მტკიცე ცენტრს, რომლის გარშემოც ხდებოდა ეს აწევ-დაწევა და რყევა. ერთი სიტყვით, ის გამოდიოდა საქონლის ფ ა ს ე ბ ი დ ა ნ, რათა მათი მომწესრიგებელი კანონი მოეძებნა საქონლის ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ა შ ი, რომლითაც შეიძლებოდა ახსნა ფასის ყველა რყევისა და რომელზედაც შეიძლებოდა ბოლოს მათი დაყვანა.

და აი კლასიკურმა ეკონომიამ აღმოაჩინა, რომ საქონლის ღირებულება მასში მოქცეული და მისი წარმოებისათვის საჭირო

---

[1] «კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიად, — წერს მარქსი «კაპიტალში» — მე ვგულისხმობ მთელ იმ პოლიტიკურ ეკონომიას, რომელიც, დაწყებული უ. პეტით, იკვლევს ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობის შინაგან კავშირს, წინააღმდეგ ვულგარული ეკონომიისა». კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის უდიდესი წარმომადგენელნი ინგლისში იყვნენ ა. სმიტი და დ. რიკარდო. რ ე დ.

[2] პოლიტიკური ეკონომია, ამ ცნების ვიწრო გაგებით, რამდენიმე გენიოს ადამიანის თავში წარმოიშვა XVII საუკუნის დასასრულს, მაგრამ რადგან მისი პოზიტიური ჩამოყალიბება დემოკრატებისა და ადამ სმიტის წყალობით მოხდა, იგი მაინც არსებითად XVIII საუკუნის ქმნილებაა (ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1933, გვ. 120). — რ ე დ.

შრომით განისაზღვრება. იგი დაკმაყოფილდა ამ ახსნით, და ჩვენც შეგვიძლია ჯერჯერობით აქ შევჩერდეთ. მაგრამ მარტოოდენ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით უნდა განვაცხადო, რომ ეს ახსნა დღეს სრულებითაც არ არის საკმარისი. პირველად მხოლოდ მარქსმა გამოიკვლია საფუძვლიანად ღირებულების შემქმნელი შრომის თვისება და აღმოაჩინა, რომ არა ყოველი შრომა, რომელიც ერთი შეხედვით ანდა ნამდვილად აუცილებელია საქონლის წარმოებისათვის, უმატებს ყველა პირობებში ამ უკანასკნელს იმდენ ღირებულებას, რამდენიც დახარჯული შრომის რაოდენობას შეესაბამება. მაშასადამე, თუ დღეს ისეთ ეკონომისტებთან ერთად, როგორიც რიკარდოა, მოკლედ ვამბობთ, რომ საქონლის ღირებულება განისაზღვრება მის საწარმოებლად საჭირო აუცილებელი შრომით, ამ დროს ყოველთვის მარქსის მიერ გაკეთებულ შესწორებასაც ვგულისხმობთ. აქ ეს საკმარისია; ამ საგნის განხილვას მკითხველი უფრო ვრცლად იპოვის მარქსის «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» (1859 წ.) და «კაპიტალის» პირველ ტომში.

მაგრამ, როცა ეკონომისტებმა ღირებულების შრომით განსაზღვრა გამოიყენეს საქონელ «შრომაზე», ისინი მთელ რიგ წინააღმდეგობათა ქსელში გაებნენ. რითი განისაზღვრება «შრომის» ღირებულება? მასში მოქცეული აუცილებელი შრომით. მაგრამ რამდენი შრომაა მოქცეული მუშის ერთი დღის, ერთი კვირის, ერთი თვის, ერთი წლის შრომაში? ერთი დღის, ერთი კვირის, ერთი თვის, ერთი წლის შრომა. თუ შრომა ყველა ღირებულების საზომია, «შრომის ღირებულებაც» მხოლოდ შრომაში შეგვიძლია გაიზომოთ. მაგრამ ჩვენ სრულებით არაფერი არ ვიცით ერთი საათის შრომის ღირებულების შესახებ, თუ ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ის ერთი საათის შრომას უდრის. ამრიგად ეს ოდნავადაც არ გვაახლოებს მიზანს. მხოლოდ მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ.

მაშინ კლასიკური ეკონომია შეეცადა საკითხი ცოტათი შეებრუნებია; მან სთქვა: საქონლის ღირებულება უდრის მისი წარმოების ხარჯებს. მაგრამ რა არის შრომის წარმოების ხარჯები? რათა ამ კითხვაზე პასუხი გაეცათ, ეკონომისტებს მცირეოდენი ძალდატანება უნდა ეხმარათ ლოგიკის წინააღმდეგ. თვით შრომის წარმოების ხარჯების მაგივრად, რომელთა მოძებნა, სამწუხაროდ, შეუძლებელია, ისინი იკვლევდნენ მ უ შ ი ს საწარმოო ხარჯებს. ხოლო ამის გამორკვევა კი შესაძლებელია. ეს ხარჯები იცვლება დროსა და გარემოების მიხედვით, მაგრამ განსაზღვრული საზოგადოებრივი

მდგომარეობისა, განსაზღვრული ადგილისა, განსაზღვრული წარმოების დარგისთვის ისინიც განსაზღვრული არიან, ყოველ შემთხვევაში მოცემულ საკმაოდ ვიწრო ფარგლებში. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალისტური წარმოების ბატონობის ქვეშ: მოსახლეობის ერთ დიდ კლასს, რომელიც შეუჩერებლად იზრდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია არსებობა, თუ იგი იმუშავებს ხელფასის მიღების მიზნით წარმოების საშუალებების, ე. ი. იარაღების, მანქანების, ნედლი მასალის და საარსებო საშუალებათა მეპატრონეებისათვის. ამ წარმოების წესის საფუძველზე მუშის საწარმოო ხარჯები საარსებო საშუალებათა იმ ჯამს ანუ მათ იმ ფულად ფასს უდრის, რომელიც საშუალოდ საჭიროა იმისთვის, რომ ის შრომის უნარიანი გახდეს, რომ მან შრომის უნარი შეინარჩუნოს, ხოლო თუ დაავადმყოფდა, დაბერდა ან მოკვდა, სხვა მუშამ შეცვალოს; ერთი სიტყვით, მუშათა კლასის საჭირო რიცხვის არსებობა და გამრავლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს. წარმოვიდგინოთ, რომ ამ საარსებო საშუალებათა ფულადი ფასი საშუალოდ დღეში 3 მარკას უდრის.

ამგვარად, ჩვენი მუშა თავის დამქირავებელი კაპიტალისტისაგან ქირად 3 მარკას ღებულობს დღეში; ხოლო კაპიტალისტი ამისათვის მას, ვთქვათ, დღეში თორმეტ საათს ამუშავებს. ეს კაპიტალისტი დაახლოებით შემდეგნაირად ანგარიშობს:

დავუშვათ, რომ ჩვენი მუშა — მექანიკოს-ზეინკალი მანქანის ერთ ნაწილს ამზადებს დღეში. ნედლი მასალა — რკინა და თითბერი — აუცილებელი წინასწარმომზადებული სახით — 20 მარკა ღირს. ორთქლის მანქანის მიერ დახარჯული ნახშირი, გაცვეთა თვით ამ მანქანისა, დაზგისა და სხვა იარაღებისა, რომლებითაც მუშაობს ჩვენი მუშა, დღეში ერთი მარკის ღირებულებას წარმოადგენს, ერთი დღის ხელფასი, ჩვენი ვარაუდით, 3 მარკას უდრის. მაშასადამე, მანქანის ნაწილი მთლიანად 24 მარკა ჯდება. მაგრამ კაპიტალისტი ანგარიშობს, რომ მასში თავისი მუშტრისაგან საშუალოდ 27 მარკას მიიღებს, ე. ი. გაწეულ ხარჯზე 3 მარკით მეტს.

საიდან წარმოდგება ეს 3 მარკა, რომელსაც კაპიტალისტი იჯიბავს? კლასიკური ეკონომია ამტკიცებს: საქონელი საშუალოდ მისი ღირებულების მიხედვით იყიდება, ე. ი. იმ ფასად, რომელიც ამ საქონელში მოთავსებულ აუცილებელ შრომის რაოდენობას შეესაბამება. ამრიგად, ჩვენი მანქანის ნაწილის საშუალო ფასი (27 მარკა) მისი ღირებულების თანაბარი, მასში მოქცეული შრომის თანა-

ბარი იქნებოდა. მაგრამ ამ 27 მარკიდან 21 მარკა წარმოადგენს იმ ღირებულებას, რომელიც უკვე არსებობდა, სანამ ჩვენი მემანქანე-ზეინკალი დაიწყებდა მუშაობას. 20 მარკა მოქცეულია ნედლ მასალაში, 1 მარკაც იმ ნახშირში, რომელიც მუშაობის დროს დაიწვა, ან იმ მანქანებსა და იარაღებში, რომელნიც ამ დროის განმავლობაში მოხმარებულ იქნენ და რომელთა მოქმედების უნარიანობა შემცირდა აღნიშნული ღირებულების ოდენობით. რჩება 6 მარკა, რომელიც ნედლი მასალის ღირებულებას მიემატა. მაგრამ ეს 6 მარკა ჩვენი ეკონომისტების მიხედვით შეიძლება წარმომდგარიყო მხოლოდ იმ შრომიდან, რომელიც ჩვენმა მუშამ ნედლ მასალას მიუმატა. ამრიგად, მისმა თორმეტი საათის შრომამ შექმნა ახალი ღირებულება, 6 მარკის თანაბარი. მაშასადამე, მისი თორმეტი საათის შრომის ღირებულება 6 მარკის თანაბარი იქნებოდა, და ამგვარად, ჩვენ, ბოლოს, აღმოვაჩენდით, თუ რა არის «შრომის ღირებულება».

«შესდეგ!» — იძახის ჩვენი მექანიკოს-ზეინკალი. — «ექვსი მარკა? მე ხომ მხოლოდ სამი მარკა მივიღე! ჩემი კაპიტალისტი ფიცულობს, რომ ჩემი თორმეტი საათის მუშაობის ღირებულება სამი მარკაა, და სასაცილოდ ამიგდებს, თუ ექვსი მარკა მოვთხოვე. როგორ უნდა შევათანხმოთ ეს?»

თუ წინათ ჩვენ შრომის ღირებულებით მოჯადოებულ წრეში შევედით, ახლა პირდაპირ გადაუჭრელ წინააღმდეგობათა ხლართში ვვარდებით. შრომის ღირებულებას ვეძებდით და იმაზე მეტი ვიპოვეთ, რაც გვესაჭიროებოდა. მუშისთვის 12-საათიანი შრომის ღირებულება სამი მარკაა, კაპიტალისტისთვის კი ექვსი მარკა, საიდანაც სამ მარკას მუშას აძლევს ხელფასის სახით, ხოლო სამს ჯიბეში იდებს. ასე რომ შრომას ერთი კი არა, ორი და მასთანავე სრულიად განსხვავებული ღირებულება ჰქონია!

წინააღმდეგობა კიდევ უფრო უაზრო გახდება, თუ ფულში გამოხატულ ღირებულებას სამუშაო დროში გამოვხატავთ. შრომა თორმეტი საათის განმავლობაში ექვსი მარკის ახალ ღირებულებას ქმნის. მაშასადამე ექვს საათში შექმნის სამ მარკას, ე. ი. იმ თანხას, რომელსაც მუშა თორმეტი საათის შრომისათვის იღებს. თორმეტი საათის შრომისათვის მუშა, ექვივალენტის სახით, ექვსი საათის შრომის ნაწარმოებს ღებულობს. ამრიგად, ორში ერთი: ან შრომას ორი ღირებულება ჰქონია და ერთი მათგანი ორჯერ მეტია მეორეზე, ანდა თორმეტი უდრის ექვსს! ორივე შემთხვევაში სრული უაზრობა გამოდის.

რამდენიც არ უნდა ვიტრიალოთ და ვიხტუნოთ, ჩვენ ამ წინააღმდეგობას თავს ვერ დავაღწევთ, სანამ ლაპარაკი გვექნება შრომის ყიდვა-გაყიდვასა და შრომის ღირებულებაზე. ასე დაემართათ ეკონომისტებსაც. კლასიკური ეკონომიის უკანასკნელი შტო, რიკარდოს სკოლა, უმთავრესად ამ წინააღმდეგობის გადაუჭრელობის წყალობით დამარცხდა. კლასიკური ეკონომია ჩიხში მოექცა. ადამიანი, რომელმაც გამოსავალი გზა უჩვენა ამ ჩიხიდან, კარლ მარქსი იყო.

ის, რასაც ეკონომისტები «შრომის» საწარმოო ხარჯებად თვლიდნენ, იყო საწარმოო ხარჯები არა შრომისა, არამედ თვით ცოცხალი მუშისა. ის, რასაც მუშა კაპიტალისტზე ჰყიდდა, მისი შრომა როდი იყო. «როგორც კი მუშის შრომა ნამდვილად იწყება, — ამბობს მარქსი, — იგი მას აღარ ეკუთვნის და, მაშასადამე, აღარც შეუძლია გაჰყიდოს». ასე რომ მას, უკეთეს შემთხვევაში, შეუძლია თავისი მ ო მ ა ვ ა ლ ი შრომა გაჰყიდოს, ე. ი. ვალდებულება იკისროს, რომ განსაზღვრულ დროში განსაზღვრულ მუშაობას შეასრულებს. მაგრამ ამით იგი თავის შრომას კი არ ჰყიდის (რომელიც უნდა დაიწყოს მხოლოდ მომავალში), არამედ კაპიტალისტს განსაზღვრული დროთი (დღიური ხელფასის დროს), ან განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად (სანაჭრო ხელფასის დროს) თავის სამუშაო ძალას აძლევს. ის აქირავებს ანუ ჰყიდის თავის ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ა ს. სამუშაო ძალა კი მის პიროვნებასთან არის შედუღებული და მისგან გამოყოფა შეუძლებელია. ამიტომ სამუშაო ძალისა და მისი პიროვნების საწარმოო ხარჯები ერთიდაიგივეა; ის, რასაც ეკონომისტები შრომის წარმოების ხარჯებს უწოდებენ, ნამდვილად სწორედ მუშისა და მისი სამუშაო ძალის საწარმოო ხარჯებია. ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია სამუშაო ძალის საწარმოო ხარჯებიდან სამუშაო ძალის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე გადავიდეთ და გამოვარკვიოთ, თუ რამდენი საზოგადოებრივად აუცილებელი შრომაა საჭირო განსაზღვრული თვისების სამუშაო ძალის აღსადგენად, როგორც ეს მარქსმა მოიმოქმედა იმ განყოფილებაში, რომელიც სამუშაო ძალის ყიდვასა და გაყიდვას შეეხება («კაპიტალი», ტომი I, განყოფილება 3, თავი 4).

რაღა ხდება მაშინ, როცა მუშა კაპიტალისტზე თავის სამუშაო ძალას ყიდის, ე. ი. მის განკარგულებაში გადასცემს მას წინდაწინვე შეთანხმებული ხელფასის მიხედვით, დღიური იქნება ის თუ სანაჭრო? კაპიტალისტს მიჰყავს მუშა თავის სახელოსნოსა ან ფაბრიკაში,

სადაც ყველა საჭირო საგანი მოიპოვება: ნედლი მასალა, დამხმარე მასალა (ნახშირი, საღებავები და სხვ.), იარაღები, მანქანები. აქ მუშა სამუშაოს ჰკიდებს ხელს. მისი დღიური ხელფასი, როგორც ვთქვით, სამ მარკას უდრის; ამასთანავე სულერთია, დღიურად მუშაობს იგი თუ ნაჭრობით. ჩვენ ვგულისხმობთ აგრეთვე იმასაც, რომ მუშა თორმეტი საათის განმავლობაში გამოყენებულ ნედლ მასალას 6 მარკის ახალ ღირებულებას უმატებს, რომელსაც კაპიტალისტი დამზადებული ნაწარმოების გაყიდვის დროს ანაღდებს. აქედან მუშას მის სამ მარკას აძლევს, ხოლო დანარჩენ სამ მარკას თვითონ ინარჩუნებს. ხოლო თუ მუშა თორმეტი საათის განმავლობაში 6 მარკის ღირებულებას ქმნის, ექვს საათში 3 მარკისას შექმნის. მაშასადამე, გამოდის, რომ მან კაპიტალისტს ექვსი საათის განმავლობაში კიდეც აუნაზღაურა ღირებულება, რომელიც უდრის სამ მარკას, ე. ი. ხელფასს. ექვსი საათის მუშაობის შემდეგ მუშა და კაპიტალისტი გაქვითული არიან, ერთიმეორესი გროშიც აღარ მართებთ.

«შესდეგ!» — იძახის ახლა კაპიტალისტი. — «მე მუშა მთელი დღით, თორმეტი საათით, ვიქირავე. ექვსი საათი მხოლოდ ნახევარი დღეა. მაშ, კიდევ იმუშავე, სანამ მეორე ექვსი საათიც არ გავა, მხოლოდ მაშინ ვიქნებით გაქვითული!»

და მუშა მართლაც იძულებულია თავის «ნებაყოფლობით» დადებული ხელშეკრულება შეასრულოს, რომლის მიხედვითაც მან ვალდებულება აიღო შრომის პროდუქტისათვის, რომელიც ექვსი სამუშაო საათი ღირს, სრული თორმეტი იმუშაოს.

ნაჭრობით მუშაობის დროს პირდაპირ ასე ხდება. დავუშვათ, რომ ჩვენი მუშა თორმეტ საათში თორმეტ ნაჭერ საქონელს ამზადებს. თვითეული ნაჭერი, ნედლი მასალის ხარჯებისა და მანქანების გაცვეთის ჩათვლით, 2 მარკა ჯდება, ხოლო იყიდება 2½ მარკად. მაშასადამე, ამ შემთხვევაში კაპიტალისტი მუშას ნაჭერში 25 პფენიგს აძლევს, რაც თორმეტ ნაჭერზე სამ მარკას შეადგენს, რის მისაღებადაც მუშას თორმეტი საათი ჭირდება. კაპიტალისტი თორმეტ ნაჭერს 30 მარკად ჰყიდის. თუ 24 მარკა მანქანების გაცვეთის და ნედლი მასალის ხარჯად გამოვედით, 6 მარკა დაგვრჩება, საიდანაც კაპიტალისტი 3 მარკას მუშას მისცემს, ხოლო 3 მარკას ჯიბეში ჩაიდებს, სწორედ ისევე, როგორც ზევით იყო. აქაც მუშა ექვს საათს თავისთვის მუშაობს, ე. ი. თავის ხელფასს ანაზღაურებს (თვითეულ საათში ნახევარ საათს), ხოლო ექვს საათს კაპიტალისტისთვის.

ის სიძნელე, რომელზედაც საუკეთესო ეკონომისტები მარცხდებოდნენ, სანამ «შრომის» ღირებულებიდან გამოდიოდნენ, მაშინვე ქრება, როგორც კი მის ადგილას გამოსავალ წერტილად «სამუშაო ძ ა ლ ი ს» ღირებულებას მივიღებთ. ჩვენს თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში სამუშაო ძალა ისეთივე საქონელია, როგორც ყოველი სხვა საქონელი, თუმცა იგი მაინც განსაკუთრებული საქონელია: სახელდობრ, მას აქვს განსაკუთრებული თვისება, ღირებულების შემქმნელი ძალა. იგი ღირებულების წყაროა და სათანადო გამოყენებაა საჭირო, რომ მეტი ღირებულება შექმნას, ვიდრე თვით მას აქვს. წარმოების დღევანდელ პირობებში ადამიანის სამუშაო ძალა ერთი დღის განმავლობაში არა მარტო მეტ ღირებულებას ქმნის, ვიდრე თვით მას აქვს, და ვიდრე იგი ღირს; ყოველი ახალი მეცნიერული აღმოჩენა, ყოველი ახალი ტექნიკური გამოგონება ზრდის ამ მისი დღიური ნაწარმოების სიჭარბეს სამუშაო ძალის აღსადგენ ხარჯებთან შედარებით, ამცირებს სამუშაო დღის იმ ნაწილს, რომლის განმავლობაში მუშა თავისი დღიური ხელფასის სანაზღაუროს ქმნის, და აგრძელებს იმ ნაწილს, რომლის განმავლობაში მან კაპიტალისტს თავისი შრომა უნდა ა ჩ უ ქ ო ს, ისე რომ არავითარი სანაზღაურო არ მიიღოს.

და ეს არის მთელი ჩვენი დღევანდელი საზოგადოების ეკონომიური წესწყობილება. მხოლოდ მუშათა კლასი ქმნის ყოველგვარ ღირებულებას. ვინაიდან ღირებულება მხოლოდ სხვა გამოთქმაა შრომის გამოსახატავად, ის გამოთქმა, რომლის შემწეობით ჩვენს დღევანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ამა თუ იმ საქონელში მოთავსებული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობა იხატება. მაგრამ მუშების მიერ შექმნილი ღირებულება მუშებს როდი ეკუთვნის. ის ეკუთვნის ნედლი მასალის, მანქანების და იარაღებისა და თავისუფალი თანხების პატრონებს, რაც საშუალებას აძლევს ამ მესაკუთრეებს იყიდონ მუშათა კლასის სამუშაო ძალა. ამრიგად, მის მიერ შექმნილ ნაწარმოებთა მასიდან მუშათა კლასი მხოლოდ ერთ ნაწილს ღებულობს. და როგორც ზემოთ დავინახეთ, მეორე ნაწილი, რომელსაც კაპიტალისტების კლასი თავისთვის ინარჩუნებს და, უკიდურეს შემთხვევაში, მემამულეების კლასს უნაწილებს, ყოველი ახალი გამოგონებისა და აღმოჩენის წყალობით იზრდება, მაშინ როცა მუშათა კლასის კუთვნილი ნაწილი (თუ სულზე ვიანგარიშებთ) ან მეტად ნელა და უმნიშვნელოდ იზრდება, ან სულაც არ იზრდება და განსაზღვრულ პირობებში შეიძლება კიდეც შემცირდეს.

მაგრამ ეს აღმოჩენანი და გამოგონებანი, რომელნიც სულ უფრო აჩქარებულად იკავებენ ერთიმეორის ადგილს, ადამიანის შრომის ეს დღემდე წარმოუდგენელი ნაყოფიერება ბოლოს ისეთ კონფლიქტს ქმნის, რომ დღევანდელი კაპიტალისტური მეურნეობა უნდა დაემხოს. ერთი მხრით ვხედავთ განუზომელ სიმდიდრეს და სიჭარბეს პროდუქტთა, რომელთაც მყიდველები ვერც კი ერევიან. მეორე მხრით საზოგადოების დიდი ნაწილი პროლეტარდება, დაქირავებულ მუშებად იქცევა და სწორედ ამიტომ ჰკარგავს შესაძლებლობას ეს უამრავი პროდუქტი შეიძინოს. ხდება საზოგადოების დაყოფა ორ ნაწილად: ერთი, პატარა ნაწილი, არაჩვეულებრივად მდიდარია, ხოლო მეორე, დიდი ნაწილი, არაფრის მქონე დაქირავებული მუშების კლასს წარმოადგენს; ეს საზოგადოება საკუთარ ნივთიერ სიჭარბის გამო იხრჩობა მაშინ, როცა მისი წევრების უმრავლესობა მხოლოდ ოდნავად არის ან სავსებით არ არის დაცული უკიდურესი გაჭირვებისაგან. ასეთი მდგომარეობა თანდათან უფრო უაზრო და ზედმეტი ხდება. იგი უნდა მოისპოს, იგი შ ე - ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მოისპოს. შესაძლებელია ახალი საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელშიც დღევანდელი კლასობრივი განსხვავება გაქრება, და სადაც — შესაძლოა მოკლე, ცოტა არ იყოს შეჭირვებულ, მაგრამ ზნეობრივად მეტად სასარგებლო გარდამავალი ხანის შემდეგ — ადამიანები გეგმის მიხედვით გამოიყენებენ და განავითარებენ უკვე არსებული საზოგადოების ყველა წევრთა უზარმაზარ საწარმოო ძალებს; ასე რომ, თუ მუშაობა საზოგადოების ყველა წევრისთვის სავალდებულო იქნება, სამაგიეროდ ყველას თანასწორად და თანდათანობით გადიდებული რაოდენობით მიეცემა საშუალება ცხოვრებისა, დატკბობისა, ხორციელი და სულიერი ნიჭის განვითარებისა და ამოძრავებისათვის. ხოლო იმის მოწმობას, რომ მუშებს გადაწყვეტილი აქვთ ეს ახალი წესწყობილება ბრძოლით მოიპოვონ, ოკეანის ორივე ნაპირზე ხვალინდელი პირველი მაისი და კვირა-დღე, 3 მაისი მოგვცემს [1].

ფრიდრიხ ენგელსი

ლონდონი, 1891 წ. 30 აპრილი.
დაწერილია ფ. ენგელსის მიერ 1891 წელს ბერლინში გამოსულ კ. მარქსის შრომას «დაქირავებული შრომა და კაპიტალი»-ს ცალკე გამოცემისათვის.

იბეჭდება 1891 წელს გამოცემული ტექსტის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან.

---

[1] ინგლისის ტრედ-უნიონები დღესასწაულობდნენ საერთაშორისო პროლეტარიატის დღეს პირველი მაისის შემდგომ უახლოეს კვირას, რომელიც 1891 წელს 3 მაისს დაემთხვა. რ ე დ.

დაქირავებული შრომა და კაპიტალი

I

სხვადასხვა მხრიდან გვისაყვედურეს, რომ ჩვენ არ დავხატეთ ის ეკონომიური დამოკიდებულებანი, რომელნიც თანამედროვე კლასობრივი და ეროვნული ბრძოლის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენენ. ჩვენ ეს დამოკიდებულებანი გეგმაშეწონილად მხოლოდ იქ აღვნიშნეთ, სადაც ისინი უშუალოდ პოლიტიკურ შეხლა-შემოხლაში ისახებოდნენ.

უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო, რომ ყოველდღიურ კლასთა ბრძოლისათვის თვალი გვედევნებია. მიმდინარე ისტორიაში და არსებული და ყოველდღიურად ახლად შექმნილი ისტორიული მასალით ემპირიულად დაგვემტკიცებია, რომ იმ მუშათა კლასის დამორჩილებასთან ერთად, რომელმაც თებერვლის და მარტის [1] რევოლუციები მოაწყო, მისი მოწინააღმდეგენიც დამარცხდნენ — ბურჟუაზიული რესპუბლიკელები საფრანგეთში, ფეოდალური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ბურჟუაზიული და გლეხური კლასები ევროპის კონტინენტზე; რომ «პატიოსანი რესპუბლიკის» გამარჯვება საფრანგეთში ამავე დროს იმ ერთა დამარცხება იყო, რომლებმაც თებერვლის რევოლუციას უპასუხეს დამოუკიდებლობისათვის გმირული განმათავისუფლებელი ომებით; რომ, დაბოლოს, ევროპა რევოლუციური მუშების დამარცხების გამო ჩავარდა ძველ ორმაგ მონობაში, ინგლის-რუსეთის მონობაში. ივნისის ბრძოლა პარიზში, ვენის დაცემა, 1848 წლის ნოემბრის ტრაგიკომედია ბერლინში, პოლონეთისა, იტალიისა და უნგრეთის სასოწარკვეთილი თავგანწირულება, ირლანდიის დამშევა — აი მთავარი

[1] ე. ი. 1848 წ. 23 — 24 თებერვლის რევოლუცია პარიზში, 13 მარტისა — ვენაში და 18 მარტისა — ბერლინში. რ ე ღ.

მომენტები, რომელშიც მკვეთრად გამოიხატა ევროპის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის; ამ მომენტების მიხედვით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ყოველი რევოლუციური აჯანყება, რარიგ დაშორებულიც არ უნდა იყოს მისი მიზანი გარეგნულად კლასთა ბრძოლას, აუცილებლად უნდა დამარცხდეს, სანამ რევოლუციური მუშათა კლასი არ გაიმარჯვებს; რომ ყოველი სოციალური რეფორმა უტოპიად რჩება, სანამ პროლეტარული რევოლუცია და ფეოდალური კონტრრევოლუცია მსოფლიო ომში ერთმანეთს იარაღით არ გამოცდიან. ჩვენ გადმოცემაში ისევე, როგორც სინამდვილეში, ბელგია და შვეიცარია ტრაგიკომიკური კარიკატურული ჟანრის სურათები იყო დიდი ისტორიული მხატვრობის ფონზე; პირველი მათგანი ბურჟუაზიული მონარქიის სანიმუშო სახელმწიფოს წარმოადგენდა, ხოლო მეორე — ბურჟუაზიული რესპუბლიკისას; ორივე ამ სახელმწიფოს წარმოდგენილი ჰქონდა, რომ დამოუკიდებელი ვარ როგორც კლასთა ბრძოლისა, ისე ევროპის რევოლუციისაგანო.

ახლა, როდესაც მკითხველმა დაინახა, თუ როგორ უზარმაზარ პოლიტიკურ ფორმებში განვითარდა 1848 წ. კლასთა ბრძოლა, დროა უფრო ახლო განვიხილოთ ის ეკონომიური დამოკიდებულებანი, რომლებზედაც დამყარებულია როგორც ბურჟუაზიის არსებობა და მისი კლასობრივი ბატონობა, ისე მუშების მონობა.

ჩვენ სამ დიდ განყოფილებაში გადმოვცემთ: 1) დაქირავებული შრომის დამოკიდებულებას კაპიტალთან, მუშის მონობას, კაპიტალისტის ბატონობას; 2) საშუალო ბურჟუაზიული კლასებისა და ე. წ. გლეხური წოდების დაღუპვის აუცილებლობას ახლანდელ სისტემის დროს; 3) ევროპის სხვადასხვა ერის ბურჟუაზიული კლასების კომერციულად დამორჩილებას და ექსპლოატირებას მსოფლიო ბაზრის დესპოტის — ინგლისის მიერ.

შევეცდებით ჩვენი აზრი რაც შეიძლება მარტივად და პოპულარულად გადმოვცეთ და პოლიტიკური ეკონომიის თვით ელემენტარული ცნებანიც კი განვმარტოთ. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი გადმოცემა მუშებისათვის გასაგები იყოს. ამას გარდა გერმანიაში ყველაზე მარტივ ეკონომიურ ურთიერთობათა შესახებ გასაოცარი უმეცრება და ცნებათა არევდარევა მეფობს. და ეს ყველას ეტყობა არსებული წესწყობილების პატენტიან დამცველებიდან სო-

ციალისტურ ჯადოქრებსა და საეჭვო პოლიტიკურ-გენიოსებამდე, რომლებითაც დაქსაქსული გერმანია უფრო მდიდარია, ვიდრე ქვეყნის ჭირისუფლებით.

ამრიგად, უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ პირველი საკითხი: რა არის ხელფასი, რით განისაზღვრება იგი?

მუშებს რომ ვკითხოთ: «როგორია თქვენი ხელფასი?», ერთი მათგანი გიპასუხებს: «მე სამუშაო დღეში ერთ მარკას ვღებულობ ჩემი ბურჟუასაგან»; მეორე გეტყვის: «მე ორ მარკას ვღებულობ» და სხვ. შრომის სხვადასხვა დარგის მიხედვით, სადაც ისინი მუშაობენ, სხვადასხვა რაოდენობის თანხას დაგვისახელებენ, რომელსაც ისინი ღებულობენ თავიანთ ბურჟუასაგან განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის, მაგალითად, ერთი არშინი ტილოს მოქსოვისა ან ერთი საბეჭდი ფურცლის აწყობისათვის. მიუხედავად მათ მიერ მოცემული ცნობების სხვადასხვაობისა, ისინი ყველანი ერთ მუხლში შეთანხმებული იქნებიან: ხელფასი ფულის ის თანხაა, რომელსაც იხდის ბურჟუა განსაზღვრული სამუშაო დროსა ანუ განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის.

ამრიგად, ბურჟუა თითქოს მათ შრომას ფულით ყიდულობს, ხოლო მუშები თავიანთ შრომას ფულზე ყიდიან. მაგრამ ეს უბრალო მოჩვენებაა. ის, რასაც ისინი სინამდვილეში ყიდიან კაპიტალისტზე ფულად, არის მათი სამუშაო ძალა. კაპიტალისტი ყიდულობს სამუშაო ძალას ერთი დღით, ერთი კვირით, ერთი თვით და სხვ. ყიდვის შემდეგ ხმარობს მას, ე. ი. აიძულებს მუშებს დაწესებული დროის განმავლობაში იმუშაონ. ფულის ამავე თანხით, რომლითაც ბურჟუამ მათი შრომა, სამუშაო ძალა, იყიდა, მაგალითად, ორ მარკად, მას შეეძლო ეყიდა 2 გირვანქა შაქარი ან სხვა რაიმე საქონელი. 2 მარკა, რომლითაც მან ორი გირვანქა შაქარი იყიდა, არის 2 გირვანქა შაქრის ფასი. 2 მარკა, რომლითაც მან თორმეტი საათით სამუშაო ძალის მოხმარება იყიდა, არის თორმეტი საათის შრომის ფასი. ამრიგად, სამუშაო ძალა ისეთივე საქონელია, როგორც შაქარი და მეტი არაფერი. პირველს ზომავენ საათით, ხოლო მეორეს სასწორით.

მუშები თავიანთ საქონელს — სამუშაო ძალას — ცვლიან კაპიტალისტის საქონელზე, ფულზე. ამასთანავე ეს გაცვლა ხდება გარკვეული პროპორციით: ამდენი ფული სამუშაო ძალის ამდენი ხნის მოხმარებაში. თორმეტი საათის ქსოვაში — 2 მარკა. და განა ეს ორი მარკა არ წარმოადგენს ყველა იმ საქონელს, რომლებიც 2 მარკად შემიძლია ვიყიდო? მაშასადამე, ნამდვილად მუშამ საქონელი, სა-

მუშაო ძალა, სხვადასხვაგვარ საქონელში გასცვალა განსაზღვრული პროპორციით. როდესაც ბურჟუამ მას 2 მარკა მისცა, ეს იმას ნიშნავს, რომ სამუშაო დღის ნაცვლად ამდენი ხორცი, ამდენი ტანისამოსი, ამდენი შეშა, სინათლე და სხვ. მისცა. ამრიგად, 2 მარკა გამოხატავს პროპორციას, რომელშიაც სამუშაო ძალა იცვლება სხვა საქონელზე, ე. ი. სამუშაო ძალის ს ა ც ვ ლ ე ლ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს. საქონლის საცვლელ ღირებულებას, რომელიც გამოხატულია ფ უ ლ შ ი, ჰქვია ფ ა ს ი. ამრიგად, შ რ ო მ ი ს ხ ე ლ ფ ა ს ი მხოლოდ განსაკუთრებული სახელწოდებაა სამუშაო ძალის ფასისა, რომელსაც ჩვეულებრივ შ რ ო მ ი ს ფ ა ს ს უწოდებენ, იმ თავისებური საქონლის ფასისა, რომელსაც არა აქვს სხვა ჭურჭელი, გარდა ადამიანის ხორცისა და სისხლისა.

ავიღოთ რომელიმე მუშა, მაგალითად, ფეიქარი. ბურჟუა მას აწვდის საქსოვ დაზგას და ნართს. ფეიქარი იწყებს მუშაობას და ნართისაგან გამოდის ტილო. ბურჟუა ეპატრონება ამ ტილოს და ყიდის, მაგალითად, 20 მარკად. განა ფეიქრის შრომის ხელფასი ტილოს ნაჭერის, 20 მარკის, მისი შრომის პროდუქტის ნ ა წ ი ლ ი ა? სრულიადაც არა. გაცილებით ადრე, სანამ ტილო გაიყიდებოდა, შეიძლება გაცილებით ადრე, სანამ იგი მომზადდებოდა, ფეიქარმა უკვე მიიღო თავისი ხელფასი. მაშასადამე, კაპიტალისტი იხდის ამ ხელფასს არა იმ ფულიდან, რომელსაც ტილოს გაყიდვით მიიღებს, არამედ სათადარიგო ფულიდან. როგორც საქსოვი დაზგა და ნართი არ არის პროდუქტი ფეიქრისა, რომელსაც ესენი ბურჟუამ მიაწოდა, მისი პროდუქტი არაა არც ის საქონელი, რომელსაც იგი ღებულობს თავისი საქონლის, სამუშაო ძალის გაცვლაში. შესაძლებელია, ბურჟუამ სრულიად ვერ იპოვოს მყიდველი თავის ტილოსათვის. შესაძლებელია მისი გაყიდვით შრომის ხელფასიც ვერ გაინაღდოს. შესაძლებელია ფეიქრის ხელფასთან შეფარდებით, კარგი მოგებითაც გაყიდოს. ყოველივე ეს ფეიქარს სრულებითაც არ ეხება. კაპიტალისტი თავისი ნაღდი ქონების, თავისი კაპიტალის ერთი ნაწილით ყიდულობს ფეიქრის სამუშაო ძალას სწორედ ისე, როგორც თავისი ქონების მეორე ნაწილით ნედლ მასალას — ნართს და სამუშაო იარაღს, საქსოვ დაზგას ყიდულობს. იყიდა რა ესენი, — და მათ რიცხვში კი შედის ტილოს წარმოებისათვის აუცილებელი საჭირო სამუშაო ძალა, — იგი იწყებს წარმოებას მხოლოდ მისდამი კუთვნილი ნ ე დ ლ ი მ ა ს ა ლ ი თ და შ რ ო მ ი ს ი ა რ ა ღ ე ბ ი თ. რასაკვირველია, ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე ჩვენი კარგი ნაცნობი ფეიქარიც, რომელსაც პროდუქტში ან პრო-

დუქტის ფასში ისევე ნაკლებად აქვს წილი, როგორც საქსოვ დაზგას.

ამრიგად, ხელფასი არ არის მუშის წილი მის მიერ ნაწარმოებ საქონელში. ხელფასი უკვე არსებული საქონლის ნაწილია, რომლითაც კაპიტალისტი თავისთვის ყიდულობს მწარმოებელი სამუშაო ძალის განსაზღვრულ რაოდენობას.

მაშასადამე, სამუშაო ძალა არის საქონელი, რომელსაც მისი პატრონი, დაქირავებული მუშა, კაპიტალზე ყიდის. რატომ ყიდის მუშა მას? — რათა იცხოვროს.

მაგრამ სამუშაო ძალის მოქმედება, შრომა, არის მუშის საკუთარი სასიცოცხლო მოქმედება, მისი საკუთარი სიცოცხლის გამოაშკარავება. და იგი ამ სასიცოცხლო მოქმედებას ყიდის, რათა აუცილებელი საარსებო საშუალებანი შეიძინოს. მაშასადამე, მისი სასიცოცხლო მოქმედება მისთვის მხოლოდ საშუალებაა, რომელიც შეძლებას აძლევს მას იარსებოს. იგი მუშაობს, რათა იცხოვროს. შრომას იგი არც კი თვლის თავის სიცოცხლედ; უფრო შეიძლება ითქვას, რომ შრომა მისთვის სიცოცხლის განწირვას ნიშნავს. ეს არის საქონელი, რომელიც მან სხვას მიყიდა. ამიტომაც მისი მოქმედების პროდუქტი არ არის მისი მოქმედების მიზანი. . იგი თავისთვის აწარმოებს არა აბრეშუმს, რომელსაც ქსოვს, არა ოქროს, რომელსაც მადნიდან იღებს, არა სასახლეს, რომელსაც აშენებს. იგი თავისთვის აწარმოებს ხელფასს, ხოლო აბრეშუმი, ოქრო, სასახლე მისთვის იქცევა საარსებო საშუალებათა განსაზღვრულ რაოდენობად, შეიძლება ჩითის პერანგის, სპილენძის ვროშის ან სარდაფის ოთახის სახით. განა მუშას, რომელიც თორმეტი საათის განმავლობაში რთავს, ქსოვს, ბურღავს, ბორბალს ატრიალებს, სახლს აშენებს, მიწას თხრის, ქვას ამტვრევს, ტვირთს ზიდავს და სხვ. — ეს თორმეტი საათის რთვა, ქსოვა, ბურღვა, ბორბლის ტრიალი, სახლის შენება, მიწის თხრა, ქვის მტვრევა, ტვირთის ზიდვა თავისი სიცოცხლის გამოაშკარავებად, სიცოცხლედ მიაჩნია? პირიქით. ცხოვრება მისთვის იქ იწყება, სადაც ეს მოქმედება წყდება, ე. ი. სუფრასთან, სამიკიტნოს დახლთან, ლოგინში. თორმეტი საათის შრომას მისთვის აზრი აქვს არა როგორც ქსოვას, რთვას, ბურღვას და სხვ., არამედ როგორც შემოსავლის წყაროს, რომელიც შეძლებას აძლევს სუფრას მიუჯდეს, სამიკიტნოში წავიდეს, ლოგინში მოისვენოს. აბრეშუმის ჭია რომ იმისთვის ახვევდეს

ყაჭს, რათა თავისი ჭიისებური არსებობა უზრუნველეყო, იგი ნამდვილი დაქირავებული მუშა იქნებოდა. სამუშაო ძალა ყოველთვის არ ყოფილა საქონელი. შრომა ყოველთვის არ ყოფილა დაქირავებული, ე. ი. თავისუფალი შრომა. მონა არ ყიდდა თავის სამუშაო ძალას მონათმფლობელზე, როგორც ხარი არ ყიდის თავის მუშაობას გლეხზე. მონა თავის სამუშაო ძალითურთ ერთხელ და სამუდამოდ გაყიდულია მის პატრონზე. იგი არის საქონელი, რომელიც შეიძლება ერთი მესაკუთრის ხელიდან გადავიდეს მეორე მესაკუთრის ხელში. თვითონ იგი — საქონელია, მაგრამ სამუშაო ძალა არ არის მისი საქონელი. ყმა მხოლოდ თავის სამუშაო ძალის ერთ ნაწილს ყიდის. ის კი არ ღებულობს ქირას ადგილ-მამულის მესაკუთრისაგან: პირიქით, ადგილ-მამულის მესაკუთრე ღებულობს მისგან ბეგარას.

ყმა ადგილ-მამულის დამატებაა და მემამულისთვის მოაქვს ნაყოფი. წინააღმდეგ ამისა თავისუფალი მუშა თავის-თავს ყიდის და ისიც ნაწილ-ნაწილად. იგი ყოველთვის თავის ცხოვრების 8, 10, 12, 15 საათს ასაღებს იმაზე, ვინც მეტს მისცემს, ასაღებს ნედლი მასალის, სამუშაო იარაღის და საარსებო საშუალებათა მესაკუთრეზე, ე. ი. კაპიტალისტზე. მუშა არც რომელიმე მესაკუთრეს ეკუთვნის და არც მამულის დამატებას წარმოადგენს, მაგრამ მისი ყოველდღიური ცხოვრების 8, 10, 12, 15 საათი იმას ეკუთვნის, ვინც მას ყიდულობს. როდესაც კი მუშა მოისურვებს, იგი ტოვებს კაპიტალისტს, რომელსაც მიექირავა, კაპიტალისტიც ითხოვს მას, როცა საჭიროდ მიაჩნია, როცა რწმუნდება, რომ არავითარ სარგებლობას ან ნავარაუდევ სარგებლობას ვეღარ პოულობს. მაგრამ მუშას, რომლისთვისაც შეძენის ერთადერთი წყარო სამუშაო ძალის გაყიდვაა, არ შეუძლია მყიდველების მთელი კლასი, ე. ი. კაპიტალისტების კლასი დატოვოს, თუ არ უნდა, რომ უარი თქვას არსებობაზე. იგი ეკუთვნის არა ამა თუ იმ კაპიტალისტს, არამედ კაპიტალისტთა კლასს; და მისი საქმეა დამქირავებელი, ე. ი. მყიდველი იპოვოს კაპიტალისტთა ამ კლასში.

ახლა, სანამ ჩვენ კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის არსებულ დამოკიდებულებას ახლო განვიხილავდეთ, უნდა შევეცადოთ მოკლედ გადმოვცეთ ის საერთო პირობები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ შრომის ხელფასის განსაზღვრის დროს.

როგორც დავინახეთ, ხელფასი არის განსაზღვრული საქონლის, სამუშაო ძალის ფასი. ამრიგად, ხელფასი იმავე კანონე-

ბით განისაზღვრება, რომლებიც ყოველ სხვა საქონლის ფასს განსაზღვრავს. მაშასადამე, ისმება საკითხი, რითი განისაზღვრება საქონლის ფასი?

II

რითი განისაზღვრება საქონლის ფასი?

კონკურენციით მყიდველებსა და გამყიდველებს შორის, დამოკიდებულებით მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, მოთხოვნილებასა და დაკმაყოფილებას შორის. კონკურენცია, რომლითაც საქონლის ფასი განისაზღვრება, სამმხრივია.

ერთიდაიგივე საქონელი რამდენიმე გამყიდველს გამოაქვს გასაყიდად. ცხადია, ვინც ერთიდაიმავე ღირსების საქონელს უფრო იაფად ყიდის, იგი აუცილებლად დაამარცხებს დანარჩენ გამყიდველებს და უზრუნველყოფს თავისთვის რაც შეიძლება მეტის გასაღებას. მაშასადამე, გამყიდველები ებრძვიან ერთიმეორეს გასაღებისათვის, ბაზრისთვის. ყოველ მათგანს სურს რაც შეიძლება მეტი გაყიდოს და, თუ შესაძლებელია, მარტო გაყიდოს, სხვა გამყიდველები თავიდან მოიცილოს. ამიტომ ერთი ყიდის უფრო იაფად, ვიდრე მეორე. ამრიგად, ხდება კონკურენცია გამყიდველებს შორის, რაც მათ მიერ მიწოდებული საქონლის ფასს ძირს სცემს.

მაგრამ კონკურენცია ხდება აგრეთვე მყიდველებს შორისაც, რაც, თავის მხრით, მონაწოდები საქონლის ფასს ზრდის.

დაბოლოს, კონკურენცია წარმოებს მყიდველებსა და გამყიდველებს შორის; პირველთ სურთ რაც შეიძლება იაფად იყიდონ, მეორეთ — რაც შეიძლება ძვირად გაყიდონ. შედეგი ამ კონკურენციისა მყიდველებსა და გამყიდველებს შორის იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მდგომარეობაშია კონკურენციის ზემოაღნიშნული ორი მხარე, ე. ი. სად არის კონკურენცია უფრო ძლიერი; მყიდველების თუ გამყიდველების ბანაკში. მრეწველობას გამოჰყავს ბრძოლის ველზე ორი მოწინააღმდეგე არმია, ამავე დროს თვითეულ ამ არმიის რიგებში, თავის მხრით, ბრძოლა წარმოებს ცალკე რაზმებს შორის. მოწინააღმდეგეზე იმარჯვებს ის არმია, რომლის რაზმებს შორის შინაგან შეჯახებას ნაკლებად აქვს ადგილი.

წარმოვიდგინოთ, ბაზარზე ასი ბარდანა ბამბაა გამოტანილი, ამავე დროს კი ათასი ბარდანას მყიდველია. ამ შემთხვევაში მოთ-

ხოვნა ათჯერ მეტია მიწოდებაზე. მაშასადამე, კონკურენცია მყიდველებს შორის მეტად ძლიერი იქნება, თვითეული მათგანი მოისურვებს ერთი, და თუ შესაძლებელი იქნება, ყველა ასი ბარდანა ხელში ჩაიგდოს. ეს მაგალითი უბრალოდ აღებული როდია. ვაჭრობის ისტორიაში ჩვენ განვიცადეთ ბამბის მოუსავლობის ისეთი პერიოდები, როდესაც რამდენიმე ერთად შეკავშირებული კაპიტალისტი ცდილობდა არა თუ ასი ბარდანის, არამედ მთელ დედამიწაზე მომარაგებული ბამბის შესყიდვას. ამგვარად, ამ შემთხვევაში ერთი მყიდველი შეეცდება გააძევოს ასპარეზიდან მეორე იმით, რომ ბამბაში შედარებით უფრო მაღალი ფასი შეაძლიოს. ბამბის გამყიდველები, რომლებიც დაინახავენ, რომ მტრული არმიის რაზმები ერთმანეთს ცხარედ ებრძვიან და, მაშასადამე, ასი ბარდანის გასაღება სავსებით უზრუნველყოფილია, ფრთხილად მოიქცევიან, რათა ერთმანეთს საქმე არ გაუფუჭონ და ბამბის ფასი არ დასცენ ამ დროს, როცა მათი მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა ის ზევით ასწიონ. გამყიდველების არმიაში უცებ მშვიდობიანობა მყარდება. ისინი, როგორც ერთი კაცი, ისე უპირდაპირდებიან მყიდველებს, გულზე ხელს იკრეფენ ფილოსოფიურად, და მათი მოთხოვნა უსაზღვრო იქნებოდა, რომ თვით დაჟინებული მყიდველების წინადადებას გარკვეული საზღვრები არ ჰქონოდა.

ამრიგად, თუ ამა თუ იმ საქონლის მიწოდება უფრო სუსტია, ვიდრე მოთხოვნა, კონკურენცია გამყიდველებს შორის უმნიშვნელოა ან მას სრულებითაც არა აქვს ადგილი. იმავე პროპორციით, როგორითაც ეს კონკურენცია გამყიდველებს შორის კლებულობს, იზრდება კონკურენცია მყიდველებს შორის. ამის შედეგია საქონლის ფასების ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ზრდა.

ცნობილია, რომ უფრო ხშირად ხდება საწინააღმდეგო შემთხვევა საწინააღმდეგო შედეგით, ე. ი. მიწოდება მნიშვნელოვნად ჭარბობს მოთხოვნას. გააფთრებული კონკურენცია წარმოებს გამყიდველებს შორის: მყიდველები ნაკლებია; საქონელი ჩალის ფასად საღდება.

მაგრამ რას ჰქვია ფასის აწევა, დაწევა, რას ჰქვია მაღალი ფასი, დაბალი ფასი? მიკროსკოპში მღილიც კი დიდად გვეჩვენება, ხოლო მთასთან შედარებით კოშკიც კი დაბალი მოჩანს. თუ ფასი მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული შეფარდებით განისაზღვრება, რითია განისაზღვრება თვით ეს შეფარდება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის?

მივმართოთ რომელ ბურჟუასაც გნებავთ, იგი ერთ წუთსაც არ

ღაფიქრდება და, ვითომ მეორე ალექსანდრე მაკედონელი იყოს, ამ მეტაფიზიკურ ხლართს ერთი დაკვრით გადაჭრის. თუ საქონლის დამზადება, რომელსაც ვყიდი, 100 მარკა დამიჯდა, გვეტყვის იგი, ხოლო 110 მარკად გავასაღე (რასაკვირველია, ერთი წლის ბოლოს), ეს იქნება სრულიად პატიოსანი, კანონიერი მოგება. ხოლო თუ გაცვლაში ავიღე 120, 130 მარკა, ეს იქნება მაღალი მოგება; მაგრამ, თუ 200 მარკა ავიღე, ეს არაჩვეულებრივად უზარმაზარი მოგება იქნება. მაშასადამე, რა არის ბურჟუასათვის მოგების ს ა ზ ო მ ი? მისი საქონლის წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი. თუ ამ საქონლის გაცვლაში მან აიღო ერთგვარი რაოდენობა მეორე საქონლისა, რომლის დამზადება ნაკლები დაჯდა, იგი წაგებულია. მაგრამ, თუ თავის საქონლის გაცვლაში აიღო ისეთი რაოდენობა სხვა საქონლისა, რომლის დამზადება მეტი დაჯდა, იგი მოგებულია. მოგების დაწევას და აწევას იგი იმის მიხედვით ზომავს, რამდენად დაბლა ან მაღლა დგას მისი საქონლის საცვლელი ღირებულება ნულზე, რამდენად დაბლა თუ მაღლა დგას წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ზ ე.

ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ იწევს ცვალებადი შეფარდება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ფასის ხან აწევას, ხან დაწევას, ხან მაღალ, ხან დაბალ ფასებს. თუ მიწოდების ნაკლებობისა ან მოთხოვნის არაპროპორციულად გაზრდის გამო საქონლის ფასი საგრძნობლად მაღლა იწევს, აუცილებლად შესაფერისად დაეცემა რომელიმე სხვა საქონლის ფასი: რადგანაც საქონლის ფასი ხომ მხოლოდ ფულში გამოხატავს იმ პროპორციას, რომლის მიხედვით ეს საქონელი სხვა საქონელზე იცვლება. მაგალითად, თუ ერთი არშინი აბრეშუმის ქსოვილის ფასმა ხუთი მარკიდან ექვს მარკამდე აიწია, ვერცხლის ფასი, აბრეშუმის ქსოვილთან შედარებით, დაეცემა, და სწორედ ასევე დაეცემა, აბრეშუმის ქსოვილთან შედარებით, ყველა სხვა საქონლის ფასი, თუმცა მათი ძველი ფასი უცვლელი დარჩება. აბრეშუმის საქონლის წინანდელი რაოდენობის მისაღებად ახლა საჭირო იქნება სხვა საქონელთა უფრო მეტი რაოდენობა. რა მოჰყვება შედეგად ამა თუ იმ საქონლის ფასის აწევას? კაპიტალების დიდი მასა მრეწველობის აყვავებულ დარგს მიაწყდება, და მათი ეს გადასვლა მანამდე გაგრძელდება, სანამ ეს დარგი ჩვეულებრივი მოგების მომტანი გახდება, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სანამ მისი პროდუქტების ფასი, ჭარბი წარმოების გამო, წარმოების ხარჯებზე ქვევით არ დაიწევს.

პირიქით, თუ ამა თუ იმ საქონლის ფასი წარმოების ხარჯებზე დაბლა დაეცა, კაპიტალები გადავლენ წარმოების ამ დარგიდან. იმ

შემთხვევის გამოკლებით, როცა მრეწველობის ესა თუ ის დარგი დროის მოთხოვნილებას აღარ შეეფერება და, მაშასადამე, იგი უნდა მოისპოს, კაპიტალების ასეთი გაქცევა შეამცირებს დასახელებული საქონლის წარმოებას, ე. ი. მის მიწოდებას, სანამ ის მოთხოვნას არ შეესაბამება, მაშასადამე, სანამ მისი ფასი არ ავა მისი წარმოების ხარჯების სიმაღლემდე, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სანამ მიწოდება მოთხოვნაზე დაბლა არ დაეცემა, ე. ი. სანამ მისი ფასი წარმოების ხარჯებზე მაღლა არ აიწევს, რადგანაც ამათუიმ საქონლის საბაზრო ფასი ყოველთვის მეტია ან ნაკლები მის წარმოების ხარჯებზე.

ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ შეუჩერებლად გადადის და გადმოდის კაპიტალი მრეწველობის ერთი დარგიდან მეორეში. მაღალი ფასი იწვევს კაპიტალის ძლიერ მიზიდვას, დაბალი ფასი კი კაპიტალის ძლიერ უკუქცევას.

შეგვეძლო სხვა თვალსაზრისითაც გვეჩვენებია, თუ როგორ განისაზღვრება წარმოების ხარჯებით არა მარტო მიწოდება, არამედ მოთხოვნაც. მაგრამ ეს მეტად დაგვაშორებდა საგანს.

ზემოთ დავინახეთ, რომ მიწოდებისა და მოთხოვნის რყევას საქონლის ფასი მუდამ წარმოების ხარჯებზე დაყავს. მართალია, საქონლის ნამდვილი ფასი ყოველთვის წარმოების ხარჯებზე ზევით ან ქვევით იწევს, მაგრამ აწევა დადაწევა ერთმანეთს ფარავს, — ასე რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში, თუ მრეწველობის მიქცევას და მოქცევას ერთად ვიანგარიშებთ, საქონელი წარმოების ხარჯების მიხედვით გაიცვლება, მაშასადამე, მისი ფასი მისივე წარმოების ხარჯებით განისაზღვრება.

ფასის ეს განსაზღვრა წარმოების ხარჯებით ისე კი არ უნდა გავიგოთ, როგორც ეს ეკონომისტებს ესმით. ეკონომისტები ამბობენ, საქონლის საშუალო ფასი მის წარმოების ხარჯებს უდრისო; ეს კანონი არისო. ისინი შემთხვევით მოვლენად თვლიან ფასების ანარქიულ მოძრაობას, რომელშიაც აწევას ასწორებს დაწევა და დაწევას აწევა. მაგრამ შეიძლებოდა ისეთივე უფლებით, როგორც ეს სხვა ეკონომისტებმა მოიმოქმედეს, რყევა კანონად ჩაგვეთვალა, ხოლო წარმოების ხარჯებით განსაზღვრა — შემთხვევით მოვლენად. მაგრამ მხოლოდ ამ რყევებს, რომელნიც, როგორც უფრო ახლო განხილვიდან ჩანს, საშინელ განადგურებას იწვევენ და მიწისძვრის მსგავსად აზანზარებენ ბურჟუაზიული საზოგადოე-

ბის საძირკვლებს, მხოლოდ ამ რეგვებს მივყავართ თავის მსვლელობაში ფასის წარმოების ხარჯებით განსაზღვრამდე. ამ უწესრიგობის ერთობლივი მოძრაობა არის მისი წესრიგი. ამ სამრეწველო ანარქიის მსვლელობაში, ამ ოროომტრიალში კონკურენცია, ასე ვთქვათ, ერთ გადახრას მეორეთი ასწორებს.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ შემდეგს: საქონლის ფასი განსაზღვრულია მისი წარმოების ხარჯებით, ისე რომ ის პერიოდები, როცა საქონლის ფასი წარმოების ხარჯებზე ზევით იწევს, სწორდება იმ პერიოდებით, როცა ის წარმოების ხარჯებზე დაბლა იწევს, და პირიქით. ეს, რასაკვირველია, შეეხება არა ამა თუ იმ სამრეწველო პროდუქტს, არამედ მხოლოდ მრეწველობის მთელ დარგს. მაშასადამე, ეს შეეხება აგრეთვე არა ცალკე მრეწველებს, არამედ მხოლოდ მრეწველთა მთელ კლასს.

ფასის განსაზღვრა წარმოების ხარჯებით იგივეა, რაც ფასის განსაზღვრა სამუშაო დროით, რომელიც საჭიროა საქონლის დასამზადებლად, რადგანაც წარმოების ხარჯები შედგება: 1) ნედლი მასალისა და იარაღების გაცვეთილი ნაწილისაგან, ე. ი. სამრეწველო პროდუქტებისაგან, რომელთა დამზადება განსაზღვრული რაოდენობის სამუშაო დღე ჯდება, რომელნიც, მაშასადამე, განსაზღვრული რაოდენობის სამუშაო დროს წარმოადგენენ, და 2) უშუალო შრომისაგან, რომლის საზომიც აგრეთვე დრო არის.

იგივე ზოგადი კანონები, რომელნიც საერთოდ საქონლის ფასს აწესრიგებენ, აწესრიგებენ, რასაკვირველია, აგრეთვე ხ ე ლ ფ ა ს ს ა ც, შ რ ო მ ი ს ფ ა ს ს.

ხელფასი ხან აიწევს და ხან დაიწევს იმისდა მიხედვით, თუ როგორია შეფარდება მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, იმისდა მიხედვით, თუ როგორ სახეს მიიღებს კონკურენცია სამუშაო ძალის მყიდველებსა, კაპიტალისტებსა, და სამუშაო ძალის გამყიდველებს, მუშებს, შორის. საქონლის ფასების რყევას საზოგადოდ შეეფერება ხელფასის რყევა. ხ ო ლ ო ა მ რ ყ ე ვ ი ს ფ ა რ გ ლ ე ბ ში შ რ ო მ ი ს ფ ა ს ი გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა ი მ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი თ, ი მ ს ა მ უ შ ა ო დ რ ო თ ი, რ ო მ ე ლ ი ც ს ა ჭ ი რ ო ა ა მ ს ა ქ ო ნ ლ ი ს — ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ი ს — შ ე ს ა ქ მ ნ ე ლ ა დ.

მ ა გ რ ა მ რ ა ა რ ი ს თ ვ ი თ ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი?

ე ს ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი ა, რ ო მ ლ ე ბ ი ც ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ

საჭიროა მუშის შესანახად, როგორც მუშისა, და მისგან მუშად მოსამზადებლად.

ამიტომ, რამდენადაც ნაკლებ დროს საჭიროებს მოსამზადებლად რომელიმე შრომა, იმდენად ნაკლებია მუშის საწარმოო ხარჯები, იმდენად დაბალია მისი შრომის ფასი, მისი ხელფასი. იმ სამრეწველო დარგებში, სადაც თითქმის სრულიად არაა საჭირო დრო საქმის შესასწავლად და საკმაოა მუშის უბრალო ფიზიკური არსებობა, მის შესაქმნელად საჭირო წარმოების ხარჯები თითქმის მხოლოდ იმ საქონლით ისაზღვრება, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მან მუშაობის უნარი და სიცოცხლე შეინარჩუნოს. ამიტომ მისი შრომის ფასი განისაზღვრება აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასით.

მაგრამ ამას კიდევ ერთი გარემოება ემატება. ფაბრიკანტი, რომელიც თავის წარმოების ხარჯებს და მის მიხედვით ნაწარმოების ფასს ანგარიშობს, სათვალავში აგდებს აგრეთვე სამუშაო იარაღების გაცვეთასაც. თუ, მაგალითად, მანქანა 1 000 მარკა ღირს და ათი წლის განმავლობაში იცვითება, ფაბრიკანტი ყოველწლიურად საქონლის ფასს 100 მარკას უმატებს, რათა ათი წლის შემდეგ გაცვეთილი მანქანა ახალი მანქანით შეცვალოს. სწორედ ამგვარადვე უბრალო სამუშაო ძალის საწარმოო ხარჯებში მისი გამრავლების ხარჯებიც უნდა ჩაითვალოს, რითაც მუშის მოდგმას შეძლება უნდა მიეცეს გამრავლდეს და გაცვეთილი მუშები ახალით შეცვალოს. მაშასადამე, მუშის გაცვეთა ისევე შედის ანგარიშში, როგორც მანქანის გაცვეთა.

ამგვარად, მარტივი სამუშაო ძალის საწარმოო ხარჯები შედგება მუშის არსებობისა და გამრავლების ხარჯებისაგან. ამ არსებობისა და გამრავლების ხარჯების ფასი შეადგენს ხელფასს. ამგვარად განსაზღვრულ ხელფასს ხელფასის მინიმუმი ეწოდება. ხელფასის ამ მინიმუმს, ისევე როგორც საქონლის ფასის განსაზღვრას წარმოების ხარჯებით, საზოგადოდ ძალა აქვს არა ცალკე პირისათვის, არამედ მთელი მოდგმისათვის. ცალკე მუშა, მილიონი მუშაც არ ღებულობს საკმაოს იმისათვის, რომ იარსებოს და გამრავლდეს; მაგრამ მთელი მუშათა კლასის შრომის ხელფასი თავისი რყევის ფარგლებში ამ მინიმუმზე დაიყენება.

ახლა, როცა ჩვენ შევთანხმდით იმ საზოგადო კანონების შესახებ, რომლებიც აწესრიგებს ხელფასს, როგორც ყოველ სხვა საქონლის ფასს, შეგვიძლია უფრო სპეციალურად შევეხოთ ჩვენს საგანს.

III

კაპიტალი შედგება ნედლი მასალისა, სამუშაო იარაღებისა და სხვადასხვაგვარ საარსებო საშუალებათაგან, რომლებიც იხმარება ახალი ნედლი მასალისა, ახალი სამუშაო იარაღებისა და ახალ საარსებო საშუალებათა შესაქმნელად. ყველა ეს მისი შემადგენელი ნაწილი შრომის ქმნილებაა, შრომის პროდუქტია, დ ა გ რ ო ვ ი ლ ი შ რ ო მ ა ა. დაგროვილი შრომა კი, რომელიც ახალი წარმოების საშუალებას წარმოადგენს, არის კაპიტალი.

ასე ამბობენ ეკონომისტები.

რა არის ზანგი-მონა? — შავი რასის ადამიანი. ერთი განმარტება იმდენი ღირს, რამდენიც მეორე.

ზანგი ზანგია. მხოლოდ განსაზღვრულ ურთიერთობაში იქცევა მ ო ნ ა დ. ბამბის სართავი მანქანა არის მანქანა ბამბის სართავად. მხოლოდ განსაზღვრულ ურთიერთობაში იქცევა ის კ ა პ ი ტ ა ლ ა დ. ამ პირობების გარეშე ის ისევე არ არის კაპიტალი, როგორც ოქრო თავისთავად ფ უ ლ ი არაა, ხოლო შაქარი — შაქრის ფასი.

წარმოების დროს ადამიანები გავლენას ახდენენ არა მარტო ბუნებაზე, არამედ ერთიმეორეზედაც. ისინი აწარმოებენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც განსაზღვრული წესით ერთად მოქმედებენ და თავიანთ საქმიანობას ერთიმეორეზე ცვლიან; რათა აწარმოონ, ისინი შედიან განსაზღვრულ დამოკიდებულებასა და ურთიერთობაში, და მხოლოდ ამ საზოგადოებრივი დამოკიდებულებისა და ურთიერთობის ფარგლებში ხდება მათი გავლენა ბუნებაზე, ხდება წარმოება.

წარმოების საშუალებათა ხასიათის მიხედვით, რასაკვირველია, სხვადასხვანაირია ეს საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელთაც მწარმოებლები ურთიერთშორის ამყარებენ, სხვადასხვანაირია პირობები, რომლებშიც ისინი ერთიმეორეზე ცვლიან თავიანთ საქმიანობას და მონაწილეობას იღებენ წარმოების საერთო აქტში. ახალი საომარი იარაღის, ცეცხლის მსროლელი თოფის ეამოგონებით, აუცილებლად შეიცვალა ჯარის მთელი შინაგანი ორგანიზაცია, გარდაიქმნა ის ურთიერთობა, რომელშიც ცალკე პირები შეადგენენ ჯარს და ჯარივით შეუძლიათ იმოქმედონ. შეიცვალა აგრეთვე სხვადასხვა ჯარის ურთიერთდამოკიდებულებაც.

ამრიგად, საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებშიაც აწარმოებენ ცალკე პირები, ე. ი. ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი წ არ-

მოებითი ურთიერთობანი, იცვლებიან, გარდიქმნებიან მატერიალურ წარმოების საშუალებათა, საწარმოო ძალთა ცვლილებასა და განვითარებასთან ერთად. წარმოებითი ურთიერთობანი, მთლიანად აღებული, შეადგენენ იმას, რასაც საზოგადოებრივ ურთიერთობებს, საზოგადოებას უწოდებენ და სახელდობრ ისტორიული განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მდგომ საზოგადოებას, თავისებური განსხვავებული ხასიათის საზოგადოებას. ანტიური საზოგადოება, ფეოდალური საზოგადოება, ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოებით ურთიერთობათა ისეთ მთლიან შეერთებას წარმოადგენს, რომ თვითეული მათგანი განსაკუთრებული საფეხურია კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში.

კაპიტალიც საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობაა. ის ბურჟუაზიული საზოგადოების, ბურჟუაზიული წარმოებითი დამოკიდებულებაა. განა საარსებო საშუალებანი, სამუშაო იარაღები, ნედლი მასალა, რომლებისაგანაც შედგება კაპიტალი, გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში, განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში არ შეიქმნა და დაგროვდა? განა ისინი გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში, განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში არ იხმარებიან ახალი წარმოებისათვის? და განა სწორედ ეს განსაზღვრული საზოგადოებრივი ხასიათი არ აქცევს ახალი წარმოებისათვის საჭირო პროდუქტებს კაპიტალად?

კაპიტალი შედგება არა მარტო საარსებო საშუალებებისა, სამუშაო იარაღებისა და ნედლი მასალისაგან, არა მარტო მატერიალური პროდუქტებისაგან; იგი შედგება აგრეთვე საცვლელ ღირებულებისაგანაც; ყველა პროდუქტი, რომლისაგანაც კაპიტალი შედგება, საქონელია. ასე რომ, კაპიტალი არის არა უბრალო მატერიალური პროდუქტების ჯამი, ის არის საქონელთა, საცვლელ ღირებულებათა, საზოგადოებრივ სიდიდეთა ჯამი.

კაპიტალი უცვლელად დარჩება, თუნდაც ჩვენ მატყლის ადგილას ბამბა, ხორბლის ადგილას ბრინჯი, რკინიგზის ადგილას ორთქლმავალი გემი დავსვათ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბამბას, ბრინჯს, გემს, ე. ი. კაპიტალის სხეულს იგივე საცვლელი ღირებულება, იგივე ფასი ექნეს, როგორც მატყლს, ხორბალს, რკინიგზას,

რომელშიაც ის წინათ იყო განხორციელებული. კაპიტალის სხეული შეიძლება შეუჩერებლად იცვლებოდეს, ხოლო თვით კაპიტალი კი ოდნავადაც არ შეიცვალოს.

მაგრამ თუ ყოველი კაპიტალი საქონლის, ე. ი. საცვლელ ღირებულებათა ჯამია, მეორე მხრით, საქონლის, ე. ი. საცვლელ ღირებულებათა ყოველი ჯამი როდია კაპიტალი.

საცვლელ ღირებულებათა ყოველი ჯამი საცვლელი ღირებულებაა. ყოველი ცალკე საცვლელი ღირებულება საცვლელ ღირებულებათა ჯამია. მაგალითად, სახლი, რომელიც 1 000 მარკა ღირს, 1 000 მარკის საცვლელი ღირებულებაა. ქაღალდის ფურცელი, რომელიც 1 პფენიგი ღირს, $^{100}/_{100}$ პფენიგის საცვლელი ღირებულების ჯამია. პროდუქტი, რომელიც დამზადებულია სხვა პროდუქტზე გასაცვლელად, საქონელია. განსაზღვრული შეფარდება, რომელშიაც ის იცვლება, წარმოადგენს მის საცვლელ ღირებულებას, ანუ, თუ ფულში გამოვხატავთ, მის ფასს. ამ პროდუქტების მასას არ ძალუძს შეცვალოს მისი დანიშნულება — იყოს საქონელი ანუ წარმოადგენდეს საცვლელ ღირებულებას, ანუ ჰქონდეს განსაზღვრული ფასი. ხე — სულერთია, დიდია ის თუ პატარა — მაინც ხეა. განა რკინა, თუ ის სხვა ნაწარმოებზე ლოტობით კი არა ცენტნერობით გადავცვალეთ, შეცვლის თავის ხასიათს, როგორც საქონლისას, როგორც საცვლელი ღირებულებისას? მასის მიხედვით საქონელი მხოლოდ მეტ ან ნაკლებ ღირებულებას, მაღალ ან დაბალ ფასს წარმოადგენს.

ახლა ვიკითხოთ, როგორ იქცევა საქონლის საცვლელ ღირებულებათა განსაზღვრული ჯამი კაპიტალად?

იმით, რომ ის როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ძალა, ე. ი. როგორც საზოგადოების ერთი ნაწილის ძალა, შეინახება და მრავლდება უშუალო ცოცხალ სამუშაო ძალაზე გადაცვლით. ისეთი კლასის არსებობა, რომელსაც არაფერი გააჩნია გარდა მუშაობის უნარისა, წარმოადგენს კაპიტალის აუცილებელ წინასწარ პირობას.

მხოლოდ დაგროვილი, წარსული, განივთიერებული შრომის ბატონობა უშუალო ცოცხალ შრომაზე ხდის დაგროვილ შრომას კაპიტალად.

კაპიტალი იმით კი არ ხასიათდება, რომ დაგროვილი შრომა ცოცხალ შრომას ემსახურება, როგორც საშუალება ახალი წარმოებისათვის. ის მდგომარეობს იმაში, რომ ცოცხალი შრომა დაგრო-

ვილი შრომის საშუალებაა მისი საცვლელი ღირებულების შესანარჩუნებლად და გასადიდებლად.

რა ხდება გაცვლა-გამოცვლის დროს კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის?

სამუშაო ძალის სანაცვლოდ მუშა ღებულობს საარსებო საშუალებას, ხოლო კაპიტალისტი თავის საარსებო საშუალების სანაცვალოდ — შრომას, მუშის საწარმოო მოქმედებას, შემოქმედებით ძალას, რომლის შემწეობით მუშა არა მარტო ანაზღაურებს იმას, რაც მოიხმარა, არამედ დაგროვილ შრომას მეტ ღირებულებას აძლევს, ვიდრე მანამდე ჰქონდა. მუშა კაპიტალისტისაგან არსებულ საარსებო საშუალებათა ნაწილს ღებულობს. რისთვის ესაჭიროება მას ეს საარსებო საშუალებანი? — უშუალო მოხმარებისათვის; ხოლო როცა მე საარსებო საშუალებებს ვხმარობ, ამით მათ საბოლოოდ ვკარგავ, თუ რომ იმ დროს, რომლის განმავლობაშიც ეს საშუალებანი ცხოვრების სახსარს მაძლევს, არ ვიყენებ ახალი საარსებო საშუალებების საწარმოებლად, მოხმარებაში დახარჯული ღირებულების მაგივრად ახალი ღირებულების შესაქმნელად. მაგრამ სწორედ ამ კეთილშობილ საწარმოო ძალას უთმობს მუშა კაპიტალს მისგან მიღებულ საარსებო საშუალებათა ნაცვლად. ასე რომ, პირადად მისთვის იგი დაკარგულია.

ავიღოთ მაგალითი: ვთქვათ, ფერმერი თავის დღიურ მუშას დღეში 5 ზილბერგროშს აძლევს. ამ 5 ზილბერგროშად მუშა მთელ დღეს მუშაობს ფერმერის ყანაში და მას 10 ზილბერგროშის შემოსავალს აძლევს. ფერმერი არა თუ ინაზღაურებს დღიურ მუშაზე გაცემულ ღირებულებას, არამედ ორკეცებს მას. მაშასადამე, მან 5 ზილბერგროში, რომელიც დღიურ მუშას მისცა, ნაყოფიერად, პროდუქტიულად მოიხმარა, დახარჯა. მან 5 ზილბერგროშად იყიდა დღიური მუშის შრომა და ძალა, რომელიც ორმაგი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს ამზადებს და 5 ზილბერგროშიდან 10 ზილბერგროშს აკეთებს. დღიურმა მუშამ, პირიქით, თავის საწარმოო ძალის მაგივრად, რომლის მოქმედება ფერმერს დაუთმო, 5 ზილბერგროში მიიღო, რომელსაც საარსებო საშუალებაში სცვლის და ადრე თუ გვიან მოიხმარს. მაშასადამე, 5 ზილბერგროში ორნაირად დაიხარჯა: რეპროდუქტიულად კაპიტალისთვის, ვინაიდან სამუშაო ძალაში[1] გაიცვალა, რომელმაც 10 ზილ-

[1] ეს ტერმინი «სამუშაო ძალა» არაა ჩამატებული ენგელსის მიერ. იგი მოყვანილია ტექსტში, რომელიც მარქსმა «ახალი რაინის გაზეთში» გამოაქვეყნა. რედ.

ბერგროში მოიტანა, და არაპროდუქტიულად მუშისთვის, ვინაიდან საარსებო საშუალებებში გაიცვალა, რაც სამუდამოდ დაიკარგა და რისი ღირებულების მიღება მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ფერმერთან იმავე გაცვლა-გამოცვლას გაიმეორებს. ამრიგად კაპიტალი დაქირავებულ შრომას გულისხმობს, ხოლო დაქირავებული შრომა კაპიტალს. ისინი ერთიმეორის აუცილებელ პირობას წარმოადგენენ; ისინი ერთიმეორეს ქმნიან.

განა ბამბეულობის ფაბრიკის მუშა მხოლოდ ბამბის ქსოვილს აწარმოებს? არა, იგი კაპიტალს აწარმოებს; იგი ღირებულებას აწარმოებს, რომელიც ხელახლა იმორჩილებს მის შრომას, რათა მისი საშუალებით ახალი ღირებულება შექმნას.

კაპიტალი მხოლოდ მაშინ შეიძლება გაიზარდოს, როცა სამუშაო ძალაზე გაიცვლება, როცა დაქირავებულ შრომას წარმოშობს. დაქირავებული მუშის სამუშაო ძალა შეიძლება კაპიტალზე გაიცვალოს მხოლოდ იმ პირობით, თუ კაპიტალს გაამრავლებს, თუ იმ ძალას გაზრდის, რომლის მონა თვითონ არის. ამიტომ კაპიტალის გამრავლება პროლეტარიატის, ე. ი. მუშათა კლასის გამრავლებაა.

მაშასადამე, კაპიტალისტის და მუშის ინტერესი ერთიდაიგივეა — ამტკიცებენ ბურჟუები და მათი ეკონომისტები. და, მართლაც, მუშა დაიღუპება, თუ კაპიტალმა სამუშაო არ მისცა. კაპიტალი დაიღუპება, თუ სამუშაო ძალის ექსპლოატაციას არ ეწევა, ხოლო ექსპლოატაციისთვის მისი ყიდვაა საჭირო. რამდენადაც უფრო სწრაფად მრავლდება წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი, საწარმოო კაპიტალი, რამდენადაც უფრო აყვავებულია მრეწველობა, რამდენადაც უფრო მდიდრდება ბურჟუაზია და მისი საქმე უკეთ მიდის, მით მეტი მუშა სჭირია კაპიტალისტს, მით უფრო ძვირად ყიდის მუშა თავის-თავს.

მაშასადამე, საწარმოო კაპიტალის რაც შეიძლება ჩქარი ზრდა მუშის ცოტად თუ ბევრად რიგიანი მდგომარეობის აუცილებელი პირობაა.

მაგრამ რა არის საწარმოო კაპიტალის ზრდა? ეს არის დაგროვილი შრომის ბატონობის ზრდა ცოცხალ შრომაზე. ეს არის ბურჟუაზიის ბატონობის ზრდა მუშათა კლასზე. როცა დაქირავებული შრომა აწარმოებს მასზე გაბატონებულ უცხო სიმდიდრეს, თავის მტრულ ძალას, კაპიტალს, იგი მისგან ღებულობს მუშაობის საშუა-

ლებას, ე. ი. საარსებო საშუალებას იმ პირობით, რომ ხელახლა გახდება კაპიტალის ნაწილი, ბერკეტი, რომელსაც კაპიტალი ჩქარი ნაბიჯით შეჰყავს ზრდის პროცესში.

კაპიტალის ინტერესები და მუშების ინტერესები ერთნაირია, — ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კაპიტალი და დაქირავებული შრომა ორი მხარეა ერთიდაიმავე ურთიერთობისა. ერთი მათგანი მეორის აუცილებელ პირობას შეადგენს სწორედ ისევე, როგორც მევახშე და მფლანგავი ერთიმეორის პირობას წარმოადგენენ.

სანამ დაქირავებული მუშა დაქირავებული მუშაა, მისი ბედი კაპიტალზე ჰკიდია. ესაა მუშისა და კაპიტალისტის ინტერესის საანაქებო მთლიანობა!

IV

როცა კაპიტალი იზრდება, დაქირავებული შრომის მასაც იზრდება, ე. ი. დაქირავებული მუშების რიცხვი მატულობს; ერთი სიტყვით, კაპიტალის ბატონობა უფრო მრავალ პირთა მასაზე ვრცელდება. წარმოვიდგინოთ საუკეთესო შემთხვევა: როცა საწარმოო კაპიტალი იზრდება, მატულობს მოთხოვნა შრომაზედაც, მაშასადამე, იზრდება შრომის ფასი, ხელფასი.

სახლი, დიდია ის თუ პატარა, ბინის მხრივ აკმაყოფილებს ყველა საზოგადოებრივ მოთხოვნას, სანამ მის გარშემო არსებული სახლები პატარებია. მაგრამ, თუ პატარა სახლის გვერდით სასახლე აიმართა, თვით პატარა სახლი საცოდავ ქოხად გადაიქცევა. ახლა პატარა სახლი გვიმტკიცებს, რომ მისი პატრონი ან სულ არ ადგენს მოთხოვნებს, ანდა ძლიერ უმნიშვნელოს, და რამდენადაც არ უნდა ამაღლდეს ეს სახლი ცივილიზაციის მსვლელობაში, თუ მეზობელი სახლებიც იმდენივე ან კიდევ მეტი პროპორციით ამაღლდა, პატარა სახლის მცხოვრები თავს საკუთარ ოთხ კედელში ყოველთვის მოუსვენრად, დაუკმაყოფილებლად, დამცირებულად იგრძნობს.

ხელფასის მნიშვნელოვანი მომატება საწარმოო კაპიტალის ჩქარ ზრდას გულისხმობს. საწარმოო კაპიტალის ჩქარი ზრდა იწვევს სიმდიდრის, ფუფუნების, საზოგადოებრივი მოთხოვნილების და საზოგადოებრივ სიამოვნებათა ჩქარ ზრდას. მაშასადამე, თუმცა მუშის სიამოვნება გაიზარდა, მაგრამ საზოგადოებრივი დაკმაყოფილება, რომელსაც ეს სიამოვნება ქმნის, დაეცა კაპიტალისტების გადიდე-

ბულ სიამოვნებასთან შედარებით, რომელიც მიუწვდომელია მუშებისათვის, დაეცა საერთოდ საზოგადოების განვითარების საფეხურთან შედარებით. ჩვენი მოთხოვნილებანი და სიამოვნებანი საზოგადოებისაგან წარმოსდგებიან; ამიტომ მათ ვზომავთ საზოგადოების მიხედვით და არა მათი დაკმაყოფილების საგნების მიხედვით. ვინაიდან მათ საზოგადოებრივი ხასიათი აქვთ, ამიტომ შედარებითი ბუნების არიან.

ხელფასი საერთოდ განისაზღვრება არა მარტო იმ საქონლის მასით, რომელშიც შემიძლია მე ის გავცვალო. ის შეიცავს სხვადასხვა დამოკიდებულებას.

ის, რასაც მუშა უწინარეს ყოვლისა თავის სამუშაო ძალაში ღებულობს, არის ფულის განსაზღვრული თანხა. განისაზღვრება თუ არა ხელფასი მხოლოდ ამ ფულადი ფასით?

მეთექვსმეტე საუკუნეში ევროპაში გამრავლდა მიმოქცევის პროცესში მყოფი ოქრო და ვერცხლი, ვინაიდან ამერიკაში მდიდარი და ადვილად დასამუშავებელი მადნები აღმოაჩინეს. ამიტომ ოქროს და ვერცხლის ღირებულება დაეცა სხვა საქონელთან შედარებით. მუშები კი თავიანთ სამუშაო ძალაში ფულის სახით ღებულობდნენ იმდენივე ვერცხლს, როგორც წინათ. მათი შრომის ფულადი ფასი იგივე დარჩა, მაგრამ შრომის ხელფასი მაინც დაეცა, ვინაიდან გაცვლის დროს იმავე რაოდენობის ვერცხლში ისინი ნაკლები რაოდენობის საქონელს ღებულობდნენ. ეს იყო ერთი იმ პირობათაგანი, რომელმაც ხელი შეუწყო კაპიტალის ზრდას, ბურჟუაზიის აღორძინებას მეთექვსმეტე საუკუნეში.

ავიღოთ სხვა შემთხვევა. 1847 წლის ზამთარში, მოუსავლობის გამო, პირველი მოთხოვნილების საარსებო საშუალებანი: პური, ხორცი, კარაქი, ყველი და სხვ. საგრძნობლად გაძვირდა. წარმოვიდგინოთ, რომ მუშები თავიანთ სამუშაო ძალაში ფულის იმავე თანხას ღებულობდნენ, რასაც წინათ. დაეცა თუ არა მათი შრომის ხელფასი? რასაკვირველია, დაეცა. იმავე ფულში ისინი გაცვლის დროს ნაკლებ პურს, ხორცს და სხვ. ღებულობდნენ. მათი შრომის ხელფასი დაეცა იმიტომ კი არა, რომ ვერცხლის ღირებულება შემცირდა, არამედ იმიტომ, რომ საარსებო საშუალებათა ღირებულებამ მოიმატა.

დაბოლოს, წარმოვიდგინოთ, რომ შრომის ფულადი ფასი წინანდელი რჩება, ხოლო ყველა სამიწათმოქმედო და სამანუფაქტურო საქონლის ფასი ახალი მანქანების გამოყენებისა, ხელსაყრელი სეზონისა და სხვ. გამო ეცემა. იმავე ფულით ახლა მუშებს შეუძლიათ

ყოველგვარი საქონელი მეტი იყიდონ. მაშასადამე, მათი შრომის ხელფასი გაიზარდა, იმიტომ რომ მისი ფულადი ღირებულება უცვლელი დარჩა.

ამგვარად, შრომის ფულადი ფასი, ნომინალური ხელფასი არ ეთანხმება რეალურ ხელფასს, ე. ი. იმ საქონლის რაოდენობას, რომელსაც ნამდვილად აძლევენ გაცვლის დროს შრომის ხელფასში. ამიტომ, როცა შრომის ხელფასის აწევაზე ანუ დაწევაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში მარტო შრომის ფულადი ფასი, მარტო ნომინალური ხელფასი როდი უნდა გვქონდეს.

მაგრამ ვერც ნომინალური ხელფასი, ე. ი. ფულის ის თანხა, რომლისათვისაც მუშა თავის-თავს ჰყიდის კაპიტალისტზე, ვერც რეალური ხელფასი, ე. ი. საქონლის რაოდენობა, რომელიც შეუძლია ამ ფულით იყიდოს, ვერ ამოწურავს იმ ურთიერთობას, რომელიც ხელფასის ცნებაში იგულისხმება.

ხელფასი უწინარეს ყოვლისა განისაზღვრება თავის შეფარდებით კაპიტალის მოგებასთან, სარგებელთან: ესაა შეფარდებითი, შედარებითი ხელფასი.

რეალური ხელფასი გამოხატავს შრომის ფასს სხვა საქონლის ფასთან შედარებით; შედარებითი ხელფასი კი, პირიქით, გამოხატავს უშუალო შრომის წილს მის მიერ ახლად შექმნილ ღირებულებაში, იმ წილთან შედარებით, რომელიც დაგროვილ შრომას, კაპიტალს ერგება.

ზემოთ, გვ. 14 [1], ჩვენ ვამბობდით: «ხელფასი არ არის მუშის წილი მის მიერ ნაწარმოებ საქონელში. ხელფასი უკვე არსებული საქონლის ნაწილია, რომლითაც კაპიტალისტი ყიდულობს თავისთვის მწარმოებელი სამუშაო ძალის განსაზღვრულ რაოდენობას». მაგრამ კაპიტალისტმა ეს ხელფასი ხელახლა უნდა აანაზღაუროს იმ ფასიდან, რომელსაც მუშის მიერ დამზადებული ნაწარმოების გაყიდვიდან ღებულობს; ისე უნდა შეავსოს, რომ მას, საერთო წესით გაწეულ წარმოების ხარჯებს გარდა, მოგებაც დარჩეს. კაპიტალისტისთვის მუშის მიერ დამზადებული საქონლის გასაყიდი ფასი სამ ნაწილად იყოფა: პ ი რ ვ ე ლ ი, დახარჯული ნედლი მასალის ფასი და საწარმოო იარაღებისა, მანქანებისა და შრომის სხვა საშუალებათა გაცვეთის ანაზღაურება; მ ე ო რ ე, დახარჯული ხელფასის ანაზღაურება და, მ ე ს ა მ ე, გარდამეტი ამაზე ზევით, კაპიტალისტის მოგება. მაშინ როცა პირველი ნაწილი ანაზღაურებს მხოლოდ წ ი ნ ა თ ა რ ს ე ბ უ ლ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, ცხადია, როგორც

[1] ჯიხ. ეს ტომი, გვ. 71. რ ე დ.

ხელფასის ანაზღაურება, ისე კაპიტალისტის ზედმეტი მოგებაც საერთოდ მუშის შრომით შექმნილი და ნედლ მასალაზე მიმატებული ახალი ღირებულებისაგან წარმოდგება. ამ თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია როგორც ხელფასი, ისე მოგებაც ერთმანეთს შევადაროთ და ისინი მუშის შრომის პროდუქტის ნაწილებად მივიჩნიოთ.

შეიძლება რეალური ხელფასი უცვლელად დარჩეს, შეიძლება გაიზარდოს კიდეც, მაგრამ მიუხედავად ამისა შეფარდებითი ხელფასი დაეცეს. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ყველა საარსებო საშუალების ფასი ორი მესამედით დაეცა, ხოლო დღიური ხელფასი ერთი მესამედით, ასე რომ, ვთქვათ, სამი მარკიდან ორ მარკაზე ჩამოვიდა. თუმცა მუშა ამ ორი მარკით ახლა მეტ საქონელს შეიძენს, ვიდრე წინათ სამი მარკით იძენდა, მაგრამ მისი შრომის ხელფასი, კაპიტალისტის მოგებასთან შედარებით, მაინც შემცირებულია. კაპიტალისტის (მაგალითად, ფაბრიკანტის) მოგება ერთი მარკით გაიზარდა, რადგან საცვლელი ღირებულების ნაკლები რაოდენობით, რომელსაც ის მუშას აძლევს, მუშამ საცვლელი ღირებულების უფრო მეტი რაოდენობა უნდა დაამზადოს, ვიდრე წინათ ამზადებდა. კაპიტალის წილი შრომის წილთან შედარებით გაიზარდა. საზოგადოებრივი სიმდიდრის განაწილება კაპიტალსა და შრომას შორის კიდევ უფრო უთანასწორო გახდა. კაპიტალისტი იმავე კაპიტალით შრომის მეტ რაოდენობას განაგებს. კაპიტალისტების კლასის ძალა მუშათა კლასზე გაიზარდა, მუშის საზოგადოებრივი მდგომარეობა გაუარესდა, იგი ერთი საფეხურით ქვემოთ დაეშვა კაპიტალისტთან შედარებით.

მაშ, როგორია ის საერთო კანონი, რომელიც ხელფასისა და მოგების აწევასა და დაწევას განსაზღვრავს მათს ურთიერთდამოკიდებულებაში?

ხელფასი და მოგება შებრუნებით დამოკიდებულებაშია ერთიმეორესთან. კაპიტალის წილი, მოგება — მატულობს იმავე პროპორციით, როგორითაც კლებულობს შრომის წილი, დღიური ხელფასი, — და პირიქით. მოგება მატულობს იმდენად, რამდენადაც კლებულობს ხელფასი, მოგება კლებულობს იმდენად, რამდენადაც მატულობს ხელფასი.

შეიძლება გვითხრან, რომ კაპიტალისტს შეუძლია მოიგოს, თუ

თავისი პროდუქტი ხელსაყრელად გაუცვალა სხვა კაპიტალისტს, თუ მოთხოვნა მის საქონელზე გაძლიერდა ან ახალი ბაზრის გახსნის გამო. ან იმის გამო, რომ ძველ ბაზარზე მოთხოვნილება სწრაფად გაიზარდა და სხვ.; რომ, ამრიგად, კაპიტალისტის მოგება შეიძლება გაიზარდოს სხვა, გაცვლის დროს მოტყუებულ, კაპიტალისტების მოგების ხარჯზე, შეიძლება გაიზარდოს დამოუკიდებლად ხელფასის, სამუშაო ძალის საცვლელი ღირებულების აწევისა და დაწევისაგან; ანდა კიდევ კაპიტალისტის მოგება შეიძლება გაიზარდოს შრომის იარაღების გაუმჯობესების, ბუნების ძალების ახალი გამოყენების და სხვ. წყალობით.

უწინარეს ყოვლისა აღიარებულ უნდა იქნას, რომ შედეგი ერთიდაიგივე რჩება, მიუხედავად იმისა, რომ საწინააღმდეგო გზით არის მიღწეული. მოგებამ მოიმატა არა იმიტომ, რომ ხელფასი დაეცა; თვით შრომის ხელფასი დაეცა იმიტომ, რომ მოგებამ მოიმატა. კაპიტალისტმა სხვისი შრომის იმავე რაოდენობით საცვლელი ღირებულების მეტი რაოდენობა იყიდა, ხოლო შრომაში მეტი ფასი არ მიუცია; ე. ი. შრომა უფრო ნაკლებად ფასდება იმ წმინდა მოგებასთან შედარებით, რომელსაც ის კაპიტალისტს აძლევს.

ამასთანავე გავიხსენოთ, რომ, მიუხედავად საქონლის ფასის რყევისა, ყოველი საქონლის საშუალო ფასი, ის პროპორცია, რომლის მიხედვით იგი სხვა საქონელზე იცვლება, განისაზღვრება მისი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი თ; ამიტომ ერთის მოგება მეორის ხარჯზე აუცილებლად ფარავს ერთმანეთს მთელი კაპიტალისტების კლასისათვის. მანქანების გაუმჯობესება, ბუნების ძალთა ახალი გამოყენება წარმოებაში შესაძლებლად ხდის იმავე სამუშაო დროს განმავლობაში, შრომისა და კაპიტალის იმავე რაოდენობის გამოყენებით დამზადებულ იქნას პროდუქტთა მეტი მასა, მაგრამ სრულებითაც არა მეტი მასა საცვლელი ღირებულებისა. თუ სართავი მანქანით საათში ორჯერ მეტ ძაფს დავართავ, ვიდრე წინათ ვართავდი, მაგ., ას გირვანქას ორმოცდაათის მაგივრად, ამ ას გირვანქაში (თუ ხანგრძლივ დროის განმავლობას ავიღებთ) იმაზე მეტ საქონელს ვერ ავიღებ, რამდენსაც წინათ ორმოცდაათში ვიღებდი, ვინაიდან წარმოების ხარჯები განახევრდა, ე. ი. იმავე ხარჯით შემიძლია ორჯერ მეტი პროდუქტი დავამზადო.

დაბოლოს, როგორი პროპორციითაც არ უნდა ანაწილებდეს ერთმანეთს შორის კაპიტალისტების კლასი, ბურჟუაზია, სულერთია ერთი ქვეყნისაა იგი თუ მთელი მსოფლიო ბაზრისა, წარმოების წმინდა შემოსავალს, ყოველ შემთხვევაში ამ წმინდა შემოსავლის

საერთო ჯამი იმ ჯამს უდრის, რომელსაც საერთოდ უშუალო შრომა დაგროვილ შრომას უმატებს. მაშასადამე, ეს საერთო ჯამი იზრდება იმდენად, რამდენადაც შრომა კაპიტალს ადიდებს, ე. ი. იმდენად, რამდენადაც მატულობს მოგება ხელფასთან შედარებით.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ როცა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა დ ა დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ი ს დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი ვ რ ჩ ე ბ ი თ, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი დ ა დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი პ ი რ დ ა პ ი რ ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ი ა ნ ე რ თ მ ა ნ ე თ ს.

კაპიტალის ჩქარი ზრდა მოასწავებს მოგების ჩქარ ზრდას. მოგება შეიძლება ჩქარა გაიზარდოს მხოლოდ მაშინ, თუ შრომის ფასი, შეფარდებითი ხელფასი, ასევე ჩქარა დაეცემა. შეიძლება შეფარდებითი ხელფასი დაეცეს, თუმცა ამავე დროს რეალურმა ხელფასმა ნომინალურ ხელფასთან, შრომის ფულად ღირებულებასთან ერთად მოიმატოს, მაგრამ არა იმავე პროპორციით, როგორითაც მოგებამ მოიმატა. თუ, მაგალითად, მრეწველობის აყვავების დროს ხელფასმა 5%, მოიმატა, ხოლო მოგებამ — 30%, შედარებითი, შეფარდებითი შრომის ხელფასი მ ო მ ა ტ ე ბ უ ლ ი კ ი არა, დ ა კ ლ ე ბ უ ლ ი იქნება.

ამრიგად, თუ კაპიტალის ჩქარ ზრდასთან ერთად მუშის შემოსავალიც იზრდება, იზრდება ამასთანავე ის საზოგადოებრივი უფსკრულიც, რომელიც ჰყოფს მუშებს კაპიტალისტებისაგან, იზრდება აგრეთვე კაპიტალის ბატონობა შრომაზე, შრომის დამოკიდებულება კაპიტალისაგან.

ამიტომ, როცა ამბობენ, მუშა დაინტერესებულია კაპიტალის ჩქარ ზრდაში, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ რამდენადაც უფრო ჩქარა ზრდის მუშა სხვის სიმდიდრეს, მით უფრო მსუქანი ნამცეცები უცვივა მას კალთაში, მით უფრო მეტი მუშა ებმება წარმოებაში, მით უფრო მრავლდება კაპიტალისაგან დამოკიდებული მონების რიცხვი.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ:

მუშათა კლასისათვის თვით ყ ვ ე ლ ა ზ ე ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ც კ ი, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა ჩ ქ ა რ ი ზ რ დ ა, თუნდაც იგი მუშის მატერიალურ ცხოვრებას დიდად აუმჯობესებდეს, არ სპობს წინააღმდეგობას მის ინტერესებსა და ბურჟუაზიის ანუ კაპიტალისტების ინტერესებს შორის. მ ო გ ე ბ ა დ ა ხ ე ლ ფ ა ს ი შ ე მ დ ე გ შ ი ც, რ ო გ ო რ ც წ ი ნ ა თ,

შებრუნებით შეფარდებაში იმყოფებიან ერთიმეორესთან.

თუ კაპიტალი ჩქარი ზრდის პროცესში იმყოფება, შეიძლება ხელფასმა იმატოს; მაგრამ შეუდარებლად უფრო ჩქარა კაპიტალის მოგება იზრდება. ამრიგად, მუშის მატერიალური მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის ხარჯზე. საზოგადოებრივი უფსკრული, რომელიც მას კაპიტალისტისაგან ჰყოფს, ღრმავდება.

დაბოლოს:

როცა ამბობენ, დაქირავებული შრომის ხელსაყრელი პირობა არის საწარმოო კაპიტალის რაც შეიძლება ჩქარი ზრდაო, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ რამდენადაც უფრო ჩქარა ზრდის და ამრავლებს მუშათა კლასი თავის მტრულ ძალას, მასზე გაბატონებულ სხვის სიმდიდრეს, მით უფრო ხელსაყრელ პირობებში უხდება მას ხელახლა ბურჟუაზიული სიმდიდრის გამრავლებაზე, კაპიტალის სიძლიერის ზრდაზე მუშაობა, ხოლო თვით უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რომ ოქროს ჯაჭვი, რომლითაც მას ბურჟუაზია უკან მიათრევს, მის მიერვე იჭედება.

V

მაგრამ განა საწარმოო კაპიტალის ზრდა და ხელფასის მომატება მართლაც ისე განუყრელად არის ერთიმეორესთან დაკავშირებული, როგორც ბურჟუაზიული ეკონომისტები ამტკიცებენ? ჩვენ მათი ლიტონი სიტყვა როდი უნდა დავიჯეროთ. არც ის უნდა დავიჯეროთ, რომ, რამდენადაც უფრო მსუქანია კაპიტალი, მით უფრო კარგად კვებავს იგი თავის მონასო. ბურჟუაზია მეტად განათლებულია, კარგად ანგარიშობს და ფეოდალების ცრურწმენებით არ არის გამსჭვალული, რომ ბრწყინვალე ამალის ყოლით იამაყოს. ბურჟუაზიას არსებობის პირობები აიძულებს ანგარიში აწარმოოს.

ამიტომ უფრო ახლოს უნდა განვიხილოთ საკითხი:

როგორ მოქმედებს საწარმოო კაპიტალის ზრდა ხელფასზე?

თუ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საწარმოო კაპიტალი საერთოდ იზრდება, შრომის დაგროვება უფრო მრავალმხრივი ხდება. კაპიტალისტების რიცხვი და მათი კაპიტალის მოცულობა იზრდება. კაპიტალების გადიდება აძლიერებს კონკურენციას კაპიტალისტებს შორის. კაპიტალების სი-

დიდი ზრდა საშუალებას იძლევა სამრეწველო ბრძოლის ველზე გამოყვანილი იქნან უზარმაზარი საომარი იარაღებით აღჭურვილი ძლიერი მუშათა არმიები.

ერთ კაპიტალისტს მეორე კაპიტალისტის დამარცხება და მისი კაპიტალის დაპყრობა მხოლოდ ერთი გზით შეუძლია: საქონლის იაფად გაყიდვით. რათა მან იაფად გაყიდვა შეძლოს, ისე რომ თვითონ არ გაკოტრდეს, უნდა იაფად აწარმოოს, ე. ი. რაც შეიძლება დიდად უნდა გაზარდოს შრომის საწარმოო ძალა. შრომის საწარმოო ძალა კი უწინარეს ყოვლისა გაიზრდება შრომის მეტი დანაწილებით, მანქანების ყოველმხრივი გამოყენებით და შეუჩერებელი გაუმჯობესებით. რამდენადაც უფრო მრავალრიცხოვანია მუშათა არმია, რომლის წევრებს შორისაც შრომა დანაწილებულია, რამდენადაც უფრო ფართოდ არის შემოღებული მანქანები, მით უფრო ჩქარა კლებულობს შედარებით საწარმოო ხარჯები, მით უფრო ნაყოფიერი ხდება შრომა. ამიტომ კაპიტალისტებს შორის თავს იჩენს ყოველმხრივი მეტოქეობა შრომის დანაწილების და მანქანების შემოღების გასაძლიერებლად და მათი ექსპლოატაციის რაც შეიძლება დიდი მასშტაბით საწარმოებლად.

მაგრამ როგორ იმოქმედებს კაპიტალისტი, თუ მან შრომის მეტი დანაწილებით, ახალი მანქანების გამოყენებით და გაუმჯობესებით, ბუნების ძალების უფრო ხელსაყრელი და მასობრივი მოხმარებით აღმოაჩინა საშუალება, რომ იმავე რაოდენობის შრომით, ან დაგროვილი შრომით მეტი პროდუქტი, მეტი საქონელი დაამზადოს, ვიდრე მისი კონკურენტები ამზადებენ, რომ, მაგალითად, იმავე სამუშაო დროს განმავლობაში, რომელშიაც მისი კონკურენტები ნახევარ არშინ ტილოს ამზადებენ, მან მთელი არშინი ტილო მოამზადოს?

მას შეუძლია ნახევარი არშინი ტილო ადრინდელ საბაზრო ფასში გაყიდოს, მაგრამ ეს მოწინააღმდეგის დასამარცხებელი და მუშტრის დასაპყრობი საშუალება როდი იქნება. ხოლო რამდენადაც მისი წარმოება გაფართოვდა, იმდენად მისთვის საქონლის გაღიდების მოთხოვნილებაც გაფართოვდება. მართალია, ძლიერი და ძვირფასი საწარმოო საშუალებანი, რომელნიც მან შემოიღო, შეძლებას აძლევენ საქონელი უფრო იაფად გაყიდოს, მაგრამ იმავდროულად აიძულებენ მას მეტი საქონელი გაყიდოს, თავის საქონლისათვის რაც შეიძლება ფართო

ბაზარი დაიპყროს; ამიტომ ჩვენი კაპიტალისტი ნახევარ არშინ ტილოს უფრო იაფად გაყიდის, ვიდრე მისი კონკურენტები.

მაგრამ კაპიტალისტი მთელ არშინ ტილოს ისე იაფად ვერ გაყიდის, როგორც მისი კონკურენტები ნახევარ არშინს ყიდიან, თუმცა მას მთელი არშინი უფრო ძვირად არ უჯდება, ვიდრე სხვებს ნახევარი. ამ შემთხვევაში ის ვერავითარ დამატებითს მოგებას ვერ ნახავდა და გაცვლის შემწეობით მხოლოდ წარმოების ხარჯებს დაიბრუნებდა. მეტი შემოსავალი, რომელიც მაინც შესაძლებელია, რომ მან მიიღოს, ამ შემთხვევაში იქიდან წარმოდგებოდა, რომ მან უფრო დიდი კაპიტალი მოიყვანა მოძრაობაში, ვიდრე სხვებმა, და არა იქიდან, რომ მას კაპიტალმა მეტი მოგება მოუტანა, ვიდრე სხვებს. გარდა ამისა, ის მიაღწევს იმ მიზანს, რომლისკენაც მიისწრაფის, თუ საქონელს ორიოდე პროცენტით გააიაფებს თავის კონკურენტებთან შედარებით. იგი მათ დაამარცხებს, მუშტრების ერთ ნაწილს მაინც წაართმევს, რაკი საქონელს მათზე უ ფ რ ო ი ა ფ ა დ გ ა ყ ი დ ი ს. დაბოლოს, გავიხსენოთ, რომ საბაზრო ფასი ყოველთვის წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ზ ე მ ა ღ ლ ა ან დ ა ბ ლ ა დ გ ა ს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ხელსაყრელი სეზონი უდგას მრეწველობას. იმისდა მიხედვით, დგას ერთი არშინი ტილოს საბაზრო ფასი დღემდე არსებულ ჩვეულებრივ საწარმოო ხარჯებზე მაღლა თუ დაბლა, შეიცვლება პროცენტები, რომელსაც კაპიტალისტი თავის საქონლის გაყიდვისაგან მოიგებს: ლაპარაკია კაპიტალისტზე, რომელმაც ახალი, უფრო ნაყოფიერი საწარმოო საშუალებანი გამოიყენა.

მაგრამ ჩვენი კაპიტალისტი ხანგრძლივად ვერ შეინარჩუნებს პ რ ი ვ ი ლ ე გ ი უ რ მდგომარეობას; სხვა მოქიშპე კაპიტალისტები იმავე მანქანებს და შრომის დანაწილებას შემოიღებენ, ეს მოხდება ან იმავე მასშტაბით, ან კიდევ უფრო ფართოდ, სანამ ტილოს ფასი ბოლოს არა თუ ძ ვ ე ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ებ ზ ე, არამედ ა ხ ა ლ ს ა წ ა რ მ ო ო ხ ა რ ჯ ებ ზ ე დ ა ბ ლ ა ა რ დ ა ე ც ე მ ა.

ამგვარად კაპიტალისტები ახლა საერთოდ იმავე მდგომარეობაში ჩავარდებიან, რომელშიც ახალი საწარმოო საშუალებების შ ე მ ო ღ ე ბ ა მ დ ე იმყოფებოდნენ; და თუ იმათ ამ საშუალებებით წინანდელ ფასში ორჯერ მეტი პროდუქტის მიწოდება შეეძლოთ, ა ხ ლ ა იძულებული არიან ძველზე უ ფ რ ო დ ა ბ ა ლ ფასებში ორჯერ მეტი ნაწარმოები დაამზადონ. ამ ახალი წარმოების ხარჯების დონეზე ხელახლა იგივე თამაშობა იწყება: შრომის უფრო მეტი დანა-

წილება, უფრო მეტი მანქანების გამოყენება და ყოველივე ამის უფრო ფართო მასშტაბით მოწყობა. ხოლო კონკურენცია იმავ საწინააღმდეგო ზეგავლენას ახდენს ამ შედეგებზე.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოების წესში, საწარმოო საშუალებებში მუდმივი გადატრიალება, მუდმივი რევოლუცია ხდება, რომ შრომის დანაწილება აუცილებლად შრომის უფრო მეტ დანაწილებას, მანქანების გამოყენება—მათს უფრო მეტ გამოყენებას, წარმოების გაფართოება—მის უფრო მეტ გაფართოებას იწვევს.

ეს არის კანონი, რომელიც ბურჟუაზიულ წარმოებას მისი ძველი კალაპოტიდან აგდებს გამუდმებით და კაპიტალს აიძულებს დაჭიმოს შრომის საწარმოო ძალები, ვინაიდან მან წინათ უკვე დაჭიმა ისინი; ეს კანონი ერთი წუთითაც მოსვენებას არ აძლევს მას და მუდამ ჩასჩიჩინებს: წინ, წინ გასწი!

ეს იგივე კანონია, რომელიც ვაჭრობის პერიოდული რყევის დროს საქონლის ფასებს აუცილებლად მის წარმოების ხარჯებს უთანაბრებს.

როგორი ძლიერი საწარმოო საშუალებებიც არ უნდა შემოიღოს კაპიტალისტმა, კონკურენცია საყოველთაოდ ხდის მის გამოყენებას, და იმ მომენტიდან, როცა ეს გამოყენება საყოველთაო გახდება, კაპიტალის მეტი ნაყოფიერების ერთადერთი შედეგი ის იქნება, რომ კაპიტალისტმა წინანდელ ფასში ათჯერ, ოცჯერ, ასჯერ მეტი საქონელი უნდა მიაწოდოს, ვიდრე უწინ. ხოლო, რადგან მან ხშირად ასჯერ მეტი საქონელი უნდა გაასაღოს, რათა ამრიგად გასასაღებელ პროდუქტთა რაოდენობის გადიდებით დაბალი ფასები აინაზღაუროს, რადგან მასობრივი გასაღება ახლა საჭიროა არა მარტო იმისთვის, რომ მეტი მოიგოს, არამედ იმისთვისაც, რომ წარმოების ხარჯები აანაზღაუროს, — თვით საწარმოო იარაღი კი, როგორც დავინახეთ, თანდათან ძვირდება, — რადგან ეს მასობრივი განაღდება არსებობის საკითხად იქცა არა მარტო მისთვის, არამედ მისი მეტოქეებისთვისაც, ამიტომ იწყება ძველი ბრძოლა და მით უფრო მწვავე ხასიათს იღებს ის, რამდენადაც უფრო ნაყოფიერია გამოგონილი საწარმოო საშუალებები. ამრიგად, შრომის დანაწილება და მანქანების გამოყენება ხელახლა ბევრად უფრო დიდი მასშტაბით წავა წინ.

როგორიც უნდა იყოს ძალა ახლად შემოღებული საწარმოო საშუალებებისა, კონკურენცია ცდილობს წაართვას კაპიტალს ამ ძალის ოქროს ნაყოფი, რამდენადაც მას საქონლის ფასი წარმოების ხარჯებზე დაჰყავს; იმდენად, რამდენადაც წარმოება იაფდება, ე. ი. წინანდელი შრომის რაოდენობით მეტი პროდუქტი იქმნება, წარმოების გაიაფება, იმავე ფასებში პროდუქტების მეტი მასის გასაღება გარდუვალ კანონად იქცევა. ამრიგად აშკარავდება, რომ კაპიტალისტი თავის საკუთარი გულმოდგინეობით ვერაფერს იძენს გარდა აუცილებლობისა, რომ იმავე დროის განმავლობაში მეტი აწარმოოს, ე. ი. თ ა ვ ი ს ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ზ რ დ ი ს ა თ ვ ი ს უ ფ რ ო მ ძ ი მ ე პ ი რ ო ბ ე ბ ი შ ე ქ მ ნ ა ს. ამიტომ იმ დროს, როცა კონკურენცია მუდამ დევნის კაპიტალისტს თავისი წარმოების ხარჯების კანონით და ყოველი იარაღი, რომელსაც ის თავის მეტოქეების წინააღმდეგ სჭედს, მის წინააღმდეგ ბრუნდება, კაპიტალისტი მუდამ ცდილობს კონკურენცია მოატყუოს და განუწყვეტლივ ახალი, ძვირფასი, მაგრამ ამასთანავე წარმოების გამაიაფებელი მანქანები და შრომის დანაწილება შემოიტანოს ძველის ადგილას და არ დაუცადოს იმ მომენტს, როდესაც კონკურენცია ახალ საწარმოო საშუალებებსაც მოაძველებს.

წარმოვიდგინოთ, ამ ციებ-ცხელებამ და მღელვარებამ მ თ ე ლ ი მ ს ო ფ ლ ი ო ბ ა ზ ა რ ი მოიცვა და გასაგები გახდება, რომ კაპიტალის ზრდას, დაგროვებას და კონცენტრაციას შედეგად მოსდევს განუწყვეტელი, თავბრუდამხვევი და სულ უფრო და უფრო უზარმაზარი მასშტაბით წარმოებული შრომის დანაწილება, ახალი მანქანების შემოღება და ძველი მანქანების გაუმჯობესება.

რ ო გ ო რ მ ო ქ მ ე დ ე ბ ს შ რ ო მ ი ს ხ ე ლ ფ ა ს ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ზ ე ე ს პ ი რ ო ბ ე ბ ი, რ ო მ ე ლ ი ც ს ა წ ა რ მ ო ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ზ რ დ ა ს თ ა ნ გ ა ნ უ ყ რ ე ლ ა დ ა ა დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი?

შ რ ო მ ი ს დ ი დ ი დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა თ ვ ი თ ე უ ლ მუშას შეძლებას აძლევს ხუთი, ათი, ოცი კაცის საქმე გააკეთოს; ამრიგად, ის ხუთჯერ, ათჯერ, ოცჯერ აძლიერებს კონკურენციას მუშებს შორის. მუშები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ არა მარტო იმით, რომ ერთი თავის-თავს უფრო იაფად ყიდის, ვიდრე მეორე; ისინი ერთმანეთს კონკურენციას უწევენ იმითაც, რომ ე რ თ ი მუშა 5, 10, 20 მუშის საქმეს აკეთებს; და კაპიტალის მიერ შემოღებული და თანდათან გაძლიერებული შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა მუშებს აიძულებს ამგვარი კონკურენცია აწარმოონ.

შემდეგ. იმავე ზომით, რა ზომითაც მატულობს შ რ ო - მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა, შრომა მ ა რ ტ ი ვ დ ე ბ ა. მუშის განსაკუთრებული დახელოვნება კარგავს თავის მნიშვნელობას. მუშა უბრალო ერთფეროვან საწარმოო ძალად იქცევა, რომელსაც არც კი ჭირდება განსაკუთრებული ხორციელი და სულიერი მოქნილობის გამოყენება. მისი შრომა ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდება. ამიტომ მას ყოველ მხრიდან კონკურენტები ესხმიან თავს; ამას გარდა ჩვენ ვიცით, რომ რამდენადაც უფრო მარტივი და ადვილი შესასწავლია სამუშაო, რამდენადაც ნაკლებ წარმოების ხარჯებს მოითხოვს მისი შეთვისება, მით უფრო მეტად ეცემა შრომის ხელფასი, ვინაიდან ყოველი სხვა საქონლის ფასის მსგავსად მისი ფასიც წარმოების ხარჯებით განისაზღვრება.

მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც შ რ ო მ ა ნ ა კ ლ ე - ბ ა დ დ ა მ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ებ ე ლ ი, უ ხ ა მ ს ი ხ დ ე ბ ა, კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ა მ ა ტ უ ლ ო ბ ს, ხ ო ლ ო ხ ე ლ ფ ა ს ი კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს. მუშა ცდილობს თავისი ხელფასის დონე შეინარჩუნოს იმით, რომ მეტ ხანს მუშაობს, ან თვითეულ საათში მეტს აკეთებს. მაშასადამე, გაჭირვების გამო ის აძლიერებს შრომის დანაწილების დამღუპველ გავლენას. ამის შედეგი ისაა, რომ რ ა მ - დ ე ნ ს ა ც ი გ ი მ ე ტ ს მ უ შ ა ო ბ ს, ი მ დ ე ნ ა დ ნ ა კ ლ ებ ხ ე ლ ფ ა ს ს ღ ე ბ უ ლ ო ბ ს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რამდენადაც მეტს მუშაობს, იმდენად მეტ კონკურენციას უწევს თავის ამხანაგებს და თავის ამხანაგებშიაც ისეთ კონკურენტებს იძენს, რომლებიც მზად არიან მასავით ცუდ პირობებში იმუშაონ; ამრიგად, საბოლოო ანგარიშში, მ უ შ ა კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ა ს უ წ ე ვ ს თ ა ვ ი ს თ ა ვ ს, რ ო გ ო რ ც მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს წ ე ვ რ ს.

მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ს ა ც ასეთივე შედეგები მოაქვს, მხოლოდ შეუდარებლად უფრო დიდი მასშტაბით, რადგან ისინი დახელოვნებულ მუშებს გაუწვრთნელი მუშებით ცვლიან, მამაკაცებს — დედაკაცებით, მოზრდილებს — ბავშვებით; სადაც მანქანა ახლად შემოღებულია, ის ხელოსნებს მასობრივად ისვრის ქუჩაში, ხოლო სადაც მანქანა უმჯობესდება, უფრო სრული და ნაყოფიერი ხდება, მუშებს შედარებით პატარა ჯგუფობით ითხოვენ. ჩვენ ზემოთ საერთოდ დავხატეთ კაპიტალისტების სამრეწველო ომი ურთიერთშორის: ა მ ო მ ი ს თ ა ვ ი ს ებ უ რ ე ბ ა ი მ ა შ ი ა, რ ო მ ბ რ ძ ო ლ ა ს ა ქ უ ფ რ ო მ უ შ ე ბ ი ს ჯ ა რ ი დ ა ნ დ ა თ ხ ო ვ ნ ი თ ი გ ე ბ ე ნ,

ვიდრე მათი გაწვევით. მხედართმთავრები — კაპიტალისტები — ერთმანეთს ექიშპებიან, თუ ვინ დაითხოვს მრეწველობის მეტ ჯარისკაცს.

მართალია, ეკონომისტები მოგვითხრობენ, რომ მუშები, რომელნიც მანქანების შემწეობით ზედმეტი გახდნენ, მრეწველობის ახალ დარგს პოულობენო.

ისინი ვერ ბედავენ პირდაპირ დაამტკიცონ, რომ სწორედ ის მუშები, რომელნიც დაითხოვეს, შრომის ახალ დარგში ეწყობიან. ფაქტები ხმამაღლა ღაღადებენ ამ ტყუილის წინააღმდეგ. ისინი ამბობენ მხოლოდ, რომ მუშათა კლასის სხვა შემადგენელი ნაწილებისათვის, მაგალითად, ახალი თაობისთვის, რომელიც უკვე მზად იყო დაცემულ სამრეწველო დარგში შესასვლელად, ახალი სამოქმედო ასპარეზი იხსნებაო. რასაკვირველია, ეს დიდი ნუგეშია დათხოვნილი მუშებისთვის! ბატონ კაპიტალისტებს საექსპლოატაციო ხორცი და სისხლი არ მოაკლდებათ, მათ შეუძლიათ ნება დართონ მიცვალებულებს თვითონ დამარხონ თავიანთი მიცვალებულები. მაგრამ ეს ისეთი ნუგეშია, რომელსაც ბურჟუა უფრო თავის-თავს აძლევს, ვიდრე მუშებს. რა უბედურება იქნებოდა კაპიტალისთვის, რომელიც დაქირავებული შრომის გარეშე კაპიტალი არ არის, რომ დაქირავებული მუშების მთელი კლასი მანქანებს მოესპო!

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ მანქანების მიერ გაძევებული მუშები და ახალი თაობის მთელი ის ნაწილი, რომელიც ამ სამუშაოს უთვალთვალებდა, ახალ საქმეს პოულობს. განა დასაჯერებელია, რომ ეს ახალი სამუშაო ისევე კარგად დაჯილდოვდეს, როგორც დაკარგული სამუშაო ჯილდოვდებოდა? ეს ხომ ყველა ეკონომიური კანონის საწინააღმდეგო იქნებოდა. ჩვენ ვხედავთ, რომ თანამედროვე მრეწველობის წყალობით მარტივი, მეორეხარისხოვანი შრომა მუდამ ცვლის რთულსა და პირველხარისხოვან შრომას.

როგორ შეუძლია, მაშასადამე, მუშათა მასას, რომელიც მანქანების წყალობით ერთი რომელიმე სამრეწველო დარგიდანაა გამოძევებული, მეორე დარგში იპოვოს თავშესაფარი, თუ ნაკლებ, უარეს ხელფასს არ დაჯერდა?

როგორც გამონაკლისი, იმ მუშების მაგალითი მოიყვანეს, რომლებიც თვით მანქანების წარმოებაში მუშაობენ. რაკი მრეწველობა მანქანებს მოითხოვს და ცვეთს, მანქანების რიცხვმა აუცილებლად

უნდა მოიმატოს. ამასთან ერთად უნდა გაიზარდოს მანქანების წარმოებაში ჩაბმული მუშების რიცხვიო; ისინი კი გაწვრთნილი და, წარმოიდგინეთ, ნასწავლი მუშებიც კი არიანო.

1840 წლის შემდეგ ამ დებულებამ, რომელიც იმ დროისთვისაც მხოლოდ სანახევროდ იყო მართალი, ყოველი აზრი დაჰკარგა, ვინაიდან დღეს მანქანების საწარმოებლადაც ისეთივე მრავალგვარი მანქანები იხმარება, როგორც ბამბის ნართის საწარმოებლად, — და მანქანების წარმოებაში ჩაბმული მუშებიც ურთულეს მანქანებთან შედარებით უმარტივესი მანქანების როლს ასრულებენ.

მაგრამ მანქანის მიერ გაძევებული ერთი მამაკაცის მაგიერ შეიძლება ფაბრიკა ს ა მ ბავშვს და ე რ თ ქალს ამუშავებდეს! და განა ერთი მამაკაცის ხელფასი საკმაო არ იყო სამი ბავშვისა და ცოლისათვის? განა ხელფასის მინიმუმი საკმაო არ უნდა იყოს მუშათა კლასის შესანახავად და გასამრავლებლად? რას ამტკიცებს, მაშასადამე, ეს ბურჟუაზიული ფრაზეოლოგია? მხოლოდ იმას, რომ ე რ თ ი მუშის ოჯახის შესანახად ახლა ო თ ხ ჯ ე რ მეტი ადამიანის სიცოცხლე უნდა დაიხარჯოს, ვიდრე წინათ იხარჯებოდა.

დასკვნა შემდეგია: რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც უ ფ რ ო ი ზ რ დ ე ბ ა ს ა წ ა რ მ ო ო კ ა პ ი ტ ა ლ ი, ი მ დ ე ნ ა დ უ ფ რ ო ფ ა რ თ ო ვ დ ე ბ ა შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა და მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა. რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც უ ფ რ ო ფ ა რ თ ო ვ დ ე ბ ა შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა და მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა, ი მ დ ე ნ ა დ უ ფ რ ო მ ა ტ უ ლ ო ბ ს კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ა მ უ შ ე ბ ს შ ო რ ი ს, ი მ დ ე ნ ა დ უ ფ რ ო მ ც ი რ დ ე ბ ა მ ა თ ი ხ ე ლ ფ ა ს ი.

ამას გარდა, მუშათა კლასის რაზმების შევსება ხდება ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს უ ფ რ ო მ ა ღ ა ლ ი წ რ ე ე ბ ი დ ა ნ ა ც; პროლეტარდება მთელი მასა წვრილი მრეწველებისა და წვრილი რანტიებისა, რომელთაც არაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, რომ მუშების ხელებთან ერთად თავიანთი ხელებიც ასწიონ მაღლა. ამრიგად, ეს ტყე ზევით ამართული მუშაობის მთხოვნელი ხელებისა თანდათან უფრო ხშირი ხდება, მხოლოდ თვით ხელები თანდათან უფრო მჭლევდებიან.

თავისთავად იგულისხმება, რომ წვრილ მრეწველს არ შეუძლია იმ ომის ატანა, რომელშიაც ერთი უპირველესი პირობათაგანია წარმოება სულ უფრო და უფრო გაფართოებული მასშტაბით, ე. ი. ის, რომ იყო სწორედ მსხვილი მრეწველი და არა წვრილი.

არც იმას ჭირდება დიდი ახსნა-განმარტება, რომ პროცენტი კაპიტალზე კლებულობს იმდენად, რამდენადაც კაპიტალების მასა და რიცხვი იზრდება, და წვრილ რანტიეს აღარ შეუძლია თავისი რენტით ცხოვრება. ამიტომ იგიც მრეწველობაში ებმება და წვრილი მრეწველების, და ამასთანავე პროლეტარიატის კანდიდატების რიცხვსაც ამრავლებს.

ბოლოს, იმავე ზომით, რა ზომითაც კაპიტალისტები, ზემოთ დახატული მოძრაობის წყალობით, იძულებული არიან არსებული უზარმაზარი საწარმოო საშუალებანი უფრო დიდი მასშტაბით გამოიყენონ და იმისთვის კრედიტის ყველა ძაფი აამოძრაონ, ხშირდება სამრეწველო მიწისძვრა, რომლის დროს მთელი სავაჭრო ქვეყანა მხოლოდ იმით ინარჩუნებს არსებობას, რომ სიმდიდრის, პროდუქტების და თვით საწარმოო ძალების ერთ ნაწილს ქვესკნელის ღმერთებს წირავს მსხვერპლად; ერთი სიტყვით, კრიზისები ხშირდება; ისინი უფრო ხშირი და მძაფრი ხდებიან იმის გამოც, რომ პროდუქტების მასის და გაფართოებული ბაზრის მოთხოვნილების ზრდასთან ერთად მსოფლიო ბაზარი თანდათან ვიწროვდება და ახალი საექსპლოატაციო ბაზრების რიცხვი კლებულობს, ვინაიდან თვითეულმა წინანდელმა კრიზისმა მანამდე დაუპყრობელი ანდა ზერელედ გამოყენებული ბაზრები მსოფლიო ბაზარს დაუმორჩილა. მაგრამ კაპიტალი მარტო შრომით როდი ცოცხლობს: როგორც კეთილშობილ და იმავდროულად ბარბაროს-მონათმფლობელს შეეფერება, ის საფლავშიაც იყოლებს თავისი მონების გვამებს — მუშათა მთელ ჰეკატომბებს, რომლებიც კრიზისების დროს ოლუპებიან. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ: კაპიტალის ჩქარ ზრდასთან ერთად შეუდარებლად უფრო ჩქარა იზრდება კონკურენცია მუშებს შორის, ე. ი. მუშათა კლასისათვის მით უფრო მეტად კლებულობს შეფარდებით, როგორც შემოსავლის წყაროები, ისე საარსებო საშუალებანი; მაგრამ კაპიტალის ჩქარი ზრდა მაინც ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობაა დაქირავებული შრომისათვის.

კ. მარქსის მიერ 1847 წლის 14—30 დეკემბერს წაკითხული ლექციები პირველად გამოქვეყნდა «Neue Rheinische Zeitung»-ში 1849 წლის 5—8 და 11 აპრილს. ცალკე ბროშურის სახით ენგელსის წინასიტყვაობით და რედაქციით გამოვიდა 1891 წელს ბერლინში.

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით. თარგმანი გერმანულიდან.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი

ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კომუნისტთა კავშირისადმი

ცენტრალური კომიტეტი კავშირისადმი

ძმებო! ორივე რევოლუციური — 1848/1849 — წლის განმავლობაში კომუნისტთა კავშირმა ორგვარად გაამართლა თავისი არსებობა; ჯერ-ერთი, იმით, რომ მისი წევრები ყველგან ენერგიულად მონაწილეობდნენ მოძრაობაში, რომ ის ინი პრესაშიც, ბარიკადებზეც, ბრძოლის ველებზეც იდგნენ ერთადერთი გადაჭრით რევოლუციური კლასის, პროლეტარიატის, პირველ რიგებში. შემდეგ, კავშირმა გაამართლა თავისი არსებობა იმ აზრითაც, რომ მისი შეხედულება მოძრაობაზე, როგორც იგი გადმოცემულია კონგრესების და ცენტრალური კომიტეტის ცირკულარებში 1847 წელს და «კომუნისტურ მანიფესტში», აღმოჩნდა ერთადერთი სწორი შეხედულება და რომ ამ დოკუმენტებში გამოთქმული მოლოდინი სავსებით გამართლდა, ხოლო დღევანდელი საზოგადოებრივი მდგომარეობის ის გაგება, წინათ რომ მხოლოდ ფარულად ავრცელებდა კავშირი, ახლა ენაზე აკერიათ ხალხებს და მას საჯაროდ ქადაგებენ მოედნებზე. იმავე დროს კავშირის წინანდელი მტკიცე ორგანიზაცია ახლა მნიშვნელოვნად შესუსტდა. წევრთა დიდმა ნაწილმა, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში, იფიქრა, რომ ფარულ საზოგადოებათა დრომ განვლო და რომ საკმარისია მარტო აშკარა მოქმედება. ცალკეულმა ოლქებმა და თემებმა შეასუსტეს თავიანთი კავშირი ცენტრალურ კომიტეტთან და თანდათან სულაც შეწყვიტეს. ამგვარად, იმ დროს, როდესაც დემოკრატიული პარტია, წვრილი ბურჟუაზიის პარტია, სულ უფრო და უფრო ორგანიზებული ხდებოდა გერმანიაში, მუშათა პარტიამ დაჰკარგა თავისი ერთადერთი მტკიცე დასაყრდენი, დარჩა იგი ორგანიზებული სახით —

დიდი-დიდი — ცალკეულ ადგილებში ადგილობრივი მიზნებისათვის და ამიტომ საერთო მოძრაობაში სავსებით წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ბატონობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ მოხვდა. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს; მუშების დამოუკიდებლობა აღდგენილ უნდა იქნეს. ცენტრალურმა კომიტეტმა შეიგნო ეს საჭიროება და ამიტომ უკვე 1848 — 1849 წლის ზამთარში ემისარი იოსებ მოლი გაგზავნა გერმანიაში კავშირის სარეორგანიზაციოდ. მაგრამ მოლის მისიას არ მოჰყვა ხანგრძლივი შედეგი, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მაშინ გერმანიის მუშებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საკმაო გამოცდილება, ნაწილობრივაც იმიტომ, რომ ეს მისია შეწყვიტა აჯანყებამ წარსული წლის მაისში. თვითონ მოლმა თოფი აიღო ხელში, შევიდა ბადენ-პფალცის არმიაში და 19 ივლისს მოკლულ იქნა შეტაკებაში მურგთან. კავშირმა მისი სახით დაჰკარგა ერთ-ერთი თავისი უძველესი, ფრიად მომქმედი და უაღრესად საიმედო წევრი, რომელიც მონაწილეობდა ყველა კონგრესში და ცენტრალურ კომიტეტში და რომელმაც უკვე წინათ დიდის წარმატებით შეასრულა მთელი რიგი მგზავრობა გარკვეული დავალებებით. გერმანიისა და საფრანგეთის რევოლუციური პარტიების დამარცხების შემდეგ 1849 წლის ივლისში ცენტრალური კომიტეტის თითქმის ყველა წევრი კვლავ შეიკრიბა ლონდონში, შეავსო თავისი შემადგენლობა ახალი რევოლუციური ძალებით და განახლებული გულმოდგინებით შეუდგნენ კავშირის რეორგანიზაციას.

კავშირის რეორგანიზაცია შეიძლება გატარებულ იქნეს მხოლოდ ემისარის მეშვეობით, და ცენტრალური კომიტეტი უაღრესად მნიშვნელოვნად თვლის, რომ ემისარი გაემგზავროს სწორედ იმ მომენტში, როდესაც ახალი რევოლუცია კარს არის მომდგარი, როდესაც, მაშასადამე, მუშათა პარტია უნდა გამოვიდეს შეძლებისამებრ ორგანიზებულად, შეძლებისამებრ ერთსულოვნად და შეძლებისამებრ დამოუკიდებლად, უკეთუ მას არ სურს, რომ, როგორც 1848 წელს, ბურჟუაზიამ ექსპლოატაცია გაუწიოს და იგი ბუქსირზე აიყვანოს.

ჩვენ გეუბნებოდით, ძმებო, უკვე 1848 წელს, — გერმანელი ლიბერალური ბურჟუები მალე გაბატონდებიან და თავიანთ ახლად დაპყრობილ ძალაუფლებას მყისვე მუშების წინააღმდეგ მიმართავენთქო. თქვენ ნახეთ, როგორ ასრულდა ეს. მართლაც, სწორედ ბურჟუებმა 1848 წლის მარტის მოძრაობის შემდეგ დაუყოვნებლივ იგდეს ხელთ სახელმწიფოებრივი ძალაუფლება და გამოიყენეს ეს ძალაუფლება იმისათვის, რომ მუშები, ეს მათი მოკავშირეები ბრძო-

ლაში, ხელად უკუეგდოთ წინანდელ ჩაგრულ მდგომარეობაში. თუ ბურჟუაზიამ ვერ შეძლო ამის შესრულება უიმისოდ, რომ არ დაკავშირებოდა მარტში დამარცხებულ ფეოდალურ პარტიას, ვერ შეძლო უიმისოდ, რომ ამ ფეოდალური აბსოლუტისტური პარტიისთვის არ დაეთმო ბოლოს და ბოლოს კვლავ ბატონობა, — მან მაინც უზრუნველჰყო თავისთვის პირობები, რომელნიც, მთავრობის ფინანსური გაჭირვების გამო, მას ხელში მისცემდნენ დიდი ხნით ბატონობას და უზრუნველჰყოფდნენ ყველა მის ინტერესებს იმ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა შესაძლებელი აღმოჩნდებოდა, რომ რევოლუციური მოძრაობა უკვე ახლა ეგრეთწოდებული მშვიდობიანი განვითარების გზაზე შედგებოდა. თავისი ბატონობის უზრუნველსაყოფად ბურჟუაზიას არც ჭირდებოდა თავის წინააღმდეგ სიძულვილის გამოწვევა ძალადობითი ღონისძიებებით ხალხის წინააღმდეგ, ვინაიდან ყველა ეს ძალადობითი ნაბიჯები უკვე შეასრულა ფეოდალურმა კონტრრევოლუციამ. მაგრამ განვითარება არ წავა ასეთი მშვიდობიანი გზით. პირიქით, ახლოვდება რევოლუცია, რომელიც დაჩქარებს განვითარებას, გამოწვეული იქნება ეს რევოლუცია საფრანგეთის პროლეტარიატის დამოუკიდებელი აჯანყებით თუ სამღვთო კავშირის შეჭრით რევოლუციურ ბაბილონში [1].

და როლს, რომელიც გერმანიის ლიბერალურმა ბურჟუებმა შეასრულეს 1848 წელს ხალხის მიმართ, — ამ ესოდენ გამცემლურ როლს მომავალ რევოლუციაში იკისრებენ დემოკრატიული წვრილი ბურჟუები, რომლებსაც ახლა ოპოზიციაში ისეთივე მდგომარეობა უკავიათ, როგორიც ლიბერალურ ბურჟუებს ეჭირათ 1848 წლამდე. ეს დემოკრატიული პარტია, რომელიც გაცილებით უფრო საშიშია მუშებისთვის, ვიდრე წინანდელი ლიბერალები, სამგვარი ელემენტისგან შედგება:

I. მსხვილი ბურჟუაზიის ყველაზე უფრო პროგრესული ნაწილებისაგან, რომელნიც მიზნად ისახავენ ფეოდალიზმის და აბსოლუტიზმის დაუყოვნებლივ სრულ დამხობას. ამ ფრაქციის წარმომადგენლები არიან წინანდელი ბერლინელი შემთანხმებლები, გადასახადთა უარისმყოფელნი.

II. დემოკრატიულ-კონსტიტუციური წვრილი ბურჟუებისგან, რომელთა მთავარ მიზანს წინანდელ მოძრაობაში შეადგენდა შექმნა მეტნაკლებ დემოკრატიული საკავშირო სახელმწიფოსი, როგო-

[1] რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ბ ა ბ ი ლ ო ნ ი — იგულისხმება საფრანგეთის დედაქალაქი, პარიზი, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ (XVIII საუკუნის დასასრული) რევოლუციის კერად ითვლებოდა. — რ ე დ.

რის დამყარებასაც ცდილობდნენ მათი წარმომადგენლები, — ფრანკ-ფურტის კრების მარცხენა ფრთა, ხოლო შემდეგ შტუტგარტის პარლამენტი და თვით ისინი, როდესაც საიმპერიო კონსტიტუციისთვის იბრძოდნენ.

III. რესპუბლიკელი წვრილი ბურჟუებისგან, რომელთა იდეალს შეადგენს შვეიცარიის მაგვარი გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკა და რომელნიც ახლა თავიანთ თავს «წითლებს» და «სოციალ-დემოკრატებს» უწოდებენ იმიტომ, რომ გულში სათნო სურვილი უღვივით — მოსპონ დიდი კაპიტალის წნევა მცირეზე და მსხვილი ბურჟუასი წვრილზე. ამ ფრაქციის წარმომადგენლები იყვნენ დემოკრატიული კონგრესების და კომიტეტების წევრები, — დემოკრატიული კავშირების ხელმძღვანელები, — დემოკრატიული გაზეთების რედაქტორები.

ყველა ეს ფრაქციები ახლა, მათი დამარცხების შემდეგ, თავიანთ თავს უწოდებენ «რესპუბლიკელებს» ანუ «წითლებს», სწორედ ისე, როგორც ამჟამად საფრანგეთში რესპუბლიკელი წვრილი ბურჟუები თავიანთ თავს სოციალისტებს უწოდებენ. სადაც ისინი, როგორც ვიურტემბერგში, ბავარიაში და სხვ., კიდევ პოულობენ შესაძლებლობას თავიანთ მიზნებს მიჰყვნენ კონსტიტუციური გზით, შემთხვევას ხელიდან არ უშვებენ, რომ შეინარჩუნონ თავიანთი ძველი ფრაზები და დაამტკიცონ საქმით, რომ ისინი სრულიადაც არ გამოცვლილან. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ პარტიის შეცვლილი სახელწოდება სრულიადაც არ ცვლის მის დამოკიდებულებას მუშების მიმართ; იგი ამტკიცებს მხოლოდ, რომ ეს პარტია უნდა გამოვიდეს აბსოლუტიზმთან შეერთებული ბურჟუაზიის წინააღმდეგ და დაეყრდნოს პროლეტარიატს.

წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული პარტია გერმანიაში ძალიან ძლიერია. იგი მოიცავს არა მარტო ქალაქების ბურჟუაზიული მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, წვრილ ვაჭარ-მრეწველებს და ხელოსან-ოსტატებს; მისი გავლენის ქვეშ იმყოფებიან გლეხები და სოფლის პროლეტარიატი, ვიდრე ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ არ მოუპოვებია დასაყრდენი ქალაქების დამოუკიდებელ პროლეტარიატში.

რევოლუციური მუშათა პარტიის განწყობილება წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ ასეთია: მუშათა პარტია მასთან ერთად იბრძვის იმ ფრაქციის წინააღმდეგ, რომლის დამხობას იგი ცდილობს; იგი გამოდის წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის წი-

ნააღმდეგ ყოველთვის, როდესაც თავისი ინტერესებისათვის წვრილ ბურჟუაზიას თვითონ უნდა განმტკიცდეს.

დემოკრატიულ წვრილ ბურჟუებს სრულიადაც არ სურთ, რასაკვირველია, მთელ საზოგადოებაში გადატრიალება მოახდინონ რევოლუციური პროლეტარების სასარგებლოდ; ისინი მიისწრაფიან საზოგადოებრივი წყობილების ისეთი ცვლილებისადმი, რომელიც შეძლებისამებრ უფრო ასატანს და გამოსადეგს გახდის მათთვის არსებულ საზოგადოებას. ამიტომ ისინი მოითხოვენ, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ხარჯების შემცირებას ბიუროკრატიის შეზღუდვის გზით და მთავარი გადასახადების გადატანას მსხვილ მემამულეებსა და ბურჟუებზე. შემდეგ, ისინი მოითხოვენ მსხვილი კაპიტალის წვრილ კაპიტალზე წნევის მოსპობას სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებების შექმნისა და მევახშეობის წინააღმდეგ გამოცემული კანონების გზით, რის მეოხებით მათთვის და გლეხებისთვის შესაძლებელი გახდება სესხის მიღება არა კაპიტალისტებისაგან, არამედ სახელმწიფოსაგან, და ამასთან უფრო შეღავათიანი პირობებით; ისინი მოითხოვენ, შემდეგ, ბურჟუაზიულ საკუთრების ურთიერთობათა შემოღებას სოფლად ფეოდალიზმის სრული მოსპობის გზით. ყველა ამის ცხოვრებაში გასატარებლად მათ ესაჭიროებათ დემოკრატიული სახელმწიფო წყობილება, — იქნება იგი კონსტიტუციური თუ რესპუბლიკური, — რომელიც მათ და მათ მოკავშირეებს — გლეხებს — მისცემდა უმრავლესობას, და დემოკრატიული თემური წყობილება, რომელიც მათ ხელში მისცემდა უშუალო კონტროლს სათემო საკუთრებაზე და მთელ რიგ ფუნქციებს, რომლებსაც ამჟამად ბიუროკრატები ასრულებენ.

კაპიტალის ბატონობას და სწრაფ გადიდებას, მათი აზრით, წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს ნაწილობრივ მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვის გზით, ნაწილობრივაც სახელმწიფოსთვის რაც შეიძლება ბევრ სამუშაოთა გადაცემით. რაც შეეხება მუშებს, ისინი — უეჭველია უწინარეს ყოვლისა, როგორც აქამდე, დაქირავებულ მუშებად უნდა დარჩნენ, მაგრამ ამასთან დემოკრატიულ წვრილ ბურჟუებს სურთ, რომ მუშებს ჰქონდეთ უკეთესი ხელფასი და უფრო უზრუნველყოფილი არსებობა; მათ იმედი აქვთ, რომ ამას მიაღწევენ ნაწილობრივ სახელმწიფოს მიერ სამუშაოს მიცემის გზით, ნაწილობრივაც საქველმოქმედო ღონისძიებებით, — ერთის სიტყვით, ისინი იმედოვნებენ მუშები მოიყიდონ მეტნაკლებ ნიღაბაფარებული სამოწყალოთი და მოტეხონ მათი რევოლუციური ძალა მათი მდგომარეობის დროებითი გაუმჯობესების საშუალებით. წვრილბურჟუაზიუ-

ლი დემოკრატიის ყველა ფრაქცია როდი ემხრობა იმავდროულ ამ დემოკრატიის ყველა აქ აღნიშნულ მოთხოვნას; ყველა ეს მოთხოვნა ამ დემოკრატიის მცირეოდენ წარმომადგენელთ აქვთ გარკვეულ მიზნად დასახული. რაც უფრო შორს მიდიან წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ცალკეული პირნი ან ფრაქციები, მით უფრო ამ მოთხოვნათა დიდ ნაწილს აქცევენ ისინი თავის მოთხოვნად, და ის მცირეოდენნი, რომელნიც ზემოაღნიშნულში ხედავენ თავის პროგრამას, შეიძლება ფიქრობდნენ კიდეც, რომ იქ წამოყენებულია მაქსიმალური მოთხოვნები, რომელნიც კი შესაძლებელია საზოგადოდ წარედგინოს რევოლუციას. მაგრამ ეს მოთხოვნები ვერას გზით ვერ დააკმაყოფილებს პროლეტარიატის პარტიას. იმ დროს, როდესაც დემოკრატიულ ბურჟუებს სურთ რაც შეიძლება სწრაფად და, უკეთეს შემთხვევაში, მარტო ამ მოთხოვნების ცხოვრებაში გატარებით დაასრულონ რევოლუცია, ჩვენი ამოცანა და ჩვენი ინტერესები იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუცია განუწყვეტელი გავხადოთ მანამდე, ვიდრე ყველა მეტნაკლებ მქონებელი კლასი განდევნილი არ იქნება ბატონობის ასპარეზიდან, ვიდრე სახელმწიფო ხელისუფლება არ იქნება პროლეტარიატის მიერ დაპყრობილი, ვიდრე პროლეტართა კავშირი არა მარტო ერთ ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს ყველა ძლიერ ქვეყანაში, არ განვითარდება იმდენად, რომ კონკურენცია ამ ქვეყნების პროლეტარებს შორის შეწყდება, და ვიდრე, ყოველ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საწარმოო ძალები თავმოყრილი არ იქნება პროლეტარების ხელში. ჩვენთვის საქმე შეეხება არა კერძო საკუთრების შეცვლას, არამედ მის მოსპობას, არა კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩქმალვას, არამედ კლასების მოსპობას, არა არსებული საზოგადოების გაუმჯობესებას, არამედ ახალი საზოგადოების დაარსებას. რომ წვრილბურჟუაზიული დემოკრატია რევოლუციის შემდგომი განვითარების პერიოდში დროებით მოიპოვებს გერმანიაში უპირატეს გავლენას, — ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. მაშასადამე, საკითხავია, როგორი იქნება პროლეტარიატის და, კერძოდ, კავშირის პოზიცია ამ დემოკრატიის მიმართ:

1) როდესაც განაგრძობს არსებობას დღევანდელი ურთიერთობა, სადაც წვრილბურჟუაზიული დემოკრატებიც დაჩაგრულნი არიან;

2) ახლობელ რევოლუციურ ბრძოლაში, რომელიც მათ უპირატესობას მიანიჭებს;

3) ამ ბრძოლის შემდეგ იმ დროის განმავლობაში, როდესაც მათ უპირატესობა ექნებათ დამხობილ კლასებსა და პროლეტარიატზე.

1) ამ მომენტში, როდესაც დემოკრატიული წვრილი ბურჟუები ყველგან დაჩაგრული არიან, ისინი საერთოდ პროლეტარიატს უქადაგებენ შეერთებას და შერიგებას; ისინი ხელს უწვდიან მას და მიისწრაფიან შეჰქმნან ერთი დიდი ოპოზიციური პარტია, რომელიც მომცველი იქნება ყველა იერისა დემოკრატიულ პარტიაში, ე. ი. ისინი მიისწრაფიან, რომ მუშები ჩაითრიონ პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც გაბატონებულია ზოგადი სოციალ-დემოკრატიული ფრაზები, რომელთა უკან დაფარულია მუშების სპეციალური ინტერესები და სადაც პროლეტარიატის გარკვეული მოთხოვნები არ შეიძლება წამოყენებულ იქნეს ამ სასურველი ზავის გამოისობით. ამგვარი შეერთება მხოლოდ და მხოლოდ მათი სასარგებლო იქნებოდა და პროლეტარიატისთვის — სავსებით საზიანო. პროლეტარიატი სრულიად დაჰკარგავდა თავის დამოუკიდებელ, ესოდენი ჯაფით მოპოვებულ პოზიციას და ისევ ოფიციალური ბურჟუაზიული დემოკრატიის მაჩანჩალობამდე დაეშვებოდა. მაშასადამე, ამ შეერთებაზე გადაჭრით უარი უნდა ითქვას. ნაცვლად იმისა, რომ ერთხელ კიდევ ჩამოქვეითდნენ ბურჟუაზიული დემოკრატებისთვის მოწონების ტაშის დამკვრელ ხოროს მდგომარეობამდე, მუშებმა და უწინარეს ყოვლისა, კავშირმა უნდა იმუშაონ იმ მიმართულებით, რომ ოფიციალური დემოკრატების გვერდით შეჰქმნან მუშათა პარტიის დამოუკიდებელი ფარული და აშკარა ორგანიზაცია და ყოველი თემი გადააქციონ ცენტრად და ბირთვად მუშათა კავშირებისა, სადაც შესაძლებელი იქნება პროლეტარიატის პოზიციის და ინტერესების განსჯა ბურჟუაზიული გავლენისგან დამოუკიდებლად. თუ რაოდენ არასერიოზულად ფიქრობენ ბურჟუაზიული დემოკრატები პროლეტარებთან კავშირზე, რომელშიაც უკანასკნელთ ისეთივე ძალა და ისეთივე უფლებები ექნებოდათ, როგორც მათ, ამას გვიჩვენებენ, მაგალითად, ბრესლავლის დემოკრატები: გაშმაგებით სდევნიან თავიანთ ორგანოში, «**Neue Oderzeitung**»-ში [1] დამოუკიდებლად ორგანიზებულ მუშებს, რომელთაც ისინი სოციალისტებს უწოდებენ. საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის შემთხვევისათვის არავითარი განსაკუთრებული შეერთება არაა საჭირო. რაკი ასეთი მოწინააღმდეგის მიმართ აუცილებელი ხდება პირდაპირი ბრძოლა, ორივე პარტიის ინტერესები დროებით თანაემთხვევა

[1] «**Neue Oderzeitung**» («ახალი ოდერის გაზეთი») ყოველდღიურად გამოდიოდა ბრესლაველში 1849 წლიდან 1855 წლამდე. რ ე დ.

ერთიმეორეს, და როგორც დღემდე ყოფილა, ისევე მერმისშიც თავისთავად წარმოდგება ამ განსაზღვრული მომენტისთვის ნავარაუდევი შეერთება. თავისთავად გასაგებია, რომ მომავალ სისხლიან კონფლიქტებში, ისე როგორც ყველა წინანდელში, უმთავრესად მუშებს მოუხდებათ გამარჯვების მოპოვება თავისი მამაცობით, გაბედულობით და თავგანწირვით. ამ ბრძოლაში წვრილი ბურჟუების მასა, ისე როგორც წინათ, რაც შეიძლება დიდხანს განაგრძობს ფეხისთრევას, ყოყმანს და უმოქმედოდ იქნება, რათა შემდეგ, როცა გამარჯვება იქნება მოპოვებული, ეს გამარჯვება თავისთვის გამოიყენოს, მუშებს მოუწოდოს სიმშვიდისა და მათ სამუშაოზე დაბრუნებისადმი, აიცილოს ეგრეთწოდებული ექსცესები და მუშებს გამოაცალოს გამარჯვების ნაყოფი. მუშებს არ ძალუძთ ხელი შეუშალონ ამაში წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს, მაგრამ მათ შეუძლიათ გააძნელონ მათი გაძლიერება შეიარაღებული პროლეტარიატის პირისპირ და მათ ისეთი პირობები უკარნახონ, რომ ბურჟუაზიული დემოკრატების ბატონობაში იმთავითვე გამჯდარი იყოს მოსპობის ჩანასახი და მათი შემდგომი განდევნა პროლეტარიატის ხელისუფლების მიერ მნიშვნელოვნად გაადვილებულ იქნეს. კონფლიქტის დროს და უშუალოდ ბრძოლის დასრულების შემდეგ მუშებმა, უწინარეს ყოვლისა, რამდენადაც კი შეიძლება, წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ დამშვიდების შემოტანის ცდას ბურჟუაზიის მიერ და აიძულონ დემოკრატები, რათა მათ მათი ახლანდელი ტერორისტული ფრაზები განახორციელონ. მათ უნდა იმუშაონ იმ მიმართულებით, რომ უშუალო რევოლუციური აღტყინება არ იქნეს გამარჯვების შემდეგ კვლავ ხელად ჩახშობილი. პირიქით, მათ იგი უნდა შეინარჩუნონ, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია. ისინი არა თუ არ უნდა გამოვიდნენ წინააღმდეგ ეგრეთწოდებული ექსცესებისა, წინააღმდეგ ხალხური შურისძიების შემთხვევებისა საძულველ პიროვნებათა ან ოფიციალურ დაწესებულებათა მიმართ, რომლებთანაც მარტოოდენ სიძულვილის მოგონებებია დაკავშირებული, მათ არა თუ უნდა მოითმინონ ეს გამოსვლები, არამედ თვითონ უნდა აიღონ ხელში მათი ხელმძღვანელობა. ბრძოლის დროს და მის შემდეგ მუშებმა ყოველ შემთხვევისას ბურჟუაზიული დემოკრატების მოთხოვნათა გვერდით უნდა წამოაყენონ თავიანთი საკუთარი მოთხოვნები. მათ უნდა მოითხოვონ გარანტიები მუშებისთვის, როგორც კი დემოკრატიული ბურჟუები მართვაგამგეობის თავის ხელში აღებას დაიწყებენ. საჭიროების შემთხვევაში მათ იძულებით უნდა გამოიტანონ ეს გარანტიები და საზოგადოდ

იზრუნონ იმაზე, რომ ახალმა მმართველებმა იკისრონ ყოველგვარი შესაძლებელ დათმობებზე და დაპირებებზე წასვლის ვალდებულება; ეს ყველაზე ნამდვილი საშუალებაა მათი სახელის გასაწბილებლად. გამარჯვებით დათრობა და აღტაცება ახალი მდგომარეობის გამოისობით, რასაც ადგილი აქვს ყოველი ძლევამოსილი, ქუჩაში წარმოებული ბრძოლის შემდეგ, მუშებმა საზოგადოდ, რამდენადაც კი შესაძლებელია, უნდა შეაკავონ მოვლენათა წყნარი და გულგრილი გაგებით და დაუფარავი უნდობლობით ახალი მთავრობის მიმართ. ახალი ოფიციალური მთავრობების გვერდით მათ დაუყოვნებლივ უნდა დააწესონ თავიანთი საკუთარი, რევოლუციური მუშათა მთავრობები, იქნება ეს ადგილობრივი თვითმმართველობის სახით, თუ მუნიციპალური საბჭოებისა, მუშათა კლუბებისა ან მუშათა კომიტეტების სახით, ასე რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა მთავრობებმა არა თუ დაუყოვნებლივ დაჰკარგონ დასაყრდენი მუშებში, არამედ დაინახონ კიდეც, რომ იმთავითვე იმყოფებიან ისეთ ხელისუფლებათა კონტროლისა და მუქარის ქვეშ, რომლების უკან მთელი მუშათა მასა დგას. ერთის სიტყვით, გამარჯვების პირველი მომენტიდანვე საჭიროა უნდობლობის მიმართვა არა უკვე დამარცხებული რეაქციული პარტიის წინააღმდეგ, არამედ თავისი წინანდელი მოკავშირეების წინააღმდეგ, იმ პარტიის წინააღმდეგ, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ თავისთვის სურს გამოიყენოს საერთო გამარჯვება.

2) მაგრამ, რათა შესაძლებელი იყოს ენერგიულად და მრისხანედ გამოსვლა ამ პარტიის წინააღმდეგ, რომელიც გამარჯვების პირველი საათიდანვე დაიწყებს მუშების გამცემლობას, ეს უკანასკნელნი შეიარაღებული და ორგანიზებული უნდა იყვნენ. მთელი პროლეტარიატის შეიარაღება თოფებით, შაშხანებით, ზარბაზნებით და ამუნიციით დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატარებული; წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს მუშების წინააღმდეგ მიმართული ძველი სამოქალაქო გვარდიის აღორძინებას. მაგრამ იქ, სადაც ამის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდება, მუშები უნდა შეეცადონ თვითონ შეჰქმნან თავისი ორგანიზაცია დამოუკიდებელი პროლეტარული გვარდიის სახით, მათ მიერვე არჩეული მეთაურებით და გენერალური შტაბით, და დადგნენ არა სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანებლობის ქვეშ, არამედ მუშების მიერ შექმნილი რევოლუციური მუნიციპალური საბჭოების განკარგულებაში. სადაც მუშები სახელმწიფო საწარმოებში მუშაობენ, იქ მათ უნდა მოახერხონ შეიარაღება და ორგანიზაცია ცალკეული კორპუსის სახით მათ მიერვე არჩეული მეთაურებით ანდა

პროლეტარული გვარდიის ნაწილის სახით. იარაღი და საბრძოლო მასალა არავითარი საბაბით არ უნდა იქნეს ხელიდან გაშვებული, განიარაღების ყოველი ცდა საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებული ძალით უნდა იქნეს უკუგდებული. მუშებზე ბურჟუაზიული დემოკრატების გავლენის მოსპობა, მუშების დამოუკიდებელი და შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნა დაუყოვნებლივ და ბურჟუაზიული დემოკრატიის დროებითი და აუცილებელი ბატონობისთვის შეძლებისამებრ უაღრესად მძიმე და მისი გამწბილებელი პირობების შექმნა, — ასეთია მთავარი პუნქტები, რომლებიც პროლეტარიატს, და მასთან ერთად კავშირსაც, უნდა ჰქონდეს მხედველობაში მომავალი აჯანყების დროს და მის შემდეგ.

3) როგორც ახალი მთავრობები რაოდენადმე განმტკიცდებიან, დაუყოვნებლივ დაიწყება მათი ბრძოლა მუშების წინააღმდეგ. რათა შესაძლებელი იყოს აქ ძალოვანად გამოსვლა დემოკრატიული წვრილი ბურჟუების წინააღმდეგ, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, რომ მუშები იყვნენ კლუბებში დამოუკიდებლად ორგანიზებული და ცენტრალიზებული. არსებული მთავრობების დამხობის შემდეგ, როგორც კი ეს როგორმე შესაძლებელი გახდება, ცენტრალური კომიტეტი გადატანილი იქნება გერმანიაში, იგი მაშინვე მოიწვევს კონგრესს და შეიტანს მის მიერ განსახილველად საჭირო წინადადებებს მუშათა კლუბების ცენტრალიზაციის შესახებ მოძრაობის მთავარ ცენტრში არსებული გამგეობის ხელმძღვანელობის ქვეშ. მუშათა კლუბების, ყოველ შემთხვევაში, საოლქო გაერთიანების სწრაფი ორგანიზაცია, წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ღონისძიებას მუშათა პარტიის გასაძლიერებლად და გასავითარებლად; არსებულ მთავრობათა დამხობის უახლობელესი შედეგი იქნება ეროვნული კრების არჩევა. აქ პროლეტარიატს დასჭირდება ზრუნვა იმაზე:

I. რომ არავითარი ხრიკები ადგილობრივი ხელისუფლების მხრივ ან მთავრობის კომისრების მხრივ არ გახდეს იმის საბაბი, რომ მუშების რაიმე რაოდენობა გარიცხულ იქნეს კრებიდან.

II. რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კანდიდატების გვერდით ყველგან წამოყენებულ იყვნენ მუშების კანდიდატები, შეძლებისამებრ კავშირის წევრებიდან, და რომ მათ ასარჩევად გამოყენებულ იქნეს ყველა შესაძლებელი საშუალება. იქაც კი, სადაც არავითარი იმედი არაა მათი გაყვანის, მუშებმა უნდა წამოაყენონ თავიანთი საკუთარი კანდიდატები, რათა შეინარჩუნონ თავისი დამოუკიდებლობა, დათვალონ თავიანთი ძალები და აშკარად აჩვენონ ყველას თავისი რევოლუციური პოზიცია და თავისი პარტიული თვალსაზრისი.

ამასთან მუშებმა არ უნდა მოატყუილებინონ თავი დემოკრატებს ფრაზებით, მაგალითად, იმის შესახებ, რომ ამით დემოკრატიული პარტია იქსაქსება და რეაქციას გამარჯვების შესაძლებლობა ეძლევა. ყველა ეს ფრაზები ბოლოს და ბოლოს იმას მოასწავებს, რომ პროლეტარიატი გაბრიყვებული უნდა იქნეს. ის წარმატება, რომელსაც პროლეტარულმა პარტიამ უნდა მიაღწიოს ასეთი დამოუკიდებელი გამოსვლით, უსასრულოდ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ზიანი, რომლის მოტანა შეუძლია რამდენიმე რეაქციონერის ყოფნას წარმომადგენლობით კრებაში. თუ დემოკრატია იმთავითვე ენერგიულად და ტერორისტულად გამოვა რეაქციის წინააღმდეგ, უკანასკნელის გავლენა არჩევნებზე წინდაწინვე იქნება გაქარწყლებული.

პირველი საკითხი, რომლის გამო წარმოსდგება კონფლიქტი ბურჟუაზიულ დემოკრატებსა და მუშებს შორის, იქნება ფეოდალიზმის მოსპობა. როგორც საფრანგეთის პირველ რევოლუციაში, წვრილი ბურჟუები ფეოდალურ მამულებს მისცემენ გლეხებს თავისუფალი საკუთრების სახით, ე. ი. მოინდომებენ სოფლის პროლეტარიატის შენარჩუნებას და წვრილბურჟუაზიული გლეხთა კლასის შექმნას, რომელმაც უნდა განვლოს ის წრებრუნვა გაღარიბებისა და მზარდი დავალიანების, რაშიაც დღესაც კიდევ იმყოფება საფრანგეთის გლეხი.

მუშები უნდა წინააღუდგნენ ამ გეგმას სოფლის პროლეტარიატის ინტერესებისა და თავიანთი საკუთარი ინტერესების გულისთვის. მათ უნდა მოითხოვონ, რომ კონფისკაციაქმნილი ფეოდალური საკუთრება გახდეს სახელმწიფოს ქონება და გადაქცეულ იქნეს მუშათა კოლონიებად, რომლებსაც შეამხანაგებული სოფლის პროლეტარიატი დაამუშავებს და ისარგებლებს ყველა იმ უპირატესობით, რაც მსხვილ მიწათმოქმედებას ახლავს; და ამით საზოგადოებრივი საკუთრების პრინციპი მერყევ ბურჟუაზიულ საკუთრების ურთიერთობაში დაუყოვნებლივ მტკიცე ნიადაგს მოიპოვებს. როგორც დემოკრატები უერთდებიან გლეხებს, ისევე მუშებიც უნდა შეუერთდნენ სოფლის პროლეტარიატს. შემდეგ, დემოკრატები ან პირდაპირ შეეცდებიან ფედერატიული რესპუბლიკის დაწესებას, ანდა, თუ მათ ერთიანი და განუყოფელი რესპუბლიკის თავიდან აცილება ვერ მოუხერხდათ, ეცდებიან ყოველ შემთხვევაში ცენტრალური მთავრობის დასუსტებას თემებისა[1] და ოლქებისთვის რაც

[1] ტერმინი თ ე მ ი აქ იხმარება ფართო გაგებით, როგორც საქალაქო მუნიციპალიტეტების, ისე სასოფლო თემების მიმართ. რ ე დ.

შეიძლება მეტი თავისთავადობის და დამოუკიდებლობის მინიჭების გზით. წინააღმდეგ ამ გეგმისა, მუშებმა მხარი უნდა დაუჭირონ არა თუ გერმანიის ერთიან და განუყოფელ რესპუბლიკას, არამედ — მასში ძალაუფლების მკვეთრ ცენტრალიზაციასაც სახელმწიფო ხელისუფლების ხელში. მათ თავი არ უნდა შეაყვანინონ შეცდომაში დემოკრატიული ყბედობით თემების თავისუფლებაზე, თვითმმართველობაზე და სხვ. ისეთ ქვეყანაში, როგორიც გერმანიაა, სადაც ჯერ კიდევ მოსასპობია საშუალო საუკუნეების ესოდენ მრავალი ნაშთი, სადაც ესოდენ მრავალი ადგილობრივი და პროვინციული თავნებობაა მოსატეხი, არავითარ გარემოებაში არ შეიძლება მოთმენილ იქნეს, რომ თვითეული სოფელი, თვითეული ქალაქი და თვითეული პროვინცია ახალ დაბრკოლებას უქმნიდეს გზაზე რევოლუციურ მოქმედებას, რომელიც მთელი თავისი ძალით მხოლოდ ცენტრიდან შეიძლება მომდინარეობდეს. არ შეიძლება ამის დაშვება: რომ კვლავ განახლდეს ახლანდელი მდგომარეობა, რომლის მეოხებით წინ ერთიდაიმავე ნაბიჯის გადასადგმელად გერმანელებს ესაჭიროებათ განსაკუთრებითი ბრძოლა ყოველ ქალაქში და ყოველ ოლქში. ყველაზე ნაკლებ შეიძლება იმის დაშვება, რომ ეგრეთწოდებული თავისუფალი სათემო მმართველობის დახმარეპით გამარადისებული იქნეს სათემო საკუთრება, — საკუთრების ფორმა, რომელიც კიდევ თანამედროვე კერძო საკუთრების უკან დგას და ყველგან, ირღვევა რა, აუცილებლად გადადის ამ უკანასკნელში, და რომ მასთან ერთად გამარადისებული იქნეს იქიდან წარმომდგარი დავა ღარიბ და მდიდარ თემებს შორის, აგრეთვე სახელმწიფოებრივი სამოქალაქო სამართლის გვერდით არსებული სათემო სამოქალაქო სამართალი მისი ხრიკებითურთ მუშების წინააღმდეგ. როგორც საფრანგეთში 1793 წელს, ისე ახლა გერმანიაში უსასტიკესი ცენტრალიზაციის გატარება ნამდვილი რევოლუციური პარტიის ამოცანას შეადგენს [1].

---

[1] ამჟამად უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ადგილი გაუგებრობაზეა დამყარებული. ისტორიის ბონაპარტისტული და ლიბერალური ფალსიფიკატორების წყალობით, მაშინ დადგენილად ითვლებოდა, რომ საფრანგეთის ცენტრალიზებული საგამგებლო მანქანა შუმოღებულ იყო დიდი რევოლუციის მიერ და რომ კონვენტი სარგებლობდა მით როგორც აუცილებელი და მკვეთრი იარაღით როიალისტურ და ფედერალისტურ რეაქციაზე და საგარეო მტერზე გასამარჯვებლად. მაგრამ ახლა ცნობილია ის ფაქტი, რომ დეპარტამენტების, ოლქების და თემების გამგებლობა მთელი რევოლუციის განმავლობაში 18 ბრიუმერამდე თვით იმათგან არჩეული ხელისუფლებისაგან შედგებოდა, ვისაც განაგებდნენ, და ამ ხელისუფლებას მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონდა საერთო სახელმწიფო კანონების

ჩვენ ვნახეთ, როგორ მიაღწევენ დემოკრატები უახლოეს მოძრაობაში ბატონობას და როგორ იქნებიან იძულებული გამოვიდნენ მეტნაკლებ სოციალისტური ღონისძიებებით. წარმოდგება საკითხი: რა ღონისძიებები უნდა წამოაყენონ მუშებმა ამის პირისპირ? რასაკვირველია, მუშებს არ შეუძლიათ მოძრაობის დასაწყისშივე წმინდა კომუნისტური ღონისძიებების წამოყენება. მაგრამ, მათ შეუძლიათ:

1) დემოკრატები აიძულონ, რომ ჩაერიონ არსებული საზოგადოებრივი წყობილების რაც შეიძლება მრავალ დარგში, დაარღვიონ ამ წყობილების ნორმალური მსვლელობა, გაიტეხონ სახელი, აგრეთვე თავი მოუყარონ სახელმწიფოს ხელში რაც შეიძლება ბევრ საწარმოო ძალას, ტრანსპორტის საშუალებებს, ფაბრიკებს, რკინიგზებს და სხვ.

2) მათ უკიდურესობამდე უნდა მიიყვანონ წინადადებები დემოკრატების, რომელნიც, რასაკვირველია, გამოვლენ არა რევოლუციურად, არამედ — როგორც რეფორმისტები; მათ ეს წინადადებები უნდა გადააქციონ პირდაპირ თავდასხმად კერძო საკუთრებაზე. ასე, მაგალითად, თუ წვრილი ბურჟუები რკინიგზების და ფაბრიკების გამოყიდვის წინადადებას აკეთებენ, მუშებმა უნდა მოითხოვონ, რომ ამ რკინიგზებს და ფაბრიკებს, როგორც რეაქციონერთა საკუთრებას, პირდაპირ კონფისკაცია ეყოს სახელმწიფოს მიერ ყოველი ანაზღაურების გარეშე. თუ დემოკრატები პროპორციული გადასახადების წინადადებას იძლევიან, მუშებმა უნდა მოითხოვონ პროგრესიული გადასახადი; თუ თვითონ დემოკრატების წინადადებაა ზომიერ-პროგრესიული გადასახადი, მუშებმა უნდა მოითხოვონ გადასახადი, რომლის განაკვეთები ისე სწრაფად იზრდება, რომ მსხვილი კაპიტალი ამ შემთხვევაში განადგურდება; თუ დემოკრატები მოით-

---

ფარგალში; რომ ეს, ამერიკულის მსგავსი, პროვინციული და ადგილობრივი თვითმმართველობა შეიქმნა სწორედ უძლიერესი ბერკეტი რევოლუციის, იმდენად, რომ ნაპოლეონმა უშუალოდ 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სწრაფად შეცვალა ეს თვითმმართველობა პრეფექტების ნავარდობით, რომელიც დარჩენილი არის დღემდე და რომელიც, ამგვარად, იმთავითვე რეაქციის წმინდა იარაღი იყო. მაგრამ რამდენადაც ადგილობრივი და პროვინციული თვითმმართველობა არ ეწინააღმდეგება პოლიტიკურ და ეროვნულ ცენტრალიზაციას, იმდენადვე იგი არაა აუცილებლად მისი დაკავშირება იმ შეზღუდულ კანტონურ და კომუნალურ ეგოიზმთან, რომელიც ესოდენ საზიზღარი სახით წარმოგვიდგება შვეიცარიაში და რომელიც სამხრეთგერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკელებს უნდოდათ წესად გაეხადათ გერმანიისთვის. (ენგელსის შენიშვნა 1885 წლის გამოცემისათვის.)

ხოვენ სახელმწიფოს ვალების მოწესრიგებას, მუშებმა უნდა მოითხოვონ სახელმწიფოს გაკოტრება. მაშასადამე, მუშების მოთხოვნები ყველგან შეფარდებული უნდა იყოს დემოკრატების დათმობებსა და ლონისძიებებთან.

თუ გერმანიის მუშებს არ შეუძლიათ მიაღწიონ ბატონობას და მათი კლასობრივი ინტერესების განხორციელებას, რევოლუციური განვითარების უფრო გრძელი გზის საესებით გაუვლელად, აქ მათ მაინც აქვთ ის მტკიცე რწმენა, რომ ამ მომავალი რევოლუციური დრამის პირველი აქტი თანამთხვევია მათი საკუთარი კლასის გამარჯვებისა საფრანგეთში და მით იგი ძალიან დაჩქარდება.

მაგრამ მათი საბოლოო გამარჯვებისათვის ისინი ყველაზე უფრო მეტს გააკეთებენ მით, რომ გაირკვევენ თავიანთ კლასობრივ ინტერესებს, რაც შეიძლება ჩქარა დაიკავებენ თავის დამოუკიდებელ პარტიულ პოზიციას და დემოკრატიული წვრილი ბურჟუების ფარისევლურ ფრაზებს ერთი წუთითაც არ ააცდენინებენ თავს პროლეტარიატის პარტიის დამოუკიდებელი ორგანიზაციის გზიდან. მათი საბრძოლო ლოზუნგი უნდა იყოს: «განუწყვეტელი რევოლუცია».

ლონდონი, მარტი 1850 წ.

დაწერილია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ. გამოქვეყნა ფ. ენგელსმა კ. მარქსის წიგნში «მხილებანი კომუნისტთა კელნის პროცესის შესახებ», რომელიც გამოიცა ციურიხში 1885 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით. თარგმანი გერმანულიდან.

კ. მარქსი

კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე

ფ. ენგელსის შესავალი

ეს ნაშრომი, რომელსაც ხელახლა ვაქვეყნებთ, წარმოადგენდა მარქსის პირველ ცდას, თავისი მატერიალისტური გაგების საფუძველზე, არსებული ეკონომიური მდგომარეობით აეხსნა თანამედროვე ისტორიის განსაზღვრული მონაკვეთი. «კომუნისტურ მანიფესტში» ეს თეორია, ზოგად ხაზებით, გამოყენებული იყო მთელი უახლესი ისტორიის მიმართ. «ახალი რაინის გაზეთში» მოთავსებულ მარქსისა და ჩემ სტატიებში მუდამ ვსარგებლობდით ამ თეორიით მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ასახსნელად. აქ კი საქმე შეეხებოდა იმას, რომ მრავალი წლის მანძილზე, რომელიც წარმოადგენდა მთელი ევროპისათვის როგორც კრიტიკულ, ისე ტიპიურ განვითარებას, ნაჩვენები ყოფილიყო შინაგანი მიზეზობრივი კავშირი და, მაშასადამე, ავტორის კონცეფციის თანახმად, პოლიტიკური მოვლენები ახსნილი ყოფილიყო, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიური მიზეზების მოქმედებით.

მიმდინარე ისტორიული მოვლენების და მოვლენათა რიგის განხილვისას ვერასოდეს ვერ შევძლებთ საბოლოო ეკონომიურ მიზეზებამდე მისვლას: ამჟამადაც კი, როდესაც ესოდენ მდიდარ მასალას იძლევა სათანადო სპეციალური პრესა. შეუძლებელია, ინგლისშიაც კი, იმგვარად განვჭვრიტოთ მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების მსვლელობა მსოფლიო ბაზარზე და ის ცვლილებები, რომლებსაც წარმოების მეთოდებში დღითი-დღე აქვს ადგილი, რომ ყოველი მომენტისათვის შეგვეძლოს შევადგინოთ საერთო ჯამი ამ მეტად რთული და მუდამ ცვალებადი ფაქტორების

საფუძველზე, ფაქტორების, რომელთაგან უმნიშვნელოვანესნი, გარდა ამისა, მეტწილად დიდხანს ფარულად მოქმედებენ, სანამ მოულოდნელად ძალით თავს არ წამოჰყოფდნენ ზედაპირზე. ამა თუ იმ პერიოდის ეკონომიური ისტორიის ნათლად მიმოხილვა შეუძლებელია ამ ისტორიული მოვლენების ერთდროულად; ეს შესაძლებელია მხოლოდ შემდეგში, როდესაც მასალა უკვე შეგროვილია და შემოწმებული. აუცილებელ დამხმარე საშუალებას შეადგენს აქ სტატისტიკა, მაგრამ იგი ყოველთვის იგვიანებს. ამიტომ მიმდინარე მოვლენების განხილვისას ძალიან ხშირად იძულებული ვართ ეს გადამჭრელი მნიშვნელობის მქონე ფაქტორი მივიჩნიოთ მყარად, განსახილველი პერიოდის დასაწყისში არსებული ეკონომიური მდგომარეობა ჩავთვალოთ მთელი ამ პერიოდისთვის მოცემულად და უცვლელად, ანდა ანგარიშში მივიღოთ ამ მდგომარეობის მხოლოდ ისეთი ცვლილებები, რომელნიც თვით გამომდინარეობენ ცხადად დასანახი მოვლენებიდან და ამიტომ აგრეთვე თვითაც ცხადნი არიან. ამიტომ მატერიალისტური მეთოდი აქ ძალიან ხშირად იმით უნდა შემოიფარგლოს, რომ პოლიტიკური კონფლიქტები დაიყვანოს ეკონომიური განვითარებით შექმნილ არსებულ საზოგადოებრივ კლასებისა და კლასთა ფრაქციების ინტერესების ბრძოლაზე, ხოლო ცალკეული პოლიტიკური პარტიები განიხილოს, როგორც ამ კლასებისა და კლასთა ფრაქციების ბევრად თუ ნაკლებად ადექვატური პოლიტიკური გამოსახულება.

თავისთავად გასაგებია, რომ ეკონომიური მდგომარეობის — ყველა განსახილველი პროცესის ამ ნამდვილი საფუძვლის — იმავდროულ ცვლილებათა აუცილებელი უგულებელყოფა უნდა იყოს შეცდომების წყარო. მაგრამ მიმდინარე ისტორიის განზოგადებით გადმოცემის ყველა პირობა აუცილებლად შეიცავს შეცდომების წყაროებს, რაც, მიუხედავად ამისა, არავის არ აიძულებს ხელი აიღოს მიმდინარე მოვლენათა ისტორიის წერაზე.

როდესაც მარქსი ამ მუშაობას შეუდგა, შეცდომების ეს აღნიშნული წყარო კიდევ უფრო აუცილებელი იყო. თვალყურის დევნება 1848 — 1849 წლების რევოლუციის განმავლობაში იმავდროულად მომხდარი ეკონომიური ცვლილებებისათვის ან თუნდ მათი შენარჩუნება მხედველობის არეში სრულიად შეუძლებელი იყო. ეს შეუძლებელი იყო ლონდონს განდევნის პირველ თვეებშიც, 1849 — 1850 წლების შემოდგომაზე და ზამთარში. მარქსმა კი სწორედ მაშინ დაიწყო ეს მუშაობა და, მიუხედავად ასეთი არახელსაყრელი გარემოებებისა, მარქსმა შეძლო, როგორც თებერვლის რევო-

ლუციის წინა საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობის, ისევე თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამ ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის ზედმიწევნით ცოდნის მეოხებით, მოეცა მოვლენათა ისეთი გადმოცემა, რომელიც ამყარებს მათ შინაგან კავშირს დღემდე მიუღწეველი სრულქმნილებით და რომელმაც შემდეგში ბრწყინვალედ გაუძლო თვით მარქსის მიერ მოხდენილ ორმაგ გამოცდას.

პირველი გამოცდა მოხდა იმასთან დაკავშირებით, რომ 1850 წლის გაზაფხულიდან მარქსმა ისევ მოიცალა ეკონომიური საკითხების შესწავლისათვის და პირველყოვლისა ხელი მოჰკიდა უკანასკნელი ათი წლის ეკონომიურ ისტორიას. ამის გამო მისთვის სრულიად ნათელი შეიქნა თვით ფაქტებიდან ის, რაც მას მანამდე გამოჰყავდა როგორც ნახევრად აპრიორული დასკვნა არასრული მასალიდან, სახელდობრ ის, (რომ 1847 წლის მსოფლიო სავაჭრო კრიზისი ნამდვილი დედა' იყო თებერვლის და მარტის რევოლუციების და რომ სამრეწველო აყვავება, რომელიც თანდათან კვლავ დამყარდა 1848 წლის ნახევრიდან და რომელმაც უმაღლეს წერტილს მიაღწია 1849 და 1850 წლებში, მაცოცხლებელ ძალას შეადგენდა ხელახლა გაძლიერებული ევროპული რეაქციისთვის. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.) მაშინ როდესაც პირველ სამ სტატიაში (რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალ «ახალი რაინის გაზეთი. პოლიტიკური ეკონომიური მიმოხილვა». ჰამბურგი. 1850 წ.[1] იანვრის, თებერვლის და მარტის ნომრებში) ჯერ კიდევ იგრძნობა რევოლუციური ენერგიის ჩქარა ახალი აზვირთების მოლოდინი, მარქსის და ენგელსის მიერ შედგენილი ისტორიული მიმოხილვა (მაისიდან — ოქტომბრამდე), რომელიც დაიბეჭდა 1850 წლის შემოდგომაზე გამოსულ უკანასკნელ ორმაგ ნომერში, ერთხელ და სამუდამოდ თავს ანებებს ამ ილუზიას; «ახალი რევოლუცია შესაძლებელია მხოლოდ ახალი კრიზისის შემდეგ. მაგრამ იგი ისევე აუცილებელია, როგორც ეს უკანასკნელი». მაგრამ ეს იყო ერთადერთი არსებითი ცვლილება, რომლის შეტანა ჩვენ დაგვჭირდა. მოვლენათა განმარტებაში, რომელიც წინანდელ სტატიაში იყო მოცემული და იქ დადგენილ მიზეზობრივ კავშირში სრულიად არა იყო რა შესაცვლელი, როგორც ამას გვიჩვენებს იმავე მიმოხილვაში მოცემული მოთხრობის გაგრძელება 1850 წლის 10 მარტიდან შემოდგომამდე. ამიტომ მე ეს გაგრძელება, როგორც მეოთხე სტატია, ამ გამოცემაში შევიტანე.

[1] «Neue Rheinische Zeitung Politisch-ökonomische Revue» — ეს ჟურნალი გამოდიოდა მარქსის და ენგელსის ხელმძღვანელობით 1850 წლის ნახევრიდან ოქტომბრამდე. იბეჭდებოდა ჰამბურგში. რ ე დ.

მეორე გამოცდა უფრო მკაცრი იყო. მაშინვე, როგორც კი ლუი ბონაპარტემ 1851 წლის 2 დეკემბერს მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება, მარქსმა ხელახლა დაამუშავა საფრანგეთის ისტორია 1848 წლის თებერვლიდან ამ მოვლენამდე, რომელმაც დროებით დასრულა რევოლუციური პერიოდი («18 ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა», მესამე გამოცემა, ჰამბურგი, მაისნერი, 1885 წ.). ამ ბროშურაში კვლავ გადმოცემულია, თუმცა უფრო მოკლედ, ის პერიოდი, რომელიც განხილულია ჩვენ მიერ ხელახლა გამოქვეყნებულ ნაშრომში. თუ შევადარებთ ერთ წელზე მეტი დროის შემდეგ მომხდარ გადამწყვეტი მოვლენების შუქზე დაწერილ ამ მეორე გადმოცემას პირველ გადმოცემასთან, დავრწმუნდებით, რომ ავტორს ძლიერ მცირე რამ ჰქონდა შესაცვლელი.

სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ნაშრომს ის გარემოება, რომ მასში პირველადაა გამოთქმული ფორმულა, რომელშიც მსოფლიოს ყველა ქვეყნების მუშათა პარტიები ერთხმად გამოხატავენ მოკლედ თავიანთ მოთხოვნას ეკონომიური გარდაქმნის შესახებ: წარმოების საშუალებათა მითვისება საზოგადოების მიერ. მეორე თავში «შრომის უფლების» შესახებ, რომელიც იქ დახასიათებულია როგორც «პირველი უმწეო ფორმულა, რომელშიაც შეჯამებულია პროლეტარიატის რევოლუციური მოთხოვნები», ნათქვამია: «მაგრამ შრომის უფლების უკან დგას ძალაუფლება კაპიტალზე, ხოლო კაპიტალზე ძალაუფლების უკან — წარმოების ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა მ ი თ ვ ი ს ე ბ ა, მათი დაქვემდებარება ასოციაციაში გაერთიანებული მუშათა კლასისადმი, — მაშასადამე, დაქირავებული შრომის, კაპიტალის და მათი ურთიერთდამოკიდებულების გაუქმება». ამრიგად, აქ პირველადაა ჩამოყალიბებული ის დებულება, რომლითაც თანამედროვე მუშათა სოციალიზმი მკვეთრად განსხვავდება როგორც ყველა სახის ფეოდალური, ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული და სხვ. სოციალიზმისგან, ისე ბუნდოვანი «ქონების ერთობისგან», რასაც აღიარებდა უტოპიური და სტიქიური მუშათა კომუნიზმი. თუ შემდეგში მარქსმა ეს ფორმულა გაცვლა-გამოცვლის საშუალებათა მითვისებაზეაც გაავრცელა, ამ ფორმულის ასეთი გაფართოება, რაც, თუმცა, თავისთავად გამომდინარეობდა «კომუნისტური მანიფესტიდან», წარმოადგენდა მხოლოდ მთავარი დებულების დამატებას. შემდეგ, ზოგიერთმა ბრძენმა ადამიანმა ინგლისში ახლახან დაუმატა კიდევ: «განაწილების საშუალებებიც» უნდა გადაეცეს საზოგადოებასო. ამ ბატონებს უთუოდ გაუძნელდებოდათ ეთქვათ, თუ რა არის ეს საწარმოო გაცვლა-გამოცვ-

ლის საშუალებებისგან განსხვავებული განაწილების ეკონომიური საშუალებანი; ხომ არა აქვთ მათ მხედველობაში განაწილების პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი საშუალებები: გადასახადი, დახმარება ღარიბთათვის, საქსენვალდის [1] ჩათვლით და სხვა დოტაციები. მაგრამ განაწილების ეს საშუალებები, ჯერ-ერთი, დღესაც ხომ უკვე საზოგადოების ქონებაა, სახელმწიფოს ან თემის კუთვნილება და, მეორე, ჩვენ სწორედ მათი მოსპობა გვინდა.

* *

როდესაც თებერვლის რევოლუციამ იფეთქა, ჩვენ ყველანი, რამდენადაც საკითხი შეეხებოდა ჩვენს წარმოდგენას რევოლუციურ მოძრაობათა პირობებსა და მიმდინარეობაზე, წინანდელი ისტორიული გამოცდილების — განსაკუთრებით საფრანგეთის გამოცდილების — გავლენის ქვეშ ვიმყოფებოდით. სწორედ საფრანგეთს ეჭირა მთავარი როლი მთელს ევროპის ისტორიაში 1789 წლის შემდეგ, და ახლაც ისევ მან მისცა სიგნალი საყოველთაო გადატრიალებას. ამრიგად, თავისთავად გასაგებია და აუცილებელი, რომ ჩვენი წარმოდგენა პარიზში 1848 წელს გამოცხადებული «სოციალური» რევოლუციის — პროლეტარიატის რევოლუციის — ხასიათსა და მსვლელობაზე ძალიან შეფერადებული იყო 1789 — 1830 წლების ნიმუშების მოგონებებით. ხოლო როდესაც პარიზის აჯანყებამ გამოხმაურება ჰპოვა ვენის, მილანის, ბერლინის ძლევამოსილ აჯანყებებში, როდესაც მთელი ევროპა რუსეთის საზღვრამდე ჩათრეულ იქნა მოძრაობაში, როდესაც შემდეგ პარიზში ივნისის თვეში მოხდა პირველი დიდი ბრძოლა ბატონობისათვის პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, როდესაც ბურჟუაზიული კლასის გამარჯვებამაც კი იმდენად შეაძრწუნა ყველა ქვეყნის ბურჟუაზია, რომ იგი ისევ გადაეხვია ახლახან დამხობილ მონარქიულ-ფეოდალურ რეაქციას, — აქ უკვე მაშინდელ გარემოებებში, ჩვენ ეჭვი აღარ გვქონდა, რომ დაიწყო დიდი გადამწყვეტი ბრძოლა, რომ იგი ბოლომდე უნდა იქნეს მიყვანილი ერთი ხანგრძლივი და ცვალებადი მოვლენებით მდიდარი რევოლუციური პერიოდის განმავლობაში, მაგრამ რომ იგი შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებით დასრულდეს.

1849 წლის დამარცხების შემდეგ ჩვენ სრულიადაც არ ვიზიარებდით იმ ვულგარული დემოკრატიის ილუზიებს, რომელიც დაჯგუფ-

---

[1] საქსენვალდი — დიდი მამული, რომელიც ვილჰელმ I აჩუქა ბისმარკს 1871 წ. რ ედ.

და მომავალი დროებითი მთავრობების გარშემო **in partibus**[1]. ეს დემოკრატია ელოდა «ხალხი»-ს საბოლოო სწრაფ გადამწყვეტ გამარჯვებას «მოძალადეებზე», ჩვენ კი ვვარაუდობდით, «მოძალადეების» მოცილების შემდეგ, ხანგრძლივ ბრძოლას სწორედ ამ «ხალხში» მიმალულ მოწინააღმდეგე ელემენტებს შორის. ვულგარული დემოკრატია ახალ აფეთქებას მოელოდა დღითი-დღე; ჩვენ კი განვაცხადეთ უკვე 1850 წლის შემოდგომაზე, რომ რევოლუციური პერიოდის, ყოველ შემთხვევაში, პირველი ეტაპი დასრულებული არის და, სანამ ახალი მსოფლიო ეკონომიური კრიზისი არ იფეთქებს, არ შეიძლება რამეს ველოდოთ. ამის გამო ჩვენ შეგვაჩვენეს, როგორც რევოლუციის მოღალატენი, იმ ადამიანებმა, რომლებმაც შემდეგში თითქმის ყველამ გამოუკლებლივ ზავი დადვეს ბისმარკთან, — რამდენადაც ბისმარკმა ღირსჰყო ისინი.

მაგრამ ისტორიამ დაგვანახა, რომ ჩვენც არ ვყოფილვართ მართალნი, რომ ჩვენი მაშინდელი შეხედულება ილუზიას წარმოადგენდა. იგი უფრო შორსაც წავიდა: მან არა თუ დაარღვია ჩვენი მაშინდელი ცდომილება, არამედ სრულიად შეცვალა აგრეთვე ის პირობები, რომლებშიაც პროლეტარიატს უხდება ბრძოლა. ბრძოლის წესი, რომელიც 1848 წელს იყო გამოყენებული, ყოველმხრივ დაძველებულია დღეს, და ამ პირობებში ეს პუნქტი უფრო დაწვრილებით განხილვის ღირსია.

ყველა წინანდელი რევოლუცია კმაყოფილდებოდა იმით, რომ ერთი გარკვეული კლასის ბატონობას ცვლიდა მეორე კლასის ბატონობით; მაგრამ ყველა დღემდე გაბატონებული კლასი მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენდა დამორჩილებულ ხალხის მასასთან შედარებით. ამრიგად, დაემხობოდა ერთი გაბატონებული უმცირესობა, მის ნაცვლად მეორე უმცირესობა იპყრობდა სახელმწიფო ძალაუფლების საჭეს და სახელმწიფოს დაწესებულებებს თავისი ინტერესების შესაბამისად გარდაქმნიდა. თვითეულ შემთხვევაში ეს იყო უმცირესობის ის ჯგუფი, რომელსაც, მოცემული ეკონომიური განვითარების დონეზე, შესწევდა უნარი და ჰქონდა ბატონობის მოწოდება და სწორედ ამიტომ — და მხოლოდ ამიტომ — ხდებოდა ის, რომ დამორჩილებული უმრავლესობა გადატრიალების დროს ან მხარს უჭერდა აღნიშნულ უმცირესობის ჯგუფს, ან, ყოველ შემთხვევაში, მშვიდად ურიგდებოდა გადატრიალებას. მაგრამ

[1] **In partibus infidelium** — სიტყვა-სიტყვით — ორგულთა ქვეყანაში, ე. ი. თავისი ქვეყნის საზღვრებსგარეშე, ემიგრაციაში. რ ე დ.

თუ ჩვენ თვითეული კონკრეტული შემთხვევის შინაარსს მხედველობაში არ მივიღებთ, ყველა ამ რევოლუციების საერთო ფორმა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი უმცირესობის რევოლუციებს წარმოადგენდნენ. მაშინაც კი, როდესაც უმრავლესობა მონაწილეობდა, იგი, — შეგნებულად თუ შეუგნებლად, — უმცირესობის სასარგებლოდ მოქმედებდა. და სწორედ ამიტომ, ანდა იმის გამოც, რომ უმრავლესობა მხოლოდ პასიურად მოქმედებდა და არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა თავის მხრივ, იქმნებოდა ილუზია, თითქოს ეს უმცირესობა მთელი ხალხის წარმომადგენელი ყოფილიყოს.

პირველი დიდი წარმატების შემდეგ ძლევამოსილი უმცირესობა ჩვეულებრივ იყოფოდა; მისი ერთი ნაწილი კმაყოფილდებოდა მიღწეულით, ხოლო მეორე ნაწილს სურდა უფრო შორს წასვლა, ადგენდა ახალ მოთხოვნებს, რომლებიც, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ, შეეფერებოდა ხალხის დიდი მასის ნამდვილ თუ მოჩვენებით ინტერესებს. ცალკეულ შემთხვევებში ეს უფრო რადიკალური მოთხოვნები ნამდვილად ხორცს ისხამდნენ, მაგრამ ხშირად — მხოლოდ ძლიერ მოკლე ხნით: უფრო ზომიერი პარტია კვლავ იმარჯვებდა, და უკანასკნელი მონაპოვარი. — მთლად ან ნაწილობრივ, — იკარგებოდა; მაშინ დამარცხებულნი გაჰკიოდნენ ღალატზე ანდა დამარცხებას მიაწერდნენ შემთხვევითობას. სინამდვილეში კი მეტწილად საქმე ასე იყო: ის, რაც მოპოვებული იყო პირველი გამარჯვებით, მტკიცე მონაპოვრად იქცეოდა მარტოოდენ უფრო რადიკალური პარტიის მეორე გამარჯვებით; მაგრამ როგორც კი ეს მიღწეული იქნებოდა, ხოლო ამით ისიც, რაც ამ მომენტისათვის იყო საჭირო, რადიკალები და მათი მიღწევები კვლავ ჰქრებოდნენ ასპარეზიდან.

უახლესი დროის ყველა რევოლუციაში, დაწყებული ინგლისის XVII საუკუნის დიდი რევოლუციით, ჩანდა ეს ნიშნები, რომლებიც ყოველი რევოლუციური ბრძოლისგან თითქოს განუყრელი იყო. ისინი თითქოს ახლდნენ პროლეტარიატის ბრძოლასაც თავის განთავისუფლებისათვის, მით უფრო, რომ სწორედ 1848 წელს თითზე დაითვლიდით იმ ადამიანებს, რომელთაც ცოტაოდენ მაინც გაეგებოდათ, თუ რა მიმართულებით იყო საძებნელი ეს განთავისუფლება. თვით პროლეტარულ მასებს პარიზშიც კი არ ჰქონდათ გამარჯვების შემდეგ არავითარი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა წასულიყვნენ, მაგრამ მოძრაობა მაინც არსებობდა — ინსტინქტური, სტიქიური, უძლეველი. განა ეს არ იყო სწორედ ისეთი მდგომარეობა, როდესაც წარმატებით უნდა დაგვირგვინებულიყო რევოლუცია, რომელსაც თუმცა უმცირესობა ხელმძღვანელობ-

და, მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე არა უმცირესობის ინტერესებისათვის, არამედ უმრავლესობის ნამდვილი ინტერესებისათვის? თუ ყველა რამდენადმე ხანგრძლივ რევოლუციურ პერიოდებში წინ მიმსწრაფი უმცირესობა ასე ადვილად იზიდავდა თავის მხარეზე ცარიელი და ფუჭი მისატყუებლით ხალხის დიდ მასებს, განა ეს მასები ნაკლებად მისაწვდომნი უნდა ყოფილიყვნენ იმ იდეებისთვის, რომელნიც მათი ეკონომიური მდგომარეობის ნამდვილ ანარეკლს შეადგენენ, რომელნიც სხვას არას წარმოადგენენ თუ არა მათი მოთხოვნილებების ნათელ, გონივრულ გამოსახულებას, მართალია, ჯერ კიდევ შეუცნობელს, მაგრამ ბუნდოვნად შეგრძნობილს მათ მიერ? მართალია, მასების ამ რევოლუციური განწყობილების ადგილს თითქმის ყოველთვის, და უმრავლეს შემთხვევაში ძალიან მალე, იჭერდა დაღლილობა ანდა შებრუნებაც კი საწინააღმდეგო მხარეს, როგორც კი მათ ილუზია უქრებოდათ და იმედი უცრუვდებოდათ. მაგრამ აქ საქმე შეეხებოდა არა ფუჭ მისატყუებელს, არამედ დიდძალი უმრავლესობის ნამდვილი ინტერესების განხორციელებას, ინტერესების, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო ნათელი ამ დიდძალი უმრავლესობისთვის, მაგრამ მალე საკმაოდ ნათელი უნდა გამხდარიყო მისთვის მათი პრაქტიკულად განხორციელების პროცესში დამარწმუნებელი სიცხადის მეოხებით. ამასთან, როგორც ეს ნაჩვენებია მარქსის მესამე სტატიაში, 1848 წლის «სოციალური» რევოლუციის შედეგად აღმოცენებული ბურჟუაზიული რესპუბლიკის განვითარებამ 1850 წლის გაზაფხულს ნამდვილი ბატონობა ხელთ მისცა მსხვილ ბურჟუაზიას, რომელიც, ამასთანავე, მონარქისტულად იყო განწყობილი, ხოლო ყველა სხვა საზოგადოებრივი კლასები, გლეხები და წვრილი ბურჟუები, პროლეტარიატის ირგვლივ დააჯგუფა, ასე რომ, საერთო გამარჯვებაში და მის შემდეგ, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტორად უნდა გამხდარიყვნენ არა ისინი, არამედ — გამოცდილებით გამობრძმედილი პროლეტარიატი. და ასეთ გარემოებაში განა არ უნდა გვქონებოდა იმედი, რომ უმცირესობის რევოლუცია უმრავლესობის რევოლუციად გადაიქცეოდა?

ისტორიამ არ გაგვამართლა ჩვენ და ყველა ისინი, ვინც ჩვენსავით ფიქრობდნენ. მან ცხადჰყო, რომ ეკონომიური განვითარება ევროპის კონტინენტზე მაშინ ჯერ კიდევ ძალიან მოუმწიფებელი იყო წარმოების კაპიტალისტური წესის მოსასპობად; მან ეს დაგვიმტკიცა იმ ეკონომიური რევოლუციით, რომელმაც 1848 წლიდან მოიცვა მთელი კონტინენტი და ფაქტიურად პირველად დაამყარა ნამდვილად მსხვილი მრეწველობა საფრანგეთში, ავსტრიაში, უნგრეთში,

პოლონეთში, და ახლახან რუსეთშიც, ხოლო გერმანია პირდაპირ გადააქცია პირველხარისხოვან სამრეწველო ქვეყნად. ყველაფერი ეს მოხდა კაპიტალისტურ საფუძველზე, რომელსაც 1848 წელს, მაშასადამე, ჯერ კიდევ ჰქონდა გაფართოების დიდი უნარი. მაგრამ სწორედ ამ სამრეწველო რევოლუციამ შეიტანა კიდევაც ყველგან სიცხადე კლასობრივ ურთიერთობაში; მან მოსპო მრავალი შუალედი ფორმა, გადმოსული მანუფაქტურული პერიოდიდან, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში ამქრული ხელოსნობიდანაც კი, წარმოშვა ნამდვილი ბურჟუაზია და ნამდვილი მსხვილი სამრეწველო პროლეტარიატი, რომლებიც საზოგადოებრივ განვითარების წინა რიგში წამოაყენა. მაგრამ სწორედ ამის მეოხებითაა, რომ ამ ორი დიდი კლასის ბრძოლა, რომელსაც 1848 წელს, გარდა ინგლისისა, მხოლოდ პარიზში და დიდი-დიდი რამდენიმე მსხვილ სამრეწველო ცენტრში ჰქონდა ადგილი, ახლა გავრცელდა მთელ ევროპაში და ისეთ ინტენსივობას მიაღწია, რომელიც 1848 წელს ჯერ კიდევ სრულიად წარმოუდგენელი იყო. მაშინ არსებობდა მრავალი სექტანტური საზარება მათი ყველაფრის გამკურნავი საშუალებებით: დღეს არის ერთი, საყოველთაოდ აღიარებული, გამჭვირვალებამდე ნათელი მარქსის თეორია, რომელშიც ბრძოლის საბოლოო მიზნები მკვეთრად არის ჩამოყალიბებული; მაშინ იყვნენ ადგილობრივი და ეროვნული თავისებურებებით დაქსაქსული და გათიშული, მარტოოდენ საერთო ტანჯვის გრძნობით შეკავშირებული, განუვითარებელი მასები, რომლებიც უმწეოდ გადადიოდნენ აღფრთოვანებიდან სასოწარკვეთილებამდე; დღეს არის სოციალისტების ერთიანი დიდი ინტერნაციონალური არმია, რომელიც შეუპოვრად მიემართება წინ, დღითი-დღე ძლიერდება რიცხობრივ, თავისი ორგანიზაციით, დისციპლინით, შეგნებით და გამარჯვების რწმენით. და თუ პროლეტარიატის ამ ძლიერ არმიასაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია მიზნისათვის, თუ მისთვის შეუძლებელია ერთი გადამწყვეტი დაკვრით გამარჯვების მოპოვება და იგი იძულებული არის ნელ-ნელა გაიკაფოს გზა, მკაცრი, შეუდრეკელი ბრძოლით მოიპოვოს ახალ-ახალი პოზიციები, — ეს ერთხელ და სამუდამოდ ამტკიცებს იმას, თუ რამდენად შეუძლებელი იყო 1848 წელს სოციალური გარდაქმნის მიღწევა უბრალო ანაზდეული თავდასხმით.[1]

ორ დინასტიურ-მონარქიულ ნაწილად[1] დაყოფილი ბურჟუაზია,

[1] მხედველობაშია ლეგიტიმისტები, მომხრეები ბურბონთა. «ლეგიტიმური» (კანონიერი) მონარქიისა, რომელიც საფრანგეთის ხელისუფლების სა-

რომელიც უწინარეს ყოვლისა მოითხოვდა სიმშვიდეს და უშიშროებას თავისი ფულადი საქმეებისათვის; მის პირდაპირ, თუმცა დამარცხებული, მაგრამ მაინც კიდევ მრისხანე პროლეტარიატი, რომლის ირგვლივ უფრო და უფრო ჯგუფდებოდნენ წვრილი ბურჟუები და გლეხები—მუდმივი მუქარა ძალდატანებითი აფეთქებისა, რომელიც ამასთანავე არავითარ იმედს არ იძლეოდა საქმის საბოლოო გადაჭრისათვის, — ასეთი იყო მდგომარეობა, რომელიც თითქოს შექმნილი იყო მესამე, ფსევდო-დემოკრატიული პრეტენდენტის, ლუი ბონაპარტის სახელმწიფო გადატრიალებისათვის. 1851 წლის 2 დეკემბერს მან არმიის დახმარებით ბოლო მოუღო დაძაბულ მდგომარეობას და უზრუნველჰყო ევროპის შინაგანი მყუდროება, რათა სამაგიეროდ ის ომების ახალი ხანით გაებედნიერებინა[1]. ქვემოდან რევოლუციების პერიოდი დროებით დასრულდა; ამას მოჰყვა ზემოდან რევოლუციების პერიოდი.

1851 წელს იმპერიის აღდგენამ ხელახლა მოგვცა პროლეტარიატის იმდროინდელი მისწრაფებათა მოუმწიფებლობის ახალი საბუთი. მაგრამ თვით იმპერია იძულებული იყო შეექმნა ის პირობები, რომლებშიაც უნდა მომწიფებულიყვნენ ეს მისწრაფებები. შინაგანი მყუდროება უზრუნველჰყოფდა ახალი სამრეწველო აღმავლობის სრულ განვითარებას. იმ აუცილებლობამ, რომ არმიას სამუშაო მიცემოდა და რევოლუციური მისწრაფებები საგარეო პოლიტიკაზე ყოფილიყო გადატანილი, გამოიწვია ომები, რომელთა საშუალებით ბონაპარტი, «ეროვნების პრინციპის» განხორციელების საბაბით, ყოველგვარი ხრიკებით ცდილობდა ანექსიების მოხვეჭას საფრანგეთისათვის. მისმა წამბაძველმა ბისმარკმა იგივე პოლიტიკა შეითვისა პრუსიისათვის; 1866 წელს მან მოახდინა თავისი სახელმწიფო გადატრიალება, თავისი რევოლუცია ზემოდან გერმანიის კავშირისა და ავსტრიის მიმართ, აგრეთვე პრუსიის პალატის მიმართ, რომელიც ჩაება კონფლიქტში მთავრობასთან. მაგრამ ევროპა ძლიერ პატარა

თავეში იდგა 1792 წლამდე და აგრეთვე რესტავრაციის (1815 — 1830) ხანაში, და ორლეანისტები, მომხრეები ორლეანთა დინასტიისა, რომელიც ხელისუფლების სათავეში ჩადგა 1830 წლის ივლისის რევოლუციის დროს და დამხობილ იქნა 1848 წლის რევოლუციის მიერ. რ ე დ.

[1] ნაპოლეონ III-ის დროს საფრანგეთი მონაწილეობდა ყირიმის კამპანიაში (1804 — 1855 წ. წ.), აწარმოებდა ომს ავსტრიასთან იტალიის გამო (1859 წ.), ინგლისთან ერთად მონაწილეობდა ომებში ჩინეთის წინააღმდეგ (1856 — 1858 და 1860), დაიწყო ინდო-ჩინეთის დაპყრობა, მოაწყო ექსპედიცია სირიაში (1860 — 1861) და მექსიკაში (1862 — 1867), დაბოლოს, 1870 — 1871 წ. წ. აწარმოებდა ომს პრუსიის წინააღმდეგ. რ ე დ.

იყო ორი ბონაპარტისთვის, და ამგვარად, ისტორიის ირონიამ ისურვა, რომ ბისმარკს ჩამოეგდო ბონაპარტი და პრუსიის მეფე ვილჰელმს აღედგინა არა მარტო მცირეგერმანული იმპერია, არამედ საფრანგეთის რესპუბლიკაც. მაგრამ საერთო შედეგი იყო ის, რომ ევროპაში, პოლონეთის გამოკლებით, დიდი ერების დამოუკიდებლობა და შინაგანი გაერთიანება მხოლოდ სინამდვილედ იქცა, — რასაკვირველია, შედარებით ვიწრო ფარგლებში, მაგრამ მაინც იმდენად საკმაოდ, რომ მუშათა კლასის განვითარებას ეროვნული გართულებებით არსებითი დაბრკოლება აღარ ეღობებოდა. 1848 წლის რევოლუციის მესაფლავენი მისი ნების ამსრულებელნი შეიქნენ. და მათ გვერდით ინტერნაციონალის სახით უკვე მრისხანედ აღიმართა 1848 წლის მემკვიდრე, — პროლეტარიატი.

1870 — 1871 წ. ომის შემდეგ ბონაპარტი ჰქრება ასპარეზიდან, ხოლო ბისმარკის მისია შესრულებულია, ასე რომ მას შეუძლია ისევ ჩვეულებრივ იუნკრად იქცეს. მაგრამ ამ პერიოდის დასრულებას წარმოადგენს პარიზის კომუნა. ტიერის მუხანათურმა ცდამ — მოეპარა პარიზის ნაციონალური გვარდიისათვის მისი არტილერია, გამოიწვია ძლევამოსილი აჯანყება. ისევ გამოაშკარავდა, რომ პარიზში შესაძლებელი აღარაა რაიმე სხვა რევოლუცია, გარდა პროლეტარულისა. გამარჯვების შემდეგ ბატონობა თავისთავად, სრულიად უცილობლად, მუშათა კლასს ერგო, და კვლავ ცხადი შეიქნა, თუ რამდენად შეუძლებელი იყო მაშინაც კი, ჩვენ ბროშურაში მოთხრობილი ეპოქიდან ოცი წლის გასვლის შემდეგ, მუშათა კლასის ეს ბატონობა. ერთის მხრივ, საფრანგეთმა ბედის ანაბარა მიატოვა პარიზი, გულგრილად უცქეროდა, როგორ იცლებოდა იგი სისხლიდან ძაკ-ძაგნის ტყვია-წამლით; მეორე მხრივ, კომუნას არაქათი ელეოდა უნაყოფო დავაში იმ ორ პარტიას შორის, რომლებადაც იგი იყოფოდა: ბლანკისტების (უმრავლესობა) და პრუდონისტების (უმცირესობა) დავაში, რომელთაგან არც ერთმა არ იცოდა, რა უნდა გაკეთებულიყო. 1871 წელს იოლად მიღებული გამარჯვება ისევე უნაყოფო გამოდგა, როგორც ანაზდეული თავდასხმა 1848 წელს.

ფიქრობდნენ პარიზის კომუნასთან ერთად სამუდამოდ დაემარხათ მებრძოლი პროლეტარიატი. მაგრამ სწორედ პირიქით, — კომუნიდან და საფრანგეთ-გერმანიის ომიდან იწყება მისი უაღრესად ძლიერი აღორძინება. სრულმა გადატრიალებამ მთელს სამხედრო სისტემაში, რაც გამოწვეულია სამხედრო სამსახურის ყველა უნარმქონე მოსახლეობის ჩარიცხვით მილიონიან არმიებში, მანამდე გაუგონარი ძალის ცეცხლმსროლელი იარაღების, ზარბაზნებისა და ასა-

ფეთქებელ ნივთიერებათა შემოღებამ, ერთი მხრივ, სწრაფი დასასრული მისცა ომების ბონაპარტისტულ პერიოდს და უზრუნველჰყო მშვიდობიანი სამრეწველო განვითარება, ვინაიდან შეუძლებელი გახდა ყოველგვარი ომი გარდა თავისი ულმობელობით გაუგონარი მსოფლიო ომისა, რომლის დაბოლოების გათვალისწინება სრულიად შეუძლებელია. მეორე მხრივ, ამ გადატრიალებამ გამოიწვია სამხედრო ხარჯები, რომელიც გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა, უზომო სიმაღლემდე აიყვანა გადასახადები და მით მოსახლეობის უღარიბესი კლასები სოციალიზმს გადაახვია. ელზას-ლორენის ანექსიამ, სამხედრო შეიარაღებათა გიჟური კონკურენციის უახლოესმა მიზეზმა, შეძლო საფრანგეთის და გერმანიის ბურჟუაზიის შოვინიზმის გაღვივება ერთიმეორის წინააღმდეგ; ორივე ქვეყნის მუშებისათვის კი იგი შეიქმნა ახალ შემაერთებელ რგოლად. და პარიზის კომუნის წლისთავი გახდა პირველი საერთო დღე მთელი პროლეტარიატისთვის.

1870 — 1871 წ. ომმა და კომუნის დამარცხებამ ევროპის მუშათა მოძრაობის ცენტრი, როგორც ეს მარქსმა იწინასწარმეტყველა, დროებით საფრანგეთიდან გერმანიაში გადაიტანა. საფრანგეთს, თავისთავად გასაგებია, წლები დაჭირდა, რათა 1871 წლის მაისში მოწყობილი სისხლგაღების შემდეგ მომაგრებულიყო. პირიქით, გერმანიაში, სადაც მრეწველობა სულ უფრო სწრაფად ვითარდებოდა და სადაც მის განვითარებას სწორედ სათბურისებურად ხელი შეუწყო საფრანგეთის მილიარდებმა, კიდევ უფრო სწრაფად და მტკიცედ იზრდებოდა სოციალ-დემოკრატია. იმ შეგნებულობის მეოხებით, რომლითაც გერმანიის მუშებმა გამოიყენეს 1866 წელს შემოღებული საყოველთაო საარჩევნო უფლება, მთელ მსოფლიოს თვალწინ აქვს პარტიის საოცარი ზრდა, რასაც ცხადად გვიმტკიცებს უცილობელი ციფრები: 1871 წ. — 102 000, 1874 წ. — 352 000, 1877 წ. — 493 000 სოციალ-დემოკრატიული ხმა. ამას მოჰყვა ამ წარმატების აღიარება მთავრობის მხრივ სოციალისტების საწინააღმდეგო კანონის სახით; პარტია დროებით დაიშალა; ხმების, რიცხვი 1881 წელს დავიდა 312 000-ზე, მაგრამ ეს მალე დაძლეულ იქნა. და აი მაშინ, განსაკუთრებული კანონის უღელ ქვეშ, პრესის, ლეგალური ორგანიზაციის, კავშირის და კრების უფლების გარეშე, იწყება არსებითად ნამდვილი სწრაფი ზრდა: 1884 წ. — 550 000, 1887 წ. — 763 000 ხმა, 1690 წ. — 1 427 000 ხმა. მაშინ სახელმწიფოს მკლავი შესუსტდა. სოციალისტების საწინააღმდეგო კანონი გაჰქრა, სოციალისტური ხმების რიცხვი გაიზარდა 1 787 000-მდე, რაც საერთოდ მიცემული ხმე-

ბის ერთ მეოთხედზე მეტს შეადგენდა. მთავრობამ და გაბატონებულმა კლასებმა ამოწურეს ყველა თავიანთი საშუალება უსარგებლოდ, უმიზნოდ, უნაყოფოდ. ხელისუფალნი, ღამის გუშაგიდან დაწყებული იმპერიის კანცლერამდე, იძულებული იყვნენ მიეღოთ მათი უილაჯობის დამამტკიცებელი ცხადი საბუთები — და ისიც საძაგელი მუშებისაგან! — და ეს საბუთები მილიონობით მოიპოვებოდა. სახელმწიფო ჩიხში მოექცა; მუშების მხრივ კი ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

მაგრამ გარდა იმ პირველი სამსახურისა, რომელიც გერმანელმა მუშებმა გაუწიეს მუშათა კლასის საქმეს მარტოოდენ თავიანთი არსებობით, როგორც ყველაზე ძლიერმა, ყველაზე დისციპლინირებულმა და ყველაზე სწრაფად მზარდმა სოციალისტურმა პარტიამ, მათ კიდევ ერთი სხვა სამსახური გაუწიეს ამ საქმეს. მათ მისცეს თავიანთ ამხანაგებს ყველა ქვეყანაში ახალი იარაღი, — ერთი უმკვეთრესთაგანი, — როდესაც დაანახვეს, თუ როგორ უნდა სარგებლობა საყოველთაო საარჩევნო უფლებით.

საყოველთაო საარჩევნო უფლება უკვე დიდი ხნიდან არსებობდა საფრანგეთში, მაგრამ ცუდი სახელი დაიმსახურა იმის გამო, რომ მას ბოროტად იყენებდა ბონაპარტისტული მთავრობა. კომუნის შემდეგ აღარ იყო ისეთი მუშათა პარტია, რომელიც ამ უფლებით ისარგებლებდა. ეს უფლება ესპანეთშიც არსებობდა რესპუბლიკის დროიდან, მაგრამ ესპანეთში არჩევნებში მონაწილეობისაგან თავშეკავება დიდი ხნიდან საერთო წესი იყო ყველა სერიოზული ოპოზიციური პარტიისთვის. შვეიცარიაში საყოველთაო საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებით მიღებული გამოცდილება ყველაზე ნაკლებ გამამხნევებელი იყო მუშათა პარტიისთვის. რომანული ქვეყნების რევოლუციური მუშები დაეჩვივნენ საარჩევნო უფლების ჩათვლას მთავრობის მხრივ დაგებულ ხაფანგად, მოტყუების იარაღად. სხვაგვარად იყო საქმე გერმანიაში. უკვე «კომუნისტურმა მანიფესტმა» გამოაცხადა საყოველთაო საარჩევნო უფლების, დემოკრატიის დაპყრობა მებრძოლი პროლეტარიატის ერთ-ერთ პირველ და უმნიშვნელოვანეს ამოცანად, და ლასალმა ხელახლა წამოაყენა ეს მოთხოვნა. და აი, როდესაც ბისმარკი იძულებული შეიქნა შემოეღო ეს საყოველთაო საარჩევნო უფლება, როგორც ერთადერთი საშუალება მისი გეგმებით ხალხის მასების დასაინტერესებლად, ჩვენი მუშები მაშინვე სერიოზულად შეხვდნენ ამ უფლებას და ავგუსტ ბებელი გაგზავნეს პირველ დამფუძნებელ რაიხსტაგში. და მას შემდეგ ისინი საარჩევნო უფლებით სარგებლობდნენ ისეთი წესით, რომელიც მე-

ტისმეტად სასარგებლო გამოდგა მათთვის და სანიმუშო გახდა ყველა ქვეყნის მუშებისათვის. მათ, როგორც ნათქვამია ფრანგულ მარქსისტულ პროგრამაში, **ont transformé de moyen de duperie qu'il a été jusquici en inctrument d'émancipation,** გადააქციეს საარჩევნო უფლება მოტყუების საშუალებიდან, რასაც იგი დღემდის წარმოადგენდა, განთავისუფლების იარაღად[1]. და საყოველთაო საარჩევნო უფლებას რომ სხვა სარგებლობა არა მოეტანა რა გარდა იმისა, რომ შესაძლებლობას გვაძლევდა ყოველ სამ წელიწადში შეგვეჯამებინა ჩვენი ძალები; რომ ხმების რიცხვის მოულოდნელად სწრაფი ზრდის რეგულარული დადასტურებით ერთნაირად აძლიერებდა როგორც გამარჯვების რწმენას მუშებში, ისე ძრწოლას მტრებში და ამრიგად იქცა ერთ-ერთ ჩვენ საუკეთესო საშუალებად პროპაგანდისთვის; რომ იგი გვაძლევდა ზუსტ ცნობებს ჩვენი საკუთარი ძალებისა და ყველა მოწინააღმდეგე პარტიის ძალების შესახებ და მით გვაძლევდა შეუდარებელ მასშტაბს ჩვენი მოქმედების ჩვენს ძალებთან შეფარდებისათვის, გვიფარავდა როგორც უდროულო გაუბედაობისგან, ისე უდროულო გამბედაობისგან, — რომ ეს ყოფილიყო ერთადერთი სარგებლობა, რომელსაც საარჩევნო უფლება გვაძლევდა, მაშინაც ეს საკმარისზე საკმარისი იქნებოდა. მაგრამ საარჩევნო უფლებამ გაცილებით მეტი რამ მოგვცა. საარჩევნო აგიტაციაში იგი გვაძლევდა უბადლო საშუალებას კონტაქტი გვქონებოდა ხალხის მასებთან იქ, სადაც ისინი ჯერ კიდევ დაშორებულნი არიან ჩვენგან, და აგვეძულებინა ყველა პარტია მთელი ხალხის წინაშე დაეცვა ჩვენი კრიტიკის პირისპირ თავისი შეხედულება და მოქმედება. გარდა ამისა, მან შეუქმნა ჩვენს წარმომადგენლებს რაიხსტაგში ტრიბუნა, საიდანაც მათ გაცილებით უფრო ავტორიტეტულად და უფრო თავისუფლად, ვიდრე პრესაში და კრებებზე, შეეძლოთ მიემართათ თავიანთ მოწინააღმდეგეებისადმი პარლამენტში და აგრეთვე მასებისადმი მის გარეთ. რას უშველიდა მთავრობას და ბურჟუაზიას მისი კანონი სოციალისტების წინააღმდეგ, როდესაც საარჩევნო აგიტაცია და სოციალისტური სიტყვები რაიხსტაგში განუწყვეტლივ ბზარს ჰქმნიდა ამ კანონში?

მაგრამ საყოველთაო საარჩევნო უფლების ასე წარმატებით გამოყენებასთან ერთად წარმოდგა პროლეტარიატის ბრძოლის სრულიად ახალი წესი, და ბრძოლის ამ ახალმა წესმა სწრაფად მიიღო

[1] ეს წინადადება ამოღებულია საფრანგეთის მუშათა პარტიის პროგრამის შესავალი ნაწილიდან, რომელიც დაწერილი იყო მარქსის მიერ. პროგრამა მიღებულ იქნა 1880 წ. ყრილობაზე ჰავრში. რ ე დ.

შემდგომი განვითარება. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში, სადაც ორგანიზაცია ეძლევა ბურჟუაზიის ბატონობას, შეიძლება ბევრი ისეთი რამის პოვნა, რითაც მუშათა კლასს შეუძლია ისარგებლოს თვით ამ დაწესებულებების წინააღმდეგ საბრძოლველად. მუშები მონაწილეობას იღებდნენ ცალკეული სახელმწიფოების სალანდტაგო, მუნიციპალური საბჭოების, სამრეწველო სასამართლოების არჩევნებში, ცდილობდნენ წაერთმიათ ბურჟუაზიისათვის ყოველი ადგილი, რომლის დასაჭერად ხმის მიმცემ მუშათა ხმების საკმარისმა რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. და საქმე ისე მოეწყო, რომ ბურჟუაზიამ და მთავრობამ გაცილებით უფრო მეტი შიშით დაუწყო ცქერა მუშათა პარტიის კანონიერ მოქმედებას, ვიდრე უკანონოს, არჩევნებში წარმატებას, ვიდრე აჯანყებაში.

იმიტომ რომ აქაც ბრძოლის პირობები არსებითად შეიცვალა, ძველი ტიპის აჯანყება, ბრძოლა ქუჩებში ბარიკადებით, რაც 1848 წლამდე ყველგან გადამწყვეტ როლს თამაშობდა, მნიშვნელოვნად მოძველდა.

ნუ შევქმნით ამის გამო ილუზიებს: აჯანყების ნამდვილი გამარჯვება ჯარებზე ქუჩებში წარმოებულ ბრძოლაში, ისეთი გამარჯვება, როგორიც არის ხოლმე ბრძოლაში ორ არმიას შორის, მეტისმეტად იშვიათ მოვლენას შეადგენს. მაგრამ აჯანყებულებსაც ძალიან იშვიათად ჰქონდათ ასეთი გამარჯვების იმედი. მათთვის საქმე შეეხებოდა მხოლოდ იმას, რომ ჯარები ბოერბილებინათ ზნეობრივი ზეგავლენით, რაც ორი მეომარი ქვეყნის არმიებს შორის არავითარ როლს არ თამაშობს ან, თუ თამაშობს, გაცილებით მცირეს. თუ ეს მოხერხდა, ჯარები უარს ამბობენ ბრძოლაზე ანდა ჯარის მეთაურებს დავთარი ებნევათ, და აჯანყება იმარჯვებს. ხოლო თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ, თუნდაც ჯარი მცირერიცხოვანი იყოს, იმარჯვებს ის უპირატესობა, რომელსაც იძლევა უკეთესი შეიარაღება და გაწვრთნა, ერთიანი ხელმძღვანელობა, საბრძოლო ძალების გეგმაშეწონილი გამოყენება და დისციპლინა. უდიდესი რამ, რისი მიღწევაც აჯანყებას შეუძლია ნამდვილი ტაქტიკური მოქმედების მხრივ, ეს არის რომელიმე ცალკეული ბარიკადის წესიერად აგება და დაცვა. ურთიერთის დახმარება, რეზერვების განლაგება და გამოყენება, ბოკლედ — ცალკეული რაზმების მოქმედების შეთანხმებულობა და თანადაქვემდებარება, რაც აუცილებელია ქალაქის ცალკეული რაიონის დასაცავად, — აღარას ვამბობ მთელი ქალაქის დაცვაზე, — შესაძლებელია,მხოლოდ ძალიან სუსტად იქნეს მიღწეული, უმეტეს შემთხვევაში კი სრულიად მიუღწეველი; საბრძოლო ძალების თავმოყრა ერთ, გა-

დამჭრელი მნიშვნელობის მქონე პუნქტში, თავისთავად გამორიცხულია. ამის გამო ბრძოლის უპირატეს ფორმას წარმოადგენს პასიური წინააღმდეგობა. იერიშზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ცალკეულ პუნქტებში, მაგრამ მხოლოდ გამონაკლისის სახით — შემთხვევითი თავდასხმის და საფლანგო შეტევის დროს; ხოლო, როგორც საერთო წესი, ეს შემოიფარგლება უკანდახეული ჯარების მიერ დატოვებული პოზიციების დაჭერით. ამასთან, ჯარების განკარგულებაშია არტილერია და სავსებით შეიარაღებული და გაწვრთნილი საინჟინრო ნაწილები, ხოლო აჯანყებულებს ბრძოლის ეს საშუალებები მეტწილად სრულიად არა აქვთ. ამიტომ საკვირველი არაა, რომ ის საბარიკადო ბრძოლებიც კი, რომელიც უდიდესი გმირობით წარმოებდა, — პარიზის საბარიკადო ბრძოლა 1848 წლის ივნისში, ვენის 1848 წლის ოქტომბერში, დრეზდენის 1849 წლის მაისში—თავდებოდა აჯანყების დამარცხებით, როგორც კი შემომტევი ჯარების მეთაურები გვერდზე სტოვებდნენ პოლიტიკურ მოსაზრებებს, მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით მოქმედებდნენ და შეეძლოთ დაყრდნობოდნენ თავიანთ ჯარისკაცებს.

აჯანყებულთა ურიცხვი წარმატება 1848 წლამდე ბევრგვარი მიზეზების შედეგი იყო. პარიზში 1830 წლის ივლისში და 1848 წლის თებერვალში, აგრეთვე ესპანეთში ქუჩებში წარმოებული ბრძოლების უმრავლეს შემთხვევაში აჯანყებულებსა და ჯარებს შორის იდგა ნაციონალური გვარდია, რომელიც ან პირდაპირ დგებოდა აჯანყების მხარეზე, ანდა თავისი გულგრილობით და ყოყმანით მერყეობას იწვევდა ჯარებშიც და, გარდა ამისა, იარაღს აწვდიდა აჯანყებულებს. სადაც ეს ნაციონალური გვარდია თავიდანვე აჯანყების წინააღმდეგ გამოდიოდა, როგორც პარიზში 1848 წლის ივნისში, იქ აჯანყება დამარცხებას განიცდიდა. ბერლინში 1848 წელს ხალხმა გაიმარჯვა ნაწილობრივ იმის გამო, რომ 19 მარტს ღამით და დილით მას მებრძოლი ძალების დიდი რაოდენობა შეემატა, ნაწილობრივ ჯარების დაღლისა და ცუდი მომარაგების გამო, ნაწილობრივ, დაბოლოს, იმის გამო, რომ ჯარის მოქმედება პარალიზებული იყო ხელმძღვანელთა აბნეული ბრძანებებით. ხოლო ყველა შემთხვევაში აჯანყებულები იმიტომ იმარჯვებდნენ, რომ ჯარები აღარ იბრძოდნენ, უფროსები ჰკარგავდნენ გამბედაობას ანდა მათ ხელები ჰქონდათ შეკრული.

ამრიგად, ქუჩაში წარმოებულ ბრძოლათა კლასიკურ ხანაშიც კი ბარიკადა უფრო მორალურად მოქმედებდა, ვიდრე მატერიალურად. იგი საშუალება იყო არმიის სიმტკიცის შესარყევად. თუ იგი გასძლებდა მანამდე, ვიდრე ეს მოხერხდებოდა, — გამარჯვება მოპოვე-

ბული იყო; თუ არა და — ბრძოლა დამარცხებით თავდებოდა. ეს არის მთავარი პუნქტი, რომელიც მხედველობაში უნდა გვქონდეს, როდესაც ვიკვლევთ მომავალში ქუჩებში შესაძლებელი ბრძოლების შანსებს.

უკვე 1849 წელს ეს შანსები საკმაოდ ცუდი იყო. ბურჟუაზია ყველგან მთავრობის მხარეზე გადავიდა. «განათლების და ქონების» წარმომადგენელნი აჯანყების წინააღმდეგ გამოსულ ჯარს მიესალმებოდნენ და უმასპინძლდებოდნენ. ბარიკადამ დაჰკარგა თავისი მომხიბლველობა; ჯარისკაცი მის უკან უკვე «ხალხს» როდი ხედავდა, არამედ — მეამბოხეებს, მოჯანყეებს, მძარცველებს, ქონების დამნაწილებლებს. საზოგადოების ნაძირალებს; ოფიცერი დროის განმავლობაში დახელოვნდა ქუჩაში ბრძოლის ტაქტიკის ფორმებში, იგი პირდაპირ და უსაფარველოდ აღარ მიდიოდა სახელდახელოდ აგებულ მიწაყრილზე, არამედ გვერდს უვლიდა მას ბაღების, ეზოების და სახლების გავლით. და ეს, თუ რამდენადმე სიმარჯვეს გამოიჩენდა, ათ შემთხვევაში ცხრაჯერ ხერხდებოდა კიდეც.

მაგრამ მას შემდეგ ბევრი სხვა ცვლილებაც მოხდა. და ყველა ჯარის სასარგებლოდ. თუ დიდი ქალაქები მნიშვნელოვნად გაიზარდა, კიდევ უფრო გაიზარდა ჯარის რიცხვი. პარიზი და ბერლინი 1848 წლის შემდეგ ოთხჯერ არ გაზრდილა; მათი გარნიზონების რიცხვი კი მეტად გადიდდა, ვიდრე ოთხჯერ. რკინიგზების მეოხებით ამ გარნიზონების რიცხვი დღე-ღამის განმავლობაში შეიძლება ერთიორად და მეტადაც გადიდდეს, ხოლო 48 საათის განმავლობაში შესაძლებელი არის ისინი ვეება არმიად აქცეო. ამ კოლოსალურად გაზრდილი ჯარის შეიარაღება შეუდარებლად უკეთესია. 1848 წელს იყო გლულულიანი თოფი, რომელიც წინიდან იტენებოდა, ახლა კი არის პატარა ყალიბის სავაზნე კოლოფიანი თოფი, რომელიც ფილიდან იტენება, ისვრის ოთხჯერ უფრო შორს, ათჯერ უფრო სწორად და ათჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე წინანდელი თოფი. მაშინ იყო არტილერია შედარებით სუსტად მოქმედი ყუმბარითა და ფინდიხით, დღეს არის ამფეთქებელი გრანატები, რომელთაგან მარტო ერთი საკმარისია საუკეთესო ბარიკადის დასანგრევად. მაშინ იყო მესანგრის წერაქვი ქვიტკირის კედლების შესანგრევად, დღეს არის დინამიტის ვაზნა.

პირიქით, აჯანყებულთა მხარეზე ყველა პირობა გაუარესდა. აჯანყება, რომელსაც ხალხის ყველა ფენა თანაუგრძნობდეს, საეჭვოა განმეორდეს; კლასობრივ ბრძოლაში საშუალო ფენები, რასაკვირველია, არასოდეს არ დაჯგუფდებიან ყველანი უკლებლივ პრო-

ლეტარიატის ირგვლივ ისე, რომ ბურჟუაზიის ირგვლივ თავმოყრილი რეაქციული პარტია თითქმის გაჰქრეს. ამრიგად, «ხალხი» ყოველთვის დაყოფილი აღმოჩნდება და, მაშასადამე, აღარ იქნება ის ძალაში ბერკეტი, რომელიც ესოდენ გავლენიანი იყო 1848 წელს. თუ რომ აჯანყებულთა მხარეზე მეტი ჯარისკაცნი აღმოჩნდებიან, რომელთაც გაუვლიათ სამხედრო სამსახური, მაშინ მით უფრო ძნელი იქნება მათი შეიარაღება. სანადირო და ძვირფასი თოფები, თოფის მაღაზიებში რომ აწყვია, — თუნდაც რომ მათ პოლიციის გზით წინდაწინ არ გამოაცალონ რაიმე სასროლი ნაწილი და უვარგისი არ გახადონ, — ახლო მანძილზე ბრძოლაშიც კი ჩამოუვარდება ჯარისკაცების შაშხანას. 1848 წლამდე ადამიანს შეეძლო თვითონ მოემზადებია დენთისა და ტყვიისაგან ტყვია-წამალი, დღეს კი ყოველი თოფისთვის განსაკუთრებული ვაზნები არის, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ იმ მხრივ გვანან, რომ ყველა ისინი ერთნაირად რთული მსხვილი მრეწველობის პროდუქტია და, მაშასადამე, არ შეიძლება ხელად დამზადებულ იქნეს, ასე რომ, ამის გამო, მეტი წილი თოფები უსარგებლო რჩება, თუ სპეციალურად მათი შესაფერისი სასროლი ვაზნები არ მოიპოვება. დაბოლოს, 1848 წლის შემდეგ დიდი ქალაქების ახალაგებულ უბნებში გრძელი, პირდაპირი, ფართო ქუჩები თითქოს განგებაა გაკეთებული ახალი ზარბაზნების და შაშხანების სამოქმედოდ. გიჟი იქნებოდა ის რევოლუციონერი, რომელიც თვით აირჩევდა საბარიკადო ბრძოლისთვის მუშათა ახალ უბნებს ბერლინის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილში.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მომავალში ქუჩებში ბრძოლა არავითარ როლს აღარ ითამაშებს? სრულიადაც არა. ეს ნიშნავს მხოლოდ, რომ 1848 წლიდან პირობები გაცილებით უფრო არახელსაყრელი შეიქნა სამოქალაქო მეომართათვის და გაცილებით უფრო ხელსაყრელი — ჯარისთვის. ამრიგად, მომავალში ბრძოლა ქუჩებში შეიძლება გამარჯვებით დასრულდეს მხოლოდ მაშინ, თუ ეს არახელსაყრელი მდგომარეობა გაწონასწორებული იქნება სხვა მომენტებით. ამიტომ მას უფრო იშვიათად ექნება ადგილი დიდი რევოლუციის პირველ ფაზაში, ვიდრე მის შემდგომ მსვლელობაში, და იგი უფრო დიდი ძალებით იქნება საწარმოებელი. ხოლო ეს ძალები პასიურ საბარიკადო ტაქტიკასთან შედარებით, რასაკვირველია, მაშინ უპირატესობას პირდაპირ შეტევას მისცემენ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საფრანგეთის მთელი დიდი რევოლუციის დროს ანდა 4 სექტემბერს და 31 ოქტომბერს პარიზში [1].

[1] იგულისხმება 1870 წლის 4 სექტემბერი, როდესაც დამხობილ იქნა ლუი ბონაპარტის მთავრობა და გამოცხადებულ იქნა რესპუბლიკა, და იმავე წლის

ესმის ხომ ახლა მკითხველს, რატომ სურს გაბატონებულ ხელისუფლებას აუცილებლად ჩაგვიტყუოს იქ, სადაც თოფი ისვრის და ხმალი სჩეხს? რატომ გვიგებენ შანს სიმხდალისთვის, იმის გამო, რომ ჩვენ არ გვინდა დაუყოვნებლივ გავიდეთ ქუჩაში, სადაც ჩვენ წინდაწინ ვიცით, რომ დამარცხება მოგველის? რატომ ასე დაჟინებით გვთხოვენ — დავთანხმდეთ, რომ ბოლოსდაბოლოს საზარბაზნე ხორცის როლი შევასრულოთ?

ეს ბატონები ტყუილად ხარჯავენ ჩვენს მიმართ თავიანთ თხოვნას და გამოწვევას. ჩვენ ასეთი სულელები არა ვართ. მათ ასეთივე საფუძველით შეეძლოთ მოეთხოვათ თავიანთი მტრისგან უახლოეს ომში, ხაზზე გაამწკრივოს თავისი ჯარი, როგორც მოხუცი ფრიცის[1] დროს, ანდა მთელი დივიზიონებისგან შემდგარ კოლონებად, როგორც ვაგრამის და ვატერლოოს[2] დღეებში, და ამასთან — კაჟიანი თოფებით ხელში. თუ შეცვლილია პირობები ომისათვის ხალხებს შორის, ისინი ნაკლებ არაა შეცვლილი კლასობრივი ბრძოლისათვის. განვლო ანაზდეული თავდასხმების დრომ, იმ რევოლუციების დრომ, რომლებსაც. შეუგნებელი მასები შეგნებული უმცირესობის ხელმძღვანელობით ანხორციელებდნენ. იქ, სადაც საქმე საზოგადოებრივი წყობილების სრულ გარდაქმნას შეეხება, მასები თვითონ უნდა იღებდნენ მასში მონაწილეობას, უნდა შეგნებული ჰქონდეთ, რისთვის წარმოებს ბრძოლა, რას წირავენ ისინი სიცოცხლეს, რისთვის ღვრიან სისხლს. ეს გვასწავლა ჩვენ უკანასკნელი ორმოცდაათი წლის ისტორიამ. მაგრამ რათა მასებმა შეიგნონ, რა უნდა გაკეთდეს, ამისთვის საჭიროა ხანგრძლივი და მედგარი მუშაობა, და ჩვენ სწორედ ამ მუშაობას ვეწევით ახლა და ისეთი წარმატებით, რომელსაც სასოწარკვეთილებაში მოჰყავს ჩვენი მოწინააღმდეგეები.

რომანულ ქვეყნებშიც სულ უფრო და უფრო ესმით, რომ ძველი ტაქტიკა უნდა გადაისინჯოს. გერმანული მაგალითი — საარჩევნო უფლებით სარგებლობა ყველა ჩვენთვის ხელმისაწვდომი პოზიციის დასაპყრობად — ყველგან მისაბაძ საგნად ხდება. საფრანგეთში, სადაც ნიადაგი გაპოხიერებულია მთელი რიგი რევოლუციებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სადაც

---

31 ოქტომბერი — როდესაც ბლანკისტებმა სცადეს «ნაციონალური თავდაცვის» მთავრობის წინააღმდეგ მოეწყოთ აჯანყება, რომელიც მარცხით დამთავრდა. რ ე დ.

[1] ფრიდრიხ II — პრუსიის მეფე 1712 წლიდან 1786 წლამდე. რ ე დ.

[2] ვ ა გ რ ა მ ი (1809) და ვ ა ტ ე რ ლ ო ო (1815) — ნაპოლეონის ომების ორი უდიდესი ბრძოლათაგანი. რ ე დ.

არ მოიპოვება არც ერთი პარტია, რომელსაც არ მიემართოს შეთ-ქმულებისთვის, აჯანყებისთვის და სხვა რევოლუციური მოქმედე-ბისთვის; საფრანგეთში, სადაც ამის გამო მთავრობას არა გზით არ შეუძლია დაეყრდნოს არმიას და სადაც პირობები საზოგადოდ უფრო ხელშემწყობია აჯანყებისათვის, ვიდრე გერმანიაში, — თვით საფრანგეთშიც კი სოციალისტები თანდათან იმ აზრს ადგებიან, რომ მათთვის მტკიცე გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთ-ხვევაში, თუ მათ წინასწარ თავის მხარეზე მიიზიდეს ხალხის ფარ-თო მასა, ე. ი. ამ შემთხვევაში გლეხობა. თანდათანობითი მუშაობა პროპაგანდის გზით და პარლამენტური მოქმედება აქაც პარტიის უახლოეს ამოცანადაა ალიარებული. ნაყოფსაც არ დაუგვიანია. დაპყრობილია არა მარტო მთელი რიგი მუნიციპალიტეტები; პალა-ტაში 50 სოციალისტი ზის, და მათ უკვე დაამხეს სამი სამინისტრო და ჩამოაგდეს რესპუბლიკის ერთი პრეზიდენტი. ბელგიაში მუშებმა წარსულ წელს მოიპოვეს საარჩევნო უფლება და გაიმარჯვეს საარ-ჩევნო ოლქების მეოთხედში. შვეიცარიაში, იტალიაში, დანიაში, ბულგარეთშიც კი და რუმინეთშიც სოციალისტებს ჰყავთ თავისი წარმომადგენლები პარლამენტებში. ავსტრიაში ყველა პარტიამ ერთსულოვნად დაასკვნა, რომ შეუძლებელია ჩვენ მეტხანს გვქონ-დეს დახშული გზა რაიხსრატისაკენ. ჩვენ უეჭველად შევალთ იქ, სადავოა მხოლოდ ის თუ — რომელი კარებიდან. და რუსეთშიც კი, როდესაც შეიკრიბება ყბადაღებული საერობო კრება, — ეს ეროვ-ნული კრება, რომლის წინააღმდეგ ახალგაზრდა ნიკოლოზი ასე ამა-ოდ ასავსავებს ხელებს, — იქაც კი ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით მოველოდეთ, რომ გვეყოლებიან წარმომადგენლები.

თავისთავად გასაგებია, რომ ჩვენი საზღვარგარეთელი ამხანა-გები ამით სრულიადაც არ უარყოფენ თავიანთ უფლებას რევო-ლუციაზე. უფლება რევოლუციაზე ხომ ერთადერთი ნ ა მ დ ვ ი-ლ ა დ «ისტორიული უფლება» არის, — ერთადერთი, რომელზედაც უკლებლივ დამყარებულია ყველა თანამედროვე სახელმწიფო, მათ შორის მეკლენბურგიც, სადაც თავადაზნაურული რევოლუცია 1755 წელს დასრულდა «სამემკვიდრეო ხელშეკრულებით» (**«Erbvergleich»**), რომელიც წარმოადგენს ფეოდალიზმის დღესაც ძალაშიმყოფ სახელოვან დაკანონებას. უფლება რევოლუციაზე იმ-დენად მკვიდრადაა საყოველთაო ცნობიერებაში შესული, რომ გე-ნერალ ფონ ბოგუსლავსკისაც კი მარტო ამ სახალხო უფლებიდან გამოჰყავს თავისი იმპერატორისთვის სახელმწიფო გადატრიალე-ბის მოხდენის უფლება.

მაგრამ რაც უნდა მოხდეს სხვა ქვეყნებში, გერმანიის სოციალ-დემოკრატიას განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია და, მაშასადამე, ყოველ შემთხვევაში უახლოესი დროისთვის, მას განსაკუთრებული ამოცანა აქვს. ორი მილიონი ამომრჩეველი, რომელთაც იგი საარჩევნო ყუთებთან გზავნის და მის უკან ახალგაზრდა ქალები და ვაჟები, რომელთაც არა აქვთ ხმის უფლება, შეადგენენ ინტერნაციონალური პროლეტარული არმიის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან და კომპაქტურ მასას, ყველაზე უფრო გადამწყვეტ «დამკვრელ რაზმს». ეს მასა უკვე დღესაც იძლევა საერთოდ მიცემული ხმების ერთ მეოთხედზე მეტს და მუდმივ იზრდება, რასაც ამტკიცებს რაიხსტაგის ცალკეულ სახელმწიფოებში ლანდტაგებისა, მუნიციპალიტეტებისა და სამრეწველო სასამართლოების დამატებითი არჩევნები. მისი ზრდა წარმოებს ისევე თვითნებურად, ისევე შეუწყვეტლად და შეუკავებლივ და იმავე დროს ისევე მშვიდად, როგორც ბუნებრივი პროცესი. მთავრობის მხრივ ჩარევის ყველა ცდა უძლური გამოდგა ამ ზრდის წინააღმდეგ. ორი და ერთი მეოთხედი მილიონი ამომრჩევლის იმედი ჩვენ უკვე დღეს შეგვიძლია ვიქონიოთ. ეს თუ ასე გაგრძელდა, საუკუნის დასასრულისთვის ჩვენ დავიპყრობთ უმრავლესობას საზოგადოების საშუალო კლასებში, წვრილ ბურჟუაზიასა და წვრილ გლეხობაში და გავიზრდებით ქვეყანაში გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ძალად, რომლის წინაშე ყველა სხვა ძალამ, ნებით თუ უნებლიედ, ქედი უნდა მოიხაროს. ხელი შევუწყოთ ამ შეუჩერებელ ზრდას, ვიდრე იგი არ გადააჭარბებს გაბატონებულ მთავრობის სისტემას, ეს დამკვრელი მასა, რომელიც დღითი-დღე ძლიერდება, არ გავანადგუროთ საავანგარდო ბრძოლაში, არამედ შევინახოთ ხელუხლებლად გადამწყვეტი დღისთვის — აი ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა. მხოლოდ ერთი საშუალება შეძლებდა გერმანიის სოციალისტური საბრძოლო ძალების დროებით შეფერხებას და რამდენიმე ხნით უკან დახევინებასაც კი: დიდი შეტაკება ჯარებთან, ისეთი სისხლის გამოშვება, როგორც პარიზში 1871 წელს. დროის განმავლობაში კი ესეც დაძლეული იქნებოდა. არ შეიძლება მილიონიანი პარტიის მოსპობა დედამიწიდან, ამისთვის არ იკმარებს ყველა სავაზნე კოლოფიანი თოფი, რაც ევროპაში და ამერიკაში მოიპოვება. მაგრამ ეს შეაფერხებდა განვითარების ნორმალურ მსვლელობას, შესაძლებელია, კრიტიკულ მომენტში ჩვენს განკარგულებაში აღარ გვყოლოდა დამკვრელი რაზმი, გადამწყვეტი ბრძოლა დაგვიანდებოდა, გახანგრძლივდებოდა. და მძიმე მსხვერპლის გაღებასთან იქნებოდა დაკავშირებული.

მსოფლიო ისტორიის ირონია ყველაფერს ყირამალა აყენებს. ჩვენ, «რევოლუციონერები», «დამამხობელნი», უფრო მეტ წარმატებებს ვაღწევთ, როცა ლეგალურ საშუალებებს ვხმარობთ, ვიდრე არალეგალური საშუალებებისა და გადატრიალების გზით. პარტიები, რომელნიც თავიანთ თავს წესრიგის პარტიებს უწოდებენ, იღუპებიან მათ მიერვე შექმნილი ლეგალური მდგომარეობისაგან. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი, ისინი ოდილონ ბაროსთან ერთად გაიძახიან: **la légalité nous tue,** — კანონიერება ჩვენ გვკლავსო, მაშინ როდესაც ჩვენ ამ კანონიერების დროს კუნთები გვიმაგრდება და ლოყები ვაშლებივით გვიწითლდება, როგორც მარადიული სიცოცხლე. და თუ ჩ ვ ე ნ ისე უჭკუონი არ ვიქნებით, რომ მათ საამებლად თავი ჩავთრევინოთ ქუჩის ბრძოლაში, მაშინ მათ, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ერთი რამ რჩებათ: თვითონ დაარღვიონ. ეს მათთვის ესოდენ საბედისწერო კანონიერება.

ჯერ კი ისინი ახალ კანონებს ადგენენ გადატრიალების წინააღმდეგ. ყველაფერი კვლავ ყირამალაა დაყენებული. გადატრიალების დღევანდელი ფანატიკური მტრები განა თვითონ არ იყვნენ გუშინ დამამხობელნი? განა ჩ ვ ე ნ გამოვიწვიეთ 1866 წლის სამოქალაქო ომი, განა ჩ ვ ე ნ განვდევნეთ ჰანოვერის მეფე, ჰესენის კურფიურსტი, ნასაუს ჰერცოგი მათი საგვარეულო, კანონიერ, სამკვიდრო მამულებიდან და ამ მამულების ანექსია მოვახდინეთ? და ეს პირნი, რომელთაც მოახდინეს გადატრიალება გერმანულ კავშირში და დაამხეს სამი ტახტი ნებითა ხვთისათა, ჩივიან გადატრიალებაზე! **Quis tulerit Gracchos de seditione querentes?** [1] ვინ მისცემს გადატრიალების ლანძღვის ნებას ბისმარკის თაყვანისმცემლებს?

მაგრამ დეე მათ გაატარონ თავიანთი კანონპროექტები გადატრიალების წინააღმდეგ, დეე კიდევ გააუარესონ ისინი, კაუჩუკად აქციონ მთელი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, — ისინი მიაღწევენ მხოლოდ იმას, რომ კვლავ დაამტკიცებენ თავის უძლურებას. სოციალ-დემოკრატიის სერიოზულად შელახვისათვის მათ კიდევ სულ სხვა ღონისძიებებისადმი მიმართვა დაჭირდებათ. სოციალ-დემოკრატიულ გადატრიალებას, რომლისთვის დღეს ესოდენ სასარგებლოა კანონების დაცვა, მათ შეუძლიათ დაუპირისპირონ მხოლოდ წესრიგის პარტიების მხრივ წარმოებული გადატრიალება, რომელსაც მხოლოდ კანონების დარღვევის გზით შეუძლია სიცოცხლე. ბ-ნმა რესლერმა, პრუსიის ბიუროკრატმა, და ბ-ნმა ფონ ბოგუსლავსკიმ, პრუსიის გენერალმა, უჩვენეს მათ ერთადერთი გზა, საი-

[1] ვინ აიტანდა გრაკხების ჩივილს აჯანყებაზე? რ ე დ.

დანაც შესაძლებელია თავს დაესხან მუშებს, რომელნიც ქუჩის ბრძოლაში არ ებმებიან. კონსტიტუციის დარღვევა, დიქტატურა, აბსოლუტიზმისაკენ დაბრუნება, **regis voluntas suprema lex!** [1] აბა ჰა, ბატონებო, გაბედულად, პირის დაღება რა დროსია, — იმოქმედეთ!

მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ გერმანიის იმპერია, ისე როგორც ყველა წვრილი სახელმწიფო და საზოგადოდ ყველა თანამედროვე სახელმწიფო, ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ებ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი ა: ერთი მხრივ, ხელშეკრულებისა მეფეებს შორის, მეორე მხრივ, ხელშეკრულებისა მეფეებსა და ხალხს შორის. თუ ერთმა მხარემ ხელშეკრულება დაარღვია, იშლება მთელი ხელშეკრულება, და მაშინ მეორე მხარეც თავისუფლდება ყველა — მისი ვალდებულებისაგან. ეს ჩინებულად დაგვანახვა 1866 წელს ბისმარკმა. თუ თქვენ, ამრიგად, დაარღვევთ იმპერიის კონსტიტუციას, სოციალ-დემოკრატიაც განთავისუფლდება თავის ვალდებულებებისაგან და შეეძლება თქვენს მიმართ ისე მოიქცეს, როგორც ენებება. მაგრამ რას მოიქმედებს იგი მაშინ, ამას დღეს თქვენ არ მოგახსენებს.

თითქმის 1600 წლის წინათ რომის იმპერიაშიც მოქმედებდა გადატრიალების საშიში პარტია. იგი არღვევდა რელიგიას და სახელმწიფოს ყველა საფუძველს; იგი პირდაპირ უარჰყოფდა, რომ იმპერატორის ნება არის უმაღლესი კანონი, მას არ ჰქონდა სამშობლო, ინტერნაციონალური იყო, იგი გავრცელდა იმპერიის ყველა პროვინციაში, გალიიდან აზიამდე და იმპერიის საზღვრებს იქითაც, იგი დიდხანს მუშაობდა იტალიაში, ფარულად; მაგრამ დიდი ხანია უკვე საკმაოდ ძლიერად გრძნობდა თავს, რომ სინათლეზე აშკარად გამოსულიყო. გადატრიალების ამ პარტიას, რომელიც ქრისტიანთა სახელწოდებითაა ცნობილი, ბევრი მომხრე ჰყავდა ჯარშიც, მთელი ლეგიონები ქრისტიანული იყო. როდესაც მათ გზავნიდნენ გაბატონებული წარმართული ეკლესიის დღესასწაულზე სამხედრო პატივის აღმოსაჩენად, გადატრიალების პარტიის მომხრე ჯარისკაცები იმდენად კადნიერდებოდნენ, რომ, პროტესტის ნიშნად, თავიანთ მუზარადებს განსაკუთრებულ ნიშნებს — ჯვრებს აკრავდნენ. ჩვეულებრივი ყაზარმული დასჯაც, რომელსაც მათ უწესებდნენ მათი უფროსები, უშედეგოდ რჩებოდა. იმპერატორ დიოკლეტიანეს აღარ შეეძლო მეტხანს გულმშვიდად ეცქირნა იმისათვის, თუ როგორ ირღვეოდა მის ჯარში წესრიგი, მორჩილება და დისციპლინა. მან ენერ-

[1] მეფის ხება უმაღლესი კანონია! რ ე დ.

გიული ზომები მიიღო, სანამ დრო კიდევ იყო. მან გამოსცა კანონი სოციალისტების — მე მინდოდა მეთქვა: ქრისტიანების — წინააღმდეგ. გადატრიალების მომხრეთა კრებები აკრძალულ იქნა, მათი კრებების ადგილები დაკეტეს ან დაარბიეს კიდეც. ქრისტიანული ნიშნები — ჯვრები და სხვ. — აკრძალეს, როგორც საქსონიაში წითელი ცხვირსახოცები. ქრისტიანებს წაართვეს სახელმწიფო თანამდებობის დაჭერის უფლება, ისინი ეფრეიტორებადაც კი არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. რადგან მაშინ არ მოიპოვებოდნენ «პირაპატივისცემის» დარგში ესოდენ კარგად გაწვრთნილი მოსამართლეები. როგორებსაც გულისხმობს ბ-ნი ფონ კელერის კანონპროექტი გადატრიალების წინააღმდეგ [1], ამიტომ ქრისტიანებს პირდაპირ აუკრძალეს ეძიათ თავიანთი უფლების დაცვა სასამართლოში. მაგრამ ეს განსაკუთრებული კანონიც უშედეგო დარჩა. ქრისტიანები დაცინვით ჰგლეჯდნენ კედლებიდან კანონის ტექსტს, და ეს კი არა, როგორც გადმოგვცემენ, ცეცხლი წაუკიდეს ნიკომიდიაში სასახლეს, სადაც იმ დროს იმპერატორი იმყოფებოდა. მაშინ მან შური იძია ქრისტიანებზე მასობრივი დევნით ჩვენი წელთაღრიცხვის 303 წელს. ეს იყო ამ სახის უკანასკნელი დევნა. იგი იმდენად შედეგიანი აღმოჩნდა, რომ 17 წლის შემდეგ არმიის დიდძალი უმრავლესობა ქრისტიანებისაგან შედგებოდა, ხოლო მთელი რომის იმპერიის შემდეგმა თვითმპყრობელმა, კონსტანტინემ, რომელსაც ხუცებმა დიდი უწოდეს, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

ლონდონი. 6 მარტი 1895 წ.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ.
დაბეჭდილია (შემოკლებებით) კ. მარქსის ნაშრომის «კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე» ცალკე გამოცემაში, რომელიც გამოვიდა ბერლინში 1895 წ.

იბეჭდება
ანაბეჭდების სახით შემონახული ფ. ენგელსის თავდაპირველი ტექსტის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან.

[1] 1894 წ. 5 დეკემბერს რაიხსტაგში შეტანილ იქნა ახალი კანონპროექტი სოციალისტების წინააღმდეგ; ეს პროექტი გადაეცა კომისიას, რომელიც მას 1895 წლის 25 აპრილამდე განიხილავდა. რ ე დ.

კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე

რამდენიმე მცირეოდენი თავის გამოკლებით, ყოველი ბევრად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი განყოფილება რევოლუციური მატიანესი 1848 წლიდან 1849 წლამდე შემდეგ სათაურს ატარებს: რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს დ ა მ ა რ ც ხ ე ბ ა!

მაგრამ ამ დამარცხებებში იღუპებოდა არა რევოლუცია. იღუპებოდა რევოლუციამდელი ტრადიციების ნაშთები, საზოგადოებრივ ურთიერთობათა შედეგები, რომელნიც ჯერ მძაფრ კლასობრივ წინააღმდეგობებად არ გამახვილებულიყვნენ. — იღუპებოდნენ პიროვნებანი, ილუზიები, წარმოდგენანი, პროექტები, რომელთაგან რევოლუციური პარტია არ იყო თავისუფალი თებერვლის რევოლუციამდე, რომელთაგან მისი განთავისუფლება შეეძლო არა თ ე ბ ე რ ვ ლ ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ს, არამედ მხოლოდ მთელ რიგ დ ა მ ა რ ც ხ ე ბ ე ბ ს.

ერთი სიტყვით: რევოლუციური წინმსვლელობა გზას იკაფავდა არა თავისი უშუალო ტრაგიკომიკური მონაპოვრებით, არამედ, პირიქით, მით, რომ იგი ჰქმნიდა მტკიცე და ძლიერ კონტრრევოლუციას, ჰქმნიდა მტერს, რომელთან ბრძოლაშიც გადატრიალების პარტია გაიზარდა ნამდვილ რევოლუციურ პარტიად.

ამის დამტკიცება შეადგენს ამ სტატიების ამოცანას.

I

1848 წ. ივლისის დამარცხება[1]

ივლისის რევოლუციის შემდეგ ლიბერალმა ბანკირმა ლაფიტმა, როდესაც თავის «სვინას»[2] ჰერცოგ ორლეანელს[3], ტრიუმფით მიაცილებდა ქალაქის საბჭოს შენობაში, ეს ფრაზა გადაისროლა: «ა მ ი ე-

[1] პირველი, მეორე და მესამე თავების სახელწოდება მოცემულია ამ შრომის თავდაპირველი ტექსტის მიხედვით, რომელიც თვით მარქსმა გამოაქვეყნა. რ ე დ.

[2] დედანში ფრანგული სიტყვაა «copière», რომელსაც ორმაგი მნიშვნელობა აქვს: სვინა და ინტრიგის, ავანტიურის თანამონაწილე. რ ე დ.

[3] ჰერცოგი ორლეანელი ტახტზე ავიდა ლუი-ფილიპეს სახელწოდებით. რ ე დ.

რიდან ბანკირები იბატონებენ». ლაფიტმა გაამჟღავნა რევოლუციის საიდუმლოება.

ლუი ფილიპეს დროს ბატონობდა არა საფრანგეთის ბურჟუაზია, არამედ მისი მხოლოდ ერთი ფრაქცია: ბანკირები, ბირჟის და რკინიგზის მეფეები, ნახშირის მაღაროების, რკინის სამადნეებისა და ტყეების მესაკუთრენი და მათთან დაკავშირებული მიწათმფლობელობის ნაწილი, — ეგრეთწოდებული ფინანსური არისტოკრატია. იგი იჯდა ტახტზე, იგი უკარნახებდა პალატებს კანონებს, იგი არიგებდა სახელმწიფო თანამდებობებს, სამინისტროდან დაწყებული და თამბაქოს ვაჭრობაზე პატენტით გათავებული.

საკუთრივ სამრეწველო ბურჟუაზია შეადგენდა ოფიციალური ოპოზიციის ნაწილს, ე. ი. პალატებში წარმოდგენილი იყო მარტოოდენ უმცირესობის სახით. მისი ოპოზიცია მით უფრო გადამწყვეტი ხდებოდა, რაც უფრო ნათლად ვითარდებოდა ფინანსური არისტოკრატიის ერთმპყრობელობა და რაც უფრო ეგონა მას, რომ 1834 და 1839 წლების აჯანყებათა სისხლში ჩახშობის შემდეგ, მისი ბატონობა მუშათა კლასზე განმტკიცდა. რუანელი მეფაბრიკე გრანდენი, ბურჟუაზიული რეაქციის ყველაზე უფრო მძაფრი ფანატიკოსი როგორც დამფუძნებელ, ისე საკანონმდებლო ეროვნულ კრებაში დეპუტატთა პალატაში გიზოს ყველაზე უფრო ფიცხელი მოწინააღმდეგე იყო. ლეონ ფოშე, რომელიც შემდეგში ცნობილი გახდა თავისი უძლური მისწრაფებით, როგორმე საფრანგეთის კონტრრევოლუციის გიზო გამხდარიყო, ლუი ფილიპეს მეფობის უკანასკნელ ხანებში კალმით ომს აწარმოებდა მრეწველობის დასაცავად სპეკულაციისა და მისი მაჩანჩალის — მთავრობის წინააღმდეგ. ბასტია აგიტაციას ეწეოდა ბორდოს და მთელი ღვინისმწარმოებელი საფრანგეთის სახელით გაბატონებული სისტემის წინააღმდეგ.

წვრილი ბურჟუაზია ყველა თავის სახესხვაობით, აგრეთვე გლეხთა კლასი სრულიად გარიცხული იყო პოლიტიკურ ხელისუფლებაში მონაწილეობიდან. დასასრულ, ოფიციალური ოპოზიციის რიგებში ან **pays légal**-ის [1] სრულიად გარეშე იდგნენ აღნიშნული კლასების იდეოლოგიური წარმომადგენლები და დამცველები, მათი მეცნიერები, ადვოკატები, ექიმები და სხვ., — მოკლედ, მათი ეგრეთწოდებული «ტალანტები».

[1] — იმ პირთა წრის გარეშე, რომელნიც სარგებლობდნენ ხმის უფლებით. რედ.

ფინანსურმა გაჭირვებამ ივლისის მონარქია იმთავითვე მსხვილ ბურჟუაზიაზე დამოკიდებული გახადა. ხოლო მისი დამოკიდებულება მსხვილ ბურჟუაზიაზე, თავის მხრივ, იქცა მისთვის სულ უფრო და უფრო მზარდი ფინანსური გაჭირვების ულეველ წყაროდ. შეუძლებელია სახელმწიფოს მმართველობა ნაციონალური წარმოების ინტერესებს დაუქვემდებარდეს, სანამ დამყარებული არაა წონასწორობა ბიუჯეტში, წონასწორობა სახელმწიფოს ხარჯებსა და შემოსავალთ შორის. და როგორ უნდა დამყარდეს ეს წონასწორობა სახელმწიფო ხარჯების შეუმცირებლად, ე. ი. გაბატონებული რეჟიმის ბურჯთა ინტერესების შეულახავად და საგადასახადო სისტემის შეუცვლელად, ე. ი. საგადასახადო ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილის მსხვილი ბურჟუაზიის მხრებზე გადაუდებლად?

სახელმწიფოს დავალიანება, პირიქით, პირდაპირ უპასუხებდა ინტერესებს ბურჟუაზიის იმ ფრაქციისა, რომელიც გაბატონებული და კანონმდებელი იყო პალატებში. სახელმწიფო დეფიციტი იყო სწორედ მისი სპეკულაციის მთავარი საგანი და მისი გამდიდრების უმნიშვნელოვანესი წყარო. ყოველი წლის გასვლის შემდეგ — ახალი დეფიციტი. ყოველი ახალი ოთხი ან ხუთი წლის შემდეგ — ახალი სესხი. ხოლო ყოველი ახალი სესხი ფინანსურ არისტოკრატიას ახალ შემთხვევას აძლევდა სახელმწიფოს გასაფცქვნელად; ხელოვნურად გაკოტრების წინაშე დაყენებული სახელმწიფო იძულებული იყო სესხი აეღო ბანკირებისაგან სრულიად არახელსაყრელ პირობებში. გარდა ამისა, ყოველი ახალი სესხი მხოლოდ ახალ შესაძლებლობას უქმნიდა ფინანსურ არისტოკრატიას, საბირჟო ოპერაციებით, რომლის საიდუმლოებანი მას განდობილი ჰქონდა აგრეთვე მთავრობისა და პარლამენტის უმრავლესობისათვის, გაეძარცვა ის ხალხი, რომელსაც თავისი კაპიტალი სახელმწიფო პროცენტიან ქაღალდებში ქონდა მოთავსებული. საზოგადოდ სახელმწიფო კრედიტის მერყევი მდგომარეობა და სახელმწიფო საიდუმლოებათა ცოდნა — აი რა აძლევდა შესაძლებლობას ბანკირებს და მათ დამქაშებს პალატებსა და ტახტზე გამოეწვიათ სახელმწიფო ქაღალდების კურსის უეცარი, არაჩვეულებრივი რყევა, რომლის მუდმივი შედეგი იყო მრავალი წვრილი კაპიტალისტის გაჩანაგება და მსხვილი მოთამაშეების საარაკო სწრაფი გამდიდრება. იმით, რომ სახელმწიფო დეფიციტი ბურჟუაზიის გაბატონებული ფრაქციის პირდაპირ ინტერესს შეადგენდა, შეიძლება

აიხსნას, თუ რატომ აღემატებოდა ორჯერ და მეტადაც ლუი ფილიპეს მეფობის უკანასკნელ წლებში ს ა გ ა ნ გ ე ბ ო სახელმწიფო ხარჯები ნაპოლეონის დროინდელ საგანგებო ხარჯებს: ეს ხარჯები ნთქავდა ყოველწლიურად 400 მილიონ ფრანკს, მაშინ როდესაც საფრანგეთის მთელი ექსპორტი საშუალოდ იშვიათად აღწევდა 750 მილიონ ფრანკს წლიურად. ვეება თანხები, რომლებიც, ამრიგად, გადიოდა სახელმწიფოს ხელში, შემთხვევებს იძლეოდა, ამას გარდა, თაღლითური იჯარა-ჩაბარების კონტრაქტებისათვის, მოსყიდვისათვის, ტაციობისათვის და ყოველგვარი მატყუვრობისათვის. სახელმწიფოს გაქურდვა, როგორც ეს მსხვილი მასშტაბით ხდებოდა სესხის აღებისას, წვრილი მასშტაბით მეორდებოდა სახელმწიფო იჯარების გაცემა-შესრულებისას. ის, რაც ხდებოდა პალატასა და მთავრობას შორის, მრავალგზის მეორდებოდა ცალკეულ უწყებებსა და ცალკეულ მეწარმეებს შორის.

როგორც სახელმწიფო ხარჯებისა საზოგადოდ და სახელმწიფო სესხების ექსპლოატაციას, ისევე რ კ ი ნ ი გ ზ ე ბ ი ს მ შ ე ნ ებ ლ ო ბ ი ს ექსპლოატაციას ეწეოდა გაბატონებული კლასი. ხარჯების მთავარ ტვირთს პალატები აკისრებდნენ სახელმწიფოს, ხოლო სპეკულაციის მწარმოებელ ფინანსურ არისტოკრატიისათვის უზრუნველყოფდნენ ოქროს ნაყოფს. მოიგონეთ სკანდალი დეპუტატთა პალატაში, როდესაც შემთხვევით გამოაშკარავდა, რომ უმრავლესობის ყველა დეპუტატი, ზოგიერთი მინისტრის ჩათვლით, დაინტერესებულნი იყვნენ, როგორც აქციონერები, იმავე რკინიგზების მშენებლობაში, რომლებიც მათ შემდგომ, როგორც კანონმდებლებმა, სახელმწიფო ხარჯზე გააკეთებინეს.

პირიქით, სულ მცირედი საფინანსო რეფორმა იშლებოდა ბანკირების გავლენის გამო. ასე, მაგალითად, ს ა ფ ო ს ტ ო რ ე ფ ო რ მ ა. როტშილდმა პროტესტი განაცხადა. განა გაბედავდა სახელმწიფო შეემცირებინა თავისი შემოსავლის ის წყაროები, საიდანაც მუდამ მზარდი ვალის სარგებელი უნდა გადახდილიყო?

ივლისის მონარქია სხვა არა იყო რა თუ არა სააქციო კომპანია საფრანგეთის ეროვნული სიმდიდრის ექსპლოატაციისათვის, მისი დივიდენდები ნაწილდებოდა მინისტრებსა, პალატებსა, 240.000 ამომრჩეველსა და მათ ავანჩავანებს შორის. ლუი ფილიპე იყო ამ კომპანიის დირექტორი, — ტახტზე მჯდომი რობერ მაკერი[1]. ამ სის-

[1] რ ო ბ ე რ მ ა კ ე რ ი — მოხერხებული გაიძვერა საქმოსნის ტიპი, რომელიც შექმნა სახელოვანმა ფრანგმა მსახიობმა ფრედერიკო ლემეტრმა და ონორე

ტემით მუდამ ხიფათი და ზიანი ეძლეოდა ვაჭრობას, მრეწველობას, მიწათმოქმედებას, ნავოსნობას, იმ სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელმაც ივლისის დღეებში თავის დროშას «gouvernement à bon marché» — «იაფი მთავრობა» დააწერა.

რადგან ფინანსური არისტოკრატია კანონებს გამოცემდა, მართავდა სახელმწიფოს, განაგებდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებულ აპარატს და რადგან ამგვარი ფაქტიური მდგომარეობის გამო და პრესის დახმარებით თავის ხელში ეჭირა საზოგადოებრივი აზრი, ამიტომ ყველა სფეროში, სასახლიდან დაწყებული და დაბალხარისხოვანი ყავახნებით გათავებული გამეფებული იყო იგივე პროსტიტუცია, იგივე უსირცხვილო მოტყუება, იგივე მისწრაფება გამდიდრებისადმი არა წარმოების გზით, არამედ სხვისი უკვე არსებული ქონების მოხერხებული ჩაჯიბვით; და განსაკუთრებით ბურჟუაზიული საზოგადოების მაღალ ფენებში თავი იჩინა თავშეუკავებელმა, ბურჟუაზიულ კანონებითაც კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეუთანხმებელმა, არაჯანსაღმა ავხორცულმა გულისთქმამ, რომელშიაც სპეკულაციით მოხვეჭილი სიმდიდრე ბუნებრივად ეძიებს დაკმაყოფილებას, სადაც სიამოვნება იქცევა გარყვნილებად, სადაც ერთად თავს იყრის ოქრო, ჭუჭყი და სისხლი. როგორც თავისი გამდიდრების წესით, ისე თავისი სიამოვნებით, ფინანსური არისტოკრატია სხვა არა არის რა თუ არა ლუმპენპროლეტარიატის ხელახლა აღორძინება ბურჟუაზიული საზოგადოების მაღალ ფენებში.

როდესაც 1847 წელს ბურჟუაზიული საზოგადოების უმაღლეს სცენებზე იგივე სანახავები იქნა ნაჩვენები, რასაც ლუმპენპროლეტარიატი რეგულარულად მიჰყავს საროსკიპოებში, ღარიბთა და გიჟთა სახლებში, ბრალდებულის სკამზე, კატორღასა და ეშაფოტზე, საფრანგეთის ბურჟუაზიის ის ფრაქციები, რომელნიც ხელისუფლების მონაწილენი არ იყვნენ, გაიძახოდნენ: «მექრთამეობა!» ხოლო ხალხი ყვიროდა: «ძირს მსხვილი ქურდები, ძირს მკვლელებიო». სამრეწველო ბურჟუაზია ხედავდა, რომ მისი ინტერესები საფრთხეში იყო, წვრილი ბურჟუაზია ზნეობრივად აღშფოთებული იყო, ხალხის ფანტაზია — გახელებული. პარიზი გავსე-

---

დომიემ უკვდავჰყო თავის კარიკატურებში. რობერ მაკერის სახე იყო მძაფრი სატირა ფინანსური არისტოკრატიის პატრონობაზე ივლისის მონარქიის ხანაში. რედ.

ბული იყო პამფლეტებით: «როტშილდების დინასტია», «მევახშეები — ჩვენი დროის მეფეები» და სხვ., რომელნიც მეტნაკლები ვონებამახვილობით ამხელდნენ და შანთავდნენ ფინანსური ბურჟუაზიის ბატონობას.

სახელისათვის არაფერი! სახელს მოგება არ მოაქვს! მშვიდობიანობა ყველგან და ყოველთვის! ომი დაბლა სწევს 3-და 4-პროცენტიანი ქაღალდების კურსს! — აი რა დააწერა თავის დროშას საფრანგეთმა. ამიტომ მისმა საგარეო პოლიტიკამ მთელი რიგი დამცირება აწვნია საფრანგეთის ეროვნული ღირსების გრძნობას, განსაკუთრებით აღშფოთებული იყო ეს გრძნობა ავსტრიასთან კრაკოვის შეერთებით, რითაც დასრულდა პოლონეთის გაძარცვა, და იმითაც, რომ გიზო შვეიცარიის კანტონების სეპარატისტულ ომში აქტიურად მიემხრო საღვთო კავშირს. შვეიცარიის ლიბერალების გამარჯვებამ ამ ვითომდა ომში მაღლა ასწია ბურჟუაზიული ოპოზიციის საკუთარი ღირსების გრძნობა საფრანგეთში; ხოლო ხალხის სისხლიანმა აჯანყებამ პალერმოში ელექტრონის დენივით იმოქმედა დამბლადაცემულ ხალხის მასაზე და გააღვიძა მისი დიადი რევოლუციური მოგონებანი და ვნებანი [1].

დაბოლოს, საყოველთაო უკმაყოფილების აფეთქება დაჩქარებულ იქნა ორი მსოფლიო მნიშვნელობის ეკონომიური მოვლენის მეოხებით. დრტვინვა აჯანყებად იქცა.

კარტოფილის სენმა და მოუსავლობამ 1845 და 1846 წლებში გააძლიერა საყოველთაო დუღილი ხალხში. 1847 წლის სიძვირემ სისხლიანი შეტაკებები გამოიწვია საფრანგეთში ისევე, როგორც მთელ კონტინენტზე. ფინანსური არისტოკრატიის უსირცხვილო ორგიების გვერდით — ხალხის ბრძოლა უპირველესი საარსებო საშუალებებისთვის! ბიუზანსეში სიკვდილით სჯიან შიმშილის აჯანყების მონაწილეთ, პარიზში კი მეფის ოჯახი სასამართლოს ხელიდან ათავისუფლებს ცხოვრება-მოყირჭებულ არამზადებს!

მეორე დიდ ეკონომიურ მოვლენას, რომელმაც რევოლუციის აფეთქება დააჩქარა, წარმოადგენდა საყოველთაო სავაჭ-

[1] კრაკოვის შეერთება ავსტრიის მიერ, რუსეთისა და პრუსიის თანხმობით, მოხდა 1846 წლის 11 ნოემბერს. — სეპარატისტული ომი (Sonderbundskrieg) შვეიცარიაში წარმოებდა 1847 წლის 4 ნოემბრიდან 28-მდე. აჯანყება პალერმოში მოხდა 1848 წლის 12 იანვარს; იანვრის დასასრულს ნეაპოლიტანელები ცხრა დღეს უშენდნენ ყუმბარებს ქალაქს. (ფ. ენგელსის შენიშვნა 1895 წლის გამოცემისათვის).

რო და სამრეწველო კრიზისი ინგლისში. მან უკვე 1845 წლის შემოდგომაზე აუწყა თავი ქვეყანას სარკინიგზო აქციების სპეკულანტების მასობრივი გაკოტრებით, 1846 წელში იგი შეჩერებულ იქნა მთელი რიგი შემთხვევითი გარემოების წყალობით, როგორიც იყო პურის ბაჟების მომავალი გაუქმება, და ბოლოს, 1847 წლის შემოდგომაზე მან იფეთქა კოლონიური საქონლის ლონდონელ მსხვილ ვაჭართა გაკოტრების სახით, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა საადგილმამულო ბანკების გაკოტრება და ფაბრიკების დახურვა ინგლისის სამრეწველო ოლქებში. ჯერ კიდევ არ იყო გამოვლინებული კონტინენტზე ამ კრიზისის ყველა შედეგი, როცა თებერვლის რევოლუციამ იფეთქა.

ეკონომიურმა ეპიდემიამ, რომელმაც გააჩანაგა ვაჭრობა და მრეწველობა, კიდევ უფრო აუტანელი გახადა ფინანსური არისტოკრატიის თვითმპყრობელობა. ოპოზიციურმა ბურჟუაზიამ მთელ საფრანგეთში გააჩაღა ბანკეტების კომპანია საარჩევნო რეფორმისთვის, რომელსაც უნდა მიეცა მისთვის უმრავლესობა პალატაში და დაემხო ბირჟის სამინისტრო. პარიზში სამრეწველო კრიზისმა კიდევ ერთი განსაკუთრებული შედეგი მიიღო: მან შინაურ ბაზარზე გადაისროლა მეფაბრიკეებისა და მსხვილი ვაჭრების მასა, რომელთაც შექმნილ პირობებში აღარ შეეძლოთ თავიანთი საქმეების წარმოება საზღვარგარეთის ბაზარზე. მათ გახსნეს დიდი ფირმები, რომელთა კონკურენცია მასობრივად აჩანაგებდა ბაყლებს და მედუქნეებს. ამით აიხსნება ურიცხვი გაკოტრება პარიზის ბურჟუაზიის ამ ნაწილში და მისი რევოლუციური გამოსვლა თებერვლის დღეებში. ცნობილია, როგორი არაორაზროვანი გამომწვევი პასუხი გასცეს გიზომ და პალატებმა რეფორმების შემოღების წინადადებაზე, როგორ გადაწყვიტა ლუი ფილიპემ დაენიშნა ბაროს სამინისტრო, როდესაც უკვე დაგვიანებული იყო, როგორ მივიდა საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე ხალხსა და ჯარს შორის, როგორ განიარაღებულ იქნა ჯარი ნაციონალური გვარდიის პასიური მოქმედების გამო, ხოლო ივლისის მონარქია იძულებული შეიქნა ადგილი დაეთმო დროებითი მთავრობისთვის.

თავისი შემადგენლობით დროებითი მთავრობა, რომელიც თებერვლის ბარიკადებზე წარმოიშვა, აუცილებლად ანარეკლი იყო სხვადასხვა პარტიებისა, რომელთაც გაინაწილეს ურთიერთშორის გამარჯვების ნაყოფი. ის სხვა არაფერი იქნებოდა თუ არ კომპრომისი სხვადასხვა კლასებს შორის, რომელთაც შეერთებულის ძალღონით დაამხეს ივლისის მონარქია, მაგრამ

რომელთა ინტერესები ერთიმეორისადმი მტრული იყო. მისი დიდძალი უმრავლესობა ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ლედრიუ-როლენი და ფლოკონი რესპუბლიკური წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები იყვნენ, რესპუბლიკური ბურჟუაზია წარმოდგენილი იყო «National»-ის[1] რედაქციის ადამიანებით, დინასტიური ოპოზიცია — კრემიეთი, დიუპონ დე ლ' ერომეთა და სხვებით. მუშათა კლასს მხოლოდ ორი წარმომადგენელი ჰყავდა: ლუი ბლანი და ალბერი. დაბოლოს, ლამარტინი დროებით მთავრობაში არ იყო, ნამდვილად რომ ვთქვათ, რაიმე რეალური ინტერესის, ან რომელიმე განსაზღვრული კლასის გამომხატველი; ის იყო თვით თებერვლის რევოლუციის განსახიერება, საყოველთაო აჯანყება მისი ილუზიებით, მისი პოეზიით, მისი მოჩვენებითი შინაარსით და მისი ფრაზებითურთ. ისე კი თებერვლის რევოლუციის ეს წარმომადგენელი თავისი მდგომარეობით და თავისი შეხედულებით ბურჟუაზიას ეკუთვნოდა.

თუ პარიზი, პოლიტიკური ცენტრალიზაციის გამო, ბატონობს საფრანგეთზე, — რევოლუციური შერყევის მომენტებში მუშები ბატონობენ პარიზზე. დროებითი მთავრობის პირველი ნაბიჯი იყო ამ სამძიმო გავლენისაგან თავის დაღწევის ცდა გამარჯვებით დამთვრალი პარიზისგან ფხიზელ საფრანგეთისადმი მიმართვის გზით. ლამარტინი ბარიკადებზე მებრძოლთ ეცილებოდა რესპუბლიკის გამოცხადების უფლებას, ამის უფლება მარტოოდენ ფრანგი ერის უმრავლესობას აქვსო; მის ხმას უნდა დაველოდოთო, პარიზის პროლეტარიატმა თავის გამარჯვებას ლაქა არ უნდა მოსცხოს უზურპაციითო. ბურჟუაზია მხოლოდ ერთი უზურპაციის ნებას აძლევს პროლეტარიატს, — ბრძოლის უზურპაციისას.

25 თებერვალს შუადღისას ჯერ კიდევ არ იყო რესპუბლიკა გამოცხადებული, სამაგიეროდ ყველა სამინისტრო პორტფელი უკვე განაწილებული იყო დროებითი მთავრობის ბურჟუაზიულ ელემენტებსა და გენერლებს, ბანკირებს და «National»-ის ადვოკატებს შორის. მაგრამ მუშებმა გადაწყვიტეს ამ შემთხვევაში აღარ მოეთმინათ ისეთი მოტყუება, როგორც 1830 წლის ივლისში. ისინი მზად იყვნენ ხელახლა დაეწყოთ ბრძოლა და იარაღის ძალით მოეპოვებინათ რესპუბლიკა. ამ დავალებით რასპაილი გაემგზავრა ქალაქის საბჭოს

---

[1] «National» («ნაციონალი») — გაზეთია, რომელიც გამოდიოდა პარიზში 1830 — 1851 წ.წ., ბურჟუაზიული რესპუბლიკანელების ორგანო. — რედ.

შენობაში. პარიზის პროლეტარიატის სახელით მან უბრძანა დროებით მთავრობას გამოეცხადებია რესპუბლიკა; თუ ხალხის ეს ბრძანება ორი საათის განმავლობაში არ იქნა შესრულებული, მაშინ 200.000 კაცით კვლავ დავბრუნდებიო. დახოცილ მებრძოლთა გვამები ჯერ კიდევ არ იყო გაცივებული, ბარიკადები კიდევ არ იყო ალაგებული, მუშები ჯერ კიდევ არ იყვნენ განიარაღებული, და ერთადერთი ძალა, რომელიც შეიძლებოდა მათ წინააღმდეგ გამოეყენათ, იყო ნაციონალური გვარდია. ამ პირობებში ხელად გაჰქრა დროებითი მთავრობის სახელმწიფოებრივი სიბრძნის მოსაზრებები და იურიდიული სათაკილობა. ჯერ კიდევ არ გასულიყო ორი საათის ვადა, რომ პარიზის ყველა კედელზე ელვარებდა უზარმაზარი ისტორიული სიტყვები:

საფრანგეთის რესპუბლიკა! თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა!

საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე გაჰქრა თვით მოგონებაც იმ შეზღუდული მიზნებისა და მოტივების შესახებ, რამაც ბურჟუაზიას ბიძგი მისცა თებერვლის რევოლუციაში ჩარეულიყო. ბურჟუაზიის მარტო რამდენიმე ცალკეული ფრაქციის ნაცვლად, საფრანგეთის საზოგადოების ყველა კლასს გაეხსნა უეცრად პოლიტიკური ხელისუფლების ასპარეზზე გამოსვლის გზა, იძულებული შეიქნენ დაეტოვებინათ ლოჟები, პარტერი და ქანდარა და პირადად გამოსულიყვნენ სამოქმედოდ რევოლუციურ სცენაზე. კონსტიტუციურ მონარქიასთან ერთად გაჰქრა ბურჟუაზიული საზოგადოების მიმართ თვითნებურად დაპირისპირებული სახელმწიფო ხელისუფლების ფიქციაც და ამასთან ერთად — მთელი რიგი მეორეხარისხოვანი ბრძოლებიც, რომლებსაც ეს ფიქცია იწვევდა.

პროლეტარიატი, რომელმაც აიძულა დროებითი მთავრობა, და მისი მეშვეობით მთელი საფრანგეთი, მიეღო რესპუბლიკა, დაუყოვნებლივ წამოდგა პირველ რიგში, როგორც დამოუკიდებელი პარტია, მაგრამ იმავე დროს მან გამოიწვია თვის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი ბურჟუაზიული საფრანგეთი. მან მხოლოდ ნიადაგი დაიპყრო თავისი რევოლუციური განთავისუფლებისათვის საბრძოლველად, და სრულიადაც არა თვით ეს განთავისუფლება.

პირიქით, თებერვლის რესპუბლიკას პირველ ყოვლისა უნდა სრულექმნა ბურჟუაზიის ბატონობა: ფინანსური არისტოკრატიის გვერდით მან გამოიყვანა პოლიტიკური ხელისუფლების ასპარეზზე ყველა მქონებელი კლასი. მან გაან-

თავისუფლა მსხვილი მემამულეების, ლეგიტიმისტების უმრავლესობა პოლიტიკური არარაობისაგან, რაზედაც ისინი განწირული იყვნენ ივლისის მონარქიის მიერ. ტყუილად კი არ იყო, რომ «Gazette de France»[1] ოპოზიციის გაზეთებთან ერთად ეწეოდა აგიტაციას, ტყუილად როდი იყო, რომ ლარიშ-ჟაკლენი დეპუტატთა პალატის სხდომაზე 24 თებერვალს რევოლუციის მხარეზე დადგა. საყოველთაო საარჩევნო უფლების მეოხებით საფრანგეთის ბედიღბალი გადაეცა ხელში ნომინალურ მესაკუთრეებს, რომელნიც საფრანგეთის ხალხის დიდძალ უმრავლესობას შეადგენენ, ე. ი. გლეხებს. დაბოლოს, თებერვლის რესპუბლიკამ დალეწა გვირგვინი, რომლის უკან იმალებოდა კაპიტალი, ასე რომ ახლა ბურჟუაზიის ბატონობა სააშკარაოზე გამოიყვანა.

როგორც ივლისის დღეებში მუშებმა ბრძოლით მოიპოვეს ბურჟუაზიული მონარქია, ასევე თებერვლის დღეებში მათ მოიპოვეს ბურჟუაზიული რესპუბლიკა. როგორც ივლისის მონარქია იძულებული იყო თავი გამოეცხადებინა რესპუბლიკური დაწესებულებებით გარემოცულ მონარქიად, ისევე თებერვლის რესპუბლიკა იძულებული იყო გამოეცხადებინა თავი სოციალური დაწესებულებებით გარემოცულ რესპუბლიკად. პარიზის პროლეტარიატმა ძალათი გამოჰგლიჯა ეს დათმობაც.

მარშმა — მუშამ — უკარნახა დეკრეტი, რომლითაც ახალშედგენილი დროებითი მთავრობა თავის თავს ვალდებულად აცხადებდა უზრუნველეყო მუშის არსებობა შრომით, სამუშაო მიეცა ყველა მოქალაქისათვის და სხვ. და როდესაც, რამდენიმე დღის შემდეგ, ამ მთავრობამ დაივიწყა თავისი დაპირება და, როგორც ეტყობოდა, მხედველობის არეს გარეშე დატოვა პროლეტარიატი, 20.000 კაცისგან შემდგარი მასა დაიძრა ქალაქის საბჭოს შენობისკენ ყვირილით: შრომის ორგანიზაცია! შრომის საკუთარი სამინისტროს შედგენა! თავისდა უნებურად და ხანგრძლივი კამათის შემდეგ დროებითმა მთავრობამ დანიშნა სპეციალური მუდმივი კომისია, რომელსაც დაავალა გამოეძებნა საშუალებები მშრომელი კლასების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეს კომისია შედგებოდა პარიზის სახელოსნო კორპორაციების დელეგატებისაგან ლუი ბლანის და ალბერის თავმჯდომარეობით. სხდომების

[1] «Gazette de France» («საფრანგეთის გაზეთი») — მონარქისტული მიმართულების ერთ-ერთი ძველი ფრანგული გაზეთთაგანი, რომელიც გამოდიოდა პარიზში XVII საუკუნიდან. რ ე დ.

დარბაზი მას მიუჩინეს ლუქსემბურგის სასახლეში. ამგვარად მუშათა კლასის წარმომადგენელნი განდევნილ იქნენ დროებითი მთავრობის სხდომების ადგილიდან, და ამ მთავრობის ბურჟუაზიულმა ნაწილმა საკუთრივ თავის ხელში ჩაიგდო ნამდვილი სახელმწიფო ძალაუფლება და მმართველობის სადავე. ფინანსთა, ვაჭრობისა და საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროების გ ვ ე რ დ ი თ, ბანკისა და ბირჟის გ ვ ე რ დ ი თ დაწესებულ იქნა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ი ნ ა გ ო გ ა, რომლის მღვდელმთავრების, ლუი ბლანის და ალბერის ამოცანას შეადგენდა აღთქმული ქვეყნის აღმოჩენა, ახალი სახარების ქადაგება და პარიზის პროლეტარიატის უზრუნველყოფა სამუშაოთი. ყოველი საერო სახელმწიფო ხელისუფლებისაგან განსხვავებით, მათ არ ჰქონდათ თავის განკარგულებაში არავითარი ბიუჯეტი, არავითარი აღმასრულებელი ძალა. მათ თავისი შუბლით უნდა გაემტვრიათ ბურჟუაზიული წყობილების საძირკველი. როდესაც ლუქსემბურგში სიბრძნის ქვას ეძებდნენ, ქალაქის საბჭოში იმ დროს კურსის მქონე მონეტას ჭრიდნენ.

მაგრამ უნდა ითქვას კი, რომ პარიზის პროლეტარიატის მოთხოვნები, რამდენადაც ისინი ბურჟუაზიული რესპუბლიკის ფარგალს სცილდებოდნენ, ნამდვილად სხვაგვარად ვერ განხორციელდებოდა თუ არ ლუქსემბურგის კომისიის ბუნდოვან ფორმაში.

მუშებმა თებერვლის რევოლუცია მოახდინეს ბურჟუაზიასთან ერთად; ახლა ისინი ცდილობდნენ თავიანთი ინტერესების დაცვას ბურჟუაზიის გ ვ ე რ დ ი თ, — მათ ხომ დასვეს დროებითი მთავრობაში ერთი მუშა ბურჟუაზიული უმრავლესობის გვერდით. შ რ ო მ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა! მაგრამ დაქირავებული შრომა, — აი, შრომის უკვე არსებული ბურჟუაზიული ორგანიზაცია. უიმისოდ არ არის კაპიტალი, არ არის ბურჟუაზია, არ არის ბურჟუაზიული საზოგადოება. შ რ ო მ ი ს ს ა კ უ თ ა რ ი ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო! მაგრამ განა ფინანსთა, ვაჭრობისა, საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროები არ შეადგენენ შრომის ბურჟუაზიულ სამინისტროებს? მათ გ ვ ე რ დ ი თ შრომის პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი სამინისტრო იქნებოდა უძლურების სამინისტრო, კეთილსურვილთა სამინისტრო, ლუქსემბურგის კომისია. როგორც მუშებს წამდათ თავისი განთავისუფლების შესაძლებლობა ბურჟუაზიის გვერდით, ისევე იმედოვნებდნენ ისინი, რომ შეძლებდნენ განახორციელებიათ თავისი პროლეტარული რევოლუცია საფრანგეთის ნაციონალური საზღვრების შიგნით, სხვა ბურჟუაზიული ერების გვერდით. მაგრამ საფრანგეთის წარმოებითი ურთიერთობა განისაზღვრება საგარეო ვაჭრობით,

საფრანგეთის მდგომარეობით მსოფლიო ბაზარზე და ამ ბაზრის კანონებით; განა შეეძლო საფრანგეთს მათი დარღვევა ევროპული რევოლუციური ომის გარეშე, რომელიც ინგლისის, მსოფლიო ბაზრის მპყრობელის, ბამოხმაურებას გამოიწვევდა?

როდესაც აჯანყდება განსაზღვრული კლასი, რომელშიაც თავს იყრის საზოგადოების რევოლუციური ინტერესები, იგი უშუალოდ თავის საკუთარ მდგომარეობაში პოულობს შინაარსს და მასალას თავისი რევოლუციური მოქმედებისათვის: იგი ანადგურებს მტრებს, იღებს ბრძოლის მოთხოვნილებით ნაკარნახევ ზომებს, და მისი საკუთარი მოქმედების შედეგები წინ მიაქანებს მას. ასეთი კლასი თეორიულ კვლევაძიებას არ აწარმოებს თავისი საკუთარი ამოცანის შესახებ. საფრანგეთის მუშათა კლასი არ იმყოფებოდა ამ მდგომარეობაში, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა უნარი განეხორციელებინა თავისი რევოლუცია.

სამრეწველო პროლეტარიატის განვითარება საზოგადოდ სამრეწველო ბურჟუაზიის განვითარებით განისაზღვრება. ამ უკანასკნელის ბატონობისას მოიპოვებს იგი პირველად ფართო ნაციონალურ არსებობას, რომელსაც შეუძლიან ეროვნულ რევოლუციის დონემდე აამაღლოს მისი რევოლუცია, მხოლოდ მისი ბატონობის ქვეშ ჰქმნის იგი თანამედროვე წარმოების საშუალებებს, რომლებიც იმავე დროს მისი რევოლუციური განთავისუფლების საშუალებებად იქცევა. სამრეწველო ბურჟუაზიის ბატონობა პირველად გლეჯს ფეოდალური საზოგადოების მატერიალურ ფესვებს და ასწორებს ნიადაგს; მხოლოდ ამ ნიადაგზეა შესაძლებელი პროლეტარული რევოლუცია. საფრანგეთის მრეწველობა ყველაზე უფრო განვითარებულია და მისი ბურჟუაზია ყველაზე უფრო რევოლუციურია მთელ კონტინენტზე. მაგრამ განა თებერვლის რევოლუცია არ იყო მიმართული უშუალოდ ფინანსური არისტოკრატიის წინააღმდეგ? ეს ფაქტი ამტკიცებდა იმას, რომ სამრეწველო ბურჟუაზია საფრანგეთში გაბატონებული არ ყოფილა. სამრეწველო ბურჟუაზიის ბატონობა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც თანამედროვე მრეწველობა თავის შესაფერისად გარდაჰქმნის საკუთრების ყველა ურთიერთობას, ხოლო ამ ძალის მოპოვება მრეწველობას მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც მას დაპყრობილი აქვს მსოფლიო ბაზარი, ვინაიდან ეროვნული საზღვრები საკმარისი არაა მისი განვითარებისათვის. ხოლო საფრანგეთის მრეწველობას შინაური ბაზარიც კი მხოლოდ მეტნაკლებ მოდიფიცირებული აკრძალვითი ბაჟების სისტემით უჭირავს ხელში. თუ, ამიტომ, საფრანგეთის პროლეტარიატს რევოლუციის

მომენტში აქვს პარიზში ფაქტიური ძალა და გავლენა, რაც მას წინ ეწევა იმაზე მეტად, ვიდრე შეეფერება მის საშუალებებს, სამაგიეროდ პროვინციაში იგი თავმოყრილია ცალკეულ, დაქსაქსულ სამრეწველო ცენტრებში და თითქმის გამქრალია გლეხობის და წვრილი ბურჟუაზიის დიდძალ უმრავლესობაში. კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლა მის განვითარებულ, თანამედროვე ფორმაში, მის საკულმინაციო ფაზაში, სამრეწველო დაქირავებული მუშის ბრძოლა სამრეწველო ბურჟუას წინააღმდეგ, საფრანგეთში ნაწილობრივ ფაქტს წარმოადგენს. თებერვლის დღეების შემდეგ ეს ბრძოლა მით უფრო ნაკლებ შეიძლებოდა ყოფილიყო რევოლუციის ეროვნული შინაარსი, რომ ბრძოლა კაპიტალისტური ექსპლოატაციის მეორეხარისხოვან წესთა წინააღმდეგ, — გლეხის ბრძოლა მევახშეობის და გირაოს წინააღმდეგ, წვრილი ბურჟუას ბრძოლა მსხვილი ვაჭრის, ბანკირის და ფაბრიკანტის წინააღმდეგ, ერთი სიტყვით, გაკოტრების წინააღმდეგ, — იმალებოდა საყოველთაო აჯანყებაში საერთოდ ფინანსური არისტოკრატიის წინააღმდეგ. გასაკვირი არაა, ამიტომ, რომ პარიზის პროლეტარიატი ცდილობდა თავისი ინტერესები განეხორციელებინა ბურჟუაზიული ინტერესების გ ვ ე რ დ ი თ, ნაცვლად იმისა, რომ გაეტარებინა ისინი ცხოვრებაში თვით საზოგადოების რევოლუციური ინტერესის სახით; გასაკვირი არაა, რომ მან დაჰხარა წ ი თ ე ლ ი დ რ ო შ ა ს ა მ ფ ე რ ო ვ ა ნ ი დროშის წინაშე. საფრანგეთის მუშებს არ შეეძლოთ ერთი ნაბიჯი წინ გადაედგათ, ოდნავ შეხებოდნენ ბურჟუაზიულ წყობილებას, სანამ რევოლუციის მსვლელობას არ აემხედრებია ამ წყობილების წინააღმდეგ, კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ, პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის მდგომი მასა ერისა, გლეხები და წვრილი ბურჟუები, იძულებული არ გაეხადა ისინი მიმხრობოდნენ პროლეტარიატს როგორც თავის მოწინავე მებრძოლს. მხოლოდ ივნისის საშინელი დამარცხებით შეეძლოთ მუშებს ეყიდნათ ეს გამარჯვება.

ლუქსემბურგის კომისიის — პარიზის მუშების ამ ქმნილების — დამსახურებად დარჩება ის, რომ მან ევროპის ტრიბუნიდან ამხილა XIX საუკუნის რევოლუციის საიდუმლოება: პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ხ უ ფ ლ ე ბ ა. «Moniteur» [1]-ი წითლდებოდა, როცა მას უხდებოდა ოფიციალურად პროპაგანდის გაწევა იმ «ველური ოცნებისათვის», რომლებიც მანამდე სოციალისტების აპოკრი-

[1] «Moniteur Universel («საყოველთაო მოამბე») — საფრანგეთის მთავრობის ოფიციალური ორგანო. რ ე დ.

ფულ თხზულებებში იყო ჩამარხული და მხოლოდ დროგამოშვებით აღწევდა ბურჟუაზიის ყურამდე რაღაც შორეულ — ნახევრად საშინელი, ნახევრად სასაცილო — ლეგენდების სახით. გაოცებული ევროპა უეცრად გამოფხიზლდა თავისი ბურჟუაზიული თვლემიდან. ამრიგად, პროლეტარების წარმოდგენაში, რომელნიც ფინანსურ არისტოკრატიას ურევდნენ საზოგადოდ ბურჟუაზიაში, რესპუბლიკის მომხრე გულუბრყვილო ადამიანების წარმოდგენაში, რომელნიც უარჰყოფდნენ თვით კლასების არსებობას ან, უკეთეს შემთხვევაში, კონსტიტუციური მონარქიის შედეგად თვლიდნენ მათ, ბურჟუაზიის იმ ფენების ფარისევლურ ფრაზებში, რომელნიც მანამდე ხელისუფლებიდან გამორიცხული იყვნენ, — ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს ბ ა ტ ო ნ ო ბ ა გაუქმებული იყო რესპუბლიკის შემოღებით. იმ დროს ყველა როიალისტი გადაიქცა რესპუბლიკელად, პარიზის ყველა მილიონერი — მუშად. ფრაზა, რომელიც კლასობრივ ურთიერთობათა ამ ოცნებით მოსპობას შეესაბამებოდა, იყო **fraternité,** — საყოველთაო დაძმობილება და ძმობა. ეს იდეალური აბსტრაქცია კლასობრივ წინააღმდეგობათაგან, ეს ერთი მეორის საწინააღმდეგო კლასობრივი ინტერესების სენტიმენტალური შეთანხმება, ეს ოცნებური ნავარდი კლასობრივი ბრძოლის მაღლა, ძმობა, — აი რა იყო თებერვლის რევოლუციის ჭეშმარიტი ლოზუნგი. საზოგადოება მხოლოდ უბრალო გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ი ს მიზეზით იყო კლასებად დაყოფილი, და 24 თებერვალს ლამარტინმა დროებითი მთავრობა, მონათლა «მთავრობად, რომელიც სპობს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა კ ლ ა ს ე ბ ს შ ო რ ი ს ა რ ს ე ბ უ ლ ა მ ს ა შ ი ნ ე ლ გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა ს». პარიზის პროლეტარიატი თვრებოდა ამ დიდსულოვნური ძმობის აღტაცებით.

თავის მხრივ, დროებითი მთავრობა, რომელიც იძულებული შეიქნა რესპუბლიკა გამოეცხადებინა, ყოველი ღონისძიებით ცდილობდა ეს რესპუბლიკა მისაღები გაეხადნა ბურჟუაზიისა და პროვინციებისათვის. მან უარი თქვა საფრანგეთის პირველი რესპუბლიკის სისხლიან ტერორზე მით, რომ გააუქმა სიკვდილით დასჯა პოლიტიკური დანაშაულისათვის; პრესა თავისუფალი შეიქნა ყოველგვარი აზრისათვის, არმია, სასამართლო, ადმინისტრაცია, მცირეოდენ გამონაკლისს გარდა, დარჩა ძველ წარჩინებულ პირთა ხელში; ივლისის მონარქიის არც ერთი მსხვილი დამნაშავე არ ყოფილა პასუხისგებაში მიცემული. **«National»**-ის ბურჟუაზიული რესპუბლიკელები იმით ერთობოდნენ, რომ მონარქიულ სახელებს და ტანსაცმელს ცვლიდნენ ძველ რესპუბლიკურით. მათთვის რესპუბლიკა

მარტოოდენ ახალი საბალო ტანსაცმელი იყო ძველი ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის. თავის მთავარ დამსახურებას ახალგაზრდა რესპუბლიკა იმაში ეძიებდა, რომ არავინ არ დაეშინებინა, პირიქით, თვითონ ყოფილიყო მუდამ შეშინებული და რბილი დათმობით და უმწეობით შეენარჩუნებინა თავისი არსებობა და განეიარაღებინა მტრები. მან ხმამაღლა განუცხადა თავისი მშვიდობიანი ბუნების შესახებ პრივილეგირებულ კლასებს ქვეყნის შიგნით და დესპოტიურ სახელმწიფოებს — ქვეყნის გარეთ. იცხოვრე და სხვაც აცხოვრე, — ასეთია ჩემი ლოზუნგიო. სწორედ ამ დროს, თებერვლის რევოლუციის უმალვე აჯანყდნენ გერმანელები, პოლონელები, ავსტრიელები, უნგრელები, იტალიელები, — თვითეული ხალხი თავისი მდგომარეობის განსაკუთრებული პირობების მიხედვით. რუსეთი და ინგლისი, — უკანასკნელი თვითონ იყო მოძრაობაში ჩაბმული, პირველი დაშინებული ამით, — მომზადებული არ იყვნენ ჩარევისათვის. ამგვარად, რესპუბლიკას არ შეხვედრია წინ არც ერთი ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი მტერი. მაშასადამე, არ ჰქონდა ადგილი მსხვილ საგარეო გართულებას, რომელსაც შეეძლო აღენთო ენერგია, დაეჩქარებია რევოლუციური პროცესი, ბიძგი მიეცა წინ სასვლელად დროებითი მთავრობისათვის ან სრულიად განზე გადაეგდო ეს უკანასკნელი. პარიზის პროლეტარიატი, რომელიც თავის საკუთარ ქმნილებას ხედავდა რესპუბლიკაში, რასაკვირველია, ესალმებოდა დროებითი მთავრობის ყოველ ნაბიჯს, რომელიც ამ მთავრობას შველოდა განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. იგი ხალისით უსრულებდა კოსიდიერს პოლიციურ სამსახურს საკუთრების დასაცავად პარიზში და ლუი ბლანს მიანდო მორიგება მუშებსა და დამქირავებლებს შორის ხელფასის გამო არსებულ დავაში. მას თავისი პატიოსნების საქმედ მიაჩნდა უმწიკვლოდ დაეცვა ევროპის თვალში რესპუბლიკის ბურჟუაზიული პატიოსნება.

რესპუბლიკას არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია არც გარედან, არც შიგნიდან. ამან განაიარაღა იგი. მისი ამოცანა ახლა აღარ მდგომარეობდა იმაში, რომ რევოლუციურად გარდაექმნა ქვეყანა, არამედ მხოლოდღა იმაში, რომ თვითონ შეჰგუებოდა ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებს. თუ რა ფანატიზმით შეუდგა ღროებითი მთავრობა ამ ამოცანის შესრულებას, ამას საუკეთესოდ გვიჩვენებენ მისი ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ნ ი.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო და კ ე რ ძ ო კ რ ე დ ი ტ ი. რასაკვირვე-

ლია, შერყეული იყო. სახელმწიფო კრედიტი დაფუძნებულია რწმენაზე, რომ სახელმწიფო თავს აყვლეფინებს მევახშე ფინანსისტებს. მაგრამ ძველი სახელმწიფო დაემხო, ხოლო რევოლუცია პირველყოვლისა ფინანსური არისტოკრატიის წინააღმდეგ იყო მიმართული. უკანასკნელი ევროპული სავაჭრო კრიზისის თრთოლვა ჯერ კიდევ არ იყო შეწყვეტილი. ჯერ კიდევ მისდევდა გაკოტრება ვაკოტრებას.

კერძო კრედიტი, ამგვარად, დამბლადდაცემული იყო, საქონელბრუნვა — დაბრკოლებული, ხოლო წარმოება ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციის დაწყებამდე შეფერხდა. რევოლუციურმა კრიზისმა გააძლიერა კომერციული კრიზისი. კერძო კრედიტი დაფუძნებულია რწმენაზე, რომ ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობათა მთელი კომპლექსი, მთელი ბურჟუაზიული წყობილება ხელშეუვალია და ხელშეუხებელი რჩება; და როგორ უნდა ემოქმედნა მასზე რევოლუციას, რომელიც თვით ბურჟუაზიული წარმოების საფუძველს, პროლეტარიატის ეკონომიურ მონობას, ემუქრებოდა, — რევოლუციას, რომელმაც ბირჟას ლუქსემბურგის სფინქსი დაუპირისპირა? პროლეტარიატის განთავისუფლება ბურჟუაზიული კრედიტის მოსპობას ნიშნავს, იმიტომ რომ იგი ნიშნავს ბურჟუაზიული წარმოების და ბურჟუაზიული წყობილების მოსპობას. სახელმწიფო და კერძო კრედიტი წარმოადგენს ეკონომიურ თერმომეტრს, რომლითაც შეიძლება გაიზომოს რევოლუციის ინტენსიობა. იმ ზომით, რა ზომითაც კრედიტი ეცემა, მაღლა იწევს რევოლუციის ტემპერატურა და იზრდება მისი შემოქმედებითი ძალა.

დროებით მთავრობას სურდა რესპუბლიკისაგან ჩამოეხსნა მისი ანტიბურჟუაზიული გარეგნობა. ამისათვის მას პირველყოვლისა უნდა ეცადნა ამ ახალი სახელმწიფო ფორმის საცვლელი ღირებულების, მისი საბირჟო კურსის უზრუნველყოფა. ბირჟაზე რესპუბლიკის კოტირებასთან ერთად აუცილებლად უნდა აწეულიყო კერძო კრედიტი.

რათა აეცილებინა თვით ეჭვიცკი, ვითომ რესპუბლიკას არ სურს, ან არ შეუძლია შეასრულოს ვალდებულებანი, რომელნიც მან მონარქიისაგან მიიღო მემკვიდრეობით, რათა შთაენერგა ყველაში ნდობა რესპუბლიკის ბურჟუაზიული პატიოსნებისა და გადახდის უნარიანობისადმი, დროებითმა მთავრობამ მიმართა ისევე ულირს, როგორც ბავშვურ მკვეხარობას. ჯერ კიდევ კანონიერ ვადამდე მან გადაუხადა სახელმწიფო კრედიტორებს 5-, 4½ და 4-პრო-

ცენტიანი ქაღალდების სარგებელი. კაპიტალისტებს ხელად დაუბრუნდათ მთელი მათი ბურჟუაზიული აპლომბი და გულმაგრობა, როდესაც მათ დაინახეს, თუ რა მოკრძალებითა და გამალებით ცდილობდნენ მისი ნდობის ყიდვას.

რასაკვირველია, დროებითი მთავრობის ფულადი გაჭირვება არ შემცირებულა ამ თეატრალური ჟესტით, რამაც მას ნაღდი ფულის მთელი მარაგი წაართვა. მეტხანს აღარ შეიძლებოდა ფულის გაჭირვების დამალვა, და წვრილბურჟუაზიას, შინამსახურებსადა მუშებს მოუხდათ თავის ჯიბიდან გადახდა იმ სასიამოვნო სიურპრიზისათვის, რომელიც სახელმწიფო კრედიტორებს გაუკეთეს.

მთავრობამ გამოაცხადა, რომ შემნახველი სალაროები აღარ გაანაღდებენ იმ წიგნაკებს, რომელთა თანხა 100 ფრანკს აღემატება. შემნახველ სალაროებში მოთავსებული თანხების კონფისკაცია მოახდინეს და მთავრობის დეკრეტით ეს თანხები აქციეს სახელმწიფოს ვალად, რომელიც აღარ დაიფარება. ამან გააბოროტა რესპუბლიკის წინააღმდეგ წვრილი ბურჟუაზია, რომელიც უამისოდაც შევიწროვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. შემნახველი სალაროების წიგნაკების ნაცვლად სახელმწიფოს ობლიგაციების მიღების გამო იგი იძულებული შეიქნა ბირჟაზე წასულიყო მათ გასაყიდად და ხელში ჩავარდნოდა სწორედ იმ ბირჟის მესაქმე-მევახშეებს, რომლების წინააღმდეგ მან თებერვლის რევოლუცია მოაწდინა.

ბანკი იყო ტაძარი ფინანსური არისტოკრატიისათვის, რომელიც ბატონობდა ივლისის მონარქიის დროს. როგორც ბირჟა განაგებს სახელმწიფო კრედიტს, ისევე ბანკი — საავაჭრო კრედიტს.

თებერვლის რევოლუცია ემუქრებოდა ბანკის არა მარტო ბატონობას, არამედ თვით მის არსებობასაც; ამიტომ ბანკი იმთავითვე ცდილობდა სახელი გაეტეხა რესპუბლიკისათვის და კრედიტის უქონლობისათვის საყოველთაო ხასიათი მიეცა. მან უეცრად კრედიტი შეუწყვიტა ბანკირებს, მეფაბრიკეებსა და ვაჭრებს. ეს ფანდი, რომელმაც არ გამოიწვია დაუყოვნებლივ კონტრრევოლუცია, მთელი სიმძიმით დააწვა ისევ ბანკს. კაპიტალისტებმა უკან წაიღეს თავისი ფული, რომელიც ბანკის სარდაფებში ინახებოდა. ბანკნოტების მქონებელნი ეძგერნენ ბანკის სალაროს, რათა ისინი ოქროსა და ვერცხლზე გადაეცვალათ.

დროებით მთავრობას შეეძლო სრულიად კანონიერად, ძალადობით ჩარევის გარეშე, იძულებული გაეხადნა ბანკი გაკოტრებულიყო; საკმარისი იყო პასიურობა გამოეჩინა და ბანკი ბედის ანაბარა მიეტოვებინა. ბანკის გაკოტრება — ეს იქნებოდა წარღვნა, რომელიც მყისვე გაწმენდდა საფრანგეთის ნიადაგს ფინანსური არისტოკრატიისაგან, ივლისის მონარქიის ამ ოქროს კვარცხლბეკისაგან, რესპუბლიკის უძლიერესი და უსაშიშრესი მტრისაგან და ბანკის გაკოტრების შემთხვევაში თვით ბურჟუაზია იძულებული იქნებოდა ხსნის უკანასკნელ თავმოძულებულ ცდად მიეღო მთავრობის მიერ ეროვნული ბანკის შექმნა და ეროვნული კრედიტის დაქვემდებარება ერის კონტროლისადმი.

დროებითმა მთავრობამ, პირიქით, იძულებითი კურსი მიანიჭა ბანკის ბილეთებს. მან მეტიც გააკეთა. ყველა პროვინციული ბანკი მან საფრანგეთის ბანკის ფილიალებად აქცია და, ამგვარად, ბანკს საშუალება მისცა მთელ საფრანგეთში გაება ქსელი. შემდეგში მან სესხი აიღო ბანკისაგან და ამის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ტყეები დაუგირავა. ამგვარად, თებერვლის რევოლუციამ განამტკიცა და გააფართოვა უშუალოდ ის ბანკოკრატია, რომელიც მას უნდა დაემხო.

ამასობაში დროებითი მთავრობა უფრო და უფრო იხრებოდა წელში მზარდი დეფიციტის სიმძიმის ქვეშ. ამაოდ ითხოვდა იგი პატრიოტულ მსხვერპლს. მხოლოდ მუშებმა გადაუგდეს მას მოწყალება. აუცილებელი გახდა საგმირო საშუალებისადმი მიმართვა, ახალი გადასახადის შემოღება. მაგრამ ვინ უნდა დაბეგრილიყო? ბირჟის მგლები, ბანკის მეფეები, სახელმწიფოს კრედიტორები, რანტიერები, მრეწველები? ამ გზით არ შეიძლებოდა ბურჟუაზიის გულის მოგება რესპუბლიკის მიმართ. ეს იქნებოდა, ერთი მხრივ, ზიანის მიყენება სახელმწიფო კრედიტისთვის და საკაჭრო კრედიტისთვის, მაშინ როდესაც, მეორე მხრივ, ესოდენ დიდი მსხვერპლი და დამცირება გაიღებოდა მისთვის. მაგრამ ვინმეს უნდა გადეხადნა. ვინ შეწირეს მსხვერპლად ბურჟუაზიულ კრედიტს? **Jacques le bonhomme**[1], **გლეხი.**

დროებითმა მთავრობამ დამატებითი გადასახადი შემოიღო, გაადიდა რა ოთხი პირდაპირი გადასახადის ყოველი ფრანკი 45 სანტიმით. მთავრობის პრესა ატყუებდა პარიზის პროლეტარიატს, რომ

[1] ტეტი-ჟაკი — აგდებული სახელი, რომელსაც საფრანგეთის მებატონეები უწოდებდნენ გლეხებს. რედ.

ეს გადასახადი დააწვებოდა, უმთავრესად, მსხვილ მიწათმფლობელობას, იმ მფლობელებს, რომელთაც მილიარდი უბოძა რესტავრაციამ[1]. სინამდვილეში კი იგი აწვებოდა პირველყოვლისა გ ლ ე ხ თ ა კ ლ ა ს ს, ე. ი. საფრანგეთის ხალხის დიდძალ უმრავლესობას. თ ე ბ ე რ ვ ლ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი ს გ ა დ ა ხ დ ა გ ლ ე ხ ებ ს მ ო უ ხ დ ა თ, — და ისინი გახდნენ კონტრრევოლუციის მთავარი კონტინგენტი. დამატებით 45 სანტიმი გადასახადი სიცოცხლის საკითხი იყო საფრანგეთის გლეხისათვის, რომელმაც თავის მხრივ, იგი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად აქცია რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ა თ ვ ი ს. ამ მომენტიდან საფრანგეთის გლეხის თვალში რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა განხორციელებული იყო დამატებით 45 ს ა ნ ტ ი მ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ შ ი, და პარიზის პროლეტარიატში გლეხი ხედავდა მფლანგველს, რომელიც მის ხარჯზე ბედოვლათობდა.

მაშინ როდესაც 1789 წლის რევოლუციამ საქმე იმით დაიწყო, რომ გლეხები გაანთავისუფლა ფეოდალური საბეგრო ტვირთისაგან, 1848 წლის რევოლუციამ, რათა არა ევნო რა კაპიტალისათვის და უზრუნველეყო მისი სახელმწიფო მანქანის მსვლელობა, პირველ რიგში ახალი გადასახადი მიართვა სოფლის მოსახლეობას.

მხოლოდ ერთი საშუალებით შეეძლო დროებით მთავრობას ყველა ამ სიძნელის მოსპობა და სახელმწიფოს ამოგდება მისი ძველი კალაპოტიდან, სახელდობრ: ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს გ ა კ ო ტ რ ე ბ ი ს გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ი თ. ყველას ახსოვს, როგორ ამაყობდა ლედრიუ-როლენი შემდეგში ეროვნულ კრების წინაშე მით, რომ მან ზიზღით უკუაგდო ბირჟის მესაქმის. მეეხმე ფულდის — ახლანდელი ფინანსთა მინისტრის — ასეთი წინადადება, ფულდმა კი მას შესთავაზა ვაშლი ხისგან ცნობადისა.

მით რომ დროებითმა მთავრობამ სცნო ბურჟუაზიული საზოგადოების მიერ სახელმწიფოზე გაცემული თამასუქები, იგი ამ საზოგადოების ხელში ჩავარდა. იგი იქცა ბურჟუაზიული საზოგადოების გაჭირვებაში მყოფ მოვალედ იმის ნაცვლად, რომ მის წინაშე წარმომდგარიყო მრისხანე კრედიტორის სახით, რომელიც ახდევინებს ძველ რევოლუციურ ვალებს. მას უნდა გაემაგრებინა შერყეული ბურჟუაზიული ურთიერთობანი, რათა მოეგვარებინა ვალდებულებანი, რომლებიც მხოლოდ ამ ურთიერთობის ფარგალში შესასრულებე-

[1] თანხა, გაღებული 1852 წელს არისტოკრატთა სასარგებლოდ იმ ქონების საკომპენსაციოდ, რომელიც კონფისკირებული იყო XVIII საუკუნის დასასრულს ბურჟუაზიული რევოლუციის დროს. რ ე დ.

ლი. კრედიტი ხდება მისი არსებობის აუცილებელ პირობად, ხოლო დათმობანი პროლეტარიატის მიმართ და მისთვის მიცემული დაპირებანი მრავალ ბ ო რ კ ი ლ ა დ, რომელიც უ ნ დ ა დამსხვრეულიყო. მუშების განთავისუფლება — თვით ფ რ ა ზ ა ც კ ი — იქცა აუტანელ საშიშროებად ახალი რესპუბლიკისათვის, რადგან ის მუდმივ პროტესტს წარმოადგენდა კრედიტის აღდგენის წინააღმდეგ, რაც არსებულ ეკონომიურ კლასობრივ ურთიერთობათა მტკიცე და ურყევ ცნობაზეა დამყარებული. ამიტომ მ უ შ ე ბ თ ა ნ საქმე უნდა გ ა თ ა ვ ე ბ უ ლ ი ყ ო.

თებერვლის რევოლუციამ ჯარი პარიზიდან გააძევა. ნაციონალური გვარდია, ე. ი. სხვადასხვა სახის ბურჟუაზია, შეადგენდა ერთადერთ სამხედრო ძალას, მაგრამ იგი არ გრძნობდა თავის თავში საკმაო ღონეს იმისთვის, რომ მარტო გამკლავებოდა პროლეტარიატს. გარდა ამისა, იგი იძულებული გახდა, თუმცა ფრიად მედგარი წინააღმდეგობის შემდეგ, ასგვარი დაბრკოლების შექმნის შემდეგ, ნელნელა, ნაწილ-ნაწილ გაეხსნა თავისი რიგები შეიარაღებული პროლეტარების შესასვლელად. ამგვარად, მხოლოდ ერთი გამოსავალი იყო დარჩენილი: პ რ ო ლ ე ტ ა რ თ ა ერთი ნ ა წ ი ლ ი ს დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა მ ე ო რ ი ს თ ვ ი ს.

ამ მიზნით დროებითმა მთავრობამ შეადგინა მ ო ძ რ ა ვ ი გ ვ ა რ დ ი ი ს 24 ბატალიონი 15 — 20 წლის ახალგაზრდებისგან, ათასი კაცის რაოდენობით თითო ბატალიონში. ეს ახალგაზრდები ეკუთვნოდნენ მეტწილად ლ უ მ პ ე ნ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ს, რომელიც ყველა დიდ ქალაქში მოიპოვება და სამრეწველო პროლეტარიატისგან სრულიად განსხვავებულ მასას წარმოადგენს. ეს ფენა, რომელიც იძლევა ყველა სახის ქურდებსა და ბოროტმოქმედებს, შესდგება იმ ელემენტებისაგან, რომელნიც ცხოვრობენ საზოგადოების ნასუფრალით, — განსაზღვრული პროფესიის არმქონე ადამიანებისგან, მაწანწალებისგან, **gens sans feu et sans aveu**; განსხვავება მათ შორის არსებობს იმ ნაციის კულტურული დონის მიხედვით, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, მაგრამ ყველგან და ყოველთვის მათ შენარჩუნებული აქვთ ლაცარონის[1] დამახასიათებელი ნიშნები. ისინი ადვილდასაყოლიებელნი არიან ჭაბუკობის ასაკში, რომელშიაც მათ იწვევდა დროებითი მთავრობა, და უნარი შესწევთ უდიდესი გმი-

[1] ლ ა ც ა რ ო ნ ი — ასე ეწოდებოდა იტალიაში მოსახლეობის დეკლასირებულ ლუმპენპროლეტარულ ელემენტებს. ამ ელემენტებს არაერთგზის იყენებდნენ აბსოლუტისტური მთავრობები კონტრრევოლუციური მიზნებით. რ ე დ.

რობისა და თავგანწირვის, მაგრამ, იმავე დროს, აგრეთვე, ყოვლად მდაბალი ბანდიტური საქციელის ჩადენისა და ჭუჭყიანი გამყიდველობის უნარიც შესწევთ. დროებითი მთავრობა მათ აძლევდა 1 ფრანკს და 50 სანტიმს დღეში, ე. ი. მან იყიდა ისინი. ჩააცვა მათ განსაკუთრებული მუნდირი, ასე რომ გარეგნულად ისინი განირჩეოდნენ ხალათიანებისგან. ბელადებად მათ დაუნიშნეს ნაწილობრივ რეგულარული ჯარის ოფიცრები, ნაწილობრივ თვითონ ისინი ირჩევდნენ ბურჟუების ახალგაზრდა შვილებს, რომლებმაც მოჰხიბლეს ისინი თავის ბაქი-ბუქით სამშობლოსათვის თავდადებისა და რესპუბლიკის მიმართ ერთგულების შესახებ.

ამრიგად, პარიზის პროლეტარიატის პირისპირ იდგა მისივე წრიდან შედგენილი არმია 24.000 ლონიერი, თავზეხელაღებული ახალგაზრდისა. პროლეტარიატი ვ ა შ ა ს ძახილით ესალმებოდა მოძრავ გვარდიას პარიზის ქუჩებში. იგი ცნობდა მასში თავის მოწინავე მებრძოლებს ბარიკადებზე. იგი მას პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ გვარდიად თვლიდა, განსხვავებით ბურჟუაზიული ნაციონალური გვარდიისაგან. მისი შეცდომა შესანდობი იყო.

მთავრობამ გადაწყვიტა, მოძრავი გვარდიის გარდა, თავის ირგვლივ შემოეკრიბა აგრეთვე სამრეწველო მუშების არმია. მინისტრმა მარიმ კრიზისის და რევოლუციის გამო ქუჩაში გამოყრილ ასიათას მუშას სამუშაო გაუჩინა ეგრეთწოდებულ ეროვნულ სახელოსნოებში. ამ მყვირალა სახელის ქვეშ იმალებოდა მარტო ეს: მუშების გამოყენება მოსაწყენ, ერთფეროვან, არაპროდუქტიულ მ ი წ ი ს ს ა მ უ შ ა ო ზ ე 23 სუ შრომის ხელფასით. ეროვნული სახელოსნოები — ეს იყო ი ნ გ ლ ი ს ი ს «ს ა მ უ შ ა ო ს ა ხ ლ ე ბ ი»[1] ც ი ს ქ ვ ე შ მეტი არაფერი. დროებითი მთავრობა ფიქრობდა, რომ მათში ჰპოვა მ ე ო რ ე პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ა რ მ ი ა თ ვ ი თ მ უ შ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ამ შემთხვევაში ბურჟუაზია ცდებოდა ეროვნული სახელოსნოების შესახებ, ისე როგორც მუშები ცდებოდნენ მოძრავი გვარდიის შესახებ. მან ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ა რ მ ი ა შეჰქმნა.

მაგრამ ე რ თ ი მიზანი კი მიღწეული იყო.

ეროვნული სახელოსნოები ეწოდებოდა იმ სახალხო სახელოსნოებს, რომლებსაც ლუი ბლანი ქადაგებდა ლუქსემბურგში. მარის

[1] 1834 წელს ღარიბთა შესახებ ინგლისში მიღებული კანონის ძალით ნაცვლად ღარიბებისათვის ფულით თუ ნატურით შემწეობისა შემოღებულ იქნა მათთვის სამუშაო სახლების აგება. ამ სახლებმა მიიღეს «ღარიბთათვის ბასტილიების» სახელწოდება და ისინი ნაშდეილ საფრთხობელებს წარმოადგენდნენ ღარიბთათვის. რ ე დ.

სახელოსნოები კი ლუქსემბურგში შემუშავებული გეგმის პირდაპირ საწინააღმდეგო გეგმით იყო შექმნილი, მაგრამ სახელწოდებათა იგივეობა საბაბს იძლეოდა შეცდომების ინტრიგისათვის, რომელიც ღირსეულ სიუჟეტად გამოდგებოდა ესპანური მსახურთა კომედიისათვის. დროებითი მთავრობა თვითონ ავრცელებდა ჩუმად ხმას, რომ ეს ეროვნული სახელოსნოები ლუი ბლანის გამოგონებაა, და ეს მით უფრო ჰგავდა სიმართლეს, რომ ლუი ბლანი, ეროვნული სახელოსნოების მოციქული, დროებითი მთავრობის წევრი იყო პარიზის ბურჟუაზიისათვის, რომელიც ნახევრად გულუბრყვილოდ, ნახევრად განზრახ ურევდა ერთმანეთში ამ ორ საგანს და საფრანგეთისა და ევროპის ხელოვნურად დამუშავებული საზოგადოებრივი აზრისათვის ეს სამუშაო სახლები პირველი განხორციელება იყო სოციალიზმისა, რომელიც, ამგვარად, სამარცხვინო ბოძზე იყო გაკრული.

თუ თავისი შინაარსით არა, — თავისი სახელწოდებით მაინც ეროვნული სახელოსნოები პროლეტარიატის განხორციელებული პროტესტი იყო ბურჟუაზიული მრეწველობის, ბურჟუაზიული კრედიტის და ბურჟუაზიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამიტომ მათზე იქნა გადანთხეული ბურჟუაზიის მთელი სიძულვილი. ბურჟუაზიამ ჰპოვა მათში ის პუნქტი, რომელზედაც მას შეეძლო იერიში მიეტანა, როგორც კი თვითონ საკმაოდ მომაგრდა, რათა აშკარად აეღო ხელი თებერვლის ილუზიებზე. წვრილმაბურჟუაზიამაც მთელი თავისი უკმაყოფილება, მთელი თავისი გულნაწყენობა მიმართა ეროვნული სახელოსნოების წინააღმდეგ, რომელნიც გადაიქცნენ საერთო სამიზნე ნიშნად. ნამდვილი გულისწყრომით ანგარიშობდა იგი იმ თანხებს, რომლებსაც მუქთაჭამია-პროლეტარები ნთქავდნენ, მაშინ როდესაც მისი საკუთარი მდგომარეობა ყოველდღე უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. სახელმწიფო პენსია მოჩვენებული მუშაობისთვის, — აი რა არის სოციალიზმი! ბუზღუნებდა იგი თავისთვის. ეროვნულ სახელოსნოებში, ლუქსემბურგის სასახლიდან გამომდინარე დეკლამაციებში, პარიზის მუშების ქუჩის დემონსტრაციებში იგი ხედავდა თავისი გაჭირვებული მდგომარეობის მიზეზს. და არავინ არ ცხარობდა. ისე კომუნისტების მოჩვენებითი მახინაციების წინააღმდეგ, როგორც წვრილი ბურჟუა, რომელიც, ხსნის იმედმოსპობილი, გაკოტრების პირას იყო მისული.

ამგვარად, ბურჟუასა და პროლეტარიატს შორის ამ მომავალ შეტაკებისათვის ყველა უპირატესობა, ყველა უმნიშვნელოვანესი პოზიცია, საზოგადოების ყველა საშუალო ფენა ბურჟუაზიის ხელში

იყო. და ამავე დროს თებერვლის რევოლუციის ზვირთები მაღლა იწევდა კონტინენტზე, ყოველ ფოსტას ახალ-ახალი რევოლუციური ცნობები მოჰქონდა ხან იტალიიდან, ხან გერმანიიდან, ხან ევროპის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ხელს უწყობდა ხალხის თრობას გამარჯვებით; მას განუწყვეტლივ მოჰქონდა დამამტკიცებელი ფაქტები ხალხის ამ გამარჯვებისა, რომლის ნაყოფი მას უკვე ხელიდან გაუსხლტა.

17 მარტსა და 16 აპრილს იყო პირველი შეტაკებები იმ დიად კლასობრივ ბრძოლაში, რომელიც იმალებოდა ბურჟუაზიული რესპუბლიკის წიაღში.

17 მარტს გამოაშკარავდა პროლეტარიატის ორაზროვანი მდგომარეობა, რომელიც რაიმე გადამჭრელ მოქმედებას შეუძლებელს ხდიდა. პროლეტარიატის დემონსტრაციის თავდაპირველი მიზანი იყო დაებრუნებინა დროებითი მთავრობა რევოლუციის გზაზე, იძულებული გაეხადა იგი საჭიროების შემთხვევაში გაერიცხა თავის წრიდან ბურჟუაზიული წევრები და გადაედო ეროვნული კრებისა და ნაციონალური გვარდიის არჩევნების დღე. მაგრამ 16 მარტს ბურჟუაზიამ, რომელიც ნაციონალურ გვარდიაში იყო წარმოდგენილი, დემონსტრაცია მოაწყო დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. ყვირილით «ძირს ლედრიუ-როლენი!» იგი დაიძრა ქალაქის საბჭოს შენობისაკენ. ამან ხალხი აიძულა ეძახნა 16 მარტს: «გაუმარჯოს ლედრიუ-როლენს, გაუმარჯოს დროებით მთავრობას!» ხალხი იძულებული იყო, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მხარი დაეჭირა ბურჟუაზიული რესპუბლიკისათვის, რომელიც მას განსაცდელში ეჩვენა. მან დროებითი მთავრობის მდგომარეობა განამტკიცა ნაცვლად იმისა, რომ იგი თავისადმი დაემორჩილებინა. 17 მარტი მელოდრამატიული სცენით დამთავრდა. მართალია, ამ დღეს პარიზის პროლეტარიატმა ერთხელ კიდევ დაანახვა ყველას თავისი გოლიათური ძალა, მაგრამ ამან მხოლოდ განუმტკიცა ბურჟუაზიას — დროებითი მთავრობის შიგნით და გარეთაც — გადაწყვეტილება, რომ პროლეტარიატი დაეთრგუნა.

16 აპრილი წარმოადგენდა გაუგებრობას, რომელიც დროებითმა მთავრობამ ბურჟუაზიასთან ერთად გაჩარხა. მარსის მინდორზე და იპოდრომზე მრავლად შეიკრიბნენ მუშები, რათა მოემზადებინათ ნაციონალური გვარდიის გენერალური შტაბის არჩევნები. უცებ ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა მთელ პარიზში, მისი ერთი ბოლოდან მეორემდე, ვითომ მარსის მინდორზე შეიკრიბნენ შეიარაღებული მუშები, ლუი ბლანის, ბლანკის, კაბეს და

რასპაილის ხელმძღვანელობით, რათა იქიდან დაიძრან ქალაქის საბჭოს შენობისაკენ, დროებითი მთავრობა ჩამოაგდონ და კომუნისტური მთავრობა გამოაცხადონო. დაჰკრეს ნაღარა (შემდეგში ლედრიუ-როლენი, მარასტი და ლამარტინი ერთი მეორეს ეცილებოდნენ პატივს ამ ინიციატივისათვის) — და ერთი საათის შემდეგ 100 000 კაცი დგას თოფის ქვეშ, ქალაქის საბჭოს შენობა დაკავებულია ნაციონალური გვარდიის მიერ, მთელ პარიზში გრგვინავს ძახილი: «ძირს კომუნისტები! ძირს ლუი ბლანი, ბლანკი, რასპაილი და კაბე!» დროებით მთავრობასთან მოდიან ერთგულების გამოსაცხადებლად უამრავი დეპუტაციები, რომელნიც მზად არიან იხსნან სამშობლო და საზოგადოება. როდესაც, დაბოლოს, მუშები გამოჩნდნენ ქალაქის საბჭოს წინ, რათა დროებით მთავრობას გადასცენ პატრიოტული ფულადი შესაწევარი, რომელიც მარსის მინდორზე შეაგროვეს, ისინი იგებენ, თავისდა გასაოცებლად, რომ ბურჟუაზიულმა პარიზმა ეს არის ფიქტიურ ბრძოლაში, რომელიც დიდის სიფრთხილით იყო მოწყობილი, გამარჯვება მოიპოვა მათ აჩრდილზე. 16 აპრილს მომხდარი თავდასხმა საბაბი შეიქნა ჯარის დასაბრუნებლად პარიზში, — რაც ნამდვილი მიზანი იყო ამ უშნოდ გამართული კომედიისა, — და პროვინციაში რეაქციული ფედერალისტური დემონსტრაციების გასამართავად.

4 მაისს შეიკრიბა პირდაპირი დასაყოველთაო არჩევნებით მიღებული ეროვნული კრება. საყოველთაო საარჩევნო უფლებას არ ჰქონდა ის მისნური ძალა, რომელსაც მას ძველი ყალიბის რესპუბლიკელები მიაწერდნენ. მთელ საფრანგეთში ან, ყოველ შემთხვევაში, ფრანგების უმრავლესობაში ისინი ხედავდნენ «მოქალაქეებს» ერთნაირი ინტერესებით, ერთნაირი შეხედულებით და სხვ. ეს იყო მათი ერთგვარი ხალხისკულტი. მაგრამ არჩევნებმა მათი ოცნებისა ხალხის ნაცვლად გამოააშკარავა ნამდვილი ხალხი, ე. ი. წარმომადგენლები სხვადასხვა კლასებისა, რომლებადაც იგი იყოფა. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ რატომ უნდა ეწარმოებინა გლეხობას და წვრილ ბურჟუაზიას არჩევნები ბრძოლამოწყურებულ ბურჟუაზიისა და რესტავრაციისათვის გახელებული მსხვილი მემამულეების ხელმძღვანელობის ქვეშ. მაგრამ, თუ საყოველთაო საარჩევნო უფლება არ იყო ის ჯადოსნური ჯოხი, რადაც იგი რესპუბლიკის მომხრე გულუბრყვილო ადამიანებს მიაჩნდათ, მას, სამაგიეროდ, ერთი გაცილებით უფრო მაღალი ღირსება ჰქონდა: იგი ამწვავებდა კლასთა ბრძოლას, იძულებულს ხდიდა ბურჟუაზიული საზოგადოების სხვადასხვა საშუალო ფენებს მალე მოენე-

ლებინათ თავიანთი ილუზიები და გულგატეხილობა. მან დაუყოვნებლივ ატყორცნა სახელმწიფოს მწვერვალზე ექსპლოატატორი კლასის ყველა ფრაქცია და ამგვარად ჩამოაცალა მათ მატყუვებელი ნიღაბი, მაშინ როდესაც მონარქია თავისი ცენზით ბურჟუაზიის მხოლოდ განსაზღვრულ ფრაქციებს აწბილებდა, სხვებს კი შესაძლებლობას აძლევდა კულისების უკან დამალულიყვნენ და საერთო ოპოზიციის შარავანდედით შემოსილიყვნენ.

დამფუძნებელ ეროვნულ კრებაში, რომელიც 4 მაისს გაიხსნა, უმეტესობა ჰქონდა ბურჟუაზიულ რესპუბლიკანელებს, «National»-ის რესპუბლიკელებს. თვით ლეგიტიმისტებიც და ორლეანისტებიც თავდაპირველად მხოლოდ ბურჟუაზიული რესპუბლიკელების ნიღაბით ბედავდნენ გამოჩენას. მხოლოდ რესპუბლიკის სახელით შეიძლებოდა დაწყებულიყო ბრძოლა პროლეტარიატის წინააღმდეგ.

4 მაისიდან, და არა 25 თებერვლიდან, იწყებარ ესპუბლიკა, ე. ი. საფრანგეთის ხალხის მიერ აღიარებული რესპუბლიკა; ეს არის არა ის რესპუბლიკა, რომელიც პარიზის პროლეტარიატმა თავს მოახვია დროებით მთავრობას, არა რესპუბლიკა სოციალური დაწესებულებებით, არა ის ოცნება, რომელიც ბარიკადის მებრძოლებს ედგათ თვალწინ. ეროვნული კრების მიერ გამოცხადებული, ერთადერთი კანონიერი რესპუბლიკა იყო არა რევოლუციური იარაღი ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, მისი პოლიტიკური რეკონსტრუქცია, ბურჟუაზიული საზოგადოების ხელახალი პოლიტიკური განმტკიცება, ერთის სიტყვით: ბურჟუაზიული რესპუბლიკა. ეროვნული კრების ტრიბუნიდან გაისმა ეს მტკიცება და მან გამოძახილი ჰპოვა მთელ რესპუბლიკურ და ანტირესპუბლიკურ ბურჟუაზიულ პრესაში.

და ჩვენ დავინახეთ, რომ თებერვლის რევოლუცია ნამდვილად სხვა არაფერი იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არა ბურჟუაზიული რესპუბლიკა, მაგრამ დროებითი მთავრობა პროლეტარიატის უშუალო ზემოქმედებით იძულებული იყო გამოეცხადებინა იგი სოციალური დაწესებულებების მქონე რესპუბლიკად; რომ პარიზის პროლეტარიატს ჯერ კიდევ არ ჰქონდა უნარი გამოსულიყო ბურჟუაზიული რესპუბლიკის ფარგლებიდან სხვაფრივ, თუ არ თავის წარმოდგენაში, ოცნებაში, სინამდვილეში კი მთელი თავისი მოქმედებით იგი ყოველთვის ემსახურებოდა ამ რესპუბლიკას; რომ მისთვის მიცემუ-

ლი დაპირებები აუტანელ საშიშროებად გადაიქცა ახალი რესპუბ-ლიკისთვის და დროებითი მთავრობის მთელი არსებობა წარმოად-გენდა განუწყვეტელ ბრძოლას პროლეტარიატის მოთხოვნების წი-ნააღმდეგ.

ეროვნული კრების სახით მთელი საფრანგეთი გამოვიდა პარიზის პროლეტარიატის მოსამართლედ. კრებამ დაუყოვნებლივ გაწყვიტა კავშირი თებერვლის რევოლუციის ყველა სოციალურ ილუზიებ-თან და პირდაპირ გამოაცხადა ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რ ე ს პ უ ბ-ლ ი კ ა, მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიული რესპუბლიკა. მან დაუყოვნებლივ გამორიცხა მის მიერ არჩეული აღმასრულებელი კომისიიდან პროლეტარიატის წარმომადგენლები: ლუი ბლანი და ალბერი; უარჰყო წინადადება, დაარსებულიყო შრომის განსაკუთ-რებული სამინისტრო და მქუხარე მოწონების ყიჟინით შეხვდა მი-ნისტრ ტრელას სიტყვებს: «ახლა საქმე მხოლოდღა იმას შეეხება, რომ შ რ ო მ ა დ ა ვ უ ბ რ უ ნ ო თ მ ი ს ძ ვ ე ლ პ ი რ ო ბ ებ ს».

მაგრამ ყველა ეს არ კმაროდა. თებერვლის რევოლუცია მოპო-ვებული იყო მუშების მიერ ბურჟუაზიის მხრივ პასიური მხარდაჭე-რით. პროლეტარები სამართლიანად თვლიდნენ თავიანთ თავს გა-მარჯვებულებად თებერვლის ბრძოლაში და გამარჯვებულის ქედმაღ-ლურ მოთხოვნებს აყენებდნენ. საჭირო იყო მათი დამარცხება ქუ-ჩის ბრძოლაში, საჭირო იყო მათთვის დანახვება, რომ ისინი აუცილებ-ლად დამარცხდებიან, თუ იბრძოლებენ არა ბურჟუაზიასთან კ ა ვ-შ ი რ შ ი, არამედ — მის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. როგორც თავის დროს იმისათვის, რომ შექმნილიყო თებერვლის რესპუბლიკა თავისი დათ-მობებითურთ სოციალიზმის მიმართ საჭირო შეიქნა მონარქიის წი-ნააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიასთან კავშირში, ისევე ახლა საჭირო იყო მეორე ბრძოლა, რათა რესპუბლიკა განთავი-სუფლებულიყო დათმობებისაგან სოციალიზმის მიმართ, რათა ოფი-ციალურად დამტკიცებულიყო ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი-კ ი ს ბატონობა. იარაღით ხელში ბურჟუაზიას უნდა უარეყო პრო-ლეტარიატის მოთხოვნები. ბურჟუაზიული რესპუბლიკის ნამდვილი აკვანი არის არა თ ე ბ ე რ ვ ლ ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა, არამედ — ე ვ ნ ი ს ი ს დ ა მ ა რ ცხ ვ ე ბ ა.

პროლეტარიატმა დააჩქარა საქმის გადაჭრა იმით, რომ 15 მაისს ეროვნულ კრებაში შეიჭრა და შეეცადა — უნაყოფოდ — დაებრუ-ნებინა თავისი წინანდელი რევოლუციური გავლენა, მან მიაღწია მხოლოდ იმას, რომ თავისი ენერგიული ბელადები ხელში ჩაუგდო

ბურჟუაზიის მესაპყრობილეებს[1]. Il faut en finir! ეს მდგომარეობა უნდა გათავდეს! ამ მოთხოვნაში გაისმა ეროვნული კრების მტკიცე გადაწყვეტილება: აეძულებინა პროლეტარიატი გამოსულიყო გადამწყვეტი ბრძოლისათვის. აღმასრულებელმა კომისიამ გამოსცა მთელი რიგი გამომწვევი დეკრეტებისა, როგორც, მაგალითად, ხალხის შეკრებილობის აკრძალვა და სხვ. დამფუძნებელი ეროვნული კრების ტრიბუნიდან გაისმოდა პირდაპირი გამოწვევა, ლანძღვა და დაცინვა მუშების მიმართ. მაგრამ თავდასხმის მთავარ პუნქტს შეადგენდნენ, როგორც ჩვენ ვნახეთ, ეროვნული სახელოსნოები. დამფუძნებელმა კრებამ მათზე ბრძანებით მიუთითა აღმასრულებელ კომისიას, რომელიც მხოლოდ იმას უცდიდა, რომ ეროვნულ კრებას ბრძანებულობის სახით დაედასტურებინა მისი საკუთარი გეგმა.

აღმასრულებელმა კომისიამ დაიწყო მით, რომ გააძნელა ეროვნულ სახელოსნოებში შესვლა, დღიური ხელფასი საცალო ხელფასით შეცვალა და ყველა არა პარიზში დაბადებული მუშა სოლონწინ განდევნა ვითომდა მიწის სამუშაოთა შესასრულებლად. ეს სამუშაოები, — როგორც განუცხადეს თავის ამხანაგებს იქიდან დაბრუნებულმა, იმედგაცრუებულმა მუშებმა, — მარტოოდენ რიტორული ფორმულა იყო, რომლითაც მათი განდევნა შეალამაზეს. დაბოლოს, 21 ივნისს «Moniteur»-ში გამოქვეყნდა დეკრეტი, რომელიც ბრძანებდა — ძალით გაერეკათ ეროვნული სახელოსნოებიდან ყველა უცოლშვილო მუშა ან ჩაერიცხათ ისინი ჯარში.

მუშების წინაშე სხვა არჩევანი აღარ იყო: ისინი ან შიმშილით უნდა დახოცილიყვნენ, ან არა და ბრძოლა დაეწყოთ. მუშებმა უპასუხეს 22 ივნისს გრანდიოზული აჯანყებით. ეს იყო პირველი დიდი ბრძოლა იმ ორ კლასს შორის, რომლებადაც იყოფა თანამედროვე საზოგადოება. ეს იყო ბრძოლა ბურჟუაზიული წყობილების შესანარჩუნებლად ან მოსასპობად. საბურველი, რომელიც რესპუბლიკას ფარავდა, დახეულ იქნა.

ცნობილია, რა უმაგალითო მამაცობით და გენიალობით ახერხებდნენ მუშები, უბელადებოდ, მოქმედების საერთო გეგმის უქონ-

---

[1] 1848 წლის 15 მაისის ამბებთან დაკავშირებით დაატუსაღეს და ვენსენის საპყრობილეში ჩააგდეს ბარბესი, ალბერი, რასპაილი, სობრიე და რამდენიმე დღის შემდეგ ბლანკიც. რედ.

ლად, უსახსრებოდ და მეტწილ უიარაღოდ, მთელი ხუთი დღის განმავლობაში გამკლავებოდნენ არმიას, მოძრავ გვარდიას, პარიზის ნაციონალურ გვარდიას და პროვინციიდან მოსულ ნაციონალურ გვარდიელებს. ცნობილია, როგორი გაუგონარი სისასტიკით იძია შური ბურჟუაზიამ მის მიერ განცდილი სასიკვდილო შიშისთვის და 3 000-ზე მეტი ტყვე დახოცა.

საფრანგეთის დემოკრატიის ოფიციალური წარმომადგენლები ისე ძლიერ იყვნენ რესპუბლიკური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, რომ მათ მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ იწყეს ივნისის ბრძოლის მნიშვნელობის მიხვედრა. ისინი თითქოს გაბრუებული იყვნენ თოფის წამლის კვამლით, რომელშიაც გაიფანტა მათი ფანტასტიური რესპუბლიკა.

მკითხველი ნებას მოგვცემს «ახალი რაინის გაზეთის» სიტყვებით გადმოვცეთ ის უშუალო შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენზე მოახდინა ივნისის დამარცხებამ:

«თებერვლის რევოლუციის უკანასკნელი ოფიციალური ნაშთი — აღმასრულებელი კომისია — აჩრდილივით გაჰქრა მოვლენის სერიოზულობის წინაშე; ლამარტინის ბრჭყვიალა ფოიერვერკი კავენიაკის არტილერიის გრიალად იქცა, აი fraternité, — ძმობა ერთი მეორის წინააღმდეგ მდგომი კლასების, რომელთაგან ერთი ექსპლოატაციას უწევს მეორეს, — ეს ძმობა, თებერვალში გამოცხადებული, უზარმაზარი ასოებით დაწერილი პარიზის შუბლზე, ყოველ საპყრობილეზე, ყოველ ყაზარმაზე, — სად არის იგი? მის ნამდვილ გაუყალბებელ, პროზაულ გამოსახულებას წარმოადგენს ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ ი, სამოქალაქო ომი თავისი უსაშინელესი სახით, ომი შრომისა და კაპიტალის. ეს ძმობა ენთო პარიზის ყველა ფანჯრის წინ 25 ივნისის საღამოს, როდესაც ბურჟუაზიის პარიზმა ილუმინაცია გამართა, მაშინ როდესაც პროლეტარიატის პარიზი იწვოდა ცეცხლში, კვნესოდა, სისხლიდან იცლებოდა. ძმობა გრძელდებოდა სწორედ იმდენ ხანს, ვიდრე ბურჟუაზიის ინტერესი პროლეტარიატის ინტერესს ემთხვევოდა.

1793 წლის ძველი რევოლუციური ტრადიციის პედანტები, სოციალისტური დოქტრინიერები, რომელნიც ბურჟუაზიას სამოწყალოს თხოვდნენ ხალხისთვის და რომელთაც ნება მისცეს ეკითხათ გრძელი ქადაგებები და თავი გაეწბილებიათ, ვიდრე პროლეტარულ ლომს არ მიაძინებდა მათი ნანინა; რესპუბლიკელები, რომელნიც მთელ ძველ ბურჟუაზიულ წყობილებას მოითხოვდნენ, მხოლოდ გვირგვინოსანი თავის გამოკლებით, დინასტიური ოპოზიციონერები,

რომელთაც შემთხვევამ სამინისტროს შეცვლის სამაგიეროდ დინასტიის დამხობა მიანიჭა ხელში, — ლეგიტიმისტები, რომელთაც სურდათ არა ლივრეის გადაგდება, არამედ მისი თარგის შეცვლა, — ესენი იყვნენ ის მოკავშირენი, რომლებთანაც ხალხმა თავისი თებერვალი მოახდინა...

თებერვლის რევოლუცია ლ ა მ ა ზ ი რევოლუცია იყო. საყოველთაო სიმპათიის რევოლუცია, ვინაიდან ის წინააღმდეგობანი, რომელთაც მასში იფეთქეს მონარქიის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ გ ა უ შ ლ ე ლ ი ს ა ხ ი თ, თანხმობით თვლემდნენ ერთი მეორის გვერდით, ვინაიდან სოციალურ ბრძოლას, რომელიც მათ სარჩულს შეადგენდა, მარტოოდენ მოჩვენებითი არსებობა ჰქონდა, ფრაზის, სიტყვის არსებობა; ი ვ ნ ი ს ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ა, პირიქით, არის ს ა ზ ი ზ ღ ა რ ი რევოლუცია, უკუმგდები რევოლუცია, იმიტომ რომ ფრაზის ადგილი საქმემ დაიჭირა, იმიტომ რომ რესპუბლიკამ თვით ურჩხულის თავი გააშიშვლა, როდესაც ჩამოგლიჯა მას მისი შემნიღბველი და დამმალავი გვირგვინი, — წესრიგი! — ასეთი იყო გიზოს ბრძოლის კიჟინა. წ ე ს რ ი გ ი! — გაჰკიოდა გიზოს მომხრე სებასტიანი, როდესაც ვარშავა რუსეთის გახდა. წ ე ს რ ი გ ი! — ჰყვირის კავენიაკი, ეს ტლანქი გამოძახილი საფრანგეთის ეროვნული კრების და რესპუბლიკური ბურჟუაზიისა. წ ე ს რ ი გ ი ო — გრგვინავდა მისი ფინდიხი, როდესაც პროლეტარიატის სხეულს ხლეჩდა. საფრანგეთის ბურჟუაზიის მრავალი რევოლუციიდან, 1789 წლიდან დაწყებული, არც ერთი რევოლუცია არ წარმოადგენდა თავდასხმას წესრიგზე, რადგან ყველა ისინი ხელუხლებელს სტოვებდნენ კლასობრივ ბატონობას, მუშების მონობას და ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ულ წ ე ს რ ი გ ს, რაგინდ ცვალებადი ყოფილიყოს ამ ბატონობისა და ამ მონობის პოლიტიკური ფორმა. ივნისმა ხელი შეახო ამ წ ე ს რ ი გ ს. ვაი ივნისს!» («ახალი რაინის გაზეთი», 29 ივნ. 1848 წ.).

ვაი ივნისს! იმეორებს ევროპის გამოძახილი.

ბურჟუაზიამ ა ი ძ უ ლ ა პარიზის პროლეტარიატი მოეწყო ივნისის აჯანყება. მარტო ეს გარემოება მოასწავებდა მის განწირულებას დასამარცხებლად. არა უშუალო, შეგნებულმა მოთხოვნილებამ აიძულა პროლეტარიატი ეცადნა ძალით დაემხო ბურჟუაზია, მას ჯერჯერობით არც ჰქონდა ძალღონე ამ ამოცანის დასაძლევად. «Moniteur»-ს ოფიციალურად უნდა განეცხადებინა მისთვის, რომ წავიდა ის დრო, როდესაც რესპუბლიკა საჭიროდ თვლიდა პატივისცემით მოპყრობოდა მის ილუზიებს, და მხოლოდ მისმა დამარცხებამ დაარწმუნა პროლეტარიატი იმ ჭეშმარიტებაში, რომ მისი მდგო-

მარეობის სულ მცირედი გაუმჯობესებაც კი ბურჟუაზიული რესპუბ-ლიკის ფარგლებში უტოპიაარის და რომ ეს უტოპია და-ნაშაულად იქცევა მისი განხორციელების პირველ ცდისთანავე. მა-შინ იმ მოთხოვნების ნაცვლად, რომლებსაც პროლეტარიატი აყე-ნებდა თებერვლის რესპუბლიკის წინაშე, მოთხოვნებისა,რომლებიც ფორმით ბევრს ჰპირდებოდა, თუმცა შინაარსით წვრილმანი და ბურჟუაზიულიც კი იყო, გამოდის გაბედული საბრძოლო ლოზუნგი: ბურჟუაზიის დამხობა! მუშათა კლასის დიქტა-ტურა!

როდესაც პროლეტარიატმა თავისი საფლავი ბურჟუაზიულ რესპუბლიკის დაბადების ადგილად აქცია, მან აიძულა ეს რესპუბლიკა წარმომდგარიყო თავისი წმინდა სახით, როგორც სა-ხელმწიფო, რომლის აღიარებულ მიზანს შეადგენს კაპიტალის ბა-ტონობისა და შრომის მონობის გამარადისება. მუდამ თვალწინ ჰყავდა რა ჭრილობებით დაფარული, შეურიგებელი, უძლეველი მტერი, — უძლეველი იმიტომ, რომ მისი არსებობა თვით ბურჟუაზიის საარ-სებო მოთხოვნილებას შეადგენს, — ბურჟუაზიის ბატონობა, ყველა ბორკილისგან განთავისუფლებული, აუცილებლად ბურჟუა-ზიის ტერორიზმად უნდა გადაქცეულიყო. მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი დროებით ასპარეზიდან ჩამოვიდა და ბურჟუაზიის დიქტატურა ოფიციალურად აღიარებულ იქნა, ბურჟუაზიული საზო-გადოების საშუალო ფენები — წვრილი ბურჟუაზია და გლეხობა — უნდა მიმხრობოდნენ პროლეტარიატს და მით უფრო მტკიცედ; რაც უფრო უარესდებოდა მათი მდგომარეობა და მწვავდებოდა ან-ტაგონიზმი ამ ფენასა და ბურჟუაზიას შორის. როგორც წინათ ისანი თავიანთი გაჭირვების მიზეზს პროლეტარიატის გაძლიერებაში ხე-დავდნენ, ისევე ახლა მათ ეს მიზეზი მის დამარცხებაში უნდა დაე-ნახათ.

თუ ივნისის აჯანყებამ მაღლა ასწია ყველგან კონტინენტზე ბურ-ჟუაზიის საკუთარი ღირსების შეგნება და აიძულა იგი შესულიყო აშკარა კავშირში ფეოდალურ მონარქიასთან ხალხის წინააღმდეგ, — ვინ იყო ამ კავშირის პირველი მსხვერპლი? თვით კონტინენტალური ბურჟუაზია. ივნისის დამარცხებამ ხელი შეუშალა მას განემტკიცები-ნა თავისი ბატონობა და დაენარჩუნებინა უმოძრაოდ ხალხი — ნა-ხევრად დაკმაყოფილებული, ნახევრად იმედგაცრუებული — ბურ-ჟუაზიული რევოლუციის უმდაბლეს საფეხურზე.

დაბოლოს, ივნისის დამარცხებამ გაუმხილა ევროპის დესპო-ტურ სახელმწიფოებს ის საიდუმლოება, რომ საფრანგეთს აუცი-

ლებლად ესაჭიროება ზავის შენარჩუნება მეზობლებთან, რათა საკუთარ ქვეყანაში სამოქალაქო ომის წარმოება შეძლოს. ამან რუსეთს, ავსტრიას და პრუსიას ხელში ჩაუგდო ის ხალხები, რომელთაც დაიწყეს ბრძოლა თავიანთი ნაციონალური დამოუკიდებლობისთვის, მაგრამ იმავე დროს ამ ნაციონალური რევოლუციების ბედიღბალი დამოკიდებული შეიქნა პროლეტარულ რევოლუციის ბედზე; გაჰქრა მათი მოჩვენებული თავისთავადობა და დამოუკიდებლობა დიადი სოციალური გადატრიალებისაგან. არც უნგრელი, არც პოლონელი, არც იტალიელი არ იქნება თავისუფალი, სანამ მუშა მონად რჩება!

დაბოლოს, სამღვთო კავშირის გამარჯვებებმა ისეთი სახე მისცა ევროპას, რომ ყოველი ახალი პროლეტარული რევოლუცია საფრანგეთში აუცილებლად მ ს ო ფ ლ ი ო ომს გამოიწვევდა. საფრანგეთის ახალი რევოლუცია იძულებული იქნება მყისვე დატოვოს ეროვნული ნიადაგი და ე ვ რ ო პ უ ლ ი ა ს პ ა რ ე ზ ი დ ა ი პ ყ რ ო ს; მხოლოდ ამ ასპარეზზეა შესაძლებელი განხორციელებულ იქნას XIX საუკუნის სოციალური რევოლუცია.

ამრიგად, მხოლოდ ივნისის დამარცხებამ შეჰქმნა ყველა პირობა, რომლებშიაც საფრანგეთს შეუძლია აიღოს თავის თავზე ევროპული რევოლუციის ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ა, მხოლოდ ი ვ ნ ი ს ი ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ უ ლ თ ა სისხლში ამოვლების შემდეგ გადაიქცა სამფეროვანი დროშა ევროპის რევოლუციის დროშად, — წ ი თ ე ლ დ რ ო შ ა დ! და ჩვენ დავსძახებთ: რ ე ვ ო ლ უ ც ი ა მ ო კ ვ დ ა, გ ა უ მ ა რ ჯ ო ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს!

1849 წლის 13 ივნისი

1848 წ. 25 თებერვალმა საფრანგეთს მისცა რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა, 25 ივნისმა მას თავს მოახვია რ ე ვ ო ლ უ ც ი ა. ხოლო რევოლუცია ივნისის შემდეგ ნიშნავდა: ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს დ ა მ ხ ო ბ ა ს, მაშინ როდესაც თებერვლამდე იგი: ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ფ ო რ მ ი ს დ ა მ ხ ო ბ ა ს მ ო ა ს წ ა ვ ე ბ დ ა.

ივნისის ბრძოლას აწარმოებდა ბურჟუაზიის რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი ფრაქცია, გამარჯვებამ მას ჩაუგდო ხელში, აუცილებლობის გზით, სახელმწიფო ხელისუფლება. საალყო მდგომარეობამ მის ‘ფერხთ წინ განართხო ხელფეხ-შეკრული პარიზი, რომელსაც აღარ ძალუძდა წინააღმდეგობის გაწევა, ხოლო პროვინციაში გამეფებული იყო საალყო მდგომარეობის მორალური ატმოსფერო, გამარჯვების მოზეიმე ბურჟუაზიის მრისხანე და ტლანქი ზვიადობა და გლეხების

თავაშვებული მესაკუთრული ფანატიზმი. ამრიგად, ქვემოდან არ იყო არავითარი საშიშროება!

მუშების რევოლუციურ ძალასთან ერთად განადგურებულ იქნა გავლენა დემოკრატიული, ე. ი. წვრილბურჟუაზიული რესპუბლიკელებისა, რომელთა წარმომადგენელი აღმასრულებელ კომისიაში ლედრიუ-როლენი იყო, დამფუძნებელ კრებაში — მთის პარტია, პრესაში — «Réforme». ბურჟუაზიულ რესპუბლიკელებთან ერთად 16 აპრილს მათ მოაწყვეს შეთქმულება პროლეტარიატის წინააღმდეგ, იმათთან ერთად იბრძოდნენ ივნისის დღეებში მის წინააღმდეგ. ამრიგად, თვითონ მათ გამოუთხარეს ძირი იმ საფუძველს, რომელზედაც დამყარებული იყო მათი პარტიის ძალა, ვინაიდან წვრილ ბურჟუაზიას მხოლოდ მანამდე შეუძლია რევოლუციური პოზიციების შენარჩუნება ბურჟუაზიის წინააღმდეგ, სანამ მის უკან პროლეტარიატი დგას. ისინი დაითხოვეს. ბურჟუაზიულმა რესპუბლიკელებმა აშკარად გაწყვიტეს ის ფიქტიური კავშირი, რომელიც მათ თავისი სურვილის წინააღმდეგ და ფარული აზრით დროებითი მთავრობისა და აღმასრულებელი კომისიის ხანაში დადეს მათთან. დემოკრატიული რესპუბლიკელები, მოკავშირეებად დაწუნებულნი და განდევნილნი, ჩამოქვეითდნენ სამფეროვანი რესპუბლიკელების ქეშიკების დონემდე, და ამასთან არამცთუ ვერ ახერხებდნენ რაიმე დათმობის მიღებას მათგან, არამედ იძულებული იყვნენ დაეცვათ მათი ბატონობა ყოველთვის, როდესაც ბურჟუაზიის ანტირესპუბლიკური ფრაქციების მხრივ ამ ბატონობას, და მასთან ერთად რესპუბლიკას, რაიმე ხიფათი ემუქრებოდა. დაბოლოს, ეს ფრაქციები, ორლეანისტები და ლეგიტიმისტები, დამფუძნებელ კრებაში იმთავითვე უმცირესობაში იმყოფებოდნენ. ივნისის დღეებამდე ისინი ვერც კი ჰბედავდნენ გამოსვლას სხვაგვარად, თუ არა ბურჟუაზიული რესპუბლიკანიზმის ნიღაბით; ივნისის გამარჯვებამ ერთი წუთით გააერთიანა მთელი ბურჟუაზიული საფრანგეთი კავენიაკის გარშემო, რომელსაც იგი მიესალმა როგორც თავის მხსნელს; და როდესაც, მალე ივნისის დღეების შემდეგ, ანტირესპუბლიკური პარტია ისევ გამოვიდა დამოუკიდებლად, სამხედრო დიქტატურამ და საალყო მდგომარეობამ პარიზში მას მხოლოდ იმის შესაძლებლობა მისცა, რომ გაუბედავად და ფრთხილად აემოძრავებია თავისი ცაცები.

1830 წლიდან ბურჟუაზიული რესპუბლიკელების ფრაქცია, მათი მწერლების, ორატორების და ტალანტების სახით, თავისი პატივმოყვარეების, დეპუტატების, გენერლების, ბან-

კირების და ადვოკატების სახით, თავს იყრის პარიზის გაზეთ «National»-ის ირგვლივ. პროვინციაში «National»-ს თავისი ფილიალური გაზეთები ჰქონდა. «National»-ის დამქაშები წარმოადგენდნენ სამ-ფეროვანი რესპუბლიკის დინასტიას. ისინი მაშინვე დაეუფლნენ ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, სამინისტროებს, პოლიციის პრეფექტურას, ფოსტის დირექციას, პრეფექტების ადგილებს და არმიის იმ უმაღლეს ოფიცრის ადგილებს, რომლებიც განთავისუფლდა. აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში იდგა მისი გენერალი კავენიაკი; ხოლო მისი მთავარი რედაქტორი, მარასტი, დამფუძნებელი ეროვნული კრების უცვლელი პრეზიდენტი გახდა. იმავე დროს თავის სალონებში იგი როგორც ცერემონიალის მომწესრიგებელი პატიოსანი რესპუბლიკის სახელით მასპინძლის მოვალეობასაც ასრულებდა.

საფრანგეთის რევოლუციურმა მწერლებმაც კი, რესპუბლიკური ტრადიციის წინაშე ერთგვარი მოკრძალების გამო, განამტკიცეს ის ყალბი აზრი, თითქოს დამფუძნებელ კრებაში როიალისტები იყვნენ გაბატონებული. პირიქით, ივნისის დღეების შემდეგ დამფუძნებელი კრება წარმომადგენელი იყო მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიული რესპუბლიკანიზმის, და მით უფრო გადაჭრით გამოჰქონდა მას შარაზე თავისი რესპუბლიკანიზმი, რაც უფრო დაბლა ეცემოდა სამფეროვანი რესპუბლიკელების გავლენა კრების გარეთ. როდესაც საქმე შეეხებოდა რესპუბლიკური ფორმისთვის მხარის დაჭერას, კრებას თავის განკარგულებაში ჰქონდა დემოკრატიული რესპუბლიკელების ხმები; ხოლო როდესაც საქმე ბურჟუაზიული რესპუბლიკის შინაარსს შეეხებოდა, მაშინ ეს კრება თავისი ლაპარაკის სტილითაც კი არ განირჩეოდა ბურჟუაზიის როიალისტური ფრაქციებისგან, იმიტომ რომ სწორედ ბურჟუაზიის ინტერესები, მისი კლასობრივი ბატონობის და კლასობრივი ექსპლოატაციის მატერიალური პირობები, შეადგენს ბურჟუაზიული რესპუბლიკის შინაარსს.

ამრიგად, არა როიალიზმი, არამედ ბურჟუაზიული რესპუბლიკანიზმი იყო განხორციელებული ამ დამფუძნებელი კრების ცხოვრებასა და მოქმედებაში; ხოლო იგი, ბოლოს და ბოლოს, არც მომკედარა, არც მოუკლავთ, არამედ უბრალოდ დალპა.

დამფუძნებელი კრების ბატონობის მთელი ხნის განმავლობაში, სანამ ის ავანსცენაზე მთავარ და სახელმწიფოებრივ საქმიანობას ასრულებდა, უკანა სცენაზე მსხვერპლშეწირვის შეუწყვეტელი დღესასწაული მიმდინარეობდა, — სამხედრო საველე სასამართლოე-

ბის მიერ დაუსრულებელი სასჯელის მისჯა ივნისის დატყვევებული მეამბოხეებისთვის ან მათი გადასახლება სასამართლოს გარეშე საქმის გაურჩევლად. დამფუძნებელ კრებას ეს ტაქტიც კი ჰქონდა — ეღიარებია, რომ ივნისის მეამბოხეების სახით იგი დამნაშავეებს კი არ ასამართლებს, არამედ მტრებს სპობს.

დამფუძნებელი ეროვნული კრების პირველ საქმეს შეადგენდა გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ლ ი კ ო მ ი ს ი ი ს დაწესება ივნისის დღეებისა და 15 მაისის ამბების შესახებ და იმ მონაწილეობის შესახებ, რომელსაც მათში ღებულობდნენ სოციალისტური და დემოკრატიული პარტიების ბელადები. გამოძიება მიმართული იყო პირდაპირ ლუი ბლანის, ლედრიუ-როლენის და კოსიდიერის წინააღმდეგ. ბურჟუაზიული რესპუბლიკელები იწვოდნენ მოუთმენლობით, ეს მოცილეები თავიდან მოეშორებინათ. შურისძიების შესასრულებლად ისინი უფრო შესაფერ პირს ვერ იპოვიდნენ, ვიდრე ბ-ნ ო დ ი ლ ო ნ ბ ა რ ო ს, დინასტიური ოპოზიციის ყოფილ ბელადს. ამ ხორცშესხმულ ლიბერალიზმს, ამ მედიდურ არარაობას, ამ უდიდეს მოლაყბეს სურდა შური ეძია არა მარტო დინასტიისთვის, არაძედ, ამის გარდა, პასუხი მოეთხოვნა რევოლუციონერებისგან იმისათვის, რომ მას ხელიდან გაუსხლტა პრემიერ-მინისტრის ადგილი. საიმედო გარანტია მისი შეუბრალებლობისათვის! აი, ეს ბარო იყო დანიშნული გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარედ, და მან შეჰქმნა ნამდვილი სასამართლო პროცესი თებერვლის რევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც მისთვის ამაში მდგომარეობდა: 17 მარტს — მ ა ნ ი ფ ე ს ტ ა ც ი ა, 16 აპრილს — შ ე თ ქ მ უ ლ ო ბ ა, 15 მაისს — თ ა ვ დ ა ს ხ მ ა, 23 ივნისს — ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ ი! რატომ არ მიიყვანა მან თავისი მეცნიერულ-კრიმინალისტური კვლევა-ძიება 24 თებერვლამდე? ამაზე პასუხი მისცა «Journal des Débats»-მა[1]: 24 თებერვალი—ეს თავისებური რ ო მ ი ს დ ა ა რ ს ე ბ ა ა. სახელმწიფოთა წარმოშობა იკარგება მითების სფეროში, რომლებიც რწმენით უნდა მიიღებოდეს და რომლებიც არ შეიძლება სადისკუსიო საგანი გახდეს. ლუი ბლანი და კოსიდიერი პასუხისგებაში მისცეს. ეროვნულმა კრებამ დაასრულა თავისი განწმენდის საქმე, რომელიც მან 15 მაისს დაიწყო.

დროებითი მთავრობის მიერ შემუშავებული და შემდეგ გუდშოს მიერ კვლავ მიღებული გეგმა კაპიტალის დაბეგვრისა — იპოტეკებ-

[1] «Journal des Débats» («სადებატო გაზეთი») — ყოველდღიური კონსერვატიული გაზეთი, გამოდიოდა პარიზში 1789 წ. რ ე დ.

ზე გადასახადის დაწესების ფორმით — დამფუძნებელმა კრებამ უკუაგდო; კანონი, რომელიც სამუშაო დღეს ათი საათით ზღუდავდა, გააუქმეს; ისევ შემოიღეს დაპატიმრება დავალიანების გამო; წერაკითხვის არმცოდნენი, რომელნიც საფრანგეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენენ, გარიცხეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მონაწილეობიდან. რატომღა არ მოუსპონ მათ საარჩევნო უფლებაც? ისევ შემოიღეს საწინდარი გაზეთებისათვის, შეზღუდეს კავშირების უფლება.

მაგრამ ამ სიჩქარეში: რათა ძველი ბურჟუაზიული ურთიერთობისთვის მისი ძველი გარანტიები დაებრუნებიათ და რევოლუციური ტალღების მიერ დატოვებული ყოველი კვალი მოესპოთ ბურჟუაზიული რესპუბლიკელები წააწყდნენ ერთ წინააღმდეგობას, რომელიც მოულოდნელი საშიშროებით იმუქრებოდა.

ივნისის დღეებში არავინ ისეთი ფანატიზმით არ იბრძოდა საკუთრების ხსნისა და კრედიტის აღდგენისთვის, როგორც პარიზის წვრილი ბურჟუაზია, ყავახანების და რესტორანების პატრონები, მიკიტნები, წვრილი ვაჭრები, მედუქნეები, ხელოსნები და სხვ. დუქანი ამოძრავდა და დაიძრა ბარიკადების წინააღმდეგ, რათა აღედგინა მოძრაობა ქუჩიდან დუქნისაკენ. მაგრამ ბარიკადის უკან იდგნენ მედუქნის მუშტრები და მოვალეები, მის წინ — მისი კრედიტორები. და როდესაც ბარიკადები დანგრეულ იქნა და მუშები დამარცხდნენ, როდესაც გამარჯვებით მთვრალმა მედუქნეებმა თავიანთ დუქნებს მიაშურეს, იქ მათ შესასვლელი გადარაზული დახვდათ საკუთრების მხსნელის მიერ, კრედიტის ოფიციალური აგენტის მიერ, რომელმაც მათ მუქარის ბარათები წარუდგინა: თამასუქი ვადაგასულია! სახლის ქირა ვადაგასულია! ვალდებულების ხელწერილი ვადაგასულია! დაიღუპა დუქანი! დაიღუპა მედუქნე!

ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს ხ ს ნ ა! მაგრამ სახლი, რომელშიაც ისინი ცხოვრობდნენ, არ იყო მათი საკუთრება; დუქანი, რომელშიაც ისინი ვაჭრობდნენ, არ იყო მათი საკუთრება; საქონელი, რომელსაც ასაღებდნენ, არ იყო მათი საკუთრება. არც მათი დუქანი, არც თეფში, რომელზედაც სჭამდნენ, არც საწოლი, რომელზედაც ეძინათ, მათ აღარ ეკუთვნოდა. სწორედ მათ წინააღმდეგ მოხდა ხ ს ნ ა ა მ ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს ა სახლის პატრონისთვის, რომელმაც მათ თავისი სახლი მიაქირავა, ბანკირისთვის, რომელმაც მათ თამასუქები გაუნაღდა, კაპიტალისტისთვის, რომელმაც მათ ნაღდი ფული ასესხა, მეფაბრიკესათვის, რომელმაც მედუქნეებს ანდო თავისი საქონელი გასაყიდად, ბითუმად მოვაჭრისთვის, რომელმაც ნისიად მისცა ხელოსნებს

ნედლი მასალა. კ რ ე დ ი ტ ი ს ა ღ დ გ ე ნ ა! მაგრამ ხელახლა განმტკიცებულმა კრედიტმა თავი გამოაჩარავა როგორც ცოცხალმა და გულმოდგინე ღვთაებამ უპირველეს ყოვლისა მით, რომ გადახდის უნარს მოკლებული მოვალე გამოაგდო მისი ბინიდან ცოლ-შვილითურთ, მისი ილუზიური ქონება კაპიტალს მისცა, ხოლო თვითონ იგი ჩააგდო სავალო საპყრობილეში, რომელიც ისევ მრისხანედ აღიმართა ივნისის მეამბოხეთა გვამებზე.

ელდადაცემულმა წვრილმა ბურჟუაზიამ გაიგო, რომ მუშების განადგურებით მან თავისი თავი წინააღმდეგობის გაუწევლად ჩაუგდო ხელში თავის კრედიტორებს. გაკოტრება, რომელიც თებერვლიდან დაწყებული ქრონიკულად გრძელდებოდა და რომელსაც თითქოს ყურადღება არ ექცეოდა, ახლა, ივნისის შემდეგ, ოფიციალურად იქნა გამოცხადებული.

წვრილ ბურჟუაზიის ნ ო მ ი ნ ა ლ უ რ ს ა კ უ თ რ ე ბ ა ს ხელუხლებელს ტოვებდნენ, სანამ საჭირო იყო, რომ თვითონ იგი ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს გ უ ლ ი ს თ ვ ი ს საბრძოლველად გაეგდოთ. ახლა, როდესაც დიდი საქმე პროლეტარიატთან მოგვარებული იყო, შეიძლებოდა წვრილი ანგარიშების გასწორება მედუქნესთანაც. პარიზში ვადაგასული თამასუქები 21 მილიონ ფრანკზე მეტი თანხისა იყო, პროვინციებში — 11 მილიონზე მეტი. 7000-ზე მეტი სავაჭრო დაწესებულების მფლობელს არ ჰქონდა თებერვლის შემდეგ სახლის ქირა გადახდილი.

თუ ეროვნულმა კრებამ, თებერვლიდან დაწყებული, პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ს გამოძიება დანიშნა, წვრილმა ბურჟუაზიამ, თავის მხრივ, 24 თებერვლამდე აღებულ ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ვ ა ლ ი ს გამოძიება მოითხოვა. მრავალრიცხოვანი წვრილი ბურჟუები შეიკრიბნენ ბირჟის დარბაზში და მუქარით მოითხოვეს: ყოველ ვაჭარს, რომელსაც შეუძლია დაამტკიცოს, რომ გაკოტრდა მხოლოდ რევოლუციით გამოწვეული შეფერხების გამო და რომ 24 თებერვლისთვის მისი საქმეები კარგ მდგომარეობაში იყო, სავაჭრო სასამართლოს განჩინების გზით ვალის გადახდის ვადა გაუგრძელდეს, ხოლო კრედიტორი ვალდებული იყოს თავისი სარჩელის ლიკვიდაცია მოახდინოს ზომიერი სარგებლის გადახდის საფუძველზე. ეს საკითხი ირჩეოდა ეროვნულ კრებაში ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ი მ ო რ ი გ ე ბ ი ს კანონპროექტის სახით. კრება მერყეობდა; უცებ მან გაიგო, რომ იმავე დროს სენ-დენის კარებთან მეამბოხეთა ცოლები და ბავშვები, ათასობით თავმოყრილნი, ამზადებენ პეტიციას ამნისტიის შესახებ.

ივნისის აჩრდილი რომ კვლავ ამდგარი დაინახა, წვრილი ბურჟუაზია ძრწოლამ აიტანა, და კრება კვლავ ულმობელი შეიქნა. ნებაყოფილობით მორიგება — **concordats à l'amiable** — კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებით პუნქტებში უარყოფილ იქნა.

ამრიგად, მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიის რესპუბლიკანელმა წარმომადგენლებმა ეროვნულ კრებაში დიდი ხნის წინათ გააძევეს წვრილი ბურჟუაზიის დემოკრატიული წარმომადგენლები, ამ პარლამენტურმა გათიშვამ თავისი ბურჟუაზიული, რეალურ-ეკონომიური აზრი მიიღო, ვინაიდან წვრილბურჟუაზიული მოვალეები ბურჟუა-კრედიტორების თვითნებობას მიანებეს. ამ მოვალეების მეტი წილი სრულიად განადგურდა, ხოლო დანარჩენებს ნება მისცეს, განეგრძოთ თავიანთი საქმეები ისეთ პირობებში, რომელნიც მათ კაპიტალის უთუო მონებად ხდიდნენ. 1848 წლის 22 აგვისტოს ეროვნულმა კრებამ უკუაგდო ნებაყოფლობითი მორიგებანი, ხოლო 1848 წლის 19 სექტემბერს, საალყო მდგომარეობის დროს, პრინცი ლუი ბონაპარტი და ვენსენის პატიმარი, კომუნისტი რასპაილი, პარიზის წარმომადგენლებად იქნენ არჩეული. ბურჟუაზიამ კი მეავახშე-ზარაფი და ორლეანისტი ფულდი აირჩია. ამრიგად, ყველა მხრიდან ერთბაშად გამოუცხადეს აშკარა ომი დამფუძნებელ ეროვნულ კრებას, ბურჟუაზიულ რესპუბლიკანიზმს და კავენიაკს.

თავისთავად გასაგებია, რომ პარიზის წვრილი ბურჟუების მასობრივი გაკოტრების შედეგი ბევრად უნდა გაცილებოდა უშუალოდ დაზარალებულთა წრეს და კვლავ შეერყია ბურჟუაზიული აღებმიცემა, მაშინ როდესაც ივნისის აჯანყების გამო გაწეულმა ხარჯებმა კიდევ უფრო გაადიდა სახელმწიფო დეფიციტი. ხოლო სახელმწიფოს შემოსავალი განუწყვეტლივ ეცემოდა წარმოების შეფერხებისა, მოხმარების და იმპორტის შემცირების გამო. კავენიაკს და ეროვნულ კრებას შეეძლოთ გამოსავალი ეძიათ მხოლოდ ახალ სესხში, რომელიც კიდევ უფრო მაგრად აბამდა მათ ფინანსური არისტოკრატიის უღელში.

თუ წვრილ ბურჟუაზიას ივნისის გამარჯვების ნაყოფად ერგო მხოლოდ გაკოტრება და მისი ქონების ლიკვიდაცია სასამართლოს წესით, სამაგიეროდ მ ო ძ რ ა ვ მ ა გ ვ ა რ დ ი ა მ, კავენიაკის იანიჩარებმა, თავის ჯილდოდ ლორეტების ალერსიანი ხვევნა და მისალმებები მიიღეს, რომლითაც «საზოგადოების ახალგაზრდა მხსნელებს» მარასტის სალონებში ხვდებოდნენ, იმ მარასტის, რომელიც იყო სამფეროვანი დროშის რაინდი და ამავე დროს «პატიოსანი» რეს-

პუბლიკის ამფიტრიონის და ტრუბადურის როლის შემსრულებელი. საზოგადოების მხრივ ამ უპირატესობის მიკუთვნება მოძრავი გვარდიისადმი და გვარდიელების შეუდარებლად დიდი ჯამაგირი აბრაზებდა არმიას; ამავე დროს გაჰქრა ყველა ეროვნული ილუზია, რომლითაც ბურჟუაზიულმა რესპუბლიკანიზმმა ლუი ფილიპეს დროს თავისი გაზეთი «National»-ის დახმარებით, არმიის და გლეხობის ნაწილთან დაკავშირება მოახერხა. შუამავლის როლმა, რომელიც კავენიაკმა და ეროვნულმა კრებამ შეასრულეს ჩრდილოეთ იტალიაში, — რომელიც მათ ინგლისთან შეთანხმებით ავსტრიას გადაცეს, — ასეთი ბატონობის ერთმა დღემ მოსპო «National»-ის 18 წლის ოპოზიციის შედეგები. არც ერთი მთავრობა არ იყო ასე არანაციონალური, როგორც «National»-ის მთავრობა, არც ერთი არ იყო ინგლისზე იმდენად დამოკიდებული, და ამავე დროს «National»-ი ლუი ფილიპეს დროს იმით ცოცხლობდა, რომ ყოველდღე სხვადასხვა ფრაზებში გამოსახავდა კატონის ნათქვამს **Carthaginem esse delendam**[1]. არც ერთი მთავრობა არ იყო ისე მონურად გაინთხმული საღვთო კავშირის წინაშე, და ამავე დროს «National»-ი რომელიმე გიზოსაგან ვენის ტრაქტატების დაფხრეწას მოითხოვდა. ისტორიის ირონიამ ბასტიდი, «National»-ის საგარეო განყოფილების ექსრედაქტორი, საფრანგეთის მინისტრად გახადა, რათა მას ყოველი თავისი დეპეშით უარეყო ყოველი თავისი სტატია.

იყო მომენტი, როდესაც არმიას და გლეხობას ჯეროდა, რომ სამხედრო დიქტატურა საფრანგეთის დღის წესრიგში ერთდროულად საგარეო ომს და «სახელის» მოხვეჭას შეიტანსო, მაგრამ კავენიაკი ანსახიერებდა არა ხმლის დიქტატურას ბურჟუაზიაზე, არამედ ბურჟუაზიის დიქტატურას ხმლის მეშვეობით. ჯარისკაცს ახლა მხოლოდ ჟანდარმის როლი უნდა შეესრულებინა. ძველ რესპუბლიკური თავმდაბლობის მკაცრი ნიღაბის ქვეშ კავენიაკი მალავდა უხამს მორჩილებას თავისი ბურჟუაზიული თანამდებობის დამამცირებელი პირობებისადმი. **L'argent n'a pas de maître!** ფულს ბატონი არა ჰყავს! კავენიაკი და დამფუძნებელი კრება, აიდეალებდნენ მესამე წოდების ამ ძველ დევიზს, როდესაც მას პოლიტიკის ენაზე შემდეგი სიტყვებით თარგმნიდნენ: ბურჟუაზიას მეფე არა ჰყავს, მისი ბატონობის ჭეშმარიტი ფორმა რესპუბლიკაა.

ამ ფორმის შემუშავება, რესპუბლიკური კონსტიტუციის დამზადება — აი ამაში მდგომარეობდა დამფუძნებელი

[1] კართაგენი უნდა დაიქცეს. რედ.

ეროვნული კრების «დიადი ორგანული მუშაობა». ქრისტიანული კალენდრისთვის რესპუბლიკურის დარქმევა, წმინდა ბართლომესთვის წმინდა რობესპიერის დარქმევა ისევე შეცვლის ქარსა და ტაროსს, როგორც ეს კონსტიტუცია ცვლიდა ან შეეძლო შეეცვალა ბურჟუაზიული საზოგადოება. სადაც საქმე ტანსაცმლის გამოცვლაზე უფრო შორს მიდიოდა, ამ კონსტიტუციას უბრალოდ შეჰქონდა ოქმებში უკვე არსებული ფაქტები. ასე, მან ზეიმით გაატარა რეგისტრაციაში რესპუბლიკის დაწესების ფაქტი, საყოველთაო საარჩევნო უფლების ფაქტი, ორი შეზღუდული კონსტიტუციური პალატის ნაცვლად ერთიანი სუვერენული ეროვნული კრების არსებობის ფაქტი. მან რეგისტრაციაში გაატარა და დააკანონა კავენიაკის დიქტატურის ფაქტი მით, რომ მუდმივი, არაპასუხისმგებელი მემკვიდრეობითი სამეფო ხელისუფლება, წარმავალი, პასუხისმგებელი და არჩევითი სამეფო ხელისუფლებით — ოთხწლიანი პრეზიდენტობით — შეცვალა. შემდეგ, მან არ დააყოვნა ძირითადი კანონის ხარისხში აეყვანა იმ საგანგებო ძალაუფლების ფაქტი, რომლითაც ეროვნულმა კრებამ 15 მაისის და 25 ივნისის საშინელებათა შემდეგ წინდახედულად შემოსა თავისი თავმჯდომარე საკუთარი უშიშროების ინტერესებში. დანარჩენი კონსტიტუციაში თერმინოლოგიის საქმე იყო. ძველი მონარქიის მექანიზმს მოაგლიჯეს როიალისტური ეტიკეტები და რესპუბლიკური მიაწებეს. მარასტმა, «National»-ის ყოფილმა მთავარმა რედაქტორმა და ახლა კონსტიტუციის მთავარმა რედაქტორმა, უნიჭოდ როდი შეასრულა ეს აკადემიური ამოცანა.

დამფუძნებელი კრება წააგავდა იმ ჩილიელ მოხელეს, რომელიც, სამიწათმფლობელო ურთიერთობათა უფრო ზუსტად განსაზღვრის მიზნით, მიწის გაზომვას შეუდგა სწორედ იმ მომენტში, როდესაც მიწის ქვეშეთა გრიალმა აუწყა ვულკანის ამოხეთქა, რომელსაც თვით მის ფეხქვეშ უნდა გამოეცალა სრულიად ნიადაგი. იმ დროს, როდესაც დამფუძნებელი კრება თეორიაში განსაზღვრავდა ფორმებს ბურჟუაზიის ბატონობის რესპუბლიკური გამოხატულებისათვის, სინამდვილეში იგი მხოლოდ ყოველგვარი ფორმულების უარყოფის წყალობით, შიშველი იძულებით საალყო მდგომარეობით განაგრძობდა არსებობას. ორი დღით ადრე, ვიდრე კონსტიტუციის შემუშავებას დაიწყებდა, მან გამოაცხადა საალყო მდგომარეობის ვადის გაგრძელება. წინათ კონსტიტუციებს შეიმუშავებდნენ და მიიღებდნენ მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი გადატრიალების პროცესი წონასწორობას აღწევდა, როდესაც მტკიცდებოდა ახა-

ლი კლასობრივი ურთიერთობა და გაბატონებული კლასის მებრძოლი ფრაქციები კომპრომისს მიმართავდნენ, რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევდა განეგრძოთ ურთიერთს შორის ბრძოლა და ამავე დროს ამ ბრძოლისგან ჩამოეშორებიათ ხალხის დაღლილი მასა. ეს კონსტიტუცია კი არავითარ სოციალურ რევოლუციას არ აძლევდა სანქციას; იგი სანქციას აძლევდა ძველი საზოგადოების დროებით გამარჯვებას რევოლუციაზე.

კონსტიტუციის პირველ პროექტში, რომელიც ივნისის დღეებამდე იყო შედგენილი, ჯერ კიდევ იყო ნახსენები: «**droit au travail**» უფლება შრომაზე, ეს პირველი უმწეო ფორმულა, რომელშიაც შეჯამებულია პროლეტარიატის რევოლუციური მოთხოვნები. ახლა იგი გადაიქცა «**droit á l'assistance**»-ად, საზოგადოებრივი შემწეობის მიღების უფლებად, — და აბა რომელი თანამედროვე სახელმწიფო არ ჰკვებავს ასე თუ ისე თავის ღატაკებს? უფლება შრომაზე, ბურჟუაზიული გაგებით, უაზრობა, უბადრუკი კეთილი სურვილია, მაგრამ შრომაზე უფლების უკან იმალება ძალაუფლება კაპიტალზე, ხოლო კაპიტალზე ძალაუფლების უკან—საწარმოო საშუალებათა მითვისებაა, მათი დაქვემდებარება ასოციაციაში გაერთიანებული მუშათა კლასისადმი, — მაშასადამე, დაქირავებული შრომის, კაპიტალის და მათი ურთიერთდამოკიდებულების გაუქმებაა. «შ რ ო მ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს» უკან იდგა ივნისის აჯანყება. დამფუძნებელ კრებას, რომელმაც რევოლუციური პროლეტარიატი ფაქტიურად **hors la loi**, კანონის გარეშე დააყენა, პრინციპულად უნდა გამოეგდო მ ი ს ი ფორმულა კონსტიტუციიდან, ამ კანონთა კანონიდან, და შეჩვენებისთვის მიეცა «შრომის უფლება». მაგრამ იგი ამაზე არ შეჩერებულა. როგორც პლატონმა განდევნა თავის რესპუბლიკიდან მგოსნები, ისევე დამფუძნებელმა კრებამ განდევნა უკუნითი უკუნისამდე თავის რესპუბლიკიდან პ რ ო გ რ ე ს ი უ ლ ი ს ა შ ე მ ო ს ა ვ ლ ო გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი. ეს გადასახადი კი წარმოადგენს არა მარტო სავსებით ბურჟუაზიულ ღონისძიებას, რომლის განხორციელება შესაძლებელია მეტნაკლები მასშტაბით არსებული საწარმოო ურთიერთობის ფარგლებში — იგი იყო ერთადერთი საშუალება ბურჟუაზიული საზოგადოების საშუალო ფენების მისამაგრებლად ამ «პატიოსან» რესპუბლიკაზე, სახელმწიფო ვალის შესამცირებლად და ბურჟუაზიის ანტირესპუბლიკური უმრავლესობისთვის წინააღმდეგობის გასაწევად.

ნებაყოფლობითი მორიგების უკუგდებით სამფეროვანმა რესპუბლიკელებმა წვრილი ბურჟუაზია ფაქტიურად მსხვილ ბურჟუაზიას

უმსხვერპლეს. ეს ცალკეული ფაქტი მათ პრინციპამდე აამაღლეს იმით, რომ კანონმდებლობის გზით აკრძალეს პროგრესიული საშემოსავლო გადასახადი. მათ ბურჟუაზიული რეფორმა იმადვე მიიჩნიეს, რადაც პროლეტარული რევოლუცია. რომელიღა კლასი რჩებოდა ამის შემდეგ მათი რესპუბლიკის დასაყრდენად? მსხვილი ბურჟუაზია. მაგრამ მისი უმრავლესობა ანტირესპუბლიკური იყო. თუ იგი «National»-ის რესპუბლიკელებით სარგებლობდა, რათა ისევ განემტკიცებინა ძველი ეკონომიური ურთიერთობანი, მეორეს მხრივ იგი აპირებდა ესარგებლნა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცებით, რათა კვლავ აღედგინა მისი შესაფერი პოლიტიკური ფორმები. უკვე ოქტომბრის დამდეგს კავენიაკმა ვალდებულად იგრძნო თავი, რესპუბლიკის მინისტრებად დაენიშნა დიუფორი და ვივიენი, ლუი ფილიპეს ყოფილი მინისტრები, მიუხედავად იმ აურზაურისა და ყიჟინისა, რომელიც ატეხეს მისი საკუთარი პარტიის უტვინო პურიტანებმა.

სამფეროვანმა კონსტიტუციამ უარჰყო ყოველი კომპრომისი წვრილ ბურჟუაზიასთან და ვერ მოახერხა ახალ სახელმწიფო ფორმისაკენ გადმოებირებინა საზოგადოების რომელიმე ახალი ელემენტი; სამაგიეროდ მან საჩქაროდ დაუბრუნა ტრადიციული შეუვალობა იმ კორპორაციას, რომელიც ძველი სახელმწიფოს უაღრესად გახელებული და ფანატიკური დამცველი იყო. მან კონსტიტუციის ძირითად კანონად აქცია მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე თ ა უ ც ვ ლ ე ლ ო ბ ა, რასაც დროებითმა მთავრობამ ხელშეხება მოუნდომა. ის ერთი მეფე, რომელიც მან ძირს ჩამოაგდო, მრავალჯერ აღსდგა კანონიერების ამ უცვლელ ინკვიზიტორების სახით.

საფრანგეთის პრესამ გამოარკვია მრავალი წინააღმდეგობა ბ-ნი მარასტის კონსტიტუციაში, მაგალითად, ორი სუვერენის არსებობა ერთსადაიმავე დროს — ეროვნული კრების და პრეზიდენტისა, და სხვ. და სხვ.

მაგრამ ამ კონსტიტუციის მთავარი წინააღმდეგობა შემდეგშია: იმ კლასებს, რომელთა პოლიტიკური მონობა მან უნდა გაამარადისოს, — პროლეტარიატს, გლეხებს, წვრილ ბურჟუებს, — საყოველთაო საარჩევნო უფლების გზით, იგი აძლევს პოლიტიკურ ძალაუფლებას. ხოლო ბურჟუაზიას — იმ კლასს, რომლის ძველ სოციალურ ძალაუფლებას იგი სანქციას აძლევს, არბმევს ამ ძალაუფლების პოლიტიკურ გარანტიებს. ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობა მოქცეულია მის მიერ დემოკრატიულ ჩარჩოში, რომელიც მუდამ ეამს ბურჟუაზიის მოწინააღმდეგეთა გამარჯვებას შველის და თვით

ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძველს საფრთხეში აყენებს. ერთთაგან იგი მოითხოვს, რომ პოლიტიკური განთავისუფლებიდან ისინი არ მიდიოდნენ წინ სოციალური განთავისუფლებისაკენ, მეორეთაგან მოითხოვს, რომ სოციალური რესტავრაციიდან არ მიდიოდნენ უკან პოლიტიკური რესტავრაციისკენ.

ბურჟუაზიულ რესპუბლიკელებს არ აწუხებდა ასეთი წინააღმდეგობანი. იმდენად, რამდენადაც ისინი აღარ იყვნენ აუცილებლად საჭირონი, — ხოლო ისინი საჭირონი იყვნენ მხოლოდ როგორც ძველი საზოგადოების ავანგარდი რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში,— მათი გამარჯვებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ისინი პარტიის მდგომარეობიდან ხროვის მდგომარეობამდე დაეშვნენ. კონსტიტუცია მათთვის იყო მსხვილი ინტრიგა. ამ კონსტიტუციას უნდა დაემყარებინა, პირველყოველისა, ამ ხროვის ბატონობა. პრეზიდენტად უნდა დარჩენილიყო კავენიაკი. საკანონმდებლო კრება დამფუძნებელი კრების გაგრძელება უნდა ყოფილიყო. ისინი იმედოვნებდნენ ხალხის მასების პოლიტიკური ძალა ფიქციად გაეხადნათ, ფიქრობდნენ ამ ფიქტიური ძალით ადვილად ეთამაშნათ და ივნისის დღეების დილემის დაყენებით: «National»-ის გამეფებით ანარქიის გამეფებით ბურჟუაზიის უმრავლესობა მუდამ შიშში ჰყოლოდათ.

კონსტიტუციის შესადგენად 4 სექტემბერს დაწყებული მუშაობა 23 ოქტომბერს დასრულდა. 2 სექტემბერს კონსტიტუანტამ[1] დადგინა არ დაშლილიყო, ვიდრე ორგანული, კონსტიტუციის შემავსებელი კანონები არ იქნებოდა გამოცემული. მიუხედავად ამისა, მან უკვე 10 დეკემბერს, ე. ი. ვიდრე თავისი საკუთარი ცხოვრების სარბიელს დაასრულებდა, დიდი ხნით ადრე გადაწყვიტა სიცოცხლე მიენიჭებინა თავისი ღვიძლი შვილისათვის, — პრეზიდენტისთვის. ესოდენ გულდაჯერებული იყო იგი, რომ კონსტიტუციის ჰომუნკულის სახით თავის დედის შვილს მიესალმებოდა. სიფრთხილის გულისთვის დადგენილი იყო, რომ, თუ არც ერთი კანდიდატი არ მიიღებდა ორ მილიონ ხმას, არჩევნების უფლება ნაციისგან კონსტიტუანტაზე გადადიოდა.

ფუჭი სიფრთხილე გახლდათ! კონსტიტუციის გამოყენების პირველი დღე კონსტიტუანტის ბატონობის უკანასკნელი დღე იყო. საარჩევნო ყუთის ძირში, მისი სიკვდილის განაჩენი იდო. იგი ეძებდა «თავის დედის შვილს», ჰპოვა კი «თავის ბიძის ძმისწული» საულ-

[1] მხედველობაშია დამფუძნებელი კრება. რედ.

კავენიაკმა მიიღო ერთი მილიონი ხმა, დავით-ნაპოლეონმა — ექვსი მილიონი, ექვსმაგად დამარცხდა საულ-კავენიაკი.

1848 წლის 10 დეკემბერი გლეხთა აჯანყების დღე იყო. მხოლოდ ამ დღიდან დაიწყო თებერვალი საფრანგეთის გლეხებისთვის. სიმბოლო, რომელმაც გამოსახა მათი შესვლა რევოლუციურ მოძრაობაში, უმწეო და მზაკვარი, ვერაგი და გულუბრყვილო, სულელურად დიდებული, ანგარიშიანი ცრუმორწმუნეობა, პათეტიური ფარსი, გენიალურ-ტუტუცური ანაქრონიზმი, მსოფლიო ისტორიის ლაღი ხუმრობა, ცივილიზებული გონებისთვის გაუგებარი იეროგლიფი, — ეს სიმბოლო აშკარად ატარებდა ბეჭედს იმ კლასისას, რომელიც ცივილიზაციის შიგნით ბარბაროსობის წარმომადგენელია. რესპუბლიკა წარსდგა ამ კლასის წინაშე — გადასახადისამკრეფისსახით, და ის წარმოსდგა რესპუბლიკის წინაშე იმპერატორის სახით. ნაპოლეონი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელშიაც ჰპოვა თავისი სრული გამოსახულება 1789 წელს ახლადშექმნილი გლეხთა კლასის ინტერესებმა და ფანტაზიამ. რესპუბლიკის ფასადზე მისი სახელის დაწერით გლეხობამ ომი გამოაცხადა უცხო სახელმწიფოების წინააღმდეგ და ბრძოლა ქვეყნის შიგნით თავისი კლასობრივი ინტერესებისთვის. ნაპოლეონი გლეხებისთვის პიროვნება კი არ იყო, არამედ — პროგრამა, დროშებით, მუსიკით მიდიოდნენ ისინი საარჩევნო ყუთთან და გაიძახოდნენ «**Plus d'impôts, à bas les riches, à bas la république, vive l'Empereur!**» — «ძირს გადასახადები, ძირს მდიდრები, ძირს რესპუბლიკა! გაუმარჯოს იმპერატორს!» ნაპოლეონის ზურგს უკან იმალებოდა გლეხთა ომი. რესპუბლიკა, რომელიც მათ გააშავეს, იყო მდიდრების რესპუბლიკა.

10 დეკემბერი იყო გლეხთა სახელმწიფო გადატრიალება, რომელმაც დაამხო არსებული მთავრობა. ამ დღიდან, როდესაც გლეხებმა საფრანგეთს ერთი მთავრობა წაართვეს და მეორე მისცეს, მათი თვალი მუდამ მიჩერებული იყო პარიზზე. ისინი ერთ წუთს გამოვიდნენ რევოლუციური დრამის ფსირებად, და ამის შემდეგ აღარ შეიძლებოდა თავს მოეხვიათ მათთვის გუნდის პასიური და უმოქმედო როლი.

დანარჩენი კლასები დაეხმარენ გლეხების საარჩევნო გამარჯვების დასრულებას. პროლეტარიატი ნაპოლეონის არჩევაში ხედავდა პირველ ყოვლისა კავენიაკის და კონსტიტუანტის კრების დასასრულს, ბურჟუაზიული რესპუბლიკანიზმის დასასრულს, — ეს იყო მისთვის ივნისის გამარჯვების კასაცია. წვრილი ბურ-

ჟუაზიისთვის ნაპოლეონი ნიშნავდა მოვალეების გამარჯვებას კრედიტორებზე. მსხვილი ბურჟუაზიის უმრავლესობისთვის ნაპოლეონის არჩევა ნიშნავდა აშკარა გათიშვას იმ ფრაქციისაგან, რომლითაც მან დროებით ისარგებლა რევოლუციის წინაალმდეგ, მაგრამ რომელიც მისთვის აუტანელი შეიქნა, როგორც კი მან კონსტიტუციის მეშვეობით დროებითი მდგომარეობის განმტკიცება მოინდომა. ნაპოლეონი კავენიაკის ადგილას — მსხვილი ბურჟუაზიის უმრავლესობისთვის, ეს ნიშნავდა მონარქიას რესპუბლიკის ადგილას, როიალისტური რესტავრაციის დასაწყისს, მხდალად მიხედვას ჰერცოგ ორლეანელის მხარეს, იებს შორის დაფარულ მთის შროშანას[1]. დაბოლოს, არმია, ნაპოლეონის არჩევით, ხმას აძლევდა მოძრავი გვარდიის წინააღმდეგ, ზავის იდილიის წინააღმდეგ, ომის სასარგებლოდ.

ამრიგად, მოხდა ის, რომ, «ახალი რაინის გაზეთი»-ს თქმისა არ იყოს, საფრანგეთის ყველაზე რეგვენმა ადამიანმა ყოვლად მრავალმხრივი მნიშვნელობა მოიპოვა. სწორედ იმიტომ, რომ იგი არარაობას წარმოადგენდა, მას შეეძლო ყველაფრის მომასწავებელი ყოფილიყო, მხოლოდ — არა თავისთავისა. მაგრამ, თუმცა ნაპოლეონის სახელს სხვადასხვა კლასების ენაზე სხვადასხვა აზრი ჰქონდა, ყველა იმათ ამ სახელთან ერთად დაწერეს თავის საარჩევნო ბარათზე: «ძირს «**National**»-ის პარტია, ძირს კავენიაკი, ძირს კონსტიტუანტა, ძირს ბურჟუაზიული რესპუბლიკა!» მინისტრმა დიუფორმა აშკარად განაცხადა ეს დამფუძნებელ კრებაში: «10 დეკემბერი მეორე 24 თებერვალიაო».

წვრილმა ბურჟუაზიამ და პროლეტარიატმა ხმა მისცეს **en bloc**[2] ნაპოლეონს იმისთვის, რომ ხმა მიეცათ კავენიაკის წინააღმდეგ და ერთ კანდიდატზე ხმების დაგროვების გზით კონსტიტუანტისათვის ხელიდან გამოეცალათ საბოლოო გადაწყვეტილების შესაძლებლობა, მაგრამ ორივე ამ კლასის უფრო მოწინავე ნაწილმა თავისი კანდიდატები წამოაყენა. ნაპოლეონი კრებადი სახელი იყო ყველა პარტიისთვის, რომელნიც გაერთიანებული იყვნენ ბურჟუაზიული რესპუბლიკის წინააღმდეგ; ლედრიუ-როლენი და რასპაილი იყვნენ საკუთარი სახელები: ერთი დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიისა, მეორე — რევოლუციური პროლეტარიატის. რასპაილისთვის მიცემული ხმები — ასე განაც-

[1] მთის შროშანა — ბურბონთა ლეგიტიმური მონარქიის ემბლემაა. რედ.
[2] — ყველამ ერთად. რედ.

ნადეს ხმამაღლა მუშებმა და მათმა სოციალისტურმა ბელადებმა — იყო მარტოოდენ დემონსტრატიული ხმები; იგი იყო მასობრივი პროტესტი ყოველი პრეზიდენტის წინააღმდეგ საზოგადოდ, ე. ი. თვით კონსტიტუციის წინააღმდეგ, ამასთან ერთად, ეს იყო ხმის მიცემა ლედრიუ-როლენის წინააღმდეგ; ეს იყო პირველი აქტი, რომელშიაც გამოიხატა პროლეტარიატის, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის განშორება დემოკრატიული პარტიისაგან. პირიქით, ეს უკანასკნელი პარტია — დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზია და მისი წარმომადგენელი პარლამენტში, მთა — ლედრიუ-როლენის კანდიდატურას ეპყრობოდა იმ დიდი სერიოზულობით, რომლითაც იგი თავის თავის ზეიმურად მოტყუებასაა დაჩვეული. მაგრამ ეს იყო პროლეტარიატის პირისპირ, დამოუკიდებლად გამოსვლის, მისი უკანასკნელი ცდა. 10 დეკემბერს დამარცხებულ იქნა არა მარტო რესპუბლიკური ბურჟუაზიის პარტია, არამედ დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიაც და მისი მთაც.

მ თ ი ს გვერდით საფრანგეთს ჰყავდა ახლა ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი, — დამტკიცება იმისა, რომ ორივენი იყვნენ მარტოოდენ უსიცოცხლო კარიკატურები სინამდვილის იმ დიად მოვლენებისა, რომელთა სახელებს ისინი ატარებდნენ. ლუი ნაპოლეონი თავისი საიმპერატორო ქუდით და არწივით ისეთივე უბადრუკი პაროდია იყო ძველი ნაპოლეონისა, როგორიც მთა თავისი დემაგოგიური პოზებით და 1793 წლისაგან ნასესხები ფრაზებით — ძველი მთის პაროდია იყო. ამგვარად, ტრადიციულ ცრურწმენას 1793 წლის მიმართ ბოლო მოეღო იმავე დროს, რა დროსაც ბოლო მოეღო ტრადიციულ ცრურწმენას ნაპოლეონის მიმართ. რევოლუციამ თავისი სახე მარტოოდენ მაშინ მიიღო, როდესაც თავისი ს ა კ უ თ ა რ ი, ო რ ი გ ი ნ ა ლ უ რ ი სახელწოდება მოიპოვა, და ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მის პირველ რიგში ახალი რევოლუციური კლასი, — სამრეწველო პროლეტარიატი ძალამოსილად წამოდგა. შეიძლება ითქვას, — 10 დეკემბერი უკვე იმიტომ იყო მთის პარტიისთვის სიურპრიზი და დავთრის ამრევი, რომ გლეხის უხეშმა გახუმრებამ სიცილით გასწყვიტა კლასიკური ანალოგია ძველ რევოლუციასთან.

20 დეკემბერს კავენიაკმა ხელი აიღო თავის თანამდებობაზე და დამფუძნებელმა კრებამ ლუი ნაპოლეონი გამოაცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტად. 19 დეკემბერს, თავისი ერთმპყრობელობის უკანასკნელ დღეს, მან უკუაგდო წინადადება ივნისის მეამბოხეთა ამნისტიის შესახებ. გაუქმება 27 ივნისის დეკრეტისა, რომლითაც,

სასამართლოს განაჩენის გამოუტანლად, გადასახლება მიუსაჯა 15 000 მეამბოხეს, — განა არ იქნებოდა ეს თვით ივნისის ბრძოლის უარყოფა?

ოდილონ ბარო, ლუი ფილიპეს უკანასკნელი მინისტრი, ლუი ნაპოლეონის პირველი მინისტრი გახდა. როგორც ლუი ნაპოლეონი თავისი ხელისუფლების დასაწყისს ითვლიდა არა 10 დეკემბრიდან, არამედ 1806 წლის სენატის დადგენილებიდან, ისევე მან იპოვა პირველი მინისტრი, რომელიც თავის მინისტრობას ითვლიდა არა 20 დეკემბრიდან, არამედ მეფის 24 თებერვლის დეკრეტიდან. ლუი ფილიპეს კანონიერმა მემკვიდრემ, ლუი ნაპოლეონმა, შეარბილა მთავრობის ცვლილება ძველი სამინისტროს შენარჩუნებით, რომელსაც, ამასთან, დროც არ ჰქონდა მოძველებულიყო, ვინაიდან ვერც კი მოასწრო დაბადება.

ეს არჩევა ბურჟუაზიის როიალისტური ფრაქციების ბელადებმა ურჩიეს. ძველი დინასტიური ოპოზიციის მეთაური, რომელიც შეუგნებლად შეიქნა გადასასვლელი საფეხური «National»-ის რესპუბლიკელებისკენ, კიდევ უფრო შესაფერი იყო იმისთვის, რომ სრული შეგნებით გამხდარიყო ხიდი ბურჟუაზიული რესპუბლიკიდან მონარქიისაკენ.

ოდილონ ბარო მეთაური იყო ერთადერთი ძველი ოპოზიციური პარტიისა, რომელიც უშედეგოდ ეპოტინებოდა სამინისტრო პორტფელს და რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრო სავსებით თავისი სახელის გატეხა. მალე ერთი მეორეს მიყოლებით რევოლუციამ ატყორცნა მაღლა სახელმწიფოს მწვერვალზე ყველა ძველი ოპოზიციური პარტია, რათა მათ არა მარტო საქმით, არამედ სიტყვითაც უარეყოთ თავიანთი ძველი ფრაზები და, ბოლოს და ბოლოს, ყველანი ერთად, გადაგდებული ყოფილიყვნენ ხალხის მიერ, როგორც საზიზღარი სალაფავი ისტორიის სანაგვე ორმოში. და ბაროს, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ამ განსახიერებას, რომელიც თვრამეტი წლის მანძილზე თავის შინაგან უხამსობას და სიცარიელეს გარეგანი დარბაისლობის ქვეშ ფარავდა, არ აცდენია რენეგატობის არც ერთი საფეხური. თუ ზოგ მომენტებში თვით მას აფრთხობდა მეტისმეტად გამოჩენილი კონტრასტი აწმყოს ეკლებსა და წარსულის დაფნებს შორის, საკმარისი იყო ჩაეხედნა სარკეში და — მას კვლავ უბრუნდებოდა მისი მინისტრული თავდაჭერილობა და ადამიანური თავმომწონეობა. მის წინ სარკეში კაშკაშებდა სახე გიზოსი, რომელსაც იგი ყოველთვის შურით უცქეროდა, რომელიც მას ყოველთვის მოწაფესავით ექცეოდა, — სახე თვით გიზოსი, მაგრამ ოდილონის ოლიმპიუ-

რი შუბლის მქონე გიზოსი. მხოლოდ ესაა, რომ იგი ვერ ამჩნევდა თავის თავზე მიდასის ყურებს [1].

24 თებერვლის ბარო მხოლოდ 20 დეკემბრის ბაროთი გამოაშკარავდა. მას ლეგიტიმისტს და ვოლტერიანელს, შეუერთდა კულტის მინისტრის სახით ლეგიტიმისტი და იეზუიტი ფალუ.

რამდენიმე დღის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრობა მისცეს მალთუზიანელ ლეონ ფოშეს. სამართალი, რელიგია, პოლიტიკური ეკონომია! ყველაფერი ეს იყო ბაროს სამინისტროში; და ამასთან, იქ შეერთებული იყვნენ ლეგიტიმისტები ორლეანისტებთან. აკლდა მხოლოდ ბონაპარტისტი. ბონაპარტი ჯერ კიდევ მალავდა ნაპოლეონად გახდომის სურვილს, რადგან ს უ ლ ა კ ს ჯერ კიდევ არ ეთამაშნა ტუსენ ლუვერტიურის როლი.

«National»-ის პარტია მაშინვე გამორეკეს ყველა უმაღლეს ადგილებიდან, სადაც მან მოკალათება მოასწრო. პოლიციის პრეფექტურა, ფოსტის დირექცია, გენერალური პროკურორის თანამდებობა, პარიზის მერია, — ყველა ეს მონარქიის კაცებს ერგო. ლეგიტიმისტი შანგარნიე გახდა სენის დეპარტამენტის ნაციონალური გვარდიის, მოძრავი გვარდიის და პირველი სამხედრო დივიზიის რეგულარული ჯარების საერთო მთავარსარდალი; ორლეანისტი ბიუჟო დანიშნულ იქნა ალპების არმიის მთავარსარდლად. მოხელეების ეს ცვლა ბაროს მინისტრობის დროს შეუწყვეტლივ გრძელდებოდა. მისი სამინისტროს პირველ საქმეს შეადგენდა ძველი როიალისტური ადმინისტრაციის რესტავრაცია. ერთ წამში გარდაიქმნა მთელი ოფიციალური სცენა: კულისები, ტანსაცმელი, ენა, აქტიორები, ფიგურანტები, სტატისტები, სუფლიორები, პარტიების პოზიცია, დრამის მამოძრავებელი ძალები, შეჯახების შინაარსი, მთელი გარემოება. მხოლოდ ქვეყნის გაჩენამდე წარმოშობილი დამფუძნებელი კრება იდგა კიდევ თავის ადგილას. მაგრამ იმ მომენტიდან, როდესაც დამფუძნებელმა კრებამ დასვა თანამდებობაზე ბონაპარტი, ბონაპარტმა — ბარო, ბარომ — შანგარნიე, საფრანგეთი უკვე შევიდა რესპუბლიკის დაფუძნების პერიოდიდან დაფუძნებული რესპუბლიკის პერიოდში. და რაღა საჭირო იყო ეს დამფუძნებელი კრება უკვე დაფუძნებულ რესპუბლიკაში? როცა დედამიწის შექმნა გათავდა, მის შემქმნელს სხვა აღარა დარჩა რა გარდა იმისა, რომ ცაში გაქ-

[1] მ ი დ ა ს ი — ლეგენდარული ფრიგიელი მეფე. ძველი გადმოცემის მიხედვით, პანთან აპოლონის მუსიკალური შეჯიბრის დროს, მიდასმა უპირატესობა პანს მიაკუთვნა, რისთვისაც განრისხებულმა აპოლონმა მას ვირის ყურები გამოაბა (აქედან: «მიდასის ყურები»). რ ე დ.

ცეულიყო. დამფუძნებელმა კრებამ მტკიცედ გადაწყვიტა მის მაგალითს არ მიჰყოლოდა. ეროვნული კრება იყო ბურჟუაზიული რესპუბლიკელების პარტიის უკანასკნელი თავშესაფარი. მას წაართვეს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, მაგრამ განა ხელში არ შერჩა დამფუძნებელი ძალაუფლების ყოვლის შემძლებლობა? კრების პირველი აზრი ის იყო, რომ ყოველ გარემოებაში თავისი სუვერენული პოსტი შეენარჩუნებინა და მისი შემწეობით დაკარგული პოზიციები კვლავ დაებრუნებინა. საკმარისია მხოლოდ ბაროს სამინისტროს ჩამოგდება და მის ადგილას «National»-ის სამინისტროს დაყენება, და მაშინ როიალისტური მოხელეები იძულებული იქნებიან დაუყოვნებლივ დაცალონ დაწესებულებების ადგილები და სამფეროვანი პერსონალი ტრიუმფით დაბრუნდება უკან. ეროვნულმა კრებამ გადაწყვიტა სამინისტროს დამხობა, და სამინისტრომაც თვითონ მისცა თავდასხმისათვის ისეთი შემთხვევა, რომლის უკეთესს დამფუძნებელი კრება ვერც კი გამოიგონებდა.

გავიხსენოთ, რომ ლუი ბონაპარტის გაბატონება გლეხებისათვის ნიშნავდა გადასახადების მოსპობას. ექვს დღეს იჯდა იგი პრეზიდენტის სავარძელში, ხოლო მეშვიდე დღეს, 27 დეკემბერს, მისმა სამინისტრომ წინადადება შეიტანა, აღდგენილი ყოფილიყო გადასახადი მარილზე, რომელიც დროებითი მთავრობის დეკრეტით გაუქმებულ იქნა. მარილის გადასახადი ღვინის გადასახადთან ერთად იყოფს იმ პრივილეგიას, რომ ის საფრანგეთის ძველი საფინანსო სისტემის განტევების ვერძად არის მიჩნეული, განსაკუთრებით სოფლის ხალხის თვალში. გლეხების მიერ არჩეულთ ბაროს სამინისტრო ვერ უკარნახებდა უფრო მწვავე ეპიგრამას მის ამომრჩეველთა მიმართ, ვიდრე სიტყვებს: მარილის გადასახადის აღდგენა. მარილის გადასახადით ნაპოლეონმა დაჰკარგა თავისი რევოლუციური მარილი, — გლეხთა აჯანყების ნაპოლეონი განიფანტა როგორც ნისლოვანი მოჩვენება, დარჩა მხოლოდ როიალისტური ბურჟუაზიის ინტრიგის გამოუცნობელი ფიგურა. უგანზრახვოდ როდი აქცია ბაროს სამინისტრომ ილუზიების ეს უტაქტო, უხეში გაქარწყლვა, პრეზიდენტის პირველ მთავრობის აქტად.

თავის მხრივ, კონსტიტუანტამ სიხარულით ჩასჭიდა ხელი ამ ორმაგ შესაძლებლობას: დაემხო სამინისტრო და გლეხების ინტერესების დამცველად გამოსულიყო გლეხობის მიერ არჩეულის წინააღმდეგ. მან უარყო ფინანსთა მინისტრის წინადადება, შეამცირა მარილის გადასახადი წინანდელი თანხის ერთ მესამედამდე, ამგვარად 60 მილიონით გაადიდა სახელმწიფოს 560-მილიონიანი დეფი-

ციტი და უ ნ დ ო ბ ლ ო ბ ი ს ამ ვ ო ტ უ მ ი ს შემდეგ გულმშვიდად ელოდა სამინისტროს გადადგომას. აი, რა ნაკლებ გაეგებოდა მას ის ახალი ქვეყანა, რომელიც მას გარს ეკრა და თავისი საკუთარი შეცვლილი მდგომარეობაც. სამინისტროს უკან იდგა პრეზიდენტი, პრეზიდენტის უკან — ექვსი მილიონი ამომრჩეველი, რომელთაგან თვითეულმა უნდობლობის ვოტუმი ჩაუდვა კონსტიტუანტას საარჩევნო ყუთში. კონსტიტუანტამ მოახდინა ნაციასთან უნდობლობის ვოტუმის გაცვლა-გამოცვლა. სასაცილო გაცვლა-გამოცვლა! კონსტიტუანტას დაავიწყდა, რომ მის ვოტუმებს დაეკარგა იძულებითი კურსი. მარილის გადასახადის უარყოფით მან მხოლოდ განამტკიცა ბონაპარტის და მისი სამინისტროს გადაწყვეტილება — «ბ ო ლ ო მ ო ე ღ ო თ» დამფუძნებელი კრებისთვის. დაიწყო ხანგრძლივი ორთაბრძოლა, რომლითაც აღივსო კონსტიტუანტას არსებობის უკანასკნელი ნახევარი. 29 ი ა ნ ვ ა რ ი, 21 მარტი, 8 მაისი ამ კრიზისის დიდი დღეები იყო — 13 ივნისის წინამორბედი.

ფრანგები — მაგალითად, ლუი ბლანი — 29 იანვარში ხედავდნენ კონსტიტუციური წინააღმდეგობის გამოვლინებას, სუვერენულ, გადაუყენებელ საყოველთაო საარჩევნო უფლების გზით წარმოშობილ ეროვნულ კრებასა და პრეზიდენტს შორის, რომელიც ქაღალდზე პასუხისმგებელი იყო კრების წინაშე, მაგრამ რომელსაც სინამდვილეში, ისე როგორც ეროვნულ კრებას, საყოველთაო ხმის მიცემის გზით ჰქონდა მიღებული სანქცია, — და ამაზე მეტიც. იგი თავის პიროვნებაში აერთიანებდა ყველა ხმას, რომლებიც კრების ცალკეულ წევრებს შორის იყო განაწილებული და ასმაგად დაქსაქსული; ამასთან პრეზიდენტის განკარგულებაში იყო მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელზედაც ეროვნული კრება მხოლოდ მორალური ძალის სახით ნავარდობს. 29 იანვრის მოვლენების ეს განმარტება ერთმანეთში ურევს ბრძოლის ენას პარლამენტში, პრესაში, კლუბებში და მის ნამდვილ შინაარსს. ლუი ბონაპარტი და დამფუძნებელი ნაციონალური კრება სრულიადაც არ წარმოადგენდნენ ერთი და იმავე კონსტიტუციური ხელისუფლების ცალკეულ, დაპირისპირებულ, ცალმხრივ ორგანოებს. ბონაპარტი არ იყო აღმასრულებელი ძალა დაპირისპირებული საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი. ბონაპარტი — ეს იყო თვით უკვე დამყარებული ბურჟუაზიული რესპუბლიკა, დაპირისპირებული მისი დამფუძნებელი იარაღების მიმართ, დაპირისპირებული ბურჟუაზიის რევოლუციური ფრაქციის პატივმოყვარული ინტრიგებისა და იდეოლოგიური მოთხოვნების მიმართ, ფრაქციის, რომელმაც დააფუძნა რესპუბლიკა და

ახლა, თავისდა გასაოცებლად, დაინახა, რომ მის მიერ დაფუძნებული რესპუბლიკა ისე გამოიცქირება, როგორც აღდგენილი მონარქია, და რომელიც ახლა მოითხოვდა დაფუძნების პერიოდი მისი განსაკუთრებული პირობებით, მისი ილუზიებით, მისი ენით და პერსონაჟებით ძალად გაეგრძელებინა და ხელი შეეშალა უკვე მომწიფებული ბურჟუაზიული რესპუბლიკისთვის, რათა იგი თავისი სავსებით დასრულებული და დამახასიათებელი სახით წარმომდგარიყო. როგორც დამფუძნებელი კრება იყო მის წრეში ხელახლა ჩავარდნილი კავენიაკის წარმომადგენელი, ისევე ბონაპარტი გამოდიოდა მისგან ჯერ კიდევ განუცალკევებელ საკანონმდებლო ეროვნული კრების, ე. ი. დაფუძნებული ბურჟუაზიული რესპუბლიკის ეროვნული კრების წარმომადგენლად.

ბონაპარტის არჩევა შეიძლებოდა ახსნილ-განმარტებული ყოფილიყო მას შემდეგ, როდესაც ე რ თ ი სახელის ადგილას მის მრავალაზროვან მნიშვნელობას დააყენებდნენ, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ეს არჩევა ახალი ეროვნული კრების არჩევნებში განმეორდებოდა. ძველი კრების მანდატი გაუქმდა 10 დეკემბერს. ამგვარად, 29 იანვარს ერთი მეორეს შეეტაკა არა ე რ თ ი დ ა ი მ ა ვ ე რესპუბლიკის პრეზიდენტი და ეროვნული კრება, არამედ ერთის მხრივ, დაფუძნების პროცესში მყოფი რესპუბლიკის ეროვნული კრება და მეორეს მხრივ, დამყარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი, ორი ხელისუფლება, რომელნიც რესპუბლიკის სასიცოცხლო პროცესის ორ სრულიად სხვადასხვა პერიოდს განასახიერებდნენ; ერთ ბანაკში იყო ბურჟუაზიის პატარა რესპუბლიკური ფრაქცია, —მხოლოდ მას შეეძლო რესპუბლიკის გამოცხადება, ქუჩაში ბრძოლისა და ტერორის გზით მისი გამოგლეჯა რევოლუციური პროლეტარიატის ხელიდან და კონსტიტუციისთვის თავისი შეხედულების ძირითადი ნიშნების მიცემა; მეორე ბანაკში იყო ბურჟუაზიის მთელი როიალისტური მასა, — მხოლოდ მას შეეძლო გაბატონებულიყო ამ უკვე განხორციელებულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, ჩამოეცალა კონსტიტუციისთვის მისი იდეოლოგიური სამოსელი და თავისი კანონმდებლობისა და თავისი ადმინისტრაციის დახმარებით სინამდვილეში განეხორციელებინა აუცილებელი პირობები პროლეტარიატის დასამონებლად.

ჰექა-ქუხილი, რომელმაც 29 იანვარს იგრიალა, მთელი იანვრის თვის განმავლობაში მზადდებოდა. კონსტიტუანტას სურდა თავისი უნდობლობის ვოტუმით აეძულებინა ბაროს სამინისტრო, რათა იგი გადამდგარიყო. ამის საპასუხოდ ბაროს სამინისტრომ, თავის მხრივ, წინადადება მისცა დამფუძნებელ კრებას — თვით თავისთვის გამო-

ეცხადებინა უნდობლობის საბოლოო ვოტუმი, დაედგინა თავისი თვითმკვლელობა, დეკრეტი გამოეცა თ ა ვ ი ს დ ა თ ხ ო ვ ნ ი ს შ ე-სახებ. სამინისტროს ბრძანებით, რატომ, ერთმა ყოვლად უმნიშვნელო დეპუტატმა, 6 იანვარს ეს წინადადება შეიტანა კონსტიტუანტაში, სწორედ იმ კონსტიტუანტაში, რომელმაც უკვე აგვისტოში დაადგინა არ დაშლილიყო, ვიდრე მთელ რიგ ორგანიულ კონსტიტუციის შემავსებელ კანონებს არ გამოცემდა. სამინისტროს მომხრე ფულდმა პირდაპირ განუცხადა მას, რომ მისი დათხოვნა აუცილებელია «შ ე რ ყ ე უ ლ ი კ რ ე დ ი ტ ი ს ა ღ ს ა დ გ ე ნ ა დ». და მართლაც, განა იგი არ აფერხებდა კრედიტს მით, რომ აჭიანურებდა დროებით მდგომარეობას, კვლავ კითხვის ქვეშ აყენებდა ბაროს სახით ბონაპარტს, და ბონაპარტის სახით — უკვე დაფუძნებულ რესპუბლიკას? ბარო, ოლიმპიელი ბარო გაშმაგებულ ორლანდოდ გადაიქცა იმ პერსპექტივის გამო, რომ მას ისევ ხელიდან წაუვიდოდა პრემიერ-მინისტრის პორტფელი, რომელიც მან როგორც იყო ჩაიგდო ხელში და ჯერ ორი-სამი კვირაც კი არ ეგემნა ის პორტფელი, რომლის მიღებას რესპუბლიკელებმა ერთხელ მთელი «დეცენიუმი», ე. ი. ათი თვე ალოდინეს. და აი, იმ მტარვალობაში, რომლითაც იგი ეპყრობოდა ამ ბეჩავ კრებას, ბარომ გადააჭარბა ყველა მტარვალს. მისი ურბილესი სიტყვები ასეთი იყო: «მასთან შეუძლებელია რაიმე მომავალიო». მართლაც და, კრება ახლა მხოლოდღა წარსულის წარმომადგენელი იყო. «მას უნარი არ შესწევს, — ირონიულად დასძინა ბარომ, — შემოსოს რესპუბლიკა მის განსამტკიცებლად საჭირო დაწესებულებებითო». და მართლაც! პროლეტარიატის წინააღმდეგ მის განსაკუთრებულ ანტაგონიზმთან ერთად გატყდა კრების ბურჟუაზიული ენერგია, ხოლო როიალისტების წინააღმდეგ ანტაგონიზმთან ერთად ისევ გაცხოველდა მისი რესპუბლიკური პათოსი. ამრიგად, იგი ორმაგად უნარმოკლებული იყო განემტკიცებინა სათანადო დაწესებულებებით ბურჟუაზიული რესპუბლიკა, რომლისაც მას აღარა გაეგებოდა რა.

რატოს წინადადებასთან ერთად სამინისტრომ ისიც მოაწყო, რომ მთელს ქვეყანაში პ ე ტ ი ც ი ე ბ ი ს გ რ ი გ ა ლ ი გამოიწვია; ყოველდღე საფრანგეთის ყველა კუთხიდან კონსტიტუანტას თავს აყრიდნენ გროვა-გროვა **billets-doux** [1], რომლებშიაც მას მეტნაკლებ კატეგორიულად წინადადებას აძლევდნენ დ ა შ ლ ი ლ ი ყ ო და ანდერძი

[1] სატრფიალო ბარათებს. რ ე დ.

შეედგინა. კონსტიტუანტამ, თავის მხრივ, კონტრპეტიციები გამოიწვია, რომლებშიაც მას თხოვდნენ ცოცხალი იყავიო. საარჩევნო ბრძოლა ნაპოლეონსა და კავენიაკს შორის განახლდა პეტიციური ბრძოლის სახით ეროვნული კრების დაშლისათვის და მისი დაშლის წინაალმდეგ. პეტიციები შეიქნა 10 დეკემბრის დამატებით კომენტარები. ეს აგიტაცია მთელი იანვრის განმავლობაში გრძელდებოდა.

კონსტიტუანტას და პრეზიდენტს შორის ჩამოვარდნილ კონფლიქტში, კონსტიტუციას არ შეეძლო დაყრდნობოდა იმას, რომ იგი საყოველთაო საარჩევნო უფლების ნაყოფი არის, ვინაიდან მისი მტრებიც მის წინაალმდეგ, სწორედ ამ საყოველთაო საარჩევნო უფლებას მიმართავდნენ. მას არ შეეძლო დაყრდნობოდა რაიმე რეგულარულ ძალაუფლებას, ვინაიდან საქმე სწორედ კანონიერი ძალაუფლების წინაალმდეგ ბრძოლას შეეხებოდა. მას არ შეეძლო ჩამოეგდო სამინისტრო უნდობლობის ვოტუმებით, როგორც ეს მან სცადა ჯერ კიდევ 6 და 26 იანვარს, იმიტომ რომ სამინისტრო არც მოითხოვდა მის ნდობას. მას ერთი შესაძლებლობაღა დარჩა: აჯანყება. აჯანყების საბრძოლო ძალას შეადგენდნენ ნაციონალური გვარდიის რესპუბლიკური ნაწილები, მოძრავი გვარდია და რევოლუციური პროლეტარიატის ცენტრები — კლუბები. მოძრავი გვარდიელები, ივნისის დღეების გმირები, დეკემბერში რესპუბლიკური ბურჟუაზიული ფრაქციების ორგანიზებულ საბრძოლო ძალას შეადგენდნენ ისევე, როგორც ეროვნული სახელოსნოები შეადგენდნენ რევოლუციური პროლეტარიატის ორგანიზებულ საბრძოლო ძალას. როგორც კონსტიტუანტის აღმასრულებელი კომისია, როცა მან გადაწყვიტა ბოლო მოეღო პროლეტარიატის აუტანელი მოთხოვნებისათვის, უხეშად დაესხა თავს ეროვნულ სახელოსნოებს, ისევე ბონაპარტის სამინისტრომ შეუტია მოძრავ გვარდიას, როდესაც გადაწყვიტა ბოლო მოეღო ბურჟუაზიის რესპუბლიკური ფრაქციების აუტანელი მოთხოვნებისათვის. მან დაადგინა მოძრავი გვარდიის დაშლა, ამ გვარდიის ერთი ნახევარი სულ დაითხოვეს და ქუჩაში გაჰყარეს, მეორე ნახევარს ახალი, მოწარჩეული ორგანიზაცია მისცეს დემოკრატიულის ნაცვლად, და მათი ჯამაგირიც რეგულარული ჯარის ჩვეულებრივი ჯამაგირის დონეზე დაიყვანეს. მოძრავმა გვარდიამ იმ მდგომარეობაში ამოჰყო თავი, როგორშიც იყვნენ ივნისის მეამბოხენი, და გაზეთებში ყოველდღე იბეჭდებოდა მათი საჯარო მონანიების წერილები, სადაც ისინი აღიარებდნენ თავის ივნისის დანაშაულს და პროლეტარიატს პატიებას ემუდარებოდნენ.

ხოლო კ ლ უ ბ ე ბ ი? იმ მომენტიდან, როდესაც დამფუძნებელმა კრებამ ბაროს სახით კითხვის ქვეშ დააყენა პრეზიდენტი, პრეზიდენტის სახით — დაფუძნებელი ბურჟუაზიული რესპუბლიკა, ხოლო მისი სახით — საზოგადოდ ბურჟუაზიული რესპუბლიკა, — ამ მომენტიდან აუცილებლობის გზით დამფუძნებელი კრების ირგვლივ შემოიკრიბნენ თებერვლის რესპუბლიკის ყველა დამფუძნებელი ელემენტები, ყველა ის პარტიები, რომელთაც სურდათ არსებული რესპუბლიკის დამხობა და ძალდატანებით მისი დაბრუნება წინანდელ მდგომარეობაში, მისი გადაქცევა მათი კლასობრივი ინტერესების და პრინციპების გამომსახველ რესპუბლიკად. ის, რაც მოხდა, წარიშალა ცხოვრებიდან; ის, რაც რევოლუციური მოძრაობის სხვადასხვა ელემენტებიდან ჩამოყალიბდა, კვლავ გაიხსნა. კვლავ გაჩაღდა ბრძოლა თებერვლის დღეების გაურკვეველი რესპუბლიკისათვის, რომელიც ყოველ პარტიას თავისებურად ესმოდა. ერთ წუთს პარტიებმა ისევ დაიკავეს თავიანთი ძველი, თებერვლის დროინდელი პოზიციები, მაგრამ თებერვლის ილუზიების განუზიარებლად. «**National**»-ის სამფეროვანი რესპუბლიკელები ისევ დაეყრდნენ «**Réform**»-ის დემოკრატიულ რესპუბლიკელებს, ისევ უბიძგებდნენ მათ გასულიყვნენ საპარლამენტო ბრძოლის ავანსცენაზე. დემოკრატიული რესპუბლიკელები ისევ დაეყრდნენ სოციალისტურ რესპუბლიკელებს (27 იანვარს საჯარო მანიფესტმა გამოაცხადა მათი შერიგება და გაერთიანება) და კლუბებში შეუდგნენ აჯანყებისათვის ნიადაგის მომზადებას. სამინისტროს პრესამ სამართლიანად მიიჩნია «**National**»-ის სამფეროვანი რესპუბლიკელები მკვდრეთით აღმდგარ ივნისის მეამბოხეებად. რათა ბურჟუაზიულ რესპუბლიკის სათავეში დარჩენილიყვნენ, მათ კითხვის ქვეშ დააყენეს თვით ბურჟუაზიული რესპუბლიკა. 26 იანვარს მინისტრმა ფოშემ კავშირების უფლების შესახებ კანონპროექტი წარადგინა, რომლის პირველი პარაგრაფი ამბობდა: «კ ლ უ ბ ე ბ ი ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი ა». ფოშემ წინადადება შეიტანა დაუყოვნებლივ განეხილათ ეს კანონპროექტი, როგორც გადაუდებელი. კონსტიტუანტამ უარჰყო წინადადება გადაუდებლობის შესახებ, ხოლო 27 იანვარს ლედრიუ-როლენმა შეიტანა 230 დეპუტატის მიერ ხელმოწერილი წინადადება კონსტიტუციის დარღვევისათვის სამინისტროს სამართალში მიცემის შესახებ. სამინისტროს მიცემა სამართალში იმ მომენტში, როდესაც ეს ნიშნავდა ან მოსაგმართლეთა, ე. ი. პალატის უმრავლესობის, უძლურების უტაქტო გამომჟღავნებას, ანდა ბრალმდებლის უძლურ პროტესტს თვით უმრავლესობის წინააღმდეგ, — აი ის დიდი რევოლუციური თულფი,

რომელსაც ამიერიდან ეს ნაბოლარა მთა ყოველთვის ჩამოდის, როდესაც კრიზისი უმაღლეს წერტილს აღწევს. საწყალი მთა, თავისი საკუთარი სახელის სიმძიმის ქვეშ ისრისება!

ბლანკი, ბარბესი, რასპაილი და სხვები შეეცადნენ გაერეკათ დამფუძნებელი კრება 15 მაისს, როდესაც ისინი, პარიზის პროლეტარიატის სათავეში მდგომნი ამ კრების სხდომის დარბაზში შეიჭრნენ. ბარო იმავე კრებას უმზადებდა 15 მაისის მორალურ გამეორებას იმით, რომ განზრახული ჰქონდა კრებისათვის მისი თვითდაშლა ეკარნახა, მისი სხდომის დარბაზი დაეკეტნა. ამავე კრებამ მიანდო ბაროს მაისის ამბების დამნაშავეთა წინააღმდეგ გამოძიების დაწყება; ახლა კი, იმ მომენტში, როდესაც ბარო როიალისტური ბლანკის როლს ასრულებს კრების მიმართ, და კრება მის წინააღმდეგ მოკავშირეებს კლუბებში, რევოლუციურ პროლეტარიატში, ბლანკის პარტიაში ეძებს, — ახლა შეუბრალებელმა ბარომ კრების ტანჯვა დაიწყო თავისი წინადადებით იმის შესახებ, რომ მაისის პატიმართა საქმე ნაფიც მსაჯულთა იურისდიქციიდან იქნეს ამოღებული და «National»-ის პარტიის მიერ გამოგონილ უმაღლეს სასამართლოს — «haute-coru»-ის გადაეცესო. საკვირველია, როგორ გამოაგონებია მინისტრის პორტფელის დაკარგვის შიშმა ბაროს გონებას ისეთი მახვილგონიერების მარგალიტები, რომლებიც პირდაპირ ბომარშეს ღირსია! დიდხანს ყოყმანის შემდეგ კრებამ მიიღო მისი წინადადება. დამფუძნებელი კრების დამოკიდებულებამ მაისის მეამბოხეების მიმართ კვლავ მიიღო თავისი ნორმალური ხასიათი.

თუ პრეზიდენტი და მინისტრები აიძულებდნენ კონსტიტუანტას დამდგარიყო აჯანყების გზაზე, თავის მხრივ კონსტიტუანტაც აიძულებდა პრეზიდენტსა და მინისტრებს დამდგარიყვნენ სახელმწიფო გადატრიალების გზაზე, რადგან მათ არავითარი კანონიერი საშუალება არ გააჩნდათ მის დასათხოვნად. მაგრამ დამფუძნებელი კრება დედა იყო კონსტიტუციის, ხოლო კონსტიტუცია — დედა პრეზიდენტისა. სახელმწიფო გადატრიალების გზით პრეზიდენტი აუქმებდა კონსტიტუციას და მასთან ერთად თავის რესპუბლიკურ უფლებრივ საფუძველსაც. მაშინ, იგი იძულებული იქნებოდა წინ წამოეყენებინა თავისი საიმპერატორო უფლება; მაგრამ საიმპერატორო უფლება თავს წამოაყოფინებდა ორლეანისტურ უფლებას, ხოლო ორივე ეს უფლება იჩრდილებოდა ლეგიტიმისტური უფლების წინაშე. კანონიერი რესპუბლიკის დაცემას შეეძლო გამოეწვია მხოლოდ მისი უკიდურესი ანტიპოდის, ლეგიტიმისტური მონარქიის

აღდგენა, რადგან ამ მომენტში ორლეანისტები მხოლოდ თებერვლის დღეების დამარცხებულებს წარმოადგენდნენ, ხოლო ბონაპარტი ჯერ-ჯერობით მხოლოდ 10 დეკემბრის გამარჯვებული იყო და ორთავეს შეეძლოთ რესპუბლიკური უზურპაციისთვის დაეპირისპირებინათ მხოლოდ თავისი, აგრეთვე, მონარქიისაგან უზურპაციით მოპოვებული უფლება. ლეგიტიმისტები გრძნობდნენ, რომ გარეგმოება მათ ხელს უწყობდა, და აშკარად აწყობდნენ შეთქმულებას. მათ შეეძლოთ იმედი ჰქონებოდათ, რომ გენერალ შანგარნიეს სახით თავიანთ მონკს [1] იპოვნიდენ. თ ე თ რ ი მ ო ნ ა რ ქ ი ი ს მოახლოებას ისევე დაუფარავად აცხადებდნენ მათ კლუბებში, როგორც პროლეტარების კლუბებში — წ ი თ ე ლ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს მოახლოებას.

წარმატებით ჩაქრობილი აჯანყება ყველა დაბრკოლებისგან დააღწევინებდა თავს სამინისტროს. «კანონიერება ჩვენ გვღუპავს!» წამოიძახა ოდილონ ბარომ. აჯანყება საშუალებას მისცემდა საზოგადოებრივ ხსნის საბაბით კონსტიტუანტა დაეთხოვათ და კონსტიტუცია კონსტიტუციისათვისვე დაერღვიათ. ოდილონ ბაროს უხეშ გამოსვლას ეროვნულ კრებაში, წინადადებას კლუბების დახურვის შესახებ, 50 სამფეროვანი პრეფექტის დათხოვნას, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია და მათ ადგილას როიალისტების დანიშვნას, მოძრავი გვარდიის დათხოვნას, შანგარნიეს მიერ ამ გვარდიის უფროსების აბუჩად აგდებას, კათედრის დაბრუნებას პროფესორ ლერმინიესთვის, რომელიც აუტანელი გახდა ჯერ კიდევ გიზოს დროს, ლეგიტიმისტების თავხედობის მოთმენას — ყველა ამას აჯანყების გამოწვევა ჰქონდა მიზნად. მაგრამ აჯანყება სდუმდა. იგი ელოდა სიგნალს კონსტიტუანტისაგან და არა სამინისტროსაგან.

დაბოლოს, დადგა 29 იანვარი, ის დღე, როდესაც უნდა განხილულიყო მატიე დე ლა დრიმის წინადადება რატოს წინადადების უეჭველი უარყოფის შესახებ. ლეგიტიმისტები, ორლეანისტები, ბონაპარტისტები, მოძრავი გვარდია, მთა, კლუბები, — ყველა ფარულად მოქმედებდნენ ამ დღეს, ფარულად მოქმედებდნენ, როგორც თავისი მოჩვენებითი მტრის წინააღმდეგ, ისე თავისი მოჩვენებითი მოკავშირის წინააღმდეგაც. ბონაპარტი, ცხენზე შემჯდარი, ჯარების ნაწილის აღლუმს აწარმოებდა თანხმობის მოედანზე, შანგარნიე აქტიორობდა და ეფექტურ სტრატეგიულ მანევრებს აკეთებდა. კონსტი-

[1] აქ გადაკერით ლაპარაკია ინგლისელ გენერალ მონკის შესახებ, რომელმაც მისდამი დაქვემდებარებული ჯარები 1660 წ. სტიუარტთა **დინასტიის** რესტავრაციისათვის გამოიყენა. რ ე დ.

ტუანტას თავისი სხდომების დარბაზი ჯარების მიერ დაკავებული დახვდა. დამფუძნებელი კრება, ეს ცენტრი ყოველგვარი ჯვარედინი ომების, შიშის, მოლოდინის, ღელვის, დაძაბულობის, შეთქმულების, ეს ლომგული კრება ერთ წამს არ შეყოყმანებულა ამ მისთვის ყველაზე უფრო სერიოზულ მსოფლიო-ისტორიულ მომენტში. იგი იმ მეომარივით მოიქცა, რომელსაც არა თუ თავისი საკუთარი იარაღის ხმარების ეშინოდა, არამედ თავს მოვალედ თვლიდა მოწინააღმდეგის იარაღიც ხელუხლებლად დაეტოვებინა. სიკვდილისადმი ზიზღით მოაწერა მან ხელი თავის საკუთარ სიკვდილის განაჩენს და უკუაგდო რატოს წინადადების უსათუო უარყოფა. საალყო მდგომარეობაში მოქცეულმა, მან მიჯნა დაუდო თავის დამფუძნებელობითს მოღვაწეობას, რომლის აუცილებელ ჩარჩოს პარიზის საალყო მდგომარეობა შეადგენდა. კონსტიტუანტას შურისძიებაც სავსებით მისი შესაფერი იყო; მეორე დღეს მან გამოძიება დანიშნა იმ შიშის გამო, რომელიც მას 29 მაისს აგემა სამინისტრომ. მთამ გამოამჟღავნა რევოლუციური ენერგიისა და პოლიტიკური საზრიანობის უქონლობა, ვინაიდან ნება მისცა «National»-ის პარტიას იგი ინტრიგების ამ დიდ კომედიაში მესაყვირედ გამოეყენებინა. «National»-ის პარტია უკანასკნელად შეეცადა შეენარჩუნებინა უკვე დამყარებულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაშიც ხელისუფლების ის მონოპოლია, რომელიც მას რესპუბლიკის წარმოშობის პერიოდში ჰქონდა. მან დამარცხება განიცადა.

თუ იანვრის კრიზისის დროს საქმე კონსტიტუანტის არსებობას შეეხებოდა, 21 მარტის კრიზისის დროს საკითხი შეეხებოდა კონსტიტუციის არსებობას; პირველ შემთხვევაში საქმე შეეხებოდა «National»-ის პარტიის პერსონალს, მეორეში — მის იდეალს. თავისთავად გასაგებია, რომ «პატიოსანმა» რესპუბლიკელებმა უფრო ადვილად დათმეს თავიანთი მაღალი იდეოლოგიური პრინციპები, ვიდრე მთავრობის ძალაუფლების მიწიერი ხელთპყრობა.

21 მარტს ეროვნული კრების დღის წესრიგში იდგა ფოშეს კანონპროექტი, რომელიც კავშირების უფლების წინააღმდეგ იყო მიმართული: კლუბების გაუქმება. კონსტიტუციის მე-8 მუხლი ყველა ფრანგს აძლევს კავშირებში გაერთიანების უფლების გარანტიას. მაშასადამე, კლუბების აკრძალვა კონსტიტუციის აშკარა დარღვევას ნიშნავდა, და კონსტიტუანტას თვითონ უნდა მიეცა სანქცია თავის წმინდანის წაბილწვისთვის. მაგრამ კლუბები ხომ რევოლუციური პროლეტარიატის თავშესაკრებ პუნქტებს, მისი კონსპირაციის ადგილებს შეადგენდნენ. თვითონ ეროვნულმა კრებამ აკრძალ-

მუშების კოალიციები მათი ბურჟუების წინააღმდეგ. და რა იყო ეს კლუბები, თუ არ მთელი მუშათა კლასის კოალიცია მთელი ბურჟუაზიული კლასის წინააღმდეგ, თუ არ მუშათა განსაკუთრებული სახელმწიფოს ორგანიზაცია ბურჟუაზიული სახელმწიფოს წინააღმდეგ? განა ეს კლუბები, პროლეტარიატის დამფუძნებელი კრებები, საბრძოლველად გამზადებული აჯანყების არმიის რაზმები არ იყო? კონსტიტუციას პირველ ყოვლისა ბურჟუაზიის ბატონობა უნდა დაემყარებინა; ცხადია, ამრიგად, რომ კავშირების უფლებით იგი გულისხმობდა მხოლოდ ისეთ კავშირებს, რომლებიც შესათავსებელია ბურჟუაზიის ბატონობასთან, ე. ი. ბურჟუაზიულ წყობილებასთან. თუ კონსტიტუცია თეორიული მორიდების გამო ზოგად ფორმულას ხმარობდა, — განა იქვე არ იყო მთავრობა და ეროვნული კრება, რათა განემარტათ იგი და გამოეყენებინათ ცალკეულ შემთხვევებში? და თუ რესპუბლიკის პირველყოფილ პერიოდში კლუბები ფაქტიურად აკრძალული იყო საალყო მდგომარეობის გამო, ნუთუ არ შეიძლებოდა მათი აკრძალვა კანონიერ საფუძველზე, მოწესრიგებულ, დამყარებულ რესპუბლიკაში? სამფეროვანი რესპუბლიკელები კონსტიტუციის ასეთი პროზაული განმარტების წინააღმდეგ, კონსტიტუციის მაღალფარდოვანი ფრაზის მეტს ვერას იტყოდნენ. ერთმა ნაწილმა — პანიერმა, დიუკლერმა და სხვებმა — ხმა მისცა სამინისტროს და, ამგვარად, მოუპოვა მას უმრავლესობა. მეორე ნაწილი, მთავარანგელოზ კავენიაკის და ეკლესიის მამის მარასტის მეთაურობით, კლუბების აკრძალვის შესახებ მუხლის მიღების შემდეგ, გავიდა ლედრიუ-როლენისა და მთის თანხლებით ერთ-ერთ კომისიის დარბაზში და — «ბჭობა გამართა». — ამან ეროვნულ კრებას დამბლა დასცა, მას უკვე აღარ ჰყავდა კანონით დადგენილი დეპუტატთა რიცხვი, ურომლისოდ არ შეიძლებოდა არავითარი გადაწყვეტილების მიღება. სწორედ დროზე მოაგონდა ბ-ნ კრემიეს კომისიის დარბაზში, რომ აქედან გზა პირდაპირ ქუჩისაკენ მიდიოდა და რომ ახლა 1848 წლის თებერვალი კი არა, 1849 წლის მარტი იყო. «National»-ის პარტიას უცებ თვალი აეხილა, იგი ეროვნული კრების სხდომის დარბაზში დაბრუნდა და მის უკან — ხელახლა გაპამპულებული მთაც; ამ უკანასკნელს მუდამ ტანჯავდა რევოლუციური სურვილები, მაგრამ ასევე დაბეჯითებით იგი მუდამ კონსტიტუციურ გამოსავალს ეძებდა; და მაინც იგი უფრო თავის ადგილზე გრძნობდა თავს ბურჟუაზიული რესპუბლიკელების ზურგს უკან, ვიდრე რევოლუციური პროლეტარიატის წინ. ასე გათამაშდა ეს კომედია. თვითონ კონსტიტუან-

ტამ დაადგინა, რომ კონსტიტუციის ტექსტის დარღვევა წარმოადგენს მის ერთადერთ სწორ განმარტებას.

მოსაწესრიგებელი დარჩა კიდევ ერთი პუნქტი, — დაფუძნებული რესპუბლიკის დამოკიდებულება ევროპის რევოლუციასთან, მისი საგარეო პოლიტიკა. 1849 წლის 8 მაისს არაჩვეულებრივ აღელვებას ჰქონდა ადგილი დამფუძნებელ კრებაში, რომლის სიცოცხლე სულ რამდენიმე დღეში უნდა დამთავრებულიყო. დღის წესრიგში იდგა საფრანგეთის არმიის თავდასხმა რომზე, მისი უკუგანდევნა რომაელების მიერ, მისი პოლიტიკური თავშერცხვენა და სამხედრო მარცხი, საფრანგეთის რესპუბლიკის მიერ რომის რესპუბლიკის მუხანათური მკვლელობა, — მეორე ბონაპარტის პირველი გალაშქრება იტალიაში. მთა ისევ თავის მთავარ თულფს ჩამოვიდა: ლედრიუ-როლენმა თავმჯდომარეს მაგიდაზე დაუდო უცვლელი საბრალმდებლო ოქმი სამინისტროს წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში კი კონსტიტუციის დარღვევის გამო ბონაპარტის წინააღმდეგაც მიმართული.

8 მაისის მოტივი განმეორდა შემდგომ 13 ივნისის მოტივის სახით. ვნახოთ, რა იყო ეს რომის ექსპედიცია.

კავენიაკმა უკვე 1848 წლის შუა ნოემბერში გაგზავნა სამხედრო ფლოტი ჩივიტა-ვეკიაში, რათა პაპი გემზე დაესვა და საფრანგეთში გადმოეყვანა. პაპს უნდა დაელოცნა «პატიოსანი» რესპუბლიკა და კავენიაკის პრეზიდენტად არჩევა უზრუნველეყო. პაპის საშუალებით კავენიაკს უნდოდა ანკესზე წამოეგო ხუცები, ხუცებთან ერთად — გლეხები და გლეხებთან ერთად — პრეზიდენტობა. კავენიაკის ეს ექსპედიცია, რომელიც მისი უახლოესი მიზნის მიხედვით საარჩევნო რეკლამა იყო, იმავე დროს იყო პროტესტი და მუქარა რომის რევოლუციის წინააღმდეგ. მასში ჩანასახის სახით მოქცეული იყო საფრანგეთის ინტერვენცია პაპის სასარგებლოდ.

ეს პაპის სასარგებლო, ავსტრიასა და ნეაპოლთან კავშირში და რომის რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული ინტერვენცია, გადაწყდა 23 დეკემბერს ბონაპარტის მინისტრთა საბჭოს პირველ სხდომაზე. ფალუ სამინისტროში — ეს ნიშნავდა პაპის ყოფნას რომში და ამასთან—პაპის რომში. ბონაპარტს აღარ ესაჭიროებოდა პაპი, რათა გამხდარიყო გლეხობის პრეზიდენტი, მაგრამ მას ესაჭიროებოდა პაპის ძალაუფლების შენარჩუნება, რათა გლეხობა თავის მხარეზე შეენარჩუნებინა. გლეხების გულუბრყვილობამ გახადა იგი პრეზიდენტად. რწმენასთან ერთად ისინი ჰკარგავდნენ გულუბრყვილობას, ხოლო პაპთან ერთად — რწმენას. რაც შეეხება გაერთიანებულ ორლე-

ანისტებსა და ლეგიტიმისტებს, რომელნიც ბონაპარტის სახელით ბატონობდენ: მეფის აღდგენამდე ხომ იმ ძალის აღდგენა იყო საჭირო, რომელიც კურთხევას აძლევს მეფეებს; მათ როიალიზმს რომ თავი დავანებოთ, — ძველი რომის გარეშე, რომელიც პაპის საერო ხელისუფლებას ემორჩილება, არ არის პაპი, უპაპოდ არ არის კათოლიციზმი, უკათოლიციზმოდ არ არის საფრანგეთის რელიგია, ხოლო ურელიგიოდ რა მოუვიდოდა ძველ საფრანგეთის საზოგადოებას? იპოთეკი, გლეხს რომ აქვს ზეციურ სიკეთეზე, გარანტიაა იმ იპოთეკის, რომელიც ბურჟუას აქვს გლეხის მიწებზე. მაშასადამე, რომის რევოლუცია წარმოადგენდა ისეთივე საშინელი იერიშის მიტანას საკუთრებაზე, ბურჟუაზიულ წყობილებაზე, როგორც ივნისის რევოლუცია. ბურჟუაზიის აღდგენილი ბატონობა საფრანგეთში მოითხოვდა პაპის ძალაუფლების რესტავრაციას რომში. დაბოლოს, რომის რევოლუციონერების სახით მარცხდებოდნენ საფრანგეთის რევოლუციონერების მოკავშირეები; საფრანგეთის დაფუძნებული რესპუბლიკის კონტრრევოლუციური კლასების კავშირი ბუნებრივად შევსებულ იქნა საფრანგეთის რესპუბლიკის კავშირით სამღვთო კავშირთან, ნეაპოლსა და ავსტრიასთან. მინისტრთა საბჭოს 23 დეკემბრის გადაწყვეტილება საიდუმლოებად არ დარჩენილა კონსტიტუანტისათვის. უკვე 8 იანვარს ლედრიუ-როლენმა შეკითხვა მისცა ამის შესახებ სამინისტროს; სამინისტრომ უარი განაცხადა და ეროვნული კრება გადავიდა მორიგ საქმეებზე. სჯეროდა თუ არა მას სამინისტროს სიტყვები? ჩვენ ვიცით, რომ მთელი იანვრის განმავლობაში კრება მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ სამინისტროს უნდობლობის ვოტუმს აძლევდა. მაგრამ, თუ სამინისტროს როლში შედიოდა ტყუილისთქმა, კრების როლშიც შედიოდა რომ მოეჩვენებინა, ვითომ ეს სიცრუე სჯეროდა, და მით გარეგნულად რესპუბლიკური სახელი დაეცვა.

ამასობაში პიემონტი დამარცხდა, კარლოს-ალბერტმა ტახტზე ხელი აიღო, ავსტრიის ჯარი საფრანგეთს კარზე მოადგა; ლედრიუ-როლენმა ფიცხელი შეკითხვა შეიტანა. მაგრამ სამინისტრომ დაამტკიცა, რომ ჩრდილო იტალიაში იგი განაგრძობდა მხოლოდ კავენიაკის პოლიტიკას და რომ კავენიაკი, თავის მხრივ, დროებითი მთავრობის, ე. ი. ლედრიუ-როლენის პოლიტიკას განაგრძობდა. ამჯერად მან ნდობის ვოტუმიც კი მოიხვეჭა ეროვნული კრებისგან და ნებართვა მიიღო დროებით დაეჭირა რომელიმე მოხერხებული პუნქტი ჩრდილო იტალიაში, რათა ავსტრიასთან საზავო მოლაპარაკებას სარდინიის ტერიტორიის დაუყოფლობისა და რომის საკითხის შესა-

ხებ ზურგი გამაგრებული ჰქონოდა. ცნობილია, რომ იტალიის ბედი სწყდება ბრძოლის ველებზე ჩრდილო იტალიაში. ამიტომ ლომბარდიისა და პიემონტის შემდეგ უნდა დაცემულიყო რომიც, ანდა საფრანგეთს ომი უნდა გამოეცხადებინა ავსტრიისათვის და მასთან ერთად ევროპის კონტრრევოლუციისთვის. ნუთუ ეროვნულმა კრებამ ერთბაშად ბაროს სამინისტრო ძველ საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტად მიიჩნია? ან თავის თავი კონვენტად? მაშ რისთვის დაჭირდა მოხერხებული პუნქტის დაკავება ზემო იტალიაში? ამ გამჭვირვალე საბურველის ქვეშ იმალებოდა ექსპედიცია რომის წინააღმდეგ.

14 აპრილს 14 000 კაცი, უდინოს ხელმძღვანელობით, ჩივიტა-ვეკიას გაემგზავრა ზღვით; 16 აპრილს ეროვნულმა კრებამ სამინისტროს 1200000 ფრანკის კრედიტი გაუხსნა იმისათვის, რათა ხმელთაშუა ზღვაში სამი თვის განმავლობაში მზადყოფნის მდგომარეობაში ჰყოლოდა საფრანგეთის ესკადრა. ამგვარად, მან სამინისტროს ხელში მისცა ყველა საშუალება რომის წინააღმდეგ ინტერვენციისათვის; თავი კი ისე ეჭირა, თითქოს ავსტრიის წინააღმდეგ ამოქმედებდა მას. ეროვნული კრება იმას როდი ხედავდა, რას აკეთებდა სამინისტრო, არამედ მხოლოდ ისმენდა, რასაც ეს უკანასკნელი ლაპარაკობდა. ასეთი რწმენა თვით ისრაელსაც არ ჰქონია. დამფუძნებელი კრება ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მას ვერ გაებედნა სცოდნოდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა დაფუძნებულ რესპუბლიკას.

დაბოლოს, 8 მაისს გათამაშებულ იქნა კომედიის უკანასკნელი სცენა. კონსტიტუანტამ მოთხოვა სამინისტროს სასწრაფო ზომების მიღება, რათა იტალიის ექსპედიცია დაბრუნებოდა მის წინაშე დასახულ მიზანს. ბონაპარტმა იმ საღამოსვე მოათავსა «Moniteur»-ში წერილი, რომელშიაც უდინოს დიდად მოუწონა მოქმედება. 11 მაისს ეროვნულმა კრებამ უკუაგდო საბრალმდებლო ოქმი იმავე ბონაპარტისა და მისი მინისტრების წინააღმდეგ. მთა კი, ნაცვლად იმისა, რომ დაეფხრიწა მოტყუებათა ეს ქსოვილი, პარლამენტური კომედია ტრაგედიად აქცია, რათა თვითონ ეთამაშნა მასში ფუკიეტენვილის როლი; მაგრამ კონვენტისაგან ნათხოვარი ლომის ტყავის ქვეშ თავის წვრილბურჟუაზიული ხბოს ტყავი გამოამჟღავნა მხოლოდ!

კონსტიტუანტის სიცოცხლის უკანასკნელი ნახევარი შემდეგში გამოიხატება: 29 იანვარს მან აღიარა ის, რომ ბურჟუაზიის როიალისტური ფრაქციები ბუნებრივი ბატონ-პატრონები არიან მის მიერ დამყარებულ რესპუბლიკაში, 21 მარტს, — რომ კონსტიტუციის დარღვევა მის განხორციელებას ნიშნავს, და 11 მაისს, — ის, რომ

საფრანგეთის რესპუბლიკის მაღალფარდოვანად გამოცხადებული პასიური კავშირი თავის განთავისუფლებისათვის მებრძოლ ევროპის ხალხებთან ნიშნავს მის აქტიურ კავშირს ევროპის კონტრრევოლუციასთან.

ამ უბადრუკმა კრებამ, ვიდრე იგი ასპარეზს დატოვებდა, მისი დაბადების წლისთავის ორი დღით ადრე 4 მაისს, სიამოვნება იგემა მით, რომ უარყო ივნისის მეამბოხეთა ამნისტიის პროექტი. ძალაუფლება აყრილი, ხალხისათვის ჭირივით საძულველი, დაბეჩავებული, ათვალწუნებული, ზიზღით უკუგდებული ბურჟუაზიის მიერ, რომლის იარაღსაც იგი წარმოადგენდა, თავისი არსებობის მეორე ნახევარში პირველი ნახევრის უარყოფას იძულებული, თავის რესპუბლიკურ ილუზიებს მოკლებული, წარსულში დიდი შემოქმედების არ მქონე, მომავალში უიმედო, ნაწილ-ნაწილ ცოცხლადვე დამპალი, კონსტიტუანტა — თავისი საკუთარი ლეშის გალვანიზაციას ახერხებდა მხოლოდ მით, რომ მუდამ იგონებდა ივნისის გამარჯვებას და ხელახლა განიცდიდა მას, ისევ და ისევ სჯიდა მისჯილებს და მით რწმუნდებოდა თავის საკუთარ არსებობაში. ვამპირი, რომელიც ივნისის მეამბოხეთა სისხლით ცოცხლობდა!

მან თავის შემდეგ დატოვა წინანდელი სახელმწიფო დეფიციტი, გაზრდილი ივნისის აჯანყების ხარჯებით, მარილის გადასახადის გაუქმებით, ზანგების მონობის მოსპობის გამო პლანტატორებისათვის მიცემული საანაზღაოთი, რომის ექსპედიციის ხარჯებით, დაბოლოს, — ღვინოზე გადასახადის მოსპობით; ეს გადასახადი კონსტიტუანტამ გააუქმა სწორედ თავის განსვენების წინ იმ ბოროტი ავგული მოხუცივით, რომელიც მოხარულია თავის ბედნიერ მემკვიდრეს დააკისროს სამარცხვინო სანამუსო ვალი.

მარტის პირველ რიცხვებში დაიწყო საარჩევნო აგიტაცია საკონომდებლო ეროვნული კრების არჩევნებისათვის. ორი მთავარი ჯგუფი ერთი მეორის წინააღმდეგ გამოვიდა: წესრიგის პარტია დემოკრატიულ-სოციალისტური ანუ წითელი პარტია; მათ შორის იდგნენ «კონსტიტუციის მეგობრები» — ამ სახელწოდებით «National»-ის სამფეროვანი რესპუბლიკელები ცდილობდნენ განსაკუთრებული პარტია წარმოედგინათ. წესრიგის პარტია შედგა მაშინვე, ივნისის დღეების შემდეგ; მაგრამ მხოლოდ 10 დეკემბრის შემდეგ, როდესაც მან შესძლო თავიდან მოეშორებინა «National»-ის ხროვა — ბურჟუაზიული რესპუბლიკელები, — გამომჟღავნდა მისი არსებობის საიდუმლოება: ორლეანისტების დალეგიტი-

მისტების ერთპარტიაში შეერთება. ბურჟუაზიული კლასი იყოფოდა ორ დიდ ფრაქციად, რომლებსაც რიგრიგობით ეპყრათ ბატონობის მონოპოლია: მსხვილი მიწათმფლობელები— რესტავრაციის პერიოდში, ფინანსური არისტოკრატია და სამრეწველო ბურჟუაზია — ივლისის მონარქიის პერიოდში. ბურბონი — ასეთი იყო სამეფო სახელი ერთი ფრაქციის ინტერესების მომეტებული გავლენისათვის, ორლეანი — ეს იყო სამეფო სახელი მეორე ფრაქციის ინტერესების მომეტებული გავლენისათვის; მხოლოდ რესპუბლიკის უსახელო მეფობის დროს ხელისუფლების სათავეში თანაბარ საწყისებზე მყოფმა ორივე ფრაქციამ შეძლეს საერთო კლასობრივი ინტერესების დაცვა, ისე, რომ იმავე დროს ურთიერთ შორის მეტოქეობა არ შეუწყვეტიათ. რადგან ბურჟუაზიული რესპუბლიკა სხვა ვერა იქნებოდა რა, თუ არ მთელი ბურჟუაზიული კლასის დასრულებული და წმინდა ბატონობის ფორმა, განა შეიძლებოდა იგი სხვა რამ ყოფილიყო, თუ არ ლეგიტიმისტებით შევსებული ორლეანისტებისა და ორლეანისტებით შევსებული ლეგიტიმისტების ბატონობა, რესტავრაციის და ივლისის მონარქიის სინთეზი? «National»-ის ბურჟუაზიული რესპუბლიკელები არ წარმოადგენდნენ თავისი კლასის არავითარ, ეკონომიურ საფუძველზე დამყარებულ, დიდ ფრაქციას. მათი მნიშვნელობა და მათი ისტორიული აზრი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მონარქიის ხანაში, წინააღმდეგ ორივე ბურჟუაზიული ფრაქციისა, რომელთაგან თვითეულს მხოლოდ თავისი განსაკუთრებული რეჟიმი ესმოდა, ისინი წინ აყენებდნენ ბურჟუაზიული კლასის საერთო რეჟიმს, რესპუბლიკის უსახელო მეფობას, რომელსაც აიდეალებდნენ და ანტიური არაბესკებით ამკობდნენ; მაგრამ ამ რესპუბლიკაში ისინი პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, თავისი ხროვის გაბატონებას მიესალმებოდნენ. თუ «National»-ის პარტიას გონება აერია, როდესაც მან მის მიერ დაფუძნებული რესპუბლიკის სათავეში შეერთებული როიალისტები დაინახა, სამაგიეროდ ეს უკანასკნელნიც ნაკლებ არ სცდებოდნენ მათი შეერთებული ბატონობის ფაქტის შესახებ. მათ არ ესმოდათ, რომ თუ თვითეული მათი ფრაქცია, ცალკე აღებული, როიალისტური იყო, მათი ქიმიური შეერთების პროდუქტი აუცილებლობის გზით რესპუბლიკური უნდა ყოფილიყო; მათ არ ესმოდათ, რომ თეთრი და ცისფერი მონარქია უნდა ნეიტრალიზებულიყო სამფეროვან რესპუბლიკაში. ანტაგონიზმი რევოლუციური პროლეტარიატისა

და მისკენ, როგორც ცენტრისაკენ უფრო და უფრო შიმსწრაფი გარდამავალი კლასების მიმართ, აიძულებდა წესრიგის პარტიის ორივე ფრაქციას მთელი თავისი შეერთებული ძალის დაძაბვას და ამ შეერთებული ძალის ორგანიზაციის შენარჩუნებას; თვითეულ ამ ფრაქციას მეორე ფრაქციის რესტავრაციული და განსაკუთრებული მისწრაფებების წინააღმდეგ უნდა წინ წამოეწია საერთო ბატონობა, ე. ი. ბურჟუაზიის ბატონობის რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი ფ ო რ მ ა. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ თავდაპირველად ამ როიალისტებს სჯერათ დაუყოვნებლივი რესტავრაცია, მაგრამ შემდეგ რესპუბლიკურ ფორმას ემხრობიან და ბოლოს, დორბლმორეულნი მის მიმართ წყევლა-კრულვით აღიარებენ, რომ მხოლოდ რესპუბლიკაში შეუძლიათ ერთიმეორის ატანა, და რესტავრაციაც განუსაზღვრელი ვადით განზე გადააქვთ. საერთო ბატონობა აძლიერებდა თვითეულ ამ ფრაქციას და ამის გამო მას უფრო ნაკლები უნარი და სურვილი რჩებოდა დამორჩილებოდა მეორეს, ე. ი. მონარქიის რესტავრაცია მოეხდინა.

წ ე ს რ ი გ ი ს პ ა რ ტ ი ა მ პირდაპირ გამოაცხადა თავის საარჩევნო პროგრამაში ბურჟუაზიული კლასის ბატონობა, ე. ი. მისი ბატონობის სასიცოცხლო პირობების შენარჩუნება: ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს, ო ჯ ა ხ ი ს, რ ე ლ ი გ ი ი ს, წ ე ს რ ი გ ი ს შენარჩუნება! რასაკვირველია, ბურჟუაზიის ბატონობას და ამ ბატონობის პირობებს იგი სახავდა, როგორც ცივილიზაციის ბატონობას და მატერიალური წარმოების აუცილებელ პირობებს და იქიდან გამომდინარე საზოგადოებრივ საღებმიცემო ურთიერთობასაც. წესრიგის პარტიას უამრავი ფულადი სახსრები ჰქონდა თავის განკარგულებაში, მან მოაწყო მთელს საფრანგეთში თავისი განყოფილებები, ჯამაგირს აძლევდა ძველი საზოგადოების ყველა იდეოლოგს, სარგებლობდა არსებული მთავრობის ძალაუფლების მთელი გავლენით, ჰყავდა მუქთი ვასალური ლაშქარი წვრილი ბურჟუების და გლეხების მთელ მასაში, რომელნიც ჯერ კიდევ შორს იდგნენ რევოლუციური მოძრაობისგან და საკუთრების წარმომადგენელ დიდკაცებში თავისი წვრილი საკუთრების და მისი წვრილი ცრუმორწმუნეობის ბუნებრივ დამცველებს ხედავდნენ. წესრიგის პარტია წარმოდგენილი იყო მთელს საფრანგეთში აურაცხელი პატარა მეფეების სახით, მას შეეძლო დაესაჯა როგორც მეამბოხე, ყველა, ვინც უარს იტყოდა მის კანდიდატებზე, დაეთხოვნა მეამბოხე მუშები, ურჩი მოჯამაგირეები, შინამოსამსახურეები, ნოქრები, რკინიგზის მოხელეები, გადამწერლები, ყველა ის მოსამსახურენი, რომელნიც სამოქალაქო ცხოვრება-

ში მას ექვემდებარებოდნენ. დაბოლოს, წესრიგის პარტიას შეეძლო ალაგ-ალაგ დაეცვა ის ზღაპარი, ვითომ რესპუბლიკურმა კონსტიტუანტამ შეუშალა ხელი 10 დეკემბერს ბონაპარტს თავისი სასწაულთმოქმედი ძალა გამოეჩინა. როდესაც წესრიგის პარტიაზე ვლაპარაკობდით, ჩვენ არ გვიხსენებია ბონაპარტისტები. ისინი ბურჟუაზიული კლასის სერიოზულ ფრაქციას კი არ წარმოადგენდნენ, არამედ ბებერი, ცრუმორწმუნე ინვალიდების და ახალგაზრდა ურწმუნო ავანტიურისტების კრებულს შეადგენდნენ. — წესრიგის პარტიამ გაიმარჯვა არჩევნებში და დიდძალი უმრავლესობა წარგზავნა საკანონმდებლო კრებაში.

კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული კოალიციის პირისპირ, ბუნებრივია, წვრილი ბურჟუაზიის და გლეხთა კლასის ყველა გარევოლუციონერებული ელემენტი უნდა შეერთებულიყო რევოლუციური ინტერესების მთავარ მატარებელთან, რევოლუციურ პროლეტარიატთან. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ აიძულებდა საპარლამენტო დამარცხებები წვრილი ბურჟუაზიის დემოკრატიულ ბელადებს პარლამენტში, ე. ი. მთას, კავშირი დაეჭირათ პროლეტარიატის სოციალისტურ ბელადებთან; როგორ აიძულებდა ნებაყოფლობითი მორიგების უარყოფა, ბურჟუაზიული ინტერესების უხეში დაცვა და გაკოტრება პარლამენტის გარეთ მყოფ ნამდვილ წვრილ ბურჟუაზიას დაახლოებოდა ნამდვილ პროლეტარებს. 27 იანვარს მთამ და სოციალისტებმა იდღესასწაულეს თავიანთი შერიგება; 1849 წლის თებერვლის დიდ ბანკეტზე მათ გაიმეორეს შეერთების ეს აქტი. სოციალური და დემოკრატიული პარტია, მუშების პარტია და წვრილი ბურჟუების პარტია, შეერთდნენ სოციალურ-დემოკრატიულ პარტიის, ე. ი. წითელი პარტიის სახით.

საფრანგეთის რესპუბლიკა, მოკლე ხანს იმ აგონიით დამბლადაცემული, რომელიც ივნისის დღეებს მოჰყვა, საალყო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, — 19 ოქტომბრის შემდეგ, — განუწყვეტელ ციებ-ცხელებიან აღელვებას განიცდიდა. ჯერ ერთი, ბრძოლა პრეზიდენტობისთვის; შემდეგ, პრეზიდენტის ბრძოლა კონსტიტუანტასთან; ბრძოლა კლუბების გამო; ბურჟეს პროცესი [1], რომელშიაც

[1] პროცესი 1848 წლის 15 მაისის ამბების მონაწილეთა, რომლებსაც მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში დებდნენ ბრალს. სასამართლოს წინაშე, კ. ბურჟეში, წარსდგნენ პროლეტარიატის ბელადები (ბლანკი, ბარბესი), ავრეთვე მთის ნაწილი. ბლანკს მიუსაჯეს 10 წლის განმარტოებული პატიმრობა. ბ. ფლოტს, სობრიეს და რასპაილს მიუსაჯეს საპყრობილეში პატიმრობა სხვადასხვა ვადით. ბარბესს, ალბერს, ლუი ბლანს, კოსიდიერს, ლავირონს და გიუბერს განდევნა მიუსაჯეს. რ ვ დ.

პრეზიდენტის, შეერთებული როიალისტების, «პატიოსანი» რესპუბ-ლიკელების, დემოკრატიული მთის და პროლეტარიატის სოციალის-ტური დოქტრინერების წვრილი ფიგურების პირისპირ პროლეტარი-ატის ნამდვილი რევოლუციონერები პირველყოფილ გიგანტებად გა-მოჩნდნენ, რომელთა მსგავსს მარტო მსოფლიო წარღვნა ტოვებს სა-ზოგადოების ზედაპირზე, ანდა რომლებიც შეიძლება წინუსწრებდნენ სოციალურ წარღვნებს; საარჩევნო აგიტაცია, ბრეას[1] მკვლელების სიკვდილით დასჯა; განუწყვეტელი პროცესები ბეჭდვითი საქმეების გამო; მთავრობის ძალმომრეობითი პოლიციური ჩარევა ბანკეტებ-ში; როიალისტების თავხედური პროვოკაციები; ლუი ბლანის და კოსიდიერის სურათები სამარცხვინო ბოძზე, შეუწყვეტელი ბრძო-ლა დამფუძნებელ კრებასა და მის მიერ დამყარებულ რესპუბლიკას შორის, რაც რევოლუციას ყოველთვის მის გამოსავალ წერტილთან აბრუნებდა, ყოველთვის აქცევდა გამარჯვებულს დამარცხებულად, დამარცხებულს გამარჯვებულად, ერთ წამში ცვლიდა პარტიების და კლასების მდგომარეობას, მათ გათიშვას და შეერთებას; ევრო-პის კონტრრევოლუციის სწრაფი სვლა; უნგრელების სახელოვანი ბრძოლა, აჯანყებები გერმანიაში, რომის ექსპედიცია, საფრანგეთის ჯარის სამარცხვინო დამარცხება რომის კარებთან, — მოძრაობის ამ ქარტეხილში, ამ ისტორიული ღელვის სატანჯველში, ამ რევოლუ-ციურ ვნებათა, იმედებისა და იმედგაცრუების მიქცევასა და მოქცე-ვაში საფრანგეთის საზოგადოების სხვადასხვა კლასებს კვირაობით უნდა ეანგარიშათ თავიანთი განვითარების ეპოქა, რომელსაც წინათ ნახევარსაუკუნეობით ანგარიშობდნენ. გლეხებისა და პროვინციე-ბის მნიშვნელოვანი ნაწილი გარევოლუციონერებული იყო. მათ არა მარტო იმედი გაუცრუვდათ ნაპოლეონის მიმართ,—წითელი პარტია მათ აწვდიდა სახელის ნაცვლად შინაარსს, გადასახადებისაგან ილუ-ზორულ თავისუფლების ნაცვლად იმ მილიარდის დაბრუნებას, რო-მელიც ლეგიტიმისტებს გადაუხადეს, იპოთეკების მოწესრიგებას და მევახშეობის მოსპობას.

თვით არმიასაც რევოლუციური ციებ-ცხელება ჰქონდა მოდე-ბული. ბონაპარტისთვის ხმის მიცემით იგი ხმას აძლევდა გამარჯვე-ბას, ბონაპარტმა კი მას დამარცხება მოუტანა. ბონაპარტისთვის

[1] გენერალი ბრეა, სარდალი ჯარის ნაწილისა, რომელიც პარიზის პროლეტა-რიატის ივნისის აჯანყებას ახშობდა; 1848 წ. 25 ივნისს აჯანყებულებმა იგი მოჰკ-ლეს ფონტენებლოს სადარაჯოსთან. ამასთან დაკავშირებით სიკვდილით დასაჯეს აჯანყების ორი მონაწილე. რ ე დ.

ხმის მიცემით იგი ხმას აძლევდა პატარა კაპრალს, რომლის უკან რევოლუციის დიდი სარდალი იმალება, და ბონაპარტმა, თავის Გხრივ, დაუბრუნა მათ მედიდური გენერლები, რომელთა უკან იმალება ყოვლად ჩვეულებრივი კაპრალი. უცილობელია, რომ წითელ პარტიას, ე. ი. შეერთებულ დემოკრატიულ პარტიას, უნდა მიეღწია, თუ გამარჯვებისათვის არა, დიდი წარმატებისათვის მაინც: პარიზი, არმია, პროვინციების დიდი ნაწილი მას მისცემდა ხმას. ლ ე დ რ ი უ-რ ო ლ ე ნ ი, მთის ბელადი, არჩეულ იქნა ხუთი დეპარტამენტის მიერ; ასეთი გამარჯვება არ რგებია წესრიგის პარტიის არც ერთ ბელადს, საკუთრივ პროლეტარული პარტიის არც ერთ სახელს. ეს არჩევანი ააშკარავებს დემოკრატიულ-სოციალისტური პარტიის საიდუმლოებას. ერთი მხრივ, მთა, ეს დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიის პარლამენტური ავანგარდი, იძულებული იყო შეერთებოდა პროლეტარიატის სოციალისტურ დოქტრინერებს, ხოლო პროლეტარიატი, იმ საშინელი მატერიალური დამარცხების გამო, რომელიც მან ივნისში განიცადა, იძულებული იყო გონებრივ-ინტელექტუალურ გამარჯვებებში ეძებნა ახალი აღმავლობის გზა; რამდენადაც დანარჩენი კლასების განვითარება ჯერ კიდევ არ აძლევდა მას შესაძლებლობას ხელში აეღო რევოლუციური დიქტატურა, ამიტომ იგი მისი განთავისუფლების დოქტრინერებს, სოციალისტური სექტების დამაარსებლებს, უნდა გადახვევოდა. მეორე მხრივ, რევოლუციური გლეხები, არმია, პროვინციები, მთის მხარეზე დადგნენ. მთას გადაეცა, ამგვარად, შეერთებული რევოლუციური ძალების სარდლობა, ხოლო მისმა შეთანხმებამ სოციალისტებთან მოსპო ყოველი წინააღმდეგობა რევოლუციურ ბანაკში. კონსტიტუანტის სიცოცხლის უკანასკნელ ნახევარში მთა ანხორციელებდა ამ კრების რესპუბლიკურ პათოსს და მან დაავიწყებინა ყველას მისი ცოდვები, რომლებიც მან ჩაიდინა დროებითი მთავრობის დროს, აღმასრულებელი კომისიის დროს და ივნისის დღეების განმავლობაში. იმავე ზომით, რა ზომითაც «National»-ის პარტია, თავისი ნახევრადი ბუნების შესაბამისად, როიალისტურ სამინისტროს აჩაგვრინებდა თავს, მთის პარტიამ, რომელიც ასპარეზს მოწყდა «National»-ის პარტიის ყოვლისშემძლებლობის დროს, ახლა მაღლა აიწია და პარლამენტში რევოლუციის წარმომადგენლის მნიშვნელობა მოიპოვა. მართლაც, «National»-ის ფრაქციას არაფრის დაპირისპირება არ შეეძლო სხვა როიალისტური პარტიებისთვის, გარდა პატივმოყვარე პიროვნებათა და იდეალისტური ყბედობისა. მთის პარტია, პირიქით, წარმოადგენდა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის მერ-

ყევ მასას, რომლის მატერიალური ინტერესები დემოკრატიულ დაწესებულებებს მოითხოვდა. კავენიაკთან და მარასტთან შედარებით ლედრიუ-როლენი და მთა ნამდვილ რევოლუციას წარმოადგენდნენ, და ამ მნიშვნელოვანი როლის შეგნება აძლევდა მათ გამბედაობას, მით უფრო, რომ რევოლუციური ენერგიის გამომჟღავნება შეემოიფარგლებოდა პარლამენტური იერიშებით, ბრალდებების წარდგენით, მუქარით, ხმის აწევით, მგრგვინავი სიტყვებით და უკიდურესობით, რომელიც ფრაზებზე შორს არ მიდიოდა. გლეხები დაახლოებით ისეთსავე მდგომარეობაში იყვნენ, როგორშიაც წვრილი ბურჟუაზია, მათი სოციალური მოთხოვნები დაახლოებით იგივე იყო. ამიტომ საზოგადოების ყველა საშუალო ფენას, რამდენადაც ის რევოლუციურ მოძრაობაში იყო ჩაბმული, ლედრიუ-როლენის სახით თავისი გმირი უნდა დაენახა. ლედრიუ-როლენი დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიის მთავარი პიროვნება იყო. წესრიგის პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა წამოწეულიყვნენ პირველ ყოვლისა ამ ჯურის ნახევრად კონსერვატიული, ნახევრად რევოლუციური და სავსებით უტოპიური რეფორმატორები.

«National»-ის პარტია, «კონსტიტუციის მეგობრები მიუხედავად ყველაფრისა», წმინდა რესპუბლიკელები არჩევნებში სრულიად დამარცხდნენ. მათი უმნიშვნელო უმცირესობა მოხვდა საკანონმდებლო პალატაში; მათი ცნობილი ბელადები გაჰქრენ ასპარეზიდან, მარასტიც კი, «პატიოსანი» რესპუბლიკის ეს მთავარი რედაქტორი და ორფეოსი.

28 მაისს[1] გაიხსნა საკანონმდებლო კრება, 11 ივნისს განახლდა 8 მაისის შეჯახება. ლედრიუ-როლენმა კონსტიტუციის დარღვევისა და რომისთვის ყუმბარების დაშენის გამო, პრეზიდენტისა და სამინისტროს წინააღმდეგ, მთის სახელით, საბრალმდებლო ოქმი წარადგინა. 12 ივნისს საკანონმდებლო კრებამ უკუაგდო საბრალმდებლო ოქმი, ისე როგორც 11 მაისს უკუაგდო იგი დამფუძნებელმა კრებამ, მაგრამ ამხელად პროლეტარიატმა აიძულა მთა ქუჩაში გამოსულიყო, მართალია, არა ქუჩაში ბრძოლისათვის, არამედ ქუჩაში პროცესიისათვის. საკმარისია იმის თქმა, რომ მთა მეთაურობდა ამ მოძრაობას, რათა ვიცოდეთ, რომ ეს მოძრაობა დამარცხებულ იქნა

[1] «კლასთა ბრძოლა საფრანგეთში» და «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» პირველ და ყველა შემდგომ გამოცემაში შეცდომით 29 მაისი ეწერა. ხინამდვილეში საკანონმდებლო კრება 1849 წლის 28 მაისს გაიხსნა. რ ე დ.

და რომ 1849 წლის ივნისი იყო იმდენადვე სასაცილო, რამდენადაც 1848 წლის ივნისის უღირსი კარიკატურა. 13 ივნისის დიადი უკანდახევა მარტოოდენ იმ კიდევ უფრო დიადმა ანგარიშმა თუ დაჩრდილა, რომელიც ბრძოლის შესახებ წარადგინა წესრიგის პარტიის მიერ დიდ ადამიანად მონათლულმა შანგარნიემ. ყოველი საზოგადოებრივი ეპოქა საჭიროებს დიდ ადამიანებს, და, როგორც ჰელვეციუსი ამბობს, თუ ისინი არ არსებობენ, იგი მათ იგონებს.

20 დეკემბერს არსებობდა დაფუძნებული ბურჟუაზიული რესპუბლიკის მხოლოდ ერთი ნახევარი, — პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი; 28 მაისს იგი შევსებულ იქნა მეორე ნახევრით, — ს ა კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო კ რ ე ბ ი თ. 1848 წლის ივნისში, დამყარების პროცესში მყოფმა ბურჟუაზიულმა რესპუბლიკამ თავისი სახელი ისტორიის მეტრიკულ წიგნში აღნიშნა პროლეტარიატის წინააღმდეგ უმაგალითო ბრძოლით. 1849 წლის ივნისში დაფუძნებული ბურჟუაზიული რესპუბლიკა ისევ აღინიშნა იმავე წიგნში ენითგამოუთქმელი კომედიით, რომელიც მან წვრილი ბურჟუაზიის მიმართ ითამაშა. 1849 წლის ივნისმა შური იძია 1848 წლის ივნისისთვის. 1849 წლის ივნისში დამარცხებულ იქნენ არა მუშები, მაგრამ მას შეეწირენ წვრილი ბურჟუები, რომელნიც მუშებსა და რევოლუციას შორის იდგნენ. 1849 წლის ივნისი იყო არა სისხლიანი ტრაგედია დაქირავებულ შრომასა და კაპიტალს შორის, არამედ უბადრუკი, საპყრობილეთი დამძიმებული პიესა, რომელიც გაითამაშეს მოვალემ და კრედიტორმა. წესრიგის პარტიამ გაიმარჯვა, იგი ყოველისშემძლე შეიქნა, — ახლა მას უნდა ეჩვენებინა თავისი არსი.

III

1849 წლის 13 ივნისის შედეგები

20 დეკემბერს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ანუსის თავმა დაგვანახა მხოლოდ ე რ თ ი სახე, აღმასრულებელ სახე, ლუი ბონაპარტის მკრთალი, უგვანო ნიშნებით. 1849 წლის 29 მაისს მან დაგვანახა თავისი მეორე სახე, ს ა კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო სახე, დაფარული ნაჭრილობებით, რომლებიც რესტავრაციისა და ივნისის მონარქიის ორგიებმა დაუტოვეს. საკანონმდებლო ეროვნული კრებით დამთავრდა კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს შექმნა, ე. ი. რესპუბლიკური სახელმწიფო ფორმის შექმნა, რომელშიაც გამოსახულება მიიღო ბურჟუაზიული კლასის ბატონობამ, მაშასადამე, საფრანგეთის ბურჟუაზიის შემადგენელი ორი დიდი

როიალისტური ფრაქციის, შეერთებული ლეგიტიმისტების და ორლეანისტების, — წესრიგის პარტიის ბატონობამ. მაშინ როდესაც, ამგვარად, საფრანგეთის რესპუბლიკა როიალისტური პარტიების კოალიციის საკუთრებად იქცა, კონტრრევოლუციური სახელმწიფოების ევროპული კოალიცია მარტის რევოლუციების უკანასკნელი თავშესაფარების წინააღმდეგ საერთო ჯვაროსნულ გალაშქრებას შეუდგა. რუსეთი შეიჭრა უნგრეთში, პრუსია დაიძრა საიმპერიო კონსტიტუციის მომხრე არმიის წინააღმდეგ, ხოლო უდინომ ყუმბარები დაუშინა რომს. ევროპის კრიზისი აშკარად უახლოვდებოდა გადამჭრელ მობრუნების პუნქტს, მთელი ევროპის თვალი პარიზზე იყო მიქცეული, ხოლო მთელი პარიზის თვალი — საკანონმდებლო კრებაზე.

11 ივნისს ლედრიუ-როლენი ავიდა კრების ტრიბუნაზე. მას სიტყვა როდი წარმოუთქვამს, მან მხოლოდ ჩამოაყალიბა ბრალდება მინისტრების წინააღმდეგ, შიშველი, შეუფერადებელი, ფაქტიური, მკვეთრად ჩამოყალიბებული მძიმე ბრალდება.

რომზე თავდასხმა არის თავდასხმა კონსტიტუციაზე, რომის რესპუბლიკაზე თავდასხმა არის თავდასხმა საფრანგეთის რესპუბლიკაზე. კონსტიტუციის მე-5 მუხლი ამბობს: «საფრანგეთის რესპუბლიკა არასოდეს არ იყენებს თავის სამხედრო ძალებს რომელიმე ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ», პრეზიდენტი კი საფრანგეთის ჯარებს რომის თავისუფლების წინააღმდეგ იყენებს. კონსტიტუციის 54 მუხლით აღმასრულებელ ხელისუფლებას აკრძალული აქვს რაიმე ომის გამოცხადება ეროვნული კრების თანხმობის გარეშე. კონსტიტუანტას 8 მაისის დადგენილება კატეგორიულად უბრძანებს მინისტრებს რომის ექსპედიცია სასწრაფოდ დაუბრუნონ მის თავდაპირველ მიზანს, მაშასადამე, იგი არანაკლებ კატეგორიულად კრძალავს ომს რომის წინააღმდეგ, უდინო კი რომს ყუმბარებს უშენს. ლედრიუ-როლენმა, ამგვარად, თვით კონსტიტუცია დაიმოწმა ბონაპარტისა და მისი მინისტრების წინააღმდეგ. კრების როიალისტურ უმრავლესობას მან, კონსტიტუციის ტრიბუნმა, მიახალა მრისხანე განცხადება: «რესპუბლიკელები მოახერხებენ კონსტიტუციისადმი პატივისცემის მოპოვებას ყველა საშუალებით, თუნდ იარაღის ძალითაც!» «იარაღის ძალითაც!» გაიმეორა ასმაგად მთის გამოძახილმა. უმრავლესობამ საშინელი ხმაურით უპასუხა, ეროვნული კრების თავმჯდომარემ ლედრიუ-როლენი წესრიგისაკენ მოუწოდა; ლედრიუ-როლენმა გაიმეორა თავისი გამომწვევი განცხადება და ბოლოს თავმჯდომარის მაგიდაზე დასდო

წინადადება ბონაპარტისა და მისი მინისტრების სამართალში მიცემის შესახებ. ეროვნულმა კრებამ რომისთვის ყუმბარების დაშენის საკითხის გამო 361 ხმით 203-ის წინააღმდეგ მორიგ საკითხებზე მარტივი გადასვლა მიიღო.

ნუთუ ლედრიუ-როლენს ეგონა, რომ ეროვნულ კრებას კონსტიტუციით, ხოლო პრეზიდენტს ეროვნული კრებით დაამარცხებდა?

კონსტიტუციით, რასაკვირველია, აკრძალული იყო ყოველი თავდასხმა უცხო ხალხების თავისუფლებაზე, მაგრამ, სამინისტროს შეხედულების თანახმად, საფრანგეთის არმია თავს ესხმოდა რომში არა «თავისუფლებას», არამედ «ანარქიის დესპოტიზმს». ნუთუ მთამ დამფუძნებელ კრებაში მთელი თავისი გამოცდილების საწინააღმდეგოდ მაინც კიდევ ვერ გაიგო, რომ კონსტიტუციის განმარტება ეკუთვნის არა იმათ, ვინც იგი შეჰქმნა, არამედ იმათ, ვინც იგი მიიღო? რომ მისი ტექსტი განმარტებული უნდა იქნეს მისი ცხოველმყოფელი აზრის მიხედვით და რომ ბურჟუაზიული აზრი მისი ერთადერთი ცხოველმყოფელი აზრია? რომ ბონაპარტი და ეროვნული კრების როიალისტური უმრავლესობა კონსტიტუციის ნამდვილი განმმარტებელნი იყვნენ, ისე როგორც ხუცესი ნამდვილი განმმარტებელია ბიბლიის, და მოსამართლე ნამდვილი განმმარტებელია კანონის? ნუთუ ეროვნულ კრებას, რომელიც ეს არის საყოველთაო არჩევნების წიაღიდან გამოვიდა, შებოჭილად უნდა ეგრძნო თავი იმ მკვდარი კონსტიტუანტის ანდერძით, რომლის ნებას მის სიცოცხლეშივე არღვევდა ვინმე ოდილონ ბარო? როდესაც ლედრიუ-როლენი კონსტიტუანტის დამფუძნებელი კრების 8 მაისის დადგენილებას იმოწმებდა, განა მას დაავიწყდა, რომ იმავე კონსტიტუანტამ 11 მაისს უკუაგდო მისი პირველი წინადადება ბონაპარტის და მისი მინისტრების სამართალში მიცემის შესახებ და ამგვარად სანქცია მისცა რომზე თავდასხმას როგორც «კონსტიტუციურ» მოქმედებას, რომ თვითონ იგი ახლა ასაჩივრებდა უკვე გამოტანილ განაჩენს, ასაჩივრებდა რესპუბლიკური კონსტიტუანტიდან როიალისტური ლეგისლატივის[1] წინაშე? კონსტიტუცია თვითონ მოუწოდებს დახმარებისათვის აჯანყებას, როდესაც იგი განსაკუთრებულ მუხლში მოუწოდებს ყოველ მოქალაქეს მის დასაცავად. ლედრიუ-როლენი ამ მუხლს ეყრდნობოდა. მაგრამ განა კონსტიტუციის დასაცა-

[1] მხედველობაშია საკანონმდებლო კრება. რ ე დ.

ვად არაა დაწესებული საზოგადოებრივი ხელისუფლება, განა კონსტიტუციის დარღვევა იმ მომენტიდან არ იწყება, როდესაც ერთი კონსტიტუციური ხელისუფლება აჯანყდება მეორის წინააღმდეგ? აქ კი რესპუბლიკის პრეზიდენტი, რესპუბლიკის მინისტრები, რესპუბლიკის ეროვნული კრება ფრიად ჰარმონიულ თანხმობაში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან.

ის, რის მოწყობაც სცადა მთამ 11 ივნისს, წარმოადგენდა «აჯანყებას წმინდა გონების ფარგალში», ე. ი. წმინდა საპარლამენტო აჯანყებას. კრების უმრავლესობას, ხალხის მასების შეიარაღებული აჯანყების პერსპექტივით შეშინებულს, უნდა მოესპო ბონაპარტისა და მისი მინისტრების სახით თავისი საკუთარი ძალაუფლება და თავისი საკუთარი არჩევის მნიშვნელობა. განა კონსტიტუანტა ამავე გზით არ ცდილობდა ბონაპარტის არჩევის გაუქმებას, როდესაც იგი ასე დაჟინებით მოითხოვდა ბარო-ფალუს სამინისტროს დათხოვნას?

განა არ იყო კონვენტის ხანაში ისეთი მაგალითები, როდესაც საპარლამენტო აჯანყება უეცრად ძირითად ცვლილებას ახდენდა უმრავლესობის და უმცირესობის დამოკიდებულებაში — და რატომ ვერ უნდა მოეხერხებინა ახალგაზრდა მთას ის, რასაც ახერხებდა ძველი? ამასთან მომენტის პირობებიც თითქოს ხელსაყრელი იყო ამგვარი საქმისათვის. ხალხის აღელვება პარიზში საშიშ დონეზე ავიდა. არჩევნებში მიცემული ხმების მიხედვით, არმია, ეტყობოდა, არ იყო მთავრობის სასარგებლოდ განწყობილი, საკანონმდებლო კრების უმრავლესობა ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო, რომ ორგანიზებულიყო, ამასთან იგი ხნიერი ადამიანებისაგან შედგებოდა. მთას რომ საპარლამენტო აჯანყება მოეხერხებინა, სახელმწიფოს მმართველობის საჭე უშუალოდ მის ხელში გადავიდოდა. დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზია, თავის მხრივ, როგორც ყოველთვის, ისე ძალიან არაფერს ნატრულობდა, როგორც იმას, რომ ბრძოლა მომხდარიყო მის ზევით, ღრუბლებში, პარლამენტის მიცვალებულთა აჩრდილებს შორის. დაბოლოს, საპარლამენტო აჯანყების გზით, ორივე, როგორც დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზია, ისე მისი წარმომადგენელი მთა, თავის დიდ მიზანს აღწევდა: ბურჟუაზიის ძალის შემუსვრას პროლეტარიატისათვის ხელების გაუხსნელად ანდა მხოლოდ მისი გამოჩენის პერსპექტივით; პროლეტარიატი კი გამოყენებული იქნებოდა, ისე რომ საშიში არ გახდებოდა.

ეროვნული კრების 11 ივნისის ვოტუმის შემდეგ ადგილი ჰქონდა მთის რამდენიმე წევრის შეხვედრას მუშების ფარულ საზოგადოებათა დელეგატებთან. უკანასკნელნი ენერგიულად მოითხოვდნენ, რომ იმავე საღამოს დაწყებულიყო აჯანყება. მთამ გადაჭრით უარყო ეს გეგმა. მას არასგზით არ უნდოდა მოძრაობის ხელმძღვანელობის გაშვება თავის ხელიდან; ის ისეთივე უნდობლობით უცქეროდა თავის მოკავშირეებს, როგორც თავის მტრებს, და იგი მართალი იყო. 1848 წლის ივნისის მოგონება არასოდეს ისე მწვავედ არ აღელვებდა პროლეტარიატის რიგებს, როგორც ამჟამად. და მაინც იგი შებოჭილი იყო მთასთან კავშირით. მთა წარმოადგენდა პარლამენტში დეპარტამენტების უმრავლესობას, იგი აზვიადებდა თავის გავლენას არმიაში, თავის განკარგულებაში ჰყავდა ნაციონალური გვარდიის დემოკრატიული ნაწილი, დაბოლოს, მის უკან იდგა დუქნის მორალური ძალა. პროლეტარიატისთვის, რომლის რიგები, გარდა ამისა, შეთხელებული იყო ხოლერისა და უმუშევრობის გამო, რამაც მისი მნიშვნელოვანი მასა პარიზიდან გარეკა, მთის სურვილის წინააღმდეგ აჯანყების დაწყება ნიშნავდა 1848 წლის ივნისის დღეების უსარგებლო განმეორებას და ამასთან იმ გარემოების გარეშე, რომელმაც იგი მაშინ აიძულა თავგადადებულ ბრძოლაში ჩაბმულიყო. მუშათა დელეგატებმა გააკეთეს ის, რაც ერთადერთი, რაციონალური იყო. მათ დააკისრეს მთას ვალდებულება თავი შ ე ე რ ც ხ ვ ი ნ ა, ე. ი. საპარლამენტო ბრძოლის ფარგლიდან გამოსულიყო, თუ მისი საბრალმდებლო აქტი კრების მიერ უკუგდებული იქნებოდა. მთელი 13 ივნისის განმავლობაში პროლეტარიატს ეკავა სკეპტიკური მეთვალყურის პოზიცია და უცდიდა სერიოზულ, გადამჭრელ შეტაკებას დემოკრატიულ ნაციონალურ გვარდიასა და არმიას შორის, რათა მაშინ შეჭრილიყო ბრძოლაში და რევოლუცია გადაეზარდა მისთვის თავსმოხვეული წვრილბურჟუაზიულ მიზანს იქით. გამარჯვების შემთხვევისათვის უკვე შედგენილი იყო მუშების კომუნა, რომელსაც უნდა ემოქმედა ოფიციალური მთავრობის გვერდით. პარიზის მუშებმა ისწავლეს 1848 წლის ივნისის სისხლიან სკოლაში.

12 ივნისს მინისტრმა ლაკროსმა თვითონ შეიტანა საკანონმდებლო კრებაში წინადადება დაუყოვნებლივ გადასულიყვნენ საბრალმდებლო აქტის განხილვაზე. ღამით მთავრობამ მიიღო ყველა ზომა თავდაცვისა და თავდასხმისთვის; ეროვნული კრების უმრავლესობამ გადაწყვიტა აეძულებინა მეამბოხე უმცირესობა ქუჩაში გასულიყო; უმცირესობას აღარ შეეძლო უკან დახევა, კენჭი უკვე ჰყარეს;

377 ხმით 8-ის წინააღმდეგ უკუაგდეს საბრალმდებლო აქტი. აღშფოთებული მთა, რომელმაც თავი შეიკავა ხმის მიცემისგან, გავარდა «მშვიდობიანი დემოკრატიის» საპროპაგანდო დარბაზებში, გაზეთ «**Démokratie pacifique**»-ის [1] რედაქციაში.

პარლამენტის შენობას მოშორებამ დააუძლურა მთა, როგორც უძლურდებოდა ანთეოსი, როდესაც მიწას, თავის დედას ცილდებოდა. მონტანიარები [2], რომლებიც სამსონები იყვნენ საკანონმდებლო კრების კედლებს შუა, «მშვიდობიანი დემოკრატიის» დარბაზებში უბრალო ფილისტერებად იქცნენ. გაიმართა გრძელი, ხმაურიანი და უშინაარსო კამათი. მთას გადაწყვეტილი ჰქონდა კონსტიტუციისთვის პატივისცემა მოეპოვებია ყოველი საშუალებით, «მ ხ ო ლ ო დ ა რ ა ი ა რ ა ღ ი ს ძ ა ლ ი თ». ამ გადაწყვეტილებაში მას მხარი გაუმაგრა «კონსტიტუციის მეგობართა» მანიფესტმა და დეპუტაციამ. «კონსტიტუციის მეგობრებს» უწოდებდნენ თავის თავს «ნაციონალის» ხროვის — ბურჟუაზიული რესპუბლიკელების პარტიის — ნამსხვრევები. მაშინ როდესაც ამ პარტიის გადარჩენილ წარმომადგენელთაგან პარლამენტში ექვსმა ხმა მისცა საბრალმდებლო აქტის უკუგდების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ხოლო ყველა დანარჩენმა უ კ უ გ დ ე ბ ი ს თ ვ ი ს, მაშინ როდესაც კ ა ვ ე ნ ი ა კ მ ა წესრიგის პარტიის განკარგულებაში გადასცა თავისი ხმალი, ამ ხროვის უფრო მნიშვნელოვანმა პარლამენტგარეშე ნაწილმა ხარბად ჩაჭიდა ხელი ამ შესაძლებლობას გამოსულიყო პოლიტიკური პარიების მდგომარეობიდან, რომელშიაც იმყოფებოდა, და შემძვრალიყო დემოკრატიული პარტიის რიგებში. მართლაც და განა ისინი არ იყვნენ ბუნებრივი ფარისმტვირთველნი ამ პარტიისა, რომელიც დამალული იყო მათ ფარს უკან, მათ პ რ ი ნ ც ი პ ს, კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ი ს უკან!

გათენებამდე «მთა» იტანჯებოდა მშობიარობით, მან შობა «პ რ ო კ ლ ა მ ა ც ი ა ხ ა ლ ხ ი ს ა დ მ ი», რომელიც 13 ივნისს დილას ორი სოციალისტური გაზეთის მორიდებულ კუთხეში გამოვიდა. პროკლამაცია პრეზიდენტს, მინისტრებს და საკანონმდებლო კრების უმრავლესობას აცხადებდა «კონსტიტუციის გარეშე» (**hors la Constitution**) და მოუწოდებდა ნაციონალურ გვარდიას,

---

[1] «**Démokratie pacifique**» («მშვიდობიანი დემოკრატია») — ფურიერისტების ორგანო, რომელიც გამოდიოდა კონსიდერანის ხელმძღვანელობით პარიზში 1843 — 1851 წ. წ. რ ე დ.

[2] მ ო ნ ტ ა ნ ი ა რ ი — მთის მომხრე (სიტყვა «**montagne**»-დან, — ფრანგულად — მთა). რ ე დ.

არმიას და ბოლოს ხალხსაც «აღმდგარიყო». «გაუმარჯოს კონსტიტუციას!» ეს იყო მისი პაროლი, პაროლი, რომელიც სხვა არა იყო რა, თუ არა «ძირს რევოლუციას!».

მთის კონსტიტუციურ პროკლამაციას შეეფერებოდა 13 ივნისს წვრილი ბურჟუების მიერ მოწყობილი ეგრეთწოდებული მშვიდობიანი დემონსტრაცია. ეს იყო ქუჩებში გამართული მშვიდობიანი დემონსტრაცია შატო დ'ო-დან ბულვარებზე გავლით; 30000 კაცი, მეტწილად ნაციონალური გვარდიელები, უიარაღოდ, მუშების ფარული სექციების წევრებთან შერეული, მიდიოდა ბულვარებზე ყვირილით «გაუმარჯოს კონსტიტუციას!» თვით დემონსტრანტები ამ ლოზუნგს გაიძახოდნენ მექანიკურად, ცივად, გაბოროტების გრძნობით, არა წმინდა გულით და, ნაცვლად იმისა, რომ ჭექა-ქუხილად ქცეულიყო, ქვაფენილებზე შეჯგუფებულ ხალხის მხრივ ირონიულ გამოხმაურებას პოულობდა. მრავალხმოვან სიმღერას გულმკერდიდან ამოხეთქილი ხმა აკლდა. როდესაც პროცესია გაუსწორდა «კონსტიტუციის მეგობართა» სხდომების შენობას და სახლის წინა პირზე გამოჩნდა კონსტიტუციის დაქირავებული მესაყვირე, რომელმაც გაშმაგებით იწყო თავისი კლაკიორის ქუდის ქნევა ჰაერში და თავისი ფილტვების საშინელის დაჭიმვით სეტყვასავით დააყარა დემონსტრანტებს: «გაუმარჯოს კონსტიტუციას!»-ო, მაშინ ამ უკანასკნელებმა, თითქოს, იგრძნეს მდგომარეობის მთელი კომიზმი. ცნობილია, როგორ სრულიადაც არაპარლამენტურად მიიღეს პროცესია შანგარნიეს დრაგუნებმა, ეგერებმა დელაპე-ს ქუჩის ბოლოში, ბულვარებზე, და ერთი თვალის დახამხამებაში როგორ გაიფანტნენ მონაწილენი ყოველ მხარეს, რომელნიც სირბილის დროს კანტი-კუნტად გაიძახოდნენ: «იარაღი-საკენ!», რათა ამით შესრულებულიყო პარლამენტის 11 ივნისის მოწოდება აჯანყებისაკენ.

დიუ აზარის ქუჩაზე შეკრებილი მთის წევრების უმრავლესობა სწორედ იმ მომენტში გაიფანტა, როდესაც ამ მშვიდობიანი პროცესიის ძალით გაფანტვა, ყრუ ხმები ბულვარებზე უიარაღო მოქალაქეების დახოცვის შესახებ, სულ უფრო და უფრო გაძლიერებული მოძრაობა ქუჩებში, — ყველაფერი, თითქოს, აჯანყების მოახლოების მაუწყებელი იყო. მთის სახელი იხსნა დეპუტატების მცირე ჯგუფმა ლედრიუ-როლენის მეთაურობით. პარიზის არტილერიის მფარველობის ქვეშ, რომელმაც პალე ნაციონალი დაიკავა, ისინი წავიდნენ ხელოვნებისა და ხელობის მუზეუმში, სადაც ნაციონალური გვარდიის მე-5 და 6 ლეგიონები უნდა მოსულიყვნენ. მაგრამ

მონტანიარებმა ტყუილად უცადეს მე-5 და მე-6 ლეგიონს; ამ ფრთხილმა გვარდიელებმა ბედის ანაბრად დატოვეს თავიანთი წარმომადგენლები. პარიზის არტილერიამ თვით შეუშალა ხელი ხალხს ბარიკადების აგებაში, ქაოსმა და არევ-დარევამ შეუძლებელი გახადეს რაიმე გადაწყვეტილების მიღება, ხიშტებ-მომარჯვებული სახაზო ჯარები ახლოვდებოდნენ. დეპუტატების ნაწილი დაიჭირეს, ნაწილი დაიმალა. ასე გათავდა 13 ივნისი.

თუ 1848 წლის 23 ივნისი რევოლუციური პროლეტარიატის აჯანყების დღე იყო, 1849 წლის 13 ივნისი დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიის აჯანყების დღე იყო; თვითეული ეს აჯანყება კ ლ ა ს ი-კ უ რ ა დ წ მ ი ნ დ ა გამოსახულება იყო იმ კლასისა, რომელმაც იგი დაიწყო.

მხოლოდ ლიონში მივიდა საქმე შეუპოვარ, სისხლიან შეტაკებამდე. აქ სამრეწველო ბურჟუაზია და სამრეწველო პროლეტარიატი უშუალოდ ერთი მეორის პირისპირ დგას, მუშათა მოძრაობა არაა, როგორც პარიზში, საერთო მოძრაობის ჩარჩოში მოქცეული და მით არ განისაზღვრება; ამიტომ 13 ივნისმა აქ თავის ასახვაში მისი თავდაპირველი ხასიათი დაკარგა. პროვინციის დანარჩენ ადგილებში, სადაც მოძრაობამ იფეთქა, ხანძარი არ გაჩენილა, — ეს იყო ც ი ვ ი გ ა ე ლ ვ ე ბ ა.

13 ივნისს დამთავრდა ს ი ც ო ც ხ ლ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი პ ე რ ი ო-დ ი კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ა, რომელმაც 1849 წლის 29 მაისს საკანონმდებლო კრების გახსნით დაიწყო თავისი ნორმალური არსებობა. მთელი ეს პროლოგი ავსებულია ხმაურიანი ბრძოლით წესრიგის პარტიასა და მთას შორის, მსხვილ და წვრილ ბურჟუაზიას შორის; წვრილი ბურჟუაზია ამაოდ ეწინააღმდეგებოდა ბურჟუაზიულ რესპუბლიკის დამყარებას, რომლის სასარგებლოდ თვითონ იგი განუწყვეტლივ შეთქმულებას აწყობდა დროებით მთავრობაში და აღმასრულებელ კომისიაში, რომლის გულისთვის თვითონ იგი გახელებული იბრძოდა პროლეტარიატის წინააღმდეგ ივნისის დღეებში. 13 ივნისმა მოტეხა მისი წინააღმდეგობა და მომხდარ ფაქტად აქცია შეერთებული როიალისტების დიქტატურა. ამ დღიდან მოკიდებული ეროვნული კრება წესრიგის პარტიის მ ხ ო ლ ო დ ღ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ხ ს ნ ი ს კ ო მ ი-ტ ე ტ ს წარმოადგენს.

პრეზიდენტი, მინისტრები და ეროვნული კრების უმრავლესობა პარიზმა «ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ თ ა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა შ ი» ჩააყენა; იმათ პარიზი «ს ა ა ლ ყ ო მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა შ ი» ჩააყე-

ნეს. მთამ საკანონმდებლო კრების უმრავლესობა «კ ო ნ ს ტ ი ტ უ-ც ი ი ს გ ა რ ე შ ე» გამოაცხადა; უმრავლესობამ, თავის მხრივ, კონსტიტუციის დარღვევისათვის მთა უმაღლეს სასამართლოს გადასცა და განდევნა ყველა, ვისაც კი ამ პარტიაში სიცოცხლის ნიშანწყალი აჩნდა. მთისაგან დარჩა მხოლოდ თავმოკვეთილი და გულგაცლილი სხეული. უმცირესობა ს ა პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ო ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ცდამდე მივიდა, უმრავლესობამ თავისი ს ა პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ო დ ე ს პ ო ტ ი ზ მ ი კანონად აქცია. მან დეკრეტით დააწესა ახალი საპარლამენტო რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი, რომელმაც ტრიბუნის თავისუფლება მოსპო და ეროვნული კრების თავმჯდომარეს უფლება მისცა დეპუტატები წესრიგის დარღვევისთვის სიტყვის წართმევით, ფულადი ჯარიმებით, სადეპუტატო ფულის წართმევით, სხდომებიდან დროებით განდევნით და საპყრობილეთი დასჯოს. მთის ტანზე მანხმლის ნაცვლად შოლტი დაჰკიდა. სინდისის ვალი მთის დარჩენილი დეპუტატებისაგან დემონსტრატიულად დეპუტატობიდან გადადგომას მოითხოვდა. ეს აქტი დააჩქარებდა წესრიგის პარტიის დაშლას. ეს უკანასკნელი ძალაუნებურად თავის თავდაპირველ შემადგენელ ნაწილებად უნდა დაშლილიყო იმ მომენტში, როდესაც მისი შემაკავშირებელი წინააღმდეგობის აჩრდილიც კი აღარ იქნებოდა.

ს ა პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ო ძ ა ლ ა ს თ ა ნ ერთად დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიას წაერთვა მისი შეიარაღებული ძალაც; პარიზის არტილერია დაშალეს, დაშლილ იქნა ნაციონალური გვარდიის მე-8, 9 და 12 ლეგიონები. პირიქით, ფინანსური არისტოკრატიის ლეგიონმა, რომელიც 13 ივნისს თავს დაესხა ბულეს და რუს სტამბებს, საბეჭდი დაზგები დალეწა, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციები აიკლო და უკანონოდ დაატუსაღა მათი რედაქტორები, ასოთამწყობები, მბეჭდავები, ექსპედიტორები, შიკრიკები, — ამ ლეგიონმა გამამხნევებელი მოწონება მიიღო ეროვნული კრების ტრიბუნიდან. მთელს საფრანგეთში დაშალეს ყველა ის ნაციონალური გვარდიელები, რომლებსაც რესპუბლიკანიზმს სწამებდნენ.

ახალი კ ა ნ ო ნ ი პ რ ე ს ი ს შ ე ს ა ხ ე ბ, ახალი კ ა ნ ო ნ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ, ახალი კ ა ნ ო ნ ი ს ა ა ლ ყ ო მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ, პარიზის საპყრობილეების გავსება პატიმრებით, პოლიტიკური ემიგრანტების განდევნა, შეჩერება ყველა გაზეთის, რომელიც კი «National»-ის ფარგალს სცილდება, ლიონის და მისი ხუთი მეზობელი დეპარტამენტის დაქვემდებარება უხეშ სამხედრო დესპოტიზმისთვის, სასამართლოების მუშაობა ყველგან,

ამდენჯერ უკვე გაწმენდილი მოხელეთა არმიის ხელახალი გაწმენდა, — აი, ძლევამოსილი რეაქციის აუცილებელი და ისევ და ისევ განმეორებული საერთო ზომები, რომლებიც ივნისხს ხოცვა-ჟლეტისა და მრავალი ადამიანის გადასახლების შემდეგ მოხსენების ღირსია მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ეს ზომები მიმართული იყო არა მარტო პარიზის წინააღმდეგ, არამედ დეპარტამენტების წინააღმდეგაც, არა მარტო პროლეტარიატის წინააღმდეგ, არამედ პირველ ყოვლისა საშუალო კლასების წინააღმდეგ.

ეროვნული კრების მთელი საკანონმდებლო საქმიანობა ივნისის, ივლისის და აგვისტოს განმავლობაში, მიმართული იყო რეპრესიული კანონების შემუშავებაზე, რომლებითაც მთავრობას მიენიჭა, მისი შეხედულებისამებრ, საალყო მდგომარეობის გამოცხადების უფლება, პრესა უფრო მეტად იქნა შევიწროებული და მოსპობილ იქნა კავშირებში გაერთიანების უფლება.

მაგრამ ამ ეპოქას ახასიათებს გამარჯვების არა ფაქტიური, არამედ პრინციპული გამოყენება, არა ეროვნული კრების დადგენილებანი, არამედ ამ დადგენილებათა მოტივირება, არა საქმე, არამედ ფრაზა, არა ფრაზაც, არამედ აქცენტი და ჟესტი, რომელიც ფრაზას აცხოველებს. როიალისტური პრინციპები დაურიდებელი და ურცხვი დემონსტრირება, რესპუბლიკის ქედმაღლური შეურაცხყოფა, რესტავრაციული მიზნების უდარდელი კეკლუცი წამოროშვა, — ერთი სიტყვით, უტიფრად შელახვა რესპუბლიკური დარბაისლობის — აი, რა აძლევდა ამ პერიოდს განსაკუთრებულ ტონსა და ელფერს. «გაუმარჯოს კონსტიტუციას!» — ეს იყო 13 ივნისის დამარცხებულთა საბრძოლო ლოზუნგი. ამან იხსნა გამარჯვებული კონსტიტუციური, ე. ი. რესპუბლიკური, ენის პირფერობისაგან. კონტრრევოლუციამ დაიმორჩილა უნგრეთი, იტალია, გერმანია, და ისინი ფიქრობდნენ, რომ რესტავრაცია საფრანგეთის კარებთან იყო უკვე მისული. წესრიგის ფრაქციების ბელადებს შორის გაჩაღდა ნამდვილი კონკურენცია; ისინი ისწრაფოდნენ დოკუმენტალურად დაემტკიცებინათ «Moniteur»-ის საშუალებით თავიანთი როიალიზმი, აღსარება ეთქვათ, მოენანიათ ზოგი რამ ლიბერალური ცოდვები, მათ მიერ რესპუბლიკის დროს ჩადენილი, და პატიება ეთხოვათ ამისთვის ღვთისა და ადამიანებისაგან. დღე არ გადიოდა ისე, რომ დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან თებერვლის რესპუბლიკა საზოგადოებრივ უბედურებად არ გამოეცხადებინათ, დღე არ გადიოდა ისე, რომ რომელიმე პროვინციელ ლეგიტიმისტ მემამულეს

ზეიმით არ განეცხადებინა, რომ იგი არასოდეს არ ცნობდა რესპუბ-ლიკას, დღე არ გადიოდა უიმისოდ, რომ ივლისის მონარქიის რომელიმე მშიშარა რენეგატს და გამცემელს არ ეამბნა თავის ნაგვიანებ საგმირო საქმეებზე, რომელთა შესრულებაში მას ხელი შეუშალა მხოლოდ ლუი ფილიპეს კაცთმოყვარეობამ ან სხვა გაუგებრობამ. გამოდიოდა, რომ თებერვლის დღეებში გაკვირვების ღირსი იყო თურმე არა ძლევამოსილი ხალხის დიდსულოვნება, არამედ თავშეწირვა და ზომიერება როიალისტებისა, რომლებმაც ხალხს ნება მისცეს მათზე გაემარჯვნა. ხალხის ერთმა წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა, იმ ფულის ნაწილი, რომელიც თებერვლის დღეებში დაჭრილების დასახმარებლად იყო დანიშნული, მ უ ნ ი ც ი პ ა ლ უ რ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს მიეცათ, რადგან მარტო მათ გაუწიეს თურმე სამსახური იმ დღეებში სამშობლოს. მეორეს კიდევ სურდა ცხენზე მჯდომი ჰერცოგ ორლეანელის ძეგლი დაედგათ კარუსელის მოედანზე. ტიერმა ჭუჭყიანი ქაღალდის ნაგლეჯი უწოდა კონსტიტუციას. ორლეანისტები რიგრიგობით ადიოდნენ ტრიბუნაზე, რათა მოენანიათ თავიანთი შეთქმულება ლეგიტიმური მონარქიის წინააღმდეგ, ლეგიტიმისტები თავიანთ თავს უსაყვედურებდნენ, რომ იმათმა წინააღმდეგობამ უკანონო მონარქიის მიმართ დააჩქარა საზოგადოდ მონარქიის დაცემა; ტიერი ინანიებდა იმას, რომ ინტრიგებს აწყობდა მოლეს წინააღმდეგ, მოლე ინანიებდა თავის ინტრიგებს გიზოს წინააღმდეგ, ბარო — თავის ინტრიგებს სამივეს წინააღმდეგ. ლოზუნგი: «გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკას!» ანტიკონსტიტუციურ ლოზუნგად იქნა გამოცხადებული; ლოზუნგს «გაუმარჯოს რესპუბლიკას!» სდევნიდნენ როგორც სოციალ-დემოკრატიულს. ვატერლოოს ბრძოლის წლისთავზე ერთმა დეპუტატმა განაცხადა: «მე პრუსიელების შემოსევის ისე არ მეშინია, როგორც საფრანგეთში რევოლუციონერი ემიგრანტების შემოსვლისა»-ო. ლიონსა და სხვა მეზობელ დეპარტამენტებში დაწყებულ ტერორის შესახებ ჩივილზე ბარაგე დ'ილიემ სთქვა: «მე თეთრი ტერორი მირჩევნია წითელ ტერორსო» («J'aime mieux la terreur blanche, que la terreur rouge»). და კრება გაცხარებით ტაშს უკრავდა ყოველთვის, როდესაც მისი ორატორების პირიდან გაიგონებდა ეპიგრამას რესპუბლიკის წინააღმდეგ, რევოლუციის წინააღმდეგ, კონსტიტუციის წინააღმდეგ, მონარქიის სასარგებლოდ, საღვთო კავშირის სასარგებლოდ. რესპუბლიკური ფორმალობის სულ მცირე დარღვევასაც, მაგალითად, დეპუტატე-

ბისადმი მიმართვისას სიტყვა მოქალაქის გამოშვებას, აღტაცებაში მოჰყავდა წესრიგის რაინდები.

პარიზის 8 ივლისის დამატებითმა არჩევნებმა, რომლებიც საალ-ყო მდგომარეობისა და პროლეტარიატის მნიშვნელოვანი ნაწილის ხმის მიცემისგან თავშეკავების გავლენის ქვეშ ჩატარდა, რომის დაჭერამ საფრანგეთის არმიის მიერ, რომში წითელ ყოვლადსამღვ-დელოთა შესვლამ და მათ ამალად ინკვიზიციისა და ბერების ტერო-რიზმის მიყოლებამ, — ყველა ამან, ახალ-ახალი გამარჯვება დაუ-მატა ივნისის გამარჯვებას და გააძლიერა წესრიგის პარტიის დათრობა.

დაბოლოს, შუა აგვისტოში როიალისტებმა დეკრეტით დაადგი-ნეს ეროვნული კრების სხდომების შეწყვეტა ორი თვით, — ნაწი-ლობრივ იმისთვის, რომ დასწრებოდნენ დეპარტამენტების საბ-ჭოებს, რომლებიც ეს იყო შეიკრიბა, ნაწილობრივ იმის გამო, რომ მოიღალნენ თავისი როიალიზმის ორგიით, რომელიც რამდენიმე თვეს გრძელდებოდა. დაუფარავი ირონიით მათ ეროვნული კრების მოადგილედ, რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს გ უ შ ა გ ა დ, კომისია დატოვეს, რომელიც ოცდახუთი დეპუტატისგან, ლეგიტიმისტური და ორლეა-ნისტური პარტიების ისეთ ნამდვილ ნაღებისგან შედგებოდა, როგორიც არიან მოლე, შანგარნიე და სხვანი. ირონია უფრო ღრმა იყო, ვიდრე მათ ეგონათ. ისინი, რომელთაც ისტორიამ მიუსაჯა ხელი შეეწყოთ დაცემულიყო მონარქია, რომელიც მათ უყვარდათ, იმავე ისტორიამ ახლა დანიშნა დამცველებად რესპუბლიკისა, რო-მელიც მათ ძულდათ.

საკანონმდებლო კრების სხდომების შ ე წ ყ ვ ე ტ ი ს მომენტით თ ა ვ დ ე ბ ა კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს სი-ც ო ც ხ ლ ი ს მ ე ო რ ე პ ე რ ი ო დ ი. მ ი ს ი რ ო ი ა ლ ი ს-ტ უ რ ი შ მ ა გ ო ბ ი ს პ ე რ ი ო დ ი.

პარიზის საალყო მდგომარეობა ისევ მოისპო, პრესამ კვლავ იწყო მოქმედება. სოციალ-დემოკრატიული გაზეთების შეჩერების პერიოდში, — რეპრესიული ზომებისა და როიალისტური თავაშვე-ბულობის პერიოდში, — «Siècle», რომელიც წინათ მ ო ნ ა რ-ქ ი უ ლ-კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი წ ვ რ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს ლიტერატურული წარმომადგენელი იყო, რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი გახდა; «Presse», ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რ ე ფ ო რ მ ა ტ ო რ ე ბ ი ს ძველი ორგანო, უფრო დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი[1] გახდა, ხოლო

[1] «Siècle» («საუკუნე») და «Presse» («პრესა») — ყოველდღიური გაზეთები, რომლებიც 1836 წლიდან გამოდიოდნენ პარიზში. რ ე დ.

«National»-მა, ბურჟუაზიული რესპუბლიკელების ძველმა კლასიკურმა ორგანომ, სოციალისტური ელფერი მიიღო.

რამდენადაც შეუძლებელი შეიქნა ღია კლუბების არსებობა, იმდენადვე ფართოდ გავრცელდნენ და გაძლიერდნენ ფარული საზოგადოებანი. მუშათა საწარმოო ამხანაგობებმა, რომლებსაც როგორც წმინდა სავაჭრო კომპანიებს არ დევნიდნენ და ეკონომიურადაც სრულიად უმნიშვნელონი იყვნენ, — პოლიტიკურად პროლეტარიატის დამაკავშირებელი რგოლების როლი ითამაშეს. 13 ივნისმა სხვადასხვა ნახევრადრევოლუციურ პარტიებს ოფიციალური თავები წააჭრა, მაგრამ დარჩენილ მასებს საკუთარი თავები გაეზარდათ. წესრიგის რაინდები ხალხს აშინებდნენ წითელი რესპუბლიკის მომავალი საშინელებით, მაგრამ ძლევამოსილი კონტრრევოლუციის მიერ უნგრეთში, ბადენში და რომში ჩადენილმა ნამდვილმა მხეცობამ და უაღრესმა საშინელებამ განბანა «წითელი რესპუბლიკა». და საფრანგეთის საზოგადოების უკმაყოფილო საშუალო კლასებმა იწყეს იმის შეგნება, რომ წითელი რესპუბლიკის დაპირებები მისი პრობლემატიური საშინელებითურთ მათ უნდა ერჩიოთ წითელი მონარქიის საშინელებას მისი ფაქტიური უიმედობით. არც ერთ სოციალისტს არ გაუკეთებია საფრანგეთში რევოლუციური პროპაგანდისთვის იმაზე მეტი, რაც ჰაინაუმ გააკეთა. ყოველ ნიჭს მისი ნამოქმედარის მიხედვით!

ამავე დროს ლუი ბონაპარტმა ისარგებლა ეროვნული კრების არდადეგებით და იგი პროვინციაში სეფე-მოგზაურობისათვის გამოიყენა; ყველაზე ფიცხელი ლეგიტიმისტები წმინდა ლუდოვიკოს [1] შთამომავალის მოსაკითხავად ემსში გაემგზავრნენ, ხოლო წესრიგის მოყვარე დეპუტატთა მასა ინტრიგებს ეწეოდა დეპარტამენტების ახლად შეკრებილ საბჭოებში. საჭირო იყო საბჭოებისათვის ეთქმევინებინათ ის, რის გამოთქმა ჯერ კიდევ ვერ გაებედნა ეროვნული კრების უმრავლესობას, საჭირო იყო, რომ მათ კონსტიტუციის დაუყოვნებლივი გადასინჯვა მოეთხოვათ. კონსტიტუციის თანახმად, ეს გადასინჯვა შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ 1852 წელს განსაკუთრებით ამ მიზნისთვის მოწვეული ეროვნული კრების მიერ. მაგრამ თუ დეპარტამენტების საბჭოთა

[1] მხედველობაშია საფრანგეთის ტახტის მაძიებელი ბურბონთა დინასტიიდან ვრაფი შამბორი (ოგიეს ჰენრიხ V). რედ.

უმრავლესობა გადასინჯვის სასარგებლოდ მისცემდა ხმას, ნუთუ საფრანგეთის ხმას, ეროვნული კრება არ შეწირავდა კონსტიტუციის ქალწულობას? ეროვნული კრება იმასვე მოელოდა ამ პროვინციული კრებებისგან, რასაც ვოლტერის «ჰენრიადა»-ში მოლოზნები მოელოდნენ პანდურებისგან. მაგრამ ეროვნული კრების პენტეფრიები პროვინციებში, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ასევე მრავალ იოსებებს შეხვდნენ. დიდძალ უმრავლესობას არ სურდა გაეგო მათი აბეზარი შთაგონება. კონსტიტუციის გადასინჯვას იმავე იარაღმა შეუშალა ხელი, რასაც უნდა გამოეწვია იგი: დეპარტამენტების საბჭოების ხმებმა. საფრანგეთმა, და ამასთან ბურჟუაზიულმა საფრანგეთმა, გამოთქვა აზრი, და გამოთქვა გადასინჯვის წინააღმდეგ.

ოქტომბრის დამდეგს საკანონმდებლო კრება ისევ შეიკრიბა — **tantum mutatus ab illo!** [1] მისი ფიზიონომია სრულიად გადასხვაფერდა. კონსტიტუციის გადასინჯვის მოულოდნელმა უარყოფამ დეპარტამენტების საბჭოების მხრივ კონსტიტუციის ჩარჩოებს დაუბრუნა კრება და მოაგონა მას მისი სიცოცხლის ხანგრძლივობის ფარგლები. ორლეანისტებს ეჭვები აღუძრა ლეგიტიმისტების ხშირმა მგზავრობამ ემსში, ხოლო ლეგიტიმისტებს აეჭვიანებდა ორლეანისტების მოლაპარაკება ლონდონთან [2], ორივე ფრაქციის გაზეთები აღვივებდნენ ცეცხლს და სწონიდნენ თავიანთი პრეტენდენტების უფლებებს. ორლეანისტები და ლეგიტიმისტები, ორთავენი, გაბრაზებული იყვნენ ბონაპარტისტების მახინაციების გამო, რომლებიც მოჩანდა პრეზიდენტის სეფე-მოგზაურობაში, მის მეტნაკლებ გამჭვირვალე ცდაში — თავიდან მოეშორებია კონსტიტუციური ლაგამი, მოჩანდა ბონაპარტისტული გაზეთების მედიდურ კილოშიც; ლუი ბონაპარტს, თავის მხრივ, ბრაზი მოდიოდა ეროვნულ კრებაზე, რომელიც შეთქმულების უფლებას მხოლოდ ლეგიტიმისტებისა და ორლეანისტებისათვის ცნობდა, და სამინისტროზე, რომელიც ამ კრების სასარგებლოდ მას მუდამ ღალატობდა. დაბოლოს, სამინისტროში განხეთქილება წარმოდგა რომის მიმართ წარმოებული პოლიტიკისა და ს ა შ ე მ ო ს ა ვ ლ ო გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი ს გამო, რომლის წინადადება მინისტრმა პ ა ს ი ო მ შეიტანა და რომელსაც კონსერვატორები სასტიკად გმობდნენ როგორც სოციალისტურს.

---

[1] მაგრამ როგორ შეიცვალა იგი! რ ე დ.

[2] ლონდონის მახლობლად ცხოვრობდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ ინგლისში გახიზნული ლუი ფილიპე. რ ე დ.

ბაროს სამინისტროს ერთ-ერთი პირველი წინადადება ახლად შეკრებილ საკანონმდებლო კრებაში იყო 300000 ფრანკის კრედიტის მოთხოვნა ორლეანელი ჰერცოგის ქვრივისათვის საქვრივო პენსიის მისაცემად. ეროვნული კრება დათანხმდა ამაზე და, ამგვარად, მიუმატა ეს თანხა ფრანგი ერის შვიდი მილიონი ფრანკის ვალების რეესტრს. მაშინ როდესაც ლუი ფილიპე წარმატებით თამაშობდა «**pauvre honteux**»-ს — «დარცხვენილი ღატაკის» როლს, სამინისტრო ვერ ბედავდა კრებისათვის წინადადება მიეცა, ბონაპარტს ჯამაგირი მივუმატოთო, და კრებასაც არ ემჩნეოდა ამ მიმატების სურვილი. და ლუი ბონაპარტი, როგორც ყოველთვის, ამ დილემის წინ იდგა: «**Aut Caesar, aut Clichy!** »[1].

მეორე მოთხოვნამ ცხრა მილიონი ფრანკის კრედიტის შესახებ რომის ექსპედიციის ხარჯების დასაფარავად კიდევ უფრო გააძლიერა დაძაბული დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ბონაპარტსა და, მეორე მხრივ, მინისტრებსა და ეროვნულ კრებას შორის. ლუი ბონაპარტემ «**Moniteur**»-ში დაბეჭდა წერილი თავის ადიუტანტის ედგარ ნეის მიმართ, სადაც იგი პაპის მთავრობას კონსტიტუციური გარანტიებით ბორკავდა. პაპმა, თავის მხრივ, გამოსცა ენციკლიკა «**motu proprio**» [2], რომელშიაც უარყოფდა თავის აღდგენილი ხელისუფლების ყოველგვარ შეზღუდვას. ბონაპარტის წერილი განზრახი მოურიდებლობით ფარდას ხდიდა მის კაბინეტს, რათა თვითონ იგი ქანდარის წინაშე გამოჩენილიყო როგორც კეთილმოსურნე, მაგრამ საკუთარ სახლშივე არაღიარებული და შებოჭილი გენიოსი. ეს პირველად არ იყო, რომ ბონაპარტი თავმომწონეობდა, «თავისუფალი სულის ფრთების უხილავ ფარფატით». ტიერმა, კომისიის მომხსენებელმა, სრულიად უყურადღებოდ დატოვა ბონაპარტის ფრთების ფარფატი და დაკმაყოფილდა მით, რომ პაპის ენციკლიკა ფრანგულ ენაზე გადმოთარგმნა. არა სამინისტრო, არამედ ვიქტორ ჰიუგო შეეცადა ეხსნა პრეზიდენტი იმით, რომ ეროვნულ კრებას წინადადება მისცა ნაპოლეონის წერილი მოეწონებინა. კმარა! კმარა!—ასეთი უპატივცემულო, აბუჩად-ამგდები ძახილით დამარხა უმრავლესობამ ჰიუგოს წინადადება. პრეზიდენტის პოლიტიკა? პრეზიდენტის წერილი? თვითონ პრეზიდენტი? კმარა, კმარა, ვინ მოექცევა ბ-ნ ბონაპარტს სერიოზულად? ნუთუ თქვენ. ბატონო ვიქტორ ჰიუგო, ფიქრობთ, რომ ჩვენ გვჯერა, თითქოს თქვენც გჯეროდეთ პრეზიდენტი? კმარა, კმარა!

[1] ან კეისარი, ან სავალე საპყრობილე! რედ.

[2] — «საკუთარი ნება-სურვილით». რედ.

დაბოლოს, ბონაპარტსა და ეროვნულ კრებას შორის განხეთქილება დააჩქარა კამათმა ორლეანელთა და ბურბონთა უკანმოწვევის «პროექტის» შესახებ. სამინისტროს არ ყოფნისას პრეზიდენტის ბიძაშვილმა, ვესტფალის ყოფილი მეფის შვილმა, შეიტანა ეს წინადადება, რომელსაც სხვა არა ჰქონდა მიზნად გარდა იმისა, რომ ლეგიტიმისტური და ორლეანისტური პრეტენდენტები ბონაპარტისტულ პრეტენდენტთან ერთ დონეზე დაეყენებინა, ანდა კიდევ მეტი, — მასზე უფრო დაბლაც, რადგან იგი, ყოველ შემთხვევაში, ფაქტიურად მაინც სახელმწიფოს სათავეში იდგა.

ნაპოლეონ ბონაპარტმა საკმაო უპატივცემლობა გამოიჩინა მით, რომ ერთ წინადადებაში მოაქცია განდევნილი სამეფო ოჯახების დაბრუნება და ივნისის მეამბოხეთა ამნისტია. უმრავლესობის აღშფოთებამ აიძულა იგი წამსვე ბოდიში მოეხადა იმისთვის, რომ თავხედურად აურია ერთმანეთში წმინდანი და შეჩვენებული, სამეფო მოდგმა და პროლეტარიატის თესლი, საზოგადოების უძრავი ვარსკვლავები და მისი ჭაობის უგზოუკვლო ცეცხლები, და სათანადო ადგილი მიეჩინა თვითეული ამ წინადადებისთვის. უმრავლესობამ ენერგიულად უკუაგდო სამეფო ოჯახის მოწვევის პროექტი, და ბერიეს, ლეგიტიმისტების დემოსფენს, არავითარი ეჭვი არ დაუტოვებია ამ ვოტუმის მნიშვნელობის შესახებ. პრეტენდენტების ჩამოქვეითება უბრალო მოქალაქეების დონემდე, — აი, რა არის ბონაპარტის მიზანი! სურთ წმინდანების შარავანდედი შემოაცალონ პრეტენდენტებს, ის უკანასკნელი შარავანდედი, რომელიც მათ შერჩენიათ, — განდევნილობის შარავანდედი. რას იფიქრებდნენ იმ პრეტენდენტზე, — შესძახა ბერიემ, — რომელიც დაივიწყებდა თავის ბრწყინვალე წარმოშობასა და დაბრუნდებოდა აქ, რათა იცხოვროს, როგორც კერძო ადამიანმა? უფრო ნათლად აღარ შეიძლებოდა ბონაპარტისთვის იმის თქმა, რომ მას არაფერი არ მოუგია თავისი აქ ყოფნით, რომ თუ იგი საჭირო იყო შეერთებული როიალისტებისთვის აქ, პრეზიდენტის სავარძელში, როგორც ნეიტრალური ადამიანი, — სერიოზული პრეტენდენტები განდევნილების ბურუსში უნდა ყოფილიყვნენ გახვეულნი უვიცთა თვალთაგან.

1 ნოემბერს ლუი ბონაპარტმა საკანონმდებლო კრებას უპასუხა ეპისტოლეთი, რომელშიაც საკმაოდ მკვახე სიტყვებით იუწყებოდა ბაროს სამინისტროს დათხოვნას და ახალი სამინისტროს შედგენას. ბარო-ფალუს სამინისტრო იყო როიალისტური კოალიციის

სამინისტრო, „დ' ოპულის სამინისტრო კი — ბონაპარტის სამინისტრო, პრეზიდენტის იარაღი საკანონმდებლო კრების წინააღმდეგ, ნოქრების სამინისტრო.

ბონაპარტი ახლა აღარ იყო 1848 წლის 10 დეკემბრის მხოლოდ ნეიტრალური პიროვნება. როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, იგი განსაზღვრული ინტერესების ცენტრი გახდა, ანარქიასთან ბრძოლამ თვით წესრიგის პარტია აიძულა გაედიდებინა მისი გავლენა, და თუ ბონაპარტი აღარ იყო პოპულარული, თვითონ წესრიგის პარტიაც არაპოპულარული იყო. განა ბონაპარტს არ შეეძლო იმედი ჰქონებოდა, რომ ორლეანისტების და ლეგიტიმისტების მეტოქეობა, ერთი მხრივ, და რაიმე მონარქიული რესტავრაციის აუცილებლობა, მეორე მხრივ, აიძულებდა ორთავე ფრაქციას ნეიტრალური პრეტენდენტი ეცნოთ?

1849 წლის 1 ნოემბრიდან იწყება კონსტიტუციური რესპუბლიკის სიცოცხლის მესამე პერიოდი, რომელიც თავდება 1850 წლის 10 მარტს. იწყება კონსტიტუციურ დაწესებულებათა ნორმალური თამაში, ე. ი. უთანხმოება აღმასრულებელსა და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის, რითაც ასე ძალიან აღფრთოვანებულია გიზო. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. შეერთებული ორლეანისტების და ლეგიტიმისტების რესტავრაციულ მისწრაფებათა წინააღმდეგ, ბონაპარტი თავისი ფაქტიური ძალაუფლების იურიდიულ საფუძველს—რესპუბლიკას იცავს; ბონაპარტის რესტავრაციულ მისწრაფებათა წინააღმდეგ წესრიგის პარტია იცავს თავისი საერთო ბატონობის იურიდიულ საფუძველს — რესპუბლიკას; ლეგიტიმისტები ორლეანისტების წინააღმდეგ, ორლეანისტები ლეგიტიმისტების წინააღმდეგ იცავენ **status quo**-ს — რესპუბლიკას. წესრიგის პარტიის ყველა ეს ფრაქციები, რომელთაგან თვითეულს ჰყავს გულში თავისი საკუთარი მეფე და თავისი საკუთარი რესტავრაცია, თავისი მეტოქეების უზურპატორულ და მეამბოხე მისწრაფებებს უპირისპირებენ ბურჟუაზიის საერთო ბატონობას, სახელმწიფო ფორმას, რომელშიაც ყველა მათი ცალკეული მისწრაფება ნეიტრალდება და დაცული რჩება, — ე. ი. რესპუბლიკას.

როგორც კანტი აცხადებს რესპუბლიკას ერთადერთ გონივრულ სახელმწიფო წყობილებად, პრაქტიკული გონების პოსტულატად, რომელიც არასოდეს არ ხორციელდება, მაგრამ რომლის განხორციელება ყოველთვის უნდა შეადგენდეს ჩვენი მისწრაფების მიზანს და ზრახვების საგანს, — ისევე ამ როიალისტებისთვის პოსტულატს შეადგენს მონარქია.

ამგვარად, კონსტიტუციური რესპუბლიკა, რომელიც ბურჟუაზიული რესპუბლიკელების ხელიდან ცარიელი იდეოლოგიური ფორმულის სახით გამოვიდა, შეერთებული როიალისტების ხელში შინაარსით სავსე ცოცხალ სახელმწიფო ფორმად იქცა. და ტიერს გუმანიც კი არ ჰქონდა მიტანილი იმაზე, თუ რა სიმართლე იმალებოდა მის სიტყვებში, როდესაც იგი ამბობდა: «ჩვენ, როიალისტები, ჭეშმარიტი დასაყრდენი ვართ კონსტიტუციური რესპუბლიკისაო».

კოალიციური სამინისტროს დაცემას, ნოქართა სამინისტროს გამოსვლას სცენაზე სხვა მნიშვნელობაც აქვს. ახალ კაბინეტში ფინანსთა მინისტრი ფ ულ დ ი გახლდათ. ფულდის ფინანსთა მინისტრად დანიშვნა ნიშნავდა საფრანგეთის ეროვნული სიმდიდრის ოფიციალურ გადაცემას ბირჟის ხელში, სახელმწიფო ქონების გამგებლობას ბირჟის მიერ და ბირჟის ინტერესებისთვის. ფულდის დანიშვნით ფინანსურმა არისტოკრატიამ თავისი რესტავრაცია გამოაცხადა «Moniteur»-ში. ეს რესტავრაცია ყველა სხვა რესტავრაციათა აუცილებელი შემაკავებელი იყო და მათთან ერთად ერთ-ერთ როლს შეადგენდა კონსტიტუციური რესპუბლიკის ჯაჭვში.

ლუი ფილიპეს არასოდეს არ გაუბედია ფინანსთა მინისტრად გაეხადა ნამდვილი ბირჟის მგელი (loup-cervier). როგორც მისი მონარქია იდეალური სახელწოდება იყო მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობისთვის, ისევე მის სამინისტროებში პრივილეგირებულ ინტერესებს იდეოლოგიურად ნეიტრალური სახელების ნიღაბი უნდა ჰქონოდა აფარებული. ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში წინასცენაზე გამოვიდა ის, რასაც სხვადასხვა მონარქიები, როგორც ლეგიტიმისტური, ისე ორლეანისტური, კულისებს უკან მალავდნენ. მან მიწაზე ჩამოიყვანა ის, რაც იმათ ზეცაში აჰყავდათ. წმინდანთა სახელები მან გაბატონებული კლასობრივი ინტერესების ბურჟუაზიული საკუთარი სახელებით შეცვალა.

მთელი ამ ჩვენი გადმოცემიდან ჩანს, თუ როგორ მოხდა ის, რომ რესპუბლიკამ თავისი არსებობის პირველი დღიდანვე არამც თუ არ დაამხო ფინანსური არისტოკრატიის ბატონობა, არამედ, პირიქით, განამტკიცა იგი. მაგრამ იგი იმ არისტოკრატიის წინაშე ამ დათმობებს აკეთებდა თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ, თავისი ბედისწერისადმი დამორჩილებით. ფულდის სახით ინიციატივა საფინანსო არისტოკრატიას დაუბრუნდა ხელში.

გვკითხავენ: როგორ მოხდა, რომ შეერთებული ბურჟუაზია იტანდა და ითმენდა ფინანსური არისტოკრატიის ბატონობას, რომელიც ლუი ფილიპეს დროს დამყარებული იყო ბურჟუაზიის

ყველა სხვა ფრაქციის ხელისუფლებისაგან მოშორებაზე, ან მათ დამორჩილებაზე?

ამის პასუხი მარტივია.

უწინარეს ყოვლისა, ფინანსური არისტოკრატია თვითონ შეადგენს მნიშვნელოვან ხელმძღვანელ ჯგუფს როიალისტური კოალიციის შიგნით, რომლის საერთო სახელმწიფო ძალაუფლებას რესპუბლიკა ეწოდება. განა ორლეანისტების ორატორები და ბელადები ფინანსური არისტოკრატიის ძველი მოკავშირენი და მოზიარენი არ იყვნენ? განა თვით ეს უკანასკნელი არ შეადგენს ორლეანიზმის ოქროს ფალანგას? რაც შეეხება ლეგიტიმისტებს, ისინი უკვე ლუი ფილიპეს დროს იღებდნენ პრაქტიკულად მონაწილეობას საბირჟო, სამთომადნო და სარკინიგზო სპეკულაციების ყველა ორგიაში. საზოგადოდ, მსხვილი მიწათმფლობელების კავშირი ფინანსურ არისტოკრატიასთან ნორმალურ მოვლენას წარმოადგენს. ამის დამამტკიცებელია ინგლისი, ამის დამამტკიცებელია ავსტრიაც კი.

ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის საფრანგეთი, სადაც ეროვნული წარმოება შეუფარდებლად დაბალ საფეხურზეა სახელმწიფო ვალის სიდიდესთან შედარებით, სადაც სახელმწიფო რენტა სპეკულაციის უმნიშვნელოვანეს საგანს შეადგენს და ბირჟა მთავარი მოსათავსებელი ბაზარია კაპიტალისა, რომელსაც არაპროდუქტიული გზით სურს ზრდა, — ასეთ ქვეყანაში ადამიანთა უამრავი რიცხვი ყველა ბურჟუაზიული და ნახევრად ბურჟუაზიული კლასიდან აუცილებლად მონაწილე უნდა იყოს სახელმწიფო ვალში, საბირჟო თამაშში, ფინანსებში. და განა ბირჟის ყველა ეს მეორეხარისხოვანი მონაწილე არ პოულობს თავის ბუნებრივ დასაყრდენს და მეთაურს იმ ფრაქციაში, რომელიც წარმომადგენელია იმავე ინტერესებისა, მაგრამ კოლოსალური ზომით, მთელ მათ სისრულესა და მთლიანობაში?

რა არის მიზეზი სახელმწიფო ქონების გადასვლისა არისტოკრატიის ხელში? სახელმწიფოს მუდმივად მზარდი დავალიანება. და რაშია სახელმწიფოს ამ დავალიანების მიზეზი? იმაში, რომ სახელმწიფოს ხარჯები მუდამ ჭარბობს მის შემოსავალს, და ეს გადაჭარბება, თავის მხრივ, სახელმწიფო სესხთა სისტემის შედეგიც არის და მიზეზიც.

ამ დავალიანების თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფომ ან უნდა შეზღუდოს თავისი ხარჯები, ე. ი. გაამარტივოს, შეკვეცოს მთავრობის ორგანიზმი, რაც შეიძლება შეამციროს მმართველობა,

იყოლიოს მოხელეთა რაც შეიძლება ნაკლები პერსონალი, შეძლებისდაგვარად ნაკლებ ჩაერიოს სამოქალაქო საზოგადოების საქმეებში. წესრიგის პარტიას კი არ შეეძლო ამ გზით წასვლა; მას უნდა გაეძლიერებინა თავისი რეპრესიული საშუალებები, თავისი ოფიციალური ჩარევა სახელმწიფოს სახელით, თავისი ყველგან ყოფნა სახელმწიფოს ორგანოების სახით, რამდენადაც მის ბატონობასა და მისი კლასის ბატონობის პირობებს ყოველ მხრიდან ახალ-ახალი საშიშროება ემუქრებოდა. არ შეიძლება ჟანდარმერიის შემცირება იმ დროს, როდესაც ხშირდება დანაშაული პიროვნებისა და საკუთრების წინააღმდეგ.

ან სახელმწიფომ თავი უნდა გაიტანოს უვალოდ, უმდიდრეს კლასებზე ს ა გ ა ნ გ ე ბ ო გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი ს დაკისრებით უნდა დაამყაროს ბიუჯეტში მოცემული მომენტისთვის, თუნდ წარმავალი, წონასწორობა. მაგრამ საბირჟო ექსპლოატაციისაგან ეროვნული ჭონების გასანთავისუფლებლად განა შეეძლო წესრიგის პარტიას თავისი საკუთარი სიმდიდრე შეეწირა სამშობლოს სამსხვერპლოზე? Pas si bête![1]

ამრიგად, საფრანგეთის სახელმწიფოში ძირითადი გადატრიალების მოუხდენლად წარმოუდგენელია გადატრიალება საფრანგეთის სახელმწიფო მეურნეობაში. ხოლო ამ სახელმწიფო მეურნეობასთან კი აუცილებლობის გზით დაკავშირებულია სახელმწიფოს დავალიანება, სახელმწიფოს დავალიანებასთან — სპეკულაციები სახელმწიფო ვალზე, სახელმწიფო კრედიტორების, ბანკირის, ფულით მოვაჭრის, «ბირჟის მგლების» ბატონობა. წესრიგის პარტიის მხოლოდ ერთი ფრაქცია იყო პირდაპირ დაინტერესებული ფინანსური არისტოკრატიის დაცემაში, ეს იყო: მ ე ფ ა ბ რ ი კ ე ე ბ ი. ჩვენ ვლაპარაკობთ არა საშუალო მრეწველებზე, არა წვრილ მრეწველებზე, არამედ სამრეწველო მაგნატებზე, რომელნიც ლუი ფილიპეს დროს დინასტიური ოპოზიციის ფართო ბაზას შეადგენდნენ. მათი ინტერესები უეჭველად მოითხოვდა წარმოების ხარჯების შემცირებას, მაშასადამე, გადასახადების შემცირებას, რომელნიც წარმოების ხარჯებში შედიან, სახელმწიფო ვალის შემცირებას, რომლის სარგებელი იმ გადასახადებში შედის, — სხვა სიტყვებით, მათი ინტერესები მოითხოვდა ფინანსური არისტოკრატიის დაცემას.

ინგლისში, — ხოლო საფრანგეთის უდიდესი მეფაბრიკეებიც კი წვრილ ბურჟუებს წარმოადგენენ მათ ინგლისელ მეტოქეებთან შედა-

[1] ასე სულელი როდია! რ ე დ.

რებით, — ჩვენ მართლა ვხედავთ მეფაბრიკეებს, რომელიმე კობდენს ან ბრაიტს, ჯვაროსნული ლაშქრობის სათავეში, ბანკისა და საბირჟო არისტოკრატიის წინააღმდეგ. რატომ არაა ეს საფრანგეთში? ინგლისში უპირატესობა უჭირავს მრეწველობას, საფრანგეთში — მიწათმოქმედებას. ინგლისში მრეწველობა საჭიროებს თავისუფალ ვაჭრობას, საფრანგეთში — მფარველობით ბაჟებს, სხვა მონოპოლიების გვერდით ნაციონალურ მონოპოლიას. საფრანგეთის მრეწველობა არ ბატონობს საფრანგეთის წარმოებაზე, ამიტომ საფრანგეთის მეფაბრიკეები არ ბატონობენ საფრანგეთის ბურჟუაზიაზე. თავიანთი ინტერესების დასაცავად ბურჟუაზიის სხვა ფრაქციების წინააღმდეგ მათ არ შეუძლიათ ინგლისელებსავით სათავეში ჩაუდგნენ მოძრაობას და მით წინარიგში წამოაყენონ თავიანთი კლასობრივი ინტერესები; ისინი კუდში უნდა გაჰყვნენ რევოლუციას და მათი კლასის საერთო ინტერესების საწინააღმდეგო ინტერესებს ემსახურონ. თებერვალში მათ ვერ გაიგეს თავიანთი მდგომარეობა, მაგრამ თებერვალმა მათ ჭკუა ასწავლა. აბა დამქირავებელზე უფრო, მრეწველ კაპიტალისტზე უფრო პირდაპირ ვის ემუქრება საშიშროება მუშების მხრივ? ამიტომ საფრანგეთში მეფაბრიკე აუცილებლობის გზით წესრიგის პარტიის ყველაზე უფრო ფანატიკოსი წევრი გახდა. მართალია, ბირჟელები მას მოგებას უმცირებენ, მაგრამ აბა რას წარმოადგენს ეს პროლეტარიატის მიერ ამ მოგების სრულ მოსპობასთან შედარებით.

საფრანგეთში წვრილი ბურჟუა ასრულებს იმას, რასაც ნორმალურ პირობებში მრეწველი ბურჟუა უნდა ასრულებდეს, მუშები ასრულებენ იმას, რაც ნორმალურ პირობებში წვრილი ბურჟუას ამოცანა იქნებოდა; და ვინღაა მუშის ამოცანის გადამჭრელი? არავინ; იგი არ წყდება საფრანგეთში, იგი აქ მხოლოდ ქვეყნდება. იგი არსად არ შეიძლება გადაიჭრას ეროვნული საზღვრების შიგნით; კლასთა ომი საფრანგეთის საზოგადოების შიგნით გადაიქცევა მსოფლიო ომად ყველა ერებს შორის. ამოცანის გადაჭრა მხოლოდ მაშინ დაიწყება, როდესაც მსოფლიო ომი პროლეტარიატს დააყენებს იმ ხალხის სათავეში, რომელიც ბატონობს მსოფლიო ბაზარზე, ე. ი. ინგლისის სათავეში. რევოლუცია, რომელიც აქ თავის დასასრულს კი არ მიაღწევს, არამედ მიიღებს მხოლოდ თავის ორგანიზაციულ დასაწყისს, არ იქნება მოკლეხნიანი რევოლუცია. ახლანდელი თაობა იმ ებრაელებს ჰგავს, რომელნიც უდაბნოში გავლით მიყავდა მოხეს. მან არა თუ უნდა დაიპყროს ახალი ქვეყანა, არამედ უნდა

გაჰქრეს, რათა ადგილი მისცეს ახალი ქვეყნისთვის მომწიფებულ ადამიანებს.

დავუბრუნდეთ ფულდს.

1849 წლის 14 ნოემბერს ფულდი ავიდა ეროვნული კრების ტრიბუნაზე და განმარტა თავისი საფინანსო სისტემა: ძველი საგადასახადო სისტემის ქებათა-ქება! ღვინის გადასახადის შენარჩუნება! პასის საშემოსავლო გადასახადზე უარისთქმა!

პასიც არ იყო რევოლუციონერი, იგი ლუი ფილიპეს ძველი მინისტრი იყო. იგი ეკუთვნოდა დიუფორის მსგავს პურიტანებს და ტესტის — ივლისის მონარქიის[1] ამ განტევების ზვარაკის — გულითად მეგობრებს! პასიც აქებ-ადიდებდა ძველ სახარკო სისტემას, მასაც სურდა ღვინის გადასახადის შენარჩუნება, მაგრამ მან იმავე დროს ფარდა ჩამოხადა სახელმწიფო დეფიციტს. მან განაცხადა, რომ სახელმწიფოს გაკოტრების თავიდან მოშორება შეიძლება მხოლოდ ახალი გადასახადის — საშემოსავლო გადასახადის — საშუალებით. ფულდმა, რომელიც ოდესღაც ლედრიუ-როლენს სახელმწიფოს გაკოტრების გამოცხადებას ურჩევდა, ახლა სახელმწიფო დეფიციტი მიართვა ეროვნულ კრებას. იგი შეპირდა ეკონომიას, რომლის საიდუმლოება შემდეგში გამოაშკარავდა: მაგალითად, ხარჯები შემცირდა 60 მილიონით, ხოლო მიმდინარე ვალი გადიდდა 200 მილიონით; ეს იყო საეჭვო თვალთმაქცობა ციფრების დაჯგუფებაში, ანგარიშების შეჯამებაში, რაც ბოლოს და ბოლოს ახალი სესხის აღებას ნიშნავდა.

ფულდის დროს ფინანსური არისტოკრატია ბურჟუაზიის სხვა მეტოქე ფრაქციების გვერდით, რასაკვირველია, არ გამოდიოდა ისეთი უტიფარი ცინიზმით, როგორც ლუი ფილიპეს დროს. მაგრამ სისტემა იგივე დარჩა. სახელმწიფო ვალის იგივე მუდმივი ზრდა, იგივე შენიღბული დეფიციტი. ხოლო დროთა განმავლობაში ძველი საბირჟო თაღლითობა აშკარად გამოჩნდა. ამის დამამტკიცებელი იყო კანონი ავინიონის რკინიგზის შესახებ, საიდუმლოებით აღსავ-

[1] 1847 წლის 8 ივლისს პარიზში პერთა პალატაში დაიწყო პროცესი პარლამენტისა და გენერალ კიუბიერის წინააღმდეგ — მათ ბრალი ედებოდათ მოხელეების მოსყიდვაში მარილის კონცესიის მიღების მიზნით — და მაშინდელი საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის ტესტის წინააღმდეგ, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ იგი ჭრთამს იღებდა მათგან. ტესტმა პროცესის განმავლობაში თავის მოკვლა სცადა, ყველას დიდი ფულადი ჯარიმა მიუსაჯეს, ტესტს, გარდა ამისა, სამი წლის პატიმრობაც (ენგელსის შენიშვნა 1895 წლის გამოცემისათვის).

სე რყევა სახელმწიფო ქაღალდებისა, რაც ერთ დროს მთელი პარიზის ღღის ვარამად გადაიქცა, დაბოლოს, ფულდის და ბონაპარტის მიერ 10 მარტისათვის მოწყობილი და მარცხით დამთავრებული საარჩევნო სპეკულაციები.

ფინანსური არისტოკრატიის ოფიციალური რესტავრაციის შემდეგ საფრანგეთის ხალხს ახალი 24 თებერვალი მოელოდა.

კონსტიტუანტამ, თავისი მემკვიდრისადმი მიზანტროპიულად განწყობილმა, გააუქმა გადასახადი ღვინოზე 1850 წლისათვის. ძველი გადასახადების გაუქმებით ახალი ვალები ვერ გადაიხდებოდა; კრეტონმა, წესრიგის პარტიის ერთ-ერთმა კრეტინმა, ჯერ კიდევ საკანონმდებლო კრების სხდომების შეწყვეტამდე წინადადება შეიტანა შენარჩუნებული ყოფილიყო გადასახადი ღვინოზე. ფულდმა მიიღო ეს წინადადება ბონაპარტისტული სამინისტროს სახელით, და 1849 წლის 20 დეკემბერს, ბონაპარტის პრეზიდენტად გამოცხადების წლისთავზე, ეროვნულმა კრებამ დეკრეტით დაადგინა ღვინის გადასახადის აღდგენა.

ამ აღდგენის მოსარჩლე იყო არა ფინანსისტი, არამედ იეზუიტების მეთაური მონტალამბერი. მისი არგუმენტაცია საოცრად მარტივი იყო: გადასახადი ეს გახლავთ დედის ძუძუ, რომელიც კვებავს მთავრობას, მთავრობა რეპრესიების იარაღია, ესაა — ავტორიტეტის ორგანოები, ესაა — არმია, ესაა — პოლიცია, ესაა მოხელეები, მოსამართლეები, მინისტრები, ესაა — მღვდლები. გადასახადზე ივრიშის მიტანა იგივეა, რაც ანარქისტების მიერ ივრიშის მიტანა წესრიგის გუშაგებზე, რომელნიც იცავენ ბურჟუაზიული საზოგადოების მატერიალურ და სულიერ წარმოებას პროლეტარული ვანდალების იერიშებისგან. გადასახადი — ეს მეხუთე ღმერთია საკუთრების, ოჯახის, წესრიგის და რელიგიის გვერდით. ხოლო გადასახადი ღვინოზე უეჭველად გადასახადია, და ამასთან არა ჩვეულებრივი, არამედ ძველისძველი, მონარქიზმით გაჟღენთილი, პატივსაცემი გადასახადი. გაუმარჯოს ღვინის გადასახადს! სამშაგი ვაშა და კიდევ ვაშა!

როდესაც ფრანგ გლეხს სურს ეშმაკი წარმოიდგინოს, იგი მას წარმოიდგენს გადასახადის ამკრეფის სახით. იმ მომენტიდან, როდესაც მონტალამბერმა გადასახადი ღმერთად გამოაცხადა, გლეხი უღმერთო გახდა, ათეისტად იქცა და ეშმაკს — სოციალიზმს — ჩაეხვია გულში. წესრიგის რელიგიამ წინდაუხედავად დაჰკარგა გლეხი, იეზუიტებმა წინდაუხედავად დაჰკარგეს იგი, ბონაპარტმა წინდაუხედავად დაჰკარგა იგი. 1849 წლის 20 დეკემბერმა სამუდა-

ზოდ სახელი გაუტეხა 1848 წლის 20 დეკემბერს. «თავისი ბიძის ძმისწული» თავის ოჯახში როდი იყო პირველი, ვისაც კისერი მოტეხა ღვინის გადასახადმა, რომელსაც, მონტალამბერის სიტყვით, რევოლუციური ჭექაქუხილის სუნი უდის. ნამდვილმა, დიდმა ნაპოლეონმა წმინდა ელენეს კუნძულზე განაცხადა, რომ მისი დაცემის ყველაფერზე უფრო ხელშემწყობი მიზეზი ღვინის გადასახადის აღდგენა იყო, ვინაიდან ამან მოამდურა მას სამხრეთ საფრანგეთის გლეხობა, უკვე ლუი XIV-ის დროს ეს გადასახადი მთავარი საგანი იყო ხალხის სიძულვილისა (იხ. ბუაგილბერის და ვობანის თხზულებანი); პირველმა რევოლუციამ იგი მოსპო, ხოლო ნაპოლეონმა ისევ 1808 წელს შემოიღო იგი რაოდენადმე შეცვლილი სახით. როდესაც ბურბონები დაბრუნდნენ საფრანგეთში, მათ წინ მოაჭენებდა არა მარტო კაზაკობა, არამედ ღვინის გადასახადის მოსპობის დაპირებაც. აზნაურობა, რასაკვირველია, ვალდებული არ იყო უუფლებო დაბალი წოდებისათვის მიცემული სიტყვა შეესრულებინა. 1830 წელმა ღვინის გადასახადის მოსპობის დაპირება მოიტანა. მაგრამ მას არ ემარჯვებოდა იმის გაკეთება, რასაც ამბობდა, და იმის თქმა, რასაც აკეთებდა. 1848 წელი დაჰპირდა ღვინის გადასახადის მოსპობას, როგორც იგი ყველაფრის დაპირებას იძლევოდა. კონსტიტუანტამ, დაბოლოს, რომელსაც არაფერის დაპირება არ მიუცია, განკარგულება გასცა, როგორც ნათქვამი გვქონდა, თავის ანდერძში, რომ ღვინის გადასახადი 1850 წლის 1 იანვრიდან გაუქმებულიყო. მაგრამ სწორედ ათი დღით ადრე 1850 წლის 1 იანვრამდე საკანონმდებლო კრებამ ისევ დააწესა იგი. ამგვარად, საფრანგეთის ხალხი ამაოდ ცდილობდა ამ გადასახადის განდევნას: როცა ხალხი მას კარებიდან სდევნიდა, იგი ისევ ფანჯრიდან შემოდიოდა.

ხალხის სიძულვილი ღვინის გადასახადის მიმართ იმით აიხსნება, რომ ამ გადასახადში თავმოყრილია საფრანგეთის საგადასახადო სისტემის ყველა საძულველი მხარე. მისი გადახდევინების წესი საძულველია, მისი განაწილების წესი არისტოკრატიული, რადგან იგი ერთნაირად ედება სრულიად ჩვეულებრივ და მეტად ძვირფას ღვინოებს; მაშასადამე, იგი გეომეტრიული პროგრესიით მატულობს იმ ზომით, რა ზომითაც მომხმარებლის ქონება კლებულობს; იგი შებრუნებულ პროგრესიულ გადასახადს წარმოადგენს. ეს არის პრემია ღვინის გაყალბებისა და მიმსგავსებისათვის და, ამგვარად, იწვევს მშრომელი კლასების სისტემატურ მოწამლვას, იგი ამცირებს ღვინის მოხმარებას, იმით რომ აგებს სააქციზო

სადარაჯოს (octrois) ყველა 4 000 მეტი ადამიანით დასახლებულ ქალაქის ჭიშკართან და აქცევს ყოველ ასეთ ქალაქს საფრანგეთის ღვინისაგან მფარველობითი ბაჟებით დაცულ უცხო ქვეყნად. ღვინის მსხვილი ვაჭრები და კიდევ უფრო წვრილი marchands de vin, მიკიტნები, რომელნიც სავსებით დამოკიდებულნი არიან ღვინის მოხმარებაზე — ყველა ესენი ღვინის ხარკის გადასახადის გაშმაგებული წინააღმდეგნი არიან. დაბოლოს, მოხმარების შემცირებით ღვინის გადასახადი ღვინის წარმოებას უმცირებს გასაღების ბაზარს. იგი უსპობს ქალაქელ-მუშებს ღვინის ყიდვის შესაძლებლობას და ამით უსპობს მევენახე გლეხებს ღვინის გაყიდვის შესაძლებლობას. საფრანგეთში კი დაახლოებით 12 მილიონი მევენახე ითვლება. ამიტომ გასაგებია მთელი ხალხის სიძულვილი ღვინის გადასახადის მიმართ, გასაგებია განსაკუთრებით გლეხების ფანატიკური გამძვინვარება. ამასთან ღვინის გადასახადის აღდგენაში ისინი ხედავდნენ არა ცალკეულ, მეტნაკლებ შემთხვევით მოვლენას. გლეხებს თავისი განსაკუთრებული ისტორიული ტრადიცია აქვთ, რომელიც მამიდან შვილზე გადადის, და ამ ისტორიულ სკოლაში შეიქმნა ისეთი შეხედულება, რომ ყოველი მთავრობა, როდესაც გლეხების მოტყუება სურს, ღვინის გადასახადის მოსპობას შეპირდება მათ, ხოლო როდესაც ხალხს უკვე მოატყუებს, ამ გადასახადს ძალაში ტოვებს, ან აღადგენს ხოლმე მას. ღვინის გადასახადზე გლეხი შინჯავს მთავრობის თაიგულს, მის ტენდენციას. ღვინის გადასახადის აღდგენა 20 დეკემბერს ნიშნავდა: ლუი ბონაპარტიც ისეთივეა, როგორიც სხვები. მაგრამ ლუი ბონაპარტი არ იყო ისეთივე, როგორიც სხვები, იგი გლეხების გამოგონებაიყო, და მილიონიანი ხელმოწერით დაფარულ პეტიციებში ღვინის გადასახადის წინააღმდეგ გლეხობამ უკან წაიღო თავისი ხმები, რომლებიც მან ერთი წლის წინათ «თავისი ბიძის ძმისწულს» მისცა.

სოფლის მოსახლეობა, საფრანგეთის მთელი მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი, მეტწილად ეგრეთწოდებულ თავისუფალ მიწის მესაკუთრეთაგან შედგება. ამ ადამიანთა პირველმა თაობამ, რომელიც უსასყიდლოდ გაანთავისუფლა ფეოდალური ბეგრისგან 1789 წლის რევოლუციამ, მუქთად მიიღო მიწა. მაგრამ მისი შემდგომი თაობები მიწის ფასის სახით იხდიდნენ იმას, რასაც მათი ნახევრად ყმა წინაპრები იხდიდნენ რენტის, მეათედის, ბეგარის და სხვ. სახით. რაც უფრო იზრდებოდა, ერთი მხრივ, მოსახლეობა, ხოლო მეორე მხრივ — დიდდებოდა მიწების დაქუცმაცება, მით

უფრო ძვირი ხდებოდა პატარა მიწის ნაკვეთის ფასი, რადგანაც, რამდენადაც წვრილდებოდა ეს პარცელები, იმდენადვე იზრდებოდა მოთხოვნა მათ მიმართ. მაგრამ გლეხთა პარცელების ფასის ზრდასთან ერთად იზრდებოდა გ ლ ე ხ ი ს დ ა ვ ა ლ ი ა ნ ე ბ ა, ე. ი. ი პ ო თ ე კ ი, — სულ ერთია, პირდაპირ ყიდულობდა გლეხი პარცელს თუ ამას კაპიტალად უთვლიდნენ მას მისი თანამემკვიდრეები. და სწორედ მიწაზე დადებულ ვალს ეწოდება ი პ ო თ ე კ ი, ე. ი. გირავნობის სიგელი მიწაზე. როგორც საშუალო საუკუნეებში მიწის ნაკვეთს პ რ ი ვ ი ლ ე გ ი ე ბ ი აწვა, ისევე ახლანდელ პარცელებს ი პ ო თ ე კ ი აწევს. მეორე მხრივ, მიწის წვრილი ნაკვეთების რეჟიმის დროს მიწა მისი მესაკუთრისთვის წ ა რ მ ო ე ბ ი ს უბრალო ი ა რ ა ღ ი ა. რამდენადაც ქუცმაცდება მიწა, იმდენადვე კლებულობს მისი ნაყოფიერება. მანქანების გამოყენება ნიადაგის დამუშავებისას, შრომის დანაწილება, მიწის დიდი სამელიორაციო საშუალებები, როგორიცაა საშრობი და სარწყავი არხების გაყვანა და სხვ. ყველაფერი ეს სულ უფრო და უფრო ხელმიუწვდომელი ხდება, ხოლო მიწის დამუშავების ა რ ა წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი ხ ა რ ჯ ე ბ ი იზრდება იმავე პროპორციით, რა პროპორციითაც მატულობს თვით საწარმოო საშუალების დაქუცმაცება. და ყველა ეს — დამოუკიდებლად იმისგან, აქვს პარცელის მფლობელს **კაპიტალი** თუ არა. მაგრამ რაც უფრო წინ მიდის მიწის **დაქუცმაცების პროცესი**, მით უფრო მიწის ნაკვეთი ყოვლად უბადრუკი ინვენტარითურთ ხდება ცეროდენა მეურნეობის ერთადერთი კაპიტალი, მით უფრო ნაკლებად შესაძლებელი ხდება კაპიტალის გამოყენება მიწაზე, მით უფრო ნაკლებ აქვს წვრილ გლეხს მიწა, ფული და განათლება, რაც აუცილებელია აგრონომიის წარმატებათა გამოსაყენებლად, მით უფრო სწრაფად ეცემა მიწის დამუშავება. დაბოლოს, წ მ ი ნ დ ა შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი კლებულობს იმავე პროპორციით, რა პროპორციითაც იზრდება მ თ ლ ი ა ნ ი მ ო ხ მ ა რ ე ბ ა, რამდენადაც გლეხის მთელ ოჯახს მისი საკუთრება აბრკოლებს ხელი მოჰკიდოს სხვა მოსაქმეობას, და იმავე დროს ეს საკუთრება არ უზრუნველჰყოფს მის არსებობას.

ამგვარად, რა ზომითაც მატულობს მოსახლეობა და მასთან ერთად მიწის დაქუცმაცება, იმავე ზომით ძ ვ ი რ დ ე ბ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა, მიწა, კლებულობს მ ი ს ი ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა, ე ც ე მ ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა და ი ზ რ დ ე ბ ა გ ლ ე ხ თ ა დ ა ვ ა ლ ი ა ნ ე ბ ა. და ის, რაც შედეგი იყო, თავის მხრივ მიზეზად იქცევა. ყოველი თაობა სულ უფრო და უფრო დიდ

ვალს უტოვებს შემდგომ თაობას. ყოველი ახალი თაობა უფრო მძიმე და არახელსაყრელ პირობებში იწყებს ცხოვრებას, დავალიანება წარმოშობს დავალიანებას, და როდესაც გლეხს აღარ შეუძლია თავისი ნაკვეთის გადაგირავება ახალი ვალის ასაღებად, ე. ი. მისი დატვირთვა ახალი იპოთეკით, მაშინ იგი პირდაპირ მევახშეს უვარდება ხელში და მით უფრო უზარმაზარი ხდება სავახშო სარგებელი.

ამრიგად, საფრანგეთის გლეხი მიწაზე დადებული იპოთეკის სარგებლის სახით, მევახშისგან აღებული არაიპოთეკური სესხის სარგებლის სახით, კაპიტალისტებს აძლევს არა მარტო მიწის რენტას, არა მარტო მთელ სამრეწველო მოგებას, ერთის სიტყვით, —არა მარტო მთელ წმინდა შემოსავალს, არამედ თავისი შრომის ხელფასის ნაწილსაც; იგი, ამგვარად, ირლანდიელი მოიჯარადრის დონემდე ჩამოქვეითდა, — და ყველაფერი ეს იმ საბაბით ხდება, რომ იგი კერძო მესაკუთრეა.

ეს პროცესი საფრანგეთში დააჩქარა მუდამ მზარდმა საგადასახადოტვირთმა და სასამართლო ხარჯებმა, ნაწილობრივ თვით იმ ფორმალობამ, რომლითაც საფრანგეთის კანონმდებლობის მიერ შემოხვეულია საადგილმამულო საკუთრება, ნაწილობრივ ყველგან ერთი მეორის მოსაზღვრე და ერთი მეორეზე გადაჯვარადინებული პარცელების მესაკუთრეთა უამრავმა კონფლიქტმა, ნაწილობრივ დავისადმი მისწრაფებამ, რაც ახასიათებს გლეხებს, რომელთათვის საკუთრებით სიამოვნების მიღება იმაში გამოიხატება, რომ მოჩვენებითი საკუთრება —საკუთრების უფლება ფანატიკურად დაიცვან.

1840 წლის სტატისტიკური გამოანგარიშების თანახმად, საფრანგეთის მიწათმოქმედების მთლიანი პროდუქტი 5.237.178.000 ფრანკს შეადგენდა. აქედან უნდა გამოაკლდეს 3.552.000.000 ფრანკი დამუშავების ხარჯებისათვის, ამაში მიწათმოქმედთა მოხმარების ჩათვლით რჩება 1.685.178.000 ფრანკის წმინდა პროდუქტი, საიდანაც მოსაკლებია 550 მილიონი საიპოთეკო სარგებლისთვის, 100 მილიონი სასამართლოს მოხელეებისთვის, 350 მილიონი გადასახადებისათვის და 107 მილიონი ნოტარიული და საღერბო გამოსაღებისთვის, საიპოთეკო ბაჟებისათვის და სხვ. რჩება წმინდა პროდუქტის მესამედი ნაწილი, 538 მილიონი. მოსახლეობის ყოველ სულზე არც

კი მოდის წმინდა შემოსავალის 25 ფრანკი[1]. ამ გამოანგარიშებაში, რანაკვირველია, არაა მხედველობაში მიღებული არც იპოთეკის გარეშე მევახშეობა, არც ადვოკატებზე გასაწევი ხარჯები და სხვ.

ახლა გასაგებია საფრანგეთის გლეხების მდგომარეობა, როდესაც რესპუბლიკამ მის ძველ ტვირთს კიდევ ახალი მიუმატა. ცხადია, რომ გლეხობის ექსპლოატაცია მარტოოდენ ფორმით განირჩევა საფაბრიკო პროლეტარიატის ექსპლოატაციისაგან. ექსპლოატატორი იგივე კაპიტალია. ცალკეული კაპიტალისტები ცალკეული გლეხების ექსპლოატაციას ეწევიან იპოთეკისა და მევახშეობის გზით, კაპიტალისტთა კლასი გლეხების კლასის ექსპლოატაციას ეწევა სახელმწიფოგადასახადების გზით. გლეხთა საკუთრების უფლება არის ის თილისმა, რომელიც დღემდე კაპიტალის ხელში აგდებდა გლეხებს; ამ საკუთრების საბაბით უსისინებდა კაპიტალი გლეხებს სამრეწველო პროლეტარიატის წინააღმდეგ. მხოლოდ კაპიტალის დაცემას შეუძლია გლეხის აწევა მაღლა, მხოლოდ ანტიკაპიტალისტურ, პროლეტარულ მთავრობას შეუძლია ბოლო მოუღოს მის ეკონომიურ სიღატაკეს და საზოგადოებრივ დეგრადაციას. კონსტიტუციური რესპუბლიკა — ეს მისი შეერთებული ექსპლოატატორების დიქტატურაა; სოციალ-დემოკრატიული, წითელი რესპუბლიკა — ეს მისი მოკავშირეების დიქტატურაა. და სასწორის ჯამი მაღლა ან დაბლა იწევს იმ ხმების მიხედვით, რომლებსაც გლეხობა ისვრის საარჩევნო ყუთში. მან თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისი ბედი. — ასე ამბობდნენ სოციალისტები პამფლეტებში, ალმანახებში, კალენდრებში, ყოველგვარ ბროშურებში. ეს იდეები კიდევ უფრო გასაგები გახდა გლეხებისთვის წესრიგის პარტიის პოლემიკური ნაწერების მეოხებით; ეს პარტიაც მიმართავდა ხოლმე მას თავისი უხეში გაზვიადებით, სოციალისტების მისწრაფებათა და იდეების უსინდისო გაყალბებით პოულობდა გლეხის შესაფერ კილოს და აღვივებდა გლეხის მადას აკრძალული ხილის საგემებლად. მაგრამ ყველაზე უფრო გასაგებად მეტყველებდა თვით ის გამოცდილება, რომელიც გლეხთა კლასმა შეიძინა საარჩევნო უფლების გამოყენებისას და იმედგაცრუება, რომელიც მას ზედიზედ დაატყდა თავს

[1] მარქსის მიერ მოყვანილი გაანგარიშება შეიცავს ციფრების შეუსაბამობას. სავარაუდებელია, რომ აქ შეიპარა ბეჭდვითი შეცდომა და ნაცვლად 538 მილიონისა უნდა ეწეროს 578. მაგრამ ეს განსხვავება ციფრებში არ მოქმედობს მარქსის ზოგად დასკვნაზე: ორივე შემთხვევაში მოსახლეობის თვითეულ სულზე წმინდა შემოსავლის 25 ფრანკზე ნაკლები მოდის. რედ.

რევოლუციის აბობოქრებულ განვითარებაში. რ ე ვ ო ლ უ ც ი ე-ბ ი ის ტ ო რ ი ი ს ლ ო კ ო მ ო ტ ი ვ ე ბ ი ა.

თანდათანი გადატრიალება გლეხების განწყობილებაში სხვადასხვა ნიშნებით გამოვლინდა. მან თავი იჩინა უკვე საკანონმდებლო კრების არჩევნებში, თავი იჩინა საალყო მდგომარეობის დროს, რომელიც გამოცხადდა ლიონის ხუთ მოსაზღვრე დეპარტამენტში, თავი იჩინა 13 ივნისიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჟირონდის დეპარტამენტის მიერ «უბადლო პალატის» («chambre introuvable»-ის) [1] ყ ო ფ ი ლ ი პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი ს ა დ გ ი ლ ზ ე მონტანიარის არჩევაში, თავი იჩინა 1849 წლის 20 დეკემბერს წითელი დეპუტატის არჩევაში გ ა რ ი ს დეპარტამენტის გარდაცვლილი ლეგიტიმისტი დეპუტატის ადგილას. ეს დეპარტამენტი ხომ ოდესღაც ლეგიტიმისტების აღთქმის ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც 1794 და 1795 წლებში ადგილი ჰქონდა რესპუბლიკელებთან სისხლიანი გასწორების სცენებს, სადაც 1815 წელს თეთრი ტერორის კერა იყო, სადაც ლიბერალები და პროტესტანტები საჯაროდ დახოცეს. ამ ყოვლად კონსერვატიული კლასის გარევოლუციონერება ცხადად გამოჩნდა ღვინის გადასახადის აღდგენის შემდეგ. მთავრობის ღონისძიებები და კანონები 1850 წლის იანვარსა და თებერვალში თითქმის მხოლოდ და მხოლოდ დ ე პ ა რ ტ ა მ ე ნ ტ ე ბ ი ს და გ ლ ე ხ ე ბ ი ს წინააღმდეგაა მიმართული, და ეს კი მათი პროგრესის ყველაზე უფრო დამარწმუნებელი მაჩვენებელია.

დ ' ო პ უ ლ ი ს ც ი რ კ უ ლ ა რ ი, რომლითაც ჟანდარმი პრეფექტის, პრეფექტის თანაშემწის და, პირველყოვლისა, მერის ინკვიზიტორი გახდა და რომელმაც ჯაშუშობის სისტემა მოაწყო ყოვლად მივარდნილი სასოფლო თემების მიყრუებულ კუთხეებამდე; კ ა ნ ო ნ ი ს კ ო ლ ი ს მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, რომელმაც ისინი, გლეხთა კლასის ეს სულიერი ბელადები, აღმზრდელები და იდეოლოგები, პრეფექტის თვითნებობას დაუქვემდებარა და რომელიც სწავლულთა კლასის ამ პროლეტარებს, დევნილი მხეცებივით, ერთი სოფლიდან მეორეში ერეკებოდა; კ ა ნ ო ნ პ რ ო ე ქ ტ ი მ ე რ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, რომელმაც მათ თავზე გადაყენების დამოკლეს ხმალი დაჰკიდა და რომე-

[1] ასეთი სახელწოდებითაა ცნობილი ისტორიაში უშუალოდ ნაპოლეონის მეორედ დაცემის შემდეგ 1815 წელს არჩეულ დეპუტატთა პალატა, რომელიც ფანატიკურად ულტრაროიალისტური და რეაქციული იყო (ენგელსის შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1895 წ ლ ი ს გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს).

ლიც მათ, გლეხთა თემების პრეზიდენტებს, მუდამჟამს რესპუბლიკის პრეზიდენტს და წესრიგის პარტიას უპირისპირებდა; ბ რ ძ ა ნ ე ბ ა, რომელმაც საფრანგეთის 17 სამხედრო ოლქი ოთხ ფაშალიკად გარდაქმნა და ყაზარმა და ბივუაკი ფრანგების ეროვნულ სალონად გადააქცია; კ ა ნ ო ნ ი ს კ ო ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ, რომლითაც წესრიგის პარტიამ უვიცობა და საფრანგეთის გონების ძალით დახშობა თვისი სიცოცხლის აუცილებელ პირობად გამოაცხადა საყოველთაო საარჩევნო უფლების რეჟიმის არსებობის დროს, — რას წარმოადგენდა ყველა ეს კანონები და ღონისძიებები? სასოწარკვეთილ ცდას წესრიგის პარტიისადმი დეპარტამენტებისა და დეპარტამენტების გლეხობის კვლავ დასაქვემდებარებლად.

როგორც რ ე პ რ ე ს ი ა — ეს იყო უბადრუკი საშუალებები, რომლებიც მიზანს არ აღწევდა. დიდი ღონისძიებები, როგორიც იყო ღვინის გადასახადის და 45-სანტიმიანი გადასახადის შენარჩუნება, მილიარდის დაბრუნების შესახებ გლეხთა პეტიციების დაცინვით უკუგდება და სხვ. — ყველა ეს კანონმდებლობითი მეხი მხოლოდ უეცრად, ბითუმად, დაატყდა თავს გლეხობას ცენტრალური მთავრობისაგან; აღნიშნული კანონები და ღონისძიებანი შეტევას და წინააღმდეგობას ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ხასიათს ანიჭებდნენ, სალაპარაკო თემად ხდიდნენ ყოველ ქოხში, ისინი რევოლუციას ამყნობდნენ ყოველ სოფელში, მ ა თ გ ა დ ა ჰ ქ ო ნ დ ა თ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ა დ გ ი ლ ე ბ ზ ე და გ ლ ე ხ უ რ ე ლ ფ ე რ ს ა ძ ლ ე ვ დ ნ ე ნ მ ა ს.

მეორე მხრივ, განა ბონაპარტის ეს პროექტები და მათი მიღება ეროვნული კრების მიერ არ ამტკიცებს კონსტიტუციური რესპუბლიკის ორივე ხელისუფლების თანხმობას იქ, სადაც საქმე შეეხება ანარქიის ჩახშობას, ე. ი. ყველა იმ კლასების ჩახშობას, რომელნიც მხედრდებიან ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ? განა ს უ ლ უ კ მ ა თავისი უხეში ეპისტოლეს [1] შემდეგ დაუყოვნებლივ არ დააჯერა საკანონმდებლო კრება თავის ერთგულებაში წესრიგის საქმის მიმართ კ ა რ ლ ი ე ს ეპისტოლეთი, რომელიც უშუალოდ იმ ეპისტოლეს მიაყოლა, — კარლიესი, რომელიც ფუშეს ჭუჭყიან და მდაბალ კარიკატურას წარმოადგენდა, ისე როგორც თვით ლუი ბონაპარტი ნაპოლეონის უგვანო კარიკატურა იყო?

---

[1] მხედველობაშია ნაპოლეონ III მიერ საერო კრებისადმი წარგზავნილი ეპისტოლე, რომელშიაც იგი იუწყებოდა, რომ გადააყენა ბაროს სამინისტრო და შეჰქმნა ახალი სამინისტრო. რ ე დ.

კანონი კოლეგის შესახებ ჩვენ გვიჩვენებს ახალგაზრდა კათოლიკების და მოხუც ვოლტერიანელების კავშირს. შეერთებული ბურჟუაზიის ბატონობა, — შეიძლებოდა სხვა რამე ყოფილიყო ის, თუ არ შეერთებული დესპოტიზმი იეზუიტებისადმი მეგობრულად განწყობილი რესტავრაციისა და თავისუფლად მოაზროვნე ივლისის მონარქიისა? იარაღი, რომელიც ბურჟუაზიულმა ფრაქციებმა ხალხს დაურიგეს, როდესაც ისინი ერთი მეორის წინააღმდეგ იბრძოდნენ უმაღლესი ხელისუფლებისათვის, განა ახლა არ უნდა გამოეგლიჯათ ისევ ხალხის ხელიდან, რადგან ეს ხალხი პირისპირ ედგა მათ შეერთებულ დიქტატურას? არაფერს, ნებაყოფლობითი მორიგების კანონის უკუგდებასაც კი, ისე არ აღუშფოთებია პარიზელი მედუქნე, როგორც იგი აღაშფოთა იეზუიტობის ამ ამიკურმა გამოფენამ.

ამასობაში გრძელდებოდა შეტაკებები წესრიგის პარტიის სხვადასხვა ფრაქციებს შორის, ისევე როგორც ეროვნულ კრებას და ბონაპარტს შორის. ეროვნულ კრებას არ მოეწონა, რომ ბონაპარტმა უშუალოდ თავის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, საკუთარი ბონაპარტისტული სამინისტროს დანიშვნის შემდეგ, ახლად პრეფექტებად დანიშნული მონარქიის ინვალიდები მოიწვია და მათი სამსახურის პირობად მისი მეორედ პრეზიდენტად არჩევის სასარგებლოდ კონსტიტუციით აკრძალული აგიტაციის გაწევა გამოაცხადა; არ მოეწონა, კარლიემ რომ თავისი დანიშვნა მით იდღესასწაულა, რომ დახურა ერთი ლეგიტიმისტური კლუბი; არ მოეწონა, რომ ბონაპარტმა თავისი გაზეთი «Le Napoléon» დააარსა, რომელიც საზოგადოებას პრეზიდენტის ფარულ ზრახვებს უმხელდა, მაშინ როდესაც მის მინისტრებს ეს ზრახვები საკანონმდებლო კრების ტრიბუნაზე უნდა უარეყოთ; კრებას არ მოეწონა, რომ ბონაპარტი, უნდობლობის ყველა ვოტუმის მიუხედავად, ჯიუტად არ ითხოვდა თავის მინისტრებს; არ მოეწონა, რომ ბონაპარტი უნტერ-ოფიცრებისათვის დღიური ჯამაგირის ოთხი სუს მიმატებით მათი გულის მოგებას შეეცადა, ხოლო ეჟენ სიუს «პარიზის საიდუმლოების» პლაგიატობით — «საპატიო გამსესხებელი ბანკის» დაარსების საშუალებით პროლეტარიატის გულის მოგება სცადა. დაბოლოს, არ მოეწონა ის უტიფრობა, რომლითაც მინისტრებს წინადადება შეუტანინეს ივნისის დარჩენილ მეამბოხეთა ალჟირში გასახლების შესახებ, რათა ამით საკანონმდებლო კრება არაპოპულარული გამხდარიყო ბითუმად, მაშინ როდესაც თვითონ პრეზიდენტი თავისთავის პოპულარობას წვრილ-წვრილი ამნისტიების ცალკეული აქტების გზით

უზრუნველჰყოფდა. ტ ი ე რ მ ა მუქარიანი სიტყვები წარმოთქვა «სახელმწიფო გადატრიალების» («coup d'état»-ის) და «აჩქარებულ საქციელის» («coup de tête»-ის) შესახებ, ხოლო საკანონმდებლო კრება შურს იძიებდა ბონაპარტზე იმით, რომ უარყოფდა ყოველ კანონპროექტს, რომელიც მას შემოჰქონდა თავისი საკუთარი ინტერესებისათვის, ხოლო ყოველ პროექტს, რომელიც მას შემოჰქონდა საერთო ინტერესის მიზნით, ეჭვით სავსე აურზაურით იკვლევდა, — აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერების საბაბით ბონაპარტის პირადი ძალაუფლების გაძლიერებას ხომ არ ემსახურებაო იგი. ერთის სიტყვით, იგი ზ ი ზ ღ ი ს შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ი თ ი ძ ი ე ბ დ ა შ უ რ ს.

ლეგიტიმისტების პარტიას, თავის მხრივ, აბრაზებდა ის, რომ უფრო მოხერხებულმა ორლეანისტებმა ისევ ჩაიგდეს ხელში თითქმის ყველა სახელმწიფო თანამდებობა, აბრაზებდა ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ზრდა, რადგან იგი დ ე ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ა გ ა ნ მოელოდა თავისი საქმის წარმატებას. და მართლაც, კონტრრევოლუცია ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ი თ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ დ ა ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ ა ც ი ა ს, ე. ი. ამზადებდა რევოლუციის მექანიზმს. მან ბანკნოტებისთვის სავალდებულო კურსის მინიჭებით საფრანგეთის ოქროს და ვერცხლის ცენტრალიზაციაც მოახდინა პარიზის ბანკში და ამგვარად რევოლუციის მ ზ ა მ ზ ა რ ე უ ლ ი ს ა მ ხ ე დ რ ო ფ ო ნ დ ი შ ე ჰ ქ მ ნ ა.

დაბოლოს, ორლეანისტებს აბრაზებდა ის, რომ მათ ნაბიჭვრულ პრინციპს უპირისპირდებოდა ლეგიტიმიზმის პრინციპი, რომ თვითონ მათ მუდამჟამს უკან აყენებენ და მოურიდებლად ეპყრობიან, როგორც აზნაური ეპყრობა თავის ბურჟუაზიული წარმოშობის ცოლს.

ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ დგებოდნენ თანდათან პროლეტარიატის მხარეზე გლეხები, წვრილი ბურჟუები, საერთოდ საზოგადოების საშუალო ფენები, თუ როგორ ვარდებოდნენ ისინი აშკარა ანტაგონიზმში ოფიციალური რესპუბლიკის მიმართ და თუ როგორ მტრებივით ეპყრობოდა მათ ეს რესპუბლიკა. ა მ ხ ე დ რ ე ბ ა ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ა, შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ა დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი დ ა წ ე ს ებ უ ლ ე ბ ე ბ ი ს, რ ო გ ო რ ც ა მ გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს ი ა რ ა ღ ე ბ ი ს ა, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს გ ა რ შ ე მ ო დ ა რ ა ზ მ ვ ა, რ ო გ ო რ ც გ ა დ ა მ ჭ რ ე ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ძ ა-

ლის გარშემო, — აი ის საერთო ნიშნები, რომელნიც ახასიათებენ ეგრეთწოდებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, წითელი რესპუბლიკის პარტიას. ეს «ანარქიის პარტია», როგორც იგი მონათლეს მისმა მოწინააღმდეგეებმა, ისე როგორც წესრიგის პარტია, სხვადასხვა ინტერესების კოალიციას წარმოადგენს, ძველი საზოგადოებრივი უწესრიგობის სულ მცირე რეფორმიდან დაწყებული ვიდრე ძველი საზოგადოებრივი წესრიგის დამხობამდე, ბურჟუაზიული ლიბერალიზმიდან დაწყებული ვიდრე რევოლუციურ ტერორიზმამდე, — ასე დაშორებულია ერთმანეთს ის უკიდურესობანი, რომელნიც «ანარქიის» პარტიის გამოსავალ და საბოლოო წერტილს შეადგენენ.

მფარველობითი ბაჟების მოსპობა სოციალიზმია! იმიტომ რომ იგი თავს ესხმის წესრიგის პარტიის სამრეწველო ფრაქციის მონოპოლიას. სახელმწიფო მეურნეობის მოწესრიგება სოციალიზმია! იმიტომ რომ იგი თავს ესხმის წესრიგის პარტიის ფინანსური ფრაქციის მონოპოლიას. პურის და ხორცის თავისუფალი შემოზიდვა საზღვარგარეთიდან სოციალიზმია! იმიტომ რომ იგი არღვევს წესრიგის პარტიის მესამე ფრაქციის — მსხვილი მიწათმფლობელობის — მონოპოლიას. ფრიტრედერების პარტიის, ინგლისის ბურჟუაზიის ყველაზე უფრო მოწინავე პარტიის, მოთხოვნები საფრანგეთში ყველანი სოციალისტურ მოთხოვნებს წარმოადგენენ. ვოლტერიანობა სოციალიზმია! იმიტომ რომ იგი თავს ესხმის წესრიგის პარტიის მეოთხე ფრაქციას, კათოლიკურ ფრაქციას; ბეჭდვის თავისუფლება, კავშირების თავისუფლება, საყოველთაო სახალხო განათლება სოციალიზმია, სოციალიზმი! ეს ხომ იერიშის მიტანაა წესრიგის პარტიის საერთო მონოპოლიაზე!

რევოლუციის მსვლელობაში მდგომარეობა ისე სწრაფად მომწიფდა, რომ ყველა ელფერის რეფორმის მეგობრები, საშუალო კლასების თვით უმნიშვნელო მოთხოვნანი იძულებული გახდნენ გადატრიალების მომხრე უკიდურესი პარტიის დროშის ირგვლივ, წითელი დროშის ირგვლივ დაჯგუფებულიყვნენ.

თუმცა «ანარქიის პარტიის» მთავარი შემადგენელი ელემენტების სოციალიზმი ძალიან სხვადასხვა იყო ეკონომიური პირობებისა და აქედან გამომდინარე ამა თუ იმ კლასისა თუ ფრაქციის საერთო რევოლუციურ მოთხოვნათა მიხედვით, მაგრამ ერთ პუნქტში ეს სოციალიზმი იგივე რჩებოდა: იგი თავის თავს პროლეტარიატის განთავისუფლების საშუალ-

ბ ა დ აცხადებდა და ამ განთავისუფლებას თავის მ ი ზ ნ ა დ სახავდა. განზრახი მოტყუება ერთთა მხრივ, თავმოტყუება მეორეთა მხრივ, რომელნიც ფიქრობენ, რომ მათი მოთხოვნილებების მიხედვით გარდაქმნილი სამყარო საუკეთესო ქვეყანაა ყველასათვის, რომ იგი ანხორციელებს ყველა რევოლუციურ მოთხოვნას და სპობს ყველა რევოლუციურ კონფლიქტს.

«ანარქიის პარტიის» თითქმის ერთნაირად ჟღერადი ს ა ე რ თ ო სოციალისტური ფრაზების ქვეშ იმალება, ჯერ ერთი, გაზეთების: «National», «Presse», «Siècle»-ს სოციალიზმი, რომელიც მეტნაკლები თანმიმდევრობით მიისწრაფის ფინანსური არისტოკრატიის ბატონობის დამხობისაკენ და მრეწველობის და აღებმიცემობის ძველი ბორკილებისაგან განთავისუფლებისაკენ. ესაა სოციალიზმი მრეწველობის, ვაჭრობის და მიწათმოქმედებისა, რომელთა გამგებელნი, წესრიგის პარტიაში მყოფნი, მსხვერპლად წირავენ მათ ინტერესებს, რამდენადაც ეს უკანასკნელნი უკვე აღარ ემთხვევიან მათ კერძო მონოპოლიებს. ამ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს გ ა ნ, რომელიც სოციალიზმის ყოველი დანარჩენი სახესხვაობის მსგავსად თავისკენ იზიდავს მუშების და წვრილი ბურჟუების განსაზღვრულ ნაწილს, განსხვავდება საკუთრივ წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი სოციალიზმი, სოციალიზმი **par excellence** [1].

კაპიტალი ძარცვავს ამ კლასს, უმთავრესად,როგორც კ რ ე დ ი ტ ო რ ი, ამიტომ ეს კლასი მოითხოვს ს ა კ რ ე დ ი ტ ო დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ს; კაპიტალი აკიწროებს მას თავისი კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ი თ, ამიტომ იგი მოითხოვს ა ს ო ც ი ა ც ი ე ბ ს, რომლებიც სახელმწიფო დახმარებით იქნებიან უზრუნველყოფილნი. კაპიტალი ძლევს მას კ ო ნ ც ე ნ ტ რ ა ც ი ი თ, ამიტომ იგი მოითხოვს პ რ ო გ რ ე ს ი უ ლ გ ა დ ა ს ახ ა დ ს, მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვას, მსხვილ საშუშაოთა შესრულებას სახელმწიფოს მიერ და სხვა ღონისძიებებს, რომელნიც ძ ა ლ ი თ შ ე ა ჩ ე რ ე ბ ე ნ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ზ რ დ ა ს. რადგან ეს კლასი ოცნებობს თავისი სოციალიზმის მშვიდობიან განხორციელებაზე, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ვთქვათ, მოკლეხნიან მეორე თებერვლის რევოლუციას, — ამიტომ, ბუნებრივია, მომავალი ისტორიული პროცესი მას წარმოდგენილი აქვს ს ი ს ტ ე მ ა თ ა გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს სახით, რომელთაც საზოგადოების მოაზროვნენი — ერთად კომპანიებში ან ცალ-ცალკე — გამოიგონებენ ან უკვე გამოიგო-

[1] უპირატესად. რ ე დ.

ნეს. ამგვარად, ეს სოციალისტები ხდებიან ეკლექტიკოსებად, ან არსებული სოციალისტური სისტემების მომხრეებად, იმ დოქტრინერულ სოციალიზმის მომხრეებად, რომელიც პროლეტარიატის თეორიულ გამოსახულებას მხოლოდ მანამდე შეადგენდა, სანამ პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ იყო თავისი საკუთარი თავისუფალი ისტორიული მოძრაობისთვის მომწიფებული.

მაშინ როდესაც, ამგვარად, ეს უტოპია, ეს დოქტრინერული სოციალიზმი მთელ ისტორიულ მოძრაობას უმორჩილებს ერთ-ერთ მის მომენტს, რომელიც კოლექტიური, საზოგადოებრივი წარმოების ადგილას ცალკეული პედანტის ტვინის ნამოქმედარს აყენებს და, რაც მთავარია, თავის ფანტაზიაში კლასთა რევოლუციურ ბრძოლას ყველა მისი აუცილებელი გამოვლინებით წვრილ-წვრილი ფოკუსებისა ან მსხვილი სენტიმენტალობის საშუალებით აუქმებს; მაშინ როდესაც ეს დოქტრინერული სოციალიზმი, რომელიც არსებითად მხოლოდ თანამედროვე საზოგადოების იდეალიზაციას ახდენს, ამ საზოგადოების უჩრდილო სურათს აკეთებს და ცდილობს ამ საზოგადოების სინამდვილის წინააღმდეგ თავის იდეალის განხორციელებას; მაშინ, როდესაც ეს სოციალიზმი პროლეტარიატისგან წვრილ ბურჟუაზიაზე გადადის, როდესაც ბრძოლა სხვადასხვა სოციალისტურ ბელადებს შორის ცხადჰყოფს, რომ თვითეული ეს ეგრეთწოდებული სისტემა წარმოადგენს პრეტენზიებით აღსავსე ხელჩაჭიდებას სოციალური გადატრიალების ერთ-ერთი გარდამავალი მომენტისთვის სხვების წინააღმდეგ, — ამ დროს პროლეტარიატი უფრო და უფრო თავს იყრის რევოლუციური სოციალიზმის ირგვლივ, კომუნიზმის ირგვლივ, რომელიც ბლანკის სახელით მონათლა თვით ბურჟუაზიამ. ეს სოციალიზმი სხვა არა არის რა თუ არ განუწყვეტელი რევოლუციის გამოცხადება, პროლეტარიატის კლასობრივი დიქტატურა, როგორც აუცილებელი გარდამავალი საფეხური საზოგადოდ კლასობრივ განსხვავებათა მოსასპობად, ყველა იმ წარმოებითი ურთიერთობათა მოსასპობად, რომლებზედაც ეს განსხვავებანი არიან დამყარებული, ყველა იმ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა მოსასპობად, რომელნიც ამ წარმოებითი ურთიერთობებს შეესაბამებიან, ყველა იმ იდეების გადასატრიალებლად, რომელნიც ამ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათაგან გამომდინარეობენ.

ჩვენი გადმოცემის ჩარჩოები ნებას არ გვაძლევს უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ საგანზე.

ჩვენ ვნახეთ: როგორც წ ე ს რ ი გ ი ს პარტიაში აუცილებლობის გამო სათავეში მოექცა ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი ა, ისევე «ა ნ ა რ ქ ი ი ს პარტიაში» — პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი. იმ დროს, როდესაც სხვადასხვა კლასების რევოლუციური ლიგა პროლეტარიატის ირგვლივ ჯგუფდებოდა, როდესაც დეპარტამენტები უფრო და უფრო არასაიმედონი ხდებოდნენ, და ეროვნული კრება უფრო და უფრო გაბრაზებით ბუზღუნებდა საფრანგეთის სულუკის პრეტენზიების წინააღმდეგ, — ამ დროს მოაღწია 13 ივნისს განდევნილი მონტანიარების სანაცვლო დამატებითმა არჩევნებმა, რომელიც დიდიხნის გადადებული და შეჩერებული იყო.

მთავრობა, მის მტერთაგან არაფრად ჩაგდებული, მისი ვითომდა მეგობრების მიერ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეურაცხყოფილი და დამცირებული, მხოლოდ ე რ თ საშუალებას ხედავდა ამ აუტანელი და მერყევი მდგომარეობიდან გამოსასვლელად: ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ს. აჯანყება პარიზში საბაბს მისცემდა მას საალყო მდგომარეობა გამოეცხადებინა პარიზსა და დეპარტამენტებში და ამგვარად თავის ნებაზე წარემართა არჩევნები. მეორე მხრივ, წესრიგის მეგობრები იძულებული იქნებოდნენ დათმობაზე წასულიყვნენ მთავრობის მიმართ, რომელსაც ანარქიაზე გამარჯვება ექნებოდა მოპოვებული. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ ისინი ანარქისტების როლში გამოვიდოდნენ.

მთავრობა საქმეს შეუდგა. 1850 წლის თებერვლის დამდეგს მან ხალხისათვის პროვოკაციის მოწყობის მიზნით თავისუფლების ხეების ჭრა დაიწყო. ამაოდ! თუ თავისუფლების ხეებმა თავიანთი ადგილი დაჰკარგეს, სამაგიეროდ თვითონ მან თავი დაჰკარგა და შიშით შეპყრობილმა უკან დაიხია საკუთარი პროვოკაციის წინაშე. ეროვნული კრება ყინულივით ცივი უნდობლობით შეხვდა ბონაპარტის ამ უხეშ ცდას, რათა განთავისუფლებულიყო. ამაზე მეტი წარმატება არც ივლისის კოლონებიდან გვირგვინების აღებას ჰქონია. ამან გამოიწვია ჯარის ერთ-ერთ ნაწილში რევოლუციური დემონსტრაციები და საბაბი მისცა ეროვნულ კრებას ბევრად თუ ნაკლებად ფარული უნდობლობის ვოტუმით ეპასუხნა სამინისტროსათვის. მთავრობის პრესა ამაოდ იმუქრებოდა საყოველთაო საარჩევნო უფლების მოსპობითა და კაზაკების შემოსევით. ამაოდ განუცხადა დ'ოპულმა საკანონმდებლო კრებაში მემარცხენეებს, რომ მათ შეუძლიათ გამოვიდნენ ქუჩაში; და რომ მთავრობაც მზად არის გასცეს მათ საკადრისი პასუხი. დ'ოპულმა ვერაფერს მიაღწია გარდა თავმჯდომარის მხრით წესრიგისაკენ მოწოდებისა, ხოლო

წესრიგის პარტიამ ჩუმი ნიშნის მოგებით ნება მისცა ერთ მემარცხენე დეპუტატს თავსლაფი დაესხა ბონაპარტის უზურპატორული ზრახვებისათვის. დაბოლოს, ამაოდ წინასწარმეტყველებდა მთავრობა რევოლუციის ამოხეთქვას 24 თებერვლისათვის. მთავრობამ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ხალხმა არაფრით არ აღნიშნა 24 თებერვალი.

პროლეტარიატი არ აჰყვა მთავრობის ამბოხების პროვოკაციებს, რადგან იგი რევოლუციის მოხდენას აპირებდა.

მთავრობის პროვოკაციებმა, რომლებმაც მხოლოდ გააძლიერეს საყოველთაო უკმაყოფილება არსებული წესწყობილებით, ხელი არ შეუშალეს საარჩევნო კომიტეტს, რომელიც სავსებით მუშათა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, წამოეყენებინა პარიზისათვის შემდეგი სამი კანდიდატი: დეფლოტი, ვიდალი და კარნო. დეფლოტი გადასახლებული იყო ივნისში. მაგრამ შემდეგ ბონაპარტმა მას ამნისტია უწყალობა, რასაც ბონაპარტი დრო და დრო პოპულარობის მოსახვეჭად აკეთებდა ხოლმე. დეფლოტი ბლანკის მეგობარი იყო და მონაწილეობას ღებულობდა 15 მაისის საქმეში. ვიდალი ცნობილია თავისი წიგნით «სიმდიდრის განაწილების შესახებ», როგორც კომუნისტური მწერალი. იგი ლუი ბლანის მდივანი იყო ლუქსემბურგის კომისიაში. კარნო კონვენტის წევრის, გამარჯვების ორგანიზატორის შვილი იყო, «National»-ის პარტიის ყველაზე შეურცხვენელი წევრი, დროებითი მთავრობისა და აღმასრულებელი კომისიის განათლების მინისტრი, კარნო თავისი დემოკრატიული კანონპროექტის წყალობით სკოლების შესახებ წარმოადგენდა ცოცხალ პროტესტს იეზუიტების სასკოლო კანონების წინააღმდეგ. ეს სამი კანდიდატი იყო წარმომადგენელი იმ სამი კლასისა, რომლებმაც ერთმანეთთან კავშირი შეჰკრეს: სათავეში — ივნისის მეამბოხე, რევოლუციური პროლეტარიატის წარმომადგენელი; მის გვერდით დოქტრინერ-სოციალისტი, სოციალისტური წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი; დაბოლოს, მესამე კანდიდატი — წარმომადგენელი ბურჟუაზიული რესპუბლიკელების პარტიისა, რომელთა დემოკრატიულმა ფორმულებმა სოციალისტური შინაარსი შეიძინეს წესრიგის პარტიასთან შეჯახებისას და დიდი ხანია დაჰკარგეს საკუთარი მნიშვნელობა. ეს ისევე, როგორც თებერვალში, საყოველთაო კოალიცია იყო ბურჟუაზიისა და მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ ამჯერად რევოლუციური ლიგის სათავეში პროლეტარიატი იდგა.

მოწინააღმდეგეთა ყველა ღონისძიებების მიუხედავად სოციალისტების კანდიდატებმა გაიმარჯვეს. თვით არმიამაც კი ხმა მისცა ივნისის მეამბოხეს თავისი საკუთარი სამხედრო მინისტრის, ლ ა ჰ ი ტ ი ს, წინააღმდეგ. წესრიგის პარტია თავზარდაცემული იყო. საგეპარტამენტო არჩევნებმაც ვერ ანუგეშეს იგი: მათ მონტანიარებს მოუპოვეს უმრავლესობა.

1 8 5 0 წ ლ ი ს 1 0 მ ა რ ტ ი ს ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი! ე ს ი ყ ო 1 8 4 8 წ ლ ი ს ი ვ ნ ი ს ი ს გ ა უ ქ მ ე ბ ა. ივნისის მეამბოხეების ჯალათები და გადამსახლებელნი დაბრუნდნენ ეროვნულ კრებაში, მაგრამ ახლა უკვე ქედმოხრილნი, გადასახლებულთა თანხლებით და მათი პრინციპებით ბაგეზე. ე ს ი ყ ო 1 8 4 9 წ ლ ი ს 1 3 ი ვ ნ ი ს ი ს გ ა უ ქ მ ე ბ ა: ეროვნული კრების მიერ განდევნილი მთის პარტია დაბრუნდა ეროვნულ კრებაში, მაგრამ უკვე არა როგორც რევოლუციის მეთაური, არამედ როგორც მისი მენაღარე. ე ს ი ყ ო 1 0 დ ე კ ე მ ბ რ ი ს გ ა უ ქ მ ე ბ ა: ნაპოლეონი დამარცხდა თავისი მინისტრის ლაჰიტის სახით. საფრანგეთის პარლამენტის ისტორიას ამის მხოლოდ ერთი ანალოგია ახსოვს: კარლოს X მინისტრის დ'ოსეს დამარცხება 1830 წელს. ბოლოს, 1850 წლის 10 მარტის არჩევნები — ეს იყო გაუქმება 13 მაისის არჩევნებისა, რომლებმაც წესრიგის პარტიას უმრავლესობა მოუტანა. 10 მარტის არჩევნები იყო პროტესტი 13 მაისის უმრავლესობის წინააღმდეგ. 10 მარტი იყო რევოლუცია. საარჩევნო ბიულეტენს უკან იმალებოდა ქუჩის ქვაფენილი.

«10 მარტის კენჭისყრა არის ომი» — წამოიძახა სეგურ დ' აგესომ, წესრიგის პარტიის ერთ-ერთმა ყველაზე მოწინავე წევრმა.

1850 წლის 10 მარტს კონსტიტუციური რესპუბლიკა შევიდა ახალ ფაზაში, თ ა ვ ი ს ი გ ა ხ რ წ ნ ი ს ფ ა ზ ა ში. უმრავლესობის სხვადასხვა ფრაქციები კვლავ ერთმანეთსა და ბონაპარტთან არიან გაერთიანებულნი. ისინი ისევ წესრიგის მხსნელები არიან, ბონაპარტი — ისევ მათი ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ა. თუ მათ აგონდებათ თავიანთი წარსული როიალისტობა, ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ისინი სასოწარკვეთილებას ეძლევიან ბურჟუაზიული რესპუბლიკის ყოფნა არყოფნის გამო. თუ კი ბონაპარტს აგონდება ის, რომ იგი პრეტენდენტია, ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სასოწარკვეთილებას ეძლევა — ვაი თუ სულ პრეზიდენტად დავრჩეო.

ივნისის ინსურგენტის დ ე ფ ლ ო ტ ი ს არჩევას, წესრიგის პარტიის ბრძანებით, ბონაპარტმა ბ ა რ ო შ ი ს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნით უპასუხა, იმ ბაროშის, რომელიც იყო ბლანკისა და ბარბესის, ლედრიუ-როლენის და გინარის ბრალმდებელი. კ ა რ ნ ო ს არჩევაზე საკანონმდებლო კრებამ უპასუხა სასკოლო კანონის მიღებით, ვ ი დ ა ლ ი ს ა რ ჩ ე ვ ა ზ ე — სოციალისტური პრესის აკრძალვით. თავისი პრესის საყვირის ხმით ცდილობს წესრიგის პარტია დაიხშოს შიში. «მახვილი წმინდაა», — გაჰყვირის ერთ-ერთი მისი ორგანო. «წესრიგის დამცველნი უნდა შეტევაზე გადავიდნენ წითელი პარტიის წინააღმდეგ» — გაიძახის მეორე ორგანო; «სოციალიზმსა და საზოგადოებას შორის წარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, შეუჩერებელი, ულმობელი ომი; ამ განწირულ ომში ერთი მათგანი უნდა დაიღუპოს; თუ საზოგადოება არ მოსპობს სოციალიზმს, სოციალიზმი მოსპობს საზოგადოებას», — გაჰყივის წესრიგის მესამე მამალი. ააგეთ წესრიგის ბარიკადები, სარწმუნოების ბარიკადები, ოჯახის ბარიკადები! ბოლო უნდა მოეღოს პარიზის 127.000 ამომრჩეველს! ბართლომეს ღამე სოციალისტებს! და წესრიგის პარტიას ერთი წამით სჯერა, რომ მისი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ყველაზე უფრო გააფთრებულად თავს ესხმიან მისი ორგანოები «პარიზის მედუქნეებს». პარიზის მედუქნეებმა თავიანთ წარმომადგენლად აირჩიეს პარიზის ივნისის მეამბოხე. ეს ნიშნავს: მეორე 1848 წლის ივნისი შეუძლებელია; ეს ნიშნავს: მეორე 1849 წლის 13 ივნისი შეუძლებელია; ეს ნიშნავს: კაპიტალის მორალური გავლენა გატეხილია; ეს ნიშნავს: ბურჟუაზიული პარლამენტი წარმომადგენლობს კიდევ მხოლოდ ბურჟუაზიას; ეს ნიშნავს: მსხვილი საკუთრება დაიღუპა, რადგან მისი ყმა — წვრილი საკუთრება შველას ეძებს არასმქონეთა ბანაკში.

წესრიგის პარტია, ბუნებრივია, თავის გ ა ც ვ ე თ ი ლ ფ რ ა ზ ა ს უბრუნდება. «მ ე ტ ი რ ე პ რ ე ს ი ე ბ ი!» — გაიძახის იგი. — «გ ა ა ა თ კ ე ც ე თ რ ე პ რ ე ს ი ე ბ ი!» მაგრამ მისი რეპრესიული ძალა ათჯერ შემცირდა, მაშინ როდესაც წინააღმდეგობა ასჯერ უფრო გაიზარდა. განა რეპრესიის მთავარი იარაღი — არმია, არ საჭიროებს რეპრესიას? და წესრიგის პარტია თავის უკანასკნელ სიტყვას ამბობს: «უნდა დაიმსხვრეს ლეგალურობის რკინის ყულფი, რომელიც ჩვენ გვაბრჩობს. კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი ნამდვილი იარაღით; ჩვენ კი 1848 წ. თებერვლიდან ვებრძვით რევოლუ-

ციას მისივე იარაღით, მისსავე მიწაწყალზე, ჩვენ მივიღეთ მისი დაწესებულებები; კონსტიტუცია — ეს არის ციხესიმაგრე, რომელიც იცავს მხოლოდ მოალყეებს და არა ალყაშემორტყმულთ. ტროანელი ცხენის მუცელში ჩასაფრებულნი, ჩვენ შევიპარეთ წმინდა ილიონში, მაგრამ ჩვენი წინაპრების, ბერძნებისაგან[1], განსხვავებით, მტრის ქალაქი კი არ დავიპყარით, არამედ თვითონ მოვხვდით ტყვეობაში».

კონსტიტუციას საფუძვლად უდევს საყოველთაო საარჩევნო უფლება. საყოველთაო საარჩევნო უფლების გაუქმება — ეს არის წესრიგის პარტიის ბურჟუაზიული დიქტატურის უკანასკნელი სიტყვა.

საყოველთაო საარჩევნო უფლებამ მიანიჭა ბურჟუაზიას ეს ბატონობა 1848 წ. 4 მაისს, 1848 წ. 20 დეკემბერს, 1849 წ. 13 მაისს, 1849 წ. 8 ივლისს. საყოველთაო საარჩევნო უფლებამ განკიცხა თავისი თავი 1850 წლის 10 მარტს. ბურჟუაზიის ბატონობა როგორც საყოველთაო ხმის უფლებისაგან გამომდინარე და მისი შედეგი, როგორც ხალხის სუვერენული ნების კატეგორიული აქტი, აი ბურჟუაზიული კონსტიტუციის შინაარსი. მაგრამ იმ მომენტიდან, როდესაც ამ საარჩევნო უფლების, ამ სუვერენული ნების შინაარსს აღარ შეადგენს ბურჟუაზიის ბატონობა, რაღა შინაარსი აქვს კონსტიტუციას? განა ბურჟუაზიის მოვალეობას არ შეადგენს საარჩევნო უფლების ისე მოწესრიგება, რომ ამ საარჩევნო უფლებას სურდეს გონივრული რამ, მაშასადამე, მისი ბატონობა? ყოველთვის, როდესაც საყოველთაო საარჩევნო უფლება არსებულ სახელმწიფო ხელისუფლებას სპობს და ხელახლა ქმნის მას თავისთავიდან, განა იგი ამით არ სპობს ყოველგვარ სტაბილურობას, განა ყოველ მომენტში კითხვის ქვეშ არ აყენებს ყველა არსებულ ხელისუფლებას, არ სპობს ავტორიტეტს და არ გვემუქრება ანარქიის ავტორიტეტად გადაქცევით? 1850 წლის 10 მარტის შემდეგ ვისლა შეეპარება ამაში ეჭვი?

ბურჟუაზია გმობს საყოველთაო საარჩევნო უფლებას, რომლის საბურველში იგი აქამდე იყო გახვეული, რითაც ჰკვებავდა თავის ყოვლისშემძლეობას. ბურჟუაზია აშკარად აცხადებს: «ჩვენი დიქტატურა არსებობდა აქამდე ხალხის ნებისმეოხებით, ამიერიდან იგი განმტკიც-

[1] სიტყვების თამაშია: **grecs** — ბერძნები, მაგრამ ამავე დროს თაღლითები. (ენგელსის შენიშვნა 1895 წ. გამოცემისათვის).

დ ე ბ ა ხ ა ლ ხ ი ს ნ ე ბ ი ს ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო დ». და სრულიად თანმიმდევრულად იგი ახლა დასაყრდენს ეძიებს უკვე არა ს ა ფ რ ა ნ გ ე თ შ ი, არამედ მის გარეთ, უცხოეთში, შ ე ს ე ვ ა შ ი.

შესევის მოწოდებასთან ერთად, ამ მეორე კობლენცმა, რომელმაც თავის ადგილსამყოფელად თვით საფრანგეთი აირჩია, თავის წინააღმდეგ აამხედრა ყველა ეროვნული ვნებანი. საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე თავდასხმით იგი ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ა ბ ა ბ ს იძლევა ახალი რევოლუციისათვის, ხოლო რევოლუცია საჭიროებს სწორედ ასეთ საბაბს. ყოველი კ ე რ ძ ო საბაბი გაჰყოფდა რევოლუციური ლიგის ფრაქციებს და ამხელდა განსხვავებებს მათ შორის. მაგრამ ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო საბაბი აბრუებს ნახევრად-რევოლუციურ კლასებს, შესაძლებლობას აძლევს მათ შეცდნენ მომავალი რევოლუციის გ ა რ კ ვ ე უ ლ ხ ა ს ი ა თ შ ი, თავიანთი საკუთარი მოქმედების შედეგებში. ყოველი რევოლუცია საჭიროებს საბანკეტო საკითხს. საყოველთაო საარჩევნო უფლება არის ახალი რევოლუციის საბანკეტო საკითხი.

მაგრამ თავიანთ გ ა ე რ თ ი ა ნ ებ უ ლ ძალაუფლებაზე, თავიანთი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ ა ტ ო ნ ო ბ ი ს ყველაზე ძლიერ და ყველაზე სრულყოფილ ფორმაზე — კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ზ ე უარის თქმით და უფრო მდაბალ, უფრო არასრულ, უფრო სუსტ ფორმისაკენ — მ ო ნ ა რ ქ ი ი ს ა კ ე ნ უკანდახევით შეერთებულმა ბურჟუაზიულმა ფრაქციებმა თვითონ გამოიტანეს თავის თავზე განაჩენი. ისინი გვაგონებენ იმ მოხუცს, რომელმაც, ახალგაზრდული ლაზათის დასაბრუნებლად, ამოიღო თავისი ბავშვობის დროის ტანსაცმელი და ლამობდა როგორმე ჩაეცვა იგი თავის ბებრულ კიდურებზე. მათ რესპუბლიკას მხოლოდ ის დამსახურება გააჩნდა, რომ იგი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ს ა თ ბ უ რ ი ი ყ ო.

1856 წლის 10 მარტი ატარებს წარწერას:

Après moi le déluge! ჩ ე მ ს შ ე მ დ ე გ თ უ ნ დ ა ც წ ა რ ღ ვ ნ ა მ ო ვ ი დ ე ს!

IV

ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო უ ფ ლ ე ბ ი ს გ ა უ ქ მ ე ბ ა 1850 წ ე ლ ს

(წინა სამი თავის გაგრძელება მოთავსებულია ჟურნალ «ახალი რაინის გაზეთი — პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვის» უკანასკნელ ორმაგ 5—6 ნომრების «მიმოხილვაში». იქ პირველად აღწე-

რილია 1847 წელს ინგლისში დაწყებული დიდი სავაჭრო კრიზისი და ევროპის კონტინენტზე მისი ზემოქმედებითაა ახსნილი იქაური პოლიტიკური გართულებების გამწვავება და მათი გადაქცევა 1848 წლის თებერვლისა და მარტის რევოლუციებად. შემდეგ ნაჩვენებია, თუ როგორ დასცა დამბლა რევოლუციურ აღმავლობას 1848 წლის განმავლობაში დაწყებულმა და 1849 წ. კიდევ უფრო განვითარებულმა ვაჭრობისა და მრეწველობის აყვავებამ და როგორ შეუწყო მან ამავე დროს ხელი რეაქციის გამარჯვებას. სპეციალურად საფრანგეთის შესახებ ნათქვამია შემდეგი:)[1]

იმავე სიმპტომებმა იჩინეს თავი საფრანგეთშიაც 1849 წ. და განსაკუთრებით 1850 წლის დასაწყისიდან. პარიზის მრეწველობა ვითარდება სრული დატვირთვით, რუანისა და მიულჰაუზენის ბამბის ქსოვილის ფაბრიკებიც აგრეთვე საკმაოდ კარგად მუშაობენ, თუმცა აქაც, ისევე როგორც ინგლისში, ნედლეულზე მაღალი ფასები დიდ დაბრკოლებებს ქმნიდნენ. ამასთანავე საფრანგეთში აყვავების განვითარებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა ფართო საბაჟო რეფორმა ესპანეთში და ფუფუნების სხვადასხვა საგნებზე საბაჟო გადასახადების შემცირება მექსიკაში. საფრანგეთის საქონლის გატანა ამ ორივე ბაზარზე ძლიერ გაიზარდა. კაპიტალების ზრდას მოჰყვა საფრანგეთში მთელი რიგი სპეკულაციური საწარმოები, რომელთა აღმოცენების საბაბი გახდა კალიფორნიის ოქროს მადნების დიდი მასშტაბით ექსპლოატირება. წარმოიშვა უამრავი საზოგადოებები, რომლებიც თავიანთი წვრილი აქციებით და სოციალისტურად შეფერადებული პროსპექტებით უშუალოდ მიმართავენ წვრილი ბურჟუებისა და მუშების ჯიბეს, მაგრამ საბოლოოდ ეს ყველაფერი აიხსნება იმ წმინდაწყლის თაღლითობით, რომელიც შეადგენს მარტოოდენ ფრანგების და ჩინელების თვისებას. ერთი ამ საზოგადოებათა შორის პირდაპირ მთავრობის მფარველობითაც კი სარგებლობს. საბაჟო გადასახადმა საფრანგეთში 1848 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში შეადგინა 63 მილიონი ფრანკი, 1849 წლის 9 თვის განმავლობაში 95 მილიონი ფრანკი და 1850 წლის 10 თვის განმავლობაში 93 მილიონი ფრანკი. თუმცა, 1850 წლის სექტემბერში ეს გადასახადი 1849 წლის ამავე თვესთან შედარებით კვლავ ერთ მილიონზე მეტით გაიზარდა. ექსპორტიც გაიზარდა 1849 წ., ხოლო კიდევ უფრო — 1850 წელს.

---

[1] ეს შესავალი აბზაცი დაწერილია ენგელსის მიერ 1895 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.

დაწყებული აყვავების ბრწყინვალე დამარწმუნებელი საბუთი იყო 1850 წლის 6 აგვისტოს კანონის ძალით საფრანგეთის ბანკის მიერ ნაღდი ფულის გადახდის განახლება [1]. 1848 წ. 15 მარტს ბანკმა მიიღო უფლება შესწყვიტოს ნაღდი ფულის გაცემა. მაშინ მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტების რაოდენობა, პროვინციული ბანკის ჩათვლით, უდრიდა 373 მილიონ ფრანკს (14920000 გირ. სტ.). 1849 წ. 2 ნოემბერს მიმოქცევაში იყო 482 მილიონი ფრანკი ანუ 19280000 გირ. სტერლინგი, რაც ნიშნავდა 4360000 გირ. სტერლინგით გაზრდას, ხოლო 1850 წლის 2 სექტემბერს — 496 მილიონ ფრანკს ანუ 19840000 გირ. სტერლინგს, ე. ი. ნაზარდი უდრიდა 5 მილიონ გირ. სტერლინგს. ამასთან არ ჰქონია ადგილი ბანკნოტების გაუფასურებას; პირიქით, ბანკნოტების მიმოქცევის ზრდასთან ახლდა ოქროსა და ვერცხლის მარაგის თანდათანობით ზრდა ბანკის სარდაფებში; ასე რომ 1850 წლის ზაფხულში ლითონის მარაგმა მიაღწია დაახლოებით 14 მილიონ გირვანქა სტერლინგს, რაც საფრანგეთისათვის გაუგონარი თანხაა. ის გარემოება, რომ ბანკს, ამრიგად, შესაძლებლობა მიეცა თავისი მიმოქცევა და ამით თავისი აქტიური კაპიტალი 123 მილიონი ფრანკით ანუ 5 მილიონი გირვანქა სტერლინგით გაეზარდნა, ბრწყინვალედ ამტკიცებს, თუ რაოდენ სწორი იყო ჩვენი მტკიცება ჟურნალის ერთ-ერთ წინა ნომერში, რომ რევოლუციას არამცთუ არ გაუტეხნია ფინანსური არისტოკრატია, არამედ კიდევაც უფრო განამტკიცა იგი. უფრო თვალსაჩინო ხდება ეს შედეგი ბანკების შესახებ საფრანგეთის ამ უკანასკნელი წლების კანონმდებლობის შემდეგი მიმოხილვიდან. 1847 წლის 10 ივნისს ბანკმა მიიღო უფლება გამოეცა 200 ფრანკიანი ბილეთები. მანამდე ყველაზე დაბალი ბანკნოტი უდრიდა 500 ფრანკს. 1848 წ. 15 მარტის დეკრეტით საფრანგეთის ბანკის ბილეთები გამოცხადებულ იქნა გადახდის კანონიერ საშუალებად, და ბანკი განთავისუფლებულ იქნა ლითონის ფულზე მათი გამოცვლის ვალდებულებისაგან. ბანკის უფლება ბილეთების გამოშვებაზე შეზღუდულ იქნა 350 მილიონი ფრანკით. ამასთან ერთად ბანკმა მიიღო უფლება გამოეშვა 100 ფრანკიანი ბანკნოტები. 27 აპრილის დეკრეტმა დააწესა სადეპარტამენტო ბანკების შერწყმა საფრანგეთის ბანკთან; 1848 წლის 2 მაისის მეორე დეკრეტით მისი უფლება ბანკნოტების გამოცემისა 442 მილიონ ფრანკამდე გაიზარდა. 1849 წ. 22 დეკემბრის დეკრეტით ბანკნო-

[1] — ე. ი. ბანკნოტების გაცვლა ლითონის ფულზე. რ ე დ.

ტების გამოშვების მაქსიმუმმა მიაღწია 525 მილიონ ფრანკს. და ბოლოს, 1850 წლის 6 აგვისტოს კანონმა ისევ დააწესა ბანკნოტების ფულზე გადაცვლის უფლება. ამ ფაქტებმა — ბანკნოტების მიმოქცევის შეუწყვეტელმა ზრდამ, საფრანგეთის მთელი კრედიტის კონცენტრაციამ ბანკის ხელში, და საფრანგეთის ოქროსა და ვერცხლის მთელი მარაგის თავმოყრამ მის სარდაფებში — იმ დასკვნამდე მიიყვანა ბატონი პრუდონი, რომ ბანკმა უნდა გაიძროს თავისი ძველი გველის ტყავი და გადაიქცეს პრუდონისტულ სახალხო ბანკად. სინამდვილეში კი პრუდონისათვის არც კი იყო საჭირო ინგლისში 1797 წლიდან 1819 წლამდე[1] საბანკო რესტრიკციის ისტორიის ცოდნა, საკმარისი იყო მას მხოლოდ გადაეხედნა არხის მეორე ნაპირას, რათა დაენახა, რომ ეს ბურჟუაზიული საზოგადოების ისტორიაში მისთვის გაუგონარი ფაქტი სხვა არა იყო რა, თუ არა უაღრესად ნორმალური ბურჟუაზიული მოვლენა, ოღონდ იგი ახლა საფრანგეთში პირველად დამყარდა. ჩვენ ვხედავთ, რომ ცრურევოლუციონერი თეორეტიკოსები, რომლებიც დროებითი მთავრობის შემდეგ პარიზში ტონს აძლევდნენ, ისეთივე უმეცარნი იყვნენ მიღებული ღონისძიებების ხასიათისა და შედეგების საკითხში, როგორც თვით ვაჟბატონები დროებითი მთავრობიდან.

მიუხედავად მრეწველობისა და ვაჭრობის აყვავებისა, რომელიც ახლა დაიწყო საფრანგეთში, მოსახლეობის მასა, 25 მილიონი გლეხი, იტანჯება ძლიერი დეპრესიის გამო. უკანასკნელი წლების კარგმა მოსავალმა პურის ფასი გაცილებით უფრო მეტად დასცა საფრანგეთში, ვინემ ინგლისში, და დავალიანებული, მევახშეების მიერ არაქათგამოლეული, გადასახადებით დაძაბუნებული გლეხების მდგომარეობას არ შეიძლება ეწოდოს ბრწყინვალე. მიუხედავად ამისა, როგორც საკმაოდ ნათლად დაგვანახვა უკანასკნელი სამი წლის ისტორიამ, მოსახლეობის ეს კლასი სრულიად მოკლებულია რევოლუციურ ინიციატივას.

როგორც კრიზისის პერიოდი, ისე აყვავების პერიოდიც კონტინენტზე უფრო გვიან იწყება, ვინემ ინგლისში. თავდაპირველი პროცესი ყოველთვის ინგლისში იწყება. იგი ბურჟუაზიული კოსმოსის დემიურგია. კონტინენტზე იმ ციკლის სხვადასხვა ფაზები, რომლებსაც მუდამ იმეორებს ბურჟუაზიული საზოგადოება, გამოდიან მეორე

[1] ინგლისის ბანკის გადასარჩენად გაკოტრებისაგან მთავრობამ 1797 წელს გამოსცა სპეციალური აქტი, რომელიც ბანკნოტების იძულებითს კურსს აწესებდა და ნებას აძლევდა ბანკს შეეწყვიტა ბილეთების გადაცვლა. 1818 წლის აქტის ძალით ბანკნოტების გაცვლა ოქროზე კვლავ განახლდა. რ ე დ.

და მესამე ფორმით. ჯერ ერთი, კონტინენტს განუზომლად მეტი გააქვს ინგლისში, ვინემ სხვა რომელიმე ქვეყანაში. მაგრამ ინგლისში ექსპორტი, თავის მხრივ, დამოკიდებულია ინგლისის მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ოკეანესიქითა ბაზრებზე. — შემდეგ, ინგლისს გააქვს ოკეანესიქითა ქვეყნებში განუზომლად უფრო მეტი, ვინემ მთელ კონტინენტს, ასე რომ ამ ქვეყნებში კონტინენტის ექსპორტის სიდიდე ყოველთვის დამოკიდებულია ინგლისის ოკეანესიქითა ექსპორტისაგან. თუ ამიტომ კრიზისები წარმოშობენ რევოლუციებს უპირველესად ყოვლისა კონტინენტზე, მაინც მათი მიზეზი ინგლისშია. ბურჟუაზიული ორგანიზმის კიდურებში ძალდატანებითი კატასტროფები, ბუნებრივია, უფრო სწრაფად უნდა მიმდინარეობდნენ, ვინემ მის გულში, სადაც ანაზღაურების შესაძლებლობანი უფრო მეტია. მეორე მხრივ, კონტინენტის რევოლუციების ინგლისზე უკუმოქმედების ხარისხი არის ამავე დროს ბარომეტრი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად ემუქრებიან ეს რევოლუციები ბურჟუაზიული წყობილების თვით საფუძვლებს, ან რამდენად ეხებიან ისინი მის პოლიტიკურ ინსტიტუტებს.

ასეთ საყოველთაო აყვავებისას, როდესაც ბურჟუაზიული საზოგადოების საწარმოო ძალები იმდენად ლაღად ვითარდებიან, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩარჩოებში, ჭეშმარიტ რევოლუციაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. ასეთი რევოლუცია შესაძლებელია მხოლოდ იმ პერიოდებში, როდესაც ორივე ეს ფაქტორი, თანამედროვე საწარმოო ძალები და წარმოების ბურჟუაზიული ფორმები, ერთი მეორის მიმართ წინააღმდეგობაში ვარდებიან. გაუთავებელ შეხლა-შემოხლას, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს კონტინენტალური წესრიგის პარტიის ცალკეულ ფრაქციების წარმომადგენლებს შორის, და ერთმანეთის შერცხვენას, სრულიადაც არ მივყავართ ახალ რევოლუციებისაკენ; პირიქით, ეს შეხლა-შემოხლა მხოლოდ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველი ამ მომენტში მეტად მტკიცეა და, რაც რეაქციამ არც კი იცის, მეტად ბურჟუაზიულია. ბურჟუაზიული განვითარების შეფერხების ყველა რეაქციული ცდა ისევე უეჭველად დაიმსხვრევა ამ საფუძველზე, როგორც დემოკრატების მთელი ზნეობრივი აღშფოთება და მგზნებარე პროკლამაციები. ახალი რევოლუცია შესაძლებელია მხოლოდ ახალი კრიზისისშემდეგ. მაგრამ რევოლუცია

ისევე აუცილებელია, როგორც აუცილებელია კრიზისი.

გადავიდეთ ახლა საფრანგეთში.

ის გამარჯვება, რომელიც ხალხმა წვრილ ბურჟუაზიასთან კავშირში 10 მარტის არჩევნებში მოიპოვა, მის მიერვე იქნა გაუქმებული 28 აპრილს ხელახალი არჩევნების ჩატარებით. ვიდალი არჩეულ იქნა არა მარტო პარიზში, არამედ ქვემო რაინზეც. პარიზის კომიტეტმა, რომელშიაც მძლავრად იყვნენ წარმოდგენილნი მთა და წვრილი ბურჟუაზია, აიძულა იგი მიეღო ქვემორაინის მანდატი. 10 მარტის გამარჯვებამ დაჰკარგა თავისი გადამწყვეტი მნიშვნელობა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადა კვლავ გადაიდო, ხალხის დაძაბულობა სუსტდებოდა, იგი რევოლუციური გამარჯვებების ნაცვლად ლეგალურ გამარჯვებებს ეჩვეოდა. დაბოლოს, 10 მარტის რევოლუციური აზრი — ივნისის აჯანყების რეაბილიტაცია — სავსებით გაუქმებულ იქნა ეჟენ სიუს, ამ სენტიმენტალურ-წვრილბურჟუაზიულ სოციალ-ფანტაზიორის კანდიდატურით; პროლეტარიატს შეეძლო უკეთეს შემთხვევაში, მიეღო იგი როგორც ხუმრობა მსუბუქი ყოფაქცევის ქალების გულის მოსაგებად. ამ კეთილმოსურნე კანდიდატურის საპირისპიროდ თავის მოწინააღმდეგეთა მერყეევი პოლიტიკით გათამამებულმა წესრიგის პარტიამ წამოაყენა კანდიდატურა, რომელსაც უნდა განესახიერებინა ივნისის გამარჯვება. ეს კომიკური კანდიდატი გახლდათ სპარტანული ოჯახის მამა — ლეკლერი, რომელსაც პრესამ გმირის აბჯარი ნაკუწ-ნაკუწ ტანთ ჩამოგლიჯა და რომელმაც არჩევნებზე ბრწყინვალე დამარცხება განიცადა. ახალმა გამარჯვებამ 28 აპრილის არჩევნებზე ფრთები შეასხა მთას და წვრილ ბურჟუაზიას. მთა, გულში აღტაცებით, უკვე ცას სწვდებოდა იმ აზრისაგან, რომ შეძლებდა ლეგალური გზით თავისი მიზნის მიღწევას, ახალი რევოლუციის გამოუწვევლად, რომელიც პროლეტარიატს ისევე წინარიგებში წამოაყენებდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ 1852 წლის ახალ არჩევნებზე, საყოველთაო საარჩევნო უფლების საშუალებით ბატონ ლედრიუ-როლენს პრეზიდენტის სავარძელს მოუპოვებდა და საკრებულოში მონტანიარების უმრავლესობას უზრუნველყოფდა. წესრიგის პარტიამ, რომელიც ახალმა არჩევნებმა, სიუს კანდიდატურამ და მთისა და წვრილი ბურჟუაზიის განწყობილებამ სავსებით დაარწმუნა მასში, რომ ეს უკანასკნელნი ყველა პირობებში სიმშვიდეს შეინარჩუნებდნენ, ორივე საარჩევნო გამარჯვებას უპასუხა საარჩევნო კანონით, რომელიც აუქმებდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას.

მთავრობამ იმდენი სიფრთხილე გამოიჩინა, რომ ამ კანონ-პროექტზე პასუხისმგებლობა არ იკისრა. იგი მოჩვენებით დათმობა-ზე წავიდა უმრავლესობის სასარგებლოდ, როდესაც ამ უმრავლე-სობის თავკაცებს, 17 ბურგგრაფს [1], ამ პროექტის გამომუშავება მიანდო. ამრიგად, მთავრობამ კი არ შეიტანა წინადადება ეროვნულ კრებაში საყოველთაო საარჩევნო უფლების გაუქმების შესახებ, არამედ თვითონ კრების უმრავლესობამ წარუდგინა თავის თავს ეს წინადადება.

8 მაისს პროექტი შეიტანეს პალატაში. მთელი სოციალ-დემოკ-რატიული პრესა, როგორც ერთი ადამიანი, არწმუნებდა ხალხს ღირ-სებით დაეჭირა თავი, შეენარჩუნებინა მედიდური მშვიდობა, პასიუ-რობა და მინდობოდა თავის წარმომადგენლებს. ამ გაზეთების თვითეული წერილი წარმოადგენდა იმის აღსარებას, რომ რევოლუ-ცია უპირველეს ყოვლისა ეგრეთწოდებულ რევოლუციურ პრესას გააუქმებს, და რომ, ამრიგად, საქმე შეეხება მის თვითშენარჩუნებას. ცრუ-რევოლუციურმა პრესამ გასცა თავისი საიდუმლოება. მან ხელი მოაწერა თავის სიკვდილის განაჩენს.

21 მაისს მთამ წინასწარი განხილვის მიზნით დააყენა საკითხი და მთელი კანონპროექტის უარყოფა მოითხოვა, რადგან იგი არღ-ვევს კონსტიტუციას. წესრიგის პარტიამ ამაზე უპასუხა, რომ კონს-ტიტუციას დაარღვევენ მაშინ, როცა ეს საჭირო იქნება, ახლა კი ეს ზედმეტია, რადგან კონსტიტუციის განმარტება შესაძლებელია ყოველნაირად, და მხოლოდ უმრავლესობაა კომპეტენტური გადაწ-ყვიტოს, თუ კონსტიტუციის რომელი განმარტებაა სწორი. ტიე-რისა და მონტალამბერის აღვირახსნილ ველურ თავდასხმებს მთა თავაზიანი და კულტურული ჰუმანიურობით შეხვდა. იგი იშველიებ-და სამართლის ნიადაგს. წესრიგის პარტიამ მიუთითა მას იმ ნიადაგ-ზე, რომელზედაც აღმოცენდება სამართალი, — ბურჟუაზიულ სა-კუთრებაზე. მთა შეეკამათა: ნუ თუ ყოველ მიზეზს გარეშე სურთ რევოლუციის გამოწვევა? წესრიგის პარტიამ უპასუხა: იგი მოუ-ლოდნელად ვერ წამოგვისწრებსო.

22 მაისს 462 ხმის უმრავლესობით 227 წინააღმდეგ დამთავრდა წინასწარი თათბირის საკითხი. იგივე ადამიანები, რომლებიც ასე საზეიმოდ და ასე საფუძვლიანად ამტკიცებდნენ, რომ ნაციონალური

---

[1] ლაპარაკია წესრიგის დეპუტატთა ბიუროს შესახებ საკანონმდებლო კრებაში. მის წევრებს დაცინვით უწოდებდნენ ბურგგრაფებს მონარქისტების უძლური პატივმოყვარეობისა და ფეოდალურ ზრახვების გამო. ეს ზედმეტი სახელი ნასესხე-ბია ვ. ჰიუგოს ამავე სახელწოდების დრამიდან.

კრება და თვითეული დეპუტატი ცალცალკე უარს განაცხადებს თავის რწმუნებებზე, როგორც კი ისინი უარს განაცხადებენ ხალხზე, რომელმაც ამ რწმუნებებით აღჭურვა ისინი, თავიანთ სკამებზე ჯდომას განაგრძობდნენ მშვიდად, და ნაცვლად იმისა, რომ თვითონ ემოქმედათ, უცბად მოუწოდეს ქვეყანას მოქმედებისაკენ, და კერძოდ პეტიციების გზით; ისინი უმოძრაოდ დარჩნენ მაშინაც კი, როდესაც 31 მაისს თვითონ კანონმა ბრწყინვალედ ჩაიარა; ისინი ლამობდნენ შური ეძიათ პროტესტით, რომლითაც მათ ოქმში შეიტანეს თავისი არა მონაწილეობა კონსტიტუციის გაუპატიურებაში. მაგრამ ეს პროტესტიც მათ აშკარად კი არ განაცხადეს, არამედ ჩუმად ჩაუდეს ჯიბეში თავმჯდომარეს.

ასორმოცდაათიათასიანი არმია პარიზში, საბოლოო გადაწყვეტილების გაუთავებელი გადადება, პრესის მოწოდება მშვიდობიანობისაკენ, მთის და ახლადარჩეულ დეპუტატთა სულმოკლეობა, წვრილი ბურჟუების დიდსულოვანი სიდარბაისლე და, რაც მთავარია, ვაჭრობისა და მრეწველობის აღორძინება, აფერხებდნენ ყოველგვარ რევოლუციურ ცდას პროლეტარიატის მხრივ.

საყოველთაო საარჩევნო უფლებამ შეასრულა თავისი მისია. ხალხის უმრავლესობამ გაიარა მისი განვითარების სკოლა, მხოლოდ ამ როლის შესრულება შეუძლია მას რევოლუციურ ეპოქაში. იგი ან რევოლუციას უნდა მოესპო, ან რეაქციას.

კიდევ მეტი ენერგია გამოიჩინა მთამ ამის უშუალოდ მომდევნო ინციდენტში. სამხედრო მინისტრმა დ'ოპულმა კრების ტრიბუნიდან თებერვლის რევოლუციას შავბედითი კატასტროფა უწოდა. მთის პარტიის ორატორებს, რომლებმაც ჩვეულებრივი აურზაურით გამოამჟღავნეს თავიანთი ზნეობრივი აღშფოთება, პრეზიდენტმა დიუპენმა არ მისცა სიტყვა. ჟირარდენმა წინადადება მისცა მთას დაუყოვნებლივ გასულიყო მთელი თავისი შემადგენლობით დარბაზიდან. შედეგი: მთა ადგილზე დარჩა, ხოლო ჟირარდენი, ვითარცა უღირსი, გაძევებულ იქნა მისი წიაღიდან.

საარჩევნო კანონი საჭიროებდა კიდევ ერთ დამატებას — ახალ კანონს პ რ ე ს ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. ამ უკანასკნელმაც არ დააყოვნა. მთავრობის კანონპროექტი, რომელმაც წესრიგის პარტიის შენიშვნები კიდევ უფრო მკაცრი გახადა, ადიდებდა სათავდებო თანხებს, ითვალისწინებდა საგანგებო საბეჭდო გადასახადს რომანებზე, რომლებიც ფელეტონების სახით გამოდიოდნენ (ეჟენ სიუს არჩევის საპასუხოდ), გადასახადი შეაწერა კვირეულ და თვიურ გამოცემებში მოთავსებულ ნაწარმოებებს გვერდების გარკვეულ რაოდენო-

ბამდე, დაბოლოს, დააწესა, რომ ყოველი საგაზეთო წერილი ავტორის მიერ უნდა ყოფილიყო ხელმოწერილი. დადგენილებებმა სათავდებო თანხის შესახებ სავსებით გაანადგურა ეგრეთწოდებული რევოლუციური პრესა; ხალხი მის მოსპობას უყურებდა როგორც საზღაურს საყოველთაო საარჩევნო უფლების გაუქმებისათვის. მაგრამ ახალი კანონის არც ტენდენციები, არც მოქმედება არ შემოფარგლულა პრესის მხოლოდ ამ ნაწილით. ვიდრე ყოველდღიური პრესა ანონიმური იყო, იგი იყო ფართო და უსახელო საზოგადოებრივი აზრის ორგანო, იგი იყო სახელმწიფოში მესამე ხელისუფლება. ყოველი სტატიის ხელმოწერით გაზეთი გადაიქცა ბევრად თუ ნაკლებად ცნობილ პირთა ლიტერატურული ნაწარმოებების კრებულად. თვითეული სტატია ჩამოქვეითდა საგაზეთო განცხადების დონემდე. აქამდე გაზეთები მიმოიქცეოდნენ როგორც საზოგადოებრივი აზრის ქაღალდის ფული, ახლა ისინი იქცეოდნენ ბევრად თუ ნაკლებად საეჭვო სოლო-თამასუქებად, რომელთა ვარგისობა და მიმოქცევა დამოკიდებული იყო არა მარტო თამასუქის გამცემის კრედიტზე, არამედ თვით ინდოსენტის კრედიტზეც. წესრიგის პარტიის პრესა აქეზებდა მთავრობას როგორც საყოველთაო საარჩევნო უფლების გაუქმებისათვის, აგრეთვე «ცუდი» პრესის წინააღმდეგ უკიდურესი ზომების მიღებისათვის, მაგრამ თვით «კარგი» პრესაც კი თავის საშინელი ანონიმურობით უხერხულად მიაჩნდა წესრიგის პარტიას და განსაკუთრებით კი მის ცალკეულ პროვინციულ წარმომადგენლებს. მას სურდა საქმე ჰქონოდა მარტო ხელფასიან მწერალთან, ცოდნოდა მისი სახელი, საცხოვრებელი ადგილი და ნიშნები. ამაოდ ჩიოდა «კარგი» პრესა იმ უმადურობის შესახებ, რითაც დააჯილდოვეს მისი სამსახური. კანონი მიღებულ იქნა და გვარის ხელმოწერის მოთხოვნამ უპირველესად ყოვლისა მას დაარტყა. რესპუბლიკელი პუბლიცისტების სახელები საკმაოდ ცნობილი იყო, მაგრამ საპატივცემულო ფირმები «Journal des Débats», «Assemblée Nationale» [1], «Constitutionnel» [2] და ა. შ. თავიანთ ფართოდ რეკლამირებული სახელმწიფოებრივი სიბრძნით სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როდესაც მთელი ეს საიდუმლოებრი-

[1] «Assemblée Nationale» («ნაციონალური კრება») — მონარქიულ მიმართულების ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პარიზში 1848 წლიდან 1857 წლამდე. რ ე დ.

[2] «Constitutionnel» («კონსტიტუციონალისტი») — კონსტიტუციური მონარქისტების ყოველდღიური ორგანო, გამოდიოდა პარიზში 1845 წლიდან 1870 წლამდე. რ ე დ.

ვი კომპანია უცბად გამყიდველთა და გამოცდილ **penny-a-liners** [1]-თა სახით წარმოდგა, წარმოდგა იგი გრანდიე და კასინიაკის მსგავსთა სახით, რომელნიც ოქროსათვის იცავდნენ ყველაფერს, რაც გნებავთ, ანდა კაპეიგის მსგავს ძველი ჩვრების სახით, რომელიც თავის თავს სახელმწიფოებრივ ადამიანს უწოდებდა, ანდა «**Débats**»-დან ბ. ლემუანის მსგავს მოკეკლუცე ყბედების სახით.

პრესის კანონის განხილვისას მთამ უკვე მოასწრო მორალური დაცემის იმ საფეხურამდე ჩამოქვეითება, რომ ძველ, ლუი ფილიპესეულ სახელოვან ადამიანის — ვიქტორ ჰიუგოს — ბრწყინვალე ტირადებისათვის ტაშის დაკვრით უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საარჩევნო კანონისა და პრესის კანონის შიღებით რევოლუციური და დემოკრატიული პარტია ჩამოვიდა ოფიციალურ სცენიდან. სესიის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ, სახლებში დაბრუნების წინ, მთის ორივე ფრაქციამ — სოციალისტურმა დემოკრატებმა და დემოკრატიულმა სოციალისტებმა — გამოუშვა ორი მანიფესტი — ორი **testimonia paupertatis** [2], რომლებშიც ამტკიცებდნენ, რომ თუ ძალა და წარმატება არასოდეს არ ყოფილა მათ მხარეზე, სამაგიეროდ ისინი კი ყოველთვის იდგნენ სამარადისო სამართლისა და სხვა მარადიულ ჭეშმარიტებათა მხარეზე.

მივხედოთ ახლა წესრიგის პარტიას. ჟურნალი «ახალი რაინის გაზეთი» მესამე ნომერში, გვ. 16, წერდა: «შეერთებული ორლეანისტების და ლეგიტიმისტების რესტავრაციულ მისწრაფებათა წინააღმდეგ ბონაპარტი თავისი ფაქტიური ძალაუფლების იურიდიულ საფუძველს — რესპუბლიკას იცავს; ბონაპარტის რესტავრაციულ მისწრაფებათა წინააღმდეგ წესრიგის პარტია იცავს თავის საერთო ბატონობის იურიდიულ საფუძველს — რესპუბლიკას; ლეგიტიმისტები ორლეანისტების წინააღმდეგ, ორლეანისტები ლეგიტიმისტების წინააღმდეგ იცავენ **status quo**-ს რესპუბლიკას. წესრიგის პარტიის ყველა ეს ფრაქციები, რომელთაგან თვითეულს ჰყავს გულში თავისი საკუთარი მეფე და თავისი საკუთარი რესტავრაცია, თავისი მეტოქეების უზურპატორულ და მეამბოხურ მისწრაფებებს უპირისპირებენ ბურჟუაზიის საერთო ბატონობას, სახელმწიფო ფორმას, რომელშიაც ყველა მათი ცალკეული მისწრაფება ნეიტრალდება და დაცული რჩება — ე. ი. რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ს... ტიერს გუმანიც კი არ ჰქონდა მიტანილი იმაზე, თუ რა სიმართლე იფარე-

[1] — მესტრიქონეთა. რ ე დ.

[2] — სიღარიბის მოწმობა. რ ე დ.

ბოდა მის სიტყვებში, როდესაც იგი ამბობდა: «ჩვენ, როიალისტები, ჭეშმარიტი დასაყრდენი ვართ კონსტიტუციური რესპუბლიკისაო»».

ამ უნებლიეთ რესპუბლიკანელების ეს კომედია, სიძულვილი status quo-ს მიმართ და მისი განუწყვეტელი განმტკიცება; მუდმივი შეხლა-შემოხლა ბონაპარტსა და ეროვნულ კრებას შორის; წესრიგის პარტიისათვის მის შემადგენელ ნაწილებად დაშლის მუდმივად განმეორებული საშიშროება და მისი ფრაქციების მუდამჟამს ხელახალი შეკავშირება; თვითეული მათგანის ცდა, რომ საერთო მტერზე მოპოვებული გამარჯვება გადააქციოს თავისი დროებითი მოკავშირეების დამარცხებად; ურთიერთ შორის შური, შუღლი, ინტრიგები, მუდამ ხმლის გაშიშვლება, რაც ყოველთვის ლამურეტის[1] კოცნით თავდება, — მთელი ეს შეცდომების დახლართული კომედია არასოდეს ისე კლასიკურად არ განვითარებულა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში.

წესრიგის პარტია ამავე დროს საარჩევნო კანონს უცქეროდა როგორც ბონაპარტზე გამარჯვებას. განა ჩვიდმეტთა კომისიისათვის თავისი კანონპროექტის რედაქციისა და მისი პასუხისმგებლობის გადაცემით ბონაპარტის მთავრობამ უარი არა თქვა ხელისუფლებაზე? განა ბონაპარტის მთავარი ძალა იმას არ ეყრდნობოდა კრების წინააღმდეგ, რომ იგი ექვსი მილიონის არჩეული იყო? —ბონაპარტი, თავის მხრივ, საარჩევნო კანონს უცქეროდა როგორც დათმობას კრების მიმართ, დათმობას, რითაც მან იყიდა ჰარმონია აღმასრულებელსა და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის. ჯილდოდ ამ მდაბალმა ავანტიურისტმა თავისი ცივილური ფურცლის სამი მილიონით გადიდება მოითხოვა და განა შეეძლო ეროვნულ კრებას კონფლიქტი გაემართა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან იმ მომენტში, როდესაც მან საფრანგეთის ხალხის დიდძალი უმრავლესობა კანონგარეშე გამოაცხადა? კრება განრისხდა. თითქოს იგი უკიდურეს გადაწყვეტილებას დაადგა; მისმა კომისიამ უარჰყო წინადადება; ბონაპარტისტულმა პრესამ

[1] ლამურეტი — საკანონმდებლო კრების დეპუტატი XVIII საუკუნის დასასრულის საფრანგეთის რევოლუციის ხანაში. სახელი გაითქვა 1792 წლის 7 ივლისს თავის წინადადებით ბოლო მოეღო ყველა პარტიული შუღლისათვის «ძმური კოცნით». ამ წინადადების ზეგავლენით მტრული პარტიების წარმომადგენლები ერთმანეთს გადეხვევნენ, მაგრამ, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო, მეორე დღესვე ეს ფარისეველური «ძმური კოცნა» სავსებით დავიწყებულ იქნა. რედ.

თავის მხრივ მრისხანე პოზა მიიღო და გაძარცულ, თავის საარჩევნო უფლებას მოკლებულ ხალხზე მიუთითებდა. გაიმართა შეთანხმების მრავალი შფოთიანი ცდა; დაბოლოს კრებამ დაუთმო საქმეში, მაგრამ შური იძია პრინციპში. ნაცვლად იმისა, რომ მუდმივად და პრინციპიალურად გაედიდებინა ცივილური ფურცელი სამი მილიონით წელიწადში, მან ბონაპარტს ერთდროული დახმარების სახით 2160000 ფრანკი მისცა. ამითაც დაუკმაყოფილებელი, ის ამ დათმობაზე მხოლოდ მაშინ წავიდა, როდესაც ამას მხარი დაუჭირა შანგარნიემ, წესრიგის პარტიის გენერალმა და ბონაპარტის არამკითხე მფარველმა. ამგვარად, ამ ორი მილიონის ვოტუმი კრებამ ნამდვილად ბონაპარტს კი არ მისცა, არამედ შანგარნიეს.

ეს უხალისოდ გადაგდებული საჩუქარი ბონაპარტმა სავსებით ისე მიიღო, როგორც მიმცემის აზრს შეეფერებოდა. ბონაპარტისტულმა პრესამ განაახლა თავისი იერიშები ეროვნული კრების წინააღმდეგ, ხოლო როდესაც ბეჭდვის კანონის განხილვის დროს შეტანილ იქნა შესწორება წერილების ხელმოწერის შესახებ, რაც პირველ ყოვლისა მეორეხარისხოვანი გაზეთების — ბონაპარტის პირადი ინტერესების წარმომადგენლების — წინააღმდეგ იყო მიმართული, მთავარი ბონაპარტისტული ორგანო «Pouvoir»-ი შეუკავებელი გააფთრებით დაესხა თავს ეროვნულ კრებას. მინისტრები იძულებული გახდნენ უარი განეცხადებინათ ამ გაზეთზე, «Pouvoir»-ის პასუხისმგებელი რედაქტორი გამოიძახეს ეროვნული კრების წინაშე და მიუსაჯეს უმაღლესი ფულადი ჯარიმა 5000 ფრანკის რაოდენობით. მეორე დღეს «Pouvoir»-მა კიდევ უფრო უკმეხი სტატია დაბეჭდა კრების წინააღმდეგ, ხოლო მთავრობამ ჯავრის საყრელად რამდენიმე ლეგიტიმისტური გაზეთი მისცა სამართალში კონსტიტუციის დარღვევისათვის.

დაბოლოს, დადგა საკითხი პალატის სხდომების გადადების შესახებ. ბონაპარტს ესაჭიროებოდა ეს გადადება, რათა კრებისაგან დაუბრკოლებლად ემოქმედნა. წესრიგის პარტიას ეს გადადება ესაჭიროებოდა ნაწილობრივ მისი ფრაქციული ინტრიგებისთვის, ნაწილობრივ ცალკეული დეპუტატების პირადი ინტერესებისთვის. ორივესათვის იგი საჭირო იყო რეაქციულ გამარჯვებათა გასამტკიცებლად და გასაფართოებლად პროვინციაში. კრებამ ამიტომ თავისი კრებები 11 აგვისტოდან 11 ნოემბრამდე შეწყვიტა. მაგრამ რადგან ბონაპარტი სრულიადაც არ მალავდა, რომ კრების სამძიმო მეთვალყურეობისაგან თავის განთავისუფლება სურდა, ამიტომ კრებამ თვით თავის ნდობის ვოტუმს პრეზიდენტისადმი

უნდობლობის ხასიათი მისცა. არც ერთი ბონაპარტისტი არ შეიყვანა ოცდარვა კაცისგან შემდგარ მუდმივ კომისიაში, რომელიც არდადეგების განმავლობაში რესპუბლიკის სათნოებათა გუშაგად უნდა მდგარიყო. ბონაპარტისტების ნაცვლად «Siècle» და «National»-ის რამდენიმე რესპუბლიკელიც კი აირჩიეს კომისიაში, რათა დემონსტრაციულად დაენახვებინათ პრეზიდენტისთვის, რომ უმრავლესობა კონსტიტუციური რესპუბლიკის მომხრე არის.

ცოტა ხნით იმაზე ადრე, ვიდრე პალატის სხდომები გადაიდებოდა, და განსაკუთრებით უშუალოდ ამ გადადების შემდეგ, გამოჩნდა იმის ნიშნები, რომ წესრიგის პარტიის ორივე დიდ ფრაქციას, ორლეანისტებს და ლეგიტიმისტებს, — იმ ორი სამეფო დინასტიის გაერთიანების ნიადაგზე, რომელთა დროშების ქვეშ ისინი იბრძოდნენ, — ერთმანეთთან შერიგება სურდათ. გაზეთები სავსე იყო შერიგების პროექტებით, რომელთა შესახებ ბჭობდნენ ავადმყოფი ლუი ფილიპეს სარეცელთან სენ-ლეონარში, მაგრამ ლუი ფილიპეს გარდაცვალებამ უცებ გაამარტივა მდგომარეობა. ლუი ფილიპე უზურპატორი იყო, ჰანრი V გაძარცული იყო მის მიერ, ხოლო გრაფი პარიზელი, ჰანრი V-ის უშვილობის გამო, მისი კანონიერი მემკვიდრე იყო. ახლა გაჰქრა ყოველი საბაბი ორივე დინასტიის გაერთიანების წინააღმდეგ. მაგრამ სწორედ ახლა მიხვდა ბურჟუაზიის ორივე ფრაქცია, რომ ამა თუ იმ სამეფო დინასტიისადმი სენტიმენტალური სიყვარული როდი იყო მათი გათიშვის მიზეზი, არამედ, პირიქით, მათი კლასობრივი ინტერესები ანცალკევებდა ერთმანეთისაგან იმ ორ დინასტიას. ლეგიტიმისტებმა, რომელნიც ვისბადენში ჰანრი V-ის თაყვანისსაცემლად იყვნენ წასული, ისე როგორც მათი კონკურენტები — სენ-ლეონარში, შეიტყვეს აქ ლუი ფილიპეს სიკვდილი. მათ მაშინვე შეადგინეს სამინისტრო **in partibus infidelium**, რომელშიაც მეტწილად რესპუბლიკის სათნოების გუშაგები, ზემოაღნიშნული კომისიის წევრები, შევიდნენ და რომელიც პარტიის შიგნით წარმომდგარ უთანხმოების გამო წყალობითა ღვთისითა საჯაროდ გამოვიდა უფლების პროკლამაციით. ორლეანისტები სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ იმ შემარცხვენელი სკანდალის გამო, რომელიც ამ მანიფესტმა გამოიწვია პრესაში, და სრულიადაც არ ფარავდნენ თავის აშკარა მტრობას ლეგიტიმისტების მიმართ.

ეროვნული კრების არდადეგების დროს გაიხსნა დეპარტამენტების წარმომადგენლობითი კრებების სხდომები. ამ კრებების უმრავლესობამ გამოთქვა თავისი აზრი კონსტიტუციის მეტნაკლები

შეზღუდვით გადასინჯვის სასარგებლოდ, ე. ი. გამოთქვა აზრი მონარქიული რესტავრაციის სასარგებლოდ, მაგრამ მის დაუზუსტებლად, გამოთქვა აზრი «ს ა კ ი თ ხ ი ს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ს» სასარგებლოდ, და იმავე დროს აღიარა, რომ იგი კომპეტენციას მოკლებულია და მეტად მხდალია, რათა საკითხის გადაწყვეტა იპოვოს. ბონაპარტისტულმა პრესამ კონსტიტუციის გადასინჯვის ეს სურვილი მყისვე განმარტა, როგორც ბონაპარტის საპრეზიდენტო უფლებამოსილების გახანგრძლივება.

გაბატონებული კლასისთვის სრულიად მიუღებელი იყო საკითხის კანონიერი, კონსტიტუციის შესაბამისი გადაჭრა — 1852 წ. მაისში ბონაპარტის გადადგომა და იმავე დროს ახალი პრეზიდენტის არჩევა ქვეყნის ყველა ამომრჩეველთა მიერ და ახალი პრეზიდენტობის პირველ თვეებში კონსტიტუციის გადასინჯვა. ამ მიზნისათვის არჩეული პალატის მიერ ახალი პრეზიდენტის არჩევნების დღე ყველა მტრულ პარტიათა შეხვედრის დღე იქნებოდა: ლეგიტიმისტების, ორლეანისტების, ბურჟუაზიული რესპუბლიკელების და რევოლუციონერების. საქმე აუცილებლად მივიდოდა სხვადასხვა ფრაქციებს შორის საკითხის ძალდატანებით გადაჭრამდე. წესრიგის პარტიას რომ კიდეც მოეხერხებინა რომელიმე დინასტიური გვარის გარეშე მდგომ ნეიტრალურ კანდიდატის გარშემო გაერთიანება, მის წინააღმდეგ მაინც გამოვიდოდა ბონაპარტი. თავის ბრძოლაში ხალხის წინააღმდეგ წესრიგის პარტია იძულებული იყო მუდამჟამს გაედიდებინა აღმასრულებელი ხელისუფლების ძალა. აღმასრულებელი ხელისუფლების ძალის ყოველი გადიდება ადიდებს მისი მატარებლის — ბონაპარტის — ძალას. ამიტომ ივ ზომით, რა ზომითაც წესრიგის პარტია თავის საერთო ძალაუფლებას აძლიერებს, აძლიერებს იგი ბონაპარტის საბრძოლო საშუალებებს მისი დინასტიური პრეტენზიებითურთ, აძლიერებს მის შანსებს გადამჭრელ მომენტში ძალით შეუშალოს ხელი საკითხის კონსტიტუციურად გადაჭრას. მაშინ ბონაპარტი წესრიგის პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში არ მოერიდება კონსტიტუციის ერთ-ერთი საფუძვლის დარღვევას, როგორც წესრიგის პარტია ხალხის წინააღმდეგ ბრძოლის დროს არ მორიდებია კონსტიტუციის მეორე საფუძვლის დარღვევას, საყოველთაო საარჩევნო უფლების გაუქმებას. ბონაპარტი მაშინ კრების წინააღმდეგ ალბათ საყოველთაო საარჩევნო უფლებასაც კი მიმართავდა. ერთი სიტყვით, საქმის კონსტიტუციურად გადაწყვეტა კითხვის ქვეშ აყენებს მთელ პოლიტიკურ **status quo**-ს, ხოლო **status quo**-ს შერყევაში

ბურჟუა ხედავს ქაოსს, ანარქიას, სამოქალაქო ომს. იგი ხედავს, რომ 1852 წლის მაისის პირველ კვირადღეს მისი ყიდვა-გაყიდვა, მისი თამასუქები, მისი ქორწინებები, მისი სანოტარო აქტები, იპოთეკები, საადგილმამულო რენტა, სახლის ქირა, მოგება, ყველა მისი კონტრაქტი და შემოსავლის წყარო ბეწვზე იქნება დაკიდებული, და ამიტომ მას არ შეუძლია ეს რისკი გაწიოს. პოლიტიკური **status quo**-ს შერყევის უკან იმალება კრახის საფრთხე მთელი ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის. საკითხის ერთადერთ შესაძლებელ გადაწყვეტას ბურჟუაზიისთვის წარმოადგენს გადაწყვეტის გადადება. ამ გადადებას შეუძლია კონსტიტუციური რესპუბლიკის ხსნა მხოლოდ კონსტიტუციის დარღვევის გზით, პრეზიდენტის ძალაუფლების გახანგრძლივების გზით. და სწორედ ეს არის წესრიგის პარტიის პრესის უკანასკნელი სიტყვა, ყველა იმ ღრმააზროვანი და ხანგრძლივი კამათის შედეგად, რომელსაც იგი «საკითხის გადაწყვეტის» შესახებ გენერალური საბჭოების სესიის დასრულების შემდეგ ეწეოდა. ამგვარად, ეს წესრიგის უაღრესად ძლიერი პარტია ხედავს, მისდა სამარცხვინოდ, რომ იძულებულია სერიოზული ანგარიში გაუწიოს პსევდო-ბონაპარტის სასაცილო, უგვანო და მისთვის საძულველ პიროვნებას.

ეს ბინძური პიროვნებაც, თავის მხრივ, ცდებოდა იმ მიზეზების შესახებ, რომელნიც მას სულ უფრო და უფრო საჭირო კაცის როლს აკუთვნებდნენ. მაშინ როდესაც მისი პარტია საკმაოდ მიმხვდარი იყო, რომ ბონაპარტის მნიშვნელობის ზრდა გარემოების ბრალი იყო მხოლოდ, თვითონ მას სჯეროდა, რომ ამის მიზეზი მისი ჯადოსნური სახელი და ნაპოლეონისადმი მისი კომიკური მიბაძვა იყო. მისი მოსაქმეობა დღითი-დღე მატულობდა. მომლოცაობას ვისბადენსა და სენ-ლეონარში მან უპასუხა თავისი წრეობრივი მოგზაურობით საფრანგეთში. ბონაპარტისტებს ისე ნაკლებად წამდათ მისი პიროვნების ჯადოსნური გავლენა, რომ მას ყველგან უკან აყოლებდნენ კლაკიორებს, 10 დეკემბრის საზოგადოების — პარიზის ლუმპენპროლეტარიატის ორგანიზაციის — წევრებს, რომლებითაც გაჭედილი იყო რკინიგზის მატარებლები და საფოსტო დილიჟანსები. ბონაპარტისტები "მათ მარიონეტს სხვადასხვა სიტყვებს ათქმევინებდნენ, რომლებშიაც, იმის მიხედვით, თუ როგორ შესვდებოდნენ პრეზიდენტს ამა თუ იმ ქალაქში, პრეზიდენტის პოლიტიკის დევიზად ხან რესპუბლიკური მორჩილება და ხან თავშეკავებულობა და შეურყეველობა იყო ჭამოცხადებული. ყოველგვარი

ოინების მიუხედავად, ეს მოგზაურობა ყველაფერს ჰგავდა გარდა ტრიუმფალური მსვლელობისა.

მას შემდეგ რაც ბონაპარტმა თავის ჭკუაში ხალხი აღაფრთოვანა, იგი შეუდგა არმიის გულის მოგებას. სატორის ველზე, ვერსალთან მან გამართა ჯარების დიდი აღლუმები, და აქ იგი შეეცადა ნივრიანი ძეხვებით, შამპანიურით და სიგარებით ჯარისკაცების მოსყიდვას. თუ ნამდვილმა ნაპოლეონმა მოულოდნელი პატრიარქალური, გულითადი სიტყვებით იცოდა მის მიერ წარმოებულ დამპყრობელ ლაშქრობებში დაღლილი ჯარისკაცების გამხნევება, პსევდონაპოლეონი ფიქრობდა, რომ ჯარი მას მადლობას უცხადებდა ყვირილით: «გაუმარჯოს ნაპოლეონს, გაუმარჯოს ძეხვს!», ე. ი. «გაუმარჯოს ძეხვს (**Wurst**), გაუმარჯოს ტაკიმასხარას (**Hanswurst**)!»

ამ აღლუმებმა აშკარა განხეთქილებად აქცია ძველი ფარული უთანხმოება, ერთი მხრივ, ნაპოლეონსა და მის სამხედრო მინისტრს დ'ოპულსა და, მეორე მხრივ, შანგარნიეს შორის. შანგარნიეს სახით წესრიგის პარტიამ იპოვა ნამდვილად თავისი ნეიტრალური ადამიანი, რომელსაც არასგზით არ ექნებოდა რაიმე საკუთარი დინასტიური პრეტენზიები. წესრიგის პარტიას იგი ბონაპარტის მემკვიდრედ ჰყავდა ამორჩეული. ამასთან, თავისი გამოსვლით 1849 წლის 29 იანვარსა და 13 ივნისს შანგარნიე გახდა წესრიგის პარტიის დიდი სარდალი, ახალი ალექსანდრე, რომელმაც, მშიშარა ბურჟუას აზრით, გაჰკვეთა თავისი ტლანქი ჩარევით რევოლუციის გორდიოსის კვანძი. არსებითად კი შანგარნიე ისეთივე სასაცილო არსება იყო, როგორც ბონაპარტი, იგი მეტად იაფი საშუალებით იქცა ძალად, და ეროვნულმა კრებამ პრეზიდენტზე მეთვალყურეობის გასაწევად წინ წამოსწია. თვითონ მას თავი მოჰქონდა, მაგალითად, პრეზიდენტისათვის სუბსიდიის მიცემის შესახებ კამათის დროს, ბონაპარტის მფარველის როლით და სულ უფრო და უფრო ქედმაღლურად ეჭირა თავი პრეზიდენტის და მისი მინისტრების შიმართ. როდესაც ახალი საარჩევნო კანონის გამო აჯანყებას მოელოდნენ, მან თავის ოფიცრებს აუკრძალა რაიმე ბრძანებები მიეღოთ სამხედრო მინისტრისა ან პრეზიდენტისაგან. პრესამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო შანგარნიეს პიროვნების განდიდებას. რადგან წესრიგის პარტიას სრულიად არ ჰყავდა დიდი პიროვნებები, იგი იძულებული გახდა ერთი კაცისთვის მიეწერა ის ძალა, რომელიც მთელ მის კლასს არ გააჩნდა, და ამგვარად იგი არაჩვეულებრივ გიგანტად გაებერა. ასე წარმოიშვა მითი შანგარნიეს შესახებ როგორც «ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ბ ურ-

ჯ ი ს» შესახებ. უტიფარი გაიძვერობა, საიდუმლოებრივი მედიდურობა, რითაც შანგარნიეს ვითომდა მთელი ქვეყანა თავის მხრებზე დაჰქონდა — ყველა ეს შეადგენს სასაცილო კონტრასტს სატორის აღლუმის დროს და მის შემდგომ ამბებთან. ამ ამბებმა უცილობლად დაამტკიცა, რომ საკმარისი იყო ბონაპარტის, ამ უსასრულოდ პაწია არსების, ერთი კალმის მოსმა, რათა ეს ფანტასტიური პირმშო ბურჟუაზიული სიმხდალისა, ეს გიგანტი შანგარნიე კვლავ საშუალო ყალიბის კაცად ექცია და იგი, საზოგადოების მხსნელი გმირი, დათხოვნილ პენსიონერ-გენერლად გადაექცია.

ბონაპარტმა ერთხელ უკვე იძია შური შანგარნიეზე, როდესაც უხერხული მფარველის წინააღმდეგ თავისი სამხედრო მინისტრის დისციპლინარული შეტაკება გამოიწვია. დაბოლოს, უკანასკნელმა აღლუმმა სატორის ველზე აშკარა განხეთქილებად აქცია ეს ძველი მტრობა. შანგარნიეს კონსტიტუციურ აღშფოთებას არ ჰქონდა საზღვარი, როდესაც ცხენოსანმა ლეგიონებმა ბონაპარტის წინ ჩაიარეს ანტიკონსტიტუციური ყვირილით: «გაუმარჯოს იმპერატორს!» რათა თავიდან აეცილებია უსიამოვნო კამათი ამ ლოზუნგის გამო პალატის მომავალ სესიაზე, ბონაპარტმა გადააყენა სამხედრო მინისტრი დ'ოპული და იგი ალჟირის გუბერნატორად დანიშნა. მის ადგილას დააყენა იმპერიის დროის სრულიად სანდო ძველი გენერალი; იგი თავისი უხეშობით შანგარნიეს სრულებით არ ჩამოუვარდებოდა. მაგრამ, რათა დ' ოპულის დათხოვნა შანგარნიეს მიმართ დათმობად არ გამოჩენილიყო, ბონაპარტმა იმავე დროს გენერალი ნეიმაიერი, საზოგადოების დიადი მხსნელის მარჯვენა ხელი, პარიზიდან ნანტში გადაიყვანა. ნეიმაიერი სწორედ ის გენერალი იყო, რომელმაც უკანასკნელი აღლუმის დროს მთელი ქვეითი ჯარი ყინულივით ცივი სიჩუმით ჩაატარა ნაპოლეონის მემკვიდრის წინაშე. შანგარნიემ, რომელიც პირადად შეურაცყოფილი იყო ნეიმაიერის გადაყვანით, პროტესტი და მუქარა განაცხადა. ამაოდ! ორი დღის განმავლობაში წარმოებული მოლაპარაკების შემდეგ დეკრეტი ნეიმაიერის ნანტში გადაყვანის შესახებ გამოქვეყნდა «Moniteur»-ში, და წესრიგის გმირს სხვა არა დარჩა რა, — ან დისციპლინას უნდა დამორჩილებოდა, ანდა სამსახურისთვის თავი დაენებებინა.

ბონაპარტის ბრძოლა შანგარნიესთან გაგრძელებაა მისი ბრძოლისა წესრიგის პარტიის წინააღმდეგ. ამიტომ ეროვნული კრების ახალი სესიის გახსნას 11 ნოემბერს საშიშროების მაუწყებელი ნიშნები ახლავს. მაგრამ ეს იქნება ქარიშხალი ერთ ჭიქა წყალში. არსებითად ეს ძველი თამაშის გაგრძელება იქნება. წესრიგის პარტიის

უმრავლესობა, მის სხვადასხვა ფრაქციებში პრინციპის რაინდთა ღრიანცელის მიუხედავად, იძულებული იქნება გააგრძელოს პრეზიდენტის ძალა-უფლება. თავის მხრივ, ბონაპარტი, ყველა წინასწარი პროტესტის მიუხედავად, უფულობის გამო მოტეხილი, მიიღებს ძალაუფლების ამ გაგრძელებას როგორც უფლების უბრალო გადაცემას ეროვნული კრების ხელიდან. ამგვარად, საკითხის გადაჭრის გადადება ხდება. «Status quo» შეინარჩუნება; წესრიგის პარტიის თვითეული ფრაქცია არცხვენს, ასუსტებს და შეუძლებელს ხდის მეორეს; იზრდება და ბოლოს და ბოლოს ამოიწურება რეპრესიები საერთო მტრის, ერის მასის წინააღმდეგ, ვიდრე, დაბოლოს, თვით ეკონომიური ურთიერთობა კვლავ არ მიაღწევს განვითარების ისეთ წერტილს, როდესაც ახალი აფეთქება ჰაერში აისვრის ყველა ამ მოქიშპე პარტიას მათი კონსტიტუციური რესპუბლიკით.

ბურჟუას გულის დასამშვიდებლად უნდა ითქვას, სხვათა შორის, რომ აურზაურს ბონაპარტსა და წესრიგის პარტიას შორის შედეგად მოჰყვა მრავალი წვრილი კაპიტალისტის გაჩანაგება ბირჟაზე და მათი ქონების გადასვლა ბირჟის. მსხვილი მგლების ჯიბეში.

დაწერილია კ. მარქსის მიერ 1850 წ.
პირველად დაიბეჭდა ჟურნალ «Neue Rheinische Zeitung. Politisch-ökonomische Revue» 1850 წლის 1, 2, 3, 5-6 ნომრებში.
ცალკე ბროშურის სახით ფ. ენგელსის შესავალითა და რედაქციით გამოვიდა ბერლინში 1895 წ.

იბეჭდება 1895 წლის გამოცემის ტექსტის მიხედვით; შედარებულია ჟურნალის ტექსტთან.
თარგმანი გერმანულიდან.

კ. მარქსი

თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა

კ. მარქსის წინასიტყვაობა მეორე გამოცემისათვის

ჩემ უდროოდ გარდაცვალებულ მეგობარს იოსებ ვაიდემეიერს[1] განზრახული ჰქონდა 1852 წლის 1-ლი იანვრიდან პოლიტიკური კვირეული ჟურნალი გამოეცა ნიუ-იორკში. მან მთხოვა სახელმწიფო გადატრიალების ისტორია მიმეწოდებინა ამ ჟურნალისთვის. მე მას თებერვლის შუამდე ყოველკვირეულად ვწერდი წერილებს სათაურით: «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა». ამასობაში ვაიდემეიერის თავდაპირველი გეგმა ჩაიშალა. სამაგიეროდ 1852 წლის გაზაფხულზე მან დაიწყო გამოცემა თვიური ჟურნალის «Die Revolution», რომლის მეორე რვეულს ჩემი «თვრამეტი ბრიუმერი» შეადგენდა. რამდენიმე ასეულმა ეგზემპლარმა აქედან მაშინ გერმანიისაკენ ჰპოვა გზა, მაგრამ საკუთრივ წიგნთვაჭრობაში ისინი არ მოხვედრილან. ერთმა გერმანელმა წიგნის ვაჭარმა, რომელსაც უკიდურეს რადიკალად მოჰქონდა თავი და რომელსაც მე ამ წიგნის გასაღება შევთავაზე, ნამდვილი ზნეობრივი თავზარდაცემით ხელები გაასავსავა ასეთ «დროის შეუფერებელ შეთავაზებაზე».

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ წინამდებარე თხზულება მოვლენათა უშუალო ზეგავლენით წარმოიშვა და მასში დამუშავებული ისტო-

[1] ამერიკის სამოქალაქო ომის დროს სენ ლუის ოლქის სამხედრო უფროსის თანამდებობა ეკავა. (მარქსის შენიშვნა).

რიული მასალა 1852 წლ. თებერვლის თვეს არ ცილდება. მისი ახლანდელი ხელახალი გამოცემა გამოწვეულია ნაწილობრივ წიგნთვაჭრობის მოთხოვნით, ნაწილობრივ — ჩემი გერმანელი მეგობრების დაჟინებითი თხოვნით.

იმ თხზულებებიდან, რომლებიც დაახლოებით ჩემი ნაშრომის იმავდროულად განიხილავდნენ ამავე საგანს, მხოლოდ ორია აღსანიშნავი: ვიქტორ ჰიუგოს «პატარა ნაპოლეონი» და პრუდონის «სახელმწიფო გადატრიალება».

ვიქტორ ჰიუგო სახელმწიფო გადატრიალების პასუხისმგებელ გამომცემელთა გესლიანი და გონებამახვილი კიცხვით კმაყოფილდება. თვით ეს ამბავი მას მიაჩნია გაელვებად მოწმენდილ ცაზე, მასში ის ხედავს მხოლოდ ცალკე ინდივიდუუმის ძალადობის აქტს. იგი ვერ ამჩნევს, რომ ამ ინდივიდუუმს, ნაცვლად დამცირებისა, განადიდებს იმით, რომ მას მიაწერს ინიციატივის ისეთ პირად ძალოვნებას, რაც უბადლო იქნებოდა მსოფლიო ისტორიაში. პრუდონი, თავის მხრივ, ცდილობს სახელმწიფო გადატრიალება წარმოადგინოს როგორც წინამავალი ისტორიული განვითარების შედეგი. მაგრამ თვალსა და ხელს შუა მას სახელმწიფო გადატრიალების ისტორიული კონსტრუქცია სახელმწიფო გადატრიალების გმირის ისტორიულ აპოლოგიად გამოუდის. ამრიგად, ის ვარდება ჩვენს ეგრეთწოდებულ ობიექტურ ისტორიკოსთა შეცდომაში. მე კი, პირიქით, ვუჩვენებ, თუ როგორ შექმნა კლასობრივმა ბრძოლამ საფრანგეთში გარემოებები და პირობები, რომელთაც შესაძლებელი გახადეს საშუალო და გროტესკულ პერსონაჟს გმირის როლი ეთამაშნა.

წინამდებარე ნაშრომი რომ გადამემუშავებინა, მას დაეკარგებოდა მისი დამახასიათებელი ელფერი. ამიტომ მე დავკმაყოფილდი ბეჭდვის შეცდომათა გასწორებით და იმ გადაკვრით ნათქვამთა ამოშლით, რომლებიც ახლა უკვე აღარ იქნებოდა გასაგები.

ჩემი თხზულების ბოლო წინადადება: «მაგრამ როდესაც იმპერატორის მანტია, დაბოლოს, ლუი ბონაპარტის მხრებს წამოესხმის, ნაპოლეონის ბრინჯაოს ქანდაკება ვანდომის სვეტის სიმაღლიდან ძირს დაემხობა», — უკვე ასრულდა.

პოლკოვნიკმა შარასმა, თავის ნაწარმოებით 1815 წლის ლაშქრობის შესახებ, დაიწყო ნაპოლეონის კულტის წინააღმდეგ ლაშქრობა. მას შემდეგ, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, საფრანგეთის ლიტერატურამ, ისტორიული გამოკვლევის, კრიტიკის, სატირისა და მოსწრებული სიტყვების იარაღით, ნაპოლეონის ლეგენდა

სრულად გაანადგურა. საფრანგეთს გარეთ ეს მძლავრი ხელისაღება ტრადიციულ ხალხურ რწმენაზე, ეს უზარმაზარი სულიერი რევოლუცია ნაკლებ იქნა ყურადღებამიქცეული და კიდევ უფრო ნაკლებ გაგებული.

დასასრულ, მე ვიმედოვნებ, რომ ჩემი თხზულება ხელს შეუწყობს მოისპოს ამჟამად, განსაკუთრებით გერმანიაში, გავრცელებული სასკოლო ფრაზა ეგრეთწოდებული ცეზარიზმისშესახებ. ამ ზერელე ისტორიული ანალოგიის ხსენებისას ივიწყებენ მთავარს, სახელდობრ, — რომ ძველ რომში კლასობრივი ბრძოლა წარმოებდა მხოლოდ პრივილეგიებიანი უმცირესობის ფარგლებში, თავისუფალ მდიდრებსა და თავისუფალ ღარიბებს შორის, მაშინ როდესაც მოსახლეობის დიდი პროდუქტული მასა, მონები, მებრძოლთათვის მხოლოდ პასიურ კვარცხლბეკს შეადგენდა. ივიწყებენ სისმონდის საყურადღებო ნათქვამს: რომის პროლეტარიატი საზოგადოების ხარჯზე ცხოვრობდა, მაშინ როდესაც თანამედროვე საზოგადოება ცხოვრობს პროლეტარიატის ხარჯზე. ანტიკური და თანამედროვე კლასობრივი ბრძოლის მატერიალურ, ეკონომიურ პირობათა ასეთი სრული სხვადასხვაობისას, მის პოლიტიკურ წარმონაშობთ ერთმანეთს შორის არ შეიძლება იმაზე მეტი საერთო რამ ჰქონდეთ, რაც აქვთ კენტერბერის მთავარეპისკოპოზსა და მღვდელმთავარ სამუელს.

კარლ მარქსი

ლონდონი, 23 ივნისი 1869 წ.

დაწერილია კ. მარქსის მიერ მისი შრომის «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» მეორე გამოცემისათვის, რომელიც გამოვიდა ჰამბურგში 1869 წ.

იბეჭდება მეორე გამოცემის ტექსტის მიხედვით.

თარგმანი გერმანულიდან.

ფ. ენგელსის წინასიტყვაობა მესამე გერმანული გამოცემისათვის

«თვრამეტი ბრიუმერის» ახალი გამოცემა რომ საჭირო შეიქნა, პირველი გამოცემიდან ოცდაცამეტი წლის შემდეგ, იმას მოწმობს, რომ ამ ნაშრომს დღესაც კიდევ დაკარგული არა აქვს თავისი მნიშვნელობა.

და მართლაც, ეს იყო გენიალური ნაშრომი. უშუალოდ იმ ამბის შემდეგ, რომელიც მთელ პოლიტიკურ სამყაროს უეცრად მოეევლინა როგორც ელვა მოწმენდილ ცაზე და რომელსაც ზოგიერთები

ზნეობრივი აღშფოთებით ხმამაღლა გმობდნენ, სხვებმა კი მიიღეს როგორც ხსნა რევოლუციისგან და როგორც სასჯელი მის ცდომილებათათვის, — უშუალოდ იმ ამბის შემდეგ, რომელმაც ყველანი გააოცა და რაც ვერავინ კი ვერ გაიგო, მარქსი გამოვიდა ამბის მოკლე ეპიგრამული მოთხრობით, რომელშიც საფრანგეთის ისტორიის მთელი მსვლელობა თებერვლის დღეებიდან გადმოგვცა მის შინაგან კავშირში, ორი დეკემბრის საოცრება დაგვისახა როგორც ამ კავშირის ბუნებრივი, აუცილებელი შედეგი, და ამასთან — ისე, რომ მას არ დაჭირებია სახელმწიფო გადატრიალების გმირი განეხილა სხვანაირად, თუ არ სრულიად მის მიერ დამსახურებული ზიზღით. და სურათი ისეთი ოსტატური ხელით იყო დახატული, რომ ყოველი ახალი ფაქტის გამომჟღავნება შემდეგში მხოლოდ იმის ახალ დამტკიცებას იძლეოდა, თუ რაოდენ სწორად ასახა მარქსმა ამ სურათში სინამდვილე. ცოცხალი მიმდინარე ისტორიის ასეთი საუცხოვო გაგება, მოვლენათა ასეთი ნათელი განჭვრეტა იმ მომენტში, როდესაც მათ ადგილი ჰქონდათ, მართლაც უმაგალითოა.

მაგრამ ამისათვის საჭირო იყო საფრანგეთის ისტორიის ისეთი ზედმიწევნითი ცოდნა, როგორიც მარქსს ჰქონდა. საფრანგეთი ის ქვეყანაა, რომლის ისტორიაში კლასთა ბრძოლა მეტად, ვიდრე სადმე სხვაგან, ყოველთვის გადაწყვეტამდე მიიყვანებოდა, სადაც, ამიტომ, ცვალებადი პოლიტიკური ფორმები, რომელთა შიგნით ეს კლასობრივი ბრძოლა წარმოებდა და რომლებშიც მისი შედეგები თავს იყრიდა, უმკვეთრეს გამოსახულებაში ყალიბდებოდა. საფრანგეთმა, ფეოდალიზმის ცენტრმა შუა საუკუნეებში და ერთიანი წოდებრივი მონარქიის სანიმუშო ქვეყანამ რენესანსის დროიდან, დიდ რევოლუციაში დაამხო ფეოდალიზმი და დაამყარა ბურჟუაზიის წმინდა ბატონობა ისეთ კლასიკურ ფორმაში, როგორც ვერც ერთმა ევროპის სხვა ქვეყანამ. და აღმდგარი პროლეტარიატის ბრძოლაც გაბატონებული ბურჟუაზიის წინააღმდეგ აქ თავს იჩენს ისეთ მწვავე ფორმაში, რომელიც უცნობია სხვაგან. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მარქსი განსაკუთრებული სიყვარულით სწავლობდა საფრანგეთის არა მარტო წარსულ ისტორიას, არამედ თვალყურს ადევნებდა აგრეთვე მიმდინარე ისტორიასაც ყველა ცალკე მოვლენით, აგროვებდა მასალას მომავლისთვის გამოსაყენებლად, და, ამიტომ, მოვლენებს მოუმზადებელი არასოდეს არ ხვდებოდა.

მაგრამ ამას კიდევ სხვა გარემოებაც ერთვის თან. სწორედ მარქსი იყო ის, ვინც პირველად აღმოაჩინა ისტორიის მოძრაობის

დიადი კანონი, — კანონი, რომლის თანახმად ყველა ისტორიული ბრძოლა, წარმოებს ის პოლიტიკურ, რელიგიურ, ფილოსოფიურ თუ სხვა იდეოლოგიურ სფეროში, სინამდვილეში მხოლოდ საზოგადოებრივ კლასთა ბრძოლის მეტ-ნაკლებ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს, და ამ კლასთა არსებობა და, მაშასადამე, აგრეთვე შეჯახება, თავის მხრივ, პირობადებულია მათი ეკონომიური მდგომარეობის განვითარების დონით, მათი წარმოების წესით და ამით გამოწვეულ მათი გაცვლა-გამოცვლით.. ამ კანონმა, რასაც ისტორიისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც ენერგიის გარდაქმნის კანონს ბუნებისმეტყველებისთვის, — ამ კანონმა აქაც გასაღები მისცა მარქსს საფრანგეთის მეორე რესპუბლიკის ისტორიის გასაგებად. ამ ისტორიაზე შეამოწმა მან აქ თავისი კანონი, და ოცდაცამეტი წლის შემდეგაც კი ისევ უნდა ვთქვათ, რომ ეს შემოწმება ბრწყინვალედ ჩატარდა. •

ფრიდრიხ ენგელსი

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ კ. მარქსის ნაშრომის «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» მესამე გამოცემისთვის, რომელიც გამოვიდა ჰამბურგში 1885 წ.

იბეჭდება მესამე გამოცემის ტექსტის მიხედვით. თარგმანი გერმანულიდან.

თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა

I

ჰეგელმა სადღაც შენიშნა: ყველა დიდი მსოფლიო ისტორიული ფაქტი და პიროვნება, ასე ვთქვათ, ორჯერ წარმოიშობაო. მას დაავიწყდა დაემატებინა: პირველად — როგორც ტრაგედია, მეორედ — როგორც ფარსი. კოსიდიერი დანტონის ადგილას, ლუი ბლანი რობესპიერის ადგილას, 1848 — 1851 წლების მთა 1793 —1795 წლების მთის ადგილას, ძმისწული ბიძის ადგილას. და იგივე კარიკატურაა იმ პირობებში, რომლებშიც გამოშვებულ იქნა თვრამეტი ბრიუმერის მეორე გამოცემა!

ადამიანები თვით ჰქმნიან საკუთარ ისტორიას, მაგრამ ჰქმნიან არა თვითნებურად, არა ნებაყოფლობით არჩეულ პირობებში, არამედ უშუალოდ არსებულ, მოცემულ და გადმოცემულ პირობებში. ყველა მკვდარ თაობათა ტრადიცია კოშმარივით აწევს ცოცხალთა ტვინს. და როდესაც ადამიანები თითქოს იმით არიან გართულნი, რომ თავისი თავი და საგნები გარდაქმნან, ჯერ არარსებული შეჰქმნან, რევოლუციური კრიზისების სწორედ ასეთ ეპოქებში ისინი მოკრძალებით იწვევენ დახმარებისათვის წარსულის სულებს, გადმოიღებენ მათ სახელებს, საბრძოლო ლოზუნგებს, ტანსაცმელს, რათა ძველ საპატიო სამოსელში და ამ ნასესხებ ენაზე მსოფლიო ისტორიის ახალი სცენა დადგან. ასე, ლუთერი პავლე მოციქულის ნიღაბს იფარებდა. 1789 — 1814 წლ. რევოლუცია რიგრიგობით მოირთვებოდა როგორც რომის რესპუბლიკა და როგორც რომის იმპერია, და 1848 წლის რევოლუციამ უკეთესი ვერა ჰპოვა რა, თუ არ პაროდია ეყო ხან 1789 წლისთვის და ხან 1793 — 1795 წლების რევოლუციური ტრადიციებისათვის. ასე, ახალი ენის შესწავლის დამწყები ჯერ ყოველთვის თავის დედაენაზე თარგმნის იმ ენიდან, ხოლო ახალი ენის არსს ის მხოლოდ მაშინ შეითვისებს და მხოლოდ მაშინ შესძლებს იმ ენის საშუალებით თავისუფლად აზროვნებას, როდესაც მას თარგმნისთვის მიუმართავად გამოიყენებს და მასში დედაენას დაივიწყებს.

ამ მსოფლიო-ისტორიული მკვდართა გამოწვევის განხილვისას უმალვე ძირითად განსხვავებას ვპოვებთ მათ შორის. კამილ ლემულენი, დანტონი, რობესპიერი, სენ-ჟიუსტი, ნაპოლეონი — ძველი საფრანგეთის რევოლუციის, როგორც გმირები, ისე პარტიები და მასები—რომაულ ტანსაცმელში და რომაული ფრაზებით თავიანთი დროის ამოცანას ანხორციელებდნენ—ბორკილებისაგან განთავისუფლებას და თანამედროვე ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი საზოგადოების შექმნას. პირველებმა დაამსხვრიეს ფეოდალიზმის საფუძვლები და მოცელეს მასზე აღმოცენებული ფეოდალური თავები, უკანასკნელმა კი საფრანგეთის შიგნით შეჰქმნა პირობები, რომლებშიც შეიძლებოდა განვითარებულიყო თავისუფალი კონკურენცია, დამუშავებულიყო დაქუცმაცებული მიწის საკუთრება და გამოყენებულიყო ერის ბორკილებახსნილი სამრეწველო საწარმოო ძალა, ხოლო საფრანგეთის საზღვრებს მიღმა მან ყველგან აღგავა ფეოდალური ფორმები, რამდენადაც ეს საჭირო იყო, რათა საფრანგეთის ბურჟუაზიული საზოგადოებისთვის შესაფერი, დროის შესაბამისი გარემო შეექმნა ევროპის კონტინენტზე. მაგრამ ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის შექმნისთანავე გაჰქრენ წარღვნის წინადროინდელი გოლიათები და მათთან ერთად მკვდრეთით აღმდგარი რომაელები — ბრუტუსები, გრაკხები, პუბლიკოლები, ტრიბუნები, სენატორები და თვით კეისარიც. ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ მის პრაქტიკულ სინამდვილეში წარმოშვა თავისი ნამდვილი ამხსნელ-განმმარტებელნი და წარმომადგენლები სეების, კუზენების, როიე-კოლარების, ბენჟამენ კონსტანების და გიზოთა სახით; მისი ნამდვილი მხედართმთავრები კანტორის მაგიდას უსხდნენ, ხოლო ლუდოვიკ XVIII-ის გასივებული თავი მისი პოლიტიკური თავი იყო. სრულად შთანთქმულს სიმდიდრის წარმოებასა და მშვიდობიან საკონკურენციო ბრძოლაში, მას აღარ გაეგებოდა, რომ მის აკვანს ძველი რომის აჩრდილები მწყესავდნენ. მაგრამ ბურჟუაზიული საზოგადოების უგმირობისდა მიუხედავად, ის მაინც საჭიროებდა გმირობას, თავგანწირვას, ტერორს, სამოქალაქო ომს და ხალხთა ბრძოლას, რათა ქვეყნად გაჩენილიყო. და მისი გლადიატორები(რომის რესპუბლიკის კლასიკურად მკაცრ ტრადიციებში პოულობდნენ იმ იდეალს და ხელოვნების ფორმებს, იმ თავმოტყუილებას, რასაც ისინი საჭიროებდნენ იმისთვის, რომ თავიანთი ბრძოლის ბურჟუაზიულ-შეზღუდული შინაარსი საკუთარი თავისთვისვე დაემალათ და თავიანთი აღგზნება დიდი ისტორიული ტრაგედიის სიმაღლეზე გაეჩერებინათ. ასევე, განვითარების სხვა საფეხურზე, ერთი საუკუნით ადრე,

კრომველმა და ინგლისის ხალხმა ძველი აღთქმიდან გადმოიღო ენა, აღგზნება და ილუზიები თავისი ბურჟუაზიული რევოლუციისთვის. როდესაც ნამდვილი მიზანი მიღწეულ იქნა, როდესაც ინგლისის საზოგადოების ბურჟუაზიული სახეცვლა დასრულდა, აბაკუმი ლოკმა გააძევა.

ამრიგად, ამ რევოლუციებში მკვდართა აღდგომა იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ ახალი ბრძოლები განდიდებულიყო და არა პაროდია ეყოთ ძველ ბრძოლათათვის, რომ მოცემული ამოცანა ფანტაზიის საშუალებით გაზვიადებულიყო და სინამდვილეში მის გადაჭრას არ გაქცეოდნენ, რომ რევოლუციის სული ისევ ეპოვნათ, მისი აჩრდილების სიარული კი კვლავ არ გამოეწვიათ.

1848—1851 წლებში კი მხოლოდ ძველი რევოლუციის აჩრდილები დადიოდნენ, დაწყებული მარასტით, ყვითელ ხელთათმანიანი რეს-პუბლიკელით, რომელიც მოხუცი ბაიის ტანსაცმელით იყო შე-მოსილი, და გათავებული ავანტიურისტით, რომელსაც თავისი ტრი-ვიალურ-საზიზღარი სახე მკვდარი ნაპოლეონის რკინის ნიღაბით ჰქონდა დაფარული. მთელმა ხალხმა, რომელიც რევოლუციის სა-შუალებით ფიქრობდა ისტორიული მოძრაობის ძალის დაჩქარების მიღწევას, უეცრად უკუმდებარე მკვდარ ეპოქაში ამოჰყო თავი, და რათა ეს ძველ ხანაში გადავარდნა საეჭვო არ ყოფილიყო, აღად-გინეს ძველი თარიღები, ძველი ჟამთაღრიცხვა, ძველი სახელები, ძველი ედიქტები, რაც დიდი ხანია სიძველეთმცოდნეობის საგნად იქცა, და ძველი პოლიციელები, რომელნიც, თითქოს, კაი ხანია მიწად იქცნენ. ერი დაემსგავსა იმ ბედლამში [1] დამწყვდეულ შეშ-ლილ ინგლისელს, რომელიც ფიქრობს — ძველი ფარაონების ხანაში ვცხოვრობო და ყოველდღე მწარედ ჩივის მძიმე სამუშაოზე, რასაც მას ეთიოპიის სამადნეებში ასრულებინებენ როგორც ოქროს გამომ-თხრელს; ასრულებინებენ ამ მიწისქვეშეთ სატუსაღოში გამომწყვდე-ულს, მის თავზე მიმაგრებული მკრთალად მანათობელი სანათით; მის ზურგს უკან დგას მონების ზედამხედველი, ხელში გრძელი მათ-რახით, ხოლო გასავალთან — ბარბაროს-ჯარისკაცთა ბრბო, რო-მელთაც არა გაეგებათ რა არც სამადნეებში იძულებით მომუშავე-თა და არც ერთმანეთისა, ვინაიდან ისინი საერთო ენაზე არ ლაპა-რაკობენ. «და ყოველივე ამის ატანა — ოხრავს შეშლილი ინგლისე-ლი — მიხდება მე, თავისუფლად დაბადებულ ბრიტანელს, რათა ოქრო მოვუპოვო ძველ ფარაონებს». «რათა ბონაპარტის ოჯახის

[1] შეშლილთა სახლი ინგლისში. რ ე დ.

ვალი გადავიხადოთ» — გოდებს ფრანგი ერი. ინგლისელი, ვიდრე იგი გონებაზე იყო, თავიდან ვერ იცილებდა აკვიატებულ იდეას ოქროს მოპოვების შესახებ. ფრანგებმა, ვიდრე რევოლუციას აწარმოებდნენ, თავიდან ვერ მოიშორეს ნაპოლეონის მოგონება, რაც 10 დეკემბრის არჩევნებმა დაადასტურა. რევოლუციის საშიშროებათაგან ისინი ისწრაფოდნენ უკან, — ეგვიპტის ხორციანი ქოთნებისაკენ, და პასუხი 1851 წლის 2 დეკემბერი იყო. მათ მიიღეს არა მხოლოდ ძველი ნაპოლეონის კარიკატურა, არამედ — თვით ძველი ნაპოლეონიც გააკარიკატურეს, იგი იმ სახით მიიღეს, რაც უნდა ჰქონოდა მას მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში.

მეცხრამეტე საუკუნის სოციალურ რევოლუციას თავისი პოეზია შეუძლია აიღოს არა წარსულიდან, არამედ — მხოლოდ მომავლიდან. ეს რევოლუცია ვერც დაიწყება, სანამ არ აღმოიფხვრება ყველა ცრურწმენა წარსულის მიმართ. წინანდელი რევოლუციები წარსულ მსოფლიო-ისტორიულ მოვლენათა მოგონებებს საჭიროებდნენ იმისათვის, რომ თავისი საკუთარი შინაარსის ხარჯზე მოეტყუებინათ თავი. მეცხრამეტე საუკუნის რევოლუციამ მკვდრებს უნდა მიანდოს მათი მკვდრების დამარხვა, რათა მან თავისი საკუთარი შინაარსი ჰპოვოს. იქ ფრაზა ჭარბობდა შინაარსს, აქ შინაარსი ჭარბობს ფრაზას.

თებერვლის რევოლუცია იყო უეცარი თავდასხმა, ა ნ ა ზ დ ე უ ლ ო ბ ა ძველი საზოგადოებისთვის, და ხალხმა ეს მოულოდნელი თ ა ვ დ ა ს ხ მ ა გამოაცხადა მსოფლიო-ისტორიულ საქმედ, რომლითაც ახალი ეპოქა იწყებაო. 2 დეკემბერს თებერვლის რევოლუცია გაქურდულ იქნა ყალბი მოთამაშის ხელით, და დამხობილი აღმოჩნდა უკვე არა მონარქია, არამედ ლიბერალური დათმობანი, რომლებიც მთელი საუკუნის ბრძოლით იყო მისგან გამოგლეჯილი. ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს მიერ ახალი შინაარსის მოპოვების ნაცვლად, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მხოლოდ თავის უძველეს ფორმას დაუბრუნდა, ხმლისა და ანაფორის უსირცხვილო უბრალო ბატონობას. და ასე, 1848 წლის თებერვლის ანაზდეული თავდასხმის (coup de main-ის) პასუხი იყო 1851 წლის დეკემბრის თავხედი თავდასხმა (coup de tête). ქარის მოტანილი ქარმა წაიღო. მაგრამ შუალედ დროს უსარგებლოდ არ ჩაუვლია. საფრანგეთის საზოგადოებამ 1848-1851 წლებში შეიძინა გამოცდილება, — და შეიძინა სახელდობრ შემოკლებული მეთოდით, რადგან იგი რევოლუციური მეთოდი იყო, — რაც წინ უნდა წამძღვარებოდა თებერვლის რევოლუციის წესიერ, ასე ვთქვათ, მეთოდურ განვითარებას, რათა ეს რევოლუცია უფრო სერიოზული

ყოფილიყო, ვიდრე მარტოოდენ ზედაპირის შერყევა. ისე მოჩანს, თითქოს საზოგადოებამ თავისი გამოსავალი წერტილიდან უკან დაიხია; სინამდვილეში კი მან მხოლოდ ახლა უნდა შეჰქმნას თავისთვის რევოლუციური გამოსავალი წერტილი, მდგომარეობა, ურთიერთობანი და პირობები, რომლებშიაც მარტოოდენ ღებულობს თანამედროვე რევოლუცია სერიოზულ ხასიათს.

ბურჟუაზიული რევოლუციები, როგორც, მაგალითად მეთვრამეტე საუკუნის რევოლუცია, სწრაფად მიიწევენ წინ წარმატებიდან წარმატებისაკენ, მათი დრამატიული ეფექტები ერთი მეორეს ჭარბობს, ადამიანები და მოვლენები თითქოს გაცისკროვნებული არიან ბრწყინვალე ცეცხლით, ექსტაზი შეადგენს ყოველი დღის სულს; მაგრამ ისინი სწრაფწარმავალნი არიან, მალე აღწევენ თავიანთ უმაღლეს წერტილს, და საზოგადოებას ხანგრძლივი ნაბახურევის გრძნობა მოიცავს უკვე, ვიდრე იგი ფხიზლად შეითვისებდეს ქარიშხლისა და შეტევის პერიოდის შედეგებს. პროლეტარული რევოლუციები კი, როგორც, მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის რევოლუცია, პირიქით, განუწყვეტლივ აკრიტიკებენ თავიანთ თავს, მუდმივ შეწყვეტენ ხოლმე თავიანთ საკუთარ მსვლელობას, უკან უბრუნდებიან დასრულებულად მიჩნეულს, რათა იგი ხელახლა დაიწყონ, ულმობელი სიმკაცრით ძირიანფესვიანად გმობენ თავიანთი პირველი ცდების ნახევრობიას, სისუსტეს და უმწეობას, თავიანთ მოწინააღმდეგეს თითქოს იმისთვის წააქცევენ, რომ მან დედამიწიდან ახალი ძალები შეიწოვოს და მათ კვლავ უფრო მძლედ დაუპირისპირდეს, ბევრჯერ უკან იხევენ თავიანთი საკუთარი მიზნების უზომო სიდიადის წინაშე, ვიდრე არ შეიქმნება მდგომარეობა, რომელიც ყოველგვარ უკანდახევას შეუძლებელს გახდის, და ვიდრე თვით გარემოებები არ შემოსძახებენ:

აქ როდოსია, აქ გადახტი! [1]

აქ ვარდია, აქ იცეკვე!

სხვა მხრივ, ყოველ გულდასმით მეთვალყურეს, თუნდაც ის კვალდაკვალ არ გაჰყოლოდეს საფრანგეთის განვითარების მსვლელობას, უნდა წინათ ეგრძნო, რომ რევოლუციას გაუგონარი შერცხვენა მოე-

[1] ეს ფრაზა აღებულია ეზოპის იგავიდან მკვეხარას შესახებ, რომელიც ამტკიცებდა მოწმეების დასახელებით, რომ ერთხელ როდოსში მან შესანიშნავი ნახტომი გააკეთა; მას ამაზე უპასუხეს: «რა საჭიროა მოწმეები, თუ ეს სწორია; აქ როდოსია, აქ გადახტი!». სხვა სიტყვებით: საქმით გვიჩვენე, რის მაქნისიც ხარ. რ ე დ.

ლოდა. საკმარისი იყო მოსმენა თვითკმაყოფილებითი გამარჯვების წკმუილისა, რომლითაც ბატონი დემოკრატები ერთმანეთს ულოცავდნენ 1852 წლის მაისის მეორე კვირის წყალობას[1]. 1852 წლის მაისის მეორე კვირა მათ თავში იქცა აკვიატებულ იდეად, დოგმად, ისე როგორც ხილიასტების თავში — ქრისტეს მეორედ მოსვლისა და ათასწლიური სუფევის დაწყების დღე. როგორც ყოველთვის, სისუსტეს თავის მხსნელად სასწაულის რწმენა მიაჩნდა, მტერს ის დამარცხებულად თვლიდა, რაკი მას ოცნებაში ლოცვების საშუალებით თავიდან იცილებდა, და ჰკარგავდა თანამედროვეობის ყოველივე გაგებას იმ მომავლის უმოქმედო ქება-დიდებაში, რომელსაც ის მოელოდა, და იმ საქმეების უმოქმედო ქება-დიდებაში, რომლებიც მას ვითომ აზრად აქვს, მაგრამ რომელთა შესახებ ლაპარაკი ჯერ ნაადრევად მიაჩნია. ამ გმირებმა, რომელნიც თავიანთი დამტკიცებული უუნარობის უარყოფას იმით ცდილობდნენ, რომ ერთმანეთს გულშემატკივრობას უცხადებდნენ და ერთ გროვად იყრიდნენ თავს, შეჰკრეს რა თავიანთი ბოხჩა, დაფნის გვირგვინები ავანსად მოიტაცეს და ხელი მიჰყვეს სათამასუქო ბაზარზე თავიანთი მოჩვენებითი რესპუბლიკების განაღდებას, რომელთათვისაც მათ, თავიანთი უპრეტენზიო გრძნობის მყუდროებაში, უკვე მთავრობის პერსონალი ჰყავდათ წინდახედულად შერჩეული. 2 დეკემბერი მოევლინა მათ როგორც გაელვება მოწმენდილ ცაზე. და ხალხები სულმოკლე მჭმუნვარების ეპოქებში, რომ თავიანთ შინაგან შიშს ხალისით აბრუებინებენ ხმამაღლა მყვირალებს, ალბათ დარწმუნდნენ, რომ წავიდა დრო, როდესაც ბატების ყიყინს კაპიტოლის გადარჩენა შეეძლო.

კონსტიტუცია, ეროვნული კრება, დინასტიური პარტიები, ლურჯი და წითელი რესპუბლიკები, აფრიკის გმირები, ტრიბუნების გრგვინვა, ყოველდღიური პრესის ლაპლაპი, მთელი ლიტერატურა, პოლიტიკური სახელები და გონებრივად წარჩინებულნი, სამოქალაქო კანონი და სისხლის სამართალი, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და 1852 წლის მაისის მეორე კვირა — ყველაფერი გაჰქრა როგორც ფანტასმაგორია ჯადოსნური ფორმულის წინაშე ერთი ადამიანისა, რომელსაც თვით მისი მტრებიც კი არ თვლიან ჯადოქრად. მხოლოდ საყოველთაო საარჩევნო უფლებამ გასძლო

[1] ამ დღეს გაუდიოდა ვადა რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებებს, თანაც, კონსტიტუციის თანახმად, იგივე კანდიდატი არ შეიძლებოდა მეორედ არჩეულიყო ამ თანამდებობაზე. რ ე დ.

კიდევ ერთ წუთს თითქოს იმისთვის, რომ მთელი ქვეყნის თვალწინ საკუთარი ხელით შეედგინა თავისი ანდერძი და თვით ხალხის სახელით განეცხადებინა: «ყოველივე, რაც' კი ჩნდება, დაღუპვის ღირსია» [1].

საკმარისი არ არის ითქვას, როგორც ამას ფრანგები სჩადიან, რომ მათმა ერმა უეცარი თავდასხმა განიცადა. ერსა და ქალს ვერ აპატიებენ იმ გაუფრთხილებელ საათს, როდესაც პირველმა შეხვედრილმა ავანტიურისტმა შესძლო მათზე ძალადობის მოხდენა და მათი დაუფლება. ასეთი ფრაზები ამოცანას კი არ ხსნის, არამედ მხოლოდ სხვა სახით აყალიბებს მას. ასახსნელი რჩება, თუ როგორ შეძლო სამმა გაიძვერამ უეცრად თავს დასხმოდა 36-მილიონიან ერს და წინააღმდეგობის გაუწევლად დაეტყვევებინა ის.

შევაჯამოთ ზოგად მოხაზულობაში ის ფაზები, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციამ განვლო 1848 წლის 24 თებერვლიდან 1851 წლის დეკემბრამდე.

სამი მთავარი პერიოდია ნათლად გასარჩევი: თ ე ბ ე რ ვ ლ ი ს პ ე რ ი ო დ ი; 1848 წლის 4 მაისიდან 1849 წლის 28 მაისამდე: რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს დ ა ფ უ ძ ნ ე ბ ი ს, ანუ დ ა მ ფ უ ძ ნ ებ ე ლ ი ე რ ო ვ ნ უ ლ ი კ რ ე ბ ი ს პ ე რ ი ო დ ი; 1849 წლის 28 მაისიდან 1851 წლის 2 დეკემბრამდე: კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს, ა ნ უ ს ა კ ა ნ ო ნ მ დ ებ ლ ო ე რ ო ვ ნ უ ლ ი კ რ ე ბ ი ს პ ე რ ი ო დ ი.

პ ი რ ვ ე ლ ი პ ე რ ი ო დ ი, 1848 წლის 24 თებერვლიდან, ანუ ლუი ფილიპეს დაცემიდან 4 მაისამდე, დამფუძნებელი კრების სხდომამდე, საკუთრივ თ ე ბ ე რ ვ ლ ი ს პ ე რ ი ო დ ი, შეიძლება აღნიშნული იქნეს როგორც რევოლუციის პ რ ო ლ ო გ ი. მისი ხასიათი ოფიციალურად იმით გამოისახა, რომ მის მიერ იმპროვიზაციით შედგენილმა მთავრობამ თავის თავი თვითონ გამოაცხადა დ რ ო ე ბ ი თ მთავრობად, და ისევე, როგორც მთავრობა, ყველაფერი, რაც ამ პერიოდში იქნა აღძრული, ნასინჯი და გამოთქმული, მხოლოდ დ რ ო ე ბ ი თ ა დ იყო მიჩნეული. არავის და არაფერს არ შეეძლო გაებედნა პრეტენზიის' გამოცხადება არსებობისა და ნამდვილი ფაქტის უფლებაზე. ყველა ელემენტმა, ვინც მოამზადა ან განსაზღვრა რევოლუცია, დინასტიურმა ოპოზიციამ, რესპუბლიკურმა ბურჟუაზიამ, დემოკრატიულ-რესპუბლიკურმა წვრილმა ბურჟუა-

[1] მეფისტოფელის სიტყვები გოეთეს «ფაუსტში». რ ე დ.

ზიამ, სოციალ-დემოკრატიულმა მუშებმა — ყველამ დროებით დაიჭირა თავიანთი ადგილი თებერვლის მთავრობაში.

სხვანაირად არც შეიძლებოდა. თებერვლის დღეებს პირველად მიზნად ჰქონდა საარჩევნო რეფორმა, რომლითაც მფლობელ კლასებს შიგნით პოლიტიკურად პრივილეგიურთა წრე უნდა გაფართოებულიყო და მხოლოდ და მხოლოდ ფინანსური არისტოკრატიის ბატონობა დამხობილიყო, მაგრამ როდესაც საქმე ნამდვილ კონფლიქტამდე მივიდა, ხალხმა ბარიკადებს მიაშურა, ეროვნული გვარდია პასიურად გაჩერდა, არმიამ არავითარი სერიოზული წინააღმდეგობა არ გაწია და სამეფო ხელისუფლება გაიქცა, — რესპუბლიკის გაჩენა აღმოჩნდა როგორც თავისთავად ნაგულისხმევი რამ. თვითეული პარტია მას თავისებურ ახსნა-განმარტებას აძლევდა. იარაღასხმულმა პროლეტარიატმა ძალით მოიპოვა იგი, თავისი დაღი დაასვა მას და სოციალურ რესპუბლიკად გამოაცხადა. ამრიგად იქნა გამოსახული თანამედროვე რევოლუციის საერთო შინაარსი, რომელიც მეტად საოცარ წინააღმდეგობაში იყო ყოველივე იმის მიმართ, რის უშუალო განხორციელებაც, უწინარეს ყოვლისა, შეიძლებოდა არსებული მასალით, მასის განვითარების იმ დროს მიღწეულ საფეხურზე, არსებულ გარემოებებსა და ურთიერთობებში. მეორე მხრივ, პრეტენზია ყველა დანარჩენი ელემენტებისა, რომელთაც ხელი შეუწყვეს თებერვლის რევოლუციის წარმატებას, დაკმაყოფილებულ იქნა ლომის წილით, რომელიც მათ მთავრობაში მიეცათ. ამიტომ არცერთ სხვა პერიოდში არ ვპოულობთ ჩვენ ფუყე ფრაზების და ფაქტიური უმწეობა-მოუხერხებლობის, სიახლისადმი აღფრთოვანებული მისწრაფების და ძველი რუტინის მძლავრი ბატონობის, მთელი საზოგადოების მოჩვენებითი ჰარმონიის და მის ელემენტთა ღრმა განცალკევების ასეთ ჭრელ ნარევს. მაშინ როდესაც პარიზის პროლეტარიატი, ჯერ კიდევ იმ დიადი პერსპექტივის მომლოდინე, რომელიც მის წინ გადაიშალა, ზეიმობდა და სერიოზულად მიჩნეულ დისკუსიას აწარმოებდა სოციალური პრობლემების შესახებ, საზოგადოების ძველი ძალები დაჯგუფდნენ, შემოკრბენ, გონს მოვიდნენ და მოულოდნელი დასაყრდენი ჰპოვეს ერის მასაში, — გლეხებსა და წვრილ ბურჟუებში, რომელნიც უცბად პოლიტიკურ სარბიელს მიაწყდნენ, როგორც კი ივლისის მონარქიის სიმაგრეები დაეცა.

მეორე პერიოდი, 1848 წლის 4 მაისიდან 1849 წლის მაისის ბოლომდე, ბურჟუაზიული რესპუბლიკის ჩა-

მოყალიბებისა და დაფუძნების პერიოდია. უშუალოდ თებერვლის დღეების შემდეგ არა მარტო დინასტიური ოპოზიცია შეხვდა მოუმზადებელი რესპუბლიკელებს, რესპუბლიკელები — სოციალისტებს, არამედ მთელი საფრანგეთიც — პარიზს. ეროვნული კრება, რომელიც 1848 წლის 4 მაისს გაიხსნა, ერის მიერ იყო არჩეული და ერს წარმოადგენდა. ის შეადგენდა ცოცხალ პროტესტს თებერვლის დღეების მოთხოვნათა წინააღმდეგ და მას რევოლუციის შედეგები ბურჟუაზიულ მასშტაბზე უნდა დაეყვანა. ამაოდ ცდილობდა პარიზის პროლეტარიატი, რომელმაც უმალვე შეიცნო ამ ეროვნული კრების ხასიათი, 15 მაისს, მისი გახსნიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ძალით მოესპო მისი არსებობა, გაეუქმებია იგი, ცალკე შემადგენელ ნაწილებად დაეშალა ის ორგანული ქმნილება, რომლიდანაც მას ერის რეაქციულად მოქმედი სული ემუქრებოდა. როგორც ცნობილია, 15 მაისის ერთადერთი შედეგი იყო ის, რომ ბლანკი და მისი ამხანაგები, ესე იგი პროლეტარული პარტიის ნამდვილი ბელადები, გაძევებული იქნენ საჯარო ასპარეზიდან მთელი იმ ხნის განმავლობაში, რომლის შესახებაც ჩვენ აქ ლაპარაკი გვაქვს.

ლუი ფილიპეს ბურჟუაზიულ მონარქიას შეიძლებოდა მოჰყოლოდა მხოლოდ ბურჟუაზიული რესპუბლიკა, ესე იგი, თუ მეფის სახელით ბურჟუაზიის შეზღუდული ნაწილი ბატონობდა, ახლა ხალხის სახელით მთელი ბურჟუაზია იბატონებს. პარიზის პროლეტარიატის მოთხოვნები უაზრო უტოპიაა, რასაც ბოლო უნდა მოეღოსო. ეროვნული დამფუძნებელი კრების ასეთ განცხადებას პარიზის პროლეტარიატმა უპასუხა ივნისის აჯანყებით, — უდიდესი მოვლენით ევროპის სამოქალაქო ომების ისტორიაში. ბურჟუაზიულმა რესპუბლიკამ გაიმარჯვა. მის მხარეს იდგა: ფინანსური არისტოკრატია, სამრეწველო ბურჟუაზია, საშუალო წოდება, წვრილი ბურჟუაზია, არმია, მოძრავ გვარდიად ორგანიზებული ლუმპენპროლეტარიატი, ინტელიგენცია, ხუცები და სოფლის მოსახლეობა. პარიზის პროლეტარიატის მხარეს არავინ იდგა, თვით მის გარდა. გამარჯვების შემდეგ 3000-ზე მეტი მეამბოხე იქნა გაწყვეტილი, 15000 — გაუსამართლებლად გადასახლებული. ამ დამარცხების შემდეგ პროლეტარიატი რევოლუციური სარბიელის უკანა რიგში დგება. მართალია, ის ცდილობს ისევ წინ წამოიწიოს, როგორც კი მოძრაობა თითქოს ახალ მსვლელობას ღებულობს, შაგრამ — სულ უფრო და უფრო სუსტი ძალების გაღებით და მუ-

დამ ნაკლები შედეგებით. როგორც კი მასზე მაღლა მყოფ საზოგადოებრივ ფენას რევოლუციური დუღილი მოიცავს, პროლეტარიატი მას უკავშირდება და, ამრიგად, წილს ღებულობს ყველა დამარცხებაში, რასაც სხვადასხვა პარტიები ერთი მეორის მიყოლებით განიცდიან. მაგრამ ასეთი შემდგომი დარტყმის ძალა სუსტდება ხოლმე მით უფრო, რაც უფრო ნაწილდება იგი საზოგადოების მთელ ზედაპირზე. პროლეტარიატის უფრო გამოჩენილი ბელადები პალატებსა და პრესაში რიგრიგობით მსხვერპლად ეწირებიან სასამართლოს განაჩენს, და მის მეთაურებად უფრო და უფრო საეჭვო პირები ხდებიან. ნაწილი პროლეტარიატისა ხელს სჭიდებს დოქტრინერულ ექსპერიმენტებს, გაცვლა-გამოცვლის ბანკებს და მუშათა ასოციაციებს, მაშასადამე, ებმის ისეთ მოძრაობაში, რომლითაც ხელს იღებს ძველი ქვეყნის რევოლუციურ გარდაქმნაზე მისივე საკუთარი, დიადი, საერთო საშუალებებით, ცდილობს თავდახსნას საზოგადოების ზურგს უკან, კერძო ღონისძიებებით, თავისი შეზღუდული საარსებო პირობების ფარგლებში, და, მაშასადამე, უეჭველად დამარცხებას განიცდის. მას თითქოს აღარც იმის ძალა შესწევს, რომ თავის თავში კვლავ ჰპოვოს რევოლუციური ძლიერება, და არც იმისი, რომ ახალი ენერგია მოიპოვოს ახლად შექმნილი კავშირებიდან, სანამ, დაბოლოს, ყველა კლასი, რომელთანაც იგი იბრძოდა ივნისში, მის გვერდით ძირს არ განერთხმება. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დამარცხებაშიც პროლეტარიატი დიადი მსოფლიო ისტორიული ბრძოლის მაწარმოებლის საპატიო სახელს ინარჩუნებს; არა მარტო საფრანგეთი, არამედ მთელი ევროპაც კი ძრწის ივნისის მიწისძვრის წინაშე, მაშინ როდესაც უმაღლესი კლასების შემდგომი დამარცხებები ისე იაფად არის ნაყიდი, რომ გამარჯვებულ პარტიას ურცხვი გაზვიადება ჭირდება, რათა თავის გამარჯვებას საერთოდ მოვლენის ხასიათი მისცეს, ამასთანავე ეს დამარცხებები მით უფრო საძრახისი არის, რაც უფრო დაშორებულია დამარცხებული პარტია პროლეტარულ პარტიას.

ივნისის აჯანყებულთა დამარცხებამ, მართალია, მოამზადა და მოასწორა ნიადაგი, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა ბურჟუაზიული რესპუბლიკის აგება; მაგრამ ამავე დროს მან გამოააშკარავა, რომ ევროპაში საქმე შეეხება სხვა საკითხებს, ვიდრე საკითხს:

«რესპუბლიკა, თუ მონარქია». ამ დამარცხებამ ცხადჰყო, რომ ბურჟუაზიული რესპუბლიკა აქ ნიშნავს ერთი კლასის შეუზღუდველ დესპოტურ ბატონობას სხვა კლასებზე. მან დაამტკიცა, რომ ძველი ცივილიზაციის მქონე ქვეყნებში განვითარებული კლასობრივი წყობით, წარმოების თანამედროვე პირობებით და ისეთი გონებრივი ცნობიერებით, რომელშიაც ყველა ტრადიციული იდეა ათასწლიური მუშაობის წყალობით წარხოცილი არის, რესპუბლიკა საერთოდ ბურჟუაზიული საზოგადოების მხოლოდ პოლიტიკური გადატრიალების ფორმას წარმოადგენს და არა მის კონსერვატიულ საცოცხლო ფორმას, როგორც, მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც თუმცა კლასები უკვე არსებობენ, მაგრამ ჯერ კიდევ მათი ფიქსაცია არ მომხდარა, არამედ განუწყვეტელ მიმდინარეობაში თავიანთ შემადგენელ ნაწილებს ისინი მუდმივ იცვლიან და ერთი მეორეს გადასცემენ, და სადაც თანამედროვე წარმოების საშუალებები, ნაცვლად იმისა, რომ სტაციონარული ჭარბი მოსახლეობის თანამთხვევი იყოს, უფრო თავებისა და ხელების შედარებითს ნაკლებობას შეენაცვლება, და სადაც, დაბოლოს, გაცხოველებული ახალგაზრდული განვითარება მატერიალური წარმოებისა, რომელიც ახალმა ქვეყანამ უნდა აითვისოს, არც დროსა და არც გარემოებას არ ტოვებდა ძველი სულიერი სამყაროს მოსასპობად.

ივნისის დღეებში ყველა კლასი და პარტია წესრიგის პარტიაში გაერთიანდა პროლეტარული კლასის, როგორც ანარქიის, სოციალიზმის, კომუნიზმის პარტიის, წინააღმდეგ. მათ საზოგადოება «იხსნეს» «საზოგადოების მტერთაგან». ძველი საზოგადოების დევიზი: «საკუთრება, ოჯახი, რელიგია, წესრიგი» თავიანთი ჯარის პაროლად გახადეს და კონტრრევოლუციურ ჯვაროსნულ ლაშქრობას ამხნევებდნენ სიტყვებით: «ამ ალამით გაიმარჯვებდეთ!» ამის შემდეგ, როგორც კი რომელიმე იმ მრავალრიცხოვან პარტიათაგან, რომლებმაც ამ დროშის ქვეშ თავი მოიყარეს ივნისის აჯანყებულთა წინააღმდეგ, ცდილობს საკუთარი კლასობრივი ინტერესების გულისთვის რევოლუციური ბრძოლის ველი თავისთვის დაინარჩუნოს, მას წამსვე ამარცხებენ ლოზუნგით: «საკუთრება, ოჯახი, რელიგია, წესრიგი». საზოგადოებას იმდენჯერვე ეძლევა ხსნა, რამდენჯერაც უფრო და უფრო ვიწროვდება მასზე მბრძანებელთა წრე, რაც უფრო და უფრო იჭერს ვიწრო ინტერესი

ფართო ინტერესის ადგილს. თვით უმარტივესი ბურჟუაზიული ფინანსური რეფორმის, უაღრესად ჩვეულებრივი ლიბერალიზმის, უაღრესად ფორმალური რესპუბლიკელობისა და სრულიად ვულგარული დემოკრატიზმის ყოველი მოთხოვნა ისჯება როგორც «თავდასხმა საზოგადოებაზე» და მას «სოციალიზმის» დაღს აკრავენ. და, დასასრულ, «რელიგიის და წესრიგის» თვით ქურუმებსაც კინწის კვრით ზეზე აგდებენ მათი პითიას სამფეხა სკამებიდან, ღამესა და ბურუსში აგდებენ ლოგინიდან, სხამენ საპატიმრო ეტლში და სატუსაღოში ამწყვდევენ, ან ექსორიას ჰყოფენ, ხოლო მათ ტაძარს მიწასთან ასწორებენ, მათ ენას კლიტეს ადებენ, ფრთებს ამტვრევენ, კანონს ჰფლეთენ, — და ყველა ამას ჩადიან რელიგიის, საკუთრების, ოჯახის, წესრიგის სახელით. წესრიგის ფანატიკოს ბურჟუებს მათსავე აივნებზე ხვრეტს მთვრალ ჯარისკაცთა ბრბო, მათი ოჯახის წმიდათა წმიდას ბილწავენ, მათ სახლებს ყუმბარებს უშენენ დროს გასატარებლად, — ასევე საკუთრების, ოჯახის, რელიგიის და წესრიგის სახელით. ბურჟუაზიული საზოგადოების ნაძირალი, დაბოლოს, წ ე ს რ ი გ ი ს წ მ ი ნ დ ა ფ ა ლ ა ნ გ ა ს ჰქმნის, და გმირი კრაპულინსკი[1] ტიუილერის სასახლეში შედის როგორც «ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს მ ხ ს ნ ე ლ ი».

II

ხელში ავიღოთ ისევ განვითარების ძაფი.

დ ა მ ფ უ ძ ნ ე ბ ე ლ ი ე რ ო ვ ნ უ ლ ი კ რ ე ბ ი ს ისტორია ივნისის დღეების შემდეგ არის ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი ფ რ ა ქ ც ი ი ს ბ ა ტ ო ნ ო ბ ი ს ა და დ ა შ ლ ი ს ი ს ტ ო რ ი ა, იმ ფრაქციის, რომელიც ცნობილია სამფეროვანი რესპუბლიკელების, წმინდა რესპუბლიკელების, პოლიტიკური რესპუბლიკელების, ფორმალისტური რესპუბლიკელების, და სხვ. სახელით.

ლუი ფილიპეს ბურჟუაზიული მონარქიის დროს ეს ფრაქცია წარმოადგენდა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ რესპუბლიკურ ო პ ო ზ ი ც ი ა ს და, ამიტომ, იმდროინდელი პოლიტიკური სამყაროს აღიარებულ

[1] ჰაინეს ლექსის «ორი რაინდის» გმირი. მისი სახით ჰაინე დასცინის გალატაკებულ აზნაურს, შლიახტიჩს (კრაპულინსკი წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან **crapule** — მდაბალი, ბინძური ადამიანი). აქ კრაპულინსკად მარქსი გულისხმობს ლუი ბონაპარტს. რ ე დ.

შემადგენელ ნაწილსაც. მას თავისი წარმომადგენლები ჰყავდა პალატებში და მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა პრესაშიც. მისი პარიზის ორგანო «National» ისევე პატივდებულად ითვლებოდა, თავისდაგვარად, როგორც «Journal des Débats». კონსტიტუციური მონარქიის დროს მის ასეთ მდგომარეობას შეეფერებოდა მისი ხასიათიც. იგი არ წარმოადგენდა ფართო საერთო ინტერესებით გაერთიანებულ და თავისებური საწარმოო პირობებით გამიჯნულ ბურჟუაზიის ფრაქციას. ეს იყო რესპუბლიკურად განწყობილი ბურჟუების, მწერლების, ვექილების, ოფიცრებისა და მოხელეების ჯგუფი, რომელთა გავლენა ემყარებოდა ქვეყნის პირად ანტიპათიებს ლუი ფილიპეს მიმართ, პირველი რესპუბლიკის მოგონებას, მცირერიცხოვან მეოცნებეთა რესპუბლიკურ რწმენას, უწინარეს ყოვლისა კი — ფ რ ა ნ გ უ ლ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ს, რომლის სიძულვილს ვენის ხელშეკრულებისა და ინგლისთან კავშირის მიმართ ეს ჯგუფი მუდმივ მხარს უჭერდა. მიმდევართა დიდი ნაწილი, რომელიც «National»-ს ჰყავდა ლუი ფილიპეს დროს, მოპოვებული იყო ამ ფარული ბონაპარტიზმის მეოხებით, რომელიც შემდეგ, რესპუბლიკის დროს, ლუი ბონაპარტის სახით თვით «National»-ს დაუპირისპირდა როგორც ძლევამოსილი მეტოქე. ფინანსურ არისტოკრატიას «National»-ი ისევე ებრძოდა, როგორც ამას მთელი დანარჩენი ბურჟუაზიული ოპოზიცია ჩადიოდა. პოლემიკა ბიუჯეტის წინააღმდეგ, რაც საფრანგეთში სწორედ ფინანსურ არისტოკრატიასთან ბრძოლას დაუკავშირდა, მეტად იაფ პოპულარობას და მეტად მდიდარ მასალას იძლეოდა პურიტანული მოწინავე წერილებისათვის, რათა გაზეთს არ გამოეყენებია ეს გარემოება. სამრეწველო ბურჟუაზია «National»-ის მადლიერი იყო საფრანგეთის მფარველობითი ბაჟების სისტემის მონური დაცვისათვის, თუმცა ამ დაცვას იგი უფრო ნაციონალურ საფუძველს უდებდა, ვიდრე — ეკონომიურს, ხოლო საერთოდ მთელი ბურჟუაზია მადლიერი იყო კომუნიზმის და სოციალიზმის მძულვარე ცილისწამებისათვის. საერთოდ «National»-ის პარტია წ მ ი ნ დ ა რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი იყო, ესე იგი ის მოითხოვდა ბურჟუაზიის ბატონობის მონარქისტული ფორმის ნაცვლად რესპუბლიკურ ფორმას და, უწინარეს ყოვლისა, — ლომის ხვედრ წილს ამ ბატონობაში. ამ გადატრიალების პირობები მას სრულიადაც არ ჰქონდა ნათლად წარმოდგენილი. მაგრამ რაც მისთვის მზესავით ნათელი იყო, და რაც საჯაროდ გამოცხადებული იყო რეფორმის მომთხოვნელ ბანკეტებზე ლუი ფილიპეს მეფობის

უკანასკნელ წლებში, — ეს იყო მონარქისტული ფორმის უპოპულარობა დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასა და განსაკუთრებით რევოლუციურ პროლეტარიატში. როდესაც იგრგვინა თებერვლის რევოლუციამ და რესპუბლიკელთა გამოჩენილ წარმომადგენლებს ადგილი მოუპოვა დროებით მთავრობაში, ეს წმინდა რესპუბლიკელები, როგორც წმინდა რესპუბლიკელთ შეშვენით, სავსებით მზად იყვნენ დასაწყისში ორლეანელი ჰერცოგინიას რეგენტობით დაკმაყოფილებულიყვნენ. რა თქმა უნდა, ისინი იმთავითვე ბურჟუაზიის ნდობით იყვნენ აღჭურვილნი და უმრავლესობა ჰყავდათ დამფუძნებელ ეროვნულ კრებაში. აღმასრულებელი კომისიიდან, რომელიც ეროვნულმა კრებამ შეჰქმნა გახსნისას, დაუყოვნებლივ იქნენ გამორიცხული დროებითი მთავრობის სოციალისტური ელემენტები; ხოლო «National»-ის პარტიამ ივნისის აჯანყება გამოიყენა იმისთვის, რომ აღმასრულებელი კომისია სრულიად დაეშალა და, ამრიგად, თავიდან მოეშორებინა უახლოესი მეტოქენი, — წვრილბურჟუაზიული ანუ დემოკრატიული რესპუბლიკელები (ლედრიუ-როლენი და სხვ.). კავენიაკმა, ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური პარტიის გენერალმა, რომელიც ივნისის სისხლის ღვრას მეთაურობდა, დაიჭირა აღმასრულებელი კომისიის ადგილი ერთგვარი დიქტატურული ძალაუფლებით. მარასტი, «National»-ის ყოფილი მთავარი რედაქტორი, დამფუძნებელი ეროვნული კრების შეუცვლელი თავმჯდომარე გახდა, ხოლო მინისტრთა პორტფელები და ყველა სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობა წმინდა რესპუბლიკელებს ჩაუვარდათ ხელში.

ბურჟუაზიის რესპუბლიკური ფრაქცია, რომელიც კაი ხანია თავს თვლიდა ივლისის მონარქიის კანონიერ მემკვიდრედ, ამრიგად მოლოდინს გადაჭარბებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაგრამ მან ბატონობას მიაღწია არა ბურჟუაზიის ლიბერალური აჯანყებით ტახტის წინააღმდეგ, — როგორც იგი ოცნებობდა ამის შესახებ ლუი ფილიპეს დროს, — არამედ კარტეჩით განადგურებული პროლეტარიატის აჯანყებით კაპიტალის წინააღმდეგ. რაც მას უაღრესრევოლუციურ მოვლენად ჰქონდა წარმოდგენილი, სინამდვილეში უაღრესად კონტრრევოლუციური აღმოჩნდა. მას კალთაში ჩაუვარდა ნაყოფი, მაგრამ იგი ჩამოვარდა ხიდან ცნობადისა და არა ხიდან ცხოვრებისა.

მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა ბატონობა გაგრძელდა მარტოოდენ 1848 წლის 24

ივნისიდან 10 დეკემბრამდე. მისი შედეგი იყო რესპუბლიკური კონსტიტუციის შედგენა და პარიზში საალყო წესების გამოცხადება.

ახალი კონსტიტუცია, არსებითად, წარმოადგენდა 1830 წლის კონსტიტუციური ქარტიის რესპუბლიკურად გარდაქმნილ გამოცემას. ივლისის მონარქიის მაღალი საარჩევნო ცენზი, რაც თვით ბურჟუაზიის დიდ ნაწილსაც კი პოლიტიკური ბატონობიდან გამორიცხავდა, შეუთავსებელი იყო ბურჟუაზიული რესპუბლიკის არსებობასთან. თებერვლის რევოლუციამ ამ ცენზის ნაცვლად დაუყოვნებლივ გამოაცხადა პირდაპირი საყოველთაო საარჩევნო უფლება. ბურჟუაზიულ რესპუბლიკელებს არ შეეძლოთ ამ ფაქტის წაშლა. ისინი უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ დამატებით, რომლითაც საარჩევნო უფლება განსაზღვრულ იქნა საარჩევნო ოლქში ექვს თვეს ცხოვრებით. მმართველობის, თემების, მართლმსაჯულების, არმიის და სხვ. ძველი ორგანიზაცია ხელუხლებელი დარჩა; კონსტიტუციაში შეტანილი უმნიშვნელო ცვლილება შეეხო დასათაურებას და არა შინაარსს, სახელწოდებას და არა საქმეს.

1848 წლის თავისუფლებათა გვერდაუვლელ მთავარ შტაბს: პიროვნების, ბეჭდვის, სიტყვის, კავშირის, კრების, სწავლების, რელიგიის და სხვ. თავისუფლებას ერთიანი კონსტიტუციური ფორმა მიეცა, რომელსაც ისინი შეუბღალავი უნდა გაეხადა. თვითეული ეს თავისუფლება გამოცხადებულ იქნა საფრანგეთის მოქალაქის უცილობელ უფლებად, მაგრამ მუდმივი შენიშვნით, რომ ეს უფლება უსაზღვროა იმდენად, რამდენადაც ზღვარდებული არაა «სხვა მოქალაქეთა მსგავსივე უფლებებით და საჯარო უშიშროებით», ანდა — «კანონებით», რომელთაც სწორედ ეს ინდივიდუალური თავისუფლება ერთმანეთთან და საზოგადო უშიშროებასთან ჰარმონია უნდა განახორციელონ. მაგალითად: «მოქალაქეთ უფლება აქვთ კავშირებში გაერთიანდნენ, მშვიდობიანად და უიარაღოდ შეიკრიბონ, პეტიციები წარადგინონ და თავიანთი აზრი პრესაში, ანდა სხვაგვარად, ყოველთვის გამოთქვან. ამ უფლების გამოყენებას სხვა შეზღუდვა არა აქვს, გარდა სხვა მოქალაქეთა მსგავსივე უფლებების და საჯარო უშიშროებისა» (საფრანგეთის კონსტიტუციის თავი II, § 8). — «სწავლა-განათლება თავისუფალია. სწავლა-განათლების თავისუფლება გამოყენებული უნდა იქნეს კანონის მიერ დაწესებული პირობებით და სახელმწი-

ფოს უზენაესი ზედამხედველობით» (იქვე, § 9). — «ყოველი მოქალაქის ბინა ხელშეუხებელია, გარდა კანონის მიერ დადგენილი ფორმებით ხ ე ლ შ ე ხ ე ბ ი ს ა» (თავი I, § 3). და სხვ. და სხვ.—ამიტომ კონსტიტუცია მუდმივ მიუთითებს მომავალ ო რ გ ა ნ უ ლ კანონებზე, რომლებმაც ეს შენიშვნები უნდა განახორციელონ და ამ შეუზღუდველი თავისუფლებებით სარგებლობა ისე მოაწესრიგონ, რომ ისინი არც ერთმანეთს და არც საზოგადო უშიშროებას არ შეეჯახონ. და შემდგომ წესრიგის მეგობრებმა ორგანული კანონები შეჰქმნეს კიდევაც და ყველა ეს თავისუფლება იმგვარად მოაწესრიგეს, რომ ბურჟუაზია მათი გამოყენებისას სხვა კლასების მსგავს უფლებებს არ ეჯახება. როდესაც იგი, ბურჟუაზია, «სხვა მოქალაქეთ» სრულიად უკრძალავს ამ თავისუფლებათ, ანდა მით სარგებლობის ნებას აძლევს განსაზღვრული პირობებით, რომლებიც პოლიციურ მახეებს წარმოადგენს, ეს ხდება ყოველთვის მხოლოდ «ს ა ზ ო გ ა დ ო უ შ ი შ რ ო ე ბ ი ს», ე. ი. ბურჟუაზიის უშიშროების ინტერესებისათვის, როგორც ამას კონსტიტუცია მოითხოვს. ამიტომ შემდეგში ერთი და მეორე მხარეც სრული უფლებით იმოწმებს კონსტიტუციას: როგორც წესრიგის მეგობრები, რომელთაც ყველა ეს თავისუფლება გააუქმეს, ისე დემოკრატები, რომლებიც მათ აღდგენას მოითხოვდნენ. კონსტიტუციის თვითეული პარაგრაფი შეიცავდა თავის საკუთარ ანტითეზს, თავის საკუთარ ზედა და ქვედა პალატას; საერთო ფრაზაში — თავისუფლებას, შენიშვნაში — თავისუფლების გაუქმებას. ამრიგად, ვიდრე თავისუფლების ს ა ხ ე ლ ი იყო პატივისცემაში და მხოლოდ მის ნამდვილ განხორციელებას ეძლეოდა დაბრკოლება, — კანონის გზით, რასაკვირველია, — თავისუფლების კონსტიტუციური არსებობა ხელშეუხებელი, დაურღვეველი რჩებოდა, რაგინდ ძალიან ჩაკლული ყოფილიყო მისი არსებობა რეალურ სინამდვილეში.

მაგრამ ასე მოფიქრებულად შედგენილ ხელშეუხებელ კონსტიტუციას, მსგავსად აქილევსისა, ერთ პუნქტში ჰქონდა მოწყვლადი ადგილი, — არა ტერფთან, არამედ თავთან, ანდა, უფრო სწორად, ორ თავთან, რომლებითაც იგი მთავრდებოდა; ეს იყო, ერთი მხრივ, ს ა კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო კ რ ე ბ ა და, მეორე მხრივ,—პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. საკმარისია კონსტიტუციის თვალის გადავლება, რათა ვპოვოთ, რომ იქ მხოლოდ ის პარაგრაფებია ჩამოყალიბებული აბსოლუტურად, პოზიტივურად, წინააღმდეგობათა გარეშე და გადასხვაფერების შეუძლებელმყოფი სახით, სადაც განსაზღვრული არის პრე-

ზიდენტის დამოკიდებულება საკანონმდებლო კრებასთან. სახელდობრ აქ უნდა უზრუნველეყოთ ბურჟუაზიულ რესპუბლიკელებს თავიანთი თავი. კონსტიტუციის 45 — 70 პარაგრაფები ისეა შედგენილი, რომ ეროვნულ კრებას შეუძლია პრეზიდენტის გადაყენება კონსტიტუციურად, ხოლო პრეზიდენტს ეროვნული კრებისა — მხოლოდ არა კონსტიტუციურად, მხოლოდ იმ გზით, რომ თვით კონსტიტუციას გააუქმებს. ამრიგად, კონსტიტუცია აქ წამქეზებელია თავის იძულებით მოსპობისათვის. ის არა თუ აკანონებს, 1830 წლის ხარტიის მსგავსად, ხელისუფლების დანაწილებას, არამედ აფართოებს მას აუტანელ წინააღმდეგობამდეც კი. კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ძ ა ლ თ ა თ ა მ ა შ ი, როგორც უწოდებდა გიზო საპარლამენტო ბრძოლას საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, 1848 წლის კონსტიტუციაში მუდამ **va banque** წარმოებს. ერთი მხრივ, საყოველთაო კენჭის ყრით არჩეული და ხელახლა არჩევის უფლების მქონე 750 სახალხო წარმომადგენელი, რომელნიც უკონტროლო, დაუთხოვნელ და განუყოფელ ეროვნულ კრებას შეადგენენ, ეროვნულ კრებას, რომელიც საკანონმდებლო ყოველისშემძლეობით სარგებლობს, საბოლოო ინსტანციაში სწყვეტს ომის, ზავის და სავაჭრო ხელშეკრულებათა საკითხს, მარტოდმარტო მას აქვს ამნისტიის უფლება და, მუდმივი არსებობის გამო, განუწყვეტლივ პოლიტიკურ ავანსცენაზე რჩება. მეორე მხრივ, — პრეზიდენტი სამეფო ხელისუფლების ყველა ატრიბუტით, მინისტრების დანიშვნა-მოხსნის უფლებით ეროვნული კრებისგან დამოუკიდებლად, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა საშუალებით აღჭურვილი, ყველა თანამდებობის გამნაწილებელი და, მაშასადამე, საფრანგეთში, სულ მცირე, 1½ მილიონი მცხოვრების ბედის გადამჭრელი, ვინაიდან ამდენს შეადგენს თავისიანებით სხვადასხვა საფეხურის 500.000 მოხელე და ოფიცერი. მას ემორჩილება ერის მთელი შეიარაღებული ძალა. მას აქვს პრივილეგია ცალკე დამნაშავენი შეიწყნაროს, ეროვნული გვარდიის ნაწილები დროებით გაუშვას, თვით მოქალაქეთა მიერ არჩეული გენერალური, კანტონალური და კომუნალური საბჭოები, სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებით, გადააყენოს. მასვე ეკუთვნის უცხო სახელმწიფოებთან ყველა ხელშეკრულების დადების ინიციატივა და ხელმძღვანელობა. მაშინ როდესაც ეროვნული კრება მუდმივ სააშკარაოზე და კრიტიკულ დღის სინათლეზეა, პრეზიდენტი მიმალულ ცხოვრებას ატარებს ელისეს მინდვრებში, მაგრამ თვალწინ და გულში კონსტიტუ-

ციის მე-45 მუხლი აქვს, რომელიც მას ყოველდღე ჩასძახის: «ძმაო, ემზადე სიკვდილისათვის!». შენს ძლიერებას ბოლო მოეღება შენი არჩევის მეოთხე წელს, მშვენიერი მაისის თვის მეორე კვირას! მაშინ მშვიდობით დიდებავ, პიესა მეორედ აღარ გათამაშდება, და თუ შენ დავალიანებული ხარ, იჩქარე ეს ვალი გადაიხადო იმ 600000 ფრანკიდან, რასაც შენ კონსტიტუცია გადმოგიგდებს, თუ არ გსურს, რომ მშვენიერი მაისის თვის მეორე ორშაბათს კლიშიში[1] გადაიბარგო! — თუ, ამრიგად, კონსტიტუცია პრეზიდენტს ფაქტიური ძალაუფლებით აღჭურავს, ის ცდილობს ეროვნულ კრებისათვის მორალური ძალა უზრუნველჰყოს. დამოუკიდებლად იმისა, რომ მორალური ძალის შექმნა შეუძლებელია კანონის პარაგრაფებით, კონსტიტუცია აქაც აუქმებს თავის თავს, აწესებს რა პრეზიდენტის არჩევას ყველა ფრანგთა პირდაპირი კენჭის ყრით. მაშინ როდესაც საფრანგეთის ხმები ეროვნული კრების 750 წევრზე ნაწილდება, ამ შემთხვევაში ისინი, პირიქით, ერთ ინდივიდუუმში იყრიან თავს. მაშინ როდესაც თვითეული, ცალკე სახალხო წარმომადგენელი წარმომადგენლობს მხოლოდ ამა თუ იმ პარტიას, ამა თუ იმ ქალაქს, ამა თუ იმ ადგილს, ანდა წარმომადგენლობს მხოლოდ ერთი შვიდასორმოცდამეათედის არჩევის საჭიროებას, როდესაც არც არჩევას აკვირდებიან ზედმიწევნით და არც ადამიანს,—პრეზიდენტი ერის არჩეულია, და მისი არჩევის აქტი ის თულფია, რომელსაც სუვერენული ხალხი ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ გაითამაშებს. არჩეული ეროვნული კრება მეტაფიზიკურს, ხოლო არჩეული პრეზიდენტი პირადს ურთიერთობაშია ერთან. ეროვნული კრება თავის ცალკე წარმომადგენელში, მართალია, ეროვნული სულის მრავალფეროვან მხარეებს გამოხატავს, მაგრამ პრეზიდენტში ეს ეროვნული სული ხორცშესხმულია მთლიანად. ეროვნული კრების პირისპირ პრეზიდენტი ერთგვარი ღვთაებრივი უფლებით არის მოსილი, ის არის პრეზიდენტი წყალობითა ხალხისათა.

თეტიდამ, ზღვის ღმერთმა, აქილევსს უწინასწარმეტყველა, რომ ის სიყმაწვილის გაფურჩქვნისას მოკვდებოდა. კონსტიტუცია, რომელსაც, აქილევსის მსგავსად, მოწყლვადი ადგილი ჰქონდა, აქილევსსავით წინათგრძნობდა, რომ სიკვდილი ადრე ეწვეოდა. საკმარისი იყო დამფუძნებელი კრების წმინდა რესპუბლიკელებს, თავიანთი იდეალური რესპუბლიკის ღრუბლებიდან, თვალი გადაევლოთ ბიწი-

[1] საპყრობილე მოვალეებისათვის პარიზში. რ ე დ.

ერი ქვეყნიერებისათვის, რათა დარწმუნებულიყვნენ, თუ როგორ ძლიერდებოდა ყოველდღიურად როიალისტების, ბონაპარტისტების, დემოკრატებისა და კომუნისტების გულზვიადობა, ხოლო თვით მათ მიმართ — უნდობლობა, იმ ზომით, რა ზომითაც ისინი უახლოვდებოდნენ თავიანთ დიად საკანონმდებლო ხელოვნური ნაწარმოების დამთავრებას, და ყოველივე ეს იმგვარად, რომ თეტიდას არც კი დასჭირებია ზღვიდან ამოსვლა ამ საიდუმლოების მათთვის გასამჟღავნებლად. მათ სცადეს ბედისწერისათვის მოგვერდის გაკეთება კონსტიტუციური ოსტატობით, კონსტიტუციის 111 §-ით, რომლის თანახმად კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ი ს გ ა დ ა ს ი ნ ჯ ვ ი ს ყოველი პროექტის შესახებ სამჯერ უნდა გახსნილიყო კამათი თანმიმდევნოდ და კამათსა და კამათს შორის ერთ თვეს უნდა გაევლო, წინადადებებისთვის ხმა უნდა მიეცა, სულ მცირე, ხმების ¾-ს და ამავე დროს კენჭის ყრაში მონაწილეობა უნდა მიეღო 500 დეპუტატს მაინც. წმინდა რესპუბლიკელებმა ამ პარაგრაფის შეტანით მოახდინეს უძლური ცდა იმისა, რომ, თუ პარლამენტურ უმცირესობაში იქნებოდნენ, როგორადაც წინასწარმეტყველურად მომავლისათვის წარმოედგინათ თავი, მათ შეენარჩუნებიათ ის ძალა, რომელიც ამჟამად, როდესაც ისინი პარლამენტურ უმრავლესობას შეადგენდნენ და მთავრობის ძალაუფლების ყველა საშუალებას ფლობდნენ, ყოველდღიურად თანდათანობით მათ სუსტ ხელებს უსხლტებოდა.

დასასრულ, კონსტიტუცია, ერთ მელოდრამატიულ პარაგრაფში, თავის თავს ანდობს «მთელი საფრანგეთის ხალხის და თვითეული ცალკე ფრანგის სიფხიზლესა და პატრიოტიზმს» — მას შემდეგ, რაც იმის წინა სხვა პარაგრაფში «ფხიზელნი» და «პატრიოტები» მიანდო საკუთრივ მის მიერ გამოგონებული უზენაესი სასამართლოს (**«haute cour»**-ის) ნაზ მზრუნველობას.

ასეთი იყო 1848 წლის კონსტიტუცია, რომელიც 1851 წლის 2 დეკემბერს დამხობილ იქნა, დაამხო არა თავმა, არამედ — მარტოოდენ ქუდის შეხებამ; თუმცა, მართალია, ეს ქუდი ნაპოლეონის სამკუთხიანი ქუდი იყო.

მაშინ როდესაც ბურჟუა-რესპუბლიკელები კრებაში იმით იყვნენ გართულნი, რომ ეს კონსტიტუცია მოეფიქრათ, განეხილათ და მისთვის კენჭი ეყარათ, კავენიაკს, კრების გარეშე, პ ა რ ი ზ ი ს ა ა ლ ყ ო მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა შ ი ჰყავდა. პარიზის საალყო მდგომარეობა მეანი იყო დამფუძნებელი კრების რესპუბლიკური შემოქმედების

ტკივილებისათვის. თუ კონსტიტუცია შემდეგში ხიშტის მეოხებით აღიგავა დედამიწიდან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამრიგადვე ხიშტი,—სახელდობრ,ხალხის წინააღმდეგ მიმართული ხიშტი,—მფარველობდა მას დედის მუცელში და ხიშტის მეოხებითვე გაჩნდა იგი ამ ქვეყნად. «პატიოსანი რესპუბლიკელების» წინაპრებმა თავიანთ სიმბოლოს, სამფეროვან დროშას, მთელი ევროპა მოატარებინეს. «პატიოსანმა რესპუბლიკელებმა», თავის მხრივ, მოახდინეს გამოგონება, რომელმაც თვითვე გაიკვლია გზა მთელ კონტინენტზე, მაგრამ ყოველთვის უკანვე უბრუნდებოდა განახლებული სიყვარულით საფრანგეთს, ვიდრე, დაბოლოს, სამოქალაქო უფლება არ მოიპოვა მისი დეპარტამენტების ნახევარში, — ეს გამოგონება ს ა ა ლ ყ ო მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ა. ეს არის საუცხოვო გამოგონება, პერიოდულად გამოყენებული შემდგომი დროის ყოველ კრიზისში საფრანგეთის რევოლუციის დროს. მაგრამ ყაზარმა და ლაშქართბანაკი, რომლის სიმძიმე პერიოდულად თავს აწვებოდა საფრანგეთის საზოგადოებას. მისი ტვინის დასაწნეხად და დასაწყნარებლად; ხმალი და მუშკეტი, რომელთაც პერიოდულად მართლმსაჯულობას და მმართველობას, მზრუნველობას და ცენზურას აწარმოებინებდნენ, საპოლიციო და ღამის გუშაგის სამსახურს ასრულებინებდნენ; სამხედრო ულვაშები და მუნდირი, რომელიც პერიოდულად იქებ-იდიდებოდა, როგორც საზოგადოების უმაღლესი სიბრძნე და საზოგადოების მეთაური, — ეს ყაზარმა და ლაშქართბანაკი, ხმალი და მუშკეტი, სამხედრო ულვაშები და მუნდირი ბოლოს და ბოლოს უნდა მისულიყვნენ თუ არა იმ აზრამდე, რომ უმჯობესია ერთხელ და სამუდამოდ მიეცეს ხსნა საზოგადოებას იმით, რომ მათი საკუთარი რეჟიმი უმაღლეს რეჟიმად გამოცხადდეს და ბურჟუაზიულ საზოგადოებას სრულიად მოეხსნას ტვირთი თავის თავის გამგებლობისა? ყაზარმას და ლაშქართბანაკს, ხმალსა და მუშკეტს, სამხედრო ულვაშებსა და მუნდირს მით უფრო უნდა მოსვლოდათ ასეთი აზრი, რომ ამ შემთხვევაში მათი ამაღლებული დამსახურებისათვის მათ შეეძლოთ უფრო კარგი სასყიდელის მიღების იმედიც ჰქონოდათ, მაშინ როდესაც უბრალო პერიოდული საალყო მდგომარეობა და საზოგადოების სახსნელად გარდამავალი ხასიათის მქონე ლაშქრობანი, ბურჟუაზიის ამა თუ იმ ფრაქციის ბრძანებით, მნიშვნელოვანს არაფერს იძლეოდა, რამდენიმე მოკლულ-დაჭრილის და თითოოროლა ბურჟუას საალერსო გაღიმების გარდა. ნუთუ მხედრობამ, დაბოლოს, ერთხელ კიდევ არ უნდა გაითამაშოს საკუთარი ინტე-

რებისათვის საალყო მდგომარეობა და თან ალყა არ შემოარტყას ბურჟუაზიის ქისასაც? ამასთანავე არ უნდა იქნეს დავიწყებული ის გარემოება, — აღვნიშნავთ ამას გაკვრით, — რომ პოლკოვნიკი ბერნარი, სამხედრო კომისიის თავმჯდომარე, რომელმაც კავენიაკის დროს 15000 აჯანყებული გაუსამართლებლად გადაასახლა, ახლა ისევ პარიზში მოქმედ სამხედრო კომისიებს მეთაურობს.

თუ «პატიოსანმა», წმინდა რესპუბლიკელებმა საალყო მდგომარეობის გამოცხადებით პარიზში მოაწყვეს სანერგე, რომელშიც 1851 წლის 2 დეკემბრის პრეტორიანელები უნდა აღმოცენებულიყვნენ, მეორე მხრივ, მათ ქება-დიდება დაიმსახურეს; ნაცვლად იმისა, რომ, როგორც ეს ლუი ფილიპეს დროს იყო, ეროვნული გრძნობა გაეღვიძებინათ, ახლა, როდესაც მათ ხელთ იპყრეს ეროვნული ძლიერება, უცხოეთის წინაშე გაინართხნენ და, იტალიის განთავისუფლების ნაცვლად, ავსტრიელებსა და ნეაპოლიტანელებს ნებას აძლევდნენ მის ხელახლა დასაპყრობად. ლუი ბონაპარტის პრეზიდენტად არჩევამ 1848 წლის 10 დეკემბერს ბოლო მოუღო კავენიაკის დიქტატურას და დამფუძნებელ კრებას.

კონსტიტუციის § 44-ში ნათქვამია: «საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ოდესმე საფრანგეთის მოქალაქის წოდება დაუკარგავს». საფრანგეთის რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს, ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტს, არა თუ დაკარგული ჰქონდა საფრანგეთის მოქალაქის წოდება, იგი იყო არა თუ ინგლისის სპეციალი პოლისმენი, არამედ — ნატურალიზაციაქმნილი შვეიცარიელიც კი.

სხვა ადგილას მე უკვე გავარკვიე 10 დეკემბრის არჩევნების მნიშვნელობა. აქ მე მას აღარ დავუბრუნდები. საკმარისი იქნება აღვნიშნო მხოლოდ ის, რომ ეს იყო რეაქცია გლეხებისა, — რომელთაც თებერვლის რევოლუციის ხარჯები უნდა ეხადნათ, — ერის სხვა კლასთა წინააღმდეგ, ეს იყო სოფლის რეაქცია ქალაქის წინააღმდეგ. მან დიდი გამოძახილი ჰპოვა არმიაში, რომელსაც «National»-ის რესპუბლიკელებმა ვერ მოუპოვეს ვერც დიდება და ვერც ჯამაგირის მომატება; გამოძახილი ჰპოვა მსხვილ ბურჟუაზიაში, რომელიც ბონაპარტს მიესალმებოდა როგორც გზას და ხიდს მონარქიისაკენ, — პროლეტარებსა და წვრილ ბურჟუებში, რომელთაც ის მიაჩნდათ კავენიაკისათვის მოვლენილ სასჯელად. შემდეგში მე შემთხვევა მექნება უფრო დაწვრი-

ლებით შევეხო გლეხების დამოკიდებულებას საფრანგეთის რევოლუციისადმი.

ეპოქა 1848 წლის 20 დეკემბრიდან დამფუძნებელი კრების დათხოვნამდე 1849 წლის მაისში შეიცავს ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა დაღუპვის ისტორიას. მას შემდეგ, რაც მათ დააარსეს რესპუბლიკა ბურჟუაზიისათვის, რევოლუციური პროლეტარიატი სარბიელიდან განდევნეს და დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზია დროებით დაადუმეს, — თვით ისინი განზე იქნენ გადაგდებულნი ბურჟუაზიული მასის მიერ, რომელიც ამ რესპუბლიკას როგორც თავისაკუთრებას სრული უფლებით დაეპატრონა. მაგრამ ეს ბურჟუაზიული მასა როიალისტური იყო. მისი ერთი ნაწილი — მსხვილი მიწათმფლობელები, რესტავრაციის დროს ბატონობდა და ამიტომ ლეგიტიმისტური იყო. მეორე ნაწილი, ფინანსური არისტოკრატია და მსხვილი მრეწველები, ივლისის მონარქიის დროს ბატონობდა და ამიტომ ორლეანისტური იყო. არმიის, უნივერსიტეტის, ეკლესიის, სასამართლოს, აკადემიის და პრესის წარჩინებული პირნი ამ ორ მხარეს შორის ნაწილდებოდნენ, თუმცა — სხვადასხვა პროპორციით. აქ, ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, რომელიც არც ბურბონთა და არც ორლეანთა სახელს არ ატარებდა, არამედ — კაპიტალის სახელს, ჰპოვეს ამ ფრაქციებმა სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელშიც მათ შეეძლოთ ერთად ბატონობა. უკვე ივნისის აჯანყებამ ისინი «წესრიგის პარტიაში» გააერთიანა. ახლა უწინარეს ყოვლისა, უნდა მოესპოთ ბურჟუაზიულ-რესპუბლიკელთა ჯგუფი, რომელთაც ჯერ კიდევ ეჭირათ ადგილები ეროვნულ კრებაში. როგორც მხეცურად გამოიყენეს უწინ ამ წმინდა რესპუბლიკელებმა ფიზიკური ძალა ხალხის წინააღმდეგ, ასევე მხდალურად, ლაჩრულად, სულმოკლედ, უმწეოდ და ბრძოლის უუნაროდ დაიხიეს უკან მათ ახლა, როდესაც საჭირო გახდა თავიანთი რესპუბლიკელობის და საკანონმდებლო უფლების დაცვა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და როიალისტების წინააღმდეგ. მე აქ არ გადმოვცემ მათი დაშლის სამარცხვინო ისტორიას. ეს იყო გაქრობა და არა დაღუპვა. მათმა ისტორიამ ერთხელ და სამუდამოდ განვლო. შემდეგ პერიოდებში ისინი, კრებაში თუ კრების გარეშე, წარმოადგენენ მხოლოდღა მოგონებას, — მოგონებას, რომელიც თითქოს ისევ ცოცხლდება, როგორც კი საქმე რესპუბლიკის მხოლოდ სახელს შეეხება და როდესაც რევოლუციური კონფლიქტი უდაბლეს დონემდე დაცემას აპირებს.

გაკვრით აღვნიშნავ, რომ გაზეთი, რომელმაც ამ პარტიას სახელი მისცა, — «National»-ი, შემდგომ პერიოდში სოციალიზმის გზას დაადგა.

ვიდრე ამ პერიოდს დავასრულებდეთ, თვალი უნდა გადავავლოთ კიდევ ორ ძალას, რომელთაგან ერთმა მოსპო მეორე 1851 წლის 2 დეკემბერს, თუმცა 1848 წლის 20 დეკემბრიდან საკანონმდებლო კრების დათხოვნამდე ისინი ერთმანეთთან საქორწინო დამოკიდებულებაში იყვნენ. მე მხედველობაში მაქვს, ერთი მხრივ, ლუი ბონაპარტი და, მეორე მხრივ, გაერთიანებულ როიალისტთა პარტია, წესრიგის პარტია, მსხვილი ბურჟუაზიის პარტია. პრეზიდენტად გახდომისთანავე ბონაპარტმა შეადგინა წესრიგის პარტიის სამინისტრო, რომლის სათავეში დააყენა ოდილონ ბარო, შენიშნეთ: პარლამენტური ბურჟუაზიის ყველაზე ლიბერალური პარტიის ძველი ბელადი. ბატონმა ბარომ, დაბოლოს, ხელთ იგდო მინისტრობა, რისი აჩრდილიც მას 1830 წლიდან დაწყებული მოსვენებას არ აძლევდა; კიდევ მეტი, — მან პრემიერ-მინისტრის პორტფელი მოიპოვა; მაგრამ არა ისე, როგორც ის ამას ლუი ფილიპეს დროს ოცნებობდა, არა როგორც პარლამენტური ოპოზიციის ყველაზე მოწინავე ლიდერმა, არამედ თავის შეურიგებელ მტრებთან, — იეზუიტებსა და ლეგიტიმისტებთან დაკავშირებით და ამასთანავე ამოცანით: დაესამარებინა პარლამენტი. თავისი სასძლო მან, დაბოლოს, ცოლად გაიხადა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ის გაროსკიპდა. თვით ბონაპარტი, თითქოს, სრულიად მიიჩქმალა. მის ნაცვლად წესრიგის პარტია მოქმედებდა.

მინისტრთა პირველსავე თათბირზე გადაწყდა ექსპედიციის გაგზავნა რომში, რაც ეროვნული კრების ზურგს უკან უნდა განხორციელებულიყო და რისთვისაც სახსარი ყალბი საბაბით უნდა გამოეთხოვათ მისგან. ამრიგად, სამინისტრომ საქმიანობა დაიწყო ეროვნული კრების მოტყუილებით და საიდუმლო შეთქმულებით, უცხოეთის აბსოლუტურ სახელმწიფოებთან ერთად, რევოლუციური რომის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ბონაპარტმა ამგვარადვე და ამავე ხერხით მოამზადა თავისი 2 დეკემბრის გადატრიალება როიალისტური საკანონმდებლო კრების და მისი კონსტიტუციური რესპუბლიკის წინააღმდეგ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის პარტია, რომელმაც 1848 წელს ბონაპარტის სამინისტრო შექმნა, 1851 წლის 2 დეკემბერს საკანონმდებლო ეროვნული კრების უმრავლესობას შეადგენდა.

დამფუძნებელმა კრებამ აგვისტოში დაადგინა, მანამ არ დაშლილიყო, სანამ არ გამოიმუშავებდა და არ გამოცემდა მთელ რიგ ორგანულ კანონებს, რომელთაც კონსტიტუცია უნდა შეევსოთ. 1849 წლის 6 იანვარს წესრიგის პარტიამ, თავისი წარმომადგენლის რატოს მეშვეობით, წინადადება შეიტანა კრებას თავი დაუნებებინა ორგანული კანონებისათვის და, პირიქით, საკუთარი თავის დაშლის შესახებ გამოეტანა დადგენილება. არა მარტო სამინისტრო, ბატონ ოდილონ ბაროს მეთაურობით, არამედ ეროვნული კრების ყველა როიალისტური წევრი ცდილობდა ჩაეგონებინა მისთვის ამ მომენტში, რომ მისი დაშლა საჭიროა კრედიტის აღსადგენად, წესრიგის განსამტკიცებლად, გაურკვეველი დროებითობისათვის ბოლოს მოსაღებად და მყარი მდგომარეობის შესაქმნელად; რომ კრება აფერხებს მთავრობის ნაყოფიერ მუშაობას და ცდილობს თავისი არსებობა გაახანგრძლივოს ჯიბრით და რომ იგი ქვეყანას მობეზრდა. ბონაპარტმა დაიმახსოვრა ყველა ეს იერიში საკანონმდებლო ხელისუფლების წინააღმდეგ, ზეპირად დაისწავლა ის და 1851 წლის 2 დეკემბერს დაუმტკიცა პარლამენტურ როიალისტებს, რომ ისწავლა მათგან. მან მათი საკუთარი სიტყვები მათსავე წინააღმდეგ გამოიყენა.

ბაროს სამინისტრო და წესრიგის პარტია უფრო შორს წავიდა. მთელს საფრანგეთში მათ გამოიწვიეს ეროვნული კრების მიმართ პეტიციები, რომლებშიც ამ უკანასკნელს თავაზიანად სთხოვდნენ მოსპობილიყო. ამრიგად, უორგანიზაციო მასები მათ აამხედრეს ეროვნული კრების ამ კონსტიტუციურ-ორგანიზაციული გამოსახულების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ბონაპარტს ასწავლეს პარლამენტური კრებების წინააღმდეგ ხალხისთვის მიემართა. დაბოლოს, 1849 წლის 29 იანვარს დადგა დღე, როდესაც დამფუძნებელ კრებას დადგენილება უნდა გამოეტანა საკუთარი თავის დაშლის შესახებ. მაგრამ ამ დღეს ეროვნულმა კრებამ სხდომის შენობა სამხედრო ძალებით დაჭერილი ჰპოვა; შანგარნიემ, წესრიგის პარტიის გენერალმა, რომელსაც ხელთ ეპყრა ეროვნული გვარდიის და სახაზინო ჯარის ნაწილების მთავარსარდლობა, ჯარების დიდი აღლუმი მოაწყო პარიზში, თითქოს ბრძოლა ყოფილიყოს მოსალოდნელი, ხოლო გაერთიანებულმა როიალისტებმა მუქარით განუცხადეს დამფუძნებელ კრებას, რომ მის წინააღმდეგ ძალას მიმართავენ, თუ იგი ნებით არ დამორჩილდება. დამფუძნებელი კრება დამორჩილდა და მხოლოდ სულ ხანმოკლე სიცოცხლის ვა-

და გამოითხოვა. რით განსხვავდებოდა 29 იანვარი 1851 წლის 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალებისგან, გარდა იმისა, რომ ის როიალისტებმა განახორციელეს ბონაპარტთან ერთად რესპუბლიკური ეროვნული კრების წინააღმდეგ? როიალისტებმა ვერ შეამჩნიეს ან არ სურდათ შეემჩნიათ, რომ ბონაპარტმა 1849 წლის 29 იანვარი გამოიყენა იმისთვის, რომ ჯარის ნაწილი მწყობრად გაეტარებინა ტიუილერის წინ თავის წინაშე, რომ მან ხარბად ჩასჭიდა ხელი სამხედრო ძალის ამ პირველ აშკარა გამოყენებას პარლამენტური ძალის წინააღმდეგ, რათა მათთვის კალიგულა მოეგონებინა. მაგრამ ისინი მხოლოდ თავიანთ შანგარნიეს ხედავდნენ.

მოტივს, რომელიც განსაკუთრებით ამოძრავებდა წესრიგის პარტიას ძალდატანებით შეემოკლებინა დამფუძნებელი კრების სიცოცხლე, წარმოადგენდა ო რ გ ა ნ უ ლ ი, კონსტიტუციის შემვსები კანონები, როგორიცაა კანონი განათლების შესახებ, სარწმუნოების შესახებ და სხვ. გაერთიანებული როიალისტებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს კანონები თვითვე დაემზადებინათ და ამის საშუალება არ მიეცათ რესპუბლიკელებისათვის, რომელნიც სანდონი აღარ იყვნენ. მაგრამ ამ ორგანულ კანონთა რიცხვში შედიოდა აგრეთვე კანონი რესპუბლიკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის შესახებ. საკანონმდებლო კრება სწორედ ასეთი კანონის შედგენას აწარმოებდა 1851 წელს, როდესაც ბონაპარტმა ამ დაკვრას 2 დეკემბრის დაკვრით დაასწრო. რას არ მისცემდნენ გაერთიანებული როიალისტები 1851 წლის ზამთრის საპარლამენტო კამპანიის დროს, მათ რომ მზად ხელთ ჰქონოდათ კანონი პრეზიდენტის პასუხისმგებლობის შესახებ, და თანაც — შედგენილი უნდო და მტრული რესპუბლიკური კრების მიერ!

მას შემდეგ რაც 1849 წლის 29 იანვარს დამფუძნებელმა კრებამ თვითვე დაამსხვრია თავისი უკანასკნელი იარაღი, ბაროს სამინისტრო და წესრიგის პარტია მას შეუბრალებლად აქეზებდნენ, შემთხვევას არ უშვებდნენ მის დასამცირებლად და, მისი უმწეო სისუსტის გამო, აიძულებდნენ ისეთი კანონები გამოეცა, რომლებიც მას უკანასკნელ პატივისცემასაც კი უკარგავდნენ საზოგადოებაში. ბონაპარტი, ნაპოლეონური აკვიატებული იდეით გატაცებული, ხაკმაოდ უტიფარი იყო, რომ პარლამენტური ძალის ამ დამცირებისათვის საჯაროდ ექსპლოატაცია არ გაეწია. მართლაც, როდესაც, 1849 წლის 8 მაისს ეროვნულმა კრებამ უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადა სამინისტროს მიმართ უდინოს მიერ ჩივიტა-ვეკიას დაჭე-

რის გამო და ბრძანება გასცა, რომის ექსპედიცია მისთვის დასახულ მიზანს დაუბრუნდესო, — ბონაპარტმა იმავე საღამოს «Moniteur»-ში უდინოს მიმართ წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც ესალმება მას მისი გმირობისთვის და, წინააღმდეგ ჯღაბნია პარლამენტარიებისა, არმიის სულგრძელ მფარველად მოაქვს თავი. როიალისტები ამის გამო იღიმებოდნენ. ისინი მას მათ მიერ მოტყუებულად თვლიდნენ. დაბოლოს, როდესაც მარასტმა, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ, ეროვნული კრების უშიშროებაში დაეჭვებულმა, კონსტიტუციის საფუძველზე ერთ-ერთი პოლკოვნიკი გამოიწვია თავისი პოლკით, პოლკოვნიკმა უარი განაცხადა ბრძანების შესრულებაზე, დაიმოწმა რა დისციპლინა და შესთავაზა მიემართა შანგარნიესათვის, რომელმაც მარასტს დამცინავად უარი უთხრა ამ შენიშვნით, — **baionnettes intelligentes** [1] არ მიყვარსო. 1851 წლის ნოემბერში, როდესაც გაერთიანებულმა როიალისტებმა ბონაპარტის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის დაწყება განიზრახეს, მათ სცადეს თავმჯდომარის მიერ ჯარების უშუალო გამოწვევის პრინციპი გაეტარებინათ თავიანთ ცნობილ ქვესტორთა კანონპროექტში. ამ კანონპროექტს ერთმა მათმა გენერალმა, — ლეფლომ, — მოაწერა ხელი. მაგრამ ამაოდ მისცა ხმა შანგარნიემ პროექტს და ამაოდ აქებ-ადიდებდა ტიერი ყოფილი დამფუძნებელი კრების ფრთხილ სიბრძნეს. სამხედრო მინისტრმა სენტ-არნომ ამას იმგვარადვე უპასუხა, როგორც შანგარნიემ უპასუხა მარასტს, რასაც მთის წარმომადგენლები ტაშისცემით შეხვდნენ.

ამრიგად, წესრიგის პარტიამ, ვიდრე ის ჯერ კიდევ ეროვნულ კრებას არ შეადგენდა, ვიდრე ის ჯერ კიდევ სამინისტრო იყო, პარლამენტური რეჟიმს თვითვე გაუტეხა სახელი, და მანვე ატეხა განგაში, როდესაც 1851 წლის 2 დეკემბერმა საფრანგეთიდან პარლამენტური რეჟიმი განდევნა!

ჩვენ მას მშვიდობის გზას ვუსურვებთ.

III

საკანონმდებლო ეროვნული კრება 1849 წლის 28 მაისს შეიკრიბა. 1851 წლის 2 დეკემბერს ის გარეკილ იქნა. ეს პერიოდი შეიცავს კონსტიტუციური ანუ პარლამენტური რესპუბლიკის არსებობის ხანას.

---

[1] ინტელიგენტური ხიშტები. რედ.

საფრანგეთის პირველ რევოლუციაში კონსტიტუციონალისტების ბატონობას ჟირონდისტების ბატონობა მისდევს, ჟირონდისტების ბატონობას — იაკობინელთა ბატონობა. თვითეული ეს პარტია უფრო მოწინავე პარტიას ეყრდნობა. როგორც კი ყოველ ამ პარტიას რევოლუცია იმდენად საკმაოდ შორს მიჰყავს, რომ უკვე აღარ შეუძლია მას თან მისდიოს და კიდევ უფრო ნაკლებ — უწინამძღვროს, მაშინ უფრო თამამი მოკავშირე, რომელიც მის ზურგს უკან დგას, მას გზიდან იცილებს და გილიოტინაზე გზავნის. რევოლუცია, ამრიგად, აღმავალი ხაზით მოძრაობს.

პირიქით ხდება 1848 წლის რევოლუციაში. პროლეტარული პარტია აქ წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიის დამატებას წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ღალატობს და ღუპავს მას 16 აპრილს, 15 მაისს და ივნისის დღეებში. დემოკრატიული პარტია, თავის მხრივ, ბურჟუა-რესპუბლიკელთა მხრებზეა დაყრდნობილი. ბურჟუა-რესპუბლიკელები, როგორც კი ფეხს იმაგრებენ, თავიდან იცილებენ აბეზარ ამხანაგებს და თვითონ წესრიგის პარტიის მხრებს ეყრდნობიან. წესრიგის პარტია მხრებს დაწევს, ბურჟუა-რესპუბლიკელთ ძირს ჩამოჰყრის და თვითონ შეიარაღებული ძალის მხრებს დაეყრდნობა. ის ჯერ კიდევ ფიქრობს — მხრებს ვაზივარო, მაგრამ ერთ მშვენიერ დილას ამჩნევს, რომ მხრები ხიშტებად გადაქცეულა. ყოველი პარტია სწიხლავს უკანიდან წინმსწრაფ პარტიას და თავით ებჯინება უკან დახეულს. საკვირველიც არაა, რომ ამ სასაცილო მდგომარეობაში ის წონასწორობას ჰკარგავს და, აუცილებელი სახის დაღრეჯით, საოცრად გადმოყირავდება. ამრიგად, რევოლუცია დაღმავალი ხაზით მოძრაობს. ის ამ უკუმავალ მოძრაობაში იმყოფებოდა უფრო ადრე, ვიდრე უკანასკნელ თებერვლის ბარიკადს აიღებდნენ და პირველი რევოლუციური ხელისუფლება დამყარდებოდა.

პერიოდი, რომელთანაც ჩვენ საქმე გვაქვს, აშკარა წინააღმდეგობათა უჭრელეს ნარევს წარმოადგენს: ჩვენ წინაა კონსტიტუციონალისტები, რომლებიც საჯაროდ შეთქმულებებს აწყობენ კონსტიტუციის წინააღმდეგ; რევოლუციონერები, რომელნიც თავს კონსტიტუციონალისტებად აღიარებენ; ეროვნული კრება, რომელსაც სურს ყოვლისშემძლე იყოს და მუდმივ პარლამენტური კი რჩება; მთა, რომელიც თავის მოწოდებას მოთმინებაში ჰპოვებს და თავის აწინდელ დამარცხებებს მომავალ გამარჯვებათა წინასწარ-

მეტყველებით ინაზღაურებს; როიალისტები, რომელნიც რესპუბლიკის **patres conscripti**-ს[1] შეადგენენ და მდგომარეობით იძულებული არიან მხარი დაუჭირონ უცხოეთში ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ სამეფო სახლებს, რომელთა მომხრენიც ისინი არიან, ხოლო საფრანგეთში — რესპუბლიკას, რომელიც მათ სძულთ; აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც თავის სისუსტეში პოულობს თავის ძალას და ზიზღში, რომელსაც ის იწვევს — თავის პატივცემულობას; რესპუბლიკა, რომელიც სხვას არას წარმოადგენს თუ არ ორი მონარქიის — რესტავრაციისა და ივლისის მონარქიის — საძრახობათა შეხამებას იმპერიის ეტიკეტით; კავშირები, რომელთა პირველი პირობა არის გაყოფა; ბრძოლა, რომლის პრინციპი ბოლომდე დაუყვანლობაა; ფუყე, უშინაარსო აგიტაცია მშვიდობიანობის სახელით; მშვიდობიანობის საზეიმო ქადაგება რევოლუციის სახელით; სიმართლეს მოკლებული გაშმაგება და გაშმაგებას მოკლებული სიმართლე; გმირები საგმირო საქმეთა გარეშე; ისტორია ფაქტთა გარეშე; განვითარება, რომლის ერთადერთ მამოძრავებელ ძალას თითქოს კალენდარი წარმოადგენს, რაც ერთი და იმავე მიქცევ-მოქცევის მუდმივი გამეორებით თავმომაბეზრებელია; წინააღმდეგობანი, რომელთათვისაც თითქოს საკმაოა პერიოდულად უმაღლეს ზომას მიაღწიონ, რომ დაჩლუნგდნენ და გაჰქრნენ გადაუჭრელად; პრეტენციოზულ საჩვენებლად გამოტანილი დაძაბულობა და მეშჩანური შიში ქვეყნის დაღუპვის საფრთხის წინაშე, თანაც ქვეყნის მხსნელთა მიერ გათამაშებული უმდაბლესი ინტრიგები და სასახლის კომედიები, რომელნიც თავიანთი უდარდელობით უფრო ფრონდის დროს მოგვაგონებენ, ვიდრე განკითხვის დღეს; საფრანგეთის მთელი ოფიციალური გენია, ერთი პიროვნების ცბიერი რეგვენობით შეგინებული; ერის ერთობლივი ნება, როდესაც კი ის საყოველთაო საარჩევნო უფლებით გამოისახება, რომელიც თავის ღირსეულ გამოხატულებას მასების ინტერესთა დაუძინებელ მტრებში ეძიებს და, ბოლოს, ამ გამოხატულებას ერთი მეკობრის თვითნებობაში ჰპოვებს. თუ კი ისტორიის რომელიმე პერიოდს შეიძლება რუხზე რუხი ეწოდოს, — სწორედ ამას. ადამიანები და მოვლენანი აქ ჩანან შებრუნებულ შლემილებად, ჩრდილებად, რომელთაც სხეული დაუკარგავთ. რევოლუცია თავის მატარებელთ თვით ადამბლავებს და მხოლოდ

[1] სენატორებს. რ ე დ.

თავის მოწინააღმდეგეთ აძლევს მასზე ძალდატანების მოხდენის ღონეს. თუ «წითელი აჩრდილი», რომელსაც კონტრრევოლუციონერები გამუდმებით იწვევდნენ და ჰკრულავდნენ, ბოლოს და ბოლოს გამოჩნდება, — იგი გამოჩნდება არა ანარქიული ფრიგიის ქუდით თავზე, არამედ — წესრიგის ტანსაცმელში, წ ი თ ე ლ შ ა ლ ვ ა რ შ ი გამოწყობილი.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ სამინისტრო, ბონაპარტის მიერ შედგენილი 1848 წლის 20 დეკემბერს, მისი ამაღლების დღეს, წესრიგის პარტიის, ლეგიტიმისტური და ორლეანისტური კოალიციის სამინისტრო იყო. ბარო—ფალუს ეს სამინისტრო რესპუბლიკური დამფუძნებელი კრების შემდეგაც, რომლის სიცოცხლის დღენი მან მეტ-ნაკლებ ძალდატანებით შეამოკლა, კვლავ მმართველობის საჭესთან დარჩა. შანგარნიეს, გაერთიანებულ როიალისტთა გენერალს, განუწყვეტლივ ხელთ ეპყრა პირველი სამხედრო დივიზიის და პარიზის ეროვნული გვარდიის მთავარსარდლობა. საყოველთაო არჩევნებმა, დაბოლოს, წესრიგის პარტიას დიდი უმრავლესობა უზრუნველუყო საკანონმდებლო კრებაში. აქ ლუი ფილიპეს დეპუტატები და პერები შეხვდნენ ლეგიტიმისტთა წმინდა გუნდს, რომელთათვისაც ერის უამრავი საარჩევნო ფურცლები პოლიტიკურ ასპარეზზე შესასვლელ ბარათებად გარდაიქმნენ ბონაპარტისტული დეპუტატები მეტად მცირერიცხოვანნი იყვნენ, რათა დამოუკიდებელი საპარლამენტო პარტიის შექმნა შეძლებოდათ. ისინი წესრიგის პარტიის მხოლოდ **mauvaise queue**-ს[1] წარმოადგენდნენ. ამრიგად, წესრიგის პარტია დაუფლებული იყო მთავრობის ხელისუფლებას, ხელთ ეპყრა არმია და საკანონმდებლო კორპუსი, მოკლედ — სახელმწიფოს მთელი ძალაუფლება; მორალურად მას ამაგრებდა საყოველთაო არჩევნები, რაც მის ბატონობას ხალხის ნების გამოსახულებას აძლევდა, და კონტრრევოლუციის იმავდროული გამარჯვება მთელ ევროპის კონტინენტზე.

არც ერთ პარტიას არ დაუწყია თავისი ბრძოლა უფრო ძლიერი საშუალებებით და მომავლის უფრო კარგი ნიშნებით.

მარცხგამოვლილი წ მ ი ნ დ ა რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ლ ე ბ ი საკანონმდებლო ეროვნულ კრებაში დაახლოებით 50-კაციან ჯგუფამდე შემცირდნენ, რომლის სათავეში აფრიკელი გენერლები — კავენიაკი, ლამორისიერი და ბედო იდგნენ. დიდ ოპოზიციურ პარტიას შე-

[1] უხეირო კუდს. რ ე დ.

ადგენდა მთა — ამ სახელით მოინათლა თავი სოციალურ-დემოკრატიულმა პარტიამ. მის განკარგულებაში იყო ეროვნული კრების 750 ხმიდან 200 ხმაზე მეტი და, ამიტომ, ყოველ შემთხვევაში, იგი ისევე ძლიერი იყო, როგორც წესრიგის პარტიის სამი ფრაქციიდან ერთი რომელიმე, ცალკე აღებული. მისი შედარებითი უმცირესობა, მთელ როიალისტურ კოალიციასთან შეფარდებით, განსაკუთრებულ პირობათა წყალობით თითქოს წონასწორდებოდა. მან არა თუ მრავალრიცხოვანი მიმდევრები მოიპოვა სოფლის მოსახლეობაში, როგორც ეს დეპარტამენტების არჩევნებმა გამოააშკარავეს: მის რიცხვში ითვლებოდა პარიზის თითქმის ყველა დეპუტატი; არმიამ სამი უნტერ-ოფიცრის არჩევით დემოკრატიული შეხედულება გამოამჟღავნა, და მთის მეთაურს, ლედრიუ-როლენს, წესრიგის პარტიის ყველა წარმომადგენელთაგან განსხვავებით, პარლამენტური ღირსება მით მიენიჭა, რომ ხუთმა დეპარტამენტმა თავისი ხმები მასზე შეაერთა. ამრიგად, 1849 წლის 28 მაისს ასე ჩანდა, რომ როიალისტების ერთმანეთში და მთელი წესრიგის პარტიის ბონაპარტთან აუცილებელი შეჯახებისას, მთას წარმატების ყველა ელემენტი მოეპოვებოდა. ორი კვირის შემდეგ კი მან ყველაფერი დაჰკარგა — პატიოსნებაც კი.

ვიდრე ჩვენ პარლამენტურ ისტორიას განვაგრძობდეთ, საჭიროა რამდენიმე შენიშვნა გაკეთდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჩვეულებრივი შეცდომები მოცემული ეპოქის მთელი ხასიათის შესახებ. დემოკრატიული თვალსაზრისით, საკანონმდებლო ეროვნული კრების პერიოდში, საქმე იმასვე შეეხებოდა, რასაც დამფუძნებელი კრების პერიოდში, — სახელდობრ უბრალო ბრძოლას რესპუბლიკელებსა და როიალისტებს შორის. თვით მოძრაობას დემოკრატები აჯამებენ სიტყვა «რეაქციით», ღამით, როდესაც ყველა კატა რუხია და როდესაც დემოკრატებს საშუალება ეძლევათ ღამის ყარაულსავით გაცვეთილი ფრაზები იყბედონ. და მართლაც, ერთი შეხედვით წესრიგის პარტია წარმოადგენს სხვადასხვა როიალისტურ ფრაქციათაგან შემდგარ გროვას, რომელნიც არა თუ ერთი მეორეს წინააღმდეგ ინტრიგას ეწევიან, რათა თვითეულმა თავისი საკუთარი პრეტენდენტი აიყვანოს ტახტზე და მოწინააღმდეგე პარტიის პრეტენდენტი გარიყოს, არამედ ყველანი ერთიანდებიან აგრეთვე საერთო სიძულვილსა და საერთო ბრძოლაში «რესპუბლიკის» წინააღმდეგ. მთა, თავის მხრივ, ამ როიალისტური შეთქმულების წინააღმდეგ გამოდის როგორც «რესპუბლიკის» წარმომადგენელი.

წესრიგის პარტია თითქოს მუდმივ «რეაქციით» არის გართული, რაც, — სწორედ ისე, როგორც პრუსიაში არის, — მიმართულია პრესის, კავშირის და სხვ. წინააღმდეგ და ხორციელდება, ისევე როგორც პრუსიაში, ბიუროკრატიის, ჟანდარმერიისა და სასამართლოს უაღრესად უხეში პოლიციური ჩარევით. მთა, თავის მხრივ, მუდმივ ამ იერიშებს იგერიებს და «ადამიანის მარადიულ უფლებებს» იცავს ისევე, როგორც ამას უკანასკნელი ერთნახევარი საუკუნის განმავლობაში მეტნაკლებ ყოველი ეგრეთწოდებული სახალხო პარტია ჩადიოდა. მაგრამ ვითარებისა და პარტიების უფრო ახლო განხილვით ჰქრება ეს ზედაპირული გარეგნობა, რომელიც ჰფარავს კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ბ რ ძ ო ლ ა ს და ამ პერიოდის თავისებურ ფიზიონომიას.

ლეგიტიმისტები და ორლეანისტები, როგორც ვთქვით, წესრიგის პარტიის ორ დიდ ფრაქციას შეადგენდნენ. რაც ამ ფრაქციებს თავიანთ პრეტენდენტებთან აკავშირებდა და მათ ერთმანეთისაგან ანცალკევდება, ნუთუ ეს სხვა არა იყო რა, თუ არ შროშანა და სამფეროვანი დროშა, ბურბონების დინასტია და ორლეანელების დინასტია, — როიალიზმის სხვადასხვა ფერადობა თუ მათი როიალისტური სარწმუნოება? ბურბონების დროს მ ს ხ ვ ი ლ ი მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა ბატონობდა თავისი ხუცებით და ლაქიებით, ორლეანელების დროს — ფინანსური არისტოკრატია, მსხვილი მრეწველობა, მსხვილი ვაჭრობა, ე. ი. კ ა პ ი ტ ა ლ ი თავისი ადვოკატებისა, პროფესორებისა და ოქროპირების ამალით. ლეგიტიმისტური მონარქია მხოლოდ ადგილმამულის მფლობელთა სამემკვიდრეო ბატონობის პოლიტიკურ გამოხატულებას წარმოადგენდა, ისევე, როგორც ივლისის მონარქია — ბურჟუაზიულ მეტიჩარათა მიერ ხელთჩაგდებული ბატონობის პოლიტიკურ გამოხატულებას. ამრიგად ამ ფრაქციების განცალკევების მიზეზი ეგრეთწოდებული პრინციპები კი არ იყო, არამედ — მატერიალური საარსებო პირობები, ორი სხვადასხვა სახის საკუთრება, ქალაქისა და სოფლის ძველი წინააღმდეგობა, ქიშპობა კაპიტალსა და მაადგილმამულო საკუთრებას შორის. ვინ უარყოფს იმას, რომ ამასთანავე ამა თუ იმ სამეფო დინასტიასთან მათ აკავშირებდა ძველი მოგონება, პირადი მტრობა, შიში და იმედი, ცრურწმენა და ილუზია, სიმპათია და ანტიპათია, შეხედულება, რწმენა და პრინციპი? საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე, სოციალურ საარსებო პირობებზე აღიმართება სხვადასხვა სპეციფიკური შეგრძნების, ილუზიის, აზროვნების წესის და მსოფლ-

მხედველობის მთელი ზედნაშენი. მთელი კლასი ამ ზედნაშენს თავისი მატერიალური საფუძვლისა და სათანადო საზოგადოებრივი ურთიერთობის მიხედვით აგებს და ფორმას აძლევს. ცალკე ინდივიდს, რომელსაც ტრადიციით და აღზრდით მიუღია თავისი შეხედულებანი, შეუძლია წარმოიდგნოს, რომ მისი საქციელის ნამდვილ მოტივებს და გამოსავალ წერტილს ეს შეგრძნებანი, ილუზიები და სხვ. შეადგენენ. ორლეანისტები და ლეგიტიმისტები ცდილობდნენ თვითეულს თავისი ფრაქცია და სხვები დაერწმუნებინა, რომ მათ ორი სხვადასხვა სამეფო დინასტიის მიმდევრობა ანცალკევებთ ერთმანეთისაგან, მაგრამ შემდეგ ფაქტებმა დაამტკიცეს, რომ, პირიქით, მათი ინტერესთა სხვადასხვაობა ორი სამეფო დინასტიის გაერთიანებას აბრკოლებდა. და როგორც კერძო ცხოვრებაში განარჩევენ ერთმანეთისაგან იმას, რასაც ადამიანი თავის თავზე ფიქრობს და ამბობს, და იმას, რასაც ის სინამდვილეში წარმოადგენს და აკეთებს, ასევე; და კიდევ უფრო მეტადაც, გარჩეული უნდა იქნეს ისტორიულ ბრძოლაში პარტიების ფრაზები და ზრახვანი მათი ნამდვილი ორგანიზაციის და ნამდვილი ინტერესებისაგან, მათი წარმოდგენანი — მათივე რეალობისგან. ორლეანისტები და ლეგიტიმისტები რესპუბლიკაში ერთმანეთის გვერდით ერთნაირი მოთხოვნილებებით აღმოჩნდნენ. და თუ თვითეულ მხარეს, მეორის წინააღმდეგ, თავისი საკუთარი სამეფო დინასტიის რესტავრაციის განხორციელება ეწადა, ეს სხვას არას მოასწავებდა, თუ არ იმას, რომ ორი დიდი ინტერესიდან, რაც ბურჟუაზიას ჰყოფდა: საადგილმამულო საკუთრება და კაპიტალი, — თვითეული თავის საკუთარი პირველობის და მეორის დამორჩილების რესტავრაციას ცდილობდა. ჩვენ ვლაპარაკობთ ბურჟუაზიის ორი ინტერესის შესახებ, ვინაიდან მსხვილი საადგილმამულო საკუთრება, თავისი ფეოდალური პრანჭიობისა და გვაროვნული სიამაყის მიუხედავად, თანამედროვე საზოგადოების განვითარებით სრულიად გაბურჟუაზიულდა. ასე, მაგალითად, ინგლისელ ტორიებს კაი ხანს წარმოედგინათ, რომ ისინი სამეფო ხელისუფლების, ეკლესიისა და ძველ-ინგლისური კონსტიტუციის მშვენიერებას ეტრფიან, ვიდრე საშიშმა მომენტმა მათ არ აღიარებინა, რომ ისინი მხოლოდ მიწის რენტას ეტრფიან.

გაერთიანებული როიალისტები ერთმანეთის წინააღმდეგ ინტრიგებს აწარმოებდნენ პრესაში, ემსში, კლერმონში, პარლამენტს

გარეშე. კულისებს უკან ისინი ისევ იცვამდნენ თავიანთ ძველ ორლეანისტურ და ლეგიტიმისტურ ლივრეებს და ანახლებდნენ თავიანთ ძველ ტურნირებს. მაგრამ საზოგადოებრივ სარბიელზე, თავიანთ მთავარ და სახელმწიფო საქმიანობაში, როგორც დიდი პარლამენტური პარტია, თავიანთ სამეფო დინასტიებს მარტოოდენ მოწიწებით იხსენიებდნენ და მონარქიის რესტავრაცია **in infinitum**[1] ჰქონდათ გადადებული. თავიანთ ნამდვილ საქმიანობას ისინი ეწეოდნენ როგორც წესრიგის პარტია, ე. ი. საზოგადოებრივი და არა პოლიტიკური ტიტულით, როგორც ბურჟუაზიული წყობილების წარმომადგენელნი და არა როგორც მოგზაური პრინცესების რაინდები, ეწეოდნენ როგორც ბურჟუაზიის კლასი სხვა კლასთა პირისპირ და არა როგორც როიალისტები რესპუბლიკელთა პირისპირ. და როგორც წესრიგის პარტია, ისინი საზოგადოების სხვა კლასებზე ბატონობდნენ უფრო შეუზღუდველად და მკაცრად, ვიდრე ოდესმე რესტავრაციისა ან ივლისის მონარქიის დროს; ასეთი ბატონობა საერთოდ მხოლოდ პარლამენტური რესპუბლიკის არსებობისას იყო შესაძლებელი, ვინაიდან მხოლოდ ამ სახელმწიფო ფორმის დროს შეეძლო საფრანგეთის ბურჟუაზიის ორ დიდ ნაწილს გაერთიანებულიყო და, ამრიგად, დღის წესრიგში დაესვა ბურჟუაზიის კლასის ბატონობის განხორციელება მისი რომელიმე პრივილეგიური ფრაქციის ბატონობის ნაცვლად. თუ როიალისტები, მიუხედავად ამისა, წესრიგის პარტიის სახითაც რესპუბლიკას შეურაცხყოფდნენ და მის მიმართ თავიანთ ზიზღს გამოთქვამდნენ, — ეს ხდებოდა არა მარტო როიალისტური ტრადიციების გამო. ინსტინქტი მათ უკარნახებდა, რომ თუმცა რესპუბლიკა მათს პოლიტიკურ ბატონობას სრულჰყოფს, მაგრამ ამავე დროს მის საზოგადოებრივ საფუძველს ძირს უთხრის, ვინაიდან ისინი იძულებული არიან უშუამავლოდ, ტახტის საფარველს გარეშე, უიმისოდ, რომ ერთმანეთს შორის და მეფესთან წარმოებული მეორეხარისხოვანი ბრძანების მეოხებით ეროვნული ინტერესის გამოწვევა შეეძლოთ, — იძულებული არიან დამონებული კლასების წინააღმდეგ გამოვიდნენ და მათ წინააღმდეგ იბრძოლონ. უძლურების გრძნობა იყო ეს, რომ მათ უკან ახევინებდა მათი კლასობრივი ბატონობის წმინდა ფორმის წინაშე და აიძულებდა მისი ნაკლებ სრული, განუვითარებელი და, ამიტომ, ნაკლებ საშიში ფორმებისადმი ჰქონოდათ მისწრაფება. ყოველთვის, როდესაც კი გაერთიანებულ როიალისტებს

[1] უსასრულობამდე. რ ე დ.

კონფლიქტი მოუდით მათ მოწინააღმდეგე პრეტენდენტთან, ბონაპარტთან, ყოველთვის, როდესაც ისინი ფიქრობენ, რომ მათს პარლამენტურ ყოვლისშემძლებლობას აღმასრულებელი ხელისუფლება ემუქრება, ერთი სიტყვით, — ყოველთვის, როდესაც მათ თავიანთი ბატონობის პოლიტიკური კანონზომიერება უნდათ უჩვენონ, მათ თავი მოაქვთ რესპუბლიკელებად და არა როიალისტებად, დაწყებული ორლეანისტი ტიერით, რომელიც ეროვნულ კრებას არწმუნებდა, — რესპუბლიკა ყველაზე უფრო ნაკლებ გვანცალკევებსო, და გათავებული ლეგიტიმისტი ბერიეთი, რომელიც 1851 წლის 2 დეკემბერს, სამფეროვანი შარფით შემოხვეული, მერიის შენობის წინ შეკრებილ მეათე უბნის ხალხს სიტყვას ეუბნებოდა რესპუბლიკის სახელით როგორც ტრიბუნი. მართალი კია, რომ გამოძახილი მას დაცინვით უპასუხებდა: ჰანრი V! ჰანრი V!

ბურჟუაზიული კოალიციის პირისპირ შეიქმნა წვრილი ბურჟუაზიის და მუშების კოალიცია, ეგრეთწოდებული სოციალურ-დემოკრატიული პარტია. წვრილმა ბურჟუაზიამ დაინახა, რომ 1848 წლის ივნისის დღეებს შემდეგ მას გვერდი აუარეს, რომ მისი მატერიალური ინტერესები შეილახა და რომ დემოკრატიული გარანტიები, რომელთაც ეს ინტერესები უნდა უზრუნველეყოთ, კონტრრევოლუციის მიერ კითხვითი ნიშნის ქვეშ არის დასმული. ამიტომ იგი მუშებს დაუახლოვდა. მეორე მხრივ, მისმა საპარლამენტო წარმომადგენლობამ, მთამ, რომელიც ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა დიქტატურის დროს განზე იყო მიგდებული, დამფუძნებელი კრების არსებობის მეორე ნახევარში ისევ მოიპოვა თავისი დაკარგული პოპულარობა ბონაპარტთან და როიალისტ მინისტრებთან ბრძოლის წყალობით. სოციალისტების ბელადებთან მთამ კავშირი შეჰკრა. შერიგება იდღესასწაულეს 1849 წლის თებერვალში ბანკეტებით. მოკავშირეებმა გამოიმუშავეს საერთო პროგრამა, დაარსდა საერთო საარჩევნო კომიტეტები და წამოყენებული იქნენ საერთო კანდიდატები. პროლეტარიატის სოციალურ მოთხოვნებს რევოლუციური სიმახვილე ჩამოეცალა და დემოკრატიული მიმართულება მიეცა; წვრილი ბურჟუაზიის დემოკრატიული მოთხოვნები მარტო პოლიტიკური ფორმით აღარ იზღუდებოდა და სოციალისტურ პუნქტებსაც აყენებდა. ასე წარმოიშვა სოციალური დემოკრატია. ახალი მთა, ამ კომბინაციის შედეგი, შეიცავდა, — თუ რამდენიმე სტატისტს მუშათა კლასიდან და რამდენიმე სოციალისტ-სექტანტს არ ჩავთვლით, — იმავე ელემენტებს, როგორსაც ძველი მთა, მაგ-

რამ — უფრო მრავალრიცხოვანს. მაგრამ დროთა ვითარებაში ის შეიცვალა იმ კლასის ცვლილებასთან ერთად, რომელსაც ის წარმოადგენდა. სოციალური დემოკრატიის თავისებური ხასიათი იმაში მდგომარეობდა, რომ დემოკრატიულ-რესპუბლიკურ დაწესებულებებს ის მოითხოვდა იარაღად არა ორი უკიდურესობის — კაპიტალისა და დაქირავებული შრომის — მოსასპობად, არამედ — მათი წინააღმდეგობის შესარბილებლად და ჰარმონიად გარდასაქმნელად. რაგვარი ღონისძიებებიც უნდა იყოს წამოყენებული ამ მიზნის მისაღწევად, რაგინდ მორთული იყოს იგი მეტ-ნაკლებ რევოლუციური წარმოდგენებით, შინაარსი მაინც ერთიდაიგივე რჩება. ეს შინაარსია საზოგადოების გარდაქმნა დემოკრატიული გზით, მხოლოდ — წვრილი ბურჟუაზიულობის საზღვრების ფარგლებში. არ უნდა ვიქონიოთ, რა თქმა უნდა, ის ვიწრო წარმოდგენა, რომ წვრილ ბურჟუაზიას პრინციპულად სურდეს თავისი ეგოისტური კლასობრივი ინტერესის განხორციელება. პირიქით, მას ჰგონია, რომ მისი განთავისუფლების ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი პირობები ამავე დროს ს ა ე რ თ ო პირობებია, რომლებშიაც მარტოოდენ შეიძლება თანამედროვე საზოგადოების ხსნა და კლასობრივი ბრძოლის თავიდან აცილება. ასევე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ დემოკრატიული წარმომადგენლები ყველა მედუქნეები ან მათი მოტრფიალენი არიან. თავიანთი განათლებისა და ინდივიდუალური მდგომარეობის მიხედვით მათ შეუძლიათ ამ უკანასკნელთაგან ისე იყვნენ დაშორებულნი, როგორც ცა დედამიწისაგან. რაც მათ წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლად ხდის, ეს ის არის, რომ მათ გონებას ვერ გადაულახავს ის ფარგალი, რომელსაც ვერ შორდება წვრილი ბურჟუა ცხოვრებაში, რომ, ამიტომ, თეორიულად ისინი იმავე ამოცანებსა და გადაწყვეტილებებამდე მიდიან, საითკენაც წვრილი ბურჟუა პრაქტიკულად მიჰყავს მის მატერიალურ ინტერესებსა და საზოგადოებრივ მდგომარეობას. ასეთია საერთოდ კლასის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ და ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ თ ა დამოკიდებულება იმ კლასის მიმართ, რომელსაც ისინი წარმომადგენლობენ.

ნათქვამის შემდეგ თავისთავად გასაგებია, რომ, თუმცა მთა წესრიგის პარტიის წინააღმდეგ მუდმივ ბრძოლას აწარმოებდა რესპუბლიკისა და ეგრეთწოდებული ადამიანთა უფლებებისთვის, მის საბოლოო მიზანს არც რესპუბლიკა შეადგენდა და არც ადამიანთა უფლებები, ისევე, როგორც არმიისთვის, რომელსაც

იარაღის წართმევას უპირებენ და რომელიც თავს იცავს, ბრძოლის ველზე გამოსვლის მიზანს არ შეადგენს მხოლოდ თავისი საკუთარი იარაღის შენარჩუნება.

წესრიგის პარტიამ პროვოკაცია მოუწყო მთას ეროვნული კრების გახსნისთანავე. ბურჟუაზიამ ახლა იგრძნო საჭიროება ბოლო მოეღო დემოკრატიული წვრილი ბურჟუებისთვის ისევე, როგორც ერთი წლის წინათ იგრძნო საჭიროება რევოლუციური პროლეტარიატისათვის მოეღო ბოლო. მხოლოდ მოწინააღმდეგის მდგომარეობა ახლა სხვაგვარი იყო. პროლეტარული პარტიის ძალა ქუჩაში იყო, წვრილი ბურჟუაზიისა კი — თვით ეროვნულ კრებაში. მაშასადამე, საჭირო იყო ეროვნული კრებიდან ამ ბურჟუაზიის ქუჩაში გატყუება და იძულება, რომ თავისი პარლამენტური ძალა თვით მასვე დაეთრგუნა, ვიდრე დრო და გარემოება მას გაამაგრებდა. მთა თავიან-ფეხებიანად გაება ამ მახეში.

საფრანგეთის ჯარების მიერ რომისთვის ყუმბარების დაშენა იყო ის ანკესი, რომელიც მას გადაუგდეს. ამ ყუმბარების დაშენამ დაარღვია კონსტიტუციის V მუხლი, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკას უკრძალავდა თავისი სამხედრო ძალები სხვა ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ გამოეყენებინა. ამასთანავე მე-54 მუხლი აღმასრულებელ ხელისუფლებას უკრძალავდა ომის გამოცხადებას ეროვნული კრების თანხმობის გარეშე, ხოლო დამფუძნებელმა კრებამ კი თავისი 8 მაისის დადგენილებით რომის ექსპედიცია დაჰგმო. ამ საფუძვლით ლედრიუ-როლენმა 1849 წლის 11 ივნისს საბრალდებო აქტი წარადგინა ბონაპარტისა და მისი მინისტრების წინააღმდეგ. ტიერის მერ წარმოებული ჩხვლეტებით გახელებული, ის მუქარამდეც კი მივიდა: კონსტიტუციას ყველა საშუალებით დავიცავ, თუნდაც იარაღით ხელშიო. მთა როგორც ერთი კაცი ისე წამოდგა და ეს იარაღისაკენ მოწოდება გაიმეორა. 12 ივნისს ეროვნულმა კრებამ უარჰყო საბრალდებო აქტი, და მთამ პარლამენტი დასტოვა. 13 ივნისის ამბები ყველამ იცის: მთის ერთი ნაწილის პროკლამაცია, რომელშიც ბონაპარტი და მისი მინისტრები «კონსტიტუციის გარეშე» იყვნენ გამოცხადებულნი; პროცესია ქუჩაში დემოკრატიული ეროვნული გვარდიისა, რომელიც უიარაღო იყო და შანგარნიეს ჯარებთან შეხვედრისას გაიფანტა და სხვ. და სხვ. მთის ნაწილი უცხოეთში გაიქცა, მეორე ნაწილი უზენაეს სასამართლოს გადაეცა ბურჟეში, ხოლო რაც დარჩა, პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, ეროვნული კრების თავმჯდომარის ზედა-

მხედველობას ჩაბარდა, როგორც აღმზრდელს შეგირდები. პარიზში ისევ საალყო მდგომარეობა გამოცხადდა, ხოლო ეროვნული გვარდიის დემოკრატიული ნაწილი დათხოვნილ იქნა. ამგვარად განადგურებულ იქნა მთის გავლენა პარლამენტში და წვრილი ბურჟუაზიის ძალა პარიზში.

ლიონში, რომელსაც 13 ივნისმა ნიშანი მისცა მუშათა სისხლიანი აჯანყებისათვის, და ხუთ მის გარშემო მდებარე დეპარტამენტში აგრეთვე საალყო წესები გამოცხადდა. ეს მდგომარეობა იქ დღემდე გრძელდება.

მთის დიდმა უმრავლესობამ უღალატა თავის ავანგარდს, უარი განაცხადა ხელი მოეწერა პროკლამაციაზე. პრესამაც დეზერტირობა გასწია და მხოლოდ ორმა გაზეთმა გაბედა პრონუნციამენტო გამოექვეყნებინა. წვრილმა ბურჟუაზიამ უღალატა თავის წარმომადგენლებს, იმ დროს როცა ეროვნული გვარდია არსად ჩანდა, ხოლო სადაც გამოჩნდა, ხელს უშლიდა ბარიკადების აგებას. წარმომადგენლებმა მოატყუეს წვრილი ბურჟუები, ვინაიდან დაპირებული მოკავშირენი არმიის წრიდან არსად ჩანდნენ. დასასრულ, იმის ნაცვლად, რომ დამატებითი ძალა შეეძინა, დემოკრატიულმა პარტიამ პროლეტარიატს თავისი საკუთარი სისუსტე გადასდო და, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება დემოკრატიულ საქმეთა შესრულებისას, ბელადები თავს ინუგეშებდნენ, ბრალს დებდნენ რა თავის «ხალხს» დეზერტირობაში, ხოლო ხალხი თავს ინუგეშებდა, ბრალს დებდა რა ბელადებს მოტყუილებაში.

იშვიათად თუ უცნობებიათ ქვეყნისთვის რაიმე მოქმედება ისე დიდი რიხით, როგორც მთის განზრახული ლაშქრობა, იშვიათად თუ დაუკრავთ საყვირი რაიმე მოვლენის შესახებ ისე დარწმუნებითა და ისე ხანგრძლივად, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დემოკრატიის უეჭველი გამარჯვების შესახებ. ეჭვი არაა, დემოკრატებს სწამთ საყვირის ხმა, რომლითაც იერიქონის კედლები დაიქცა. და ყოველთვის, როდესაც ისინი დესპოტიზმის კედლის პირისპირ დგანან, ცდილობენ ეს სასწაული გაიმეორონ. თუ მთას სურდა პარლამენტში გაემარჯვნა, მას არ უნდა მოეწოდებინა იარაღისაკენ. თუ ის პარლამენტში იარაღისაკენ მოუწოდებდა, ქუჩაში პარლამენტურად არ უნდა მოქცეულიყო. თუ მართლა მშვიდობიანი დემონსტრაციის გამართვას ცდილობდნენ, წინდაუხედაობა იყო იმის გაუთვალისწინებლობა, რომ მას სამხედრო წესით შეხვდებოდნენ. თუ ნამდვილი ბრძოლა იყო გათვალისწინებული, უცნაური იყო იმ

ნარაღის შინ დატოვება, რომლითაც ეს ბრძოლა უნდა წარმოებულიყო. მაგრამ წვრილი ბურჟუების და მათი დემოკრატიული წარმომადგენლების რევოლუციური მუქარა მოწინააღმდეგის უბრალო დაშინების ცდას წარმოადგენს. და თუ ისინი ჩიხში მოემწყვდევიან, თუ ისინი იმდენად შეტოპავენ, რომ იძულებული არიან თავიანთი მუქარა შეასრულონ, — ამას ისინი ორაზროვნად სჩადიან: თავს არიდებენ მიზნის მისაღწევ საშუალებას და დამორჩილების საბაბის გამონახვას ცდილობენ. ბრძოლის მაუწყებელი გამაყრუებელი უვერტიურა ხმადაბალ ბუზღუნად იქცევა, როგორც კი ბრძოლა უნდა დაიწყოს; მსახიობები საქმეს სერიოზულად აღარ უყურებენ და მთელი მოქმედება იფუშება ჰაერით გავსებული ნემსნაჩხვლეტი ბუშტივით.

არც ერთი პარტია არ აზვიადებს თავის საშუალებებს ისე, როგორც დემოკრატიული პარტია, არც ერთი პარტია არ ცდება ისე მჩატედ არსებული ვითარების შესახებ, როგორც ის. რაკი არმიის ერთმა ნაწილმა ხმა მთას მისცა, ეს უკანასკნელი უკვე დარწმუნებული იყო, რომ არმია მისთვის აღსდგებოდა. და რა საბაბით? იმ საბაბით, რომელსაც ჯარის თვალსაზრისით მხოლოდ ის აზრი ჰქონდა, რომ რევოლუციონერები რომის ჯარისკაცებს ამოუდგნენ გვერდში ფრანგ ჯარისკაცთა წინააღმდეგ. მეორე მხრივ, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო 1848 წლის ივნისის მოგონებანი, რათა პროლეტარიატს ღრმა ზიზღი ჰქონოდა ეროვნული გვარდიის მიმართ, ხოლო საიდუმლო საზოგადოებათა მეთაურებს — სრული უნდობლობა დემოკრატიულ მეთაურთა მიმართ. რომ ეს უთანხმოება მოსპობილიყო, საჭირო იყო დიდ საერთო ინტერესებს გაჩენოდა საფრთხე. აბსტრაქტული კონსტიტუციის პარაგრაფის დარღვევას არ შეეძლო ასეთი ინტერესის შექმნა. განა კონსტიტუცია უკვე რამდენჯერმე არ დაირღვა თვით დემოკრატების მტკიცების თანახმად? განა ყველაზე უფრო პოპულარულმა გაზეთებმა ეს კონსტიტუცია კონტრრევოლუციონერთა ნაწარმოებად არ გამოაცხადეს? მაგრამ დემოკრატს, რადგან იგი წარმომადგენელია წვრილი ბურჟუაზიის, მაშასადამე, გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი კ ლ ა ს ი ს, რომელშიც ორი კლასის ინტერესები ბლაგვდება, თავი საერთოდ კლასობრივ წინააღმდეგობებზე მაღლა მდგომად მიაჩნია. დემოკრატები უშვებენ, რომ მათ პრივილეგიური კლასი უპირისპირდება, მაგრამ ერის მთელ დანარჩენ ნაწილთან ერთად ისინი ხ ა ლ ხ ს შეადგენენ. რასაც ისინი იცავენ, ხ ა ლ ხ ი ს უ ფ ლ ე ბ ა დ აცხადებენ; რაც მათ აინტერესებთ —

ხალხის ინტერესად. ამიტომ მათ არ ესაჭიროებათ წინამდებარე ბრძოლისათვის სხვადასხვა კლასთა ინტერესები და მდგომარეობა გამოიკვლიონ. მათ არ ესაჭიროებათ თავიანთი საკუთარი საშუალებები მაინცდამაინც გულდასმით ასწონ-დასწონონ. მათთვის საკმაოა მარტო ნიშანი მისცენ, რომ ხალხი მთელი თავისი დაუშრეტელი რესურსებით მჩაგრავთ ექვეთოს. და თუ განხორციელებისას მათი ინტერესები უინტერესო აღმოჩნდება და მათი ძალა — უძლურება, ამისათვის ან მავნებელი სოფისტები არიან დამნაშავენი, რომელთაც განუყოფელი ხალხი სხვადასხვა მტრულ ბანაკებად დაჰყვეს, ან არმია ისე გაპირუტყვდა და დაბრმავდა, რომ დემოკრატიის წმინდა იდეალები თავის საკუთარ სიკეთედ ვერ ჩათვალა, ან რაიმე წვრილმანის გამო შესრულებისას მთელი საქმე ჩაიშალა, ანდა, დასასრულ, ამჯერად რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო იქნა საქმე წაგებული. ყოველ შემთხვევაში, დემოკრატი ყოვლად სამარცხვინო დამარცხებიდან ისევე უბიწოდ გამოდის, როგორც უმანკოდ განიცადა მან ეს დამარცხება, — განახლებული რწმენით, რომ მან უნდა გაიმარჯვოს, რომ არა თვით მან და მისმა პარტიამ უნდა აიღოს ხელი ძველ თვალსაზრისზე, არამედ, პირიქით, გარემოებანი უნდა მომწიფდნენ მისთვის.

ამიტომ დაქუცმაცებული, წელგატეხილი და ახალი საპარლამენტო რეგლამენტით მოთვინიერებული მთა მაინცდამაინც უბედურად არ უნდა წარმოვიდგინოთ. თუ 13 ივნისმა მას მეთაურები მოაშორა, მეორე მხრივ, მან გზა მისცა მეორეხარისხოვან «ნიჭთ», რომელთათვის ეს ახალი მდგომარეობა სანუკვარი იყო, მათი უძლურება პარლამენტში უკვე არავითარ ეჭვს აღარ იწვევდა, და ამ მდგომარეობაში მათ მით უფრო უფლება ჰქონდათ თავიანთი საქმიანობა ზნეობრივი გულისწყრომის აღგზნებით და მყვირალა დეკლამაციით შემოეფარგლათ. თუ წესრიგის პარტია გაიძახოდა: მათში, როგორც რევოლუციის უკანასკნელ ოფიციალურ წარმომადგენლებში, ანარქიის ყველა საშინელებაა განსახიერებულიო, — მით უფრო ქედმოხრილი და ზომიერი შეეძლოთ მათ ყოფილიყვნენ სინამდვილეში. 13 ივნისის დამარცხების გამო კი ისინი ასეთი ღრმააზროვანი წამოძახილით ინუგეშებდნენ თავს: «მაგრამ თუ საყოველთაო საარჩევნო უფლების ხელშეხება» გაბედეს, მაშინ! მაშინ ვუჩვენებთ, ვინც ვართ ჩვენ!» ვნახოთ.

რაც შეეხება უცხოეთში გაქცეულ მთის წევრებს, საკმარისია აქ აღვნიშნოთ, რომ ლედრიუ-როლენმა, რომელმაც მოახერხა ორ კვირაში საბოლოოდ დაეღუპა ძლიერი პარტია, რომლის სათავეში ის იდგა, თავისი თავი მოწოდებულად მიიჩნია საფრანგეთის მთავრობა შეედგინა **in partibus**; რომ მისი ფიგურა, საბრძოლო მოქმედების არეს დაშორებული, თითქო თანდათან მზარდი მოჩანდა, რაც უფრო დაბლა ეცემოდა რევოლუციის დონე და ოფიციალური საფრანგეთის წარჩინებულნი რაც უფრო ქონდრის' კაცთ ემსგავსებოდნენ; რომ მას მომავალ 1852 წლის არჩევნებში რესპუბლიკურ პრეტენდენტად შეეძლო გამოსვლა; რომ ის ვალახებსა და სხვა ხალხთ პერიოდულ ცირკულარებს უგზავნიდა, რომელშიც კონტინენტის დესპოტებს თავისი და თავის თანამოაზრეთა საქმეებით ემუქრებოდა. განა მთლად უმართებულო იყო პრუდონი, როდესაც ამ ვაებატონებს შესძახა: «თქვენ ბაქიები ხართ და სხვა არაფერი!».

წესრიგის პარტიამ 13 ივნისს არა თუ წელში გატეხა მთა, არამედ, ამავე დროს, მან გაატარა პრინციპი კონსტიტუციის' დაქვემდებარებისა ეროვნული კრების უმრავლესობის დადგენილებებისადმი. რესპუბლიკა მას ასე ესმოდა: ეს არის ბურჟუაზიის ბატონობის პარლამენტური ფორმა, და ამ ბატონობაში იგი შეზღუდული არაა, როგორც ამას მონარქიაში აქვს ადგილი, არც აღმასრულებელი ხელისუფლების ვეტოთი და არც პარლამენტის დათხოვნის უფლებით. ეს იყო პარლამენტური რესპუბლიკა, როგორც მას ტიერმა უწოდა. მაგრამ როდესაც ბურჟუაზიამ თავისი ყოვლისშემძლებლობა უზრუნველჰყო 13 ივნისს პარლამენტის შენობის შიგნით, განა მან განუკურნელად არ დააუძლურა თვით პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ხალხის პირისპირ, მით, რომ პარლამენტის ყველაზე პოპულარული ნაწილი განდევნა იქიდან? სასამართლოს გადასცა რა სრულიად უცერემონიოდ მრავალი დეპუტატი, მან თავისი პარლამენტური ხელშეუხებლობა თვითვე გაუქმა. დამამცირებელმა რეგლამენტმა, რომელსაც მან დაუქვემდებარა მთის დეპუტატები, იმავე ზომით განადიდა რესპუბლიკის პრეზიდენტი, რა ზომითაც დაამდაბლა ხალხის ცალკე წარმომადგენელნი. გამოაცხადა რა კონსტიტუციური წყობილების დასაცავად წარმომდგარი აჯანყება საზოგადოების დამამხობელ ანარქიულ აჯანყებად, მან თავის თავს წაართვა აჯანყებისადმი მიმართვის უფლება იმ შემთხ-

ვევაში, თუ აღმასრულებელი ხელისუფლება მის საწინააღმდეგოდ კონსტიტუციას დაარღვევდა. და ისტორიის ირონიამ ინება, რომ გენერალს, რომელიც ბონაპარტის ბრძანებით რომს უშენდა ყუმბარებს და რომელმაც, ამრიგად, უშუალო საბაბი შეჰქმნა 13 ივნისის საკონსტიტუციო აჯანყებისათვის, ამ გენერალს — უ დ ი ნ ო ს — 1851 წლის 2 დეკემბერს წესრიგის პარტია ცრემლითა და ამაო მუდარით ხალხს თავაზობდა როგორც კონსტიტუციურ გენერალს ბონაპარტის წინააღმდეგ. 13 ივნისის მეორე გმირი იყო ვ ი ე ი რ ა, რომელმაც ეროვნული კრების ტრიბუნიდან ქება-დიდება მოიხვეჭა იმ მხეცობისათვის, რომელიც მან დემოკრატიული გაზეთების ბინებში ჩაიდინა ფინანსური არისტოკრატიისაგან შემდგარი ეროვნული გვარდიის გუნდის მეთაურობისას; სწორედ ამ ვიეირამ იცოდა ბონაპარტის შეთქმულების შესახებ და დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ ეროვნულ კრებას თავისი სიკვდილის წუთებში ეროვნული გვარდიის მხრივ არავითარი დახმარება არ მიეღო.

13 ივნისს კიდევ სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. მთა ცდილობდა სამართალში მიეცა ბონაპარტი. ამიტომ მთის დამარცხება ბონაპარტის უშუალო გამარჯვება იყო, მისი პირადი ტრიუმფი დემოკრატიულ მტრებზე. წესრიგის პარტიამ მოიპოვა გამარჯვება, ბონაპარტს მხოლოდ ამ გამარჯვების ნაყოფი უნდა ეგემნა. ისიც სწორედ ასე მოიქცა. 14 ივნისს პარიზის კედლებზე პროკლამაცია გააკრეს, რომელშიც პრეზიდენტი, თითქოს საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, — მხოლოდ გარემოებათაგან იძულებით, ტოვებს თავის მონასტრულ განდეგილობას, ჩივის როგორც არდაფასებული სათნოება თავის მტერთა ცილისწამებაზე და, ცდილობს რა უჩვენოს თავისი პიროვნების იგივეობა წესრიგის საქმესთან, სინამდვილეში, პირიქით, წესრიგის საქმეს აიგივებს თავის პიროვნებასთან. ამასთანავე, თუმცა რომის საწინააღმდეგო ექსპედიციას ეროვნულმა კრებამ შემდეგში სანქცია მისცა, მაგრამ მისი ინიციატივა ბონაპარტს ეკუთვნოდა. იმის შემდეგ, რაც მღვდელმთავარი სამუელი ისევ აღადგინა ვატიკანში, მას უკვე შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ ტიულერიში შევიდოდა როგორც მეფე დავითი. მან ხუცების გული მოიგო.

13 ივნისის ჯანყი, როგორც დავინახეთ, მარტოოდენ ქუჩის მშვიდობიანი პროცესიით განისაზღვრა. მაშასადამე, ის სამხედრო დაფნის გვირგვინს ვერავის მოუპოვებდა. მაგრამ ამ გმირებითა და ამბებით ღარიბ ეპოქაში წესრიგის პარტიამ ეს სისხლდაუღვრელი

ბრძოლა მეორე აუსტერლიცად გადააქცია. ტრიბუნა და პრესა აქებ-ადიდებდა არმიას როგორც წესრიგის ძალას ხალხის მასის, როგორც ანარქიული უძლეველების, წინააღმდეგ და — შანგარნიეს, როგორც «საზოგადოების ბურჯს»: მისტიფიკაცია, რაც მას ბოლოს თვითვე სჯეროდა. ამასობაში პარიზიდან გაყვანილ იქნენ საეჭვო კორპუსები, ხოლო ის პოლკები, რომელნიც არჩევნებში ყველაზე დემოკრატიული აღმოჩნდნენ, საფრანგეთიდან ალჟირში გაგზავნეს, მოუსვენარი პირები ჯარში დამსჯელ ბატალიონებში გადაიყვანეს, დასასრულ, სისტემატურად გატარდა პრესისთვის ყაზარმის კარების დახშვა და ყაზარმისათვის — ქალაქის საზოგადოებისა.

ჩვენ აქ საფრანგეთის ეროვნული გვარდიის ისტორიის გადამჭრელ შებრუნების წერტილს მივაღწიეთ. 1830 წელს გვარდიამ რესტავრაციის ბედი გადაჭრა. ლუი ფილიპეს დროს ყველა აჯანყება, რომელშიც ეროვნული გვარდია ჯართან ერთად მოქმედებდა, მარცხით თავდებოდა. როდესაც 1848 წლის თებერვლის დღეებში ეროვნულმა გვარდიამ პასიურად დაიჭირა თავი აჯანყების მიმართ და ორაზროვნად ლუი ფილიპეს მიმართ, ამ უკანასკნელმა თავისი საქმე წაგებულად ჩათვალა და მართლაც წააგო. ასე გაიდგა ფესვები რწმენამ, რომ რევოლუცია ეროვნული გვარდიის გ ა რ ე შ ე და არმია ეროვნული გვარდიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ვერ გაიმარჯვებს. ეს იყო არმიის ცრურწმენა ბურჟუაზიული ყოვლისშემძლებლობის (**bürgerliche Allmacht**) შესახებ. 1848 წლის ივნისის დღეებმა, როდესაც მთელმა ეროვნულმა გვარდიამ სახაზო ჯართან ერთად ჩააქრო აჯანყება, ეს ცრურწმენა განამტკიცა. ბონაპარტის პრეზიდენტობის დაწყებისთანავე ეროვნული გვარდიის მნიშვნელობა რამდენადმე დაეცა შანგარნიეს ხელში ეროვნული გვარდიის სარდლობისა და პირველი სამხედრო დივიზიის სარდლობის გაერთიანების გამო, რაც კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა.

რადგან ეროვნული გვარდიის მეთაურობა აქ ჯარების მთავარსარდლის ატრიბუტს წარმოადგენდა, ამიტომ თვით ეროვნული გვარდია სახაზო ჯარის უბრალო დანამატი შეიქნა. 13 ივნისს, დაბოლოს, ის დამსხვრეულ იქნა არა მარტო მისი ნაწილობრივი დათხოვნით, რაც ამ დროიდან საფრანგეთის ყველა კუთხეში პერიოდულად მეორდებოდა და რამაც მისგან მხოლოდ ნამსხვრევები დატოვა. 13 ივნისის დემონსტრაცია, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული გვარდიის დემოკრატიული ნაწილის დემონსტრაცია იყო. მართალია, ის არმიის პირისპირ დადგა, თუმცა არა იარაღით, არამედ — თავისი მუნდი-

რით, მაგრამ თილისმა სწორედ ამ მუნდირში იყო მოქცეული. არმია დარწმუნდა, რომ ეს მუნდირი ისეთივე შალის ნაგლეჯია, როგორც სხვა მაუდის ნაჭერი. მოჯადოება გაჰქრა. 1848 წლის ივნისის დღეებში მსხვილი და წვრილი ბურჟუაზია, ეროვნული გვარდიის სახით, არმიას შეუერთდა პროლეტარიატის წინააღმდეგ. 1849 წლის 13 ივნისს ბურჟუაზიამ წვრილბურჟუაზიული ეროვნული გვარდია არმიას გაარეკინა, 1851 წლის 2 დეკემბერს თვით ბურჟუაზიის ეროვნული გვარდიაც გაჰქრა, და ბონაპარტმა დათხოვნის დეკრეტზე ხელმოწერით აღნიშნა შემდეგში მხოლოდ ეს მომხდარი ფაქტი. ამრიგად, ბურჟუაზიამ თვითვე დაამსხვრია თავისი უკანასკნელი იარაღი არმიის წინააღმდეგ, მაგრამ მას უნდა დაემსხვრია იგი, როგორც კი წვრილი ბურჟუაზია მას ვასალივით უკან კი აღარ გაედევნა, არამედ მის წინ აღიმართა როგორც აჯანყებული; და საერთოდ ბურჟუაზია იძულებული იყო აბსოლუტიზმის წინააღმდეგ თავდაცვის ყველა საშუალება საკუთარი ხელითვე გაენადგურებინა, როდესაც აბსოლუტური თვითმპყრობელი თვითვე გახდა.

ამასობაში წესრიგის პარტია ზეიმობდა თავისი ხელისუფლების ისევ დაბრუნებას, რომელიც 1848 წელს თითქოს იმისთვის დაჰკარგა, რომ 1849 წელს შეუზღუდავად დაბრუნებოდა. იგი ავად იხსენიებდა რესპუბლიკასა და კონსტიტუციას, წყევლა-კრულვას უგზავნიდა ყველა მომავალ, თანამედროვე და წარსულ რევოლუციას, იმ რევოლუციის გამოუკლებლივ, რომელიც მისმა საკუთარმა ბელადებმა მოახდინეს, და ბოლოს გამოსცა კანონები, რომლითაც პრესა შეიბოჭა, ასოციაციები მოისპო და საალყო მდგომარეობა ორგანულ ინსტიტუტად გარდაიქმნა. ეროვნულმა კრებამ შემდეგ თავისი სხდომები შუა აგვისტოდან შუა ოქტომბრამდე გადადო და ამ მისი დათხოვნის ვადის განმავლობაში მუდმივი კომისია დანიშნა. ამ არდადეგის დროს ლეგიტიმისტები ინტრიგებს აწყობდნენ ემსში, ორლეანისტები — კლერმონში, ბონაპარტი — მეფური ტურნეთი, დეპარტამენტთა საბჭოები — თათბირებზე კონსტიტუციის გადასასინჯავად, — ეს იყო გარემოებები, რომელნიც ეროვნული კრების პერიოდულ არდადეგში რეგულარულად მეორდებოდნენ; უფრო ვრცლად მე მათ მაშინ შევეხები, როდესაც ისინი ნამდვილად მოვლენის ხასიათს მიიღებენ. აქ კი აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ეროვნული კრება არაპოლიტიკურად იქცეოდა, როდესაც ხანგრძლივი ინტერვალით სარბიელიდან გადიოდა და რესპუბლიკის სათავეში მხოლოდ ერთს, თუმცა საბრალო ფიგურას, ლუი ბონაპარტს ტო-

ვებდა, მაშინ როდესაც წესრიგის პარტია, ყველას თვალწინ სამარცხვინოდ, თავის შემადგენელ როიალისტურ ნაწილებად იშლებოდა, რომლებიც შეურიგებელი რესტავრაციული გულისთქმით ივსებოდნენ. ყოველთვის, როდესაც ამ არდადეგების დროს პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს აურზაური მიწყნარდებოდა და მისი სხეული ერში გაითქვიფებოდა, ნათლად ჩნდებოდა, რომ მხოლოდ ერთი რამ აკლდა ამ რესპუბლიკის ნამდვილი სახის სრულყოფას: ის, რომ მ ი ს ი არდადეგი მუდმივ არდადეგად გამოცხადებულიყო და მ ი ს ი დევიზი: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა შეცვლილიყო არაორაზროვანი სიტყვებით: ინფანტერია, კავალერია, არტილერია!

IV

1849 წლის შუა ოქტომბერში ეროვნული კრება ისევე შეიკრიბა. 1 ნოემბერს ბონაპარტმა გააოცა კრება იმ ეპისტოლეთი, რომლითაც ბარო — ფალუს სამინისტროს დათხოვნას და ახალი სამინისტროს შედგენას აცნობებდა. ძნელად თუ ვისმე გაუგდია თავისი ლაქიები სამსახურიდან ისე უცერემონიოდ, როგორც ბონაპარტმა თავისი მინისტრები გააძევა. ეროვნული კრებისათვის დანიშნული პანღური წინასწარ ბაროს და კომპანიას ერგო.

ბაროს სამინისტრო, შედგენილი, როგორც დავინახეთ, ლეგიტიმისტებისა და ორლეანისტებისაგან, წესრიგის პარტიის სამინისტრო იყო. ბონაპარტი მას საჭიროებდა, რათა რესპუბლიკური დამფუძნებელი კრება დაეთხოვნა, რომის წინააღმდეგ ექსპედიცია მოეწყო და დემოკრატიული პარტია წელში გაეტეხა. ამ სამინისტროს ზურგს უკან ის თითქოს სრულიად მიიმალა, ხელისუფლება წესრიგის პარტიას გადასცა და თვითონ ის თავდაბლური დამახასიათებელი ნიღაბი აიფარა, რომელსაც ლუი ფილიპეს დროს გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორები ატარებდნენ, — ჩალის კაცის ნიღაბი. ახლა მან ნიღაბი აიხადა, რაც მასთვის უკვე მსუბუქ საბურველს კი აღარ წარმოადგენდა მისი ფიზიონომიის დასაფარავად, არამედ — რკინის ნიღაბს, რომელიც მას ხელს უშლიდა თავისი საკუთარი ფიზიონომია გამოეაშკარავებინა. მან ბაროს სამინისტრო დანიშნა, რათა წესრიგის პარტიის სახელით რესპუბლიკური ეროვნული კრება დაეშალა; მან ის დაითხოვა, რათა თავისი საკუთარი სახელი წესრიგის პარტიის ეროვნული კრებისაგან დამოუკიდებლად გამოეცხადებინა.

ამ დათხოვნისთვის სათანადო საბაბიც საკმაოდ მოიპოვებოდა. ბაროს სამინისტრო პრეზიდენტის მიმართ ისეთ თავაზიანობის

ფორმებსაც კი უგულვებელყოფდა, რაც პრეზიდენტს ეროვნული კრების გვერდით მდგარ ხელისუფლებად დასახავდა. ეროვნული კრების არდადეგის დროს ბონაპარტმა ედგარ ნეისადმი მიმართული წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც იგი პაპის არალიბერალურ გამოსვლას თითქოს ჰგმობდა, მსგავსად იმისა, როგორც უწინ დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ გამოაქვეყნა წერილი, რომელიც უდინოს აქებდა რომის რესპუბლიკაზე თავდასხმისთვის. როდესაც ეროვნული კრება კენჭს უყრიდა ხარჯთაღრიცხვას რომის ექსპედიციისთვის, ვიქტორ ჰიუგომ, ვითომდა ლიბერალობით, ამ წერილის გამო საკითხი წამოჭრა. მაგრამ წესრიგის პარტიამ ორატორების სიტყვები მძულვარებისა და უნდობლობის შეძახილით დაფარა, აქაო და — ბონაპარტის განზრახვებს არავითარი პოლიტიკური წონა არ შეიძლება ჰქონდესო. არც ერთმა მინისტრმა არ აიღო ბონაპარტისადმი ნასროლი ხელთათმანი. ერთ სხვა შემთხვევაში ბარომ თავისი ჩვეული ფუყე პათოსით საორატორო ტრიბუნიდან თავისი გულისწყრომა გამოთქვა «საზიზღარი ინტრიგების» შესახებ, რასაც, მისი აზრით, პრეზიდენტის უახლოეს წრეში ეწეოდნენ. დასასრულ, სამინისტრო ეწინააღმდეგებოდა პრეზიდენტის ცივილური ფურცლის გასაღიდებლად შეტანილ ყოველ წინადადებას, მაშინ როდესაც მანვე ორლეანელ ჰერცოგინიასთვის საქვრივო პენსია დაანიშვნინა ეროვნულ კრებას. ბონაპარტის სახით კი საიმპერატორო პრეტენდენტი ისე მჭიდროდ შეუსისხლხორცდა გაკოტრებულ ავანტიურისტს, რომ ერთ დიდ იდეას: ჩემი მოწოდება იმპერიის აღდგენაა, ყოველთვის თან ემატებოდა კიდევ მეორე იდეა: ფრანგი ხალხის მოწოდებაა ჩემი ვალები გადაიხადოსო.

ბარო—ფალუს სამინისტრო პირველი და უკანასკნელი პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ ი ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო იყო, რომელიც ბონაპარტმა შეადგინა. ამიტომ მისი დათხოვნა გადამჭრელ გარდატეხის პუნქტს წარმოადგენს. წესრიგის პარტიამ ამ სამინისტროსთან ერთად საბოლოოდ დაჰკარგა პარლამენტური რეჟიმის დასაცავად და აღმასრულებელი ხელისუფლების შესანარჩუნებლად აუცილებელი დასაყრდენი. ისეთ ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების განკარგულებაშია ნახევარ მილიონზე მეტი პირისგან შემდგარი მოხელეთა ლაშქარი, მაშასადამე, რომელსაც მუდმივ უშუალო დამოკიდებულებაში ჰყავს ინტერესთა და პიროვნებათა ვეება მასა; სადაც სახელმწიფო მოიცავს, კონტროლს უწევს,

აწესრიგებს, მეთვალყურეობს და მზრუნველობს ბურჟუაზიულ საზოგადოებას მისი უფართოესი სასიცოცხლო მოვლენებიდან დაწყებული ვიდრე სულ უმნიშვნელო მოძრაობამდე, მისი არსებობის ყველაზე უფრო უზოგადესი პირობებიდან დაწყებული ვიდრე ცალკე პიროვნების კერძო ცხოვრებამდე; სადაც ამ პარაზიტულმა ორგანიზმმა, არაჩვეულებრივი ცენტრალიზაციის მეოხებით, ყველგან სუფევის და ყოვლისმცოდნეობის, აჩქარებული მოძრაობისა და ელასტიურობის უნარი მოიპოვა, რაც მხოლოდ ნამდვილი საზოგადოებრივი ორგანიზმის უმწეო დამოკიდებულ მდგომარეობაში და დანაწევრებულ უფორმობაში ჰპოვებს თავის ანალოგიას, — ასეთ ქვეყანაში, თავისთავად გასაგებია, ეროვნულ კრებას, სამინისტრო ადგილთა განკარგულების უფლების დაკარგვით, ყოველგვარი ნამდვილი გავლენა დაეკარგებოდა, თუ ის იმავდროულად სახელმწიფო მმართველობას არ გაამარტივებდა და, დასასრულ, ბურჟუაზიულ საზოგადოებასა და საზოგადოებრივ აზრს მთავრობის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ ორგანოებს არ შეაქმნევინებდა. მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზიის მატერიალური ინტერესი სწორედ ამ ფართო და მრავალშტოიანი სახელმწიფო მექანიზმის დაცვასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. აქ ათავსებს ის თავის გარდამეტ მოსახლეობას და სახელმწიფო ჯამაგირის ფორმით შეავსებს იმას, რის ჩაჯიბვაც მოგების, სარგებლის, რენტის და ჰონორარის ფორმით არ შეუძლია. მეორე მხრივ, პოლიტიკური ინტერესები აიძულებდა მას რეპრესია, მაშასადამე, სახელმწიფო ხელისუფლების სახსარი და პერსონალი ყოველდღიურად გაეზარდა და იმავდროულად შეუწყვეტელი ომი ეწარმოებინა საზოგადოებრივი **აზრის** წინააღმდეგ, უნდობლობის გამო საზოგადოების მოძრაობის **დამოუკიდებელი** ორგანოები დაუნდობლად დაესახიჩრებინა და დაედამბლავებინა, თუ მათ მთლად მოკვეთას ვერ მოახერხებდა. ამრიგად, საფრანგეთის ბურჟუაზია, თავისი კლასობრივი მდგომარეობის გამო, იძულებული იყო, ერთი მხრივ, ყოველნაირი, მაშასადამე, აგრეთვე თავისი საკუთარი პარლამენტური ბატონობისთვის, სასიცოცხლო პირობები მოესპო, ხოლო, მეორე მხრივ, მისდამი მტრული აღმასრულებელი ხელისუფლება უძლეველი გაეხადა.

ახალ სამინისტროს დ'ოპულის სამინისტრო ეწოდებოდა. ეს იმას არ მოასწავებდა, რომ გენერალმა დ'ოპულმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა მიიღო. ბაროს გადაყენებასთან ერთად

ბონაპარტმა გააუქმა ეს თანამდებობაც, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტს კონსტიტუციური მეფის მსგავს ლეგალურ არარაობად ჰქმნიდა და ამასთანავე უტახტოდ და უგვირგვინოდ, უსკიპტროდ და უხმლოდ, გარეშე ხელშეუხებლობის პრივილეგიისა, გარეშე უზენაესი სახელმწიფო თანამდებობის მფლობელობისა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში და, რაც ყველაზე უსიამოვნო იყო, გარეშე ცივილური ფურცლისა. დ'ოპულის სამინისტროს მხოლოდ ერთი კაცი ჰყავდა პარლამენტური რეპუტაციის მქონე, მევახშე ფ ულ დ ი, საფინანსო არისტოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგატეხილი წარმომადგენელი. მას ფინანსთა მინისტრის პორტფელი ხვდა. გადაფურცლეთ პარიზის ბირჟის ბიულეტენები და თქვენ დაინახავთ, რომ 1849 წლის 1 ნოემბრიდან საფრანგეთის ფასიანი ქაღალდების კურსი მაღლა ან დაბლა იწევს ბონაპარტისტული აქციების კურსის მატება-კლებასთან ერთად. ამრიგად, როდესაც ბონაპარტმა მომხრე მოიპოვა ბირჟაზე, მაშინვე ის პოლიციასაც დაეუფლა პარიზის პოლიციის პრეფექტად კარლიეს დანიშვნის მეოხებით.

მაგრამ სამინისტროს შეცვლის შედეგებს მხოლოდ შემდგომი განვითარების მსვლელობაში შეეძლოთ გამომჟღავნება. ბონაპარტმა ჯერ მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, რათა იგი ისევ უკან გადაედგა ყველას დასანახად. მის მიერ გაგზავნილ უხეშ ეპისტოლეს მოჰყვა უმდაბლესი მორჩილების გამოცხადება ეროვნული კრების მიმართ. ყოველთვის, როდესაც კი მინისტრები მორცხვად შეეცდებოდნენ კანონპროექტის სახით წარედგინათ მისი პირადი ნაცოდვილარი, მათ თავი ისე ეჭირათ, თითქოს იძულებული იყვნენ საკუთარი ნების წინააღმდეგ, თანამდებობრივი მდგომარეობის გამო შეესრულებინათ ეს კომიკური დავალება, რომლის უშედეგობაში წინასწარ იყვნენ დარწმუნებული. ყოველთვის, როგორც კი ბონაპარტი მინისტრების ზურგს უკან თავის განზრახვებს წამოროშავდა და თავის «ნაპოლეონურ იდეებს» გამოამჟღავნებდა, მისივე საკუთარი მინისტრები მას ეროვნული კრების ტრიბუნიდან გმობდნენ. თავის უზურპატორულ მადას ის თითქოს მხოლოდ იმისთვის ამჟღავნებდა, რომ მისი მტრების მხრივ ბოროტი დაცინვა არ შეწყვეტილიყო. მას თავი მოჰქონდა აუღიარებელ გენიოსად, რომელიც მთელმა ქვეყნიერებამ უბრალო დოყლაპიად მიიჩნია. არასოდეს ისე დიდ ზიზღს არ იწვევდა ის ყველა კლასში, როგორც ამ პერიოდში. ბურჟუაზია არასოდეს არ

ბატონობდა ასე უცილობლად, არასოდეს არ ატარებდა ის ასე ქედმაღლურად თავისი ბატონობის ალამს.

მე აქ არ აღვწერ მისი საკანონმდებლო საქმიანობის ისტორიას; ეს საქმიანობა ამ პერიოდში მოკლედ ორი კანონით გამოისახება: კანონით, რომლითაც ღვინის გადასახადი იქნა აღდგენილი, და კანონით სკოლების შესახებ, რომელმაც ურწმუნოება გააუქმა. თუ ფრანგს ღვინის სმა გაუძნელეს, ბურჟუაზიამ სამაგიეროდ უხვად მიართვა მას წყალ-წყალა რჩევა-დარიგებები კეთილი ცხოვრების შესახებ. თუ ბურჟუაზიამ ღვინის გადასახადის შესახებ კანონით საფრანგეთის ძველი საძულველი საგადასახადო სისტემა ხელუხლებლად გამოაცხადა, სკოლების შესახებ კანონის საშუალებით ის შეეცადა მასების ძველი სულიერი განწყობილება შეენარჩუნებინა, რაც ამ სისტემას მათთვის ასატანად გახდიდა. ოცდებიან, რომ ორლეანისტები, ლიბერალი ბურჟუები, ვოლტერიანიზმის და ეკლექტიკური ფილოსოფიის ეს ძველი მოციქულნი, ფრანგებისადმი სულიერ ხელმძღვანელობას თავიანთ მტრებს, იეზუიტებს ანდობენ. მაგრამ გასაოცარი აქ არაფერია: ორლეანისტებს და ლეგიტიმისტებს, მიუხედავად მათი განსხვავებისა ტახტის პრეტენდენტის საკითხში, კარგად ესმოდათ, რომ მათი შეერთებული ბატონობა ორი ეპოქის ჩაგვრის საშუალებათა გაერთიანებას მოითხოვდა, რომ ივლისის მონარქიის დამორჩილების იარაღი რესტავრაციის დროის დამორჩილების იარაღით უნდა შევსებულ და გაძლიერებულიყო.

გლეხებმა, ყველაფერში იმედგაცრუებულებმა, წელში გაწყვეტილებმა ისე, როგორც არასოდეს, ერთი მხრივ, ხორბლის დაბალი ფასებით, ხოლო, მეორე მხრივ, მზარდი საგადასახადო ტვირთით და საიპოთეკო ვალებით, ზოგიერთ დეპარტამენტში ამოძრავება დაიწყეს. მათ უპასუხეს მასწავლებლების დევნით, რომელნიც სასულიერო პირთ დაუმორჩილეს, მერების დევნით, რომელნიც პრეფექტებს დაუმორჩილეს, და ჯაშუშობის სისტემით, რომელსაც ყველანი დაუქვემდებარეს. პარიზსა და სხვა დიდ ქალაქებში თვით რეაქცია თავისი ეპოქის ფიზიონომიას ატარებს და უფრო გამომწვევია, ვიდრე გამნადგურებელი. სოფლად ის მდაბალი, მლიქვნელი, წვრილმანი, თავმაბეზარი, შემაწუხებელი, ერთი სიტყვით — ნამდვილი ჟანდარმია. ადვილი წარმოსადგენია, თუ ჟანდარმების სამწლიან რეჟიმს, ხუცების რეჟიმით ნაკურთხს, როგორი დემორალიზაცია უნდა შეეტანა მოუმწიფებელ მასებში.

რაგინდ დიდი აღგზნებისა და დეკლამაციისათვის მიემართა წესრიგის პარტიას უმცირესობის წინააღმდეგ ეროვნული კრების ტრიბუნიდან, მისი სიტყვა მაინც ერთმარცვლოვანი რჩებოდა, როგორც ქრისტიანის სიტყვა, რაც ეს უნდა იყოს: ჰო-ჰო, არა-არა! ერთმარცვლოვანი სიტყვა ვაისმოდა როგორც ტრიბუნიდან, ისე პრესაში. მოსაწყენი იყო როგორც გამოცანა, რომლის ახსნა წინასწარ არის ცნობილი. შეეხებოდა საქმე პეტიციების წარდგენის უფლებას თუ ღვინის გადასახადს, პრესის თავისუფლებას თუ თავისუფალ ვაჭრობას, ალუბებს თუ მუნიციპალურ წესდებას, პირადი თავისუფლების დაცვას თუ სახელმწიფო ბიუჯეტის მოწესრიგებას, — ლოზუნგად ყოველთვის ერთიდაიგივე მეორდებოდა, თემა იგივე რჩებოდა, განაჩენი მუდამ მზად იყო და უცვლელად ღაღადებდა: «ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი!» ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ა დ იქნა მიჩნეული თვით ბურჟუაზიული ლიბერალიზმიც, ბურჟუაზიული განათლებაც, ბურჟუაზიული ფინანსური რეფორმაც. სოციალიზმია — რკინიგზის გაყვანა იქ, სადაც უკვე არხია გაყვანილი, და სოციალიზმია ისიც, რომ ჯოხით დაიცვა თავი, როდესაც დაშნით თავს გესხმიან.

ეს არ იყო უბრალო ფრაზა, მოდა, პარტიის ტაქტიკა. ბურჟუაზიამ სწორად გაიგო, რომ ყველა იარაღი, მის მიერ ფეოდალიზმის წინააღმდეგ გამოჭედილი, თვით მისივე წინააღმდეგ იქნა შებრუნებული, რომ მის მიერ შექმნილი განათლების ყველა საშუალება მისივე საკუთარი ცივილიზაციის წინააღმდეგ ახდენს ამბოხებას, რომ ყველა მის მიერ შექმნილი ღმერთი მას გადაუდგა. მან გაიგო, რომ ყველა ეგრეთწოდებული ბურჟუაზიული თავისუფლება და პროგრესის ორგანო მის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ბ ა ტ ო ნ ო ბ ა ს იმავდროულად საზოგადოებრივი საფუძვლისა და პოლიტიკური მწვერვალის მხრივ აუჯანყდა და დაემუქრა, — მაშასადამე, «ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი» გახდა. ამ მუქარასა და აჯანყებაში ის მართებულად ჰპოვებდა სოციალიზმის საიდუმლოებას, რომლის აზრსა და ტენდენციას ის უფრო სწორად აფასებდა, ვიდრე ეგრეთწოდებული სოციალიზმი თავის თავს თვით აფასებს, რომელსაც, ამიტომ, ვერ გაუგია, რატომ უქცევს მას ბურჟუაზია ზურგს, — სულერთია, სანტიმენტალურად ცრემლებსა ღვრის ეს სოციალიზმი კაცობრიობის ტანჯვის შესახებ, ღაღადებს ქრისტიანული ათასწლიური სუფევისა და საყოველთაო ძმური სიყვარულის შესახებ, ჰუმანისტურად ყბედობს სულისა, განათლებისა და თავისუფლების შესახებ თუ დოქტრინერულად თხზავს ყველა კლასთა შერიგებისა და კეთილდღეობის სისტემას. მაგრამ რაც ბურ-

ჟუაზიამ ვერ გაიგო, ეს იყო თანამიმდევრულად გამოტანილი დასკვნა, რომ მის საკუთარ პარლამენტურ რეჟიმსაც, მის პოლიტიკურ ბატონობასაც საერთოდ საყოველთაო დაგმობის განაჩენი უნდა მიეღო როგორც სოციალისტურს. ვიდრე ბურჟუაზიული კლასის ბატონობა საბოლოოდ არ მოეწყო, ვიდრე მან თავისი წმინდა პოლიტიკური გამოსახულება არ მიიღო, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართულ სხვა კლასთა წინააღმდეგობასაც არ შეეძლო წმინდა სახით გამომჟღავნება, ხოლო სადაც ის მჟღავნდებოდა, არ ღებულობდა ისეთ საშიშ ხასიათს, რომლითაც ყოველი ბრძოლა სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ, კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლად გადაიქცევა. როდესაც ბურჟუაზია საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ მოვლენაში «მშვიდობიანობის» საშიშროებას ხედავდა, როგორღა შეეძლო მას საზოგადოების მწვერვალზე შეენარჩუნებინა მოუსვენრობის რეჟიმი, თავისი საკუთარი რეჟიმი, პარლამენტური რეჟიმი, რომელიც, ერთი მისი ორატორის სიტყვების თანახმად, ბრძოლაში და ბრძოლით ცხოვრობს? პარლამენტური რეჟიმი დისკუსიით ცხოვრობს, როგორ უნდა აკრძალოს მან დისკუსია? თვითეული ინტერესი, თვითეული საზოგადოებრივი ღონისძიება აქ ზოგად აზრად იქცევა, იდეის სახით განიხილება, —როგორ შეუძლია ასეთ პირობებში რაიმე ინტერესს, რომელიმე ღონისძიებას აზროვნებაზე მაღლა დადგეს და მოიპოვოს ძალა, როგორც სარწმუნოების სიმბოლომ? ორატორთა ბრძოლა ტრიბუნაზე ბრძოლას იწვევს პრესაში, დებატების მწარმოებელ კლუბს პარლამენტში აუცილებლად ემატება დებატების მწარმოებელი კლუბები სალონებსა და სამიკიტნოებში; დეპუტატები, რომელნიც მუდმივ ხალხის აზრს მიმართავენ, უფლებამოსილად ხდიან ხალხის აზრს თავისი ნამდვილი შეხედულება პეტიციებში გამოთქვას. პარლამენტური რეჟიმი ყველაფერს უმრავლესობის გადაწყვეტილებას ანდობს, — როგორ არ უნდა ისურვოს დიდმა უმრავლესობამ პარლამენტს გარეშეც მიიღოს გადაწყვეტილებანი? თუ თქვენ სახელმწიფოს მწვერვალზე ვიოლინოს უკრავთ, სხვას რას უნდა ელოდეთ თუ არ იმას, რომ ქვევით მდგომნი იცეკვებენ?

ამრიგად, ბურჟუაზია, რომელიც რასაც წინათ როგორც «ლიბერალიზმს» აქებ-ადიდებდა, ახლა როგორც «სოციალიზმს» გმობს, — აღიარებს, რომ თავისი საკუთარი ინტერესებისათვის მან თავი უნდა დააღწიოს თვითმართვის საშიშროებას, რომ ქვეყ-

ნის დასამშვიდებლად, უწინარეს ყოვლისა, მისი ბურჟუაზიული პარ-ლამენტი უნდა იქნეს დამშვიდებული, რომ მისი საზოგადოებრივი ძლიერების უვნებლად დასაცავად მისი პოლიტიკური ძლიერება უნდა დაემხოს; რომ კერძო ბურჟუას შეუძლია განაგრძოს სხვა კლასების ექსპლოატაცია და საკუთრებით, ოჯახით, რელიგიით და წესრიგით მშვიდად დატკბობა, — მხოლოდ იმ პირობით, რომ მისი კლასი სხვა კლასებთან ერთად პოლიტიკურ არარაობად იქცეს; რომ, მისი ქისის გადასარჩენად, მას გვირგვინი უნდა მოეხსნას, ხოლო მისი დამცველი მახვილი დამოკლეს მახვილივით უნდა ეკიდოს მისი საკუთარი თავის ზემოთ.

საერთო სამოქალაქო ინტერესთა სფეროში ეროვნულმა კრებამ ისეთი უუნარობა გამოიჩინა, რომ, მაგალითად, პარიზი-ავინიონის რკინიგზის გაყვანის საკითხის განხილვა, რაც 1850 წლის ზამთარში დაიწყო, 1851 წლის 2 დეკემბრისათვის ჯერ კიდევ დაუბოლოებელი იყო. იქ, სადაც ეროვნული კრება ვისმეს არ ავიწროვებდა, რეაქციულად არ მოქმედებდა, — განუკურნელი ბერწობით იყო შეპყრობილი.

მაშინ, როდესაც ბონაპარტის სამინისტრო ნაწილობრივ ინიციატივას კისრულობდა კანონებისთვის წესრიგის პარტიის ბუნებისდა შესაფერად, ხოლო ნაწილობრივ კიდევ უფრო აძლიერებდა სიმკაცრეს ამ კანონების განხორციელებისას, — ბონაპარტი, თავის მხრივ, პოპულარობის მოპოვებას ცდილობდა ბავშვურ-სულელური პროექტების მეოხებით, აღნიშნავდა თავის მტრულ განწყობილებას ეროვნული კრების მიმართ და მიუთითებდა იდუმალ მფარველზე, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ გარემოება უშლის ხელს, რომ ფრანგ ხალხს თავისი ფარული განძეულობა გადაუშალოს. ასეთია, მაგ., პროექტი უნტეროფიცრებისთვის დღიურად ოთხი სუს მომატების შესახებ; პროექტი მუშებისათვის საპატიო «გამსესხებელი ბანკის» დაარსების შესახებ. ფულის გაჩუქება და ფულის გასესხება, — ასეთი იყო პერსპექტივა, რომლითაც ის იმედოვნებდა მასების მიტყუებას. ფულადი საჩუქრის და სესხის მიღება — ამით განისაზღვრება ლუმპენპროლეტარიატის — როგორც მაღალის, ისე დაბალის — ფინანსური მეცნიერება. მხოლოდ ამ ზამბარების ამოძრავება იცოდა ბონაპარტმა. არასოდეს პრეტენდენტს ასე მდაბლად არ გაუწევია სპეკულაცია მასების სიმდაბლეზე.

ეროვნული კრება არაერთგზის აღელვებულა ბონაპარტის ამ ცდების გამო, რომელთა უეჭველი მიზანი იყო პოპულარობის მო-

პოვება კრების ხარჯზე, იმ მზარდი საშიშროების გამო, რომ ეს ავანტიურისტი, რომელსაც ვალები წინსვლას აძალებდა და წარსული კი თავს ვერ შეუკავებდა, რაიმე თავზეხელაღებულ საქმეს ჩაიდენდა. დაძაბულმა მდგომარეობამ წესრიგის პარტიასა და პრეზიდენტს შორის უკვე საშიში ხასიათი მიიღო, როდესაც უეცარმა ამბავმა ეს უკანასკნელი მონანიებით ისევ ამ პარტიასთან მოიყვანა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1850 წლის 10 მარტის დამატებითი არჩევნები. ეს არჩევნები იმისთვის ჩატარდა, რომ დაჭერილი ყოფილიყო იმ წარმომადგენელთა ადგილები, რომელნიც 13 ივნისს შემდეგ დაპატიმრებულ ან გაძევებულ იქნენ. პარიზმა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული კანდიდატები აირჩია. კიდევ მეტი,— ხმების უმრავლესობა მან 1848 წლის ივნისის მეამბოხეს—დეფლოტს მისცა. ასე იძია შური პროლეტარიატთან დაკავშირებულმა პარიზის წვრილმა ბურჟუაზიამ თავისი 1849 წლის 13 ივნისის დამარცხებისთვის. საშიშროების მომენტში წვრილი ბურჟუაზია თითქოს ბრძოლის ველიდან გაჰქრა, რათა სასურველ გარემოებაში ისევ გამოსულიყო უფრო მეტი მებრძოლი ძალებით და უფრო თამამი საბრძოლო ლოზუნგით. ამ საარჩევნო გამარჯვების საშიშროებას კიდევ ერთი გარემოება აძლიერებდა. არმიამ პარიზში ივნისის მეამბოხეს მისცა ხმა ბონაპარტის მინისტრის, ლაიტის წინაალმდეგ, ხოლო დეპარტამენტებში — მეტწილად მთის წევრებს, რომელთაც, — თუმცა არა ისე გადამჭრელად, როგორც პარიზში, — აქაც გაიმარჯვეს თავიანთ მოწინააღმდეგეებზე.

ბონაპარტმა უეცრად თავისთავი ისევ რევოლუციის პირისპირ დაყენებულად დაინახა. როგორც 1849 წლის 29 იანვარს, როგორც 1849 წლის 13 ივნისს, ისე 1850 წლის 10 მარტსაც ის წესრიგის პარტიის ზურგს უკან მიიმალა. ის თავს იხრიდა, სულმოკლედ პატიებას ითხოვდა, მზად იყო პარლამენტური უმრავლესობის ბრძანებით რომელიც გინდა სამინისტრო შეედგინა, კიდევ მეტი, — ის ემუდარებოდა ორლეანისტური და ლეგიტიმისტური პარტიების ბელადებს, ტიერებს, ბერიეებს, ბროლიეებს, მოლეებს, მოკლედ — ეგრეთწოდებულ ბურგგრაფებს, სახელმწიფოს საჭე თავიანთ ხელში აეღოთ. წესრიგის პარტიამ ამ განუმეორებელი მომენტით ვერ ისარგებლა. იმის ნაცვლად, რომ შეთავაზებულ ხელისუფლებას დაპატრონებოდა, მან ვერც კი აიძულა ბონაპარტი 1 ნოემბერს დათხოვნილი სამინისტრო დაებრუნებინა; ის იმით დაკმაყოფილდა, რომ ბონაპარტი პატიებით დაამცირა და დ' ოპულის სამინისტროში

ბ-ნი ბ ა რ ო შ ი შეიყვანა. ეს ბაროში, როგორც საზოგადოებრივი ბრალმდებელი, გესლს ანთხევდა ერთხელ — 15 მაისის რევოლუციონერების წინააღმდეგ, მეორედ — 13 ივნისის დემოკრატების წინააღმდეგ ბურჟის უზენაეს სასამართლოში, — ორსავე შემთხვევაში ბრალს დებდა მათ ეროვნულ კრებაზე თავდასხმის გამო. შემდეგში ბონაპარტის არც ერთ მინისტრს არ გაუკეთებია ბაროშზე უფრო მეტი იმისთვის, რომ ეროვნული კრება დაემცირებინა, ხოლო 1851 წლის 2 დეკემბრის შემდეგ ჩვენ მას სენატის ვიცე-პრეზიდენტის საპატიო და კარგჯამაგირიან თანამდებობაზე ვხედავთ. მან რევოლუციონერების ჯამში ჩააფურთხა, რათა შემდეგ იქიდან ბონაპარტს ეჭამა.

სოციალისტურ-დემოკრატიული პარტია, თავის მხრივ, თითქოს მხოლოდ საბაბს ეძებდა, რომ საკუთარი გამარჯვება ისევ საეჭვო გაეხადა და მისი მნიშვნელობა შეემცირებინა. ვიდალი, ერთ-ერთი ახლად არჩეული პარიზის წარმომადგენელი, იმავდროულად სტრასბურგში იქნა არჩეული. პარტიის მოთხოვნით მას უარი ათქმევინეს პარიზში არჩევაზე სტრასბურგის სასარგებლოდ. ამრიგად, იმის ნაცვლად, რომ პარიზში გამარჯვებისათვის საბოლოო ხასიათი მიეცათ და მით წესრიგის პარტია პარლამენტში დაუყოვნებლივ საბრძოლველად გამოეწვიათ, იმის ნაცვლად, რომ, ამგვარად, მოწინააღმდეგე ბრძოლაში ჩაეთრიათ სახალხო ენთუზიაზმის და არმიის კეთილგანწყობილების მომენტში, — დემოკრატიული პარტია პარიზს ახალი საარჩევნო აგიტაციით ღლიდა მარტის და აპრილის განმავლობაში. ხალხის აღგზნებას ხმების მოპოვების ამ ხელახალ თამაშში აქარწყლებდა, რევოლუციურ ენერგიას კონსტიტუციური წარმატებებით ჰკვებავდა და მას წვრილ ინტრიგებსა, ფუყე დეკლამაციებსა და ფიქციურ მოძრაობაში ფლანგავდა, ბურჟუაზიას კი საშუალებას აძლევდა ძალა მოეკრიფა და თავისი ზომები მიეღო; დასასრულ, მარტის არჩევნების მნიშვნელობას ამცირებდა იმით, რომ სანტიმენტალურ კომენტარს უკეთებდა მას აპრილის დამატებითი არჩევნებით, ეჟენ სიუს არჩევით. ერთი სიტყვით, 10 მარტი მან საპირველ-აპრილო ხუმრობად გადააქცია.

პარლამენტურმა უმრავლესობამ მოწინააღმდეგის სისუსტე გაიგო. მისმა ჩვიდმეტმა ბურგგრაფმა, რომელთაც ბონაპარტმა შეტევის ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა დააკისრა, ახალი საარჩევნო კანონი შეიმუშავეს, რისთვისაც მომხსენებლად დანიშნეს ბ-ნი ფოშე, რომელმაც ეს პატივი თავისთვის გამოითხოვა.

8 მაისს ფოშემ შეიტანა კანონპროექტი, რომლითაც საყოველთაო საარჩევნო უფლება უქმდებოდა, ამრჩევლებისგან არჩევნების ადგილას სამი წლის ყოფნა მოითხოვებოდა და, დასასრულ, არჩევნების ადგილას ყოფნის ვადას მუშებისთვის სამუშაოს მიმცემი ამოწმებდა.

დემოკრატები, რომელნიც კონსტიტუციური საარჩევნო ბრძოლის დროს რევოლუციურად ღელავდნენ და ბორგავდნენ, ახლა, როდესაც საქმე იმაზე მიდგა, რომ იარაღით ხელში დაემტკიცებინათ თავიანთი საარჩევნო ბრძოლის სერიოზულობა, კონსტიტუციურად ქადაგებდნენ წესრიგს, უზენაეს მშვიდობიანობას (**calme majestueux**) და კანონიერ მოქმედებას, ე. ი. ბრმა მორჩილებას კონტრრევოლუციის ნებისადმი, რომელსაც კანონად მოჰქონდა თავი. კამათის დროს მთამ წესრიგის პარტია შეარცხვინა იმით, რომ მის რევოლუციურ აღგზნებულებას დაუპირისპირა პატიოსანი კაცის აღუგზნებლობა, რომელიც უფლებრივ ნიადაგზე რჩება, და მიწაზე განართხა საშინელი საყვედურით: რევოლუციურად იქცევიო. თვით ახლად არჩეული დეპუტატებიც ცდილობდნენ პატიოსანი და გონივრული საქციელით ეჩვენებინათ, თუ რა უვიცობა იყო ის, რომ მათ როგორც ანარქისტებს აგინებდნენ და მათ არჩევას რევოლუციის გამარჯვებად თვლიდნენ. 31 მაისს გატარდა ახალი საარჩევნო კანონი. მთა იმით დაკმაყოფილდა, რომ პრეზიდენტს ჯიბეში ჩუმად საპროტესტო განცხადება ჩაუდო. საარჩევნო კანონს თან მოჰყვა პრესის შესახები ახალი კანონი, რომლითაც რევოლუციური საგაზეთო პრესა სრულიად მოისპო. ამ პრესამ თავისი ბედი დაიმსახურა. ამ წარღვნის შემდეგ რევოლუციის ყველაზე მოწინავე პოსტებად დარჩა ორი ბურჟუაზიული ორგანო — «**National**» და «**Presse**».

ჩვენ დავინახეთ, რომ დემოკრატიულმა ბელადებმა მარტსა და აპრილში ყოველივე იღონეს პარიზის ხალხი ფიქციურ ბრძოლაში ჩაეთრიათ, როგორც მათ 8 მაისს შემდეგ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ის ნამდვილ ბრძოლაში არ ჩაბმულიყო. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1850 წელი სამრეწველო და სავაჭრო აყვავების უბრწყინვალესი წელი იყო, მაშასადამე, პარიზის პროლეტარიატს საკმაოდ ჰქონდა სამუშაო. მაგრამ 1850 წლის 31 მაისის საარჩევნო კანონმა პროლეტარიატი გამორიცხა ყოველგვარი მონაწილეობისგან პოლიტიკურ ხელისუფლებაში. მას თვით გზაც გადაუჭრა ბრძოლის ასპარეზისკენ. ამ კანონმა მუშები პარიების

მდგომარეობას დაუბრუნა, რომელშიც ისინი თებერვლის რევოლუციამდე იყვნენ. ჩააბარეს რა თავიანთი ბედი, ამ ამბების გამო, დემოკრატებს და დაივიწყეს რა თავიანთი კლასის რევოლუციური ინტერესები წუთიერი კეთილდღეობისთვის, მათ ამით უარი თქვეს სპატიო საქმეზე, — დამპყრობ ძალად ყოფნაზე, ბედს დაემორჩილნენ, აჩვენეს, რომ 1848 წლის ივნისის დამარცხებამ დიდი ხნით წაართვა მათ ბრძოლის უნარი და რომ ისტორიულმა პროცესმა ჯერჯერობით ისევ მათ თავს მ ა ღ ლ ა უნდა გადაიაროს. რაც შეეხება წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიას, რომელიც 13 ივნისს იძახდა: «მაგრამ თუ საყოველთაო საარჩევნო უფლების ხელისხლება გაბედეს, მაშინ!», ახლა ის იმით ინუგეშებდა თავს, რომ კონტრრევოლუციური დარტყმა, რომელიც მან განიცადა, არ არის დარტყმა და 31 მაისის კანონი არ არის კანონიო. 1852 წლის მაისის მეორე კვირას თვითეული ფრანგი გამოცხადდება საარჩევნო მოედანზე ერთ ხელში საარჩევნო ბარათით და მეორეში — ხმლითო. ამ წინასწარმეტყველებით ის თავის თავს ანუგეშებდა. დასასრულ არმია, როგორც 1849 წლის 29 მაისის არჩევნებისთვის, ისევე 1850 წლის მარტის და აპრილის არჩევნებისათვის დასჯილ იქნა მის მეთაურთა მიერ. მაგრამ ამჯერად მან გადაჭრით უთხრა თავის თავს: «მესამედ კი რევოლუცია ვეღარ მომატყუებს!»

1850 წლის 31 მაისის კანონი ბურჟუაზიის სახელმწიფო გადატრიალება იყო. ყველა მისი წინანდელი გამარჯვება რევოლუციაზე მხოლოდ დროებითი ხასიათის იყო. ის საეჭვო შეიქმნა მაშინ, როდესაც ახლანდელი ეროვნული კრება ასპარეზს განშორდა. გამარჯვება დამოკიდებული იყო ახალი საყოველთაო არჩევნების შემთხვევითობაზე, ხოლო არჩევნების ისტორიამ 1848 წლიდან უცილობლად დაამტკიცა, რომ რა ზომითაც ბურჟუაზიის ფაქტიური ბატონობა ძლიერდებოდა, იმ ზომითვე მისი მორალური ბატონობა ხალხის მასებზე სუსტდებოდა. 10 მარტს საყოველთაო საარჩევნო უფლებამ წინააღმდეგობა გამოუცხადა ბურჟუაზიის ბატონობას, — ბურჟუაზიამ ამას საყოველთაო საარჩევნო უფლების გაუქმებით უპასუხა. 31 მაისის კანონი, მაშასადამე, კლასობრივი ბრძოლის აუცილებელი გამოვლენა იყო. მეორე მხრივ, რესპუბლიკის პრეზიდენტის ნამდვილად არჩევისთვის კონსტიტუცია მინიმუმ ორ მილიონ ხმას მოითხოვდა. თუ ვერც ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი ამ მინიმუმს ვერ მიიღებდა, მაშინ ეროვნულ კრებას ენიჭებოდა უფლება სამი კანდიდატიდან, რომელნიც ყველაზე მეტ

ხმას მიიღებდნენ, პრეზიდენტი აერჩია. როდესაც დამფუძნებელი კრება ამ კანონს იმუშავებდა, საარჩევნო სიებში ათი მილიონი ამრჩეველი იყო შეტანილი. ამრიგად, ამ კანონის აზრის მიხედვით, პრეზიდენტის არჩევნების ჩასათვლელად ამრჩეველთა მეხუთედი ნაწილი იყო საკმარისი. 31 მაისის კანონმა საარჩევნო სიებიდან გამორიცხა, სულ მცირე, სამი მილიონი ხმა, ამრჩეველთა რიცხვი შვიდ მილიონზე დაიყვანა, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მინიმუმად კანონით დაწესებული ორი მილიონი დატოვა. ამრიგად, კანონით დაწესებული მინიმუმი არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა ერთი მეხუთედიდან ერთ მესამედზე ავიდა, ე. ი. ამ კანონმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პრეზიდენტის არჩევა ხალხის ხელიდან მალულად გადაეტანა ეროვნული კრების ხელში. ამრიგად, წესრიგის პარტიამ თითქოს გაიარკეცა თავისი ძალები 31 მაისის საარჩევნო კანონით, რომლითაც ეროვნული კრების და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევა საზოგადოების კონსერვატულ ნაწილს გადაეცა.

V

ბრძოლა ეროვნულ კრებასა და ბონაპარტს შორის ისევ გაჩაღდა, როგორც კი რევოლუციურმა კრიზისმა გადაიარა და საყოველთაო საარჩევნო უფლება გაუქმდა.

კონსტიტუციამ ბონაპარტს 600.000 ფრანკიანი ჯამაგირი დაუნიშნა. მისი პრეზიდენტად გახდომის შემდეგ, ნახევარი წელიც არ გასულა, რომ მან შესძლო ამ თანხის გაორკეცება. ოდილონ ბარომ მოახერხა ეროვნული დამფუძნებელი კრებისგან ყოველწლიური 600.000 ფრანკიანი დამატების მიღება ეგრეთწოდებული საწარმომადგენლო ხარჯებისათვის. 13 ივნისს შემდეგ ბონაპარტმა ისევ მსგავსი მოთხოვნა წარადგინა, მაგრამ ამჯერად ბარომ ამას ყურადღება აღარ მიაქცია. ახლა, 31 მაისის შემდეგ, ბონაპარტმა დაუყოვნებლივ ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და თავის მინისტრებს სამ მილიონიანი ცივილური ფურცელი მოათხოვნინა ეროვნული კრებისგან. მოყიალე ავანტიურისტის ხანგრძლივმა ცხოვრებამ ბონაპარტს უაღრესად განვითარებული ყნოსვა შესძინა იმ კრიტიკული მომენტის გამოსაცნობად, როდესაც მას ბურჟუასაგან ფულის გამოტყუება შეეძლო. ის ნამდვილ შანტაჟს აწარმოებდა. ეროვნულმა კრებამ მისი დახმარებით და მისი ნებართვით, ხალხის სუვერენობა შებღალა. ის იმუქრებოდა: ამ დანაშაულს ხალხის სამსჯავროდ

ბავიტან, თუ ეროვნული კრება ქისისკენ არ წაიღებს ხელს და ჩემს დუმილს წლიურად სამ მილიონად არ იყიდისო. ეროვნულმა კრებამ სამ მილიონ ფრანგს ხმის უფლება წაართვა. ბონაპარტი კურსიდან გასული თვითეული ფრანგისთვის კურსის მქონე ფრანკს მოითხოვდა, ზუსტად — სამ მილიონ ფრანკს. იგი, ექვსი მილიონის მიერ არჩეული, ჯილდოს თხოულობდა იმ ხმებისთვის, რომლებიც მას შემდგომ გამოსტყუეს. ეროვნული კრების კომისიამ ეს თავხედი უარით გაისტუმრა. ბონაპარტისტული პრესა იმუქრებოდა. განა შეეძლო ეროვნულ კრებას რესპუბლიკის პრეზიდენტს გათიშოდა იმ მომენტში, როდესაც ის პრინციპულად და საბოლოოდ ერის მასას გაეთიშა? მან, მართალია, უარყო ყოველწლიური ცივილური ფურცელი, მაგრამ ერთდროული დამატების — 2.160.000 ფრანკის გაცემის ნება კი დართო. ამრიგად, კრებამ ორმაგი სისუსტე გამოიჩინა: ფული მისცა და ამავე დროს წყენა უჩვენა, ამას საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ჩავდივარო. ჩვენ შემდეგ დავინახავთ, რისთვის ესაჭიროებოდა ბონაპარტს ეს ფული. ამ უსიამოვნო ეპილოგის შემდეგ, რაც საყოველთაო საარჩევნო უფლების გაუქმებას უშუალოდ თან მოჰყვა და რომელშიც ბონაპარტმა თავისი, მარტის და აპრილის კრიზისის დროინდელი, წყნარი სახე უზურპატორული პარლამენტის მიმართ გამომწვევი ურცხვობით შეცვალა, — ეროვნულმა კრებამ თავისი სხდომები სამი თვით გადადო, 11 აგვისტოდან 11 ნოემბრამდე. თავის ნაცვლად მან დატოვა 28 წევრისაგან შემდგარი მუდმივი კომისია, რომელშიც რამდენიმე ზომიერი რესპუბლიკელიც შედიოდა, ხოლო ბონაპარტისტი კი — არც ერთი. 1849 წლის მუდმივი კომისია წესრიგის ხალხისა და ბონაპარტისტებისგან შედგებოდა. მაგრამ მაშინ წესრიგის პარტიამ თავი რევოლუციის მუდმივ მოწინააღმდეგედ გამოაცხადა,—ამჯერად პარლამენტურმა რესპუბლიკამ თავი მუდმივად გამოაცხადა პრეზიდენტის წინააღმდეგ. 31 მაისის კანონის შემდეგ წესრიგის პარტიას მხოლოდ ეს მეტოქე ჰყავდა.

როდესაც ეროვნული კრება 1850 წლის ნოემბერში ისევ შეიკრიბა, ისე ჩანდა, რომ, პრეზიდენტთან წინანდელი წვრილმანი კინკლაობის ნაცვლად, უცილობლად დიდი, დაუნდობელი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა დაწყებულიყო ორ ხელისუფლებას შორის.

როგორც 1849 წელს, ისე 1850 წლის საპარლამენტო არდადეგების დროს, წესრიგის პარტია მის ცალკე ფრაქციებად დაიშალა, რომელ-

თაგან თვითეული თავის საკუთარ სარესტავრაციო ინტრიგებს ეწეოდა, რისთვისაც ლუი ფილიპეს სიკვდილი ახალ წყაროს წარმოადგენდა. ლეგიტიმისტების მეფემ, ჰანრი V-ემ, ახალი ნამდვილი სამინისტროც კი დანიშნა, რომელიც პარიზში იმყოფებოდა და რომელშიც მუდმივი კომისიის წევრები შედიოდნენ. მაშასადამე, ბონაპარტი, თავის მხრივ, მართალი იყო, როცა საფრანგეთის დეპარტამენტები შემოვლო და, იმ ქალაქის განწყობილების მიხედვით, რომელსაც ის თავისი იქ ჩასვლით გააბედნიერებდა, ხან ფარულად და ხან გულახდილად თავისი სარესტავრაციო გეგმებს წამოროშავდა და თავის სასარგებლოდ ხმებს აგროვებდა. ამ მგზავრობის დროს, რაც, რასაკვირველია, დიდ ოფიციალურ «Moniteur» [1]-ს და ბონაპარტის წვრილ კერძო «Moniteur»-ებს ტრიუმფალურ მსვლელობად უნდა ეზეიმნათ, მას მუდამ თან ახლდნენ ათი დეკემბრისა საზოგადოების წევრები. ეს საზოგადოება ჯერ კიდევ 1849 წელს წარმოიშვა. საქველმოქმედო საზოგადოების შექმნის საბაბით პარიზის ლუმპენპროლეტარიატი საიდუმლო სექციებში გაერთიანდა, რომელთაგან თვითეულს ბონაპარტისტული აგენტები ხელმძღვანელობდნენ და რომელთა სათავეში ბონაპარტისტი გენერალი იდგა. გათახსირებული ავარების გვერდით, რომელნიც არსებობის საეჭვო საშუალებების მქონენი და საეჭვო წარმოშობისანი იყვნენ, ბურჟუაზიის დაცემულ და ავანტიურისტულ ნაძირალთა გვერდით, აქ იყვნენ: მაწანწალები, დათხოვნილი ჯარისკაცები, გამასწორებელი სახლებიდან გამოშვებული პატიმრები, გამოქცეული კატორღელები, გაიძვერები, ჯამბაზები, არამზადები, ჯიბგირები, ოინბაზები, ქალალდის მოთამაშენი, მაჭანკლები, საროსკიპოების მეპატრონენი, ტვირთის მზიდავები, მჯღაბნელები, მეარღნენი, ძონძის შემგროვებელნი, დანის მლესავები, ქვაბის შემკეთებელნი, მათხოვრები, — ერთი სიტყვით, მთელი გაურკვეველი, თავაშვებული, მდგომარეობის გამო აქეთ-იქით მოხეტიალე მასა, რომელსაც ფრანგები ბოჰემას უწოდებენ. ამ მისი მონათესავე ელემენტებისაგან შეადგინა ბონაპარტმა ათი დეკემბრის საზოგადოების ბირთვი, «საქველმოქმედო საზოგადოება», რამდენადაც ყველა მისი წევრი, ბონაპარტის მსგავსად, მოთხოვნილებას გრძნობდა ერის მშრომელი ნაწილის ხარჯზე ყოფილიყო ქველმოქმედი. ეს ბონაპარტი, რომელიც ლუმპენპროლეტარიატს უდ-

[1] «Moniteur Universal». («საყოველთაო მოამბე») — საფრანგეთის მთავრობის ოფიციალური ორგანო. რედ.

გას სათავეში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მასში პოულობს თავის პირად ინტერესთა მასობრივ გამოხატულებას და რომელიც ყველა კლასთა ამ ნარიყში, ნაძირალში და ნარჩომში ხედავს ერთადერთ კლასს, რომელზედაც მას შეუძლია უეჭველად დაეყრდნოს, — ეს არის ნამდვილი ბონაპარტი, ბონაპარტი sans phrases. ძველი, გამოქექილი ავარა, რომელსაც ხალხთა ისტორიული ცხოვრება და მათი სახელმწიფოებრივი მოქმედება მიაჩნია კომედიად, ამ სიტყვის ყველაზე ცუდი მნიშვნელობით, — მასკარადად, სადაც დიადი ტანსაცმელი, სიტყვა და პოზა მხოლოდ უმდაბლესი სისაძაგლის ნიღაბს წარმოადგენს. ასე, მაგ., მისი სტრასბურგზე[1] გალაშქრებისას ეს გაწვრთნილი შვეიცარული ძერა ნაპოლეონის არწივის როლს ასრულებდა, ბულონში შეჭრისას კი რამდენიმე ლონდონელი ლაქია, ფრანგულ მუნდირში გამოწყობილი, მის არმიას წარმოადგენდა. თავის ათი დეკემბრის საზოგადოებაში ის თავს უყრის 10.000 ბოგანოს, რომელთაც ხალხის წარმომადგენლობა უნდა გაეწიათ ისევე, როგორც შექსპირის პიესაში ფეიქარ საქსველს — ლომის[2]. ამ მომენტში, როდესაც ბურჟუაზია თვითვე ნამდვილზე ნამდვილ კომედიას თამაშობდა, ხოლო ქვეყნიერების წინაშე სერიოზული სახე ჰქონდა მიღებული, ფრანგული დრამატიული ეტიკეტის რაიმე პედანტური წესის დაურღვევლად, და როდესაც ის, ნახევრად მოტყუებული, ნახევრად დარწმუნებული იყო თავისი სახელმწიფო საქმიანობის საზეიმო ხასიათში, — ამ მომენტში აკანტიურისტს, რომელმაც კომედია უბრალო კომედიად მიიჩნია, უნდა გაემარჯვნა. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ის თავის მოზეიმე მოწინააღმდეგეს გაუსწორდა, როდესაც მან სერიოზულად ჩათვალა თავისი საიმპერატორო როლი და ნაპოლეონის ნიღაბით ნამდვილი ნაპოლეონის გამოსახვა განიზრახა, — ის თავისი საკუთარი მსოფლმხედველობის მსხვერპლი გახდა, ეს სერიოზული ტაკიმასხარა, რომელსაც უკვე მსოფლიო ისტორია კი აღარ მიაჩნია კომედიად, არამედ თავისი კომედია—მსოფლიო ისტორიად. რასაც წარმოადგენდა სოციალისტური მუშებისათვის ეროვნული სახელოსნოები, ხოლო ბურჟუა-რესპუბლიკელებისთვის — მოძრავი გვარდია,

[1] ლუი ბონაპარტის პირველი, მარცხით დამთავრებული ცდა სახელმწიფო გადატრიალებისა, რომლის მოხდენას იგი შეეცადა 1836 წ. სტრასბურგში. 1840 წელს ბულონში შეჭრა — ლუი ბონაპარტის მეორე მარცხით დამთავრებული ცდა — თავი გამოეცხადებინა იმპერატორად. რ ე დ.

[2] შექსპირის კომედიაში: «ზიზმარი ზაფხულის ღამეს». რ ე დ.

იგივე იყო ბონაპარტისთვის ათი დეკემბრის საზოგადოება, — მხოლოდ მისი შესაფერი პარტიული მებრძოლი ძალა. მოგზაურობისას ამ საზოგადოების სექციებს, — მასთან რკინიგზით გაგზავნილთ, — ხალხის იმპროვიზაცია უნდა გაეწიათ, საზოგადოებრივი ენთუზიაზმი გამოეხატათ, «გაუმარჯოს იმპერატორს!» ეღრიალათ, რესპუბლიკელებისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ და ეცემნათ, — ყველაფერი ეს, რასაკვირველია, პოლიციის მფარველობით. მისი პარიზისკენ დაბრუნების დროს მათ ავანგარდობა უნდა გაეწიათ და არ დაეშვათ ან გაერეკნათ საწინააღმდეგო დემონსტრაციები. ათი დეკემბრის საზოგადოება მას ეკუთვნოდა, მის ნახელავს, მის საკუთარ იდეას წარმომადგენდა. სხვა მხრივ, რასაც ის თავის თავს აწერდა, გარემოების ძალა აწვდიდა მას; რასაც აკეთებდა, — ამას გარემოებები აკეთებდნენ მის მაგიერ, ანდა იმით კმაყოფილდებოდა, რომ სხვებისგან გადმოიღებდა; მაგრამ ის მოქალაქეთა წინაშე საჯაროდ გამოდიოდა ოფიციალური ფრაზებით წესრიგის, რელიგიის, ოჯახის და საკუთრების შესახებ, ხოლო მათ ზურგს უკან ეყრდნობოდა შუფტერლეთა და შპიგელბერგთა [1] საზოგადოებას — უწესრიგობის, პროსტიტუციის და ქურდობის საზოგადოებას, — ეს არის ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი როგორც ორიგინალური ავტორი, და ათი დეკემბრის საზოგადოების ისტორია — მისი საკუთარი ისტორიაა.

მხოლოდ ერთხელ, გამონაკლისის სახით, მოხვდათ წესრიგის პარტიის სახალხო წარმომადგენელთ დეკემბრისტთა ჯოხი. კიდევ მეტი. პოლიციის კომისარმა იონმა, რომელიც ეროვნული კრების განკარგულებაში იყო მივლინებული და რომელსაც მისი დაცვა ჰქონდა დაკისრებული, მუდმივ კომისიას აცნობა, ვინმე ა ლ ე ს ჩვენების საფუძველზე, რომ დეკემბრისტების ერთმა სექციამ გენერალ შანგარნიეს და ეროვნული კრების თავმჯდომარის დიუპენის მოკვლა დაადგინა და ამის სისრულეში მოსაყვანად უკვე გამოჰყო სათანადო პირებიო. გასაგებია, თუ როგორი შიში მოიცავდა ბ-ნ დიუპენს. პარლამენტური გამოძიება ათი დეკემბრის საზოგადოების შესახებ, ე. ი. ბონაპარტის საიდუმლო სამყაროს პროფანაცია თითქოს აუცილებელი იყო. ბონაპარტმა კი სწორედ ეროვნული კრების გახსნის წინ დაშალა წინდახედულად თავისი საზოგადოება, რა თქმა უნდა, — მხოლოდ ქაღალდზე, ვინაიდან ჯერ კიდევ 1851 წლის დასასრულს პოლიციის პრეფექტი კარლიე თავის ვრცელს მოხსე-

[1] შუფტერლე და შპიგელბერგი — პერსონაჟები შილერის დრამაში «ყაჩაღები». რ ე დ.

ნებაში ამაოდ ცდილობდა კრებისთვის გადაწყვეტილება მიეღებინებინა დეკემბრისტების მართლა გასარეკად.

ათი დეკემბრის საზოგადოება ბონაპარტის კერძო არმიად უნდა დარჩენილიყო მანამდე, სანამ ის ვერ მოახერხებდა სახელმწიფო არმია ათი დეკემბრის საზოგადოებად გადაექცია. პირველი საამისო ცდა ბონაპარტმა მოახდინა ეროვნული კრების სხდომების შეწყვეტისთანავე და ამავე დროს — კრებისგანვე გამონაგლეჯი ფულით. როგორც ფატალისტი, ის დარწმუნებულია, რომ არსებობს რაღაც უზენაესი ძალა, რომელსაც ადამიანი და, განსაკუთრებით კი ჯარისკაცი ვერ გაუძლებს. ასეთ ძალად მას მიაჩნია, უპირველესად, სიგარი და შამპანური, ცივად მომზადებული ფრინველი და ნივრიანი ძეხვი. ამიტომ ელისეს დარბაზებში ის, უწინარეს ყოვლისა, ოფიცრებს და უნტერ-ოფიცრებს უმასპინძლდება სიგარით და შამპანურით, ცივად მომზადებული ფრინველით და ნივრიანი ძეხვით. 3 ოქტომბერს ამავე მანევრს იმეორებს ის ჯარების აღლუმის დროს სენ-მორში და 10 ოქტომბერს, კიდევ უფრო დიდი ზომით, არმიის აღლუმის დროს სატორიში. ბიძამ მოიგონა ალექსანდრეს ლაშქრობა აზიაში, ხოლო ძმისწულმა — ბახუსის დაპყრობითი ლაშქრობა იმავე ქვეყანაში. ალექსანდრე, მართალია, ნახევარ-ღმერთი იყო, მაგრამ ბახუსი ხომ ღმერთი იყო ნამდვილი, და თან — ათი დეკემბრის საზოგადოების მფარველი ღმერთიც.

3 ოქტომბრის აღლუმს შემდეგ მუდმივმა კომისიამ პასუხისათვის სამხედრო მინისტრი დ'ოპული დაიბარა. მან აღთქმა დადო, — დისციპლინის ასეთი დარღვევა აღარ გამეორდებაო. ცნობილია, თუ როგორ შეასრულა ბონაპარტმა 10 ოქტომბერს დ'ოპულის მიერ დადებული სიტყვა. ორივე აღლუმში ჯარებს უფროსობდა შანგარნიე როგორც პარიზის არმიის მთავარსარდალი. ეს შანგარნიე, ერთსა და იმავე დროს მუდმივი კომისიის წევრი, ეროვნული გვარდიის უფროსი, 29 იანვრის და 13 ივნისის «მხსნელი», «საზოგადოების ბურჯი», წესრიგის პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი, ორი მონარქიის სანუკვარი მონკი, — აქამდე არასოდეს თავს სამხედრო მინისტრისადმი მორჩილად არ აღიარებდა, რესპუბლიკურ კონსტიტუციას მუდამ აშკარად დასცინოდა და ბონაპარტს ორაზროვან-თავმომწონე მფარველობით დევნიდა. ახლა კი ის აღინთო დისციპლინის დასაცავად სამხედრო მინისტრის წინააღმდეგ და კონსტიტუციის დასაცავად ბონაპარტის წინააღმდეგ. მაშინ როდესაც 10 ოქტომბერს კავალერიის ნაწილი იძახდა: «გაუმარჯოს ნაპო-

ლეონს! გაუმარჯოს ძეხვებს!», შანგარნიემ განკარგულება გასცა, ყოველ შემთხვევაში მისი მეგობრის ნეიმაიერის მეთაურობით ჩავლილ ქვეითა ჯარს მაინც, სამარისებური სიჩუმე დაეცვა. სამხედრო მინისტრმა, ბონაპარტის წაქეზებით, გენერალი ნეიმაიერი სასჯელის სახით მოხსნა თავის თანამდებობიდან პარიზში იმ საბაბით, რომ მე-14 და მე-15 სამხედრო დივიზიის სარდლად დანიშნა. ნეიმაიერმა უარი განაცხადა ადგილის გამოცვლაზე და იძულებული შეიქნა სამსახური დაეტოვებინა. შანგარნიემ, თავის მხრივ, 2 ნოემბერს ბრძანება გამოსცა, რომლითაც ჯარებს იარაღს ქვეშ ყოველგვარი პოლიტიკური შეძახილი და დემონსტრაცია აეკრძალათ. ელისეს გაზეთები[1] თავს დაესხნენ შანგარნიეს, წესრიგის პარტიის გაზეთები — ბონაპარტს, მუდმივმა კომისიამ რამდენჯერმე გამართა დახურული სხდომა, რომელზეც ყოველთვის ისმებოდა წინადადება—გამოეცხადებინათ სამშობლო განსაცდელში; არმია თითქოს, ორ მტრულ ბანაკად გაიყო, ორი მტრული გენერალური შტაბით, რომლიდანაც ერთი იმყოფებოდა ელისეში, ბონაპარტის რეზიდენციაში, მეორე — ტიუილრიში, შანგარნიეს რეზიდენციაში, თითქოს ეროვნული კრების გახსნა იყო საკმარისი, რომ ბრძოლას ნიშანი მისცემოდა. საფრანგეთის საზოგადოება ამ შეჯახებას ბონაპარტსა და შანგარნიეს შორის ისე უცქეროდა, როგორც ინგლისელი ჟურნალისტი, რომელმაც მდგომარეობა შემდეგი სიტყვებით დაახასიათა: «საფრანგეთის პოლიტიკური შინამოახლენი რევოლუციის გავარვარებული ლავის გამოგვას ძველი ცოცხით აწარმოებენ და თან, მუშაობისას, ერთმანეთს უღრენენ».

ამასობაში ბონაპარტმა დაითხოვა სამხედრო მინისტრი დ'ოპული, რომელიც საჩქაროდ ალჟირში გაგზავნა და მის ადგილას სამხედრო მინისტრად გენერალი შრამი დანიშნა. 12 ნოემბერს მან ეროვნულ კრებას ამერიკულად ვრცელი ეპისტოლე გაუგზავნა, დეტალებით გადატვირთული, წესრიგის სუნით გაჟღენთილი, შერიგების მნდომი, კონსტიტუციის მორჩილი, ყველაფრის და ყველას შემცველი, მხოლოდ არა მომენტის საჭირბოროტო საკითხებისა. თითქოს გაკვრით შენიშნავდა, რომ კონსტიტუციის სწორი აზრის მიხედვით, არმია მარტოოდენ პრეზიდენტის განკარგულებას ემორჩილებაო. ეპისტოლე შემდეგი დიად-საზეიმო სიტყვებით თავდებოდა:

[1] ელისეს გაზეთები — ბონაპარტისტული მიმართულების გაზეთები. რედ.

«საფრანგეთი, უწინარეს ყოვლისა, სიმშვიდეს საჭიროებს... მხოლოდ ფიცით შებოჭილი, მე იმ ვიწრო საზღვრის ფარგლებში დავრჩები, რაც ამ ფიცმა დამიწესა... რაც შემეხება მე, ხალხის მიერ არჩეულს და მარტოოდენ მისგან ხელისუფლებამოსილს, მუდამ დავემორჩილები მის მიერ კანონიერად გამოთქმულ ნებას. თუ თქვენ ამ სხდომაზე დაადგენთ კონსტიტუციის გადასინჯვას, მაშინ დამფუძნებელი კრება მოაწესრიგებს აღმასრულებელი ხელისუფლების მდგომარეობას. და თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ, მაშინ 1852 წელს ხალხი ზეიმით გამოაცხადებს თავის გადაწყვეტილებას. მაგრამ როგორიც უნდა იქნეს მომავლის გადაწყვეტილება, უკეთესია შევთანხმდეთ, რათა აღგზნებულობამ, ანაზდეულობამ ან ძალდატანებამ არ გადაჭრას დიდი ერის ბედ-იღბალი... ჩემი ყურადღება, უწინარეს ყოვლისა, იქით კი არ არის მიმართული, თუ ვინ იქნება 1852 წელს საფრანგეთის მმართველი, არამედ იქით, ჩემს განკარგულებაში არსებული დრო ისე გამოვიყენოთ, რომ შუალედი პერიოდი აგიტაციის და მღელვარების გარეშე ჩატარდეს. მე თქვენ წრფელად გადაგიშალეთ ჩემი გული, ჩემს გულახდილობას თქვენ უპასუხებთ ნდობით, ჩემს კეთილ განზრახვებს—თქვენი დახმარებით, ხოლო დანარჩენს უფალი შეასრულებს».

ბურჟუაზიის პატიოსანმა, პირფერულ-ზომიერმა და სათნოიან-ბანალურმა ენამ თავისი უღრმესი აზრი ათი დეკემბრის საზოგადოების თვითმპყრობელისა და სენ-მორის და სატორის პიკნიკების გმირის ბაგეებით გამოამჟღავნა.

წესრიგის პარტიის ბურგგრაფები ოდნავაც არ ცდებოდნენ იმის შეფასებაში, თუ რა ნდობის ღირსი იყო ეს გულახდილობა. ფიცის მიმართ ისინი უკვე დიდი ხანია გულგრილნი შეიქნენ, — თავიანთ წრეში მათ ჰყავდათ ფიცის გატეხის ვეტერანები, ვირტუოზები; არმიის შესახებ ნათქვამი კი მათ შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მათ უკმაყოფილოდ შენიშნეს, რომ ეპისტოლე, უახლოეს დროში გამოცემულ კანონთა ვრცელ სიაში, განზრახ არ იხსენიებდა ყველაზე მნიშვნელოვანს, — საარჩევნო კანონს; კიდევ მეტი: რომ კონსტიტუციის გადაუსინჯველობის შემთხვევაში პრეზიდენტის არჩევნები 1852 წელს ხალხს მიენდობოდა. საარჩევნო კანონი მძიმე ტყვიასავით აწვა წესრიგის პარტიის ფეხებს, რაც მას სიარულს და, მით უფრო, იერიშის მიტანას უშლიდა! ამასთანავე ბონაპარტმა ათი დეკემბრის საზოგადოების ოფიციალური დაშლით და სამხედ-

რო მინისტრის დ'ოპულის დათხოვნით საკუთარი ხელით მიიტანა შესაწირავი სამშობლოს სამსხვერპლოზე. მოსალოდნელ შეჯახებას სიმწვავე შეუსუსტა. დასასრულ, თვით წესრიგის პარტია ლაჩრულად ცდილობდა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან გადამჭრელი კონფლიქტი თავიდან აეცილებინა, შეესუსტებინა და მიეფუჩეჩებინა. იმის შიშით, რომ რევოლუციასთან ბრძოლაში მონაპოვარი დაეკარგებოდა, მან საშუალება მისცა თავის მეტოქეს მის მიერ მოპოვებული ნაყოფი მიეთვისებინა. «საფრანგეთი, უწინარეს ყოვლისა, სიმშვიდეს საჭიროებს», — ასე შესძახოდა რევოლუციას წესრიგის პარტია თებერვალს [1] აქეთ; ასევე შესძახა ბონაპარტის ეპისტოლემ წესრიგის პარტიას: «საფრანგეთი, უწინარეს ყოვლისა, სიმშვიდეს საჭიროებს». ბონაპარტი ისეთ საქციელს ჩადიოდა, რომელსაც უზურპაცია ჰქონდა მიზნად, ხოლო წესრიგის პარტია «სიმშვიდეს არღვევდა», როდესაც ამ საქციელის შესახებ აურზაურს სტეხდა და მას ჰიპოხონდრიულ ახსნა-განმარტებას აძლევდა. სატორის ძეხვები თეგზებივით სდუმდნენ, თუ ვინმე ხმას არ იღებდა მათ შესახებ. «საფრანგეთი, უწინარეს ყოვლისა, სიმშვიდეს საჭიროებს»; ამიტომ ბონაპარტი მოითხოვდა, მისთვის ხელი არ შეეშალათ, ხოლო პარლამენტური პარტია ორმაგი შიშით იყო დამბლადაცემული: შიშით, რომ რევოლუციური მოძრაობა ისევ არ გამოეწვია, და შიშით, რომ ის შფოთის გამომწვევად არ ყოფილიყო მიჩნეული საკუთარი კლასის, ბურჟუაზიის თვალში. ვინაიდან საფრანგეთი, უწინარეს ყოვლისა, სიმშვიდეს მოითხოვდა, ამიტომ წესრიგის პარტიამ ვერ გაბედა «ომით» ეპასუხა ბონაპარტის ეპისტოლეს «მშვიდობიანობისათვის». საზოგადოება, რომელიც დიდ სასკანდალო სცენებს მოელოდა ეროვნული კრების გახსნისას, მოტყუებული დარჩა. ოპოზიციონერ დეპუტატთა წინადადება, რომ მუდმივ კომისიას ოქტომბრის ამბების შესახებ ოქმები წარმოედგინა, ხმის უმრავლესობით უარყოფილ იქნა. კრება პრინციპულად გაურბოდა ყოველგვარ კამათს, რომელსაც მღელვარების გამოწვევა შეეძლო. ეროვნული კრების მუშაობა 1840 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ინტერესს მოკლებულია.

დაბოლოს, მხოლოდ დეკემბრის ბოლოს დაიწყო აქა-იქ პარტიზანული ბრძოლა პარლამენტის ცალკე პრეროგატივებისათვის. მოძრაობა გაიყინა წვრილმან კინკლაობაზე ორივე ხელისუფლების პრეროგატივებისთვის, მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიამ, საყოველთაო

[1] — 1848 წ. რედ.

საარჩევნო უფლების გაუქმებით, უპირველესად კლასობრივ ბრძოლას მოუღო ბოლო.

ერთ დეპუტატს — მოგენს სასამართლომ, ვალების გამო, განაჩენი გამოუტანა. სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე იუსტიციის მინისტრმა რუემ განაცხადა, — მოვალის დასაპატიმრებლად ბრძანება უნდა გაიცეს ყოველ მიზეზს გარეშეო. ამრიგად, მოგენი მოვალეთა საპატიმროში ჩასვეს. ეროვნული კრება განრისხდა, როდესაც ასეთი თავდასხმა გაიგო. მან დაადგინა მოგენის არა მარტო დაუყოვნებლივ განთავისუფლება, არამედ იმავე საღამოს თავის აღმასრულებელს ძალით გამოაყვანინა ის კლიშიდან. მაგრამ რომ დაემტკიცებინა თავისი რწმენა კერძო საკუთრების სიწმინდისა, და თან იდუმალი მოსაზრებით, რომ საჭიროებისამებრ თავშესაფარი მოემზადებინა აბეზარი მთის წევრებისათვის, კრებამ დასაშვებად გამოაცხადა სახალხო წარმომადგენელთა დაპატიმრება ვალებისათვის იმის შემდეგ, რაც საამისოდ ნებართვა იქნებოდა წინასწარ მისგან გამოთხოვილი. მას დაავიწყდა გამოეცა დეკრეტი იმის შესახებ, რომ აგრეთვე პრეზიდენტიც შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს ვალებისათვის. მან საბოლოოდ მოსპო უკანასკნელი ნიშან-წყალი ხელშეუხებლობისა, რომლითაც მოსილი იყვნენ მისი საკუთარი სხეულის წევრები.

როგორც ვთქვით, პოლიციის კომისარმა იონმა, ვინმე ალეს ჩვენების საფუძველზე, ცნობა მიიტანა: დეკემბრისტთა სექციას დიუპენის და შანგარნიეს მოკვლა აქვს განზრახულიო. პირველსავე სხდომაზე ქვესტორებმა ამის გამო წინადადება შეიტანეს შექმნილიყო საკუთარი საპარლამენტო პოლიცია ეროვნული კრების განსაკუთრებული ბიუჯეტის ხარჯზე და სრულიად დამოუკიდებელი პოლიციის პრეფექტისაგან. შინაგან საქმეთა მინისტრმა ბაროშმა პროტესტი განაცხადა მის უწყებაში ასეთი შეჭრის წინააღმდეგ. მაშინ უბადრუკ კომპრომისზე შეჩერდნენ, რის თანახმად პარლამენტის პოლიციის კომისარი პარლამენტის განსაკუთრებული ბიუჯეტის ხარჯზე უნდა შენახულიყო და ის ქვესტორებს უნდა დაენიშნათ და მოეხსნათ, მაგრამ წინასწარ შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმების შემდეგ. ამასობაში ალე პასუხისგებაში მისცა მთავრობამ და ახლა ადვილი შეიქნა მისი ჩვენება მისტიფიკაციად ჩაეთვალათ და პროკურორის ბაგეებით სასაცილოდ გაეხადათ დიუპენი, შანგარნიე, იონი და მთელი ეროვნული კრება. ახლა, 29 დეკემბერს, მინისტრი ბაროში დიუპენს წერილს სწერს, რომელშიც

ის იონის გადაყენებას მოითხოვს. ეროვნული კრების ბიურო ადგენს დატოვოს იონი თავის თანამდებობაზე, მაგრამ ეროვნული კრება, დაშინებული თავისი ძალმომრეობით მოგენის საქმეში და დაჩვეული სანაცვლოდ ორმაგი შემოკვრის მიღებას მის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის ყოველ შემოკვრაზე, ბიუროს დადგენილებას არ ადასტურებს. სამსახურებრივი გულმოდგინებისთვის ჯილდოდ იონს ის იმას აძლევს, რომ სამსახურიდან ითხოვს და ხელს იღებს პარლამენტურ პრეროგატივზე, რაც აუცილებელია ისეთი ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც ღამით კი არ მიიღებს გადაწყვეტილებას, რათა დღისით შეასრულოს, არამედ დღისით მიიღებს გადაწყვეტილებას და ღამით შეასრულებს.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ გაურბოდა ეროვნული კრება დიდმნიშვნელოვან საკითხთა გამო აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ბრძოლას ნოემბრის და დეკემბრის განმავლობაში. ახლა, როგორც ვხედავთ, ის იძულებულია ბრძოლაში ჩაებას წვრილმანი საბაბით. მოგენის საქმეში მან პრინციპულად დასაშვებად აღიარა დეპუტატთა დაპატიმრება ვალების გამო, მაგრამ დაიტოვა საშუალება ეს პრინციპი მხოლოდ არასასურველ წარმომადგენელთა მიმართ გამოეყენებინა. და ეროვნული კრება ამ სამარცხვინო პრივილეგიისათვის დავას მართავს იუსტიციის მინისტრთან. იმის ნაცვლად, რომ დიუპენისა და შანგარნიეს ფიქციური მკვლელობის გეგმა გამოეყენებინათ ათი დეკემბრის საზოგადოების შესახებ გამოძიების საწარმოებლად და აშკარად ეჩვენებინათ ბონაპარტის, როგორც პარიზის ლუმპენპროლეტარიატის მეთაურის, ნამდვილი სახე საფრანგეთისა და ევროპისთვის, — კრებას ეს კონფლიქტი დაჰყავს უბრალო დავაზე შინაგან საქმეთა მინისტრთან იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის პოლიციის კომისრის დანიშვნა-მოხსნის უფლება. როგორც ვხედავთ, წესრიგის პარტია მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, თავისი ორაზროვანი მდგომარეობის გამო, იძულებულია თავისი ბრძოლა აღმასრულებელი ხელისუფლების წინააღმდეგ დაიყვანოს წვრილმან დავაზე კომპეტენციის ფარგლების შესახებ, კრტიმალობაზე, კინკლაობაზე, დააქუცმაცოს დავად ხელისუფლების საზღვრების გარშემო და თავისი საქმიანობის შინაარსად გახადოს უთავბოლო საკითხი ფორმის შესახებ. ის ვერ ბედავს ბრძოლა გამართოს იმ მომენტში, როდესაც ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, როდესაც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ნამდვილად გამოააშკარავა თავისი თავი და როდესაც ეროვნული

კრების საქმე ეროვნული საქმე იქნებოდა. ამით ხომ ის ერს მოძრაობის ნიშანს მისცემდა, ხოლო მას კი ისე არაფრის ეშინია, როგორც ერის ამოძრავებისა. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში ის უკუაგდებს მთის წინადადებებს და მორიგ დღის წესრიგზე გადადის. მას შემდეგ რაც წესრიგის პარტიამ უარი თქვა ფართო მასშტაბის ბრძოლებზე, აღმასრულებელი ხელისუფლება წყნარად უცდის მომენტს, როდესაც მას შეეძლება მისი ხელახლა აღძვრა წვრილმანი უმნიშვნელო საბაბით, როდესაც ის, ასე ვთქვათ, მხოლოდ პარლამენტურ ლოკალურ ინტერესს წარმოადგენს. მაშინ თავს იჩენს წესრიგის პარტიის შეკავებული გაშმაგება, მაშინ ის ფარდას ხდის კულისებს, ამხელს პრეზიდენტს, რესპუბლიკას განსაცდელში მყოფად აცხადებს, მაგრამ ახლა მისი პათოსი უაზროა, ხოლო ბრძოლის მიზეზი პირფერულ საბაბს წარმოადგენს ანდა საერთოდ არც კი ღირს ბრძოლად. პარლამენტური ქარიშხალი ხდება ქარიშხლად ჭიქა წყალში, ბრძოლა — ინტრიგად, კონფლიქტი — სკანდალად. მაშინ როდესაც რევოლუციური კლასები ბოროტი კმაყოფილებით ხვდებიან ეროვნული კრების დამცირებას, ვინაიდან ისინი ისე ეტრფიან მის პარლამენტურ პროგრამატიკებს, როგორც ის კრება ეტრფის საზოგადოებრივ თავისუფლებას, პარლამენტის გარეთ მყოფ ბურჟუაზიას არ ესმის, თუ პარლამენტს შიგნით მყოფი ბურჟუაზია როგორ ჰკარგავს თავის დროს ასეთ წვრილმან კინკლაობაში და როგორ აღღვევს სიმშვიდეს პრეზიდენტთან ასეთი საბრალო მეტოქეობის გაწევით. ის თავს ვერ ართმევს იმ სტრატეგიას, რომელიც ზავს დებს ისეთ მომენტში, როდესაც მთელი ქვეყანა ომს მოელის, და შეტევაზე გადადის ისეთ მომენტში, როდესაც მთელ ქვეყანას ზავი დადებული ჰგონია.

20 დეკემბერს პასკალ დიუპრამ შეკითხვა მისცა შინაგან საქმეთა მინისტრს ოქროს ზოდების ლატარიის შესახებ. ეს ლატარია «ელისეს სასახლის პირმშო შვილი» იყო; ბონაპარტმა შვა იგი თავისი ერთგული პირების დახმარებით, ხოლო პოლიციის პრეფექტმა კარლიემ თავისი ოფიციალური მფარველობის ქვეშ აიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის კანონი კრძალავს ყოველგვარ ლატარიას, გარდა საქველმოქმედო მიზნებით გამართულისა. გამოშვებულ იქნა შვიდი მილიონი ბილეთი, თითო ფრანკიანი, ხოლო მოგება ვითომ დანიშნული იყო პარიზელ მაწანწალათა გასამგზავრებლად კალიფორნიაში. ერთი მხრივ, პარიზის პროლეტარიატის სოციალისტური ოცნება ოქროს ოცნებას უნდა განედევნა,

ხოლო დოქტრინული უფლება შრომისა — დიდი მოგების მიღების მაცდურ პერსპექტივას. პარიზის მუშებმა, რასაკვირველია, კალიფორნიის ბრჭყვიალა ოქროს ზოდებში ვერ გამოიცნეს ის უჩინარი ფრანკები, რომლებიც მათ ჯიბიდან დასცანცლეს. აქ უმთავრესად პირდაპირ მატყუარობას ჰქონდა ადგილი. მაწანწალები, რომელთაც კალიფორნიის ოქროს მადნების აღმოჩენა სურდათ პარიზიდან გაუსვლელად, — ეს თვით ბონაპარტი და მისი ვალებში ჩაფლული ამალა იყო. ეროვნული კრების მიერ მიცემული სამი მილიონი უკვე გაფლანგეს, — სალარო ასე თუ ისე კვლავ უნდა გავსებულიყო. ამაოდ გამართა ბონაპარტმა, ეგრეთწოდებული მუშათა ქალაქების გასაშენებლად, ეროვნული ხელისმოწერა, რომლის თავში თვითვე მოაწერა ხელი დიდ თანხაზე. გულცივი ბურჟუები, უნდობლად უცდიდნენ ხელმოწერილი თანხის შეტანას ბონაპარტის მიერ და რადგან ეს, რასაკვირველია, არ მოხდა, სოციალისტური ჰაეროვანი კოშკების სპეკულაციაც გაქრა როგორც საპნის ბუშტი. ოქროს ზოდების საქმე კი უკეთ წავიდა. ბონაპარტი და მისი თანამოზიარენი იმით არ დაკმაყოფილდნენ, რომ გასათამაშებელი ზოდების ღირებულების, შვიდი მილიონის, გარდამეტის ნაწილი ჩაიჯიბეს: მათ დაამზადეს აგრეთვე ლატარიის ყალბი ბილეთები, ერთი და იმავე ნომრით, ათი, თხუთმეტი და ოცამდე ბილეთი გამოუშვეს, — სწორედ ათი დეკემბრის საზოგადოების შესაფერი ფინანსური ოპერაცია! აქ ეროვნული კრების პირისპირ იდგა არა რესპუბლიკის ფიქციური პრეზიდენტი, არამედ სისხლ-ხორცშესხმული ბონაპარტი. აქ მას შეეძლო მისი დაჭერა დანაშაულის ადგილას, კონფლიქტში არა კონსტიტუციასთან, არამედ სისხლის სამართლის კოდექსთან. თუ ეროვნული კრება დიუპრას ინტერპელაციიდან დღის წესრიგზე გადავიდა, ეს მან მარტო იმისთვის კი არ ჩაიდინა, რომ ჟირარდენის წინადადებამ — თავი «დაკმაყოფილებულად» გამოეცხადებინა — წესრიგის პარტიას მისი სისტემატური მექრთამეობა მოაგონა. ბურჟუა, და მით უფრო სახელმწიფო მოღვაწედ ამაღლებული ბურჟუა, თავის პრაქტიკულ სულმდაბლობას თეორიული გაბერილობით ავსებს. როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ის, მსგავსად სახელმწიფო ხელისუფლებისა, რომელიც მის პირისპირ დგას, ზენაარსი ხდება, რომელთანაც მხოლოდ უზენაესი, ნაკურთხი საშუალებით შეიძლება ბრძოლა.

ბონაპარტმა, რომელსაც, როგორც ბოჰემის პირმშოს, როგორც მეფე ლუმპენპროლეტარს, გაიძვერა ბურჟუას წინაშე ის უპირატესობა

ჰქონდა, რომ მდაბალი საშუალებებით შეეძლო ბრძოლის წარმოება, დაინახა ახლა, — მას შემდეგ რაც კრებამ იგი საკუთარი ხელებით გადაატარა სამხედრო ბანკეტების, აღლუმის, ათი დეკემბრის საზოგადოების და, დასასრულ, სისხლის სამართლის კოდექსის მოლიპულ ნიადაგზე, — რომ დადგა მომენტი, როდესაც მოჩვენებითი თავდაცვითი მდგომარეობიდან შეტევაზე გადასვლა შეეძლო. მას ნაკლებ აწუხებდა ამ დროს იუსტიციის მინისტრის, სამხედრო მინისტრის, საზღვაო საქმეთა მინისტრის და ფინანსთა მინისტრის მცირედი დამარცხებანი, რითაც ეროვნული კრება თავისი ბუზღუნით უკმაყოფილებას აცხადებდა. მან არა მარტო დაუშალა მინისტრებს გადამდგარიყვნენ და, ამრიგად, ეღიარებინათ აღმასრულებელი ხელისუფლების მორჩილება პარლამენტისადმი. მას შეეძლო ახლა დაესრულებინა ის, რაც ეროვნული კრების არდადეგების დროს დაიწყო: სამხედრო ხელისუფლების ჩამოშორება პარლამენტისგან, მან შ ა ნ გ ა რ ნ ი ე გ ა დ ა ა ყ ე ნ ა.

ელისეს ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა, ვითომდა მაისში პირველი სამხედრო დივიზიისადმი გაცემული, მაშასადამე, შანგარნიესგან გამომდინარე ბრძანება, რომელშიც ოფიცრებს ურჩევდნენ, თუ ამბოხება მოხდეს, საკუთარ რიგებში გამცემლები არ დაინდოთ, ისინი დაუყოვნებლივ მიახვრიტეთ და ეროვნულ კრებას ჯარები არ მიაშველოთ, როდესაც ის მას გამოითხოვსო. 1851 წლის 3 იანვარს კაბინეტს შეკითხვა მისცეს ამ ბრძანების შესახებ. მან, საქმის გამოსარკვევად, ჯერ სამი თვე მოითხოვა, შემდეგ ერთი კვირა, ბოლოს კი — ოცდაოთხი საათი. კრება დაჟინებით მოითხოვს ახსნა-განმარტებას დაუყოვნებლივ. შანგარნიე დგება და აცხადებს, — ასეთი ბრძანება არასოდეს არ ყოფილა გაცემულიო. თანაც უმატებს: ყოველთვის მზადა ვარ ეროვნული კრების მოთხოვნილება შევასრულო და, თუ კონფლიქტი მოხდა, კრებას შეუძლია ჩემი იმედი იქონიოსო. ამ განცხადებას კრება მხურვალე ტაშით შეხვდა და შანგარნიეს ნდობის ვოტუმი გამოუცხადა. კრება უარს აცხადებს თავის თავზე, იგი თავის საკუთარ უმწეობას და არმიის ყოვლისშემძლეობას ადასტურებს, რაკი გენერლის კერძო მფარველობის ქვეშ აყენებს თავს; მაგრამ გენერალი ცდება, როდესაც ბონაპარტის საწინააღმდეგოდ კრებას თავაზობს ძალას, რომელიც მას იმავე ბონაპარტისაგან აქვს ნაბოძები, და როდესაც ის, თავის მხრივ, დაცვას მოელის ამ პარლამენტისგან, რომელიც თვით მისგან არის მფარველობა გასაწევი. მაგრამ შანგარნიეს სწამს მისტიკური ძალა,

რომელიც მას ბურჟუაზიამ მიაწერა 1849 წლის 29 იანვრის შემდეგ. თავის თავს ის მესამე ხელისუფლებად თვლის ორი სხვა სახელმწიფო ხელისუფლების გვერდით. იგი ამ ეპოქის დანარჩენ გმირთა ანუ, უფრო უკეთ, წმინდანთა ბედს იზიარებს, რომელთა სიდიადე საკუთარი პარტიების მიერ გაზვიადებული შეფასებიდან გამომდინარეობდა და რომელნიც უბრალო მომაკვდავნი ხდებიან, როდესაც გარემოება მათ სასწაულმოქმედებისკენ მოუწოდებს. საერთოდ, ურწმუნეობა წარმოადგენს ამ მოჩვენებითი გმირების დანამდვილი წმინდანების მოსისხლე მტერს. აქედან მათი ქედმაღლურ-ზნეობრივი გულისწყრომა ენთუზიაზმს მოკლებული მასხარებისა და ღრეჭიების წინააღმდეგ.

იმავე საღამოს მინისტრები ელისეს სასახლეში მიიწვიეს; ბონაპარტი დაჟინებით მოითხოვს შანგარნიეს გადაყენებას, ხუთი მინისტრი უარს აცხადებს ხელისმოწერაზე; «Moniteur»-ი ცნობას აქვეყნებს სამინისტრო კრიზისის შესახებ, ხოლო წესრიგის პარტიის პრესა იმუქრება პარლამენტური არმიის შექმნით შანგარნიეს მეთაურობით. წესრიგის პარტიას ამისი უფლება ჰქონდა კონსტიტუციის თანახმად. მას ჭირდებოდა მხოლოდ შანგარნიეს დანიშვნა ეროვნული კრების თავმჯდომარედ და თავისი უშიშროებისათვის ჯარების გამოწვევა სასურველი რაოდენობით. მას შეეძლო ეს გაეკეთებინა, მით უფრო, რომ შანგარნიე ჯერ კიდევ ნამდვილად არმიის და პარიზის ეროვნული გვარდიის სათავეში იდგა და მხოლოდ იმას უცდიდა — როდის გაიწვევდნენ თავისი არმიით ეროვნული კრების საშველად. ბონაპარტისტულ პრესას ჯერ კიდევ ვერ გაებედნა უარეყო ეროვნული კრების მიერ ჯარების უშუალო რეკვიზიციის უფლება — ეს იქნებოდა იურიდიული დავა, რაც არსებულ პირობებში მის ამტეხს არაფერს კარგს არ უქადდა. არმია რომ ეროვნული კრების ბრძანებას დამორჩილებოდა, ეს მეტად სარწმუნო იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბონაპარტი რვა დღეს ეძებდა მთელს პარიზში და, ბოლოს, როგორც იქნა მონახა ორი გენერალი — ბარაგე დ'ილიე და სენ-ჟან დ'ანჟელი, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ხელი მოეწერათ ბრძანებაზე შანგარნიეს მოხსნის შესახებ. მაგრამ წესრიგის პარტია რომ საჭირო ხმების რაოდენობას იპოვიდა თავის რიგებსა და პარლამენტში ასეთი გადაწყვეტილებისათვის, ეს ძალიან საეჭვო არის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რვა დღის შემდეგ მას 268 ხმა გამოეყო, და რომ მთამ ასეთივე წინადადება კიდევ 1851 წლის დეკემბერში,

უკანასკნელ გადამჭრელ წუთში უარყო. მაგრამ ახლა ბურგგრაფებს იქნებ მოეხერხებინათ და თავისი პარტიის მასა გმირობისთვის წაექეზებინათ, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ხიშტების ტყეს ამოფარებოდნენ და იმ არმიის სამსახურით ესარგებლნათ, რომელიც მის ბანაკში იყო გადასული. მაგრამ ამის ნაცვლად ბატონი ბურგგრაფები 6 იანვარს საღამოს ელისეს სასახლეში გაემგზავრნენ, რათა, დიპლომატიური ხერხებითა და მოსაზრებებით ბონაპარტისთვის ხელი აეღებინებინათ შანგარნიეს მოხსნაზე. როდესაც ვინმეს დაჯერებას ცდილობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მას მდგომარეობის ბატონ-პატრონად აღიარებენ. ბონაპარტი, ბურგგრაფების ამ ნაბიჯით გულგამაგრებული, 12 იანვარს ახალ სამინისტროს ნიშნავს, რომელშიც ძველი სამინისტროს ბელადები — ფულდი და ბარო-ში — რჩებიან. სენ-ჟან დ'ანჟელი სამხედრო მინისტრი ხდება. «Moniteur»-ი აქვეყნებს დეკრეტს შანგარნიეს გადაყენების შესახებ, მის თანამდებობას ანაწილებენ ბარაგე დ'ილიესა, რომელიც პირველ სამხედრო დივიზიას ღებულობს, და-პეროს შორის, რომელიც ეროვნულ გვარდიას ღებულობს. საზოგადოების ბურჯი გადააყენეს, და თუ ამის გამო ქვეყანა არ დაქცეულა, სამაგიეროდ ბირჟაზე კურსმა აიწია.

ხელი ჰკრა რა არმიას, რომელიც შანგარნიეს სახით მის განკარგულებაში ლამობდა გადასვლას, და საბოლოოდ დაუთმო რა ის პრეზიდენტს, წესრიგის პარტიამ ამით ის აღიარა, რომ ბურჟუაზიამ ბატონობის უნარი დაჰკარგა. პარლამენტური სამინისტრო უკვე აღარ არსებობდა. ახლა კი, როდესაც მან დაჰკარგა არმიის და ეროვნული გვარდიის მესაჭეობა, რა ძალაღა დარჩა მას იმისათვის, რომ დაეცვა პარლამენტის უზურპაციაქმნილი ხელისუფლება ხალხზე და იმავე დროს დაეცვა პარლამენტის კონსტიტუციური ხელისუფლება პრეზიდენტისგან? არავითარი. დარჩა მხოლოდღა მიმართვა ძალასმოკლებული პრინციპებისადმი, რომლებიც მასვე მიაჩნდა მხოლოდ სხვებისთვის დადგენილ ზოგად წესებად, რათა თვით მას მით უფრო თავისუფლად შეძლებოდა მოქმედება. შანგარნიეს დათხოვნით, ბონაპარტის ხელში სამხედრო ხელისუფლების გადასვლით მთავრდება პირველი განყოფილება პერიოდისა, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ და რომელიც წესრიგის პარტიასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ბრძოლის პერიოდია. ომი ორივე ხელისუფლებას შორის ახლა აშკარად არის გამოცხადებული, აშკარად წარმოებს, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც წესრიგის პარ-

ტიამ იარაღიც დაჰკარგა და ჯარისკაცებიც. უსამინისტროდ, უარმიოდ, უხალხოდ, საზოგადოებრივი აზრის გარეშე, მას შემდეგ რაც 31 მაისის საარჩევნო კანონით სუვერენული ერის წარმომადგენლობა დაჰკარგა, უთვალოდ, უყურადოდ, უკბილოდ, უყველაფროდ, ეროვნული კრება თანდათან ძველ ფრანგულ პარლამენტად გადაიქცა, რომელიც საქმიანობას მთავრობას ანდობს, ხოლო თვით კმაყოფილდება ბუზღუნა დემონსტრაციებით **post festum** [1].

წესრიგის პარტია ახალ სამინისტროს დიდი გულისწყრომით ხვდება. გენერალი ბედო იგონებს მუდმივი კომისიის სირბილეს არდადეგების განმავლობაში და მის მეტისმეტ თავაზიან უარს თავისი ოქმების გამოქვეყნებაზე. აქ თვით შინაგან საქმეთა მინისტრი მოითხოვს ამ ოქმების გამოქვეყნებას, რომელთაც ახლა, რასაკვირველია, დამდგარ წყალსავით გემო დაეკარგათ, არავითარ ახალ ფაქტს არ ამჟღავნებენ და შთაბეჭდილებას სრულიადაც აღარ ახდენენ დათენთილ საზოგადოებაზე. რემიუზას წინადადებით ეროვნული კრება თავის ბიუროებში გადადის და «საგანგებო ღონისძიებათა კომიტეტს» ნიშნავს. პარიზი კი, მიუხედავად ამისა, ნაკლებ სცილდება თავისი ყოველდღიური ცხოვრების კალაპოტს, მით უფრო, რომ ვაჭრობა ამ მომენტში ჰყვავის, მანუფაქტურები მუშაობენ, ხორბლის ფასი დაბალ დონეზეა, საარსებო საშუალებები უხვადაა, შემნახველ სალაროებში ყოველდღე ახალ-ახალი ანაბარები შედის. «საგანგებო ღონისძიებები», რის შესახებ ასე დიდი რიხით განაცხადა პარლამენტმა, გამოისახა სამინისტროს მიმართ 18 იანვარს უნდობლობის ვოტუმის მიღებით, ხოლო შანგარნიეს შესახებ კი კრინტიც არ დაძრულა. წესრიგის პარტია იძულებული იყო ასეთი რედაქციით მიეღო თავისი ვოტუმი, რათა რესპუბლიკელთა ხმები უზრუნველეყო თავის სასარგებლოდ, რადგან რესპუბლიკელები სამინისტროს ყველა ღონისძიებათაგან სწორედ მარტო შანგარნიეს გადაყენებას იწონებდნენ, მაშინ როდესაც წესრიგის პარტიას არსებითად არ შეეძლო სამინისტროს დანარჩენი ღონისძიებები დაეგმო, ვინაიდან ეს ღონისძიებები თვით მის მიერ იყო ნაკარნახევი.

18 იანვრის უნდობლობის ვოტუმი მიღებულ იქნა 415 ხმით 286 ხმის წინააღმდეგ. მაშასადამე, ის გავიდა მხოლოდ რესპუბლიკელებსა და მთასთან ერთად უკიდურესი ლეგიტიმისტების და ორლეანისტების კოალიციის მეოხებით. ეს იმის მაჩვენებელი იყო,

[1] დღესასწაულის შემდეგ, ე. ი. დაგვიანებით. რ ე დ.

რომ წესრიგის პარტიამ დაჰკარგა არა მარტო სამინისტრო, არა მარტო არმია, არამედ — ბონაპარტთან კონფლიქტში — აგრეთვე თავისი დამოუკიდებელი პარლამენტური უმრავლესობაც; რომ დეპუტატთა ერთი ნაწილი მისი ბანაკიდან გაიქცა — შემთანხმებლური ფანატიზმით გატაცების, ბრძოლის შიშის, დაღლილობის გამო, ოჯახური მოსაზრებების გამო ნათესავთა სახელმწიფო ჯამაგირისათვის, განთავისუფლებულ სამინისტრო პორთფელზე სპეკულაციისა (ოდილონ ბარო) და მდაბალი ეგოიზმის გამო, რომელიც ჩვეულებრივ ბურჟუას მუდმივ მზად ხდის თავისი კლასის საერთო ინტერესები ანაცვალოს ამა თუ იმ პირად მოტივს. ბონაპარტისტი დეპუტატები იმთავითვე წესრიგის პარტიასთან მხარდამხარ მიდიოდნენ მხოლოდ რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. კათოლიკური პარტიის მეთაურმა მონტალამბერმა თავისი გავლენა უკვე მაშინვე გადახარა ბონაპარტის სასწორისაკენ, ვინაიდან პარლამენტური პარტიის სიცოცხლისუნარიანობაში დაეჭვდა. დასასრულ, ამ პარტიის ბელადები, ორლეანისტი ტიერი და ლეგიტიმისტი ბერიე, იძულებული იყვნენ თავი აშკარად რესპუბლიკელებად გამოეცხადებინათ და ეღიარებინათ: გული გვაქვს მონარქიული, თავი კი — რესპუბლიკურია, და ჩვენი პარლამენტური რესპუბლიკა მთელი ბურჟუაზიის ბატონობის ერთადერთ შესაძლებელ ფორმას წარმოადგენსო. ამრიგად, ისინი იძულებული იყვნენ რესტავრაციული გეგმებისთვის, რაზეც ისინი დაუღალავად განაგრძობდნენ მუშაობას პარლამენტის ზურგს უკან, სახელი გაეტეხათ თვით ბურჟუაზიული კლასის თვალში, როგორც საშიში და ამდენადვე უაზრო ინტრიგისთვის.

18 იანვრის უნდობლობის ვოტუმი ეხებოდა მინისტრებს და არა პრეზიდენტს. მაგრამ შანგარნიე ხომ პრეზიდენტმა დაითხოვა და არა სამინისტრომ. განა პასუხისგებაში არ უნდა მიეცა წესრიგის პარტიას თვით ბონაპარტი მისი რესტავრაციული გულისთქმისთვის? მაგრამ ეს მხოლოდ წესრიგის პარტიისვე გულისთქმის შემავსებელი იყო. მისი კონსპირაციისთვის სამხედრო აღლუმებში და ათი დეკემბრის საზოგადოებაში? მაგრამ ეს საკითხები ამ პარტიამ დიდი ხანია დამარხა ჩვეულებრივ დღის წესრიგზე გადასვლით. 29 იანვრის და 13 ივნისის გმირის გაძევებისთვის, იმ ადამიანის გაძევებისთვის, რომელიც 1850 წლის მაისში იმუქრებოდა: თუ აჯანყება მოხდა, პარიზს ოთხივე კუთხიდან ხანძარს გავუჩენო? მაგრამ მისმა მოკავშირეებმა, მთამ და კავენიაკმა, იმის ნებაც კი არ მისცეს მას, რომ დაცემული «საზოგადოების ბურჯი» ოფიციალური თანაგრძნობის გამოცხადებით გა-

ემხნევებინა. მას თვით არ შეეძლო სადავოდ გაეხადა კონსტიტუციის მიერ პრეზიდენტისათვის ბოძებული უფლება გენერლების გადაყენებისა. ის შფოთავდა მხოლოდ იმიტომ, რომ პრეზიდენტი თავის კონსტიტუციურ უფლებას არაპარლამენტურად ხმარობდა. მაგრამ განა ეს პარტია თავის პარლამენტურ პრეროგატივას განუწყვეტლივ არაკონსტიტუციურად არ გამოიყენებდა, განსაკუთრებით საყოველთაო საარჩევნო უფლების გაუქმების დროს? მაშასადამე, ის პარლამენტურ საზღვრებს შიგნით უნდა დარჩენილიყო. და მხოლოდ იმ თავისებური სენით, რომელიც 1848 წლიდან მთელს კონტინენტს მოედო, — პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ ი კ რ ე ტ ი ნ ი ზ მ ი თ, რომელიც მით დაავადებულთ მათ წარმოდგენაში არსებულ სამყაროს მიაჯაჭვავს და რომელიც მათ უკარგავს ყოველგვარ აზრს, ყოველგვარ მოგონებას, გარეგანი ტლანქი სამყაროს შეცნობის ყოველგვარ უნარს, — ამ პარლამენტური კრეტინიზმით აიხსნება, რომ წესრიგის პარტია, საკუთარი ხელებით გაანადგურა რა მან და სხვა კლასებთან ბრძოლაში უნდა გაენადგურებინა კიდეც პარლამენტური ძლიერების ყველა პირობა, თვითეულ თავის პარლამენტურ გამარჯვებას მართლა გამარჯვებად თვლიდა და ფიქრობდა — პრეზიდენტს ვცემო, მაშინ როდესაც მხოლოდ მის მინისტრებს ახვედრებდა. მან მხოლოდ შემთხვევა მისცა ბონაპარტს ეროვნული კრება ისევ დაემცირებინა ერის თვალში. 20 იანვარს «Moniteur»-ში ცნობა გამოქვეყნდა: მთელი სამინისტროს გადადგომა მიღებულიაო. იმ საბაბით, რომ არც ერთ პარლამენტურ პარტიას უკვე უმრავლესობა აღარ ჰყავსო, როგორც ეს დაადასტურა 18 იანვრის ვოტუმმა, რომელიც ნაყოფი იყო მთასა და როიალისტებს შორის მომხდარი კოალიციისო, და რომ უმრავლესობის ხელახლად შექმნას უნდა მოვუცადოთო. ბონაპარტმა ეგრეთწოდებული გარდამავალი სამინისტრო დანიშნა, რომლის არც ერთი წევრი პარლამენტს არ ეკუთვნოდა და რომელიც მთლად უცნობ და უმნიშვნელო პიროვნებათაგან შედგებოდა, — მხოლოდ და მხოლოდ ნოქრების და მჯღაბნელების სამინისტრო. ახლა წესრიგის პარტიას შეეძლო ამ მარიონეტებთან ქანცგამოლევამდე ეთამაშა. აღმასრულებელი ხელისუფლება უკვე თავშეწუხების ღირსადაც არ თვლიდა სერიოზული წარმომადგენლობა ჰყოლოდა ეროვნულ კრებაში. ბონაპარტს მით უფრო აშკარად შეეძლო ხელში ჩაეგდო მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება, მით უფრო თავისუფლად შეეძლო გამოეყენებინა ის თავისი

მიზნებისთვის, რაც უფრო ნამდვილი სტატისტები იქნებოდნენ მისი მინისტრები.

მთასთან კოალიციაში შესულმა წესრიგის პარტიამ შური იმით იძია, რომ უარყო წინადადება პრეზიდენტისთვის 1800000 ფრანკი დოტაციის მიცემის შესახებ, რომლის შეტანა ათი დეკემბრის საზოგადოების მეთაურმა უბრძანა მის ნოქარ-მინისტრებს. ამჯერად საკითხი 102 ხმის უმრავლესობით გადაიჭრა, — მაშასადამე, 18 იანვრიდან წესრიგის პარტიამ კიდევ 27 ხმა დაჰკარგა, — პარტია უფრო და უფრო იშლებოდა. ამავე დროს, რომ ვინმეს ერთი წუთითაც კი ეჭვი არ შესვლოდა მისი მთასთან კოალიციის ნამდვილ აზრში, მან არც კი ისურვა განეხილა მთის 189 წევრის მიერ ხელმოწერილი წინადადება პოლიტიკურ დამნაშავეთა საერთო ამნისტიის შესახებ. საკმარისი იყო შინაგან საქმეთა მინისტრს, ვინმე ვესეს, განეცხადებინა — სიმშვიდე მოჩვენებითია, ძლიერი საიდუმლო აგიტაციაა გაჩაღებული, ყველგან იქმნება საიდუმლო საზოგადოებანი, დემოკრატიული გაზეთები ისევ გამოცემისთვის ემზადებიან, დეპარტამენტებიდან უსიამოვნო ამბები მოდის, ჟენევის ემიგრანტები ხელმძღვანელობენ შეთქმულებას, რომელიც ლამობს ლიონიდან მთელ სამხრეთ საფრანგეთს მოედოს, საფრანგეთი სამრეწველო და სავაჭრო კრიზისის წინაშე იმყოფება, ქალაქ რუბეს ფაბრიკანტებმა სამუშაო დღე შეამცირეს, ბელ-ილის[1] პატიმრები აჯანყდნენო, — საკმარისი იყო თუნდაც ვინმე ვესეს გამოეწვია წითელი აჩრდილი, რომ წესრიგის პარტიას უკამათოდ უარეყო წინადადება, რომლის მიღება ეროვნულ კრებას უდიდეს პოპულარობას მოუპოვებდა და ბონაპარტს ისევ მას ჩაუგდებდა ხელში. იმის ნაცვლად, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დასახული ახალი მოძრაობით დაშინებულიყო, წესრიგის პარტიას, პირიქით, კლასობრივი ბრძოლისთვის ცოტაოდენი გასაქანი მაინც უნდა მიეცა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება თავისგან დამოკიდებული ჰყოლოდა. მაგრამ ის ამ ამოცანისთვის თავის თავში საკმაო ძალღონეს არ გრძნობდა, ცეცხლთან თამაშს ვერ ბედავდა.

ამასობაში ეგრეთწოდებული გარდამავალი სამინისტრო შუა აპრილამდე ღონღიალობდა, ბონაპარტი ღლიდა, მასხარად იგდებდა ეროვნულ კრებას სულ ახალ-ახალი სამინისტროების კომბინა-

[1] ბელ-ილი — კუნძული საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზე, 1848 წ. შემდეგ მსჯავრდებულ რევოლუციონერთა პატიმრობის ადგილი. რ ე დ.

ციით. ხან თითქოს რესპუბლიკური სამინისტროს შექმნა სურდა ლამარტინით და ბიიოთი, ხან პარლამენტურის — აუცილებელი ოდილონ ბაროთი, ურომლისობა შეუძლებელია იქ, სადაც გასატუტუცებელი ადამიანია საჭირო, ხან ლეგიტიმისტური — ვატიმენილით და ბენუა დ'აზით, ხან კიდევ ორლეანისტურის — მალვილით. მაშინ როდესაც ის წესრიგის პარტიის სხვადასხვა ფრაქციას, ამგვარად, ერთი მეორის წინააღმდეგ ამხედრებს და მათ ყველას რესპუბლიკური სამინისტროს პერსპექტივით და, მაშასადამე, საყოველთაო საარჩევნო უფლების აუცილებელი აღდგენით აშინებს, ამავე დროს ბონაპარტი ბურჟუაზიას იმ რწმენას უნერგავს გულში, რომ მისი გულწრფელი ცდები პარლამენტური სამინისტროს შესაქმნელად როიალისტური ფრაქციების ერთმანეთს შორის მოურიგებლობის გამო განიცდის მარცხს. ბურჟუაზია კი მით უფრო ხმამაღლა გაჰყვიროდა «მაგარი მთავრობის» შექმნაზე, მით უფრო მიუტევებლად თვლიდა საფრანგეთის «უადმინისტრაციოდ» დატოვებას, რაც უფრო ემჩნეოდა, რომ დაწყებული იყო საყოველთაო საავჭრო კრიზისი, რომელიც ზრდიდა სოციალიზმის მომხრეთა რიცხვს ქალაქად, ხოლო სოფლად ამავე შედეგს იძლეოდა ხორბლის გამანადგურებლად დაბალი ფასი. ვაჭრობა ყოველდღე უფრო და უფრო ეცემოდა, უმუშევართა რიცხვი შესამჩნევად იზრდებოდა. პარიზში, სულ მცირე, 10.000 ულუკმაპურო მუშა იმყოფებოდა, რუანში, მიულჰაუზენში, ლიონში, რუბეში, ტურკოენში, სენტ-ეტიენში, ელბეფეში და სხვ. უამრავი ფაბრიკა იყო გაჩერებული. ასეთ პირობებში ბონაპარტს შეეძლო გაებედა და 18 იანვრის სამინისტრო 11 აპრილს აღედგინა. ბ.ბ. რუერი, ფულდი, ბაროში და სხვ. გაამაგრა ბ-ნ ლეონ ფოშეთი, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ თავის ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე ერთხმად, ხუთი მინისტრის ხმის გამოკლებით, უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებით გაჰკიცხა ყალბი დეპეშების გავრცელებისთვის. ამრიგად, 18 იანვარს ეროვნულმა კრებამ გაიმარჯვა სამინისტროზე და სამი თვის განმავლობაში მის ბრძოლას ბონაპარტთან შედეგად ის მოჰყვა, რომ 11 აპრილს ფულდის და ბაროშის სამინისტრო კავშირში, მესამე პირად, პურიტანელი ფოშე იქნა შეყვანილი.

1849 წლის ნოემბერში ბონაპარტი არაპარლამენტური სამინისტროთი კმაყოფილდებოდა, 1851 წლის იანვარში — პარლამენტსგარეშე სამინისტროთი, ხოლო 11 აპრილს ის საკმაოდ ძლიერად გრძნობდა თავს იმისთვის, რომ ანტი-

პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ ი სამინისტრო შეედგინა, რომლის მიმართ ორივე კრების, დამფუძნებელის და საკანონმდებლოსი, რესპუბლიკური და როიალისტური კრების უნდობლობის ვოტუმი ჰარმონიულად იყო გაერთიანებული. სამინისტროთა ასეთი გრადაცია თერმიდორს წარმოადგენდა, რომლითაც პარლამენტს შეეძლო საკუთარი სასიცოცხლო სითბოს კლება გაეზომა. ეს სითბო აპრილის ბოლოს ისე დაბლა დაეცა, რომ პერსონის შეეძლო პირადი შეხვედრისას შანგარნიესთვის წინადადება მიეცა — პრეზიდენტის ბანაკში გადმოდიო. ბონაპარტსო, — არწმუნებდა ის მას, — ეროვნული კრების გავლენა სრულიად მოსპობილად მიაჩნია, და უკვე მზადაა პროკლამაცია, რომელიც მაუწყებელი უნდა იქნეს დიდი ხანია განზრახულის, მაგრამ შემთხვევით ისევ გადადებული სახელმწიფო გადატრიალებისაო. შანგარნიემ წესრიგის პარტიის ბელადებს აცნობა ამ სასიკვდილო განაჩენის შესახებ, მაგრამ ვინ დაიჯერებს, რომ ბაღლინჯოს ნაკბენი სასიკვდილოა? და პარლამენტს, რაგინდ დამარცხებული, დაშლილი და ღონემიხდილი უნდა ყოფილიყო ის, მაინც არ შეეძლო ათი დეკემბრის საზოგადოების ახირებულ მეთაურთან გამართული დუელი სხვა რამედ ჩაეთვალა, თუ არ დუელად ბაღლინჯოსთან. მაგრამ ბონაპარტმა წესრიგის პარტიას იმგვარადვე უპასუხა, როგორც აგეზილაოსმა მეფე აგისს: «შ ე ნ მ ე ჭ ი ა ნ ჭ ვ ე ლ ა დ მ ი გ ა ჩ ნ ი ვ ა რ, მ ა გ რ ა მ მ ო ვ ა დ რ ო დ ა ლ ო მ ი გ ა ვ ხ დ ე ბ ი».

VI

მთასა და წმინდა რესპუბლიკელებთან კოალიციამ, რასაც წესრიგის პარტიამ ძალაუნებურად მიმართა იმ ფუჭი იმედით, რომ სამხედრო ძალა ხელთ ჰქონებოდა და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ხელმძღვანელობა ხელახლა მოეპოვებინა, — ამ კოალიციამ ურყევად დაამტკიცა, რომ წესრიგის პარტიამ დამოუკიდებელი პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ ი უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა დაჰკარგა. კალენდარის უბრალო ძალამ, საათის ისარმა 28 მაისს მისი სრულად დაშლის ნიშანი მისცა. 28 მაისს დაიწყო ეროვნული კრების სიცოცხლის უკანასკნელი წელი. ახლა მას უნდა გადაეჭრა საკითხი იმის შესახებ, კონსტიტუცია უცვლელად დაეტოვებინა თუ გადაესინჯა. მაგრამ კონსტიტუციის გადასინჯვა ნიშნავდა არა მარტო არჩევანს: ბურჟუაზიის თუ წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის ბატონობა, დემოკრატიის თუ პროლეტარული ანარქიის ბატონობა, პარლამენტური რესპუბლიკის თუ ბონაპარტის ბატონობა, არამედ, ამაკე

დროს, ასეთ არჩევანსაც: ორლეანელთა თუ ბურბონთა ბატონობა! ამრიგად, პარლამენტის შუაგულში ჩავარდა განხეთქილების ვაშლი, რასაც აშკარად უნდა გაეჩაღებინა შეხლა ინტერესთა, რომელნიც წესრიგის პარტიას მტრულ ფრაქციებად ანაწილებდნენ. წესრიგის პარტია სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ ელემენტთა შეერთებას წარმოადგენდა. კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხმა წარმოშვა ისეთი პოლიტიკური ტემპერატურა, რომლითაც ამ შეერთების პროდუქტი ისევ თავის თავდაპირველ შემადგენელ ნაწილებად დაიშალა.

ბონაპარტისტთა ინტერესი კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხში მარტივი იყო. მათთვის მთელი საკითხი იმას შეეხებოდა, რომ, უწინარეს ყოვლისა, გაუქმებულიყო 45-ე მუხლი, რომელიც ბონაპარტის ხელმეორედ არჩევას კრძალავდა, და ამ უკანასკნელის ხელისუფლება გაგრძელებულიყო. არა ნაკლებ მარტივად ჩანდა რესპუბლიკელთა მდგომარეობაც. ისინი აუცილებლად უარყოფდნენ ყოველგვარ გადასინჯვას, რაშიაც ყოველმხრივ რესპუბლიკის საწინააღმდეგო შეთქმულებას ხედავდნენ. ვინაიდან მათ განკარგულებაში იყო ეროვნული კრების ხმების ერთმეოთხედზე მეტი და, კონსტიტუციის თანახმად, ხმების სამი მეოთხედი იყო საჭირო, რომ გადასინჯვის საკითხი მართებულად გადაჭრილიყო და საამისოდ კრება მოწვეულიყო, ამიტომ მათთვის საკმაო იყო მხოლოდ თავიანთი ხმები დაეთვალათ, რომ გამარჯვებაში დარწმუნებული ყოფილიყვნენ. და ისინი გამარჯვებაში მართლაც დარწმუნებული იყვნენ.

ბონაპარტისტების და რესპუბლიკელების ამ ნათელი მდგომარეობის წინააღმდეგ, წესრიგის პარტია გადაუჭრელ წინააღმდეგობებში იმყოფებოდა. თუ ის კონსტიტუციის გადასინჯვას უარყოფდა, მაშინ საფრთხეში აგდებდა არსებულ ვითარებას, ვინაიდან ბონაპარტს მხოლოდ ერთი გამოსავალი — ძალადობის მოხდენა — რჩებოდა, და საფრანგეთს გადამჭრელ მომენტში, 1852 წლის მაისის მეორე კვირაში რევოლუციურ ანარქიას მისცემდა, პრეზიდენტით, რომელმაც ძალაუფლება დაჰკარგა, პარლამენტით, რომელსაც კაი ხანია ის აღარ გააჩნდა, და ხალხით, რომელიც ძალაუფლების ისევ მოპოვებას ფიქრობდა. თუ ხმას მისცემდა კონსტიტუციის გადასინჯვას, მან იცოდა, რომ ამას ტყუილუბრალოდ მოიმოქმედებდა და რომ, კონსტიტუციის თანახმად, რესპუბლიკელთა ვეტოთი იქნებოდა დამარცხებული; ხოლო თუ ის, კონსტიტუციის

წინააღმდეგ, საკითხის გადასაჭრელად საკმარისად გამოაცხადებდა ხმის უბრალო უმრავლესობას, მაშინ მას შეეძლო რევოლუციის დაძლევის იმედი ჰქონოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავის თავს სრულად აღმასრულებელ ხელისუფლებას დაუქვემდებარებდა და, ამრიგად, ბონაპარტის განკარგულებაში გადასცემდა კონსტიტუციასაც, მისი გადასინჯვის საკითხსაც და თვით თავის თავსაც. მხოლოდ ნაწილობრივი გადასინჯვა, რომლითაც პრეზიდენტის ხელისუფლება გაგრძელდებოდა, გზას უკაფავდა ბონაპარტისტულ უზურპაციას. გადასინჯვა კი, რაც რესპუბლიკის არსებობის ვადას შეამოკლებდა, აუცილებლად დინასტიურ პრეტენზიათა კონფლიქტს გამოიწვევდა, ვინაიდან ბურბონთა და ორლეანელთა რესტავრაციის პირობები არა თუ სხვადასხვაგვარი იყო, არამედ, — ერთმანეთის გამომრიცხველიც.

პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა უფრო მეტი რამ იყო, ვიდრე ნეიტრალური სფერო, რომელშიაც საფრანგეთის ბურჟუაზიის ორ ფრაქციას, ლეგიტიმისტებს და ორლეანისტებს, მსხვილ საადგილ-მამულო საკუთრებას და მრეწველობას, თანაბარი უფლებით შეეძლო ერთი მეორის გვერდით არსებობა. იგი იყო მათი ე რ თ ა დ ბატონობის გარდაუვალი პირობა, ერთ-ერთი სახელმწიფო ფორმა, რომელშიც მათი საერთო კლასობრივი ინტერესები იმორჩილებდა როგორც ბურჟუაზიის ცალკე ფრაქციათა პრეტენზიებს, ისე საზოგადოების სხვა დანარჩენ კლასებსაც. როგორც როიალისტები, ისინი ისევ ძველ ანტაგონიზმში ვარდებოდნენ, პირველობისათვის ბრძოლაში საადგილმამულო საკუთრებასა და ფულს შორის, ხოლო ამ ანტაგონიზმის უმაღლეს გამოხატულებას, მის განსახიერებას წარმოადგენდნენ მათი მეფეები, მათი დინასტიები. ამით აიხსნება ის, რომ წესრიგის პარტია ბ უ რ ბ ო ნ თ ა დ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს წინააღმდეგი იყო.

ორლეანისტს და სახალხო წარმომადგენელს კრეტონს, 1849, 1850 და 1851 წლებში, პერიოდულად შეჰქონდა წინადადება, გაუქმებულიყო დეკრეტი სამეფო გვარეულობათა გაძევების შესახებ. პარლამენტიც ასევე პერიოდულად ერთიდაიმავე სანახაობას წარმოადგენდა. როიალისტთა კრება ჯიუტად უხურავდა მეფეებს ჭიშკარს, რომლითაც მათ სამშობლოში დაბრუნება შეეძლოთ. რიჩარდ III, როდესაც იგი ჰანრი VI-ეს ჰკლავდა, შენიშნა: ამ ქვეყნიერებისთვის შენ მეტისმეტად კარგი იყავი, შენი ადგილი ზეცაშიაო. როიალისტებიც აცხადებდნენ: საფრანგეთი იმდენად ცუდია,

რომ ღირსი არ არის მას მეფეები დაუბრუნდესო. გარემოების ძალამ აიძულა ისინი რესპუბლიკელები გამხდარიყვნენ და მრავალგზის დაედასტურებინათ ხალხის გადაწყვეტილება, რომელმაც მათი მეფეები საფრანგეთიდან გააძევა.

კონსტიტუციის გადასინჯვა, რაზედაც ფიქრი გარემოებათა იძულებით იყო წარმოშობილი, რესპუბლიკასთან ერთად კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებდა ბურჟუაზიის ორი ფრაქციის ერთად ბატონობას და იწვევდა, მონარქიის შესაძლებლობასთან ერთად, შეხლა-შემოხლას ინტერესთა, რომელთაც უპირატესად მონარქია წარმომადგენლობდა რიგრიგობით და რომელიც იწვევდა პირველობისთვის ბრძოლას ამ ორ ფრაქციას შორის. წესრიგის პარტიის დიპლომატები ბრძოლისთვის ბოლომოღებას ფიქრობდნენ ორივე დინასტიის გაერთიანებით (Verschmelzung), როიალისტური პარტიების და მათი სამეფო დინასტიების ეგრეთწოდებული «შეერთებით» (fusion). რესტავრაციის და, ივლისის მონარქიის ნამდვილ შეერთებას წარმოადგენდა პარლამენტური რესპუბლიკა, რომელშიც ორლეანისტური და ლეგიტიმისტური ფერები და ცალკე სახის ბურჟუები წარიხოცნენ და გადაიქცნენ საერთოდ ბურჟუად, გვაროვნულ ბურჟუად. მაგრამ ახლა ორლეანისტი ლეგიტიმისტად, ლეგიტიმისტი ორლეანისტად უნდა გამხდარიყო. მონარქიას, რომელშიც მათი ანტაგონიზმი განსახიერებას პოულობდა, მათი მთლიანობისათვის უნდა შეესხა ხორცი; მათი კერძოობითი ფრაქციული ინტერესების გამოსახულება მათ საერთო კლასობრივ ინტერესთა გამოსახულებად უნდა გამხდარიყო; მონარქიას უნდა გაეკეთებინა ის, რის გაკეთებაც შეეძლო და შესძლო კიდეც ორი მონარქიის გაუქმებამ, რესპუბლიკამ. ეს იყო ის ფილოსოფიური ქვა, რომლის გამოგონებაზე თავს იმტვრევდნენ წესრიგის პარტიის ფილოსოფოსები. თითქოს შესაძლებელი ყოფილიყოს ოდესმე ლეგიტიმისტური მონარქიის გადაქცევა სამრეწველო ბურჟუაზიის მონარქიად ან ბურჟუაზიული მონარქიისა — მემკვიდრეობითი საადგილმამულო არისტოკრატიის მონარქიად. თითქოს შესაძლებელი ყოფილიყოს საადგილმამულო საკუთრებისა და მრეწველობის დაძმობილება ერთი სამეფო გვირგვინის ქვეშ, მაშინ როდესაც გვირგვინი შეიძლება მხოლოდ ერთ-ერთს, უფროსი ან უმცროსი ძმის თავს ამშვენებდეს. თითქოს შესაძლებელი იყოს საზოგადოდ მრეწველობა მოურიგდეს საადგილმამულო საკუთრებას, ვიდრე საადგილმამულო საკუთრება არ გადაწყვეტს თვით გახდეს სამრეწველო. ჰანრი

V რომ მეორე დღესვე მომკვდარიყო, ამის გამო პარიზელი გრაფი მაინც ვერ შეიქმნებოდა ლეგიტიმისტთა მეფე, ვინაიდან მაშინ ის ორლეანისტთა მეფე აღარ უნდა ყოფილიყო. მაგრამ შეერთების ფილოსოფოსები, რომელნიც ხმას მით უფრო იმაღლებდნენ, რაც უფრო პირველ რიგში დგებოდა კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხი, რომლებმაც გაზეთ «Assemblée Nationale»-ის სახით თავისთვის ყოველდღიური ოფიციალური ორგანო შეჰქმნეს და რომელნიც ამჟამადაც კი (1852 წ. თებერვალი) ისევ თავიანთ საქმეს განაგრძობენ, მთელ სიძნელეს ორივე დინასტიის წინააღმდეგობითა და მეტოქეობით ხსნიდნენ. ცდები ორლეანელების გვარის ჰანრი V-სთან შესარიგებლად, რომლებიც თუმცა ლუი ფილიპეს სიკვდილისთანავე დაიწყო, მაგრამ, ისე როგორც საერთოდ დინასტიური ინტრიგები, მხოლოდ ეროვნული კრების არდადეგების დროს წარმოებდა ანტრაქტებში, კულისებს უკან, და წარმოადგენდა უფრო სანტიმენტალურ კოხტაობას ძველი ცრურწმენით, ვიდრე სერიოზულ საქმეს, — ეს ცდები ახლა გადაიქცა მთავარ და სახელმწიფო საქმიანობის საგნად, რაც წესრიგის პარტიამ საჯარო სცენაზე გამოიტანა მანამდე სცენისმოყვარეთა თეატრში გათამაშების ნაცვლად. შიკრიკები დაჰქროდნენ პარიზიდან ვენეციაში, ვენეციიდან კლერმონში, კლერმონიდან პარიზში. გრაფი შამბორი მანიფესტს უშვებს, რომელშიც ის აცხადებს არა თავის, არამედ «ეროვნულ» რესტავრაციას «თავისი გვარეულობის ყველა წევრთა დახმარებით». ორლეანისტი სალვანდი ფეხქვეშ უვარდება ჰანრი V-ეს. ლეგიტიმისტთა მეთაურები: ბერიე, ბენუა დ'აზი და სენპრისტი კლერმონში მიემგზავრებიან, რომ ორლეანელები დაიყოლიონ, მაგრამ ამაოდ. შეერთების მომხრენი ნაგვიანევად რწმუნდებიან, რომ ბურჟუაზიის ორივე ფრაქციის ინტერესები არც განსაკუთრებულ ხასიათს ჰკარგავენ და არც დათმობით ხასიათს იძენენ, როდესაც ისინი საგვარეულო ინტერესების, ორი სამეფო სახლის ინტერესთა ფორმით გამოისახებიან. ჰანრი V-ეს რომ პარიზელი გრაფი თავის ტახტის მემკვიდრედ ეღიარებინა, — ეს კი ერთადერთი მიღწევაა, რის მოცემაც შეეძლო შეერთებას უმჯობეს შემთხვევაში, — ორლეანელთა სახლი ამით ვერაფერს მიიღებდა, გარდა იმისა, რაც მას უკვე უზრუნველყოფილი ჰქონდა ჰანრი V-ის უშვილობის გამო; მაგრამ სამაგიეროდ ის დაჰკარგავდა ყველა უფლებას, რაც მან ივლისის რევოლუციის მეოხებით მოიპოვა. ამით ის უარს განაცხადებდა თავის ძირითად უფლებებზე, ყველა იმ ტიტულზე, რაც მან მოიპოვა თითქმის საუკუ-

ნის ბრძოლით ბურბონთა უფროს შტოსთან, ის დათმობდა თავის ისტორიულ პრეროგატივს, თავისი საგვარეულო ხის პრეროგატივს. მაშასადამე, შეერთება სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არ ორლეანელთა სახლის ნებაყოფლობით უარს სამეფო ტახტზე, ლეგიტიმისტებისადმი მათს სრულ დამორჩილებას, მონანიებულ მოქცევას პოლიტიკური პროტესტანტობიდან კათოლიკობაში, — მოქცევას, რასაც ის იმ ტახტზეც კი არ აჰყავდა, რომელიც მან დაჰკარგა, არამედ იმ ტახტის საფეხურზე, რომელზეც ის დაიბადა. ძველი ორლეანისტი მინისტრები: გიზო, დიუშატელი და სხვ., რომელნიც აგრეთვე კლერმონისაკენ მიეჩქარებოდნენ შეერთების დასაცავად, ფაქტიურად განიცდიდნენ მხოლოდ ნაბახუსევ მდგომარეობას ივლისის რევოლუციის მიმართ, წარმოადგენდნენ გულგატეხილობას ბურჟუაზიული მონარქიით და ბურჟუას მონარქიით, ლეგიტიმისტურ ცრურწმენას, როგორც უკანასკნელ ავგაროზს, ანარქიის წინააღმდეგ. მათ თავი წარმოედგინათ შუამავლებად ორლეანელებსა და ბურბონებს შორის, სინამდვილეში კი, მხოლოდ გადამდგარი ორლეანისტები იყვნენ, და სწორედ ამ სახით მიიღო ისინი პრინცმა ჟუანვილმა. პირიქით, ორლეანისტების სიცოცხლისუნარიანმა, მებრძოლმა ნაწილმა, ტიერმა, ბაზემ და სხვ., მით უფრო ადვილად დაარწმუნა ლუი ფილიპეს გვარი იმაში, რომ, რაკი ყოველი უშუალო მონარქიული რესტავრაცია ორივე დინასტიის შეერთებას, ხოლო ყოველი ასეთი შეერთება ორლეანელთა სახლის მიერ თავის უფლებებზე უარისთქმას გულისხმობსო, — მის წინაპართა ტრადიციების სრულიად თანახმა იქნებოდა ის, რომ მას რესპუბლიკა ეცნო ჯერჯერობით და ელოდნა იმ დროისთვის, როდესაც მოვლენები შესაძლებელს გახდიდნენ საპრეზიდენტო სავარძელი ტახტად ყოფილიყო გადაქცეული. ჟუანვილის საპრეზიდენტო კანდიდატურის შესახებ ჯერ ხმა იქნა გავრცელებული, აღიძრა საზოგადოების ცნობისმოყვარეობა, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ, სექტემბერში, როდესაც კონსტიტუციის გადასინჯვა უარჰყვეს, ეს კანდიდატურა საჯაროდ იქნა გამოცხადებული.

ამრიგად, ორლეანისტებისა და ლეგიტიმისტების როიალისტური შეერთების ცდა არა თუ დაიმსხვრა, არამედ მან მათი პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ ი შ ე ე რ თ ე ბ ა, მათი გამაერთიანებელი რესპუბლიკური ფორმაც დაამსხვრია და წესრიგის პარტია ისევ მის პირვანდელ შემადგენელ ნაწილებად დაშალა. მაგრამ რაც უფრო იზრდებოდა კლერმონის და ვენეციის განკერძოება, რაც უფრო ფართოვ-

დებოდა განხეთქილება მათ შორის და ძლიერდებოდა ჟუანვილის სასარგებლოდ წარმოებული აგიტაცია, მით უფრო გულმოდგინე და სერიოზული ხდებოდა მოლაპარაკება ბონაპარტის მინისტრ ფოშესა და ლეგიტიმისტებს შორის.

წესრიგის პარტიის დაშლა არ შეჩერებულა მის ძირითად ელემენტებად დაშლაზე. თვითეული ეს ორი დიდი ფრაქცია, თავის მხრივ, ხელახლა იშლებოდა. თითქოს ყველა ძველი განშტოება, რომელიც წინათ ერთმანეთს ებრძოდა თვითეული ამ ორი ბანაკის, ლეგიტიმისტური და ორლეანისტური ბანაკის შიგნით, ისევ გამოცოცხლდა როგორც გამხმარი ინფუზორია წყლის შეხებისას, თითქოს მათ ახალი სასიცოცხლო ენერგია მიიღეს საკუთარი ჯგუფებისა და დამოუკიდებელ წინააღმდეგობათა შესაქმნელად. ლეგიტიმისტები ოცნებობდნენ იმ დროზე, როდესაც ადგილი ჰქონდა დავას ტიუილრის სასახლესა და მარსანის პავილიონს შორის, ვილელსა და პოლინიაკს შორის. ორლეანისტები კი ისევ განიცდიდნენ გიზოს, მოლეს, ბროლის, ტიერის და ოდილონ ბაროს შორის გამართული ტურნირების ოქროს ხანას.

წესრიგის პარტიის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციის გადასინჯვის მომხრე იყო, მაგრამ ამ გადასინჯვის საზღვრების შესახებ მთლიან შეხედულებას არ ატარებდა, შედგებოდა ლეგიტიმისტებისგან, ერთი მხრივ, ბერიეს და ვალუს და, მეორე მხრივ, ლაროშჟაკლენის მეთაურობით, და ბრძოლით დაღლილი ორლეანისტებისაგან, მოლეს, ბროლის, მონტალამბერის და ოდილონ ბაროს მეთაურობით; წესრიგის პარტიის ეს ნაწილი შეუთანხმდა ბონაპარტისტ წარმომადგენლებს შემდეგ გაურკვეველ და ფართოდ მოხაზულ წინადადებაზე: «ქვემორე ხელისმომწერ დეპუტატებს, იმ მიზნით, რომ ერს დაუბრუნდეს თავისი სუვერენობის სრული განხორციელების საშუალება, წინადადება შეაქვთ გადასინჯულ იქნეს კონსტიტუცია». მაგრამ იმავდროულად მათ, თავიანთი მომხსენებლის ტოკვილის მეშვეობით, ერთხმად განაცხადეს, რომ ეროვნულ კრებას უფლება არა აქვს წინადადება შეიტანოს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს გ ა უ ქ მ ე ბ ი ს შესახებ და რომ ეს უფლება ეკუთვნის მხოლოდ პალატას, როშელიც კონსტიტუციის გადასასინჯად არის შეკრებილიო. გარდა ამისა, — განაცხადეს მათ, — კონსტიტუცია შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ «კ ა ნ ო ნ ი ე რ ი» გ ზ ი თ, ესე იგი, თუ კონსტიტუციის მიერ დაწესებული ხმების სამი მეოთხედი მისცემს ხმას გადასინჯვის სასარგებლოდო. ექვსი დღის მღელვარე კამათის შემ-

დეგ, 19 ივლისს, გადასინჯვა, როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფილ იქნა. გადასინჯვას ხმა მისცა 446-მა, წინააღმდეგ კი — 278-მა. უკიდურესმა ორლეანისტებმა: ტიერმა, შანგარნიემ და სხვ., ხმა მისცეს რესპუბლიკელებთან და მთასთან ერთად.

ამრიგად, პარლამენტის უმრავლესობა კონსტიტუციის საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა, მაგრამ თვით ამ კონსტიტუციამ უმცირესობის სასარგებლოდ გამოთქვა აზრი და ამ უმცირესობის გადაწყვეტილება სავალდებულოდ გამოაცხადა. მაგრამ განა წესრიგის პარტიამ 1850 წლის 31 მაისს და 1849 წლის 13 ივნისს კონსტიტუცია პარლამენტურ უმრავლესობას არ დაუქვემდებარა? განა მთელი მისი მანამდელი პოლიტიკა კონსტიტუციის პარაგრაფების პარლამენტური უმრავლესობის გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებას არ ემყარებოდა? განა მან დემოკრატებს არ დაუთმო ძველი აღთქმისებური ცრურწმენა სიტყვასიტყვით კანონის შესახებ და დემოკრატები არ დასაჯა ამ ცრურწმენისათვის? მაგრამ ამ მომენტში კონსტიტუციის გადასინჯვა სხვას არას მოასწავებდა, გარდა პრეზიდენტის ხელისუფლების გაგრძელებისა, ისე როგორც კონსტიტუციის გაგრძელება სხვას არას ნიშნავდა, გარდა ბონაპარტის გადაყენებისა. პარლამენტი ბონაპარტის მხარეს დადგა, მაგრამ კონსტიტუცია პარლამენტის წინააღმდეგ წავიდა. ამრიგად, ბონაპარტი პარლამენტისებურად მოიქცა, როდესაც კონსტიტუცია დაფლითა, და კონსტიტუციისებურად მოიქცა, როდესაც პარლამენტი გარეკა.

პარლამენტმა კონსტიტუცია და მასთან ერთად თავისი საკუთარი ბატონობაც «უმრავლესობის გარეშე» გამოაცხადა; თავისი გადაწყვეტილებით მან გააუქმა კონსტიტუცია, გაახანგრძლივა პრეზიდენტის ხელისუფლება და თან განაცხადა: ვიდრე ვარსებობ, არც კონსტიტუცია მოკვდება და არც პრეზიდენტის ხელისუფლება იცოცხლებსო. მისი მომავალი მესაფლავენი კარებთან იდგნენ. როდესაც პარლამენტი კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხზე კამათობდა, ბონაპარტმა გენერალი ბარაგე დ'ილიე, რომელმაც გაუბედაობა გამოიჩინა, პირველი სამხედრო დივიზიის უფროსობიდან მოხსნა და მის ადგილას დანიშნა გენერალი მანიანი, ლიონში გამარჯვებული, დეკემბრის დღეების გმირი, ერთ-ერთი თავისი კრეატური, რომელმაც ჯერ კიდევ ლუი ფილიპეს მეფობაში, ბულონის ექსპედიციის დროს, მეტნაკლებ სახელი გაიტეხა ბონაპარტის სასარგებლოდ.

წესრიგის პარტიამ, თავისი გადაწყვეტილებით კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ, გამომაქლავნა, რომ მას არ ძალუძს არც ბატონობა და არც მომსახურეობა, არც სისცოცხლე და არც სიკვდილი, არც რესპუბლიკის ატანა და არც მისი დამხობა, არც კონსტიტუციის შენარჩუნება და არც მისი გაუქმება, არც პრეზიდენტთან შეგუება და არც მისგან გათიშვა. ვისგან მოელოდა ის ყველა წინააღმდეგობათა გადაჭრას? კალენდრისგან, მოვლენათა მსვლელობისგან. მან უარი თქვა ხელთ პყრობოდა ძალა მოვლენების მიმართ. ამგვარად, მან გამოიწვია მოვლენები მასზე ძალადობის მოსახდენად, მაშასადამე, გამოიწვია ძალა, რომლის ატრიბუტებზე მან თანდათან ხელი აიღო ხალხთან ბრძოლაში, ვიდრე თვით სრულიად უღონო არ აღმოჩნდა მის წინაშე. და რათა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს მით უფრო მშვიდად შეძლებოდა მის წინააღმდეგ საბრძოლო გეგმის გამომუშავება, თავდასასხმელ საშუალებათა გაძლიერება, იარაღის შერჩევა და პოზიციების გამაგრება, წესრიგის პარტიამ სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში დაადგინა ასპარეზს მოშორებოდა, და სხდომები სამი თვით გადადო, 10 აგვისტოდან 4 ნოემბრამდე.

პარლამენტური პარტია არა თუ ორ დიდ ფრაქციად და თვითეული ეს ფრაქცია თავის მხრივ ჯგუფებად დაიშალა, არამედ წესრიგის პარტია დაიშალა წესრიგის პარტიად პარლამენტში და წესრიგის პარტიად პარლამენტს გ ა რ ე თ, ბურჟუაზიის ორატორები და მწერლები, მისი ტრიბუნა და პრესა, მოკლედ — ბურჟუაზიის იდეოლოგები და თვით ბურჟუაზია, წარმომადგენელნი და წარდგენილნი უცხონი შეიქნენ ერთმანეთისათვის და მათ ერთმანეთის აღარაფერი გაეგებოდათ.

პროვინციელი ლეგიტიმისტები, თავიანთი ვიწრო ჰორიზონტით და უსაზღვრო ენთუზიაზმით, თავიანთ პარლამენტურ ბელადებს, ბერიეს და ფალუს, ბრალს დებდნენ იმაში, რომ ისინი ბონაპარტის ბანაკში გადავიდნენ და ჰანრი V-ეს უღალატეს. მათს შროშანას თაყვანისმცემელ გონებას შეცოდება წამდა, მაგრამ დიპლომატია კი არა.

გაცილებით უფრო საბედისწერო და გადამჭრელი იყო სავაჭრო ბურჟუაზიის გათიშვა მისი პოლიტიკოსებისაგან. ამ უკანასკნელთ ისინი იმას კი არ უსაყვედურებდნენ, როგორც ამას ლეგიტიმისტები ჩადიოდნენ თავიანთი პოლიტიკოსების მიმართ, პრინციპს

ღალატობთო, არამედ, პირიქით, უსარგებლოდ ქცეულ პრინციპებს. იცავთო.

მე წინათ უკვე აღვნიშნე, რომ ფულდის სამინისტროში შესვლის დროიდან სავაჭრო ბურჟუაზიის ის ნაწილი, რომელმაც ლუი ფილიპეს ბატონობიდან ლომის წილი მიიღო, — ფინანსური არისტოკრატია, ბონაპარტისტული შეიქნა. ფულდი არა მარტო ბონაპარტის ინტერესებს იცავდა ბირჟაზე, არამედ ამავე დროს ის ბირჟის ინტერესებსაც იცავდა ბონაპარტთან. ფინანსური არისტოკრატიის განწყობილებას ყველაზე ნათლად ახასიათებს ციტატი, აღებული მისი ევროპული ორგანოდან, ლონდონის «Economist»-იდან. 1851 წლის 1 თებერვლის ნომერში პარიზელი კორესპონდენტი წერს: «ახლა ყოველი მხრიდან ამას აღნიშნავენ: საფრანგეთი, უწინარეს ყოვლისა, სიმშვიდეს საჭიროებსო. ამის შესახებ აცხადებს პრეზიდენტი საკანონმდებლო კრებისადმი მიმართულ ეპისტოლეში, იგივე გაისმის ეხოს სახით ეროვნული საორატორო ტრიბუნიდან, ამის შესახებ ღაღადებენ გაზეთები და ამასვე ქადაგებენ ამბიონიდან, ამას ადასტურებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მგრძნობიარობა მღელვარების მცირეოდენი მოსალოდნელობისას და მათი მყარი კურსი, აღმასრულებელი ხელისუფლების გამარჯვებისას».

1851 წლის 29 ნოემბრის ნომერში «Economist»-ი თავისი სახელით აცხადებს: «ევროპის ყველა ბირჟაზე პრეზიდენტი ახლა წესრიგის გუშაგად არის აღიარებულიო». ამრიგად, ფინანსური არისტოკრატია გმობდა წესრიგის პარტიის პარლამენტურ ბრძოლას აღმასრულებელ ხელისუფლებასთან როგორც წესრიგის დარღვევას და ზეიმობდა პრეზიდენტის ყოველ გამარჯვებას თავის ვითომდა წარმომადგენლებზე როგორც წესრიგის გამარჯვებას. ამასთანავე ფინანსურ არისტოკრატიად აქ უნდა გვესმოდეს არა მარტო მსხვილი მოსაქმენი სახელმწიფო სესხებში და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სპეკულანტები, —თავისთავად ცხადია, რომ ამათი ინტერესები სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესებს თანაემთხვევა. მთელი თანამედროვე ფულადი საქმე, მთელი საბანკო მეურნეობა უმჭიდროეს კავშირშია სახელმწიფო კრედიტთან. საბანკო კაპიტალის ნაწილი აუცილებლობის გზით თავსდება ადვილად გასანაღდებელ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებ-

ში და სარგებელი მოაქვს. ბანკის დეპოზიტები და ბანკის განკარგულებაში გადასული და მის მიერ ვაჭარ-მრეწველებს შორის განაწილებული კაპიტალი ნაწილობრივ სახელმწიფო რენტიეთა დივიდენდებისაგან შედგება. თუ ყოველ ეპოქაში სახელმწიფო ხელისუფლების სიმტკიცე მოსეს და წინასწარმეტყველთ წარმოადგენდა ფულის ბაზრისა და მისი ქურუმებისთვის, მით უფრო ახლა, როდესაც ყოველი წარღვნა ძველ სახელმწიფოებთან ერთად ძველი სახელმწიფო ვალების წალეკვასაც იმუქრება.

ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ც, წესრიგის ფანატიზმით აღსავსე, გულისწყრომას გამოთქვამდა პარლამენტური წესრიგის პარტიის კინკლაობის გამო აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. ტიერმა, ანგლემ, სენტ-ბევმა და სხვ., შანგარნიეს გადაყენების გამო 18 იანვარს მომხდარი კენჭის ყრის შემდეგ, სწორედ სამრეწველო ოლქების თავიანთ ამრჩეველთაგან საჯარო საყვედური მიიღეს, რომელშიც განსაკუთრებით მათი კოალიცია მთასთან დაგმობილი იყო, როგორც წესრიგის ღალატი. თუ, როგორც ჩვენ დავინახეთ, მკვეხარა კინკლაობა და წვრილმანი ინტრიგა, რაშიც გამოიხატებოდა წესრიგის პარტიის ბრძოლა პრეზიდენტთან, უკეთესი მოპყრობის ღირსი არ იყო, მეორე მხრივ, ეს ნაწილი ბურჟუაზიისა, რომელიც თავისი წარმომადგენლებისგან მოითხოვდა წინააღმდეგობის გაუწევლად გადაეცათ სამხედრო ძალა თავისი საკუთარი პარლამენტის ხელიდან ავანტიურისტი პრეზიდენტის ხელში, იმ ინტრიგების ღირსიც არ იყო, რაც მის ინტერესთა სასარგებლოდ წარმოებდა. ბურჟუაზიამ დაამტკიცა, რომ ბრძოლა მისი საზოგადოებრივი ინტერესებისთვის, მისი საკუთარი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ინ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს თ ვ ი ს, მ ი ს ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ძ ალ ა-უ ფ ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს მისთვის თავშემაბეზრებელია და შემაწუხებელი, ვინაიდან ეს მის კერძო საქმეებს აფერხებს.

სადეპარტამენტო ქალაქების ბურჟუაზიული წარჩინებულნი, ქალაქის საბჭოები, კომერციული სასამართლოს წევრები და სხვ., თითქმის გამოუკლებლივ, ყურმოჭრილ მონასავით ხვდებოდნენ ბონაპარტს მისი მგზავრობის დროს ყველგან, თვით დიჟონშიც კი, სადაც ის ულმობლად ძრახავდა ეროვნულ კრებას და განსაკუთრებით წესრიგის პარტიას.

სანამ ვაჭრობა კარგად მიდიოდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1851 წლის დასაწყისში, სავაჭრო ბურჟუაზია ყოველგვარი პარლამენტური ბრძოლის წინააღმდეგ ილაშქრებდა: ვაჭრო-

ბა არ შეფერხდესო. თუ ვაჭრობის საქმე ცუდად მიდიოდა, — ეს კი მუდმივ მოვლენად გადაიქცა 1851 წლის თებერვლის ბოლოდან, — სავაჭრო ბურჟუაზია პარლამენტურ ბრძოლას უჩიოდა როგორც ვაჭრობის შეფერხების მიზეზს და ხმამაღლა მოითხოვდა ამ ბრძოლის შეწყვეტას, რომ ვაჭრობა ისევ გამოცოცხლებულიყო. კამათი კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხის გამო სწორედ ამ ცუდ დროს წარმოებდა. ვინაიდან აქ საკითხი შეეხებოდა არსებული სახელმწიფოებრივი ფორმის ყოფნა-არყოფნას, ამიტომ ბურჟუაზია მით უფრო უფლებამოსილად თვლიდა თავს, მოეთხოვა თავისი წარმომადგენლებისგან ბოლო მოეღოთ ამ მტანჯველი დროებითობისთვის და თან არსებული ვითარება დაეცვათ. აქ არავითარი წინააღმდეგობა არ იყო. დროებითობის ბოლოდ მას მიაჩნდა სწორედ მისი გახანგრძლივება, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შორეული მომავლისთვის გადადება. არსებული ვითარების დაცვა მხოლოდ ორი გზით შეიძლებოდა: ბონაპარტის ხელისუფლების გაგრძელებით ან კონსტიტუციის თანახმად მისი გადაყენებით და კავენიაკის არჩევით. ბურჟუაზიის ნაწილი ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებას ემხრობოდა, მაგრამ თავის წარმომადგენლებს ამაზე უკეთესი ვერაფერი ურჩია: დადუმდით, მწვავე საკითხს ნუ გაეკარებითო. მას ასე წარმოედგინა: თუ ჩემი წარმომადგენლები არ ილაპარაკებენ, არც ბონაპარტი იმოქმედებსო. მას სურდა სირაქლემების პარლამენტი ჰყოლოდა, რომელიც მხოლოდ თავს დამალავდა, რომ არავის დაენახა. ბურჟუაზიის მეორე ნაწილს სურდა, რომ ბონაპარტი, რაკი ის უკვე საპრეზიდენტო სავარძელში იჯდა, იმავე სავარძელში დაეტოვებინა, რათა ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო. ის აღშფოთებული იყო იმით, რომ მისმა პარლამენტმა აშკარად არ დაარღვია კონსტიტუცია და იგი ცერემონიის გარეშე არ გადადგა.

დეპარტამენტების გენერალურმა საბჭოებმა, მსხვილი ბურჟუაზიის ამ პროვინციულმა წარმომადგენლობამ, რომელსაც ეროვნული კრების არდადეგების დროს, 25 აგვისტოდან, ჰქონდა სხდომები, თითქმის ერთხმად მოითხოვა კონსტიტუციის გადასინჯვა, მაშასადამე, გამოთქვა აზრი პარლამენტის წინააღმდეგ და ბონაპარტის სასარგებლოდ.

კიდევ უფრო არაორაზროვანი, ვიდრე გათიშვა თავისი პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ ი წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ ი ს გ ა ნ, იყო ბურჟუაზიის გულისწყრომა მის ლიტერატურულ წარმომადგენელთა მიმართ, საკუთარი პრესის მიმართ. არა მარტო საფრანგეთს, არა-

შედ მთელ ევროპასაც კი აოცებდა ის უზომო ფულადი ჯარიმა და უტიფარი ხანგრძლივი დაპატიმრება, რასაც ბურჟუა ნაფიცი მოსამართლენი მიუსჯიდნენ ხოლმე ბურჟუა-ჟურნალისტებს ყოველგვარი გალაშქრებისთვის ბონაპარტის უზურპატორული გულისთქმის წინააღმდეგ, პრესის ყოველგვარი ცდისთვის: დაეცვა ბურჟუაზიის პოლიტიკური უფლებები აღმასრულებელი ხელისუფლების წინააღმდეგ.

თუ წესრიგის პარლამენტური პარტია, როგორც აღვნიშნე, სიმშვიდის შესახებ ყიჟინით თვით თავის თავს მოუწოდებდა უმოქმედობისაკენ; თუ მან ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობა ბურჟუაზიის უშიშროებასა და არსებობასთან შეუთავსებლად გამოაცხადა და საზოგადოების სხვა კლასებთან ბრძოლაში საკუთარივე ხელით მოსპო თავისი საკუთარი რეჟიმის, პარლამენტური რეჟიმის არსებობის ყველა პირობა, სამაგიეროდ, ბურჟუაზიის პარლამენტს გარეშე მასამ პრეზიდენტისადმი ყურმოჭრილი მორჩილებით, პარლამენტის გაკილვით და საკუთარი პრესის მკაცრი დევნით ბონაპარტი გამოიწვია თავის შეხედულებათა სიტყვიერად და წერილობით გამომთქმელი მისი ნაწილის, მისი პოლიტიკური მოღვაწეების და ლიტერატორების, მისი საორატორო ტრიბუნების და პრესის დასათრგუნად და მოსასპობად, რომ ამით მას, ძლიერი და შეუზღუდველი მთავრობის საფარველს ქვეშ, მშვიდად შესძლებოდა კერძო საქმეების წარმართვა. მან არაორაზროვნად განაცხადა, რომ სურს თავი გაინთავისუფლოს თავისი საკუთარი პოლიტიკური ბატონობისგან, რათა ამ ბატონობასთან დაკავშირებული ზრუნვა და საფრთხე თავიდან მოიშოროს.

და ეს პარლამენტისგარეშე ბურჟუაზია, რომელიც მისი საკუთარი კლასის ბატონობისთვის წარმოებული მარტოოდენ პარლამენტური და ლიტერატურული ბრძოლის გამოც კი აღშფოთებას გამოთქვამდა და რომელმაც ამ ბრძოლის ბელადებს უღალატა, — ეს ბურჟუაზია ბედავს ახლა პროლეტარიატს უსაყვედუროს იმის გამო, რომ ის მისი გულისათვის არ ჩაება სისხლიან, სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლაში! ეს ბურჟუაზია, რომელიც თავის საერთო კლასობრივ ინტერესს, ე. ი. პოლიტიკურ ინტერესს ყოველ წუთში მსხვერპლად წირავდა სულ ვიწრო და უბინძურეს კერძო ინტერესს და ასეთსავე მსხვერპლს მოითხოვდა თავის წარმომადგენელთაგან, — ეს ბურჟუაზია ჰგოდებს ახლა: პროლეტარიატმა თა-

ვის მატერიალურ ინტერესებს ამსხვერპლა თავისი იდეალური პოლიტიკური ინტერესებიო. მას თავი მოაქვს კეთილშობილ არსებად, რომელიც ვერ სცნო სოციალისტების მიერ შეცდომაში შეყვანილმა პროლეტარიატმა და მას გადამჭრელ მომენტში ზურგი შეაქცია. და მისი გოდება საერთო გამოძახილს პოულობს ბურჟუაზიულ სამყაროში. მე აქ, რა თქმა უნდა, არ ვლაპარაკობ გერმანელ ლაქლაქა პოლიტიკოსებზე და ქარაფშუტებზე. მოვიყვან, მაგალითად, იმავე «Economist»-ს, რომელიც ჯერ კიდევ 1851 წლის 29 ნოემბერს, მაშასადამე, ოთხი დღით ადრე სახელმწიფო გადატრიალებამდე, ბონაპარტს «წესრიგის გუშაგად», ხოლო ტიერებს და ბერრიებს «ანარქისტებად» აცხადებდა, და 1851 წლის 27 დეკემბერს კი, მას შემდეგ რაც ბონაპარტმა ეს ანარქისტები დააწყნარა, გაჰყვირის ღალატზე, რომელიც «უვიც, უზრდელ და ბრიყვ პროლეტართა მასამ ჩაიდინა საზოგადოების საშუალო და მაღალი ფენების უნარის, ცოდნის, დისციპლინის, სულიერი გავლენის, გონებრივი ავლა-დიდების და მორალური წონის მიმართ». ბრიყვი, გაუზრდელი და მდაბალი მასა სხვა არავინ იყო, თუ არ თვით ბურჟუაზიული მასა.

მართალია, 1851 წელს საფრანგეთმა ერთგვარი მცირე სავაჭრო კრიზისი განიცადა. თებერვლის ბოლოს ექსპორტი შემცირდა 1850 წელთან შედარებით, მარტში ვაჭრობა შეფერხდა და ფაბრიკები დაიკეტა, აპრილში სამრეწველო დეპარტამენტების მდგომარეობა ისეთივე უიმედო ჩანდა, როგორც თებერვლის დღეების შემდეგ, მაისში საქმიანობა ვერ გამოცოცხლდა, ხოლო ჯერ კიდევ 28 ივნისს საფრანგეთის ბანაკის პორტფელი, ანაბრების უზომო ზრდისა და სათამასუქო სესხის გაცემის ასევე დიდი შემცირების გამო, წარმოების გაყინვას მოწმობდა, და მხოლოდ ოქტომბრის შუა რიცხვებში იწყო თანდათანი გაუმჯობესება სავაჭრო საქმიანობამ. საფრანგეთის ბურჟუაზია ვაჭრობის ამ შეფერხებას წმინდა პოლიტიკური მიზეზებით ხსნიდა: ბრძოლით პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, გარდამავალი სახელმწიფოებრივი ფორმის არამყარი ხასიათით, 1852 წლის მაისის მეორე კვირის საშიში პერსპექტივით. მე არ მსურს უარვყო, რომ ყველა ამ გარემოებას შემავიწროებელი გავლენა ჰქონდა მრეწველობის ზოგიერთ დარგზე პარიზსა და დეპარტამენტებში. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურ გარემოებათა ზეგავლენა მხოლოდ ლოკალური და უმნიშვნელო იყო. ამისი საუკეთესო დამადასტურებელია ის, რომ

ვაჭრობის გაუმჯობესება სწორედ შუა ოქტომბერში დაიწყო, — ისეთ მომენტში, როდესაც პოლიტიკური ვითარება გაუარესდა, პოლიტიკურ ჰორიზონტზე მოიღრუბლა და ყოველ წუთში მეხის გავარდნა იყო მოსალოდნელი ელისეს სასახლის მხრიდან. სხვა მხრივ, ფრანგ ბურჟუას, რომლის «უნარი, ცოდნა, სულიერი გამჭრიახობა და გონებრივი ავლა-დიდება» მის ცხვირს იქით არ სწვდება, შეეძლო ლონდონის სამრეწველო გამოფენის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში ცხვირი ჩაერგო თავის სავაჭრო უბედურებათა მიზეზებში და ისინი დაენახა. მაშინ როდესაც საფრანგეთში ფაბრიკები იხურებოდა, ინგლისში სავაჭრო გაკოტრებებს ჰქონდა ადგილი. მაშინ როდესაც სამრეწველო პანიკამ უმაღლეს წერტილს მიაღწია საფრანგეთში აპრილსა და მაისში, ინგლისში იმავე აპრილსა და მაისში სავაჭრო პანიკამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. როგორც საფრანგეთში, ისე ინგლისში ზარალს განიცდიდა შალეულის მრეწველობა და აბრეშუმის მანუფაქტურა. ინგლისის ბამბის საქსოვი ფაბრიკები მუშაობას განაგრძობდნენ, მაგრამ, ისინი ველარ იღებდნენ ისეთ მაღალ მოგებას, როგორც 1849 და 1850 წლებში. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ საფრანგეთში სამრეწველო კრიზისი იყო, ხოლო ინგლისში — სავაჭრო, რომ საფრანგეთში ფაბრიკები იხურებოდა, ხოლო ინგლისში — ფართოვდებოდა, მაგრამ უფრო არახელსაყრელ პირობებში, ვიდრე წინა წლებში; რომ საფრანგეთში უმთავრესად ექსპორტი დაზარალდა, ინგლისში — იმპორტი. საერთო მიზეზი, რომელიც, რა თქმა უნდა, საფრანგეთის პოლიტიკური ჰორიზონტის ფარგლებს შიგნით არ უნდა ვეძიოთ, ცხადი იყო. 1849 და 1850 წლები იყო წლები დიდი მატერიალური აყვავებისა და ჭარბი წარმოებისა, რომელიც როგორც ასეთი მხოლოდ 1851 წელს გამომჟღავნდა. ეს ჭარბი წარმოება განსაკუთრებით გაძლიერდა ამ წლის დასაწყისში, სამრეწველო გამოფენის მოლოდინის გამო. ამას გარდა, მხედველობაშია მისაღები შემდეგი თავისებური გარემოებები: ჯერ ბამბის მოუსავლობა 1850 და 1851 წლებში, შემდეგ კი უფრო დიდი მოსავლის იმედი, ვიდრე მოსალოდნელი იყო, ბამბის ფასების ჯერ აწევა, შემდეგ — უეცარი დაცემა, ერთი სიტყვით, ბამბის ფასების მერყეობა. აბრეშუმის პარკი, ყოველ შემთხვევაში საფრანგეთში, საშუალოზე ნაკლები რაოდენობით იქნა მოწეული. დასასრულ, შალეულის მანუფაქტურა 1848 წლიდან ისე დიდად გაფართოვდა, რომ მატყლის წარმოებამ ვერ შესძლო მისი მიყოლა და მატყლის ფასი უჩვეულოდ გაი-

ზარდა შალის ფაბრიკატების ფასთან შედარებით. ამრიგად, ჩვენ გვაქვს სამი მსოფლიო-საბაზრო მრეწველობის ნედლი მასალის სახით სამმაგი მასალა სავაჭრო შეფერხებისათვის. ამ საგანგებო გარემოებათა გარეშე, 1851 წლის მოჩვენებითი კრიზისი სხვა არაფერი იყო, თუ არა შეყოვნება, რასაც ჭარბი წარმოება და უზომო სპეკულაცია აკეთებს ყოველთვის სამრეწველო წრებრუნვის მოხაზვისას, ვიდრე ის ყველა თავის ძალთა დაჭიმვით ამ წრის უკანასკნელ ნაკვეთს ფიცხლად გაირბენდეს და თავის გამოსავალ წერტილს, ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ა ვ ა ჭ რ ო კ რ ი ზ ი ს ს, დაუბრუნდებოდეს. ვაჭრობის ისტორიის ასეთ შუალედ პერიოდებში ინგლისში სავაჭრო გაკოტრებებს აქვს ადგილი, მაშინ როდესაც საფრანგეთში თვით მრეწველობა ჩერდება, — ნაწილობრივ იმიტომ, რომ ყველა ბაზრიდან მას აძევებს ინგლისელთა კონკურენცია, რომელიც სწორედ ამ დროს აუტანელი ხდება, ნაწილობრივაც იმიტომ, რომ ის, როგორც ფუფუნების საგანთა მრეწველობა, საქმიანობის ყოველგვარ შეფერხებას განსაკუთრებით განიცდის. ამრიგად, საფრანგეთი, საყოველთაო კრიზისებს გარდა, თავის საკუთარ ეროვნულ სავაჭრო კრიზისებსაც განიცდის, რომელნიც უფრო მსოფლიო ბაზრის საერთო მდგომარეობით განისაზღვრებიან, ვიდრე საფრანგეთის ლოკალური ზეგავლენით. ინტერესს მოკლებული არ იქნება ის, რომ ფრანგი ბურჟუას აკვიატებულ აზრს ინგლისელი ბურჟუას მსჯელობა დავუპირისპიროთ. ლივერპოლის ერთი მეტად მსხვილი სავაჭრო სახლი თავის 1851 წლის წლიურ სავაჭრო ანგარიშში წერს: «იშვიათად თუ რომელიმე წელიწადს ისე გაუცრუებია მასზე დასაწყისში დამყარებული იმედები, როგორც გასულ წელს; დიდი აყვავების ნაცვლად, რასაც ერთხმად მოელოდნენ, ის ყველაზე უარესი წელთაგანი აღმოჩნდა ამ უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში. ეს შეეხება, რასაკვირველია, მხოლოდ სავაჭრო და არა სამრეწველო კლასებს. და მაინც საკმაო საფუძველი არსებობდა იმისთვის, რომ წლის დასაწყისში საწინააღმდეგო შედეგების იმედი ყოფილიყო; პროდუქტთა მარაგი მცირე იყო, კაპიტალი — უამრავი, საკვები საშუალებანი — იაფი, ბარაქიანი შემოდგომა — უზრუნველყოფილი; დაურღვეველი სიმშვიდე კონტინენტზე და არავითარი პოლიტიკური ან ფინანსური დაბრკოლება შინ; მართლაცდა საფიქრელი იყო, რომ ვაჭრობას შეეძლო ისე ფართოდ გაეშალა ფრთები, როგორც არასდროს. რას უნდა მიეწეროს არასასურველი შედეგი? ჩვენი აზრით, — ჭ ა რ ბ ვ ა ჭ რ ო ბ ა ს რო-

გორც იმპორტის, ისე ექსპორტის მხრივ. თუ ჩვენი ვაჭრები თავიანთ საქმიანობას თვითვე არ მოაქცევენ უფრო ვიწრო ფარგალში, ვერაფერი ვერ შესძლებს ჩვენი წონასწორობის დაცვას, გარდა ყოველ სამ წელში გამეორებული პანიკისა».

ახლა წარმოვიდგინოთ ფრანგი ბურჟუა, თუ ამ სავაჭრო პანიკის შუაგულში მის ავადმყოფ ტვინს როგორ სჯიჯგნიან, უჭრიჭინებენ და აყრუებენ მითქმა-მოთქმით სახელმწიფო გადატრიალებისა და საყოველთაო საარჩევნო უფლების აღდგენის შესახებ, პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის წარმოებული ბრძოლის შესახებ, ორლეანისტების და ლეგიტიმისტების ინტრიგების შესახებ, კომუნისტურ შეთქმულებათა შესახებ სამხრეთ საფრანგეთში, მოჩვენებითი გლეხთა ამბოხებების შესახებ ნიევრის და შერის დეპარტამენტში, სხვადასხვა საპრეზიდენტო კანდიდატთა რეკლამების შესახებ, გაზეთების საბაზრო მყვირალა ლოზუნგების შესახებ, რესპუბლიკელთა მუქარის შესახებ: იარაღით ხელში დავიცავთ კონსტიტუციას და საყოველთაო საარჩევნო უფლებასო, უცხოეთში გაქცეული გმირების ეპისტოლეთა შესახებ, რომლებიც ქვეყნის დაღუპვას 1852 წლის მაისის მეორე კვირისათვის წინასწარმეტყველობენ, — და ყოველივე ამის შემდეგ ადვილად გავიგებთ, რომ შეერთების, კონსტიტუციის გადასინჯვის, კონსტიტუციის გაგრძელების, თვით კონსტიტუციის, შეთქმულების, კოალიციის, ემიგრაციის, უზურპაციის და რევოლუციის ამ აუწერელ და ხმაურა ორომტრიალში ბურჟუაზია თავის პარლამენტურ რესპუბლიკას გაცოფებული შეჰყვირის; «უ მ ჯ ობ ე ს ი ა ს ა შ ი ნ ე ლ ი ბ ო ლ ო, ვ ი დ რ ე დ ა უ ბ ო ლ ო ე ბ ე ლ ი ს ა შ ი ნ ე ლ ე ბ ა!».

ბონაპარტი მიხვდა ამ ყვირილს. მისი მიხვედრილობა კიდევ უფრო გამახვილდა კრედიტორთა მზარდი უკმაყოფილობის გამო, რომელნიც მზის ყოველ ჩასვლას, რაც ბონაპარტის პრეზიდენტობის უკანასკნელ დღეს 1852 წლის მაისის მეორე კვირას აახლოვებდა, ცის მანათობელის პროტესტად თვლიდნენ თავიანთ ამქვეყნიურ თამასუქთა წინააღმდეგ. ისინი ნამდვილი ასტროლოგები შეიქნენ. ეროვნულმა კრებამ ბონაპარტს მისი ხელისუფლების კონსტიტუციური გაგრძელების იმედი დაუკარგა; პრინც ჟუანვილის კანდიდატურა მეტხანს ყოყმანის ნებას აღარ იძლეოდა.

თუ ოდესმე რაიმე მოვლენას თავის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე თავის წინ თავისივე ჩრდილი წაუსროლია, ასეთი მოვლენა იყო

სწორედ ბონაპარტის სახელმწიფო გადატრიალება. უკვე 1849 წლის 29 იანვარს, თითქმის ერთი თვის შემდეგ მისი არჩევიდან, ბონაპარტმა შანგარნიეს მისცა ამის შესახებ წინადადება. მისი საკუთარი პირველი მინისტრი ოდილონ ბარო 1849 წლის ზაფხულზე ფარულად, ხოლო ტიერი 1850 წლის ზამთარში აშკარად ამხილებდა სახელმწიფო გადატრიალების პოლიტიკას. 1851 წლის მაისში პერსინიმ ერთხელ კიდევ სცადა შანგარნიე მიემხრო გადატრიალების სასარგებლოდ, ხოლო «Messáger de l' Assemblée» [1]-მ ეს მოლაპარაკება გამოაქვეყნა. ბონაპარტისტული გაზეთები ყოველი პარლამენტური ქარიშხლის დროს სახელმწიფო გადატრიალებით იმუქრებოდნენ, და რაც უფრო ახლოვდებოდა კრიზისი, მით უფრო თამამი ხდებოდა ტონი. ორგიებში, რომლებსაც ბონაპარტი ყოველ ღამე მართავდა ორივე სქესის ფრანტ ჯიბგირებთან ერთად, როგორც კი შუაღამე მოახლოვდებოდა და ღვინის ყლაპვა მომლხენთ ენას გაუხსნიდა და ფანტაზიას აღუნთებდა, სახელმწიფო გადატრიალება მეორე დილისთვისვე ინიშნებოდა. ხმლებს აშიშვლებდნენ, ჭიქები წკარუნობდნენ, სახალხო წარმომადგენლებს ფანჯრიდან ისროდნენ, იმპერატორის მანტია ბონაპარტის მხრებს წამოესხმოდა, ვიდრე მოახლოებული დილა მოჩვენებას ისევ არ გაჰფანტავდა და გაოცებული პარიზი ყბედ ვესტალებისაგან და ენაგრძელი პალადინებისგან არ გაიგებდა იმ ხიფათს, რომელიც მას ერთხელ კიდევ აცდა. სექტემბერსა და ოქტომბერში ხმები სახელმწიფო გადატრიალების შესახებ არ მიწყნარებულა. ჩრდილი კი ამავე დროს საღებავით იფარებოდა, ჭრელი დაგეროტიპის მსგავსად. ნახეთ სექტემბრის და ოქტომბრის თვეების ევროპის ყოველდღიური გაზეთები და იქ სიტყვასიტყვით შემდეგს ამოიკითხავთ: «ხმებით სახელმწიფო გადატრიალების შესახებ სავსეა პარიზი. ამბობენ, რომ დედაქალაქი ღამით ჯარით უნდა აივსოსო და მეორე დილით დეკრეტი გამოიცეს, რომლის თანახმად ეროვნული კრება დათხოვნილი იქნება, სენის დეპარტამენტი საალყო მდგომარეობაში გამოცხადდება, საყოველთაო საარჩევნო უფლება აღდგება და ეს დეკრეტი ხალხისადმი იქნება მიმართულიო. ამბობენ, რომ ბონაპარტი მინისტრებს ეძებს ამ უკანონო დეკრეტის განსახორციელებლადაო!» კორესპოდენციებს, რომელთაც ეს ცნო-

[1] «Messager de l'Assemblée» («კრების მოამბე»)—ყოველდღიური გაზეთი ანტიბონაპარტისტული მიმართულებისა, გამოდიოდა პარიზში 1851 წ. რედ.

ბები მოაქვთ, ყოველთვის საბედისწერო ბოლო აქვთ: «გ ა დ ა დ ე-ბ უ ლ ი ა ო». სახელმწიფო გადატრიალება მუდამ ბონაპარტის აჩემებული იდეა იყო. ამ იდეით შემოდგა მან ფეხი ხელახლა საფრანგეთის მიწაზე. ის იმდენად გამსჭვალული იყო ამ აზრით, რომ იგი მას ყოველთვის წამოცდებოდა და წამოროშავდა. ის იმდენად სუსტი იყო, რომ ასევე ყოველთვის ხელს იღებდა მასზე. პარიზელები ისე შეეჩვივნენ სახელმწიფო გადატრიალების ჩრდილს, როგორც მოჩვენებას, რომ მათ აღარ სურდათ ის დაეჯერებინათ მაშინაც კი, როდესაც, დაბოლოს, ის სისხლხორცშესხმული გამოცხადდა. მაშასადამე, სახელმწიფო გადატრიალება რომ მოხდა, ეს არ აიხსნება არც ათი დეკემბრის საზოგადოების მეთაურის მკაცრი თავდაჭერილობით და არც იმით, რომ ეროვნული კრებისთვის ეს ანაზდეულობა იყო. თუ ის მოხდა, მოხდა ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი ს რ ო შ ვ ი ს ა და ე რ ო ვ ნ უ ლ ი კ რ ე ბ ი ს მიერ ამბის მოსალოდნელობის წინასწარი ცოდნისდა მიუხედავად, როგორც წინა მოვლენათა განვითარების აუცილებელი, გარდაუვალი შედეგი.

10 ოქტომბერს ბონაპარტმა თავის მინისტრებს აუწყა გადაწყვეტილება: საყოველთაო საარჩევნო უფლება უნდა აღვადგინოვო; 16 ოქტომბერს მინისტრები გადადგნენ, 26 ოქტომბერს პარიზმა გაიგო ტორინის სამინისტროს შედგენა. იმავდროულად პოლიციის პრეფექტის კარლიეს ნაცვლად მოპა იქნა დანიშნული, ხოლო პირველი სამხედრო დივიზიის უფროსმა მანიანმა საიმედო ათასეულებს დედა-ქალაქში მოუყარა თავი. 4 ნოემბერს ეროვნულმა კრებამ განაახლა თავისი სხდომები. მას სხვა არაფერი რჩებოდა გასაკეთებელი, რომ გავლილი კურსი მოკლე და სხარტი კონსპექტით გაემეორებინა და დაემტკიცებინა, რომ ის მოკვდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიმარხა.

პირველი პოზიცია, რომელიც ეროვნულმა კრებამ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ბრძოლაში დაჰკარგა, სამინისტრო იყო. კრება იძულებული იყო ზეიმით ეღიარებინა ეს დანაკარგი, ვინაიდან სავსებით სცნო ტორინის ფიქციური სამინისტრო. მუდმივი კომისია სიცილით შეხვდა ბ-ნ ჟიროს, რომელიც მას ახალ მინისტრთა სახელით წარუდგა. ასეთი სუსტი სამინისტრო ასე ძლიერი ღონისძიებისთვის, როგორიცაა საყოველთაო საარჩევნო უფლების აღდგენა! მაგრამ საქმე იმას შეეხებოდა, რომ არაფერი გაკეთებულიყო პარლამენტის ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ და ყველაფერი პარლამენტის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ყოფილიყო გატარებული.

გახსნის პირველსავე დღეს ეროვნულმა კრებამ ბონაპარტის ეპისტოლე მიიღო, რომელშიც ის საყოველთაო საარჩევნო უფლების აღდგენას და 1850 წლის 31 მაისის კანონის გაუქმებას მოითხოვდა. იმავე დღეს მისმა მინისტრებმა ამის შესახებ დეკრეტი წარადგინეს. კრებამ დაუყოვნებლივ უარყო მინისტრთა წინადადება. დეკრეტის განხილვის გადაუდებლობის შესახებ, ხოლო თვით კანონი უარყო 13 ნოემბერს 355 ხმით 348 ხმის წინააღმდეგ. ამრიგად, მან ერთხელ კიდევ დაფხრიწა თავისი მანდატი, ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ თავისუფლად არჩეული სახალხო წარმომადგენლობიდან ის კლასის უზურპატორულ პარლამენტად გადაიქცა, ერთხელ კიდევ აღიარა, რომ მან თვით გადაჰკვეთა ის კუნთები, რომლებიც პარლამენტურ თავს ერის სხეულს აკავშირებდნენ.

თუ აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი წინადადებით საყოველთაო საარჩევნო უფლების აღდგენის შესახებ ეროვნული კრებიდან ხალხს მიმართავდა, საკანონმდებლო ხელისუფლება თავისი ქვესტორთა კანონპროექტით ხალხიდან არმიას მიმართავდა. ამ ქვესტორთა კანონპროექტით მას ჯარების უშუალო რეკვიზიციის, პარლამენტური არმიის შექმნის უფლება უნდა დაედგინა თავისთვის. ამრიგად, როდესაც ეროვნული კრება თავის თავსა და ხალხს შორის, თავის თავსა და ბონაპარტს შორის მედიატორედ არმიას ნიშნავდა, როდესაც ის არმიას გადამჭრელ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებად აღიარებდა, მეორე მხრივ, მას უნდა დაედასტურებინა, რომ მან უკვე დიდი ხანია ხელი აიღო ამ არმიის მიმართ ბრძანებლობის უფლებაზე. იმის ნაცვლად, რომ დაუყოვნებლივ ჯარები გამოეწვია, ის ჯარის გამოწვევის უფლების შესახებ კამათობდა, და ამით იმას ამხელდა, რომ მისი საკუთარი ძალა საეჭვო იყო. ქვესტორთა კანონპროექტის უარყოფით მან აშკარად აღიარა თავისი უძლურება. ეს კანონპროექტი უარყოფილ იქნა 108 ხმის უმცირესობით: მისი ბედი მთამ გადაჭრა. მთა ბურიდანის სახედარის მდგომარეობაში იმყოფებოდა, თუმცა არა თივის ორ კონას შუა, რომელთაგან უფრო მიმზიდველი უნდა აერჩია, არამედ ორ კონა წკეპლებს შუა, რომელთაგან ნაკლებ მაგარი უნდა აერჩია. ერთი მხრივ, შიში შანგარნიეს წინაშე, მეორე მხრივ, შიში ბონაპარტის წინაშე. უნდა ითქვას, რომ ვერ იყო მაინცა და მაინც საგმირო მდგომარეობა.

18 ნოემბერს წესრიგის პარტიის მიერ წარდგენილ კანონში კომუნალური არჩევნების შესახებ შეტანილ იქნა შესწორება,

რომლის თანახმად კომუნალურ ამრჩეველთ არჩევნების ადგილას სამი წლის ნაცვლად ერთი წლით ცხოვრება მოეთხოვებოდათ. ეს შესწორება უარყოფილ იქნა მხოლოდ ერთი ხმის უმრავლესობით, მაგრამ ეს ერთი ხმაც, როგორც უმალვე გამოირკვა, შეცდომით მიეთვალა უმრავლესობას. მტრულ ფრაქციებად დაყოფის გამო წესრიგის პარტიამ უკვე კაი ხანია დაჰკარგა თავისი დამოუკიდებელი პარლამენტური უმრავლესობა. ახლა კი აღმოჩნდა, რომ პარლამენტში საერთოდ უმრავლესობა აღარ არსებობდა. ეროვნულმა კრებამ დაჰკარგა დადგენილების მიღების უნარი. მისი შემადგენელი ატომები აღარ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული არავითარი შეჭიდულობის ძალით, მან სული დალია, ის უკვე მკვდარი იყო.

დასასრულ, ბურჟუაზიის პარლამენტსგარეშე მასამ, კატასტროფამდე რამდენიმე დღით ადრე, ერთხელ კიდევ ზეიმით დაადასტურა თავისი გათიშვა ბურუაზიისაგან პარლამენტში. ტიერმა, როგორც პარლამენტურმა გმირმა, განსაკუთრებით ძლიერ დაავადებულმა პარლამენტური კრეტინიზმის უკურნებელი სენით, პარლამენტის სიკვდილს შემდეგ სახელმწიფო საბჭოსთან ერთად ახალი პარლამენტური ინტრიგა გამოიგონა, — კანონი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელსაც პრეზიდენტი კონსტიტუციის ფარგლებში უნდა ჩაეჭირა. როგორც ბონაპარტმა 15 სექტემბერს, ახალი დახურული ბაზრის საძირკვლის ჩაყრისას პარიზში თევზის მოვაჭრე ქალები მოაჯადოვა ვით მეორე მაზანიელომ, — თუმცა, მართალია, თევზის მოვაჭრე ერთი ქალი რეალური ძალით მაშინ 17 ბურგგრაფს უდრიდა, — როგორც მან, ქვესტორთა კანონპროექტის შემდეგ, ელისეს სასახლეში მოქეიფე ლეიტენანტები აღაფრთოვანა, ისევე ახლა, 25 ნოემბერს, მან სამრეწველო ბურჟუაზია გაიტაცა, რომელიც ცირკში იყო თავმოყრილი ლონდონის სამრეწველო გამოფენისთვის მისგან მედლების მისაღებად. მე მოვიყვან მისი სიტყვის დამახასიათებელ ადგილს «Journal des Débats»-იდან: «ესოდენ მოულოდნელი წარმატებები უფლებას მაძლევს გავიმეორო, რაოდენ დიადი იქნებოდა საფრანგეთის რესპუბლიკა, მას რომ საშუალება მისცემოდა თავის რეალურ ინტერესებზე ეზრუნა და თავისი დაწესებულებები გარდაექმნა, იმის ნაცვლად, რომ მუდმივ ხელშეშლას განიცდიდეს, ერთი მხრივ, დემაგოგებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, მონარქიული ჰალუცინაციებისაგან (ხმამაღალი, მქუხარე და ხანგრძლივი ტაში ამფითეატრის ყველა კუთხიდან). მონარქიუ-

ლი ჰალუცინაციები ხელს უშლის ყოველგვარ პროგრესს და მრეწველობის ყველა მნიშვნელოვან დარგს. წინსვლის ნაცვლად მხოლოდღა ბრძოლაა. ჩვენ ვხედავთ, რომ ვაუბატონები, რომელნიც წინათ მეფის ავტორიტეტის პრეროგატივის მხურვალე დამცველები იყვნენ, დღეს კონვენტის მომხრეები არიან, მარტოოდენ იმისთვის, რომ დაასუსტონ საყოველთაო საარჩევნო უფლებიდან წარმომდგარი ხელისუფლება (ხმამაღალი და ხანგრძლივი ტაში). ჩვენ ვხედავთ, რომ ვაუბატონები, რომელნიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ რევოლუციისაგან და ყველაზე მეტად ჩიოდნენ მასზე, ახალ რევოლუციას იწვევენ მხოლოდ იმისთვის, რომ ერის ნებისყოფა შებოჭონ... მე თქვენ გპირდებით მშვიდობას მომავალში, და სხვ. და სხვ. (ვაშა, ვაშა, მქუხარე ვაშა)». — ასე ყურმოჭრილ-მონური ვაშას ძახილით ხვდება სამრეწველო ბურჟუაზია 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალებას, პარლამენტის მოსპობას, თავისი საკუთარი ბატონობის დაღუპვას, ბონაპარტის დიქტატურას. 25 ნოემბრის ტაშისცემის ქუხილს 4 დეკემბრის ზარბაზნების გრიალით უპასუხეს, და სახლი ბატონ სალანდრუზისა, რომელიც ყველაზე მეტად გაიძახოდა ვაშას, ყველაზე მეტად მინგრეულ იქნა ყუმბარებით.

კრომველი, როდესაც ის ხანგრძლივ პარლამენტს ითხოვდა, მარტოდმარტო გამოცხადდა პარლამენტში, საათი ამოიღო, რომ პარლამენტს დაწესებულ ვადაზე მეტხანს არც ერთი წუთი არ ეარსება, და თვითეული ცალკე პარლამენტის წევრი მხიარული იუმორისტული დაცინვით სათითაოდ გარეკა. ნაპოლეონი, — უფრო პატარა, ვიდრე ეს მისი პროტოტიპი, — მაინც გაემგზავრა 18 ბრიუმერს საკანონმდებლო ორგანოებში და მას, მართალია, მთრთოლვარე ხმით, სასიკვდილო განაჩენი წაუკითხა. მეორე ბონაპარტი, რომელიც სულ სხვაგვარ აღმასრულებელ ხელისუფლებას ფლობდა, ვიდრე კრომველი და ნაპოლეონი, თავის პირველსახეობას არა მსოფლიო ისტორიის მატიანეში ეძებდა, არამედ ათი დეკემბრის საზოგადოების მატიანეში, სისხლის სასამართლოს მატიანეში. საფრანგეთის ბანკს ის ჰპარავს 25 მილონ ფრანკს, მოისყიდის გენერალ მანიანს ერთი მილიონით, ჯარისკაცებს კი, თითოს 15 ფრანკით და არაყით, როგორც ღამის ქურდი, საიდუმლოდ უერთდება თავის ამფსონებს, ბრძანებას იძლევა შეიჭრან უსაშიშრესი პარლამენტური ბელადების სახლებში, ლოგინიდან წამოაგდონ და დააპატიმრონ კავენიაკი, ლამორისიერი, ლეფლო, შანგარნიე, შარასი, ტიერი,

ბაზი და სხვ., ჯარებით დაიკავონ პარიზის მთავარი მოედნები და აგრეთვე პარლამენტის შენობა და მეორე დილით ადრიანად გააკრან ყველა კედელზე მყვირალა პლაკატი, რომელშიც გამოცხადებულ იქნება ეროვნული კრების და სახელმწიფო საბჭოს დათხოვნა, საყოველთაო საარჩევნო უფლების აღდგენა და სენის დეპარტამენტში საალყო მდგომარეობის დაწესება. მცირეოდენი ხნის შემდეგ კი «Moniteur»-ში ათავსებს ყალბ საბუთს, თითქოს მის გარშემო თავს იყრიდნენ გავლენიანი პარლამენტური მოღვაწეები, რომელთაც დააარსეს განსაკუთრებული სახელმწიფო საბჭო.

მეათე უბნის მერიის შენობაში შეკრებილმა თავმოკვეთილმა პარლამენტმა, უმთავრესად ლეგიტიმისტებისა და ორლეანისტებისაგან შემდგარმა, მრავალგზისი შეძახილებით: «გაუმარჯოს რესპუბლიკას!» ბონაპარტის გადაყენება დაადგინა და ამაოდ მიმართა სიტყვებით შენობის წინ მდგარ გაშტერებულ მასას, ვიდრე, დაბოლოს, აფრიკელ მსროლელთა თანხლებით დ'ორსეს ყაზარმაში არ წაასხეს, საიდანაც, შემდეგში, საპატიმრო ეტლით, მაზასის, ჰამის და ვენსენის საპატიმროებში გადაიყვანეს. ასეთი იყო წესრიგის პარტიის, საკანონმდებლო კრების და თებერვლის რევოლუციის ბოლო. ვიდრე დასკვნაზე გადავიდოდეთ, მოკლედ აღვნიშნოთ თებერვლის ისტორიის სქემა:

I. პ ი რ ვ ე ლ ი პ ე რ ი ო დ ი. 1848 წლის 24 თებერვლიდან 4 მაისამდე. თებერვლის პერიოდი. პროლოგი. საერთო დამმობილების კომედია.

II. მ ე ო რ ე პ ე რ ი ო დ ი. რესპუბლიკის და დამფუძნებელი ეროვნული კრების ჩამოყალიბების პერიოდი.

1. 1848 წლის 4 მაისიდან 25 ივნისამდე. ყველა კლასის ბრძოლა პროლეტარიატის წინააღმდეგ. პროლეტარიატის დამარცხება ივნისის დღეებში.

2. 1848 წლის 25 ივნისიდან 10 დეკემბრამდე. წმინდა ბურჟუა-რესპუბლიკელთა დიქტატურა. კონსტიტუციის გამომუშავება. საალყო მდგომარეობის გამოცხადება პარიზში. ბურჟუაზიის დიქტატურის გაუქმება 10 დეკემბერს ბონაპარტის პრეზიდენტად არჩევის გზით.

3. 1848 წლის 20 დეკემბრიდან 1849 წლის 29 მაისამდე. დამფუძნებელი კრების ბრძოლა ბონაპარტისა და ამ უკანასკნელთან გაერთიანებული წესრიგის პარტიის წინააღმდეგ. დამფუძნებელი კრების დაღუპვა. რესპუბლიკური ბურჟუაზიის დამხობა.

III. მესამე პერიოდი. კონსტიტუციური რესპუბლიკის და საკანონმდებლო ეროვნული კრების პერიოდი.

1. 1849 წლის 29 მაისიდან 13 ივნისამდე. წვრილი ბურჟუაზიის ბრძოლა ბურჟუაზიასა და ბონაპარტთან. წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის დამარცხება.

2. 1849 წლის 13 ივნისიდან 1850 წლის 31 მაისამდე. წესრიგის პარტიის პარლამენტური დიქტატურა. იგი თავის ბატონობას სრულჰყოფს საყოველთაო საარჩევნო უფლების გაუქმებით, მაგრამ პარლამენტურ სამინისტროს კი ჰკარგავს.

3. 1850 წლის 31 მაისიდან 1851 წლის 2 დეკემბრამდე. ბრძოლა პარლამენტურ ბურჟუაზიასა და ბონაპარტს შორის.

a. 1850 წლის 31 მაისიდან 1851 წლის 12 იანვრამდე. პარლამენტი ჰკარგავს არმიის მთავარმართველობის უფლებას.

b. 1851 წლის 12 იანვრიდან 11 აპრილამდე. პარლამენტის ცდა ისევ დაეუფლოს ადმინისტრაციულ ხელისუფლებას, მარცხს განიცდის. წესრიგის პარტია ჰკარგავს დამოუკიდებელ პარლამენტურ უმრავლესობას. მისი კოალიცია რესპუბლიკელებთან და მთასთან.

c. 1851 წლის 11 აპრილიდან 9 ოქტომბრამდე. კონსტიტუციის გადასინჯვის, ლეგიტიმისტების და ორლეანისტების შეერთების და ბონაპარტის ხელისუფლების გაგრძელების ცდები. წესრიგის პარტია იშლება მის ცალკე შემადგენელ ნაწილებად. ბურჟუაზიული პარლამენტის და ბურჟუაზიული პრესის საბოლოო გათიშვა ბურჟუაზიული მასისგან.

d. 1851 წლის 9 ოქტომბრიდან 2 დეკემბრამდე. აშკარა გათიშვა პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. პარლამენტი ამთავრებს თავის სიკვდილის აქტს და ეცემა, მიტოვებული თავისი საკუთარი კლასის, არმიისა და ყველა სხვა კლასის მიერ. პარლამენტური რეჟიმის და ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა. ბონაპარტის გამარჯვება. იმპერიის რესტავრაციის პაროდია.

VII

სოციალური რესპუბლიკა გაჩნდა როგორც ფრაზა, როგორც წინასწარმეტყველება თებერვლის რევოლუციის ბჭეზე. 1848 წლის ივნისის დღეებში ის ჩახშობილ იქნა პარიზის პროლეტარიატის სისხლში, მაგრამ დრამის შემდეგ აქტებში ის ჩნდება მოჩვენებასავით. ასპარეზზე გამოდის დემოკრატი-

ული რესპუბლიკა. 1849 წლის 13 ივნისს ის, თავის გაქცეულ წვრილ ბურჟუებთან ერთად, გაცამტვერდა, მაგრამ გაქცეულმა ერთიორად მყვირალა რეკლამები მიმოფანტა. პარლამენტური რესპუბლიკა, ბურჟუაზიასთან ერთად, იპყრობს მთელ სცენას, გაიშლება მთელი თავისი სიგანით, მაგრამ 1851 წლის 2 დეკემბერი მას მარხავს გაერთიანებულ როიალისტთა მშიშარა ყვირილით: «გაუმარჯოს რესპუბლიკას!»

საფრანგეთის ბურჟუაზია ეწინააღმდეგებოდა მშრომელი პროლეტარიატის ბატონობას, მან ლუმპენპროლეტარიატი გააბატონა ათი დეკემბრის საზოგადოების წინამძღოლობით. ბურჟუაზიას საფრანგეთი სუნთქვაშეგუებებულ შიშში ჰყავდა წითელი ანარქიის შომავალ საშინელებათა წინაშე; ბონაპარტმა გაუნაღდა მას ეს მომავალი, როდესაც 4 დეკემბერს წესრიგის არაყგადაკრული არმია, მისი ბრძანებით, ფანჯრების წინვე ხვრეტავდა მონმარტრის ბულვარისა და იტალიელთა ბულვარის გამოჩენილ მოქალაქეთ. ბურჟუაზია აღმერთებდა ხმალს; და აკი ხმალი გაბატონდა მასზე. ის მუსრს ავლებდა რევოლუციურ პრესას; და აკი მუსრი გაავლეს მის საკუთარ პრესას. სახალხო კრებებს ის პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ აყენებდა; და მის სალონებსაც მიუჩინეს პოლიციის ზედამხედველობა. მან დაშალა დემოკრატიული ეროვნული გვარდია; და მისი საკუთარი ეროვნული გვარდიაც დაშალეს. ის საალყო მდგომარეობას აცხადებდა; და თვით ის გამოაცხადეს საალყო მდგომარეობაში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მან სამხედრო კომისიებით შეცვალა; და მისი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოც შეცვალეს სამხედრო კომისიებით. სახალხო განათლების საქმე მან ხუცებს გადასცა და ხუცებმა თვით მისი საკუთარი განათლება დაიქვემდებარეს, ის განაჩენის გამოუტანელად ასახლებდა, მასაც ასახლებენ უგანაჩენოდ. ის ახშობდა საზოგადოების ყოველგვარ მოძრაობას სახელმწიფოს ძალით, ახლა მისი საზოგადოების ყოველგვარ მოძრაობას ახშობენ სახელმწიფოს ძალით. ის ამხედრებული იყო, თავისი ფულის ქისის გულისთვის, საკუთარი პოლიტიკური მოღვაწეებისა და ლიტერატორების წინააღმდეგ, და აი, მისი პოლიტიკური მოღვაწეები და მწერლები განდევნილი არიან, ხოლო მისი ფულის ქისა იძარცვება, იმის შემდეგ, რაც მას ბურთი ჩასჩარეს პირში და მის კალამს წვერი მოტეხეს. ბურჟუაზია დაუღალავად შესძახოდა რევოლუციას როგორც წმინდა არსენი ქრისტიანებს: «Fuge, tace, quiesce! — გაიქეცი, დადუმდი, დაწყნარდი!». ახლა კი ბონა-

პარტი შესძახის ბურჟუაზიას: «**Fuge, tace, quiesce!** — გაიქეცი, დადუმდი, დაწყნარდი!».

საფრანგეთის ბურჟუაზიამ დიდი ხანია გადაჭრა ნაპოლეონის დილემა: «ორმოცდაათ წელიწადში ევროპა რესპუბლიკური იქნება ან კაზაკური». ეს დილემა მან გადაჭრა, «კაზაკური რესპუბლიკის» სახით. ცირცეს ავი ჯადოც არ შეიქნა საჭირო იმისთვის, რომ ბურჟუაზიული რესპუბლიკის შედეგრი ჯოჯოდ გარდაქმნილიყო, ამ რესპუბლიკას არა დაუკარგავს რა, გარდა საპატიო გარეგნობისა. ახლანდელი საფრანგეთი მზამზარეულად მოთავსებული იყო პარლამენტურ რესპუბლიკაში. საკმარისი იყო მხოლოდ ერთი ხიშტის კვრა, რომ გარსი გამსკდარიყო და თვალწინ ჯოჯო წარმომდგარიყო.

რატომ არ აღსდგა პარიზის პროლეტარიატი 2 დეკემბრის შემდეგ?

ბურჟუაზიის დამხობა მხოლოდ დეკრეტირებული იყო, ხოლო ეს დეკრეტი სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი. პროლეტარიატის ყოველი სერიოზული აჯანყება დაუყოვნებლივ ისევ გამოაცოცხლებდა ბურჟუაზიას, არმიასთან შეარიგებდა მას და მუშებს მეორე ივნისის დამარცხებას უზრუნველუყოფდა.

4 დეკემბერს ბურჟუები და მედუქნეები პროლეტარიატს ბრძოლისათვის აქეზებდნენ. იმავე დღის საღამოს ეროვნული გვარდიის რამდენიმე ლეგიონმა პირობა დასდო: ბრძოლის ადგილას გამოვცხადებით შეიარაღებული და მუნდირებში გამოწყობილიო. ბურჟუები და მედუქნეები სახელდობრ იმიტომ განრისხდნენ, რომ ბონაპარტმა ერთ-ერთ თავის 2 დეკემბრის დეკრეტში ფარული კენჭის ყრა გააუქმა და ბრძანება გასცა — ამრჩეველთ ოფიციალურ სიებში თავიანთი გვარის ქვეშ «ჰო» ან «არა» მოეწერათ. 4 დეკემბრის წინააღმდეგობამ ბონაპარტი დააშინა. ღამით მთელ პარიზში პლაკატები გააკვრევინა, რომლებშიაც ფარული კენჭის ყრის აღდგენა იყო გამოცხადებული. ბურჟუებმა და მედუქნეებმა იფიქრეს: ჩვენი მიზანი მიღწეულიაო. სწორედ ეს ბურჟუები და მედუქნეები იყვნენ, რომ მეორე დღეს არ გამოცხადდნენ.

პარიზის პროლეტარიატმა ბონაპარტის ანაზდეული თავდასხმით 1 დეკემბრის ღამეს დაჰკარგა თავისი ბელადები და ბარიკადების მეთაურები. ამ პროლეტარიატმა, რომელიც უაფიცრო არმიას წარმოადგენდა და რომელსაც 1848 და 1849 წლის ივნისის და 1850 წლის მაისის დღეების მოგონების გამო ხალისი არ ჰქონდა ბრძოლა ეწარმოებინა მთის წინამძღოლობით, თავის ავანგარდს,

საიდუმლო საზოგადოებებს მიანდო ხსნა პარიზის მეამბოხე სინდისისა, რომელიც ბურჟუაზიამ წინააღმდეგობის გაუწევლად ისე გაათელვინა ჯარისკაცებს, რომ ბონაპარტს შემდეგში შეეძლო ეროვნული გვარდია ასეთი გესლიანი მოტივით განეიარაღებინა: „ვშიშობ, ანარქისტებმა ბოროტად არ გამოიყენონ მისი იარაღი თვით მისვე წინააღმდეგო.

«ეს არის სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება!» — ასე დაახასიათა გიზომ 2 დეკემბრის გადატრიალება. მაგრამ თუ პარლამენტური რესპუბლიკის დამხობა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ჩანასახს შეიცავს, მისი უახლოესი ხელშესახები შედეგი იყო ბონაპარტის გამარჯვება პარლამენტზე, აღმასრულებელი ხელისუფლების გამარჯვება საკანონმდებლო ხელისუფლებაზე, ფრაზით შეუნიღბავი ძალის გამარჯვება ფრაზის ძალაზე. პარლამენტში ერი კანონად აქცევდა თავის საყოველთაო ნებას, ე. ი. თავის საყოველთაო ნებად აქცევდა გაბატონებული კლასის კანონს. აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე ის უარს აცხადებს ყოველგვარ საკუთარ ნებაზე და უცხო ნების ავტორიტეტის ძალას ემორჩილება. აღმასრულებელი ხელისუფლება საკანონმდებლო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოხატავს ერის ჰეტერონომიას წინააღმდეგ ერის ავტონომიისა. ამრიგად, საფრანგეთმა, როგორც ეტყობა, თავი დააღწია ერთი კლასის ბატონობას იმისთვის, რომ ერთი ინდივიდუუმის დესპოტიზმს და ავტორიტეტს დაექვემდებაროს, თანაც ისეთი ინდივიდუუმის ავტორიტეტს, რომელსაც არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნია. ბრძოლა, თითქოს, ისე დამთავრდა, რომ ყველა კლასმა თანაბარი უძლურებით და თანაბრად უხმოდ მუხლი მოიდრიკა კონდახის წინაშე.

მაგრამ რევოლუცია საფუძვლიანია. ის ჯერ კიდევ სალხინებელში მოგზაურობს. თავის საქმეს ის მეთოდურად ასრულებს. 1851 წლის 2 დეკემბრამდე მან თავისი მომზადების ერთი ნახევარი შეასრულა, ახლა ის მეორე ნახევარის შესრულებას ადგია. ჯერ მან პარლამენტური ხელისუფლება სრულჰყო, რომ მისი დამხობა შესძლებოდა. ახლა, რაკი ამას მიაღწია, აღმასრულებელ ხელისუფლებას სრულჰყოფს, მას უწმინდეს გამოსახულებას აძლევს, ანცალკევებს, თავის თავს უპირისპირებს როგორც ერთადერთ ობიექტს, რომ ყველა თავისი ძალა მის გასანადგურებლად მოიკრიბოს. და როდესაც ის თავის მოსამზადებელი მუშაობის ამ მეორე ნახევარს დაასრულებს, ევროპა

ადგილიდან წამოხტება და წამოიძახებს: რა კარგად გითხრია, ძველო თხუნელა!

ეს აღმასრულებელი ხელისუფლება მისი უზარმაზარი ბიუროკრატული და სამხედრო ორგანიზაციით, მისი რთული და ხელოვნური სახელმწიფოებრივი მექანიზმით, ნახევარ მილიონიანი მოხელეთა არმიით და ამდენივე სამხედრო არმიით, ეს საშინელი პარაზიტული ორგანიზმი, რომელიც, როგორც ბადე, გარს ეხვევა საფრანგეთის საზოგადოების სხეულს და მას ყველა სვრეტს უცობს, წარმოიშვა აბსოლუტური მონარქიის დროს, ფეოდალიზმის დაცემისას, რის დაჩქარებას მან ხელი შეუწყო. საადგილმამულო მესაკუთრეთა და ქალაქთა ყველა ფეოდალური პრივილეგია სახელმწიფო ხელისუფლების ასევე მრავალრიცხოვან ატრიბუტებად გადაიქცა, ფეოდალური წარჩინებულნი გადაიქცნენ ჯამაგირიან მოხელეებად, ხოლო ნიმუშების კოლექციასავით ჭრელი, ერთიმეორისადმი მტრულ შუა საუკუნეების სუვერენულ უფლებათა რუკა ისეთი სახელმწიფო ხელისუფლების მოწესრიგებულ გეგმად გადაიქცა, რომლის მუშაობა ფაბრიკის მსგავსად დანაწილებული და ცენტრალიზაციაქმნილია. საფრანგეთის პირველ რევოლუციას, რომელსაც მიზნად ჰქონდა გაენადგურებინა ყველა ლოკალური, ტერიტორიული, საქალაქო და პროვინციული განკერძოებული ხელისუფლება, რათა ერის სამოქალაქო მთლიანობა შეექმნა, უნდა განევითარებინა ის, რაც აბსოლუტურმა მონარქიამ დაიწყო: ცენტრალიზაცია, მაგრამ იმავდროულად — აგრეთვე მთავრობის ხელისუფლების მოცულობა, ატრიბუტები და მოსამსახურენი. ნაპოლეონმა სრულჰყო ეს სახელმწიფოებრივი მანქანა. ლეგიტიმისტურ მონარქიას და ივლისის მონარქიას არაფერი მიუმატებია მისთვის, გარდა უფრო მეტი შრომის დანაწილებისა, რაც იმ ზომით იზრდებოდა, რა ზომითაც ბურჟუაზიული საზოგადოების შიგნით შრომის დანაწილება ინტერესთა ახალ-ახალ ჯგუფებს ჰქმნიდა, მაშასადამე, — ახალ მასალას სახელმწიფო მმართველობისთვის. ყოველგვარ ს ა ე რ თ ო (gemeinsame) ინტერესს დაუყოვნებლივ თიშავდნენ საზოგადოებისგან, უპირისპირებდნენ მას როგორც უმაღლეს ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო (allgemeines) ინტერესს, საზოგადოების წევრთა თვითმოქმედების სფეროს აცლიდნენ მას და მთავრობის საქმიანობის საგნად ხდიდნენ, დაწყებული სოფლის თემების ხიდით, სკოლის შენობით და კომუნალური ქონებით და გათავებული მთელი საფრანგეთის რკინიგზებით, ეროვნული ქონებით და უნივერსიტეტით. დასასრულ, პარლამენტური რესპუბლიკა იძულე-

ბული შეიქნა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რეპრესიულ ზომებთან ერთად, გაეძლიერებინა მთავრობის ხელისუფლების სახსრები და ცენტრალიზაცია. ყველა გადატრიალება აუმჯობესებდა ამ მანქანას იმის ნაცვლად, რომ ის დაემსხვრია. პარტიებს, რომელნიც ერთმანეთს ცვლიდნენ და ბატონობისთვის იბრძოდნენ, ამ ვეებერთელა სახელმწიფო შენობის დაუფლება მიაჩნდათ გამარჯვებულის მთავარ ნადავლად.

მაგრამ თვითმპყრობელური მონარქიის დროს, პირველი რევოლუციის დროს, ნაპოლეონის დროს ბიუროკრატია მხოლოდ ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის მოსამზადებელ საშუალებას წარმოადგენდა. რესტავრაციის, ლუი ფილიპეს და პარლამენტური რესპუბლიკის დროს ის იყო გაბატონებული კლასის იარაღი, რაგინდ ძლიერი ყოფილიყო მისი მისწრაფება საკუთარი ხელისუფლებისადმი.

მხოლოდ მეორე ბონაპარტის დროს გახდა სახელმწიფო თითქოს სრულიად დამოუკიდებელი. სახელმწიფო მანქანა იმდენად განმტკიცდა ბურჟუაზიული საზოგადოების მიმართ, რომ მის სათავეში საკმარისია ათი დეკემბრის საზოგადოების მეთაურიც, უცხოეთიდან მოთრეული ავანტიურისტი, ფარით მაღლა აწეული მთვრალ ჯარისკაცთა ბრბოს მიერ, რომელიც მან არაყით და ძეხვით მოისყიდა და რომელსაც ისევ ძეხვი უნდა გადაუგდოს ხოლმე. აქედან წარმოდგება ის სულმოკლე სასოწარკვეთილება, საშინელი დამცირების და სირცხვილის გრძნობა, რომელიც გულს უხუთავს საფრანგეთს და თავისუფლად სუნთქვას უძნელებს მას. ის პატივახდილად გრძნობს თავს.

და მაინც სახელმწიფო ხელისუფლება ჰაერში არაა გამოკიდებული. ბონაპარტი კლასის წარმომადგენელია, ამავე დროს — საფრანგეთის საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასის, წვრილ მესაკუთრე გლეხებისა.

როგორც ბურბონები წარმოადგენდნენ მსხვილი საადგილმამულო საკუთრების დინასტიას და ორლეანელები — ფულის დინასტიას, ასევე ბონაპარტი წარმოადგენს გლეხთა, ე. ი. საფრანგეთის ხალხის მასის დინასტიას. გლეხთა არჩეულია არა ის ბონაპარტი, რომელიც ბურჟუაზიულ პარლამენტს ემორჩილებოდა, არამედ ის ბონაპარტი, რომელმაც ბურჟუაზიული პარლამენტი გარეკა. ქალაქებმა სამი წლის განმავლობაში შესძლეს 10 დეკემბრის არჩევნების აზრი გაეყალბებინათ და გლეხების იმედი იმპერიის აღდგენისა გაეცრუებინათ. 1848 წლის 10 დეკემბრის არჩევნებმა განხორციელება ჰპოვა

მხოლოდ 1851 წლის 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალებით.

წვრილი მესაკუთრე გლეხები (Parzellenbauern) შეადგენენ ვეებერთელა მასას, რომლის წევრები ერთნაირ პირობებში ცხოვრობენ, მაგრამ ისე, რომ ერთმანეთთან სხვადასხვაგვარ ურთიერთდამოკიდებულებაში არ იმყოფებიან. მათი წარმოების წესი ერთმანეთისგან ანცალკევებს მათ, იმის ნაცვლად, რომ ურთიერთდამოკიდებულებაში აყენებდეს. განცალკევებას ხელს უწყობს საფრანგეთის ცუდი კავშირურთიერთობის საშუალებანი და გლეხთა სიღატაკე. მათი წარმოების არე, მიწის პატარა ნაკვეთი, არავითარ საშუალებას არ იძლევა შრომა დანაწილდეს და მეცნიერების მიღწევები იქნეს მასზე გამოყენებული, მაშასადამე, მრავალმხრივი განვითარება, ნიჭთა სხვადასხვაობა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვნება იქნეს მიღებული. თვითეული ცალკე გლეხის ოჯახი თავის თავს თვითვე იკმაყოფილებს, ის თვითვე ამზადებს თავისი მოხმარების საგანთა უდიდეს ნაწილს და, ამრიგად, თავის საარსებო საშუალებებს უფრო ბუნებასთან გაცვლით მოიპოვებს, ვიდრე საზოგადოებასთან ალებმიცემობით. მიწის პატარა ნაკვეთი, გლეხი და მისი ოჯახი; იქვე გვერდით მეორე მიწის პატარა ნაკვეთი, მეორე გლეხი და მეორე ოჯახი. ექვსიოდე ათეული ასეთი ოჯახი სოფელს შეადგენს, ექვსიოდე ათეული ასეთი სოფელი დეპარტამენტს შეადგენს. ფრანგი ერის დიდი მასა ამგვარად ერთსახელწოდებიან სიდიდეთა უბრალო შეერთებით შედგება, ისევე როგორც ერთი ტომარა კარტოფილი შედგება კარტოფილის ცალკე ბოლქვებისგან. რამდენადაც მილიონ გლეხთა ოჯახები ისეთ ეკონომიურ საარსებო პირობებში ცხოვრობენ, რომელნიც მათ ცხოვრების წესის, ინტერესების და განათლების მიხედვით სხვა კლასებისგან ანცალკევებენ და მათ პირისპირ მტრულად აყენებენ, — ისინი კლასს შეადგენენ. ხოლო რამდენადაც წვრილ გლეხობას შორის მხოლოდ ლოკალური კავშირია, რამდენადაც მათი ინტერესთა იგივეობა მათ შორის მთლიანობას, ეროვნულ კავშირს და პოლიტიკურ ორგანიზაციას არ წარმოშობს, — ისინი კლასს არ შეადგენენ. ამიტომ მათ არა აქვთ უნარი თავიანთი კლასობრივი ინტერესები საკუთარი სახელით დაიცვან პარლამენტში თუ კონვენტში. მათ არ შეუძლიათ თავიანთი თავის წარმომადგენლობა გასწიონ, მათ სხვები უნდა წარმომადგენლობდნენ. მათი წარმომადგენელი იმავე დროს მათი ბატონი უნდა იქნეს, მათზე მაღლა მდგომი ავტორიტეტი, მთავრობის შეუზღუდველი ხელისუფლება, რომელიც მათ სხვა კლასებისგან დაიცავს და ზემოდან წვიმასა და

ბზის შუქს უწყალობებს. მაშასადამე, წვრილი გლეხების პოლიტიკური გავლენა საბოლოოდ იმაში პოულობს გამოსახულებას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება იმორჩილებს საზოგადოებას.

ისტორიულმა ტრადიციამ წარმოშვა ფრანგ გლეხებში ის მისტიკური რწმენა, რომ კაცი, ნაპოლეონად წოდებული, მიანიჭებს მათ კვლავ ყოველგვარ დიდებას. და აი, გამოჩნდა პიროვნება, რომელსაც თავი ამ კაცად მოაქვს, ვინაიდან ნაპოლეონის სახელს ატარებს, ნაპოლეონის კოდექსის მეოხებით, რომელიც ბრძანებს: «მამის ძიება აკრძალულია». ოცი წლის მაწანწალობისა და მთელ რიგ უცნაურ ავანტიურათა შემდეგ ლეგენდა ახდა: ეს კაცი ფრანგთა იმპერატორი შეიქნა. ძმისწულის აჩემებული აზრი განხორციელდა, ვინაიდან ის ფრანგთა მრავალრიცხოვანი კლასის აჩემებულ აზრს დაემთხვა.

მაგრამ აქ შემომედავებიან: გლეხთა აჯანყებები ნახევარ საფრანგეთში, არმიის ნადირობა გლეხებზე, გლეხთა მასობრივი დაპატიმრება და გადასახლება?

ლუი XIV-ეს შემდეგ საფრანგეთს არ განუცდია გლეხთა მსგავსი შევიწროება «დემაგოგიური ინტრიგების გამო».

მაგრამ ეს გასაგებიცაა. ბონაპარტის დინასტია წარმომადგენლობს არა რევოლუციურ, არამედ კონსერვატულ გლეხს, არა იმ გლეხს, რომელსაც სურს თავი დააღწიოს თავის სოციალურ საარსებო პირობებს, თავის მიწის პატარა ნაკვეთს, არამედ — გლეხს, რომელსაც ამ ნაკვეთის გამაგრება სურს; წარმომადგენლობს არა იმ სოფლის ხალხს, რომელიც საკუთარი ენერგიით და ქალაქებთან შეკავშირებით ძველი წესწყობილების დამხობას ლამობს, არამედ იმ ხალხს, რომელიც ყრუდ იკეტება ამ ძველ წესწყობილებაში და თავისთვის და თავის პაროელისთვის ხსნას და მფარველობას იმპერიის მოჩვენებიდან მოელის. ბონაპარტის დინასტია წარმომადგენლობს არა გლეხების განათლებას, არამედ მის ცრურწმენას, არა მის გონებაგახსნილობას, არამედ გონებადახშულობას, არა მის მომავალს, არამედ წარსულს, არა მის თანამედროვე სევენს, არამედ თანამედროვე ვანდეას [1].

[1] სევენში — საფრანგეთის მთიან რაიონში XVIII საუკუნის დასაწყისში მოხდა პროტესტანტი გლეხების (ეგრეთწოდებული კამიზარების) დიდი აჯანყება ლოზუნგებით: «არავითარი გადასახადები», «სინდისის თავისუფლება». აჯანყებულებმა დაიკავეს ფეოდალური ციხე-კოშკები. მთებში დამალულები, ისინი პარტიზანულ რაზმებად მოქმედებდნენ და თითქმის სამი წლის განმავლობაში

პარლამენტური რესპუბლიკის მძიმე ბატონობამ სამი წლის განმავლობაში ფრანგ გლეხთა ერთი ნაწილი ნაპოლეონური ილუზიებისაგან გაანთავისუფლა და—თუმცა მხოლოდ ზედაპირულად—გაარევოლუციურა; მაგრამ ყოველთვის, როგორც კი ის ამოძრავდებოდა, ბურჟუაზია მას ძალით უკან დაახევინებდა. პარლამენტური რესპუბლიკის დროს ბრძოლა სწარმოებდა ფრანგი გლეხის თანამედროვე და ტრადიციულ შეგნებას შორის. ეს პროცესი სკოლის მასწავლებლებსა და ხუცებს შორის განუწყვეტელი ბრძოლის ფორმას ატარებდა. ბურჟუაზიამ დათრგუნა სკოლის მასწავლებლები. გლეხები პირველად შეეცადნენ დამოუკიდებელი მდგომარეობა მოეპოვებინათ მთავრობის საქმიანობის მიმართ. ეს გამოისახა მერების განუწყვეტელ კონფლიქტში პრეფექტებთან. ბურჟუაზიამ გადააყენა მერები. დასასრულ, პარლამენტური რესპუბლიკის პერიოდში სხვადასხვა ადგილას გლეხები აჯანყდნენ საკუთარი პირმშოს, არმიის წინააღმდეგ. ბურჟუაზიამ ისინი საალყო მდგომარეობით და ეგზეკუციით დასაჯა. და ეს ბურჟუაზია გაჰყვირის ახლა მასების გონებაჩლუნგობაზე, ამ «საზიზღარ მასაზე», რომელმაც თითქოს იგი ბონაპარტს ჩაუგდო ხელში. თვით მან ძალით გაამაგრა გლეხობის ერთგულება იმპერიისადმი და მტკიცედ დაიცვა ის მდგომარეობა, რომელიც გლეხთა ამ რელიგიას წარმოშობს. ისიც მართალია, რომ ბურჟუაზიას თანაბრად უნდა ეშინოდეს როგორც მასის სიბრიყვის სანამ ის კონსერვატულია, ისე მასის გონებასიფხიზლის, როგორც კი ის გარევოლუციურდება.

სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ მომხდარ აჯანყებებში ფრანგ გლეხთა ერთმა ნაწილმა იარაღით ხელში პროტესტი განაცხადა მის მიერვე 1848 წლის 10 დეკემბერის ხმის მიცემის წინააღმდეგ. 1848 წლის შემდგომ გავლილმა სკოლამ მას ჭკუა ასწავლა, მაგრამ თავი მას ისტორიის ბნელი ძალებისათვის დაურჩა მიყიდული, და ისტორია მას სიტყვაზე იჭერდა; უმრავლესობა იმდენად შეუგნებელი იყო, რომ სწორედ ყველაზე უფრო წითელ დეპარტამენტებში გლეხობამ საჯაროდ ბონაპარტს მისცა ხმა. ეს გლეხები ფიქრობდნენ, ბონაპარტი ეროვნულმა კრებამ შებორკაო. ბონაპარტმა ახლა მხოლოდ ის ბორკილები დაამსხვრია, რომლებიც ქალაქმა

განაგრძობდნენ ბრძოლას. ვანდეა — საფრანგეთის ოლქი, კონტრრევოლუციის კერა XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს. კონტრრევოლუციამ რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენა ვანდეას ჩამორჩენილი გლეხობა, რომელიც კათოლიკური სამღვდელოების ძლიერი გავლენის ქვეშ იყო. **რ ე დ.**

სოფელს დაადო. აქა-იქ გლეხებს ასეთი გულუბრყვილო აზრიც კი ჰქონდათ: ნაპოლეონის გვერდით კონვენტი დაეყენებიათ.

მას შემდეგ, რაც პირველმა რევოლუციამ ნახევრად ყმა გლეხები თავისუფალ მიწის მესაკუთრეებად გადააქცია, ნაპოლეონმა განამტკიცა და მოაწესრიგა პირობები, რომლებშიც გლეხებს შეეძლებოდათ მათთვის ეს არის ახლა ნარგუნები საფრანგეთის მიწა-წყლით დაუბრკოლებლად ესარგებლნათ და ახალგაზრდული წყურვილი საკუთრებისადმი დაეკმაყოფილებინათ. მაგრამ ფრანგი გლეხის ახლანდელი დაღუპვის მიზეზი თვით ამ გლეხის პარცელაა, მიწა-წყლის დაქუცმაცება, ნაპოლეონის მიერ საფრანგეთში გამაგრებული საკუთრების ფორმა. ეს იყო მატერიალური პირობები, რომლებმაც ფრანგი ფეოდალური გლეხი თავისუფალ, პარცელის მფლობელ გლეხად და ნაპოლეონი იმპერატორად გახადეს. საკმაო იყო ორ თაობას გაევლო, რომ აუცილებელი შედეგი წარმომდგარიყო: მიწათმოქმედების პროგრესიული გაუარესება და მიწათმოქმედების პროგრესიული დავალიანება. საკუთრების «ნაპოლეონური» ფორმა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის სოფლის მოსახლეობის განთავისუფლების და გამდიდრების პირობას შეადგენდა, ამ საუკუნის განმავლობაში მისი მონობის და პაუპერიზმის კანონად განვითარდა. და სწორედ ეს შეადგენს ერთ-ერთ «ნაპოლეონურ იდეას», რომლის დაცვა მეორე ნაპოლეონს, უხდება. თუ ის, გლეხებთან ერთად ჯერ კიდევ იმ ილუზიას იზიარებს, რომ გლეხის განადგურების მიზეზი პარცელურ საკუთრებაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის გარეშე, მეორეხარისხოვან გარემოებათა გავლენაშიო, მისი ექსპერიმენტები საწარმოო პირობებთან შეჯახებისას საპნის ბუშტივით დაიფუშება.

პარცელური საკუთრების ეკონომიურმა განვითარებამ ძირიანფესვიანად შეცვალა გლეხების დამოკიდებულება საზოგადოების სხვა კლასთა მიმართ. ნაპოლეონის დროს მიწა-წყლის დაქუცმაცება სოფლად თან დაერთო თავისუფალ კონკურენციას და ახლად ჩასახულ მსხვილ მრეწველობას ქალაქად. გლეხთა კლასი იყო ყველგანმსუფევი პროტესტი ახლად დამხობილი საადგილმამულო არისტოკრატიის წინააღმდეგ. ფესვები, რომლებიც პარცელურმა საკუთრებამ საფრანგეთის მიწა-წყალში გაიდგა, ფეოდალიზმს ყოველგვარ საკვებ ნივთიერებას აცლიდა. ამ პარცელური საკუთრების ყორღნები შეადგენდნენ ბურჟუაზიის ბუნებრივ დასაყრდენს მის ძველ მბრძანებელთა მხრივ ყოველგვარი თავდასხმის წინააღმდეგ. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ფეოდალის ად-

გილი ქალაქის მევახშემ დაიჭირა, მიწაზე დადებული ფეოდალური ბეგარის ადგილი — იპოთეკამ, არისტოკრატიული საადგილმამულო საკუთრების ადგილი — ბურჟუაზიულმა კაპიტალმა. გლეხის პარცელა შეიქნა მხოლოდღა იმის საბაბი, რომ კაპიტალისტმა მიწიდან მოგება, სარგებელი და რენტა მიიღოს, ხოლო მიწათმოქმედს დაუტოვოს ზრუნვა იმაზე, თუ როგორ შესძლოს მან თავისი ხელფასის ანაზღაურება მაინც. საფრანგეთის მიწაზე დადებული საიპოთეკო ვალი საფრანგეთის გლეხობას აკისრებს იმდენი სარგებლის გადახდას, რამდენსაც ინგლისის მთელი სახელმწიფო ვალის წლიური სარგებელი უდრის. პარცელურმა საკუთრებამ, კაპიტალის მიერ ასე დამონებულმა, რაც გამოწვეულია აუცილებლად მისი განვითარებით, ფრანგი ერის მასა ტროგლოდიტებად გადააქცია. თექვსმეტი მილიონი გლეხი (ქალებისა და ბავშვების ჩათვლით) ჯურღმულებში ცხოვრობს, რომელთაც მეტწილად მხოლოდ ერთი ფანჯარა აქვს, ზოგს — მხოლოდ ორი და, უკეთეს შემთხვევაში, — სამი. ფანჯარა კი სახლისთვის იგივეა, რაც ხუთი გრძნობა ადამიანისთვის. ბურჟუაზიული წესწყობილება, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ახლადწარმოშობილ პარცელას სახელმწიფო მიუყენა გუშაგად და ამ პარცელას დაფნის გვირგვინები უძღვნა გასაპოხიერებლად, ვამპირი გახდა, რომელიც მას გულიდან სისხლს და თავიდან ტვინს სწოვს და კაპიტალის ალქიმიურ რეტორტაში ისვრის. ნაპოლეონის კოდექსი მხოლოდ ვალების აღების, ყადაღის დადების და იძულებითი აუქციონის კოდექსია. ოფიციალურად აღრიცხულ ოთხ მილიონ (ბავშვთა და სხვ. ჩარიცხვით) ბოგანოს, მაწანწალას, ბოროტმოქმედს და მეძავ ქალს გარდა, საფრანგეთში იმყოფება კიდევ ხუთი მილიონი სული, რომელიც განადგურების უფსკრულის პირას არის და რომელიც ან სოფლად ცხოვრობს ანდა მუდმივ სოფლიდან ქალაქად და ქალაქიდან სოფლად დაეხეტება თავისი ძონძებით და ბავშვებით. ამრიგად, გლეხთა ინტერესები კი აღარ ეგუება ბურჟუაზიის ინტერესებს, კაპიტალს, როგორც ეს ნაპოლეონის დროს იყო, არამედ ეწინააღმდეგება მას. ამიტომ გლეხობა თავის ბუნებრივ მოკავშირეს და ბელადს ჰპოვებს ქ ა ლ ა ქ ი ს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ შ ი, რომლის ამოცანაა დაამხოს ბურჟუაზიული წესწყობილება. მაგრამ ძ ლ ი ე რ ი დ ა შ ე უ ზ ღ უ დ ვ ე ლ ი მ თ ა ვ რ ო ბ ა,—და ეს მეორე «ნაპოლეონური იდეაა», რომელიც მეორე ნაპოლეონმა უნდა განახორციელოს, — მოწოდებულია ძალით დაიცვას ეს «მატერიალური» წესწყობილება. და მართლაც, ეს «მატერიალური წესწყობილება» ბონაპარტის ყველა

პროკლამაციის დევიზს წარმოადგენს აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ.

იპოთეკას გარდა, რომელსაც კაპიტალი მიწას აკისრებს, პარცელა კიდევ გადასახადით არის დაბეგრილი. გადასახადი არის ბიუროკრატიის, არმიის, ხუცებისა და სასახლის, ერთი სიტყვით, აღმასრულებელი ხელისუფლების მთელი აპარატის საარსებო წყარო. ძლიერი მთავრობა და მაღალი გადასახადი იდენტური ცნებებია. პარცელური საკუთრება, თავისი ბუნებით, შესაფერ საფუძველს წარმოადგენს ყოვლისშემძლე და რიცხვმრავალი ბიუროკრატიისთვის. ის ათანაბრებს დამოკიდებულებებს და პიროვნებებს მთელს ქვეყანაში. მაშასადამე, ის შესაძლებელს ხდის თანაბარზომიერი ზეგავლენა მოხდეს ერთგვაროვანი მასის ყველა მხარეზე ერთი უმაღლესი ცენტრიდან. ის სპობს არისტოკრატიულ შუალედ საფეხურებს ხალხის მასასა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის. მაშასადამე, ის იწვევს ამ სახელმწიფო ხელისუფლების და მისი უშუალო ორგანოების ყოველმხრივ პირდაპირ ჩარევას. დასასრულ, ის წარმოშობს საქმიანობაში ჩაუბმელ ჭარბ მოსახლეობას, რომელიც ადგილს ვერ პოულობს ვერც სოფლად და ვერც ქალაქად და ამიტომ ხელს სჭიდებს სახელმწიფო თანამდებობას როგორც ერთგვარ საპატიო მოწყალებას, — ის იწვევს სახელმწიფო თანამდებობათა გამრავლებას. ნაპოლეონი იძულებით გადასახადებს სარგებლით უკანვე აბრუნებდა ახალი ბაზრების საშუალებით, რომლებსაც ის ხიშტებით ხსნიდა კონტინენტის გაძარცვისას. ეს გადასახადი სტიმულს შეადგენდა გლეხის მოსაქმეობისთვის, მაშინ როდესაც ახლა ის მის მოსაქმეობას უკანასკნელ სახსარსაც კი აცლის და პაუპერიზმის წინაშე მის უმწეობას სრულჰყოფს. ხოლო მრავალრიცხოვანი, მორთულმოკაზმული და გემოიანად დანაყრებული ბიუროკრატია, — ეს არის ის «ნაპოლეონური იდეა», რომელიც ყველაზე უფრო ელამუნება მეორე ბონაპარტის სულსა და გულს. ან კი როგორ შეიძლებოდა სხვანაირად, როდესაც ბონაპარტი იძულებულია საზოგადოების ნამდვილი კლასების გვერდით ხელოვნური კასტა შეჰქმნას, რომლისთვისაც მისი რეჟიმის შენარჩუნება ლუკმაპურის საკითხია, ამიტომ ბონაპარტის პირველი საფინანსო ოპერაცია იყო მოხელეებისთვის ჯამაგირის გადიდება ძველ დონემდე და ახალი სინეკურების შექმნა.

სხვა «ნაპოლეონური იდეაა» ხ უ ც ე ბ ი ს ბატონობა მთავრობის იარაღის სახით. მაგრამ თუ ახლად წარმოშობილი პარცელა, საზოგადოებასთან ჰარმონიაში, ბუნების ძალებზე დამოკიდებუ-

ლებაში და მისი დამცველი უმაღლესი ხელისუფლებისადმი მორჩილებაში მყოფი, ბუნებრივად რელიგიური იყო, სამაგიეროდ ვალში ჩაფლული, საზოგადოებას და ხელისუფლებას გამოთიშული და საკუთარი შეზღუდულობის გადამლახველი პარცელა ბუნებრივად ანტირელიგიურია. ზეცა ფრიად ლამაზ დამატებას წარმოადგენდა ახლად შეძენილ მიწის ნაგლეჯზე, მით უფრო, რომ ეს ზეცა ამინდსაც მოავლენს; მაგრამ ზეცა შეურაცხყოფად ხდება, როგორც კი მას გლეხს პარცელის შემცვლელი საგნის სახით აჩეჩებენ. მაშინ ხუცესი ცხადდება ამქვეყნიური პოლიციის მირონცხებული მეძებრის სახით, — ესეც კიდევ «ნაპოლეონური იდეაა». რომის საწინააღმდეგო ექსპედიცია შემდეგში თვით საფრანგეთში მოეწყობა, მაგრამ — შებრუნებული აზრით, ვიდრე ამას ბატონი მონტალამბერი ფიქრობს.

დასასრულ, «ნაპოლეონური იდეის» კულმინაციური წერტილია ა რ მ ი ი ს უპირატესი მნიშვნელობა. არმია იყო წვრილ გლეხთა **point d'honneur** [1]; არმია თვით მათ ჰქმნიდა გმირებად, იცავდა მათს ახალ საკუთრებას გარეშე მტრისაგან, განადიდებდა მათს ახლად მოპოვებულ ეროვნებას, ძარცვავდა და არევოლუციურებდა ქვეყნიერებას. ბრწყინვალე მუნდირი მათი საალღუმო ტანსაცმელი იყო, ომი — მათი პოეზია, ფანტაზიაში გაფართოებული და დამრგვალებული პარცელა — სამშობლო, ხოლო პატრიოტიზმი — საკუთრების გრძნობის იდეალური ფორმა. მაგრამ მტრები, რომლებისგანაც ახლა ფრანგ გლეხს უხდება საკუთრების დაცვა, არიან არა კაზაკები, არამედ — სასამართლოს აღმასრულებელნი და გადასახადის ამკრეფნი. პარცელა უკვე ეგრეთწოდებულ სამშობლოში კი აღარ იმყოფება, არამედ — საიპოთეკო დავთარში. **თვით** არმია უკვე გლეხური ახალგაზრდობის ყვავილს კი აღარ შეადგენს, არამედ — გლეხური ლუმპენპროლეტარიატის ჭაობის ბალახს. ის შესდგება უმთავრესად დაქირავებული რეკრუტებისაგან, შემცვლელი პირებისაგან, ისევე როგორც თვით მეორე ბონაპარტი მხოლოდ დაქირავებული რეკრუტი, შემცვლელი პირია ნაპოლეონისა. თავის საგმირო საქმეებს ახლა ის ასრულებს გლეხებზე ნადირობის დროს, საჟანდარმო სამსახურის შესრულებისას; და თუ თავისი სისტემის შინაგანმა წინააღმდეგობამ ათი დეკემბრის საზოგადოების მეთაური საფრანგეთის საზღვრებს მიღმა აქცია, ეს არმია რამდენიმე ბანდიტური გამოსვლის შემდეგ, დაფნას კი არა, მიბეგვას მოიმკის.

[1] ღირსების საქმე, განსაკუთრებული სიამაყის საგანი. რ ე დ.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ყ ვ ე ლ ა «ნაპოლეონური იდეები» გ ა ნ უ ვ ი თ ა რ ე ბ ე ლ ი, ნ ო რ ჩ ი პ ა რ ც ე ლ ი ს ი დ ე ე ბ ი ა; დრომოჭმული პარცელისათვის ეს იდეები უაზრონი არიან. ისინი წარმოადგენენ მხოლოდ პარცელის სულთმობრძაობის ჰალუცინაციებს, სიტყვებს, ფრაზებად ქცეულს, სულს, მოჩვენებად ქცეულს. მაგრამ იმპერიის პაროდია აუცილებელი იყო, რათა ფრანგი ერის მასა ტრადიციის უღლისაგან განთავისუფლებულიყო და სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგობა საზოგადოების მიმართ წმინდა სახით ჩამოყალიბებულიყო. პარცელური საკუთრების თანდათანობით დაშლასთან ერთად იშლება მასზე აღმართული სახელმწიფოებრივი შენობაც. სახელმწიფო ცენტრალიზაცია, რასაც თანამედროვე საზოგადოება საჭიროებს, აღიმართება მხოლოდ ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჭედილი, სამხედრო-ბიუროკრატიული მთავრობის მანქანის ნანგრევებზე [1].

ფრანგ გლეხთა მდგომარეობა გვიხსნის 2 0 დ ა 2 1 დ ე კ ე მ ბ ე რ ს მ ო მ ხ დ ა რ ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს გ ა მ ო ც ა ნ ა ს, რომელმაც მეორე ბონაპარტი სინას მთაზე აიყვანა, მაგრამ — არა კანონების მბისაღებად, არამედ კანონების გამოსაცემად.

ბურჟუაზიას ახლა, ცხადია, სხვა გზა არ ჰქონდა, გარდა, ბონაპარტის არჩევისა. როდესაც პურიტანელები კონსტანცის კრებაზე პაპების გარყვნილ ცხოვრებას უჩიოდნენ და ზნეობრივი რეფორმის საჭიროების შესახებ გოდებდნენ, კარდინალმა პიერ დ'ალიმ მათ დაუგრგვინა: «კათოლიკური ეკლესიის ხსნა მხოლოდ ერთადერთ ეშმაკს შეუძლია, თქვენ კი ანგელოზებს მოითხოვთ!». საფრანგეთის ბურჟუაზიაც ასე გაჰყვიროდა სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ: მხოლოდ ათი დეკემბრის საზოგადოების მეთაურს შეუძლია ბურჟუაზიული საზოგადოების ხსნა! მხოლოდ ქურდობას

[1] 1852 წ. გამოცემაში ეს აბზაცი თავდება შემდეგი სტრიქონებით, რომლებიც მარქსს 1869 წ. გამოცემაში გამოტოვებული აქვს: «სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა არაფითარ საშიშროებას არ უქმნის ცენტრალიზაციას. ბიუროკრატია არის მხოლოდ დაბალი და ტლანქი ფორმის ცენტრალიზაცია, რომელიც კიდევ დატვირთულია თავისი კონსტრასტით, ფეოდალიზმით. ნაპოლეონის რესტავრაციით გულგატეხასთან ერთად ფრანგი გლეხი თავისი პარცელის რწმენასაც გამოეთხოვება; დაემხობა ამ პარცელზე აგებული მთელი სახელმწიფოებრივი შენობაც, დ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა მ ი ი ღ ებ ს გ უ ნ დ ს, უ რ ო მ ლ ი ს ო დ ა ც მ ი ს ი ს ო ლ ო - ს ი მ ღ ე რ ა ყ ვ ე ლ ა გ ლ ე ხ უ რ ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი გ ე დ ი ს ს ი მ ღ ე რ ა დ გ ა დ ა ი ქ ც ე ვ ა». რედ.

შეუძლია კიდევ იხსნას საკუთრება, ფიცის გატეხას — რელიგია, მრუშობას — ოჯახი, უწესრიგობას — წესრიგი!.

ბონაპარტს, როგორც დამოუკიდებელ ძალად ქცეულ აღმასრულებელ ხელისუფლებას, თავი მოწოდებულად მიაჩნია «ბურჟუაზიული წესრიგი» უზრუნველყოს. ამ ბურჟუაზიული წესრიგის ძალა კი საშუალო კლასია. ამიტომ მას თავი საშუალო კლასის წარმომადგენლად მიაჩნია და სათანადო დეკრეტებს სცემს. მაგრამ იგი რაიმეს წარმოადგენს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ამ საშუალო კლასის პოლიტიკური ძალა დათრგუნა და მას ყოველდღე თრგუნავს. ამიტომ მას თავი საშუალო კლასის პოლიტიკური და ლიტერატურული ძალის მოწინააღმდეგედ მიაჩნია, მაგრამ, იცავს რა ამ კლასის მატერიალურ ძალას, ამით ის ხელახლა მის პოლიტიკურ ძალას წარმოშობს. ამიტომ მიზეზი უნდა ცოცხლობდეს, ხოლო შედეგი, რომელშიაც ის თავს იჩენს, დედამიწიდან უნდა აღიგავოს. მაგრამ მიზეზის და შედეგის მცირეოდენი შერევის გარეშე აქ საქმეს არ შემოევლება, ვინაიდან ორივე, მიზეზიც და შედეგიც, ურთიერთმოქმედებაში თავიანთ განმასხვავებელ ნიშნეულობებს ჰკარგავენ. გამოიცემა ახალი დეკრეტები, რომელნიც მათ შორის არსებულ სამიჯნო ხაზს შლიან. ამავე დროს ბონაპარტს თავი მიაჩნია ბურჟუაზიის მოწინააღმდეგედ, როგორც გლეხობის და საზოგადოდ ხალხის წარმომადგენელს, რომელსაც სურს ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებში გაბედნიეროს ხალხის დაბალი კლასები. გამოიცემა ახალი დეკრეტები, რომელნიც წინასწარი პლაგიატობაა «ჭეშმარიტ სოციალისტთა» მთავრობის სიბრძნისა. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ბონაპარტს თავი მიაჩნია ათი დეკემბრის საზოგადოების მეთაურად, წარმომადგენლად ლუმპენპროლეტარიატისა, რომელსაც ეკუთვნის თვით ის, მისი ახლობელნი, მისი მთავრობა, მისი არმია და რომელსაც სურს უპირველესად კარგი ცხოვრება და კალიფორნიის მოგებათა გამოცინცვლა სახელმწიფო ხაზინიდან. და თავის დანიშნულებას ის, როგორც ათი დეკემბრის საზოგადოების მეთაური, ამართლებს დეკრეტებით, უდეკრეტოდ და დეკრეტების წინააღმდეგ.

ბონაპარტის ეს წინააღმდეგობით აღსავსე მისია ნათელს ხდის მისი მთავრობის წინააღმდეგობათა, რომელიც აქეთ-იქით მერყეობს, დღეს ერთის, ხვალ მეორე კლასის ხან მიმხრობას, ხან დამცირებას ცდილობს, და ყველა კლასს თანაბრად თავის წინააღმდეგ იმხედრებს, — მთავრობის, რომლის პრაქტიკული უმწეობა უაღრესად კომიკურ კონტრასტს წარმოადგენს ოფიციალური აქტების მბრძა-

ნებლური, კატეგორიული სტილის მიმართ, რაც ბიძისგან აქვს. სიტყვასიტყვით გადმოღებული.

მრეწველობა და ვაჭრობა, ე. ი. საშუალო კლასის საქმეები, ძლიერი მთავრობის დროს უნდა აყვავდეს სათბურის მცენარეულობის მსგავსად. ადგილი აქვს ურიცხვი სარკინიგზო კონცესიების გაცემას. მაგრამ ბონაპარტისტული ლუმპენპროლეტარიატი უნდა გამდიდრდეს. აქედან — ბირჟაზე სპეკულაცია სარკინიგზო კონცესიების გარშემო წინასწარ საიდუმლოდ საქმეს გაცნობილ პირთა მიერ. არ არის კაპიტალი რკინიგზებისთვის, — ბანკს ევალება ფული სესხად გასცეს სარკინიგზო აქციებზე. მაგრამ ბანკს ექსპლოატაცია უნდა გაუწიოს ბონაპარტმა პირადად, ამიტომ ბანკს თავზე ხელის გადასმა ესაჭიროება, და — ბანკი თავისუფლდება ვალდებულებისგან ანგარიშები გამოაქვეყნოს ყოველკვირეულად. ამიტომ — ლომისებური ხელშეკრულება ბანკისა მთავრობასთან. ხალხს სამუშაო ესაჭიროება, — სახელმწიფო მშენებლობას აწარმოებენ. მაგრამ სახელმწიფო მშენებლობა ზრდის ხალხის საგადასახადო ვალდებულებას; ამიტომ გადასახადები მცირდება რენტიერის ხარჯზე, ხუთ პროცენტიანი რენტის ოთხნახევარ პროცენტიან რენტად კონვერსიის საშუალებით. მაგრამ ბურჟუაზიისთვის მიყენებული წყენა ისევ დაშაქრულ უნდა იქნეს; ამიტომ ორკეცდება ღვინის გადასახადი იმ პირთათვის, რომელნიც ღვინოს წვრილ-წვრილად ყიდულობენ და ნახევრდება საშუალო წოდებისთვის, რომელიც ღვინოს ბითუმად სვამს. არსებულ მუშათა ასოციაციებს შლიან, სამაგიეროდ მომავალში საუცხოო ასოციაციების შექმნის დაპირებას იძლევიან. გლეხებს დახმარება ესაჭიროება, —არსდება საიპოთეკო ბანკები, რომელნიც გლეხობის დავალიანებასა და საადგილმამულო საკუთრების კონცენტრაციას აჩქარებენ. მაგრამ ეს ბანკები გამოყენებული უნდა იქნეს იმისთვის, რომ ორლეანელთა დინასტიის კონფისკაციაქმნილი მამულებიდან ფული გამოიწუროს. არც ერთ კაპიტალისტს არ სურს ამ პირობაზე დათანხმდეს, რომელიც დეკრეტში არ მოიპოვება, და საიპოთეკო ბანკი მხოლოდ დეკრეტად რჩება, და სხვ. და სხვ.

ბონაპარტს სურს ყველა კლასის პატრიარქალურ კეთილისმყოფელად დასახოს თავისი თავი. მაგრამ მას არ შეუძლია ერთს მისცეს ისე, რომ მეორეს არ წაართვას. როგორც ფრონდისდროინდელ ჰერცოგ გიზს, რომელსაც ყველაზე უფრო დამავალებელ ადამიანად თვლიდნენ საფრანგეთში, ვინაიდან ყველა თავისი მამული თავის სავალო ვალდებულებად გადააქცია თავისი მომხრეების-

თვის, — ასევე ბონაპარტსაც სურვილი აქვს ყველაზე უფრო დამავალებელი ადამიანი იყოს და საფრანგეთის მთელი საკუთრება და მთელი შრომა თავის პირად სავალო ვალდებულებად აქციოს. მას სწადია მთელი საფრანგეთი გაჰქურდოს, რათა ეს ნაქურდალი საფრანგეთსვე აჩუქოს, ანდა, უფრო სწორად, რომ საფრანგეთის ფულით საფრანგეთი იყიდოს, ვინაიდან მან, როგორც ათი დეკემბრის საზოგადოების მეთაურმა, უნდა იყიდოს ის, რაც მას უნდა ეკუთვნოდეს, და ყიდვა-გაყიდვის იარაღად ხდება ყველა სახელმწიფო დაწესებულება: სენატი, სახელმწიფო საბჭო, საკანონმდებლო ორგანო, საპატიო ლეგიონი, ჯარისკაცის მედალი, სამრეცხაო, სახელმწიფო მშენებლობა, რკინიგზები, ეროვნული გვარდიის გენერალური შტაბი უმცროსების გამოკლებით, ორლეანელთა დინასტიის კონფისკაციაქმნილი მამულები. მოსყიდვის საშუალებაა ყოველნაირი თანამდებობა არმიაში და მთავრობის აპარატში. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესში, რომლითაც საფრანგეთს ართმევენ, რათა მასვე მისცენ, არის სარგებელი, რომელიც ბრუნვის დროს ათი დეკემბრის საზოგადოების მეთაურის და ამ საზოგადოების წევრთა ჯიბეში მიდის. მოსწრებული სიტყვა, რომლითაც გრაფინია ლ.-მა, ბ-ნი ლე-მორნის საყვარელმა, დაახასიათა ორლეანელთა მამულების კონფისკაცია: «ეს არის არწივის პირველი გაფრენა» («C'ect le premier vol de l'aigle») [1], სწორედ შეეფერება ამ, უფრო ყ ო რ ნ ი ს მსგავს, ა რ წ ი ვ ი ს ყოველ გაფრენას. თვით ის და მისი მიმდევრები ყოველდღე იმეორებენ სიტყვებს, რომლითაც ერთმა იტალიელმა კარტეზიელმა ბერმა მიმართა ძუნწს, რომელიც კვეხნით ითვლიდა თავის სიმდიდრეს, რაც მას ჯერ კიდევ დიდხანს უნდა ჰყოფნოდა: «შენ ითვლი შენს სიმდიდრეს, უკეთესია ჯერ შენი წლები დაითვალო!». რათა წლების ანგარიშში არ შეცდნენ, ისინი წუთებით ითვლიან. სასახლეში, სამინისტროებში, მმართველობის და არმიის სათავეში იჭრება ისეთ პიროვნებათა ბრბო, რომელთაგან საუკეთესოს შესახებაც კი უნდა ითქვას: არავინ იცის, თუ საიდან მოვიდა ის, — მოხმაურე, საეჭვო მტაცებლური სულით გაჟღენთილი ბოჰემა, რომელიც ბუზმენტებით მორთულ მუნდირს ისევე სასაცილო თავმომწონეობით ატარებს, როგორც სულუკის დიდებულნი. ათი დეკემბრის საზოგადოების ამ უმაღლესი ფენის შესახებ შეიძლება ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ მხედველო-

[1] ფრანგულად vol ნიშნავს გაფრენასაც და ქურდობასაც (მ ა რ ქ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

ბაში მივიღებთ, რომ ვერონ-კრეველი[1] მისი ზნეობის მოციქულია და გ რ ა ნ ი ე დ ე კ ა ს ა ნ ი ა კ ი — მისი მოაზროვნე. როდესაც გიზო, თავისი მინისტრობის დროს, ამ გრანიეს იარაღად იყენებდა ერთ პატარა გაზეთში დინასტიური ოპოზიციის საწინააღმდეგოდ, ჩვეულებრივ მას ასე აქებდა «C'ect le roi des drôles», «ეს მასხარების მეფეა». მართებული არ იქნება ლუი ბონაპარტის სასახლე და ამალა რეგენტობას ან ლუი XV-ეს შევადაროთ. ვინაიდან: «საფრანგეთს არა ერთგზის განუცდია ხასების მმართველობა, მაგრამ ალფონსების მმართველობა კი დღემდე არასოდეს».[2]

თავისი წინააღმდეგობრივი მდგომარეობით განაწამები, ამავე დროს ოინბაზის როლში მყოფი ბონაპარტი იძულებულია ახალ-ახალი მოულოდნელობით მიიპყროს საზოგადოების ყურადღება როგორც ნაპოლეონის მოადგილემ, მაშასადამე, ყოველდღე მოახდინოს მინიატურული სახელმწიფო გადატრიალება; იგი აყირავებს მთელ ბურჟუაზიულ მეურნეობას, ხელს აღლებს ყველაფერს, რაც 1848 წლის რევოლუციას ხელუხლებლად მიაჩნდა, ზოგს რევოლუციის გულგრილად ატანას აჩვევს, ზოგს არევოლუციონერებს და ნამდვილ ანარქიას ჰქმნის წესრიგის სახელით; ამავე დროს კი სახელმწიფოებრივი მანქანიდან სიწმინდის ალამს გლეჯს, ამ მანქანას ბილწავს, იმავდროულად მას საზიზღრად და სასაცილოდ ხდის. ტრირის წმინდა კვართის კულტს[3] ის პარიზში იმეორებს ნაპოლეონის საიმპერატორო მანტიის კულტის სახით. მაგრამ როდესაც იმპერატორის მანტია, ბოლოს, ლუი ბონაპარტის მხრებს წამოესხმის, ნაპოლეონის ბრინჯაოს ქანდაკება ვანდომის სვეტის სიმაღლიდან ძირს დაემხობა.

დაწერილია კ. მარქსის მიერ 1851 წლის დეკემბერში — 1852 წ. მარტში.

დაბეჭდილია ჟურნალ «Die Revolution»-ში, ნიუ-იორკი, 1852 წ.

მეორე გამოცემა, გასწორებული კ. მარქსის მიერ, ცალკე წიგნად გამოვიდა ჰამბურგში 1869 წ.

იბეჭდება მეორე გამოცემის ტექსტის მიხედვით.

თარგმანი გერმანულიდან.

[1] ბალზაკმა თავის რომანში: «ბიძაშვილი ბეტა» კრეველის სახით, რომელიც გაზეთ «Constitutionnel»-ის პატრონის დ-რ ვერონისგანაა გადაღებული, დაგვიხატა ყოვლად გარყვნილი პარიზელი ფილისტერი. (მ ა რ ქ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

[2] ქ-ნი ჟირარდენის სიტყვებია. (მ ა რ ქ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

[3] ერთ-ერთი «წმინდა» რელიქვია («კვართი უფლისა»), რომელიც 1844 წ. რეაქციული კათოლიკური სამღვდელოების მიერ გამოფენილი იყო ტრირის ტაძარში. რ ე დ.

კ. მარქსი

ბრიტანეთის ბატონობა ინდოეთში

ლონდონი, 10 ივნისი 1853 წ.

ინდოსტანი აზიური მასშტაბის იტალიაა. იქ ალპების ნაცვლად ჰიმალაის მთებია, ლომბარდიის დაბლობის ნაცვლად — ბენგალიის დაბლობი, დეკჰანი — აპენინების ნაცვლად და კუნძული ცეილონი კუნძულ სიცილიის ნაცვლად. იგივე მდიდარი მრავალფეროვნება მიწის ნაყოფთა და იგივე დაფლეთილობა პოლიტიკური ფორმების მხრივ. და როგორც იტალიაში დროგამოშვებით დამპყრობლის ხმალი ძალად აიძულებდა სხვადასხვა ნაციონალურ მასებს გაერთიანებულიყვნენ, ისევე ჩვენ ვხედავთ ინდოსტანს,—იმ პერიოდებში, როდესაც იგი არ იმყოფებოდა მაჰმადიანების, მოღოლების ან ბრიტანელების უღელქვეშ, იმდენსავე დამოუკიდებელ და ერთმანეთთან მტრულ დამოკიდებულებაში მყოფ სახელმწიფოებად დანაწილებულს, რამდენიც მასში ქალაქები ან თვით სოფლებიც ითვლება. მაგრამ, სოციალური თვალსაზრისით, ინდოსტანი წარმოადგენს არა იტალიას, არამედ აღმოსავლეთის ირლანდიას. და ეს უცნაური დაკავშირება იტალიის და ირლანდიისა, ხორციელი სიტკბოების ქვეყნის და ჭმუნვის ქვეყნისა, წინასწარ მოცემულია ინდოსტანის რელიგიის ძველ ტრადიციებში. ეს რელიგია ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს ხორციელ სიტკბოებათა სიჭარბის რელიგიას და თავმაწამებელი ასკეტიზმის რელიგიას, ლინგამის[1] რელიგიას და ჯაგერნაუტის[2] რელიგიას; მონაზონის რელიგიას და ბაიადერას რელიგიას.

---

[1] ლინგამის რელიგია — ღვთაება შივას კულტი; გავრცელებულია განსაკუთრებით სამხრეთ-ინდოეთის ლინგაიატების სექტაში.

[2] ჯ ა გ ე რ ნ ა უ ტ ი — ერთი განსახიერებათაგანია ვიშნუ ღმერთისა, რომლის ტაძარი იდგა ქ. პურიში, ინდოეთის აღმოსავლეთ ნაწილში. რ ე დ.

მე არ ვიზიარებ იმათ აზრს, რომელთაც სწამთ ინდოსტანის ოქროს ხანის არსებობა, თუმცა ჩემი აზრის დასადასტურებლად არც ხული-ხანის ბატონობის პერიოდს დავიმოწმებ, როგორც ამას ხერ ჩარლზ-ვუდი სჩადის. გავიხსენოთ, მაგალითად, აურენგზების ხანა; ანდა ეპოქა, როდესაც მოღოლები გამოჩნდნენ ჩრდილოეთში და პორტუგალელები სამხრეთში; ან მაჰმადიანთა შესევის ეპოქა. და ეპოქა ჰეპტარქიისა[1] სამხრეთ ინდოეთში, ან, თუ კიდევ უფრო ძველი დროისკენ წასვლა გნებავთ, აიღეთ თვით ბრამინების მითოლოგიური ქრონოლოგია, რომელიც ინდოეთის უბედურების დასაწყისს უფრო შორეულ ეპოქას მიაკუთვნებს, ვიდრე იმ ეპოქას, რომელსაც ქრისტიანობა ქვეყნის გაჩენას უკავშირებს.

მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ უბედურება, რომელიც ბრიტანელებმა თავს დაატეხეს ინდოსტანს, არსებითად სხვაგვარი და შეუდარებლად უფრო დიდია, ვიდრე ყველა ის უბედურება, რომელიც ინდოსტანს წინათ განუცდია. მე არ ვლაპარაკობ აქ ევროპულ დესპოტიზმზე, რაც ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიამ[2], აზიურ დესპოტიზმის ნიადაგს დაამყნა, რომელთა შეერთება უფრო საზარელ რამეს იძლევა, ვიდრე ის წმინდანი ურჩხულები, ჩვენ რომ სალსეტის[3] ტაძარში გვაფრთხობენ. ეს არაა კოლონიების მმართველობის ინგლისური სისტემის სპეციფიკური ნიშანი, არამედ მხოლოდ ჰოლანდიური სისტემისადმი წაბაძვაა, და ეს იმდენად სწორია, რომ ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის მოქმედების დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ სიტყვასიტყვით ის, რაც სერ სტამფორდ რაფლსმა, იავის ი ნ გ ლ ი ს ე ლ მ ა გუბერნატორმა, ჰოლანდიის ძველ ოსტ-ინდოეთის კომპანიაზე თქვა:

«ჰოლანდიის კომპანიამ, რომელიც გატაცებული იყო მხოლოდ და

[1] ჰ ე პ ტ ა რ ქ ი ა — («შ ვ ი დ ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ობ ა») — ტერმინი, მიღებული ინგლისის ისტორიაში, შვიდი საქსონური სამეფოს (VI — VIII საუკუნის) აღსანიშნავად, მარქსი ანალოგიით ხმარობს აქ ამ ტერმინს მაჰმადიანთა დაპყრობამდე დეკანის ფეოდალური დაქსაქსულობის აღსანიშნავად. რ ე დ.

[2] ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს ო ს ტ-ი ნ დ ო ე თ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა დაარსდა 1600 წელს ინდოეთთან მონოპოლიური ვაჭრობისათვის. კომპანიის «საკაჭრო» ოპერაციების საფარით ინგლისელმა კაპიტალისტებმა დაიპყრეს ინდოეთი და ათეული წლების განმავლობაში მმართველობდნენ მას. ინდოელთა აჯანყების შემდეგ 1857 წ. კომპანია გაუქმდა, ხოლო ინდოეთის მართვა-გამგეობა ინგლისის მთავრობამ უშუალოდ თავის ხელში აიღო. რ ე დ.

[3] ს ა ლ ს ე ტ ი ს ტ ა ძ ა რ ი — ტაძარი გამოქვაბულში, მდებარეობს იმავე სახელწოდების კუნძულზე ინდოეთის ბომბეის საპრეზიდენტოში; შეიცავს უამრავ გამოსახულებას, რომლებიც, ისე როგორც თვით ტაძარი, ქვიდანაა გამოკვეთილი. — რ ე დ.

მხოლოდ მოგების ძიებით და თავის ქვეშევრდომებს ნაკლებ ზოგავდა, ვიდრე ოდესმე ვესტ-ინდოეთის პლანტატორი მის პლანტაციაზე მომუშავე მონებს, ვინაიდან ამ უკანასკნელს ფული ჰქონდა გადახდილი მის მიერ საკუთრებად შეძენილ ადამიანებში, მაშინ როდესაც პირველს არაფერი არ გადაუხდია, — ამ კომპანიამ დესპოტიზმის მთელი არსებული აპარატი გამოიყენა, რათა მოსახლეობიდან გადასახადებით უკანასკნელი კაპიკი გამოეწურა და იგი უკანასკნელი ძალღონის გამოლევამდე ემუშავებინა. ამგვარად, მან გააძლიერა ბორკტება, რომელსაც უქმნის ქვეყანას თვითნება და ნახევრად ბარბაროსული მთავრობა, როდესაც მან თავის მოქმედებაში პოლიტიკოსის მთელი პრაქტიკული დახელოვნება ვაჭრის მთელ მონოპოლისტურ ეგოიზმს შეუერთა».

სამოქალაქო ომები, შესევები, რევოლუციები, დაპყრობები, შიმშილი, — ყველა ეს ერთიმეორის მიმდევნო უბედურება, რაგინდ რთულად, სწრაფად მიმდინარედ და გამანადგურებლად გვეჩვენებოდეს ისინი ინდოსტანისთვის, მაინც მხოლოდ მის ზედაპირს შეეხებოდა. ინგლისმა კი დაარღვია თვით საფუძველი ინდოეთის საზოგადოებისა, და დღემდე არ გამოუჩენია არავითარი ცდა მის ახლად აღსადგენად. ძველი ქვეყნის დაკარგვა ახლის მოუპოებლად, განსაკუთრებულ ტრაგიკულ ელფერს დებს ინდოეთის ახლანდელ უბედურებათ და ბრიტანეთის ბატონობის ქვეშ მყოფ ინდოსტანს სწყვეტს ყველა მისი ტრადიციისაგან, მთელი მისი წარსული ისტორიისაგან.

აზიაში საერთოდ უხსოვარი დროიდან არსებობდა მართვა-გამგეობის მხოლოდ სამი დარგი: საფინანსო უწყება ანუ შინაგანი ძარცვის უწყება, სამხედრო უწყება ანუ სხვა ხალხთა ძარცვის უწყება, დასასრულ, საჯარო სამუშაოთა უწყება. ჰავის და ნიადაგის თავისებურებამ, განსაკუთრებით ვრცელ უდაბნო ადგილებში, რომლებიც საჰარიდან დაწყებული ვრცელდება არაბეთში, სპარსეთში, ინდოეთსა და სათათრეში აზიის ზეგანამდე, აღმოსავლეთის სასოფლო მეურნეობის საფუძვლად გახადა ხელოვნური მორწყვის სისტემა არხებისა და ირიგაციულ ნაგებობათა გზით. როგორც ეგვიპტეში და ინდოეთში, ისე მესოპოტამიაში, სპარსეთსა და სხვა ქვეყნებში წყალდიდობით სარგებლობენ მინდვრების გასანოყიერებლად, აგრეთვე წყლის მაღალ დონეს იყენებენ სარწყავ არხებში წყლის მისაცემად. წყლის ეკონომიურად და კოლექტიურად გამოყენების ეს ელემენტარული აუცილებლობა, რომელმაც დასავლეთში კერძო მესარეწეები აიძულა, მაგალითად, ფლანდრიაში და

იტალიაში, ნებაყოფლობითს ასოციაციებში შეერთებულიყვნენ, აღმოსავლეთში, სადაც ცივილიზაცია მეტად დაბალ დონეზე იდგა და ტერიტორიების ფართობი მეტად დიდი იყო, რათა ნებაყოფლობითი ასოციაციების გაჩენა გამოეწვია, მოითხოვდა ცენტრალიზაციის მომხდენი მთავრობის ძალის ჩარევას. აქედან — ის ეკონომიური ფუნქცია, რომელიც იძულებული იყო შეესრულებინა ყველა აზიურ მთავრობას, სახელდობრ — საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციის ფუნქცია. ნიადაგის ხელოვნურად განაყოფიერების ეს სისტემა, რომელიც ცენტრალურ მთავრობაზე იყო დამოკიდებული და დაუყოვნებლივ დაეცემოდა, როგორც კი ეს მთავრობა მორწყვის და გაშრობის სამუშაოებს დაუდევრად მოეპყრობოდა, გვიხსნის იმ — სხვაგვარად აუხსნელ — ფაქტს, რომ ჩვენ ახლა ვხედავთ უნაყოფო და უდაბნო მთელ ტერიტორიებს, რომლებიც ოდესღაც საუცხოოდ იყო დამუშავებული, მაგალითად, პალმირას, პეტრას, იემენის ნანგრევებს და ეგვიპტის, სპარსეთის და ინდოსტანის ვეებერთელა პროვინციებს. ამით აიხსნება აგრეთვე ის ფაქტი, რომ ერთადერთი გამანადგურებელი ომი კმაროდა იმისათვის, რომ უკაცური გაეხადა ქვეყანა მთელი საუკუნეების განმავლობაში და მოესპო მისთვის მთელი მისი ცივილიზაცია.

და აი, ბრიტანელებმა გადაიღეს ოსტ-ინდოეთში მათი წინამორბედებისაგან საფინანსო უწყება და სამხედრო უწყება, მაგრამ სრულიად უყურადღებოდ დატოვეს საჯარო სამუშაოთა უწყება. აქედან — დაცემა სასოფლო მეურნეობისა, რომელსაც არ შეეძლო განვითარება თავისუფალი კონკურენციის ბრიტანული პრინციპის თანახმად, თანახმად პრინციპისა **laissez faire, laissez aller** [1]. მაგრამ ჩვენ ჩვეულებრივ ვხედავთ აზიის სახელმწიფოებში, რომ სასოფლო მეურნეობა ეცემა ერთი მთავრობის მმართველობის დროს და ისევ აღორძინებას განიცდის რომელიმე სხვა მთავრობის მმართველობის დროს. აქ მოსავალიც კარგ თუ ცუდ მთავრობაზეა დამოკიდებული, ისე როგორც იგი ევროპაში დამოკიდებულია კარგ თუ ცუდ ამინდზე. ამგვარად, სასოფლო მეურნეობის მოთხოვნილებათა უგულებელყოფა, რაგინდ ცუდი იყოს იგი, თავისთავად ვერ იქნებოდა საკმარისი მიზეზი ინდუსთა საზოგადოების დაცემისა, რომე-

[1] «მოგვეცით მოქმედების თავისუფლება» — ეს არის ფორმულა ბურჟუაზიული ეკონომისტებისა, ლიბერალიზმის წარმომადგენლებისა, რომლებიც იცავდნენ ვაჭრობის თავისუფლებას და სახელმწიფოს ჩაურევლობას ეკონომიურ ურთიერთობათა სფეროში. რ ე დ.

ლიც ბრიტანელი დამპყრობელის მიერ იყო გამოწვეული, ამ უგულებელყოფას რომ თან არ ხლებოდა უფრო დიდი მნიშვნელობის გარემოება, რომელიც ახალ რამეს წარმოადგენს მთელი აზიური ქვეყნის მატიანეში. რაგინდ დიდი ყოფილიყო პოლიტიკური ცვლილებები ინდოეთის წარსულში, მისი სოციალური პირობები უცვლელი დარჩა უძველესი დროიდან დაწყებული XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებამდე. ხელის საფეიქრო დაზგა და ხელის ჯარა, რომლებიც წარმოშობენ ფეიქრების და მრთველების ურიცხვ არმიას, შეადგენდა ინდუსთა საზოგადოების სტრუქტურის საფუძველს. უხსოვარი დროიდან ევროპა იღებდა ინდური საფეიქრო შრომის უმშვენიერეს ნაწარმოებს, რომელთა სამაგიეროდ იგი აძლევდა თავის ძვირფას ლითონებს და მით — მასალას ოქრომჭედლისთვის, ამ აუცილებელ წევრისთვის ინდუსთა საზოგადოებისა, რომლის სიყვარული სამკაულისადმი ისე დიდია, რომ თვით უდაბლესი კლასის წარმომადგენლებიც კი, რომელნიც თითქმის ტიტვლები დადიან, ჩვეულებრივ ატარებენ წყვილ ოქროს საყურეს და რაიმე ოქროს სამკაულს ყელზე. საყოველთაოდ გავრცელებული იყო აგრეთვე ბეჭდები ხელფეხის თითებზე. ქალები, აგრეთვე ბავშვები, ატარებდნენ ხშირად ოქროს ან ვერცხლის მძიმე სამაჯურებს ხელებზე და ფეხებზე, და მათ სახლებში ადამიანი ხვდებოდა ღმერთების პაწია ვერცხლის ქანდაკებებს. ბრიტანეთის მიერ დაპყრობამ დაამსხვრია ინდუსთა ხელის საფეიქრო დაზგა და ჯარა. ინგლისმა საქმე იმით დაიწყო, რომ ევროპის ბაზრებიდან განდევნა ინდოეთის ბამბეულის ნაწარმოები, შემდეგ იწყო ნართის შეზიდვა ინდოეთში და დაასრულა მით, რომ ყელამდე გაავსო ბამბეული საქონლით ბამბეულ ნაწარმთა სამშობლო. 1818 წლიდან 1836-მდე. ნართის ექსპორტი დიდი ბრიტანეთიდან ინდოეთში გაიზარდა შეფარდებით: 1 : 5200. 1824 წელს ინგლისური მუსლინის იმპორტი ინდოეთში თითქმის არც კი აღწევდა 1 000 000 იარდს, მაშინ, როდესაც 1857 წელს იგი აღემატებოდა 64 000 000 იარდს. ამავე დროს დაკას მოსახლეობა 150 000 მცხოვრებიდან 20.000-მდე შემცირდა. მაგრამ ეს დაცემა ინდოეთის ქალაქებისა, რომელნიც წინათ განთქმული იყვნენ თავიანთი ქსოვილებით, არ წარმოადგენდა კიდევ ინგლისის ბატონობის უცუდეს შედეგს. ბრიტანეთის ორთქლმა და ბრიტანეთის მეცნიერებამ ძირშივე მოსპო ინდოსტანის მთელს ტერიტორიაზე კავშირი სამიწათმოქმედო და სამანუფაქტურო მრეწველობას შორის.

ამ ორმა გარემოებამ, ერთი მხრივ, იმან, რომ ინდოელები, ყველა აღმოსავლეთის ხალხის მსგავსად, ცენტრალურ მთავრობას მიაკუთვნებდნენ ზრუნვას დიდი საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის, რომელნიც მათი მიწათმოქმედებისა და ვაჭრობის ძირითადი საფუძველს შეადგენდნენ, და მეორე მხრივ, იმან, რომ ინდოეთის მოსახლეობა, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაფანტული, შეჯგუფებული არიან პატარა ცენტრებში, რომელნიც სამიწათმოქმედო და სამრეწველო შრომას შორის პატრიარქალური კავშირის საფუძველზე არსებობდნენ, — ამ ორმა გარემოებამ უხსოვარი დროიდან გამოიწვია განსაკუთრებული სოციალური სისტემა, — ეგრეთწოდებულ ს ა თ ე მ ო ს ი ს ტ ე მ ა (village system), რომელიც თვითეულ იმ პატარა ერთეულს დამოუკიდებელ ორგანიზაციის ხასიათს და თავისებურ განცალკევებულ არსებობას აძლევდა. ამ სისტემის თავისებურ ხასიათს გვაცნობს შემდეგი აღწერილობა, რომელიც მოიპოვება ინგლისის ქვემო პალატის ერთ ძველ ოფიციალურ ანგარიშში ინდოეთის საქმეების შესახებ:

«სოფელი, გეოგრაფიულად თუ განვიხილავთ, წარმოადგენს ტერიტორიის ფართობს, რომელიც რამდენსამე ას ან ათას აკრ დამუშავებულ და დაუმუშავებელ მიწას შეიცავს; პოლიტიკური თვალსაზრისით იგი ემსგავსება ქალაქის კორპორაციას. ჩვეულებრივ სოფელს შემდეგი სახის მოსამსახურეთა და თანამდებობის პირთა შტატი აქვს: პ ო ტ ე ლ ი ანუ მამასახლისი ეწევა საერთო ზედამხედველობას სოფლის საქმეებზე, აგვარებს დავას მცხოვრებლებს შორის, განაგებს პოლიციას და ასრულებს გადასახადთა ამკრეფის მოვალეობას თავის სოფელში,—მოვალეობას, რომლის შესასრულებლად ის ყველაზე უფრო შესაფერი არის — იმ პირადი გავლენისა და მცხოვრებთა მდგომარეობის და საქმეების ცოდნის გამო, რომელიც მას აქვს. კ ა რ ნ უ მ ი თვალყურს ადევნებს მიწათმოქმედებას და აღნიშნავს ყველაფერს, რაც ამას შეეხება. შემდეგ ტ ა ლ ა რ ი და ტ ო ტ ი: პირველის მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ შეჰკრიბოს ცნობები ბოროტმოქმედებათა და კანონის დარღვევის შემთხვევების შესახებ, გაჰყვეს და დაიცვას ის ადამიანები, რომელნიც ერთი სოფლიდან მეორეში გადადიან; მეორის მოვალეობანი, როგორც ეტყობა, უფრო სოფლის ფარგლითაა შემოზღუდული და მდგომარეობს, სხვა მოვალეობათა შორის, იმაშიც, რომ მოსავალი დაიცვას და ხელი შეუწყოს მის აღრიცხვას. ს ა ზ ღ ვ რ ი ს მ ც ვ ე ლ ი მეთვალყურეობს სოფლის საზღვრებს ან ცნობას იძლევა, როდესაც საზღვრების შე-

სახეგ დავა წარმოიშობა. წყლის აუზების და რუების მეთვალყურეა ანაწილებს წყალს მიწათმოქმედების საჭიროებისთვის. განსაკუთრებული ბრამინი განაგებს სოფელში კულტის საქმეებს. სკოლის მასწავლებელი ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლის ქვიშაზე. მეკალენდარე ბრამინი ანუ ასტროლოგი და სხვ... ეს მაღალი და დაბალი თანამდებობის პირნი შეადგენენ სოფლის ადმინისტრაციას, მაგრამ ქვეყნის ზოგიერთ ნაწილებში მათი შტატი ნაკლებია, რადგან ზემოაღწერილი მოვალეობებიდან და ფუნქციებიდან ზოგიერთები ერთი და იმავე პირის ხელშია შეერთებული, სხვა ნაწილებში კი, პირიქით, მათი შტატი უფრო ფართოა, ვიდრე ზემოთ არის აღნიშნული. უხსოვარ დროიდან ცხოვრობდა მოსახლეობა სათემო მართვა-გამგეობის ამ მარტივი ფორმით. სოფლების საზღვრები იშვიათად იცვლებოდა; და თუმცა თვით სოფლები ზოგჯერ ნადგურდებოდნენ ომის, შიმშილის და სენის გამო, მაგრამ მაინც იგივე სახელწოდებები, იგივე ინტერესები და იგივე ოჯახებიც კი განაგრძობდნენ არსებობას მთელი საუკუნეების განმავლობაში. ამ სოფლების მცხოვრებნი სრულიადაც არ წუხდნენ მონარქიათა დამხობისა და დანაწილების გამო, რამდენადაც მათი სოფელი უვნებელი რჩებოდა; ისინი თავს არ იტეხდნენ იმაზე, თუ რომელი სახელმწიფოს ფარგალში მოხვდა ან რომელ მეფეს დაექვემდებარა მათი სოფელი, ვინაიდან მათი შინაგანი მეურნეობის საფუძველი უცვლელი რჩებოდა. პოტელი ისევ და ისევ თემის მამასახლისი იყო და მოქმედებდა როგორც მომრიგებელი მოსამართლე და ხარჯთამკრეფი».

სოციალური ორგანიზმის ეს პატარა დამყარებული ფორმები დაიშალა და გაჰქრა არა იმდენად ბრიტანეთის გადასახადთა ამკრეფების და ბრიტანეთის ჯარისკაცთა უხეში ჩარევის გამო, რამდენადაც ინგლისის ორთქლის მანქანებისა და ინგლისის თავისუფალი ვაჭრობის გამო. ეს ოჯახური თემები დამყარებული იყვნენ საოჯახო მრეწველობაზე, ხელით ფეიქრობის, ხელით რთვის და ხელით მიწის დამუშავების სპეციფიკურ კომბინაციაზე, რომელიც თვითკმარი ხასიათის მიმცემი იყო ამ თემებისთვის. ინგლისის ჩარევამ, რამაც მრთველები ლანკაშირში და ფეიქრები ბენგალიაში მოათავსა, ანდა როგორც ინდოელი მრთველები, ისე ინდოელი ფეიქრები დედამიწის ზედაპირიდან აღგავა, დაანგრია ეს ნახევრად ბარბაროსული, ნახევრად ცივილიზებული თემები იმით, რომ დაარღვია მათი ეკონომიური საფუძველი, და ამგვარად მოახდინა უდიდესი და, მართალი უნდა ითქვას, ერთადერთი ს ო ც ი ა ლ ურ ი რევოლუცია, რომელიც კი ოდესმე განუცდია აზიას.

მაგრამ, რაგინდ ბუნებრივი იყოს ის, რომ ჩვენ მოგვიცავს ჭმუნვა, როდესაც ვხედავთ ამ ათი ათასობით შრომისმოყვარე, პატრიარქალური და მშვიდი სოციალური ჯგუფების დეზორგანიზაციას და დაშლას, რაგინდ სამწუხარო იყოს ის, რომ ისინი ტანჯვის მორევში არიან გადასროლილი, რომ თვითეულმა მისმა წევრმა დაჰკარგა ერთდროულად როგორც თავისი ცივილიზაციის ძველი ფორმები, ისე არსებობის ძველისძველი წყაროები, ჩვენ მაინც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს იდილიური სასოფლო თემები, რაგინდ უმანკოდ გვეჩვენებოდნენ ისინი ერთი შეხედვით, ყოველთვის შეადგენდნენ აღმოსავლეთის დესპოტიზმის მტკიცე საფუძველს, რომ ისინი ადამიანის გონებას ზღუდავდნენ უაღრესად ვიწრო ფარგალში, ვინაიდან მას ხდიდნენ ცრურწმენის მორჩილ იარაღად, ტრადიციულ ჩვეულებათა მონად და აცლიდნენ მას ყოველ სიდიადეს და ისტორიულ ინიციატივას. არ უნდა დაგვავიწყდეს ეგოიზმი ბარბაროსთა, რომელნიც, მიწის ერთ უმნიშვნელო ნაწილზე თავმოყრილნი, გულმშვიდად უცქეროდნენ, როგორ იმხობოდა იმპერიები, როგორ სრულდებოდა ენით გამოუთქმელი სისასტიკე, როგორ წყდებოდა დიდი ქალაქების მოსახლეობა, — გულმშვიდად უცქეროდნენ ყველა ამას, და მეტ ყურადღებას არ აქცევდნენ, ვიდრე ბუნების მოვლენებს, თვითონ ხდებოდნენ უმწეო დავლად ყოველი მოძალადისა, რომელიც ინებებდა მათზე ყურადღების მიქცევას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს უღირსი უმოძრაო და მცენარეული სიცოცხლე, რომ არსებობის ეს პასიური ფორმა, მეორე მხრივ, იწვევდა რეაქციის სახით ველურ, ბრმა და შეუკავებელ დამქცეველ ძალებს, რომელნიც ინდოსტანში თვითმკვლელობასაც რელიგიურ რიტუალად აქცევდნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პაწია თემები დაჭიანებული იყვნენ კასტური დაცალკევებით და მონობით, რომ ისინი ადამიანს გარეშე გარემოებებს უმორჩილებდნენ, ნაცვლად იმისა, რომ იგი გარემოებათა მბრძანებლის სიმაღლეზე აეყვანათ, რომ დამოუკიდებლად განვითარებული საზოგადოებრივი წყობილება მათ გადააქციეს უცვლელ ბუნებრივ ბედისწერად და მით შეჰქმნეს ბუნების უხეში თაყვანისცემა, რომლის უღირსობა იმ ფაქტში გამოისახება, რომ ადამიანი, ბუნების ეს მეუფე, მოწიწებით მუხლს იყრიდა მაიმუნი ჰანუმანის და ძროხა საბალას წინ.

ინგლისმა რომ სოციალური რევოლუცია მოახდინა ინდოსტანში, იგი, რასაკვირველია, ყოვლად მდაბალი ინტერესით ხელმძღვანელობდა და ამ რევოლუციის გატარების წესში გონებადახშულობაც გამოიჩინა. მაგრამ საქმე ამაში როდია. საკითხი იმაშია, შეუძლია

თუ არა კაცობრიობას თავისი დანიშნულება შეასრულოს საფუძვლიანი რევოლუციის მოუხდენლად აზიის სოციალურ მდგომარეობაში? თუ არა, მაშინ ინგლისი, ყველა მის ბოროტმოქმედებათა მიუხედავად, ამ რევოლუციის შესრულებაში ისტორიის შეუგნებელი იარაღი იყო.

თუ ეს ასეა, მაშინ, რაგინდ სამწუხარო იყოს ჩვენთვის პირადად ძველი ქვეყნის დაქცევის სანახაობა, ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით ჩვენ უფლება გვაქვს გოეთესთან ერთად წამოვიძახოთ:

> იმ წამებამ რათ გვაწუხოს,
> თუ ამრავლებს სიტკბოს ისა,
> განა კაცთ მირიადები
> თემურლენგმა არ გასრისა? [1].

დაწერილია კ. მარქსის მიერ
1853 წ. 10 ივნისს.
დაბეჭდილია «New-York Daily Tribune»
1853 წ. 25 ივნისის ნომერში.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.
თარგმანი ინგლისურიდან.

[1] გოეთეს ლექსიდან «ზულაიკას» («დასავლეთ-აღმოსავლეთის დივანი»).

კ. მარქსი

მომავალი შედეგები ბრიტანეთის ბატონობისა ინდოეთში

ლონდონი, 22 ივლისი 1853 წ.

...როგორ დამყარდა ინგლისის უზენაესობა ინდოეთში? დიდი მოღოლის [1] შეუზღუდველი ძალაუფლება დაამხეს მისმა მოადგილეებმა, მოადგილეების ძლიერება დაამსხვრიეს მარატებმა [2], მარატების ძლიერება დაამსხვრიეს ავღანელებმა, და როდესაც ასე ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძოდა, მოვარდა ბრიტანელი და ყველას დაპყრობა შესძლო. ქვეყანა, სადაც არა მარტო მაჰმადიანებს და ინდუსებს შორისაა ბრძოლა, არამედ აგრეთვე ტომსა და ტომს და კასტასა და კასტას შორისაც; საზოგადოება, რომელსაც თავის დასაყრდენად ჰქონდა ერთგვარი წონასწორობა, რაც წარმოდგებოდა ყველა მის წევრთა საყოველთაო ურთიერთ უკუგდებიდან და თანდაყოლილი განცალკევებიდან — განა ასეთი ქვეყანა და ასეთი საზოგადოება განწირული არ იყო რათა დამპყრობელის ლუკმად ქცეულიყო? ჩვენ კიდეც რომ არაფერი ვიცოდეთ ინდოსტანის წარსული ისტორიის შესახებ, განა ჩვენთვის საკმარისი არ იქნებოდა ის დიდი და უცილობელი ფაქტი, რომ ამჟამადაც ინდოეთი მონობაში უჭი-

---

[1] დ ი დ ი მ ო ღ ო ლ ი — სახელწოდებაა ინდოეთის მაჰმადიან იმპერატორთა, ბაბურების თურქთა დინასტიიდან, რომელნიც განაგებდნენ ქვეყანას 1525 წლიდან. რ ე დ.

[2] მ ა რ ა ტ ე ბ ი — ცენტრალურ ინდოეთის ხალხთა ჯგუფი, რომელიც აჯანყდა მუსულმანთა წინააღმდეგ და XVIII საუკუნის დასაწყისში შექმნა ფეოდალურ სამთავროთა კონფედერაცია. რ ე დ.

რავს ინგლისს ინდოეთის ჯარის დახმარებით, რომელიც ინდოეთის ხარჯზე ინახება? ინდოეთს, ამგვარად, არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ეს ბედისწერა: დაპყრობილი ყოფილიყო, და მთელი მისი წარსული ისტორია, რამდენადაც მას საზოგადოდ ჰქონდა ისტორია, წარმოადგენს ისტორიას თანამიმდევნო დაპყრობთა, რომელთა ობიექტს იგი შეადგენდა. ინდოეთის საზოგადოებას არა აქვს არავითარი ისტორია, ყოველ შემთხვევაში, არავითარი ცნობილი ისტორია. ის, რასაც ჩვენ მის ისტორიას ვუწოდებთ, არის მარტოოდენ ისტორია ერთი მეორის შემცვლელ დამპყრობელთა, რომელნიც ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე აფუძნებდნენ თავიანთ იმპერიებს ამ პასიური და უმოძრაო საზოგადოების საფუძველზე. საკითხი მდგომარეობს ამიტომ არა იმაში, ჰქონდა თუ არა ინგლისს ინდოეთის დაპყრობის უფლება, არამედ იმაში, ვარჩევდით თუ არა, რომ ინდოეთი დაეპყროთ თურქებს, სპარსელებს, რუსებს და არა ბრიტანელებს.

ინგლისს ორგვარი მისია აქვს ინდოეთში შესასრულებელი: დამრღვევი და შემოქმედებითი; ერთი მხრივ, ძველი აზიური საზოგადოების დარღვევა, მეორე მხრივ, დასავლეთის საზოგადოების მატერიალური საფუძვლის ჩაყრა აზიაში.

არაბები, თურქები, თათრები, მოღოლები, რომელნიც ერთიმეორის შემდეგ იპყრობდნენ ინდოეთს, მალე ინდოელდებოდნენ, რადგან, ისტორიის გარდუვალი კანონის თანახმად, ბარბაროსი დამპყრობლები თვითონ ხდებიან დაპყრობილნი დაპყრობილ ხალხთა მაღალი ცივილიზაციის მიერ. ბრიტანელები პირველნი იყვნენ უფრო მაღალი კულტურის მქონე დამპყრობლები, და ამიტომ ისინი მიუწვდომი აღმოჩდნენ ინდოეთის ცივილიზაციის ზემოქმედებისათვის. მათ გაანადგურეს ეს ცივილიზაცია მით, რომ დაანგრიეს ადგილობრივი თემები, გაანადგურეს ადგილობრივი მრეწველობა და გაათანაბრეს ყველაფერი, რაც საერთო დონეზე მაღლა იდგა ადგილობრივ საზოგადოებაში. ინდოეთში ინგლისელების ბატონობის ისტორიის კაბადონები სხვას თითქმის არას გვეუბნება, გარდა ამ განადგურებისა; მათი შემოქმედებითი მუშაობა ძლივს ჩანს ნანგრევებს შორის. მაგრამ ეს შემოქმედებითი მუშაობა მაინც დაწყებულია.

ინდოეთის პოლიტიკური ერთიანობა, დღეს უფრო გამაგრებული და სივრცებრივად უფრო გაფართოებული, ვიდრე ოდესმე დიდი მონღოლების დროს, პირველი წინაპირობა იყო მისი აღდგენისათვის. ეს ერთიანობა, ინგლისის ხმლით დამყარებული, ახლა განმ-

ტკიცებულ და გამარადიულებული იქნება ელექტრონის ტელეგრაფით. მკვიდრთაგან შემდგარი არმია, ბრიტანეთის უნტერ-ოფიცრის მიერ ორგანიზებული და გაწვრთნილი, აუცილებელი პირობაა ინდოეთის თვითგანთავისუფლებისა, — ისეთი ინდოეთისა, რომელიც აღარაა პირველი უცხო დამპყრობლის ლუკმა. ბეჭდვის თავისუფლება, რომელიც პირველადაა შეტანილი აზიურ საზოგადოებაში და რომელსაც უმთავრესად ხელმძღვანელობენ ერთად ინდუსთა და ევროპელთა ჩამომავალნი, წარმოადგენს რეკონსტრუქციის ახალ და ძალუმ ფაქტორს. თვით ზემინდარობა[1] და რაიოტვარი[2], რაგინდ საზიზღარი არ უნდა იყვნენ ისინი, წარმოადგენენ ორ სხვადასხვა ფორმას მიწაზე კერძო საკუთრებისა, ე. ი. იმისა, რისადმი ესოდენ მიისწრაფის აზიური საზოგადოება. ინდოეთის მკვიდრთაგან, რომელნიც ინგლისელთა ზედამხედველობის ქვეშ უხალისოდ და უაღრესად მცირე ზომით იღებენ განათლებას კალკუტაში, იქმნება ახალი კლასი, რომელსაც მართვა-გამგეობისთვის საჭირო თვისებები აქვს და ევროპული მეცნიერებითაა გაჟღენთილი. ორთქლმა დაამყარა რეგულარული და სწრაფი მიმოსვლა ინდოეთსა და ევროპას შორის, დაუკავშირა ინდოეთის ყველა მთავარი ნავსადგური სამხრეთ-აღმოსავლეთის ოკეანის ყველა ნავსადგურს და ამგვარად გამოიყვანა ინდოეთი იმ განცალკევებული მდგომარეობიდან, რომელიც მთავარი საფუძველი იყო მისი უმოძრაობისა. შორს აღარაა ის დღე, როდესაც რკინიგზების და გემების შეერთების მეოხებით მანძილი ინგლისსა და ინდოეთს შორის, დროით გაზომილი, რვა დღემდე შემცირდება, და ამგვარად ეს ოდესღაც საზღაპრო ქვეყანა ნამდვილად შეერთებული იქნება დასავლეთის ქვეყანასთან.

დიდი ბრიტანეთის გაბატონებული კლასები დღემდე მხოლოდ შემთხვევით, დროებით და გამონაკლისის სახით იყვნენ დაინტერესებული ინდოეთის განვითარებაში, არისტოკრატიას სურდა მისი დაპყრობა, ფინანსურ პლუტოკრატიას უნდოდა მისი გაძარცვა, ხო-

---

[1] ზემინდარები — ახალი მემამულეები, რომლებიც შექმნეს ინგლისელებმა წინანდელ გადასახადთა ამკრეფებისაგან და ვაჭარ-მევახშეებისაგან ინდოეთის გლეხობის ექსპროპრიაციის ანგარიშზე. ზემინდარობა გავრცელებული იყო ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. რ ე დ.

[2] რაიოტვარი — უდავო საიჯარო სისტემა, რომელიც ინგლისელებმა შემოიღეს ინდოეთის (სამხრეთში მადრასის და ბომბეის საპრეზიდენტოები.) ამ სისტემის საფუძველზე ინგლისის ხელისუფლების ორგანოები მიწებს აძლევდნენ სასარგებლოდ ცალკეულ გლეხ-მოიჯარადრეებს ფრიად მძიმე პირობებით. — რ ე დ.

ლო სამრეწველო ბურჟუაზიის მისწრაფება იყო — დაეპყრო იგი თავის საქონელთა დიდი სიიაფით. მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა. სამრეწველო ბურჟუაზიამ აღმოაჩინა, რომ მისი სასიცოცხლო ინტერესები ინდოეთის მწარმოებელ ქვეყნად გადაქცევას მოითხოვს და რომ ამისთვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა ინდოეთი შეიარაღებულ იქნეს ხელოვნური მორწყვის საშუალებებით და შინაგანი სამიმოსვლო გზებით. მრეწველებს განზრახვა აქვს რკინიგზების ქსელით მოჰფინონ ინდოეთი. ისინი ამას შეასრულებენ. და ამის შედეგები განუზომელი უნდა იქნეს.

ცნობილია, რომ ინდოეთის საწარმოო ძალები მოდუნებულია ტრანსპორტის საშუალებების და ქვეყნის სხვადასხვა ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლისათვის საჭირო საშუალებების მეტისმეტი ნაკლებობის გამო. არსად არ ვხედავთ ამ ზომით, როგორც ინდოეთში, ესოდენ ძლიერ სოციალურ გაჭირვებას ბუნებრივი სიუხვის გვერდით, გაჭირვებას, რომელიც გაცვლა-გამოცვლის საშუალებების უქონლობითაა გამოწვეული. 1848 წელს ინგლისის ქვემო პალატის კომისიაში დამტკიცებული იყო, რომ «მაშინ როდესაც კვარტერი ხორბალი კანდეიშში 6 — 8 შილინგად იყიდებოდა, იგი 64 — 70 შილინგად იყიდებოდა პუნაში, სადაც ხალხი შიმშილისგან ქუჩებში იხოცებოდა, რადგან შეუძლებელი იყო სურსათის მიზიდვა კანდეიშიდან, იმიტომ რომ თიხნარი გზები გაუვალი იყო».

რკინიგზების გაყვანა ადვილად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიწათმოქმედების მიზნებისათვის, სახელდობრ წყალსაცავების გასამართავად იქ, სადაც საჭიროა მიწის ამოთხრა რკინიგზის მიწაყრილის გასაკეთებლად და აგრეთვე რკინიგზის გასწვრივ სხვა და სხვა მიმართულებით წყლის გადასაცემად. ამ გზით შეიძლება ძალიან გაფართოებულ იქნეს სისტემა ხელოვნური მორწყვისა, რომელიც აუცილებელ პირობას შეადგენს მიწათმოქმედებისთვის აღმოსავლეთში და იმისთვის, რომ თავიდან აცილებულ იქნეს ადგილობრივი დამშევა მოუსავლობის გამო, რაც წყლის ნაკლებობით არის ხოლმე გამოწვეული. რკინიგზების ვეება მნიშვნელობა ამ თვალსაზრისით ცხადი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ იმ რაიონებშიც კი, რომელნიც მთის ფერდობებს აკრავენ, მორწყული მიწისათვის სამჯერ მეტ გადასახადებს იხდიან, ათჯერ და თორმეტჯერ მეტი მუშახელი მუშაობს და ათჯერ ან თხუთმეტჯერ მეტ მოგებას იძლევა, ვიდრე იმავე ფართობის მოუორწყავი მიწა.

რკინიგზები შესაძლებელს გახდის შემცირებულ იქნეს ჯარების რიცხვი და სამხედრო ხარჯები. პოლკოვნიკ უორენმა, სენ-უილიამის

სიმაგრის უფროსმა, ასე გამოთქვა თავისი აზრი ქვემო პალატის სპეციალური კომისიის წინაშე:

«შესაძლებლობა ცნობების მიღებისა ქვეყნის შორეული ნაწილებიდან იმდენი საათის შემდეგ, რამდენი დღე და კვირაც კი ჭირდება ახლა ამას, შესაძლებლობა, რომ ინსტრუქციები ჯარის ნაწილებსა და სურსათთან ერთად უსწრაფესი გზით იქნეს გადაგზავნილი, — ამ ფაქტორთა დიდი მნიშვნელობის გადაფასება შეუძლებელია. გარნიზონები შეიძლებოდა დაბანაკებული ყოფილიყო უფრო დაშორებულ და უფრო ჯანსაღ ადგილებში, ვიდრე ამჟამად, და ამით დაზოგვილი იქნებოდა ბევრი სიცოცხლე, რომელიც ახლა ავადმყოფობის გამო იღუპება, აგრეთვე საჭირო არ იქნებოდა ისე ბევრი სურსათის მომარაგება საწყობებში, და ამით შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა დანაკარგი ლპობისა და ჰავის გამანადგურებელი ზეგავლენის გამო. ხოლო ჯარების რიცხვის შემცირება შესაძლებელი იქნებოდა პირდაპირ იმ ზომით, რა ზომითაც შესაძლებელი გახდებოდა მათი უფრო სწრაფად გამოყენება».

ჩვენ ვიცით, რომ მუნიციპალური ორგანიზაცია და სასოფლო თემების ეკონომიური საფუძველი დარღვეულ იქნა, მაგრამ მათი უცუდესი ნიშანი, სახელდობრ საზოგადოების დაშლა ერთგვაროვან, ერთმანეთთან შეუკავშირებელ ატომებად, ამის შემდეგაც ცოცხალი დარჩა. თემების განცალკევებულობამ წარმოშვა გზების უქონლობა ინდოეთში, ხოლო გზების უქონლობა სიმტკიცეს აძლევდა თემების განცალკევებულობას. ამ საფუძვლით თემი არსებობდა მოცემული ცხოვრების დაბალ დონეზე, თითქმის სხვა თემებთან ურთიერთობის გარეშე, იმ მოთხოვნილებებისა და აქტივობის გარეშე, რაც სოციალური პროგრესისათვის აუცილებელი არის. ახლა როდესაც ბრიტანელებმა მოტეხეს სოფლების თვითკმარი ი ნ ე რ ც ი ა, რკინიგზებს შეუძლიათ დააკმაყოფილონ კავშირურთიერთობისა და გაცვლა-გამოცვლის მოთხოვნილება. გარდა ამისა, «სარკინიგზო სისტემის ერთ-ერთი შედეგი იქნება ის, რომ ეს სისტემა ყოველ სოფელში, რომელსაც იგი შეეხება, გაუმჯობესებათა და პრაქტიკულ მოწყობილობათა ისეთ ცოდნას შეიტანს, რაც სხვა ქვეყნებშია შემოღებული, და ისე გააადვილებს მათ შემოღებას, რომ შესაძლებელი გახდება, ჯერ ერთი, შემოწმებულ იქნეს მემკვიდრეობით და დაქირავებული ხელოსნების მიერ მიღწეული დახელოვნების ხარისხი და, მეორე, შევსებულ იქნეს ამ დახელოვნების ხარვეზები» (ჩ ე პ მ ე ნ ი, «ბამბა და ვაჭრობა ინდოეთში»).[1]

[1] Chapman J., Cotton and Commerce of India. London, 1851. რ ე დ.

მე ვიცი, რომ ინგლისის სამრეწველო ბურჟუაზია, როდესაც იგი მიისწრაფის რკინიგზებით მოჰფინოს ინდოეთი, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით ხელმძღვანელობს, რომ გაიაფდეს მისი ფაბრიკებისთვის საჭირო ბამბის და სხვა ნედლი მასალების მოზიდვა. მაგრამ თუ თქვენ შეიტანეთ მანქანა მიმოსვლა-მიმოზიდვის საშუალების სახით ისეთ ქვეყანაში, რომელსაც აქვს რკინა და ნახშირი, თქვენ აღარ შეგიძლიათ ხელი შეუშალოთ, რომ ამ ქვეყანამ თვითონ იწყოს ამ მანქანის წარმოება. თქვენ არ შეგიძლიათ იქონიოთ რკინიგზები ასეთ ვეება სიდიდის ქვეყანაში მრეწველობის იმ დარგების უორგანიზაციოდ, რომლებიც საჭიროა სარკინიგზო მოძრაობის უშუალო და მიმდინარე მოთხოვინილებათა დასაკმაყოფილებლად, და ეს კი გამოიწვევს მანქანების გამოყენებას მრეწველობის იმ დარგებშიც, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებული არ არიან რკინიგზასთან. რკინიგზები, ამგვარად, ინდოეთში თანამედროვე მრეწველობის ნამდვილ წინამორბედად გახდებიან. ეს მით უფრო მართალია, რომ ინდოელებს, როგორც ამას თვით ინგლისური ხელისუფლება აღიარებს, აქვთ განსაკუთრებული უნარი შრომის სრულიად ახალ პირობებთან შეგუებისა და იმ ცოდნის შეთვისებისაც, რომელიც საჭიროა მანქანის გამოსაყენებლად. დამარწმუნებელ დადასტურებას ამ ფაქტისა წარმოადგენს ის უნარი და საქმის ცოდნა, რასაც იჩენენ კალკუტის ზარაფხანაში მომუშავე ადგილობრივი მემანქანეები, რომელნიც მრავალი წლის განმავლობაში ორთქლის მანქანებთან მუშაობდნენ, აგრეთვე იმ მკვიდრთა მოსაქმეობა, რომელნიც მუშაობდნენ სხვადასხვა ორთქლის მანქანებთან ჰარდუორის სანახშირო ოლქში, და სხვა მაგალითები. თვით ბ-ნი კემპბელი, თუმცა იგი ოსტ-ინდოეთის კომპანიის ცრურწმენების გავლენის ქვეშ ასე ძალიანაა მოქცეული, იძულებულია აღიაროს, რომ «ინდოელი ხალხის ფართო მასებს აქვთ დიდი სამრეწველო ენერგია, უნარი აქვთ კაპიტალის დაგროვების და საკვირველი ნიჭი მათემატიკისა და ზუსტი მეცნიერებისა». «მათი ინტელექტი, — ამბობს იგი,—შესანიშნავია». თანამედროვე მრეწველობა, რომელიც რკინიგზებთან ერთად შევა ინდოეთში, დაშლის ტრადიციულ შრომის დანაწილების სისტემას, რომელზედაც დამყარებულია ინდოეთის კასტები, ეს ძირითადი დაბრკოლება ინდოეთის პროგრესისა და ძლიერებისა.

ყველაფერი, რაც იძულებული იქნება გააკეთოს ინგლისის ბურჟუაზიამ, არ გაანთავისუფლებს ინდოელი ხალხის მასას, არც არსებითად გაუმჯობესებს მის სოციალურ მდგომარეობას, რომელიც

არა მარტო საწარმოო ძალების განვითარებაზეა დამოკიდებული, არამედ იმაზეც, დაეუფლება ხალხი ამ ძალებს თუ არა. მაგრამ რასაც იგი ყოველ შემთხვევაში გააკეთებს, ეს იქნება მატერიალური წინაპირობების შექმნა იმ ორივე მიზნის განსახორციელებლად. განა ბურჟუაზიას ოდესმე გაუკეთებია მეტი? განა ბურჟუაზიას ოდესმე განუხორციელებია პროგრესი უიმისოდ, რომ როგორც ცალკეული ადამიანები, ისე მთელი ხალხები სისხლისა და ჭუჭყის, უბედურებისა და დაცემის გზით არ გამოეწრთო?

ინდოელები ვერ მოიმკიან ახალი საზოგადოების იმ ელემენტების ნაყოფს, რომლებიც ბრიტანეთის ბურჟუაზიამ გააბნია მათ შორის, მანამდე, ვიდრე თვით დიდ ბრიტანეთში ახლანდელი გაბატონებული კლასი არ იქნება განდევნილი სამრეწველო პროლეტარიატის მიერ, ან სანამ თვით ინდუსები არ გახდებიან საკმაოდ ძლიერნი, რომ საბოლოოდ მოიხსნან კისრიდან ინგლისური უღელი. ყოველ შემთხვევაში ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია, მეტნაკლებ შორეულ მომავალში, მოველოდეთ ამ დიადი და საინტერესო ქვეყნის აღორძინებას, — ქვეყნის, რომლის კეთილშობილი მოსახლეობა მის უდაბლეს კლასებშიც კი, თავად სალტიკოვის თქმით «უფრო აზიზი და უფრო დახელოვნებულია, ვიდრე იტალიელები» [1], — ქვეყნის, რომლის მცხოვრებნი თავის მორჩილებასაც კი რაღაცნაირი მშვიდი კეთილშობილობით აწონასწორებენ და, მათი ბუნებრივი მომთმენობის მიუხედავად, ინგლისელ ოფიცრებს ანცვიფრებდნენ თავისი სიმამაცით, — ქვეყნის, რომელიც აკვანი იყო ჩვენი ენების, ჩვენი რელიგიების და რომელიც ჯატში [2] გვაძლევს ძველი გერმანელის ტიპს და ბრამინში — ძველი ბერძენის ტიპს.

მე არ შემიძლია გამოვეთხოვო თემას ინდოეთის შესახებ რამდენიმე ბოლო შენიშვნების მიუცემლად.

ღრმა ფარისევლობა და ბურჟუაზიული ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ბარბაროსობა დაუფარავად ჩანს ჩვენს თვალწინ, როდესაც ჩვენ ამ ცივილიზაციას ვუცქერით არა შინ, სადაც მას საპატიო ფორმები აქვს მიღებული, არამედ კოლონიებში, სადაც იგი სრულიად გაშიშვლებული გამოდის. ბურჟუაზიას საკუთრების დამცველად მოაქვს თავი, მაგრამ განა რომელიმე რევოლუციურ პარტიას შეუსრულებია ოდესმე ისეთი აგრარული რევოლუციები,

[1] მარქსს მოჰყავს ციტატა ა. დ. სალტიკოვის წიგნიდან «წერილები ინდოეთის შესახებ», რომელიც გამოვიდა პარიზში 1848 წ. ფრანგულ ენაზე. რ ე დ.

[2] ჯ ა ტ ი — ტომი ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში.

როგორიც ბენგალიაში, მადრასში და ბომბეიში მოხდენილი რევოლუციები იყო? განა ინდოეთში ბურჟუაზია არ მიმართავდა, — თუ თვით ლორდ კლავის, ამ დიდი მძარცველის, გამოთქმას ვიხმართ, — სასტიკ ძალადობას იქ, სადაც უბრალო მოსყიდვა არ კმაროდა მისი მძარცველური მიზნების მისაღწევად? განა იმ დროს, როდესაც ეს ბურჟუაზია ნაციონალური ვალის დაურღვეველი სიწმინდის შესახებ ლაქლაქებდა ევროპაში, იგი არ ახდენდა იმ რაჯების დივიდენდების კონფისკაციას, რომელთაც თავისი კერძო დანაზოგი თვით კომპანიის აქციებში ჰქონდათ მოთავსებული? განა იმ დროს, როდესაც იგი იბრძოდა საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ «ჩვენი წმინდა რელიგიის» დაცვის საბაბით, მან არ აკრძალა ქრისტიანობის პროპაგანდა ინდოეთში, და განა მან იმ მიზნით, რომ შემოსავალი მიეღო მლოცველებისგან, რომელნიც ორისის და ბენგალიის ტაძრებს აწყდებოდნენ, ხელობად არ გახადა მკვლელობა და პროსტიტუცია ჯაგერნაუტის ტაძარში? აი, როგორი არიან ეს «საკუთრების, წესრიგის, ოჯახის და რელიგიის» დამცველები?

ინგლისის მრეწველობის გამანადგურებელი მოქმედება ინდოეთის მიმართ — ისეთი ქვეყნის მიმართ, რომელიც თავისი მოცულობით ევროპაზე ნაკლები არაა და 150 ათას აკრს მოიცავს, სრულიად ცხადია. იგი საშინელია, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მოქმედება მხოლოდ ორგანული შედეგია მთელი ამჟამად არსებული საწარმოო სისტემისა. ეს წარმოება კაპიტალის ყოვლად ძლიერ ბატონობაზეა დამყარებული. კაპიტალის ცენტრალიზაცია განუყრელად დაკავშირებულია კაპიტალის, როგორც დამოუკიდებელი ძალის, არსებობასთან. ამ ცენტრალიზაციის დამრღვევი გავლენა მსოფლიოს ბაზრებზე აშკარავებს მხოლოდ გიგანტური ზომით პოლიტიკური ეკონომიის იმანენტურ ორგანულ კანონებს, რომელნიც ამჟამად ცივილიზებული ქვეყნიერების ყოველ ქალაქში ცხადჰყოფენ თავის მოქმედებას. ისტორიის ბურჟუაზიული პერიოდი მოწოდებულია შეჰქმნას ახალი მსოფლიოს მატერიალური საფუძველი: ერთი მხრივ, მსოფლიო ურთიერთობა, ხალხთა ურთიერთ-დამოკიდებულებაზე დამყარებული, და ამ ურთიერთობის საშუალებები; მეორე მხრივ, ადამიანის საწარმოო ძალების განვითარება და მეცნიერების დახმარებით მატერიალური წარმოების გარდაქმნა ბუნების ძალებზე ბატონობად. ბურჟუაზიული მრეწველობა და ვაჭრობა ჰქმნის ახალი მსოფლიოს მატერიალურ პირობებს, ისე როგორც გეოლოგიურმა რევოლუციებმა შეჰქმნეს დედამიწის ზედაპირი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დიდი სოციალური რევოლუცია დაე-

უფლება ბურჟუაზიული ეპოქის მიღწევებს, მსოფლიო ბაზარს და თანადროულ საწარმოო ძალებს და ყველაზე უფრო პროგრესული ხალხების საერთო კონტროლს დაუქვემდებარებს მათ, — მხოლოდ მაშინ აღარ იქნება კაცობრიობის პროგრესი იმ საზიზღარი კერპის მსგავსი, რომელსაც არ სურდა ნექტარი სხვაგვარად შეესვა, თუ არ მოკლულის თავის ქალიდან.

დაწერილია კ. მარქსის მიერ
1853 წ. 22 ივლისს.
დაბეჭდილია «New-York Daily Tribune»-ის
1853 წ. 8 აგვისტოს ნომერში.

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით.
თარგმანი ინგლისურიდან.

კ. მარქსი

სიტყვა «სახალხო გაზეთის» იუბილეზე

ეგრეთწოდებული რევოლუციები 1848 წლისა მარტოოდენ უმნიშვნელო ეპიზოდები იყო, — პატარა ხვრელები და ნაპრალები ევროპის საზოგადოების მაგარ ქერქში. მაგრამ მათ გამო

ჩვენს დროში ყოველი საგანი თითქოს თავისი საწინააღმდეგო შოვლენის მატარებელია. ჩვენ ვხედავთ, რომ მანქანა, რომელსაც აქვს საკვირველი ძალა შეამციროს და უფრო ნაყოფიერი გახადოს ადამიანის შრომა, წარმოშობს შიმშილს და უძლურებას. სიმდიდრის ახლად გამოგონილი წყაროები, რაღაც საბედისწერო თილისმის მეოხებით, გაჭირვების წყაროებად ხდება. ხელოვნების გამარჯვებები, თითქოს, მორალის დაკარგვის გზითაა მოპოვებული. იმ ზომით, რა ზომითაც კაცობრიობა ბუნების უფალი ხდება, ადამიანი, თითქოს, მეორე ადამიანის მონობაში ვარდება ანდა თავისი საკუთარი სისაძაგლის მონა ხდება. მეცნიერების წმინდა სინათლეც კი, თითქოს, არ შეუძლია სხვაგვარი განათება, თუ არ უვიცობის ბნელ გარემოცვაში. ყველა ჩვენ გამოგონებათა და მთელი ჩვენი პროგრესის შედეგი, თითქოს, მხოლოდ ის არის, რომ მატერიალურ ძალებს სულიერი სიცოცხლე ენიჭება, ხოლო ადამიანის სიცოცხლე მატერიალური ძალის დონემდეა დაჩლუნგებული. ეს ანტაგონიზმი, ერთი მხრივ, თანამედროვე მრეწველობასა და მეცნიერებასა და, მეორე მხრივ, თანამედროვე სიღატაკეს და დაცემას შორის, — ეს ანტაგონიზმი ჩვენი ეპოქის საწარმოო ძალებსა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა შორის კონკრეტული, ხელშესახები და უცილობელი ფაქტია. დაე, ზოგიერთი პარტია დასტიროდეს ამას, დაე, სხვებს კიდევ სურდეთ ხელი აიღონ თანამედროვე ტექნიკურ წარმატებებზე, რათა ამით განთავისუფლდნენ თანამედროვე კონფლიქტებისაგან; ანდა დაე, მათ ჯეროდეთ, რომ მრეწველობაში ესოდენ მნიშვნელოვანი პროგრესიის შემავსებელი უეჭველად უნდა იყოს ასევე უეჭველი რეგრესი პოლიტიკაში. ჩვენ, ჩვენი მხრივ, შეუცდომლად ვცნობთ ამაში იმ მზაკვარი სულის ბეჭედს, რომელიც მუდამ ცხადდება ყველა ამ წინააღმდეგობაში. ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოების ახალი ძალების წასამართავად საჭიროა, რათა მათ ახალი ადამიანები დაეუფლონ — და ეს ადამიანები მუშები არიან.

მუშები ახალი დროის ისეთსავე პროდუქტს შეადგენენ, როგორც თვით მანქანები. იმ მოვლენებში, რომელნიც დავთარს ურევენ ბურჟუაზიას, თავადაზნაურობას და რეგრესიის ბედკრულ წინასწარმეტყველებს, ჩვენ ვცნობთ ჩვენს მამაც მეგობარს რობინ გუდფელოუს [1], ძველ თხუნელას, რომელმაც ესოდენ მარდად იცის მიწაში

[1] ფანტასტური ქმნილება. რომელიც XVI — XVII საუკუნეების ინგლისის ხალხური რწმენის თანახმად კეთილი მეგობრის როლს ასრულებდა ადამიანის საქმეებში; იგი არის შექსპირის კომედიის «სიზმარი ზაფხულის ღამეს» ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი. რ ე დ.

მუშაობა, ვცნობთ ღირსეულ პიონერს — რევოლუციას. ინგლისის მუშები თანამედროვე მრეწველობის პირმშონი არიან. და ისინი, რასაკვირველია, არ იქნებიან უკანასკნელნი, რომელნიც დაეხმარებიან ამ მრეწველობით წარმოშობილ სოციალურ რევოლუციას, — რევოლუციას, რომელიც ნიშნავს მათი კლასის განთავისუფლებას მთელ მსოფლიოში და რომელიც ისევე უნივერსალურია, როგორც კაპიტალის ბატონობა და დაქირავებული მონობა. მე ვიცნობ იმ გმირულ ბრძოლას, რომელსაც ინგლისის მუშები აწარმოებდნენ წარსული საუკუნის შუა წლებიდან დაწყებული, ბრძოლას, რომელიც ნაკლებ სახელოვანი არაა იმიტომ, რომ ბნელშია გახვეული და ბურჟუაზიული ისტორიკოსები მას დუმილით გვერდს აუვლიან ხოლმე. შუა საუკუნეებში არსებობდა გერმანიაში ფარული სასამართლო, «ფემის სასამართლოდ» წოდებული, რომელიც მმართველი კლასების ბოროტმოქმედებისთვის შურისძიებას აწარმოებდა. თუ რომელიმე სახლზე ნახავდნენ წითელ ჯვარს დახატულს, უკვე ყველამ იცოდა, რომ იმ სახლის პატრონი მსჯავრდადებული იყო ფემის მიერ. ახლა ევროპის ყველა სახლზე იდუმალი წითელი ჯვარია დახატული. ახლა თვით ისტორიაა მოსამართლე, ხოლო განაჩენის ამსრულებელია პროლეტარიატი.

სიტყვა წარმოთქმული კ. მარქსის მიერ 1856 წ. 14 აპრილს. დაბეჭდილია გაზეთ «The People's Paper»-ის 1856 წ. 19 აპრილის ნომერში.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით. თარგმანი ინგლისურიდან.

კ. მარქსი

წინასიტყვაობა «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის»

ბურჟუაზიული ეკონომიის სისტემას მე განვიხილავ შემდეგი თანამიმდევრობით: კაპიტალი, მიწის საკუთრება. დაქირავებული შრომა; სახელმწიფო, საგარეო ვაჭრობა, მსოფლიო ბაზარი. პირველ სამ ნაწილში მე ვიკვლევ ეკონომიური ცხოვრების პირობებს იმ სამი დიდი კლასისა, რომლებადაც ნაწილდება თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება; დანარჩენი სამი ნაწილის ურთიერთკავშირი თავისთავად ეცემა თვალში ადამიანს. კაპიტალის შესახებ პირველი წიგნის პირველი განყოფილება შემდეგ თავებისაგან შედგება: 1. საქონელი; 2. ფული ანუ მარტივი მიმოქცევა; 3. კაპიტალი საზოგადოდ. პირველი ორი თავი შეადგენს ამ რვეულის შინაარსს. მთელი მასალა ჩემს წინაა მონოგრაფიების სახით, რომლებიც სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დაშორებულ პერიოდებში იყო დაწერილი, — დაწერილი ჩემთვის საკითხების გასარკვევად და არა დასაბეჭდად; ზემოაღნიშნული გეგმის მიხედვით მათი სისტემატური დამუშავება გარეშე გარემოებებზე იქნება დამოკიდებული.

ზოგადი შესავალი, რომელიც მე ჯერ ჩამოვწერე, აქ არ შემაქვს, ვინაიდან, გულდასმით მოფიქრების შემდეგ გადავწყვიტე, რომ ყოველი წინასწარ აღნიშვნა შედეგებისა, რომლებიც ჯერ კიდევ დასამტკიცებელია, მხოლოდ ხელშემშლელია; და მკითხველმა, რომელიც საზოგადოდ ისურვებს მიჰყვეს ჩემს გადმოცემას, უნდა გადაწყვიტოს კერძოდან ზოგადზე გადასვლა. სამაგიეროდ, აქ შეიძლება უადგილო არ იყოს ზოგიერთი შენიშვნა ჩემი საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიური მეცადინეობის მსვლელობის შესახებ.

ჩემი სპეციალური სასწავლო საგანი იყო იურისპრუდენცია, რომელსაც მე, მხოლოდ როგორც მეორეხარისხოვან დისციპლინას, ფილოსოფიასთან და ისტორიასთან ერთად ვსწავლობდი. 1842-43 წელში, როდესაც მე «რაინის გაზეთს»[1] ვრედაქტორობდი, პირველად ჩავვარდი გასაჭირში იმის გამო, რომ აზრი უნდა გამომეთქვა ეგრეთწოდებული მატერიალური ინტერესების შესახებ. ხე-ტყის ქურდობისა და მიწის საკუთრების დაქუცმაცების გამო რაინის ლანდტაგში წარმოებულმა ბჭობამ, ოფიციალურმა პოლემიკამ, რომელიც რაინის პროვინციის მაშინდელმა ობერ პრეზიდენტმა ბ-ნმა ფონ-შაპერმა დაიწყო «რაინის გაზეთთან» მოზელის გლეხების მდგომარეობის შესახებ, დასასრულ, კამათმა თავისუფალი ვაჭრობისა და მფარველობითი ბაჟების შესახებ, — მომცა პირველი საბაბი ხელი მიმეყო ეკონომიური საკითხების შესწავლისათვის. მეორე მხრივ, იმ ხანაში, როდესაც კეთილი სურვილი «უფრო შორს წასვლისა» საგნის ცოდნის მაგიერობას წევდა, «რაინის გაზეთში» საფრანგეთის სოციალიზმისა და კომუნიზმის ოდნავ ფილოსოფიურად შეფერადებული გამოძახილი გაისმა. მე გამოვედი ამ მდარე პუბლიცისტიკის წინააღმდეგ, მაგრამ იმავე დროს დაუფარავად ვაღიარე აუგსბურგის «Allgemeine Zeitung»[2]-თან გამართულ პოლემიკაში, რომ საგნის ის ცოდნა, რომელიც მე აქამდე მქონდა, ნებას არ მაძლევს რაიმე მსჯავრის გამოთქმა გავბედო თვით ფრანგულ მიმართულებათა შინაარსის შესახებ მეთქი. მით უფრო დიდი სიამოვნებით გამოვიყენე ილუზია, «რაინის გაზეთის» გამომცემელთა, რომელნიც ფიქრობდნენ, გაზეთის რბილი ყოფაქცევით მასზე დადებული სასიკვდილო განაჩენის გაუქმებას გამოვიწეევთო, და საზოგადოებრივი ასპარეზიდან სასწავლო კაბინეტში გადავიბარგე.

პირველი შრომა, რომელსაც მე ხელი შოვკიდე ჩემი მომცველი ეჭვების გადასაჭრელად, იყო ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკული გადასინჯვა — შრომა, რომლის შესავალი 1844 წელს პარიზში გამოცემულ «გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიური კრებულებში»[3] დაიბეჭდა. ჩემმა გამოკვლევამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა,

[1] «Rheinische Zeitung» — ყოველდღიური რადიკალური გაზეთი, 1842 — 1843 წ. წ. გამოდიოდა კელნში. 1842 წ. 15 ოქტომბრიდან 1843 წლის 18 მარტამდე მისი რედაქტორი მარქსი იყო. რ ე დ.

[2] მარქსს მხედველობაში აქვს თავისი სტატია «კომუნიზმი და «აუგსბურგის საყოველთაო გაზეთი», იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. I, стр. 217 — 220. რ ე დ.

[3] «Deutsch-Französische Iahrbücher» — რევოლუციური და კომუნისტური პროპაგანდის ორგანო, რომელსაც სცემდა მარქსი პარიზში 1844 წ. რ ე დ.

მე მას ვსწავლობდი მხოლოდ როგორც მეორეხარისხოვან დისციპლინას, ფილოსოფიასა და ისტორიასთან ერთად. 1842—1843 წლებში, მე, როგორც «რაინის გაზეთის»[160] რედაქტორი, პირველად ჩავვარდი გასაჭირში იმის გამო, რომ აზრი უნდა გამომეთქვა ეგრეთ წოდებულ მატერიალური ინტერესების შესახებ. ხე-ტყის ქურდობისა და მიწის საკუთრების დაქუცმაცების გამო რაინის ლანდტაგში წარმოებულმა ბჭობამ, ოფიციალურმა პოლემიკამ, რომელიც რაინის პროვინციის მაშინდელმა ობერ-პრეზიდენტმა ბ-ნმა ფონ-შაპერმა დაიწყო «რაინის გაზეთთან» მიწელის გლეხების მდგომარეობის შესახებ, დასასრულ, კამათმა თავისუფალი ვაჭრობისა და მფარველობითი ბაჟების შესახებ, — პირველი ბიძგი მომცეს ხელი მიმეყო ეკონომიური საკითხების შესწავლისათვის. მეორე მხრივ, იმ ხანაში, როდესაც «უფრო შორს წასვლის» კეთილი სურვილი ბევრად აღემატებოდა საგნის ცოდნას, «რაინის გაზეთში» გაისმა საფრანგეთის სოციალიზმისა და კომუნიზმის ოდნავ ფილოსოფიურად შეფერადებული გამოძახილი. მე გავილაშქრე ამ დილეტანტობის წინააღმდეგ, მაგრამ აუგსბურგის «Allgemeine Zeitung»[232]-თან გამართულ პოლემიკაში გულახდილად ვაღიარე, რომ საგნის ის ცოდნა, რომელიც მე მაშინ მქონდა, ნებას არ მაძლევდა რაიმე მსჯელობა გამებედნა თვით ფრანგულ მიმართულებათა შინაარსის შესახებ. მით უფრო დიდი სიამოვნებით გამოვიყენე ილუზია «რაინის გაზეთის» ხელმძღვანელობისა, რომელნიც იმედოვნებდნენ, რომ გაზეთის უფრო ზომიერი წარმართვით მის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის გაუქმებას შეძლებდნენ, და საზოგადოებრივი ასპარეზიდან სასწავლო კაბინეტში გადავიყვანე.

პირველი შრომა, რომელსაც მე ხელი მოვკიდე ჩემი მოძველებულ ეჭვების გადასაბრალად, იყო ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკული გადასინჯვა — შრომა*, რომლის შესავალი 1844 წელს პარიზში გამოცემულ «გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიურ კრებულში»[12] დაიბეჭდა. ჩემმა გამოკვლევამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ სამართლებრივი ურთიერთობანი, ისევე როგორც სახელმწიფოს ფორმები, ვერც თვით მათგან გაიგებიან, ვერც ადამიანის ეონების ეგრეთწოდებული საერთო განვითარებიდან, რომ, პირიქით, ისინი ფესვგადგმულნი არიან ცხოვრების მატერიალურ პირობებში, რომელთა ერთობლიობას ჰეგელი, ინგლისელებისა და XVIII საუკუნის ფრანგების

---

* კ. მარქსი. «ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის» (იხ. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., изд. 2, т. 1, стр. 219—368). რედ.

** კ. მარქსი. ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი. თბ., 1971, გვ. 3—24. რედ.

მაგალითის მიხედვით, «სამოქალაქო საზოგადოებას» უწოდებს, და რომ ამ სამოქალაქო საზოგადოების ანატომია პოლიტიკურ ეკონომიაში უნდა ვეძიოთ. ამ უკანასკნელის შესწავლას, რაც პარიზში დავიწყე, მე განვაგრძობდი ბრიუსელში, სადაც გადავსახლდი ბ-ნ გიზოს მიერ პარიზიდან ჩემი გაძევების შესახებ გამოცემული ბრძანების გამო. იმ საერთო შედეგს, რომელსაც მე მივაღწიე და—რომელიც, რაკი ერთხელ მოვიპოვე, სახელმძღვანელო ძაფი გახდა ყველა ჩემს შემდგომ გამოკვლევაში, შეიძლება მოკლედ ასეთი ფორმულირება მიეცეს: თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, — წარმოებითს ურთიერთობას, რომელიც მათ მატერიალურ მწარმოებლურ ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ამ წარმოებითს ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და გონებრივ პროცესს. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას. საზოგადრების მატერიალური მწარმოებლური ძალები ვარდებიან წინააღმდეგობაში არსებულ წარმოებითს ურთიერთობასთან ანუ,—რაც ამის მხოლოდ იურიდიულ გამოსახულებას წარმოადგენს, — საკუთრების ურთიერთობასთან, რომლის შიგნითაც ისინი აქამდე ვითარდებოდნენ. მწარმოებლურ ძალთა განვითარების ფორმიდან ეს ურთიერთობა მათ ბორკილად იქცევა. ამაში დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა. ეკონომიური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მთელი უზარმაზარი ზედნაშენიც მეტი თუ ნაკლები სისწრაფით გადატრიალდება. ამგვარ გადატრიალებათა განხილვისას წარმოების ეკონომიურ პირობებში მომხდარი მატერიალური გადატრიალება, რომლის დაღგენაც ბუნებისმეცნიერული სიზუსტით არის შესაძლებელი, ყოველთვის უნდა განვასხვაოთ იმ იურიდიული, პოლიტიკური, რელიგიური, ხელოვნებითი ან ფილოსოფიური, მოკლედ: იდეოლოგიური ფორმებისაგან, რომლებითაც ადამიანები შეიცნობენ ამ კონფლიქტს და იბრძვიან მის გადასაწყვეტად. როგორც არ შეიძლება ამა თუ იმ ინდივიდუუმის შესახებ ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს თვით იგი თავის თავზე, ისე-

ვე არ შეიძლება ვიმსჯელოთ ამგვარი გადატრიალების ეპოქის შესახებ მისი ცნობიერების მიხედვით; პირიქით, ეს ცნობიერება უნდა ავხსნათ მატერიალური ცხოვრების წინააღმდეგობებით, არსებული კონფლიქტით საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებითს ურთიერთობათა შორის. არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ ისპობა ისინამდე, ვიდრე არ გასრულებულა ყველა მწარმოებლური ძალა, რომლისათვის იგი საკმაო გასაქანს იძლევა, და ახალი უმაღლესი წარმოებითი ურთიერთობანი არასოდეს არ იჭერენ იმათ ადგილს, სანამ მათი არსებობის მატერიალური პირობები თვით ძველი საზოგადოების წიაღში არ მომწიფდება. ამიტომ კაცობრიობა ყოველთვის მხოლოდ ისეთ ამოცანებს ისახავს, რომელთა გადაჭრა ნას შეუძლია, ვინაიდან, თუ სისწორით დავუკვირდებით, ყოველთვის ვნახავთ, რომ თვით ამოცანა მხოლოდ მაშინ წარმოდგება, როდესაც მატერიალური პირობები მისი გადაჭრისათვის უკვე არსებობს ან, ყოველ შემთხვევაში, წარმოშობის პროცესში იმყოფება. ფართო მოხაზულობით, შესაძლებელია აზიურ, ანტიკურ, ფეოდალურ და თანამედროვე, ბურჟუაზიულ წარმოების წესს ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესული ეპოქები ეწოდოს. ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი წარმოადგენენ საზოგადოებრივი წარმოების პროცესის უკანასკნელ ანტაგონისტურ ფორმას, ანტაგონისტურს არა ინდივიდუალური ანტაგონიზმის აზრით, არამედ ინდივიდუუმთა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებიდან აღმოცენებული ანტაგონიზმის აზრით; მაგრამ ის მწარმოებლური ძალები, რომლებიც ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში ვითარდება, ქმნის აგრეთვე მატერიალურ პირობებს ამ ანტაგონიზმის გადასაჭრელად. ამიტომ ამ საზოგადოებრივი ფორმაციით მთავრდება ადამიანთა საზოგადოების წინა ისტორია.

ფრიდრიხ ენგელსმა, რომელთანაც მე, ეკონომიური კატეგორიების კრიტიკის შესახებ* მისი გენიალური ნარკვევის («გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიურ კრებულებში») გამოქვეყნების შემდეგ, განუწყვეტლივ წერილობითი აზრთა გაზიარება მქონდა, ჩემსავით ამავე შედეგს მიაღწია სხვა გზით (შეადარე მისი «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში»**); და როდესაც იგიც, 1845 წლის გაზაფხულს,

---

* ფ. ენგელსი. ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ. 1949, გვ. 5—38. რედ.

** ფ. ენგელსი. მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში. თბ. 1935, ტ. I, 394. რედ.

ბრიუსელში დაბინავდა, გადავწყვიტეთ ერთად შეგვემუშავებინა ჩვენი შეხედულება საწინააღმდეგოდ იმ იდეოლოგიური შეხედულებებისა, რომელნიც არსებობდნენ გერმანულ ფილოსოფიაში, ნამდვილად კი ანვარიში გაგვეწიოს ჩვენს წინანდელ ფილოსოფიურ სინდისთან. ეს განხრახვა შესრულებულ იქნა ჰეგელისშემდგომი ფილოსოფიის* კრიტიკის სახით. ხელნაწერი, ორი სქელი ტომი, უკვე დიდი ხანია მისული იყო გამოცემის ადგილას ვესტფალიაში, როცა ცნობა მივიღეთ — შეცვლილი გარემოებანი მისი დაბეჭდვის ნებას არ იძლევიანო[1]. ჩვენ მით უფრო ადვილად დავუთმეთ ხელნაწერი ოაგვების მღრღნელ კრიტიკას, რომ ჩვენს მთავარ მიზანს — გაგვერკვია საკითხი ჩვენთვის — მივაღწიეთ. იმ ცალკეულ ნაშრომთაგან, რომლებშიაც ჩვენ მაშინ ჩვენი შეხედულება ამა თუ იმ მხრივ საზოგადოებას გავუზიარეთ, აღვნიშნავთ მხოლოდ ენგელსისა და ჩემ მიერ ერთად შეთხზულს «კომუნისტური პარტიის მანიფესტს»** და ჩემ მიერ გამოქვეყნებულ «სიტყვას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ»***. ჩვენი შეხედულების ძირითადი პუნქტები პირველად იყო მეცნიერულად, თუმცა კი პოლემიკურ ფორმაში, აღნიშნული ჩემს 1847 წელს გამოცემულ დაპრუდონის წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებში: «ფილოსოფიის სიღატაკე»****. ერთი გერმანულად დაწერილი გამოკვლევა «დაქირავებული შრომის»***** შესახებ, რომელშიაც მე თავი მოვუყარე ამ საგნის შესახებ ჩემ მიერ ბრიუსელის გერმანელ მუშათა კავშირში[63] წაკითხულ ლექციებს, ვეღარ დაიბეჭდა, — ბეჭდვა შეწყდა თებერვლის რევოლუციისა და მის გამო ბელგიიდან ჩემი ძალად განდევნის მიზეზით.

«ახალი რაინის გაზეთის»[62] გამოცემამ 1848 და 1849 წლებში და შემდგომ მოძღვარმა ამბებმა შემაწყვეტინა სამეცნიერო ეკონომიური მუშაობა, რომლის კვლავ განგრძობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1850 წელს ლონდონში. პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის იმ აუარებელმა მასალამ, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაგროვილი, იმ ხელსაყრელმა მდგომარეობამ, რომელსაც ლონდონი წარმოადგენს

---

* კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «გერმანული იდეოლოგია» (იხ. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., изд. 2, т. 3, стр. 7—544). რედ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 127 — 165. რედ.

*** იხ. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., изд. 2, т. 4, стр. 404—418. რედ.

**** იხ. კ. მარქსი. ფილოსოფიის სიღატაკე. თბ., 1938, გვ. 7—160. რედ.

***** იხ. ეს ტომი, გვ. 77—217. რედ.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე დაკვირვების საწარმოებლად, დასასრულ, განვითარების იმ ახალმა სტადიამ, რომელშიაც, ეტყობოდა, ეს საზოგადოება შევიდა კალიფორნიისა და ავსტრალიის ოქროს აღმოჩენასთან დაკავშირებით, აღმიძრა სურვილი, რომ თავიდანვე დამეწყო საგნის შესწავლა და კრიტიკულად გადამემუშავებინა ახალი მასალა. ამ შესწავლას ნაწილობრივ თავისთავად გადავყავდი გარეგნულად სრულიად გარეშე დისციპლინაზე, სადაც მე მეტნაკლებ დიდ ხანს გაჩერება მიხდებოდა. მაგრამ ჩემს განკარგულებაში არსებულ დროს განსაკუთრებით ამცირებდა თავის რჩენისათვის მუშაობის აუცილებლობა. ჩემმა ამჟამად უკვე რვა წლის თანამშრომლობამ პირველ ინგლისურ-ამერიკულ გაზეთ «New-York Daily Tribune»[149]-ში, — რადგან მე ნამდვილ საგაზეთო კორესპონდენციებს მხოლოდ გამონაკლისის სახით ვწერ, — ჩემი მეცნიერული მუშაობის მეტისმეტი დაქსაქსულობა გამოიწვია. მაგრამ სტატიები ინგლისისა და კონტინენტის საყურადღებო ეკონომიური მოვლენების შესახებ იმდენად მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა ჩემს საგაზეთო ნაწერებში, რომ მე იძულებული ვიყავი გავცნობოდი პრაქტიკულ დეტალებს, რომლებიც საკუთრივ პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერების ფარგალს გარეშე მდებარეობს.

ეს მოკლე მიმოხილვა პოლიტიკური ეკონომიის დარგში ჩემი მუშაობის მსვლელობის შესახებ მხოლოდ იმის დამამტკიცებელი უნდა იყოს, რომ ჩემი შეხედულება, როგორც უნდა განსაჯონ იგი, და რაგინდ ნაკლებ ეთანხმებოდეს იგი გაბატონებულ კლასთა დაინტერესებულ ცრურწმენას, კეთილსინდისიერი და მრავალწლოვანი კვლევა-ძიების შედეგს წარმოადგენს. მეცნიერების შესავალთან, როგორც ჯოჯოხეთის კარებთან შემდეგი მოთხოვნა უნდა იყოს გამოკრული:

Qui si convien lasciare ogni sospetto:
Ogni viltà convien che qui sia morta*.

კარლ მარქსი

ლონდონი, 1859 წ. იანვარი

პირველად გამოქვეყნდა წიგნში
«Zur Kritik der politischen Oekonomie von Karl Marx». Erstes Heft. Berlin. 1859

იბეჭდება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეული ნაწერების ორტომეულის ტექსტის მიხედვით, ტ. I, გვ. 404—410, თბილისი, 1953 წ.

---

* «შენ აქ უთუოდ უნდა დასთმო ყოველი შიში,
არ უნდა ექმნეს აქ ადგილი სრულიად ყოველგვარ ეჭვს».
(დ ა ნ ტ ე. ღვთაებრივი კომედია).

ფრ. ენგელსი

კ. მარქსი. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის»

I

მეცნიერების ყველა დარგში გერმანელებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ ისინი დანარჩენი განათლებული ხალხების თანასწორი არიან; მეტწილ დარგებში კი მათ თავიანთი უპირატესობაც უჩვენეს. მხოლოდ ერთ მეცნიერებას არ მოეპოვებოდა გერმანელის სახელი თავის კორიფეებს შორის; ეს მეცნიერებაა პოლიტიკური ეკონომია. ამის მიზეზი აღვილი გასაგებია. პოლიტიკური ეკონომია წარმოადგენს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების თეორიულ ანალიზს, და ამასთან იგი განვითარებულ ბურჟუაზიულ ურთიერთობას გულისხმობს, ურთიერთობას, რომელიც რეფორმაციულმა და გლეხთა ომებმა, განსაკუთრებით კი ოცდაათწლიანმა ომმა, შეუძლებელი გახადა გერმანიაში მთელი საუკუნეების მანძილზე. იმპერიისაგან ჰოლანდიის განცალკევებამ გერმანია დააშორა მსოფლიო ვაჭრობას და იმთავითვე მისი სამრეწველო განვითარება უმნიშვნელო ურთიერთობამდე დაიყვანა. და ვიდრე გერმანელები ისეთი გაჭირვებით და ისე მძიმედ იმაროებოდნენ წელში სამოქალაქო ომებით გამოწვეულ განადგურებათაგან; ვიდრე ისინი მთელ თავიანთ სამოქალაქო ენერგიას, რომელიც ძალიან დიდი არასოდეს არ ყოფილა, ხარჯავდნენ უნაყოფო ბრძოლაში საბაჟო ზღუდეებისა და უაზრო სავაჭრო წესდებების წინააღმდეგ, რომლებსაც თვითეული პაწაწა თავადი და იმპერიის თვითეული ბარონი თავის ქვეშევრდომთა მრეწველობას უმორჩილებდა; ვიდრე იმპერიის ქალაქები იღუპებოდნენ ამქართა და პატრიციატის წვრილმან ჩხუბში, — ამ დროის განმავლობაში ჰოლანდიამ, ინგლისმა და საფრანგეთმა მსოფლიო ვაჭრობაში პირველი ადგილები დაიპყრეს, კოლონიები კოლონიებზე დააარსეს, მანუფაქტურული მრეწველობა უაღრეს აყვავებამდე განა-

ვითარეს, სანამ დასასრულ, ინგლისი, ორთქლის აღმოჩენის წყალობით, რამაც პირველად მისცა ღირებულება მისი ნახშირისა და რკინის საბადოებს, თანამედროვე ბურჟუაზიული განვითარების სათავეში არ მოექცა. და ვიდრე მიმდინარეობდა ბრძოლა შუა საუკუნეების ისეთი სასაცილოდ მოძველებული ნაშთების წინააღმდეგ, რომელნიც 1830 წლამდე გერმანიის მატერიალურ ბურჟუაზიულ განვითარებას ბორკავდნენ, — არავითარი გერმანული პოლიტიკური ეკონომია არ იყო შესაძლებელი. მხოლოდ საბაჟო კავშირის დაარსებისას[1] მიაღწიეს გერმანელებმა ისეთ მდგომარეობას, როდესაც მათ საზოგადოდ შეეძლოთ პოლიტიკური ეკონომიის გ ა გ ე ბ ა. ამ დროიდან მართლაც დაიწყო ინგლისური და ფრანგული პოლიტიკური ეკონომიის იმპორტი გერმანიის ბურჟუაზიის საჭიროებისათვის. მალე სწავლულები და ბიუროკრატები დაეუფლნენ შემოზიდულ მასალას და დაუწყეს მას ისეთი დამუშავება, რომელიც მაინცდამაინც სასახელო არაა «გერმანული სულისთვის». მჯღაბნელთა ჭრელმა კრებულმა აფერისტთა, ვაჭართა, კლასის დამრიგებელთა და ბიუროკრატთა წრიდან ისეთი გერმანული ეკონომიური ლიტერატურა შექმნა, რომელსაც უხამსობის, დილეტანტიზმის, უშინაარსობის, მრავალსიტყვაობისა და სხვისი აზრების მითვისების მოურიდებლობის მხრივ, ანალოგია მხოლოდ გერმანულ რომანში მოეპოვება. პრაქტიკული მიმართულების ადამიანთა წრეებში თავდაპირველად განვითარდა მრეწველთა პროტექციონისტული სკოლა, რომელთა ავტორიტეტის, ლისტის ნაწარმოებები, დღესაც კიდევ უმნიშვნელოვანესია ყველა იმათგან, რაც წარმოშვა გერმანიის ბურჟუაზიულმა ეკონომიურმა ლიტერატურამ, თუმცა ყველა მისი ნაკლებ-ნადიდები შრომები გადმოწერილია ფრანგი ფერიესაგან, რომელიც კონტინენტალური სისტემის[2] თეორიის მამამთავარია. ამ მიმართულების საწინააღმდეგოდ 40-იან წლებში წარმოდგა ბალტიის მხარის პროვინციების ვაჭართა სკოლა, — თავისუფალი ვაჭრობის

---

[1] გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ა ბ ა ჟ ო კ ა ვ შ ი რ ი შეკრულ იქნა 1843 წლის 1 იანვარს პრუსიასა და გერმანიის სხვა სახელმწიფოთა შორის; ავსტრია კავშირის გარეშე დარჩა. რ ე დ.

[2] კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ ა ლ ი ს ი ს ტ ე მ ა — ნაპოლეონ პირველის პოლიტიკა, რომელმაც აკრძალა ევროპის კონტინენტზე ინგლისური საქონლის შემოზიდვა: კონტინენტალური სისტემა შემოღებულ იქნა დეკრეტით 1806 წ. კონტინენტალური სისტემის გატარებაში მონაწილეობას იღებდნენ: ესპანეთი, ნეაპოლი, ჰოლანდია; უფრო გვიან პრუსია, დანია, რუსეთი, ავსტრია და სხვა ქვეყნები. რ ე დ.

სკოლა, რომელიც ბავშვური, მაგრამ არა უანგარო, დანდობით იმეორებდა ინგლისელი ფრიტრედერების არგუმენტებს. დასასრულ, კლასის დამრიგებლებსა და ბიუროკრატებში, რომლებიც მეცნიერების თეორიულ მხარეს ამუშავებდნენ, იყვნენ მშრალი, ფაქტების უკრიტიკო მომგროვებლები, როგორც ბ-ნი რაუ, მობრძნო სპეკულანტები, ფილოსოფოსები, რომელნიც უცხო ავტორთა წინადადებებს მოუნელებელ ჰეგელის ენაზე თარგმნიდნენ, როგორც ბ-ნი შტაინი, ანდა სხვისი ნასუფრალის მომგროვებელი ბელეტრისტები «კულტურულ-ისტორიულ» დარგში, როგორც ბ-ნი რილი. ყველა აქედან, ბოლოს და ბოლოს შესდგა კამერალისტიკა[1], რაღაც ნარევი ყველაფრისა, ეკლექტიკურ-ეკონომიური წვენით მოსხმული, მსგავსი იმისა, რის ცოდნაც სასრგებლოა ადამიანისათვის, რომელიც აბარებს სახელმწიფო გამოცდას მთავრობის მოხელეს თანამდებობაზე.

ის დროს, როდესაც ბურჟუაზია, კლასის დამრიგებლები და ბიუროკრატია გერმანიაში ჭაპანწყვეტაში იყვნენ იმისათვის, რომ რამდენადმე გაეგოთ და გაეზეპირებინათ, ხელშეუხებელი დოგმების სახით, ინგლისურ-ფრანგული პოლიტიკური ეკონომიის ელემენტები, ისტორიულ სარბიელზე გამოვიდა გერმანიის პროლეტარული პარტია. მთელი მისი თეორიული არსება პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის საფუძველზე შემუშავდა, და მისი გამოსვლის მომენტიდან იწყება აგრეთვე მეცნიერული, დამოუკიდებელი, გ ერ მ ა ნ უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა. ეს გერმანული პოლიტიკური ეკონომია ემყარება არსებითად ი ს ტ ო რ ი ი ს მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ გ ა გ ებ ა ს, რომლის ძირითადი ნიშნები მოკლედ გადმოცემულია ზემოაღნიშნული ნაწარმოების წინასიტყვაობაში. ეს წინასიტყვაობა[2], მის ძირითად ნაწილში უკვე იყო დაბეჭდილი «Das Volk»-ში[3], ამიტომ ჩვენ მივუთითებთ მასზე ჩვენს მკითხველს. არა მარტო პოლიტიკური ეკონომიისათვის, არამედ ყველა ისტორიული მეცნიერებისათვის (და ყველა მეცნიერება, რომელიც ბუნებისმეტყველებას არ ეკუთვნის, ისტორიულ მეცნიერებას წარმოადგენს) რევოლუციის მომხდენი აღმოჩნდა ეს დებულება: რომ «მატე-

---

[1] კ ა მ ე რ ა ლ ი ს ტ ი კ ა — ციკლი ადმინისტრაციულ, სამეურნეო და ეკონომიურ მეცნიერებათა, რომელსაც ასწავლიდნენ ბურჟუაზიულ უნივერსიტეტებში. რ ე დ.

[2] იხ. ამ ტომის გვ. 405—410. რ ე დ.

[3] გერმანული გაზეთი «Das Volk» («ხალხი»), მარქსის უახლოესი მონაწილეობით გამოდიოდა ლონდონში 1859 წლის მაისიდან აგვისტომდე. რ ე დ.

რიალური ცხოვრების წარმოების წესი განსაზღვრავს სოციალური, პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრების პროცესს საზოგადოდ», და რომ ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ურთიერთობანი, ყველა რელიგიური და სამართლის სისტემანი, ყველა თეორიული შეხედულებანი, რომელთაც ადგილი აქვთ ისტორიის მსვლელობაში, მხოლოდ მაშინ შეიძლება გაგებულ იქნენ, როდესაც გაგებული იქნება თვითეული სათანადო ეპოქის ცხოვრების მატერიალური პირობები. და პირველნი ამ მატერიალური პირობებიდან იქნებიან გამოყვანილნი. «ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას». ეს დებულება იმდენად მარტივია, რომ იგი თითქოს თავისთავად გასაგები უნდა იყოს ყველასათვის, ვინც მოცული არაა იდეალისტური სიყალბით. მაგრამ მისგან ფრიად რევოლუციური დასკვნები გამომდინარეობს არა მარტო თეორიისათვის, არამედ პრაქტიკისათვისაც. «საზოგადოების მატერიალური საწარმოო ძალები მათი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ვარდება წინააღმდეგობაში არსებულ წარმოებითი ურთიერთობასთან ანუ, რაც მის მხოლოდ იურიდიულ გამოსახულებას წარმოადგენს, საკუთრების ურთიერთობასთან, რომლის შიგნითაც ისინი აქამდე ვითარდებოდნენ. საწარმოო ძალთა განვითარების ფორმიდან ეს ურთიერთობა მათ ბორკილად იქცევა. მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა. ეკონომიური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მთელი უზარმაზარი ზედნაშენიც მეტნაკლები სისწრაფით გადატრიალდება... ბურჟუაზიული წარმოებითი ურთერთობანი წარმოადგენენ საზოგადოებრივი წარმოების პროცესის უკანასკნელ ანტაგონისტურ ფორმას, ანტაგონისტურს არა ინდივიდუალური ანტაგონიზმის აზრით, არამედ ინდივიდუუმთა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებიდან აღმოცენებული ანტაგონიზმის აზრით, მაგრამ ის საწარმოო ძალები, რომლებიც ბურჟუაზიულ საზოგადოების წიაღში ვითარდება, ქმნის აგრეთვე მატერიალურ პირობებს ამ ანტაგონიზმის გადასაჭრელად». ჩვენი მატერიალისტური თეზისის შემდგომი განვითარებისას და თანადროულობისათვის მისი გამოყენებისას ჩვენ თვალწინ გვეშლება, ამგვარად, ყველა დროის დიდი, უდიადესი რევოლუციის პერსპექტივა.

მაგრამ უფრო ყურადღებით განხილვისას დაუყოვნებლივ მეღავნდება, რომ ის, ერთი შეხედვით მარტივი, აზრი, რომ ადამიანთა ცნობიერებას მათი ყოფიერება განსაზღვრავს, და არა პირიქით,

უკვე უბრალოდ მისგან გამომდინარე დასკვნებით სასიკვდილო ლახვარს ცემს ყოველგვარ იდეალიზმს, თვით უაღრესად ნიღაბაფარებულსაც კი. ამ დებულებით უარიყოფა ყველა ჩვეულებრივი და ტრადიციული შეხედულება ისტორიულ მოვლენებზე. მისი საშუალებით გადაყირავდება ყველა ტრადიციული წესი პოლიტიკური აზროვნებისა. პატრიოტული კეთილშობილება აღშფოთებით უგულებელჰყოფს ასეთ უხეშ შეხედულებას. ახალი მსოფლმხედველობა, ამიტომ, აუცილებლობით ეჯახება წინააღმდეგობას არა მარტო ბურჟუაზიის წარმომადგენელთა მხრივ, არამედ ფრანგ სოციალისტთა მასასაც, რომელთაც მისნური ფორმულის: თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა, ძ ო ბ ა ს საშუალებით სწადიათ გადაატრიალონ ქვეყნიერება. მაგრამ განსაკუთრებით დიდი აღშფოთება გამოიწვია ამ თეორიამ გერმანელი ვულგარულ-დემოკრატიული მყვირალების წრეში. მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელნი გულმოდგინედ ცდილობდნენ პლაგიატორულად ესარგებლნათ ახალი იდეებით, თუმცა ამასთანავე ყოველთვის თავიანთ მხრივ ამ იდეების იშვიათ გაუგებლობას ამჟღავნებდნენ.

მატერიალისტური გაგების განვითარება, თუნდაც მარტოოდენ ერთადერთ ისტორიულ მაგალითზე, წარმოადგენდა ისეთ სამეცნიერო სამუშაოს, რომლის შესასრულებლად მრავალწლოვანი მშვიდად წარმოებული გამოკვლევა იქნებოდა საჭირო, ვინაიდან ცხადია, რომ მარტო ფრაზით აქ არაფრის გაკეთება არ შეიძლება და რომ მხოლოდ მასიური, კრიტიკულად შემოწმებული, სავსებით დაძლეული ისტორიული მასალის საშუალებით არის შესაძლებელი ასეთი ამოცანის წარმატებით შესრულება. თებერვლის რევოლუციამ ჩვენი პარტია პოლიტიკურ სარბიელზე გადაისროლა და, ამგვარად, შეუძლებელი გახადა მისთვის წმინდა-სამეცნიერო მიზნებს გაჰყოლოდა; მაგრამ მაინც ძირითადი შეხედულება წითელი ძაფივით არის გატარებული პარტიის ყველა ლიტერატურულ ნაწარმოებში. მათში, თვითეულ ცალკე შემთხვევასთან დაკავშირებით, მოცემულია იმის დამტკიცება, რომ პოლიტიკური გამოსვლა ყოველთვის შედეგი იყო მატერიალური იმპულსების, და არა იმ ფრაზების, რომლებიც მას ახლავს, — პირიქით, პოლიტიკური და იურიდიული ფრაზები ისევე მატერიალური იმპულსების შედეგს წარმოადგენდა, როგორც პოლიტიკური მოქმედება და მისი შედეგები.

1848-1849 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ დადგა დრო როდესაც უფრო და უფრო შეუძლებელი გახდა უცხოეთიდან

გავლენის მოხდენა გერმანიაში; მაშინ ჩვენმა პარტიამ ვულგარულ დემოკრატიას დაუთმო ემიგრანტული კრტიმალობის ასპარეზი, ვინაიდან პრაქტიკული მოქმედების სფეროში მხოლოდ ეს დარჩა შესაძლებელი. და, აი, იმ დროს, როდესაც ეს დემოკრატია ეწეოდა ამ კრტიმალობას, დღეს ერთიმეორეს თმით ათრევდა, რათა ხვალ დაძმობილებოდა, ხოლო ზეგ კვლავ ქვეყნიერების წინაშე დაეწყო მთელი თავისი ჭუჭყიანი სარეცხის რეცხა; იმ დროს, როდესაც ეს დემოკრატია მთელს ამერიკაში ღოღავდა სამათხოვროდ, რათა შემდგომ ახალი სკანდალი დაეწყო რამდენიმე მოპოვებული ტალერის განაწილების გამო, — ჩვენი პარტია მოხარული იყო ესარგებლნა ჩამოვარდნილი მყუდრეობით, რომ კვლავ ხელი მოეკიდნა თავისი სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის. მისი დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ მას თეორიულ საფუძვლად ჰქონოდა ახალი მეცნიერული მსოფლმხედველობა, რომლის დამუშავება მას საკმაო საქმეს უქმნიდა. უკვე მარტო ამიტომ მას არ შეეძლო ისე დაბლა დაშვებულიყო, როგორც დაეშვნენ ემიგრაციის «დიდი ადამიანები».

ჩვენს წინ მდებარე წიგნი პირველი ნაყოფია ამ კვლევა-ძიებისა.

II

ისეთ თხზულებაში, როგორიც ჩვენს წინ მდებარე წიგნი არის, ლაპარაკიც კი არ შეიძლება პოლიტიკური ეკონომიის ცალკე თავების არამეთოდურ კრიტიკაზე, ამა თუ იმ პოლიტიკურ-ეკონომიური სადავო საკითხის არასისტემატურ განხლვიზე. პირიქით, ეს თხზულება თავიდანვე ეკონომიურ მეცნიერებათა მთელი კომპლექსის სისტემატურ გადმოცემაზე, ბურჟუაზიული წარმოებისა და ბურჟუაზიული გაცვლა-გამოცვლის კანონების დაკავშირებულ განვითარებაზეა აგებული. და რადგან ეკონომისტები სხვა არ არიან რა, თუ არ ამ კანონების განმმარტებელნი და აპოლოგეტები, ამიტომ ეს გამოკვლევა იმავე დროს წარმოადგენს მთელი ეკონომიური ლიტერატურის კრიტიკას.

ჰეგელის სიკვდილის შემდეგ ძნელად რომ ყოფილიყოს ცდა რომელიმე მეცნიერების განვითარებისა მის საკუთარ, შინაგან კავშირში. ოფიციალურმა ჰეგელის სკოლამ მასწავლებლის დიალექტიკიდან შეითვისა მხოლოდ მეტად მარტივი ხერხების მანიპულაცია, რომელსაც ყველგან და ყოველთვის იყენებდა და ხშირად ისე უხერხულად, რომ პირდაპირ სასაცილო იყო. ჰეგელის მთელი მემკვიდრეობა ამ სკოლისათვის მხოლოდ უბრალო შაბლონი გახდა, რომლის დახმარებით მუშავდებოდა ყოველი თემა, როგორიც უნდა ყოფილიყო იგი, და რომელიც გახდა სიტყვების და ენაჭახრაკობის

რეგისტრი, რომელთა ერთადერთი დანიშნულება იმაში მდგომარეობდა, რომ შეევსოთ, საჭიროებისამებრ, აზრებისა და დადებითი ცოდნის ნაკლებობა. ამიტომ იყო, რომ, როგორც ერთმა ბონელმა პროფესორმა თქვა, ამ ჰეგელიანელებს «არაფერზე» ცოტა რამ გაეგებოდათ, მაგრამ ყველაფერზე წერა კი შეეძლოთ. რასაკვირველია, მათ ნაშრომთა ღირებულება მათი გაგების დონეს შეესაბამებოდა. მაგრამ ეს ბატონები, თავიანთი ამაყობის მიუხედავად, იმდენად გრძნობდნენ გულში თავიანთ სისუსტეს, რომ მაინცდამაინც ხელს არ კიდებდნენ დიდ ამოცანას; ძველ რუტინულ მეცნიერებას შერჩა მისი პოზიციები იმ უპირატესობის გამო, რომელიც მას ჰქონდა დადებითი ცოდნის მხრივ. და მხოლოდ როდესაც ფოიერბახმა შემმუსვრელად დაჰკრა თავისი კრიტიკით სპეკულატურ იდეას, — ჰეგელიანობა თანდათან ჩაქრა, და მაშინ ადამიანს შეიძლება ჩვენებოდა, რომ მეცნიერებაში თითქოს ხელახლა დაიწყო ძველი მეტაფიზიკის აღორძინება მისი ურყევი კატეგორიებითურთ.

ამ მოვლენას თავისი ბუნებრივი საფუძველი ჰქონდა. ჰეგელის დიადოხების [1] რეჟიმის შემდეგ, რაც უაზრო ფრაზის მეფობას წარმოადგენდა, ბუნებრივია, რომ დადგა ეპოქა, როდესაც მეცნიერების დადებითი შინაარსი ხელახლა ჭარბობდა მის ფორმალურ მხარეს, მაგრამ იმავე დროს გერმანია სრულიად არაჩვეულებრივი ენერგიით დაეწაფა აგრეთვე ბუნებისმეცნიერებას, შესაბამისად მისი ძალოვანი ბურჟუაზიული განვითარებისა 1848 წელს შემდეგ; და რამდენადაც ეს მეცნიერებანი, რომლებშიაც სპეკულატურ მიმართულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა არასოდეს არ ჰქონია, მოდად იქცეოდნენ, იმდენადვე ხელახლა გზას იკაფავდა აზროვნების ძველი მეტაფიზიკური მეთოდი, ვოლფის უკიდურესად ტრივიალურ რაციონალიზმამდეც კი. ჰეგელი დავიწყებულ იქნა, განვითარდა ახალი საბუნებისმეტყველო მატერიალიზმი, რაც თეორიულად თითქმის არაფრით არ განირჩევა XVIII საუკუნის მატერიალიზმისაგან, რომლის წინაშე უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ის უპირატესობა აქვს, რომ იგი უფრო მდიდარ საბუნებისმეტყველო, სახელდობრ ქიმიურ და ფიზიოლოგიურ, მასალას გამოიყენებს.

[1] დ ი ა დ ო ხ ე ბ ი — ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრენი, რომელნიც მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ერთმანეთს შორის აწარმოებდნენ ბრძოლას. დიადოხთა ურთიერთშორის ბრძოლამ იმპერიის დამხობა გამოიწვია, ენგელსი ირონიულად ხმარობს ამ გამოთქმას ჰეგელის სკოლის ოფიციალური წარმომადგენლების მიმართ გერმანიის უნივერსიტეტებში. რ ე დ.

კანტის წინადროინდელი პერიოდის აზროვნების ამ შეზღუდულ ფილისტერულ წესს ჩვენ ვპოულობთ აღდგენილს მისი უაღრესად ტრივიალური ფორმებით ბიუხნერთან და ფოგტთან, და მოლეშოტთანაც კი, რომელიც ფოიერბახზე ფიცულობს და ყოველ წამს სწორედ სასაცილოდ იხლართება მეტისმეტად მარტივ კატეგორიებში. ჩვეულებრივი ბურჟუაზიული გონების უხეში ჯაგლაგი ცხენი, რასაკვირველია, ჩერდება, აზრდაბნეული, თხრილის წინ, რომელიც ჰყოფს არსს მოვლენისაგან, მიზეზს შედეგისაგან. მაგრამ ვინც აბსტრაქტული აზროვნების ოღრო-ჩოღრო ნიადაგზე აპირებს ნადირობას, ის ჯაგლაგ ცხენზე არ უნდა შეჯდეს.

ამგვარად, აქ გადასაჭრელი იყო სხვა საკითხი, რომელსაც დამოკიდებულება არა აქვს პოლიტიკურ ეკონომიასთან როგორც ასეთთან. მეცნიერული კვლევა-ძიების რომელი მეთოდი უნდა ყოფილიყო არჩეული? ერთი მხრივ, არსებობდა ჰეგელის დიალექტიკა სრულიად აბსტრაქტული, «სპეკულატური» ფორმით, როგორც იგი ჰეგელმა დატოვა; მეორე მხრივ, არსებობდა ჩვეულებრივი, არსებითად ვოლფისებურ-მეტაფიზიკური მეთოდი, ახლა ისევ მოდურ მეთოდად გადაქცეული, რასაც ადგნენ კიდეც ბურჟუაზიის ეკონომისტები თავიანთ სქელ, სისტემას მოკლებულ წიგნებში. ეს უკანასკნელი მეთოდი ისე შემუსვრილი იყო თეორიულად კანტის და განსაკუთრებით ჰეგელის მიერ, რომ მხოლოდ გონებრივი სიზანტე და სხვა მ ა რ ტ ი ვ ი მეთოდის უქონლობა ხდიდა შესაძლებლად განეგრძო მას პრაქტიკული არსებობა. მეორე მხრივ, ჰეგელის მეთოდი მის ა რ ს ე ბ უ ლ ფორმაში აბსოლუტურად გამოუსადეგარი იყო. იგი იყო არსებითად იდეალისტური, აქ კი საქმე შეეხებოდა ისეთ მსოფლმხედველობის განვითარებას, რომელიც უფრო მატერიალისტური იყო, ვიდრე ყველა სხვა წინანდელი. იგი წმინდა აზროვნებიდან გამოდიოდა, აქ კი ადგილი უნდა ჰქონოდა ჯიუტ ფაქტებიდან გამოსვლას. მეთოდი, რომელიც ჰეგელის საკუთარი აღიარებით, «არაფრიდან არაფრის გზით არაფრამდე მივიდა», ამ ფორმით აქ სრულიად უადგილო იყო. მიუხედავად ამისა, არსებული ლოგიკური მასალიდან ყოველ შემთხვევაში ეს იყო ერთადერთი რამ, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა. ამ მეთოდის კრიტიკა არ ყოფილა გაწეული, იგი ვერავინ დაძლია: დიდი დიალექტიკოსის მოწინააღმდეგეთაგან ვერავინ შესძლო გაენგრია მისი ამაყი შენობის კედელი. ეს მეთოდი დავიწყებულ იქნა იმიტომ, რომ ჰეგელის სკოლამ არ იცოდა მისი გამოყენება. უპირველეს ყოვლისა ამიტომ იყო საჭირო ჰეგელის მეთოდის საფუძვლიანი კრიტიკა.

ჰეგელის აზროვნების წესი ყველა სხვა ფილოსოფოსთა აზროვნების წესისაგან განსხვავდებოდა ვეება ისტორიული ალღოთი, რომელიც საფუძვლად დაედო პირველს. რაგინდ აბსტრაქტული და იდეალისტური იყოს ფორმა, მისი აზრების განვითარება ყოველთვის მიდიოდა პარალელურად მსოფლიო ისტორიის განვითარებასთან, და უკანასკნელი მხოლოდ შემმოწმებელი უნდა ყოფილიყო პირველისა. თუ, ერთი მხრივ, ნამდვილი დამოკიდებულება აზროვნებასა და სინამდვილეს შორის უკუღმა იყო წარმოდგენილი და თავდაყირა დაყენებული, მეორე მხრივ, მაინც ასეთი გზით შევიდა რეალური შინაარსი ფილოსოფიის ყველა დარგში, მით უფრო, რომ ჰეგელი, განსხვავებით მის მოწაფეთაგან, სათნოებად არ სახავდა უმეცრებას, არამედ თვითონ იყო ერთი უაღრესად განათლებული ადამიანთაგანი ყველა დროისა. იგი პირველად შეეცადა დაემტკიცებინა განვითარება და შინაგანი კავშირი ისტორიულ პროცესში, და რაგინდ უცნაურად გვეჩვენებოდეს ჩვენ ახლა მისი ისტორიის ფილოსოფიის ზოგი აზრი, ამ ნაწარმოების ძირითადი კონცეპცია თავისი დიადობით დღესაც გაკვირვების ღირსია, განსაკუთრებით თუ ჰეგელს შევადარებთ მის წინამორბედებს ან იმათ, რომელნიც მის შემდეგ ნებას აძლევდნენ თავიანთ თავს ზოგადი მსჯელობა გაემართათ ისტორიის შესახებ. მის «ფენომენოლოგიაში», «ესთეტიკაში», «ფილოსოფიის ისტორიაში» — ყველგან წითელი ძაფივით გატარებულია ისტორიის ეს გრანდიოზული გაგება, ყველგან საკითხები განიხილება ისტორიულად, განსაზღვრულ, თუმცა აბსტრაქტულად გადაყირავებულ, კავშირში ისტორიულ სინამდვილესთან.

ეს ეპოქის შემქმნელი გაგება ისტორიისა გახდა ისტორიის ახალი მატერიალისტური გაგების უშუალო თეორიული წანამძღვარი, და უკვე ამის წყალობით მოცემულ იქნა გამოსაყენელი წერტილი ლოგიკური მეთოდისათვის. თუ ამ დავიწყებულ დიალექტიკას უკვე «წმინდა აზროვნების» თვალსაზრისის ნიადაგზე შეეძლო ასეთ შედეგებამდე მიყვანა, თუ მან, ამასთან, თითქოს თამაშით გაუსწორა ანგარიში მთელ ძველ ლოგიკასა და მეტაფიზიკას, მაშ იგი, ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლებოდა ყოფილიყო მარტოოდენ სოფისტიკა და პედანტიზმი. მაგრამ ამ მეთოდის კრიტიკა, რომლის წინაშე უკან იხევდა და ახლაც იხევს მთელი ოფიციალური ფილოსოფია, არ იყო ადვილი ამოცანა.

მარქსი იყო და არის ერთადერთი პიროვნება, რომელმაც შესძლო ეკისრნა ეს ამოცანა: გამოეცალკევებინა ჰეგელის ლოგიკიდან ის

გული, რომელიც შეიცავს ჰეგელის ნამდვილ აღმოჩენას ამ დარგში, და აღედგინა დიალექტიკური მეთოდი, მისი იდეალისტური გარსისაგან განთავისუფლებული, იმ მარტივი ფორმით, რომელშიაც მარტოოდენ იქმნება იგი აზრთა განვითარების ერთადერთ სწორ ფორმად. იმ მეთოდის გამომუშავება, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის მარქსისეულ კრიტიკას უდევს საფუძვლად, ჩვენ მიგვაჩნია ისეთ შედეგად, რომელსაც ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს, ვიდრე ძირითად მატერიალისტურ შეხედულებას.

პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, მეთოდის მოპოვების შემდეგაც, შეიძლებოდა აგებული ყოფილიყო ორგვარად: ისტორიულად ან ლოგიკურად. რადგან ისტორიაში, ისე როგორც მის ლიტერატურულ ასახულობაში, განვითარება საერთოდ და მთლიანად მიმდინარეობს უფრო მარტივიდან უფრო რთული ურთიერთობისაკენ, ამიტომ პოლიტიკური ეკონომიის ლიტერატურულ-ისტორიული განვითარება იძლეოდა ბუნებრივ სახელმძღვანელო ძაფს, რომელსაც კრიტიკა შეიძლება მიჰყოლოდა, ასე რომ აქ ეკონომიური კატეგორიები საერთოდ და მთლიანად ისეთივე თანმიმდევრობით გამოვლინდებოდნენ, როგორც ლოგიკურ განვითარებაში. ამ ფორმას ერთი შეხედვით მეტი სიცხადის უპირატესობა აქვს, ვინაიდან აქ მსჯელობა მიჰყვება ნამდვილ განვითარებას; ნამდვილად კი ასეთი კონსტრუქცია, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ უფრო პოპულარული იქნებოდა. ისტორიული განვითარება ხშირად ნახტომისებრ და მიხვევ-მოხვევით მიმდინარეობს და საჭირო იქნებოდა მისი განხილვა ყველა მის ეპიზოდში, რის გამო ძალიან ხშირად საჭირო იქნებოდა არა თუ ბევრი მცირემნიშვნელოვანი მასალისათვის ადგილის დათმობა, არამედ ხშირად აზრთა მსვლელობის გაწყვეტაც; ამასთან, პოლიტიკური ეკონომიის ისტორია ვერ დაიწერება ბურჟუაზიული საზოგადოების ისტორიის გარეშე, ხოლო ეს უკანასკნელი უსასრულოდ გააგრძელებდა სამუშაოს, ვინაიდან ამ დარგში არავითარი წინასწარი ნაშრომი არ მოიპოვება. ამიტომ კვლევა-ძიების ლოგიკური მეთოდი ერთადერთ შესაფერის მეთოდს წარმოადგენს. არსებითად ეს მეთოდი იგივე ისტორიული მეთოდია, მხოლოდ მისი ისტორიული ფორმისაგან და იმ შემთხვევითობათაგან განთავისუფლებული, რომელნიც არღვევენ გადმოცემის სიმწყობრეს. საიდანაც ისტორია იწყებს, იქიდანვე უნდა დაიწყოს აზრთა ლოგიკურმა მსვლელობამ, და ამის შემდგომი განვითარება სხვა არაფერი იქნება, თუ არა ისტორიული პროცესის ასახვა განყენებული და თეორიულად თანმიმდევრული ფორმით;

ასახვა შესწორებული, მაგრამ შესწორებული იმ კანონების შესაბამისად, რომელთაც ხელთ გვაწვდის თვით ისტორიული სინამდვილე, ამასთანავე ყოველი მომენტი შეიძლება განხილულ იქნეს განვითარების იმ წერტილში, სადაც პროცესი სრულიად მომწიფებულია და კლასიკურ ფორმებს აღწევს.

ამ მეთოდის გამოყენებისას ჩვენ გამოვდივართ პირველი და ყველაზე მარტივი ურთიერთობიდან, რომელიც ჩვენ მოცემული გვაქვს ისტორიულად, ფაქტიურად, — მაშასადამე, პირველი ეკონომიური ურთიერთობიდან, რომელსაც ჩვენ ვპოულობთ. ამ ურთიერთობას ჩვენ ვანაწევრებთ. ის გარეშოება, რომ არის ურთიერთობა, უკვე გვეუბნება იმას, რომ მას ორი მხარე აქვს, რომელთაც ერთმანეთთან დამოკიდებულება აქვთ. ამ მხარეთაგან თვითეულს ჩვენ განვიხილავთ განცალკევებულად; აქედან გამომდინარეობს მათი ურთიერთდამოკიდებულების, ურთიერთქმედობის ხასიათი. ამასთან აღმოჩნდება წინააღმდეგობანი, რომელნიც გადაჭრას მოითხოვენ. მაგრამ ვინაიდან ჩვენ განვიხილავთ არა აზრის აბსტრაქტულ პროცესს, რომელსაც მხოლოდ ჩვენს თავში აქვს ადგილი, არამედ ნამდვილ პროცესს, რომელიც სრულდებოდა განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში ან განაგრძობს კიდევ შესრულებას ამჟამად, — ამიტომ ეს წინააღმდეგობანიც განვითარებას განიცდიან პრაქტიკაში და, ალბათ, მიიღებენ გადაჭრას. ჩვენ განვიხილავთ ამ გადაჭრის წესს და ვპოვებთ, რომ იგი გამოწვეულია დამყარებით ახალი ურთიერთობისა, რომლის ორი მოწინააღმდეგე მხარე ჩვენ უნდა გავარკვიოთ, და ასე შემდეგ.

პოლიტიკური ეკონომია იწყებს საქონლიდან, იმ მომენტიდან, როდესაც ინდივიდუუმებისა თუ პირველყოფილი თემების მიერ პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა ხდება ერთიმეორეზე. პროდუქტი, რომელიც გაცვლა-გამოცვლაში შედის, საქონელს წარმოადგენს. მაგრამ იგი წარმოადგენს საქონელს მხოლოდ იმიტომ, რომ ნივთში, პროდუქტში, ხორციელდება ორი პირის ან თემის ურთიერთობა, ურთიერთობა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის, რომელნიც აქ ერთ პირს აღარ შეადგენენ. ჩვენ აქ თვალწინ გვაქვს მაგალითი თავისებური მოვლენის, რომელიც წითელი ძაფივით გადის მთელ პოლიტიკურ ეკონომიაში და რომელმაც საშინელი არევდარევა წარმოშვა ბურჟუაზიული ეკონომისტების თავში: პოლიტიკურ ეკონომიაში საქმე შეეხება არა ნივთებს, არამედ ურთიერთობას პიროვნებათა შორის, საბოლოო ანგარიშით — კლასებს შორის, მაგრამ ეს ურთიერთობა ყოველთვის

ნივთებთანაა დაკავშირებული და აშკარავდებანივთების სახით. ეს კავშირი, რომელზედაც, რასაკვირველია, ცალკე შემთხვევებში ზოგიერთ ეკონომისტს გუმანი ჰქონდა, პირველად მარქსმა გამოამჟღავნა მისი მნიშვნელობით მთელი პოლიტიკური ეკონომიისათვის და მით უძნელესი საკითხები ისე მარტივი და ნათელი გახადა, რომ ახლა ბურჟუაზიული ეკონომისტებიც კი შესძლებენ მათ გაგებას.

თუ ჩვენ განვიხილავთ საქონელს მისი სხვადასხვა მხრიდან, და ამასთანავე საქონელს მის სრულიად განვითარებულ ფორმაში და არა მისი განვითარების ძნელი გზის დასაწყისში, ორ პირველყოფილ თემს შორის თავდაპირველი გაცვლითი ვაჭრობის სტადიაში, — ჩვენ იგი წარმოგვიდგება ორი თვალსაზრისის მიხედვით: როგორც სახმარი ღირებულება და როგორც საცვლელი ღირებულება. და აქ ჩვენ დაუყოვნებლივ შევდივართ ეკონომიური დებატების სფეროში. თუ ვინმეს უნდა ცხად მაგალითზე დარწმუნდეს იმაში, რომ გერმანული დიალექტიკური მეთოდი მის ახლანდელ განვითარების საფეხურზე, ყოველ შემთხვევაში, იმდენად მაინც აღემატება ძველ, ტრივიალურ-ყბედ, მეტაფიზიკურ მეთოდს, რამდენადაც თანამედროვე რკინიგზა აღემატება შუა საუკუნეების მიმოსვლის საშუალებებს, — მან წაიკითხოს ადამ სმიტის ან სხვა ოფიციალურად ცნობილი ეკონომისტის ნაწერში სათანადო ადგილები, და იგი ნახავს, თუ როგორ ტანჯავდა ამ ეკონომისტებს სახმარი და საცვლელი ღირებულება და როგორ ძნელია მათთვის ამათი გამიჯვნა ერთიმეორისაგან და თვითეული მათგანის გაგება მის სპეციფიკურ განსაზღვრულობაში; შემდეგ მან შეადაროს ამას ამ პრობლემების ნათელი, მარტივი გადმოცემა მარქსის მიერ.

მას შემდეგ, რაც სახმარი და საცვლელი ღირებულების ანალიზი გაკეთებულია, საქონელი წარმოგვიდგება როგორც უშუალო ერთიანობა ორივესი, — მაშასადამე, საქონელი იმ ფორმაში, რომლითაც იგი შედის გაცვლის პროცესში. თუ რა წინააღმდეგობანი წარმოიშობა აქ, ამას მკითხველი იხილავს 20 და 21 გვერდზე[1]. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ წინააღმდეგობებს აქვთ არა მარტო აბსტრაქტულ-თეორიული ინტერესი, არამედ ამავე დროს ისინი ასახავენ იმ სიძნელეებსაც, რომელნიც წარმოიშობიან უშუალო გაცვლითი ურთიერთობის ბუნებიდან, უბრალო გაცვლითი ვაჭრობიდან, ასახავენ იმ შეუძლებლობას,

[1] См. К. Маркс и Ф. Энгельс. соч. т. XII, ч. I, стр. 29 — 30. რედ.

რომელსაც აუცილებლობის გზით აწყდება გაცვლის ეს პრიმიტიული ფორმა. ამ შეუძლებლობათა გადაჭრა ხდება იმ გარემოებაში, რომ ყველა სხვა საქონელთა საცვლელი ღირებულების წარმომადგენლობის თვისება სპეციალურ საქონელზე — ფ ულ ზ ე — გადაიტანება. ფული ანუ მარტივი მიმოქცევა განიხილება შემდეგ მეორე თავში, სახელდობრ, ფული 1) როგორც ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ა ზ ო მ ი, და იქვე პოულობს თავის უფრო ზედმიწევნით განსაზღვრას ფულით გაზომილი ღირებულება, ფ ა ს ი, 2) როგორც მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა და 3) როგორც ორივე განსაზღვრის ერთიანობა, როგორც რ ე ა ლ უ რ ი ფ უ ლ ი, როგორც მთელი მატერიალური ბურჟუაზიული სიმდიდრის წარმომადგენელი. ამით თავდება პირველი რვეული, რომელიც მეორე რვეულისათვის ტოვებს ფულის კაპიტალად გარდაქმნის საკითხს.

ჩვენ ვხედავთ, რომ, ამ მეთოდით ხელმძღვანელობისას, ლოგიკური განვითარება სრულიად არაა ვალდებული წმინდა აბსტრაქციის სფეროში იყოს მოქცეული. პირიქით, იგი მოითხოვს ისტორიულ ილუსტრაციებს, მუდმივ კონტაქტს სინამდვილესთან. ეს ილუსტრაციები აქ მოცემულია კიდეც უამრავი რაოდენობით, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე საგანთა ნამდვილი ისტორიული მსვლელობის შესახებ მითითებების სახით, მეორე მხრივ, ეკონომიურ ლიტერატურაზე მითითებების სახით, რომელთა მიზანს თავიდანვე ეკონომიური ურთიერთობის ნათელ განსაზღვრათა შემუშავების პროცესის გათვალისწინება შეადგენს. ცალკე, მეტნაკლებ ცალმხრივ ან უთანამიმდევნო შეხედულებათა კრიტიკა მოცემულია უკვე ლოგიკური კონცეპციის განვითარებისას და შეიძლება მხოლოდ მოკლედ იქნეს გადმოცემული.

მესამე სტატიაში ჩვენ გადავალთ თვით წიგნის ეკონომიურ შინაარსზე [1].

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ
1859 წლის აგვისტოს პირველ ნახევარში.
დაბეჭდილია გაზეთ «Das Volk»-ის
1859 წლის 6 და 20 აგვისტოს ნომრებში.
ხელმოუწერელია.

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან.

[1] ეს მესამე სტატია არ გამოქვეყნებულა და არც მისი ხელნაწერია აღმოჩენილი. რ ე დ.

კ. მარქსი

დამფუძნებელი მანიფესტი მუშათა საერთაშორისო ასოციაციისა

დაარსდა 1864 წ. 28 სექტემბერს ლონდონში, ლონგ ეიკერი, სენტ-მარტინს ჰოლი

მ უ შ ე ბ ო!

უცილობელი ფაქტია, რომ მუშათა კლასის სიღატაკე 1848 წლიდან 1864-მდე არ შემცირებულა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდს მრეწველობის განვითარების და ვაჭრობის ზრდის მხრივ ბადალი არ მოეპოვება. 1850 წელს ინგლისის ბურჟუაზიის ერთი ზომიერი ორგანო, რომელიც საუკეთესო ინფორმაციის მქონე ორგანოა, რიცხვს ეკუთვნის, წინასწარმეტყველობდა, რომ თუ ინგლისის ექსპორტი და იმპორტი 50%-ით გაიზრდება, პაუპერიზმი ამ ქვეყანაში ნულზე დავაო. მაგრამ ვაი რომ არა! 1864 წლის 7 აპრილს ხაზინის კანცლერმა აღტაცებაში მოიყვანა პარლამენტის აუდიტორია იმ განცხადებით, რომ ინგლისის ერთობლივი საიმპორტო და საექსპორტო ვაჭრობა 1863 წელს «443 955 000 გირვ. სტერლინგამდე გაიზარდა, — ეს საოცარი თანხა თითქმის სამჯერ აღემატება შედარებით ახლობელი ეპოქის — 1843 წლის — ვაჭრობის თანხასო». და ამავე დროს იგი სიტყვებს არ ზოგავდა «სიღარიბის» შესახებ. «იფიქრეთ», — იძახდა იგი, — «იმათზე, რომელნიც პაუპერიზმის მიჯნაზე იმყოფებიან», «ხელფასზე, რომელიც... არ აწეულა», «ადამიანთა ცხოვრებაზე, რომელიც ათიდან ცხრა შემთხვევაში წარმოადგენს ბრძოლას მარტოოდენ არსებობისათვის». მას არა უთქვამს რა ირლანდიის ხალხის შესახებ, რომლის თანდათან განდევნას ეწევა ჩრდილოეთში მანქანა და სამხრეთში ცხვრების ფარები; თუმცა უბედურ ქვეყანაში ცხვრების რიცხვიც კი კლებუ-

ლობს, მართალია, არა ისე სწრაფად, როგორც ადამიანებისა. მას არ გაუმეორებია ის, რაც სწორედ მაშინ უეცარი შიშმოცულობის მოშენტში არისტოკრატიის უმაღლესმა წარმომადგენლებმა გამოამჟღავნეს. როდესაც «მახრჩობელებით»[1] გამოწვეული პანიკა გაძლიერდა, ლორდთა პალატამ დაადგინა გამოკვლევის მოხდენა გადასახლებისა და საკატორღო სასჯელის შესახებ და შედეგის ანგარიშის სახით გამოქვეყნება. სქელმა ლურჯმა წიგნმა, რომელიც 1863 წელს გამოქვეყნდა, სინათლეზე გამოიტანა ჭეშმარიტება და ოფიციალური ფაქტებით და ციფრებით დამტკიცებულ იქნა, რომ უცუდესნი სისხლის სამართლის ბოროტმოქმედთაგან — კატორღელები ინგლისსა და შოტლანდიაში — ვაცილებით ნაკლებს მუშაობენ და გაცილებით უკეთესად იკვებებიან, ვიდრე ინგლისის და შოტლანდიის ასოფლო-სამეურნეო მუშები. მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაფერი. როდესაც, ამერიკაში წარმოებული სამოქალაქო ომის შედეგად, ლანკაშირის და ჩეშირის საფაბრიკო მუშები გაყრილ იქნენ ქუჩაში, იმავე ლორდთა პალატამ გაგზავნა სამრეწველო ოლქებში ექიმი და დაავალა გამოეკვლია ნახშირბადის და აზოტის ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც, უიაფესად და უმარტივესი ფორმით მიწოდებული, აუცილებელია, საშუალოდ, ადამიანის დასაცავად «შიმშილით წარმომდგარ ავადმყოფობათაგან». დ-რ სმიტმა, რომელსაც ეს ჰქონდა მინდობილი, გამოიანგარიშა, რომ 28 000 გრანი ნახშირბადი და 1330 გრანი აზოტი კვირაში საკმარისია, რომ საშუალო ასაკოვან ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნოს... სწორედ იმ მიჯნაზე, რომლის ქვეშეითაც შიმშილით წარმოშობილი ავადმყოფობა იწყება. გარდა ამისა, მან გამოიკვლია, რომ ეს რაოდენობა თითქმის ზუსტად შეესაბამება იმ ღარიბულ ულუფას, რომლითაც დიდი გაჭირვების გამო იძულებული არიან დაკმაყოფილდნენ ბამბეულის ფაბრიკების მუშები[2]. მაგრამ ახლა მიაქციეთ ყურადღება შემდეგს:

---

[1] მახრჩობელები (garroters) — ასე უწოდებდნენ მძარცველებს, რომელნიც მსხვერპლს ყელში წაუჭერდნენ ხელს და ახრჩობდნენ. მათი თავდასხმა ლონდონში მე-60 წლების დასაწყისში ისე ხშირი შეიქნა, რომ პანიკა გამოიწვია და პარლამენტის განხილვის საგანი გახდა. რ ე დ.

[2] არც კია საჭირო მოვაგონოთ მკითხველს, რომ ნახშირბადი და აზოტი წყალთან და ზოგიერთ არაორგანულ ნივთიერებებთან ერთად შეადგენს ადამიანის საჭმლის ნედლეულს. მაგრამ ადამიანის ორგანიზმის საკვებად საჭიროა, რომ ეს მარტივი ქიმიური შემადგენელი ნაწილები მას მიეცეს მცენარეულ ან ცხოველურ ნივთიერებათა სახით, კატოფილი, მაგალითად, შეიცავს უმთავრესად ნახშირბადს, მაშინ როდესაც ხორბლის პური შეიცავს სათანადო პროპორციით ნახშირბადოვან და აზოტურ ნივთიერებათ. (მარქსის შენიშვნა).

ოგივე სწავლული ექიმი რამდენიმე წლის შემდეგ ხელახლა გაგზავნილ იქნა საიდუმლო საბჭოს სამედიცინო განყოფილების მიერ მუშათა კლასის უღარიბესი ნაწილის კვების გამოსაკვლევად. მისი გამოკვლევის შედეგები მოთხრობილია «მეექვსე სანიტარულ ანგარიშში», რომელიც პარლამენტის განკარგულებით წელს გამოქვეყნდა. რა აღმოაჩინა ამ ექიმმა? ის, რომ აბრეშუმეულის ფეიქრებს, მკერავ ქალებს, მეხელთათმანეებს, წინდის მქსოველებს და სხვ. ის მინიმალური საკვებიც კი არა აქვთ, რომელიც ეძლევათ ბამბეულის ფაბრიკის უმუშევარ მუშებს, ნახშირბადის და აზოტის იმ რაოდენობასაც კი არ იღებენ საშუალოდ, რომელიც «საკმარისია სწორედ შიმშილით გამოწვეულ ავადმყოფობათა თავიდან ასაცილებლად».

«კიდევ მეტი, — ვკითხულობთ ანგარიშში, — რაც შეეხება მიწათმოქმედ მოსახლეობას, აღმოჩნდა, რომ გამოკვლეულ ოჯახებში ერთ მეხუთედზე მეტი ვერ იღებს ნახშირბადოვანი საჭმლის აღნიშნულ მინიმუმს, რომ ერთ მესამედზე მეტი იძულებულია აზოტოვანი საჭმლის აღნიშნულ მინიმუმზე ნაკლებს დაკმაყოფილდეს და რომ სამ საგრაფოში (ბერკშირს, ოქსფორდშირსა და სომერსეტშირში) აზოტურ ნივთიერებათა ნაკლებობა საჭმელში საშუალოდ საყოველთაო მოვლენაა მთელ მიდამოებში». «უნდა გვახსოვდეს», — დასძენს ოფიციალური ანგარიში, — «რომ ადამიანები ძალიან ძნელად იტანენ ნაკლებობას კვებაში და რომ, საშიმშილო ულუფაზე, როგორც წესი, მხოლოდ ყოველგვარი სხვა ნაკლებობის გავლის შემდეგ გადადიან... ამ შემთხვევაში სისუფთავის დაცვაც კი ძვირად ღირებულ და საძნელო საქმედ ითვლება, და თუ მაინც საკუთარი ღირსების გრძნობა აიძულებს მათ მის დაცვას, ყოველი ასეთი ცდა მატებს მათ შიმშილით წარმომდგარ ტანჯვას». «ეს აღგვიძრავს მტკივნეულ აზრებს, განსაკუთრებით თუ მოვიგონებთ, რომ სიღარიბე, რომელზედაც აქ ლაპარაკია, არის არა დამსახურებული სიღარიბე უსაქმურ ადამიანთა; არა, ყველა აღნიშნულ შემთხვევაში ეს არის სიღარიბე მოსახლეობის მშრომელი ფენებისა. სინამდვილეში ის შრომა, რომელიც საჭიროა ამ საშიმშილო ულუფის მოსაპოვებლად, მეტწილ შემთხვევაში ზომაზე მეტად ხანგრძლივი არის». ანგარიშში მოყვანილია უცნაური და მეტად მოულოდნელი ფაქტი, «რომ შეერთებული სამეფოს» — ინგლისის, უელსის, შოტლანდიის და ირლანდიის — «ყველა ნაწილიდან მიწათმოქმედი მოსახლეობა ინგლისში» — სამეფოს

უმდიდრეს ნაწილში — «გაცილებით უფრო ცუდად იკვებება», ვიდრე დანარჩენ ნაწილებში; რომ ბერკშირის, ოქსფორდშირის და სომერსეტშირის სასოფლო-სამეურნეო მუშებიც კი უკეთ იკვებებიან, ვიდრე უამრავი კვალიფიციური შინამრეწველი მუშები ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში.

ასეთია ოფიციალური ცნობები, რომლებიც პარლამენტის განკარგულებითაა გამოქვეყნებული 1864 წელს, თავისუფალი ვაჭრობის «ოქროს ხანის სუფევის» დროს, იმ დროს, როდესაც ხაზინის კანცლერი თემთა პალატას მოახსენებდა, რომ, «ბრიტანეთის მუშის მდგომარეობაში საშუალოდ სრულიად განსაკუთრებული და უმაგალითო გაუმჯობესება დადგა, როგორიც არ სცოდნია არც ერთი ქვეყნის ისტორიას არც ერთ ეპოქაშიო». ამ ოფიციალურ ტრაბახობას გადაჭრით ეწინააღმდეგება ოფიციალური სანიტარული ანგარიშის მშრალი შენიშვნა: ქვეყნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში იგულისხმება მისი მოსახლეობის მასების ჯანმრთელობა, ხოლო ეს მასები საეჭვოა ჯანმრთელნი იყვნენ, თუ მოსახლეობის თვით უდაბლესი ფენებისათვის არ იქნება უზრუნველყოფილი ერთგვარი კეთილდღეობა მაინც.

დაბრმავებული მის თვალწინ მხტუნავი სტატისტიკური ციფრებით, რომელნიც «ერის პროგრესს» ადასტურებენ, ხაზინის კანცლერი უზომო აღფრთოვანებით გაიძახოდა: «1842 წლიდან 1852-ამდე ქვეყნის დასაბეგრავი შემოსავალი გადიდდა 6%-ით; რვა წელიწადში, 1853-დან 1861-ამდე, იგი გადიდდა, 1853 წელთან შედარებით, 20%-ით! ეს ფაქტები იმდენად საოცარია, რომ თითქმის დაუჯერებლად გვეჩვენება!.. ეს დამათრობელი ზრდა სიმდიდრის და ძლიერებისა, დასძენდა ბ-ნი გლადსტონი, მხოლოდ და მხოლოდ მქონებელი კლასებით შემოიფარგლებაო».

თუ თქვენ გინდათ იცოდეთ ის პირობები, რომელნიც იწვევენ ჯანმრთელობის დაკარგვას, ზნეობის დაცემას და გონების გაჩანაგებას, და, რომლებშიაც იქმნებოდა და იქმნება მუშათა კლასის მიერ ეს «დამათრობელი ზრდა სიმდიდრის და ძლიერებისა, მხოლოდ და მხოლოდ მქონებელი კლასებით რომ არის შემოფარგლული», — მიაპყარით თვალი მამაკაცთა და ქალთა ტანსაცმლის სახელოსნოებისა და სტამბების აღწერის უკანასკნელ ოფიციალურ სანიტარულ ანგარიშს. შეადარეთ ზემოაღნიშნულ მტკიცებას 1863 წელს გამოცემული «ანგარიში კომისიისა ბავშვთა შრომის შესახებ», რომელშიაც, მაგალითად, მოიპოვება ასეთი განცხადება, რომ «მეჭურჭლეები, როგორც ქალები ისე მამაკაცები, წარმოად-

ბენენ ფიზიკურად და გონებრივად დიდად დაცემულ მოსახლეობის ჯგუფს», რომ «არაჯანსაღი ბავშვები, თავის მხრივ, არაჯანსაღი მშობლები ხდებიან», რომ «პროგრესიული გადაგვარება რასისა აუცილებელია» და რომ «სტაფორდშირის მოსახლეობის გადაგვარება გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, ეს მოსახლეობა რომ მუდამ განახლებას არ იღებდეს ახლობელი სასოფლო ადგილების ხარჯზე და მოსახლეობის უფრო ჯანსაღ ფენებთან დაქორწინების გზით». გადაავლეთ თვალი ლორჯ წიგნს ბ-ნი ტრემენჰირის მოხსენებით: «მეპურეთა ქარგლების ჩივილის შესახებ»! და ვინ არ შეძრწუნებულა საფაბრიკო ინსპექტორების პარადოქსალური განცხადების წინაშე, რომელიც სამოქალაქო მდგომარეობის სარეგისტრაციო ორგანოების მიერაა დადასტურებული, რომ ლანკაშირის საფაბრიკო მუშები, როდესაც მათ, ბამბის სიმცირის გამო, მოუხდათ დროებით ბამბეულის ფაბრიკებისთვის თავის დანებება და ამიტომ საშიმშილო კერძით კვებვა, — უფრო ჯანსაღები გახდნენ, რომ ბავშვთა სიკვდილიანობა ამ პერიოდში შემცირდა, რადგან დედებს, ბოლოს, შესაძლებლობა მიეცათ, გოდფრეის ოპიუმ-პრეპარატის მიცემის ნაცვლად, ძუძუ ეწოვებინათ მათთვის.

და, აი, კიდევ უკანა მხარე მედალისა. ანგარიში საშემოსავლო და ქონებისკვალობითი გადასახადის შესახებ, რომელიც თემთა პალატას 1864 წლის 20 ივლისს წარედგინა, გვაუწყებს, რომ იმ პირთა რიცხვი, რომელთა წლიური შემოსავალი, გადასახადთა ამკრეფის შეფასებით, 50 000 გირვ. სტერლინგს და მეტს უდრის, 1862 წლის 5 აპრილიდან 1863 წლის 5 აპრილამდე გადიდდა 13-ით; ე. ი. ამ პირთა რიცხვი ამ ერთ წელიწადში 67-იდან გაიზარდა 80-ამდე. იგივე ანგარიში ააშკარავებს იმ ფაქტს, რომ დაახლოებით 3 000 ადამიანი იყოფს ურთიერთ შორის 25 000 000 გირვ. სტერლინგის ოდენობის წლიურ შემოსავალს, ე. ი. იმაზე მეტს, რაც ინგლისის და უელსის სასოფლო-სამეურნეო მუშების მთელ მასას უწევს. გადაშალეთ 1861 წლის აღწერა და თქვენ ნახავთ, რომ მამრობითი სქესის მიწისმფლობელთა რიცხვი ინგლისსა და უელსში 16934-დან 1851 წელს შემცირებული იყო 15 066-ამდე 1861 წელს, ე. ი. ათი წლის განმავლობაში მოხდა მიწის საკუთრების კონცენტრაციის გაძლიერება 11%-ით. თუ ქვეყნის მიწის საკუთრების კონცენტრაცია მცირეოდენთა ხელში ასეთი ტემპით წავიდა წინ, მიწის საკითხი მეტისმეტად გამარტივდება. ასე იყო რომის იმპერიაშიც; ნერონმა დამცინავად გაიღიმა, როდესაც გაიგო, რომ აფრიკის პროვინციის ნახევარი ექვს მებატონეს ეკუთვნოდა.

ჩვენ ასე დიდხანს გავჩერდით ამ «იმდენად უცნაურ ფაქტებზე, რომ ისინი დაუჯერებლად გვეჩვენებიან», იმიტომ რომ ინგლისს ევროპის ვაჭრობასა და მრეწველობაში პირველი ადგილი უჭირავს. მოიგონეთ, რომ რამდენიმე თვის წინათ ლუი ფილიპეს ერთ-ერთი ემიგრაციაში მყოფი შვილი საჯაროდ ულოცავდა ინგლისის მუშას მის მდგომარეობას, რომელიც ვითომ უკეთესია, ვიდრე მისი ნაკლებ ბედნიერი თანამოძმისა, რომელიც ლამანშის გაღმა ცხოვრობს. სინამდვილეში კი ინგლისური ფაქტები მეორდება კონტინენტის ყველა სამრეწველო და მოწინავე ქვეყანაში ადგილობრივ პირობებთან შეფარდებული ცვლილებით და რამდენადმე ნაკლები მასშტაბით. ყველა ამ ქვეყნებში 1848 წლიდან ადგილი ჰქონდა მრეწველობის გაუგონარ განვითარებას და იმპორტის და ექსპორტის წარმოუდგენელ გაფართოებას. ყველა ამ ქვეყნებში «სიმდიდრისა და ძლიერების ზრდა, რომელიც მქონებელი კლასებითაა შემოფარგლული», მართლაც «დამათრობელი» იყო. ყველა ამ ქვეყნებში, ისე როგორც ინგლისში, მუშათა კლასის მხოლოდ უმცირესობის რეალურმა ხელფასმა აიწია ცოტაოდენად მაღლა, მაშინ როდესაც უმრავლეს შემთხვევებში ხელფასის ნომინალური აწევა სრულიადაც არ მოასწავებდა რეალური კეთილდღეობის გადიდებას, ისე როგორც, მაგალითად, ლონდონის ღარიბთა სახლებში ან ობოლთა თავშესაფარებში მცხოვრები სრულიადაც არ გაბედნიერებულა მით, რომ მისთვის უპირველესი საჭიროების პროდუქტები 1861 წელს 9 გირვ. სტერლინგი 15 შილინგი და 9 პენსი ღირდა ნაცვლად 7 გირვ. სტერლინგის 7 შილინგის და 4 პენსისა 1852 წელს. ყველგან მუშათა კლასის ფართო მასები იწევდნენ უფრო და უფრო დაბლა, — ყოველ შემთხვევაში იმ ზომით, რა ზომითაც მათზე მაღლა მდგომი კლასები მაღლა ადიოდნენ საზოგადოებრივ საფეხურებზე. არც მანქანების გაუმჯობესებას, არც მეცნიერების გამოყენებას წარმოებაში, არც კავშირურთიერთობის საშუალებათა გაუმჯობესებას, არც ახალ კოლონიებს, არც ემიგრაციას, არც ახალ ბაზრებს, არც თავისუფალ ვაჭრობას, არც ყველა ამას, ერთად აღებულს, არ ძალუძს მშრომელი მასების სიღატაკის შოსპობა; ახლანდელ ყალბ საფუძველზე შრომის საწარმოო ძალების ყოველი ახალი განვითარება აუცილებლად აღრმავებს სოციალურ განსხვავებებს და ამწვავებს სოციალურ წინააღმდეგობებს. ევროპის ყველა ქვეყანაში ეს ახლა ცხად ჭეშმარიტებად იქცა ყოველი ადამიანისათვის, რომლის გონება ცრურწმენით არაა შეპყრობილი, და მას უარყოფენ მხოლოდ ისინი, ვინც დაინ-

ტერესებული არიან იმაში, რომ ეს ჭეშმარიტება დღის სინათლეზე არ გამოვიდეს. ეკონომიური პროგრესის ამ «დამათრობელ» ეპოქაში შიმშილით სიკვდილი თითქმის წესად იქცა ბრიტანეთის იმპერიის მეტროპოლიაში. მსოფლიოს მატიანეში ეს ეპოქა ნიშანდებულია იმ სოციალური ჭირის უფრო ხშირი, უფრო ფართო ზომით და უფრო დამღუპველი შედეგების განმეორებით, რომელსაც საკაჭრო და სამრეწველო კრიზისი ეწოდება.

1848 წლის რევოლუციების დამარცხების შემდეგ მუშათა კლასის ყველა პარტიული ორგანიზაცია და პარტიული გაზეთი კონტინენტზე განადგურებულ იქნა უხეში ძალმომრეობით, მუშათა კლასის უფრო მოწინავე ძალები სასოწარკვეთილნი გაიქცნენ ატლანტის ოკეანეს იქითა რესპუბლიკაში, და ხანმოკლე ოცნება განთავისუფლების შესახებ გაჰქრა სამრეწველო ციებცხელების, ზნეობრივი დაცემისა და პოლიტიკური რეაქციის დადგომასთან ერთად. მუშათა კლასის დამარცხებამ კონტინენტზე, რასაც ნაწილობრივ ხელს უწყობდა ინგლისის მთავრობის დიპლომატია, რომელიც მაშინ, ისე როგორც დღესაც, სანკტ-პეტერბურგის კაბინეტთან ძმური სოლიდარობით მოქმედებდა, თავისი გადამდები ზემოქმედება გაავრცელა ინგლისზედაც. კლასობრივი ძმების დამარცხებამ კონტინენტზე შეშფოთება შეიტანა ინგლისის მუშათა კლასში და წაართვა მას რწმენა თავისი საკუთარი საქმის მიმართ, ხოლო მემამულეებს და კაპიტალისტებს დაუბრუნა მათი რამდენადმე შერყეული გულდაჯერებულობა. მათ უტიფრად წაიღეს უკან უკვე გამოცხადებული დათმობები. ოქროს ახალი საბადოების შემცველი ქვეყნების აღმოჩენამ გამოიწვია ვეება ემიგრაცია, რომელმაც ამოუვსებელი ნაპრალები შეჰქმნა ბრიტანეთის პროლეტარიატის რიგებში. ზოგი წინანდელი მისი აქტიური წევრები წამოეგნენ სამუშაოს და ხელფასის დროებითი გადიდების ანკესზე და «პოლიტიკურ შტრეიკბრეხერებად» გადაიქცნენ. ჩარტისტული მოძრაობისთვის მხარის დაჭერის ან მისთვის სხვა ფორმის მიცემის ყველა ცდა უნაყოფო გამოდგა. მუშათა კლასის პრესის ორგანოები მოისპო ერთი მეორის მიყოლებით მასების გულგრილობის გამო; და მართლაც თითქოს ინგლისის მუშათა კლასი არასოდეს წინათ ასე არ შერიგებია პოლიტიკური არარაობის მდგომარეობას. თუ წინათ ბრიტანეთის პროლეტარიატსა და კონტინენტის მუშათა კლასს შორის არ არსებობდა სოლიდარობა მოქმედებაში, ახლა მათ შორის არსებობდა ყოველ შემთხვევაში, სოლიდარობა დამარცხებაში.

და 1848 წლის რევოლუციების შემდგომდროინდელ ხანას მაინც ჰქონდა ზოგი ნათელი მხარეები. აღვნიშნავთ აქ მხოლოდ ორ მნიშვნელოვან ფაქტს.

ოცდაათწლიანი ბრძოლის შემდეგ, რომელსაც საოცარი მედგრობით ეწეოდა ინგლისის მუშათა კლასი, მან გამოიყენა თავის სასარგებლოდ დროებითი გათიშვა მემამულეებსა და კაპიტალისტებს შორის, რათა მოეპოვებინა კანონი ათსაათიანი საშუშაო დღის შესახებ. ამ კანონის მეტისმეტად კეთილი შედეგები საფაბრიკო მუშებისთვის ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი მიმართულებით, რაც ყოველ ნახევარ წელიწადში აღნიშნულია ხოლმე საფაბრიკო ინსპექტორების ანგარიშებში, ამჟამად ყველას მიერ აღიარებულია. კონტინენტის მეტი წილი მთავრობები იძულებული იყვნენ შემოეღოთ ინგლისური საფაბრიკო კანონი მეტნაკლებ შეცვლილი ფორმით, და თვით ინგლისის პარლამენტიც იძულებულია ყოველ წელს გააფართოვოს ამ კანონის მოქმედების სფერო. მაგრამ ამ ღონისძიებაში მუშებისთვის, გარდა მისი პრაქტიკული მნიშვნელობისა, იყო კიდევ სხვა რამეც, რაც ადიდებდა მის საოცარ წარმატებას. თავისი დიდად ცნობილი სწავლულების პირით, როგორიც არიან დ-რ იური, პროფესორი სენიორი და სხვა მათივე ჯურის ბრძენნი, ბურჟუაზია წინასწარმეტყველებდა და თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ სამუშაო დღის ყოველი კანონმდებლობითი შეზღუდვა აღსასრულის ზარის ხმა იქნება ბრიტანეთის მრეწველობისათვისო, რომელსაც ვამპირის მსგავსად მხოლოდ მაშინ შეუძლია არსებობა, როდესაც იკვებება სისხლით, და ამასთან — ბავშვების სისხლით. ძველად ბავშვების ხოცვა იდუმალი რიტუალი იყო მოლოხის რელიგიისა, და მას ადგილი ჰქონდა მხოლოდ განსაკუთრებულ საზეიმო შემთხვევებში, იქნებ ერთხელ წელიწადში, და ამასთან მაშინ მოლოხს არ ჰქონდა განსაკუთრებული მიდრეკილება ღარიბების ბავშვებისადმი. ეს ბრძოლა სამუშაო დღის საკანონმდებლო გზით შეზღუდვის ირგვლივ მით უფრო მწვავედ წარმოებდა, რომ იგი, ხარბი ბურჟუაზიის დაფრთხობა რომ მხედველობაში არ მიეიღოთ, გადადიოდა დიად ბრძოლაში ბურჟუაზიის მთელი პოლიტიკური ეკონომიის შემადგენელი მოთხოვნის და მიწოდების კანონის ბრმა ბატონობასა და წინასწარგანჭვრეტილი საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ დაყენებულ საზოგადოებრივ წარმოებას შორის, რაც მუშათა კლასის პოლიტიკურ ეკონომიას შეად-

გენს. ამიტომ კანონი ათსაათიანი სამუშაო დღის შესახებ წარმოადგენდა არა მარტო პოლიტიკურ წარმატებას, არამედ პრინციპის გამარჯვებასაც; პირველად იყო, რომ ბურჟუაზიის პოლიტიკურ ეკონომიას აშკარად სძლია მუშათა კლასის პოლიტიკურმა ეკონომიამ.

მაგრამ წინ იყო კიდევ მუშათა კლასის პოლიტიკური ეკონომიის ერთი უფრო დიდი გამარჯვება საკუთრების პოლიტიკურ ეკონომიაზე. ჩვენ ვლაპარაკობთ კოოპერაციულ მოძრაობაზე, განსაკუთრებით კოოპერაციულ ფაბრიკებზე, რომელნიც, ყოველი დახმარების გარეშე, რამდენიმე გაბედული «ხელის» («hands»)[1] ცდებს წარმოადგენდნენ. ამ დიდი სოციალური ცდების მნიშვნელობა შეუძლებელია გადაჭარბებით იქნეს შეფასებული. საქმით და არა სიტყვებით დაამტკიცეს მუშებმა, რომ დიდი მასშტაბით წარმოება, და ამასთან თანამედროვე მეცნიერების თანახმად წარმოებული, შეიძლება განხორციელებულ იქნეს მქონებელი კლასის არსებობის გარეშე, რომელნიც დაქირავებულ მუშათა კლასს ამუშავებენ; დაამტკიცა, რომ წარმოების წარმატებისათვის საჭირო არაა, რომ შრომის იარაღები მონოპოლიზებულ იყოს როგორც იარაღი თვით მშრომელ ადამიანზე ბატონობისა და მისი გაძარცვისა, და რომ დაქირავებული შრომა, მონური და ბატონყმური შრომის მსგავსად, მარტოოდენ გარდამავალი და უფრო დაბალი ფორმა არის, რამაც ადგილი უნდა დაუთმოს ასოციაციურ შრომას, რომელიც გაწეული იქნება ნებაყოფლობით, ხალისით და სიხარულით. ინგლისში კოოპერაციული სისტემის თესლი მოაპნია რობერტ ოუენმა; ცდები, რომლებიც მუშებმა მოახდინეს კონტინენტზე, წარმოადგენს პრაქტიკულ დასკვნას თეორიებიდან, რომლებიც, გამოგონილი კი არ იყო, არამედ ხმამაღლა გამოცხადებული იყო 1848 წელს.

ამავე დროს 1848 — 1864 წლების პერიოდის გამოცდილებამ უეჭველად დაამტკიცა, რომ რაგინდ ჩინებული იყოს პრინციპში და სასარგებლო პრაქტიკაში კოოპერაციული შრომა, იგი ვერასოდეს ვერ შეაფერხებს გეომეტრიული პროგრესიით მიმდინარე ზრდას მონოპოლიისას, ვერც გაანთავისუფლებს მასებს, შესამჩნევად ვერც კი შეამსუბუქებს სიღატაკის ტვირთს, სანამ კოოპერაციული შრომა ცალკეულ მუშათა შემთხვევითი ცდების ვიწრო წრით არის შემოფარგლული. სწორედ ამიტომ იყო, ალბათ, რომ გულკეთილმა არისტოკრატებმა, მოლაყბე ბურჟუა-ფილანტრო-

[1] **Hands** — ხელები, ეხმარება აგრეთვე მუშა-ხელის მნიშვნელობითაც. რ ე დ.

პებმა და პედანტმა ეკონომისტებმაც იწყეს უცებ გულისამრევი ქება-დიდება იმ კოოპერაციული შრომის სისტემის მიმართ, რომლის ჩახშობას ჩანასახშივე ისინი უნაყოფოდ ცდილობდნენ, რომელსაც დასცინოდნენ როგორც მეოცნებეთა უტოპიას ანდა შანთავდნენ როგორც სოციალისტების მკრეხელობას. მშრომელთა მასის განთავისუფლებისათვის საჭიროა კოოპერაციული შრომა საერთო ნაციონალური მასშტაბით განვითარდეს და, მაშასადამე, საერთო ნაციონალური სახსრებით გაზრდილ იქნეს. მაგრამ მემამულეები და კაპიტალისტები ყოველთვის გამოიყენებენ თავიანთ პოლიტიკურ პრივილეგიებს თავიანთი ეკონომიური მონოპოლიების დასაცავად და გასამარადებლად. ისინი არა თუ ხელს შეუწყობენ, არამედ, პირიქით, ყოველგვარ დაბრკოლებებს შეუქმნიან გზაზე მუშათა კლასის განთავისუფლებას. გაიხსენეთ ის დაცინვა, რომლითაც ლორდი პალმერსტონი უკანასკნელი საპარლამენტო სესიის დროს გაუმასპინძლდა ირლანდიის ფერმერების უფლებათა შესახებ კანონპროექტის დამცველებს: «თემთა პალატა მემამულეების პალატა არისო», განაცხადა მან.

ამიტომ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა მუშათა კლასის დიადი ამოცანა გახდა. მუშები, როგორც ეტყობა, მიხვდნენ ამას, რადგან ინგლისში, გერმანიაში, იტალიასა და საფრანგეთში ერთსა და იმავე დროს დაიწყო გამოცოცხლება და იმავე დროულად იქნა მიღებული ზომები მუშათა პარტიის პოლიტიკური რეორგანიზაციის მოსახდენად.

მათ ხელში უკვე არის წარმატების ერთი ელემენტი, — მათი რიცხვი; მაგრამ რიცხვს მხოლოდ მაშინ აქვს წონა, როდესაც იგი გაერთიანებულია ორგანიზაციით და როცა მას ცოდნა ხელმძღვანელობს. წარსულის გამოცდილებამ გვასწავლა, თუ როგორ ისჯება უგულებელყოფა ძმური კავშირის, რომელიც უნდა არსებობდეს სხვადასხვა ქვეყნების მუშებს შორის და ამხნევებდეს მათ ურთიერთ მხარის დასაჭერად განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, როგორ შეუბრალებლად ისჯება მათი შეუკავშირებელი ძალდაჭიმვა საერთო დამარცხებით. ამ გარემოების შეცნობიდან წარმოდგა ის, რომ სხვადასხვა ქვეყნების მუშებმა, რომელნიც 1864 წლის 28 სექტემბერს შეიკრიბნენ ღია მიტინგზე სენტ-მარტინს ჰოლში, დაარსეს მუშათა საერთაშორისო ასოციაცია.

კიდევ ერთი რწმენა აღაფრთოვანებდა ამ მიტინგის მონაწილეებს. თუ მუშათა კლასის განთავისუფლება მოითხოვს მუშების ძმურ

ერთობას და თანამშრომლობას, როგორ შეუძლიათ მათ ამ დიადი მისიის შესრულება იმ საგარეო პოლიტიკის არსებობისას, რომელიც, მიჰყვება რა დანაშაულებრივ მიზნებს, აღვივებს ეროვნულ ცრურწმენას და მძარცველურ ომებში ღვრის ხალხის სისხლს და ფლანგავს მის სიმდიდრეს? არა გაბატონებული კლასების სიბრძნემ, არამედ ინგლისის მუშათა კლასის გმირულმა წინააღმდეგობამ მათი დანაშაულებრივი უგუნურობის მიმართ იხსნა დასავლეთ ევროპა სამარცხვინო ჯვაროსნული ლაშქრობის ავანტურისაგან ატლანტის ოკეანეს იქითა მხარეზე მონობის გასამარადებლად და გასავრცელებლად. უსირცხვილო მოწონებამ, მლიქვნელურმა თანაგრძნობამ ან იდიოტურმა გულგრილობამ, რომლითაც ევროპის უმაღლესი კლასები უცქეროდნენ იმას, თუ როგორ დაიპყრო რუსეთმა კავკასიის მთიანი სიმაგრეები, როგორ ჩაჰკლა მან გმირული პოლონეთი; უზომო, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩარევამ სხვის საქმეებში ამ ბარბაროსული სახელმწიფოს მხრივ, რომელსაც თავი სანკტ-პეტერბურგში აქვს და ხელები კი ევროპის ყველა კაბინეტში, — დაანახვა მუშათა კლასს, რომ მისი მოვალეობაა: დაეუფლოს საერთაშორისო პოლიტიკის საიდუმლოებებს, კონტროლი გაუწიოს თავისი მთავრობების დიპლომატიურ მოქმედებას და საჭიროების შემთხვევებში წინააღმდეგობა გაუწიოს მათ ყველა იმ საშუალებით, რომლებიც მის განკარგულებაში მოიპოვება; და იმ შემთხვევაში, თუ მას მათი დაბრკოლების შესაძლებლობა არ ექნება, გაერთიანდეს, ამ საიდუმლოებათა იმავდროულად გამოსააშკარავებლად და ეცადოს, რომ ზნეობისა და სამართლიანობის მარტივმა კანონებმა, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ თავიანთ ურთიერთობაში კერძო პირები, უზენაესი კანონების მნიშვნელობა მოიპოვონ, აგრეთვე ერთა ურთიერთობაშიც.

ასეთი საგარეო პოლიტიკისათვის ბრძოლა შეადგენს მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის საერთო ბრძოლის ნაწილს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დაწერილია კ. მარქსის მიერ
1864 წ. 21 — 27 ოქტომბერს.
დაბეჭდილია ცალკე ბროშურის სახით
ინგლისურ ენაზე 1864 წლის ნოემბერს
ლონდონში. ამავე დროს დაბეჭდილია გერმანულ ენაზე გაზეთ «Social-Demokrat»-ის
1864 წლის 21 და 30 დეკემბრის ნომრებში.

იბეჭდება ბროშურის
ტექსტის მიხედვით.
თარგმანი ინგლისურიდან.

კ. მარქსი

მუშათა საერთაშორისო ასოციაციის საერთო წესდება[1]

ვიღებთ რა მხედველობაში:

რომ მუშათა კლასის განთავისუფლება მოპოვებული უნდა იქნეს ბრძოლით თვით მუშათა კლასის მიერ; რომ ბრძოლა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მოასწავებს არა ბრძოლას კლასობრივი პრივილეგიებისა და მონოპოლიებისათვის, არამედ თანასწორი უფლებებისა და მოვალეობებისათვის და ყოველგვარი კლასობრივი ბატონობის მოსპობისათვის;

რომ ეკონომიური დამორჩილება მუშისა შრომის საშუალებათა, ე. ი. სიცოცხლის წყაროთა მონოპოლისტის მიერ საფუძვლად უდევს მონობას ყველა მის ფორმაში, ყველა სოციალურ სიბეჩავეს, გონებრივ დეგრადაციას და პოლიტიკურ დამოკიდებულებას;

რომ მუშათა კლასის ეკონომიური განთავისუფლება, ამიტომ, არის დიადი მიზანი, რომელსაც ყოველი პოლიტიკური მოძრაობა უნდა დაუქვემდებარდეს როგორც საშუალება;

რომ ყოველგვარი ცდა ამ დიადი მიზნის მისაღწევად დღემდე მარცხით თავდებოდა სოლიდარობის ნაკლებობის გამო თვითეული ქვეყნის შრომის სხვადასხვა დარგის მუშებს შორის და ძმური კავშირის არარსებობის გამო სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კლასებს შორის;

---

[1] ეს წესდება მიღებულ იქნა 1871 წლის სექტემბერში მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ლონდონის კონფერენციაზე. ამ წესდებას საფუძვლად დაედო «დროებითი წესდება», რომელიც შედგენილი იყო მარქსის მიერ 1864 წელს, პირველი ინტერნაციონალის დაარსების დროს.

რომ შრომის განთავისუფლება არა ადგილობრივი და არა ნაციონალური პრობლემა არის, არამედ — სოციალური, რომელიც მოიცავს ყველა ქვეყანას, სადაც არსებობს თანამედროვე საზოგადოება, და რომ მისი გადაჭრა ყველაზე უფრო მოწინავე ქვეყნების პრაქტიკულ და თეორიულ თანამშრომლობაზეა დამოკიდებული;

რომ მუშათა კლასის დღევანდელი გამოფხიზლება ევროპის მოწინავე სამრეწველო ქვეყნებში, იწვევს რა ახალ იმედებს, წარმოადგენს ამავე დროს სერიოზულ გაფრთხილებას წინანდელი შეცდომების განმეორების წინააღმდეგ და მოითხოვს დღემდე დაქსაქსულ მოძრაობათა დაუყოვნებლივ დაკავშირებას; —

ამ მოსაზრებების გამო დაარსებულ იქნა მუშათა საერთაშორისო ასოციაცია.

ეს ასოციაცია აცხადებს, რომ ყველა მასში შემავალი საზოგადოებანი და ცალკეული პირნი ჭეშმარიტებას, სამართლიანობას და ზნეობას ცნობენ საფუძვლად მათი ყოფაქცევისა მათს ურთიერთობაში ერთი მეორისა და ყველა ადამიანთა მიმართ, განურჩევლად მათი ფერისა, სარწმუნოებისა ან ეროვნებისა, —

ასოციაცია ცნობს, რომ არ არსებობს უფლება მოვალეობის გარეშე და მოვალეობა უფლების გარეშე;

ამ პრინციპების საფუძველზე შედგენილ იქნა შემდეგი წესდება:

1. ეს ასოციაცია დაარსებულ იქნა კავშირის და საერთო მუშაობის ცენტრის შესაქმნელად სხვადასხვა მუშათა საზოგადოებებს შორის, რომელნიც სხვადასხვა ქვეყნებში არსებობენ და მიისწრაფიან ერთი და იმავე მიზნისაკენ, სახელდობრ, მუშათა კლასის დაცვისა, განვითარებისა და სრული განთავისუფლებისაკენ.

2. საზოგადოების სახელწოდება იქნება: «მუშათა საერთაშორისო ასოციაცია».

3. ყოველ წელს იკრიბება მუშათა საერთო კონგრესი, რომელიც შედგება ასოციაციის სექციების დელეგატებისაგან. კონგრესის ამოცანას შეადგენს: მუშათა კლასის საერთო მისწრაფებათა გამოცხადება, საერთაშორისო ასოციაციის ნაყოფიერი მოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებების მიღება და საზოგადოების გენერალური საბჭოს დანიშვნა.

4. ყოველი კონგრესი განსაზღვრავს შემდეგი კონგრესის შეკრე-

ბის დროს და ადგილს. დელეგატები იკრიბებიან დანიშნულ დროს და დანიშნულ ადგილას განსაკუთრებული მიწვევის გარეშე. გენერალურ საბჭოს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, შესცვალოს კონგრესის შეკრების ადგილი, მაგრამ არა აქვს უფლება გადადოს შეკრების დრო. კონგრესი ყოველწლიურად განსაზღვრავს გენერალური საბჭოს ადგილსამყოფელს და ირჩევს მის წევრებს. ამგვარად არჩეული გენერალური საბჭო უფლებამოსილია თავის წევრთა რიცხვი ახალი წევრებით შეავსოს.

გენერალურმა საბჭომ უნდა წარუდგინოს საერთო კონგრესს წლიურ კრებაზე საჯარო ანგარიში მის მიერ საქმეების წარმართვის შესახებ წლის განმავლობაში. გენერალურ საბჭოს შეუძლია, უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში, საერთო კონგრესი მოიწვიოს დაწესებულ წლიურ ვადაზე ადრე.

5. გენერალური საბჭო შედგება ასოციაციაში წარმოდგენილი ქვეყნების მუშებისაგან. იგი ირჩევს თავისი საკუთარი წევრებიდან საჭირო თანამდებობის პირთ საქმეების საწარმოებლად, სახელდობრ: მოლარეს, გენერალურ მდივანს, მდივან-კორესპონდენტებს სხვადასხვა ქვეყნებისთვის და ა. შ.

6. გენერალური საბჭო მოქმედებს, როგორც ასოციაციის სხვადასხვა ნაციონალური და ლოკალური ჯგუფების საერთაშორისო წარმომადგენლობა და ცდილობს, რათა ერთი ქვეყნის მუშებს მუდმივ ეძლეოდეს ინფორმაცია მათი კლასის მოძრაობის შესახებ ყოველ სხვა ქვეყანაში; რათა გატარებულ იქნეს ერთდროულად და საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების სოციალური მდგომარეობის გამოკვლევა; რათა საკითხები, რომლებიც აღიძვრის ერთ საზოგადოებაში, მაგრამ საზოგადო ინტერესის შემცველი არის, განხილულ იქნეს ყველას მიერ; და რათა მაშინ, როდესაც უშუალოდ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო, მაგალითად, საერთაშორისო კონფლიქტების შემთხვევაში, გაერთიანებულ საზოგადოებათა მოქმედება წარმოებდეს ერთდროულად და შეთანხმებულად. ყოველთვის, როცა კი ეს საჭირო აღმოჩნდება, გენერალურმა საბჭომ უნდა აიღოს ინიციატივა წინადადებათა გამოშუშავებისა, რომლებიც უნდა შეტანილ იქნეს სხვადასხვა ნაციონალურ ან ადგილობრივ საზოგადოებებში. დაკავშირების გასაადვილებლად გენერალური საბჭო აქვეყნებს პერიოდულ ანგარიშებს.

7. რადგან მუშათა მოძრაობის წარმატება თვითეულ ქვეყანაში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ კავშირებითა და მა-

თი გაერთიანებებით, და, მეორე მხრივ, საერთაშორისო გენერალური საბჭოს სარგებლიანობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, ექნება მას საქმე მუშათა ასოციაციების მცირეოდენ რიცხვთან თუ მცირე მნიშვნელოვან და დაქსაქსულ ადგილობრივ საზოგადოებათა დიდ რიცხვთან, ამიტომ საერთაშორისო ასოციაციის წევრებმა, თვითეულმა თავის ქვეყანაში, უნდა მოიხმარონ მთელი თავისი ძალა დაუკავშირებელი მუშათა საზოგადოებების გასაერთიანებლად ნაციონალურ ორგანიზაციებში, რომელნიც წარმოდგენილი იქნებიან ნაციონალური ცენტრალური ორგანოებით. ამასთან თავისთავად იგულისხმება, რომ წესდების ამ მუხლის გამოყენება დამოკიდებული იქნება თვითეული ქვეყნის სპეციალურ კანონებზე და რომ, კანონებით შექმნილი დაბრკოლებების გამოკლებით, არც ერთი დამოუკიდებელი ადგილობრივი საზოგადოება არ იქნება შესაძლებლობას მოკლებული, უშუალო ურთიერთობა ჰქონდეს გენერალურ საბჭოსთან.

7ა. თავის ბრძოლაში მქონებელ კლასთა გაერთიანებული ძალაუფლების წინააღმდეგ პროლეტარიატს შეუძლია იმოქმედოს, როგორც კლასმა მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი ჩამოაყალიბებს თავის განსაკუთრებულ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც დაპირისპირებულ იქნება მქონებელ კლასთა მიერ შექმნილ ყველა ძველი პარტიისადმი.

პროლეტარიატის ეს ორგანიზება პოლიტიკურ პარტიაში აუცილებელია იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სოციალური რევოლუციის და ამ რევოლუციის საბოლოო მიზნის — კლასთა მოსპობის — გამარჯვება.

თავის ძალთა გაერთიანება, რომელსაც უკვე მიაღწია მუშათა კლასმა ეკონომიური ბრძოლების შედეგად, უნდა გამოიყენოს მან ბერკეტად აგრეთვე მის ექსპლოატატორთა პოლიტიკური ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რადგან მემამულეები და კაპიტალისტები თავიანთ პოლიტიკურ პრივილეგიებს ყოველთვის თავიანთი ეკონომიური მონოპოლიისა და შრომის დამონების დასაცავად და გასამარადებლად იყენებენ, ამიტომ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა გახდა პროლეტარიატის უდიდეს მოვალეობად [1].

[1] მუხლი 7ა, რომელიც 1871 წლის ლონდონის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის შემოკლებულ გადმოცემას წარმოადგენს, წესდებაში დამატებით იქნა შეტანილი პირველი ინტერნაციონალის ჰააგის კონგრესის გადაწყვეტილებით (1872 წლის სექტემბერი). რ ე დ.

8. ყოველ სექციას აქვს უფლება თავისი საკუთარი მდივან-კორესპონდენტი დანიშნოს გენერალურ საბჭოსთან მიწერ-მოწერის საწარმოებლად.

9. ყველას, ვინც მუშათა საერთაშორისო ასოციაციის პრინციპებს აღიარებს, შეუძლია მასში წევრად შევიდეს. ყოველი სექცია პასუხისმგებელია მის მიერ მიღებული წევრების კეთილზნეობისთვის.

10. საერთაშორისო ასოციაციის ყოველი წევრი, რომელიც ერთი ქვეყნიდან გადადის საცხოვრებლად მეორეში, მიიღებს ძმურ დახმარებას ასოციაციაში გაერთიანებული მუშების მხრივ.

11. მიუხედავად ძმური თანამშრომლობის მუდმივ კავშირში მათი გაერთიანებისა, საერთაშორისო ასოციაციაში შემსვლელ მუშათა კავშირებს ხელუხლებელი რჩებათ მათი არსებული ორგანიზაციები.

12. ყოველ კონგრესს შეუძლია წინამდებარე წესდება გადასინჯოს, უკეთუ დამსწრე დელეგატების ორი მესამედი ამ გადასინჯვის მომხრე იქნება.

13. ყველაფერი, რაც ამ წესდებაში არაა წინასწარ გათვალისწინებული, დამატებული იქნება სპეციალური რეგლამენტებით, რომლებიც ექვემდებარება თვითეული კონგრესის რევიზიას.

თავდაპირველი ტექსტი შედგენილია კ. მარქსის მიერ 1864 წლის 21 — 27 ოქტომბრის რიცხვებში.	იბეჭდება 1871 წლის ბროშურის ტექსტის მიხედვით. თარგმანი ინგლისურიდან.
საბოლოო ტექსტი ცალკე ბროშურის სახით დაბეჭდილია ლონდონში 1871 წ.	მუხლი 7 ა თარგმნილია ფრანგულიდან.

კ. მარქსი

პრუდონის შესახებ

(წერილი ი. ბ. შვაიცერს)

ლონდონი, 24 იანვარი 1865 წ.

მოწყალეო ხელმწიფევ!

მე გუშინ მივიღე წერილი, რომელშიაც თქვენ ჩემგან მოითხოვთ პრუდონის დაწვრილებით შეფასებას. დროის უქონლობა ნებას არ მაძლევს თქვენი სურვილი დავაკმაყოფილო. გარდა ამისა, მე ხელთ არ მაქვს მისი არც ერთი ნაწარმოები. მაგრამ მაინც იმისათვის, რომ ჩემი თქვენდამი კეთილი სურვილები დაგიმტკიცოთ, სასწრაფოდ ვადგენ მოკლე მონასახს. შემდეგ თქვენ შეგიძლიათ იგი შეავსოთ, დაურთოთ რამე, გამოტოვოთ, ერთი სიტყვით, რაც გნებავდეთ, ის უქენით.

პრუდონის პირველი ცდები უკვე აღარ მახსოვს. მისი მოწაფური შრომა «საყოველთაო ენის» შესახებ გვიჩვენებს, თუ რა მოურიდებლად გაბედა და მოჰკიდა ხელი ისეთ პრობლემებს, რომელთა გადასაწყვეტად მას ელემენტარული ცოდნაც კი არ გააჩნდა.

მისი პირველი ნაწარმოები «რა არის საკუთრება?» უსათუოდ მისი საუკეთესო ნაწარმოებია. იგი ეპოქის შემქმნელია, შინაარსის სიახლით თუ არა, ყველაფრის ახალ და თამამ ყაიდაზე თქმით მაინც. მისთვის ცნობილ ფრანგ სოციალისტთა და კომუნისტთა ნაწარმოებებში «საკუთრება», რასაკვირველია, არა მარტო მრავალმხრივ გაკრიტიკებულია, არამედ უტოპისტურად «გაუქმებულიც» იქნა. ამ ნაწარმოებში პრუდონი დაახლოებით იმავე დამოკიდებულებაშია სენ-სიმონისა და ფურიეს მიმართ, როგორც ფოი-

ერბახი ჰეგელის მიმართ. ჰეგელთან შედარებით ფოიერბახი უაღრესად ღარიბია. მაგრამ ფოიერბახმა ჰეგელის შ ე მ დ ე გ მაინც ეპოქა შექმნა, ვინაიდან მან მკვეთრად გაუსვა ხაზი და პ ი რ ვ ე ლ რ ი გ ზ ი წ ა მ ო ს წ ი ა გარკვეული, ქრისტიანული ცნობიერებისათვის არასასიამოვნო და კრიტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პუნქტები, რომლებიც ჰეგელმა მისტიკურ ბინდბუნდში დატოვა.

თუ შეიძლება ასე ითქვას, პრუდონის ამ ნაწარმოებში ჯერ კიდევ ჭარბობს სტილის ღონიერი კუნთოვანება. ეს სტილი მე მიმაჩნია მის მთავარ დამსახურებად. ჩანს, რომ პრუდონს დამოუკიდებელი ჰგონია თავი იქაც კი, სადაც მხოლოდ ძველს აღადგენს; რასაც ის ამბობს, თვითონ მისთვის ახალი იყო და ამიტომ ახლად თვლის იგი. გამომწვევი შეუდრეკელობა და სითამამე, რომლითაც იგი პოლიტიკური ეკონომიის «წმინდათა წმინდას» ეხება, მახვილგონივრული პარადოქსები, რომლითაც იგი უმსგავს ბურჟუაზიულ ჭკუას დასცინის, გამანადგურებელი მსჯელობა, მწარე ირონია, არსებულის სისაძაგლის გამო აღშფოთების ღრმა და ჭეშმარიტი გრძნობა, რომელიც ხანდახან მოჩანს მასში, რევოლუციური სერიოზულობა — ყველა ამით «რა არის საკუთრება?» მკითხველს აღაგზნებდა და თავისი პირველი გამოჩენის დროს დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პოლიტიკური ეკონომიის მკაცრ მეცნიერულ ისტორიაში ეს თხზულება ძნელად თუ გახდებოდა ხსენების ღირსი. მაგრამ ამგვარი სენსაციური თხზულებები მეცნიერებაში ისევ ასრულებენ თავიანთ როლს, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში. ავიღოთ, მაგალითად, მ ა ლ თ უ ს ი ს თხზულება «მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს» შესახებ. თავის პირველ გამოცემაში ეს წიგნი «სენსაციური პამფლეტი» იყო და მეტი არაფერი, ამასთან პ ლ ა გ ი ა ტ ი თავიდან ბოლომდე. და მაინც რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ პ ა ს კ ვ ი ლ მ ა ა დ ა მ ი ა ნ თ ა მ ო დ გ მ ა ზ ე!

პრუდონის წიგნი რომ ხელთ მქონდეს, რამდენიმე მაგალითით ადვილად ვაჩვენებდით მისი წერის პ ი რ ვ ე ლ მ ა ნ ე რ ა ს. იმ პარაგრაფებში, რომელნიც მას უმნიშვნელოვანეს პარაგრაფებად მიაჩნდა, ის ბაძავს კანტის ა ნ ტ ი ნ ო მ ი ე ბ ი ს განხილვას — ეს ერთადერთი გერმანელი ფილოსოფოსი იყო, რომელსაც იგი მაშინ თარგმანებით იცნობდა, — და გარკვეულ მტკიცე შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მისთვისაც ისე, როგორც კანტისთვის, ანტინომიის გადაწყვეტა ისეთ რამედ ითვლება, რაც ადამიანის განსჯის «ბ ი ღ მ ა»

იმყოფება ე. ი. რაც თვით მისი საკუთარი განსჯისათვის ბუნდოვანი რჩება.

მიუხედავად ყოველგვარი მოჩვენებითი არქირევოლუციურობისა თვით «რა არის საკუთრება»-შიც უკვე გვხვდება წინააღმდეგობა: ერთი მხრივ, პრუდონი საზოგადოებას აკრიტიკებს ფრანგი პარცელარული გლეხის (უფრო გვიან წ ვ რ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ს) შეხედულებათა თვალსაზრისით, მეორე მხრივ, სოციალისტებისაგან გადმოღებულ მასშტაბს უყენებს მას.

თვით სათაურშივე ჩანს ამ წიგნის ნაკლი. საკითხი ისე ყალბად იყო დასმული, რომ მასზე სწორი პასუხის გაცემა არ შეიძლებოდა. ა ნ ტ ი კ უ რ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ურთიერთობებისაგან მოისპო, ფეოდალური კი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ს ა გ ა ნ. მაშასადამე, თვითონ ისტორიამ გააკრიტიკა წარსულის ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი. ის, რაზეც არსებითად პრუდონი ლაპარაკობდა, თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ა იყო. იმ საკითხზე, თუ რა არის ეს საკუთრება, პასუხის გაცემა შეიძლებოდა მხოლოდ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ი ს კრიტიკული ანალიზით, პოლიტიკური ეკონომიისა, რომელიც მოიცავს ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს ამ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა თ ა მთელ ერთობლიობას არა მათს ი უ რ ი დ ი უ ლ გამოხატულებაში როგორც ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ი ს ურთიერთობების ე რ თ ო ბ ლ ი ო ბ ა ს, არამედ მათს რეალურ ფორმაში როგორც წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ა თ ა ერთობლიობას. მაგრამ რადგანაც პრუდონი ამ ეკონომიურ ურთიერთობათა ერთობლიობას «საკუთრების» «la propriéte» ზოგად იურიდიულ წარმოდგენაში ჩააწნავდა, ამიტომ ის ვერც გამოვიდოდა იმ პასუხის ფარგლებიდან, რომელიც ბ რ ი ს ო მ მოგვცა ჯერ კიდევ 1789 წლამდე მსგავს თხზულებაში იმავე სიტყვებით: «საკუთრება ქურდობაა».

უკეთეს შემთხვევაში აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ ბურჟუაზიული იურიდიული წარმოდგენები «ქ უ რ დ ო ბ ი ს» შესახებ თვითონ ბურჟუას საკუთარ «პ ა ტ ი ო ს ა ნ» შემოსავალსაც მიუდგება. მეორე მხრივ, იმის გამო, რომ «ქ უ რ დ ო ბ ა» როგორც საკუთრების ძალდატანებითი დარღვევა ს ა კ უ თ რ ე ბ ა ს, გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს, პრუდონი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს საკითხში მრავალნაირ, თვითონ მისთვისაც აუხსნელ ბუნდოვან ილუზიებში გაიხლართა.

ჩემი პარიზში ყოფნის დროს 1844 წ., მე პრუდონთან პირადი ურთიერთობა დავამყარე. მე ამას აქ იმიტომ ვიგონებ, რომ მეც რამდენადმე დამნაშავე ვარ მის «სოფისტიკაციაში» («Sophistication», როგორც ინგლისელები საქონლის ფალსიფიკაციას უწოდებენ). გრძელი, ხშირად მთელი ღამეების კამათების დროს მე, მისდა საზიანოდ, მას გადავდე ჰეგელიანიზმი, რომლის რიგიანად შესწავლა მან გერმანული ენის უცოდინრობის გამო ვერ შესძლო. ჩემი პარიზიდან გასახლების შემდეგ ის, რაც მე დავიწყე, განაგრძო ბატონმა კარლ გრიუნმა, რომელსაც როგორც გერმანული ფილოსოფიის მასწავლებელს კიდევ ის უპირატესობა ჰქონდა ჩემთან შედარებით, რომ თვითონ მას გერმანული ფილოსოფიისა არა გაეგებოდა რა.

თავისი მეორე მნიშვნელოვანი ნაწარმოების: «სიღატაკის ფილოსოფია ა. შ.» გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე პრუდონმა თვითონვე შემატყობინა მის შესახებ ერთ ძალიან დაწვრილებით წერილში; ამ წერილში, სხვათა შორის, ასეთი სიტყვები ეწერა: «მე მოველი თქვენს მკაცრ კრიტიკას». მართლაც მალე თავს დაატყდა მას ეს კრიტიკა (ჩემს თხზულებაში «ფილოსოფიის სიღატაკე და ა. შ.» პარიზი, 1847) იმ სახით, რომ ჩვენს მეგობრობას სამუდამოდ ბოლო მოუღო.

აქ ნათქვამიდან თქვენ ხედავთ, რომ პრუდონის წიგნში: «სიღატაკის ფილოსოფია ანუ ეკონომიურ წინააღმდეგობათა სისტემა» არსებითად პირველად იყო მის მიერ გაცემული პასუხი იმ კითხვაზე, თუ «რა არის საკუთრება?». ნამდვილად მან მხოლოდ ამ თხზულების გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო თავისი ეკონომიური შტუდიები; მან აღმოაჩინა, რომ მის მიერ დასმულ კითხვაზე გინებით ვერ შესძლებდა პასუხის გაცემას, და მასზე იგი პასუხს მხოლოდ თანამედროვე «პოლიტიკური ეკონომიის» ანალიზით მიიღებდა. ამავე დროს ის შეეცადა ეკონომიური კატეგორიების სისტემის დიალექტიკურად გადმოცემას. კანტის გადაუწყვეტელი «ანტინომიების» ადგილი უნდა დაეჭირა ჰეგელის «წინააღმდეგობას», როგორც განვითარების საშუალებას.

მისი ორტომიანი, სქელტანიანი ნაწარმოების შეფასებასა და კრიტიკას თქვენ ნახავთ ჩემს საპასუხო თხზულებაში. მე, სხვათა შორის, ამ თხზულებაში ვაჩვენე ის, თუ რა ნაკლებად შეიჭრა პრუდონი მეცნიერული დიალექტიკის საიდუმლოებაში; მეორე

მხრივ, მე ვაჩვენე აგრეთვე ის, თუ როგორ იზიარებს იგი სპეკულატური ფილოსოფიის ილუზიებს, როდესაც, იმის ნაცვლად, რომ ეკონომიურ კატეგორიებში დაინახოს ისტორიული, მატერიალური წარმოების განვითარების გარკვეული საფეხურის შესაბამი, წარმოებითი ურთიერთობების თეორიული გამოხატულება, ის უგუნურად გარდაქმნის ამ ეკონომიურ კატეგორიებს იმთავითვე საუკუნოდ არსებულ, მარადიულ იდეებად, და ამ შემოვლილი გზით როგორ უბრუნდება იგი კვლავად ბურჟუაზიული ეკონომიის თვალსაზრისს [1].

შემდეგ, მე ვაჩვენებ, თუ როგორ არასაკმარისად და ნაწილობრივ მოწაფურად იცის მან «პოლიტიკური ეკონომია», რომლის კრიტიკას იგი შეუდგა; თუ როგორ გამოჰკიდებია იგი უტოპისტებთან ერთად ეგრეთწოდებულ «მეცნიერებას», რომლის საშუალებითაც a priori [2] შეიძლება გამოგონილი იქნეს «სოციალური საკითხის გადაწყვეტა», იმის მაგიერ, რომ მეცნიერების წყაროდ ისტორიული მოძრაობის კრიტიკული შემეცნება აქციოს, მოძრაობისა, რომელიც თვითონ ჰქმნის განთავისუფლების მატერიალურ პირობებს. სახელდობრ კი ნაჩვენებია, თუ რამდენად ბუნდოვანია, ყალბი და ორჭოფი პრუდონის შეხედულებანი მთლიანის საფუძვლის — საცვლელი ღირებულების შესახებ; გარდა ამისა, რიკარდოს ღირებულების თეორიის უტოპისტურ განმარტებაში ის ახალი მეცნიერების საფუძველს ხედავს. ჩემს მსჯელობას მისი საერთო შეხედულების შესახებ მე შემდეგნაირად ვაჯამებ:

«ყოველ ეკონომიურ ურთიერთობას კარგი და ცუდი მხარე აქვს; ეს არის ერთადერთი პუნქტი, სადაც ბატონი პრუდონი თავის თავს არ ღალატობს. კარგი მხარე, მისი აზრით, აღნიშნულია ეკონომისტების მიერ, ცუდი მხარე ნამხილებია სოციალისტების

---

[1] «როდესაც ეკონომისტები ამბობენ, თანამედროვე ურთიერთობანი, ბურჟუაზიული წარმოების ურთიერთობანი, — ბუნებრივი არიანო, ისინი ამით გვამცნობენ, რომ ისინი ისეთი ურთიერთობანი არიან, რომლებშიაც სიმდიდრის შექმნა და საწარმოო ძალების განვითარება ბუნების კანონების თანახმად ხდება. მაშასადამე, თვით ეს ურთიერთობანი დროის გავლენისაგან დამოუკიდებელი ბუნებრივი კანონებია. ისინი მარადიული კანონებია, რომელნიც მუდამ განაგებენ საზოგადოებას. ამგვარად, წინათ კი იყო ისტორია, მაგრამ ღღეს იგი აღარ არის» (გვ. 113 ჩემი შრომისა). (მარქსის შენიშვნა). იხ. **К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. V, стр. 373 — 374. ред.**

[2] — წინასწარ, ცდის გარეშე. ред.

მიერ. ეკონომისტებისაგან იგი სესხულობს მარადიულ ურთიერთობათა აუცილებლობას; ხოლო სოციალისტებისაგან სესხულობს იმ ილუზიას, რომლის ძალითაც სიღატაკეში მხოლოდ სიღატაკეა დასანახი (იმის ნაცვლად, რომ მასში ის რევოლუციური, დამანგრეველი მხარე დაინახოს, რომელიც ძველ საზოგადოებას დაამხობს). ორივესთან იგი თანხმობაშია. ამასთანავე ცდილობს მეცნიერების ავტორიტეტს დაეყრდნოს. მისთვის მეცნიერება დაიყვანება მეცნიერული ფორმულის პაწია და ჩია მოცულობაზე; იგი ფორმულების მაძიებელი კაცია. ამის გამო ბატონი პრუდონი თავს იიმედებს იმით, რომ მან მოგვცა როგორც პოლიტიკური ეკონომიის, ისე კომუნიზმის კრიტიკა; ნამდვილად კი ორივეზე დაბლა დგას. ეკონომისტებზე დაბლა დგას, ვინაიდან მას, როგორც ფილოსოფოსს, რომელსაც ხელთ უპყრია მისნური ფორმულა, ჰგონია, რომ ეპატიება, თუ წმინდა ეკონომიურ დეტალებს არ გამოეკიდება; იგი სოციალისტებზე დაბლა დგას, ვინაიდან მას არც საკმაო გამბედაობა და არც საკმაო გამჭრიახობა გააჩნია იმისათვის, რომ აიწიოს ბურჟუაზიის ჰორიზონტზე მაღლა, თუნდაც მარტოოდენ სპეკულატურად... მას როგორც მეცნიერების კაცს სურს, რომ ბურჟუებსა და პროლეტარებზე მაღლა ნავარდობდეს, მაგრამ ი გ ი წ ვ რ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ა მ ხ ო ლ ო დ, რომელიც მუდამ მერყეობს, აქეთ-იქით აწყდება კაპიტალსა და შრომას შორის, პოლიტიკურ ეკონომიასა და კომუნიზმს შორის» [1].

რაგინდ მკაცრად გაისმოდეს ეს მსჯავრი, მე დღესაც ხელს ვაწერ მის თვითეულ სიტყვას. მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ მაშინ როდესაც პრუდონის წიგნი მე წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის კოდექსად გამოვაცხადე და თეორიულად ეს დავამტკიცე, ეკონომისტებმა და სოციალისტებმა პრუდონი იმავე დროს შეაჩვენეს როგორც ულტრარევოლუციონერი. ამიტომაც შემდეგშიაც მე არასოდეს არ შემიერთებია ხმა იმ ღრიანცელისათვის, რომ პრუდონმა რევოლუციას «უღალატაო». მისი ბრალი როდია, რომ მან, რომელსაც თავიდან სხვამაცა და თვითონაც თავის თავს ცუდად გაუგო, ვერ შეასრულა უსაფუძვლო იმედები.

წინაადმდეგ «რ ა ა რ ი ს ს ა კ უ თ რ ე ბ ა?»-სი, «ს ი ღ ა ტ ა კ ი ს ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა»-ში პრუდონის გადმოცემის წესის ყველა ნაკლი ძალიან არახელსაყრელად გეცემათ თვალში. სტილი, რო-

[1] იქვე, გვ. 119, 120. (მ ა რ ქ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა). **იხ. К. Маркс и Ф. Энгельс. соч., т. V, стр. 378. რ ე დ.**

გორც ფრანგები იტყვიან, ხშირად **ampoulé** (მაღალყარდოვანია). მაღალფარდოვანი სპეკულატური აბდაუბდა, რომელსაც გერმანულ ფილოსოფიად ასაღებს, როგორც წესი თავს იჩენს ყველგან, სადაც კი გალური ჭკუამახვილობა შემოაკლდება. ყურში განუწყვეტლად და მკვეთრად გაისმის მისი თაღლითური, მატყუარა, მყვირალა, ტრაბახა და მკვეხარა ტონი, სახელდობრ კი, მუდმივი არასასიამოვნო ყოყლოჩინობა «მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი თ», ყალბი ამპარტავნობა მის გამო. ის ნამდვილი სითბო, რომლითაც მისი პირველი ნაწარმოები იყო გამსჭვალული, აქ გარკვეულ ადგილებში სისტემატურად შეცვლილია დეკლამაციის ციებ-ცხელებით. ამასთან უმწეო და საძაგელი ცდა თვითნასწავლისა თავი გამოიჩინოს თავისი განსწავლულობით, თვითნასწავლისა, რომელსაც თანდაყოლილი სიამაყე თავისი აზროვნების დამოუკიდებლობისა და ორიგინალობის შესახებ უკვე გაჰქრობია, და რომელსაც ახლა როგორც მეტიჩარას მეცნიერებაში ჰგონია, რომ უნდა გაიბღინძოს და იყოყლოჩინოს იმით, რაც მას არ გააჩნია და რაც თვით არ არის. შემდეგ, განწყობილება წვრილბურჟუასი, რომელიც თავს ესხმის არასაკადრისად, უხეშად, არაგონებამახვილურად, არაღრმააზროვანად, არასამართლიანადაც კი, ისეთ ადამიანს, როგორიც კ ა ბ ე ა, რომელიც პატივისცემის ღირსია პროლეტარიატის მიმართ თავისი პრაქტიკული მდგომარეობის გამო; სამაგიეროდ თავაზიანად ეპყრობა, მაგალითად, დ ი უ ნ ა ი ე ს (ასეა თუ ისეა «სახელმწიფო მრჩეველია»!), თუმცა ამ დიუნაიეს მთელი მნიშვნელობა იმ კომიკურ სერიოზულობაში მდგომარეობს, რომლითაც იგი სამი სქელი, აუტანელად მოსაწყენი ტომის მანძილზე რიგორიზმს ქადაგებს, რომელსაც ჰელვეციუსი ასე ახასიათებდა: «უ ბ ე დ უ რ თ ა გ ან ს რ უ ლ ქ მ ნ ი ლ ე ბ ა ს მ ო ი თ ხ ო ვ ე ნ».

თებერვლის რევოლუცია პრუდონისათვის მართლაც უდროოდ მოხდა, რადგან ის სწორედ რამდენიმე კვირის წინ ურყევად ამტკიცებდა, რომ «რ ე ვ ო ლ უ ც ი ე ბ ი ს ე რ ა მ» სამუდამოდ ჩაიარაო. მისი გამოსვლა ნაციონალურ კრებაზე ყოველგვარ ქებას იმსახურებს, თუმცა ამ გამოსვლამ ისიც დაამტკიცა, თუ რა ცოტა რამ გაეგებოდა მას მომხდარ ამბებში. ივნისის აჯანყების შემდეგ ეს უდიდესი ვაჟკაცური მოქმედება იყო. გარდა ამისა, ამ გამოსვლას ის ხელსაყრელი შედეგი მოჰყვა, რომ ბატონმა ტ ი ე რ მ ა პრუდონის წინადადებათა წინააღმდეგ მიმართულ თავის სიტყვაში, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნად გამოქვეყნდა, მთელ ევროპას დაუმტკიცა,

თუ რა საცოდავი ბალღური კატეხიზმო ემსახურებოდა პიედესტალად ფრანგი ბურჟუაზიის ამ სულიერ ბურჯს. ბატონ ტ ი ე რ თ ა ნ შედარებით პ რ უ დ ო ნ ი მართლაც წარღვნის წინადროინდელი გოლიათის ზომამდე გაიზარდა.

პრუდონის მიერ «უ პ რ ო ც ე ნ ტ ო კ რ ე დ ი ტ ი ს» და მასზე დამყარებული «ს ა ხ ა ლ ხ ო ბ ა ნ კ ი ს» გამოგონება მისი უკანასკნელი ეკონომიური «ღვაწლი» გახლავთ. ჩემს თხზულებაში «პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ი ს კ რ ი ტ ი კ ი ს ა თ ვ ი ს», გ ა მ ო შ. I, ბ ე რ ლ ი ნ ი, 1859 წ. (გვ. 59—64)[1], დამტკიცებულია რომ მისი შეხედულებების თეორიული საფუძველი წარმოდგება ბურჟუაზიული «პოლიტიკური ეკონომიის» პირველ ელემენტთა, სახელდობრ, ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ფ უ ლ ი ს ა დ მ ი შეფარდების არცოდნიდან, მაშინ როდესაც პრაქტიკული ზედნაშენი უფრო ძველი და ბევრად უფრო უკეთესად დამუშავებული გეგმების უბრალო რეპროდუქცია იყო. სულ უმცირეს ეჭვსაც არ იწვევს და თავისთავად გასაგებია, რომ კრედიტმა, სრულიად ისე, როგორც ეს, მაგალითად ჯერ მე-18 საუკუნის დამდეგს, ხოლო შემდეგ ხელახლა მე-19 საუკუნის დამდეგს ინგლისში, ხელი შეუწყო ქონების გადასვლას ერთი კლასის ხელიდან მეორე კლასის ხელში, რომ გარკვეულ ეკონომიურ და პოლიტიკურ გარემოებებში შეიძლება ხელი შეუწყოს მუშათა კლასის განთავისუფლების დაჩქარებას. მაგრამ ს ა რ გ ე ბ ე ლ ი ს მ ო მ ტ ა ნ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მიჩნევა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ თ ა ვ ა რ ფ ო რ მ ა დ, კრედიტის განსაკუთრებული გამოყენების, სარგებელის მოჩვენებით გაუქმების, საზოგადოებრივი გარდაქმნის ბაზისად გადაქცევის სურვილი, — მთლიანად მ ე შ ჩ ა ნ უ რ ი ფანტაზიაა. მართლაც ამ ფანტაზიას, უფრო ფართოდ განვითარებულს, ჩვენ უკვე ვხვდებით მ ე ჩ ვ ი დ მ ე ტ ე ს ა უ კ უ ნ ი ს ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი წ ვ რ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს ე კ ო ნ ო მ ი ს ტ ი დ ე ო ლ ო გ ე ბ თ ა ნ. პრუდონის პოლემიკა ბასტიასთან (1850 წ.) სარგებელის მომტანი კაპიტალის შესახებ ბევრად დაბლა დგას «ს ი ღ ა ტ ა კ ი ს ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა ს თ ა ნ» შედარებით. ის იქამდე მიდის, რომ ბასტიაც კი ახერხებს მის დამარცხებას, და კომიკურად ბორგავს ყოველთვის, როცა კი მოწინააღმდეგე მას მაგრად მოსცხებს.

რამდენიმე წლის წინ პრუდონმა დაწერა, მგონია, ლოზანის მთავრობის მიერ გამოცხადებული საკონკურსო თხზულება «ვ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი ს» შესახებ. აქ გენიალობის უკანასკნელი კვალიც კი

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. XII, ч. I. стр. 67—72. რ ე დ.

გამქრალია და ხელთ გვრჩება სრულიად წმინდა წყლის წვრილი ბურჟუა.

რაც შეეხება პრუდონის პოლიტიკურ და ფილოსოფიურ თხზულებებს, ყველა მათგანში ჩანს იგივე წინააღმდეგობრივი, ორმაგი ხასიათი, რაც ეკონომიურ შრომებში. ამასთანავე მათ მხოლოდ ადგილობრივი — ფრანგული ღირებულება აქვთ. მაგრამ მის თავდასხმებს რელიგიაზე, ეკლესიაზე და ა. შ. მაინც დიდი ადგილობრივი დამსახურება მიუძღვით იმ ეპოქაში, როდესაც ფრანგი სოციალისტები შესაფერად თვლიდნენ რელიგიურობაში დაენახათ თავიანთი უპირატესობა მე-18 საუკუნის ბურჟუაზიულ ვოლტერიანობასთან და მე-19 საუკუნის გერმანულ უღმერთობასთან შედარებით. თუ პეტრე დიდმა რუსული ბარბაროსობა ბარბაროსობით დაამარცხა, პრუდონმა ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო იმისათვის, რომ ფრანგული ფრაზერობა ფრაზებითვე დაემარცხებინა.

მისი თხზულება «სახელმწიფო გადატრიალების» შესახებ განხილული უნდა იქნეს არა მარტო როგორც ცუდი ნაწარმოები, არამედ როგორც სისაძაგლე, ოღონდ წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისის შესაფერი სისაძაგლე; ამ წიგნში ის ლუი ბონაპარტს ეკეკლუცება და ცდილობს, რომ ის ნამდვილად ფრანგი მუშებისათვის მოსაწონი გახადოს; ასეთივეა მისი უკანასკნელი თხზულება პოლონეთის წინააღმდეგ, რომელშიაც იგი რუსეთის მეფის პატივსაცემად და საამებლად კრეტინის ცინიზმს იჩენს.

პრუდონი ხშირად შეუდარებიათ რუსოსათვის. ამაზე უფრო შემცდარი არაფერი არ შეიძლება იყოს. ის უფრო ჰგავს ნიკ. ლენგეს, თუმცა ამ უკანასკნელის «სამოქალაქო კანონების თეორია» გენიალური წიგნია.

პრუდონი ბუნებით დიალექტიკისაკენ იხრებოდა, მაგრამ რადგან ნამდვილი მეცნიერული დიალექტიკა მან ვერასოდეს ვერ გაიგო, ამიტომ მხოლოდ სოფისტიკამდე მიიყვანა მან დიალექტიკა. სინამდვილეში ეს გარემოება მის წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისთან იყო დაკავშირებული. წვრილი ბურჟუა, ისევეე როგორც ისტორიკოსი რაუმერი, შედგენილია «ერთი მხრივ» და «მეორე მხრივ». ასეთია ის თავისი ეკონომიური ინტერესებით, და ამიტომ ასეთია იგი თავისი პოლიტიკით, თავისი რელიგიური, მეცნიერული და მხატვრული შეხედულებებით. ასეთია ის თავისი მორალით, ასეთია ის ყველაფრის მიმართ. ის ცოცხალი წინააღმდეგობაა. ამასთანავე თუ იგი, მსგავსად პრუდონისა, გონებამახვილი კაცია, მაშინ სწრაფად ეუფ-

ლება თავისი წინააღმდეგობებით თამაშს და ისწავლის მათს გადაკეთებას გარემოებათა მიხედვით მრულოდნელ, უცნაურ, ხმაურა, ხან სკანდალურ, ხან კი ბრწყინვალე პარადოქსებად. მეცნიერული თაღლითობა და პოლიტიკური შემგუებლობა განუყრელადაა დაკავშირებული ასეთ თვალსაზრისთან. ამგვარ სუბიექტებს მხოლოდ ერთი მამოძრავებელი მოტივი დარჩენიათ — ა მ ა ო დ ი დ ე ბ ი ს მ ო ყ ვ ა რ უ ლ ო ბ ა და ყოველი დიდების მოყვარული ადამიანის მსგავსად ისინი მხოლოდ წუთიერ წარმატებაზე, სენსაციაზე, ხალხის ყურადღების მიპყრობაზე ზრუნავენ. ამასთანავე, აუცილებლად ჰქრება ის უბრალო ზნეობრივი ტაქტი, რომელიც, მაგალითად, რუსოს არსებულ ხელისუფლებასთან თვით ყოველგვარი მოჩვენებითი კომპრომისისაგანაც კი მუდამ იცავდა.

შესაძლებელია შთამომავლობამ საფრანგეთის ისტორიის ეს ახალი ფაზა იმით დაახასიათოს, რომ თქვას: ლუი ბონაპარტი მისი ნაპოლეონი იყო, ხოლო პრუდონი — მისი რუსო-ვოლტერიო.

ახლა მთელ პასუხისმგებლობას მე თქვენ დაგაკისრებთ იმისათვის, რომ თქვენ ამ კაცის სიკვდილის შემდეგ ასე მალე მომახვიეთ თავს მისი სიკვდილშემდგომი მსაჯულის როლი.

თქვენი პატივისმცემელი **კ. მარქსი.**

დაწერილია კ. მარქსის მიერ
1865 წლის 24 იანვარს.

დაბეჭდილია «Social-Demokrat»-ის
1865 წლის 1, 3 და 5 თებერვლის
ნომრებში.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან

ჯ. მარქსი

ხელფასი ფასი და მოგება

[წინასწარი შენიშვნები]

მოქალაქენო!

სანამ ჩემი მოხსენების ძირითად საგანს შევუდგებოდე, ნება მიბოძეთ გავაკეთო რამდენიმე წინასწარი შენიშვნა.

დღეს კონტინენტზე მოდებულია გაფიცვების ნამდვილი ეპიდემია და გაისმის საყოველთაო მოთხოვნა ხელფასის მომატებისა. ეს საკითხი დაისმება ჩვენს კონგრესზედაც. თქვენ, ვინც საერთაშორისო ასოციაციის სათავეში დგახართ, მტკიცე შეხედულება უნდა გქონდეთ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე. ამიტომ ჩემ მოვალეობად ვთვლი საფუძვლიანად განვიხილო იგი, თუნდაც ამით თქვენს მოთმინებას მკაცრი გამოცდის საფრთხე მოელოდეს.

მეორე წინასწარი შენიშვნა მე უნდა გავაკეთო მოქალაქე უესტონის შესახებ. უესტონმა არა მარტო გამოთქვა თქვენს წინაშე, არამედ საჯაროდაც დაიცვა შეხედულება, რომელიც როგორც მან თვითონაც იცის, მეტისმეტად არაპოპულარულია მუშათა კლასში, მაგრამ რომელსაც იგი მუშების ინტერესების შესაფერად თვლის.[1] თვითეული ჩვენგანი დიდად უნდა აფასებდეს ასეთ ზნეობრივ გამბედაობას. მე იმედი მაქვს, ჩემი მოხსენების მოურიდებელი ტონის მიუხედავად, უესტონი დაინახავს ბოლოს, რომ მე ვეთანხმები იმ სწორ იდეას, რაც, ჩემი აზრით, საფუძველად აქვს მის დებულებებს; მაგრამ ახლანდელი მათი სახით ეს დებულებები, მე ვფიქრობ, თეორიულად ყალბი და პრაქტიკულად საშიშარი არიან.

ახლა კი უშუალოდ გადავალ განსახილველ საგანზე.

---

[1] ინგლისელი მუშა ჯონ უესტონი მუშათა საერთაშორისო ასოციაციის გენერალურ საბჭოში იცავდა თეზისს იმის შესახებ, რომ ხელფასის მომატებას არ შეუძლია მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება და რომ ტრედ-უნიონთა მოქმედება მავნებლურად უნდა ჩაითვალოსო. რ ე დ.

1. [წარმოება და ხელფასი]

მოქალაქე უესტონის არგუმენტაცია ფაქტიურად ორ წინასწარ მოსაზრებას ემყარება:

1) რომ ნაციონალური პროდუქციის რაოდენობა არის უცვლელი რაღაც, მუდმივი რაოდენობა ანუ სიდიდე, როგორც მათემატიკოსი იტყოდა.

2) რომ რეალური ხელფასის საერთო ჯამი, ესე იგი ხელფასი, გაზომილი იმ საქონლის რაოდენობით, რომლის ყიდვაც მით შეიძლება, უცვლელი ჯამია, მუდმივი სიდიდეა.

მისი პირველი მოსაზრება აშკარა შეცდომაა. თქვენ დაინახავთ, რომ პროდუქციის ღირებულება და რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს, რომ ნაციონალური შრომის საწარმოო ძალები იზრდებიან და ფულის რაოდენობა, რომელიც გაფართოებული პროდუქციის საბრუნავად არის საჭირო, მუდმივ იცვლება. რაც მთელი წლისთვის ან სხვადასხვა ერთმანეთთან შესადარებელი წლებისთვის არის სწორი, ის სწორია აგრეთვე საშუალოდ წლის ყოველი დღისთვისაც. ნაციონალური პროდუქციის რაოდენობა ანუ სიდიდე მუდმივ იცვლება; ის წარმოადგენს არა უცვლელ, არამედ ცვალებად სიდიდეს. ის ასეთიც უნდა იყოს, მოსახლეობის მოძრაობასაც რომ სრულიად თავი დავანებოთ, კაპიტალის დაგროვების პროცესსა და შრომის საწარმოო ძალაში მომხდარი მუდმივი ცვლილებების გავლენით. სრული ჭეშმარიტებაა, რომ თუ ერთ მშვენიერ დღეს ხელფასის საერთო დონე გაიზარდა, ეს ზრდა, როგორიც არ უნდა იყოს მისი შემდგომი შედეგები, პროდუქციის რაოდენობაში თავისთავად უშუალო ცვლილებას არ გამოიწვევს. პირველად ის შეეგუება არსებულ მდგომარეობას. მაგრამ თუ ნაციონალური პროდუქცია ხელფასის მომატებამდე ცვალებადი და არა უძრავი იყო, ხელფასის მომატების შემდეგაც იგი ასეთივე დარჩება.

წარმოვიდგინოთ ახლა, რომ ნაციონალური პროდუქცია მუდმივი სიდიდეა და არა ცვალებადი. თვით ამ შემთხვევაშიც კი დაუსაბუთებელი იქნებოდა ის, რასაც ჩვენი მეგობარი უესტონი ლოგიკურ დასკვნად თვლის. თუ ავიღებთ განსაზღვრულ რიცხვს, მაგალითად, რვას, ამ რიცხვის აბსოლუტური საზღვრები სრულიადაც არ შემიშლის ხელს მისი ნაწილების შეფარდებითი

საზღვრები შევცვალო. თუ მოგება ექვსს უდრის, ხოლო ხელფასი — ორს, ხელფასი შეიძლება ექვსამდე ავიდეს, ხოლო მოგება ორამდე დაეცეს, საერთო ჯამი მაინც რვა დარჩება. ამგვარად, შეიძლება პროდუქციის მოცულობა არ იცვლებოდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უცვლელი რჩებოდეს ხელფასის საერთო ჯამი. მაშ როგორ ამტკიცებს ხელფასის ჯამის ამ უცვლელობას ჩვენი მეგობარი უესტონი? ის უბრალოდ ადასტურებს, რომ ეს ასეაო.

წარმოვიდგინოთ მაინც, რომ მისი მსჯელობა სწორია; მაშინ ხელფასის მუდმივობა უნდა მოქმედებდეს ორი მიმართულებით, უესტონი კი მას მხოლოდ ერთი მიმართულებით ამოქმედებს. თუ ხელფასის ჯამი მუდმივი სიდიდეა, არ შეიძლება მისი არც მომატება და არც შემცირება, მაშასადამე, თუ მუშები უგუნურად იქცევიან, როცა აიძულებენ ხელფასის დროებით მომატებას, კაპიტალისტებიც არანაკლებ უგუნურად იქცევიან, როცა დროებით ხელფასის შემცირებას აღწევენ. ჩვენი მეგობარი უესტონი არ უარყოფს, რომ ზოგიერთ პირობებში მუშებს შ ე უ ძ ლ ი ა თ ხელფასის მომატებას მიაღწიონ; მაგრამ რადგან ხელფასის საერთო ჯამი მყარია, როგორც ბუნების კანონი, ასეთ მომატებას რეაქცია უნდა მოჰყვესო. მეორე მხრივ, მან ისიც იცის, რომ კაპიტალისტებს შ ე უ ძ ლ ი ა თ ძალით ხელფასის შემცირება გამოიწვიონ და ფაქტიურად მუდამ ამას ცდილობენ კიდეც. ხელფასის საერთო ჯამის უცვლელობის პრინციპის თანახმად ამ შემთხვევამ, არა ნაკლებ, ვიდრე პირველმა, რეაქცია უნდა გამოიწვიოს. მაშასადამე, მუშები მართალნი იქნებიან, თუ წინააღმდეგობას გაუწევენ ხელფასის შემცირების განზრახვას ან ფაქტიურ შემცირებას. ისინი მაშასადამე, მართებულად იქცევიან, მაშინაც, როცა ხ ე ლ ფ ა ს ი ს მ ო მ ა ტ ე ბ ა ს ცდილობენ, იმიტომ რომ ყოველი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ხელფასის შემცირებისა არის ამასთანავე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მისი მომატების სასარგებლოდ. ამიტომ თვით მოქალაქე უესტონის პრინციპის მიხედვით ხ ე ლ ფ ა ს ი ს მ უ დ მ ი ვ ო ბ ი ს შესახებ, მუშებმა განსაზღვრულ გარემოებაში კავშირი უნდა შეკრან და იბრძოლონ ხელფასის მომატებისათვის.

თუ ის უარყოფს ამ დასკვნას, უნდა უარყოს აგრეთვე წანამძღვარი დებულება, საიდანაც ეს დასკვნა გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში ის არ უნდა ამბობდეს, რომ ხელფასის ჯამი მ უ დ მ ი ვ ი ს ი დ ი დ ე ა ო, — მაშინ უნდა თქვას, რომ, თუმცა ის არ შეიძლება გაიზარდოს და არც უნდა ი ზ რ დ ე ბ ო დ ე ს, მაგრამ შეიძლება მისი შ ე მ ც ი რ ე ბ ა და კიდეც უნდა შ ე მ ც ი რ დ ე ს, როცა ეს კა-

პიტალს მოეპრიანებაო. თუ კაპიტალისტს მოეპრიანება, რომ თქვენ ხორცის მაგივრად კარტოფილით გკვებოს, ხორბლის მაგივრად — შვრიით, მისი ნებისყოფა უნდა სცნოთ, როგორც პოლიტიკური ეკონომიის კანონი, და დაემორჩილოთ კიდეც. თუ ერთს ქვეყანაში ხელფასის დონე უფრო მაღლა დგას, ვიდრე მეორეში, მაგალითად, შეერთებულ შტატებში უფრო მაღლა, ვიდრე ინგლისში, ხელფასის ეს განსხვავება ინგლისელი და ამერიკელი კაპიტალისტების სურვილის განსხვავებით უნდა ავხსნათ; ასეთი მეთოდი, საგრძნობლად გაამარტივებდა არა მარტო ეკონომიურ, არამედ ყველა სხვა მოვლენის შესწავლას.

მაგრამ თვით ამ შემთხვევაშიც ჩვენ შეგვეძლო კითხვა დაგვესვა: რ ა ტ ო მ განსხვავდება ამერიკელი კაპიტალისტის სურვილი ინგლისელი კაპიტალისტის სურვილისაგან? რათა ამ საკითხს პასუხი გავცეთ, ს უ რ ვ ი ლ ე ბ ი ს სფეროდან უნდა გამოვიდეთ. ხუცესმა შეიძლება მითხრას, რომ ღმერთს საფრანგეთისთვის ერთი სურს, ხოლო ინგლისისათვის — მეორეო. თუ ამ სურვილის გაორების ახსნას მოვითხოვდი, ის ურცხვად მიპასუხებდა, რომ ღმერთს საფრანგეთში ერთი ნება აქვს, ხოლო ინგლისში მეორეო. მაგრამ ჩვენი მეგობარი უესტონი, რასაკვირველია, არ მიმართავს ასეთ საბუთს, რომელიც ყოველ გონიერ აზროვნებას ეწინააღმდეგება.

უეჭველია რომ კაპიტალისტის ს უ რ ვ ი ლ ი ა, რაც შეიძლება მეტი აიღოს, ჩვენ კი უნდა განვიხილოთ არა კაპიტალისტთა ს უ რ ვ ი ლ ე ბ ი, არამედ მათი ძ ა ლ ა, ა მ ძ ა ლ ი ს ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი და ა მ ,ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ს ხ ა ს ი ა თ ი.

2. [წ ა რ მ ო ე ბ ა, ხ ე ლ ფ ა ს ი, მ ო გ ე ბ ა]

მოხსენება, რომელიც აქ მოქალაქე უესტონმა წაიკითხა, თავისუფლად დაეტეოდა კაკლის ნაჭუჭში.

მთელი მისი მსჯელობა ასეთია: თუ მუშათა კლასი კაპიტალისტთა კლასს აიძულებს მას ფულადი ხელფასის სახით ოთხი შილინგის მაგივრად ხუთი მისცეს, კაპიტალისტი, თავის მხრივ, მას საქონლის სახით ოთხშილინგიან ღირებულებას დაუბრუნებს, ხუთი შილინგის ნაცვლად. მუშათა კლასი ხუთ შილინგს გადაიხდის იმაში, რასაც ხელფასის აწევამდე ოთხ შილინგად ყიდულობდა. მაგრამ რატომ მოხდება ეს? რატომ მისცემს კაპიტალისტი 4 შილინგის ღირებულებას 5 შილინგში? ეს მოხდება იმიტომ, რომ ხელფასის ჯამი მტკიცედაა განსაზღვრული. მაგრამ რატომ განისაზღვრება ეს უკანასკნელი იმ საქონლის ღირებულებით, რომლის ღირებულება ოთხი შილინგია?

რატომ არ განისაზღვრება ის სამით, ორით, ან სხვა რომელიმე ჯამით? თუ ხელფასის ჯამის დონე განსაზღვრულია რომელიმე ეკონომიური კანონით, რომელიც არაა დამოკიდებული არც კაპიტალისტების და არც მუშების სურვილზე, მოქალაქე უესტონს, უპირველეს ყოვლისა, ეს კანონი უნდა გადმოეცა და დაემტკიცებინა. ამას გარდა მას უნდა დაემტკიცებინა, რომ ყოველ განსაზღვრულ მომენტში ფაქტიურად გაცემული ხელფასის ჯამი ყოველთვის ზედმიწევნით უდგება ხელფასის აუცილებელ ჯამს და არასოდეს არ შორდება ამ უკანასკნელს. ხოლო თუ ხელფასის ჯამის საზღვრები მ ა რ ტ ო კაპიტალისტის ს უ რ ვ ი ლ ზ ე ან სიხარბეზეა დამოკიდებული, მაშინ ეს თვითნებური საზღვრები იქნებოდა, თავისთავად ისინი არ წარმოადგენენ რაიმე აუცილებელს. ისინი შეიძლება კაპიტალისტის ს უ რ ვ ი ლ ი-ს ა მ ე ბ რ შეიცვალონ, მაშასადამე, შეიძლება შეიცვალონ მისი სურვილის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ა ც.

მოქალაქე უესტონი თავის თეორიას შემდეგი მაგალითით ასურათებს. თუ მათლაფაში განსაზღვრული რაოდენობის წვენია, რომელიც განსაზღვრულ რაოდენობის პირებისათვის არის დანიშნული, კოვზების სიდიდის გადიდება წვენის მომატებას არ გამოიწვევსნება მიბოძოს მოქალაქე უესტონმა ეს ილუსტრაცია უხამსად [1] ჩავთვალო. მან მე რამდენადმე მენენიუს აგრიპას შედარება მომაგონა. როცა რომაელი პლებეები რომაელი პატრიციების წინააღმდეგ გაიფიცნენ, პატრიციი აგრიპა მათ ეუბნებოდა, რომ პატრიციული სტომაქი სახელმწიფო სხეულის პლებეურ ასოებს კვებავსო. აგრიპამ ერთი რამ ვერ დაამტკიცა მხოლოდ: როგორ შეიძლება იკვებებოდეს ერთი ადამიანის ასოები, როცა მეორე ადამიანის სტომაქი ივსება. მოქალაქე უესტონს, თავის მხრივ, სრულიად ავიწყდება, რომ მათლაფა, საიდანაც მუშები სჭამენ, ეროვნული შრომის ნაწარმოებითაა სავსე, და თუ ისინი მეტის ამოღებას ვერ ახერხებენ იქიდან, ეს იმიტომ კი არა, რომ მათლაფა პატარაა ან შიგ ცოტაა წვენი, ამის მიზეზია მხოლოდ კოვზების სიპატარავე.

რა თვალთმაქცობით შეუძლია კაპიტალისტს 5 შილინგად გაპყიდოს ოთხ შილინგად ღირებული? შეუძლია იმით, რომ ფასებს ასწევს გასაყიდ საქონელზე. მაგრამ განა საქონლის ფასების აწევა, ან ზოგადად რომ ვთქვათ, ფასების შეცვლა, საქონლის ფასი საერთოდ, თვით კაპიტალისტის სურვილზეა მხოლოდ დამოკიდებული?

[1] ორიგინალში სიტყვათა ძნელად სათარგმნი ზმობაა: **spoon** — კოვზი და ყეყეჩი, **spoony** — რეგვენი, უშვერი, უგვანი, უხამსი. რ ე დ.

თუ, პირიქით, განსაზღვრული გარემოებებია საჭირო, რომ ამ სურვილს ნამდვილი ძალა მიეცეს? თუ ეს არაა საჭირო, მაშინ საბაზრო ფასების აწევ-დაწევა, მათი მუდმივი ცვალებადობა აუხსნელი ამოცანა იქნება.

რადგან ჩვენ ვგულისხმობთ, რომ არავითარი ცვლილება არ მომხდარა არც შრომის საწარმოო ძალაში, არც წარმოებაში დაბანდებულ კაპიტალის და შრომის რაოდენობაში ან იმ ფულის ღირებულებაში, რომლის საშუალებითაც გმოხატულია პროდუქტთა ღირებულება, არამედ შეიცვალა მარტოდმარტო ხელფასის დონე, როგორ შეეძლო ხელფასის ამ მომატებას მოეხდინა გავლენა საქონლის ფასზე? მხოლოდ იმით, რომ ის გავლენას მოახდენს ამ საქონელთა მიწოდება-მოთხოვნის ფაქტიურ თანაფარდობაზე.

სრული ჭეშმარიტებაა, რომ მუშათა კლასი, მთლიანად აღებული, იძულებულია თავისი შემოსავალი პირველ მოთხოვნილებისაგნებზე დახარჯოს, და ხარჯავს კიდეც. ხელფასის დონის საყოველთაო გადიდება ჩვეულებრივ პირველ მოთხოვნილებისაგანზე მოთხოვნის ზრდასა, და, მაშასადამე, მათ საბაზრო ფასის ზრდასაც გამოიწვევდა. კაპიტალისტები, რომლებიც ამ აუცილებელი მოხმარების საგნებს ამზადებენ, ხელფასის მომატებას მათი საქონლის საბაზრო ფასების ზრდით აინაზღაურებდნენ. მაგრამ როგორ არის სხვა კაპიტალისტების საქმე, რომლებიც პირველი მოთხოვნილების საგნებს არ აწარმოებენ? არ იფიქროთ, რომ ასეთი კაპიტალისტების რიცხვი უმნიშვნელოა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ნაციონალური პროდუქციის ორ მესამედს მოსახლეობის მხოლოდ ერთი მეხუთედი ხმარობს, — ან ერთი მეშვიდედი, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ თემთა პალატის ერთმა წევრმა აღნიშნა, — თქვენ გაიგებთ, რომ ნაციონალური პროდუქციის ვეებერთელა ნაწილი ფუფუნების საგნების სახით მზადდება ან ფუფუნების საგნებზე იცვლება და, ბოლოს, პირველი მოთხოვნილების საგნების დიდი ნაწილი ლაქიებზე, ცხენებზე, კატებზე და სხვ. იხარჯება. ესაა ფლანგვა, რომელიც როგორც, გამოცდილებით ვიცით, საარსებო საშუალებათა გაძვირებასთან ერთად ყოველთვის საგრძნობლად მცირდება.

ვნახოთ ახლა, როგორი იქნებოდა იმ კაპიტალისტების მდგომარეობა, რომელნიც აუცილებელი მოთხოვნილების საგნებს არ აწარმოებენ? მოგების ნორმის დაწევას, რომელიც ხელ-

ფასის საერთო ზრდას მოსდევს, ისინი ვერ აინაზღაურებდნენ თავიანთი საქონლის გაძვირებით, რადგან ამ საქონელზე მოთხოვნა არ გაიზრდებოდა. მათი შემოსავალი იკლებდა, და ამ დაკლებულ შემოსავლიდან ისინი იძულებული იქნებოდნენ იმავე რაოდენობის ფასაწეულ პირველ მოხმარების საგნებში ადრინდელზე მეტი მიეცათ. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, რადგან მათი შემოსავალი შემცირდებოდა, ისინი იძულებული იქნებოდნენ ნაკლები დაეხარჯათ ფუფუნების საგნებზე, და ამგვარად, მათი ურთიერთი მოთხოვნა მათ მიერ წარმოებულ საქონელზე შემცირდებოდა. მოთხოვნის შემცირებას შედეგად მათი საქონლის ფასების დაცემა მოჰყვებოდა. ამგვარად, წარმოების ამ დარგებში მოგების ნორმა დაეცემოდა არა მხოლოდ უბრალო შეფარდებით ხელფასის საზოგადო მომატებასთან, — დაცემა მოხდებოდა ხელფასის საერთო მომატებისა, აუცილებელი მოთხოვნილების საგნების გაძვირებისა და ფუფუნების საგნების გაიაფების ერთობლივი მოქმედების საფუძველზე.

რა შედეგი მოჰყვებოდა მოგების ნორმის ამ სხვადასხვაობას წარმოების სხვადასხვა დარგში დაბანდებულ კაპიტალებისთვის? ცხადია, იგივე შედეგი, რომელსაც მუდამ ადგილი აქვს, როცა ამათუიმ მიზეზით იცვლება მოგების საშუალო ნორმა წარმოების სხვადასხვა დარგში. კაპიტალი და შრომა ნაკლებმომგებიანი დარგებიდან უფრო მომგებიან დარგებში გადავიდოდნენ და ეს გადასვლა იქამდე გაგრძელდებოდა, სანამ წარმოების ერთ დარგში მიწოდების ზრდა არ დაეწეოდა გაზრდილი მოთხოვნის დონეს, ხოლო მეორეში შემცირება არ შეეგუებოდა დაწეულ მოთხოვნას. როცა ასეთი გადანაცვლების პროცესი თავის გზას გაივლის, მოგების საერთო ნორმა წარმოების ყველა დარგში ხელახლა გათანასწორდება. რადგან მთელი გადანაცვლება თავდაპირველად მხოლოდ სხვადასხვა საქონლის მიწოდებისა და მოთხოვნის მიმართების ცვლილებითაა გამოწვეული, მიზეზის მოსპობით შედეგიც მოისპობა და ფასები თავიანთ პირვანდელ დონეს და წონასწორობას დაუბრუნდებიან. მოგების ნორმების დაწევა, ხელფასის ზრდით გამოწვეული, არ შეჩერდებოდა ერთი წარმოების დარგში, არამედ საყოველთაო გახდებოდა. ჩვენი დაშვების თანახმად, არც შრომის საწარმოო ძალებსა და არც წარმოების საერთო რაოდენობაში ცვლილება არ მოხდებოდა, არამედ პროდუქტების მოცემული რაოდენობა შეიცვლიდა თავის ფორმას. პროდუქ-

ტების უდიდესი ნაწილი პირველ მოთხოვნილების საგნების სახეს მიიღებდა, უმცირესი—ფუფუნების საგნებისას, ან, რაც ერთიდაიგივეა, უმცირესი ნაწილი საზღვარგარეთულ ფუფუნების საგნებში გაიცვლებოდა და თავის პირვანდელი სახით იქნებოდა მოხმარებული, ან, რაც აგრეთვე ერთიდაიგივეა, ადგილობრივი პროდუქტების უდიდესი ნაწილი უცხოეთის პირველ მოთხოვნილების საგნებში გაიცვლებოდა ნაცვლად ფუფუნების საგნებზე გადაცვლისა. ამგვარად, ხელფასის დონის საერთო აწევა, საბაზრო ფასების ხანმოკლე არევდარევის შემდეგ, მხოლოდ მოგების საერთო დონის შემცირებას გამოიწვევდა, საქონლის ფასებში კი ხანგრძლივი ცვლილება არ მოხდებოდა.

თუ მეტყვიან, რომ ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში მე ვიგულისხმე, თითქოს ხელფასის მთელი ნამატი პირველი მოთხოვნილების საგნებზე იხარჯება, მე ვუპასუხებ, რომ მე ავიღე მოქალაქე უესტონის შეხედულებისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი დებულება. ხელფასის ნამატი რომ ისეთ საგნებზე იხარჯებოდეს, რომელსაც წინათ მუშები არ ხმარობდნენ, არავითარი მტკიცება აღარ დასჭირდებოდა იმას, რომ მუშების ყიდვითი ძალა მართლაც იზრდება; ხოლო რადგან მისი გადიდება მაინც მხოლოდ ხელფასის გადიდების გამო ხდება, მუშების სყიდვითი ძალის გადიდება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კაპიტალისტების სყიდვითი ძალის შემცირებას. ამგვარად, ს ა ე რ თ ო მ ო თ ხ ო ვ ნ ა საქონელზე არ გ ა ი ზ რ დ ე ბ ო დ ა, მხოლოდ მისი შემადგენელი ელემენტები შ ე ი ც ვ ლ ე ბ ო დ ა. ერთი მხარის გაზრდილ მოთხოვნას მეორის შემცირებული მოთხოვნა გააწონასწორებდა, და რადგან მთელი მოთხოვნა უცვლელი დარჩებოდა, საბაზრო ფასებში არავითარი ცვლილებები არ მოხდებოდა.

ამრიგად, ჩვენ შემდეგი დილემის წინაშე ვდგევართ: ან ხელფასის ნამატი თანასწორად იხარჯება სხვადასხვა მოსახმარ საგნებზე — ამ შემთხვევაში მოთხოვნის გაფართოებას მუშათა კლასის მხრივ მოყვება მოთხოვნის შემცირება კაპიტალისტთა კლასის მხრივ; ან ხელფასის ეს ნამატი დაიხარჯება მხოლოდ ზოგიერთ საგნებზე, რომელთა საბაზრო ფასი დროებით აიწევს. მაშინ მოგების დონე წარმოების ზოგიერთ დარგში აიწევს, ზოგიერთში კი დაეცემა, რაც გამოიწვევს შრომის და კაპიტალის გადანაცვლებას, და ეს გაგრძელდება, სანამ მიწოდება წარმოების ერთ დარგში გაძლიერებული მოთხოვნის სიმაღლეს მიაღწევს, ხოლო სხვა დარგებში მიწოდება შემცირდება შემცირებული მოთხოვნის მიხედვით.

პირველ შემთხვევაში საქონლის ფასებში არავითარი ცვლილება არ მოხდება, მეორეში კი, საბაზრო ფასების ერთგვარი ქანაობის შემდეგ, საქონლის საცვლელი ღირებულება წინანდელ მდგომარეობას დაუბრუნდება. ორსავე შემთხვევაში ხელფასის დონის საერთო აწევას არავითარი სხვა შედეგი არ მოჰყვება, გარდა მოგების დონის საერთო შემცირებისა.

თქვენი ფანტაზიის გასაძლიერებლად მოქალაქე უესტონი წინადადებას იძლევა დაფიქრდეთ იმ სიძნელეზე, რომელსაც გამოიწვევს ინგლისელი სოფლის მუშების ხელფასის საერთო მომატება ცხრა შილინგიდან თვრამეტამდე. წარმოიდგინეთო, — ამბობს ის, — აუცილებელი საარსებო პროდუქტების მოთხოვნის უჩვეულო ზრდა და ამის გამო გამოწვეული მათი ფასების საშინელი აწევა! მაგრამ თქვენ ხომ ყველამ იცით, რომ ამერიკელი სოფლის მუშების საშუალო ხელფასი ორჯერ მეტია, ვიდრე ინგლისელი სოფლის მუშებისა, თუმცა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასები შეერთებულ შტატებში უფრო დაბალია, ვიდრე ინგლისში, თუმცა შრომასა და კაპიტალს შორის შეერთებულ შტატებშიც ისეთივე ურთიერთობაა გაბატონებული, როგორიც ინგლისში, თუმცა წლიური პროდუქციის სიდიდე შეერთებულ შტატებში, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ინგლისში. რისთვისღა სცემს ჩვენი მეგობარი უესტონი ბუკსა და ნაღარას? მხოლოდ იმისთვის, რომ თავი დააღწიოს ამ საკითხს, რომელიც დგას ჩვენს წინაშე. ხელფასის მოულოდნელი გადიდება ცხრა შილინგიდან თვრამეტ შილინგამდე გამოიწვევდა მისი ჯამის მოულოდნელ მომატებას ასი პროცენტით. მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ ვიხილავთ საკითხს, შეიძლება თუ არა ინგლისში ხელფასის დონემ უცბად ასი პროცენტით აიწიოს. ჩვენ სრულიადაც საქმე არ გვაქვს მომატების ს ი დ ი დ ე ს თ ა ნ, რომელიც ყოველ პრაქტიკულ შემთხვევაში მოცემულ გარემოებაზე უნდა იყოს დამოკიდებული და მათ შეესატყვისებოდეს. ჩვენ მხოლოდ იმის გამორკვევა გვჭირდება, რა გავლენას მოახდენს ხელფასის საერთო მომატება თვით იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს მომატება მხოლოდ ერთ პროცენტს უდრის.

ამიტომ მე განზე ვტოვებ ხელფასის ფანტასტიკურ მომატებას ასი პროცენტით, რომელიც ჩვენმა მეგობარმა უესტონმა მოიგონა, და თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ხელფასის რეალურ მომატებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა დიდ ბრიტანეთში 1849 წლიდან 1859 წლამდე.

თქვენ ყველამ იცით კანონი ათი საათის ან, უკეთ, ათსაათნახევრის სამუშაო დღის შესახებ, რომელიც 1848 წლიდან არის შემოღებული. ეს იყო ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური გარდატეხა, რომელიც ჩვენ განვიცადეთ. ეს კანონი ნიშნავდა ხელფასის მოულოდნელ და იძულებით მომატებას არა მარტო ზოგიერთ ადგილობრივ წარმოებაში, არამედ მრეწველობის წამყვან დარგებში, რომელთა საშუალებით ინგლისი მსოფლიო ბაზარზე ბატონობს. ეს იყო მომატება არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში. დოქტორი იური, პროფესორი სენიორი და ყველა დანარჩენი ეკონომისტები, რომლებიც ბურჟუაზიის ინტერესების ოფიციალური დამცველები არიან, «ამ ტ კ ი ც ე ბ დ ნ ე ნ», უნდა ვაღიარო, მეტი დასაბუთებით, ვიდრე ჩვენი მეგობარი უესტონი, რომ ეს კანონი ინგლისის მრეწველობის სიკვდილის მაუწყებელი ზარის რეკაა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს არაა უბრალო მომატება ხელფასისა, ეს მომატება გამოწვეულია გამოყენებული შრომის რაოდენობის შემცირებით და ამ შემცირებაზეა დამოკიდებული. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მეთორმეტე საათი, რომელიც თქვენ კაპიტალისტს გინდათ წაართვათ, სწორედ ის ერთადერთი საათია, საიდანაც ის თავის მოგებას ღებულობს. ისინი იმუქრებოდნენ დაგროვების შემცირებით, ფასების ზრდით, ბაზრების დაკარგვით, წარმოების შევიწროებით, — ამას კი მოჰყვება ხელფასის დაცემა და საბოლოო გაკოტრებაო. მაქსიმილიანე რობესპიერის კანონი მაქსიმალური ფასების შესახებ[1] მათ უმნიშვნელო წვრილმანად მიაჩნდათ ამ კანონთან შედარებით, და ერთი მხრით ისინი მართალი იყვნენ. მაგრამ როგორი იყო ამ კანონის შედეგი სინამდვილეში? ფაბრიკის მუშების ფულადი ხელფასის მომატება, სამუშაო დღის შემცირების მიუხედავად, მნიშვნელოვანი ზრდა ფაბრიკებში ჩაბმულ მუშების რიცხვისა, შეუჩერებელი დაწევა ფასებისა საფაბრიკო საქონელზე, შრომის საწარმოო ძალის საოცარი განვითარება, არაჩვეულებრივი პროგრესიული გაფართოება საფაბრიკო საქონლის გამსაღებელი ბაზრებისა. მე თვითონ გამიგონია მეცნიერებათა წამქეზებელი საზოგადოების კონგრესზე მანჩესტერში, 1860 წელს, როგორ გამოტყდა მისტერი ნ ი უ მ ე ნ ი, რომ ისიც, დოქტორი იური, სენიორიც და ეკონომიური მეცნიერების ყველა ოფიციალური წარმომადგენლები ცდებოდნენ, ხოლო მართალი აღმოჩნდა ხალხის ინსტინქტი. მე ვლაპარაკობ არა პროფესორ ფრენსის ნიუმენზე, არა-

[1] მაქსიმალური ფასების კანონი შემოღებულ იქნა იაკობინური კონვენტის მიერ საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს 1793 წელს. ის მტკიცედ საზღვრავდა ფასებს საქონელზე და ხელფასის მაქსიმუმს. რ ე დ.

შედ მისტერ ვ. ნიუმენზე[1], რომელსაც გამოჩენილი ადგილი უჭირავს ეკონომიურ მეცნიერებაში, როგორც თანამშრომელს და გამომცემელს ტომას ტუკის «ფასების ისტორიისა», ამ შესანიშნავი შრომისა, რომელიც ფასების ისტორიას გადმოგვცემს 1793 წლიდან 1856 წლამდე. სწორი რომ ყოფილიყო ჩვენი მეგობრის უესტონის აკვიატებული იდეები[2] ხელფასის უცვლელი ჯამის და პროდუქციის უცვლელი რაოდენობის, შრომის საწარმოო ძალის უცვლელი დონის, კაპიტალისტების გაბატონებული და უცვლელი სურვილებისა და ყველა სხვა უცვლელობათა შესახებ, მაშინ სწორი იქნებოდა პროფესორ სენიორის ყველა უნუგეშო წინასწარმეტყველებაც, და მართალი არ იქნებოდა რობერტ ოუენი, რომელიც ჯერ კიდევ 1816 წელს ამბობდა, რომ სამუშაო დღის ხანგრძლივობის საერთო შემცირება მუშების განთავისუფლების პირველი მოსამზადებელი ნაბიჯია, და რომელმაც, საზოგადო ცრურწმენათა მიუხედავად, თავისი საკუთარი რისკით შემოკლებული სამუშაო დღე შემოიღო საკუთარ ძაფისმრთველ ფაბრიკაში ნიუ-ლენარკში.

10 საათის სამუშაო დღის კანონის შემოღებისა და მის შედეგად ხელფასის აწევასთან ერთად დიდ ბრიტანეთში სოფლისმუშების ხელფასმაც საერთოდ იმატა განსაზღვრული მიზეზების გამო, რომელთა ჩამოთვლა აქ უადგილო იქნებოდა.

რომ თქვენ შეცდომაში არ შეგიყვანოთ, აქ რამდენიმე წინასწარ შენიშვნას გავაკეთებ, თუმცა ჩემი პირდაპირი მიზნისათვის ეს საჭირო არ არის.

თუ კაცი წინათ კვირაში ორ შილინგს ღებულობდა და ახლა ოთხ შილინგს ღებულობს, ხელფასის დონეს ასი პროცენტით მოუმატნია. ხელფასის ზრდის თვალსაზრისით ეს საუცხოვო რამედ მოგვეჩვენებოდა. მაგრამ ფაქტიური ჯამი ხელფასისა, ოთხი შილინგი კვირაში, მაინც უაღრესად მცირე, ღარიბული შემოსავალია, რომლითაც ადამიანი თავს ვერ დააღწევდა დამშეულ არსებობას. ამიტომ თავს ნუ მოიტყუებთ ხელფასის ნორმის პროცენტული მომატების მაღალხმოვანი ციფრებით. ყოველთვის იკითხეთ, როგორი იყო მისი პირვანდელი ჯამი?

ამას გარდა, ცხადია, რომ თუ ათი კაცი კვირაში ორ-ორ შილინგს იღებს, ხუთი კაცი ხუთ-ხუთ შილინგს და ხუთი კიდევ —

[1] აქ შეცდომაა; მარქსის მიერ აღნიშნული ეკონომისტის გვარი ნიუმენი კი არაა, არამედ ნიუმარჩი. რ ე დ.

[2] ტექსტში სიტყვათა თამაშია, რომელიც არ ითარგმნება: აკვიატებული იდეები — fixed ideas, უცვლელი — fixed. რ ე დ.

თერთმეტ-თერთმეტს, ყველა ოცს ერთად კვირაში ასი შილინგი, ანუ ხუთი გირვანქა სტერლინგი შეხვდება; თუ შემდეგ მათი კვირეული ხელფასის საერთო ჯამი, ვთქვათ, ოც პროცენტს მოიმატებს, მივიღებთ ზრდას ხუთი გირვანქიდან ექვს გირვანქა სტერლინგამდე. თუ მხედველობაში საშუალო შედეგს მივიღებდით, ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ხელფასის საერთო დონემ ოცი პროცენტით იმატა, თუმცა ათი მუშის ხელფასი სინამდვილეში უცვლელი რჩება, ხუთი კაცის ხელფასი ხუთი შილინგიდან მხოლოდ ექვსამდე აიწევს, ხოლო მეორე ხუთი კაცისა — 55-დან 70 შილინგზე ავა. მუშების ერთი ნახევარი ნაწილის მდგომარეობა სრულიად არ გაუმჯობესებულა, ერთი მეოთხედის სრულიად უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა, და ნამდვილად მხოლოდ დანარჩენი მეოთხედის მდგომარეობა გაუმჯობესდა.

ამის მიუხედავად საშუალოდ ამ ოცი კაცის ხელფასის საერთო ჯამი ოცი პროცენტით გაიზარდა, ხოლო, რაც შეეხება მთლიანად იმ კაპიტალს, რომელიც მათ სამუშაოს აძლევს, და ფასებს იმ საქონლისას, რომელსაც ისინი აწარმოებენ, აქ არაფერი არ გამოიცვლებოდა არც იმ შემთხვევაში, რომ ყველა მათგანს თანასწორად შეხებოდა ხელფასის საშუალო დონის მომატება. სოფლის მუშებისათვის, რომლებსაც ინგლისის და შოტლანდიის სხვადასხვა საგრაფოში ნორმალური ხელფასის სხვადასხვანაირი დონე ჰქონდათ, მომატება ძალიან უსწორმასწოროდ ხდებოდა.

ბოლოს, ხელფასის მომატების დროს მომხდარი ისეთი ფაქტები, როგორიც იყო, მაგალითად, რუსეთთან ომის გამო ახალი გადასახადების შემოღება, სოფლის მუშების ბინების მასობრივი ნგრევა და სხვ., საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებდნენ მასზე.

ამ გრძელი წინასწარი შენიშვნების შემდეგ მე ვაგრძელებ გამოკვლევას და ვამბობ, რომ 1849 წლიდან 1859 წლამდე სოფლის მუშების ხელფასის საშუალო დონემ დიდ ბრიტანეთში დაახლოვებით 40% მოიმატა. შემეძლო ამ ჩემი განცხადების დასამტკიცებლად მრავალი ფაქტი მომეყვანა, მაგრამ ჩემი ახლანდელი მიზნისთვის საკმაოდ მიმაჩნია მოვიხსენიო ერთი კეთილსინდისიერი და კრიტიკული რეფერატი, სახელდობრ, «სოფლის მეურნეობაში მომქმედი ძალები», რომელიც განსვენებულმა ჯონ კ. მორტონმა 1860 წელს ლონდონის ხელოვნებათა საზოგადოებაში წაიკითხა. ბ-ნ მორტონს მოჰყავს ციფრები იმ ანგარიშებიდან და სხვა სარწმუნო საბუთებიდან, რომელიც მან თითქ-

მის ას ფერმერს გამოართვა შოტლანდიის 12 და ინგლისის 35 საგრაფოში.

ჩვენი მეგობრის უესტონის აზრით, საფაბრიკო მუშების ხელფასის ერთდროული მომატების გამო, 1849 — 1859 წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საშინელი გაძვირება უნდა მომხდარიყო. მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში? რუსეთთან ომისა და 1854 — 1856 წლების მოუსავლობის მიუხედავად, ინგლისის მთავარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, ხორბალი, რომლის კვარტერი 1838 — 1848 წლებში სამი გირვანქა სტერლინგი ღირდა, 1849 — 1859 წლებში ორ გირვანქასა და ათ შილინგზე ჩამოვიდა. ეს წარმოადგენს ხორბლის ფასის დაცემას 16%-ზე მეტით იმ დროს, როცა სოფლის მუშების ხელფასის მომატება საშუალოდ 40% უდრიდა. თუ ამ პერიოდის დასასრულს მის დასაწყისს შევადარებთ 1859 და 1849 წელს, შევამჩნევთ, რომ ოფიციალურად აღნუსხული პაუპერიზმი 934419 კაციდან 860470-მდე ჩამოვიდა, რაც 73949 კაცის განსხვავებას წარმოადგენს; ვაღიარებ, რომ ეს უმნიშვნელო შემცირებაა, ამასთანავე იგი შემდეგ წლებში ისევ გაჰქრა, მაგრამ ეს მაინც შემცირებაა.

შეიძლება მითხრან, რომ პურის კანონების გაუქმების გამო საზღვარგარეთის პურის შემოზიდვამ 1849 — 1859 წლებში წინანდელ ათი წლის 1838 — 1848 პერიოდთან შედარებით უფრო იმატა, ვიდრე ორჯერ. მაგრამ რა მნიშვნელობა ექნებოდა ამას? მოქალაქე უესტონის თვალსაზრისით მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ასეთ უეცარ უზარმაზარ და თანდათან გაძლიერებულ მოთხოვნას საზღვარგარეთის ბაზრებზე საშინლად უნდა აეწია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები იქ, რადგან გავლენა გაძლირებული მოთხოვნისა ერთიდაიგივეა მუდამ, მიუხედავად იმისა, თუ საიდან მოდის ის: ქვეყნის შიგნიდან თუ გარედან. მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში? ორიოდე მოუსავლიანი წლის გარდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში საფრანგეთში განუწყვეტელი ჩივილი გაისმოდა პურის ფასების საშინელი დაცემის გამო. ამერიკელები არაერთხელ იძულებული იყვნენ თავიანთი ზედმეტი პროდუქტები დაეწვათ, ხოლო რუსეთი, თუ ბ-ნ ურკარტს დავუჯერებთ, სამოქალაქო ომს აღვივებდა შეერთებულ შტატებში იმიტომ, რომ იანკების კონკურენციამ მის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოზიდვას ევროპის ბაზარზე დამბლა დასცა.

მოქალაქე უესტონის მტკიცება, მ ი ს ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ფ ო რ მ ა ზ ე უ კ უ დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი, ნიშნავს შემდეგს: მოთხოვნის ყოვე-

ლი ზრდა ხდება მუდამ წარმოების მოცემული სიდიდის საფუძველზე, და ამიტომ მას არასოდეს არ შეუძლია გაადიდოს მოთხოვნილი საგნების მიწოდება, მას შეუძლია გაადიდოს მხოლოდ მათი ფულადი ფასი. მაგრამ ყოველდღიური დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მომატებული მოთხოვნის დროს საქონლის საბაზრო ფასები სრულიად უცვლელი რჩება, ზოგჯერ კი ხდება საბაზრო ფასების მხოლოდ დროებითი აწევა, რასაც თან სდევს გაძლიერებული მიწოდება; ამ გაძლიერებულ მიწოდებას მოსდევს ისევ ფასების დაწევა წინანდელ დონემდე და ბევრ შემთხვევაში უფრო დაბლაც. ხდება მოთხოვნის გაძლიერება ხელფასის გადიდების გამო, თუ სხვა რაიმე მიზეზით, ეს, რასაკვირველია, სრულიადაც არ ცვლის საქმის ვითარებას. მოქალაქე უესტონის თვალსაზრისით ისევე ძნელია ამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების ახსნა, როგორც ხელფასის გადიდებისა, რომელსაც განსაკუთრებულ პირობებში აქვს ადგილი. ამიტომ მის არგუმენტს სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საკითხისათვის, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს. როცა ის ცდილობს იმ კანონების ახსნას, რომელთა ძალით გაძლიერებული მოთხოვნა გაძლიერებულ მიწოდებას ქმნის და არა საბაზრო ფასების საბოლოო აწევას, ის მხოლოდ დაბნეულობას აშკარავებს.

3. [ხელფასი და ფული]

დებატების მეორე დღეს ჩვენმა მეგობარმა უესტონმა თავის ძველ დებულებებს ახალი ფორმა მისცა. მან თქვა: თუ ფულში გამოხატული ხელფასის საერთო მომატება ხდება, მეტი ნაღდი ფულია საჭირო იმისათვის, რომ ეს მომატებული ხელფასი გადახდილ იქნესო. როცა მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა ერთხელვე მოცემულია, როგორ შეგიძლიათ თქვენ მიმოქცევაში მყოფი ამ უცვლელი ჯამით გადაიხადოთ ფულადი ხელფასის უფრო დიდი რაოდენობა? ჯერ სიძნელე იქიდან გამომდინარეობდა, რომ ხელფასის მომატებას თან არ ახლდა მატება საქონლისა, რომელიც მუშას უნდა რგებოდა. ახლა სიძნელე იმაშია, რომ საქონლის რაოდენობა უცვლელი რჩება, ფულში გამოხატული ხელფასი კი მატულობს. თავისთავად იგულისხმება, რომ თუ უარყოფილ იქნება თავდაპირველი დოგმა, მოიხსნება მისგან წარმოებული სიძნელენიც.

მაგრამ მე მაინც გიჩვენებთ, რომ საკითხს მიმოქცევაში მყოფი ფულის შესახებ სრულიად არაფერი საერთო არა აქვს საგანთან, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს.

თქვენს ქვეყანაში ანგარიშების გასწორების მექანიზმი უფრო მეტი სისრულითაა განვითარებული, ვიდრე ევროპის სხვა რომელიმე ქვეყანაში. საბანკო სისტემის გაფართოებისა და კონცენტრაციის საშუალებით აქ ერთიდაიმავე ღირებულებათა ჯამის საბრუნავად და ისეთივე ან უფრო მრავალრიცხოვან სავაჭრო გარიგებათა საწარმოებლად გაცილებით ნაკლები ფულია საჭირო. თუ, მაგალითად, ხელფასს ავიღებთ, ინგლისელი ქარხნის მუშა ყოველკვირეულად თავის ხელფასს აძლევს მედუქნეს, რომელიც ყოველკვირეულად მას ბანკირს უგზავნის; ბანკირი, თავის მხრივ, ყოველკვირეულად ამ ფულს კვლავ მეფაბრიკეს უბრუნებს, რომელიც მუშებს ხელახლა უხდის ხელფასს და სხვ. ასეთი მექანიზმის საშუალებით შესაძლებელია, რომ მუშის წლიური ხელფასი, რომელიც, ვთქვათ, 52 გირვანქა სტერლინგს უდრის, გადახდილი იქნება მხოლოდ ერთი სოვერენის საშუალებით, რომელიც ყოველკვირეულად ასეთ წრებრუნვას გააკეთებს. მაგრამ ეს მექანიზმი თვით ინგლისშიც კი უფრო ნაკლებადაა განვითარებული, ვიდრე შოტლანდიაში, მაგრამ იქაც ის ყველგან ერთნაირი არ არის; ამიტომ ჩვენ ვამჩნევთ, რომ, მაგალითად, ზოგიერთ სასოფლო ოლქში წმინდა საფაბრიკო ოლქებთან შედარებით ბევრად მეტი ნაღდი ფული იხმარება, ბევრად უფრო ნაკლებ ღირებულებათა მასის საბრუნავად.

თუ თქვენ ახს გადალახავთ, დაინახავთ, რომ იქ ფულადი ხელფასი ბევრად დაბალია, ვიდრე ინგლისში, მაგრამ გერმანიაში, იტალიაში, შვეიცარიასა და საფრანგეთში მისი გადახდა ბევრად მეტი ნაღდი ფულის ბრუნვას მოითხოვს. იგივე სოვერენი ისე ჩქარა არ გადავა ბანკირთან და არ დაბრუნდება მრეწველ კაპიტალისტთან; ამიტომ შეიძლება კონტინენტზე 25 გირვ. სტერლინგი ხელფასის საბრუნავად საჭირო იქნეს სამი სოვერენი ერთი სოვერნის მაგივრად, რაც ინგლისში საკმაოა 52 გირვ. სტერლინგის ხელფასის საბრუნავად. ამგვარად, თუ კონტინენტის ქვეყნებს ინგლისს შეადარებთ, მაშინვე შეამჩნევთ, რომ დაბალმა ხელფასმა შეიძლება საბრუნავად ბევრად უფრო მეტი ნაღდი ფულის რაოდენობა მოითხოვოს, ვიდრე მაღალმა; სინამდვილეში ეს წმინდა-ტექნიკურ პირობებზეა დამოკიდებული, და ეს არ შედის ჩვენი გამოკვლევის ფარგლებში.

იმ საუკეთესო გამოანგარიშებათა მიხედვით, რომელსაც კი ვიცნობ, მუშათა კლასის წლიური შემოსავალი ინგლისში 250 მილიონ გირვანქა სტერლინგს უნდა უდრიდეს. ეს ვეებერთელა თანხა დაახლოებით 3 მილიონი გირვანქა სტერლინგის საშუალებით ბრუ-

ნავს. წარმოვიდგინოთ, რომ ხელფასმა 50%, მოიმატა; მაშინ 3 მილიონი ნაღდი ფულის მაგივრად საჭირო იქნება $4^1/_2$ მილიონი. რადგან მუშა ყოველდღიური ხარჯების მეტად მნიშვნელოვან ნაწილს აწარმოებს ვერცხლით და სპილენძით, ე. ი. უბრალო ლითონის ნიშნებით, ხოლო ამ ნიშნების რელატიური ღირებულება, ისევე როგორც ჩვეულებრივი ქაღალდის ფულისა, ოქროს მიმართ, კანონის მიერ თვითნებურად წესდება, ამიტომ ფულში გამოხატული ხელფასის 50%-ით მომატება უკიდურეს შემთხვევაში მოითხოვდა ბრუნვის გადიდებას, ვთქვათ, ერთი მილიონი სოვერენით. 1 მილიონი, რომელიც ახლა ინგლისის ბანკის ან კერძო ბანკირების სარდაფებში ძევს მოჭრილი თუ მოუჭრელი ოქროს სახით, ბრუნვაში გადავიდოდა. მაგრამ თვით ის უმნიშვნელო ხარჯები, რომელსაც ამ მილიონის დამატებითი მოჭრა ან გაცვეთა გამოიწვევდა, შეიძლება დაზოგვილ იქნას და მართლაც იზოგება, როცა დამატებითი საბრუნავი ფულის მოთხოვნილება რაიმე სიძნელეს წარმოადგენს. ყველა თქვენთაგანმა იცის, რომ ინგლისში საბრუნავი საშუალებები ორ დიდ ჯგუფად იყოფა. ერთი მათგანი შედგება სხვადასხვა სახის საბანკო ბილეთებისაგან, ის ხმარდება მსხვილი ვაჭრების ურთიერთგარიგებებს ან მსხვილი ანგარიშების გასწორებას მომხმარებელთა და გამყიდველთა შორის. ხოლო მეორე ფორმა ლითონის ფულია, რომელიც ცალობით ვაჭრობაში ბრუნავს. განსხვავების მიუხედავად ორივე სახის საბრუნავი საშუალება პრაქტიკაში ერთიმეორეს მონაცვლეა; მაგალითად, თვით დიდი გადახდებისთვისაც ფართო ბრუნვაშია ოქროს ფული, რომლითაც სწორდება ყველა დარჩენილი წვრილი ანგარიშები 5 გირვ. სტერლინგამდე. ხვალ რომ ოთხი ან სამი და ორგირვანქიანი საბანკო ნიშნები გამოიშვას, ოქრო, რომელიც ამ ბრუნვის არხებს ავსებს, მაშინვე გამოდევნილი იქნება და იქიდან სხვა არხებში გადავა, სადაც ხელფასის მომატებით გამოწვეული ბრუნვისთვის იქნება მოხმარებული. ამგვარად, ახალი მილიონი, რომელიც აუცილებელია ხელფასის 50%-ით მომატების გამო, აღმოჩენილი იქნება თუნდ ერთი სოვერენის მიუმატებლად. ამავე შედეგის მიღწევა შეიძლებოდა საბანკო ბილეთების რაოდენობის მოუმატებლად, თუ თამასუქების ბრუნვა გაიზრდებოდა; ასეთ შემთხვევას კარგა ხანს ჰქონდა ადგილი ლანკაშირში.

თუ ხელფასის საყოველთაო მომატება, ვთქვათ, 100 პროცენტით, რაც მოქალაქე უესტონს დაშვებული აქვს სოფლის მუშებისთვის, გამოიწვევდა პირველ მოთხოვნილების აუცილებელ საარსებო საგანთა გაძვირებას, თუ ამით, მისივე შეხედულებით, საჭირო გახ-

დებოდა საბრუნავი საშუალებების ზრდა, ხოლო ეს შეუძლებელი იქნებოდა, — მაშინ ხელფასის საყოველთაო დაცემას მოჰყვებოდა სწორედ ისეთივე შედეგი, სწორედ ისეთივე ინტენსივობით, მაგრამ საწინააღმდეგო მიმართულებით. თქვენ, რასაკვირველია, ყველამ იცით, რომ 1858 წლიდან 1860-მდე უაღრესად ხელშემწყობი დრო ჰქონდა ბამბეულის წარმოებას, და ამ მხრივ განსაკუთრებით 1860 წელი შეუდარებელი იყო ვაჭრობის მატიანეში. ამავე დროს მრეწველობის სხვა დარგებიც უაღრესად ჰყვაოდნენ. ბამბეულობის მრეწველობასა და მასთან დაკავშირებულ დარგებში ხელფასი 1860 წელს უფრო მაღალი იყო, ვიდრე ოდესმე წინათ. მაგრამ აი დაიწყო კრიზისი ამერიკაში, და ხელფასი ყველა წარმოებაში ადრინდელი ჯამის მეოთხედზე ჩამოვიდა. ეს იქნებოდა მომატება საწინააღმდეგო მიმართულებით 300 პროცენტით. როცა ხელფასი ხუთიდან ოცამდე მატულობს, ჩვენ ვამბობთ, რომ 300 პროცენტით მოიმატა; ხოლო თუ ის ოციდან ხუთამდე ეცემა, ჩვენ ვამბობთ, რომ 75%-ით დაიკლო; მაგრამ მომატების ჯამი ერთ შემთხვევაში და დაკლებისა მეორეში — ერთი და იგივეა, ე. ი. 15 შილინგი. ამგვარად, ეს იყო ხელფასის დონის მოულოდნელი შეცვლა, რომლის მსგავსი არასოდეს არ მომხდარა წინათ, და ის გავრცელდა ერთდაიმავე დროს მუშათა ისეთ რაოდენობაზე, რომელიც სოფლის მუშების რიცხვს ერთნახევრით აღემატებოდა, თუ, რასაკვირველია, ჩავთვლით არა მარტო ბამბეულობის მრეწველობაში უშუალოდ ჩაბმულ მუშებს, არამედ ამ მრეწველობასთან არაპირდაპირ დამოკიდებულ მუშებსაც. მაგრამ განა ამის გამო ხორბლის ფასი დაეცა? არა, ის გაიზარდა, და კვარტერის წლიური საშუალო ფასი, რომელიც სამი წლის განმავლობაში — 1858 — 1860-მდე — 47 შილინგსა და 8 პენსს უდრიდა, მომდევნო სამ წელში 1861 — 1863 წლებში 55 შილინგსა და 10 პენსამდე ავიდა. რაც შეეხება ფულის ბრუნვას, 1861 წელს 8.673.232 გირვ. სტერლინგი მოიჭრა წინააღმდეგ 3.378.102 გირვანქისა 1860 წელს. ეს ნიშნავს, რომ 1861 წელს წინანდელ წელთან შედარებით 5.295.130 გირვანქა მეტი მოიჭრა. მართალია, 1861 წელს საბანკო ბილეთების ბრუნვა ნაკლები იყო, ვიდრე 1860 წელს, სახელდობრ: 1.319.000 გირვანქით. გამოაკელით ეს ჯამი, და მაინც 1861 წლისათვის, 1860 წელთან შედარებით, როცა მრეწველობა აყვავებული იყო, დაგვრჩება ზედმეტი ჯამი 3.976.130 გირვ. სტერლინგი, ე. ი. თითქმის ოთხი მილიონი; ოქროს მარაგი კი იმავე დროს ინგლისის ბანკში შემცირდა, ყოველ შემთხვევაში დაახლოვებით იმავე პროპორციით.

შევადაროთ 1842 წელი 1862 წელს. მხედველობაში რომ არ მივიღოთ აღებ-მიცემაში გასული საქონლის ღირებულებისა და რაოდენობის მძლავრი ზრდა, 1862 წელს ინგლისში და უელსში კაპიტალი მხოლოდ აქციებისა და სარკინიგზო სესხის გასანაღდებლად 320.000.000 გირვანქას აღწევდა. ეს ისეთი ჯამია, რომ 1842 წელს ის საზღაპროდ მოგვეჩვენებოდა. ამავე დროს ბრუნვაში მყოფი ფულის ჯამი 1842 და 1862 წელს დაახლოებით ერთნაირი იყო. საერთოდ, თქვენ შეამჩნევთ, რომ ნაღდი ფულის რაოდენობა ბრუნვაში პროგრესიულად მცირდება სწორედ იმ დროს, როცა უზომო ზრდაა საქონლის ღირებულებისა და ფულადი გარიგებების. ჩვენი მეგობრის უესტონის თვალსაზრისით ეს აუხსნელი ამოცანაა.

ის რომ საქმეს უფრო ღრმად ჩაკვირვებოდა, დაინახავდა შემდეგს: მიმოქცევაში მყოფი საქონლის ღირებულება და რაოდენობა, აგრეთვე ფულად გარიგებათა ჯამი ყოველდღე იცვლება, შრომის ხელფასი რომ მხედველობის გარეშე დავტოვოთ და მისი უცვლელობა ვიგულისხმოთ; ყოველდღე იცვლება გამოშვებული ბანკნოტების რაოდენობა; ასევე იცვლება ანგარიშის გასწორება უფულოდ — თამასუქებისა, ჩეკებისა, სავაჭრო კრედიტებისა და ანგარიშსწორების პალატების მეშვეობით; რომ, რამდენადაც ნამდვილი ლითონის ფულია საჭირო, ყოველდღიურად იცვლება პროპორცია ტრიალში მყოფ ფულის რაოდენობასა და იმ ფულს შორის, რომელიც რეზერვში იმყოფება ან ბანკების სარდაფებში ძევს ფულისა და ზოდების სახით. ყოველდღე იცვლება ოქროს ფულის ჯამი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში საბრუნავად და უცხოეთში გასაგზავნად არის საჭირო, საერთაშორისო აღებ-მიცემობისათვის. ის დაინახავდა, რომ მისი დოგმა ბრუნვაში მყოფი ფულის უცვლელი ჯამის შესახებ უდიდესი შეცდომაა და სრულიად შეუსაბამოა ყოველდღიურ სინამდვილესთან. მოქალაქე უესტონი კარგს იზამდა, — შეესწავლა ფულის ტრიალის კანონები და გაეგო, საიდანაა შესაძლებლობა, რომ ეს უკანასკნელი ეგუებოდეს მუდმივ ცვალებად გარემოებებს. ამის მაგივრად კი მას ხელფასის მომატების წინააღმდეგ საბუთად გამოაქვს ყალბი გაგება ფულის ტრიალის კანონებისა.

4. [მიწოდება და მოთხოვნა]

ჩვენს მეგობარს უესტონს მტკიცედ შეუთვისებია ლათინური ანდაზა: «repetitio est mater studiorum» — ე. ი. განმეორება სწავლის დედა არისო, ამიტომ თავის პირვანდელ დოგმას ახალ ფორმაში

იმეორებს და ამბობს, რომ ხელფასის მომატებით გამოწვეული შემ-ცირება ფულის ტრიალისა იწვევს კაპიტალის შემცირებას და სხვ.. რადგან მე უკვე განვიხილე მისი ახირებული თეორია ფულის ტრიალის შესახებ, სავსებით ზედმეტად მიმაჩნია შეჩერება იმაზე, რაც მას ამ ფანტაზიების შედეგად აქვს წარმოდგენილი და რაც უნდა გამოიწვიოს, მისი აზრით, მის მიერვე გამოგონილმა ფულის ტრიალის შეფერხებამ. ამიტომ მე ახლავე გადავდივარ იმაზე, რომ მისი მ უ დ ა მ უ ც ვ ლ ე ლ ი დ ო გ მ ა, რომელსაც ის სხვადასხვა სახით იმეორებს, დავიყვანო თავის ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ა რ ტ ი ვ თ ე ო-რ ი ულ ფ ო რ მ ა ზ ე.

საკმაოა ერთი შენიშვნა, რომ თვალში გეცეთ, რამდენად მოკ-ლებულია კრიტიკას მისი მიდგომა საკითხისადმი. უესტონი უარ-ყოფს ხელფასის მომატებას, ილაშქრებს მაღალი ხელფასის წი-ნააღმდეგ, რაც ასეთი მომატების შედეგია. მაგრამ მე ვკითხავ მას: რა არის მაღალი და რა არის დაბალი ხელფასი? რატომაა, მაგალი-თად, ხუთი შილინგი კვირაში დაბალი, ხოლო ოცი შილინგი მაღა-ლი ხელფასი? თუ ხუთი ოცთან შედარებით დაბალი ქირაა, ოცი ორასთან შედარებით კიდევ უფრო დაბალი იქნება. კაცი რომ თერ-მომეტრების შესახებ ლექციას კითხულობდეს და მოყვეს დეკლარა-ციას მაღალი და დაბალი ტემპერატურის შესახებ, ამით ის ცოდნას ვერავის შემატებს. მან უწინარეს ყოვლისა უნდა თქვას, როგორ ისაზღვრება გაყინვისა და დუღილის წერტილები, და როგორ ისაზღ-ვრება ეს გამოსავალი წერტილები ბუნებრივი კანონებით და არა თერმომეტრების გამყიდველებისა და მკეთებლების ფანტაზიით. მაგრამ ხელფასისა და მოგების შესახებ მოქალაქე უესტონს არა თუ არ გამოუტანია ასეთი დასაყრდენი პუნქტები ეკონომიური კანონები-დან, არამედ მას არც კი უგრძვნია ამ კანონთა ძებნის აუცილებლობა. ის დაკმაყოფილდა იმით, რომ მიიღო მოარული გამოთქმები მაღა-ლისა და დაბალის შესახებ და ეს მიიჩნია ისეთ რამედ, რასაც ვითომ მტკიცედ ჩამოყალიბებული მნიშვნელობა აქვს, თუმცა აშკარაა, რომ ხელფასს შეიძლება მაღალი ან დაბალი ეწოდოს მხოლოდ ამა თუ იმ მასშტაბთან შედარებით, რომლითაც მისი სიდიდე იზომება.

უესტონი ვერ მეტყოდა, რატომ აძლევენ მუშაობის განსაზღვ-რულ რაოდენობისათვის ფულის განსაზღვრულ რაოდენობას? თუ ის იტყოდა: ეს მიწოდებისა და მოთხოვნის კანონებით ისაზღვრე-ბაო, მე მას პირველ რიგში ვკითხავდი: რა კანონებით ისაზღვრება თვით მიწოდება და მოთხოვნა? ასეთი კითხვის შემდეგ მას აერეოდა

გზა და კვალი. დამოკიდებულება შრომის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის და მასთან ერთად შრომის საბაზრო ფასები მუდმივ ცვალებადობას განიცდიან. თუ მოთხოვნა მიწოდებას ჭარბობს, ხელფასი მატულობს; თუ მიწოდება მოთხოვნას ჭარბობს, ხელფასი კლებულობს, თუმცა ასეთ ვითარებებში შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს მიწოდებისა და მოთხოვნის ნამდვილი მდგომარეობის მ ო ს ი ნ ჯ ვ ა, მაგალითად, გაფიცვებით ან სხვა ამგვარი საშუალებებით. მაგრამ რაკი მოთხოვნას და მიწოდებას ცნობთ კანონად, რომელიც ხელფასს აწესრიგებს, ხელფასის მომატების წინააღმდეგ ბრძოლა ბავშვურიც იქნებოდა და უსარგებლოც, იმიტომ რომ იმ უმაღლესი კანონის მიხედვით, რომელსაც თქვენ იმოწმებთ, ხელფასის პერიოდული მომატება ისევე აუცილებელი და კანონიერია, როგორც მისი პერიოდული დაცემა. ხოლო თუ თქვენ მოთხოვნასა და მიწოდებას არ ცნობთ კანონად, რომელიც ხელფასს აწესრიგებს, მაშინ მე ჩემს კითხვას ვიმეორებ: რატომ აძლევენ განსაზღრულ რაოდენობის მუშაობაში განსაზღვრული რაოდენობის ფულს?

მაგრამ, თუ საქმეს უფრო ფართო თვალსაზრისით შევხედავთ, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს საბოლოო ანგარიშში, შრომის ან სხვა რაიმე საქონლის ღირებულება მოთხოვნითა და მიწოდებით განისაზღვრება. მიწოდება-მოთხოვნა მხოლოდ საბაზრო ფასების დროებით ქ ა ნ ა ო ბ ა ს აწესრიგებს. მათი საშუალებით თქვენ შეგიძლიათ ახსნათ, რად იწევს საქონლის საბაზრო ფასი მის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე ზევით ან ქვევით, თვით ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს კი ვერასოდეს ვერ ახსნით. წარმოვიდგინოთ, რომ მიწოდება და მოთხოვნა წონასწორობაშია, ან, როგორც ეკონომისტები ამბობენ ხოლმე, ერთიმეორეს ფარავენ. სწორედ იმ მომენტში, როდესაც ეს ორი მოპირდაპირე ძალა თანასწორი ხდება, ისინი ერთიმეორის გავლენას სპობენ და ვეღარ მოქმედებენ ვერც ერთი მიმართულებით, ვერც მეორეთი. როცა მიწოდება და მოთხოვნა წონასწორობაში შედიან და ამიტომ აღარ მოქმედებენ, მაშინ საქონლის ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი ემთხვევა მის ნ ა მ დ ვ ი ლ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, მის ნორმალურ ფასს, რომლის გარშემო საბაზრო ფასები ქანაობენ. ამიტომ, როცა ვიკვლევთ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ბუნებას, ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს მიწოდება-მოთხოვნის დროებით გავლენებს საბაზრო ფასებზე. ეს ითქმის, როგორც ხელფასის ისე სხვა საქონლის ფასების შესახებ.

5. [ხელფასი და ფასები]

ყოველივე საბუთი ჩვენი მეგობრისა, თუ მათ უბრალო თეორიულ ფორმულაში გამოვხატავთ, შემდეგ ერთადერთ დოგმამდე დაიყვანება: «საქონლის ფასები განისაზღვრება და წესრიგდება ხელფასით».

მე შემეძლო გამომეყენებინა პრაქტიკული დაკვირვებანი ამ შემცდარ, მოძველებულ და უკვე უარყოფილ დოგმის წინააღმდეგ. მე შემეძლო აღმენიშნა, რომ ინგლისის საფაბრიკო და სამთამადნო მუშები, გემების მშენებლები და სხვ., ვისი შრომაც შედარებით მეტად ფასობს, ყველა ერს სჯობნიან თავიანთი პროდუქტების სიიაფით, ხოლო ინგლისელი სოფლის მუშები, რომლებიც ნაკლებ ხელფასს იღებენ, ყველა ერს ჩამორჩნენ თავიანთი პროდუქტების სიძვირით. თუ ერთი რომელიმე ქვეყნის სხვადასხვაგვარ საქონელს ან სხვადასხვა ქვეყნის საქონელს ერთიმეორეს შევადარებთ, მე შემეძლო მეჩვენებინა, რომ თითო-ოროლა, უფრო მოჩვენებითი, ვიდრე ნამდვილი შემთხვევის გამოკლებით, იაფ-ფასიანი შრომა ქმნის საშუალოდ ძვირფასიან საქონელს, ხოლო ძვირფასიანი შრომა — იაფფასიანს. რასაკვირველია, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ამ დიამეტრულ საწინააღმდეგო შედეგებს იწვევს ერთ შემთხვევაში მაღალი ხელფასი, მეორეში კი — დაბალი, მაგრამ ეს ამტკიცებს მაინც, რომ საქონლის ფასი არ წესრიგდება შრომის ფასებით. თუმცა ჩვენთვის სრულიადაც არაა საჭირო ამ ემპირიული მეთოდის გამოყენება.

შეიძლება, გვიპასუხონ, რომ მოქალაქე უესტონს არ წამოუყენებია დოგმა: «საქონლის ფასები ხელფასით ისაზღვრებაან წესრიგდებაო». მართლაც, ეს დებულება მას არასოდეს არ გამოუთქვამს. პირიქით, ის ამბობს, რომ მოგება და რენტაც საქონლის ფასის ელემენტარულ შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ, რადგან საქონლის ფასები ის წყაროა, საიდანაც უნდა დაიფაროს არა მარტო მუშების ხელფასი, არამედ კაპიტალისტის მოგებაც და მემამულის რენტაცაო. მაგრამ როგორ იქმნებიან, მისი აზრით, ფასები? უწინარეს ყოვლისა ხელფასიდან. შემდეგ ემატება განსაზღვრული პროცენტი კაპიტალისტების სასარგებლოდ და განსაზღვრული — მემამულეების სასარგებლოდ. ვთქვათ, ამა თუ იმ საქონლის წარმოებაში ხელფასი უდრის ათ ერთეულს. თუ მოგების ნორმა ას პროცენტს შეადგენს, კაპიტალისტი გადახდილ ხელფასს მიუმატებს ათ ერთეულს; თუ მიწის რენტაც ხელფასის ას.

პროცენტს უდრის, მაშინ კიდევ ათი ერთეული მიემატება, და საქონლის საერთო ფასი ოცდაათ ერთეულს მიაღწევს. მაგრამ ასეთი განსაზღვრა ფასისა იქნებოდა მისი განსაზღვრა ხელფასით — და მეტი არაფერი. თუ ასეთ შემთხვევაში ხელფასი ოცამდე აიწევს, საქონლის ფასი სამოცს მიაღწევს და სხვ. ამნაირად, პოლიტიკური ეკონომიის ყველა დრომოჭმული მწერალი მოგებას და მიწის რენტას ხ ე ლ ფ ა ს ი ს უ ბ რ ა ლ ო პ რ ო ც ე ნ ტ უ ლ დ ა მ ა ტ ე ბ ა დ თვლიდნენ, ამითი ასაბუთებდნენ იმ დოგმას, რომ ფასს აწესრიგებს ხელფასიო. რასაკვირველია, არც ერთ მათგანს არ შეეძლო ამ პროცენტული დამატების საზღვრები რომელიმე ეკონომიურ კანონზე დაეფუძნებინა, პირიქით მათ, როგორც ჩანს, სწამდათ, რომ მ ო გ ე ბ ა წესდება ტრადიციით, ჩვეულებით, კაპიტალისტების სურვილით ან სხვა რაიმე ამ'დენადვე თვითნებითი და გაუგებარი საშუალებით. როცა ისინი ამტკიცებდნენ, რომ მოგებას კაპიტალისტების კონკურენცია აწესრიგებს, ამით ისინი აბსოლუტურად არაფერს ამბობენ. კონკურენცია, მართალია, ათანასწორებს მოგების სხვადასხვა ნორმას წარმოების სხვადასხვა დარგში, ე. ი. ისინი ერთ საშუალო დონემდე დაჰყავს, მაგრამ მას არასოდეს არ შეუძლია არც თვით ამ დონის და არც მოგების საერთო ნორმის განსაზღვრა.

რას ვგულისხმობთ ჩვენ, როცა ვამბობთ, რომ საქონლის ფასები ხელფასით ისაზღვრება? რადგან ხელფასი მხოლოდ შრომის ფასის სახელწოდებაა, ჩვენ ამით ვამბობთ, რომ საქონლის ფასი შრომის ფასით წესრიგდება. რადგან «ფ ა ს ი» საცვლელი ღირებულებაა — როცა აქ ღირებულების შესახებ ვლაპარაკობ, მუდამ მხედველობაში საცვლელი ღირებულება მაქვს — სახელდობრ ფ უ ლ შ ი გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ი საცვლელი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ა, ეს ნიშნავს, რომ «ს ა ქ ო ნ ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი თ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა» ან «შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა — ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა ს ა ე რ თ ო ს ა ზ ო მ ი ა».

მაგრამ რით ისაზღვრება ამ შემთხვევაში თვით «შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა»? აქ ჩვენ შევდივართ ჩიხში, საიდანაც თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, გამოსასვლელი გზა არა გვაქვს. მაგრამ ამ დოქტრინის ავტორები დიდ ანგარიშს არ უწევენ ლოგიკას. ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი მეგობარი უესტონი. პირველად ის გვეუბნებოდა, რომ საქონლის ფასებს ხელფასი აწესრიგებს, და ხელფასის მომატების დროს საქონლის ფასები უნდა გაიზარდოსო. შემდეგ მან შეატრიალა საკითხი და ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ხელფასის მომატება არავითარ სარგებლობას არ მოიტანდა, იმიტომ რომ

საქონლის ფასები გაიზრდებოდა, ხოლო ხელფასი ფაქტიურად იმ საქონლის ფასებით იზომება, რომელზედაც ის იხარჯება. ამგვარად, ჩვენ დავიწყეთ მტკიცებით, რომ შრომის ღირებულება განსაზღვრავს საქონლის ღირებულებას და ვათავებთ იმის მტკიცებით, რომ შრომის ღირებულება საქონლის ღირებულებითაა განსაზღვრული. ერთი სიტყვით, ჩვენ მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ და ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივდივართ.

ცხადია, საბოლოო ანგარიშში, თუ ჩვენ ღირებულების საერთო საზომად და რეგულატორად გადავაქციეთ ერთი რომელიმე საქონლის, ვთქვათ, შრომის, ხორბლის ან სხვ. ღირებულება, ამით გვერდს ვუხვევთ მხოლოდ სიძნელეს, — ერთ ღირებულებას ვსაზღვრავთ მეორეთი, რომელსაც წინასწარ თვითონ ჭირდება განსაზღვრა.

თუ ჩვენ დოგმას: «ხელფასი განსაზღვრავს საქონლის ფასებს» გამოვხატავთ მის ყველაზე აბსტრაქტულ ფორმაში, მაშინ ის დავა შემდეგზე: «ღირებულება ისაზღვრება ღირებულებით», და ეს ტავტოლოგია ნიშნავს, რომ ჩვენ ფაქტიურად სულ არაფერი არ ვიცით ღირებულების შესახებ. ჩვენ რომ ასეთი წანამძღვარი მივიღოთ, ყოველივე მსჯელობა პოლიტიკური ეკონომიის ზოგადი კანონების შესახებ უბრალო ლაყბობად გადაიქცეოდა. ამიტომ რიკარდოს დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ თავის თხზულებაში «პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ი ს ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი», რომელიც 1817 წელს გამოქვეყნდა, მან საფუძვლიანად გაანადგურა ძველი, სავსებით დრომოჭმული პოპულარული შემცდარი მოძღვრება, თითქოს «ხელფასი საქონლის ფასს განსაზღვრავდეს», ის შემცდარი მოძღვრება, რომელსაც ადამ სმიტი და მისი ფრანგი წინამორბედნი უარყოფდნენ თავიანთი გამოკვლევების ნამდვილ მეცნიერულ ნაწილებში და რომელსაც, ამის მიუხედავად, ხელახლა აქვეყნებდნენ ძველ წიგნების უფრო ზერელედ, ვულგარულად დაწერილ თავებში.

6. [ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა დ ა შ რ ო მ ა]

მოქალაქენო, მე მივაღწიე იმ წერტილს, სადაც საკითხის ნამდვილ განხილვას უნდა შევუდგე. მე ვერ შეგპირდებით, რომ ჩემი ახსნა-განმარტება დაგაკმაყოფილებთ, იმიტომ რომ ამისათვის საჭირო იქნებოდა შევხებოდი მთელი პოლიტიკური ეკონომიის სფეროს. მე შემიძლია მხოლოდ, როგორც ფრანგები ამბობენ, **«effleurer la question»**, ე. ი. ძირითად საკითხებს შევეხო.

პირველი საკითხი, რომელიც ჩვენ უნდა დავსვათ, ეს არის: რას წარმოადგენს საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა? რით განისაზღვრება ის?

ერთი შეხედვით, თითქოს, საქონლის ღირებულება მეტად შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ცნებაა, რომელიც შეიძლება მხოლოდ სხვა საქონელთა შეფარდებით განისაზღვროს. მართლაც, თუ ჩვენ ვლაპარაკობთ ღირებულების, საქონლის საცვლელი ღირებულების შესახებ, სინამდვილეში სხვა საქონლის პროპორციულ რაოდენობას ვგულისხმობთ, რომელზედაც ეს საქონელი შეიძლება გაიცვალოს. მაგრამ იბადება საკითხი: როგორ წესრიგდება პროპორციული ურთიერთობა სხვადასხვა საქონლის გაცვლისას ერთიმეორესთან?

გამოცდილებიდან ვიცით, რომ ეს ურთიერთობა დაუსრულებლივ მრავალმხრივია. თუ მხოლოდ ერთ რომელიმე საქონელს ავიღებთ, მაგალითად, ხორბალს, დავინახავთ, რომ კვარტერი ხორბალი სხვა საქონელზე დაუსრულებლივ მრავალმხრივ პროპორციებში იცვლება. მიუხედავად ამისა, რ ა დ გ ა ნ მ ი ს ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა მ უ დ ა მ უ ც ვ ლ ე ლ ი რ ჩ ე ბ ა, აბრეშუმში იხატება ის, ოქროში თუ სხვა რომელიმე საქონელში, ეს ღირებულება უნდა წარმოადგენდეს იმ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ პ რ ო პ ო რ ც ი ე ბ ი ს ა გ ა ნ, რომლის მიხედვით ის სხვა საქონელში ი ც ვ ლ ე ბ ა, განსხვავებულ და დამოუკიდებელ რამეს. უნდა არსებობდეს შესაძლებლობა გამოიხატოს ის სხვადასხვა საქონელთა შორის არსებულ ამ სხვადასხვა გათანაბრებათაგან განსხვავებულ ფორმაში.

შემდეგ, როცა მე ვამბობ, რომ კვარტერი ხორბალი რკინაზე იცვლება განსაზღვრული პროპორციით, ან რომ კვარტერ ხორბლის ღირებულება რკინის განსაზღვრულ რაოდენობაში იხატება, ეს ნიშნავს, რომ ხორბლის ღირებულება და მისი ეკვივალენტი რკინაში უდრის რ ო მ ე ლ ი ღ ა ც მ ე ს ა მ ე ს ა გ ა ნ ს, არა ხორბალს და არა რკინას, რადგან მე ამ დროს აუცილებლად ვგულისხმობ, რომ ისინი ერთ და იმავე სიდიდეს წარმოადგენენ ორ განსხვავებულ ფორმაში. ამიტომ თვითეული მათგანი, ხორბალი თუ რკინა, ერთიმეორის დამოუკიდებლად უნდა გამოიხატოს იმ მესამე საგანში, რომელსაც მათთან საერთო საზომი აქვს.

ამის ასახსნელად ერთ უბრალო მაგალითს მოვიყვან გეომეტრიიდან. როგორ ვიქცევით ჩვენ იმ შემთხვევაში, როცა ვადარებთ ერთმანეთს სხვადასხვა ფორმისა და ზომის სამკუთხედების ფართობებს ანდა სამკუთხედების ფართობებს ვადარებთ . სწორკუთხედებისა ან სხვა რომელიმე სწორხაზოვან ფიგურების ფართობებს?

თვითეული სამკუთხედის ფართობს ვხატავთ იმ სახით, რომელიც სრულიად განსხვავდება მისი გარეგნული სახისაგან. სამკუთხედის თვისებების მიხედვით ჩვენ ვარკვევთ, რომ მისი ფართობი უდრის ფუძისა და სიმაღლის ნაწარმოების ნახევარს; ამის შემდეგ შეგვიძლია ყოველგვარი სამკუთხედების და აგრეთვე სხვა სწორხაზოვანი ფიგურების შედარება, იმიტომ რომ ყოველი სწორხაზოვანი ფიგურა შეიძლება რამდენიმე სამკუთხედად დაიყოს.

ასეთი მეთოდით უნდა მივუდგეთ სხვადასხვა საქონლის ღირებულებასაც. ჩვენ შეძლება უნდა გვქონდეს მათ ერთი ზოგადი გამოხატულება მივცეთ, და ვარჩევდეთ მხოლოდ იმ პროპორციის მიხედვით, რომლითაც თვითეულ მათგანში მოცემულია ერთიდაიგივე საზომი.

რადგან საქონლის საცვლელი ღირებულება მხოლოდ მისი საზოგადოებრივი ფუნქციაა და ამიტომ მის ბუნებრივ თვისებებთან არაფერი აქვს საერთო, ჩვენ თავდაპირველად უნდა გამოვარკვიოთ, რა არის საზოგადოებრივი სუბსტანცია, რომელიც ყოველ საქონელს ახლავს თან? ეს არის შრომა. საქონლის საწარმოებლად საჭიროა, რომ მასში განხორციელებულ იქნეს ან მასზე დაიხარჯოს განსაზღვრული რაოდენობის შრომა. მე ვლაპარაკობ არა უბრალო შრომის, არამედ საზოგადოებრივი შრომის შესახებ. ადამიანი, რომელიც საგანს თავის საკუთარ, უშუალო მოხმარებისათვის აწარმოებს, ე. ი. იმისათვის, რომ თვითონ გამოიყენოს, პროდუქტს ქმნის და არა საქონელს. როგორც თავისთვის მომუშავე მწარმოებელს, მას საზოგადოებასთან საერთო არაფერი აქვს. საქონლის საწარმოებლად საჭიროა, რომ ადამიანმა შექმნას არა მარტო ნაწარმოები, რომელიც ამათუიმ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, არამედ თვით მისი შრომა იმ შრომის საერთო ჯამის ნაწილს უნდა შეადგენდეს, რომელსაც საზოგადოება ხარჯავს. ის უნდა ექვემდებარებოდეს შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით. ის არარაობაა შრომის სხვა ნაწილთა გარეშე და თავის მხრივ მათ უნდა ავსებდეს.

როცა საქონლის, როგორც ღირებულების შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენ მას ვიხილავთ მხოლოდ ერთადერთი თვალსაზრისით, როგორც ნივთიერად ჩამოყალიბებულ ან, თუ გნებავთ, დაკრისტალებულ საზოგადოებრივ შრომას. ამ მხრივ სხვადასხვა საქონელი შეიძლება განსხვავდებოდეს ერთიმეორისაგან მხოლოდ იმით, რომ ერთი

მეტი შრომის რაოდენობას წარმოადგენს, მეორე ნაკლებს. ასე, მაგალითად, აბრეშუმის ცხვირსახოცზე მეტი შრომაა დახარჯული, ვიდრე აგურზე. მაგრამ როგორ გაიზომება შრომის რაოდენობა? გაიზომება იმ დროის მიხედვით, რომლის განმავლობაში მუშაობა წარმოებს, საათებით, დღეებით და სხვ. რასაკვირველია, ამნაირი გაზომვა მოითხოვს აუცილებლად, რომ შრომის ყოველნაირი სახე წინასწარ დავიყვანოთ საშუალო ან მარტივ შრომამდე, როგორც მათ საზოგადო ერთეულამდე.

ამგვარად, ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივდივართ: საქონელს ღირებულება აქვს, იმიტომ რომ ის საზოგადოებრივი შრომის კრისტალიზაციას წარმოადგენს. მისი ღირებულების სიდიდე ან მისი შეფარდებითი ღირებულება დამოკიდებულია მასში მოთავსებული საზოგადოებრივი სუბსტანციის მეტ ან ნაკლებ რაოდენობაზე, ე. ი. შრომის შეფარდებით რაოდენობაზე, რომელიც მის საწარმოებლად არის აუცილებელი. მაშასადამე, საქონლის შეფარდებითი ღირებულება ისაზღვრება შრომის შესაბამი რაოდენობით ან შრომის ჯამით, რომელიც ამ საქონელზეა დახარჯული, მასშია განივთიერებული და ფიქსაციაქმნილი. შესაბამისი რაოდენობის სხვადასხვა საქონელი თანასწორია, თუ მათი დამზადება შესაძლებელია იმავე სამუშაო დროის განმავლობაში. ანუ სხვა სიტყვებით: ერთი საქონლის ღირებულება მეორე საქონლის ღირებულებასთან იმავე დამოკიდებულებაშია, როგორც პირველზე დახარჯული შრომის რაოდენობა მეორეზე გაწეულ შრომის რაოდენობასთან.

მე ვფიქრობ, რომ ბევრი თქვენგანი მკითხავს: არსებობს თუ არა ნამდვილად ასეთი დიდი ან საზოგადოდ რაიმე განსხვავება მტკიცებაში, რომ საქონლის ღირებულება იზომება ხელფასით,და მტკიცებაში, რომ ის იზომება მის საწარმოებლად აუცილებელი შრომის შეფარდებითი რაოდენობით? თქვენ აუცილებლად უნდა იცოდეთ, რომ შრომის საფასური და შრომის რაოდენობა ორი სრულიად სხვადასხვაგვარი საგანია. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ ერთ კვარტერ ხორბალსა და ერთ უნც ოქროში თანასწორი რაოდენობის შრომაა მოცემული. მე ამ მაგალითს იმიტომ ვღებულობ, რომ ის ბენიამინ ფრანკლინმა იხმარა თავის 1729 წელს გამოქვეყნებულ წიგნში «თავდაბლური გამოკვლევა ქაღალდის ფუ-

ლის ბუნებისა და აუცილებლობის შესახებ», რომელშიაც მან ერთმა პირველთაგანმა იგრძნო ღირებულების ნამდვილი ბუნება. ამგვარად, ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, რომ კვარტერი ხორბალი და უნცი ოქრო თანასწორი ღირებულებისა, ე. ი. ეკვივალენტები არიან, იმიტომ რომ ისინი ერთიდაიმავე შრომის საშუალო რაოდენობის კრისტალიზაციას წარმოადგენენ: ეს ის შრომაა, რომელიც მათზე იხარჯება რამდენიმე დღისა თუ რამდენიმე კვირის განმავლობაში. როცა ჩვენ ამგვარად ხორბლისა და ოქროს შეფარდებით ღირებულებას ვსაზღვრავთ, განა სოფლის მუშებისა ან მაღაროელთა ხელფასს აღვნიშნავთ? სრულიადაც არა. ჩვენ სავსებით გაურკვევლად ვტოვებთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ იყო ანაზღაურებული მათი დღიური ან კვირეული შრომა, და საზოგადოდ ნახმარი იყო დაქირავებული შრომა, თუ არა. უკანასკნელ შემთხვევაში ხელფასის ზომა შეიძლება სულ სხვადასხვანაირი იყოს. მუშამ, რომლის შრომაც ერთ კვარტერ ხორბალშია განხორციელებული, შეიძლება მხოლოდ ორი ბუშელი ხორბალი მიიღოს, ხოლო მთამადნის მუშამ ნახევარი უნცი ოქრო; ან, თუნდაც მათი ხელფასი თანასწორი იყოს, ის შეიძლება მრავალმხრივ ცილდებოდეს მათ მიერ ნაწარმოები საქონლის ღირებულებას. ხელფასი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ერთი კვარტერი ხორბლის ან ერთი უნცი ოქროს ნახევარს, მესამედს, მეოთხედს, მეხუთედს ან რომელიმე სხვა ნაწილს. რასაკვირველია, ამ მუშების ხელფასი არ შეიძლება, მათგან დამზადებულ საქონლის ღირებულებას ჭარბობდეს, არ შეიძლება მასზე მაღლა იდგეს, მაგრამ შეიძლება მასზე დაბლა იყოს სულ სხვადასხვა ოდენობით. მათ ხელფასს საზღვარი ედება პროდუქტთა ღირებულებით, მაგრამ მათი ნაწარმოების ღირებულება არ პოულობს საზღვარს მათ ხელფასში, და, უწინარეს ყოვლისა, ღირებულება, მაგალითად, პურისა და ოქროს შეფარდებითი ღირებულება, წესდება სრულიად დამოუკიდებლად მასში განხორციელებულ შრომის ღირებულებისაგან, ე. ი. ხელფასისაგან. ამიტომ საქონლის ღირებულების განსაზღვრა საქონელზე გაწეული შრომის შეფარდებითი რაოდენობით სულ სხვაა, ვიდრე ტავტოლოგიური მეთოდი, რომლის მიხედვით საქონლის ღირებულება შრომის ღირებულებით ანუ ხელფასით ისაზღვრება. მაგრამ ამ მუხლს შემდეგ უფრო დაწვრილებით გამოვარკვევთ.

საქონლის საცვლელი ღირებულების გამოანგარიშების დროს ჩვენ იმ შრომის რაოდენობას, რომელიც უკანასკნელად დაიხარჯა, უნდა მივუმატოთ შრომის ის რაოდენობა, რომელიც წინასწარ დაბანდდა საქონლისათვის საჭირო ნედლ მასალაში და ის შრომა, რომელიც დაიხარჯა შრომის საშუალებებზე, იარაღებზე, მანქანებზე, და შენობებზე, «რომლებიც გამოყენებული იყო ასეთი სამუშაოს შესრულების დროს». ასე, მაგალითად, განსაზღვრული რაოდენობის ბამბის ნართის ღირებულება არის კრისტალიზებული შრომის რაოდენობა, რომელიც ბამბაზე დახარჯულა რთვის დროს, შრომის რაოდენობა, მოცემული წინათ თვით ბამბაში, ნახშირსა, ზეთსა და რთვის პროცესში აუცილებელ სხვა დამხმარე საშუალებებში, ორთქლის მანქანებში, სართავ დაზგებში, საფაბრიკო შენობებში და სხვ. საწარმოო იარაღები ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მაგალითად, ხელსაწყო, მანქანები, შენობები, მეტნაკლებ დროს ძლებენ და წარმოების პროცესის განმეორების დროსაც იხმარებიან. ისინიც რომ ნედლი მასალის მსგავსად ერთბაშად იხარჯებოდნენ, მთელ თავის ღირებულებას საქონელში შეიტანდნენ. მაგრამ სართავი დაზგა, მაგალითად, ნელნელა ცვდება, და ამიტომ აკეთებენ საშუალო ანგარიშს. ანგარიშის საფუძველს წარმოადგენს დაზგის ვარგისობის საშუალო ხანგრძლივობა და მისი გამოყენება ან გაცვეთა განსაზღვრული დროის, ვთქვათ, ერთი დღის განმავლობაში. ამგვარად, ჩვენ ვანგარიშობთ, რომელი ნაწილი გადადის სართავი დაზგის ღირებულებიდან ერთი დღის განმავლობაში დამზადებულ ნართზე, და იმ შრომის საერთო ჯამიდან, რომელიც, მაგალითად, გირვანქა ნართშია მოცემული, რა ნაწილი მოდის სართავ დაზგაში წინათ განხორციელებულ შრომაზე. მაგრამ ჩვენი მიზნისათვის ახლა საჭირო არ არის, რომ კიდევ ამაზე შევჩერდეთ.

შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ, თუ საქონლის ღირებულება ისაზღვრება მის წარმოებაზე დახარჯული შრომით, მაშინ, რაც უფრო ზარმაცი ან უხეიროა მუშა, მით მეტი ღირებულება ექნება მის ნაწარმოებ საქონელს, რადგან საქონლის დასამზადებლად მას შედარებით მეტი დრო დასჭირდებოდა. მაგრამ ეს იქნებოდა სამწუხარო შეცდომა. თქვენ გახსოვთ ჩემი გამოთქმა: «საზოგადოებრივი შრომა»; ამ განმარტებაში «საზოგადოებრივი» არის ბევრი რამ არსებითი. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ საქონლის ღირებულება ისაზღვრება იმაზე დახარჯული ან იმაში გაკრისტალებული შრომის რაოდენობით, ჩვენ ვგულისხმობთ შრომის რაოდენობას, რომელიც აუცილებ-

ლაღ საჭიროა საქონლის საწარმოებლად საზოგადოების მოცემულ მდგომარეობაში, წარმოების განსაზღვრულ საშუალო საზოგადოებრივ პირობებში, გამოყენებული შრომის საშუალო საზოგადოებრივი ინტენსივობისა და საშუალო დახელოვნების პირობებში. როცა ინგლისში მექანიკური საქსოვი დაზგა ხელის დაზგას შეექიშპა, განსაზღვრული რაოდენობის ნართის გადასაქცევად ერთ ადლ მაუდად ან ჩითად საჭირო შეიქნა წინანდელი სამუშაო დროის ნახევარი. საბრალო ფეიქარს ხელის დაზგაზე უხდებოდა ახლა ყოველდღიურად ჩვიდმეტი და თვრამეტი საათი მუშაობა წინანდელ ცხრა და ათი საათის მაგივრად. მაგრამ მაინც მისი ოცი საათის მუშაობის ნაყოფი ახლა უდრიდა შრომის ათ საზოგადოებრივ საათს, ე. ი. საზოგადოებრივი შრომის იმ ათ საათს, რაც იმ დროს აუცილებლად საჭირო იყო განსაზღვრული რაოდენობის ნართის ქსოვილად გადასაქცევად. მაშასადამე, მის ნაწარმოებს, მომზადებულს ოცი საათის განმავლობაში, მეტი ღირებულება არა აქვს, ვიდრე მისი წინანდელი ათი საათის მუშაობის ნაყოფს.

ამგვარად, თუ საქონელში განივთიერებული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობა მის საცვლელ ღირებულებას განსაზღვრავს, იმ შრომის რაოდენობის ყოველმა მომატებამ, რომელიც საქონლის წარმოებისათვის არის საჭირო, უნდა გაადიდოს უკანასკნელის ღირებულება, და პირიქით — ყოველივე შემცირებამ უნდა ძირს დასწიოს ის.

უცვლელი რომ რჩებოდეს იმ შრომის რაოდენობა, რომელიც შესაბამისად სხვადასხვა საქონლის საწარმოებლად არის საჭირო, მათი შეფარდებითი ღირებულებაც უცვლელი იქნებოდა. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვას ვხედავთ. შრომის რაოდენობა, რომელიც ამა თუ იმ საქონლის საწარმოებლად არის აუცილებელი, მუდმივ იცვლება გამოყენებულ შრომისა და საწარმოო ძალთა ცვლასთან ერთად. რაც უფრო დიდია შრომის საწარმოო ძალა, მით მეტი პროდუქტი მზადდება განსაზღრულ სამუშაო დროში; და, პირიქით, რაც ნაკლებია ეს ძალა, მით უფრო ნაკლები პროდუქტი მზადდება ამავე დროის განმავლობაში. თუ, მაგალითად, მოსახლეობის გამრავლების გამო აუცილებელი გახდა ნაკლებნაყოფიერი მიწის დამუშავება, განსაზღვრული რაოდენობის პროდუქტების მისაღებად საჭირო იქნება მეტი რაოდენობის შრომის დახარჯვა, რის გამო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ღირებულებაც უნდა გადიდდეს. მეორე მხრივ, ცხადია, რომ თუ ერთი დამრთველი სამუშაო დღის განმავლობაში, თანამედროვე საწარმოო იარაღების საშუალებით, რამ-

დენიმე ათასჯერ მეტ ბამბას ართავს, ვიდრე უბრალო ჯარაზე დაართავდა, თვითეულ გირვანქა ბამბაში იმდენივე ათასჯერ ნაკლები შრომა იქნება ჩართული, ვიდრე წინათ; მაშასადამე, თვითეული გირვანქა ბამბისათვის დანამატი ღირებულება ათასჯერვე ნაკლები იქნება, ვიდრე წინათ. ამის მიხედვით ნართის ღირებულებაც შესაბამისად შემცირდება.

თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ბუნებრივი ძალების სხვაობას და სხვადასხვა ხალხის შეძენილ წარმოებით ჩვევებს, მაშინ შრომის საწარმოო ძალა უმთავრესად დამოკიდებული უნდა იყოს

1) შრომის ბ უ ნ ე ბ რ ი ვ პირობებზე, მაგალითად, ნიადაგის ნოყიერებაზე, მადნეულობის სიმდიდრეზე და სხვ.

2) შრომის ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ თ ა პროგრესიულ გაუმჯობესებაზე, რაც გამომდინარეობს ფართო მასშტაბით წარმოებიდან, კაპიტალის კონცენტრაციისა და შრომის გაერთიანებული მოქმედებიდან, შრომის დანაწილებიდან, მანქანების შემოღებიდან, გაუმჯობესებული მეთოდებიდან, ქიმიური და სხვა ბუნებრივი ძალების გამოყენებიდან, მიმოსვლისა და გადაზიდვის საშუალებათა მეოხებით დროისა და სივრცის შემცირებიდან და აგრეთვე ყველა იმ გამოგონებიდან, რომლითაც მეცნიერება ბუნების ძალებს შრომის სამსახურში აყენებს და რომლის საშუალებით ვითარდება შრომის საზოგადოებრივი თუ კოოპერაციული ხასიათი. რამდენად უფრო მაღალია შრომის საწარმოო ძალა, მით უფრო ნაკლები შრომაა საჭირო განსაზღვრული რაოდენობის პროდუქტების საწარმოებლად, და, მაშასადამე, მით ნაკლებია პროდუქტის ღირებულება. რაც უფრო დაბალია შრომის საწარმოო ძალა, მით მეტი იხარჯება ის იმავე რაოდენობის საქონელზე და მით მეტია ამ შემთხვევაში მისი ღირებულება. ამის გამო ჩვენ ზოგად კანონად უნდა ვაღიაროთ შემდეგი:

ს ა ქ ო ნ ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა პ ი რ დ ა პ ი რ პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ი ა მ ი ს ს ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ა დ დ ა ხ ა რ ჯ უ ლ ი ს ა მ უ შ ა ო დ რ ო ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს თ ა ნ დ ა უ კ უ პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ი ა გ ა მ ო ყ უ ე ნ ებ უ ლ ი შ რ ო მ ი ს ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ ე ბ თ ა ნ.

მე აქამდე ვლაპარაკობდი მხოლოდ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შესახებ, ახლა კი რამდენიმე სიტყვას მივუმატებ ფ ა ს ი ს შესახებ, ე. ი. განსაკუთრებული ფორმის შესახებ, რომელშიაც ღირებულება იხატება.

თავისთავად ფასი სხვა არაფერია, თუ არა ღირებულების ფულადი გამოხატულება. ყველა საქონლის ღირებულება, მაგალითად, ინგლისში ოქროს ფასებში იხატება, ხოლო კონტინენტზე უმთავრესად ვერცხლის ფასებში. ოქროს ან ვერცხლის ღირებულება, ისევე როგორც ყველა სხვა საქონლისა, ისაზღვრება შრომის იმ რაოდენობით, რაც მათ მოსაპოვებლად არის საჭირო. თქვენ ცვლით თქვენი ქვეყნის ნაწარმოების განსაზღვრულ რაოდენობას, რომელშიც თქვენი ნაციონალური შრომის განსაზღვრული რაოდენობაა კრისტალიზებული, ოქრო-ვერცხლის მწარმოებელი ქვეყნების ნაწარმოებზე, რომელშიაც იმავე რაოდენობითაა კრისტალიზებული მათი შრომა. სწორედ ამგვარად, ე. ი. ფაქტიურად საქონელთა გაცვლა-გამოცვლის პროცესში, ადამიანები ეჩვევიან ოქრო-ვერცხლში გამოხატონ ყველა საქონლის ღირებულება, ე. ი. შრომის შესაბამისი რაოდენობა, რომელიც მის წარმოებაზეა დახარჯული. თუ თქვენ უფრო ღრმად დაუკვირდებით ღირებულების ფულად გამოხატულებას, ან, რაც იგივეა, ღირებულების ფასად გადაქცევას, დაინახავთ, რომ ეს ის პროცესია, რომლის საშუალებით ყველა საგნის ღირებულება დამოუკიდებელ და ერთგვაროვან სახეს იღებს, ანუ რომლის საშუალებით ისინი თავიანთი საზოგადოებრივი შრომის თანაბარ რაოდენობას გამოხატავენ. ადამ სმიტმა ფასს, რამდენადაც ის მხოლოდ ღირებულების ფულადი გამოხატულებაა, ნატურალური ფასი უწოდა, ხოლო ფრანგმა ფიზიოკრატებმა მას «აუცილებელი ფასი» (prix nécessaire) დაარქვეს.

მაგრამ როგორი დამოკიდებულებაა ღირებულებასა და საბაზრო ფასსა ან ნატურალურ და საბაზრო ფასებს შორის? თქვენ ყველამ იცით, რომ ერთი და იმავე სახის ყველა საქონელს ერთი და იგივე საბაზრო ფასი აქვს, როგორ განსხვავებულიც არ იყოს ცალკე მწარმოებლის საწარმოო პირობები. საბაზრო ფასი გამოხატავს მხოლოდ საზოგადოებრივი შრომის იმ საშუალო რაოდენობას, რომელიც წარმოების საშუალო პირობებში საჭიროა იმისათვის, რათა მომარაგებულ იქნეს ბაზარი განსაზღვრული საგნის განსაზღვრული რაოდენობით. ეს ფასი გამოიანგარიშება ამა თუ იმ სახის საქონლის საერთო რაოდენობის მიხედვით.

ამდენად საქონლის საბაზრო ფასი მის ღირებულებას ემთხვევა. მეორე მხრივ, საბაზრო ფასების ქანაობა, რომე-

ლიც ღირებულებას ან ნატურალურ ფასს ხან ზევით ასწევს და ხან ქვევით დასწევს, მიწოდებისა და მოთხოვნის ქანაობაზეა დამოკიდებული. საბაზრო ფასი მუდმივ ცილდება ღირებულებას, მაგრამ როგორც ა დ ა მ ს მ ი ტ ი ამბობს:

«ნატურალური ფასი არის ის ცენტრალური ფასი, რომლისკენაც განუწყვეტლივ მიისწრაფიან საქონლის ფასები. სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება ხანდახან ბევრად უფრო აიწიონ ამ ფასებმა, ხანდახან კი რამდენადმე დაიწიონ კიდევაც. მაგრამ რა დაბრკოლებაც არ უნდა უშლიდეს ხელს ფასების შეჩერებას ურყეობის ამ ცენტრზე, ისინი მაინც მუდმივ იმისაკენ მიისწრაფიან [1]».

ახლა მე არ შემიძლია ამის შესახებ დაწვრილებით ლაპარაკი. ვიტყვი მხოლოდ, რომ თუ მიწოდება და მოთხოვნა ერთმანეთს უწონასწორდება, საქონელთა საბაზრო ფასებიც შეესაბამება მათ ნატურალურ ფასებს, ე. ი. მათ ღირებულებას, რომელსაც საზღვრავს მათი წარმოებისათვის აუცილებელი შრომის შესაბამისი რაოდენობა. მაგრამ მიწოდება-მოთხოვნა მუდმივ წონასწორობისკენ უ ნ დ ა მიისწრაფოდეს, თუმცა ისინი ამას ანხორციელებენ მხოლოდ იმით, რომ ერთ რყევას თან ახლავს მეორე, აწევას მოყვება დაწევა და პირიქით. თუ თქვენ იმის მაგივრად, რომ განიხილოთ მხოლოდ ყოველდღიური ქანაობა, გამოიკვლევთ საბაზრო ფასების მოძრაობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, როგორც ეს, მაგალითად, მისტერ ტ უ კ მ ა. მოახდინა თავის «ფ ა ს ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ა შ ი», დაინახავთ, რომ საბაზრო ფასების ქანაობა, მათი მოძრაობა ღირებულების გარშემო, მათი აწევა და დაწევა, ერთიმეორეს ფარავს და წონასწორობაში მოდის; ასე რომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მონოპოლიების გავლენას ან სხვაგვარ მოდიფიკაციებს, რომელსაც აქ მე ვერ შევეხები, ყოველგვარი საქონელი საშუალოდ მისი ღირებულების ან ნატურალური ფასის მიხედვით იყიდება. საშუალო პერიოდი, რომლის განმავლობაში საბაზრო ფასების გადახრა-გადმოხრა ერთიმეორეს აწონასწორებს, სხვადასხვაა სხვადასხვაგვარი საქონლისათვის, იმიტომ რომ ზოგიერთ შემთხვევაში მოთხოვნა და მიწოდება უფრო ადვილად უფარდდება ერთიმეორეს, ზოგიერთში კი უფრო ძნელად.

ამგვარად, თუ ყველა სახის საქონელი, მთლიანად და საერთოდ აღებული და ხანგრძლივი პერიოდის მიხედვით განხილული, მათი

[1] იხ. ა. სმიტის წიგნი «Исследование о природе и причинах богатства народов». Т. I, гл. VII, стр. 55, М. — Л., 1935. რუსული თარგმანი. რ ე დ.

შესაფერი ღირებულების მიხედვით იყიდება, უაზრობა იქნებოდა დაგვეშვა, რომ მოგება — არა მოგება ცალკეულ შემთხვევებში, არამედ მუდმივი და ჩვეულებრივი მოგება, რომელსაც მრეწველობის სხვადასხვა დარგი იძლევა — საქონლის ფასიდან გამომდინარეობს, ე. ი. იქიდან, რომ საქონელი ისეთ ფასებში იყიდება, რომელიც საგრძნობლად ჭარბობს მის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს. ამ შეხედულების უაზრობა ნათელი ხდება, თუ მას განვაზოგადებთ. ცხადია, რომ თუ ვინმე რამეს მოიგებდა გამყიდველის როლში, წააგებდა როგორც მყიდველი. აქ სრულიად ზედმეტი იქნებოდა იმაზე ლაპარაკი, რომ არიან ადამიანები, რომელნიც მუდამ ყიდულობენ და არასოდეს არ ყიდიან, ან რომელნიც მომხმარებლებს წარმოადგენენ და წარმოებას კი არ ეწევიან. რასაც ისინი მწარმოებლებს უხდიან, მათგან წინასწარ უნდა მიიღონ სრულიად უფასოდ. თუ თქვენგან ვინმე პირველად ფულს ღებულობს და შემდეგ ამ ფულით თქვენსავე საქონელს ყიდულობს, ვერასოდეს ვერ გამდიდრდებით, აგრეთვე მაშინაც კი, თუ ამ პირს თქვენს საქონელს ძვირად მიჰყიდით. ამგვარ ოპერაციას შეუძლია ზარალის შემცირება, მაგრამ მოგების მოცემა კი არა.

მაშასადამე, მ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ბ უ ნ ე ბ ი ს გასაგებად თქვენ უნდა გამოხვიდეთ იმ დებულებიდან, რომ საქონელი საშუალოდ მ ი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ ი ყ ი დ ე ბ ა დ ა მ ო გ ე ბ ა სწორედ იქიდან გამომდინარეობს, რომ ს ა ქ ო ნ ე ლ ი თ ა ვ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა დ ი ყ ი დ ე ბ ა, ე. ი. მასში განხორციელებული შრომის რაოდენობის მიხედვით. თუ თქვენ ვერ ახსნით მოგებას ამის საფუძველზე, მაშინ თქვენ საერთოდ არ შეგიძლიათ მისი ახსნა. ეს პარადოქსს გავს და თითქოს ეწინააღმდეგება ყოველდღიურ გამოცდილებას. მაგრამ პარადოქსია ხომ ისიც, რომ დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს, ხოლო წყალი ორი ოლად ანთებადი გაზისაგან შედგება. მეცნიერული ჭეშმარიტება ყოველთვის პარადოქსად გვეჩვენება, თუ იმაზე მსჯელობას ვიქონიებთ ყოველდღიური გამოცდილების მიხედვით, რომელიც ნივთების მხოლოდ გარეგან მაცდურ ხილვადობას იძლევა.

7. ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ა

მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვიკვლიეთ, რამდენადაც ეს ასეთ მოკლე მიმოხილვაში შესაძლებელი იყო, ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ს ა ქ ო ნ ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს, ბუნება, ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ შ რ ო მ ი ს სპეციფიკურ ღ ი რ ე-

ბ ულ ე ბ ა ს. აქაც მომიხდება გაგაკვირვოთ ერთი მოჩვენებითი პარადოქსით. ყველანი დარწმუნებული ხართ, რომ, რასაც თქვენ ყოველდღე ყიდით, ეს თქვენი შრომაა; რომ შრომას ამგვარად ფასი აქვს და, რადგან საქონლის ფასი მისი ღირებულების მხოლოდ ფულადი გამოხატულებაა, ალბათ უნდა არსებობდეს ისეთი რამ, როგორიცაა შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა. მაგრამ ისეთი რამ, როგორიცაა შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, სინამდვილეში არ არსებობს. ჩვენ დავინახეთ, რომ საქონლის ღირებულებას ქმნის აუცილებელი შრომის რაოდენობა, რომელიც დაკრისტალებულია მასში. თუ ღირებულების ამ ცნებიდან გამოვალთ, როგორ შეგვიძლია განვსაზღვროთ, ვთქვათ, ათსაათიანი სამუშაო დღის ღირებულება? რამდენი შრომაა მოთავსებული ამ დღეში? ათი საათის შრომა. ტავტოლოგია და სრული უაზრობაც იქნებოდა იმის თქმა, რომ ათსაათიანი სამუშაო დღის ღირებულება არის ათი სამუშაო საათი ანუ ამ საათებში მოცემული შრომა. მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვარკვევთ წინასწარ გამოთქმა «შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს» ნამდვილ, მაგრამ ფარულ შინაარსს, ცხადია, შეგვეძლება ავხსნათ ღირებულების ეს ირაციონალური და როგორც გვეჩვენება შეუძლებელი გამოყენება ისევე, როგორც ჩვენ, მას შემდეგ რაც შევიცნობთ ციურ სხეულთა ნამდვილ მოძრაობას, შეძლება გვაქვს ავხსნათ მათი ხილული ან მხოლოდ განსაზღვრულ ფორმაში შესამჩნევი მოძრაობა.

რასაც მუშა ყიდის, ეს არაა უშუალოდ მისი შ რ ო მ ა, არამედ ესაა მისი ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ა, რომელსაც ის კაპიტალისტს გადასცემს დროებით განკარგულებაში. ამას იმდენად აქვს ადგილი, რომ არ ვიცი როგორ არის ინგლისური კანონების მიხედვით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი კონტინენტალური კანონით დაწესებულია მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ი დ რ ო, რა ვადითაც თვითეულ პირს შეუძლია თავისი სამუშაო ძალის გაყიდვა. მუშებს რომ შეძლება მიცემოდათ თავიანთი სამუშაო ძალა დროის განუსაზღვრელად გაეყიდათ, ხელახლა მონობა წარმოიშობდა. თუ, მაგალითად, ასეთი გაყიდვა მუშების მთელი სიცოცხლის ვადით მოხდებოდა, მუშა ერთბაშად დამქირავებლის მონად გადაიქცეოდა სიკვდილამდე.

ჯერ კიდევ ტ ო მ ა ს ჰ ო ბ ს მ ა, ინგლისის ერთ-ერთმა უძველესმა ეკონომისტმა და ყველაზე ორიგინალურმა ფილოსოფოსმა, თავის «ლ ე ვ ი ა თ ა ნ შ ი» ინსტინქტურად მიუთითა ამ გარემოებაზე,

რომელიც არც ერთ მის მერმინდელ მოაზროვნეს არ შეუმჩნევია. ის ამბობს: «ადამიანის ღირებულება, ისე როგორც ყველა სხვა ნივთისა, არის მისი ფასი, ე. ი. ის, რასაც მას მისი ძალის გამოყენებისათვის აძლევენ».

თუ ამ საფუძვლიდან გამოვალთ, ჩვენ შეგვიძლია შრომის ღირებულება განვსაზღვროთ ყოველგვარი სხვა საქონლის ღირებულების მსგავსად.

მაგრამ სანამ ამას ვიზამდეთ, ჩვენ უნდა ვიკითხოთ: როგორ ხდება ის უცნაური მოვლენა, რომ ბაზარში ჩვენ ვპოულობთ მყიდველების მთელ რაზმს, რომელიც ფლობს მიწას, მანქანებს, ნედლ მასალას და საარსებო საშუალებებს, ე. ი. ყოველივე იმას, რაც მიწის გარდა, თუ დაუმუშავებლად ავიღებთ ამ მიწას, შრომის ნაყოფს წარმოადგენს, და, მეორე მხრივ, ვპოულობთ იქვე გამყიდველთა რაზმს, რომელსაც არაფერი აქვს გასაყიდი, სამუშაო ძალის, სამუშაოდ გამზადებული ხელების და ტვინის მეტი? როგორ ხდება, რომ ზოგიერთები მუდამ ყიდულობენ და მოგებას იღებენ, მდიდრდებიან, სხვები კი მუდამ ყიდიან მხოლოდ იმისათვის, რომ სიცოცხლის შესანარჩუნებელი საარსებო საშუალებები შეიძინონ? ამ საკითხის გამოკვლევა იქნებოდა ის გამოკვლევა, რომელსაც ეკონომისტები «წინასწარ ანუ პირვანდელ დაგროვებას» უწოდებენ, მაგრამ რასაც უნდა ეწოდოს პირვანდელი ექსპროპრიაცია. ასეთი გამოკვლევის დროს დავინახავდით, რომ ეს ეგრეთწოდებული პირვანდელი დაგროვება მხოლოდ ისტორიული პროცესების იმ რიგს წარმოადგენს, რომელიც ბოლოვდება მშრომელებსა და მათი შრომის საშუალებებს შორის არსებული პირვანდელი ერთიანობის დაშლით, მაგრამ ეს გამოკვლევა ცილდება ჩემი ახლანდელი თემის საზღვრებს. მხოლოდ რაკი მუშასა და მისი შრომის იარაღებს შორის გათიშვა ერთხელვე მოხდა, ეს თავისთავად გაგრძელდება, განახლდება უფრო და უფრო გაფართოებული მასშტაბით, სანამ წარმოების წესის ახალი და ძირითადი რევოლუცია მას არ მოსპობს და არ აღადგენს პირვანდელ ერთიანობას ახალ ისტორიულ ფორმაში.

ამგვარად, რა არის სამუშაო ძალის ღირებულება?

ყველა სხვა საქონლის მსგავსად სამუშაო ძალის ღირებულება მის წარმოებისათვის საჭირო შრომის რაოდენობით ისაზღვრება. ადამიანის სამუშაო ძალა მხოლოდ მის ცოცხალ პიროვნებაში არსებობს. ადამიანმა განსაზღვრული რაოდენობის საარსებო საშუალებები უნდა მოიხმაროს, რომ თავისი არსებობის შენარჩუნება და

გაგრძელება შესძლოს. მაგრამ ადამიანი ცვდება სწორედ ისე, როგორც მანქანა, და ამიტომ საჭიროა მისი შეცვლა სხვა ადამიანით. განსაზღვრული რაოდენობის აუცილებელი მოთხოვნილების საგნებს გარდა, რომელიც მას თავისი საკუთარი არსებობის შესანარჩუნებლად ჭირდება, მას ესაჭიროება კიდევ აუცილებელი მოთხოვნილების საგანთა დამატებითი რაოდენობა ბავშვების აღსაზრდელად, რომლებიც მას შრომის ბაზარზე შეცვლიან და მუშების მოდგმას განაგრძობენ. ამას გარდა თავისი სამუშაო ძალის განსავითარებლად და ერთგვარი ოსტატობის მოსაპოვებლად, მუშამ კიდევ განსაზღვრული რაოდენობის ღირებულება უნდა დახარჯოს. ჩვენი მიზნისათვის აქ საკმაოა მხოლოდ საშუალო შრომის განხილვა, რომლის დროსაც აღსაზრდელი და მოსამზადებელი ხარჯები უმნიშვნელო სიდიდეს წარმოადგენენ. მაგრამ მე ამ შემთხვევით უნდა ვისარგებლო და აღვნიშნო, რომ რადგან სხვადასხვა ხარისხის სამუშაო ძალის საწარმოო ხარჯები სხვადასხვაგვარია, ამიტომ სხვადასხვაგვარ მრეწველობაში ჩაბმული სამუშაო ძალის ღირებულებაც სხვადასხვა უნდა იყოს. ამიტომ ხელფასის გათანასწორების მოთხოვნა დაფუძნებულია ცდომილებაზე, ცთომილ სურვილზე, რომელიც არასოდეს არ განხორციელდება. ეს იმ ყალბი და ზერელე რადიკალიზმიდან გამომდინარეობს, რომელიც წანამძღვარებს ღებულობს, ხოლო დასკვნებს ცდილობს გაექცეს. სამუშაო ძალის ღირებულება, ისე როგორც ყველა სხვა საქონლისა, წესრიგდება დაქირავებული შრომის სისტემის საფუძველზე; და რადგან სხვადასხვა სახის სამუშაო ძალას სხვადასხვა ღირებულება აქვს და თავის საწარმოოდ სხვადასხვა რაოდენობის შრომას მოითხოვს, შრომის ბაზარზეც მათ სხვადასხვანაირი ფასი უნდა ექნეთ. დაქირავებული შრომის სისტემის ნიადაგზე თანასწორი ან თვით სამართლიანი ქირის მოთხოვნა, ეს იგივეა, რაც თავისუფლების მოთხოვნა მონობის სისტემის საფუძველზე. ის, რასაც თქვენ სწორად ან სამართლიანად თვლით, აქ ანგარიშში მისაღები არ არის. აქ საქმე იმაშია, რა შეიძლება ჩაითვალოს წარმოების არსებულ სისტემაში აუცილებელ და გარდაუვალ რამედ?

ზემოთ ნათქვამის შემდეგ ცხადია, რომ სამუშაო ძალის ღირებულება ისაზღვრება იმ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულებით, რაც საჭიროა სამუშაო ძალის საწარმოებლად, გასავითარებლად, შესანარჩუნებლად და გასამარადებლად.

8. ზედმეტი ღირებულების წარმოება

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ იმ საშუალო რაოდენობის აუცილებელ საარსებო საშუალებათა საწარმოებლად, რაც ერთი მუშისთვის ყოველდღეა საჭირო, ექვსი საათის საშუალო შრომა უნდა დაიხარჯოს. წარმოვიდგინოთ კიდევ, რომ ექვსსაათიანი საშუალო შრომა, ოქროში გამოხატული, სამ შილინგს უდრის. ამ შემთხვევაში სამი შილინგი იქნება ფასი ანუ ფულადი გამოხატულება ამ კაცის სამუშაო ძალის დღიურ ღირებულებისა. მაშინ დღეში ექვსი საათის მუშაობით ის შექმნის იმ ღირებულებას, რაც საკმაოა მისთვის საშუალოდ ყოველდღიურად საჭირო საარსებო საშუალებათა შესაძენად და რითაც მიეცემა შეძლება თავი შეინახოს როგორც მუშამ.

მაგრამ ეს ადამიანი დაქირავებული მუშაა; ამიტომ იგი იძულებულია თავისი სამუშაო ძალა კაპიტალისტს მიჰყიდოს. თუ ის გაყიდის მას სამ შილინგად დღეში ან თვრამეტად კვირაში, მაშინ ის გაყიდის მას მისი ღირებულების მიხედვით. წარმოვიდგინოთ, რომ ის მრთველია, თუ ის დღეში ექვს საათს მუშაობს, იმის დამუშავებულ ბამბას ყოველდღიურად სამი შილინგის ღირებულება ემატება. ეს ყოველდღიურად მისი მუშაობით დამატებული ღირებულება ნამდვილი ეკვივალენტი იქნებოდა იმ ხელფასის ან ფასისა, რომელსაც ის ყოველდღე თავისი სამუშაო ძალისათვის ღებულობს. მაგრამ ამ შემთხვევაში კაპიტალისტს არავითარი ზედმეტი ღირებულება ან არავითარი ზედმეტი პროდუქტი არ დარჩებოდა. ამგვარად, აქ ჩვენ ნამდვილ სიძნელეს ვეჯახებით.

კაპიტალისტმა სამუშაო ძალის ყიდვითა და მისი ღირებულების გადახდით ყველა სხვა მყიდველის მსგავსად უფლება შეიძინა მოიხმაროს და გამოიყენოს ნაყიდი საქონელი. ადამიანის სამუშაო ძალის მოხმარებას ანუ გამოყენებას ადგილი აქვს იმდენად, რამდენადაც მას ამუშავებენ, სწორედ ისევე როგორც მანქანის მოხმარებას ანუ გამოყენებას ადგილი აქვს იმდენად, რამდენადაც მას ამოქმედებენ. ამიტომ კაპიტალისტმა მუშის სამუშაო ძალის დღიური ან კვირეული ღირებულების შესყიდვით მოიპოვა უფლება გამოიყენოს ანუ ამუშაოს ეს სამუშაო ძალა მთელი დღისა ან მთელი კვირის განმავლობაში. რასაკვირველია, სამუშაო დღეს და სამუშაო კვირას ერთგვარი საზღვარი აქვს, მაგრამ ამას ჩვენ შემდეგ განვიხილავთ უფრო დაწვრილებით. ახლა თქვენი ყურადღება ერთ გადამწყვეტ გარემოებას უნდა მივაქციო.

სამუშაო ძალის ღირებულება ისაზღვრება შრომის რაოდენობით, რომელიც მის შესანახავად და აღსადგენად არის საჭირო, მაგრამ ამ სამუშაო ძალით სარგებლობას თავისი საზღვარი მხოლოდ მუშის სასიცოცხლო ენერგიასა და ფიზიკურ ძალაში აქვს. სამუშაო ძალის ყოველდღიური ან ყოველკვირეული ღირებულება სულ სხვაა, ვიდრე მისი ყოველდღიური და ყოველკვირეული გამოყენება, ისე როგორც, მაგალითად, ის საკვები, რომელსაც ცხენი საჭიროებს, და ის დრო, რომლის განმავლობაში მას შეუძლია ატაროს ადამიანი, ორი ერთიმეორესაგან განსხვავებული რამ არის. შრომის რაოდენობა, რომელიც მუშის სამუშაო ძალის ღირებულებას საზღვრავს, სრულიადაც არ წარმოადგენს იმ შრომის რაოდენობას, რომელიც ამ სამუშაო ძალას შეუძლია გასწიოს. ავიღოთ მაგალითისათვის ჩვენი მრთველი. ჩვენ დავინახეთ, რომ მან თავისი სამუშაო ძალის ყოველდღიურ გასაახლებლად დღეში სამი შილინგის ღირებულება უნდა შექმნას, რასაც ის ექვსი საათის მუშაობით აღწევს. მაგრამ ეს არ უშლის მას ყოველდღიურად ათი, თორმეტი ან კიდევ მეტი საათი იმუშაოს. კაპიტალისტმა კი მუშის სამუშაო ძალის დღიური თუ კვირეული ღირებულება გადაიხადა, ამით უფლება შეიძინა, რომ ის მთელი დღის თუ მთელი კვირის განმავლობაში მოიხმაროს. ამიტომ ის მუშას აიძულებს დღიურად, ვთქვათ, თორმეტი საათი იმუშაოს. ექვსი საათის გარდა, რომელიც მისი ხელფასის ანუ სამუშაო ძალის ღირებულების ასანაზღაურებლადაა საჭირო, მუშამ კიდევ ექვსი საათი უნდა იმუშაოს, რასაც მე ზედმეტი შრომის საათებს ვუწოდებ, და ეს ზედმეტი შრომა ხორციელდება ზედმეტ ღირებულებასა და ზედმეტ პროდუქტში. თუ, მაგალითად, ჩვენი მრთველი ექვსი საათის მუშაობით ყოველდღე ბამბას სამი შილინგის ღირებულებას უმატებდა, რაც მისი ხელფასის ზუსტ ეკვივალენტს შეადგენს, თორმეტი საათის განმავლობაში ის ბამბას ექვს შილინგის ღირებულებას მიუმატებს და ამის შესატყვისად მეტი რაოდენობის ნართს შექმნის. რადგან თავისი სასამუშაო ძალა მან კაპიტალისტს მიჰყიდა, მთელი მისი ნაწარმოები ან ამ ნაწარმოების ღირებულება ეკუთვნის ამ უკანასკნელს, რომელიც მისი სამუშაო ძალის პატრონია განსაზღვრულ დროში. ამგვარად, კაპიტალისტი წინდაწინ სამი შილინგის გადახდით ექვსი შილინგის ღირებულებას იძენს, იმიტომ რომ მან წინდაწინ გადაიხადა ღირებულება, რომელშიაც ექვსი საათის შრომაა განხორციელებული, და სამაგიეროდ მიიღო ღირებულება, რომელზედაც თორმეტი **საათის**

შრომა დაიხარჯა. თუ ეს პროცესი ყოველდღიურად განმეორდა, კაპიტალისტი დღეში გაიღებს სამ შილინგს, ხოლო მიიღებს ექვს შილინგს, რის ნახევარიც ხელახლა ხელფასის გადახდას მოხმარდება, მეორე ნახევარი კი შეადგენს ზედმეტ ღირებულებას, რომლისთვისაც კაპიტალისტი არავითარ ეკვივალენტს არ იხდის. ეს სახე გაცვლა-გამოცვლისა კაპიტალსა და შრომას შორის სწორედ ის სახეა, რომელზედაც დაფუძნებულია კაპიტალისტური წარმოება, ანუ დაქირავებული შრომის სისტემა, და ამ სისტემამ გამუდმებით უნდა წარმოშვას ხელახლა მუშა, როგორც მუშა და კაპიტალისტი, როგორც კაპიტალისტი.

ზედმეტი ღირებულების ნორმა — ყველა სხვა გარემოებათა უცვლელობის პირობებში — დამოკიდებულია სამუშაო დღის ნაწილების ურთიერთ შეფარდებაზე, — იმ ნაწილის, რომელიც სამუშაო ძალის ღირებულების აღდგენას უნდება, და იმ ზედმეტი სამუშაო დროისა ანუ ზედმეტი შრომისა, რომელიც კაპიტალისტის სასარგებლოდ მიდის. მაშასადამე, ის დამოკიდებულია იმ შეფარდებაზე, რომლითაც ხდება სამუშაო დღის იმ დროზე ზევით გაგრძელება, რომლის განმავლობაში მუშამ თავისი სამუშაო ძალის ღირებულება უნდა შექმნას და თავისი ხელფასი აინაზღაუროს.

9. შრომის ღირებულება

ახლა დავუბრუნდეთ გამოთქმას: «შრომის ღირებულება ანუ შრომის ფასი».

ჩვენ დავინახეთ, რომ ეს ღირებულება ფაქტიურად მხოლოდ სამუშაო ძალის ღირებულებაა, რომელიც მის საარსებოდ აუცილებელი საქონლის ღირებულებით იზომება. მაგრამ რადგან მუშა თავის ხელფასს მხოლოდ სამუშაოს შესრულების შემდეგ იღებს და ამასთანავე იცის, რომ რასაც სინამდვილეში კაპიტალისტს აძლევს, მისი შრომაა, თავისი სამუშაო ძალის ღირებულება ან ფასი მას აუცილებლად ეჩვენება თავისი შრომის ფასად ან ღირებულებად. თუ მისი სამუშაო ძალის ფასი სამ შილინგს შეადგენს, რაშიაც ექვსი საათის შრომაა განხორციელებული, და თუ ის თორმეტ საათს მუშაობს, უთუოდ ამ სამ შილინგში თორმეტი საათის შრომის ღირებულებას ან ფასს დაინახავს, თუმცა სინამდვილეში ეს თორმეტი საათის შრომა ექვსი შილინგის ღირებულებაშია წარმოდგენილი აქედან ორნაირი დასკვნა გამომდინარეობს:

ერთი: რომ სამუშაო ძალის ღირებულება ან ფასი თვით შრომის ღირებულების ან ფასის გარეგან ხილვადობას ღებულობს, თუმცა ზუსტად რომ ვთქვათ, შრომის ღირებულება ან ფასი აზრს მოკლებული ტერმინია.

მეორე: თუმცა ანაზღაურდება მხოლოდ ერთი ნაწილი მუშის ყოველდღიური შრომისა, ხოლო მეორე ნაწილი სრულიად აუნაზღაურებელი რჩება, და თუმცა გადაუხდელი, ე. ი. ზედმეტი შრომა სწორედ იმ ფონდს შეადგენს, საიდანაც ზედმეტი ღირებულება, ე. ი. მოგება წარმოდგება, მაგრამ ჩვენ გვეჩვენება, თითქოს მთელი შრომა გადახდილი შრომა იყოს.

ეს ყალბი მოჩვენებითობა დაქირავებულ შრომას განასხვავებს შრომის სხვა ისტორიული ფორმებისაგან. დაქირავებული შრომის სისტემის საფუძველზე თვით გადაუხდელი შრომა გადახდილად გვეჩვენება. მონობის დროს, პირიქით, თვით ანაზღაურებული შრომის ნაწილი გადაუხდელ შრომად გვეჩვენება. ცხადია, მონამ რომ მუშაობა შესძლოს, მან უნდა იცხოვროს, და მისი სამუშაო დღის ნაწილი იმაზე იხარჯება, რომ იმის საარსებო საშუალებათა ღირებულება ანაზღაურდეს. მაგრამ, რადგან მონას და მის მფლობელს შორის არავითარი ხელშეკრულება არ იდებოდა, რადგან მათ შორის არავითარი ყიდვა-გაყიდვა არ ხდებოდა, გვეჩვენება, რომ მთელი მისი შრომა სრულიად უსასყიდლოდ იყო გაღებული.

ავიღოთ, მეორე მხრივ, ყმა-გლეხი იმ სახით, როგორც ის, შემიძლია ვთქვა, ჯერ კიდევ გუშინ მთელ აღმოსავლეთ ევროპაში არსებობდა. ეს გლეხი, მაგალითად, თავისთვის სამ დღეს მუშაობდა საკუთარ ან მიზომილ ნაკვეთზე, შემდეგ სამ დღეს კი თავისი ბატონის მამულში სავალდებულო და უსასყიდლო სამუშაოს ასრულებდა. ამგვარად, აქ აშკარად განცალკევებულია ერთიმეორისგან შრომის გადახდილი და გადაუხდელი ნაწილი, აშკარად განცალკევებულია დროსა და სივრცეში; და ჩვენი ლიბერალები მორალური აღშფოთებით ივსებოდნენ იმ უკულმართი მოვლენის გამო, რომ ადამიანს სრულიად უსასყიდლოდ ამუშავებენ.

სინამდვილეში კი სულერთია, მუშაობს ადამიანი კვირაში სამ დღეს თავისთვის საკუთარ ყანაში და სამ დღეს უსასყიდლოდ ბატონის მამულში, თუ მუშაობს ის ფაბრიკასა ან სახელოსნოში ექვს საათს დღეში თავისთვის და ექვსს — ჯაპიტალისტისთვის; თუმცა უკანასკნელ შემთხვევაში შრომის ანაზღაურებული და აუნაზღაურებელი ნაწილი ერთიმეორეშია გაუცალკევებლად შერეული, და მთე-

ლი ამ გარიგების დედაარსი სრულიად დაფარულია ხელშეკრულებითა და კვირის ბოლოს მიღებული ხელფასით. აუნაზღაურებელი შრომა ერთ შემთხვევაში გვეჩვენება როგორც ნებაყოფლობით მიცემული, მეორეში — როგორც იძულებითი. ამაშია მთელი განსხვავება.

თუ მე ვიხმარ სიტყვებს: «შრომის ღირებულება», ეს მხოლოდ როგორც პოპულარულ გამოთქმას «სამუშაო ძალის ღირებულების» გამოსახატავად.

10. მოგება მიიღება, როდესაც საქონელი მისი ღირებულების მიხედვით იყიდება

წარმოვიდგინოთ, რომ საშუალო შრომის ერთი საათი განხორციელებულია 6 პენსის ღირებულებაში, ან საშუალო შრომის თორმეტი საათი ექვს შილინგშია მოცემული. შემდეგ წარმოვიდგინოთ, რომ შრომის ღირებულება სამ შილინგს ან ექვსი საათის მუშაობის ნაწარმოებს უდრის. თუ, ამას გარდა, ნედლ მასალასა, მანქანებში და სხვ. საშუალებებში, რაც საქონლის წარმოებაზეა გამოყენებული, ოცდაოთხი საათის საშუალო შრომაა განხორციელებული, მისი ღირებულება თორმეტ შილინგს შეადგენს. თუ, გარდა ამისა, წარმოების საშუალებებს დაქირავებული მუშა მიუმატებს თორმეტი საათის შრომას, ეს თორმეტი საათი კიდევ ექვსი შლინგის დამატებით ღირებულებას შექმნის. მაშასადამე, ნაწარმოების მთელი ღირებულება 36 საათის განივთიერებულ შრომას ანუ თვრამეტ შილინგს მიაღწევს. მაგრამ, რადგან შრომის ღირებულება ანუ გადახდილი ხელფასი მხოლოდ 3 შილინგს უდრის, კაპიტალისტი არავითარ ეკვივალენტს არ იხდის მუშის მიერ შესრულებულ და საქონლის ღირებულებაში განხორციელებულ ექვსი საათის ზედმეტი შრომისთვის. თუ კაპიტალისტი ამ საქონელს მისი ღირებულების მიხედვით 18 შილინგად გაყიდის, ამით ის 3 შილინგის ღირებულებასაც იღებს, რომელშიაც მას არავითარი ეკვივალენტი არ მიუცია. ეს სამი შილინგი სწორედ მის მიერ აღებულ ზედმეტ ღირებულებას ანუ მოგებას წარმოადგენს, რომელსაც იგი იჯიბავს. მაშასადამე, კაპიტალისტი სამ შილინგ მოგებას იღებს არა იმით, რომ ის თავის საქონელს იმ ფასად ყიდის, რომელიც მის ღირებულებას აღემატება, არამედ იმით, რომ ის მას მისნამდვილ ღირებულებად ყიდის.

საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასში მოთავსებული

შრომის მთელი რაოდენობით. მაგრამ ამ შრომის რაოდენობის ერთი ნაწილი წარმოადგენს იმ ღირებულებას, რომელშიაც გადახდილია ეკვივალენტი ხელფასის სახით, მეორე ნაწილი კი იმ ღირებულებაშია განივთიერებული, რომელშიაც არავითარი ეკვივალენტი არ არის გაღებული. ერთი ნაწილი საქონელში მოთავსებული შრომისა გადახდილი შრომაა, მეორე არის გადაუხდელი. ამგვარად, თუ კაპიტალისტი თავის საქონელს მისი ღირებულების მიხედვით გაყიდის, ე. ი. როგორც მასზე დახარჯული მთელი შრომის კრისტალიზაციას, მან ის უსათუოდ მოგებით უნდა გაყიდოს. ის ყიდის არა მარტო იმ ნაწილს, რომელშიაც ეკვივალენტი მისცა, ყიდის აგრეთვე იმას, რაშიაც არაფერი გადაუხდია, თუმცა მუშას ეს შრომა დაუჯდა. ის, რადაც კაპიტალისტს უღირს საქონელი და მისი ფაქტიური ღირებულება ორი ერთიმეორისაგან განსხვავებული რამ არის. ამიტომ მე ვიმეორებ, რომ ნორმალური და საშუალო მოგება გამომდინარეობს არა იქიდან, რომ საქონელი თავის ღირებულებაზე ზევით იყიდება, არამედ იქიდან, რომ იყიდება თავის ნამდვილ ღირებულებად.

11. ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ნაწილი

ზედმეტ ღირებულებას ანუ საქონლის საერთო ღირებულების იმ ნაწილს, რომელშიაც ზედმეტი, ე. ი. გადაუხდელი შრომა ნივთიერდება, მე მოგებას ვუწოდებ. მაგრამ მთელი ეს მოგება კაპიტალისტ-მეწარმეს ჯიბეში როდი მიდის. მიწაზე მონოპოლია საშუალებას აძლევს მემაულეს ამ ზედმეტი ღირებულების ნაწილი მიწის რენტის სახით მიითვისოს. აქ სულერთია, რას ემსახურება მიწა — მიწათმოქმედებას, შენობებს, რკინიგზებს თუ სხვა რაიმე საწარმოო მიზნებს. მეორე მხრივ, სწორედ ის ფაქტი, რომ შრომის იარაღების მფლობელობა კაპიტალისტ-მეწარმეს შეძლებას აძლევს ზედმეტი ღირებულება აწარმოოს, ე. ი. მიითვისოს განსაზღვრული რაოდენობის გადაუხდელი შრომა, სწორედ ეს ფაქტი შრომის იარაღების პატრონს, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად მათ კაპიტალისტ-მეწარმეს ანათხოვრებს, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, ფულის გამსესხებელ კაპიტალისტს შეძლებას აძლევს პროცენტის სახით მოითხოვოს

ზედმეტი ღირებულების მეორე ნაწილი, და ამნაირად კაპიტალისტ-მეწარმეს როგორც ასეთს, მხოლოდ ეგრეთწოდებული სამრეწველო ანუ საავაჭრო მოგება რჩება.

თუ რა კანონებით წესრიგდება ზედმეტი ღირებულების საერთო ჯამის განაწილება ამ სამი კატეგორიის ადამიანებში, ეს ისეთი საკითხია, რომელიც არ შედის ჩვენი თემის ფარგლებში, მაგრამ ზემოთ ნათქვამიდან შემდეგი გამომდინარეობს:

მიწის რენტა, პროცენტი და სამრეწველო მოგება მხოლოდ სხვადასხვა სახელებია საქონლის ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ნაწილისა, ან საქონელში განხორციელებული გადაუხდელი შრომისა. ისინი ერთნაირად გამომდინარეობენ ამ წყაროდან და მხოლოდ ამ წყაროდან. თავისთავად ისინი არ წარმოიშობიან არც მიწისგან, არც კაპიტალისაგან, როგორც ასეთებისგან, მაგრამ მიწა და კაპიტალი თავიანთ მფლობელებს შეძლებას აძლევს სათანადო წილი მიიღონ იმ ზედმეტი ღირებულებიდან, რომელიც კაპიტალისტმა-მეწარმემ მუშას გამოწურა. თვით მუშისთვის მეორეხარისხოვანი საკითხია, კაპიტალისტი-მეწარმე თავის ჯიბეში იდებს მთელ ამ ზედმეტ ღირებულებას — ზედმეტი ან გადაუხდელი შრომის მთელ ნაწარმოებს, — თუ ის იძულებულია ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილი მიწის რენტის და პროცენტის სახით სხვა მონაწილეებს მისცეს. თუ კაპიტალისტი-მეწარმე თავისი საკუთარი კაპიტალით სარგებლობს და ის მიწის მესაკუთრეც არის, მაშინ ზედმეტი ღირებულება უკლებლივ გადავა მის ჯიბეში.

სწორედ კაპიტალისტი-მეწარმე უშუალოდ წუწნის მუშას ამ ზედმეტ ღირებულებას დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ნაწილი შეეძლება მას საბოლოოდ შეინარჩუნოს აქედან თავისთვის. ამიტომ ეს ურთიერთობა კაპიტალისტ-მეწარმესა და დაქირავებულ მუშას შორის წარმოადგენს მთელი დაქირავებული შრომის სისტემისა და მთელი თანამედროვე წარმოების სისტემის მთავარ პუნქტს. თუ ზოგიერთი მოქალაქე, რომელიც ჩვენს კამათში მონაწილეობას იღებდა, შეეცადა მთელი საკითხი შეერბილებინა და ეს ძირითადი ურთიერთობა კაპიტალისტ-მეწარმესა და მუშას შორის მეორეხარისხოვან საკითხად ექცია, ამით ისინი ძალიან ცდებოდნენ, თუმცა, მეორე მხრივ, მართალი იყვნენ, როცა ამტკიცებდნენ, რომ არსებულ პირობებში ფასების მომატება ძლიერ სხვადასხვა სახით

შეეხება კაპიტალისტ-მეწარმეს, მიწათმფლობელს, ფულისმფლობელ-კაპიტალისტსა და, თუ გნებავთ, გადასახადების ამკრეფსაც.

ნათქვამიდან გამომდინარეობს აგრეთვე მეორე დასკვნა.

საქონლის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ ნედლი მასალის, მანქანების, ერთი სიტყვით, დახარჯულ საწარმოო საშუალებათა ღირებულებას წარმოადგენს, არასოდეს არ იძლევა შემოსავალს, ის მხოლოდ კაპიტალის აღდგენას ხმარდება. მაგრამ ყოველივე ამის გარეშე მაინც შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს საქონლის ღირებულების მეორე ნაწილი, რომელიც შემოსავალს წარმოადგენს ან შეიძლება ხელფასის, მოგების, რენტის და პროცენტის სახით დაიხარჯოს, დგება ხელფასის, რენტის და მოგების ღირებულებათაგან და სხვ. განზე გადავდოთ ჯერჯერობით ხელფასი და განვიხილოთ მხოლოდ სამრეწველო მოგება, პროცენტი და რენტა. ჩვენ ეს არის დავინახეთ, რომ საქონელში მოცემული ზედმეტი ღირებულება, ე. ი. მისი ღირებულების ის ნაწილი, რომელშიაც გადაუხდელი შრომაა განხორციელებული, თვით სხვადასხვა ნაწილად იყოფა, და ეს ნაწილები სამ სხვადასხვა სახელს ატარებენ. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საქონლის ღირებულება დგება ან იქმნება მის სმი შემადგენელი ნაწილის დამოუკიდებელ ღირებულებათა შეერთებით.

თუ ერთი საათის შრომა ექვსი პენსის ღირებულებაშია განხორციელებული, თუ მუშის სამუშაო დღე თორმეტ საათს შეადგენს, ხოლო ამ დროის ნახევარი გადაუხდელი შრომაა, ეს ზედმეტი შრომა საქონელს სამი შილინგის ზედმეტ ღირებულებას უმატებს, ე. ი. ღირებულებას, რომელშიაც არავითარი შესაფერი ეკვივალენტი არ არის მიცემული. ეს სამი შილინგის ზედმეტი ღირებულება წარმოადგენს მთელ იმ ფონდს, რომელიც კაპიტალისტ-მეწარმეს შეუძლია გაინაწილოს, სულერთია რა პროპორციით, მიწათმფლობელსა და ფულის გამსესხებელთან. ამ სამი შილინგის ღირებულება წარმოადგენს საზღვარს იმ ღირებულებისა, რომელიც მათ ერთმანეთს შორის უნდა გაინაწილონ. მაგრამ საქმე ისე როდია, რომ კაპიტალისტი-მეწარმე თავისი მოგებისთვის თვითნებურ ღირებულებას უმატებს საქონლის ღირებულებას, რომელსაც შემდეგ ემატება ახალი ღირებულება მიწათმფლობელისათვის და სხვ., ისე, რომ ბოლოს ყველა ამ თვითნებურად დაწესებულ ღირებულებათა შეერთება საქონლის მთელ ღირებულე-

ბას იძლეოდეს. აქედან თქვენ ხედავთ, რამდენად შემცდარია საზოგადოდ გავრცელებული შეხედულება, რომელიც ერთმანეთში ურევს უკვე მოცემული ღირებულების სამად დანაწილებას, და ამ ღირებულების წარმოშობას სამი დამოუკიდებელი ღირებულების შეერთებით და ამგვარად მთელ ღირებულებას, რომლისაგანაც რენტა, მოგება და პროცენტი წარმოდგება, თვითნებურ სიდიდედ აქცევს.

დავუშვათ, რომ მოგება, რომელსაც კაპიტალისტი ღებულობს, ას გირვანქა სტერლინგს უდრის. ამ ჯამს, როგორც აბსოლუტურ რაოდენობად აღებულს, ჩვენ მოგების მასას ვუწოდებთ. ხოლო თუ გამოვიანგარიშებთ ამ ასი პროცენტის დამოკიდებულებას ავანსად გაღებულ კაპიტალთან, მაშინ ჩვენ ამ შეფარდებით სიდიდეს მოგების ნორმას ვუწოდებთ. ცხადია, რომ მოგების ეს ნორმა შეიძლება ორნაირად გამოიხატოს.

ვთქვათ, ასი გირვანქა არის კაპიტალი, რომელიც წინათ ხელფასის სახით იყო ავანსებული. თუ შექმნილი ზედმეტი ღირებულებაც ას გირვანქა სტერლ. შეადგენს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მუშის სამუშაო დღის ნახევარი გადაუხდელ შრომაზე წასულა; თუ ამ მოგებას ხელფასზე ავანსებული კაპიტალის მიხედვით გავზომავთ, ვიტყვით, რომ მოგების ნორმა ას პროცენტს შეადგენს, იმიტომ რომ ავანსებული კაპიტალი ას გირვანქას უდრიდა, ხოლო შექმნილი ღირებულება — ორას გირვანქას.

თუ ჩვენ, მეორე მხრივ, განვიხილავთ არა მარტო ხელფასზე ავანსებულ კაპიტალს, არამედ მთელი ავანსებული კაპიტალის ჯამს, მაგალითად, ხუთას გირვანქა სტერლინგს, რომლისგანაც ოთხასი გირვანქა ნედლი მასალის, მანქანების და სხვ. ღირებულებას წარმოადგენს, მივიღებთ, რომ მოგების ნორმა მხოლოდ ოც პროცენტს უდრის, იმიტომ რომ ასი გირვანქა სტერლ. მოგება მთელი ავანსებული კაპიტალის მხოლოდ მეხუთედ ნაწილს შეადგენს.

პირველი საშუალება მოგების ნორმის გამოსახატავად ერთადერთია, რომელიც გიჩვენებთ თქვენ ნამდვილ დამოკიდებულებას გადახდილ და გადაუხდელ შრომას შორის — შრომის ექსპლოატაციის (ნება მომეცით ვიხმარო ეს ფრანგული სიტყვა) ნამდვილ დონეს. მეორე საშუალება საერთოდ მიღებულია, და სახელდობრ განსაზღვრული მიზნებისათვის. ყოველ შემთხვევაში ის ძა-

ლიან ხელსაყრელია იმისთვის, რომ დაფარულ იქნეს, რამდენ გადაუხდელ შრომას წურავს კაპიტალისტი მუშას.

ჩემს შემდგომ შენიშვნებში სიტყვა «მ ო გ ე ბ ა ს» ვიხმარ კაპიტალისტის მიერ გამოწოვილი მთელი ზედმეტი ღირებულების მასის გამოსახატავად, ისე რომ მისი განაწილება სხვადასხვა მხარეთა შორის მხედველობაში არ იქნება მიღებული; ხოლო როცა «მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა ზ ე» მექნება ლაპარაკი, მოგებას ყოველთვის ვიანგარიშებ ხელფასზე ავანსებული კაპიტალის მიხედვით.

12. მ ო გ ე ბ ი ს, ხ ე ლ ფ ა ს ი ს ა დ ა ფ ა ს ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა

თუ ჩვენ საქონლის ღირებულებას გამოვაკლებთ მის წარმოებაზე დახარჯულ ნედლი მასალისა და სხვა საწარმოო საშუალებათა ღირებულებას, ე. ი. იმ ღირებულებას, რომელიც წ ი ნ ა ნ დ ე ლ შრომას შეიცავს, დაგვრჩება შრომის ის რაოდენობა, რომელიც უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ა დ მომუშავე მუშის მიერ იქნა მისთვის მიმატებული. თუ ეს მუშა ყოველდღე თორმეტ საათს მუშაობს და თუ საშუალო შრომის თორმეტი საათი ოქროთი ექვს შილინგშია კრისტალიზებული, მაშინ ექვსი შილინგის რაოდენობის ეს დამატებითი ღირებულება წარმოადგენს იმ ე რ თ ა დ ე რ თ ღირებულებას, რომელიც მისმა შრომამ შექმნა. ეს განსაზღვრული ღირებულება, რომელიც მისი შრომის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული, ერთადერთი ფონდია, საიდანაც მას და კაპიტალისტს თავიანთი ხვედრი თუ წილი შეუძლიათ აიღონ, ერთადერთი ღირებულებაა, რომელიც შეიძლება ხელფასად და მოგებად გაიყოს. ცხადია, ამ ღირებულების სიდიდე თავისთავად არავითარ ცვლილებას არ განიცდის იმით, რომ ის შეიძლება ორ მონაწილეს შორის შეცვლილი პროპორციით გაიყოს. არსებითად არაფერი შეიცვლება აგრეთვე, თუ თქვენ ერთი მუშის მაგივრად მუშათა მთელ მოსახლეობას, ერთი სამუშაო დღის მაგივრად, მაგალითად, თორმეტ მილიონ სამუშაო დღეს აიღებთ.

რადგან კაპიტალისტსა და მუშას მხოლოდ ეს განსაზღვრული ღირებულება შეუძლიათ გაიყონ, ე. ი. ღირებულება, რომელიც მუშის მთელი შრომით იზომება, რამდენადაც მეტს მიიღებს ერთი მათგანი, იმდენად ნაკლები შეხვდება მეორეს, და პირიქით. როცა მოცემულია ამა თუ იმ საგნის რაოდენობა, მისი ერთი ნაწილის მომატება ხდება იმავე შეფარდებით, რა შეფარდებითაც კლებულობს მისი მეორე ნაწილი. თუ ხელფასი იცვლება, მოგებაც უნდა შეიცვალოს საწინააღმდეგო მიმართულებით. როცა ხელფასი კლებულობს,

მოგება მატულობს, ხოლო როცა ხელფასი ზევით იწევს, მოგება ეცემა. თუ ჩვენი წინანდელი მოსაზრების მიხედვით, მუშა ღებულობს სამ შილინგს, რაც მისი შრომით შექმნილი ღირებულების ნახევარს უდრის, ან თუ მისი სამუშაო დღე სანახევროდ გადახდილ, სანახევროდ გადაუხდელ შრომისგან შედგება, მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა ას პროცენტს შეადგენს, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში კაპიტალისტიც სამ შილინგს მიიღებს. თუ მუშა მხოლოდ ორ შილინგს ღებულობს ან თავისთვის მხოლოდ ერთ მესამედ დღეს მუშაობს, კაპიტალისტი ოთხ შილინგს მიიღებს, და მოგების ნორმა ორას პროცენტს მიაღწევს. თუ მუშა ოთხ შილინგს ღებულობს, კაპიტალისტს მხოლოდ ორი შეხვდება, და მოგების ნორმა ორმოცდაათ პროცენტამდე დაეცემა. მაგრამ ყველა ეს ცვლილება არავითარ გავლენას არ ახდენს საქონლის ღირებულებაზე. ხელფასის საერთო მომატება ამიტომ მოგების საერთო ნორმის დაკლებას გამოიწვევდა, საქონლის ღირებულებაზე კი არ იმოქმედებდა.

თუმცა საქონლის ღირებულება, რომელიც საბოლოოდ საბაზრო ფასებს უნდა აწესრიგებდეს, მხოლოდ დახარჯული შრომის საერთო რაოდენობით ისაზღვრება და არა ამ რაოდენობის გაყოფით გადახდილ და გადაუხდელ შრომად, მაგრამ აქედან ყოველ შემთხვევაში სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ცალკე საქონლის ან მთელ რიგ იმ საქონლის ღირებულება, რომელიც დამზადებულია, მაგალ., 12 საათის განმავლობაში, უცვლელი დარჩება. განსაზღვრულ სამუშაო დროში ანუ შრომის განსაზღვრული რაოდენობით წარმოებული საქონლის რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ან მასა დამოკიდებულია გამოყენებული შრომის ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ ა ზ ე და არა მის ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ბ ა ზ ე ანუ სიდიდეზე. ვთქვათ, მაგალითად, თორმეტსაათიან სამუშაო დღის განმავლობაში დამრთველის შრომის განსაზღვრული ნაყოფიერების მიხედვით შეიძლება წარმოებულ იქნეს თორმეტი გირვანქა ნართი, და თუ ნაყოფიერება ნაკლებია — მხოლოდ ორი გირვანქა. თუ საშუალოდ შრომის 12 საათი ექვსი შილინგის ღირებულებაში ნივთიერდება, მაშინ ექვსი შილინგი ეღირება ერთ შემთხვევაში თორმეტი გირვანქა ნართი, მეორეში ორი გირვანქა, ე. ი. ერთ შემთხვევაში გირვანქა ნართი ეღირება ექვსი პენსი, მეორეში — სამი შილინგი. ფასების ეს განსხვავება დახარჯული შრომის განსხვავებული საწარმოო ძალის შედეგი იქნებოდა. იმ შემთხვევაში, როცა შრომა უფრო ნაყოფიერია, ერთ გირვანქა ნართში ერთი საათის შრომა მოთავსდებოდა, ხოლო როცა შრომა ნაკლებ ნაყოფიერია — ექვსი საათის შრო-

მა. პირველ შემთხვევაში გირვანქა ნართის ფასი მხოლოდ ექვსი პენსი იქნებოდა, ხელფასი შედარებით მაღალიც რომ იყოს, ხოლო მოგების ნორმა შედარებით დაბალი. მეორე შემთხვევაში ის ეღირებოდა სამი შილინგი, დაბალი ხელფასის პირობებშიაც, მოგების მაღალი ნორმისას. ეს ასე იქნებოდა იმიტომ, რომ გირვანქა ნართის ფასი ისაზღვრება იმაზე დახარჯული მთელი შრომის რაოდენობით და არა მისი განაწილებით გადახდილ და გადაუხდელ შრომაზე. მაშასადამე, ჩვენ მიერ აღნიშნული ფაქტი, რომ მაღალფასიანი შრომით შეიძლება იაფფასიანი საქონლის შექმნა, ხოლო იაფფასიანით ძვირფასიანის, პარადოქსის ხასიათს კარგავს. იგი იმ ზოგადი კანონის გამოხატულებაა მხოლოდ, რომ საქონლის ღირებულება მის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობით ისაზღვრება, მაგრამ ამ დახარჯული შრომის რაოდენობა სავსებით მის საწარმოო ძალაზეა დამოკიდებული, და ამიტომ საქონლის ღირებულება იცვლება შრომის ნაყოფიერების ყოველ ცვლილებასთან ერთად.

13. უმნიშვნელოვანესი შემთხვევები, როცა მოითხოვენ ხელფასის მომატებას ან ებრძვიან მის შემცირებას

ახლა ჩვენ საფუძვლიანად უნდა განვიხილოთ ის მეტად მნიშვნელოვანი შემთხვევები, როცა ხელფასის მომატებას ცდილობენ, ან მის შემცირებას ეწინააღმდეგებიან.

1. ჩვენ დავინახეთ, რომ სამუშაო ძალის ღირებულება ანუ, უფრო პოპულარულად რომ ვილაპარაკოთ, შრომის ღირებულება ისაზღვრება აუცილებელი მოთხოვნილების საგნების ღირებულებით ან მათ შესაქმნელად საჭირო შრომის რაოდენობით. ამგვარად, თუ რომელიმე ქვეყანაში მუშისათვის ყოველდღიურად აუცილებელი მოთხოვნილების საგნების ღირებულებას წარმოადგენს ექვსი საათის შრომა, რომელიც სამ შილინგში ნივთიერდება, მუშას დღიურად 6 საათი უნდა ემუშავა თავისი დღიური საარსებო ჯკვივალენტის შესაქმნელად. თუ სამუშაო დღე თორმეტ საათს უდრის, კაპიტალისტი მუშის შრომის ღირებულებას იხდის სამი შილინგით, ამ შემთხვევაში ნახევარი სამუშაო დღე გადაუხდელი შრომა იქნებოდა, და მოგების ნორმა ასი პროცენტი გამოვიდოდა. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ შრომის ნაყოფიერება დაეცა და ამიტომ,

ვთქვათ, სოფლის მეურნეობაში იმავე რაოდენობის პროდუქტის საწარმოებლად მეტი შრომა იქნება საჭირო, ასე რომ ყოველდღიურ საარსებო საშუალებათა ფასი სამიდან ოთხ შილინგამდე აიწევს. ამ შემთხვევაში შრომის ღირებულება ერთი მესამედით ანუ 33⅓ პროცენტით მოიმატებდა. მაშინ რვა საათის სამუშაო დღე იქნებოდა საჭირო მუშის ცხოვრების დღიურ საარსებო საშუალებათა ეკვივალენტის შესაქმნელად, შესაბამისად მისი ცხოვრების წინანდელი დონისა. ზედმეტი შრომა ამიტომ ექვსი საათიდან ოთხამდე ჩამოვიდოდა, ხოლო მოგების დონე ასიდან ორმოცდაათ პროცენტამდე დაეცემოდა. ასეთ პირობებში მუშა, რომელიც ხელფასის მომატებას მოითხოვს, მოითხოვს მხოლოდ თავისი შრომის გადიდებულ ღირებულებას ისევე, როგორც ყველა სხვა საქონლის გამყიდველი ცდილობს, თუ მისი საქონლის ხარჯები გაღიდდა, აინაზღაუროს ეს გადიდებული ღირებულება. თუ ხელფასი არ გაიზარდა, ან საკმაოდ არ გაიზარდა იმისთვის, რომ მუშას აუცილებელი მოთხოვნილების საგნების გაძვირება აუნაზღაუროს, შრომის ფასი მისი ღირებულების ქვემოთ დაიწევს, და მუშის მდგომარეობა მაშინ გაუარესდება.

მაგრამ შეიძლება ცვლილება მოხდეს საწინააღმდეგო მიმართულებითაც. შრომის საწარმოო ძალის მომატებით ყოველდღიურ აუცილებელ მოთხოვნილების საგნების ფასი, შეიძლება, საშუალოდ სამი შილინგიდან ორ შილინგზე ჩამოვიდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუშის ყოველდღიური აუცილებელი მოთხოვნილების საგნების ღირებულების ეკვივალენტის შესაქმნელად წინანდელი ექვსი საათის მაგივრად ოთხი საათი მოუნდება. ამ შემთხვევაში მუშას შეეძლება ორი შილინგით იმდენივე აუცილებელი მოთხოვნილების საგნები აყიდოს, რამდენსაც წინათ სამ შილინგად ყიდულობდა. შრომის ღირებულება. სინამდვილეში დაცემული იქნებოდა, მაგრამ ეს შემცირებული ღირებულება საკმარისი იქნებოდა იმავე რაოდენობის საქონლის საყიდლად, როგორც წინათ. მაშინ მოგება სამი შილინგიდან ოთხამდე აიწევდა, ხოლო მოგების ნორმა კი ასიდან ორას პროცენტამდე. თუმცა მუშის არსებობის აბსოლუტური პირობები არ შეიცვლებოდა, მაგრამ მისი შეფარდებითი ხელფასი და ამასთანავე მისი შეფარდებითი სოციალური მდგომარეობა, კაპიტალისტის მდგომარეობასთან შედარებით, გაუარესდებოდა. თუ მუშა წინააღმდეგობას გაუწევდა შედარებითი ხელფასის შემცირებას, ის ამით შეეცდებოდა მხოლოდ თავისი ხვედრი მიეღო თავისივე შრომის საწარმოო ძალის ზრდაში და თა-

ვისი წინანდელი მდგომარეობა შეენარჩუნებინა სოციალურ კიბეზე. ინგლისელმა მეფაბრიკე ლორდებმა პურის კანონების გაუქმების შემდეგ 10 პროცენტით შეამცირეს ხელფასი და ამით აშკარად დაარღვიეს «საზეიმო» დაპირებები, რომლებსაც პურის კანონების საწინააღმდეგო აგიტაციის დროს იძლეოდნენ. პირველად მუშების წინააღმდეგობა დამარცხდა, მაგრამ შემდეგ ზოგიერთ გარემოებათა გამო, რომელსაც აქ დაწვრილებით ვერ შევეხები, დაკარგული ათი პროცენტი ხელახლა მოპოვებული იქნა;

2. აუცილებელი მოთხოვნილების საგნების ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, და, მაშასადამე, შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ც შეიძლება უცვლელი დარჩეს, მაგრამ ამასთანავე შრომის ფასი, ფ უ ლ შ ი გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ი, შეიძლება შეიცვალოს, როცა იცვლება ფ უ ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა.

მდიდარი მადნების აღმოჩენისა და სხვ. გამო შეიძლება მოხდეს, რომ ორი უნცი ოქროს მოპოვებას იმაზე მეტი შრომა არ დაჭირდეს, რამდენიც წინათ ერთ უნცს ჭირდებოდა. ამ შემთხვევაში ოქროს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნახევრად, ე. ი. 50%-ით შემცირდებოდა. ამიტომ ფულში გამოხატული ფასი როგორც ყველა სხვა საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს, ისე შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა ც, ორჯერ მეტი იქნებოდა, ვიდრე წინათ. თორმეტი საათის შრომა, რომელიც წინათ ექვს შილინგს უდრიდა, ახლა, თორმეტ შილინგში გამოიხატება. თუ ამ დროს მუშის ხელფასი 3 შილინგი დარჩებოდა, იმის მაგივრად, რომ 6 შილინგზე ასულიყო, მაშინ მ ი ს ი შ რ ო მ ი ს ფ უ ლ ა დ ი ფ ა ს ი მ ი ს ი შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ს შეესაბამებოდა მხოლოდ და მუშის ცხოვრების დონე უაღრესად გაუარესდებოდა. იგივე მოხდებოდა მეტი თუ ნაკლები სიძლიერით იმ შემთხვევაშიც, თუ მისი ხელფასი მოიმატებდა, მაგრამ არა ოქროს ღირებულების დაცემის პროპორციულად. ამ შემთხვევაში არავითარი ცვლილება არ მოხდებოდა არც შრომის საწარმოო ძალებში, არც მიწოდება-მოთხოვნაში, არც ღირებულებებში. არაფერი შეიცვლებოდა, გარდა ამ ღირებულებათა ფულადი ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ი ს ა. ამ შემთხვევაში იმის თქმა, რომ მუშა არ უნდა შეეცადოს ხელფასის სათანადო პროპორციით მომატებას, იგივე იქნებოდა, რომ მისთვის გვერჩია ნივთების მაგივრად დაკმაყოფილდეს მათი სახელებით. მთელი წარსული ისტორია მოწმობს, რომ ყოველთვის, როცა ფულის ასეთი გაუფასურება ხდებოდა, კაპიტალისტები მუდამ ცდილობდნენ ესარგებლათ შემთხვევით და მუშები მოეტყუებინათ. ერთი ძლიერ

დიდი სკოლის ეკონომისტები გვარწმუნებენ, რომ ოქროს შემცველი ახალი მიწების აღმოჩენის, ვერცხლის მადნების უკეთესად დამუშავებისა და ვერცხლისწყლის უფრო იაფად მიწოდების გამო, ძვირფასი ლითონების ღირებულება ხელახლა დაეცა. ამით შეიძლება იმ საყოველთაო ბრძოლის ახსნა, რომელიც ერთსადაიმავე დროს დაიწყო კონტინენტზე ხელფასის მოსამატებლად.

3. აქამდე ჩვენ წარმოდგენილი გვქონდა, რომ სამუშაო დღეს გარკვეული საზღვრები აქვს. მაგრამ თავისთავად მას მუდმივი საზღვრები არა აქვს. კაპიტალის მუდმივი ტენდენციაა ის უკიდურეს ფიზიკურად შესაძლებელ საზღვრებამდე გააგრძელოს, იმიტომ რომ სამუშაო დღის გადიდებასთან ერთად პროპორციულად იზრდება ზედმეტი შრომაც და, მაშასადამე, ამ უკანასკნელიდან გამომდინარე მოგებაც. რაც უფრო ახერხებს კაპიტალი სამუშაო დღის გაგრძელებას, მით უფრო დიდი ხდება მის მიერ მითვისებული შრომა სხვა ადამიანებისა. XVII და თვით XVIII საუკუნის პირველ ორ მესამედში ინგლისში ნორმალური იყო 10 საათის სამუშაო დღე. ანტიიაკობინური ომის დროს, რომელსაც სინამდვილეში ბრიტანელი არისტოკრატები ბრიტანელ მუშათა მასის წინააღმდეგ აწარმოებდნენ, კაპიტალი თავის ვაკხანალიებს დღესასწაულობდა და სამუშაო დღეს ათიდან თორმეტ, თოთხმეტ და თვრამეტ საათამდე აგრძელებდა. მალთუსი, რომელსაც თქვენ, რასაკვირველია, ვერავითარ გულჩვილ სანტიმენტალობას ვერ დაწამებთ, თავის, დაახლოებით 1815 წელს გამოქვეყნებულ, პამფლეტში ამბობდა, რომ თუ ასე გაგრძელდა, ერის არსებობას განადგურება ემუქრებაო. დაახლოებით 1765 წელს, რამდენიმე წლით ადრე ახლადგამოგონილი მანქანების საყოველთაო შემოღებამდე, ინგლისში გამოვიდა პამფლეტი შემდეგი სათაურით: «ნარკვევი მრეწველობის შესახებ». ანონიმური ავტორი, მუშათა კლასის შეურიგებელი მტერი, ლაყბობს სამუშაო დღის გაგრძელების აუცილებლობაზე. სხვათაშორის, ამ მიზნის მისაღწევ ერთ-ერთ საშუალებად ის «სამუშაო სახლების» დაარსებას თვლის, რომლებიც, მისი აზრით, «საშინელების სახლები» უნდა გახდნენ. როგორი ხანგრძლივობის სამუშაო დღე მიაჩნია მას საჭიროდ ამ «საშინელებათა სახლებში»? თორმეტი საათის, სწორედ ის დრო, რომელიც 1832 წელს კაპიტალისტებმა, ეკონომისტებმა და მინისტრებმა აღიარეს არა მარტო სინამდვილეში არსებულ, არამედ

აუცილებელ სამუშაო დროდ ბავშვებისათვის თორმეტი წლის ასაკამდე.

როცა მუშა თავის სამუშაო ძალას ყიდის, და ის კი არსებულ სისტემაში იძულებულია ასე მოიქცეს, იგი უთმობს კაპიტალისტს ამ ძალის მოხმარების უფლებას, მაგრამ ეს მხოლოდ განსაზღვრულ გონივრულ საზღვრებში. მუშა ყიდის თავის სამუშაო ძალას, ბუნებრივ გაცვეთას თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ, იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ის და არა იმისთვის, რომ გაანადგუროს იგი. როცა ის სამუშაო ძალას მისი დღიური ან კვირეული ღირებულების მიხედვით ყიდის, თავისთავად იგულისხმება, რომ ეს სამუშაო ძალა ერთი დღის ან ერთი კვირის განმავლობაში ისე არ უნდა იქნეს დახარჯული და გამოყენებული, როგორც ამას ადგილი ექნებოდა ორი დღის ან ორი კვირის განმავლობაში. აიღეთ მანქანა, რომელიც ათასი გირვანქა სტერლინგი ღირს. თუ ეს მანქანა ათი წლის განმავლობაში ვამუშავეთ, ის მიუმატებს ას გირვანქა სტერლინგს ყოველწლიურად იმ საქონლის ღირებულებას, რომლის წარმოებაშიაც ის მონაწილეობას იღებს, ხუთი წლის ხმარებაში კი 200 გირვ. სტერლინგს მიუმატებს ყოველწლიურად. ე. ი. მისი ყოველწლიური გამოყენების ღირებულება უკუპროპორციულია მისი გაცვეთის სიჩქარისა. მაგრამ სწორედ აქ ჩანს ძირითადი განსხვავება მუშასა და მანქანას შორის; მანქანა არ ცვდება იმავე შეფარდებითვე, როგორითაც ხდება მისი გამოყენება. ადამიანი კი, პირიქით, ბევრად უფრო დიდი პროპორციით ცვდება, ვიდრე შეიძლებოდა შრომის წმინდა რაოდენობითი ზრდის მიხედვით გვეფიქრა.

როცა მუშები გადაჭარბებული სამუშაო დღის შემცირებას ცდილობენ წინანდელ ზომიერ დონემდე ან, სადაც ნორმალური სამუშაო დღის დაწესებას კანონით ვერ აღწევენ, უზომო შრომას ხელფასის მომატებით ებრძვიან, რომელიც არა თუ შეფარდებული იქნებოდა ზედმეტი შრომის ზრდასთან, არამედ კიდეც გადააჭარბებდა მას, — მაშინ ისინი მხოლოდ ვალს იხდიან თავიანთ თავის და თავიანთ ჩამომავლობის წინაშე. ისინი მხოლოდ საზღვარს უდებენ კაპიტალის ტირანულ უზურპაციას. დრო სივრცეა ადამიანის განვითარებისათვის. თავისუფალ დროს მოკლებული ადამიანი, რომელმაც მთელი ცხოვრება, წმინდა ფიზიკური პაუზების გამოკლებით ძილისთვის, ჭამისთვის და სხვ., კაპიტალისტის სამსახურს უნდა შესწიროს, ტვირთმზიდავ პირუტყვზე დაბლა დგას. ის მხოლოდ სხვისი სიმდიდრის მწარმოებელი მანქანაა, ფიზიკურად მოტეხილი და

სულიერად პირუტყვად ქცეული. და მთელი თანამედროვე მრეწველობის ისტორია გვიჩვენებს, რომ თუ კაპიტალი არ აილაგმა, ის შეუბრალებლად და დაუზოგავად შეეცდება მთელი მუშათა კლასი დაიყვანოს დაბლა ამ უღრმესი დეგრადაციის დონემდე.

შეიძლება კაპიტალისტმა სამუშაო დღის გაგრძელებასთან ერთად ხელფასსაც მოუმატოს, მაგრამ შრომის ღირებულება მაინც დაეცეს: ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ხელფასმა ვერ იმატა ისე, როგორც მატულობს გამოყენებული სამუშაო დრო და ამით გამოწვეული სამუშაო ძალის სწრაფი გაცვეთა. კაპიტალისტს შეუძლია ამას სხვა გზითაც მიაღწიოს. ინგლისელი ბურჟუაზიული სტატისტიკოსები გეტყვიან, მაგალითად, რომ ლანკაშირის ფაბრიკებში მომუშავე ოჯახების ხელფასმა იმატა; მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ახლა არა მარტო მამაკაცი, ოჯახის უფროსი, არამედ მისი ცოლი და სამი თუ ოთხი ბავშვი მსხვერპლად უვარდებიან ქვეშ კაპიტალის ჯაგერნაუტის ბორბლებს[1] და რომ მთელი ხელფასის ჯამის მომატება არ შეეფერება მუშის ოჯახიდან ამოწურული ზედმეტი შრომის ჯამს.

მაგრამ თვით სამუშაო დღის მოცემულ საზღვრებში, როგორიც არსებობს ახლა ყველა საფაბრიკო კანონებისათვის დაქვემდებარებულ მრეწველობის დარგებში, ხელფასის გადიდება შეიძლება აუცილებელი გახდეს თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ შენარჩუნებულ იქნას შრომის ღირებულების ძველი დონე. შრომის ინტენსივობის მომატების გამო შეიძლება ადამიანი იძულებული გახდეს ერთ საათში იმდენი სასიცოცხლო ძალა დახარჯოს, რამდენსაც წინათ ორ საათში ხარჯავდა. ეს უკვე რამდენადმე განხორციელებულია საფაბრიკო კანონებს დამორჩილებულ მრეწველობის დარგებში, მანქანების მუშაობის აჩქარებით და აგრეთვე იმით, რომ ახლა ერთი კაცი ვალდებულია ბევრ მომუშავე მანქანას ადევნოს თვალყური. თუ შრომის ინტენსივობა ან საათში დახარჯული სამუშაო ძალის რაოდენობა იზრდება შესაფერი პროპორციით სამუშაო დღის შემოკლებასთან ერთად, მუშა ასე თუ ისე მოგებაში რჩება. მაგრამ როცა ეს პროპორცია ირღვევა, მუშა კარგავს ერთ შემთხვევაში იმას, რასაც იგებს მეორეში, და ათი საათის მუშაობამ შეიძლება ისეთივე გამანადგურებელი გავლენა იქონიოს, როგორიც წინათ თორმეტს ჰქონდა. როცა მუშა კაპიტალის ასეთ ტენდენ-

[1] მარქსი აქ გულისხმობს ეტლს, რომლითაც დღესასწაულის დროს ქ. პურის ქუჩებში ატარებდნენ ინდუსთა ღვთაების ვიშნუ-ჯაგერნაუტის გამოსახულებას, ამ ეტლის თვლებში მრავალი მორწმუნე ვარდებოდა და იღუპებოდა. რ ე დ.

ციას წინ ეღობება და ხელფასის მოსამატებლად იბრძვის, რომ ხელფასი შრომის აწეულ ინტენსივობას შეესაბამებოდეს, ამით ის მხოლოდ თავისი შრომის გაუფასურებას და თავისი მოდგმის გადაგვარებას ეწინააღმდეგება.

4. თქვენ ყველამ იცით, რომ, განსაზღვრული მიზეზების გამო, რომლებიც არ არის საჭირო განვმარტო აქ, კაპიტალისტური წარმოება მოძრაობს განსაზღვრულ პერიოდულ ციკლებში. ის გაივლის სიწყნარის, მზარდი გამოცოცხლების, აყვავების, ჭარბი წარმოების, კრიზისისა და შეფერხების მდგომარეობას. საქონლის საბაზრო ფასები და მოგების საბაზრო ნორმა ამ ფაზებს მისდევენ ისე, რომ ხან მათ საშუალო დონეზე დაბლა ეცემიან, ხან ისევ მასზე მაღლა იწევენ. მთელი ამ ციკლის განხილვა თქვენ დაგანახვებთ, რომ საბაზრო ფასების ერთ გადახრას ათანაბრებს მეორე და საშუალოდ ციკლის ფარგლებში, საქონლის საბაზრო ფასებს მისი ღირებულება აწესრიგებს. ამრიგად, საბაზრო ფასების დაწევის, კრიზისისა და შეფერხების ფაზებში მუშა, თუ ის საერთოდ უმუშევრად არ დარჩა, დარწმუნებით უნდა მოელოდეს თავისი ხელფასის შემცირებას; მაგრამ თვით საბაზრო ფასების ასეთი დაცემის დროსაც მან, რომ მოტყუებული არ გამოვიდეს, დავა უნდა აწარმოოს კაპიტალისტთან იმის შესახებ, თუ რამდენად და როგორი პროცენტითაა ხელფასის დაწევა აუცილებელი. მუშა რომ აყვავების ფაზაში, როცა წარმოება დამატებით მოგებას იძლევა, ხელფასის მომატებისათვის არ იბრძოდეს, მაშინ, სამრეწველო ციკლის საშუალო რომ ავიღოთ, ის ვერ მიიღებდა თვით თავის ს ა შ უ ა ლ ო ხ ე ლ ფ ა ს ს ანუ თავისი შრომის საშუალო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს. უაღრესად დიდი სისულელე იქნებოდა მოგვეთხოვა, რომ მუშამ, რომლის ხელფასი სამრეწველო ციკლის დაღმავალი ფაზის მეოხებით გარდუვალად მცირდება, არ ისარგებლოს აყვავების ფაზით თავისი ზარალის ასანაზღაურებლად. საზოგადოდ, ყოველი საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ხორციელდება მხოლოდ გამუდმებით ცვალებადი საბაზრო ფასების გათანასწორებით, ეს ფასები კი განუწყვეტლივ იცვლებიან მოთხოვნისა და მიწოდების მუდმივი ქანაობის გამო. თანამედროვე სისტემის საფუძველზე შრომა მხოლოდ საქონელია, როგორც ყველა სხვა საქონელი და, მაშასადამე, უნდა განიცადოს ისეთივე რყევა, როგორც ყველა სხვა საქონელმა, რომ მიუდგეს იმ საშუალო ფასს, რომელიც მის ღირებულებას შეეფარდება. უაზრობა იქნებოდა, რომ, ერთი მხრივ, შრომა აგვეღო, როგორც საქონელი, ხოლო, მეორე მხრივ, ის

დაგვეყენებინა იმ კანონების გარეშე, რომლებიც საქონლის ფასებს აწესრიგებენ. მონა საცხოვრებლად მტკიცე და განსაზღვრულ რაოდენობის საარსებო საშუალებებს ღებულობს; დაქირავებულ მუშას ეს არ აქვს. ის უნდა შეეცადოს ერთ შემთხვევაში ხელფასის მომატებას, თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ აინაზღაუროს ხელფასის დანაკლისი მეორე შემთხვევაში. თუ მან კაპიტალისტის სურვილები და კარნახი უცვლელ ეკონომიურ კანონად მიიჩნია, მაშინ მას მოუხდება მონური გაჭირვების ატანა, ხოლო მონასავით უზრუნველყოფილი კი არ იქნება.

5. ყველა, ჩემ მიერ განხილულ, შემთხვევაში, რაც საერთო შემთხვევათა 99% შეადგენს, თქვენ დაინახეთ, რომ ბრძოლა ხელფასის მომატებისათვის გამოწვეულია მხოლოდ წ ი ნ ა მ ო რ ბ ე დ ი ცვლილებებით და აუცილებელი ნაყოფია იმ წინანდელ ცვლილებათა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წარმოების ფარგლებში, შრომის საწარმოო ძალაში, შრომის და ფულის ღირებულებაში, მუშისაგან გამოწოვილი შრომის ხანგრძლივობისა და ინტენსივობის გადიდებაში, საბაზრო ფასების რყევაში, რაც თავის მხრივ მიწოდების და მოთხოვნის რყევაზე და სამრეწველო ციკლის სხვადასხვა ფაზაზეა დამოკიდებული. ერთი სიტყვით, ბრძოლა შრომის რეაქციაა კაპიტალის ადრინდელი მოქმედების წინააღმდეგ. თუ თქვენ ბრძოლას ხელფასის მომატებისათვის ისე შეხედავთ, რომ უყურადღებოდ დატოვებთ ყველა ამ გარემოებას, თუ თქვენ ხელფასის ცვლილებას აღნიშნავთ და მის გამომწვევ გარემოებებს ანგარიშს არ გაუწევთ, — მაშინ თქვენ გამოხვალთ ყალბი წანამძღვარიდან, რათა მიხვიდეთ ყალბ დასკვნამდე.

14. ბ რ ძ ო ლ ა კ ა პ ი ტ ა ლ ს ა დ ა შ რ ო მ ა ს შ ო რ ი ს დ ა მ ი ს ი შ ე დ ე გ ე ბ ი

1. ზემოთ მე დაგანახვეთ, რომ თუ მუშები პერიოდულ წინააღმდეგობას უწევენ ხელფასის შემცირებას და პერიოდულად ცდილობენ, რომ ის მომატებულ იქნეს, ეს მოვლენა განუყრელადაა დაკავშირებული დაქირავებული შრომის სისტემასთან და იმითაა გამოწვეული, რომ შრომა სხვა საქონელთან არის გათანასწორებული და ამიტომ ის ექვემდებარება იმ კანონებს, რომლებიც ფასების მოძრაობას აწესრიგებენ საერთოდ. შემდეგ ჩვენ დავინახეთ, რომ ხელფასის საზოგადო მომატებას მოგების ნორმის საზოგადო შემცირება მოყვება, მაგრამ საქონლის საშუალო ფასი და ღირებულება ამ მომა-

ტების გავლენას არ განიცდის. ახლა იბადება საკითხი: რამდენად შესაძლოა იმ შეუწყვეტელ ბრძოლაში, რომელიც აქვთ ერთმანეთთან კაპიტალსა და შრომას, ამ უკანასკნელმა იქონიოს გამარჯვების იმედი?

მე შემეძლო ზოგადად მეპასუხნა და მეთქვა, რომ როგორც ყველა საქონლის, ისე შრომის ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი დროთა მსვლელობაში მის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს შეეგუება: ამიტომ ყოველი შემცირების და მომატების მიუხედავად, რაც არ უნდა მოიმოქმედოს მუშამ, ის საშუალოდ მიიღებს მხოლოდ თავისი შრომის ღირებულებას, რომელიც მისი სამუშაო ძალის ღირებულებაზე დაიყვანება და რაც თავის მხრივ განისაზღვრება იმ საარსებო საშუალებათა ღირებულებით, რაც ამ ძალის შესანახად და აღსადგენად არის საჭირო; ხოლო აუცილებელი მოთხოვნილების საგანთა ეს ღირებულება, თავის მხრივ, მათ საწარმოებლად აუცილებელი შრომის რაოდენობით განისაზღვრება.

მაგრამ არის ზოგიერთი განსაკუთრებული გარემოება, რომელიც ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ა ს ანუ შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ანსხვავებს ყველა სხვა საქონლის ღირებულებისაგან. სამუშაო ძალის ღირებულებაში შედის ორი ელემენტი: ერთი — უბრალო ფიზიკური, ხოლო მეორე — ისტორიული ანუ საზოგადოებრივი. მის ქ ვ ე დ ა ს ა ზ ღ ვ ა რ ს ფ ი ზ ი კ უ რ ი ელემენტი განსაზღვრავს, ე. ი. მუშათა კლასს უნდა ექნეს ცხოვრებისა და გამრავლებისათვის აბსოლუტურად აუცილებელი მოთხოვნილების საგნები, რათა თავისი თავი შეინახოს და აღადგინოს, თავისი ფიზიკური არსებობა შეუჩერებლივ განაგრძოს. ამიტომ ამ აბსოლუტურად აუცილებელი მოთხოვნილების საგანთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ქვედა საზღვარს წარმოადგენს. მეორე მხრივ, სამუშაო დღის ხანგრძლივობასაც თავისი უკიდურესი, თუმცა მეტად ელასტიური, საზღვარი აქვს. მისი უკიდურესი საზღვარი მოცემულია მუშის ფიზიკური ძალის სახით. თუ მუშის სასიცოცხლო ძალის ყოველდღიური დახარჯვა გარკვეულ საზღვარს ცილდება, მაშინ მას არ შეეძლება დღითი-დღე იმუშაოს. მაგრამ როგორც ვთქვი, ეს საზღვრები მეტად ელასტიურია. სუსტ და დღენაკლებ თაობათა ჩქარი შეცელა ისევე კარგად უზრუნველყოფს ბაზარს სამუშაო ძალით, როგორც ძალღონით სავსე და დღეგრძელ თაობათა რიგი.

გარდა ამ წმინდა-ფიზიკური ელემენტისა, შრომის ღირებულება განისაზღვრება თვითეულ ქვეყანაში ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ტ რ ა დ ი-

ციული დონით. ის მდგომარეობს არა უბრალო ფიზიკურ არსებობაში, არამედ იმ განსაზღვრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, რომელნიც წარმოიშობიან იმ საზოგადოებრივი პირობების მეოხებით, რომლებშიც ცხოვრობენ და იზრდებიან ადამიანები. ინგლისელის ცხოვრების დონე შეიძლება დაყვანილ იქნას ირლანდიელის, ხოლო გერმანელი გლეხის დონე — ლატვიელი გლეხის დონემდე. იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ამ შემთხვევაში ისტორიული ტრადიციები და სოციალური ჩვეულებები თამაშობენ, თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ტორნტონის შრომაში «ჭარბი მოსახლეობა». აქ ის ამტკიცებს, რომ საშუალო ხელფასი ახლაც ცოტად თუ ბევრად განსხვავდება ინგლისის სხვადასხვა სამიწათმოქმედო ოლქებში, იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელსაყრელ პირობებში დააღწია თავი ამა თუ იმ ოლქმა ბატონყმურ დამოკიდებულებას.

ეს ისტორიული თუ სოციალური ელემენტი, როცა ის შრომის ღირებულებაში შედის, შეიძლება გადიდდეს ან შემცირდეს, ან სრულიადაც მოისპოს ისე, რომ არაფერი არ დარჩეს, გარდა ფიზიკური საზღვრებისა. ანტიიაკობინური ომის დროს, რომელსაც ინგლისი შეუდგა იმ მიზნით, რომ ჩვენი «წმინდა» სარწმუნოების სასოებანი გადაერჩინა საფრანგეთის ურწმუნოებისაგან, — ასე უყვარდა გამოთქმა მოხუც, გაუსწორებელ, გადასახადების მჭამელ და სინეკურების მოტრფიალე ჯორჯ როზს, — გულკეთილმა ინგლისელმა ფერმერებმა, რომლებსაც ჩვენ ასე რბილად შევეხეთ ჩვენი მოხსენების წინა თავში, მიწის მუშების ხელფასი თვით იმ წმინდა ფიზიკურ მინიმუმზე დაბლა დასწიეს, ხოლო რაც მუშებს თავიანთი ჩამომავლობის შესანახად აკლდებოდათ, ფერმერები ცდილობდნენ «ღატაკთა კანონის» შემწეობით შეევსოთ. ეს იყო საუცხოო საშუალება დაქირავებული მუშის მონად, ხოლო შექსპირის ამაყი მიწათმოქმედის — იომენის — პაუპერად გადასაქცევად.

თუ თქვენ ჩვეულებრივ ხელფასს ანუ შრომის ღირებულებას სხვადასხვა ქვეყანაში და ერთდაიმავე ქვეყნის სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში შეადარებთ ერთმანეთს, დაინახავთ, რომ თვით შრომის ღირებულება მუდმივი კი არა, ცვალებადი სიდიდეა, და ეს თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვიგულისხმებთ, რომ ყველა სხვა საქონლის ღირებულება უცვლელი რჩება.

ასეთი შედარება დაამტკიცებდა, რომ არა მარტო მ ო გ ე ბ ი ს ს ა ბ ა ზ რ ო ნ ო რ მ ა, არამედ თვით მოგების ს ა შ უ ა ლ ო ნ ო რ მ ა ც იცვლება.

მ ო გ ე ბ ი ს თ ვ ი ს არ არსებობს კანონი, რომელიც მის მ ი ნ ი მ უ მ ს საზღვრავდეს. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, როგორია მისი დაცემის ქვედა საზღვარი, და რატომ არ შეგვიძლია ჩვენ ამ საზღვრის დადგენა? იმიტომ, რომ ჩვენ შეგვიძლია ხელფასის მ ი ნ ი მ უ მ ი ს განსაზღვრა, მაგრამ არ შეგვიძლია მისი მ ა ქ ს ი მ უ მ ი ს განსაზღვრა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ თუ სამუშაო დღის საზღვრები მოცემულია, მ ო გ ე ბ ი ს მ ა ქ ს ი მ უ მ ი ხ ე ლ ფ ა ს ი ს ფ ი ზ ი კ უ რ მ ი ნ ი მ უ მ ს შეესაბამება, ხოლო მოცემული ხელფასის პირობებში მ ო გ ე ბ ი ს მ ა ქ ს ი მ უ მ ი შეესაბამება სამუშაო დღის იმ ხანგრძლივობას, რომელიც კიდევ შეიძლება აიტანოს მუშის ფიზიკურმა ძალამ. ამრიგად, მოგების მაქსიმუმი თავის საზღვრებს ხელფასის ფიზიკურ მინიმუმსა და სამუშაო დღის ფიზიკურ მაქსიმუმში პოულობს. ცხადია, რომ მ ო გ ე ბ ი ს ა მ მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ნ ო რ მ ი ს ორ საზღვარს შორის შესაძლებელია ვეებერთელა კიბე ვარიაციებისა. ფაქტიური მოგების ნამდვილი დონის განსაზღვრა ხდება მხოლოდ კაპიტალსა და შრომას შორის მუდმივი ბრძოლის საშუალებით: კაპიტალისტი მუდამ ცდილობს ხელფასი მის ფიზიკურ მინიმუმამდე დაწიოს, ხოლო სამუშაო დღე ფიზიკურ მაქსიმუმამდე გააგრძელოს, მუშა კი მუდამ საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს.

ეს საკითხი თავისთავად იქცევა მებრძოლი მხარეების ძალთა შეფარდების საკითხად.

2. რაც შეეხება ს ა მ უ შ ა ო დ ღ ი ს შ ე ზ ღ უ დ ვ ა ს ინგლისში, და ასევე სხვა ქვეყნებში, ის არასოდეს არ განხორციელებულა კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ი ს ჩ ა უ რ ე ვ ლ ა დ. ეს ჩარევა კი არასოდეს არ მოხდებოდა მუშების მხრით მუდმივი ძალდატანების გარეშე. ყოველ შემთხვევაში, სამუშაო დღის შეზღუდვას ვერასოდეს ვერ მივაღწევდით მუშების და კაპიტალისტების კერძო შეთანხმებით. სწორედ ს ა ე რ თ ო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ეს აუცილებლობა წარმოადგენს იმის დამტკიცებას, რომ წმინდა ეკონომიური ხასიათის ბრძოლაში კაპიტალი უფრო მძლავრ მხარეს წარმოადგენს.

რაც შეეხება შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ს, მათი ფაქტიური დადგენა ყოველთვის მიწოდება-მოთხოვნაზეა დამოკიდებული — მე ვლაპარაკობ შრომის მოთხოვნაზე კაპიტალის

მხრივ და შრომის მიწოდებაზე მუშების მხრივ. კოლონიურ ქვეყნებში მოთხოვნისა და მიწოდების კანონი ხელსაყრელია მუშებისათვის. ამით აიხსნება ხელფასის შედარებით მაღალი დონე შეერთებულ შტატებში. იქ კაპიტალს, რაც არ უნდა ეცადოს, არ შეუძლია ხელი შეუშალოს შრომის ბაზრის დაცარიელებას, რომელიც გამოწვეულია დაქირავებული მუშების დამოუკიდებელ და თავისუფალ გლეხებად გადაქცევის უწყვეტი პროცესით. დაქირავებული მუშის მდგომარეობაში ყოფნა ამერიკელთა უდიდესი ნაწილისათვის მხოლოდ გარდამავალი მდგომარეობაა, რომელსაც ისინი ადრე თუ გვიან აუცილებლად დატოვებენ [1]. რომ გამოესწორებინა კოლონიებში ეს პირობები, მამობრივად მზრუნველმა ბრიტანეთის მთავრობამ ცოტა ხნის წინათ ეგრეთწოდებული უახლოესი საკოლონიზაციო თეორია მიიღო. ამ თეორიის მიხედვით კოლონიურ მიწებზე ხელოვნურად მაღალი ფასები წესდება, რათა ამგვარად შეფერხდეს ჩქარი გადაქცევა დაქირავებულ მუშებისა დამოუკიდებელ გლეხებად.

მაგრამ გადავიდეთ ძველ ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც კაპიტალი ბატონობს მთელ წარმოების პროცესში. აიღეთ, მაგალითად, სოფლის მუშების ხელფასის მომატება ინგლისში 1849 წლიდან 1859 წლამდე. როგორი იყო მისი შედეგები? ფერმერებმა ვერ შესძლეს, როგორც ამას ჩვენი მეგობარი უესტონი ურჩევდა, არა თუ ხორბლის ღირებულების, არამედ მისი საბაზრო ფასის აწევაც. პირიქით, იძულებული იყვნენ შერიგებოდნენ ფასების დაცემას. მაგრამ ამ თერთმეტი წლის განმავლობაში სხვადასხვაგვარი მანქანები და ახალი მეცნიერული მეთოდები შემოიღეს, სახნავი ადგილების ნაწილი საძოვრად აქციეს, ფერმების მოცულობა გაადიდეს და ამით წარმოების მასშტაბიც. და როდესაც ამით და სხვა ასეთი საშუალებებით, რამაც შრომის საწარმოო ძალა გაზარდა, მუშა-ხელზე მოთხოვნილება შეამცირეს, სოფლის მუშათა მოსახლეობა ხელახლა გახდა შედარებით ჭარბი. ასეთია საზოგადო მეთოდი, რომ-

[1] იხ. «კაპიტალის» I ტომი, თავი 25, შენიშვნა 253: «აქ ლაპარაკია ნამდვილ კოლონიებზე, ყამირზე, რომელიც დასახლებულია თავისუფალი ემიგრანტების მიერ. შეერთებული შტატები ეკონომიური თვალსაზრისით ჯერ კიდევ ევროპის კოლონიაა. თუმცა აქ იგულისხმება ისეთი ძველი გაშენებული ადგილებიც, სადაც მონობის მოსპობამ ძირფესვიანად შეცვალა მთელი ურთიერთობა». მას შემდეგ, რაც კოლონიებში მიწა ყველგან კერძო საკუთრებად იქნა მითვისებული, დაქირავებულ მუშათა დამოუკიდებელ მწარმოებლებად გადაქცევა შეუძლებელი შეიქნა. რ ე დ.

ლითაც კაპიტალის რეაქცია ჩქარა ან ნელა მუშაობს ხელფასის მომატების წინააღმდეგ ძველ ქვეყნებში, სადაც ყველა მიწა დაკავებულია. რიკარდომ სრულიად სამართლიანად შენიშნა, რომ მანქანა მუდმივ კონკურენციაში იმყოფება შრომასთან და ხშირად ის მხოლოდ მაშინ შეიძლება შემოღებულ იქნეს, როცა შრომის ფასი განსაზღვრულ სიმაღლეს მიაღწევს; მაგრამ მანქანის გამოყენება მხოლოდ ერთი მრავალ საშუალებათაგანია შრომის საწარმოო ძალის გასაძლიერებლად. იგივე განვითარების პროცესი, რომელიც შედარებით ზედმეტად ხდის უბრალო შრომას, მეორე მხრივ ამარტივებს კვალიფიციურ შრომას და ამგვარად ძირს სწევს მის ღირებულებას.

იგივე კანონი სხვა გზითაც იჩენს თავს. შრომის საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად, თვით შრომის ხელფასის შედარებით მაღალი დონის მიუხედავად, ჩქარდება კაპიტალის დაგროვება. აქედან შეიძლებოდა დაგვესკვნა, როგორც ეს ივარაუდა ადამ სმიტმა, რომლის დროს თანამედროვე მრეწველობა ახლად იდგამდა ფეხს, რომ კაპიტალის აჩქარებულმა დაგროვებამ, რომელიც ქმნის მზარდ მოთხოვნას შრომაზე, სასწორი მუშების სასარგებლოდ უნდა გადახაროს. ამ შეხედულების მიმდევარ თანამედროვე მწერლებს უკვირდათ, რომ, თუმცა ინგლისური კაპიტალი უკანასკნელ ოც წელში ბევრად უფრო ჩქარა იზრდებოდა, ვიდრე ინგლისის მოსახლეობა, ხელფასმა მაინც არ მოიმატა. მაგრამ დაგროვების პროგრესიულ ზრდასთან ერთად პროგრესიულად იცვლება კაპიტალის შედგენილობა. მთელი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს, და მანქანებისა, ნედლი მასალისა და სხვადასხვაგვარი საწარმოო საშუალებისაგან შედგება, უფრო ჩქარა იზრდება, ვიდრე კაპიტალის მეორე ნაწილი, რომელიც ხელფასისათვის, ე. ი. შრომის სასყიდლად იხარჯება. ეს კანონი მეტი თუ ნაკლები სისწორით აქვთ ჩამოყალიბებული ბარტონს, რიკარდოს, სისმონდის, პროფ. რიჩარდ ჯონსს, პროფ. რამსეის, შერბულიეს და სხვ.

თუ თავდაპირველად დამოკიდებულება კაპიტალის ამ ორ ნაწილს შორის იყო 1 : 1, მრეწველობის განვითარების პროცესში ის ხდება 5 : 1 და ასე შემდეგ. თუ მთელი კაპიტალიდან, რომელიც ექვსას ერთეულს უდრის, სამასი იარაღსა, ნედლ მასალასა და სხვაზე დაიხარჯება, ხოლო სამასი ხელფასზე, კაპიტალი უნდა გაორკეცდეს, რომ სამასის მაგივრად ექვსას მუშაზე შექმნას მოთხოვნილება. მაგრამ თუ 600 ერთეულიან კაპიტალიდან ხუთასი მანქანებსა, მასალაზე და სხვ. დაიხარჯება, და მხოლოდ ასი ხელფასზე, იგივე

კაპიტალი ექვსასიდან 3600 ერთეულამდე უნდა ავიდეს, რომ სამასის მაგივრად ექვსას მუშაზე შექმნას მოთხოვნილება. ამიტომ მრეწველობის განვითარებასთან ერთად მოთხოვნილება შრომაზე ვერ ეწევა კაპიტალის დაგროვებას. ის თუმცა იზრდება, მაგრამ მისი ზრდა კაპიტალის ზრდასთან შედარებით განუწყვეტლივ მცირდება.

ეს მცირეოდენი შენიშვნები საკმაოა იმის საჩვენებლად, რომ სწორედ თანამედროვე მრეწველობის განვითარებამ სასწორი კაპიტალისტების სასარგებლოდ და მუშების საზიანოდ უნდა დაძლიოს, და, მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების საერთო ტენდენცია ხელფასის საშუალო დონის მომატებისაკენ კი არა, პირიქით, მისი შემცირებისაკენ იხრება, ე. ი. მეტნაკლებად ის მიიმართება იქითკენ, რომ შრომის ღირებულება მის მინიმალურ საზღვრამდე იქნეს დაწეული. მაგრამ თუ საქმის ვითარებას თანამედროვე სისტემაში ასეთი ტენდენცია აქვს, განა ეს იმას ნიშნავს, რომ მუშებმა წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიონ კაპიტალის თავდასხმებს და აღარ შეეცადონ შემთხვევითი შესაძლებლობა თავისი მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესებისათვის გამოიყენონ? ისინი რომ ასე მოქცეულიყვნენ, წელმოტეხილ, იმედდაკარგულ, დაღუპვის გზაზე დამდგარ უფერულ ბრბოს დონემდე დავიდოდნენ. მე მგონია, დაგანახეთ, რომ მუშების ბრძოლა ნორმალური ხელფასისათვის განუყრელად დაკავშირებულია დაქირავებული შრომის მთელ სისტემასთან, რომ მათი მისწრაფება ხელფასის მომატებისადმი ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში ასიდან მხოლოდ იმ ცდას წარმოადგენს, რომ შენარჩუნებულ იქნეს შრომის არსებული ღირებულება და რომ ხელფასისათვის კაპიტალისტებთან ბრძოლის აუცილებლობა დაკავშირებულია მის იმ მდგომარეობასთან, რომელიც აიძულებს მას გაყიდოს თავისი თავი, როგორც საქონელი. თუ მუშები თავიანთ ყოველდღიურ შეტაკებაში კაპიტალის წინააღმდეგ ლაჩრულად დათმობაზე წავლენ, მაშინ ისინი დაკარგავდნენ უნარს თავს ედვათ უფრო ფართო მოძრაობა.

მაგრამ ამავე დროს დაქირავებული შრომის სისტემასთან დაკავშირებული საერთო დამონება რომ სავსებით მხედველობის გარეშე დავტოვოთ, მუშებმა არ უნდა გააზვიადონ ამ ყოველდღიური ბრძოლის საბოლოო შედეგების შეფასება. მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ ამ ყოველდღიურ ბრძოლაში ისინი შედეგებს ებრძვიან და არა მათ წარმომშობ მიზეზებს, რომ თავიანთი ბრძოლით მხოლოდ აჩერებენ მოძრაობას დაქვეითებისაკენ, მაგრამ არ ცვლიან თვით მის მიმართულებას; რომ ისინი მხოლოდ პალიატიურ ზომებს ხმარობენ,

და ავადმყოფობას კი ვერ არჩენენ. ამიტომ მუშები არ უნდა ჩაიფლან მარტოოდენ ამ აუცილებელ პარტიზანულ ომში, რომელსაც კაპიტალის განუწყვეტელი შემოტევა ან ბაზრის მდგომარეობის ცვლილება იწვევს. მუშებმა უნდა გაიგონ, რომ თანამედროვე სისტემა, მთელ იმ სიღატაკესთან ერთად, რომელიც მას მათთვის მოაქვს, ქმნის აუცილებელ მატერიალურ პირობებსა და სოციალურ ფორმებს საზოგადოების ეკონომიურად გარდასაქმნელად. კონსერვატული მოწოდების მაგივრად: «სამართლიანი ხელფასი, სამართლიანი სამუშაო დღისათვის», მათს დროშაზე უნდა დაიწეროს რევოლუციური ლოზუნგი: «დაქირავებული შრომის სისტემის მოსპობა».

ამ მეტად გრძელს და, ვშიშობ, დამქანცველ მოხსენებას, რომელიც უნდა გამეკეთებინა, მთავარი საგნის გასაშუქებლად, მე ვათავებ წინადადებით მიიღოთ შემდეგი რეზოლუცია:

1. ხელფასის დონის საყოველთაო მომატება საერთო მოგების შემცირებას იწვევს, მაგრამ საერთოდ არ მოქმედებს საქონლის ფასებზე.

2. კაპიტალისტურ წარმოების საერთო ტენდენცია იხრება არა საშუალო ნორმალური ხელფასის მომატებისა, არამედ შემცირებისკენ.

3. ტრედ-უნიონები წარმატებით მოქმედებენ როგორც ბრძოლის ცენტრები კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ. ცალკე შემთხვევებში ისინი ვერ აღწევენ მიზანს თავიანთი ძალის მოუფიქრებლად გამოყენების გამო; საერთოდ კი ისინი თავიანთ მიზანს ვერ აღწევენ იმიტომ, რომ კმაყოფილდებიან პარტიზანული ბრძოლით თანამედროვე სისტემის შედეგების წინააღმდეგ, იმის მაგივრად, რომ იმავდროულად შეეცადონ შეცვალონ იგი და თავიანთი ორგანიზებული ძალები გამოიყენონ ბერკეტად მუშათა კლასის საბოლოო განთავისუფლებისათვის, ე. ი. დაქირავებული შრომის სისტემის საბოლოო მოსპობისათვის.

მოხსენება, წაკითხული კ. მარქსის მიერ მუშათა საერთაშორისო ასოციაციის გენერალურ საბჭოს სხდომებზე 1865 წლის 20 და 27 ივნისს.

პირველად გამოქვეყნებულ იქნა ცალკე სათაურით «ხელფასი, ფასი და მოგება». ბროშურის სახით ლონდონში 1898 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით. თარგმანი ინგლისურიდან.

კ. მარქსი

წინასიტყვაობა «კაპიტალის» პირველი ტომის პირველი გერმანული გამოცემისათვის

ნაწარმოები, რომლის პირველ ტომს ამჟამად საზოგადოებას ვაწვდი, წარმოადგენს ჩემ მიერ 1859 წელს გამოქვეყნებული შრომის («პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის») გაგრძელებას. ხანგრძლივი შეჩერება დასაწყისსა და გაგრძელებას შორის გამოიწვია მრავალწლოვანმა ავადმყოფობამ, რომელიც ისევ და ისევ მაწყვეტინებდა მუშაობას.

ზემოაღნიშნული უფრო ადრინდელი ნაწარმოების რეზიუმე მოცემულია ამ ტომის პირველ თავში [1]. ასე მოვიქეცი არა მარტო გამოკვლევის დაწყობილობისა და სისრულის გულისათვის. თვით გადმოცემაა გაუმჯობესებული. მრავალი პუნქტი, რომელიც უწინ მხოლოდ გაკვრით იყო აღნიშნული, აქ, რამდენადაც ნებას იძლეოდა ამ ნაწარმოების შინაარსი, უფრო განვითარებულია, მაშინ როდესაც, პირიქით, ის, რაც უწინ დაწვრილებით განვითარებული იყო, აქ მხოლოდ გაკვრითაა აღნიშნული. განყოფილებები ღირებულების თეორიისა და ფულის თეორიის ისტორიის შესახებ აქ, რასაკვირველია, სრულიად გამოტოვებულია. მაგრამ მკითხველი, რომელიც იმ უწინდელ შრომას იცნობს, აქ პირვე-

[1] «კაპიტალის» პირველი ტომის პირველ გამოცემაში განყოფილებები იყო აღნიშნული როგორც თავები; ამრიგად, ამ შემთხვევაში იგულისხმება პირველი სამი თავი. რედ.

ლი თავის შენიშვნებში ნახავს ახალ წყაროებს ამ თეორიის ისტორიისათვის.

ყოველი დასაწყისი ძნელია, — ეს ჭეშმარიტებაა ყველა მეცნიერებისათვის. ამიტომ პირველი თავის გაგება, განსაკუთრებით იმ განყოფილებისა, რომელიც საქონლის ანალიზს შეიცავს, ყველაზე მეტ სიძნელეს წარმოადგენს. რაც შეეხება კერძოდ ღირებულების სუბსტანციისა და ღირებულების სიდიდის ანალიზს, მე იგი შეძლებისამებრ პოპულარული გავხადე [1].

ღირებულების ფორმა, რომლის დამთავრებული სახე ფულადი ფორმაა, ძალიან უშინაარსოა და მარტივი. მიუხედავად ამისა, ადამიანის გონება ამაოდ ცდილობდა მის გაგებას 2.000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მაშინ როდესაც, მეორე მხრივ, უფრო შინაარსიანი და რთული ფორმების ანალიზი მან შესძლო, დაახლოვებით მაინც. რატომ? იმიტომ, რომ განვითარებული სხეულის შესწავლა უფრო ადვილია, ვიდრე სხეულის უჯრედისა. გარდა ამისა, ეკონომიური ფორმების ანალიზის დროს არ შეიძლება არც მიკროსკოპის და არც ქიმიური რეაქტივების გამოყენება. ორივეს მაგიერობა აბსტრაქციის ძალამ უნდა გასწიოს. ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის კი შრომის პროდუქტის სასაქონლო ფორმა ანუ საქონლის ღირებულებითი ფორმა ეკონომიური უჯრედის ფორმაა. გაუნათლებელ ადამიანს ეს ანალიზი წვრილმანების ქექად ეჩვენება. მართლაც აქ ლაპარაკია წვრილმანებზე, მაგრამ მხოლოდ იმ აზრით, როგორც ამას ადგილი აქვს მიკროანატომიაში.

[1] ეს მით უფრო აუცილებლად მივიჩნიე, რომ თვით ის განყოფილებაც კი ფ. ლასალის თხზულებისა შულცე-დელიჩის წინააღმდეგ, სადაც, ავტორის განცხადებით, გადმოცემულია ჩემი გამოკვლევის «იდეური კვინტესენცია» ამ საგნის შესახებ, საგრძნობ გაუგებრობას შეიცავს. სხვათა შორის: თუ ფ. ლასალმა თავის ეკონომიურ ნაწარმოებთა ყველა ზოგადი თეორიული დებულებანი, — მაგალითად, კაპიტალის ისტორიული ხასიათის შესახებ, წარმოებითი ურთიერთობის და წარმოების წესის ურთიერთ კავშირის შესახებ და სხვ. და სხვ. — თითქმის სიტყვასიტყვით გადაიღო ჩემი თხზულებებიდან, თვით ტერმინოლოგიაც კი, ჩემს მიერ შექმნილი, და გადაიღო წყაროს აღუნიშნავად — ეს, ალბათ, პროპაგანდის მოსაზრებებით აიხსნება. მე, რასაკვირველია, არას ვაბრალებ მისი თეორიის დეტალებზე და პრაქტიკულ გამოყენებაზე, რომელთანაც საერთო არაფერი მაქვს. (მარქსის შენიშვნა.)

ამიტომ იმ განყოფილების გამოკლებით, რომელიც ღირებულების ფორმას ეხება, ამ წიგნს ვერ ვუსაყვედურებთ, რომ იგი ძნელად გასაგებია. მე, რასაკვირველია, მხედველობაში მყავს მკითხველები, რომელთაც სურთ რაიმე ახალი შეისწავლონ და, მაშასადამე, სურთ თვითონაც იაზროვნონ.

ფიზიკოსი უკვირდება ბუნების პროცესებს ან იქ, სადაც ისინი უაღრესად მკაფიო ფორმაში და გარეშე ხელშემშლელ გავლენებისაგან ნაკლებად გაბუნდოვანებული გვევლინებიან, ანდა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ახდენს ექსპერიმენტებს ისეთ პირობებში, რომელნიც უზრუნველჰყოფენ პროცესის წმინდა მსვლელობას. ამ ნაწარმოებში მიზნად დასახული მაქვს გამოვიკვლიო წარმოების კაპიტალისტური წესი და მისი შესაბამისი წარმოების და გაცვლის ურთიერთობანი. მისი კლასიკური ქვეყანა დღემდე ინგლისია. ეს არის მიზეზი, თუ რატომ მივმართავ უმთავრესად ამ ქვეყანას ჩემს თეორიულ დებულებათა საილუსტრაციოდ. მაგრამ, თუ გერმანელმა მკითხველმა დაიწყო ფარისევლურად მხრების აწევა ინგლისის სამრეწველო და სამიწათმოქმედო მუშების მდგომარეობის გამო, ანდა ოპტიმისტურად თავის დამშვიდება, გერმანიაში საქმე ასე ცუდად სრულიად არ არისო, მე უნდა მივაძახო მას: **De te fabula narratur!** [1].

თავისდათავად აქ საქმე შეეხება არა იმ საზოგადოებრივ ანტაგონიზმთა განვითარების მაღალ ან დაბალ დონეს, რომელნიც კაპიტალისტური წარმოების ბუნებრივი კანონებიდან წარმოსდგებიან. საქმე შეეხება თვით ამ კანონებს, თვით ამ ტენდენციებს, რომელნიც მოქმედებენ და ხორციელდებიან რკინისებური აუცილებლობით. ინდუსტრიულად მეტად განვითარებული ქვეყანა უფრო ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას მხოლოდ მისი საკუთარი მომავლის სურათს უჩვენებს.

მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ: სადაც ჩვენში კაპიტალისტური წარმოება სავსებით განმტკიცებულია,— მაგალითად, ნამდვილ ფაბრიკებში, — იქ ჩვენი მდგომარეობა ბევრად უფრო ცუდია, ვიდრე ინგლისში, რადგანაც ჩვენში არ არსებობს საპირწონე საფაბრიკო კანონების სახით. ყველა სხვა სფეროში ჩვენ, როგორც მთელი დანარჩენი კონტინენტალური დასავლეთი ევროპა, ვიტანჯებით არა მარტო კაპიტალისტური წარმოების განვითარებით, არამედ — მისი განვითარების ნაკლებობითაც. თანამედროვე გა-

[1] შენზე ამბობენ ამ ისტორიასს. რედ.

ჭირვეებასთან ერთად ჩვენ გვტანჯავს მთელი რიგი მემკვიდრეობით გადმოცემული გაჭირვებანი, რომელნიც იქიდან წარმოსდგებიან, რომ ჩვენში წარმოების ძველის ძველი დრომოჭმული წესები მათი შესაფერი დროსშეგუებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობითურთ ისევ განაგრძობენ უღიმღამო არსებობას. ჩვენ ვიტანჯებით არა მარტო ცოცხლებისაგან, არამედ მკვდრებისაგანაც. მ კ ვ დ ა რ ი ც ო ც ხ ა ლ ს ი ჭ ე რ ს!

ინგლისთან შედარებით გერმანიისა და დანარჩენი კონტინენტალური დასავლეთ ევროპის სოციალური სტატისტიკა უბადრუკია. მაგრამ იგი მაინც იმდენად იხდის საბურველს, რომ მის უკან მედუზას თავს მოვკრათ თვალი. ჩვენ შ ე ვ ძ რ წ უ ნ დ ე ბ ო დ ი თ ჩვენივე საკუთარი მდგომარეობით, ჩვენი მთავრობები და პარლამენტები რომ პერიოდულად საგამომძიებლო კომისიებს ნიშნავდნენ ეკონომიური პირობების გამოსაკვლევად, როგორც ინგლისში ხდება; ეს კომისიები რომ აღჭურვილი იყვნენ ჭეშმარიტების გამოსაკვლევად ისეთივე უფლებამოსილობით როგორც ინგლისში; ამ მიზნისათვის რომ მოსახერხებელი იყოს ისეთივე საქმის მცოდნე, მიუდგომელი და გამბედავი ადამიანების გამონახვა, როგორიც არიან ინგლისის საფაბრიკო ინსპექტორები, ინგლისის ექიმ-მომხსენებელნი «Public Health»-ის (საზოგადოებრივი ჯანმრთელობის) შესახებ, წევრები ინგლისის საგამომძიებლო კომისიებისა, რომელნიც იკვლევდნენ ქალთა და ბავშვთა ექსპლოატაციის პირობებს, მუშების ბინებს, კვებას და სხვ. პერსეი უჩინმაჩინის ქუდს საჭიროებდა ურჩხულის სადევნელად. ჩვენ-კი უჩინმაჩინის ქუდს თვალებსა და ყურებზე ვიფარებთ, რათა ურჩხულთა არსებობის უარყოფა შეეძლოთ.

არ უნდა მივეცეთ ილუზიებს. როგორც ამერიკის ომი დამოუკიდებლობისათვის XVIII საუკუნეში მოახლოვებული ქარიშხალის მაუწყებელი საყვირის ხმად გაისმა ევროპის საშუალო კლასისათვის, ასევე გაისმა ევროპის მუშათა კლასისათვის ამერიკის სამოქალაქო ომი XIX საუკუნეში. ინგლისში გადატრიალების პროცესი სრულიად ხელშესახებია. განვითარების განსაზღვრული საფეხურის მიღწევისთანავე იგი კონტინენტსაც უნდა მოედოს. აქ ის უფრო მკაცრ ან უფრო ჰუმანურ ფორმებს მიიღებს თვით მუშათა კლასის განვითარების დონის მიხედვით. ამრიგად, სხვა უფრო მაღალ მოტივებს გარდა, ამჟამად გაბატონებულ კლასებს მათი საკუთარი ინტერესი უკარნახებს მოსპონ მუშათა კლასის განვითარების შემაფერხებელი ყველა ის დაბრკოლებანი, რომელთა რეგულირებაც კანონმდებლო-

ბის გზით შესაძლებელია. აი, ამიტომ დავუთმე ამ ტომში ესოდენ დიდი ადგილი, სხვათა შორის, ინგლისის საფაბრიკო კანონმდებლობის ისტორიას, შინაარსს და შედეგებს. ყოველმა ერმა შეიძლება ისწავლოს და უნდა ისწავლოს კიდევაც სხვა ერისაგან. მაშინაც კი, როდესაც საზოგადოებამ მიაგნო თავისი განვითარების ბუნებრივი კანონის კვალს, — და ამ ნაწარმოების საბოლოო მიზანს სწორედ თანამედროვე საზოგადოების ეკონომიური მოძრაობის კანონის აღმოჩენა შეადგენს, — იგი ვერ გადაახტება ბუნებრივ განვითარების ფაზებს და ვერც გააუქმებს მათ დეკრეტებით. მაგრამ მას შეუძლია შეამოკლოს და შეანელოს მშობიარობის ტკივილები.

ორიოდე სიტყვა შესაძლებელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. კაპიტალისტისა და მიწის მესაკუთრის სახეებს მე სრულიად არ ვხატავ იავარდისფრად. მაგრამ აქ საქმე ეხება პიროვნებებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი არიან ეკონომიურ კატეგორიათა განსახიერებანი, განსაზღვრული კლასობრივი ურთიერთობისა და ინტერესების მატარებელნი. ჩემ თვალსაზრისს, რომლის თანახმად საზოგადოების ეკონომიური ფორმაციის განვითარება განიხილება როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, ნაკლებად, ვიდრე სხვა რომელიმე თვალსაზრისს, შეუძლია ცალკე პიროვნება გახადოს პასუხისმგებელი იმ ურთიერთობისათვის, რომლის ქმნილებად იგი რჩება სოციალურად, რაგინდ მაღლაც აიწიოს მან ამ ურთიერთობაზე სუბიექტიურად.

თავისუფალი მეცნიერული კვლევა-ძიება პოლიტიკური ეკონომიის დარგში ხვდება არა მარტო იმ მტრებს, რომლებსაც ხვდება ყველა სხვა დარგში. იმ მასალის თავისებური ხასიათი, რომელსაც პოლიტიკური ეკონომია განიხილავს, იწვევს მის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე ადამიანის ყველაზე მკაცრ, წვრილმან და გაბოროტებულ გრძნობებს, იწვევს საბრძოლველად კერძო ინტერესის ფურიებს. მაგალითად, ინგლისის უზენაესი ეკლესია უფრო ადვილად შეუნდობს თავდასხმას მისი 39-მუხლიანი სიმბოლო სარწმუნეობის 38 მუხლზე, ვიდრე მისი ფულადი შემოსავლის 1/39-ზე. დღეს თვით ათეიზმიც — **culpa levis** [1] არის კერძო საკუთრების ტრადიციული ურთიერთობის კრიტიკასთან შედარებით.

[1] — შესანდობი ცოდვა. რედ.

მაგრამ აქ უეჭველია ერთგვარი პროგრესის არსებობაც. მე მივუთითებ მკითხველს, მაგალითად, ამ უკანასკნელ კვირეებში გამოქვეყნებულ ლურჯ წიგნზე: «მიმოწერა მეფის წარმომადგენლებთან უცხოეთში მრეწველობისა და ტრედ-უნიონების საკითხის გამო». ინგლისის ტახტის წარმომადგენლები უცხოეთში აშკარად აღიარებენ აქ, რომ გერმანიაში, საფრანგეთში, ერთი სიტყვით, ევროპის კონტინენტის ყველა კულტურულ სახელმწიფოში კაპიტალსა და შრომას შორის არსებული ურთიერთობის გარდაქმნა ისევე საგრძნობია და ისევე გარდაუვალი, როგორც ინგლისში. ამავე დროს ატლანტის ოკეანის იქით მხარეს ბ-მა უ ე ი დ მ ა, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე პრეზიდენტმა, განაცხადა საჯარო მიტინგზე: მონობის გაუქმების შემდეგ დღის წესრიგში კაპიტალისა და მიწის საკუთრების ურთიერთობის ძირეული გარდაქმნა დგებაო! ეს დროების ნიშნებია, რომლებიც ვერ დაიმალება ძოწეულით ანდა შავი ანაფორით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ სასწაული მოხდება. ეს გვიჩვენებს, როგორც ამას თვით გაბატონებული კლასები გრძნობენ ბუნდოვანად, რომ ახლანდელი საზოგადოება შტკიცე კრისტალი კი არ არის, არამედ გარდაქმნის უნარიანი და მუდამ გარდაქმნის პროცესში მყოფი ორგანიზმია.

ამ ნაწარმოების მ ე ო რ ე ტ ო მ შ ი განხილული იქნება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს პ რ ო ც ე ს ი (წიგნი II) დ ა მ თ ლ ი ა ნ ა დ ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი პ რ ო ც ე ს ი ს ფ ო რ მ ე ბ ი (წიგნი III), ხოლო უკანასკნელ მ ე ს ა მ ე ტ ო მ შ ი (წიგნი IV) — თ ე ო რ ი ი ს ი ს ტ ო რ ი ა.

მეცნიერული კრიტიკის ყოველი აზრი სასურველია ჩემთვის. ეგრეთწოდებული ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი აზრის ცრურწმენათა მიმართ, რომელსაც მე არასოდეს არაფერს ვუთმობდი, ჩემს დევიზად უწინდებურად რჩება დიდებული ფლორენციელის სიტყვები:

«Segui il tuo corso, e lascia dir le genti» [1].

კარლ მარქსი

ლონდონი 1867 წ. 25 ივლისი.

დაბეჭდილია კ. მარქსის წიგნში «კაპიტალი», რომელიც გამოვიდა ჰამბურგში 1867 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით. თარგმანი გერმანულიდან.

[1] იარე შენი გზით და, დაე, ადამიანებმა რაც უნდა თქვანს» (დ ა ნ ტ ე.) რ ე დ.

კ. მარქსი

ბოლოსიტყვაობიდან «კაპიტალის» პირველი ტომის მეორე გერმანული გამოცემისათვის

«კაპიტალში» გამოყენებული მეთოდი ცუდად იყო გაგებული, როგორც ამას უკვე მისი ერთი მეორის საწინააღმდეგო განმარტებანი ამტკიცებენ.

ასე, მაგალითად, პარიზის «Revue Positiviste»-ი მისაყვედურებს, ერთი მხრივ, რომ მე პოლიტიკურ ეკონომიას მეტაფიზიკურად განვიხილავ, მეორე მხრივ, — აბა მიხვდით, რას! — რომ მე ვკმაყოფილდები მხოლოდ არსებულის კრიტიკული ანალიზით და არ ვთხზავ რეცეპტებს (კონტისებურს?) მომავალის ლაბორატორიისთვის. მეტაფიზიკოსობის საყვედურის წინააღმდეგ პროფესორი ზიბერი შენიშნავს: «რამდენადაც ლაპარაკია საკუთრივ თ ე ო რ ი ა ზ ე, მარქსის მეთოდი მთელი ინგლისური სკოლის დედუქტიური მეთოდია, რომლის ნაკლსა და ღირსებასაც იზიარებენ საუკეთესო თეორეტიკოსი-ეკონომისტები» [1]. ბ-ნი მ. ბლოკი სტატიაში «სოციალიზმის თეორეტიკოსები გერმანიაში», რომელიც გამოქვეყნებული იყო «Journal des Economistes» -ში, 1872 წ. ივლისსა და აგვისტოში — ფიქრობს, რომ ჩემი მეთოდი ანალიზურია და, სხვათა შორის, ამბობს: «ამ თხზულებით ბ-ნმა მარქსმა დაამტკიცა, რომ იგი ერთ-ერთი ფრიად გამოჩენილი ანალიზური მოაზროვნეთაგანიაო». გერმანელი რეცენზენტები, რასაკვირველია, ჰეგელიანურ სოფისტიკაზე გაჰყვირიან. პეტერბურგული «Вестник Европы»-ს ერთ წერილში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ «კაპიტალის» მე-

[1] З и б е р Н., Теория ценности и капитала Д. Рикардо. Киев, 1871, стр. 170. რ ე დ.

თოდს განიხილავს (1872 წ. მაისის ნომერი, გვ. 427 — 436) [1], ცნობს, რომ ჩემი კვლევის მეთოდი უაღრესად რეალისტურია, ხოლო თხრობის მეთოდი, საუბედუროდ, — გერმანულ-დიალექტიკური. იგი ამბობს: «პირველი შეხედვით, თუ გადმოცემის გარეგნული ფორმის მიხედვით ვიმსჯელებთ, მარქსი უდიდესი იდეალისტი-ფილოსოფოსია და ამასთან ფილოსოფოსი, ამ სიტყვის «გერმანული», ე. ი. ცუდი მნიშვნელობით. ნამდვილად კი იგი უსასრულოდ უფრო რეალისტია, ვიდრე ყველა მისი წინამორბედნი ეკონომიური კრიტიკის დარგში... იდეალისტად მისი ჩათვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება». მე არ შემიძლია უკეთესად ვუპასუხო ავტორს, თუ არ მისივე საკუთარი კრიტიკიდან ამონაწერით; ამასთანავე ეს უკანასკნელი შეიძლება საინტერესოც იყოს ზოგიერთი ჩემი მკითხველისათვისაც, რომლისათვისაც რუსული დედანი ხელმიუწვდომელია.

ავტორს მოჰყავს ციტატი ჩემი «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», წინასიტყვაობიდან, ბერლინი, 1859 (გვ. IV-VII) [2], სადაც ჩემი მეთოდის მატერიალისტური საფუძველია განმარტებული, და შემდეგ განაგრძობს:

«მარქსისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთი რამ: იპოვოს კანონი იმ მოვლენებისა, რომელთა გამოკვლევასაც იგი აწარმოებს. და ამასთან მისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო კანონი, რომელიც განაგებს ამ მოვლენებს, ვიდრე მათ განსაზღვრული ფორმა აქვთ და იმყოფებიან იმ ურთიერთკავშირში, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ამჟამად. მისთვის, ამას გარდა, მნიშვნელოვანია აგრეთვე კანონი მათი ცვალებადობის, მათი განვითარებისა, ე. ი. გადასვლა ერთი ფორმიდან მეორეში, ერთი წყობილების ურთიერთკავშირიდან მეორეში. როგორც კი მან ეს კანონი აღმოაჩინა, იგი განიხილავს დეტალურად შედეგებს, რომელთა სახით ეს კანონი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მჟღავნდება... ამისდა მიხედვით, მარქსი მხოლოდ ერთ რამეს ცდილობს: ზედმიწევნითი მეცნიერული გამოკვლევით დაამტკიცოს განსაზღვრული წყობილების საზოგადოებრივ ურთიერთობათა აუცილებლობა და რაც შეიძლება უმწიკვლოდ აღნიშნოს ფაქტები, რო-

---

[1] ლაპარაკია პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ი. ი. კაუფმანის სტატიაზე: **«Точка зрения политико-экономической критики у К. Маркса».** რ ე დ.

[2] იხ. ამ ტომის გვ. 405 — 410. რ ე დ.

მელნიც მისთვის გამოსავალ და დასაყრდენ პუნქტს შეადგენენ. მისთვის სრულიად საკმარისია, თუ მან დაამტკიცა არსებული წყობილების აუცილებლობასთან ერთად აუცილებლობაც მეორე წყობილებისა, რომელზედაც პირველი უნდა გადავიდეს აუცილებლად, სულ ერთია, — ფიქრობენ ამას ადამიანები, თუ არ ფიქრობენ, შეგნებული აქვთ მათ ეს, თუ არა აქვთ შეგნებული. მარქსი განიხილავს საზოგადოებრივ მოძრაობას, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს; ამ უკანასკნელს განაგებენ კანონები, რომელნიც არა თუ დამოკიდებულნი არ არიან ადამიანის ნებასა, ცნობიერებასა და ზრახვაზე, არამედ, პირიქით, თვითონ განსაზღვრავენ მის ნებისყოფას, ცნობიერებას და ზრახვას... თუ კულტურის ისტორიაში შეგნებული ელემენტი ესოდენ დაქვემდებარებულ როლს ასრულებს, მაშინ თავისთავად გასაგებია, რომ კრიტიკას, რომლის საგანიც თვით ეს კულტურაა, ყველაზე ნაკლებად შეიძლება ჰქონდეს საფუძვლად ცნობიერების ესა თუ ის ფორმა ან შედეგი, ე. ი. არა იდეა, არამედ მხოლოდ გარეშე მოვლენა შეიძლება წარმოადგენდეს მისთვის გამოსავალ პუნქტს. აქ კრიტიკა დაკმაყოფილდება ფაქტის შედარებით და დაპირისპირებით არა იდეასთან, არამედ სხვა ფაქტთან. მისთვის, ამ კრიტიკისთვის, მნიშვნელოვანია მხოლოდ, რომ ორივე ფაქტი რაც შეიძლება ზედმიწევნით იყოს გამოკვლეული და ნამდვილად ერთი მეორის მიმართ წარმოადგენდეს განვითარების სხვადასხვა საფეხურს; გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ არა ნაკლებ ზედმიწევნით გამოკვლეული იყოს წესი, თანმიმდევრობა და კავშირი, რომელშიც განვითარების საფეხურები გვევლინებიან...

მაგრამ, იტყვიან... ეკონომიური ცხოვრების საყოველთაო კანონები ხომ ერთი და იგივეა, სულ ერთია, გამოვიყენებთ მათ აწმყოს თუ წარსულის მიმართო. სწორედ ამას უარყოფს მარქსი. ასეთი აბსტრაქტული კანონები არ არსებობს მისთვის... მისი აზრით, პირიქით, ყოველ ისტორიულ ხანას თავისი საკუთარი კანონები აქვს... მაგრამ როგორც კი ცხოვრებამ განსაზღვრული განვითარების პერიოდი განვლო და ერთი განსაზღვრული სტადიიდან მეორეში გადავიდა, მას უკვე სხვა კანონები განაგებენ. ერთი სიტყვით, ეკონომიური ცხოვრება ამ შემთხვევაში წარმოადგენს მოვლენას, სრულიად ანალოგიურს იმისას, რასაც ჩვენ სხვა დარგის ბიოლოგიურ მოვლენებში ვხედავთ... ამ ეკონომიური ცხოვრების მოვლენათა შინაგანი წყობისა და ქმედითი მდგომარეობის თვისებათა დაკვირვებულმა ანალიზმა უკვე მეორმოცე წლებიდან არა ერთგზის დაარ-

წმუნა მრავალი მკვლევარი ამ შეხედულების არასისწორეში. ძველ ეკონომისტებს არ ესმოდათ ეკონომიურ-კანონების ბუნება, როდესაც ისინი ამ კანონებს ფიზიკისა და ქიმიის კანონებს ადარებდნენ... მოვლენათა უფრო ღრმა ანალიზმა დაამტკიცა, რომ სოციალური ორგანიზმები ისევე საფუძვლიანად განირჩევიან ერთი მეორისაგან, როგორც მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმები... ამ ორგანიზმთა სხვადასხვა აგებულებისა, მათი ცალკე ორგანოების სხვაგვარობისა და იმ პირობათა განსხვავების გამო, რომლებშიაც ეს ორგანოები ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს და სხვა., ერთი და იგივე მოვლენა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სულ სხვადასხვა კანონებს ექვემდებარება. მარქსი, მაგალითად, უარყოფს, რომ მოსახლეობის ზრდის კანონი ერთი და იგივეა ყოველთვის და ყველგან, ყველა დროისა და ადგილისათვის. პირიქით, იგი გვარწმუნებს, რომ ყოველ განვითარების საფეხურს თავისი საკუთარი მოსახლეობის კანონი აქვს... რაც ეკონომიურ ცხოვრებაში ხდება, იგი დამოკიდებულია ეკონომიურ ძალთა ნაყოფიერების ხარისხზე... საწარმოო ძალის განვითარების სხვადასხვაობისას იცვლებიან ურთიერთობანი და ის კანონებიც, რომელნიც მათ განაგებენ. როდესაც მარქსი მიზნად იღებს გამოიკვლიოს და განმარტოს ამ თვალსაზრისით კაპიტალისტური მეურნეობის წყობილება, იგი მხოლოდ მკაცრ მეცნიერულ ფორმაში აყალიბებს იმ მიზანს, რომელსაც უნდა ისახავდეს ეკონომიური ცხოვრების ყოველი ზუსტი გამოკვლევა... ასეთი გამოკვლევის მეცნიერული ღირებულება მდგომარეობს იმ განსაკუთრებული კანონების ახსნაში, რომლებიც მოცემული საზოგადოებრივი ორგანიზმის წარმოშობას, არსებობას, განვითარებას, სიკვდილს და მის შეცვლას სხვა უფრო მაღალი ორგანიზმით აწესრიგებენ. და ეს ღირებულება აქვს ნამდვილად მარქსის წიგნს».

იმით, რომ ბ-ნი ავტორი იმას, რასაც იგი ჩემს ნამდვილ მეთოდს უწოდებს, ასე ჩინებულად და, რამდენადაც საკითხი პირადად ჩემს მიერ ამ მეთოდის გამოყენებას შეეხება, ასე კეთილგანწყობილებით აგვიწერს, რა აგვიწერა მან სხვა, თუ არ დიალექტიკური მეთოდი?

რასაკვირველია, გადმოცემის წესი ფორმალურად უნდა განსხვავდებოდეს კვლევა-ძიების წესისაგან. კვლევა-ძიებამ უნდა აითვისოს მასალა დეტალურად, გაუკეთოს ანალიზი მისი განვითარების სხვადასხვა ფორმებს და აღმოაჩინოს მათი შინაგანი კავშირი.

მხოლოდ ამ მუშაობის შესრულების შემდეგ შეიძლება სათანადო წესით გადმოცემულ იქნას ნამდვილი მოძრაობა. თუ კი ეს მოხერხდა და მასალის ცხოვრებამ თავისი იდეალური ასახულობი

ჰპოვა, მაშინ შეიძლება გვეჩვენოს, რომ ჩვენ აპრიორულ კონსტ-რუქციასთან გვაქვს საქმე.

ჩემი დიალექტიკური მეთოდი თავის საფუძველში არა მარტო განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ მის პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენს. ჰეგელისათვის აზროვნების პროცესი, რომელსაც იგი იდეის სახელწოდებით დამოუკიდებელ სუბიექტადაც კი ხდის, არის დემიურგი (შემოქმედი) სინამდვილისა, რომელიც მის მხოლოდ გარეგან გამოვლინებას წარმოადგენს. ჩემთვის, პირიქით, იდეალური სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური, ადამიანის თავში გადატანილი და მასში გარდაქმნილი.

ჰეგელის დიალექტიკის მისტიფიციური მხარე მე გავაკრიტიკე თითქმის 30 წლის წინათ, იმ დროს, როდესაც იგი ჯერ კიდევ მოდაში იყო. მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც მე «კაპიტალის» პირველ ტომს ვამუშავებდი, მყვირალა, თავაშვებული და ვიწრო გონების ეპიგონები, რომელნიც ამჟამად ტონის მიმცემნი არიან განათლებულ გერმანიაში, ისე ეპყრობოდნენ ჰეგელს, როგორც ლესინგის დროს ყოჩაღი მოსე მენდელსონი ეპყრობოდა სპინოზას, — სახელდობრ, როგორც «მკვდარ ძაღლს». ამიტომ მე საჯაროდ ვაღიარე თავი ამ დიდებული მოაზროვნის მოწაფედ და თავში, რომელიც ღირებულების თეორიას ეხება, ალაგ-ალაგ თავმომწონეობდი კიდეც მისი თავისებური ტერმინოლოგიის ხმარებით. მისტიფიკაცია, რომელსაც დიალექტიკა ჰეგელის ხელში განიცდის, სრულიადაც არ უშლის ხელს იმას, რომ პირველად ჰეგელმა გვამცნო ამომწურავად და შეგნებულად მისი საყოველთაო მოძრაობის ფორმები. ჰეგელის დიალექტიკა თავდაყირა დგას, უნდა გადმოვაყიროთ იგი, რომ მისტიკურ გარსს შიგნით რაციონალური მარცვალი აღმოვაჩინოთ.

თავისი მისტიფიციური ფორმით დიალექტიკა მოდად იქცა გერმანიაში, რადგანაც იგი თითქოს არსებულ წესწყობილებას აქებ-ადიდებდა. თავისი რაციონალური სახით იგი ბრაზსა ჰგვრის და შიშის ზარსა სცემს ბურჟუაზიას და მის დოქტრინერ-იდეოლოგებს, რადგანაც არსებულის პოზიტიური გაგება იმავე დროს შეიცავს მისი უარყოფისა და მისი აუცილებელი მოსპობის გაგებას, ყოველ შექმნილ ფორმას იგი განიხილავს მოძრაობის დენადობაში, მაშასადამე, მისი წარმავალობის მხრივაც, იგი არავის წინაშე ქედს არ იხრის და არსებითად კრიტიკული და რევოლუციურია.

კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობით აღსავსე მოძრაობა ყველაზე ძალიან აგრძნობინებს თავის თავს პრაქტიკოს-

ბურჟუას იმ პერიოდული ციკლის მერყეობაში, რომელსაც თანამედროვე მრეწველობა განიცდის და რომლის უმაღლეს წერტილს საყოველთაო კრიზისი წარმოადგენს. ეს კრიზისი კვლავ ახლოვდება, თუმცა ჯერ კიდევ მოსამზადებელ სტადიაშია; იგი, ეტყობა, იმდენად ფართო იქნება და იმდენად ინტენსიური თავისი გავლენით, რომ დიალექტიკას შთაუნერგავს იმათაც კი, ვინც თავს ნებიერად გრძნობს ახალ სამღვთო პრუსია-გერმანიის იმპერიაში.

ლონდონი, 1873 წ. 24 იანვარი

კ. მარქსი

პირველად დაბეჭდილია კ. მარქსის «კაპიტალის» მეორე გამოცემაში, რომელიც გამოვიდა ჰამბურგში 1872 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით. თარგმანი გერმანულიდან.

კ. მარქსი

კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული ტენდენცია

«კაპიტალის» პირველი ტომის XXIV-ე თავიდან

რაში მდგომარეობს კაპიტალის პირვანდელი დაგროვება, ე. ი. მისი ისტორიული გენეზისი? რამდენადაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მონების და ყმების უშუალო გადაქცევას დაქირავებულ მუშებად, მაშასადამე, ფორმათა უბრალო ცვლას, იგი მხოლოდ უშუალო მწარმოებელთა ექსპროპრიაციას, ე. ი. საკუთარ შრომაზე დამყარებული კერძო საკუთრების რღვევას ნიშნავს.

კერძო საკუთრება, როგორც წინააღმდეგობა საზოგადოებრივი, კოლექტიური საკუთრებისა, მხოლოდ იქ არსებობს, სადაც შრომის საშუალებები და შრომის სხვა გარეშე პირობები კერძო პირებს ეკუთვნის. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ ვინ არიან ეს კერძო პირები — მუშები თუ არა-მუშები, კერძო საკუთრებასაც სხვა ხასიათი აქვს. ის უსასრულო ნაირობა, რომელიც პირველი შეხედვით მასში მოიპოვება მხოლოდ ამ ორ კიდურს შორის არსებულ შუალედ მდგომარეობას ასახავს.

მუშის კერძო საკუთრება მის წარმოების საშუალებებზე წვრილი წარმოების საფუძველს შეადგენს, ხოლო წვრილი წარმოება საზოგადოებრივი წარმოების და თვით მუშის თავისუფალი ინდივიდუალობის განვითარების აუცილებელი პირობაა. რა თქმა უნდა, წარმოების ეს წესი არსებობს აგრეთვე მონობის, ბატონყმობის და დამოკიდებულების სხვა ურთიერთობის დროსაც. მაგრამ იგი ჰყვავის, მთელ თავის ენერგიას იჩენს, და სათანადო კლასიკურ ფორმას იღებს მხოლოდ იქ, სადაც მუშა თავისი, მის მიერვე გამოყენებული შრომითი პირობების თავისუფალი კერძო მესაკუთრეა, სადაც გლეხი მესაკუთრეა მის მიერ დამუშავებული მიწისა და ხელოსანი — იმ იარაღისა, რომელსაც იგი ვირტუოზივით ფლობს.

წარმოების ეს წესი მიწის და წარმოების სხვა საშუალებათა დაქუცმაცებას გულისხმობს. იგი გამორიცხავს როგორც წარმოების საშუალებათა კონცენტრაციას, ისე კოოპერაციას, გამორიცხავს შრომის დანაწილებას ერთი და იმავე საწარმოო პროცესების შიგნით, საზოგადოებრივ ბატონობას ბუნებაზე და ბუნების ძალების მოწესრიგებას, საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა თავისუფალ განვითარებას. იგი ეგუება წარმოებისა და საზოგადოების მხოლოდ ვიწრო, ბუნებრივად აღმოცენებულ ფარგლებს, მისი გამარადისების სურვილი, როგორც პეკერი სამართლიანად ამბობს, «საყოველთაო საშუალობის დაკანონებას» ნიშნავს. განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე იგი თვით ჰქმნის თავისი საკუთარი მოსპობის მატერიალურ საშუალებებს. ამ მომენტიდან დაწყებული საზოგადოების წიაღში იღვიძებენ ძალები და ვნებანი, რომელნიც წარმოების ამ წესის მიერ თავს შებორკილად გრძნობენ. წარმოების ეს წესი უნდა მოისპოს და ისპობა კიდეც. მისი მოსპობა, წარმოების ინდივიდუალურ და დაქუცმაცებულ საშუალებათა გადაქცევა წარმოების საზოგადოებრივად კონცენტრირებულ საშუალებებად, ე. ი. მრავალთა წვრილი საკუთრების გადაქცევა მცირეოდენთა მსხვილ საკუთრებად, ხალხურ ფართო მასების მიწის, საარსებო საშუალებათა და შრომის იარაღების ექსპროპრიაცია, ხალხური მასის ეს საშინელი და მძიმე ექსპროპრიაცია, კაპიტალის **წინაისტორიას** წარმოადგენს. იგი მოიცავს მთელ რიგ ძალადურ მეთოდებს, რომელთაგანაც ჩვენ განვიხილეთ ზემოთ მხოლოდ ეპოქის შემქმნელი მეთოდები, როგორც მეთოდები კაპიტალის პირვანდელი დაგროვებისა. უშუალო მწარმოებელთა ექსპროპრიაცია ხდება ყველაზე დაუნდობელი ვანდალიზმით და უაღრესად უსირცხვილო, ბინძურ, წვრილმან და საძაგელ ვნებათა ზეგავლენით. პირადი შრომით მოპოვებული კერძო საკუთრება, დამყარებული ცალკეული, დამოუკიდებელი მომუშავის, ასე ვთქვათ, ბუნებრივ შეზრდაზე მისი შრომის პირობებთან, იდევნება კაპიტალისტური კერძო საკუთრებით, რომელიც დამყარებულია სხვისი, თუმცა-ღა ფორმალურად თავისუფალი, შრომის ექსპლოატაციაზე [1].

---

[1] «ჩვენ სრულიად ახალ საზოგადოებრივ პირობებში ვცხოვრობთ... ჩვენ მივისწრაფით, რომ ყოველგვარი საკუთრება ჩამოშორებულ იქნეს ყოველგვარი შრომისაგან» (ს ი ს მ ო ნ დ ი, პოლიტიკური ეკონომიის ახალი პრინციპები ტ. II, გვ. 434). (მ ა რ ქ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა). — მარქსი აქ უთითებს მეორე გამოცემაზე წიგნისა: **Sismondi S., Nouveaux principes d'économie politique, ou de la richesse dans ses rapports avec la population.** ტ. I — II. **Paris,** 1827. რ ე დ.

როგორც კი გარდაქმნის ეს პროცესი საკმარისად არღვევს ძველ საზოგადოებას მთელი სიღრმე-სიგანით, როგორც კი მუშები პროლეტარებად იქცევიან, ხოლო მათი შრომის პირობები — კაპიტალად, როგორც კი წარმოების კაპიტალისტური წესი თავის საკუთარ ფეხზე დგება, — მაშინვე შრომის შემდგომი განსაზოგადოება, მიწის და წარმოების სხვა საშუალებათა გადაქცევა საზოგადოებრივ საექსპლოატაციო, მაშასადამე, წარმოების საერთო საშუალებებად და, ამიტომ კერძო მესაკუთრეთა შემდგომი ექსპროპრიაცია, ახალ ფორმას იღებს. ახლა ექსპროპრიაცია მოელის უკვე არა მუშას, რომელიც დამოუკიდებელ მეურნეობას ეწევა, არამედ მრავალი მუშის მყვლეფავ კაპიტალისტს.

ეს ექსპროპრიაცია ხდება თვით კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონების მოქმედებით, კაპიტალის ცენტრალიზაციით. ერთი კაპიტალისტი ამარცხებს მრავალს. ხელი-ხელ ჩაკიდებული ამ ცენტრალიზაციასთან ანუ მრავალი კაპიტალისტის ექსპროპრიაციასთან, რომელსაც კაპიტალისტთა მცირე რიცხვი ახდენს, სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბით ვითარდება შრომითი პროცესის კოოპერაციული ფორმა, მეცნიერების შეგნებული ტექნიკური გამოყენება, მიწის გეგმიანი ექსპლოატაცია, შრომის საშუალებების მხოლოდ საზოგადოებრივად გამოსაყენებელ საშუალებებად გადაქცევა, წარმოების ყველა საშუალებათა ეკონომიზაცია, მათი, როგორც კომბინირებული, საზოგადოებრივი შრომის საწარმოო საშუალებათა გამოყენებით, ყველა ხალხთა ჩაბმა მსოფლიო ბაზრის ქსელში და ამით კაპიტალისტური რეჟიმის ინტერნაციონალური ხასიათი. კაპიტალის მაგნატების რიცხვის განუწყვეტელ შემცირებასთან ერთად, რომელნიც ითვისებენ და თავის მონოპოლიად აქცევენ გარდაქმნის ამ პროცესის ყველა ხელსაყრელ მხარეს, იზრდება სიღატაკე, ჩაგვრა, დამონავება, გადაგვარება, ექსპლოატაცია, მაგრამ ამასთანავე იზრდება აღშფოთებაც მუდამ მატებაში მყოფი და თვით კაპიტალისტური წარმოების პროცესის მექანიზმით გაწვრთნილი, გაერთიანებული და ორგანიზებული მუშათა კლასისა. კაპიტალის მონოპოლია ხდება წარმოების იმ წესის ბორკილებად, რომელიც გაიზარდა მასთან ერთად და მისი დახმარებით. წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება აღწევს იმ წერტილს, სადაც ისინი ვეღარ თავსდებიან თავიანთ კაპიტალისტურ გარსში. ეს გარსი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერ-

ძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია.

კაპიტალისტური წარმოების წესიდან გამომდინარე კაპიტალისტური მითვისების წესი და, მაშასადამე, კაპიტალისტური კერძო საკუთრებაც პირველი უარყოფაა ინდივიდუალური, საკუთარ შრომაზე დამყარებული კერძო საკუთრებისა. მაგრამ კაპიტალისტური წარმოება ბუნებრივი-ისტორიული პროცესის აუცილებლობით წარმოშობს თავის საკუთარ უარყოფას. ეს უარყოფის უარყოფაა. იგი აღადგენს არა კერძო საკუთრებას, არამედ ინდივიდუალურ საკუთრებას კაპიტალისტური ეპოქის მონაპოვართა საფუძველზე ე. ი. კოოპერაციისა და მიწის და თვით შრომის მიერ შექმნილ წარმოების საშუალებათა საერთო მფლობელობის საფუძველზე.

ცალკე პირთა საკუთარ შრომაზე დამყარებული, დაქუცმაცებული კერძო საკუთრების გადაქცევა კაპიტალისტურ საკუთრებად, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ხანგრძლივი, მძიმე და ძნელი პროცესია, ვიდრე უკვე საზოგადოებრივ წარმოებაზე ფაქტიურად დამყარებული კაპიტალისტური საკუთრების საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევა. იქ საქმე ეხებოდა ხალხური მასების ექსპროპრიაციას მცირეოდენი უზურპატორების მიერ, აქ კი — მცირეოდენი უზურპატორების ექსპროპრიაციას ხალხური მასების მიერ [1].

დაბეჭდილია კ. მარქსის წიგნში «კაპიტალი», რომელიც გამოვიდა ჰამბურგში 1867 წ.

ბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით. თარგმანი გერმანულიდან.

[1] «მრეწველობის პროგრესი, რომლის უნებური და წინააღმდეგობის უუნარო მატარებელი ბურჟუაზიაა, კონკურენციით მუშების განცალკევების ადგილას აყენებს მათ რევოლუციურ გაერთიანებას ასოციაციის მეშვეობით. მაშასადამე, მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად ბურჟუაზიას ფეხქვეშ ეცლება თვით ის საფუძველი, რომელზედაც იგი პროდუქტებს აწარმოებს და ისაკუთრებს. იგი უწინარეს ყოვლისა თავის საკუთარ მესაფლავეს ჰქმნის. ბურჟუაზიის დამხობა და პროლეტარიატის გამარჯვება თანაბრად გარდუვალია... ყველა იმ კლასთა შორის, რომელნიც დღეს ბურჟუაზიის პირისპირ დგანან, მხოლოდ პროლეტარიატია ნამდვილად რევოლუციური კლასი. ყველა სხვა კლასები უძლურდებიან და იღუპებიან მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად, პროლეტარიატი კი ამ მრეწველობის საკუთარი პროდუქტია... საშუალო წოდებები: წვრილი მრეწველი, წვრილი ვაჭარი, ხელოსანი, გლეხი, — ყველა ესენი ებრძვიან ბურჟუაზიას, რათა დაღუპვისაგან დაიცვან თავიანთი არსებობა როგორც საშუალო წოდებისა... ისინი რეაქციონერები არიან: ისინი ცდილობენ ისტორიის ჩარხი უკუღმა მიატრიალონ. (მ ა რ ქ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა). — ეს ციტატა მოყვანილია მარქსის მიერ «კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან». რ ე დ.

ფ. ენგელსი

მარქსის «კაპიტალი»

I

მას აქეთ, რაც დედამიწაზე კაპიტალისტები და მუშები არსებობენ, მუშებისათვის ისეთი დიდმნიშვნელოვანი წიგნი არ გამოსულა, როგორც წინამდებარე წიგნია. შრომის და კაპიტალის დამოკიდებულება, ის ღერძი, რომლის გარშემოც ტრიალებს მთელი ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივი სისტემა, აქ პირველადაა მეცნიერულად გამოკვლეული, და მერე ისეთი საფუძვლიანობით და სიმახვილით, როგორიც შესაძლებელი იყო მხოლოდ გერმანელისათვის. დიდი ღირებულება აქვს და ექნება ოუენის, სენ-სიმონის, ფურიეს ნაწერებს, მაგრამ პირველად გერმანელმა შესძლო ასულიყო ისეთ სიმაღლეზე, საიდანაც ნათლად იშლება თვალწინ მთელი სივრცე თანამედროვე სოციალური ურთიერთობისა, — ასე დაყურებს ქვემო მთიან სივრცეებს ის, ვინც უმაღლეს მწვერვალზე დგას.

დღემდე არსებული პოლიტიკური ეკონომია გვასწავლის, რომ შრომა არის წყარო ყოველივე სიმდიდრისა და საზომი ყოველივე ღირებულებისა; ასე, რომ ერთიდაიმავე ღირებულებისაა ორი საგანი, რომელსაც ერთიდაიგივე სამუშაო დრო ჭირდება საწარმოოდ, და ეს საგნები უნდა იცვლებოდნენ ერთიმეორეზე, რადგან ასეთ გაცვლა-გამოცვლას საფუძვლად უდევს ღირებულების თანასწორობაო. მაგრამ ეს პოლიტიკური ეკონომია გვასწავლის აგრეთვე, რომ არსებობს განსაკუთრებული სახე დაგროვილი შრომისა, რომელსაც იგი კაპიტალს უწოდებს; ეს უკანასკნელი მასში შემავალ დამხმარე წყაროებით ხელს უწყობს ცოცხალი შრომის ნაყოფიერებას, ასჯერ-

ათასჯერ ადიდებს ამ ნაყოფიერებას და ამიტომ აქვს უფლება განსაზღვრულ ჯილდოზე: ამ ჯილდოს მოგება ან გამოსარჩენი ჰქვიაო. ჩვენ ვიცით ახლა, რომ სინამდვილეში უფრო და უფრო იზრდება დაგროვილი, უკვე გაწეული შრომის მოგება, ვხედავთ, რომ უზომოდ მატულობს კაპიტალი კაპიტალისტების ხელში, ხოლო ცოცხალი შრომის ხელფასი უფრო და უფრო კლებულობს, დღითი-დღე მრავლდება და ღარიბდება მუშების მასა, რომელსაც არაფერი გააჩნია ხელფასის მეტი. როგორ უნდა გადაიჭრას ეს წინააღმდეგობა? როგორ შეიძლება კაპიტალისტს დარჩეს მოგება, თუ მუშას აუნაზღაურდა შრომის მთელი ღირებულება, რომელიც შეაქვს თავის ნაწარმოებში? ხომ ასეც უნდა ყოფილიყო, თუ თანასწორი ღირებულების საგნები იცვლებიან ერთიმეორეზე. მეორე მხრივ, როგორ შეიძლება თანასწორი ღირებულების საგნები იცვლებოდნენ, საიდან მიიღებს მუშა თავისი ნაწარმოების მთელ ღირებულებას, თუ ეს ნაწარმოები, როგორც თვითონ ეკონომისტები გვარწმუნებენ, უნაწილდება მუშასაც და კაპიტალსაც? დღემდე არსებული პოლიტიკური ეკონომია უმწეოდ დგას ამ წინააღმდეგობის წინაშე, რაღაც უმწეო, უშინაარსო ფრაზებს წერს ან ბუტბუტებს. პოლიტიკური ეკონომიის წინანდელი სოციალისტური კრიტიკოსებიც ვერაფერს ახერხებდნენ იმაზე მეტს, რომ ხაზგასმით აღნიშნავდნენ მხოლოდ ამ წინააღმდეგობას; ვერავინ მათგანმა ვერ შესძლო მისი გადაჭრა, სანამ თვითონ მარქსმა არ გამოიკვლია, დაბოლოს, მოგების წარმოშობის პროცესი, სანამ ის არ გაყვა ამ პროცესს იმის სათავემდე და სანამ ყველაფერი გასაგები არ გახადა ამ გამოკვლევით.

კაპიტალის გამოკვლევის დროს მარქსი გამოდის იმ უბრალო და აშკარა ფაქტიდან, რომ კაპიტალისტები თავიანთ კაპიტალს ზრდიან გაცვლა-გამოცვლის საშუალებით: კაპიტალისტები ყიდულობენ საქონელს თავიანთი ფულით და მერე ყიდიან უფრო ძვირად, ვიდრე უღირდათ. მაგალითად, კაპიტალისტი ყიდულობს ბამბას 1000 ტალერად და მერე ყიდის 1100-ად, «იგებს», მაშასადამე, ას ტალერს. ამ გარდამეტს, ამ ას ტალერს მარქსი უწოდებს ზ ე დ მ ე ტ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს. საიდანაა ეს ზედმეტი ღირებულება? ეკონომისტების აზრით, მხოლოდ თანასწორ ღირებულებათა გაცვლა ხდება, და განყენებული თეორიის სფეროში ეს მართალიცაა. ამნაირად, ბამბის შესყიდვა და მისი გადაყიდვა ვერ გამოიღებს ზედმეტ ღირებულებას, როგორც ვერ გამოიღებს ამას ერთი ტალერის გაცვლა 30 ზილბერგროშზე, და მერე ამ ხურდა ფულის ხელახალი გადაცვლა ერთ ვერცხლის ტალერზე, — ამით არც

არავინ გამდიდრდება, და არც არავინ გაღარიბდება. მაგრამ ზედმეტი ღირებულება იქიდან არ შეიძლება წარმოსდგეს, რომ გამყიდველი თავის საქონელს მის ღირებულებაზე ზევით ყიდის, ხოლო მყიდველი მას მის ღირებულებაზე დაბლა ყიდულობს: რადგან თვითეული მათგანი ხან ყიდულობს, ხან ყიდის, და დღევანდელი მეტნაკლებობა ხვალ ისევ გამოსწორდებოდა. არ გამოვიდოდა ზედმეტი ღირებულება არც იქიდან, რომ მყიდველი და გამყიდველი ატყუებდნენ ერთმანეთს, — ეს ვერ შექმნიდა ვერავითარ ახალ ან ზედმეტ ღირებულებას, არამედ ის იქნებოდა მარტოოდენ არსებული კაპიტალის სხვანაირი განაწილება კაპიტალისტებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტი საქონელს ყიდულობს და ყიდის მისი ღირებულების მიხედვით, მას მაინც მეტი ღირებულება გამოაქვს, ვიდრე შეაქვს. როგორ ხდება ეს?

კაპიტალისტი პოულობს დღევანდელ საზოგადოებრივ პირობებში საქონლის ბაზარზე ისეთ საქონელს, რომელსაც განსაკუთრებული თვისება აქვს: მისი გამოყენება ახალი ღირებულების წყაროა, იგი ახალ ღირებულებას ქმნის. ეს საქონელია სამუშაო ძალა.

როგორია სამუშაო ძალის ღირებულება? ყოველი საქონლის ღირებულება იზომება იმ შრომით, რომელიც აუცილებელია მისი დამზადებისათვის. სამუშაო ძალა არსებობს ცოცხალი მუშის სახით, მუშას კი ჭირდება განსაზღვრული რაოდენობა საარსებო საშუალებებისა, რათა შეინახოს თავისი თავი და თავისი ოჯახი, რომელშიაც მისი სიკვდილის შემდეგ შეუწყვეტლად იქნება დაცული სამუშაო ძალა. ამ საარსებო საშუალებების წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დრო წარმოადგენს, მაშასადამე, სამუშაო ძალის ღირებულებას. კაპიტალისტი იხდის, ვთქვათ, ერთი კვირის ქირას და სარგებლობს სამუშაო ძალით ერთი კვირის განმავლობაში. ამ მუხლამდე ბატონნი ეკონომისტები ჩვენ საერთოდ უნდა გვეთანხმებოდნენ სამუშაო ძალის ღირებულების საკითხში.

კაპიტალისტი აყენებს, მერე, თავის მუშას სამუშაოზე. განსაზღვრულ დროში მუშა აძლევს კაპიტალისტს თავისი შრომის იმ რაოდენობას, რომელიც იმის კვირეულ ხელფასშია გამოხატული. თუ, მაგალითად, ეს კვირეული ხელფასი უდრის სამ სამუშაო დღეს, მუშამ ორშაბათს დილიდან ოთხშაბათ საღამომდის უკვე აუნაზღაურა კაპიტალისტს ვადახდილი ხელფასის მთელი ღი-

რ ე ბ უ ლ ე ბ ა. ათავებს თუ არა მუშა სამი დღის შემდეგ თავის მუშაობას? სულაც არა. კაპიტალისტმა იყიდა მისი შრომა ე რ თ ი კ ვ ი რ ი თ, და მუშამ უნდა იმუშაოს სამი უკანასკნელი დღის განმავლობაშიაც. ე ს ზ ე დ მ ე ტ ი მ უ შ ა ო ბ ა ც ი ლ დ ე ბ ა ი მ აუცილებელ დროს, რომელშიაც მუშა ფარავს მთელ ხელფასს, და ესაა წ ყ ა რ ო ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა, მოგებისა, რომლითაც უფრო და უფრო იზრდება კაპიტალი.

ნუ გვისაყვედურებენ, რომ ეს თვითნებურადაა ნაგულისხმევი, თითქოს მუშა სამ დღეს კვირეული ხელფასის დასაფარავად მუშაობდეს, ხოლო სამ დღეს — კაპიტალისტისთვის. სამი დღე დაჭირდება ხელფასის დასაფარავად, თუ ორი ან ოთხი, ეს აქ სულ ერთია, — ეს დრო სხვადასხვა იქნება ამათუიმ გარემოებების მიხედვით. მთავარი ისაა, რომ კაპიტალისტი გარდა იმ შრომისა, რომელსაც იხდის, გამოწუწნის იმ შრომასაც, რომელსაც ა რ ი ხ დ ი ს, და ამაში არაფერი არ არის თვითნებური, ვინაიდან კაპიტალისტი იმავე დღეს, რა დღესაც მუშას მხოლოდ იმდენს ამუშავებდა, რამდენიც მოეთხოვება მიცემული ხელფასით, იგი მიკეტავდა თავის წარმოებას, რადგან მას ამ შემთხვევაში ხელიდან წაუვიდოდა მთელი მოგება.

აი ამაშია გადაჭრა ყველა ზემოთ დასახელებულ წინააღმდეგობისა. ახლა სრულიად ბუნებრივია და გასაგები, საიდანაა ზედმეტი ღირებულება (რომლის მნიშვნელოვან ნაწილს კაპიტალისტის მოგება შეადგენს). სამუშაო ძალის ღირებულებას კაპიტალისტი იხდის, მაგრამ ეს ღირებულება გაცილებით ნაკლებია იმ ღირებულებაზე, რომელსაც ის იღებს სამუშაო ძალისაგან, და ეს განსხვავება, ეს გ ა დ ა უ ხ დ ე ლ ი შ რ ო მ ა წარმოადგენს სწორედ კაპიტალისტის, უკეთ რომ ვთქვათ, კაპიტალისტთა მთელი კლასის წილს. რადგან თვით ის მოგება, რომელიც ზემო მოყვანილ მაგალითში ბამბის ვაჭარმა ბამბიდან მიიღო, თუ ბამბის ფასი არ იყო აწეული, ამ გადაუხდელ შრომიდან უნდა წარმოდგეს. ვაჭრისგან ბამბას ყიდულობს ბამბის მეფაბრიკე, რომელიც მერე, ას ტალერს გარდა, თავის საქონელზე იღებს კიდევ მოგებას, და ეს ბამბის მეფაბრიკე უნაწილებს, მაშასადამე, ვაჭარს ამ მითვისებულ გადაუხდელ შრომას. ეს გადაუხდელი შრომაა სწორედ, რომლითაც, საერთოდ, თავს ინახავენ საზოგადოების არამშრომელი წევრები. აქედან იხდიან კაპიტალისტები სახელმწიფო და მუნიციპალურ გადასახადებს, აქედან აძლევენ რენტას მიწათმფლობელებს და სხვ. ამაზეა დღეს დამყარებული მთელი არსებული საზოგადოებრივი წესწყობილება.

მეორე მხრივ, სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ გადაუხდელი შრომა წარმოიშვა მხოლოდ დღევანდელ პირობებში, როცა წარმოებას ეწევიან, ერთი მხრივ, კაპიტალისტები და, მეორე მხრივ, დაქირავებული მუშები. პირიქით. დამორჩილებული კლასი ყოველთვის იყო იძულებული გაეღო გადაუხდელი შრომა. დიდი ხნის განმავლობაში, როცა მონობა შრომის ორგანიზაციის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა, მონები იძულებული იყვნენ ემუშავათ გაცილებით მეტი, ვიდრე მათ უნაზღაურებდნენ საარსებო საშუალებების სახით. ასე იყო ბატონყმობის დროსაც სანამ გაუქმდებოდა გლეხების საბატონო ბეგარა. აქ უფრო აშკარად ჩანს ის შრომა, რომელსაც გლეხი ეწევა თავისთვის, და ის ზედმეტი შრომა, რომელსაც ის აძლევს მემამულეს, რადგან აქ ერთი მუშაობა განცალკევებულია მეორისგან. ახლა გამოიცვალა მხოლოდ ფორმა, არსებითად კი იგივეა; და სანამ «საზოგადოების ერთ ნაწილს ხელში აქვს მონოპოლია საწარმოო საშუალებებზე, მუშამ, თავისუფალია ის თუ არა, იმ აუცილებელ დროის გარდა, რომელიც ჭირდება თავის შესანახავად, უნდა იმუშაოს ზედმეტი, რათა საარსებო საშუალებები აწარმოოს საწარმოო საშუალებათა მესაკუთრისთვის» (მარქსი, გვ. 202) [1].

II

წინა სტატიაში ჩვენ დავინახეთ, რომ თვითეული მუშა, კაპიტალისტისაგან დაქირავებული, ორნაირ შრომას ეწევა. მისი სამუშაო დროის ერთი ნაწილი უნდება იმ ხელფასის დაფარვას, რომელიც ავანსებული აქვს მისთვის კაპიტალისტს, — მარქსი შრომის ამ ნაწილს უწოდებს **აუცილებელ შრომას**. ამის შემდეგ მუშამ უნდა განაგრძოს კიდევ შრომა და აწარმოოს კაპიტალისტისათვის **ზედმეტი ღირებულება**, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს მოგება შეადგენს. შრომის ეს ნაწილი არის **ზედმეტი შრომა**.

ჩვენ ვამბობთ ვარაუდათ, რომ მუშა სამ დღეს მუშაობს თავისი ხელფასის ასანაზღაურებლად, სამი დღის განმავლობაში კი აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისტისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის 12 საათის სამუშაო დღეში ექვს საათს მუშაობს ხელფასისთვის, ხოლო ექვს საათს ზედმეტი ღირებულების შესაქმნელად. ერთი კვირიდან შეიძლება ვიანგარიშოთ მხოლოდ ექვსი, ღიდი-დიდი, შვიდი დღე, თუ კვირასაც ჩავთვლით, მაგრამ თვითეული დღიდან შეიძლება გამოიჭრას ექვსი, რვა, ათი, თორმეტი, თხუთმეტი და მეტიც სამუშაო საათი. მუშამ მიჰყიდა კაპიტალისტს დღი-

[1] იხ. «კაპიტალი» ტ. I, ქართ. თარგმანი, სახელგამი, 1930, გვ. 191. რედ.

ურ ქირაში ერთი სამუშაო დღე. მაგრამ რა არის ერთი სამუშაო დღე? რვა საათი თუ თვრამეტი?

კაპიტალისტი დაინტერესებულია სამუშაო დღე რაც შეიძლება მეტად გააგრძელოს. რაც უფრო გრძელია სამუშაო დღე, მით უფრო დიდი იქნება ზედმეტი ღირებულება. მუშა შეუცდომლად გრძნობს, რომ უკანონოდ ერთმევა თვითეული საათი, რომელსაც ის მუშაობს ხელფასის ასანაზღაურებელზე მეტს; თავის ზურგზე განიცდის, რას ნიშნავს უაღრესად გახანგრძლივებული სამუშაო დღის განმავლობაში მუშაობა. კაპიტალისტი იბრძვის თავისი მოგებისთვის, მუშა კი თავისი ჯანმრთელობისათვის, ორიოდე საათის ყოველდღიური დასვენებისთვის; მას უნდა, რომ მუშაობის, ძილის და ჭამის გარდა დრო რჩებოდეს კიდევ სხვა რამისათვის, შეძლება ჰქონდეს ადამიანურად იყენებდეს ამ დროს. სხვათა შორის რომ ითქვას, ამა თუ იმ კაპიტალისტის ნება-სურვილზე სრულიადაც არაა დამოკიდებული, ჩაებმება ამ ბრძოლაში თუ არა: მეტოქეობა ძალიან ფილანტროპ კაპიტალისტებსაც კი აიძულებს მიემხრონ თავიანთ ამხანაგებს და შემოიღონ ისეთივე გახანგრძლივებული სამუშაო დრო, როგორიც მათ აქვთ.

ბრძოლა სამუშაო დღის განსაზღვრულ ჩარჩოებში ჩასაყენებლად იწყება თავისუფალი მუშების ისტორიულ არენაზე პირველი გამოსვლით და გრძელდება დღემდე. სხვადასხვა დარგში შემოღებული და ჩვეულებით დაწესებულია სხვადასხვა ხანგრძლივობის სამუშაო დღე, მაგრამ სინამდვილეში იშვიათად იცავენ მას. მხოლოდ იქ, სადაც კანონი მტკიცედ საზღვრავს სამუშაო დღეს და თვალყურსაც ადევნებს, რომ ის დაცული იქნეს, მხოლოდ იქ შეიძლება ითქვას, რომ ნორმალური სამუშაო დღე არსებობს. მაგრამ ჯერჯერობით ეს თითქმის მხოლოდ ინგლისის საფაბრიკო ოლქებშია. აქ დაკანონებულია ათი საათის სამუშაო დღე (10½ საათი პირველი ხუთი დღე და 7½ — შაბათობით) ქალებისა და ბავშვებისათვის 13 წლიდან 18-მდე, და რადგან მამაკაცები ვერ მუშაობენ უიმათოდ, ისინიც ამიტომ ფაქტიურად ექვემდებარებიან ათი საათის სამუშაო დღის კანონს. ინგლისის ფაბრიკის მუშებმა მიაღწიეს ასეთ კანონს ფაბრიკანტების წინააღმდეგ ხანგრძლივი, შეუპოვარი და მედგარი ბრძოლით, პრესის, კავშირების და კრებების თავისუფლებით, ამავე დროს მოხერხებულად იყენებდნენ გაბატონებული კლასების ყოველივე განხეთქილებას. ეს კა-

ნონი შეიქმნა დასაყრდნობი წერტილი ინგლისის მუშებისათვის, ის თანდათანობით გავრცელდა ჯერ მსხვილ სამრეწველო დარგებზე, მერე, შარშან[1] — წარმოების თითქმის ყველა დარგზე, მეტადრე იქ, სადაც ქალები და ბავშვები მუშაობენ. კანონმდებლობის გზით ინგლისში სამუშაო დღის მოწესრიგების ამომწურავ ისტორიას იძლევა «კაპიტალი». «მომავალ ჩრდილო-გერმანიის რეიხსტაგს» დღის წესრიგში უდგას სამრეწველო წესდება და ამით საფაბრიკო შრომის მოწესრიგების საკითხიც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ერთი წარმომადგენელი, რომელიც გერმანელი მუშების ხმებით იქნება არჩეული, ის არ მიიღებს მონაწილეობას ამ კანონის გარჩევაში, რომ წინდაწინ საფუძვლიანად არ შეისწავლოს მარქსის წიგნი. ბევრი რამეა გასაკეთებელი ამ საკითხის გარშემო. მუშებს შეუძლიათ უკეთ გამოიყენონ გაბატონებული კლასების განხეთქილება, ვიდრე ეს შეიძლებოდა ოდესმე ინგლისში, რადგან საყოველთაო საარჩევნო უფლება გაბატონებულ კლასებს აიძულებს თავი მოუქონონ მუშებს ამათუიმ დათმობებით. ასეთ პირობებში დიდი ძალაა პროლეტარიატის ოთხი-ხუთი წარმომადგენელიც, თუ კი ისინი შესძლებენ თავიანთი მდგომარეობის გამოყენებას, თუ ეცოდინებათ ყველაფერი, რაზედაც იქნება ლაპარაკი, თუ ეცოდინებათ ის, რაც არ იციან ბურჟუებმა. მარქსის წიგნი კი მათ ხელში ყოველივე საჭირო და მზა მასალას მისცემს.

ჩვენ გამოვტოვებთ მთელ რიგ ფართო და შესანიშნავ გამოკვლევებს, რომლებსაც უფრო თეორიული ინტერესი აქვთ, და გადავალთ პირდაპირ უკანასკნელ თავზე, სადაც კაპიტალის აკუმულაციაზე ანუ დაგროვებაზეა ლაპარაკი. აქ ჯერ ირკვევა, რომ წარმოების კაპიტალისტური წესი, რომელშიაც, ერთი მხრივ, დგანან კაპიტალისტები და, მეორე მხრივ, დაქირავებული მუშები, ქმნის მუდამ არა მარტო ახალ კაპიტალს კაპიტალისტებისათვის, ის იმავე დროს შეუწყვეტლად აწარმოებს მუშების სიღატაკესაც; ამნაირად უზრუნველყოფილია ისეთი მდგომარეობა, როცა ერთ მხარეზე დგანან კაპიტალისტები, და მათ ეკუთვნით ყველა საარსებო საშუალებები, მთელი ნედლი მასალა და საწარმოო იარაღები, ხოლო მეორე მხარეზე არიან მუშათა ფართო მასები, რომლებსაც მეტი გზა არა აქვთ, უნდა გაყიდონ თავიანთი სამუშაო ძალა და სამაგიეროდ დაკმაყოფილდნენ ცოტაოდენ საარსებო საშუალებებს, იმდენს მხოლოდ, რომ უკეთეს

[1] ე. ი. 1867 წ. რედ.

შემთხვევაში, შესძლონ მუშაობის გაგრძელება და აღზარდონ ახალი შრომისუნარიანი პროლეტარები. მაგრამ კაპიტალი არა მარტო ახლდება თავის წარმოებაში, ის უფრო და უფრო მატულობს, იზრდება, და ამასთანავე იზრდება მისი ბატონობა საკუთრებას მოკლებულ მუშებზე. და როგორც სულ უფრო და უფრო გადიდებული მასშტაბით ხდება თვით კაპიტალის რეპროდუქცია, ისევე სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობით ახდენს თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების წესი ქონებას მოკლებულ მუშათა კლასის რეპროდუქციას. «კაპიტალის დაგროვება აღადგენს კაპიტალისტურ ურთიერთობას ფართო მასშტაბით, მეტ კაპიტალისტებს ანუ უფრო მსხვილ კაპიტალისტებს — ერთ პოლუსზე, და მეტ დაქირავებულ მუშებს — მეორეზე... ა მ ნ ა ი რ ა დ, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დ ა გ რ ო ვ ე ბ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს გ ა მ რ ა ვ ლ ე ბ ა ა» (გვ. 600) [1]. მაგრამ, რადგან მანქანებისა და მიწათმოქმედების გაუმჯობესებით და სხვ. სულ უფრო და უფრო ცოტა მუშა-ხელია საჭირო წარმოებაში ერთი და იმავე რაოდენობის საქონელზე, ამიტომ ზედმეტი მუშა-ხელი უფრო მატულობს, ვიდრე კაპიტალი იზრდება; და რა ემართება შერე ამ მუდამ მზარდ ზედმეტ მუშა-ხელს? ის ქმნის სამრეწველო სარეზერვო არმიას. მას იყენებენ დროგამოშვებით, როცა წარმოების საქმეები ცუდად მიდის ან საშუალოდ, აძლევენ ხელფასს მისი სამუშაო ძალის ღირებულებაზე ნ ა კ ლ ე ბ ს, ანდა იგი საზოგადოებრივი ქველმოქმედების საგნად ხდება. ის აუცილებლად საჭიროა კაპიტალისტთა კლასისათვის, როცა გამოცოცხლება ეტყობა წარმოებას, — რაც თვალნათლივ ჩანს ინგლისში. ყ ვ ე ლ ა პ ი რ ო ბ ე ბ შ ი ეს სარეზერვო არმია სამსახურს უწევს კაპიტალისტებს იმ მხრივ, რომ აფერხებს რეგულარულად მომუშავე მუშების ბრძოლას, დაბალ დონეზე აყენებინებს მათ ხელფასს. «რაც უფრო დიდია საზოგადოებრივი სიმდიდრე... მით უფრო დიდია რელატიური ჭარბი მოსახლეობა ანუ სამრეწველო სარეზერვო არმია... მაგრამ, რაც უფრო დიდია ეს რეზერვი აქტიურ (რეგულარულად მომუშავე) მუშათა არმიასთან შედარებით, მით უფრო მასიურია მუდმივი ჭარბი მოსახლეობა, ე. ი. მით უფრო მეტია მუშათა ის ფენები, რომელთა სიღატაკეც შებრუნებით შეეფარდება მათ შრომით დატანჯულობას. დაბოლოს, რაც უფრო დიდია მუშათა კლასის და სამრეწველო სარეზერვო არმიის მათხოვარ-ლაზარეთა ფენები, მით უფრო დიდია

[1] იხ. «კაპიტალი, ტ. I, ქართ. თარგმანი, სახელგამი, 1930, გვ. 559, 560. რ ე დ.

ოფიციალური, ხელისუფლების მიერ აღიარებული, პაუპერიზმი. ეს —კაპიტალისტური დაგროვების აბსოლუტური, საყოველთაო კანონია» (გვ. 631)[1].

ასეთია ზოგიერთი ძირითადი კანონი თანამედროვე, კაპიტალისტური საზოგადოებრივი სისტემისა. ეს დასაბუთებულია ნამდვილი მეცნიერული კვლევა-ძიებით, და ოფიციალური ეკონომისტები ვერც კი ბედავენ, რომ შეეცადონ ამის დარღვევას. მაგრამ განა ამით ყველაფერია ნათქვამი? სრულებითაც არა. მარქსი მკაფიოდ ააშკარავებს კაპიტალისტური წარმოების ცუდ მხარეებს და ასევე ნათლად ამტკიცებს, რომ ეს საზოგადოებრივი ფორმა აუცილებელი იყო საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებისათვის იმ დონემდე, როცა საზოგადოების ყველა წევრს მიეცემა შესაძლებლობა თანასწორი და ადამიანური ცხოვრებისა. წინანდელი საზოგადოებრივი ფორმები მეტად ღარიბი იყვნენ საამისოდ. მხოლოდ კაპიტალისტური წარმოება ქმნის ამისთვის აუცილებელ სიმდიდრეს და საწარმოო ძალებს, ქმნის აგრეთვე დაჩაგრული მუშების სახით ისეთ საზოგადოებრივ კლასს, რომელიც უფრო და უფრო დგება აუცილებლობის წინაშე, რათა დაეპატრონოს ამ სიმდიდრეს, ამ საწარმოო ძალებს და გამოიყენოს ის მთელი საზოგადოებისათვის და არა მარტო ერთი მონოპოლიური კლასის ინტერესებისათვის, როგორც ეს დღეს არის.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ 1868 წ. 1—13 მარტს.
დაბეჭდილია ხელმოწერის გარეშე «Demokratisches Wochenblatt»-ის 1868 წლის 21 და 28 მარტის ნომრებში.

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან.

[1] იხ. «კაპიტალი» ტ. I, ქართ. თარგმანი, სახელგამი, 1930, გვ. 591. რედ

ფ. ენგელსი

«კაპიტალის» მეორე ტომის წინასიტყვაობიდან

რა თქვა ახალი მარქსმა ზედმეტი ღირებულების შესახებ? როგორ მოხდა ეს, რომ მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორიამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც მოწმენდილი ციდან მეხის გავარდნამ, და ეს — ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, მაშინ როდესაც ყველა მის სოციალისტურ წინამორბედთა თეორიებს, მათ შორის როდბერტუსის თეორიასაც, არავითარი გავლენა არ მოუხდენია?

ქიმიის ისტორიას შეუძლია გაგვიმარტოს ეს ერთ მაგალითზე.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს გაბატონებული იყო ფლოგისტური თეორია, რომლის თანახმად ყოველი წვის არსება იმაში მდგმარეობდა, რომ იმ სხეულიდან, რომელიც იწვოდა, გამოცალკევდებოდა მეორე, ჰიპოთეტური სხეული, აბსოლუტური საწვავი მასალა, რომელსაც ფლოგისტონის სახელწოდებით აღნიშნავდნენ. ეს თეორია საკმარისი იყო მაშინ ცნობილ ქიმიურ მოვლენათა უდიდესი ნაწილის ასახსნელად, თუმცა არა უიმისოდ, რომ ეს ახსნა ზოგ შემთხვევაში ნაძალადევი არ ყოფილიყო. მაგრამ, აი, 1774 წელს პრისტლიმ აღმოაჩინა ერთგვარი ჰაერი, «რომელიც მან ჰპოვა იმდენად წმინდა ანუ იმდენად თავისუფალი ფლოგისტონისაგან, რომ მასთან შედარებით ჩვეულებრივი ჰაერი უკვე გაფუჭებული ჩანდა». მას მან დეფლოგისტებული ჰაერი უწოდა. მალე ამის შემდეგ ამგვარივე ჰაერი აღმოაჩინა შელემ შვეციაში და დაამტკიცა, რომ იგი მოიპოვება ატმოსფეროში. მან ჰპოვა აგრეთვე, რომ იგი ჰქრება, როდესაც მასში ან ჩვეულებრივ ჰაერში რომელსამე სხეულს დავწვავთ, და ამიტომ მას ცეცხლის ჰაერი

(Feuerluft) უწოდა. «ამ შედეგებიდან მან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ის შეერთება, რომელიც წარმოსდგება, როდესაც ფლოგისტონი ჰაერის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს შეუერთდება» (მაშასადამე, წვის დროს), «სხვა არა არის რა, თუ არა ცეცხლი ანუ სითბო, რომელიც შუშაში გავლის გზით აჭროლდება»[1].

პრისტლიმ და აგრეთვე შელემ აღმოაჩინეს ჟანგბადი, მაგრამ არ იცოდნენ, რა ჰქონდათ მათ ხელში. ისინი «დარჩენილი იყვნენ» ფლოგისტური «კატეგორიების ტყვეობაში, რომლებიც მათ ჰპოვეს თავიანთ წინამორბედებთან». ის ელემენტი, რომელსაც მთელი ფლოგისტური შეხედულება უნდა გადაეყირავებინა და ქიმიაში რევოლუცია მოეხდინა, უნაყოფოდ იყო მათ ხელში დარჩენილი. მაგრამ პრისტლიმ თავისი აღმოჩენის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა პარიზში ლავუაზიეს, ხოლო ლავუაზიემ, იხელმძღვანელა რა ამ ახალი ფაქტით, ხელახლა განიხილა მთელი ფლოგისტური ქიმია და პირველად აღმოაჩინა, რომ ახალი სახის ჰაერი ახალი ქიმიური ელემენტი იყო, რომ წვის დროს იმ სხეულიდან, რომელიც იწვის, იდუმალებით აღსავსე ფლოგისტონი კი არ გ ა მ ო ც ა ლ კ ე ვ დ ე ბ ა, არამედ ეს ახალი ელემენტი შ ე უ ე რ თ დ ე ბ ა სხეულს, და ამგვარად მან პირველად დააყენა ფეხზე მთელი ქიმია, რომელიც თავის ფლოგისტურ ფორმაში ყირამალა იყო დაყენებული. და თუმცა მას ჟანგბადი არ აღმოუჩენია იმავდროულად სხვებთან და სხვებისგან დამოუკიდებლად, როგორც იგი შემდეგში ამტკიცებდა, მაგრამ მაინც ჟანგბადის ნამდვილი ა ღ მ ო მ ჩ ე ნ ი ლავუაზიე არის და არა ის ორი ადამიანი, რომლებმაც მხოლოდ ა ღ წ ე რ ე ს იგი და რომლებსაც გუმანიც კი არ ჰქონიათ იმისი, თუ რა აღწერეს.

ზედმეტი ღირებულების თეორიაში მ ა რ ქ ს ი იმასვე წარმოადგენს თავის წინამორბედთა მიმართ, რასაც ლავუაზიე — პრისტლისა და შელეს მიმართ. პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილის ა რ ს ე ბ ო ბ ა, რომელსაც ჩვენ ახლა ზედმეტ ღირებულებას ვუწოდებთ, მარქსზე დიდი ხნით ადრე იყო დადგენილი; აგრეთვე მეტნაკლები სიცხადით იყო გამოთქმული, რისგან შედგება იგი, სახელდობრ: იმ შრომის პროდუქტისაგან, რომლისათვის მის მიმთვისებელს არავითარი ეკვივალენტი არ გადაუხდია. მაგრამ ამაზე შორს არ წასულან. ერთნი — კლასიკური ბურჟუაზიული ეკონომისტები — იკვლევდნენ — დიდი-დიდი — რაოდენობრივ შეფარდებას, რომლის

[1] როსკო-შორლემერი. «ქიმიის სრული სახელმძღვანელო», ტ. I, გვ. 13, 18, ბრაუნშვაიგი 1877 წ. (ენ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

მიხედვით შრომის პროდუქტი ნაწილდება მუშასა და საწარმოო საშუალებების მფლობელს შორის. სხვები — სოციალისტები — ჰპოვებდნენ, რომ ეს განაწილება უსამართლოა, და უტოპიურ საშუალებებს ეძებდნენ ამ უსამართლობის მოსასპობად. ერთნიც და მეორენიც იმ ეკონომიური კატეგორიების ტყვეობაში იყვნენ დარჩენილი, რომლებიც მათ პოვეს თავიანთ წინამორბედებთან.

მაგრამ, აი, გამოვიდა მარქსი. და გამოვიდა პირდაპირ საწინააღმდეგო სახით თავისი წინამორბედების მიმართ. სადაც ესენი ა ხ ს ნ ა ს ხედავდნენ, იქ იგი მხოლოდ პ რ ო ბ ლ ე მ ა ს ხედავდა. იგი ხედავდა, რომ აქ მის წინ იყო არა დეფლოგისტებული ჰაერი და არა ცეცხლის ჰაერი, არამედ ჟანგბადი, რომ აქ საქმე შეეხებოდა არა მხოლოდ ეკონომიური ფაქტის აღნუსხვას, არა ამ ფაქტის წინააღმდეგობას მარადიული სამართლიანობისა და ჭეშმარიტი მორალის მიმართ, არამედ ისეთ ფაქტს, რომლის მოწოდება იყო მთელი პოლიტიკური ეკონომიის გადატრიალება და რომელიც გასაღებს იძლეოდა მთელი კაპიტალისტური წარმოების გასაგებად, — იმისთვის, ვინც მით სარგებლობას მოახერხებდა. ჰქონდა რა ხელთ ეს ფაქტი, მან გამოიკვლია ყველა წინანდელი კატეგორიები, ისე როგორც ლავუაზიემ, იხელმძღვანელა რა უკვე ნაპოვნი ჟანგბადით, გამოიკვლია ფლოგისტური ქიმიის წინანდელი კატეგორიები. იმისათვის, რომ ცოდნოდა, რა არის ზედმეტი ღირებულება, მას უნდა ცოდნოდა, რა არის ღირებულება. უწინარეს ყოვლისა რიკარდოს თვით ღირებულების თეორიის კრიტიკაში გატარება იყო საჭირო. ამრიგად მარქსმა გამოიკვლია შრომა ღირებულების შემქმნელი მისი თვისების მხრივ და პირველად დაამყარა, რ ო გ ო რ ი შრომა, რატომ და როგორ ქმნის ღირებულებას, დაამყარა, რომ ღირებულება სხვა არა არის რა, თუ არ ამ სახის კრისტალიზებული შრომა, პუნქტი, რომელიც უკანასკნელ წუთამდე არ გაუგია როდბერტუსს. მარქსმა შემდეგ გამოიკვლია საქონლისა და ფულის დამოკიდებულება და დაგვანახვა, როგორ და რატომ —იმის ძალით, რომ მასში, მოთავსებულია ღირებულების თვისება — საქონელმა და საქონელთა გაცვლამ უნდა წარმოშვას საქონლისა და ფულის წინააღმდეგობა. მისი ამაზე დამყარებული თეორია ფულისა წარმოადგენს პირველ ამომწურველ და ახლა მდუმარედ საყოველთაოდ მიღებულ თეორიას. მან გამოიკვლია ფულის გარდაქმნა კაპიტალად და დაამტკიცა, რომ იგი სამუშაო ძალის ყიდვასა და გაყიდვაზეა დამყარებული. დააყენა რა შრომის ად-

გილას სამუშაო ძალა, ღირებულების შემქმნელი თვისება, მან ერთი დაკვრით ახსნა ერთ-ერთი ის სიძნელე, რომელზედაც დაიმსხვრა რიკარდოს სკოლა: შეუძლებლობა კაპიტალის და შრომის ურთიერთ გაცვლის შეთანხმებისა რიკარდოს კანონთან, რომ ღირებულება შრომით განისაზღვრება. დაამყარა რა კაპიტალის დანაწილება მუდმივ და ცვალებად კაპიტალად, მან პირველმა მიაღწია იმას, რომ დეტალურად გამოსახა ზედმეტი ღირებულების შექმნის ნამდვილი პროცესი და ამგვარად ახსნა იგი, რაც არ გაუკეთებია არც ერთ მის წინამორბედს; მაშასადამე, მან დაამყარა განსხვავება თვით კაპიტალში, განსხვავება, რომლის გამოყენებისა არა იცოდნენ რა არც როდბერტუსმა და არც ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა, მაგრამ რომელიც იძლევა გასაღებს ყოვლად დახლართული ეკონომიური პრობლემების ასახსნელად, რის, უცხადეს დამტკიცებას წარმოადგენს აქ კვლავ წიგნი II და კიდევ უფრო წიგნი III, როგორც ეს შემდეგში გამოაშკარავდება. შემდეგ მან გამოიკვლია თვით ზედმეტი ღირებულება, ჰპოვა მისი ორივე ფორმა: აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება, და დაგვანახვა, როგორ სხვადასხვა, მაგრამ ორსავე შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ორივე ეს ფორმა კაპიტალისტური წარმოების ისტორიულ განვითარებაში. ზედმეტი ღირებულების საფუძველზე მან განავითარა შრომის ხელფასის პირველი რაციონალური თეორია, რომელიც კი ჩვენ გვაქვს, და პირველად მოგვცა კაპიტალისტური დაგროვების ისტორიის ძირითადი მოხაზულობა და მისი ისტორიული ტენდენციის გამოსახვა.

დაწერილი ფ. ენგელსის მიერ 1885 წ. 5 მაისს «კაპიტალის» მეორე ტომისათვის, რომელიც გამოვიდა ჰამბურგში 1885 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით. თარგმანი გერმანულიდან.

კ. მ ა რ ქ ს ი

სამოქალაქო ომი საფრანგეთში

ფ. ენგელსის შესავალი

მე მოულოდნელად შემომთავაზეს ხელახლა გამომეცა საერთაშორისო გენერალური საბჭოს მოწოდება «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» და მისთვის შესავალიც დამერთო. ამიტომ მე შემიძლია აქ მოკლედ შევეხო მხოლოდ უმნიშვნელოვანეს პუნქტებს.

ზემოაღნიშნულ მოზრდილ შრომას მე წარვუმძღვარე გენერალური საბჭოს ორი მოკლე მოწოდება საფრანგეთ-გერმანიის ომის შესახებ. ერთი იმიტომ, რომ «სამოქალაქო ომში» მოხსენებულია მეორე მოწოდება, რომელიც, თავის თავად, პირველის გარეშე, ყველგან გასაგები არაა; შემდეგ კიდევ იმიტომ, რომ ეს ორი მოწოდება, რომელიც აგრეთვე მარქსის მიერაა დაწერილი, წარმოადგენს, არა ნაკლებ, ვიდრე «სამოქალაქო ომი», შესანიშნავ ნიმუშს ავტორის გასაოცარი, პირველად «ლუი ბონაპარტის თვრამეტ ბრიუმერში» გამომჟღავნებული ნიჭისა, ნათლად გამოარკვიოს დიდი ისტორიული მოვლენების ხასიათი, მნიშვნელობა და აუცილებელი შედეგები, იმ დროს, როცა ეს მოვლენები ჩვენ თვალწინ ხდება, ან ეს არის დასრულდა. ბოლოს იმიტომ, რომ ჩვენ გერმანიაში ღღესაც ვიტანჯებით ამ მოვლენათა შედეგებისაგან, რომლებიც მარქსმა იწინასწარმეტყველა.

განა არ გამართლდა პირველ მოწოდებაში ნათქვამი, რომ, თუ გერმანიის თავდაცვითი ომი, ლუი ბონაპარტის წინააღმდეგ მიმართული, გადაგვარდა დამპყრობელ ომად ფრანგი ხალხის წინააღმდეგ, ხელახლა და კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით იჩენს თავს ყველა ის უბედურება, რაც გერმანიას თავს დაატყდა ეგრეთწოდებული გამთავისუფლებელი ომების შემდეგო? განა ჩვენ კიდევ არ გვქონ-

და ოცი წელიწადი ბისმარკის ბატონობისა, ხოლო დემაგოგების დევნის მაგივრად საგანგებო კანონი და სოციალისტებზე ნადირობა, იმავე პოლიციური თვითნებობითა, კანონთა სიტყვასიტყვით იმავე აღმაშფოთებელი განმარტებითურთ?

და განა სიტყვასიტყვით არ გამართლდა წინასწარმეტყველება, რომ ელზას-ლორენის ანექსია საფრანგეთს აიძულებს რუსეთს გადაეხვიოსო და რომ ამ ანექსიის შემდეგ გერმანია ან რუსეთის აშკარა შინაყმა უნდა გახდეს ან მოკლე შესვენების შემდეგ ახალი ომისათვის ემზადოს, სახელდობრ «რასიული ომისათვის გაერთიანებული სლავური და რომაული რასების წინააღმდეგ»? განა ფრანგული პროვინციების ანექსიამ საფრანგეთი რუსეთს არ ჩააკონა? განა ბისმარკი მთელი ოცი წლის განმავლობაში ტყუილუბრალოდ არ ეაშიკებოდა მეფეს კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ეაშიკებოდა ბევრად უფრო მდაბალი, სამსახურის გაწევით, ვიდრე პატარა პრუსია, ჩვეული წმინდა რუსეთის ფერხთ ქვეშ ხოხვას, სანამ იგი «ევროპის პირველი დიდი სახელმწიფო» გახდებოდა? და განა ჩვენს თავზე მუდმივ არ ჰკიდია დამოკლოსის მახვილი ომისა, რომელიც პირველ დღესვე ბზესავით გაანიავებს ყველა ხელმწიფეთა მიერ დამოწმებულ კავშირებს, ომისა, რომლის შესახებ არაფრის ცოდნა არ შეიძლება გარკვევით, გარდა იმისა, რომ მისი დასასრული აბსოლუტურად გამოურკვეველია, რასიული ომისა, რომელიც მთელს ევროპას დასარბევად მისცემს თხუთმეტ ან ოც მილიონ შეიარაღებულ ჯარისკაცს, და რომელიც მხოლოდ იმიტომ არ ატეხილა, რომ თვით უძლიერეს მილიტარულ სახელმწიფოებს შიშის ზარს ჰგვრის მისი საბოლოო შედეგის განსჭვრეტის სრული შეუძლებლობა?

მით უფრო ჩვენს მოვალეობას წარმოადგენს ხელახლა მისაწვდომი გავხადოთ გერმანელი მუშებისათვის საერთაშორისო მუშათა პოლიტიკის ნახევრად დავიწყებული, შორსმჭვრეტელობის ეს ბრწყინვალე საბუთები, რომლებიც 1870 წელს ეკუთვნის.

რაც ამ ორივე მიმართვის შესახებ ვთქვით, იგივე ითქმის «საფრანგეთის სამოქალაქო ომის» შესახებაც. 28 მაისს კომუნის უკანასკნელი მებრძოლნი შემუსვრილ იქნენ უფრო ძლიერი მტრის მიერ ბელვილის ფერდობებზე, ხოლო უკვე ორი დღის შემდეგ, 30 მაისს მარქსმა გენერალურ საბჭოს წაუკითხა თავისი შრომა, სადაც პარიზის კომუნის ისტორიული მნიშვნელობა გადმოცემულია მოკლე, ძალოვან, მაგრამ ისეთ მძაფრ და პირველ ყოვლისა —

სწორ ხაზებში, როგორიც შემდეგ მიუღწეველი აღმოჩნდა უამრავი ლიტერატურისთვის ამ საგანზე.

საფრანგეთის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების გამო 1789 წლის შემდეგ, პარიზში უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ყოველი რევოლუცია, რომელიც იქ იფეთქებდა ხოლმე, აუცილებლად პროლეტარულ ხასიათს ღებულობდა, და ამრიგად პროლეტარიატი, რომელიც გამარჯვებას თავისი სისხლით ყიდულობდა, გამარჯვების შემდეგ საკუთარი მოთხოვნილებებით გამოდიოდა. ეს მოთხოვნილებანი მეტნაკლებ ბუნდოვანი და არეულდარეულიც კი იყვნენ, იმისდა მიხედვით, თუ რა განვითარების საფეხურზე იდგნენ პარიზელი მუშები; მაგრამ საბოლოოდ ისინი ყველანი იქით იყვნენ მიმართულნი, რომ მოესპოთ კლასობრივი წინააღმდეგობა კაპიტალისტებსა და მუშებს შორის. როგორ უნდა მომხდარიყო ეს, რასაკვირველია, არავინ იცოდა. მაგრამ თვით ეს მოთხოვნილება, რა რიგ გაურკვეველიც არ უნდა ყოფილიყო იგი, საფრთხეს შეიცავდა არსებული საზოგადოებრივი წესწყობილებისათვის; მუშები, რომლებიც მას არდგენდნენ, ჯერ კიდევ შეიარაღებულნი იყვნენ; ამიტომ სახელმწიფოს საჭესთან მდგომი ბურჟუაზიისთვის მუშების განიარაღება უპირველესი ამოცანა იყო. ამიტომ მუშების მიერ ბრძოლით მოპოვებულ ყოველ რევოლუციას ახალი ბრძოლა მოსდევდა, რომელიც მუშების დამარცხებით მთავრდებოდა.

ეს პირველად 1848 წელს მოხდა. პარლამენტის ოპოზიციის ლიბერალი ბურჟუები ბანკეტებს აწყობდნენ საარჩევნო რეფორმის გასატარებლად, რასაც მათი პარტიის ბატონობა უნდა უზრუნველეყო. მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი უფრო და უფრო იძულებული გახდნენ ხალხისთვის მიემართათ, თანდათან პირველი რიგები ბურჟუაზიის და წვრილი ბურჟუაზიის რადიკალური და რესპუბლიკური ფენებისათვის დაეთმოთ. მაგრამ ამ უკანასკნელთა უკან რევოლუციონერი მუშები იდგნენ, ხოლო ამათ კი 1830 წლის შემდეგ ბევრად მეტი პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ვიდრე ეს ბურჟუებსა და თვით რესპუბლიკელებს ჰქონდათ წარმოდგენილი. როცა მთავრობისა და ოპოზიციის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა, მუშებმა ბრძოლა ქუჩებში გადაიტანეს. ლუი ფილიპე გაჰქრა, მასთან ერთად გაჰქრა საარჩევნო რეფორმაც, მათ ადგილას წარმოიშვა რესპუბლიკა, ამასთანავე ისეთი, რომელსაც გამარჯვებულმა მუშებმა თვით «სოციალურიც» კი უწოდეს. არავის არ ესმოდა, რა იგულისხმებოდა ამ სოციალური რესპუბლიკის სა-

ხელწოდებაში; ეს არ ესმოდათ არც თვით მუშებს. მაგრამ მათ ახლა იარაღი ჰქონდათ და ძალას წარმოადგენდნენ სახელმწიფოში. ამიტომ როგორც კი საჭეთმპყრობელმა ბურჟუაზიულმა რესპუბლიკელებმა ოდნავ მტკიცე ნიადაგი იგრძნეს ფეხთ ქვეშ, მათი პირველი მიზანი მუშების განიარაღება შეიქნა. ეს მოხდა 1848 წლის ივნისის აჯანყების დროს, რომლის მოხდენისთვისაც აიძულეს მუშები პირდაპირ სიტყვის გატეხით, აშკარა დაცინვით და შორეულ პროვინციაში უმუშევართა გაგზავნის ცდით. მთავრობამ წინასწარ უზრუნველჰყო ძალთა უპირატესობა. ხუთი დღის გმირული წინააღმდეგობის შემდეგ მუშები დამარცხდნენ. შემდეგ დაიწყო უიარაღო ტყვეების ჟლეტა, რომლის მსგავსი არ მომხდარა იმ სამოქალაქო ომების დროიდან, რომელნიც რომის რესპუბლიკის დამხობის წინ მოხდა. ბურჟუაზიამ პირველად დაგვანახვა, რა გააფთრებული სიმკაცრით იძიებს იგი შურს, როცა პროლეტარიატი ბედავს მის წინააღმდეგ გამოვიდეს, როგორც განცალკევებული კლასი საკუთარი ინტერესებითა და მოთხოვნილებებით. მაგრამ 1848 წელი მაინც ბავშვური თამაშობა იყო 1871 წლის ბურჟუაზიის გაცოფებასთან შედარებით.

სასჯელს აღარ დაუგვიანია. თუ პროლეტარიატს ჯერ კიდევ არ შეეძლო საფრანგეთის მართვა, ბურჟუაზიას მისი მართვა უკვე აღარ შეეძლო. ყოველ შემთხვევაში აღარ შეეძლო მაშინ, როცა მისი უმრავლესობა მონარქისტულად იყო განწყობილი და სამ დინასტიურ და ერთ რესპუბლიკურ პარტიად იყო გაყოფილი. მისმა შინაგანმა შუღლმა საშუალება მისცა ავანტიურისტ ლუი ბონაპარტს, ძალაუფლების მთელი აპარატი — ჯარი, პოლიცია, ადმინისტრაციის მანქანა დაეპყრო და 1851 წლის 2 დეკემბერს ბურჟუაზიის უკანასკნელი ციხე-სიმაგრე, ნაციონალური კრება, აეფეთქებინა. დაიწყო მეორე იმპერია — საფრანგეთის ექსპლოატაცია პოლიტიკური და ფინანსური ავანტიურისტების ბანდის მიერ, მაგრამ აგრეთვე მრეწველობის ისეთი განვითარებაც, რომელიც ყოვლად შეუძლებელი იყო ლუი ფილიპეს წვრილმანი და მშიშარა სისტემის დროს, როცა მხოლოდ მსხვილი ბურჟუაზიის ერთი პატარა ნაწილი ბატონობდა. ლუი ბონაპარტმა კაპიტალისტებს პოლიტიკური ძალაუფლება წაართვა იმ საბაბით, რომ ბურჟუებს მუშების წინააღმდეგ დავიცავ, ხოლო მუშებს, ბურჟუების წინააღმდეგო; მაგრამ სამაგიეროდ მისი ბატონობა ხელს უწყობდა სპეკულაციას და სამრეწველო მოღვაწეობას, მოკლედ, მთელი ბურჟუაზიის უბადლო აყვავებას და გამდიდრებას. მაგრამ კიდევ უფრო დიდი

მასშტაბით ვითარდებოდა გამყიდველობა და მასობრივი მტაცებლობა, რომელთა ცენტრს იმპერატორის სასახლე წარმოადგენდა და რომელიც უდიდეს სარგებელს ღებულობდა ამ გამდიდრებიდან.

მაგრამ მეორე იმპერია წარმოადგენდა მოწოდებას ფრანგული შოვინიზმისადმი, იგი ნიშნავდა 1814 წელს დაკარგული პირველი იმპერიის, უკიდურეს შემთხვევაში, პირველი რესპუბლიკის საზღვრებში დაბრუნების მოთხოვნას. დიდი ხნით შეუძლებელი იყო საფრანგეთის იმპერიის არსებობა ძველი მონარქიის, ან 1815 წელს კიდევ უფრო შეკვეცილ საზღვრებში. აქედან გამომდინარეობდა დროგამოშვებით ომების ატეხის და საზღვრების გაფართოების აუცილებლობა. მაგრამ არც ერთი საზღვრის გაფართოება არ ხიბლავდა ისე ფრანგი შოვინისტების ფანტაზიას, როგორც გაფართოება რაინის მარცხენა გერმანულ ნაპირზე. ერთი კვადრატული მილი რაინზე მათს თვალში მეტად ფასობდა, ვიდრე ათი ალპებში ან სხვაგან. რაკი მეორე იმპერია შეიქმნა, რაინის მარცხენა ნაპირის მთლიანად ან ნაწილობრივ უკან მოთხოვნა მხოლოდ დროის საკითხი იყო. ეს დრო დადგა 1866 წლის ავსტრია-პრუსიის ომთან ერთად; ომის შემდეგ ბონაპარტის იმედები, რომ «ტერიტორიულ სანაზღაუროს» მიიღებდა, არ გამართლდა ბისმარკის მიერ მოტყუებისა და მისივე საკუთარი თვალთმაქცური ლოდინის პოლიტიკის წყალობით, და მას ისღა დარჩა, რომ ომისთვის მიემართა; ომმა 1870 წელს იფეთქა და მან ნაპოლეონი ჯერ სედანში მიიყვანა, ხოლო შემდეგ, როგორც ტყვე, ვილჰელმსჰოჰეში.

ამის აუცილებელი შედეგი იყო 1870 წლის 4 სექტემბრის რევოლუცია პარიზში. იმპერია ხუხულასავით ჩაიშალა, ხელახლა რესპუბლიკა გამოცხადდა. მაგრამ მტერი კარიბჭესთან იდგა; იმპერიის ჯარები ან მეცში იყვნენ უიმედოდ ალყაშემორტყმულნი, ან გერმანიაში იყვნენ დატყვევებულნი. ამ გაჭირვების დროს ხალხმა ყოფილი საკანონმდებლო კორპუსის პარიზელ დეპუტატებს ნება მისცა თავიანთი თავი «ნაციონალური თავდაცვის მთავრობად» გამოეცხადებინათ. ამას მით უფრო ჩქარა დათანხმდნენ, რომ ახლა თავდაცვის მიზნით ყველა პარიზელი, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო, ნაციონალურ გვარდიაში შევიდა და შეიარაღდა, ისე რომ იქ ახლა დიდ უმრავლესობას მუშები შეადგენდნენ. მაგრამ ჩქარა თავი იჩინა წინააღმდეგობამ თითქმის გამოუკლებლივ ბურჟუებისაგან შემდგარ მთავრობასა და შეიარაღებულ პროლეტარიატს შორის. 31 ოქტომბერს მუშების ბატალიონმა იერიშით აიღეს ქალაქის თვითმართველობის შენობა და მთავრობის წევრების ერთი ნაწილი

დაატყვევეს; ღალატისა, მთავრობის მიერ მიცემული სიტყვის აშკარა გატეხისა და ზოგიერთი წვრილ-ბურჟუაზიული ბატალიონის საქმეში ჩარევის წყალობით ისინი ხელახლა განთავისუფლდნენ, და რათა მტრის ჯარის მიერ გარემოცულ ქალაქში სამოქალაქო ომი არ ატეხილიყო, ძველი მთავრობა ხელისუფლების სათავეში დატოვეს.

ბოლოს, 1871 წლის 28 იანვარს დამშეული პარიზი მტერს დანებდა. მაგრამ დანებდა საპატიო პირობებში, რომელთა მსგავსი არ ახსოვს სამხედრო ისტორიას. ფორტები მტერს გადაეცა, ციხის გალავნიდან იარაღი მოიხსნა, სახაზო ჯარს და მოძრავ გვარდიას იარაღი ჩამოერთვა, თვით ისინი სამხედრო ტყვეებად იქნენ გამოცხადებული. მაგრამ ნაციონალურმა გვარდიამ შეინარჩუნა თავისი თოფები და ქვემეხები და მხოლოდ დროებითი ზავი დასდო გამარჯვებულებთან. ამ უკანასკნელებმა ვერ გაბედეს პარიზში ტრიუმფით შესვლა. მათ გაბედეს პარიზის მხოლოდ პატარა, ამასთანავე ნაწილობრივ საზოგადო ბაღებიდან შემდგარი კუთხის დაპერა, ისიც მხოლოდ რამდენიმე დღით! და ამ ხნის განმავლობაში ისინი, ვისაც 131 დღის განმავლობაში პარიზი ალყაშემორტყმული ჰქონდა, თვით ალყაშემორტყმული აღმოჩნდნენ შეიარაღებული პარიზელი მუშების მიერ, რომელნიც ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს, რათა არც ერთ «პრუსიელს» არ გადაელახა უცხო დამპყრობლისათვის მიჩენილი კუთხის ვიწრო საზღვრები. ასეთი მოკრძალება ჩააგონეს პარიზელმა მუშებმა იმ ჯარს, რომლის წინაშე იმპერიის ყველა არმიამ იარაღი დაჰყარა; და პრუსიელი იუნკრები, რომელნიც აქ მოვიდნენ, რათა შური ეძიათ ამ რევოლუციის კერის მიმართ, იძულებული გახდნენ მოწიწებით შეჩერებულიყვნენ და სამხედრო სალამი მიეცათ სწორედ ამ შეიარაღებული რევოლუციისთვის!

ომის დროს პარიზელი მუშები მხოლოდ იმას მოითხოვდნენ, რომ ომი ენერგიულად გაგრძელებულიყო. მაგრამ ახლა, როცა პარიზის დანებების შემდეგ ზავი დამყარდა, მთავრობის ახალი მეთაური — ტიერი უნდა დარწმუნებულიყო, რომ გაბატონებული კლასების—დიდი მიწათმფლობელებისა და კაპიტალისტების—ბატონობას მუდმივი საფრთხე ელის, სანამ პარიზელი მუშები შეიარაღებული დარჩებიან. მისი პირველი ნაბიჯი მათი განიარაღების ცდა იყო. 18 მარტს ჰან სახაზო ჯარებს უბრძანა ნაციონალური გვარდიისთვის წაერთმიათ არტილერია, რომელიც პარიზის გარემოცვის დროს მომზადდა ხელისმოწერით საზოგადოების ხარჯზე. ცდა მარცხით

დამთავრდა, პარიზი როგორც ერთი კაცი შეიარაღდა წინააღმდეგობის გასაწევად და პარიზსა და ვერსალში მოკალათებულ საფრანგეთის მთავრობას შორის ომი გამოცხადდა. 26 მარტს არჩეულ, ხოლო 28 მარტს გამოცხადებულ იქნა პარიზის კომუნა, ნაციონალური გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც მანამდე ხელისუფლების სათავეში იდგა და უკვე მოასწრო დეკრეტის გამოცემა სამარცხვინო პარიზელი «ზნეობის პოლიციის» გაუქმების შესახებ, კომუნას გადასცა თავის რწმუნება. 30 მარტს კომუნამ გააუქმა კონსკრიპცია და მუდმივი ჯარი და ერთადერთ შეიარაღებულ ძალად ნაციონალური გვარდია გამოაცხადა. ამ გვარდიაში უნდა შესულიყო ყოველი მოქალაქე, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო; კომუნამ გააუქმა ბინის ქირა 1870 წლის ოქტომბრიდან 1871 წლის აპრილამდე, უკვე გადახდილი თანხის მომავალი ქირის ანგარიშში ჩარიცხვით და შეაჩერა ქალაქის ლომბარდში დაგირავებული ნივთების გაყიდვა. იმავე დღეს კომუნაში არჩეული უცხოელები დამტკიცებულ იქნენ მათს თანამდებობაში, რადგან «კომუნის დროშა მსოფლიო რესპუბლიკის დროშაა». 1 აპრილს გადაწყდა, რომ კომუნის მოხელის, მაშასადამე, აგრეთვე მისი წევრის ჯამაგირი არ უნდა აღემატებოდეს 6000 ფრანკსო (4800 მარკას). მეორე დღეს დეკრეტით გამოცხადებულ იქნა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა, მოისპო ყველა სახელმწიფოებრივი ხარჯების გაღება სარწმუნოებრივი მიზნებისთვის, ხოლო მთელი საეკლესიო ქონება ნაციონალიზებულ იქნა; ამას 8 აპრილს მოჰყვა ბრძანება, რომ სკოლებიდან გაეძევებინათ ყველა რელიგიური სიმბოლო, ხატი, დოგმატი, ლოცვა, ერთი სიტყვით, «ყოველივე, რაც ცალკე პირის სინდისის სფეროს ეკუთვნის», ეს ბრძანება თანდათან განხორციელდა. — რადგან ვერსალელი ჯარები ყოველდღე ხვრეტდნენ ტყვედ ჩავარდნილ კომუნის დამცველებს, 5 აპრილს გამოცემულ იქნა დეკრეტი მძევლების დატუსაღების შესახებ, მაგრამ იგი მთლიანად არასოდეს არ განხორციელებულა. — 6 აპრილს ნაციონალური გვარდიის 137-ე ბატალიონმა გამოათრია გილიოტინა და საჯაროდ დაწვა, რამაც ხალხის დიდი აღტაცება გამოიწვია. — 12 აპრილს კომუნამ დაადგინა დაენგრია, როგორც შოვინიზმის და ერთა შუღლის სიმბოლო, ვანდომის მოედანზე ამართული გამარჯვების სვეტი, რომელიც ნაპოლეონმა 1809 წლის ომის შემდეგ ჩამოასხმევინა ნადავლი ქვემეხებისაგან. ეს განხორციელებულ იქნა 16 მაისს. — 16 აპრილს კომუნამ ბრძანება გასცა აღერიცხათ ფაბრიკანტების მიერ შეჩერებული ფაბრიკები და შეემუშავებინათ გეგმა მათი ექსპლოატა-

ციისა მუშების მიერ, რომელნიც მანამდე იქ მუშაობდნენ და რომელნიც კოოპერაციულ ამხანაგობებში უნდა გაერთიანებულიყვნენ, შეემუშავებინათ აგრეთვე გეგმა ამ ამხანაგობათა ერთ დიდ კავშირში გაერთიანებისა. — 20 აპრილს გაუქმებულ იქნა პურის-მცხობლების ღამის მუშაობა და სამუშაო საძიებელი კანტორები, რომელნიც მეორე იმპერიის დროიდან პოლიციის მიერ დანიშნული პირების, მუშათა პირველხარისხოვანი ექსპლოატატორების, მონოპოლიას წარმოადგენდა; ეს კანტორები პარიზის ო	იუბნის მერიას გადაეცა. — 30 აპრილს გაუქმებულ იქნა გამსესხებელი სალაროები, რომელნიც მუშების კერძო ექსპლოატაციის საშუალებას წარმოადგენდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ მშრომელთა უფლებას მათი შრომის იარაღსა და კრედიტზე. — 5 მაისს გადაწყდა დანგრეულიყო ლუი XVI-ის დასჯის მოსანანიებლად აშენებული სამლოცველო.

ამრიგად, 18 მარტიდან მკაფიოდ და ნათლად გამომჟღავნდა პარიზის მოძრაობის წმინდა კლასობრივი ხასიათი, რომელიც მანამდე მიჩქმალული იყო მტრის შემოსევის წყალობით. რადგან კომუნაში თითქმის მხოლოდ მუშები ან აღიარებული მუშათა წარმომადგენლები ისხდნენ, ამიტომ მათ დადგენილებებსაც გარკვეული პროლეტარული ხასიათი ჰქონდათ. ეს დადგენილებანი ან ისეთ რეფორმებს აკანონებდა, რომელნიც რესპუბლიკურმა ბურჟუაზიამ მხოლოდ სიმხდალის გამო ვერ განახორციელა და რომელნიც აუცილებელ საფუძველს წარმოადგენდნენ მუშათა კლასის თავისუფალი მოქმედებისთვის, როგორც, მაგალითად, იმ დებულების განხორციელება, რომ სახელმწიფოს მიმართ სარწმუნოება კერძო საქმეაო; ან კომუნა ისეთ დადგენილებებს ღებულობდა, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებული იყვნენ მუშათა კლასის ინტერესებთან და ნაწილობრივ ღრმად იჭრებოდნენ ძველ საზოგადოებრივ წესწყობილებაში. მაგრამ ალყაშემორტყმულ ქალაქში მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა შეიძლებოდა. უკვე მაისის დასაწყისიდან მთელი ძალღონე ვერსალის მთავრობის რიცხვობრივად სულ უფრო და უფრო მზარდი ჯარების წინააღმდეგ ბრძოლას უნდებოდა.

7 აპრილს ვერსალელებმა ხელთ იგდეს მდინარე სენაზე გადასასვლელი ნეიისთან, პარიზის დასავლეთის ფრონტზე; სამაგიეროდ 11 აპრილს გენერალმა ედმა დიდი ზარალის მიყენებით უკუაქცია მათი შემოტევა სამხრეთ ფრონტზე. იგივე ადამიანები, რომელნიც პარიზისათვის ყუმბარების დაშენას პრუსიელების მხრივ მკრეხე-

ლობად სთვლიდნენ, ახლა პარიზს განუწყვეტლივ თვით უშენდნენ ყუმბარებს. იგივე ადამიანები ემუდარებოდნენ პრუსიის მთავრობას, რაც შეიძლება ჩქარა დაგვიბრუნე სედანსა და მეცში დატყვევებული ფრანგი ჯარისკაცები, რათა მათი შემწეობით პარიზი დავიპყროთო. ამ ჯარების თანდათან დაბრუნებამ მაისის პირველ რიცხვებში გადამწყვეტი უპირატესობა მიანიჭა ვერსალელებს. ეს უკვე 23 აპრილს გამოაშკარავდა, როცა ტიერმა შეწყვიტა მოლაპარაკება კომუნის წინადადებაზე — პარიზის არქიეპისკოპოზისა და რამდენიმე სხვა ხუცესის, რომელნიც პარიზში ჰყავდათ მძევლებად, გაცვლის შესახებ მარტოდმარტო ბლანკიზე, რომელიც კომუნაში ორჯერ აირჩიეს, მაგრამ კლერვოში იყო დატყვევებული. ეს კიდევ უფრო გამომჟღავნდა შეცვლილ ტონში ტიერის ლაპარაკისა, რომელიც დღემდე თავდაჭერილი და ორაზროვანი, ახლა უცებ თავხედი, მუქარით აღსავსე და ტლანქი გახდა. სამხრეთის ფრონტზე ვერსალელებმა 3 მაისს რედუტი მულენ საკე აიღეს, 9 მაისს, შედლუღით სავსებით დანგრეული, ფორტი ისსი, 14 მაისს ფორტი ვანვი. დასავლეთის ფრონტზე ისინი ნელ-ნელა მიუახლოვდნენ სიმაგრეების მთავარ ხაზს და დაიჭირეს მრავალი სოფელი და შენობა, რომელიც ქალაქის გალავანს ეკრა; 21 მაისს მათ ღალატისა და აქ მდგომი ნაციონალური გვარდიის დაუდევრობის წყალობით მოახერხეს ქალაქში შეჭრილიყვნენ. პრუსიელებმა, რომელთაც აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ფორტები ეკავათ, ნება მისცეს ვერსალელებს წინ წაწეულიყვნენ ქალაქის ჩრდილოეთით, ტერიტორიაზე, რომელიც დროებითი ზავის პირობების ძალით მათთვის მიუწვდომელი უნდა ყოფილიყო და, ამრიგად, მათ შესაძლებლობა მიეცათ ქალაქზე იერიში მიეტანათ გრძელი ფრონტიდან, რომელიც პარიზელებს დაფარული მიაჩნდათ დროებითი ზავით და ამიტომ სუსტად იყო დაცული. ქალაქის დასავლეთი ნაწილი, რომელშიც მდიდართა უბნებია მოთავსებული, მტერს სუსტად უწევდა წინააღმდეგობას; ეს წინააღმდეგობა მით უფრო ცხარე და მძაფრი ხდებოდა, რაც უფრო უახლოვდებოდნენ შემოჭრილი ჯარები დედაქალაქის აღმოსავლეთის ნაწილს, ნამდვილ მუშათა ქალაქს. მხოლოდ რვა დღის ბრძოლის შემდეგ დაეცნენ კომუნის უკანასკნელი დამცველები ბელვილისა და მენილმონტანის გორაკებზე, და აი უიარაღო მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვების ხოცვა-ჟლეტამ, რომელიც მთელი კვირის განმავლობაში მძვინვარებდა, თავის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. რადგან გაუმჯობესებული თოფი საკმაო სიჩქარით ვერ ჟლეტდა, დამარცხებულთ ასობით ხვრეტ-

დნენ მიტრალიეზების შემწეობით. «კომუნარების კედელი» პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, სადაც უკანასკნელი მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოხდა, დღესაც დგას როგორც მუნჯი, მაგრამ მჭერ-მეტყველი მოწმე იმ გააფთრებისა, რომელსაც გაბატონებული კლასი იჩენს ხოლმე, როცა პროლეტარიატი თავისი უფლების დასაცავად გამოსვლას ბედავს. შემდეგ დაიწყო მასობრივი და-ტუსაღება და, როცა ყველა ტყვეების დახოცვა შეუძლებელი აღმოჩნდა, მათს რიგებში თვითნებურად არჩევდნენ დასახოც მსხვერპლებს, ხოლო დანარჩენნი დიდ ბანაკში მიჰყავდათ, სადაც მათ სამხედრო სასამართლოსათვის უნდა ელოდნათ. პრუსიის ჯარებს, რომელთაც ალყა ჰქონდათ შემორტყმული პარიზის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაწილისთვის, ნაბრძანები ჰქონდათ არც ერთი ლტოლვილი არ გაეშვათ, მაგრამ ოფიცრები ხშირად თავს იკატუნებდნენ, როცა ჯარისკაცები უფრო ადამია-ნობის გრძნობას უგდებდნენ ყურს, ვიდრე უმაღლეს სარდლობას; თავისი ჰუმანობით განსაკუთრებით სახელი გაითქვა საქსონიის არმიის კორპუსმა, რომელმაც კომუნის მრავალი აშკარა მებრძოლი გაუშვა.

* * *

თუ დღეს, ოცი წლის შემდეგ, 1871 წლის პარიზის კომუნის მოღვაწეობასა და ისტორიულ მნიშვნელობას გადავავლებთ თვალს დავინახავთ, რომ «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» ზოგიერთ დამატებას საჭიროებს.

კომუნის წევრები გაყოფილი იყვნენ უმრავლესობად, რომელ-საც წარმოადგენდნენ ბლანკისტები და რომელთაც უპირატესობა ჰქონდათ აგრეთვე ნაციონალური გვარდიის ცენტრალურ კომიტეტ-ში, და უმცირესობად, რომელიც მუშათა საერთაშორისო ასოციაციის წევრებისა და უმთავრესად პრუდონის სოციალისტური სკოლის მიმდევრებისაგან შედგებოდა. ბლანკისტების დიდი ნაწილი მაშინ სოციალისტებს წარმოადგენდა მხოლოდ თავისი რევოლუციური, პროლეტარული ინსტინქტით; მხოლოდ რამდენიმე მათგანმა თუ მიაღწია პრინციპების უფრო ნათელ გაგებას ვაიანის შემწეობით, რომელიც იცნობდა გერმანულ მეცნიერულ სოციალიზმს. ამით აიხსნება, რომ ეკონომიურ დარგში კომუნამ ბევრი რამ უყურადღე-ბოდ დატოვა, რაც ჩვენი ახლანდელი შეხედულების მიხედვით მას უნდა გაეკეთებინა. მაგრამ ყველაზე ძნელი გასაგებია ის მოკრძალე-ბა, რომლითაც კომუნის მეთაურები საფრანგეთის ბანკის კარიბჭეს-

თან შეჩერდნენ. ეს მძიმე პოლიტიკური შეცდომაც იყო. კომუნის ხელში ბანკს ხომ ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე ათი ათას მძევალს. ეს გამოიწვევდა მთელი საფრანგეთის ბურჟუაზიის ზემოქმედებას ვერსალის მთავრობაზე, რათა მას ზავი შეეკრა კომუნასთან. მაგრამ უფრო გასაოცარია ის, რომ ბლანკისტებისა და პრუდონისტებისაგან შემდგარი კომუნა მაინც ხშირად სწორად იქცეოდა. თავისთავად ცხადია, რომ კომუნის ეკონომიური დეკრეტებისთვის, როგორც მისი სასიქადულო, ისე მისი საძრახისი მხარეებისთვის, უწინარეს ყოვლისა, პრუდონისტები არიან პასუხისმგებელნი, ხოლო პოლიტიკური მოქმედების და უმოქმედობისთვის — ბლანკისტები. ისტორიის ირონიამ ინება, — როგორც ეს ხშირად ხდება, როცა ხელისუფლების სათავეში დოქტრინერები დგებიან, — რომ პირველნიც და მეორენიც იმის საწინააღმდეგოს აკეთებდნენ, რასაც მათ მათი სკოლის დოქტრინა უკარნახებდა.

წვრილი გლეხების და ხელოსნების სოციალისტს — პრუდონს პირდაპირ სძაგდა ასოციაცია. იგი ამბობდა, მასში მეტი ცუდია, ვიდრე კარგი, იგი ბუნებით უნაყოფოა, მავნებელიც კი, როგორც მუშის თავისუფლების შემბოჭველი ბორკილიო; იგი წმინდა დოგმაა, უნაყოფო და აუტანელი, იგი ეწინააღმდეგება როგორც მუშის თავისუფლებას, ისე შრომის მომჭირნეობას, მის მიერ მოყენებული ზიანი ჭარბობს მის მიერ გამოწვეულ სარგებლობასო; მასთან შედარებით კონკურენცია, შრომის დანაწილება, კერძო საკუთრება ეკონომიურ ძალებს წარმოადგენენო. პრუდონის აზრით, მუშების ასოციაცია შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როგორიცაა მსხვილი მრეწველობისა და დიდი წარმოების, მაგ. რკინიგზების დარგი (იხ. «რევოლუციის საერთო იდეა», ნარკვევი მე-3).

მაგრამ 1871 წელს მსხვილი მრეწველობა უკვე გამონაკლისს აღარ წარმოადგენდა თვით პარიზში, მხატვრული ხელოსნობის ამ ცენტრში; კომუნის უმნიშვნელოვანესი დეკრეტი მსხვილ მრეწველობასა და თვით მანუფაქტურაში ისეთს ორგანიზაციას აწესებდა, რომლისთვისაც საჭირო იყო მუშათა ასოციაციები არა მარტო ცალკე ფაბრიკაში, არამედ ყველა ასოციაციის გაერთიანება ერთ დიდ კავშირში, რომელიც, როგორც მარქსი «სამოქალაქო ომში» სრულიად სამართლიანად ამბობს, ბოლოს კომუნიზმისკენ მიდიოდა, ე. ი. პრუდონის მოძღვრების პირდაპირ საწინააღმდეგო მიმართულებით. ამიტომ კომუნა სასაფლაო იყო პრუდონის სოციალისტური

სკოლისათვის. ეს სკოლა დღეს მოსპობილია საფრანგეთის მუშათა წრეებში; აქ ახლა უცილობლად «პოსიბილისტებში» არანაკლებაა გაბატონებული მარქსის თეორია, ვიდრე «მარქსისტებში». მხოლოდ «რადიკალურ» ბურჟუაზიაში მოიპოვებიან კიდევ პრუდონისტები.

არც ბლანკისტებს მოუვიდათ უკეთესი საქმე. ისინი, შეთქმულების სკოლაში აღზრდილნი, ამ სკოლისათვის შესატყვისი მკაცრი დისციპლინით შემჭიდროებულნი, ფიქრობდნენ, რომ გაბედული, ორგანიზაციულად კარგად დარაზმული ადამიანების შედარებით პატარა რიცხვს შეუძლია არა მარტო სახელმწიფოს საჭეს დაეპატრონოს განსაზღვრულ ხელსაყრელ მომენტში, არამედ ძალოვანი, მედგარი ენერგიის გაშლის წყალობით იმდენ ხანსაც კი შეინარჩუნოს იგი, სანამ რევოლუციის მხარეზე ხალხის გადაბირებას და პატარა ხელმძღვანელი რაზმის გარშემო მის თავმოყრას შესძლებდეს. ამისთვის უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო მთელი ხელისუფლების მკაცრი, დიქტატორული ცენტრალიზაცია ახალი რევოლუციური მთავრობის ხელში. რა მოიმოქმედა კომუნამ, რომლის უმრავლესობა სწორედ ამ ბლანკისტებისაგან შედგებოდა? ყველა თავის პროკლამაციაში პროვინციის ფრანგებისადმი იგი მათ მოუწოდებდა საფრანგეთის კომუნების თავისუფალი ფედერაცია შეექმნათ პარიზთან ერთად, ერთი ეროვნული ორგანიზაცია, რომელიც მართლაც პირველად იქნებოდა შექმნილი თვით ერის მიერ. სწორედ წინანდელი ცენტრალისტური მთავრობის მჩაგვრელი ძალა, არმია, პოლიტიკური პოლიცია, ბიუროკრატია, რომელიც ნაპოლეონმა შექმნა 1798 წელს და რომელსაც მას შემდეგ ყოველი ახალი მთავრობა ღებულობდა როგორც სასურველ იარაღს და თავისი მტრების წინააღმდეგ იყენებდა, სწორედ ეს ძალა უნდა დამხობილიყო ყველგან, როგორც დაემხო იგი პარიზში.

(კომუნა იმთავითვე იძულებული იყო ეღიარებინა, რომ რაკი მუშათა კლასმა ბატონობა მოიპოვა, მას არ შეუძლია ძველი სახელმწიფოებრივი მანქანით იმუშაოს; თუ მუშათა კლასს არ სურს თავისი ახლად მოპოვებული ბატონობა ხელახლა დაჰკარგოს, მან, ერთი მხრივ, უნდა გაანადგურეს ძველი, დღემდე მის წინააღმდეგ მიმართული ჩაგვრის მანქანა, ხოლო მეორე მხრივ, თავისი თავი უნდა დაიცვას თავისი საკუთარი დეპუტატებისა და მოხელეებისაგან, რისთვისაც უნდა გამოაცხადოს, რომ ყოველთვის შეიძლება, ყველა იმათი, სრულიად გამოუკლებლად, შეცვლა. რაში მდგომარეობდა დღემდე სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისება? საზოგადოებამ თავდაპირველად თავისი საერთო ინტერესების დასაცა-

ვად შრომის უბრალო დანაწილების გზით თავისთვის განსაკუთრებული ორგანოები შექმნა. მაგრამ ეს ორგანოები, რომელთა მწვერვალს სახელმწიფოებრივი ხელისუფლება წარმოადგენდა, ჟამთა ვითარებაში, საკუთარი განკერძოებული ინტერესების კარნახით, საზოგადოების მსახურთაგან მის ბატონებად იქცნენ. ეს ჩანს არა მარტო მემკვიდრეობით მონარქიაში, არამედ დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც. არსად არ წარმოადგენენ «პოლიტიკოსები» ერის ისეთს განცალკევებულსა და გავლენიან ნაწილს, როგორც ჩრდილოეთ ამერიკაში. იქ თვითეულს იმ ორი დიდი პარტიიდან, რომელთაც ბატონობა ხელში მორიგეობით უვარდებათ, თავის მხრით მართავენ ადამიანები, რომელთაც პოლიტიკა საშემოსავლო საქმედ გადააქციეს; ისინი სპეკულაციას ეწევიან კავშირისა და ცალკე შტატების საკანონმდებლო კრებების სადეპუტატო ადგილებით ან კიდევ თავისი პარტიისთვის წარმოებული აგიტაციით ცხოვრობენ, ხოლო გამარჯვების შემდეგ ჯილდოდ რაიმე თანამდებობას ღებულობენ. ცნობილია, როგორ ცდილობენ უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ამერიკელები გადააგდონ ეს აუტანელი უღელი და როგორ ეფლობიან ამისდა მიუხედავად გამყიდველობის ჭაობში. სწორედ ამერიკაში შეგვიძლია ყველაზე უკეთ დავინახოთ, როგორ ხდება სახელმწიფოებრივი ხელისუფლება დამოუკიდებელი იმ საზოგადოების მიმართ, რომლის იარაღი იგი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო. აქ არ არსებობს არც დინასტია, არც თავადაზნაურობა, არც მუდმივი ჯარი, თუ სათვალავში არ მივიღებთ ორიოდე ჯარისკაცს, რომელიც ინდიელებს ადევნებს თვალყურს, არც ბიუროკრატია მტკიცე ადგილებითა და პენსიებით. ამისდა მიუხედავად აქ არის ორი დიდი ბანდა პოლიტიკური სპეკულიანტებისა, რომელნიც მორიგეობით სახელმწიფოებრივ ძალას ეუფლებიან და მას ბილწი მიზნებისათვის იყენებენ ბილწი საშუალებების შემწეობით, ხოლო ერი სრულიად უმწეოა პოლიტიკოსთა ამ ორი კარტელის წინაშე, რომელიც ვითომ მას ემსახურება, ნამდვილად კი მას ბრძანებლობს და ძარცვავს.

კომუნამ ორი ყველაზე უტყუარი ღონისძიება მიიღო ამ ყველა დღემდე არსებულ სახელმწიფოში აუცილებელი გარდაქმნის წინააღმდეგ, რომელიც სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრივ ორგანეობს საზოგადოების მსახურებიდან საზოგადოების ბატონებად აქცევდა. ერთი რომ ყველა თანამდებობაზე ადმინისტრატორებისა, მსაჯულებისა, მასწავლებლებისა, კომუნა ნიშნავდა საყოველთაო საარჩევნო უფლებით ამორჩეულ პირებს, ამავე დროს ამომრჩე-

ველთ ყოველთვის შეეძლოთ ამორჩეულთა უკან გამოწვევა. მეორე, რომ ყოველ მოსამსახურეს, მაღალი თანამდებობა ეჭირა მას თუ დაბალი, ის მხოლოდ მუშის ხელფასის თანაბარ ჯამაგირს აძლევდა. უდიდესი ჯამაგირი კომუნაში არ ჭარბობდა 6000 ფრანკს. ამით მტკიცე ზღუდე დაედო კარიერიზმს, თვით იმპერატიული მანდატების დაუხმარებლადაც, რომლითაც ამას გარდა ხალხის წარმომადგენლები იყვნენ აღჭურვილნი.

«სამოქალაქო ომის» მესამე თავში დაწვრილებითაა აღწერილი ძველი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ეს შემუსვრა და მისი შეცვლა ახალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული ხელისუფლებით. მაგრამ საჭიროდ მივიჩნიეთ აქ მოკლედ ერთხელ კიდევ შევჩერებულიყავით მის ზოგიერთ მხარეზე, იმიტომ რომ სწორედ გერმანიაში ცრუმორწმუნეობრივი შეხედულება სახელმწიფოზე ფილოსოფიიდან ბურჟუაზიის და თვით მრავალი მუშის ზოგად შეგნებაში გადავიდა. ფილოსოფიური წარმოდგენის მიხედვით სახელმწიფო არის «იდეის განხორციელება» ან ფილოსოფიურ ენაზე გადათარგმნილი ღვთის მეუფება დედამიწაზე ან კიდევ დარგი, სადაც მუდმივი ჭეშმარიტება და სამართლიანობა ხორციელდება ან უნდა განხორციელდეს. აქედან გამომდინარეობს ცრუმორწმუნეობრივი თაყვანისცემა სახელმწიფოსი და ყოველივე იმისა, რაც სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული; ეს მით უფრო ადვილად ხდება, რომ ადამიანი ბავშვობიდანვე ეჩვევა იმ აზრს, თითქოს საზოგადოებრივი საქმეების გაძღოლა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა მხოლოდ ისეა შესაძლებელი, როგორც დღემდე ხდებოდა, სახელდობრ, სახელმწიფოსა და კარგი ჯამაგირიანი მოხელეების შემწეობითო, და ზოგიერთს ჰგონია არაჩვეულებრივ თამამი ნაბიჯი გადავდგეთ, თუ მემკვიდრეობითი მონარქიის რწმენიდან განთავისუფლდა და დემოკრატიული რესპუბლიკა აღიარა. ნამდვილად კი სახელმწიფო სხვა არა არის რა, თუ არა მანქანა, რომლითაც ერთი კლასი მეორეს ჩაგრავს და ამასთანავე დემოკრატიულ რესპუბლიკაში არანაკლებ, ვიდრე მონარქიაში. უკეთეს შემთხვევაში სახელმწიფო ბოროტებაა, რომელსაც კლასობრივი ბატონობისთვის ბრძოლაში გამარჯვებული პროლეტარიატი მიიღებს მემკვიდრეობად; გამარჯვებული პროლეტარიატი მსგავსად პარიზის კომუნისა იძულებული გახდება შეძლებისამებრ დაუყოვნებლივ წარჰკვეთოს სახელმწიფოს უარესი მხარეები, სანამ ახალი თაობა, აღზრდილი ახალ, თავისუფალ საზოგადოებრივ პირობებში, არ შესძლებს თავიდან მოიშოროს მთელი სახელმწიფოს ნამუსრევი.

. პოლო დროს სოციალ-დემოკრატიული ფილისტერი ხელახლა განმკურნებელ შიშის ძრწოლას განიცდის პროლეტარიატის დიქ-ტატურის გაგონებაზე. ძალიან კარგი, ბატონებო: გნებავთ თუ არა იცოდეთ, როგორი სანახავია ეს დიქტატურა? შეხედეთ პარიზის კომუნას. ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურა.

ლონდონი,
პარიზის კომუნის ოცი წლის თავი,
1891 წლის 18 მარტი.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ კ. მარქსის შრომის «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» ცალკე გამოცემისათვის, რომელიც გამოვიდა ბერლინში 1891 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან.

მუშათა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური საბჭოს პირველი მოწოდება საფრანგეთ-პრუსიის ომის შესახებ

მუშათა საერთაშორისო ასოციაციის წევრებს ევროპასა და შეერთებულ შტატებში

«მუშათა საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელ მანიფესტში» 1864 წლის ნოემბერში ჩვენ ვამბობდით: «თუ მუშათა კლასის განთავისუფლება მოითხოვს მუშების ძმურ გაერთიანებასა და თანამშრომლობას, — როგორ შეუძლიათ მათ ამ დიდი მისიის შესრულება ისეთი საგარეო პოლიტიკის არსებობისას, რომელიც მისდევს რა დანაშაულებრივ მიზნებს, აღვივებს ეროვნულ ცრურწმენას და მძარცველურ ომებში ღვრის ხალხის სისხლსა და ფლანგავს მის ქონებას?». და ჩვენ შემდეგი სიტყვებით დავახასიათეთ ინტერნაციონალის საგარეო პოლიტიკა: «ზნეობისა და სამართლიანობის მარტივმა კანონებმა, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ თავიანთ ურთიერთობაში კერძო პირები, უზენაესი კანონების მნიშვნელობა უნდა მოიპოვონ, აგრეთვე, ერთა ურთიერთობაშიც».

გასაკვირი არაა, რომ ლუი ბონაპარტი, რომელმაც ისარგებლა რა საფრანგეთში კლასთა ბრძოლით, ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა და თავისი ბატონობა რამდენიმე საგარეო ომის შემწეობით გააგრძელა, იმთავითვე სახიფათო მტრად თვლიდა ინტერნაციონალს. პლებისციტის [1] წინადღით მან გაითარეშა მუშათა საერთაშორისო ასოციაციის ადმინისტრაციული კომიტეტების წევ-

[1] ნაპოლეონ მესამემ 1870 წლის მაისს, ვითომდა ხალხთა მასის იმპერიისადმი დამოკიდებულების გამოვლენის მიზნით ჩაატარა პ ლ ე ბ ი ს ც ი ტ ი (ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ა ხ ა ლ ხ ო კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა). საკითხი ისე იყო ფორმულირე-

რების წინააღმდეგ პარიზსა, ლიონსა, რუანსა, მარსელსა, ბრესტში, მოკლედ, მთელ საფრანგეთში, იმ საბაბით, რომ ინტერნაციონალი საიდუმლო საზოგადოებაა, რომელიც შეთქმულებას ამზადებს ჩემს მოსაკვლელადო; ამ ბრალდების სრული უსუსურობა იმ წუთშივე გამომჟღავნებულ იქნა მისივე საკუთარი მსაჯულების მიერ. რაში მდგომარეობდა ინტერნაციონალის ფრანგული სექციების ნამდვილი დანაშაული? იმაში, რომ ისინი ხმამაღლა და დაჟინებით ეუბნებოდნენ ფრანგ ხალხს: ხმის მიცემა პლებისციტისთვის ნიშნავს ხმის მიცემას დესპოტიზმისთვის შიგნით და ომისთვის გარეთ. და მართლაც ეს მათი წყალობით მოხდა, რომ საფრანგეთის ყველა დიდ ქალაქში, ყველა სამრეწველო ცენტრში მუშათა კლასი ერთი კაცივით აღსდგა პლებისციტის წინააღმდეგ. სამწუხაროდ მუშების ხმები გადასწონა სოფლის ოლქების ღრმა უმეცრებამ. თითქმის მთელი ევროპის საფონდო ბირჟებმა, კაბინეტებმა, გაბატონებულმა კლასებმა და პრესამ პლებისციტი იდღესასწაულეს როგორც საფრანგეთის იმპერატორის ბრწყინვალე გამარჯვება საფრანგეთის მუშათა კლასზე; ნამდვილად იგი ნიშანს წარმოადგენდა არა ცალკე პირის, არამედ მთელი ხალხების მკვლელობისთვის.

1870 წლის ივლისის სამხედრო შეთქმულება[1] მხოლოდ 1851 წლის დეკემბრის სახელმწიფოებრივი გადატრიალების შესწორებული გამოცემაა. პირველი შეხედვით საქმის ვითარება იმდენად უაზრო ჩანდა, რომ საფრანგეთს არ უნდოდა დაეჯერებინა, ომი სერიოზულად იწყებაო. ბევრად უფრო ადვილად უჯერებდნენ დეპუტატს, რომელიც მინისტრების საომარ სიტყვებში უბრალო საბირჟო მანევრს ხედავდა. ბოლოს, როცა 15 ივლისს ომის შესახებ ოფიციალურად ეცნობა საკანონმდებლო კორპუსს, მთელმა ოპოზიციამ უარი სთქვა დაემტკიცებინა წინასწარი ხარჯები; თვით ტიერმაც კი ომი «საზიზღარ» რამედ დასახა; პარიზის ყველა დამოუკიდებელმა გაზეთმა გაჰკიცხა იგი და, რაც გასაკვირია, პროვინციული პრესა თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად მას მიემხრო.

ბული, რომ არ შეიძლებოდა ნაპოლეონ მესამეს პოლიტიკის დაგმობა, თუ, ამავე დროს, არ გაილაშქრებდით ყოველგვარი დემოკრატიული რეფორმების წინააღმდეგ. პირველი ინტერნაციონალის საფრანგეთის სექციამ გამოამჟღავნა ეს დემაგოგიური მანევრი და წინადადება მისცა თავის წევრებს თავი შეეკავებინათ კენჭის ყრისაგან. რ ე დ.

[1] 1870 წლის 19 ივლისს დაიწყო ომი საფრანგეთსა და გერმანიას შორის. რ ე დ.

ამასობაში ინტერნაციონალის პარიზელმა წევრებმა ისევ ხელი მოჰკიდეს მუშაობას. «Réveil» [1]-ში 12 ივლისს მათ გამოაქვეყნეს მანიფესტი «ყველა ერის მუშებისადმი», სადაც ნათქვამია:

«ერთხელ კიდევ პოლიტიკური პატივმოყვარეობა მსოფლიო მშვიდობიანობას ემუქრება ევროპის წონასწორობისა და ეროვნული პატივის დაცვის საბაბით. ფრანგო, გერმანელო და ესპანელო მუშებო! შევაერთოთ ჩვენი ხმები ერთს აღშფოთების შეძახილში ომის წინააღმდეგ... ომი, რომელიც გამოწვეულია უპირატესობის მიღწევის სურვილით ან დინასტიური მოსაზრებებით, მუშების თვალში სხვას არას წარმოადგენს, თუ არა დანაშაულებრივ სიგიჟეს. ჩვენ, ვისაც მშვიდობა, მუშაობა და თავისუფლება გვსურს, ხმამაღლა პროტესტს ვაცხადებთ იმ ადამიანების საომარი ყიჟინის წინააღმდეგ, ვინც ფულით თავს ინთავისუფლებს «სისხლის ბეგარისაგან» და საზოგადოების უბედურებაში მხოლოდ ახალი სპეკულაციების წყაროს ხედავს!... გერმანელო ძმებო! ჩვენს შორის მტრობას მხოლოდ დესპოტიზმის სრული ტრიუმფი მოჰყვება რაინის ორივე ნაპირას... ყველა ქვეყნის მუშებო! როგორი ნაყოფიც არ უნდა გამოიღოს ამ წუთში ჩვენმა გაერთიანებულმა მოღვაწეობამ, ჩვენ, მუშათა საერთაშორისო ასოციაციის წევრები, რომელთათვისაც არავითარი სახელმწიფოებრივი საზღვრები არ არსებობს, საფრანგეთის მუშების კეთილ სურვილებსა და სალამს მოგიძღვნით როგორც დაურღვეველი სოლიდარობის საწინდარს».

ჩვენი პარიზული სექციების ამ მანიფესტს მრავალი ფრანგული მოწოდება მოჰყვა, მათგან ჩვენ აქ მხოლოდ ერთის მოყვანა შეგვიძლია: ესაა სენის ნეიის განცხადება, რომელიც გაზეთ «Marseillaise» [2]-ში გამოქვეყნდა 22 ივლისს. «სამართლიანია თუ არა ეს ომი? არა. ეროვნულია თუ არა ეს ომი? არა. იგი მხოლოდ და მხოლოდ დინასტიურია. სამართლიანობისა, დემოკრატიისა და საფრანგეთის ნამდვილი ინტერესების სახელით ჩვენ სავსებით და ენერგიულად ვუერთდებით ინტერნაციონალის პროტესტებს ომის წინააღმდეგ».

ამ პროტესტებში გამოთქმული იყო ფრანგი მუშების ნამდვილი გრძნობები, როგორც ეს ჩქარა ერთმა დამახასიათებელმა მოვ-

---

[1] «Réveil» — შარლ დელაკლუზეს მიერ დაარსებული მემარცხენე რესპუბლიკური გაზეთი, გამოდიოდა 1868 წლიდან 1871 წლის იანვრამდე. რ ე დ.

[2] «Marseillaise» («მარსელიეზა») — მემარცხენე რესპუბლიკური გაზეთი, რომელსაც უშვებდა პარიზში ანრი როშფორი 1869 წლის დეკემბრიდან 1870 წლის

ლენამ გამოამეღავნა. როცა «10 დეკემბრის» ბანდა[1], რომელიც თავდაპირველად ლუი ბონაპარტიის პრეზიდენტობის დროს მოეწყო, მუშის ხალათგადაცმული ქუჩაში გამოვარდა, რათა იქ ინდური საომარი ცეკვის შემწეობით ომის ციებცხელება გაეღვივებინა, გარეუბნების ნამდვილმა მუშებმა მშვიდობიანობის სასარგებლოდ ისეთი ძალოვანი დემონსტრაციებით უპასუხეს, რომ პოლიციის პრეფექტმა პიეტრიმ საჭიროდ ცნო ბოლო მოეღო ქუჩის პოლიტიკისთვის და ამისთვის ის მოიმიზეზა, რომ პარიზის ერთგულმა ხალხმა თავისი მედგარი პატრიოტიზმი და დაუშრეტელი სამხედრო ენთუზიაზმი საკმაოდ გამოამეღავნაო.

როგორც არ უნდა დამთავრდეს ლუი ბონაპარტის ომი პრუსიასთან, მეორე იმპერიის სამგლოვიარო ზარმა უკვე ჩამოჰკრა პარიზში. მეორე იმპერია დასრულდება ისევე, როგორც დაიწყო: პაროდიით. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ლუი ბონაპარტს სწორედ ევროპის მთავრობებმა და გაბატონებულმა კლასებმა შეაძლებინეს თვრამეტი წლის განმავლობაში გაეთამაშებინა სასტიკი ფარსი რ ე ს ტ ა ვ რ ი რ ე ბ უ ლ ი ი მ პ ე რ ი ი ს ა.

გერმანელების მხრით ეს ომი თავდაცვითი ომია. მაგრამ ვინ აიძულა გერმანია თავი დაეცვა? ვინ შეაძლებინა ლუი ბონაპარტს ომი ეწარმოებინა გერმანიის წინააღმდეგ? პ რ უ ს ი ა მ! ეს ბისმარკი იყო, რომელმაც იმავე ლუი ბონაპარტთან კონსპირაცია მოაწყო, რათა შინ დემოკრატიული ოპოზიცია დაეთრგუნა და გერმანია ჰოჰენცოლერნების დინასტიისათვის დაემტკიცებინა. სადოვასთან[2] ბრძოლა რომ წაეგოთ და არა მოეგოთ, ფრანგების ბატალიონები გერმანიას წალეკავდნენ, როგორც პრუსიის მოკავშირეები. განა პრუსიამ გამარჯვების შემდეგ თუნდ ერთი წუთით იფიქრა დამონებული საფრანგეთისათვის თავისუფალი გერმანია დაეპირდაპირებინა? პირიქით! მან მზრუნველობით შეინარჩუნა თავისი ძველი სისტემის თანდაყოლილი მშვენიერებანი და ზედ კიდევ მეორე იმპერიის თვალთმაქცობანი დაუმატა, მისი ნამდვილი დესპოტიზმი და მისი მოჩვენებითი დემოკრატია, მისი პოლიტიკური ჯამბაზობა და მისი ფინანსური თაღლითობა, მისი მაღალფარდოვანი ფრაზები და მისი მდაბალი ინბაზობა. ამრიგად, ბონაპარტისტულმა რეჟიმმა, რომე-

---

[1] იხ. ამ ტომის გვ. 322 — 327. რ ე დ.

[2] სადოვასთან (ბოჰემიაში) მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ავსტრია-პრუსიის ომში 1866 წ. ეს ბრძოლა დამთავრდა პრუსიის ავსტრიაზე გამარჯვებით. რ ე დ.

ლიც დღემდე მხოლოდ რაინის ერთ ნაპირზე ჰყვაოდა, თავისი ორეული იპოვა მეორე ნაპირზეც. ხოლო საქმის ასეთი ვითარების დროს, რა იყო მოსალოდნელი, გარდა ომისა?

თუ გერმანელმა მუშათა კლასმა ნება დართო, რომ დღევანდელმა ომმა თავისი თავდაცვითი ხასიათი დაჰკარგოს და გადაგვარდეს ომად ფრანგი ხალხის წინააღმდეგ, მაშინ გამარჯვებაც და დამარცხებაც ერთნაირად დამღუპველი იქნება. ყველა ის უბედურება, რომელიც გერმანიას თავს დაატყდა ეგრეთწოდებული გამანთავისუფლებლი ომების[1] შემდეგ, მას ხელახალი სიმძაფრით დაატყდება თავს.

მაგრამ ინტერნაციონალის პრინციპები გერმანელ მუშათა კლასში იმდენად ფართოდ გავრცელებული და ფესვებ გამდგარია, რომ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ამ სამწუხარო დასასრულისა. ფრანგი მუშების ხმამ გამოძახილი იპოვა გერმანიაში. მუშათა მასობრივმა კრებამ ბრაუნშვაიგში 16 ივლისს სრული სოლიდარობა გამოუცხადა ინტერნაციონალის პარიზის მანიფესტს, უკუაგდო ყოველი აზრი ნაციონალური შუღლისა საფრანგეთის წინააღმდეგ და მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია: «ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველი ომისა, მაგრამ პირველ ყოვლისა — დინასტიური ომისა... ღრმა მწუხარებით და გულისტკივილით ძალაუნებურად მონაწილეობას ვიღებთ თავდაცვითი ომში როგორც აუცილებელ ბოროტებაში; მაგრამ ამასთანავე მოვუწოდებთ მთელი გერმანიის მუშათა კლასს შეუძლებელი გახადოს ასეთი საშინელი სოციალური უბედურების განმეორება იმით, რომ მოითხოვოს თვით ხალხები სწყვეტდნენ ომისა და ზავის საკითხს და, ამრიგად, თავიანთი საკუთარი ბედის ბატონები გახდნენ».

ხემნიცში რწმუნებულთა კრებამ, რომელიც 50.000 საქსონელ მუშას წარმოადგენდა, ერთხმად შემდეგი რეზოლუცია მიიღო: «გერმანიის დემოკრატიისა და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშების სახელით ჩვენ დღევანდელ ომს სრულიად დინასტიურ ომად ვაცხადებთ... სიხარულით ვართმევთ ხელს ფრანგ მუშებს, რომელთაც ძმურად ხელი გამოგვიწოდეს... ვიგონებთ რა საერთაშორისო მუშათა ასოციაციის ლოზუნგს: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!» ჩვენ

[1] 1813 — 1815 წ.წ. ნაპოლეონ პირველის წინააღმდეგ ომი, რომელსაც შედეგად მოჰყვა ძველი წყობილების რესტავრაცია და გერმანიის ფეოდალური დაქუცმაცების შენარჩუნება. რედ.

არასოდეს არ დავივიწყებთ, რომ ყ ვ ე ლ ა ქვეყნის მუშები ჩვენი მ ე გ ო ბ რ ე ბ ი არიან, ხოლო ყ ვ ე ლ ა ქვეყნის დესპოტები ჩვენი მ ტ რ ე ბ ი».

ინტერნაციონალის ბერლინის სექციამაც პასუხი გასცა პარიზის მანიფესტს: «სულით და გულით ვუერთდებით თქვენს პროტესტს... საზეიმო აღთქმას ვდებთ, რომ ვერც საყვირების ხმა, ვერც ზარბაზნების ქუხილი, ვერც გამარჯვება და ვერც დამარცხება პირს ვერ გვაბრუნებინებს ჩვენი საერთო საქმის, ყველა ქვეყნის მუშების გაერთიანებისაგან».

დაე ასეც იქნეს!

ამ თვითმკვლელი ბრძოლის უკანა პლანზე რუსეთის შემაშფოთებელი ფიგურა მოჩანს. ცუდი ნიშანია, რომ დღევანდელი ომი სწორედ იმ წუთში იწყება, როცა რუსეთმა დაამთავრა მისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული რკინიგზები და უკვე ჯ ა რ ე ბ ს თავს უყრის პრუტის მიმართულებით. რა თანაგრძნობის ღირსიც უნდა იყვნენ გერმანელები თავდაცვითი ომში ბონაპარტისტული თავდასხმის წინააღმდეგ, ისინი ამ თანაგრძნობას მაშინვე დაჰკარგავენ, თუ გერმანიის მთავრობას ნება მისცეს ყაზახ რუსების დახმარება ითხოვოს ან მიიღოს. დაე მათ მოიგონონ, რომ იმ გამანთავისუფლებელი ომის შემდეგ, რომელსაც გერმანია ნაპოლეონ პირველის წინააღმდეგ აწარმოებდა, იგი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში უმწეოდ ეგდო რუსეთის მეფის ფეხთ ქვეშ.

ინგლისელი მუშათა კლასი ძმურად ხელს უწვდის ფრანგ და გერმანელ მუშებს. იგი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ როგორც არ უნდა დასრულდეს მომავალი საზიზღარი ომი, ყველა ქვეყნის მუშების კავშირი ბოლოს მოსპობს ყოველ ომს. მაშინ როცა ოფიციალური საფრანგეთი და ოფიციალური გერმანია ძმათა სისხლისმღვრელ ბრძოლას იწყებენ, მუშები ერთმანეთს მშვიდობისა და მეგობრობის მოციქულობას უგზავნიან. უკვე მარტო ეს დიდი ფაქტი, რომელსაც ბადალი არა აქვს ისტორიაში, უკეთესი მომავლის იმედს აღვიძებს. იგი ამტკიცებს, რომ ძველი საზოგადოების წინააღმდეგ მისი ეკონომიური სიღატაკითა და პოლიტიკური უგუნუ-

რებით, იბადება ახალი საზოგადოება, რომლის საერთაშორისო პრინციპი მშვიდობიანობა იქნება, იმიტომ რომ ყველა ერში ერთი და იგივე პრინციპი იმეფებს — შრომა! ამ ახალი საზოგადოების მეკვლე მუშათა საერთაშორისო ასოციაციაა.

ლონდონი, 23 ივლისი, 1870წ.

დაწერილია კ. მარქსის მიერ და დამტკიცებულია მუშათა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური საბჭოს 1870 წლის 23 ივლისის სხდომაზე.
მაშინვე დაბეჭდილი იყო პროკლამაციის სახით ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

იბეჭდება პროკლამაციის ტექსტის მიხედვით.
თარგმანი ინგლისურიდან.

მუშათა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური საბჭოს მეორე მოწოდება საფრანგეთ-პრუსიის ომის შესახებ

მუშათა საერთაშორისო ასოციაციის წევრებს ევროპასა და შეერთებულ შტატებში

ჩვენს პირველ, 23 ივლისის მანიფესტში ჩვენ ვამბობდით: «მეორე იმპერიის სამგლოვიარო ზარმა უკვე ჩამოჰკრა პარიზში. მეორე იმპერია დასრულდება ისევე, როგორც დაიწყო: პაროდიით. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ლუი ბონაპარტს სწორედ ევროპის მთავრობებმა და გაბატონებულმა კლასებმა შეაძლებინეს თვრამეტი წლის განმავლობაში გაეთამაშებინა სასტიკი ფარსი რ ე ს ტ ა ვ რ ი რ ე ბ უ ლ ი ი მ პ ე რ ი ი ს ა».

ამრიგად, სანამ საომარი ოპერაციები დაიწყებოდა, ჩვენ ბონაპარტისტულ საპნის ბუშტს უკვე წარსულის ამბავად ვთვლიდით.

ჩვენ როდი შევმცდარვართ მეორე იმპერიის ცხოველმყოფელობის შესახებ. ჩვენ მართალი ვიყავით აგრეთვე, როცა შიში გამოვთქვით; გერმანიის მხრით ომი დაჰკარგავს «თავდაცვის ხასიათს და გადაგვარდება ომად საფრანგეთის ხალხის წინააღმდეგო». მართლაც თავდაცვითი ომი დასრულდა ლუი ნაპოლეონის დანებებით, სედანის კაპიტულაციით და პარიზში რესპუბლიკის გამოცხადებით[1]. მაგრამ კარგა ხნის წინ ამ ამბებამდე, უკვე იმ წუთში, როცა გამოაშკარავდა, რომ ბონაპარტისტული საჭურველი სრუ-

[1] 2 სექტემბერს სედანთან დამარცხდა საფრანგეთის არმია და იგი, იმპერატორთან ერთად ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს. 4 სექტემბერს საფრანგეთში გამოცხადებულ იქნა რესპუბლიკა და შედგა ახალი მთავრობა, ეგრეთწოდებული «ეროვნული თავდაცვის მთავრობა». რ ე დ.

ლიად დაჟანგულია, პრუსიის სამხედრო კამარილიამ გადაწყვიტა ეს ომი დაპყრობით ომად გადაექცია. მართალია, თვით მეფე ვილჰელმის ოფიციალური განცხადება, რომელიც ომის დასაწყისში გამოქვეყნდა, არასასურველ დაბრკოლებას წარმოადგენდა ამ მხრივ. თავის სეფესიტყვაში ჩრდილო გერმანიის რაიხსტაგისადმი მან საზეიმოდ გამოაცხადა, მხოლოდ საფრანგეთის იმპერატორს ვეომები და არა ფრანგ ხალხსო. 11 აგვისტოს მან გამოაქვეყნა მანიფესტი ფრანგი ერისადმი, სადაც ამბობდა: «იმპერატორი ნაპოლეონი ზღვასა და ხმელეთზე თავს დაესხა გერმანელ ერს, რომელსაც ყოველთვის სურდა და ახლაც სურს მშვიდობიანად იცხოვროს ფრანგ ხალხთან; მე ვიკისრე გერმანიის ჯარის სარდლობა, რათა ეს თავდასხმა უკუვაქციო, და სამხედრო ოპერაციებმა მაიძულა საფრანგეთის საზღვრები გადამელახა». ომის წმინდა თავდაცვითი ხასიათის დასამტკიცებლად პრუსიის მეფე არ დაკმაყოფილდა განცხადებით, რომ ჯარის მთავარსარდლობა იკისრა, «რათა თავდასხმა უკუექცია»: ვილჰელმმა ისიც დაუმატა, მხოლოდ სამხედრო ოპერაციებმა მაიძულა საფრანგეთის საზღვრები გადამელახა. თავდაცვითი ომი, რასაკვირველია, არ უარყოფს თავდასხმით ოპერაციებს, თუ ამას «სამხედრო ოპერაციები» გვიკარნახებენ.

ამრიგად, ამ ღვთისმოსავმა მეფემ საფრანგეთსა და მთელ ქვეყნიერებას აღუთქვა წმინდა თავდაცვითს ომს ვაწარმოებო. როგორ უნდა გაენთავისუფლებინათ იგი ამ საზეიმო აღთქმისაგან? სცენის რეჟისორებს საქმის ვითარება ისე უნდა წარმოედგინათ, თითქოს იგი თავისი ნების წინააღმდეგ ემორჩილება გერმანელი ერის უძლეველ მოთხოვნას; საამისოდ მათ მაშინვე სათანადო ნიშანი მისცეს გერმანიის ლიბერალურ ბურჟუაზიას მისი პროფესორებით, კაპიტალისტებით, ქალაქის ხმოსნებით და ჟურნალისტებით. ეს ბურჟუაზია, რომელმაც 1846 — 1870 წლებში სამოქალაქო თავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში უბადლო მერყეობა, უნიჭობა და სიმხდალე გამოიჩინა, რასაკვირველია, დიდად აღტაცებული იყო, რომ ევროპის სცენაზე გერმანული პატრიოტიზმის მბრდღვინავი ლომის სახით გამოდიოდა. მან ჩამოიფარა სამოქალაქო დამოუკიდებლობის ნიღაბი, რათა თავი ისე მოეჩვენებინა თითქოს პრუსიის მთავრობას აიძულებდა, — რას? თვით ამ მთავრობის საიდუმლო გეგმების შესრულებას. მან მოინანია თავისი მრავალწლოვანი, თითქმის რელიგიური რწმენა ლუი ბონაპარტის უცოდ-

ველობისა და ხმამაღლა მოითხოვა საფრანგეთის რესპუბლიკის დაქუცმაცება. შევჩერდეთ ერთი წუთით ამ პატრიოტობის რაინდების კეთილგონიერ მოსაზრებებზე.

ისინი ვერ ბედავენ თქვან, ელზას ლორენის მოსახლეობა ოცნებობს გერმანიას გადაეხვიოსო: პირიქით. რათა ფრანგული პატრიოტიზმისთვის დაესაჯათ სტრასბურგი, მას ექვსი დღის განმავლობაში უმიზნოდ და ბარბაროსულად, რადგან საომარი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არა ქალაქი, არამედ მისი დამოუკიდებლად მდებარე გამაგრებული ციტადელი, — უშენდნენ «გერმანულ» ყუმბარებს, ცეცხლს უკიდებდნენ და მრავალ უიარაღო მცხოვრებს ხოცავდნენ. ოღონდაც! ოდესღაც ამ პროვინციების ნიადაგი დიდხნის წინათ გარდაცვლილ გერმანიის იმპერიას ეკუთვნოდა. ამიტომ მთელ ამ ტერიტორიას და მის მობინადრეებს კონფისკაცია უნდა ეყოს, როგორც გერმანელების ხანდაუზმელ საკუთრებას. სიძველის მოყვარულთა ახირების მიხედვით ევროპის ძველი რუკა რომ აღგვედგინა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვეგიწყნა, რომ თავის დროზე ბრანდენბურგის კურფიურსტი, როგორც პრუსიის მფლობელი, პოლონეთის რესპუბლიკის ვასალი იყო.

მაგრამ თვალთმაქცი პატრიოტები მოითხოვენ ელზასსა და ლოტარინგიის იმ ნაწილს, რომელიც გერმანულ ენაზე ლაპარაკობს, როგორც «მატერიალურ საწინდარს» ფრანგების შემოსევის წინააღმდეგ. რადგან ამ უხამსმა მოსაზრებამ მრავალი ჭკუამოკლე ადამიანი დააბნია, იძულებული ვართ იგი დაწვრილებით გავარჩიოთ.

უცილობელია, რომ ელზასის და მის პირდაპირ მდებარე რაინის მეორე ნაპირის საერთო მდებარეობა და დიდი ციხე-სიმაგრე, როგორიცაა სტრასბურგი, რომელიც ამართულია შუა გზაზე ბაზელსა და გერმერსჰაიმს შუა, ძლიერ აადვილებს ფრანგების შეჭრას სამხრეთ გერმანიაში, ხოლო სამხრეთ გერმანიიდან საფრანგეთში შეტევას მეტისმეტად უშლის ხელს. უცილობელია ისიც, რომ ელზასისა და გერმანული ლოტარინგიის შეერთება სამხრეთ გერმანიის საზღვრებს დიდად განამტკიცებდა; მაშინ გერმანია თავიდან ბოლომდე გაბატონდებოდა ვოგეზების მთაგრეხილზე და სიმაგრეებზე, რომელნიც ამ მთაგრეხილის ჩრდილო უღელტეხილებს იცავენ. თუ ამასთანავე მეცის ანექსიაც მოხდებოდა, საფრანგეთი განიძარცვებოდა ორი უმთავრესი საოპერაციო ბაზისაგან გერმანიის წინააღმდეგ, მაგრამ ეს მას ხელს არ შეუშლიდა ახლები შეექმნა ნანსსა ან ვერდენში. გერმანიას აქვს კობლენცი, მაინცი, გერმერსჰაიმი, რაშტატი და ულმი, ყველა ისინი საოპერაციო ბაზებს წარმოადგენენ სპეცია-

ლურად საფრანგეთის წინააღმდეგ. გერმანიამ ყველა ისინი მშვენივრად გამოიყენა ამ ომში; რა უფლებით შეიძლება, მას ფრანგების მეცი და სტრასბურგი შეშურდეს, ეს ორიოდე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე, რომელიც ამ უკანასკნელთ ამ კუთხეში აქვთ. ამას გარდა სტრასბურგი სამხრეთ გერმანიას მხოლოდ მანამდე ემუქრება, სანამ ეს უკანასკნელი გამოყოფილია ჩრდილო გერმანიიდან. 1792 წლიდან 1795 წლამდე სამხრეთ გერმანიას არასოდეს თავს არ დასხმიან ამ მხრიდან, იმიტომ რომ პრუსია მონაწილეობას იღებდა ომში საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ; მაგრამ როცა 1795 წელს პრუსიამ სეპარატული ზავი შეჰკრა და სამხრეთი საკუთარი ძალების ანაბარა დატოვა, დაიწყო თავდასხმა სამხრეთ გერმანიაზე და ეს თავდასხმა 1809 წლამდე გრძელდებოდა, ამასთანავე სტრასბურგი გამოყენებული იყო, როგორც საოპერაციო ბაზა. მართლაც, გაერთიანებულ გერმანიას შეუძლია უვნებელი გახადოს სტრასბურგი და ყოველი ფრანგული არმია ელზასში, თუ ყველა თავის ჯარს თავს მოუყრის საარლუისა და ლანდაუს შორის, როგორც ეს ამ ომში მოხდა, და წინ წაიწია ან ბრძოლა მისცა გზაზე მაინცსა და მეცს შორის. სანამ გერმანული ჯარების მთავარი ძალა იქ იმყოფება, სტრასბურგიდან სამხრეთ გერმანიისაკენ მიმავალ საფრანგეთის ყოველგვარ არმიას გარშემოვლისა და უკან დასახევი გზების გადაჭრის საფრთხე მოელის. თუ ახლანდელმა ომმა რაიმე დაამტკიცა, ეს იყო ის, რომ გერმანიიდან საფრანგეთში შეჭრა ადვილი ყოფილა.

მაგრამ პატიოსნად რომ ვიმსჯელოთ, განა ეს უაზრობა და ანაქრონიზმი არაა სამხედრო მოსაზრებათა პრინციპად გადაქცევა, რომლის მიხედვით ეროვნული საზღვრები უნდა გამოირკვეს? ამ წესს თუ გავყვებით, ავსტრიას პრეტენზიის განცხადება შეეძლებოდა ვენეციასა და მდინარე მინჩიოს ხაზზე, ხოლო საფრანგეთს — რაინის ხაზზე დასაცავად პარიზისა, რომელსაც უეჭველია, მეტი საფრთხე მოელის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ვიდრე ბერლინს სამხრეთ-დასავლეთიდან. საზღვრები თუ სამხედრო ინტერესების კარნახით უნდა დადგინდეს, პრეტენზიებს დასასრული აღარ ექნებათ, იმიტომ რომ ყოველი სამხედრო საზღვარი აუცილებლად ნაკლოვანია და შეიძლება მხოლოდ ახალი ოლქების შემოერთებით გასწორდეს; უფრო მეტიც, შეუძლებელია მისი საბოლოოდ და სამართლიანად დადგენა, იმიტომ რომ მას ყოველთვის გამარჯვე-

ბული ახვევს თავს დამარცხებულს და, მაშასადამე, იგი უკვე შეიცავს ახალი ომების ჩანასახს.

ერებს მოსდის იგივე, რაც ცალკე პირებს: ამას გვასწავლის ყოველი ისტორია. რათა მათ თავდასხმის შესაძლებლობა წაერთვას, ისინი უნდა განიძარცონ ყოველი თავდაცვის საშუალებისაგან. საკმაო არაა მათთვის მხოლოდ ყელში ხელის ჩაჭიდება, საჭიროა დახოცვა. თუ რომელიმე დამპყრობელს ოდესმე «მატერიალური გარანტიები» მიუღია, რათა ერის ძალები მოეტეხა, ეს ნაპოლეონ I იყო, რომელმაც პრუსიისა და დანარჩენი გერმანიის მოსადრეკად ტილზიტის[1] ხელშეკრულება გამოიყენა. ამისდა მიუხედავად რამდენიმე წლის შემდეგ მისი გიგანტური ძალა დამპალ ლერწამივით დაილეწა გერმანელი ერის წინაშე. რას წარმოადგენენ «მატერიალური გარანტიები», რომელთა საფრანგეთისაგან მიღების იმედი გერმანიას შეიძლება თავის უველურეს ფანტაზიაში ჰქონდეს, იმათთან შედარებით, რაც ნაპოლეონ I თვით მისგან მიიღო ძალით? შედეგი ამ შემთხვევაშიც არა ნაკლებ დამღუპველი იქნება. ისტორია სამაგიეროს მიუზღავს არა საფრანგეთისაგან ჩამოგლეჯილი კვადრატული მილის რაოდენობის მიხედვით, არამედ იმ დიდი დანაშაულის მიხედვით, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ხელახლა გააცოცხლეს დ ა პ ყ რ ო ბ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ა.

ტევტონური პატრიოტიზმის დამცველნი გაიძახიან: ერთმანეთში არ უნდა შეურიოთ გერმანელები და ფრანგები. ჩ ვ ე ნ გვინდა არა დიდება, არამედ უშიშროება. გერმანელები არსებითად მშვიდობიანი ხალხია. კეთილგანზრახული თავდაცვითი დროშის ქვეშ ისინი თვით დაპყრობას მომავალი ომების მიზეზისაგან მუდმივი ზავის საწინდრად აქცევენ. თითქოს ეს გერმანია როდი ყოფილიყოს, რომელიც 1792 წელს საფრანგეთში შეიჭრა ამაღლებული მიზნით XVIII საუკუნის რევოლუცია ხიშტებით დაეთრგუნა! თითქოს გერმანიას თავისი ხელები არ გაესვაროს იტალიის დამონებით, უნგრეთის დაჩაგვრით და პოლონეთის დაქუცმაცებით! მისი დღევანდელი მილიტარული სისტემა, რომელიც მთელ ჯანსაღ მამაკაცურ მოსახლეობას ორ ნაწილად ჰყოფს, — ერთია მოსამსახურე მუდმივი ჯარი, ხოლო მეორეა სათადარიგო მუდმივი ჯარი, ორივე ვალდებულია პასიური მორჩილება გაუწიოს წყალობითა ღვთისათა დადგენილ

[1] ტ ი ლ ზ ი ტ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა დადებული იყო საფრანგეთსა და რუსეთს შორის 1807 წელს, მას შემდეგ, რაც ნაპოლეონის არმიამ დაამარცხა პრუსია. რ ე დ.

ხელისუფალთ, ასეთი მილიტარული სისტემა, რასაკვირველია, მსოფლიო მშვიდობიანობის «მატერიალურ გარანტიას» წარმოადგენს და, გარდა ამისა, ცივილიზაციის უზენაეს მიზანსაც! გერმანიაში, ისევე როგორც ყველგან, არსებული ხელისუფლების მლიქვნელები საზოგადოებრივ აზრს სწამლავენ ტყუილით აღსავსე თვითშექების საკმეველით.

ამ გერმანელ პატრიოტებს აღიზიანებს საფრანგეთის ციხე-სიმაგრეების — მეცისა და სტრასბურგის დანახვა, მაგრამ ისინი არაფერს ხედავენ უმართებულოს რუსეთის მიერ ამართულ უზარმაზარ სიმაგრეთა სისტემაში, ვარშავასა, მოდლინსა და ივანგოროდში. ისინი, ბონაპარტისტული თავდასხმების შიშით შეძრწუნებულნი, თვალებს ხუჭავენ რუსი მეფის მფარველობის სამარცხვინოობის წინაშე.

როგორც 1865 წელს ლუი ბონაპარტსა და ბისმარკს შორის, სწორედ ისევე 1870 წელს გორჩაკოვსა და ბისმარკს შორის მოხდა დაპირებათა გაცვლა-გამოცვლა. ისევე როგორც ლუი ნაპოლეონი თავს ინუგეშებდა, 1866 წლის ომი არაქათს გამოაცლის ავსტრიასაც და პრუსიასაც და გერმანიის უზენაეს მსაჯულად გამხდისო, მეფე ალექსანდრეც იმედოვნებდა, რომ 1870 წლის ომი არაქათს გამოაცლიდა გერმანიასაც და საფრანგეთსაც და საშუალებას მისცემდა მას დასავლეთ ევროპის უზენაეს მსაჯულად გამხდარიყო. ისევე როგორც მეორე იმპერია შეუთავსებლად თვლიდა ჩრდილო გერმანიის კავშირის არსებობას თავის არსებობასთან, თვითმპყრობელმა რუსეთმაც უნდა იგრძნოს თავისთვის საფრთხე გერმანიის იმპერიის მხრიდან, რომელსაც პრუსია მეთაურობს. ასეთია ძველი პოლიტიკური სისტემის კანონი. ამ სისტემის ფარგლებში ერთის მოგება მეორის წაგებას ნიშნავს. რუსეთის მეფის უპირატეს გავლენას ევროპაზე, ფესვები აქვს მის ტრადიციულ უზენაესობაში გერმანიის მიმართ. იმ დროს, როცა ვულკანური სოციალური ძალები თვით რუსეთში თვითმპყრობელობის უღრმეს საფუძვლებს ემუქრებიან, განა მეფეს შეუძლია შეურიგდეს თავისი მდგომარეობის შესუსტებას უცხოეთის მიმართ? მოსკოვური გაზეთები უკვე იმასვე იმეორებენ, რასაც ბონაპარტისტული გაზეთები 1866 წლის შემდეგ ამბობდნენ. ნუთუ გერმანელი ნაციონალისტები მართლა ფიქრობენ, რომ გერმანიის თავისუფლება და მშვიდობიანობა უზრუნველყოფილია, თუ მათ საფრანგეთი აიძულეს რუსეთს გადაეხვიოს? თუ ომის ბედმა, გამარჯვებულის გულზვიადობამ და დინასტიურმა ინტრიგებმა გერმანია შეაცდინეს და მან მიმძლავ-

რებით საფრანგეთის ოლქები მიითვისა, გერმანიას ორი გზა ღა დარჩება. ან იგი, რაც არ უნდა მოხდეს, რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის აშკარა იარაღი უნდა გახდეს, ან ხანმოკლე დასვენების შემდეგ ახალი «თავდაცვითი» ომისთვის მოემზადოს, მაგრამ არა ახლად გამოგონებულ «ლოკალიზებულ» ომისთვის, არამედ რასიული ომისთვის გაერთიანებული სლავური და რომანული რასების წინააღმდეგ.

გერმანიის მუშათა კლასმა, რომელსაც ძალა არ შეწევდა ომისთვის ხელი შეეშალა, ენერგიულად მხარი დაუჭირა მას როგორც ბრძოლას გერმანიის დამოუკიდებლობისთვის, ბრძოლას საფრანგეთისა და ევროპის განთავისუფლებისთვის მეორე იმპერიის მძიმე უღლისაგან. ეს გერმანიის სამრეწველო მუშები იყვნენ, რომელთაც სოფლის მუშებთან ერთად თავიანთი სისხლი და ხორცი მიაწოდეს გმირულ ჯარებს, მაშინ როცა შინ ნახევრად დამშეული ოჯახები დატოვეს. გარდა საზღვარგარეთ ბრძოლის ველზე განცდილ უბედურებათა მათ არანაკლები უბედურება მოელით შინ სიღარიბისაგან. ახლა ისინიც თავიანთ მხრივ «გარანტიებს» მოითხოვენ, რომ მათი უზარმაზარი მსხვერპლი ამაოდ არ იქნება გაღებული, რომ ისინი თავისუფლებას ნამდვილად მოიპოვებენ, რომ გამარჯვება, რომელსაც მათ ბონაპარტისტული ჯარების წინააღმდეგ მიაღწიეს, გერმანელი ხალხის დამარცხებად არ გადაიქცევა 1815 წლის მსგავსად. და პირველი ასეთი გარანტიის სახით ისინი მოითხოვენ საპატიო ზავს საფრანგეთისთვის და საფრანგეთის რესპუბლიკის აღიარებას.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 5 სექტემბერს გამოაქვეყნა მანიფესტი, სადაც იგი ენერგიულად მოითხოვდა ამ გარანტიებს. «ჩვენ, — ნათქვამია იქ, პროტესტს ვაცხადებთ ელზას-ლორენის ანექსიის წინააღმდეგ და შეგნებული გვაქვს, რომ გერმანელი მუშათა კლასის სახელით ვლაპარაკობთ. საფრანგეთის და გერმანიის საერთო ინტერესების სახელით, მშვიდობიანობის და თავისუფლების ინტერესების სახელით, იმ დასავლეთის ცივილიზაციის ინტერესების სახელით, რომელიც აღმოსავლეთის ბარბაროსობის წინააღმდეგაა მიმართული, გერმანელი მუშები ვერასგზით კერ შეურიგდებიან ელზას-ლორენის ანექსიას... ჩვენ მტკიცედ და ერთგულად დავიცავთ პროლეტარიატის საერთაშორისო საქმეს ჩვენ ამხანაგებთან, ყველა ქვეყნის მუშებთან ერთად!»

სამწუხაროდ ჩვენ არ შეგვიძლია მათი უშუალო გამარჯვების

იმედი ვიქონიოთ. თუ ფრანგმა მუშებმა თავდამსხმელი ვერ შეაჩერეს მშვიდობიანობის დროს, განა მეტი შანსები აქვთ გერმანელ მუშებს გამარჯვებული შეაჩერონ საომარი ყიჟინის დროს? გერმანელი მუშების მანიფესტი მოითხოვს, ლუი ნაპოლეონი საფრანგეთის რესპუბლიკას გადაეცეს როგორც ჩვეულებრივი დამნაშავე. მაგრამ გერმანიის მმართველები მთელი ძალღონით ცდილობენ იგი ხელახლა ტიუილრის სასახლეში დააბრუნონ როგორც ადამიანი, რომელსაც ყველაზე უკეთ შეუძლია საფრანგეთის განადგურება. რაც არ უნდა მოხდეს, ისტორია გამოააშკარავებს, რომ გერმანელი მუშები ისეთი დონდლო მასალიდან არ არიან გაკეთებული, როგორიდანაც გერმანული ბურჟუაზია. ისინი შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

მათთან ერთად ჩვენ მივესალმებით რესპუბლიკის დაარსებას საფრანგეთში, მაგრამ იმავე დროს ჩვენ გვაქვს შიში, რომელიც, იმედია, უსაფუძვლო აღმოჩნდება. ამ რესპუბლიკას ტახტი როდი დაუმსხვრევია, მან მხოლოდ მის მიერ დატოვებული ცარიელი ადგილი დაიჭირა. იგი გამოცხადებულ იქნა არა როგორც სოციალური მონაპოვარი, არამედ როგორც ნაციონალური თავდაცვის ღონისძიება. იგი ხელში უჭირავს დროებით მთავრობას, რომელიც ნაწილობრივ აშკარა ორლეანისტებისაგან შედგება, ხოლო ნაწილობრივ ბურჟუაზიული რესპუბლიკელებისაგან; ამ უკანასკნელთა შორის ისეთებიც არიან, რომელთაც 1848 წლის ივნისის აჯანყებამ წარუხოცელი ლაქა დაამჩნია. ფუნქციათა განაწილება ამ მთავრობის წევრებს შორის კარგს არაფერს გვიქადის. ორლეანისტებმა უძლიერესი ადგილები დაიჭირეს, არმია და პოლიცია, მაშინ, როცა ვითომდა რესპუბლიკელებს სალაყბო ადგილები მისცეს. ამ მთავრობის ზოგიერთი მოქმედება ამთავითვე საკმაოდ ნათლად ამტკიცებს, რომ მას იმპერიისაგან მემკვიდრეობით მიუღია არა მარტო ნანგრევების გროვა, არამედ შიშიც მუშათა კლასის წინაშე. თუ ახლა მაღალფარდოვან სიტყვებში რესპუბლიკის სახელით შეუძლებელ რამეებს აღგვითქვამენ ხოლმე, ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ მიმდინარეობა გამოიწვიონ შესაძლებელი «მთავრობის» სასარგებლოდ? მის ზოგიერთ ბურჟუაზიულ მეთაურთა ფიქრით, ეს რესპუბლიკა გარდამავალი საფეხური ხომ არ უნდა იყოს ორლეანისტული რესტავრაციისკენ?

ამრიგად, საფრანგეთის მუშათა კლასი მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ყოველი ცდა ახალი მთავრობის დამხობისა, როცა მტერი უკვე პარიზის კარიბჭეზე აკაკუნებს, სასოწარკვეთილი

უგუნურება იქნებოდა. ფრანგმა მუშებმა უნდა შეასრულონ თავიანთი სამოქალაქო მოვალეობა; მაგრამ ისინი არ უნდა დაემორჩილონ 1792 წლის ეროვნულ ტ რ ა დ ი ც ი ე ბ ს, როგორც ფრანგმა გლეხებმა თავი მოატყუებინეს პირველი იმპერიის ეროვნული ტ რ ა დ ი ც ი ე ბ ი თ. მათ წარსული კი არ უნდა გაიმეორონ, არამედ მომავალი ააშენონ. დაე მათ წყნარად და გაბედულად გამოიყენონ ყველა საშუალება, რომელსაც მათ რესპუბლიკური თავისუფლება აძლევს, რათა თავიანთი საკუთარი კლასის ორგანიზაცია საფუძვლიანად განამტკიცონ. ეს მათ ახალ, ჰერკულესისებურ ძალებს მისცემს საფრანგეთის აღორძინებისა და ჩვენი საერთო საქმის — პროლეტარიატის განთავისუფლებისთვის. მათ ძალასა და სიბრძნეზეა დამოკიდებული რესპუბლიკის ბედი.

ინგლისელმა მუშებმა ამ მიმართულებით უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები, რათა საღი ზეგავლენის შემწეობით დაეძლიათ თავიანთი მთავრობის წინააღმდეგობა საფრანგეთის რესპუბლიკის ცნობის საკითხში [1]. თავისი დღევანდელი დაყოვნებით ინგლისის მთავრობას, როგორც ეტყობა, სურს გამოასწოროს 1792 წლის ანტიიაკობინური ომი და აგრეთვე ის წინანდელი უსაქციელო აჩქარება, რომლითაც მან სახელმწიფო გადატრიალება იცნო. ამას გარდა, ინგლისელი მუშები თავიანთი მთავრობისაგან მოითხოვენ, რომ მან მთელი თავისი ძალღონით წინააღმდეგობა გაუწიოს საფრანგეთის დაქუცმაცებას, რომელსაც ურცხვად მოითხოვს ინგლისური პრესის ერთი ნაწილი. ეს იგივე პრესაა, რომელიც მთელი ოცი წლის განმავლობაში ლუი ბონაპარტს აღმერთებდა როგორც ევროპის განგებას და აღტაცებით ტაშს უკრავდა ამერიკელი მონათმფლობელების ამბოხებას [2]. ახლა, ისევე როგორც მაშინ, იგი მონათმფლობელების სასარგებლოდ იღწვის.

დაე, მ უ შ ა თ ა ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ა ს ო ც ი ა ც ი ი ს სექციებმა ყველა ქვეყანაში მოქმედებისკენ მოუწოდონ მუშათა კლასს. თუ მუშები თავიანთ მოვალეობას დაივიწყებენ, თუ ისინი

---

[1] ლაპარაკია იმ მიტინგების ფარული კამპანიაზე, რომელიც მარქსისა და პირველი ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს ინიციატივით ტარდებოდა ინგლისის მუშებს შორის საფრანგეთის რესპუბლიკის ცნობის მიზნით. რ ე დ.

[2] სამრეწველო ჩრდილოეთსა და პლანტატორულ მონათმფლობელურ სამხრეთს შორის წარმოებულ სამოქალაქო ომის დროს ამერიკაში (1861 — 1865) ინგლისის ბურჟუაზიული პრესა სამხრეთის, ე. ი. მონათმფლობელური წყობის დასაცავად გამოდიოდა. რ ე დ.

პასიური დარჩებიან, ახლანდელი საშინელი ომი წინამორბედი იქნება კიდევ უფრო საშინელი საერთაშორისო ბრძოლებისა და ყოველ ქვეყანაში მუშების ახალ დამარცხებას გამოიწვევს ხმლის, მამულის და კაპიტალის რაინდების მიერ.

გაუმარჯოს რესპუბლიკას!

დაწერილია კ. მარქსის მიერ
და დამტკიცებულია მუშათა საერთაშორისო
ასოციაციის გენერალური საბჭოს 1870 წლის
9 სექტემბრის სხდომაზე.
მაშინვე დაბეჭდილი იყო პროკლამაციების
სახით ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

იბეჭდება პროკლამაციის
ტექსტის მიხედვით.
თარგმანი ინგლისურიდან.

მუშათა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური საბჭოს მოწოდება 1871 წლის სამოქალაქო ომის შესახებ საფრანგეთში

ასოციაციის ყველა წევრს ევროპასა და შეერთებულ შტატებში

I

1870 წლის 4 სექტემბერს, როცა პარიზელმა მუშებმა რესპუბლიკა გამოაცხადეს, რასაც მაშინვე მთელი საფრანგეთი ერთსულოვანად მიესალმა, კარიერისტი ადვოკატების ბრბო ქალაქის თვითმართველობის შენობას დაეპატრონა; ამ ბრბოს სახელმწიფო მოღვაწე ტიერი იყო, ხოლო მისი გენერალი — ტროშიუ. ეს ადამიანები იმდენად გამსჭვალული იყვნენ ფანატიკური რწმენით, პარიზი მოწოდებულია საფრანგეთის წარმომადგენელი იყოს ისტორიული კრიზისის ყველა ეპოქაშიო, რომ რათა გაემართლებინათ მათ მიერ მიმძლავრებული ტიტული საფრანგეთის მმართველებისა, მათ სრულიად საკმაოდ მიაჩნდათ წარედგინათ თავიანთი უკვე დროგასული მანდატები პარიზის დეპუტატობისა. ჩვენს მეორე მოწოდებაში უკანასკნელ ომის შესახებ, ხუთი დღის შემდეგ ამ ადამიანების ამოტივტივების მომენტიდან, მოგახსენეთ, ვინ იყვნენ ისინი. მაგრამ პარიზი ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო ამ ქარიშხალში, მუშათა კლასის ნამდვილი ბელადები ჯერ კიდევ ბონაპარტის სატუსაღოებში ისხდნენ, ხოლო პრუსიელები ჩქარი ნაბიჯით მიისწრაფოდნენ მისკენ, ამიტომ პარიზმა ნება დართო ამ ადამიანებს ხელისუფლება მიეთვისებინათ; მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობით: ხელისუფლება მხოლოდ ეროვნული თავდაცვის მიზნით გამოეყენებინათ. პარიზის დაცვა კი შეუძლებელი იყო, თუ მისი მუშათა კლასის შეიარაღება არ მოხდებოდა, გამოსადეგ სამხედრო ძალად არ გადაიქცეოდა და თვით ომში არ გაიწვრთნებოდა. მაგრამ პარიზის შეიარაღება რევოლუციის შეიარაღებას ნიშნავდა. პარიზის გამარჯვება პრუსიელ დამპყრობელზე იქნებოდა ფრანგი მუშის გამარჯვება ფრანგ კაპიტალისტსა და მისი სახელმწიფოს პარაზიტებზე. ამ გაორებაში ეროვნულ მოვალეობასა და კლასობრივ ინ-

ტერესებს შორის ეროვნული თავდაცვის მთავრობას ერთი წუთი-თაც არ უყოყმანია, იგი ეროვნული ღალატის მთავრობად იქცა.

უწინარეს ყოვლისა, მან ტიერი გაგზავნა სამოგზაუროდ ევ-როპის ყველა სასახლეში, რათა იქ შუამავლობა ეთხოვა სამოწყა-ლოსავით და სამაგიეროდ შეეთავაზებინა რესპუბლიკის გაცვლა მე-ფეზე. როცა პარიზის ალყის შემორტყმის დაწყებიდან ოთხმა თვემ განვლო და მთავრობამ დაინახა, რომ დადგა დრო კაპიტულაციაზე სიტყვის ჩამოგდებისა, ტროშიუმ ჟიულ ფავრისა და სხვა თავისი კოლეგების თანადასწრებით შემდეგი სიტყვებით მიმართა პარიზის ქალაქის მერთა კრებას:

«პირველი კითხვა, რომელიც ჩემმა კოლეგებმა ჯერ კიდევ 4 სექტემბერს საღამოთი მომცეს, იყო კითხვა — შეუძლია თუ არა პარიზს ცოტაოდენი წარმატების იმედით მაინც გაუძლოს პრუსიის ჯარის ალყასო? მე უყოყმანოდ უარყოფით ვუპასუხე ამ კითხვას. მე ვიმოწმებ ზოგიერთ აქ დამსწრე ჩემ კოლეგას, ისინი დაადას-ტურებენ ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებას; მე მტკიცედ ვიცავდი ჩემს მიერ მაშინ გამოთქმულ აზრს. მე მათ იგივე ვუთხარი, რასაც თქვენ გეუბნებით ახლა, რომ არსებულ მდგომარეობაში ცდა პარი-ზის დაცვისა პრუსიელების ალყის წინააღმდეგ სიგიჟეა მეთქი. უეჭველია, დავუმატე მე, გმირული სიგიჟე, მაგრამ მაინც სიგიჟე და მეტი არაფერი... შემდგომმა ამბებმა (რომელთაც თვით ტროშიუ ხელმძღვანელობდა) არ გაამტყუნეს ჩემი წინასწარმეტყველებანი».

ტროშიუს ეს პატარა მშვენიერი სიტყვა შემდეგ ერთ-ერთმა დამსწრე მერმა, ბატონმა კორბონმა, გამოაქვეყნა.

ამრიგად, იმავე საღამოს, როცა რესპუბლიკა გამოცხადდა, ტროშიუს კოლეგებმა იცოდნენ, რომ ტროშიუს «გეგმა» პარიზის დანებებაში მდგომარეობდა. თუ ეროვნული თავდაცვა სხვა რამე ყოფილიყო, გარდა უბრალო საბაბისა ტიერის, ფავრის და მათი დამქაშების ბატონობისთვის, 4 სექტემბრის მეტიჩრები 5 სექტემ-ბერს გადადგებოდნენ, პარიზელ ხალხს ტროშიუს «გეგმას» გააცნო-ბდნენ და წინადადებას მისცემდნენ ან ახლავე მტერს დანებდი, ან საკუთარი ბედის ბატონ-პატრონი გახდიო. მაგრამ ამის მაგივრად უპატიოსნო მატყუარებმა გადაწყვიტეს პარიზი გმირული სიგიჟის-გან შიმშილით და სისხლის გაღებით განეკურნათ, ხოლო ჯერჯერო-ბით მაღალფარდოვანი მანიფესტებით მოეტყუებინათ: «პარიზის გუბერნატორი ტროშიუ. არასოდეს არ დანებდება!», — ეწერა ერთ-ერთ მანიფესტში... «საგარეო საქმეთა მინისტრი ჟიულ ფავრი არასოდეს არც ერთ გოჯ ტერიტორიას, ჩვენი ციხე-სიმაგრეების არც

ერთს ქვას არ დათმობს». ხოლო ერთ წერილში, რომელიც გამბეტასადმია მიმართული, ჟიულ ფავრი აღიარებს, რომ «თავს ვიცავთ» არა პრუსიელი ჯარისკაცებისა, არამედ პარიზელი მუშებისაგანო. მთელი გარემოცვის განმავლობაში ბონაპარტისტი არამზადები, რომელთაც წინდახედულმა ტროშიუმ განზრახ პარიზის ჯარის სარდლობა ჩააბარა, თავიანთ ინტიმურ მიწერმოწერაში უხამსად დაცინოდნენ ამ ვითომდა თავდაცვას, რომლის საიდუმლოებაც მათ იცოდნენ. (მაგალითისათვის შორ წასვლა არაა საჭირო. საკმარისია წავიკითხოთ, მაგ., პარიზის არტილერიის მთავარსარდლის და საპატიო ლეგიონის დიდი ჯვრის კავალერის ალფონს სიმონ გიოს მიწერმოწერა არტილერიის დივიზიონის გენერალთან სიუზანთან, რომელიც კომუნამ «Journal Officiel» [1]-ში გამოაქვეყნა). ბოლოს, 28 იანვარს, 1871 წელს მათ მოიხსნეს ნიღაბი. ეროვნული თავდაცვის მთავრობამ პარიზის დანებების დროს ნამდვილი გმირობა გამოიჩინა თავის დამცირებაში, იგი ისე იქცეოდა როგორც ბისმარკის მიერ დატყვევებულთაგან შემდგარი საფრანგეთის მთავრობა, — ეს იმდენად მდაბალი როლი იყო, რომ იგი თვით ლუი ნაპოლეონმაც კი არ იკისრა სედანში. როცა 18 მარტის შემდეგ შიშით გონება დაკარგული «კაპიტულანტები» ვერსალში გაიქცნენ, მათ პარიზში დაავიწყდათ თავიანთი ღალატის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა გასანადგურებლად, ნათქვამია კომუნის ერთ მანიფესტში პროვინციებისადმი, — «ეს ადამიანები უკან არ დაიხევდნენ იმის წინაშე, რომ პარიზი სისხლის ზღვით წალეკილ ნანგრევებად ექციათ».

ასეთ გამოსავალს ეროვნული თავდაცვის მთავრობის მრავალ გამოჩენილ წევრს განსაკუთრებული პირადი მოსაზრებანიც უკარნახებდნენ.

ჩქარა დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ ეროვნული კრების პარიზელმა დეპუტატმა მილიერმა, რომელიც ახლა დახვრეტილია ჟიულ ფავრის საგანგებო ბრძანებით, გამოაქვეყნა მთელი რიგი იურიდიული დოკუმენტები, სადაც მტკიცდებოდა, რომ ჟიულ ფავრმა, რომელიც უკანონოდ შეუღლებული იყო ერთი ალჟირში მცხოვრები ვიგინდარის ცოლთან, მრავალი წლის განმავლობაში თამამი თაღლითობის შემწეობით თავისი უკანონო შვილების სახე-

[1] «Journal Officiel de la République Francaise» («საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთი») — პარიზის კომუნის მთავრობის ორგანო, გამოდიოდა 1871 წლის 19 მარტიდან 24 მაისამდე. რედ.

ლით დიდ მემკვიდრეობას მოუყარა თავი და ამრიგად მდიდარი ადამიანი გახდაო; და თუ იგი გამომჟღავნებული არ იქნა კანონიერი მემკვიდრეების მიერ დაწყებულ პროცესში, ეს იმით აიხსნება, რომ მას განსაკუთრებულ მფარველობას უწევდნენ ბონაპარტისტული სასამართლოებიო. რადგან ამ მშრალი იურიდიული აქტების გაბათილება შეუძლებელი იყო ყოველგვარი მჭერმეტყველებით, ჟიულ ფავრმა დუმილი არჩია პირველად თავის ცხოვრებაში და დაიცადა სანამ სამოქალაქო ომი ატყდებოდა, რათა შემდეგ გააფთრებული ლანძღვა-გინებით თავს დასხმოდა პარიზის ხალხს როგორც კატორღიდან გამოქცეულ ბანდას, რომელიც ამბოხებულია ოჯახისა, სარწმუნოებისა, წესრიგისა და საკუთრების წინააღმდეგ. აი ამ საბუთების გამყალბებელმა ვერც კი მოასწრო ხელისუფლების სათავეში ჩადგომა, რომ 4 სექტემბრის მეორე დღესვე თანაგრძნობის ზეგავლენით გაანთავისუფლებინა პიკი და ტაიეფერი, რომელნიც თვით იმპერიის დროს საბუთების გაყალბებისთვის იყვნენ დასჯილნი გაზეთ «Etendard»-ის სკანდალურ ისტორიასთან დაკავშირებით. ერთი ამ ვაჟბატონთაგანი, ტაიეფერი, იმდენად თავხედი აღმოჩნდა, რომ პარიზში დაბრუნდა კომუნის დროს, მაგრამ კომუნამ იგი მაშინვე დაატუსაღა; და ამის შემდეგ ჟიულ ფავრმა ეროვნული კრების ტრიბუნიდან მთელ მსოფლიოს აუწყა, პარიზელებმა ყველა კატორღელი გაანთავისუფლესო!

ერნესტ პიკარი, ეს ჯო მილერი[1] ეროვნული თავდაცვის მთავრობისა, რომელიც იმპერიის დროს ამაოდ ცდილობდა შინაგან საქმეთა მინისტრი გამხდარიყო და თავის თავი თვით დანიშნა რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად, ძმაა ვინმე არტურ პიკარისა, რომელიც პარიზის ბირჟიდან გაძევებულ იქნა თაღლითობისთვის (იხ. პარიზის პოლიციის პრეფექტურის მოხსენება 1867 წლის 13 ივლისისა) და რომელიც მსჯავრდებული იქნა იმისთვის, რომ გენერალური სავაჭრო საზოგადოების ფილიალური განყოფილების დირექტორად ყოფნის დროს (პალესტროს ქუჩა № 5) 300.000 ფრანკი მოიპარა, რაც თვით აღიარა (იხ. პარიზის პოლიციის პრეფექტურის მოხსენება 1868 წ. 11 დეკემბერს). აი ეს არტურ პიკარი ერნესტ პიკარმა თავისი გაზეთის «Electeur Libre-ის რედაქტორად დანიშ-

[1] გერმანულ გამოცემაში — კარლ ფოგტი, ფრანგულში — ფოლსტაფი. ჯოზეფ მილერი — XVIII საუკუნის ცნობილი ინგლისელი მსახიობი. კარლ ფოგტი — გერმანელი ბურჟუაზიული დემოკრატი, რომელიც ნაპოლეონ მესამეს აგენტი გახდა. ფოლსტაფი — ტრაბახასა და გაიძვერას ტიპი შექსპირის დრამატიულ ნაწარმოებებში. რედ.

ნა. მაშინ როცა ამ სამინისტრო გაზეთის ოფიციალური ტყუილი აცდენდა ჩვეულებრივ მებირჟეებს, არტურ პიკარი აქეთ-იქით დარბოდა სამინისტროსა და ბირჟას შუა და აქ ფრანგი ჯარის ყოველ დამარცხებას ნაღდ მოგებად აქცევდა. ამ ორი პატივცემული ძმის მთელი საქმიანი კორესპონდენცია კომუნას ჩაუვარდა ხელში.

ჟიულ ფერიმ, რომელიც 4 სექტემბრამდე ღატაკი ადვოკატი იყო, პარიზის გარემოცვის დროს როგორც ქალაქის მერმა შესძლო ქონების დაგროვება დამშეული მოსახლეობის ხარჯზე. ის დღე, როცა იგი იძულებული იქნება პასუხი აგოს თავისი მმართველობისთვის, მისი დასჯის დღე იქნება.

ასეთ ადამიანებს თავიანთი **tickets-of-leave** [1]-ის პოვნა მხოლოდ პარიზის ნანგრევებში შეეძლოთ; ეს სწორედ ის ადამიანები იყვნენ, რომელნიც ბისმარკს სჭირდებოდა. საკმაო აღმოჩნდა ცოტაოდენი ოინბაზობა, რათა ტიერი, რომელიც მანამდე მთავრობის ფარული ჩამჩურჩულებელი იყო, ახლა მისი მეთაური გამხდარიყო, ხოლო **ticket-of-leave men** მინისტრებად გადაქცეულიყვნენ.

მახინჯ ქონდრის კაცს ტიერს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მოხიბლული ჰყავდა ფრანგი ბუჟუაზია, იმიტომ რომ იგი ამ უცანასკნელის კლასობრივი გარყვნილების საუკეთესო სულიერ გამოხატულებას წარმოადგენდა. სანამ სახელმწიფო მოღვაწე გახდებოდა, მან როგორც ისტორიკოსმა უკვე გამოააშკარავა თავისი ტალანტი მატყუარისა. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის მატიანე საფრანგეთის უბედურების ისტორიაა. მან, 1830 წლამდე რესპუბლიკელებთან დაკავშირებულმა, ლუი ფილიპეს დროს სამინისტრო პორტფელი იგდო ხელთ თავისი მფარველის ლაფიტის ღალატის სანაზღაურად. მეფეს იგი ელაქუცებოდა იმით, რომ ბრბოს უსისინებდა სამღვდელოების წინააღმდეგ, რასაც სენჟერმენ ლოქსერუას ეკლესიის და არქიეპისკოპოზის პალატის. გაძარცვა მოჰყვა, შემდეგ იმით, რომ ჯაშუში-მინისტრის და სატუსაღოს ბებია ქალის როლს ასრულებდა ბერიელი ჰერცოგის ცოლის მიმართ. მისი ღვაწლი იყო რესპუბლიკელების გაჟლეტა ტრანსნონენის ქუჩაზე; მისივე ღვაწლი იყო ამის მომდევნო სექტემბრის საზიზ-

[1] ინგლისში სისხლის დამნაშავეებს სასჯელის უდიდესი ნაწილის მოხდის შემდეგ ზოგჯერ მოწმობას აძლევენ, რითაც მათ შეუძლიათ თავისუფლად იცხოვრონ, მხოლოდ პოლიციის ზედამხედველობას ექვემდებარებიან. ასეთ მოწმობას **tickets-of-leave** (საშვები ბილეთი) ჰქვია, ხოლო მათ მფლობელს — **tickets-of-leave men.** (შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1 8 7 1 წ ლ ი ს გ ე რ მ ა ნ უ ლ ი გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს).

ღარი კანონები პრესისა და კავშირის უფლების წინააღმდეგ. 1840 წლის მარტში იგი სცენაზე გამოვიდა, როგორც პრემიერ-მინისტრი და მთელი საფრანგეთი გააკვირვა პარიზის გამაგრების გეგმით. რეს-პუბლიკელების ბრალდებას, რომელთაც ეს გეგმა პარიზის თავისუფ-ლების წინააღმდეგ მიმართულ ვერაგულ შეთქმულებად ეჩვენებო-დათ, მან დეპუტატთა პალატაში უპასუხა:

«როგორ? თქვენ ფიქრობთ, რომ ციხე-სიმაგრე შეიძლება ოდეს-მე სახიფათო იყოს თავისუფლებისთვის? უწინარეს ყოვლისა თქვენ ცილს წამებთ ყოველ მომავალ შესაძლებელ მთავრობას, თუ დასაშ-ვებად მიგაჩნიათ აზრი, რომ იგი შეეცდება პარიზს ყუმბარები დაუშინოს ხელისუფლების შესანარჩუნებლად... ასეთი მთავრობა თავისი გამარჯვების შემდეგ ასჯერ უფრო შეუძლებელი გახდებო-და, ვიდრე მანამდე იყო». მართლაც, ვერავითარი მთავრობა ვერ გაბედავდა პარიზისთვის ფორტებიდან ყუმბარები დაეშინა, გარდა იმ მთავრობისა, რომელმაც ეს ფორტები წინასწარ პრუსიელებს გადასცა.

როცა მეფე-ყუმბარამ 1848 წლის იანვარში პალერმოს მოთ-ვინიერება სცადა, ტიერმა, რომელიც უკვე კარგა ხანია მინისტრი აღარ იყო, ხელახლა წარმოთქვა სიტყვა დეპუტატთა პალატაში: «ბატონებო, თქვენ მოგეხსენებათ, რა ხდება პალერმოში. თქვენ ყველას ტანში ჟრუანტელი გივლით (პარლამენტური გაგებით), როცა გესმით, რომ დიდ ქალაქს ორმოცდარვა საათის განმავლობაში ყუმბარას უშენდნენ და მერე ვინ? გარეშე მტერი, რომელიც ომის უფლებას იყენებს? არა, ბატონებო, მისივე საკუთარი მთავრობა, და რისთვის? იმისთვის, რომ ეს უბედური ქალაქი თავის უფლებას მოითხოვდა. თავისი უფლებების მოთხოვნისთვის მას ქვემეხებს უშენდნენ ორმოცდარვა საათის განმავლობაში... მე მივმართავ ევროპის საზოგადოებრივ აზრს. მე ვფიქრობ, ჩვენ კაცობრიობას უდიდეს სამსახურს გავუწევთ, თუ ევროპის უდიდესი ტრიბუნიდან აღშფოთების სიტყვებს წარმოვსთქვამთ (დიახ, სიტყვებს!) ასეთი მოქმედების წინააღმდეგ. როცა რეგენტმა ესპარტერომ, რომელ-მაც თავის სამშობლოს ბევრი სამსახური გაუწია (რაც ტიერს არა-სოდეს გაუკეთებია), განიზრახა ბარსელონისთვის ქვემეხები დაე-შინა, რათა იქ ამბოხება ჩაექრო, მსოფლიოს ყველა კუთხიდან საყოველთაო აღშფოთების ყიჟინა გაისმა».

თვრამეტი თვის შემდეგ ტიერი უკვე იმათ რიცხვში იყო, ვინც გააფთრებით მოითხოვდა, რომ რომისთვის საფრანგეთის არმიას

ქვემეხები დაეშინა[1]. მეფე-ყუმბარის შეცდომა, როგორც ჩანს, ის იყო, რომ მან ყუმბარების შედლეული ორმოცდარვა საათით განსაზღვრა.

თებერვლის რევოლუციამდე რამდენიმე დღით წინ ტიერმა, გაგულისებულმა იმით, რომ გიზომ იგი დიდი ხნით ჩამოაცილა ხელისუფლებასა და შემოსავალს, ჰაერში იყნოსა ხალხური მოძრაობის მოახლოვება და ყალბი საგმირო სტილით, რომელმაც მას მეტსახელად «Mirabeau mouche»[2] მოუპოვა, დეპუტატთა პალატაში განაცხადა: «მე რევოლუციის პარტიას ვეკუთვნი არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაშიც. მე მინდა, რომ რევოლუციური მთავრობა ზომიერი ადამიანების ხელში დარჩეს... მაგრამ თუნდაც იგი ფიცხ ადამიანებს, თვით რადიკალებს ჩაუვარდეთ, მე ჩემს საქმეს მაინც არ დავთმობ. მე ყოველთვის რევოლუციის პარტიის მხარეზე ვიქნები».

დაიწყო თებერვლის რევოლუცია. იმის მაგივრად, რომ გიზოს სამინისტრო ტიერის სამინისტროთი შეეცვალა, რასაც ეს კაცუნა ოცნებობდა, რევოლუციამ ლუი ფილიპე რესპუბლიკით შეცვალა. გამარჯვების პირველ დღეს იგი გულმოდგინედ იმალებოდა, ავიწყდებოდა რა, რომ მუშების სიძულვილისგან მას დაიცავდა მათი ზიზღი მის მიმართ. როგორც მის ნაცად სიმამაცეს შეეფერებოდა, მას თავი შორს ეჭირა საზოგადოებრივი ასპარეზიდან, სანამ ივნისის სისხლის ღვრამ[3] ადგილი არ გაანთავისუფლა მისი მაგვარი მოღვაწეებისთვის. მაშინ იგი გახდა იდეური ბელადი «წესრიგის პარტიისა» და მისი პარლამენტური რესპუბლიკის, იმ ანონიმური გარდამავალი რეჟიმის, რომელშიც გაბატონებული კლასის მოქიშპე ფრაქციები ერთმანეთში შეთქმულებას ახდენდნენ ხალხის დასაჩაგრავად და ერთი მეორის დასამხობად, რათა თავისი საკუთარი მონარქია აღედგინათ. მაშინაც, ისევე როგორც ახლა, ტიერი რესპუბლიკელებს ბრალს სდებდა — რესპუბლიკის განმტკიცების ერთადერთი დაბრკოლება თქვენ ხართო; მაშინაც, ისევე როგორც ახლა,

---

[1] 1849 წლის აპრილში იტალიის რევოლუციის ჩასაქრობად იტალიაში გაგზავნილ იქნა საფრანგეთის არმია. მან ყუმბარები დაუშინა რევოლუციურ რომს, რითაც აშკარად იყო დარღვეული საფრანგეთის კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებდა, რომ რესპუბლიკა არასდროს არ გამოიყენებს თავის ძალას რომელიმე ხალხის თავისუფლების დათრგუნვის მიზნითო. რ ე დ.

[2] «მირაბო — ბუზი». რ ე დ.

[3] იგულისხმება პარიზის პროლეტარიატის ივლისის აჯანყების ჩაქრობა 1848 წ. რ ე დ.

იგი რესპუბლიკას ისე ელაპარაკებოდა, როგორც ჯალათი დონ კარლოსს: «მე შენ მოგკლავ შენივე საკუთარი სიკეთისთვის». ახლაც, ისევე როგორც მაშინ, თავისი გამარჯვების მეორე დღეს იგი იძულებული იქნება წამოიძახოს: «L'Empire est fait»— იმპერია მზად არისო. ტიერს დაავიწყდა თავისი ფარისევლური ქადაგება აუცილებელ თავისუფლებათა შესახებ და თავისი პირადი წყენა ლუი ბონაპარტისადმი, რომელმაც იგი გამოიყენა და შემდეგ პარლამენტარიზმი განზე გადაისროლა (პარლამენტარიზმის ხელოვნური ატმოსფეროს გარეშე კი ეს კაცუნა, როგორც თვითონაც კარგად გრძნობს, არარაობად იქცევა); ტიერის ხელი ერია მეორე იმპერიის ყველა სამარცხვინო საქმეში, დაწყებული რომის დაკავებიდან საფრანგეთის ჯარების მიერ და გათავებული ომით პრუსიის წინააღმდეგ. მან ამ ომს ხელი შეუწყო თავისი გააფთრებული თავდასხმებით გერმანიის გაერთიანებაზე, რომელშიაც იგი ხედავდა არა პრუსიის დესპოტიზმის ნიღაბს, არამედ შებღალვას საფრანგეთის მემკვიდრეობითი უფლებისა გერმანიის გაუერთიანებლობაზე. მაშინ როცა მისი ჯუჯა ხელები ევროპის თვალწინ სიამოვნებით ანავარდებდა იმ ნაპოლეონ I მახვილს, რომლის ისტორიულ ჩექმის მწმენდელად იგი გადაიქცა, მისი საგარეო პოლიტიკა ყოველთვის საფრანგეთის უკიდურესი დამცირებით მთავრდებოდა, დაწყებული ლონდონის შეთანხმებით 1841 წელს და გათავებული პარიზის კაპიტულაციით 1871 წელს და ახლანდელი სამოქალაქო ომით, რომლის დროს მან ბისმარკის უზენაესი ნებართვით პარიზს სედანის და მეცის ტყვეები მიუსია. თავისი ნიჭის მოქნილობისა და თავისი მიზნების ცვალებადობის მიუხედავად მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ეს ადამიანი წარღვნის დროინდელ რუტინაზე იყო მიჯაჭვული. ცხადია, რომ თანამედროვე საზოგადოების უფრო ღრმა მოძრაობანი მისთვის მუდამ საიდუმლოებით მოცული რჩებოდნენ; მაგრამ თვით ხელშესახები ცვლილებანი, რომელნიც საზოგადოების ზედაპირზე ხდება, მიუწვდომელი არიან მისი ტვინისთვის, რომლის ძალა მთლიანად ენაში გადავიდა. იგი, მაგალითად, დაუღალავად ჰკიცხავდა, როგორც მკრეხელობას, ყოველივე გადახრას საფრანგეთის დაძველებული მფარველობითი საბაჟო სისტემისგან. ლუი ფილიპეს მინისტრად ყოფნის დროს იგი შეეცადა სახელი გაეტეხა რკინიგზებისათვის, როგორც ავადმყოფი ტვინის ოცნებისთვის; ლუი ბონაპარტის დროს ოპოზიციაში ყოფნისას იგი სიწმინდის შებღალვად აცხადებდა დახავსებული ფრანგული სამხედრო სისტემის რეფორმის ყოველ ცდას. არასოდეს თავის ხანგრძლივ პო-

ლიტიკურ მოღვაწეობაში მას არც ერთი, თუნდ სრულიად უმნიშვნელო, პრაქტიკული ღონისძიება არ განუხორციელებია. ტიერი თანმიმდევარი იყო მხოლოდ თავის სიხარბეში სიმდიდრის მიმართ და სიძულვილში იმ ადამიანებისადმი, რომელნიც ამ სიმდიდრეს ჰქმნიან. იგი ღატაკი იყო ვითარცა იობი, როცა პირველად შევიდა სამინისტროში ლუი ფილიპეს დროს; იგი მილიონერი იყო, როცა ეს სამინისტრო დატოვა. მისი უკანასკნელი მინისტრობის დროს იმავე მეფობაში (1840 წლის 1 მარტიდან) მას დეპუტატთა პალატაში საჯაროდ სახაზინო ფულების გაფლანგვა დააბრალეს; იგი დაკმაყოფილდა იმით, რომ პასუხად ცრემლები გადმოღვარა, — იაფი პასუხია, რომლითაც ადვილად აღწევდნენ თავს როგორც ჟიულ ფავრი, ისე სხვა ნიანგებიც. რათა საფრანგეთი მოახლოებული ფინანსიური კატასტროფიდან გადაერჩინა, მან ბორდოში 1871 წელს უწინარეს ყოვლისა სამი მილიონი წლიური ჯამაგირი დაინიშნა; ეს იყო იმ «ხელმომჭირნე რესპუბლიკის» პირველი და უკანასკნელი სიტყვა, რომლის იდეალი მან თავის ამომრჩევლებს წარუდგინა 1869 წელს. ერთმა მისმა წინანდელმა კოლეგამ 1830 წლის დეპუტატთა პალატიდან, თვით კაპიტალისტმა (რამაც მას ხელი არ შეუშალა პარიზის კომუნის თავგანწირული წევრი ყოფილიყო) ბელემ ამ ცოტა ხნის წინათ ერთ თავის საჯარო პროკლამაციაში ასე მიმართა ტიერს: «თქვენი პოლიტიკის ქვაკუთხედი ყოველთვის კაპიტალის მიერ შრომის დამონება იყო. მას შემდეგ რაც პარიზის თვითმართველობის შენობაში შრომის რესპუბლიკა დამკვიდრდა, შეუჩერებლივ გაიძახით მთელი საფრანგეთის გასაგონად: «შეხეთ ამ დამნაშავეებს!» — ესაა წვრილმანი სახელმწიფოებრივი იონბაზობის ოსტატი, სიტყვის გატეხის და ღალატის ჯამბაზი, გამობრძმედილი საპარლამენტო პარტიული ბრძოლის მდაბალ მზაკვრობასა, ვერაგ თაღლითობასა და უხამს გამყიდველობაში; ყოველთვის გამზადებულია რევოლუცია გააღვივოს, როცა ხელისუფლებას ჰკარგავს და იგი სისხლში ჩააღრჩოს, როცა ხელახლა სახელმწიფოს საჭესთან დგას; იგი კლასობრივი ცრუმორწმუნეობითაა გამსჭვალული იდეების მაგიერ, გულზვიადობითაა აღჭურვილი გულის მაგივრად: მისი პირადი ცხოვრება ისევე ჭუჭყიანია, როგორც მისი საზოგადოებრივი ცხოვრება; ახლაც კი, როცა იგი ფრანგი სულლას როლს თამაშობს, მას არ შეუძლია თავისი მოქმედების საზიზღრობა არ გააძლიეროს თავისი სასაცილო ქედმაღლობით.

პარიზის კაპიტულაციამ, რომელმაც პრუსიას გადასცა არა მარტო პარიზი, არამედ მთელი საფრანგეთი, დაასრულა მტერთან მთელი რიგი იმ ხანგრძლივი მოღალატური ინტრიგებისა, რომელიც, როგორც თვით ტროშიუ ამბობს, უზურპატორებმა უკვე 4 სექტემბერს ხელისუფლების დაპყრობის დღიდანვე დაიწყეს. მეორე მხრივ, ამ კაპიტულაციამ დასაბამი მისცა სამოქალაქო ომს, რომელიც მათ ახლა, პრუსიის დახმარებით, რესპუბლიკისა და პარიზის წინააღმდეგ დაიწყეს. თვით კაპიტულაციის ტექსტში მახე იყო დაგებული. იმჟამად ქვეყნის მესამედზე მეტი მტრის ხელში იყო, სატახტო ქალაქი მოწყვეტილი იყო პროვინციებს, ყველა გზებზე უწესრიგობა იყო გამეფებული. ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო საფრანგეთის ნამდვილი წარმომადგენლობის არჩევა, თუ წინასწარი მზადებისთვის საკმაო ვადა არ იქნებოდა მიცემული. სწორედ ამიტომ კაპიტულაციის ტექსტში განსაზღვრულ იქნა, რომ ნაციონალური კრება ერთი კვირის განმავლობაში უნდა აირჩესო, ისე რომ საფრანგეთის ზოგიერთ კუთხეში ცნობამ მომავალი არჩევნების შესახებ მხოლოდ თვით არჩევნების წინადღით მიაღწია. გარდა ამისა, კაპიტულაციის განსაკუთრებული მუხლის მიხედვით ახლად არჩეული კრების ერთადერთი მიზანი ომისა და ზავის საკითხის გადაწყვეტა და, თუ საჭირო იქნებოდა, საზავო ხელშეკრულების დადება უნდა ყოფილიყო. ხალხს არ შეეძლო არ ეგრძნო, რომ დროებითი ზავის პირობები შეუძლებლად ხდიდნენ ომის გაგრძელებას და, რომ ბისმარკის მიერ თავზე მოხვეული ზავის დასადასტურებლად, ყველაზე მეტად საფრანგეთის უგლახესი ადამიანები გამოდგებოდნენ. მაგრამ ტიერი არ დაკმაყოფილდა ყველა ამ სიფრთხილის ღონისძიებებით და, სანამ პარიზელები დროებითი ზავის საიდუმლოებას გაიგებდნენ, საარჩევნო მოგზაურობა დაიწყო პროვინციაში, რათა იქ ლეგიტიმისტური პარტიის ცხედარი გამოეცოცხლებინა; ამ პარტიას ორლეანისტებთან ერთად უნდა დაეჭირა ბონაპარტისტების ადგილი, რომელნიც ამ წუთში სრულიად მიუღებელნი იყვნენ საფრანგეთისთვის. მას არც ეშინოდა ლეგიტიმისტებისა. შეუძლებელი იყო მათ მთავრობა შეედგინათ ახალი საფრანგეთისთვის, ამიტომ უილაჯონი იყვნენ როგორც მოქიშპეები; ამ პარტიის მთელ მოღვაწეობას, თვით ტიერის სიტყვებით (დეპუტატთა პალატაში 1833 წ. 5 იანვარს), «მუდამ სამი წყარო ასაზრდოებდა: უცხოელების შემოსევა, სამოქალაქო ომი და ანარქია»; ამიტომ ეს პარტია წარმოადგენდა კონტრრევოლუციის საუკეთესო იარაღს. ლეგიტიმისტებმა კი მართლა იწამეს, რომ კვლავ იწყებოდა მათი

დაკარგული ათასწლიური სუფევა. მართლაც, უცხოელების შემოსევამ საფრანგეთი კვლავ მიწაზე დაანარცხა შემოსეულთა ფერხთქვეშ, იმპერია კვლავ დაემხო, ბონაპარტი კვლავ ტყვედ ჩავარდა და ლეგიტიმისტებიც კვლავ აღსდგნენ. ისტორიის ჩარხი აშკარად უკან მობრუნდა, რათა 1816 წლის «უბადლო პალატამდე» დაშვებულიყო. 1848 — 1851 წლებში, რესპუბლიკის დროს ეროვნულ კრებებში ლეგიტიმისტების წარმომადგენლებად განათლებული და საპარლამენტო ბრძოლაში გამობრძმედილი ადამიანები გამოდიოდნენ, ახლა კი პირველ რიგში პარტიის უბრალო ჯარისკაცები წამოიჭრნენ, მთელი საფრანგეთის პურსონიაკები [1].

როგორც კი ბორდოში ამ «პროვინციელი მემამულეების» [2] კრება გაიხსნა, ტიერმა მათ საპარლამენტო კამათის ნებაც კი არ მისცა და აუხსნა, რომ ზავის წინასწარი პირობები ახლავე უნდა მიიღოთ, იმიტომ რომ ეს ერთადერთი პირობაა, ურომლისოდაც პრუსია ნებას არ მოგცემთ რესპუბლიკისა და მისი ციხე-სიმაგრის — პარიზის წინააღმდეგ ომი დაიწყოთო. მართლაც, კონტრრევოლუციას არ შეეძლო დაეყოვნებინა. მეორე იმპერიამ გააორკეცა სახელმწიფოს ვალი, ყველა დიდი ქალაქი მძიმე ადგილობრივ ვალებში ჩავარდა. ომმა საშინლად გაზარდა ხარჯები, ხოლო ერის შემოსავლის წყაროები ულმობლად გაანადგურა. ბოლოს, აქვე იდგა პრუსიელი შეილოკი [3] თავისი ქვითარით იმ ნახევარი მილიონი ჯარისკაცის გამოსაკვებად, რომელიც საფრანგეთის მიწა-წყალზე იყო დაბანაკებული, იგი აგრეთვე ხუთ მილიარდ კონტრიბუციას ითხოვდა და ხუთ პროცენტს შესატანი თანხების დაყოვნებისთვის. ვის უნდა გაესწორებინა ეს ანგარიშები? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკა ძალით დაემხობოდა, სიმდიდრის მიმთვისებელთ შეეძლოთ იმედი ჰქონოდათ, რომ მათ მიერვე გამოწვეული ომის ხარჯები ამ სიმდიდრის შემქმნელთ დაეკისრებოდათ. ამრიგად, საფრანგეთის განუზომელმა გაპარტახებამ მამულის და კაპიტალის ეს

---

[1] პურსონიაკ — მოლიერის კომედიის გმირი, გონებაჩლუნგი და შეზღუდული მემამულის ტიპი. რ ე დ.

[2] ბორდოში 1871 წლის 12 თებერვალს გახსნილი ეროვნული კრების დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ აშკარა მონარქისტები (750 დეპუტატიდან 450 მონარქისტი იყო) — მემამულეებისა და ქალაქისა და სოფლის რეაქციული ფენების წარმომადგენლები. აქედან — სახელწოდება «პროვინციელი აზნაურების კრება» ან «პროვინციელ მემამულეთა პალატა». რ ე დ.

[3] შ ე ი ლ ო კ ი — მევახშის ტიპი შექსპირის დრამაში — «ვენეციელი ვაჭარი». რ ე დ.

პატრიოტი წარმომადგენლები აიძულა, უცხოელი დამპყრობელის უზენაესი მფარველობის ქვეშ და მის თვალთა წინ, საგარეო ომი სამოქალაქო ომით, მონათმფლობელთა ამბოხებით დაესრულებინათ.

ამ შეთქმულებას წინ ერთი დიდი დაბრკოლება ეღობებოდა — პარიზი. პარიზის განიარაღება გამარჯვების პირველი პირობა იყო. ამიტომ ტიერმა პარიზს მოთხოვნა წარუდგინა, იარაღი დაჰყარეო. ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა პარიზი მოთმინებიდან გამოეყვანათ: მემამულეთა პალატის გაშმაგებული ანტირესპუბლიკური ღაღადი და ტიერის ორაზროვანი სიტყვები რესპუბლიკის უფლებრივ მდგომარეობაზე; პარიზს ემუქრებოდნენ თავსაც მოგჭრით და მთავარი ქალაქის ღირსებასაც აგხდითო (**décapiter et décapitaliser**); დესპანებად ორლეანისტები დანიშნეს; გამოვიდა დიუფორის კანონები ხანდაზმული თამასუქებისა და ბინების გადასახადების შესახებ, ეს კანონები განადგურებას ემუქრებოდა პარიზის აღებმიცემობასა და მრეწველობას; პუიე-კერტიეს დაჟინებითი მოთხოვნებით ყოველ ნაბეჭდ გამოცემას ცალზე 2 სანტიმი ხარკი ედებოდა; ბლანკის და ფლურანსს სიკვდილი მიუსაჯეს; რესპუბლიკური გაზეთები დახურეს; ეროვნული კრება ვერსალში გადაიტანეს; პალიკაოს მიერ გამოცხადებული და 4 სექტემბრის მიერ მოხსნილი საალყო მდგომარეობა განაახლეს; 2 დეკემბრის გმირი ვინუა პარიზის გუბერნატორად დანიშნეს, ბონაპარტისტული ჟანდარმი ვალანტენი პოლიციის პრეფექტად, ხოლო იეზუიტი გენერალი ორელ დე პალადინი პარიზის ნაციონალური გვარდიის მთავარსარდლად.

ახლა ჩვენ ერთი კითხვით უნდა მივმართოთ ბატონ ტიერსა და მის ნოქრებს, ეროვნული თავდაცვის მთავრობის წევრებს. ცნობილია, რომ თავისი ფინანსთა მინისტრის პუიე-კერტიეს შემწეობით ტიერმა ორი მილიარდის სესხი გამოუშვა, რომლის რეალიზაცია მაშინვე უნდა მომხდარიყო. მართალია თუ არა:

1) რომ ეს საქმე ისე მოგვარდა, რომ რამდენიმე ასმა მილიონმა «საკომისიომ» ტიერის, ჟიულ ფავრის, ერნესტ პიკარის, პუიე-კერტიეს და ჟიულ სიმონის ჯიბეში ამოჰყო თავი და,

2) რომ გადახდას მხოლოდ პარიზის «დამშვიდების» შემდეგ კისრულობდნენ?

ყოველ შემთხვევაში საქმე მეტად საჩქარო უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ ტიერი და ჟიულ ფავრი ბორდოს კრების უმრავლესობის სახელით უსირცხვილოდ მოითხოვდნენ, პარიზი პრუსიის ჯარებს დაეჭირათ. მაგრამ ეს არ შედიოდა ბისმარკის ანგარიშებში, როგორც მან ირონიულად და სრულიად გულახდილად გაუმეღავნა

ბოიცებულ ფრანკფურტელ ფილისტერებს გერმანიაში თავის დაბრუნების შემდეგ.

II

შეიარაღებული პარიზი ერთადერთი სერიოზული დაბრკოლება იყო კონტრრევოლუციური შეთქმულების გზაზე. მაშასადამე, პარიზის განიარაღება იყო საჭირო. ამ საკითხში ბორდოს პალატა სრულ გულწრფელობას იჩენდა. თუნდა «პროვინციელ მემამულეთა პალატის» დეპუტატთა გააფთრებული ღრიალი ნაკლებ ხმამაღალი ყოფილიყო, მაინც ტიერის მიერ პარიზის ტრიუმვირატისადმი გადაცემა, რომელიც დეკემბრელი კაცისმკვლელის ვინუასა, ბონაპარტისტული ჟანდარმის ვალანტენისა და იეზუიტების გენერლის ორელ დე პალადინისაგან შესდგებოდა, ყოველივე ეჭვის ნატამალს გაჰფანტავდა. თუმცა შეთქმულნი განიარაღების ნამდვილ მიზანს ურცხვად ააშკარავებდნენ, თვით პარიზისაგან იარაღის დაყრას ისეთი საბაბით მოითხოვდნენ, რომელიც აღმაშფოთებელ და ურცხვ სიცრუეს წარმოადგენდა. პარიზის ნაციონალური გვარდიის არტილერია სახელმწიფოს ეკუთვნის და მასვე უნდა გადაეცესო, ამბობდა ტიერი. ნამდვილად საქმის ვითარება ასეთი იყო: პარიზი შეჭურვილი იდგა საგუშაგოზე კაპიტულაციის დღიდან, როცა ბისმარკის ტყვეებმა საფრანგეთი ბისმარკს გადასცეს, მხოლოდ თავისთვის პირობის ძალით მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალა დაიტოვეს იმ ცხადი მიზნით, რომ პარიზი მოედრიკათ. ნაციონალურმა გვარდიამ თავისი თავის რეორგანიზაცია მოახდინა და მთავარსარდლობა ცენტრალურ კომიტეტს მიანდო, რომელიც ნაციონალური გვარდიის მთელი მასის მიერ იყო არჩეული, რამდენიმე ბონაპარტისტული ნაწილის გამოკლებით. პრუსიელების პარიზში შესვლის წინაღდით ცენტრალურმა კომიტეტმა მონმარტრზე, ლავილეტსა და ბელვილში გადაატანინა ქვემეხები და ტყვიამფრქვეველები, რომელნიც კაპიტულანტებმა მოღალატურად სწორედ პრუსიელების მიერ დასაჭერ ქალაქის უბნებში ან ამ უბნების მახლობლად დასტოვეს. ეს არტილერია შექმნილი იყო თვით ნაციონალური გვარდიის მიერ შეკრებილი თანხებით. იგი 28 იანვრის კაპიტულაციის ტექსტში მის საკუთრებად იყო ოფიციალურად აღიარებული და, როგორც ასეთი, შეტანილი არ იყო სახელმწიფოს კუთვნილი თოფიარაღის მასაში, რომელიც გამარჯვებულს უნდა გადასცემოდა. მაგრამ რადგან ტიერს არავითარი საბაბი არ ჰქონდა ომი დაეწყო პარიზის წინააღმდეგ, იძულებული გახდა მტკნარი ტყუილისთვის

მიემართა: თითქოს ნაციონალური გვარდიის არტილერია სახელმწიფოს საკუთრებაა!

არტილერიის ხელში ჩაგდებას, ცხადია, მხოლოდ ნიშანი უნდა მიეცა პარიზის საყოველთაო განიარაღებისა და, მაშასადამე, 4 სექტემბრის რევოლუციის განიარაღებისათვის. მაგრამ ეს რევოლუცია საფრანგეთის კანონიერ მდგომარეობად იქცა. მისი ნაყოფი — რესპუბლიკა — კაპიტულაციის ტექსტში ცნობილ იქნა გამარჯვებული მტრის მიერ. კაპიტულაციის შემდეგ იგი ყველა უცხო სახელმწიფომ სცნო; ნაციონალური კრება რესპუბლიკის სახელით იყო მოწვეული. ბორდოს ნაციონალური კრების და მისი აღმასრულებელი ხელისუფლების ერთადერთი უფლებრივი საფუძველი 4 სექტემბერს პარიზელი მუშების მიერ მოხდენილი რევოლუცია იყო. თუ 4 სექტემბრის რევოლუცია არ ყოფილიყო, ნაციონალურ კრებას მაშინვე ადგილი უნდა დაეთმო საკანონმდებლო კორპუსისთვის, რომელიც 1869 წელს აირჩიეს საყოველთაო კენჭის ყრით ფრანგული და არა პრუსიული მმართველობის დროს, და რომელიც რევოლუციამ გარეკა ძალით. ტიერსა და მის ბანდას მოლაპარაკება უნდა გაემართათ ლუი ბონაპარტის მიერ ხელმოწერილი მოწმობის მისაღებად, რათა გადარჩენილიყვნენ კაიენისკენ გამგზავრებას.[1] ნაციონალური კრება მისი რწმუნებითურთ, რომ ზავი შეეკრა პრუსიასთან, ერთი ეპიზოდი იყო მხოლოდ ამ რევოლუციისა, რომლის ნამდვილ განხორციელებას მაინც შეიარაღებული პარიზი წარმოადგენდა; ის პარიზი, რომელმაც ეს რევოლუცია მოახდინა, ამ უკანასკნელის გულისთვის ხუთი თვის ალყა აიტანა შიმშილის ყველა საშინელებითურთ, ის პარიზი, რომელმაც ტროშიუს «გეგმის» მიუხედავად ხანგრძლივი წინააღმდეგობა გაუწია მტერს და ამით პროვინციებს საშუალება მისცა მედგარი თავდაცვითი ომი ეწარმოებინათ. და ახლა პარიზს ან იარაღი უნდა დაეყარა ამბოხებული ბორდოელი მონათმფლობელების შეურაცხმყოფელი ბრძანებით და ეღიარებინა, რომ 4 სექტემბრის რევოლუცია წარმოადგენს მხოლოდ ხელისუფლების უბრალო გადაცემას ლუი ბონაპარტის ხელიდან მისი როიალისტ მოქიშპეების ხელში; ან პარიზი უნდა გამოსულიყო როგორც თავგანწირული მებრძოლი საფრანგეთისა, რომლის ხსნა დაქვეითებისაგან და აღორძინება შეუძლებელი იყო რევოლუციის გარეშე, იმ პოლიტიკური და საზოგადოებრივი პირო-

[1] კაიენა — მთავარი ქალაქი საფრანგეთის გვიანაში, სამხრეთ ამერიკაში, გადასახლებისა და კატორღის ადგილი. რ ე დ.

ბების დანგრევის გარეშე, რომელმაც მიიყვანა მეორე იმპერიამდე და თვით მისი მფარველობის ქვეშ უკიდურესი გახრწნის პროცესს მიაღწია. პარიზს ხუთი თვის შიმშილობის გამო არაქათი ჰქონდა გამოცლილი, მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ შედრეკილა. თუმცა პრუსიის ზარბაზნები მას პირდაღებული დასცქეროდნენ მისივე ფორტების სიმაღლიდან, მან გმირულად გადასწყვიტა პირისპირ შეხვედროდა ყველა იმ საფრთხეს, რომელსაც უმზადებდა ფრანგი ამბოხებული კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ ამასთანავე, რადგან ცენტრალური კომიტეტი გაურბოდა სამოქალაქო ომს, რომელშიაც პარიზი უნდა ჩაეთრიათ, იგი განაგრძობდა წმინდა თავდაცვის პოზიციაზე დგომას და ყურადღებას არ აქცევდა ნაციონალური კრების პროვოკაციულ გამოსვლებს, აღმასრულებელი ხელისუფლების აბეზარობას და ჯარების საშიშარ კონცენტრაციას პარიზში და მის გარშემო.

ამრიგად, სამოქალაქო ომი თვით ტიერმა დაიწყო, როცა მან ღამით ვინუას მეთაურობით პოლიციელი სერჟანტების რაზმი და რამდენიმე სახაზო პოლკი გაგზავნა, რათა ანაზდეულად მონმარტრს თავს დასხმოდნენ ავაზაკებივით და ნაციონალური გვარდიისთვის არტილერია წაერთმიათ. ცნობილია, რომ ეს ცდა მარცხით დასრულდა, ერთი მხრივ, ნაციონალური გვარდიის წინააღმდეგობისა, ხოლო, მეორე მხრივ, ჯარისა და ხალხის დაძმობილების წყალობით. ორელ დე პალადინმა წინდაწინვე დააბეჭდინა გამარჯვების უწყება, ხოლო ტიერს მზად ჰქონდა აფიშები, სადაც იგი იუწყებოდა, თუ რა ღონისძიებანი მიიღო სახელმწიფოებრივი გადატრიალების მოსახდენად. ახლა საჭირო გახდა ამ აფიშების შეცვლა მანიფესტით, სადაც ტიერი სულგრძელად აცხადებდა, ნაციონალურ გვარდიას მის იარაღს ვუტოვებო; ეჭვი არა მაქვს, ამ იარაღს იმისთვის გამოიყენებს, რომ მთავრობას დაეხმაროს აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაშიო. სამასი ათასი ნაციონალური გვარდიელიდან მხოლოდ სამასი გამოეხმაურა პატარა ტიერის მოწოდებას მას მიმხრობოდა, რათა იგი თავისივე თავისაგან დაეცვა. (18 მარტის სახელოვანი მუშათა რევოლუცია უცილობლად დაეუფლა პარიზს. მისი დროებითი მთავრობა ცენტრალური კომიტეტი იყო. ევროპა თითქოს ერთი წუთით დაეჭვდა მის თვალწინ მომხდარ გასაოცარ დიდ სახელმწიფოებრივ და სამხედრო მოქმედებათა სინამდვილეში: შორეული წარსულის სიზმარი ხომ არააო ყოველივე ეს.)

(18 მარტიდან ვერსალელი ჯარების პარიზში შეჭრამდე პროლეტარული რევოლუცია იმდენად შეუბღალავი იყო იმ ძალმომრეო-

ბით, რომელიც უხვად ახლავს «მაღალი კლასების» რევოლუციას და მით უმეტეს კონტრრევოლუციას, რომ თვით მტრებსაც კი არა-ვითარი საბაბი არ მისცემიათ თავიანთი აღშფოთების გამოსათქმელად, გარდა გენერლების ლეკონტის და კლემან ტომას სიკვდილით დასჯისა და ვანდომის მოედანზე მომხდარი შეჯახებისა.

ერთმა ბონაპარტისტულმა ოფიცერმა, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ღამით მონმარტრზე თავდასხმაში, გენერალმა ლეკონტმა, ოთხჯერ შისცა ბრძანება სახაზო ჯარის 81-ე პოლკს, ესროლე უიარაღო ხალხს პიგალის მოედანზეო; როცა ჯარისკაცებმა უარი თქვეს ამ ბრძანების შესრულებაზე, მან მათ გააფთრებით ქუჩური ლანძღვა-გინება დაუწყო. უმწეო ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ იარაღის მიმართვის მაგიერ ჯარისკაცებმა თვით გენერალი ლეკონტი დახვრიტეს. ის ფესვგამდგარი ჩვეულებანი, რომელთაც ჯარისკაცებს მუშათა მტრების სკოლაში უნერგავენ, რასაკვირველია, იმ წუთშივე არ გაჰქრებოდა, როგორც კი ისინი მუშების მხარეზე გადავიდნენ. ამავე ჯარისკაცებმა მოჰკლეს კლემან ტომაც.

თავისი კარიერით უკმაყოფილო ყოფილი ვახმისტრი, «გენერალი» კლემან ტომა ლუი ფილიპეს მეფობის უკანასკნელ წლებში რესპუბლიკური გაზეთის «**National**»-ის რედაქციამ გადაიბირა, სადაც იგი ერთსა და იმავე დროს ნომინალური პასუხისმგებელი რედაქტორისა და მორკინალ-დუელისტის როლს ასრულებდა ამ მოჩხუბარ ორგანოში. როცა თებერვლის რევოლუციის შემდეგ «**National**»-ის რაინდები ხელისუფლების სათავეში მოხვდნენ, ყოფილი ვახმისტრი გენერლად იქცა. ეს იყო წინადღით ივნისის ხოცვა-ჟლეტისა, რომელიც მან ჟიულ ფავრთან ერთად მოამზადა და რომელშიც უსაზიზღრესი ჯალათის როლი იკისრა. შემდეგ იგი თავის გენერლებითურთ თვალს მიეფარა დიდი ხნით, რათა 1870 წლის 1 ნოემბერს ხელახლა ამოტივტივებულიყო. ერთი დღის წინ თავდაცვის მთავრობამ ქალაქის თვითმართველობაში, რომელიც მან დაიპყრო, დიდი ზეიმით აღუთქვა ბლანკისა, ფლურანსა და მუშების სხვა წარმომადგენელთ: პარიზის მიერ თავისუფლად არჩეულ კომუნას გადავცემ ჩვენ მიერ ხელში ჩაგდებულ ხელისუფლებასო. თავისი აღთქმის შესრულების მაგიერ მან პარიზს მიუსია გენერალ ტროშიუს ბრეტონელები, რომელთაც ახლა ბონაპარტის კორსიკელების ადგილი დაიჭირეს. მხოლოდ გენერალმა ტამიზიემ არ მოისურვა თავისი სახელისათვის ლაქა მოეცხო ასეთი ვერაგობით და უარი თქვა ნაციონალური გვარდიის მთავარსარდლის თანამდე-

ბობაზე. მის ადგილას დანიშნული კლემან ტომა ხელახლა გენერალი გახდა. თავისი მთავარსარდლობის დროს იგი ომს აწარმოებდა არა პრუსიელების, არამედ პარიზის ნაციონალური გვარდიის წინააღმდეგ. იგი ხელს უშლიდა მის საყოველთაო შეიარაღებას. ბურჟუაზიულ ბატალიონებს უსისინებდა მუშათა ბატალიონებს, ითხოვდა ტროშიუს «გეგმისადმი» მტრულად განწყობილ ოფიცრებს, სიმხდალეს აბრალებდა და შლიდა იმ პროლეტარულ ნაწილებს, რომელთა გმირობაც დღეს მათი ყველაზე უფრო გაბოროტებული მტრების გაკვირვებას იწვევს. კლემან ტომას მეტისმეტად მოჰქონდა თავი იმით, რომ ხელახლა მიეცა საშუალება ეჩვენებინა პარიზის პროლეტარიატისადმი თავისი პირადი სიძულვილი, რომელიც ნათლად გამოვლინდა 1848 წლის ივლისის ხოცვა-ყლეტის დროს. რამდენიმე დღის წინათ 18 მარტამდე მან სამხედრო მინისტრს ლეფლოს წარუდგინა თავისი პროექტი «პარიზელი არამზადების საუკეთესო ნაწილის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრისა». ვინუას დამარცხების შემდეგ იგი კერძო ჯაშუშის როლში გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე. ცენტრალურ კომიტეტს და პარიზელ მუშებს იმდენივე დანაშაული მიუძღვით კლემან ტომასა და ლეკონტის დახვრეტაში, რამდენიც უელსის პრინცესას იმ ადამიანების სიკვდილში, რომელნიც ბრბოში გაიჭყლიტნენ მისი ლონდონში შესვლის დროს.

უიარაღო მოქალაქეების დახოცვა ვანდომის მოედანზე ზღაპარია, რომლის შესახებ ტიერს და პროვინციელ მემამულეებს ნაციონალურ კრებაში კრინტიც არ დაუძრავთ; ამ ზღაპარის გავრცელება მათ ევროპული ყოველდღიური პრესის ლაქიებს მიანდვეს. «წესრიგის ადამიანები», პარიზელი რეაქციონერები შეშფოთდნენ 18 მარტის გამარჯვების ცნობის მიღებაზე. მათთვის ეს ხალხის შურისძიების მოახლოვებას მოასწავებდა. მათ მიერ 1848 წლის ივლისიდან 1871 წლის 22 იანვრამდე დახოცილ მსხვერპლთა მოჩვენებანი მათ წინაშე წარმოსდგნენ. მაგრამ ეს შიშის ზარი მათი ერთადერთი სასჯელი იყო. თვით პოლიციის სერჟანტები როდი განაიარაღეს და როდი დაატუსაღეს, როგორც ეს უნდა გაკეთებულიყო, არამედ ფართოდ გააღეს მათ წინ პარიზის კარები, რათა უშიშრად მისულიყვნენ ვერსალში. «წესრიგის ადამიანებს» არა თუ არაფერი დაუშავეს, მათ ნებაც კი დართეს ხელახლა თავი მოეყარათ და მრავალ ადგილას გამაგრებულიყვნენ პარიზის შუაგულში. ცენტრალური კომიტეტის ეს ლმობიერება, შეიარაღებული მუშების ეს სულგრძელობა, რომელიც ესოდენ ეწინააღმდეგებოდა წესრიგის პარტიის ზნეჩვეულებათ, ამ პარტიამ სისუსტის ნიშნად მიიჩნია. ამით აიხსნება

მისი უაზრო გეგმა—უიარაღო დემონსტრაციის საფარქვეშ ეცადა იმის გაკეთება, რაც ვინუამ ვერ შესძლო თავისი ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით. 22 მარტს შეძლებული უბნებიდან დაიძრა «კოპწია ვაუბატონების» პროცესია, დარაზმული გუდაფშუტები, რომელთაც წინ იმპერიის ცნობილი გამოზრდილები ჰეკერენები, კოეტლოგონები, ანრი დეპენები და სხვანი მიუძღოდნენ. მათ მხდალად მოიმიზეზეს მშვიდობიან დემონსტრაციას ვახდენთო, ფარულად კი ვერაგი მკვლელების იარაღით იყვნენ აღჭურვილნი. ეს ნაძირალები გზა და გზა იარაღს ჰყრიდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ ნაციონალური გვარდიის გუშაგებსა და სადარაჯო რაზმებს და დელა პეს ქუჩიდან ვანდომის მოედანზე გავიდნენ ყიჟინით: «ძირს ცენტრალური კომიტეტი, ძირს მკვლელები, გაუმარჯოს ნაციონალურ კრებასო!», რათა იქ დაყენებული სადარაჯო რაზმი გაერღვიათ და ნაციონალური გვარდიის მთავარი შტაბი ანაზდეულად ხელში ჩაეგდოთ. მათი რევოლვერების შედლუღის საპასუხოდ მათ ჩვეულებრივი წინადადება მისცეს — დაიშალენითო; როცა ამ წინადადებამ არ იმოქმედა, ნაციონალური გვარდიის გენერალმა ბრძანება გასცა ცეცხლითვე ეპასუხნათ. ერთმა შედლუღმა უკუაქცია ეს უტვინო ვაუბატონები, რომელთაც ეგონათ, ჩვენი «წესიერი საზოგადოების» უბრალო გამოჩენა ისე იმოქმედებს პარიზის რევოლუციაზე, როგორც იესო ნავინის სასყვირებმა იერიქონის კედლებზე იმოქმედესო. «დემონსტრანტებმა» მოჰკლეს ორი ნაციონალური გვარდიელი, მძიმედ დასჭრეს ცხრა (მათ შორის ცენტრალური კომიტეტის ერთი წევრი), ხოლო მათი ბრძოლის ასპარეზი მოფენილი აღმოჩნდა რევოლვერებით, ხანჯლებით და დაშნიანი ჯოხებით, რაც მათი «მშვიდობიანი» დემონსტრაციის «უიარაღო» ხასიათს მოწმობდა. როცა 13 ივნისს 1849 წელს პარიზის ნაციონალურმა გვარდიამ მართლაც მშვიდობიანი დემონსტრაცია მოახდინა, რათა პროტესტი განეცხადებინა ფრანგი ჯარების რომზე ავაზაკური თავდასხმის წინააღმდეგ, წესრიგის პარტიის მაშინდელი გენერალი შანგარნიე ნაციონალური კრებისა და განსაკუთრებით ტიერის მიერ საზოგადოების მხსნელად იქნა გამოცხადებული, იმიტომ რომ მან ყოველი მხრიდან ამ უიარაღო ადამიანებს თავისი ჯარი მიუსია, რათა ისინი დაეხვრიტა, ხმლებით აეკუწა და ცხენების ფლოქვებით გადაეთელა. მაშინ პარიზში საალყო წესები გამოცხადდა; დიუფორმა დაუყოვნებლივ მთელი რიგი ახალი დრაკონული კანონები გაატარა ნაციონალურ კრებაში; ხელახლა დაიწყო დაპატიმრებანი, გადა-

სახლებანი, ტერორის ახალი რეჟიმი. «დაბალი კლასები» ასე როდი იქცევიან. 1871 წელს ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ნებაზე მიუშვა მშვიდობიანი დემონსტრაციის გმირები, ისე რომ ორი დღის შემდეგ მათ უკვე შესძლეს ადმირალ სესეს მეთაურობით შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი დემონსტრაციის მოწყობა, რომელიც დასრულდა ცნობილი პანიკური გაქცევით ვერსალში. ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ჯიუტად გაურბოდა ტიერის მიერ ღამით მონმარტრზე გათარეშებით დაწყებულ სამოქალაქო ომს, ერთი საბედისწერო შეცდომა დაუშვა: მას მაშინვე უნდა გაელაშქრნა იმ ჟამად სრულიად უმწეო ვერსალის წინააღმდეგ და, ამრიგად, ბოლო მოეღო ტიერისა და მისი «პროვინციელი აზნაურების» შეთქმულებისთვის. ამის მაგიერ წესრიგის პარტიას ერთხელ კიდევ ნება დართეს თავისი ძალა ეშინჯა 26 მარტს კომუნის არჩევნებში. ამ დღეს «წესრიგის ადამიანები» საუბნო მერიებში შერიგების სიტყვებს ეუბნებოდნენ თავიანთ სულგრძელ მოწინააღმდეგეთ, ხოლო ამავე დროს გულში ზეიმით ფიცს სდებდნენ შური ეძიათ და სისხლი აეღოთ.

ახლა მედალის მეორე მხარეს დახედეთ! ტიერმა პარიზის წინააღმდეგ აპრილის დასაწყისში მეორე გალაშქრება მოაწყო. პარიზელი ტყვეების პირველ რაზმს, რომელიც ვერსალში მიიყვანეს, აღმაშფოთებელი სიმკაცრით მოეპყრნენ; შარვლის ჯიბეში ხელებჩაწყობილი ერნესტ პიკარი მათ რაზმებს შუა დაძვრებოდა და მათ სასაცილოდ იგდებდა, ხოლო ტიერის და ფავრის ცოლები, ქალთა ამალით გარშემორტყმულნი ბალკონიდან ტაშს უკრავდნენ ვერსალის ბრბოს უდიერ საქციელს. დატყვევებული სახაზო პოლკთა ჯარისკაცები უბრალოდ დახვრიტეს; ჩვენი მამაცი მეგობარი, გენერალი დიუვალი, ლითონის ჩამომსხმელი, გამოუძიებლად და გაუსამართლებლად მოჰკლეს. გალიფე, «ხასა» თავისი ცოლისა, რომელიც თავის სხეულს ურცხვად აფენდა მეორე იმპერიის ორგიებში, თავის პროკლამაციაში ტრაბახობდა იმით, რომ მან უბრძანა იქვე დაეხოცათ უცაბედად დაჭერილი და განიარაღებული ნაციონალური გვარდიელების მცირე რიცხოვანი ჯგუფი მათი კაპიტანითა და ლეიტენანტითურთ. პარიზიდან გაქცეულმა ვინუამ ტიერისაგან საპატიო ლეგიონის დიდი ჯვარი მიიღო თავისი ბრძანების გამოცემისთვის, დახვრიტეთ ყოველი არმიელი ჯარისკაცი, რომელიც კომუნარებს შორის აღმოჩნდებაო. ჟანდარმ დემარეს ორდენი მისცეს იმისთვის, რომ მან გამცემლურად, როგორც ყასაბმა აჰკეპა

სულგრძელი რაინდი ფლურანსი, რომელმაც 1870 წლის 31 ოქ-ტომბერს სიკვდილს გადაარჩინა თავდაცვის მთავრობის წევრები. ამ მკვლელობის «წამახალისებელი დეტალები» ტიერმა დიდი სია-მოვნებით მოუთხრო ერთ-ერთ ნაციონალურ კრებას. იმ პარლამენ-ტური ციდაკაცის ფუყე გულზვიადობით, რომელსაც ნება მისცეს თემურლენგის როლი შეასრულოს, იგი მისი ნამცეცობის წინააღმდეგ ამბოხებულთა მიმართ როდი სცნობდა ომის უფლებას, თვით ნეიტრალიტეტიც არ სურდა დაეცვა ჭრილობათა შემხვევი პუნქტების მიმართ. არაფერი იყო ამ მაიმუნზე უფრო საზიზღარი, რომელსაც მოკლე ხნით შეძლება მისცეს თავისი ვეფხვისებური ინს-ტინქტები დაეკმაყოფილებინა; — ამ მაიმუნ-ვეფხვის სახე ჯერ კიდევ ვოლტერმა დაგვიხატა (იხ. დამატება გვ. 35) [1].

თუმცა კომუნამ 7 აპრილის დეკრეტით სამაგიეროს გადახდის ღონისძიებანი დაადგინა და თავის მოვალეობად სცნო «პარიზი ვერსალელი ავაზაკების კანიბალისტური მოქმედებისაგან დაეცვა და თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ მოეთხოვა», — ტიერმა მაინც არ შეაჩერა დატყვევებულთა ბარბაროსული ტანჯვა-წვალება; იგი მათ შემდეგნაირად შეურაცხყოფდა თავის უწყებებში: «არასო-დეს პატიოსანი ადამიანების მჭმუნვარე თვალებს არ დაუნახავს უფრო მეტად უსინდისო წარმომადგენლები უსინდისო დემოკრა-ტიისა», — აქ იგულისხმებოდნენ ისეთი პატიოსანი ადამიანები, როგორც თვით ტიერი და მისი ბანდის ადამიანები მინისტრთა რო-ლებში. ამისდა მიუხედავად ტყვეების დახვრეტა დროებით შეჩ-ერებულ იქნა. მაგრამ როგორც კი ტიერმა და მისმა გენერლებმა, 1851 წლის დეკემბრის გადატრიალების რაინდებმა, იგრძნეს, რომ კომუ-ნის სამაგიეროს გადახდის დეკრეტი ცარიელი მუქარა იყო, რომ დაინდვეს თვით ჯაშუში ჟანდარმები, რომელნიც პარიზში დაჭერილ იქნენ ნაციონალური გვარდიელების ტანსაცმელში ან თვით პოლი-ციის სერჟანტები, რომელთაც ხელში ცეცხლის წასაკიდებელი ყუმბარები აღმოაჩნდათ, მათ განაახლეს ტყვეების მასობრივი დახვრეტა, რომელიც ბოლომდე არ შეწყვეტილა. იმ შენობებს, სადაც ნაციონალური გვარდიელები აფარებდნენ ხოლმე თავს, ჟანდარმები ალყას არტყამდნენ, ნავთს ასხამდნენ (რაც მხოლოდ აქ იყო პირველად გამოყენებული ამ ომში) და ცეცხლს უკიდებდნენ; ნახევრად დამწვარი გვამები შემდეგ პრესის თანამშრომელთა სა-ველე ლაზარეთმა გამოიტანა (ლეტერნის უბანში). ოთხი ნაციონა-

[1] იხ. ამ ტომის გვ. 656. რ ე დ.

ლური გვარდიელი, რომლებიც 25 აპრილს ბელეპინთან ცხენოსან ჯარისკაცებს დანებდნენ, შემდეგ თითო-თითოდ დახვრეტილ იქნენ ამ ცხენოსან ჯარისკაცთა კაპიტანის, გალიფეს ღირსეული დამქაშის ბრძანებით. ერთმა გვარდიელთაგანმა, შეფერმა, რომელიც მკვდარი ეგონათ, ხოხვით მიაღწია პარიზის მოწინავე პოსტებამდე და ეს ფაქტი დაამოწმა კომუნის ერთი კომისიის წინაშე. როცა ამ კომისიის უწყების შესახებ ტოლენი სამხედრო მინისტრს ლეფლოს შეეკითხა, მისი ხმა ჩაახშო «პროვინციელი დეპუტატების» ღრიანცელმა; მათ ლეფლოს ნება არ მისცეს პასუხი გაეცა. ეს ჩვენი «სახელოვანი» ჯარის შეურაცხყოფა იქნება, თუ მის მოქმედებაზე ვილაპარაკეთო. ტიერის უწყებათა დაუდევარმა ტონმა, ცნობამ მძინარე კომუნარების დახოცვაზე მუულენსაკეში და მასობრივ დახვრეტაზე კლამერში თვით ნაკლებ მგრძნობიარე ლონდონის «Times»-ის ნერვებზეც კი იმოქმედა. მაგრამ ამაო ცდა იქნებოდა ყველა სისასტიკის ჩამოთვლა, რომელიც ჩაიდინეს იმ ადამიანებმა, რომელნიც ყუმბარებს უშენდნენ პარიზს, რომელთაც მონათმფლობელთა ამბოხება მოაწყეს უცხოელი დამპყრობელის მფარველობის ქვეშ. ყველა ამ საშინელებათა შორის ტიერი ივიწყებს თავის საპარლამენტო გოდებას იმ საშინელ პასუხისმგებლობაზე, რომელიც მის პაწაწუნა მხრებს აწევს, ტრაბახობს თავის უწყებებში, რომ «**l'Assemblée siége paisiblement**» (კრების სხდომები მშვიდობიანად მიმდინარეობსო) და თავისი განუწყვეტელი ბანკეტებით, რომლებსაც დღეს დეკემბრის გმირ გენერლებთან, ხვალ გერმანელ პრინცებთან აწყობს, ამტკიცებს, რომ საჭმლის მონელების პროცესი ოდნავაც არ შეფერხებია, თვით ლეკონტისა და კლემან ტომას აჩრდილთა მიუხედავად.

III

დილით 1871 წლის 18 მარტს პარიზი გააღვიძა მგრგვინავმა ყიჟინამ: «გაუმარჯოს კომუნას!». რა არის კომუნა, ეს სფინქსი, რომელმაც ასეთი მძიმე გამოცანა დაუყენა ბურჟუების ჭკუას?.

«პარიზის პროლეტარებმაო, — წერდა ცენტრალური კომიტეტი თავის მანიფესტში 18 მარტს, — გაბატონებული კლასების დამარცხებისა და ღალატის პირობებში გაიგეს, რომ დაჭკრა საათმა, როცა მათ მდგომარეობა უნდა გადაერჩინათ საზოგადოებრივი საქმეების გამგებლობის თავის ხელში აღების გზით... მათ გაიგეს, რომ ეს მათი უდიდესი მოვალეობა და მათი აბსოლუტური უფლებაა, თავისი საკუთარი ბედის ბატონ-პატრონი გახდნენ და ხელისუფლება

დაიპყრონ». მაგრამ მუშათა კლასს არ შეუძლია მზამზარეულ სახელმწიფოებრივ მანქანას უბრალოდ დაეპატრონოს და იგი თავისი საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენოს.

ცენტრალიზაციაქმნილი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება თავისი ყველგან მყოფი ორგანოებით, რომელნიც სისტემატური და იერარქიული შრომის დანაწილების პრინციპზეა შექმნილი, მუდმივი ჯარით, პოლიციით, ბიუროკრატიით, სასულიერო წოდებით, მოსამართლეებით, არსებობს აბსოლუტური მონარქიის ეპოქიდან, როცა იგი ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიულ საზოგადოებას ემსახურებოდა როგორც ძლიერი იარაღი მის ბრძოლაში ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ამისდა მიუხედავად მისი განვითარება შეაფერხა სხვადასხვაგვარმა შუასაუკუნეობრივმა ნაშთებმა, თავადაზნაურთა პრეროგატივებმა, ადგილობრივმა პრივილეგიებმა, საქალაქო და საამქრო მონოპოლიებმა და პროვინციულმა დებულებებმა. საფრანგეთის რევოლუციის უზარმაზარმა ცოცხმა XVIII საუკუნეში გამოჰგავა ეს შორეული წარსულის მიერ დატოვებული ნაგავი და, ამრიგად, საზოგადოებრივი ნიადაგი გასწმინდა უკანასკნელ დაბრკოლებათაგან თანამედროვე სახელმწიფოებრივი შენობის ასაგებად. ეს თანამედროვე სახელმწიფოებრივი შენობა აიმართა პირველი იმპერიის დროს; თვით ეს იმპერია შექმნა ძველი, ნახევრად ფეოდალური ევროპის კოალიციურმა ომებმა თანამედროვე საფრანგეთის წინააღმდეგ. მართვა-გამგეობის ფორმების შემდგომ განვითარებაში მთავრობა პარლამენტის კონტროლს დაექვემდებარა, ე. ი. შეძლებული კლასების უშუალო კონტროლს. ერთი მხრივ, იგი გადაიქცა უზარმაზარი სახელმწიფოებრივი ვალებისა და მძიმე გადასახადების წყაროდ. იგი განხეთქილების ვაშლი გახდა გაბატონებული კლასების მოქიშპე ფრაქციებისა და ავანტურისტებისთვის, რომელთაც მისკენ მისი ადმინისტრაციული ძალა, მისი შემოსავალი და თანამდებობა იზიდავდა; მეორე მხრივ, საზოგადოების ეკონომიური ცვლილებების გავლენით შეიცვალა მისი პოლიტიკური ხასიათიც. იმდენად, რამდენადაც თანამედროვე წარმოების წინსვლა ანვითარებდა, აფართოებდა და აღრმავებდა კლასობრივ წინააღმდეგობას კაპიტალსა და შრომას შორის, სახელმწიფოებრივი ხელისუფლება სულ უფრო და უფრო იღებდა შრომის მიმართ კაპიტალის ნაციონალური ბატონობის ხასიათს, ხასიათს საზოგადოებრივი ძალისა, რომელიც სოციალურ დათრგუნვას ემსახურებოდა, ხასიათს კლასობრივი ბატონობის მანქანისა. ყოველი რევოლუციის შემდეგ, რომელიც ახალ ნაბიჯს წარმოადგენს კლა-

ბობრივი ბრძოლის განვითარებაში, თანდათან უფრო აშკარა ხდება სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წმინდა მჩაგვრელი ხასიათი. 1830 წლის რევოლუციამ ხელისუფლება მიწათმფლობელებს წაართვა და კაპიტალისტებს მისცა, ე. ი. მუშათა კლასის უფრო დაშორებული მტრებიდან უშუალო მტრებს გადასცა. ბურჟუა რესპუბლიკელებმა, რომელთაც თებერვლის რევოლუციის სახელით სახელმწიფოს საჭე ჩაიგდეს ხელში, იგი ივნისის ხოცვა-ჟლეტის მოსაწყობად გამოიყენეს; ამით მათ მუშათა კლასს დაუმტკიცეს, რომ «სოციალური» რესპუბლიკა ნიშნავს მხოლოდ მის სოციალურ ჩაგვრას რესპუბლიკის შემწეობით; ხოლო ბურჟუა მონარქისტებს და მემამულეებს მათ დაანახვეს, რომ მმართველობის საზრუნავი და ფულადი სარგებლობა უშიშრად შეგიძლიათ ბურჟუა რესპუბლიკელებს მიანდოთო. ივნისის გმირული მოქმედების შემდეგ ბურჟუა რესპუბლიკელებს არაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ პირველი რიგიდან «წესრიგის პარტიის» უკანასკნელ რიგში გადასულიყვნენ; ეს კოალიცია, რომელიც ექსპლოატატორი კლასების ყველა მოქიშპე ფრაქციისა და პარტიისაგან შეიქმნა, ახლა აშკარად დაუპირდაპირდა მწარმოებელ კლასებს. მათი საერთო მმართველობის ყველაზე შესაფერი ფორმა იყო პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ უ რ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ლუი ბონაპარტის მეთაურობით, როგორც პრეზიდენტის; ეს იყო გაშიშვლებული კლასობრივი ტერორის მთავრობა და «უგვანო ბრბოს» განზრახი შეურაცხყოფა. ტიერის სიტყვით, პარლამენტური რესპუბლიკა ისეთი ფორმა იყო მმართველობისა, რომელიც «გაბატონებული კლასის სხვადასხვა ფრაქციებს ყველაზე ნაკლებ თიშავდა», იგი სამაგიეროდ უფსკრულს თხრიდა ამ მცირერიცხოვან კლასსა და მთელ დანარჩენ საზოგადოებრივ ორგანიზმს შორის, რომელიც მის გარეშე არსებობდა. თუ წინანდელი მთავრობების დროს შეძლებული კლასების შუღლი რამდენიმედ ზღუდავდა სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას, ახლა მათი გაერთიანების წყალობით ყოველივე შეზღუდვა მოისპო. პროლეტარიატის აჯანყების მუქარით გაერთიანებულმა შეძლებულმა კლასმა ახლა უსირცხვილოდ და თავხედურად დაიწყო სახელმწიფოებრივი ხელისუფლების გამოყენება, როგორც შრომის მიმართ კაპიტალის ბრძოლის ნაციონალური იარაღისა. მაგრამ მისმა შეუწყვეტელმა ჯვაროსნულმა ომმა მწარმოებელი მასების წინააღმდეგ ივი აიძულა, ერთი მხრივ, წინააღმდეგობის უფრო მეტი და მეტი დათრგუნვის საშუალება მიეცა აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის, მეორე მხრივ, განეძარცვა თავისი საკუთარი პარლამენტური ციხე-სიმაგრე—

ეროვნული კრება — თავდაცვის ყველა საშუალებებისაგან აღმასრულებელი ხელისუფლების წინააღმდეგ. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ლუი ბონაპარტის სახით გარეკა ეს კრება. «წესრიგის პარტიის» რესპუბლიკის პირდაპირი მემკვიდრე მეორე იმპერია იყო.

იმპერია, რომლის დაბადების მეტრიკას სახელმწიფო გადატრიალება წარმოადგენდა, სანქციას — საყოველთაო კენჭის ყრა, ხოლო სკიპტრას — ხმალი, აცხადებდა, გლეხკაცობას ვეყრდნობიო, მწარმოებელთა ამ დიდ მასას, რომელიც უშუალოდ მონაწილეობას არ იღებდა კაპიტალის და შრომის ბრძოლაში. იმპერია თავისთავს მუშათა კლასის მხსნელად გვაჩვენებდა, რადგან მან დაამხო პარლამენტარიზმი და მასთან ერთად მოსპო მთავრობის დაუფარავი მორჩილება მფლობელი კლასების წინაშე. იგი ირწმუნებოდა, რომ მფლობელი კლასები გადაარჩინა იმით, რომ მათ ეკონომიური ბატონობა შეუნარჩუნა მუშათა კლასზე; და, ბოლოს, იგი ამტკიცებდა, რომ მან ყველა კლასი გააერთიანა იმით, რომ ეროვნული დიდების მოჩვენება გამოაცოცხლა. ნამდვილად იმპერია ერთადერთი შესაძლებელი მმართველობის ფორმა იყო იმ დროს, როცა ბურჟუაზიამ უკვე დაჰკარგა ერის მართვის უნარი, ხოლო მუშათა კლასს ეს უნარი კიდევ არ შეუძენია. მთელი ქვეყანა აღტაცებით მიესალმა იმპერიას როგორც საზოგადოების მხსნელს. მისი ბატონობის ქვეშ ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ, განთავისუფლებულმა პოლიტიკური საზრუნავისაგან, განვითარების ისეთ საფეხურს მიაღწია, რომლის წარმოდგენაც კი არ შეეძლო. მრეწველობა და აღებმიცემობა უზომოდ გაფართოვდა და ბირჟის სპეკულაცია კოსმოპოლიტურ ორგიებს დღესასწაულობდა; მასების სიღატაკე მკაფიოდ იყო გამოკვეთილი მოტყუებითა და დანაშაულით შეძენილი ფუქსავატური კომფორტის თავხედური ბრწყინვალების გვერდით. სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც ერთი შეხედვით მაღლა იდგა ამ საზოგადოებაზე, ნამდვილად მისი ყველაზე აღმაშფოთებელი სკანდალი იყო და ყოველგვარი გახრწნის საბუდარი. ამ ხელისუფლებისა და მის მიერ გადარჩენილი საზოგადოების დახავსება პრუსიის ხიშტებმა გამოამქღავნეს; თვით პრუსიას სწყურდა ამ რეჟიმის სიმძიმის ცენტრი პარიზიდან ბერლინში გადაეტანა. იმპერიალიზმი ყველაზე მეძავი და ამასთანავე საბოლოო ფორმაა იმ სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისა, რომელიც ახლად ფეხადგმულმა ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ შექმნა ფეოდალიზმისაგან

თავისი თავის გასანთავისუფლებლად და რომელიც სავსებით მომწიფებულმა ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ გადააქცია კაპიტალის მიერ შრომის დამონების იარაღად.

კომუნა იმპერიის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა. ლოზუნგი «სოციალური რესპუბლიკისა», რომლითაც პარიზის პროლეტარიატი თებერვლის რევოლუციას მიესალმა, გამოხატავდა მხოლოდ გამოურკვეველ მისწრაფებას ისეთი რესპუბლიკისკენ, რომელსაც უნდა მოესპო არა მარტო კლასობრივი ბატონობის მონარქიული ფორმა, არამედ თვით კლასობრივი ბატონობა. კომუნა სწორედ ამ რესპუბლიკის გარკვეული ფორმა იყო.

პარიზი, რომელიც ძველი ხელისუფლების ცენტრი და სატახტო ქალაქი იყო, ხოლო ამასთანვე საფრანგეთის მუშათა კლასის საზოგადოებრივ ცენტრსაც წარმოადგენდა, იარაღით შეჭურვილი აჯანყდა ტიერისა და მისი მემამულეთა პალატის ცდის წინააღმდეგ, ეს, იმპერიისაგან მათ მიერ მემკვიდრეობით მიღებული, ძველი ხელისუფლება აღედგინათ და გაემარადისებინათ. პარიზს მხოლოდ იმიტომ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, რომ მტრის ალყამ გაანთავისუფლა არმიისაგან, რომლის ადგილი უმთავრესად მუშებისაგან შედგენილმა ნაციონალურმა გვარდიამ დაიჭირა. ეს ფაქტი ახლა მტკიცე დაწესებულებად უნდა გადაქცეულიყო. ამიტომ კომუნის პირველი დეკრეტი სპობდა რეგულარულ ჯარს და მის ადგილას შეიარაღებულ ხალხს აყენებდა.

კომუნა შესდგა ქალაქის ხმოსნებისაგან, რომელნიც პარიზის სხვადასხვა უბნებში საყოველთაო კენჭის ყრით იყვნენ არჩეული. ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ და მათი გადაყენება ყოველთვის შეიძლებოდა. თავისთავად იგულისხმება, რომ მათი უმრავლესობა მუშებისაგან ან მუშათა კლასის ცნობილი წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა. კომუნა უნდა ყოფილიყო არა პარლამენტური დაწესებულება, არამედ მომუშავე კორპორაცია, აღმასრულებელი და კანონმდებელი ერთსა და იმავე დროს. პოლიციას, რომელიც დღემდე ცენტრალური ხელისუფლების იარაღი იყო, დაუყოვნებლივ წაერთვა ყოველი პოლიტიკური ფუნქცია, იგი კომუნის პასუხისმგებელ და ყოველ წუთში ადვილად გადასაყენებელ იარაღად იქცა. იგივე ბედი ეწვია მართვა-გამგეობის სხვა დარგების მოხელეებსაც. კომუნის წევრებიდან დაწყებული უბრალო მოხელეებამდე საზოგადოებრივი მოსამსახურე გასამრჯელოდ მ უ შ ი ს ხ ე ლ ფ ა ს ს ღებულობდა. უმაღლესი მოხელეების ყოველგვარი პრი-

ვილეგიები და საწარმომადგენლო თანხების გაცემა გაჰქრნენ თვით ამ მოხელეებთან ერთად. საზოგადოებრივი თანამდებობანი ამიერიდან აღარ წარმოადგენდნენ ცენტრალური მთავრობის დამქაშების კერძო საკუთრებას. არა მარტო ქალაქის მმართველობა, არამედ მთელი დღემდე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული თაოსნობა, კომუნის ხელში გადავიდა.

მუდმივი ჯარისა და პოლიციის, ამ ძველი ხელისუფლების მატერიალური ძლიერების იარაღების მოსპობისთანავე, კომუნა სულიერი ჩაგვრის იარაღის, «ხუცობის ძალის» შემუსვრას შეუდგა; მან ეკლესია სახელმწიფოსაგან გამოჰყო და რამდენადაც ეკლესიები მესაკუთრე კორპორაციები იყვნენ, მათი ექსპროპრიაცია მოახდინა. ხუცები წყნარ კერძო ცხოვრებას უნდა დაბრუნებოდნენ, რათა მათი წინამორბედების, მოციქულების, მსგავსად მორწმუნეთა მოწყალებით ეცხოვრათ. ყველა სასწავლებელი უფასო გახდა ხალხისთვის, ამასთანავე ისინი განთავისუფლდნენ სახელმწიფოსა და ეკლესიის ჩარევისაგან. ამრიგად, არა მარტო სასკოლო სწავლა-განათლება გახდა ყველასათვის ხელმისაწვდომი, არამედ მეცნიერებაც განთავისუფლდა კლასობრივი ცრურწმენისა და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ გამოჭედილი ბორკილებისაგან.

მოსამართლეებმა დაჰკარგეს ის მოჩვენებითი დამოუკიდებლობა, რომელიც მხოლოდ ჰფარავდა მათ მდაბალ მორჩილებას ერთი მეორეს მომდევნო მთავრობებისადმი, რომელთაც ისინი რიგრიგობით ერთგულების ფიცს აძლევდნენ და შემდეგ ღალატობდნენ. როგორც სხვა საზოგადოებრივი თანამდებობის პირები, ისინიც არჩევნების, პასუხისმგებლობის და გადაყენების პრინციპს დაექვემდებარნენ.

პარიზის კომუნა, რასაკვირველია, წასაბაძი ნიმუში უნდა ყოფილიყო საფრანგეთის ყველა დიდი სამრეწველო ცენტრისთვის. როგორც კი კომუნალური წესწყობილება პარიზსა და მეორეხარისხოვან ცენტრებში განხორციელდებოდა, პროვინციებშიც ძველი ცენტრალიზებული მთავრობა ადგილს დაუთმობდა მწარმოებელთა თვითმმართველობას. ნაციონალური ორგანიზაციის მოკლე ესკიზში, რომლის ფართოდ დასამუშავებლად კომუნას დრო აღარ ჰქონდა, გარკვევითაა ნათქვამი, რომ კომუნა თვით უმცირესი სოფლის პოლიტიკურ ფორმად უნდა იქცეს და რომ მუდმივი ჯარი ყველგან მეტისმეტად მოკლე სამსახურის ვადიანმა სახალხო მილიციამ უნდა შესცვალოსო. თვითეული ოლქის სასოფლო თემების საე-

რთო საქმეები უნდა განეგო წარმომადგენელთა კრებას, რომელიც ოლქის მთავარ ქალაქში მოიყრიდა თავს, ხოლო ამ საოლქო კრებებს შემდეგ წარმომადგენლები უნდა გაეგზავნა პარიზის ნაციონალურ კრებაში; ამ წარმომადგენლების გადაყენება ყოველთვის შესაძლებელი უნდა ყოფილიყო, მათ თავიანთი ამომრჩევლების განსაზღვრული ინსტრუქციებით (იმპერატული მანდატით) უნდა ეხელმძღვანელათ. მცირერიცხოვანი, მაგრამ მნიშვნელოვანი ფუნქციები, რომელიც ცენტრალურ მთავრობას კიდევ რჩებოდა, როდი უნდა მოსპობილიყო, როგორც ამას კომუნის მტრები განზრახ ყალბად ამტკიცებდნენ, არამედ კომუნალურ მოხელეებს, ე. ი. მკაცრად პასუხისმგებელ მოხელეებს უნდა გადასცემოდათ. კომუნალური კონსტიტუცია კი არ სპობდა, არამედ, პირიქით, ორგანიზაციულად აწყობდა ერის მთლიანობას; ერის ეს მთლიანობა სინამდვილედ უნდა გადაქცეულიყო იმ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მოსპობით, რომელიც თავის თავს ამ მთლიანობის განმახორციელებლად სთვლიდა, მაგრამ უნდოდა მისგან დამოუკიდებელი ყოფილიყო და მასზე ზევით მდგარიყო, თუმცა ნამდვილად იგი ერის ხხეულზე მხოლოდ პარაზიტს წარმოადგენდა. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მოსპობილიყვნენ ძველი ხელისუფლების ის ორგანოები, რომელნიც მხოლოდ ჩაგვრას ემსახურებოდნენ, ძალაუფლების უფლებრივი ფუნქციები უნდა წართმეოდა იმ ხელისუფლებას, რომელიც თავის თავს საზოგადოებაზე მაღლა აყენებდა, და საზოგადოების პასუხისმგებელ მსახურთ გადასცემოდა. საყოველთაო კენჭის ყრას, რომელიც დღემდე ყოველი სამი ან ექვსი წლის განმავლობაში ერთხელ იმ საკითხის გადაწყვეტას ემსახურებოდა, თუ გაბატონებული კლასის რომელმა წევრმა უნდა წარმოადგინოს და დათრგუნოს პარლამენტში ხალხი, დღეს სამსახური უნდა გაეწია კომუნებად დარაზმული ხალხისთვის ისევე, როგორც ინდივიდუალური ხმის უფლება ყოველ მწარმოებელს სამსახურს უწევს თავისი წარმოების მუშებისა და მოსამსახურეების გამოძებნაში. საკმაოდ ცნობილია, რომ საზოგადოებანი, ისევე როგორც კერძო პირები ჩვეულებრივ ადვილად პოულობენ თავიანთი მიზნებისათვის გამოსადეგ პირებს, ხოლო თუ შესცდნენ, ჩქარა ასწორებენ თავიანთ შეცდომას. მეორე მხრივ, არაფერი არ ეწინააღმდეგებოდა ისე კომუნის იდეას, როგორც საყოველთაო კენჭის ყრის შეცვლა იერარქიული ინვესტიტურით.[1]

[1] ინვესტიტურა — თანამდებობის პირთა დანიშვნის სისტემა. რ ე დ.

ახალი ისტორიული შემოქმედების ბედი ისაა, რომ მას ჩვეულებრივ საზოგადოებრივი ცხოვრების ძველი და თვით დრომოჭმული ფორმების ორეულად თვლიან, რომელთაც იგი რამდენიმედ ემსგავსება. ასევე ეს ახალი კომუნა, რომელმაც თანამედროვე სახელმწიფოებრივი ხელისუფლება დაამსხვრია, მიიჩნიეს შუა საუკუნეების კომუნების გაცოცხლებად, რომლებიც ამ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმოშობას წინ უსწრებდნენ და შემდეგ მის საფუძველს წარმოადგენდნენ. — კომუნალურ წესწყობილებას შეცდომით თვლიდნენ ცდად, პატარა სახელმწიფოების კავშირით (როგორც მონტესკიეს და ჟირონდისტებს ჰქონდათ ოცნებაში წარმოდგენილი) შეეცვალათ დიდი ერების მთლიანობა, რომელიც თუმცა თავდაპირველად ძალმომრეობით განხორციელდა, მაგრამ დღეს საზოგადოებრივი წარმოების ძალოვან ფაქტორს წარმოადგენს. — წინააღმდეგობა კომუნასა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის შეცდომით მიღებულ იქნა იმ ძველი ბრძოლის გაზვიადებულ ფორმად, რომელიც გადაჭარბებული ცენტრალიზაციის წინააღმდეგ წარმოებდა. ზოგიერთ ქვეყანაში განსაკუთრებულმა ისტორიულმა პირობებმა ხელი შეუშალა ბურჟუაზიული მართვა-გამგეობის კლასიკური ფორმის განვითარებას, როგორც იგი საფრანგეთში ჩამოყალიბდა; მაგალითად, ინგლისში მთავარ ცენტრალურ სახელმწიფოებრივ ორგანოებს ზედ ერთვის გახრწნილი სამრევლო კრებები (**vestries**), ანგარებით აღსავსე ქალაქის საბჭოს წევრები და გააფთრებული ღატაკთა მზრუნველები ქალაქებში და ფაქტიურად მემკვიდრეობითი მომრიგებელ-მოსამართლეები სოფლად. კომუნალური წესწყობილება საზოგადოებრივ ორგანიზმს დაუბრუნებდა ყველა ძალას, რომელსაც დღემდე «სახელმწიფო» ნთქავდა, ეს პარაზიტი, რომელიც საზოგადოების ხარჯზე იკვებება და მის თავისუფალ მოძრაობას აფერხებს. უკვე მარტო ამით მიეცემოდა დასაწყისი საფრანგეთის აღორძინებას. პროვინციული ქალაქების ბურჟუაზია კომუნაში ხედავდა იმ ბატონობის აღდგენის ცდას, რომელიც მას სოფლის მიმართ ჰქონდა ლუი ფილიპეს მეფობის დროს და რომელიც ლუი ბონაპარტის დროს ვითომდა სოფლის ქალაქზე ბატონობამ შესცვალა. სინამდვილეში კი კომუნალური წესწყობილება სოფლის მწარმოებელთ ყოველი ოლქის მთავარი ქალაქების გონებრივ ხელმძღვანელობას დაუმორჩილებდა და მათთვის იქ, ქალაქის მუშების სახით, მათი ინტერესების ბუნებრივ წარმომადგენლებს უზრუნველჰყოფდა. კომუნის არსებობის ფაქტი-

დან, როგორც თავისთავად საგულისხმიერო რამ, გამომდინარეობდა ადგილობრივი თვითმართველობა, მაგრამ ეს უკანასკნელი აღარ წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საპირწონეს, რომელიც ახლა უკვე სრულიად ზედმეტი იყო. მხოლოდ რომელიმე ბისმარკს, რომელიც თუ სისხლისა და რკინის ინტრიგებში არ ყოფილიყო გართული, სიამოვნებით დაუბრუნდებოდა ძველ, თავისი გონებრივი ძალღონისთვის შესაფერ ხელობას «Kladderadatsch» (ბერლინის «Punch»-ის [1]) თანამშრომლობას, მხოლოდ ასეთ თავს თუ მოუვიდოდა აზრად, რომ არსებითად პარიზის კომუნა მიისწრაფვის 1791 წლის ძველი ფრანგული საქალაქო წესწყობილების კარიკატურის დამყარებისაკენ, პრუსიული საქალაქო წესწყობილებისკენო, რომელმაც ქალაქის სამმართველოები პრუსიის სახელმწიფოებრივი პოლიციური მექანიზმის მეორეხარისხოვან ბორბლებად აქცია. —

კომუნამ განახორციელა ყველა ბურჟუაზიული რევოლუციის ლოზუნგი — იაფი მთავრობა — იმით, რომ მოსპო ორი უდიდესი გასავლის წყარო, მუდმივი არმია და ბიუროკრატია. მისი არსებობის ფაქტი გულისხმობდა მოსპობას მონარქიისა, რომელიც, ყოველ შემთხვევაში ევროპაში, კლასობრივი ბატონობის ჩვეულებრივი ბალასტი და აუცილებელი ნიღაბია. კომუნამ რესპუბლიკისთვის ნამდვილი დემოკრატიული დაწესებულებების საფუძველი შექმნა. მაგრამ მისი საბოლოო მიზანი არ იყო არც იაფი მთავრობა, არც «ჭეშმარიტი რესპუბლიკა»; ორივენი მხოლოდ მისი თანმხლები მოვლენა იყო.

კომუნის მნიშვნელობის სხვადასხვანაირი განმარტება, მის მიერ გამოხატული ინტერესების სხვადასხვაობა ამტკიცებს, რომ იგი მეტისმეტად მოქნილი პოლიტიკური ფორმა იყო, მაშინ როცა წინანდელი მმართველობის ფორმები არსებითად მხოლოდ ჩაგვრის ფორმები იყვნენ. მისი ნამდვილი საიდუმლოება შემდეგში მდგომარეობდა: იგი არსებითად მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ა იყო, შედეგი მწარმოებელი კლასის ბრძოლისა მიმთვისებელი კლასის წინააღმდეგ, დაბოლოს, აღმოჩენილი პოლიტიკური ფორმა, რომელშიაც შეიძლებოდა შრომის ეკონომიური განთავისუფლება მომხდარიყო.

ამ უკანასკნელი პირობის გარეშე კომუნალური წესწყობილება

[1] «Kladderadatsch» («კლადერადაჩ») — გერმანული სატირული ჟურნალი, 1848 წლიდან გამოდიოდა ბერლინში; «Punch» («პანჩ») — ინგლისური სატირული ჟურნალი, 1841 წლიდან გამოდიოდა ლონდონში. რ ე დ.

შეუძლებელი იქნებოდა და მოტყუება. მწარმოებელთა პოლიტიკური ბატონობა ვერ იარსებებს მათი საზოგადოებრივი დამონების გამარადისების გვერდით. ამიტომ კომუნას უნდა გაეწია ბერკეტის როლი, რათა გადაეტრიალებინა ეკონომიური საფუძვლები, რომელზედაც დამყარებულია თვით კლასები და, მაშასადამე, კლასობრივი ბატონობა. რაკი შრომა განთავისუფლდება, ყოველი ადამიანი მუშა ხდება და მწარმოებელი შრომა აღარ წარმოადგენს კლასობრივ თვისებას.

ეს უცნაური ამბავია: იმისდა მიუხედავად, რომ უკანასკნელი სამოცი წლის განმავლობაში მუშათა განთავისუფლებაზე უამრავი რამ ითქვა და უამრავი რამ დაიწერა, საკმაოა მუშებმა სადმე თავიანთ საქმეს გადაჭრით ხელი მოჰკიდონ, მაშინვე მათ წინააღმდეგ თანამედროვე საზოგადოების დამცველები იწყებენ ამ საზოგადოების შესხმას მისი ორივე მოწინააღმდეგე პოლუსითურთ — კაპიტალითა და დაქირავებული შრომის მონობითურთ (მიწათმფლობელები ახლა მხოლოდ კაპიტალისტების ჩუმ კომპანიონებს წარმოადგენენ). თითქოს კაპიტალისტური საზოგადოება უბიწო ქალწულობის მდგომარეობაში იმყოფებოდეს, თითქოს მისი წინააღმდეგობანი ჯერ კიდევ განუვითარებელი იყოს, მისი ილუზიები — გაუმჟღავნებელი, მისი გარყვნილი სინამდვილე გაუწმიშვლებელი! — კომუნასო, გაიძახიან ისინი, სურს ყოველი ცივილიზაციის საძირკველის, საკუთრების, მოსპობა! დიახ, ბატონებო, კომუნას სურდა ის კლასობრივი საკუთრება მოესპო, რომელიც მრავალთა შრომას მცირერიცხოვანთა სიმდიდრედ აქცევს. მისი განზრახვა იყო ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია მოეხდინა. მას უნდოდა ჭეშმარიტებად ექცია ინდივიდუალური საკუთრება იმით, რომ წარმოების საშუალებათ, მიწასა და კაპიტალს, რომელნიც დღეს უწინარეს ყოვლისა შრომის დამონების და ექსპლოატაციის იარაღს წარმოადგენენ, თავისუფალი და შეკავშირებული შრომის იარაღებად აქცევდა. მაგრამ ეს ხომ კომუნიზმია, «შეუძლებელი» კომუნიზმი! მაგრამ ხომ აღმოჩნდნენ გაბატონებულ კლასებს შორის ისეთი ადამიანები — მათი რიცხვი არაა მცირე, — რომელთაც საკმაოდ შესწევთ ჭკუა იმის დასანახად, რომ დღევანდელი სისტემის განგრძობა შეუძლებელია და რომელნიც კოოპერაციული წარმოების დაჟინებულ და მყვირალა მოციქულებად იქცნენ. ხოლო თუ კოოპერაციული წარმოება უბრალო მოჩვენება და მოტყუება არაა, თუ მან კაპიტალისტური სისტემა უნდა შესცვალოს, თუ ამხანაგობებმა ეროვნული

წარმოება საერთო გეგმის მიხედვით უნდა მოაწესრიგონ და, ამგვარად, იგი თავის ხელმძღვანელობას დაუმორჩილონ, რათა ამით ბოლო მოეღოს იმ მუდმივ ანარქიას და პერიოდულ კონვულსიებს, რომელნიც კაპიტალისტური წარმოების აუცილებელ შედეგს წარმოადგენენ, — განა ეს, მოწყალეო ხელმწიფენო, არ იქნება კომუნიზმი, «შესაძლებელი» კომუნიზმი?

მუშათა კლასი სასწაულს არ მოითხოვდა კომუნისაგან. იგი არ ფიქრობს ჩამოყალიბებული და მზამზარეული უტოპიები განახორციელოს ხალხის გადაწყვეტილების შემწეობით. მან იცის, რომ რათა თავის განთავისუფლებასა და ამასთანავე იმ მაღალ ფორმას მიაღწიოს, რომლისკენაც თანამედროვე საზოგადოება თავისი საკუთარი ეკონომიური განვითარების წყალობით შეუკავებლად მიისწრაფის, მან ხანგრძლივი ბრძოლა უნდა გადაიხადოს, უნდა განვლოს მთელი რიგი ისტორიული პროცესებისა, რომელნიც სავსებით შესცვლიან ადამიანებსაც და გარემოებებსაც. მუშათა კლასს იდეალები როდი აქვს განსახორციელებელი; მან მხოლოდ უნდა გასაქანი მისცეს ახალი საზოგადოების ელემენტებს, რომელნიც უკვე განვითარდნენ ნგრევის წინაშე მდგომარე ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში. მუშათა კლასს, რომელსაც სავსებით შეგნებული აქვს თავისი ისტორიული მოწოდება და ამასთანავე გმირულად გადაწყვეტილი აქვს ამ მოწოდების სიმაღლეზე იდგეს, შეუძლია ირონიული ღიმილით უპასუხოს როგორც პრესის ლაქიების უზრდელ ლანძღვა-გინებას, ისე იმ კეთილგონიერ ბურჟუა დოქტრინერების მეცნიერულ ჭკუის დარიგებას, რომელნიც შეუმცდარი ორაკულის ტონით ქადაგობენ თავიანთ უმეცარ ბანალურ აზრებს და სექტანტურ ფანტაზიებს.

მაშინ როცა პარიზის კომუნამ რევოლუციის ხელმძღვანელობა იკისრა, როცა უბრალო მუშებმა პირველად გაბედეს შეჰხებოდნენ თავიანთი «ბუნებრივი უფროსის», შეძლებული კლასების, პრივილეგიას, მართვა-გამგეობის პრივილეგიას და უმაგალითო ძნელ პირობებში თავიანთ სამუშაოს თავმდაბლად, სინდისიერად და ენერგიულად ასრულებდნენ, მათი უმაღლესი გასამრჯელო ძლივს აღწევდა იმის მეხუთედს, რასაც ღებულობდა, მეცნიერების ცნობილი ავტორიტეტის [1] სიტყვით, ლონდონის სკოლის საბჭოს მდივანი; ძველი ქვეყანა გააფთრებით ცახცახებდა იმ წითელი დროშის დანახ-

[1] პროფ. ჰექსლი (1871 წ. გერმანული გამოცემის შენიშვნა).

ვაზე, რომელიც თვითმმართველობის შენობაზე ფრიალებდა როგორც შრომის რესპუბლიკის სიმბოლო.

და ეს მაინც პირველი რევოლუცია იყო, სადაც მუშათა კლასი აშკარად ერთადერთ იმ კლასად იქნა აღიარებული, რომელსაც კიდევ შესწევს საზოგადოებრივი თაოსნობის ნიჭი; ეს აღიარა პარიზის საშუალო კლასის ფართო მასამაც კი, წვრილმა ვაჭრებმა, ხელოსნებმა, სოვდაგრებმა, ერთი სიტყვით, ყველამ, მდიდარი კაპიტალისტების გამოკლებით. კომუნამ ეს ხალხი გადაარჩინა იმით, რომ ბრძნულად გადასჭრა თვით საშუალო კლასში წარმოებული ბრძოლის მიზეზი, მოვალეებისა და კრედიტორების საკითხი[1]. საშუალო კლასის იგივე ნაწილი 1848 წელს მონაწილეობას იღებდა მუშათა ივნისის ამბოხების ჩაქრობაში და მეორე დღესვე დამფუძნებელმა კრებამ იგი უყოყმანოდ შესწირა მსხვერპლად მის კრედიტორებს. მაგრამ მარტო ამიტომ როდი მიმხრობია იგი ახლა მუშათა კლასს. იგი გრძნობდა, რომ მას ან კომუნა უნდა აერჩია ან იმპერია, სულ ერთია, რა სახელით მოინათლებოდა ეს უკანასკნელი. იმპერიამ ეკონომიურად გაანადგურა საშუალო კლასის ეს ნაწილი, იმიტომ რომ ფლანგავდა ეროვნულ ქონებას, ასაზრდოებდა ფინანსიურ სპეკულაციას, ხელოვნურად აჩქარებდა კაპიტალის ცენტრალიზაციას და ამ უკანასკნელის მიერ გამოწვეულ ექსპროპრიაციას საშუალო კლასის მნიშვნელოვანი ნაწილისა. იმპერიამ პოლიტიკურადაც დაჩაგრა ეს საშუალო კლასი, ზნეობრივად ააშფოთა იგი თავისი ორგიებით; შეურაცხყოფა მიაყენა მის ვოლტერიანობას, იმიტომ რომ მისი ბავშვების აღზრდა «უმეცარ ბერებს» ჩააბარა, მისი ნაციონალური გრძნობა შებღალა, იმიტომ რომ მოუფიქრებლად გადააგდო ომში, რომლიდანაც ყველა უბედურებათა სანაზღაუროდ მხოლოდ ერთი რამ მიიღო — იმპერიის მოსპობა. მართლაც, როცა პარიზიდან მალალხარისხოვანი ბონაპარტისტებისა და კაპიტალისტების ბანდა გადაბარგდა, წინ წარმოდგა საშუალო კლასის ნამდვილი წესრიგის პარტია, რომელიც «რესპუბლიკური კავშირის» სახელწოდებით კომუნის დროშის ქვეშ დადგა და ეს დროშა დაიცვა ტიერის ცილისწამებისაგან. მომავალი გვიჩვენებს, გაუძლებს თუ არა საშუალო კლასის ამ ფართო მასის მადლიერების გრძნობა დღევანდელ მძიმე განსაცდელს.

---

[1] 18 აპრილს კომუნამ გამოაქვეყნა დეკრეტი საკალო ვალდებულების გადახდის სამი წლით გადადების შესახებ. რ ე დ.

კომუნას სრული უფლება ჰქონდა გლეხებისთვის დაეძახა: «ჩვენი გამარჯვება თქვენი ერთადერთი იმედია!». უსაზიზღრესი ტყუილი, რომელიც ჯერ ვერსალში შეთხზეს და შემდეგ ევროპის სახელოვანი პრესის არამზადებმა მთელს ქვეყანას მოჰფინეს, ის იყო, რომ «პროვინციელი აზნაურების დეპუტატები» საფრანგეთის გლეხკაცობის წარმომადგენლები არიანო. წარმოიდგინეთ რა ძლიერ უნდა ჰყვარებოდათ ფრანგ გლეხებს ის ადამიანები, რომელთაც მათ 1815 წლის შემდეგ ერთი მილიარდი სანაზღაურო გადაუხადეს. ფრანგი გლეხის თვალში უკვე თვით მსხვილი მიწათმფლობელის არსებობა 1789 წლის მონაპოვართა შებღალვას წარმოადგენს. 1848 წელს ბურჟუაზიამ გლეხკაცობის მიწის ნაკვეთებს დამატებითი გადასახადი დაადო 45 სანტიმი ფრანკზე, მაგრამ ეს რევოლუციის სახელით მოიმოქმედა; ახლა მან რევოლუციის წინააღმდეგ სამოქალაქო ომი გააჩაღა, რათა პრუსიისთვის აღთქმული ხუთი მილიარდი კონტრიბუციის მთავარი ტვირთი გლეხკაცობისთვის დაეკისრებინა. კომუნამ, პირიქით, თავის ერთ-ერთ პირველ პროკლამაციაში განაცხადა, ომის ხარჯები მისმა ნამდვილმა დამწყებლებმა უნდა იტვირთონო. კომუნა გლეხს გაანთავისუფლებდა სისხლის ხარკისაგან, იაფ მთავრობას მისცემდა მას, ხოლო ისეთ წურბელებს, როგორიცაა ნოტარიუსი, ადვოკატი, სასამართლოს აღმასრულებელი და სხვა სისხლისმწოველები, მის მიერ არჩეული და მის წინაშე პასუხისმგებელი ჯამაგირიანი კომუნალური მოხელეებით შესცვლიდა. იგი მას გაანთავისუფლებდა სოფლის პოლიციის, ჟანდარმის და პრეფექტის თვითნებობისაგან; გონების დამაჩლუნგებელი ხუცესის მაგივრად გონების გამანათლებელ სკოლის მასწავლებელს დააყენებდა. ფრანგი გლეხი კი უწინარეს ყოვლისა ხელმომჭირნე ადამიანია. მას მეტისმეტად გონიერად ეჩვენებოდა, თუ ხუცების გასამრჯელო მეხარკეების მიერ კი არ იქნებოდა აკრეფილი, არამედ განსაზღვრული იქნებოდა ნებაყოფლობითი შეწირულობით, რომლის რაოდენობაც მრევლის ღვთისმოსაობაზე იქნებოდა დამოკიდებული. ასეთი იყო ის დიდი უშუალო სიკეთე, რომელსაც კომუნისა და მხოლოდ კომუნის ბატონობა აღუთქვამდა ფრანგ გლეხებს. ამიტომ სრულიად ზედმეტია აქ იმ რთულ და ნამდვილ ცხოვრების საკითხებზე ხანგრძლივი შეჩერება, რომელიც კომუნას შეეძლო გადაეჭრა და აუცილებლად უნდა გადაეჭრა გლეხთა სასარგებლოდ; ასეთია საკითხები საიპოტეკო ვალების შესახებ, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს გლეხის მიწის ნაკვეთს, სოფლის პროლეტარიატის შესახებ, რომელიც დღითი დღე

იზრდება, თვით გლეხკაცობის ექსპროპრიაციის საკითხი, რომელიც თანდათან უფრო ჩქარი ხდება თანამედროვე სოფლის მეურნეობის განვითარებისა და კაპიტალისტური მიწათმოქმედების კონკურენციის წყალობით.

ფრანგმა გლეხმა ლუი ბონაპარტი რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია, მაგრამ წესრიგის პარტიამ მეორე იმპერია შექმნა. 1849 და 1850 წლებში ფრანგმა გლეხმა გამოამჟღავნა, თუ რა სჭირდება მას, როცა ყველგან მთავრობის პრეფექტს თავისი მერი, მთავრობის ხუცესს თავისი სკოლის მასწავლებელი, მთავრობის ჟანდარმს თავისი თავი დაუპირდაპირა. წესრიგის პარტიის მიერ 1850 წლის იანვარში და თებერვალში გამოცემული ყველა კანონი თვით ამ პარტიის აღიარებით გლეხკაცობის წინააღმდეგ იყო მიმართული. გლეხი ბონაპარტისტი იყო, იმიტომ რომ დიდ რევოლუციას და ამ რევოლუციის მიერ მისთვის მოტანილ სარგებლობას ნაპოლეონის სახელთან აიგივებდა. ეს თავის მოტყუება მეორე იმპერიის დროს ჩქარა გაიფანტა. ამ წარსულის ცრურწმენას (რომელიც მთელი თავისი ბუნებით ეწინააღმდეგებოდა სოფლის «მემამულეთა დეპუტატებს») როგორ შეეძლო არსებობა განეგრძო, როცა კომუნამ მოწოდებით მიმართა გლეხკაცობის ცხოველ ინტერესებსა და გადაუდებელ მოთხოვნილებებს?

«მემამულეთა დეპუტატებმა» იცოდნენ (და მათ ყველაზე მეტად ამის ეშინოდათ), რომ საკმაო იყო სამიოდე თვის განმავლობაში კომუნართა პარიზსა და პროვინციებს შორის თავისუფალი მისვლა-მოსვლა დამყარებულიყო და ყველგან გლეხთა აჯანყება დაიწყებოდა. ამიტომ ისინი მხდლურად ჩქარობდნენ პარიზისათვის პოლიციის ბლოკადა შემოერტყათ, რათა ხელი შეეშალათ სენის გავრცელებისთვის.

თუ, ამრიგად, კომუნა საფრანგეთის საზოგადოების ყველა ჯანსაღი ელემენტის ნამდვილი წარმომადგენელი იყო და, მაშასადამე, ნამდვილი ნაციონალური მთავრობა, ამასთანავე იგი როგორც მუშათა მთავრობა, როგორც შრომის განთავისუფლების გაბედული მოწინავე მებრძოლი, ინტერნაციონალურიც იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იმ პრუსიის ჯარის თვალწინ, რომელმაც ორი ფრანგული პროვინცია გერმანიას შეუერთა, კომუნამ საფრანგეთს მთელი დედამიწის მუშები შემოუერთა.

მეორე იმპერია კოსმოპოლიტური ოინბაზობის დღესასწაული იყო, მის მოწოდებაზე თავი მოიყარეს ყველა ქვეყნის არამზადებმა,

რათა მონაწილეობა მიეღოთ მის ორგიებში და ფრანგი ხალხის გაყვლეფაში. თვით ამ წუთში ტიერის მარჯვენა ხელს ვალახიელი ვიგინდარა განესკო წარმოადგენს, ხოლო მის მარცხენა ხელს რუსი ჯაშუში მარკოვსკი. კომუნამ ყველა უცხოელს პატივი მიანიჭა ბრძოლის ველზე დაცემულიყო უკვდავი საქმისათვის. — საკუთარი ღალატის გამო წაგებულ საგარეო ომსა და მისი უცხოელ დამპყრობელთან შეთქმულებით გაჩაღებულ სამოქალაქო ომს შუა ბურჟუაზიამ მოასწრო თავისი პატრიოტიზმი გამოემჟღავნებინა იმით, რომ პოლიციის შემწეობით გერმანელების დევნა გააჩაღა მთელს საფრანგეთში. კომუნამ გერმანელი მუშა თავის შრომის მინისტრად დანიშნა. — ტიერიც, ბურჟუაზიაც, მეორე იმპერიაც, მუდამ ატყუებდნენ პოლონეთს ხმამაღლა თანაგრძნობის გამოცხადებით, ნამდვილად კი მას რუსეთზე ყიდდნენ და რუსეთის ჭუჭყიან საამუშაოს ასრულებდნენ. კომუნამ პატივი სცა პოლონეთის გმირ შვილებს, როცა ისინი პარიზის დამცველების მეთაურებად დააყენა. და რათა სრულიად გარკვეულად აღენიშნა ახალი ისტორიული ხანა, რომელსაც იგი შეგნებულად იწყებდა, კომუნამ, ერთი მხრივ, გამარჯვებული პრუსიელების, მეორე მხრივ, ბონაპარტისტი გენერლებისა და ბონაპარტისტული ჯარის თვალწინ დაამხო სამხედრო დიდების უზარმაზარი სიმბოლო — ვანდომის სვეტი.

კომუნის უდიდესი სოციალური ღონისძიება მისივე საკუთარი მშრომელი არსებობა იყო. მის განსაკუთრებულ ღონისძიებათ შეეძლოთ მხოლოდ ის მიმართულება აღენიშნათ, რომელშიც ვითარდება ხალხის მმართველობა ხალხისავე შემწეობით. მათ რიცხვს ეკუთვნის პურის მცხობელთა ღამის მუშაობის აკრძალვა; სასჯელის შიშით აკრძალვა ყოველგვარი საბაბით მუშებზე ფულადი ჯარიმების დადებით მათი ხელფასის შემცირებისა, — ჩვეულებრივი ხერხისა, რომლის შემწეობით მეპატრონე თითქოს ერთსა და იმავე პიროვნებაში ანხორციელებს კანონმდებელსა, მოსამართლესა და აღმასრულებელს და ჯარიმების ფულსაც იჯიბავს. ამგვარიეე ღონისძიება იყო ყველა დაკეტილი სახელოსნოსა და ფაბრიკის გადაცემა მუშათა ამხანაგობებზე, სულ ერთია, გაქცეული იყო მფლობელი თუ მას მუშაობა შეჩერებული ჰქონდა; მხოლოდ მას ანაზღაურების უფლება რჩებოდა.

კომუნის ფინანსიური ღონისძიებანი, შესანიშნავი შორსმჭვრეტელობით და ზომიერებით, დამოკიდებული იყო იმ ფარგლებზე, რომელნიც ალყაშემორტყმულ ქალაქის მდგომარეობას შეესა-

ბამებოდა. ოსმანის[1] მმართველობის დროს დიდმა ფინანსიურმა კომპანიებმა და შენობათა ამგებლებმა ისე საშინლად გაჰქურდეს პარიზი, რომ კომუნას ბევრად მეტი უფლება ჰქონდა მათი საკუთრების კონფისკაცია მოეხდინა, ვიდრე ლუი ბონაპარტს ორლეანელების საკუთრებისა. ჰოჰენცოლერნები და ინგლისელი არისტოკრატები, რომელთა სიმდიდრის დიდი ნაწილი მოტაცებული საეკლესიო ქონებისაგან წარმოსდგება, რასაკვირველია, დიდად აღშფოთებული იყვნენ კომუნის წინააღმდეგ, რომელმაც სეკულარიზაციისაგან მხოლოდ 8000 ფრანკის სარგებლობა ნახა.

როგორც კი ვერსალის მთავრობამ ცოტაოდენი სიმხნევე და ძალღონე დაიბრუნა, უმკაცრეს ღონისძიებებს მიმართა კომუნის წინააღმდეგ; იგი მთელს საფრანგეთში ახშობდა ყოველგვარი თავისუფალი აზრის გამოხატულებას და კრძალავდა თვით დიდი ქალაქების წარმომადგენელთა კრებებს; მან ჯაშუშობის ქსელი გააბა ვერსალსა და მთელს საფრანგეთში და ამ მხრივ მეორე იმპერიასაც კი გადააჭარბა; მისი ჟანდარმი ინკვიზიტორები სწვავდნენ პარიზში დაბეჭდილ გაზეთებს და ხსნიდნენ პარიზიდან მოსულ და პარიზში გაგზავნილ წერილებს; პარიზის დაცვის ყოველ მოკრძალებულ ცდას ნაციონალური კრება ისეთი ღრიანცელით ხვდებოდა, რომლის მსგავსი არ გაგონილა თვით 1816 წლის «უბადლო პალატაში», ვერსალელები არა თუ სისხლისმღვრელ ომს აწარმოებდნენ გარედან პარიზის წინააღმდეგ, არამედ ცდილობდნენ მოსყიდვით და შეთქმულებით თვით პარიზშიც ემოქმედნათ. განა ასეთ პირობებში კომუნა თავის მოწოდებას სამარცხვინოდ არ უღალატებდა, ლიბერალიზმის გარეგნული ფორმები რომ დაეცვა, როგორც ეს მშვიდობიანობის დროს შეეფერება? თუ კომუნის მთავრობა ბატონ ტიერის მთავრობის ჯურისა ყოფილიყო, რაღა საჭირო იქნებოდა ან პარიზში წესრიგის პარტიის გაზეთების დახურვა, ან ვერსალში კომუნის გაზეთებისა.

მართლაც «პროვინციელ აზნაურთა» დეპუტატებისათვის დიდად გულმოსასვლელი იყო, რომ სწორედ იმ დროს, როცა ისინი აცხადებდნენ საფრანგეთის ხსნა მხოლოდ ეკლესიის წიაღში დაბრუნებით შეიძლებაო, ურწმუნო კომუნამ გამოამჟღავნა პიკპუსის

---

[1] ბარონ ოსმანი (Haussmann) მეორე იმპერიის დროს იყო სენის დეპარტამენტის, ე. ი. ქალაქ პარიზის პრეფექტი. მუშათა აჯანყებებთან ბრძოლის გაადვილების მიზნით მან ჩაატარა მთელი რიგი სამუშაოები ქალაქის ხელახლა დასაგეგმად. (შენიშვნა რუსული თარგმანისა ვ. ი. ლენინის რედაქციით).

დედათა მონასტერის და წმ. ლავრენტის ეკლესიის საიდუმლოებანი. განა ეს ტიერის მიმართ გესლიანი სატირა არ იყო, რომ იმ დროს, როცა იგი საპატიო ლეგიონის ჯვრებს ურიგებდა ბონაპარტისტულ გენერლებს მათი ოსტატობისთვის ბრძოლის წაგებაში, კაპიტულაციის ხელისმოწერაში და ვილჰელმსჰოჰეში პაპიროსის დაგრეხაში, კომუნა მაშინვე ითხოვდა და ატუსაღებდა თავის სარდლებს, როგორც კი ცოტაოდენ დაუდევრობას ამჩნევდა სამსახურის ასრულებაში? განა როცა კომუნამ გააძევა და დაატუსაღებინა ერთ-ერთი წევრი, რომელიც იქ მოგონილი სახელით შეძვრა, ხოლო წინათ ლიონში ექვსი დღე სატუსაღოში მჯდარიყო უბრალო გაკოტრებისთვის, ამით მან სახეში სილა არ გააწნა ყალბისმქმნელ ჟიულ ფავრს, რომელიც იმ დროს კიდევ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, საფრანგეთს კიდევ ბისმარკზე ყიდდა, ხოლო ბელგიის შეუდარებელ მთავრობას ბრძანებებს უკარნახებდა? მაგრამ კომუნა უცოდველობის პრეტენზიას არ აცხადებდა, როგორც ამას ყველა ძველი მთავრობა შვრებოდა გამოუკლებლივ. იგი აქვეყნებდა ყველა თავისი სხდომების ანგარიშებს და თავის მოქმედებას; იგი საზოგადოებას უმხელდა ყველა თავის ნაკლოვანებას.

ყოველ რევოლუციაში მისი ნამდვილი წარმომადგენლების გვერდით სხვა ყალიბის ადამიანებიც გამოდიან ხოლმე. ასეთი არიან, ერთი მხრივ, ადამიანები, რომელთაც გამოჩენილი როლი შეუსრულებიათ წინანდელ რევოლუციებში და შეზრდიან მათ; ამიტომ მათ აღარაფერი გაეგებათ ახალი მოძრაობისა, მაგრამ თავიანთი ვაჟკაცობითა და ხასიათით ან უბრალო ტრადიციით მაინც დიდ გავლენას ახდენენ ხალხზე. ასეთი არიან, მეორე მხრივ, მყვირალა ადამიანები, რომელნიც წლობით ერთსადაიმავე დეკლარაციას იმეორებენ არსებული მთავრობის წინააღმდეგ და წმინდა წყლის რევოლუციონერების სახელს იძენენ. ასეთი ადამიანები 18 მარტის შემდეგაც გამოჩნდნენ, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი გამოჩენილ როლსაც ასრულებდნენ. რამდენადაც ძალღონე შესწევდათ, ისინი აფერხებდნენ მუშათა კლასის ნამდვილ მოძრაობას, როგორც მანამდე ასეთი ადამიანები წინანდელი რევოლუციების სრულ განვითარებას უშლიდნენ ხელს. ისინი აუცილებელ ბოროტებას წარმოადგენენ; მათი თავიდან მოსაშორებლად დროა საჭირო; მაგრამ კომუნას ამისთვის აღარ დააცალეს.

სასწაულს ჰგავდა ის ცვლილება, რომელიც კომუნამ პარიზში მოახდინა! მეორე იმპერიის მეძავი პარიზი უკვალოდ გაჰქრა. საფ-

რანგეთის დედაქალაქი აღარ წარმოადგენდა ბრიტანელი მემამულეების, ირლანდიელი აბსენტეისტების,[1] ამერიკელი ყოფილი მონათმფლობელების და ვიგინდარების, რუსი ყოფილი მებატონეების და ვალახიელი ბოიარების თავშესაკრებ ადგილს. მორგში გვამები აღარ იყო, ღამით ძარცვა აღარ ხდებოდა, თითქმის ქურდობაც კი მოისპო; პირველად 1848 წლის თებერვლის დღეების შემდეგ პარიზის ქუჩები უშიშარი შეიქნა და ამისთვის საჭირო არ ყოფილა არავითარი პოლიცია. «ჩვენ უკვე აღარაფერი გვესმის არც მკვლელობაზე, არც ძარცვასა და არც პიროვნების შეურაცხყოფაზე, — ამბობდა კომუნის ერთი წევრი, — შეიძლება ვიფიქროთ, პოლიციას ვერსალში წაუთრევია ყველა თავისი კონსერვატული მეგობარიო». მეძავი ქალები თავიანთი გაქცეული მფარველების კვალს გაჰყვნენ, ოჯახის, სარწმუნოების და, უწინარეს ყოვლისა, საკუთრების დამცველებს. მათი ადგილი კვლავ ნამდვილმა პარიზელმა ქალებმა დაიჭირეს, გმირობით, სულგრძელობით და თავგანწირულებით გამსჭვალულებმა ძველი დროის ქალების მსგავსად. მშრომელმა, მოაზროვნე, მებრძოლმა, ჭრილობებით დაფარულმა პარიზმა, განათებულმა თავისი ისტორიული თაოსნობის შეგნებით, ახალი საზოგადოების მზადებაში თითქმის დაივიწყა ის კაციისმჭამელები, რომელნიც მის კარიბჭეებთან იდგნენ, და ენთუზიაზმით მიეცა ახალი საზოგადოების აგებას!

და აი, პარიზის ამ ახალი ქვეყნიერების პირისპირ, იდგა ვერსალის ძველი, ყველა დრომოჭმული რეჟიმის არამზადების, ლეგიტიმისტების და ორლეანისტების ქვეყნიერება. მათ სწყუროდათ გაეწიწკნათ ერის გვამი; შეხედეთ ამ მაჩანჩალებს, წარღვნის წინადროინდელ რესპუბლიკელებს, რომელნიც თავიანთი მონაწილეობით ნაციონალურ კრებაში მხარს უჭერენ მონათმფლობელების ამბოხებას; მათ იმედი ჰქონდათ, რომ იმ ბებერი ტაკიმასხარას პატივმოყვარეობის წყალობით, რომელიც სათავეში უდგას ხელისუფლებას, შეინარჩუნებდნენ თავიანთ პარლამენტურ რესპუბლიკას; ისინი კარიკატურულად ჰბაძავდნენ 1789 წელს და აჩრდილთა კრებებს მართავდნენ ჟე-დე-პომში[2]. აი ეს კრება, რომელიც წარ-

---

[1] აბსენტეისტი სიტყვიდან absent — არმყოფი. იგულისხმება მსხვილი მიწათმფლობელნი, რომლებიც არასოდეს არ იმყოფებიან თავიანთ მამულებში. რ ე დ.

[2] ბურთის სათამაშო დარბაზი, სადაც ნაციონალურმა კრებამ 1789 წელს თავისი სახელოვანი გადაწყვეტილება მიიღო (1871 წლის გერმანული გამოცემის შენიშვნა).

მოადგენდა ყოველივე იმას, რაც დრომოჭმული იყო საფრანგეთში, მოჩვენებითი სიცოცხლის პოზას ინარჩუნებდა მხოლოდ ლუი ნაპოლეონის გენერლების ხმლების წყალობით. პარიზი მთლიანად ჭეშმარიტება იყო, ვერსალი მთლიანად სიცრუე, და ამ სიცრუის მღაღადებელი ტიერი იყო.

ტიერმა შემდეგი სიტყვებით მიმართა სენის და უაზის დეპარტამენტის ქალაქის მერთა დეპუტაციას: «თქვენ შეგიძლიათ ჩემს სიტყვას დაენდოთ, მე ა რ ა ს ო დ ე ს არ გამიტეხია იგი»! კრებას ის ეუბნებოდა, რომ «იგი ყველაზე თავისუფლად არჩეული და ლიბერალური კრებაა, რომელიც ოდესმე საფრანგეთს ჰქონიაო»; თავის აჭრელებულ ჯარისკაცობას იგი არწმუნებდა — «ქვეყნიერების სასწაული ხარ და უმშვენიერესი არმია, რომელიც ოდესმე საფრანგეთს ჰყოლიაო»!; პროვინციებს უცხადებდა: პარიზზე ყუმბარებით იერიშის მიტანა ზღაპარიაო: «თუ ქვემეხის რამდენიმე ყუმბარა დაეცა, ეს ჩაიდინა არა ვერსალის ჯარმა, არამედ ზოგიერთმა აჯანყებულმა, რომელთაც სურთ დაგვარწმუნონ ვიბრძვითო, თუმცა თავის გამოყოფის ეშინიათ». შემდეგ მან პროვინციებს განუცხადა: «ვერსალის არტილერია პარიზს ყუმბარებს როდი უშენს, იგი მხოლოდ ქვემეხებს უშენს მას». პარიზის არქიეპისკოპოზს არწმუნებდა, მტკნარი სიცრუეა ის ხვრეტა და რეპრესიები(!), რომელშიც ვერსალის ჯარს სდებენ ბრალსო. პარიზს მან აუწყა, რომ მას სურდა «იგი მხოლოდ საზიზღარი ტირანებისაგან გაენთავისუფლებინა, რომელნიც მას ჩაგრავდნენ» და რომ პარიზის კომუნა «ეს არის მხოლოდ ერთი მუჭა დამნაშავეები».

ტიერის პარიზი არ იყო «უგვანო ბრბოს» ნამდვილი პარიზი, არამედ მოჩვენებითი პარიზი იყო, პარიზი — კაპიტულანტებისა, ბულვარებზე მოხეტიალე ქალ-ვაჟების პარიზი, მდიდარი, კაპიტალისტური, მოვარაყებული, უქმი პარიზი, ის პარიზი, რომელიც ახლა თავისი ლაქიებით, შანტაჟისტებით, ლიტერატურული ბოჰემით და მეძავი ქალებით ვერსალში, სენ დენიში, რუეისა და სენ ჟერმენში იყრიდა თავს; ამ პარიზისათვის სამოქალაქო ომი მხოლოდ სასიამოვნო ინტერმედია იყო; იგი ბრძოლას დურბინდში უყურებდა, ქვემეხების გასროლას ითვლიდა და თავის თავისა და თავისი როსკიპების სინდისს ფიცულობდა, რომ წარმოდგენა აქ ბევრად უკეთაა დადგმული, ვიდრე თეატრში სენ-მარტენის ჭიშკართანო. მართლაც, ბრძოლის ველზე დაცემულნი ნამდვილად კვდებოდნენ, დაჭრილთა ყვირილი არ იყო მოჩვენებითი ყვირილი და, გარდა ამისა, დრამას,

რომელიც მათ თვალწინ მიმდინარეობდა, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა!

ასეთი იყო ტიერის პარიზი, ისე როგორც კობლენცის[1] ემიგრაცია ბ-ნ დე კალონის საფრანგეთი იყო.

IV

მონათმფლობელთა შეთქმულების პირველი ცდა, რომელიც იქით იყო მიმართული, რომ პარიზი დაეპყროთ პრუსიელების შემწეობით, შეფერხდა მხოლოდ ბისმარკის უარის გამო. მეორე ცდა, 18 მარტს, ჯარის დამარცხებით და მთავრობის ვერსალში გაქცევით დასრულდა, სადაც მას მთელი ადმინისტრაცია გაჰყვა. პარიზთან საზავო მოლაპარაკების საფარ ქვეშ ტიერმა ახლა დრო მოიგო, რათა ომი მოემზადებინა პარიზის წინააღმდეგ. მაგრამ საიდან უნდა მიეღო ჯარი? სახაზო პოლკების ნაშთი მცირერიცხოვანიც იყო და სულიერი განწყობილების მხრივ ნაკლებ საიმედოც. ტიერის დაჟინებულ მოწოდებას პროვინციებისადმი — ვერსალს ნაციონალური გვარდიელები და მოხალისეები მოაშველეთო — აშკარა უარით უპასუხეს. მხოლოდ ბრეტანმა გამოგზავნა ერთი მუჭა შუანები, რომელნიც თეთრი დროშის ქვეშ იბრძოდნენ. ყოველ მათგანს მკერდზე იესოს გული ჰქონდა ამოქარგული თეთრ ტილოზე; მათი ბრძოლის ყიჟინი იყო: «გაუმარჯოს მეფეს!». მაშასადამე, ტიერს ისღა დარჩა, რომ საჩქაროდ თავი მოეყარა ჭრელი ბრბოსთვის, მატროსებისა, მეზღვაური ჯარისკაცებისა, პაპის ზუავებისა, ვალანტენის ჟანდარმებისა, პიეტრის სერჟანტებისა და ჯაშუშებისთვის. ეს ჯარი სასაცილოდ უმნიშვნელო იქნებოდა, თუ მას თანდათან ბონაპარტისტული არმიის სამხედრო ტყვეები არ მოშველებოდნენ, რომელთაც ბისმარკი საკმაო რაოდენობით ანთავისუფლებდა, რათა, ერთი მხრივ, შესაძლებელი ყოფილიყო სამოქალაქო ომის წარმოება, ხოლო, მეორე მხრივ, ვერსალი მონურ დამოკიდებულებაში დარჩენილიყო პრუსიისაგან. თვით ომის დროს ვერსალის პოლიციას გამუდმებით თვალყური უნდა ედევნებინა ვერსალის ჯარისთვის, ხოლო ჟანდარმებს ყველაზე სახიფათო ადგილებზე უხდებოდათ დადგომა, რათა ეს ჯარი თავიანთი მაგალითით გაეტაცნათ. ფორტები ბრძოლით კი არ დაუპყრიათ, არამედ შესყიდვით. კომუნარების გმირობამ დაარწმუნა ტიერი, რომ პარიზის წინააღმდეგობის მოსადრეკად საკმაო არ იყო

[1] კობლენცი — გერმანიის ქალაქი, საფრანგეთის კონტრრევოლუციური აზნაურული ემიგრაციის ცენტრი XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს. რ ე დ.

არც მისი საკუთარი სტრატეგიული «გენია», არც მის განკარგულებაში მყოფი ხიშტები.

ამავე დროს ტიერის ურთიერთობა პროვინციებთან თანდათან უფრო ძნელდებოდა. არ მოსულა არც ერთი თანაგრძნობის ადრესი, რომელსაც მისი და მისი «პროვინციელი აზნაურების» გულის გამხიარულება შესძლებოდა. პირიქით, ყოველი მხრიდან მოდიოდა დეპუტაციები და წერილობითი მომართვები, რომელნიც ნაკლებ მოკრძალებული ტონით მოითხოვდნენ — პარიზს შეურიგდით, რესპუბლიკის უდავო ცნობის, კომუნალურ თავისუფლებათა დადასტურებისა და ნაციონალური კრების დაშლის ნიადაგზე, რადგან ამ უკანასკნელს რწმუნების ვადა უკვე გაუვიდაო. ამ დეპუტაციების და წერილობითი მომართვების რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ ტიერის იუსტიციის მინისტრმა, დიუფორმა, 23 აპრილის ცირკულარით უბრძანა სახელმწიფო ბრალმდებელთ დანაშაულად მიიჩნიეთ ყოველი «მოწოდება შერიგებისადმიო»! მაგრამ რადგან ტიერმა დაინახა, რომ მისი ლაშქრობა პარიზის წინააღმდეგ უიმედო იყო, მან გადასწყვიტა ტაქტიკა შეეცვალა და 30 აპრილისთვის მუნიციპალური არჩევნები დაენიშნა მთელ სახელმწიფოში ახალი კანონმდებლობის ნიადაგზე, რომელიც თვით უკარნახა ნაციონალურ კრებას. მას იმედი ჰქონდა, რომ ალაგ-ალაგ თავისი პრეფექტების ინტრიგებით იმოქმედებდა, ალაგ-ალაგ თავისი პოლიციის დაშინებით და პროვინციული არჩევნების შემწეობით ნაციონალურ კრებას ისეთ მორალურ ძალას მისცემდა, როგორიც მას არასოდეს არ ჰქონია და ამასთანავე, რომ პროვინციებიდან ისეთ მატერიალურ ძალას მიიღებდა, როგორიც მას სჭირდებოდა პარიზის დასაპყრობად.

ტიერმა იმთავითვე საჭიროდ მიიჩნია პატარა შერიგების კომედიით შეევსო თავისი ავაზაკური ომი პარიზის წინააღმდეგ, ცამდე შექებული მის საკუთარ ბიულეტენებში, და მისი მინისტრების ცდა ახალი ტერორის რეჟიმი დაემყარებინათ მთელ საფრანგეთში; ეს კომედია რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა: მას პროვინციები უნდა მოეტყუებინა, პარიზის საშუალო კლასი გადმოებირებინა, ხოლო, რაც მთავარია, ნაციონალური კრების ვითომდა რესპუბლიკელებისთვის შესაძლებლობა მიეცა თავიანთი ღალატი პარიზის მიმართ ტიერისადმი ნდობით დაეფარათ. 21 მარტს, როცა მას ჯერ კიდევ არავითარი ჯარი არ ჰყავდა, მან ნაციონალურ კრებას განუცხადა: «რაც უნდა მოხდეს, მაინც ჯარს არ გავგზავნი პარიზში». 27 მარტს მან ხელახლა წარმოთქვა: «მე რესპუბლიკა მივიღე როგორც მომხდარი

ფაქტი და მტკიცედ გადაწყვეტილი მაქვს იგი ბოლომდე დავიცვა». ნამდვილად კი იგი რესპუბლიკის სახელით რევოლუციას ახშობდა ლიონსა და მარსელში [1], მაშინ როცა ვერსალში მისი პროვინციელი აზნაურები ველური ღმუილით ხვდებოდნენ თვით სიტყვა «რესპუბლიკას». ამ გმირული ღვაწლის შემდეგ მან «მომხდარი ფაქტი» ჰიპოთეტურ ფაქტად აქცია. ორლეანელი პრინცები, რომელნიც მან სიფრთხილის გულისთვის ბორდოდან გააძევა, ახლა აშკარად მოქმედებდნენ კანონების წინააღმდეგ და დრეში ინტრიგების ქსელს აბამდნენ. პირობებიც, რომელთა შესახებაც ტიერი თავის ურიცხვ შეხვედრებში ლაპარაკობდა პარიზის და პროვინციების დელეგატებთან — რა რიგ ცვალებადიც უნდა ყოფილიყო მისი სიტყვების ტონი და ელფერი დროისა და გარემოების ცვლის მიხედვით, ბოლოს ყოველთვის იმაში გამოიხატებოდა, რომ მისი «შურისძიება მიმართული იქნება მხოლოდ იმ ერთი მუჭა დამნაშავეების წინააღმდეგ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კლემან ტომასა და ლეკონტის მკვლელობაში». იმ პირობით, რასაკვირველია, რომ პარიზი და საფრანგეთი საუკეთესო რესპუბლიკად ცნობენ მას, ბატონ ტიერს, სწორედ ისევე, როგორც თვით მან 1830 წელს ლუი ფილიპეს რესპუბლიკა. მაგრამ იგი ცდილობდა საეჭვოდ გაეხადა თვით ეს დათმობაც კი იმ ოფიციალური ახსნა-განმარტებების შემწეობით, რომელთაც მისი მინისტრები ნაციონალურ კრებაში აკეთებდნენ; ამითაც დაუკმაყოფილებელი იგი თავის დიუფორსაც ამოქმედებდა. ძველი ორლეანელი ადვოკატი დიუფორი ყოველთვის უზენაესი მოსამართლის როლს ასრულებდა საალყო მდგომარეობის დროს, როგორც ახლა, 1871 წელს, ისე 1839 წ. ლუი ფილიპეს მეფობაში და 1849 წელს ლუი ბონაპარტის პრეზიდენტობაში. როცა იგი მინისტრი არ იყო, მდიდრდებოდა იმით, რომ პარიზელ კაპიტალისტებს იცავდა, ამავე დროს პოლიტიკურ კაპიტალს იძენდა იმით, რომ თავის მიერვე შემოღებულ კანონებს ებრძოდა. ახლა იგი არ დაკმაყოფილდა იმით, რომ რამდენიმე რეპრესიული კანონი გაატარა ნაციონალურ კრებაში. ამ კანონებს პარიზის აღების შემდეგ იქ რესპუბლიკური თავისუფლების უკანასკნელი ნაშთი უნდა აღმოეფხვრა: მან პარიზის ბედი წინასწარ განსაზღვრა იმით, რომ შეამოკლა სამხედრო სასამართლოების პროცედურა, რომელიც მას მეტად გრძელი

[1] 1871 წლის 18 მარტის შემდეგ უახლოეს დღეებში ლიონსა და მარსელში კომუნის გამოცხადების მიზნით მოხდა რევოლუციური გამოსვლები. ტიერის მთავრობის მიერ მოძრაობა ჩახშობილ იქნა. რ ე დ.

ეჩვენებოდა და ახლად გამოაცხო დრაკონისებური კანონი გადასახლების შესახებ. 1848 წლის რევოლუციამ მოსპო სიკვდილით სასჯელი პოლიტიკური დამნაშავეებისთვის და მის მაგივრად გადასახლება შემოიღო. ლუი ნაპოლეონმა, ყოველ შემთხვევაში აშკარად ვერ გაბედა გილიოტინის ხელახლა აღდგენა. ამიტომ «მემამულეთა კრება», რომელსაც გამბედაობა არ შესწევდა თუნდაც გადაკვრით ეთქვა, პარიზელები აჯანყებულები კი არა, მკვლელები არიანო, იძულებული გახდა თავისი განზრახული შურისძიება პარიზის წინააღმდეგ დიუფორის მიერ გატარებული გადასახლების კანონით შემოეფარგლა. ასეთ პირობებში ტიერს დიდხანს აღარ შეეძლო გაეგრძელებინა თავისი შერიგების კომედიის თამაში; ამას გარდა ამ კომედიამ გამოიწვია სწორედ ის, რაც ტიერს გულით უნდოდა, სახელდობრ — «პროვინციელი აზნაურების» გააფთრებული ღრიანცელი, იმიტომ რომ მათი ჩლუნგი გონებისათვის გაუგებარი იყო როგორც მისი თამაშობა, ისე მისი ფარისევლობის, ორპირობის და ფეხის თრევის აუცილებლობა.

მიიღო რა მხედველობაში, რომ 30 აპრილს მუნიციპალური არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, ტიერმა 27 აპრილს ერთ-ერთი თავისი შერიგების სცენა ითამაშა. სანტიმენტალური ფრაზების ნიაღვარში, სხვათა შორის, მან ეროვნული კრების ტრიბუნიდან წამოიძახა: «არსებობს ერთადერთი შეთქმულება, რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული — პარიზის შეთქმულება, იგი ჩვენ გვაიძულებს ფრანგული სისხლი დავღვაროთ. მაგრამ მე კიდევ და კიდევ ვიმეორებ: დაე, ეს ბილწი იარაღი გადააგდონ იმათ, ვინც იგი ამართა, და ჩვენ შევაჩერებთ მართლმსაჯულების ხმალს სამშვიდობო აქტით, რომელიც არ დაინდობს მხოლოდ დამნაშავეთა მცირე რიცხვს». როცა «პროვინციელი აზნაურების» ყიჟინმა მას ლაპარაკი შეაწყვეტინა, მან უპასუხა: «უმორჩილესად გთხოვთ, ბატონებო, მიბრძანეთ, განა მე მართალი არა ვარ? განა თქვენ მართლა გწყინთ, როცა სამართლიანად გეუბნებით, რომ დამნაშავეთა რიცხვი მცირეა მეთქი? განა ეს ბედნიერება არაა ყველა ჩვენს უბედურებათა შორის, რომ ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევდათ კლემან ტომას და გენერალ ლეკონტის სისხლი დაეღვარათ, იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენენ?».

მაგრამ საფრანგეთი ყრუ იყო ტიერის სიტყვების მიმართ, რომელნიც თვით მას საპარლამენტო სირინოზის სიმღერად მიაჩნდა. 700 000 მუნიციპალურ მრჩეველთაგან, რომელიც საფრანგეთის

ხელში დარჩენილი 35 000 თემის საბჭოში აირჩიეს, შეკავშირებულმა ლეგიტიმისტებმა, ორლეანისტებმა და ბონაპარტისტებმა 8000 ძლივს გაიყვანეს. დამატებითი და ხელახალი არჩევნები კიდევ უფრო მტრული აღმოჩნდნენ ტიერის მთავრობის მიმართ. ნაციონალურმა კრებამ პროვინციებიდან არა თუ მიიღო ესოდენ საჭირო მატერიალური დახმარება, მან დაჰკარგა უკანასკნელი უფლება ზნეობრივი ძალის პრეტენზიაზე: უფლება — ჩაეთვალა თავი საფრანგეთის საყოველთაო ნების გამომხატველად. დამარცხების დასამთავრებლად საფრანგეთის ყველა ქალაქის ახლად არჩეული საბჭოს წევრები იმუქრებოდნენ — ვერსალის უზურპატორულ კრებას საწინააღმდეგო კრებას დავუპირისპირებთ ბორდოშიო.

მაშინ ბისმარკს სათანადო მომენტი დაუდგა ენერგიულად საქმეში ჩარევისთვის; მან ტიერს უბრძანა, დაუყოვნებლივ რწმუნებულები გამოგზავნე ფრანკფურტში საბოლოო ზავის შესაკრავადო. ტიერმა მოკრძალებით და მორჩილებით მოისმინა თავისი ბატონის და ოსტატის მოწოდება და საჩქაროდ თავისი ერთგული ჟიულ ფავრი გაგზავნა პუიე-კერტიეს თანხლებით. პუიე-კერტიე «გამოჩენილი» ბამბის ქსოვილების ფაბრიკანტი იყო რუანიდან, მეორე იმპერიის აღგზნებული მონა-მოსამსახურე. იგი ამ იმპერიაში ვერაფერს ხედავდა უმართებულოს, გარდა სავაჭრო ხელშეკრულებისა ინგლისთან; ეს ხელშეკრულება აზიანებდა მისი ფაბრიკის ინტერესებს. როცა ჯერ კიდევ ბორდოში ტიერმა იგი ფინანსთა მინისტრად დანიშნა, მან იერიში მიიტანა ამ «ბედუკულმართი» ხელშეკრულების წინააღმდეგ, გადაკვრით აღნიშნავდა, რომ იგი ჩქარა გაბათილდებაო, და იმდენი უსირცხვილობაც კი გამოიჩინა, რომ შეეცადა, თუმცა ამაოდ (იმიტომ რომ თავისი ანგარიშები უბისმარკოდ გააკეთა), დაუყოვნებლივ ხელახლა ძველი მფარველობითი ბაჟები შემოეღო ელზასის წინააღმდეგ, სადაც, მისი თქმით, ამას არავითარი საერთაშორისო ხელშეკრულებანი არ ეღობებოდნენ წინ. ეს ადამიანი, რომელიც კონტრრევოლუციას სთვლიდა საშუალებად შრომის ხელფასის შემცირებისა რუანში, ხოლო საფრანგეთის პროვინციების დათმობიდან თავისი საქონლის გაძვირებას ელოდა საფრანგეთში, განა იმთავითვე იგი ჟიულ ფავრის ღირსეული ამხანაგი არ იყო მის უკანასკნელ, მთელი მისი მოღვაწეობის დამაგვირგვინებელ მოღალატეობაში?

როცა ამ ორმა უბადლო რწმუნებულმა ფრანკფურტს მიაღწია, ბისმარკმა მათ უხეშად, როგორც ჩვეულებრივ, უბრძანა: «ან იმპე-

რიის ხელახლა აღდგენა, ან სიტყვის შემოუბრუნებლად ჩემი საკუთარი საზავო პირობების მიღება!». ეს პირობები შეიცავდნენ სამხედრო კონტრიბუციის ვადების შემოკლებას და პარიზის ფორტების ოკუპაციას პრუსიელი ჯარის მიერ, სანამ ბისმარკი კმაყოფილებას არ გამოთქვამდა საფრანგეთის საქმეთა მდგომარეობის გამო; ამრიგად, პრუსია ცნობილ იქნა უზენაეს მსაჯულად საფრანგეთის შინაურ საქმეებში! სამაგიეროდ, ბისმარკი მზად იყო პარიზის შესამუსრავად დატყვევებული ბონაპარტისტული ჯარი გაენთავისუფლებინა და საჭიროების შემთხვევაში მისთვის იმპერატორ ვილჰელმის ჯარიც მიეშველებინა. იმის სათავმდებოდ, რომ თავის სიტყვას შეასრულებდა, იგი დათანხმდა, კონტრიბუციის პირველი ნაწილის გადახდა პარიზის «დამშვიდების» შემდეგ მომხდარიყო. ამ ანკესს ტიერი და მისი რწმუნებულნი, რასაკვირველია, ხარბად ეცნენ. მათ ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 10 მაისს, ხოლო 21 მაისს უკვე ნაციონალურ კრებას დაამტკიცებინეს.

ზავის შეკვრიდან ბონაპარტისტული ტყვეების დაბრუნებამდე ტიერი მით უფრო საჭიროდ თვლიდა შერიგების კომედიის განგრძობას, რომ მისი რესპუბლიკელი დამქაშები მეტისმეტად საჭიროებდნენ სათანადო საბაბს, რათა თვალი დაეხუჭათ სისხლისღვრის მზადებაში, რომელიც პარიზში უნდა მომხდარიყო. ჯერ კიდევ 8 მაისს მან უპასუხა საშუალო კლასის დეპუტატებს, რომელნიც მოციქულებად მოვიდნენ, რათა იგი შერიგებაზე დაეთანხმებინათ: «როგორც კი ამბოხებულნი კაპიტულაციას დათანხმდებიან, პარიზის ჭიშკრები ერთი კვირით გაღებული იქნება ყველასათვის, გარდა გენერლების კლემან ტომას და ლეკონტის მკვლელებისა».

როცა რამდენიმე დღის შემდეგ «პროვინციელმა აზნაურებმა» ტიერს პასუხი მოსთხოვეს ამ აღთქმისათვის, მან თავი აარიდა პასუხის მიცემას, მაგრამ მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა: «მე გეუბნებით, თქვენ შორის მოიპოვებიან მოუთმენელი ადამიანები, რომელნიც მეტისმეტად ჩქარობენ. დაიცადონ კიდევ ერთი კვირა, ამ კვირის ბოლოს ყოველივე საფრთხე გაჰქრება და მაშინ მათ წინაშე მდგომარე ამოცანა მათი ვაჟკაცობის და ნიჭის შესაფერი იქნება». როგორც კი მაკ-მაჰონმა შესძლო დაპირების მიცემა, რომ ჩქარა პარიზში შეეიჭრებიო, ტიერმა ნაციონალურ კრებას განუცხადა, რომ ის «პარიზში შეეა კანონით აღჭურვილი და შეცოდების სრულ მონანიებას მოთხოვს უბადრუკთ, რომელთაც ჯარისკაცების სიცოცხლე შეიწირეს და საზოგადოებრივი ძეგლები დაანგ-

რიეს».როცა გადამწყვეტი წუთი დადგა, მან უთხრა ნაციონალურ-კრებას, რომ ის «შეუბრალებელი იქნება»; პარიზს განუცხადა, შენი განაჩენი უკვე გამოტანილიაო; თავის ბონაპარტისტულ ბანდიტებს აუწყა, სახელმწიფო ნებას გაძლევთ პარიზის წინააღმდეგ შური იძიოთ რამდენიც გნებავთო. ბოლოს, როცა 21 მაისის ღალატმა გენერალ დუეს პარიზის ჭიშკარი გაუღო, ტიერმა 22 მაისს თავის «პროვინციელ აზნაურთა დეპუტატებს» თავისი შერიგების კომედიის «მიზანი» გაუმხილა, რომლის სწორად გაგება მათ ასე დაჟინებით სურდათ. «რამდენიმე დღის წინათ მე თქვენ მოგახსენეთ, ჩ ვ ე ნ მ ი ზ ა ნ ს ვუახლოვდებით მეთქი; დღეს მოვედი, რათა გითხრათ, რომ მ ი ზ ა ნ ი მიღწეულია. ბოლოს, წესრიგმა, სამართლიანობამ და ცივილიზაციამ გაიმარჯვა».

დიახ, ეს გამარჯვება იყო. ბურჟუაზიული წესწყობილების ცივილიზაცია და სამართლიანობა თავის ჭეშმარიტ, ქარიშხლის მაუწყებელ სინათლეში გამოდის, როცა მონები და დაჩაგრულები თავიანთი ბატონების წინააღმდეგ აჯანყდებიან. მაშინ ეს ცივილიზაცია და ეს სამართლიანობა გვევლინება როგორც გაშიშვლებული ველურობა და უკანონო შურისძიება. ყოველი ახალი კრიზისი კლასობრივ ბრძოლაში სიმდიდრის მიმთვისებელთა და სიმდიდრის მწარმოებელთა შორის თანდათან უფრო ცხადყოფს ამ ფაქტს. თვით 1848 წლის ივნისში ბურჟუაზიის მიერ ჩადენილი უმსგავსოებანი იჩრდილებიან 1871 წლის ენით გამოუთქმელი საშინელების წინაშე. გმირული თავგანწირულება, რომლითაც პარიზის ხალხი, მამაკაცები, ქალები და ბავშვები, კიდევ მთელი კვირის განმავლობაში იბრძოდა ვერსალელების შეჭრის დღიდან, ისევე ნათლად ამჟღავნებს ამ ხალხის საქმის სიდიადეს, როგორც ჯარისკაცების ჯოჯოხეთური მოქმედება იმ ცივილიზაციის თანდაყოლილ სულს ააშკარავებს, რომლის დაქირავებული დამცველები და შურისმაძიებელნი ისინი არიან. ჭეშმარიტად სახელოვანია ეს ცივილიზაცია, რომელიც მძიმე ამოცანის წინაშე დადგა: სად გადაეყარა უკვე დამთავრებული ბრძოლის შემდეგ მის მიერ დახოცილი ადამიანების გვამები!

თუ გვინდა ტიერის და მისი გასისხლიანებული ქოფაკების ყოფაქცევის ანალოგია ვიპოვოთ, სულლასა და ორივე რომაული ტრიუმვირატის დროს უნდა დავუბრუნდეთ. დღესაც გულგრილად ისეთივე მასობრივ ხოცვა-ჟლეტას ახდენენ; დღესაც ისევე განურჩევლად ეპყრობიან მსხვერპლთა ასაკსა და სქესს; დღესაც ისევე აწამებენ დატყვევებულთ; დღესაც ისეთივე დევნა ხდება, მაგრამ

უკვე მთელი კლასის წინააღმდეგ; დღესაც ისევე ველურად ნადირობენ დამალულ ბელადებზე, რათა არც ერთი მათგანი არ გადარჩეს; დღესაც ისევე აბეზღებენ პოლიტიკურ და პირად მტრებს; დღესაც ისეთივე გულგრილობას იჩენენ ბრძოლის გარეშე მდგომარე ადამიანების დახოცვაში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ რომაელებს არ ჰქონდათ ტყვიამფრქვევები, რათა გუნდ-გუნდად მოესპოთ განწირულნი, რომ მათ «ხელში კანონი» არ სჭერიათ, ხოლო პირზე «ცივილიზაცია» არ ჰკერებიათ.

და ამ უმსგავსოების შემდეგ შეხედეთ ამ ბურჟუაზიული ცივილიზაციის მეორე, კიდევ უფრო გულისამრევ მხარეს, აწერილს მისივე საკუთარი პრესის მიერ!

«იმ დროს, — წერს ერთი ლონდონური კონსერვატული გაზეთის პარიზელი კორესპონდენტი, — როცა შორიდან კიდევ კანტი-კუნტად სროლის ხმა ისმის და უპატრონო დაჭრილები პერლაშეზის სასაფლაოს ლოდებს შუა სულს ლევენ, როცა 6000 დამფრთხალი მეამბოხე სასოწარკვეთილი მომაკვდავის ბრძოლაში კატაკომბების ლაბირინტში დახეტიალობს, ხოლო ქუჩებში უბედური ტყვეები მიჰყავთ, რათა ისინი გუნდ-გუნდად დახვრიტონ ტყვიამფრქვევებით, ამ დროს აღმაშფოთებელ შთაბეჭდილებას ახდენს ყავახანები, რომლებიც სავსეა აბსენტის მოყვარულებით და ბილიარდის თუ დომინოს მოთამაშეებით; აღმაშფოთებელ შთაბეჭდილებას ახდენენ ბულვარებზე გამოფენილი გარყვნილი დედაკაცები და ორგიების ხმაურობა, რომელიც მდიდრული რესტორანების ცალკე კაბინეტებიდან მოისმის და ღამის სიჩუმეს არღვევს». ბატონი ედუარდ ჰერვე წერს «**Journal de Paris**»-ში, ვერსალელების გაზეთში, რომელიც აკრძალული იყო კომუნის მიერ: «ის ფორმა, რომელშიც პარიზის მოსახლეობამ (!) გუშინ თავისი კმაყოფილება გამოხატა, მართლაც თავქარიანობაზე მეტი იყო, და გვეშინია, რომ რაც დრო გავა, მით უარესი იქნება. პარიზს ამჟამად საზეიმო შეხედულება აქვს, რაც სრულიად უადგილოა, და თუ ჩვენ არ გვსურს «დაცემის ხანის» პარიზელები გვიწოდონ, ამ ამბავს ბოლო უნდა მოვუღოთ». და შემდეგ ავტორს ციტატი მოჰყავს ტაციტიდან: «და აი იმ საშინელი ბრძოლის მეორე დღეს და თვით ბრძოლის სავსებით დასრულებამდე, დამდაბლებული და გარყვნილი რომი ხელახლა ჩაეფლო ავხორცობის ჭაობში, რომელიც მის სხეულს ანადგურებდა, ხოლო მის სულს ბილწავდა — **alibi proelia et vulnera**,

alibi balnea popinaeque“ [1]. მაგრამ ბატონ ჰერვეს ავიწყდება, რომ «პარიზის მოსახლეობა», რომლის შესახებ იგი ლაპარაკობს, მხოლოდ ტიერის პარიზის მოსახლეობაა, კაპიტულანტების პარიზი, რომელნიც გუნდ-გუნდად დაბრუნდნენ ვერსალიდან, სენ-დენიდან, რუელიდან და სენ-ჟერმენიდან; ეს მართლაც «დაცემის ხანის» პარიზია.

ყოველი თავისი სისხლისმღვრელი ტრიუმფის დროს ეს სამარცხვინო ცივილიზაცია, დაყრდნობილი შრომის დამონებაზე, თავის მსხვერპლთა, ახალი, უკეთესი საზოგადოებისთვის მებრძოლთა თავგანწირულ ყვირილს ახშობს დევნისა და ცილისწამების ღრიანცელით, რომელიც შორს გაისმის მთელ დედამიწის ზურგზე. კომუნის დროის მშვიდი მუშათა პარიზი უცებ ამ «წესრიგის» სისხლისმსმელი ქოფაკების ხელში რაღაც ჯოჯოხეთად იქცა. და რას უმტკიცებს ეს საშინელი ცვლილება ყველა ქვეყნის ბურჟუაზიულ ჭკუას? მხოლოდ იმას, რომ კომუნა ცივილიზაციის წინააღმდეგაა შეთქმულიო! პარიზელი ხალხი აღფრთოვანებით თავს სწირავს კომუნისთვის; არც ერთ მანამდე მომხდარ ბრძოლაში ამდენი ხალხი არ დახოცილა. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ ეს კომუნა იყო არა ხალხის საკუთარი მთავრობა, არამედ ერთი მუჭა დამნაშავის ძალმომრეობაო! პარიზელი ქალები სიხარულით კვდებიან ბარიკადებზეც და სასჯელის ადგილასაც. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ კომუნის დემონმა ისინი მეგეერებად და ჰეკატებად აქციაო! კომუნის ზომიერებას მისი ორი თვის უცილობელი ბატონობის დროს მხოლოდ მისი დამცველების გმირული ვაჟკაცობა თუ შეედრება. რას ამტკიცებს ეს? მხოლოდ იმას, რომ კომუნა ორი თვის განმავლობაში ზომიერებისა და ჰუმანურობის ნიღაბ ქვეშ ფრთხილად ჰფარავდა სატანისებურ სისხლისმსმელობას, რათა სულთმობრძაობის დროს თავისუფლად გადმონთხეულიყოო.

მუშათა პარიზმა თავისი გმირული თავგანწირულების დროს ცეცხლი წაუკიდა შენობებსა და ძეგლებს. როცა პროლეტარიატის მჩაგვრელები ნაწილ-ნაწილ ჰკუწავენ მის ცოცხალ სხეულს, მათ იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ, რომ ტრიუმფით შევლენ თავიანთ ხელუხლებელ ბინებში. ვერსალის მთავრობა გაიძახის: «ცეცხლი წაგვიკიდესო!» და თავის დამქაშებს, თვით მივარდნილ სოფლებში მყოფთ, ასეთ ლოზუნგს ჩასჩურჩულებს: «ყველგან ნადირობა გა-

[1] აქ ბრძოლები და ჭრილობები, იქ აბანოები და ლხინი. რ ე დ.

მართეთ ჩემი მტრების, როგორც პროფესიული ცეცხლის წამკიდებლების წინააღმდეგ». მთელი დედამიწის ბურჟუაზია სიამოვნებით უცქერის ადამიანების მასობრივ ჟლეტას ბრძოლის შემდეგ, მაგრამ აღშფოთებულია, როცა მისი კერის «შეგინება» ხდება!

როცა მთავრობები თავიანთ სამხედრო ფლოტებს ოფიციალურ ნებართვას აძლევენ: «ხოცეთ, დასწვით და დაანგრიეთო», არის თუ არა ეს ცეცხლის წაკიდების ნებართვა? როცა ინგლისის ჯარმა განზრახ დასწვა კაპიტოლი ვაშინგტონში და იმპერატორის საზაფხულო სასახლე ჩინეთში, იყო თუ არა ეს ცეცხლის წაკიდება? როცა პრუსიელები არა სამხედრო მოსაზრებათა, არამედ უბრალოდ გაბოროტებული შურისძიების გამო ნავთს ასხამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ ქალაქებსა და მრავალრიცხოვან სოფლებს, როგორც შატოდენში იყო — იყო თუ არა ეს ცეცხლის წაკიდება? როცა ტიერი ექვსი კვირის განმავლობაში ყუმბარებს უშენდა პარიზს და ირწმუნებოდა, მხოლოდ იმ შენობებს ვესვრი, სადაც ადამიანები იმყოფებიანო, იყო თუ არა ეს ცეცხლის წაკიდება? — ომში ცეცხლი ისევე კანონიერი იარაღია, როგორც სხვა ყოველივე. ყუმბარებს უშენენ მტრის მიერ დაკავებულ შენობებს, რათა მათ ცეცხლი გაუჩინონ. როცა დამცველები შენობებს სტოვებენ, თვით ისინი უკიდებენ ცეცხლს, რათა თავდამსხმელები იქ არ გამაგრდნენ. ცეცხლით ჩანთქმა აუცილებელი ბედია ყველა შენობისა, რომელიც რეგულარული ჯარების ბრძოლის ხაზზე ძევს. მაგრამ დამონებულთა ომში მათი მჩაგვრელების წინააღმდეგ, ამ ერთადერთ სამართლიან ომში, რომელიც ისტორიაში ხდება, ეს მიუღებელი ყოფილა! კომუნამ ცეცხლი გამოიყენა როგორც თავდაცვის საშუალება, ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით; მან იგი გამოიყენა, რათა ვერსალის ჯარისთვის ის გრძელი, პირდაპირი ქუჩები ჩაეკეტა, რომელნიც ოსმანმა განზრახ შეუგუა საარტილერიო ცეცხლს; მან იგი გამოიყენა, რათა დაეფარა თავისი უკან დახევა, ისევე როგორც ვერსალელები თავიანთი შეტევის დროს ყუმბარებს ხმარობდნენ, რომელნიც ყოველ შემთხვევაში იმდენსავე სახლს ანადგურებდნენ, რამდენსაც კომუნის ცეცხლი. დღესაც საკამათოა, რომელ სახლებს დამცველებმა გაუჩინეს ცეცხლი და რომელს თავდამსხმელებმა. დამცველებმა მხოლოდ მაშინ მიმართეს ცეცხლს, როცა ვერსალის ჯარმა უკვე დაიწყო დატყვევებულთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, — გარდა ამისა, კომუნამ კარგა ხნის წინათ საჯაროდ გამოაცხადა, თუ უკიდურეს მდგომარეობაში ჩაგვაგდეს, პარიზის ნანგრევებში დავიმარხებით და პარიზისაგან

მეორე მოსკოვს შევქმნითო; ასეთივე აღთქმა წინათ ეროვნული თავდაცვის მთავრობამაც დასდო, მხოლოდ, რასაკვირველია, იმისთვის, რომ იგი თავისი ღალატის საფარად გამოეყენებინა. სწორედ ამ მიზნისთვის ტროშიუმ საჭირო ნავთიც მოამზადებინა. კომუნამ იცოდა, რომ მის მტრებს არაფრად უღირდათ პარიზის ხალხის სიცოცხლე, მაგრამ ძლიერ ზრუნავდნენ თავიანთი საკუთარი შენობებისთვის. ტიერმა თავის მხრივ განაცხადა, რომ ულმობელად იძიებდა შურს. როცა, ერთი მხრივ, მისი ჯარი უკვე მზად იყო ომისთვის, ხოლო მეორე მხრივ, პრუსიელებმა ყველა გასავალი ჩაკეტეს, მან წამოიძახა: «მე ულმობელი ვიქნები! სასჯელი სრული იქნება, სამართალი მკაცრი!». თუ პარიზელი მუშები ვანდალებივით მოქმედებდნენ, ეს იყო სასოწარკვეთილი თავდაცვის ვანდალიზმი და არა ტრიუმფის ვანდალიზმი, როგორიც იყო ის ვანდალიზმი, რომელიც ქრისტიანებმა გამოიჩინეს ძველი წარმართული დროის მართლაც დაუფასებელი ხელოვნების ძეგლების მიმართ; და თვით ეს ვანდალიზმი ისტორიკოსების მიერ გამართლებულ იქნა როგორც აუცილებელი და შედარებით უმნიშვნელო მომენტი ბუმბერაზულ ბრძოლაში ახალ, ზეაღმავალ და ძველ, დახავსებულ საზოგადოებას შორის. და კომუნის ვანდალიზმი კიდევ უფრო ნაკლებ ჰგავდა ოსმანის ვანდალიზმს, რომელმაც აღგავა ისტორიული პარიზი, რათა ასპარეზი გაენთავისუფლებინა გარეწარ მოქეიფეთა პარიზისთვის.

რაღა ითქმის იმ სამოცდაოთხი მძევლის დახვრეტაზე კომუნის მიერ, რომელთა შორის პარიზის არქიეპისკოპოზი იმყოფებოდა! — ბურჟუაზიამ და მისმა ჯარმა 1848 წლის ივნისში ხელახლა შემოიღო უკვე დიდი ხნის წინათ გამქრალი სამხედრო ჩვეულება, — უიარაღო ტყვეების დახვრეტა. ეს მხეცური ჩვეულება შემდეგ მეტად თუ ნაკლებ ხშირად ხმარებულა ხალხური აჯანყების დაცხრობის დროს ევროპასა და ინდოეთში, რითაც დამტკიცდა, რომ იგი «ცივილიზაციის ნამდვილ წინსვლას» გამოხატავდა! მეორე მხრივ, პრუსიელებმა საფრანგეთში ხელახლა შემოიღეს მძევლების წაყვანის ჩვეულება, ეს მძევლები სრულიად უდანაშაულო ადამიანები იყვნენ, რომელნიც თავიანთი სიცოცხლით პასუხს აგებდნენ სხვების მოქმედებისთვის. როცა ტიერმა, როგორც დავინახეთ, ბრძოლის დაწყებისთანავე შემოიღო ჰუმანური ჩვეულება კომუნარი ტყვეების დახვრეტისა, კომუნას ამ ტყვეების გადასარჩენად ისღა დარჩა, რომ გამოეყენებინა პრუსიელების ჩვეულება მძევლების წაყვანი-

სა. ამ მძევლების სიცოცხლე განწირულ იქნა, იმიტომ რომ ვერსალელები განაგრძობდნენ ტყვეების დახვრეტას. როგორღა შეიძლებოდა მათი დანდობა იმ სისხლის ღვრის შემდეგ, რომლითაც მაკ-მაჰონის პრეტორიანელებმა[1] პარიზში შეჭრა იდღესასწაულეს? ნუთუ უბრალო ხუმრობად უნდა დარჩენილიყო ეს უკანასკნელი საფარი, მძევლების წაყვანა ბურჟუაზიული მთავრობის შეუჩერებელი ველურობის წინააღმდეგ? არქიეპისკოპოზ დარბუას ნამდვილი მკვლელი — ტიერია. კომუნამ რამდენჯერმე წინადადება მისცა, არქიეპისკოპოზს და მრავალ ხუცესს გაგიცვლი ერთადერთ ბლანკშიო. ეს უკანასკნელი ტიერს მაგრად ეჭირა ხელში. ტიერი ჯიუტად უარზე იდგა. მან იცოდა, რომ ბლანკის სახით იგი კომუნას თავს დაუბრუნებდა, მაშინ როცა არქიეპისკოპოზი მას უკეთ გამოადგებოდა როგორც გვამი. ამ მხრივ ტიერი კავენიაკს ბაძავდა. როგორი აღშფოთების ყიჟინით სდებდნენ ბრალს 1848 წლის ივნისში კავენიაკი და მისი «წესრიგის ადამიანები» ამბოხებულთ არქიეპისკოპოზ აფრის მკვლელობაში! ნამდვილად კი მშვენივრად იცოდნენ, რომ არქიეპისკოპოზი «წესრიგის» ჯარისკაცებმა დახვრიტეს. ეს მათ ამ ამბავის მოხდენისთანავე საჯაროდ დაუმოწმა არქიეპისკოპოზის გენერალურმა ვიკარმა ჟაკმემ, რომელიც მკვლელობის თანადამსწრე იყო.

მთელი ეს ცილისწამებანი, რომელთაც «წესრიგის» პარტია თავისი სისხლიანი ორგიების დროს თავის მსხვერპლთა შესახებ ავრცელებდა, მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ დღევანდელი ბურჟუა თავის თავს ხშირად წინანდელი ფეოდალის კანონიერ მემკვიდრედ თვლის; ეს ფეოდალი კი მართებულად თვლიდა ყოველგვარი იარაღის ხმარებას პლებეების წინააღმდეგ, ხოლო პლებეების მიერ რაიმე იარაღის ხელში დაჭერა თავისთავად დანაშაულს წარმოადგენდა.

გაბატონებული კლასის შეთქმულება რევოლუციის დასათრგუნად უცხოელი დამპყრობელის მფარველობის ქვეშ წარმოებული სამოქალაქო ომის დახმარებით, შეთქმულება, რომლის მსვლელობას ჩვენ კვალდაკვალ მივყევით 4 სექტემბრიდან მაკ-მაჰონის პრეტორიანელების სენ კლუს ჭიშკარში შეჭრამდე, დასრულდა სისხლის აბანოს მოწ-

[1] პრეტორიანელები ძველ რომში ეწოდებოდა მხედართმთავრის ან იმპერატორის პირად გვარდიას, რომელიც მის კმაყოფაზე იმყოფებოდა და სხვადასხვა პრივილეგიებით სარგებლობდა. პრეტორიანელებად აქ ვერსალის არმიაა ნაგულისხმები. რ ე დ.

ყობით პარიზში. ბისმარკი თვითკმაყოფილებით უცქერდა პარიზის ნანგრევებს და შეიძლება მასში დიდი ქალაქების იმ საყოველთაო შემუსვრის პირველ ნაბიჯს ხედავდა, რომლის შესახებ ოცნებობდა, როცა როგორც უბრალო სოფლის მემამულე პრუსიის «უბადლო პალატა»-ში იჯდა 1849 წელს. იგი კმაყოფილებით უცქეროდა პარიზის პროლეტარიატის გვამებს. მის თვალში ეს წარმოადგენს არა მარტო რევოლუციის აღმოფხვრას, არამედ საფრანგეთის აღმოფხვრასაც; ეს უკანასკნელი ახლა მართლაც თავმოჭრილია და ისიც საფრანგეთის მთავრობის მიერ. ყველა წარმატებულ სახელმწიფოებრივ მოღვაწეთათვის დამახასიათებელი ქარაფშუტობის გამო, იგი, მხოლოდ ამ უზარმაზარი ისტორიული მოვლენის ზედაპირს ამჩნევს. სად ნახულა წინათ ისტორიაში გამარჯვებული, რომელსაც თავისი გამარჯვება იმით დაეგვირგვინებინოს, რომ დამარცხებული მთავრობის ჟანდარმის და დაქირავებული კაცის მკვლელის როლი ეკისროს? პრუსიასა და კომუნას შორის ომი როდი ყოფილა. პირიქით, კომუნამ მიიღო წინასწარი ზავის პირობები, ხოლო პრუსიამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. მაშასადამე, პრუსია არ იყო მეომარი მხარე. იგი მოქმედებდა როგორც საზიზღარი დაქირავებული კაცის მკვლელი, იმიტომ რომ ისეთ საქმეს მოჰკიდა ხელი, რომლისგანაც არავითარი საფრთხე არ მოელოდა; იგი დაქირავებული კაცის მკვლელი იყო, იმიტომ რომ მან 500 მილიონის მიღება დამოკიდებულად გამოაცხადა პარიზის დაცემისაგან. სწორედ აი აქ გამომჟღავნდა ამ ომის ჭეშმარიტი ხასიათი, რომელიც განგებამ მოგვივლინა უღვთო და გარყვნილი საფრანგეთის დასასჯელად სათნოებით აღსავსე და ზნეობრივად ფაქიზი გერმანიის მიერ! იმის მაგივრად, რომ საერთაშორისო სამართლის ამ დარღვევას, უმაგალითოს თვით ძველი იურისტების გაგებით, ევროპის «ცივილიზებული» მთავრობანი აეძულებინა, რომ მათ კანონს გარეშე გამოეცხადებინათ სამართლის დამრღვევი პრუსია, პეტერბურგის კაბინეტის ეს უბრალო იარაღი, იგი მათ მხოლოდ საბაბს აძლევს მსჯელობა გამართონ, უნდა გადაეცეს თუ არა ვერსალელ ჯალათებს ომის ის ორიოდე მსხვერპლი, რომელთაც თავი დააღწიეს პარიზის ირგვლივ გაბმულ ორმაგ სადარაჯო ჯაჭვსო.

ის გასაოცარი გარემოება, რომ ახალი დროების უდიდესი ომის შემდეგ გამარჯვებული და დამარცხებული ჯარები ერთმანეთს უკავშირდებიან, რათა პროლეტარიატი ერთად გაჟლიტონ, ამტკიცებს არა იმას, რომ ახალმა ზეალმავალმა საზოგადოებამ თითქოს

საბოლოოდ მარცხი განიცადა, როგორც ეს ბისმარკს ეგონა, არამედ იმას, რომ ძველი ბურჟუაზიული საზოგადოება სავსებით გაიხრწნა, იმ უდიდესი გმირული პათოსის გამოხატულება, რომლის უნარიც ძველ საზოგადოებას კიდევ შესწევდა, ეროვნული ომი იყო, ჩანს, რომ ეს ომიც მთავრობის წმინდა თაღლითობა ყოფილა და თაღლითობის ერთადერთი მიზანია კლასობრივი ბრძოლა გადაწიოს შორეული დროისათვის, მაგრამ ამ თაღლითობას მაშინვე განზე გადააგდებენ ხოლმე, როგორც კი კლასობრივ ბრძოლას სამოქალაქო ომის ცეცხლი მოედება. კლასობრივ ბატონობას აღარ ძალუძს თავი ეროვნულ წამოსასხამში დამალოს: ეროვნული მთავრობანი პროლეტარიატის წინააღმდეგ ერთარსნი არიან.

1871 წლის სამებობის დღის შემდეგ შეუძლებელია როგორც ბურჟუაზიანობის, ისე დროებითი ზავის დამყარება საფრანგეთის მუშებსა და მათი შრომის პროდუქტების მიმთვისებელთა შორის. შესაძლებელია დაქირავებული ჯარისკაცების რკინის ხელმა ერთ ხანს მორჩილებაში იყოლიოს ორივე ეს კლასი. მაგრამ მათ შორის ბრძოლა კვლავ იფეთქებს კიდევ მეტი სიძლიერით და უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, თუ ვინ გაიმარჯვებს საბოლოოდ — ორიოდე მიმთვისებელი თუ უზარმაზარი მშრომელი უმრავლესობა. საფრანგეთის მუშები წარმოადგენენ მხოლოდ მოწინავე რაზმს მთელი თანამედროვე პროლეტარიატისა.

იმ დროს, როცა ევროპის მთავრობანი პარიზის კარიბჭესთან კლასობრივი ბატონობის საერთაშორისო ხასიათს ადასტურებდნენ, ისინი ხმამაღლა გაჰკივიან, რომ უბედურების მთავარი წყაროა მუშათა საერთაშორისო ასოციაციაო, ე. ი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია კაპიტალის მსოფლიო შეთქმულების წინააღმდეგ. ტიერი ამ ორგანიზაციას უჩიოდა: იგი შრომის დესპოტია, რომელსაც თავი მის გამანთავისუფლებლად მოაქვსო. პიკარმა აკრძალა ყოველი ურთიერთობა ინტერნაციონალის ფრანგ წევრებსა და საზღვარგარეთელ წევრებს შორის; ტიერის ძველმა, უკვე მუმიად გადაქცეულმა თანაბოროტგანმზრახველმა 1835 წლიდან — გრაფმა ჟობერმა განაცხადა: ყოველი მთავრობის უპირველესი ამოცანა ინტერნაციონალის აღმოფხვრაა. ეროვნული კრების «პროვინციელი აზნაურები» ღმუიან ინტერნაციონალის წინააღმდეგ, ხოლო ევროპის პრესა ბანს ამბობს ამ ხოროში. ერთი პატივცემული ფრანგი მწერალი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჩვენს ასოციაციასთან, შემდეგს ამბობს: «როგორც ნაციონალური გვარდიის ცენტრალური

კომიტეტის წევრები, ისე კომუნის წევრთა დიდი უმრავლესობა ყველაზე მოქმედ, შორსმჭვრეტელ და ენერგიულ ადამიანებს წარმოადგენენ მუშათა საერთაშორისო ასოციაციაში; ისინი სრულიად პატიოსანნი არიან, გულწრფელნი, ჭკუადამჯდარნი, თავგანწირულნი, უმწიკვლონი და ფანატიკოსნი ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით». შეფერადებულ ბურჟუაზიულ გონებას მუშათა საერთაშორისო ასოციაცია, რასაკვირველია, წარმოდგენილი აქვს როგორც რაღაც ფარული შეთქმულება, რომლის ცენტრალური გამგეობა დროგამოშვებით ამბოხებას ნიშნავს სხვადასხვა ქვეყანაში. ნამდვილად კი ჩვენი ასოციაცია წარმოადგენს მხოლოდ საერთაშორისო კავშირს, რომელიც განათლებული კაცობრიობის სხვადასხვა ერების მოწინავე მუშებს აერთიანებს. სადაც უნდა იჩინოს თავი კლასობრივმა ბრძოლამ, რა ფორმაც უნდა მიიღოს და რა პირობებშიც უნდა იწარმოოს, ჩვენი ასოციაციის წევრები, რასაკვირველია, პირველ რიგში იდგებიან. ნიადაგი, რომელზედაც ეს ასოციაცია აღმოცენდა, თვით თანამედროვე საზოგადოებაა. მისი შემუსვრა შეუძლებელია, რამდენი სისხლიც უნდა დაიღვაროს. მის შესამუსრავად მთავრობებს უწინარეს ყოვლისა უნდა შეემუსრათ კაპიტალის დესპოტური ბატონობა შრომაზე, ე. ი. თვით თავისი საკუთარი პარაზიტული არსებობის საფუძველი.

მუშათა პარიზი მისი კომუნითურთ ყოველთვის პატივცემული იქნება როგორც ახალი საზოგადოების სახელოვანი წინამორბედი. მისი წამებულნი სამარადისოდ აღბეჭდილნი არიან მუშათა კლასის დიად გულში. ხოლო მისი ჯალათნი ისტორიამ უკვე მიაკრა სამარცხვინო ბოძს, საიდანაც მათ ვეღარ მოხსნის მათი ხუცების ვერავითარი ლოცვანი.

ლონდონი, 1871 წ. 30 მაისი.

დამატებანი

I

1. «ტყვეების გუნდი შეჩერდა ავენიუ ურიხზე და ოთხ თუ ხუთ კაცად ჩამწკრივებული იქნა ქვაფენილზე პირით ქუჩისაკენ. გენერალი მარკიზი დე გალიფე და მისი შტაბი ცხენებიდან ჩამოხტნენ და რაზმების დათვალიერებას შეუდგნენ მარცხენა ფრთიდან

დაწყებული. გენერალმა ნელი ნაბიჯით გაიარა რიგების გასწვრივ; აქა-იქ იგი ჩერდებოდა, ამა თუ იმ კაცის მხრებს ეხებოდა ან ამა თუ იმას უკანა რიგებიდან თითით იწვევდა. გადარჩეულთ, უმეტეს შემთხვევაში ულაპარაკოდ, შუა ქუჩაში აყენებდნენ, სადაც მათგან ჩქარა ცალკე რაზმი შედგა... ცხადი იყო, რომ აქ შეიძლებოდა დიდი შეცდომები მომხდარიყო. ცხენოსანმა ოფიცერმა გენერლის ყურადღება მიაქცია ერთ მამაკაცს და ერთ დედაკაცს ვითომდა მათ მიერ ჩადენილი რაღაც განსაკუთრებული დანაშაულის გამო. დედაკაცი რიგებიდან გამოვარდა, მუხლებზე დაეცა და ხელებგაშვერილი ცხარედ თავის უდანაშაულობას ამტკიცებდა. გენერალმა ცოტა ხანს ყური დაუგდო, ხოლო შემდეგ წარმოთქვა სრულიად წყნარად და შეუშფოთებლად: «ქალბატონო, მე ყველა თეატრი მინახავს პარიზში, თავს ნუ იწუხებთ და კომედიას ნუ თამაშობთ». ცუდი ბედი ეწვია ამ დღეს, ვინც რითიმე განირჩეოდა თავის მეზობელთაგან, მათზე შესამჩნევად უფრო მაღალი, უფრო ჭუჭყიანი, უფრო სუფთა, უფრო ხნიერი ან უფრო ულამაზო თუ იყო. მე განსაკუთრებით თვალში მეცა, რომ ერთი მამაკაცი მხოლოდ იმიტომ იქნა განთავისუფლებული სხვებზე ადრე ამ ქვეყნიური ტვირთისაგან, რომ მას ჩაჭყლეტილი ცხვირი ჰქონდა... ამრიგად გადაარჩიეს ას კაცზე მეტი და მათ დასახვრეტად რაზმი გამოჰყვეს; დანარჩენები წაიყვანეს, ხოლო გადარჩეულები იქვე დატოვეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენს უკან სროლის ხმა გაისმა, დაახლოებით ეს სროლა მეოთხედ საათზე მეტს გაგრძელდა. ეს იყო ამ მარტივად გასამართლებულ ადამიანთა დასჯა» («Daily News», 8 ივნისის კორესპონდენცია პარიზიდან).

ეს გალიფე, «ხასა თავისი ცოლისა, რომელიც ესოდენ სახელგანთქმული იყო თავისი სხეულის უსირცხვილო გამოფენით მეორე იმპერიის ორგიებში», ომის დროს ცნობილი გახდა ფრანგი პრაპორშჩიკის პისტოლის სახელით.

«Temps» [1] — ეს ფრთხილი გაზეთი, რომელიც სრულიადაც არ მისდევს სენსაციებს, შემზარავ ამბავს მოგვითხრობს სანახევროდ დახვრეტილი და ცოცხლად დასაფლავებული ადამიანების შესახებ. «მრავალი მათგანი დასაფლავებული იქნა სენ-ჟაკ-ლაბუშერის მოედანთან; ზოგიერთს მხოლოდ ოდნავ მიწა გადააყარეს. დღისით ქუჩების ხმაურობა ყოველივეს ახშობდა, მაგრამ ღამის სიწყნარეში

[1] «Temps» («დრო») — საფრანგეთის ყოველდღიური გავლენიანი გაზეთი ლიბერალური მიმართულებისა; გამოდიოდა პარიზში 1861 წლიდან 1943 წლამდე. რ ე დ.

მეზობელი სახლების ბინადრები გამოაღვიძა შორეულმა კვნესამ, ხოლო მეორე დილით მიწიდან ამოშვერილი მუშტი დაინახეს. ამიტომ ბრძანება გამოვიდა, ხელახლა ამოთხარეთ გვამებიო.... არავითარი ეჭვი არა მაქვს, რომ მრავალი დაჭრილი ცოცხლად იქნა დამარხული. მე შემიძლია დავამოწმო ერთი ფაქტი. 24 მაისს ბრიუნელი და მისი სატრფო ერთად დახვრიტეს ერთი სახლის ეზოში ვანდომის მოედანზე, მათი გვამები იქ ეყარა 27 მაისის საღამომდე, როცა, ბოლოს, გვამების ასაღებად მოვიდნენ, ქალი კიდევ ცოცხალი აღმოჩნდა, იგი ლაზარეთში წაიყვანეს. თუმცა ამ ქალს ოთხი ტყვია მოხვდა, დღეს მას საფრთხე აღარ მოელის («Evening Standard», 8 ივნისი, კორესპონდენცია პარიზიდან).

II

ლონდონის «Times»-ში [1] 13 ივნისს შემდეგი წერილი გამოქვეყნდა:

გაზეთ «Times»-ის რედაქტორს

მოწყალეო ხელმწიფევ!

1871 წლის 6 ივნისს ჟიულ ფავრმა ცირკულარული მიმართვა დაუგზავნა ყველა ევროპულ სახელმწიფოს, სადაც იგი მოუწოდებს მუშათა საერთაშორისო ასოციაციის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისაკენ. ამ დოკუმენტის დასახასიათებლად რამდენიმე შენიშვნაც კი საკმაოა.

ჩვენი სტატუტების შესავალშივე აღნიშნულია, რომ ინტერნაციონალი დაარსებულ იქნა 28 სექტემბერს 1864 წელს საჯარო სხდომაზე ლონდონში, ლონგ-ეიკერი, სენტ-მარტინს-ჰოლში. გარკვეული მოსაზრების გამო, რომელიც მისთვის უკეთაა ცნობილი, ჟიულ ფავრს ინტერნაციონალის დაარსების თარიღი 1862 წელზე გადააქვს.

ჩვენი პრინციპების განსამარტავად, მას მოჰყავს «მისი (ინტერნაციონალის) 1869 წლის 25 მარტის პროკლამაცია. რა მოჰყავს მას ნამდვილად? ერთი ისეთი საზოგადოების პროკლამაცია, რომელიც სრულებითაც არაა ინტერნაციონალი. ასეთ ოინებს იგი მიმართავდა, როცა, როგორც საკმაოდ ახალგაზრდა ადვოკატი, პარიზის გაზეთს «National»-ს იცავდა ცილისწამების ბრალდებისგან, რომელიც ამ

[1] «Times» («დროება») — ძლიერ გავლენიანი ინგლისური გაზეთი, დაარსებულია 1788 წ. XIX საუკუნის 70-იან წლებში ლიბერალური მიმართულების იყო. რედ.

უკანასკნელს კაბემ წარუდგინა. მაშინ იგი ირწმუნებოდა ციტატებს ვკითხულობ კაბეს ბროშურიდანო, ნამდვილად კი თავის მიერვე ჩამატებულ წინადადებებს კითხულობდა. ეს ოინი გამოაშკარავებულ იქნა მთელი სასამართლოს წინაშე და თუ კაბეს თავაზიანობა არ გამოეჩინა, ჟიულ ფავრს დასჯიდნენ იმით, რომ პარიზის ადვოკატების კორპორაციიდან გამორიცხავდნენ. ყველა საბუთიდან, რომელთა ციტირებას აწარმოებს იგი როგორც ინტერნაციონალის საბუთებისა, არც ერთი არ ეკუთვნის ინტერნაციონალს. მაგალითად, ის ამბობს: «ალიანსი თავის თავს ათეისტურად აცხადებს, როგორც ამას ამბობს გენერალური საბჭო, რომელიც ლონდონში 1869 წლის ივლისში დაფუძნდა». გენერალურ საბჭოს არასოდეს არ გამოუქვეყნებია ასეთი საბუთი. პირიქით, მან გამოაქვეყნა საბუთი, რომელიც აბათილებს ალიანსის — ჟენევის სოციალისტური დემოკრატიის ალიანსის სტატუტებს, რომელიც ჟიულ ფავრს მოჰყავს.

მთელ ამ ცირკულარში, რომელიც, თითქოს ნაწილობრივ იმპერიის წინააღმდეგაცაა მიმართული, ჟიულ ფავრი ინტერნაციონალის წინააღმდეგ იმეორებს მხოლოდ ბონაპარტისტული პროკურორების პოლიციურ ზღაპრებს, რომელნიც უკუგდებულ იქნენ თვით ამ იმპერიის სასამართლოებში.

ცნობილია, რომ ინტერნაციონალის გენერალურმა საბჭომ თავის ორ მოწოდებაში (1870 წლის ივლისსა და სექტემბერში), რომელიც უკანასკნელი ომის გამო იყო დაწერილი, ამხილა პრუსიის დაპყრობითი მიზნები საფრანგეთის მიმართ. ამის შემდეგ ჟიულ ფავრის პირადმა მდივანმა, ბატონმა რეიტლინგერმა, რასაკვირველია, უნაყოფოდ, გენერალური საბჭოს ზოგიერთ წევრს მიმართა, გენერალურმა საბჭომ ბისმარკის წინააღმდეგ მასობრივი დემონსტრაცია მოახდინოს ნაციონალური თავდაცვის მთავრობისთვის მხარის დასაჭერადო; ამასთანავე განსაკუთრებით ითხოვეს, კრინტსაც ნუ დასძრავთ რესპუბლიკაზეო. ლონდონში მოამზადეს დემონსტრაცია ჟიულ ფავრის მოსალოდნელი მოსვლის გამო, რასაკვირველია, საუკეთესო განზრახვებით, მაგრამ გენერალური საბჭოს სურვილის წინააღმდეგ. ეს საბჭო 9 სექტემბრით დათარიღებულ მოწოდებაში პარიზის მუშებს გარკვეულად და წინასწარვე აფრთხილებდა ჟიულ ფავრისა და მისი კოლეგების წინააღმდეგ.

რას იტყოდა ჟიულ ფავრი, რომ ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოს თავის მხრით ჟიულ ფავრის შესახებ ცირკულარით მიემართა ყველა ევროპული მთავრობისთვის, რათა მათი განსაკუთრებუ-

ლი ყურადღება მიექცია განსვენებული ბ. მილიერის მიერ პარიზში გამოქვეყნებულ საბუთებზე?

დავშთები, მოწყალეო ხელმწიფეე, თქვენი უმორჩილესი მსახური.

მუშათა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური საბჭოს მდივანი

ჯონ ჰეილზი.

ლონდონი,
1871 წ. 12 ივნისი

ლონდონის «Spectator»-ს, (24 ივნისის ნომერი), როგორც ღვთისმოსავ დამბეზღებელს, თავის სტატიაში «საერთაშორისო ასოციაციისა და მისი მიზნების შესახებ», სხვა მხატვრული ოინების გვერდით, რომელნიც, თუ გნებავთ, კიდევ უფრო სრულყოფილნი არიან, ვიდრე ჟიულ ფავრის ოინები, ალიანსის ზემოხსენებული დოკუმენტი მოჰყავს როგორც ინტერნაციონალის ნაწარმოები; ეს ხდება თერთმეტი დღის შემდეგ, რაც გაზეთ «Times»-ში ზემოაღნიშნული უარყოფა გამოქვეყნდა. ეს ჩვენ როდი გვაკვირვებს. ჯერ კიდევ ფრიდრიხ დიდი ამბობდა ხოლმე, იეზუიტებს შორის ყველაზე უარესი პროტესტანტი იეზუიტები არიანო.

დაწერილია კ. მარქსის მიერ 1871 წლის აპრილსა და მაისში და დამტკიცებულია საერთაშორისო მუშათა ასოციაციის გენერალური საბჭოს სხდომაზე 1871 წლის 30 მაისს.

პირველად გამოქვეყნებულ იქნა ლონდონში 1871 წელს ცალკე ბროშურის სახით. მაშინვე გამოქვეყნებულ იქნა გერმანულ და ფრანგულ ენებზე. გერმანული ტექსტი ფრ. ენგელსის რედაქციითა და წინასიტყვაობით ცალკე გამოცემის სახით გამოვიდა 1891 წელს ბერლინში.

იბეჭდება 1871 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემული ბროშურის ტექსტის მიხედვით. შედარებულია 1891 წლის გერმანულ გამოცემასთან.

თარგმნილია ინგლისურიდან.

ფ. ენგელსი

ბინის საკითხისათვის

წინასიტყვაობა მეორე გამოცემისათვის

ეს თხზულება გადანაბეჭდია იმ სამი სტატიისა, რომლებიც მე 1872 წელს ლაიფციგის «**Volksstaat**»-ში[1] მოვათავსე. სწორედ მაშინ მორწყო გერმანია წვიმასავით წამოსულმა ფრანგულმა მილიარდებმა[2]; გადახდილ იქნა სახელმწიფო ვალები, აშენდა ციხესიმაგრეები და ყაზარმები, განახლდა და შეივსო იარაღის და საჭურვლის მარაგი. თავისუფალი კაპიტალი, ისევე როგორც მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა, ერთბაშად გაიზარდა დიდი რაოდენობით, და ყოველივე ეს სწორედ იმ დროს მოხდა, როცა გერმანია მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა არა მარტო როგორც «ერთიანი სახელმწიფო», არამედ როგორც მსხვილი სამრეწველო ქვეყანაც. მილიარდებმა მძლავრი აღმავლობის შესაძლებლობა მისცა ახალგაზრდა მსხვილ მრეწველობას; სწორედ ამ მილიარდებმა გამოიწვია უწინარეს ყოვლისა ომის შემდეგ ხანმოკლე, ილუზიებით აღსავსე პერიოდი აყვავებისა, ხოლო სულ მალე ამის შემდეგ, 1873 — 1874 წლებში, დიდი კრახი, რომლითაც დადასტურდა, რომ გერმანია სამრეწველო ქვეყანაა, რომელსაც მსოფლიო ბაზარზე გამოსვლის უნარი შესწევს.

---

[1] «**Volksstaat**» («ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (აიზენახელების) ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ლაიფციგში 1869 წლიდან 1876 წლამდე. რ ე დ.

[2] ლაპარაკია საფრანგეთის მიერ გერმანიისათვის 5 მილიარდი ფრანკის რაოდენობით იმ კონტრიბუციის გადახდაზე, რომელიც დადგენილ იქნა ფრანკფურტის საზავო ხელშეკრულებით 1871 წ. 10 მაისს. რ ე დ.

დრო, როცა ძველი კულტურული ქვეყანა ახდენს ასეთ გადასვლას, თანაც ესოდენ ხელსაყრელი გარემოებებით დაჩქარებულ გადასვლას, მანუფაქტურიდან და წვრილი წარმოებიდან მსხვილ მრეწველობაზე, — არის ხოლმე უმთავრესად აგრეთვე «ბინის გაჭირვების» დროც. ერთი მხრივ, ადგილი აქვს სოფლის მუშათა მასების ერთბაშად მიზიდვას დიდ ქალაქებში, რომლებიც სამრეწველო ცენტრებად ვითარდებიან; მეორე მხრივ, ამ ძველი ქალაქების მშენებლობის გეგმა აღარ შეეფერება უკვე ახალი მსხვილი მრეწველობისა და მისი შესაბამისი მოძრაობის პირობებს; აფართოებენ ქუჩებს, გაჰყავთ ახალი ქუჩები და მათზე რკინიგზები. სწორედ მაშინ, როცა მუშები მრავლად მიილტვიან ქალაქებისაკენ, იქ ხდება მუშების ბინების მასობრივი ნგრევა. აქედან წარმოსდგება ბინის უეცარი გაჭირვება როგორც მუშებისათვის, ისე წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნებისთვისაც, რომელთა კლიენტურასაც მუშები შეადგენენ. ქალაქებში, რომლებიც იმთავითვე წარმოიშვნენ როგორც სამრეწველო ცენტრები, ბინის ეს გაჭირვება თითქმის უცნობია. ასე იყო, მაგალითად, მანჩესტერში, ლიდსში, ბრედფორდში, ბარმენსა და ელბერფელდში. პირიქით, ლონდონში, პარიზში, ბერლინში, ვენაში ბინის გაჭირვებამ თავის დროზე უაღრესად მწვავე ფორმები მიიღო და მეტწილად დღესაც ქრონიკულ მოვლენას წარმოადგენს.

სწორედ ბინის ამ მწვავე გაჭირვებამ, რაც სიმპტომი იყო იმ სამრეწველო რევოლუციისა, რომელიც გერმანიაში ხდება, გამოიწვია მაშინ პრესაში «ბინის საკითხის» ფართო განხილვა და საბაბი მისცა ყოველგვარ სოციალურ შარლატანობას. მთელი რიგი ასეთი სტატიები გამოქვეყნდა აგრეთვე «Volksstaat»-ში. უსახელო ავტორმა, რომელმაც თავისი ვინაობა შემდეგში გამოამჟღავნა, რომ ის არის მედიცინის დოქტორი მიულბერგერი ვიურტემბერგიდან, — ეს შემთხვევა ხელსაყრელ საბაბად მიიჩნია იმისათვის, რათა ამ საკითხით გერმანელი მუშებისათვის ნათელი გაეხადა პრუდონული სოციალური პანაცეას სასწაულებრივი მოქმედება. როცა მე რედაქციის წინაშე ჩემი განცვიფრება გამოვთქვი ასეთი უცნაური სტატიების დაბეჭდვის გამო, წინადადება მომცეს პასუხი დამეწერა, რაც მე კიდეც შევასრულე (იხ. I განყოფილება: «როგორ წყვეტს პრუდონი ბინის საკითხს»). ამ მთელი რიგი სტატიების შემდეგ მალე დავბეჭდე მეორე სტატია, სადაც მე, დ-რ ემილ ზაქსის წიგნის საფუძველზე, ვარკვევდი ფილანთროპულ-ბურჟუაზიულ შეხედულებას ამ საკითხზე (იხ. II განყოფილება: «როგორ

წყვეტს ბურჟუაზია ბინის საკითხს»). დიდი ხნის დუმილის შემდეგ დ-რმა მიულბერგერმა როგორც იქნა მაღირსა პასუხი ჩემ სტატიებზე, რამაც მე იძულებული გამხადა კვლავ მეპასუხნა (იხ. III განყოფილება: «ერთხელ კიდევ პრუდონზე და ბინის საკითხზე»); ამით დამთავრდა კიდეც როგორც პოლემიკა, ისე ჩემი სპეციალური მუშაობაც ამ საკითხზე. ასეთია წარმოშობის ისტორია სტატიათა ამ სამი სერიისა, რომლებიც აგრეთვე ცალკე ბროშურადაც გამოვიდა. თუ ამჟამად ახალი გამოცემა საჭირო შეიქნა, მე ამას, უეჭველია, კვლავ უნდა ვუმადლოდე გერმანიის საიმპერიო მთავრობის მწყალობელ მზრუნველობას, მთავრობისა, რომელმაც თავისი აკრძალვით ხელი შეუწყო, როგორც ყოველთვის, ამ წიგნის გაძლიერებულ მოთხოვნას, და რომელსაც მე აქ უმორჩილესად მადლობას ვწირავ.

ახალი გამოცემისათვის მე გადავსინჯე ტექსტი, რამდენიმე დამატება და შენიშვნა ჩავურთე და პირველ განყოფილებაში შევასწორე ერთი პატარა ეკონომიური შეცდომა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩემ მოწინააღმდეგეს დ-რ მიულბერგერს, შეუმჩნეველი დარჩა.

ამ გადასინჯვის დროს ჩემთვის სრულიად ნათელი გახდა, თუ რა კოლოსალურ წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო მუშათა მოძრაობამ უკანასკნელი თოთხმეტი წლის მანძილზე. მაშინ ჯერ კიდევ ფაქტი იყო, რომ «რომანულ ენაზე მოლაპარაკე მუშებს ოცი წლის განმავლობაში არავითარი სხვა სულიერი საზრდო არ ჰქონდათ, გარდა პრუდონის-ნაწარმოებებისა», და, ყოველ შემთხვევაში, გარდა პრუდონიზმის იმ შემდგომი გამარტივებისა, რომელიც მოახდინა «ანარქიზმის» მამამ, ბაკუნინმა, რომლის თვალშიც პრუდონი «ჩვენი საერთო მასწავლებელი» (**notre maître à nous tous**) იყო. თუმცა პრუდონისტები საფრანგეთში მხოლოდ პატარა სექტას წარმოადგენდნენ მუშებს შორის, მაინც მხოლოდ მათ ჰქონდათ გარკვეულად ჩამოყალიბებული პროგრამა და შეეძლოთ კომუნის დროს ეკონომიურ დარგში ხელმძღვანელობა ეკისრნათ. ბელგიაში პრუდონიზმი უცილობლად ბატონობდა ვალონელ მუშებს შორის, ხოლო ესპანეთისა და იტალიის მუშათა მოძრაობაში ყველაფერი, გარდა მეტად მცირედი გამონაკლისისა, თუ ანარქისტული არა, გადაჭრით პრუდონისტული იყო. დღეს კი? საფრანგეთში მუშებმა პრუდონს მთლიანად შეაქციეს ზურგი, მას ჯერ კიდევ ჰყავს მიმდევრები მხოლოდ რადიკალურ ბურჟუებსა და წვრილ ბურჟუებს შორის, რომელნიც პრუდონისტების სახით თავის თავს აგრეთვე «სოცია-

ლისტებს» უწოდებენ, მაგრამ სოციალისტი მუშები მათ საშინელი გააფთრებით ებრძვიან. ბელგიაში ფლამანდიელებმა მოძრაობის ხელმძღვანელობა ხელიდან გამოსტაცეს ვალონელებს, უარჰყვეს პრუდონიზმი და უაღრესად წასწიეს წინ მოძრაობა. ესპანეთში, ისევე როგორც იტალიაში, 70-იანი წლების ანარქიზმის ძლიერმა ტალღამ გადაიარა და თან წალეკა პრუდონიზმის ნაშთები; თუ იტალიაში ახალი პარტია ჯერ კიდევ გამორკვევისა და ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება, ესპანეთში პატარა ბირთვი, რომელიც ახალი მადრიდის ფედერაციის სახით ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს ერთგული რჩებოდა, ისეთ მძლავრ პარტიად განვითარდა, რომელიც, როგორც ეს თვით რეპუბლიკური პრესიდან ჩანს, გაცილებით უფრო წარმატებით სპობს ბურჟუაზიული რესპუბლიკელების გავლენას მუშებზე, ვიდრე ეს მის მყვირალა წინამორბედებს — ანარქისტებს ოდესმე შეეძლოთ. პრუდონის დავიწყებული ნაწარმოებების ადგილი რომანელი მუშებისათვის დაიკავეს «კაპიტალმა», «კომუნისტურმა მანიფესტმა» და მარქსისტული სკოლის მთელმა რიგმა სხვა ნაწარმოებებმა; მარქსის მთავარი მოთხოვნა — საზოგადოების სახელით წარმოების ყველა საშუალების ხელში ჩაგდება პროლეტარიატის მიერ, რომელმაც პოლიტიკურ ერთხელისუფლებიანობას მიაღწია, — ახლა მთელი რევოლუციური მუშათა კლასის მოთხოვნად იქცა რომანულ ქვეყნებშიც.

მაგრამ თუ პრუდონიზმი რომანული ქვეყნების მუშების მიერაც კი საბოლოოდ უკუგდებულია, თუ იგი ახლა, თავისი ნამდვილი დანიშნულების შესაბამისად, მხოლოდ ფრანგი, ესპანელი, იტალიელი და ბელგიელი ბურჟუაზიული რადიკალების ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ მისწრაფებათა გამოხატულებას წარმოადგენს, მაშინ რატომ უნდა დავუბრუნდეთ მას კიდევ ამჟამად? ხელახლა რატომ უნდა ვებრძოლოთ გარდაცვალებულ მოწინააღმდეგეს ამ სტატიების გადაბეჭდვით?

იმიტომ რომ, ჯერ-ერთი, ეს სტატიები არ შემოისაზღვრება მარტო პრუდონისა და მისი გერმანელი წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული პოლემიკით. შრომის იმ განაწილების შედეგად, რომელიც მარქსსა და ჩემს შორის არსებობდა, მე წილად მხვდა ჩვენი შეხედულებების დაცვა პერიოდულ პრესაში, მაშასადამე, განსაკუთრებით მოწინააღმდეგეთა შეხედულებებთან ბრძოლაში, რათა ამით მარქსს დრო დარჩენოდა თავისი დიადი ძირითადი ნაწარმოების დასამუშავებლად. ამის გამო მე მიხდება ჩვენი შეხედულებების გადმოცემა და მათი დაპირდაპირება სხვა შეხედულე-

ბებისადმი, უმეტეს შემთხვევაში პოლემიკური ფორმით. ასე იყო ამ შემთხვევაშიც. I და III განყოფილებანი შეიცავენ საკითხის არა მარტო პრუდონისებური განმარტების კრიტიკას, არამედ ჩვენი საკუთარი შეხედულების გადმოცემასაც.

მეორე, პრუდონმა ევროპის მუშათა მოძრაობის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და შეუძლებელია მისი სახელი უბრალოდ დავიწყებას მიეცეს. თეორიულად უარყოფილი, პრაქტიკულ ცხოვრებაში განზე მიგდებული, იგი ისტორიულ ინტერესს ინარჩუნებს. ვინც თანამედროვე სოციალიზმს რამდენადმე საფუძვლიანად სწავლობს, მან უნდა შეისწავლოს აგრეთვე მოძრაობის ის «თვალსაზრისიც», რომელიც «დაძლეულ იქნა». მარქსის «ფილოსოფიის სიღატაკე» რამდენიმე წლით ადრე გამოვიდა, ვიდრე პრუდონი საზოგადოების რეფორმის შესახებ თავის პრაქტიკულ წინადადებებს წამოაყენებდა. მარქსს მაშინ შეეძლო მხოლოდ გამოემჟღავნებინა პრუდონული საცვლელი ბანკის ჩანასახი და გაეკრიტიკებინა იგი. მარქსის ნაწარმოებს ამ მხრივ, მაშასადამე, ავსებს ეს ბროშურა, მაგრამ, სამწუხაროდ, არა საკმაოდ სრულყოფილად. მარქსი ყოველივე ამას გაცილებით უკეთესად და უფრო დამაჯერებლად გააკეთებდა.

დასასრულ, ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ სოციალიზმს დღემდე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები ჰყავს გერმანიაში. სახელდობრ, ერთი მხრივ, კათედერ-სოციალისტებისა და ყოველი სახის ფილანთროპების სახით, რომლებთანაც ჯერ კიდევ დიდ როლს ასრულებს სურვილი იმისა, რომ გადააქციონ მუშები თავიანთი ბინების მესაკუთრეებად; მაშასადამე, მათ წინააღმდეგ ჩემი ნაშრომი ჯერ კიდევ დროულია. მეორე მხრივ, თვით სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რაიხსტაგის ფრაქციის ჩათვლით, გარკვეული სახის წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი თავის წარმომადგენლებს პოულობს. ეს ხდება, სახელდობრ, ისეთი ფორმით, რომ მართალია თანამედროვე სოციალიზმის ძირითადი შეხედულებანი და წარმოების ყველა საშუალების საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევის მოთხოვნა მართებულად მიაჩნიათ, მაგრამ მათ განხორციელებას შესაძლებლად აღიარებენ მხოლოდ შორეული, პრაქტიკულად გაურკვეველი დროისათვის. ამით აწმყოში მხოლოდ სოციალური შეკეთებით კმაყოფილდებიან და, გარემოებისდა მიხედვით, შეუძლიათ უთანაგრძნონ კიდევ ყველაზე რეაქციულ მისწრაფებებს იმისადმი, რომ მოხდეს ეგრეთწოდებული «აღმავლობა მშრომელი კლასისა». ასეთი მიმართულების არსებობა სავსებით

გარდუვალია გერმანიაში, რომელიც უმთავრესად წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა, და განსაკუთრებით ისეთ დროს, როცა სამრეწველო განვითარება ამ ძველთაგანვე დამკვიდრებულ წვრილ ბურჟუაზიას ნაძალადევად და მასობრივად სპობს ძირფესვიანად. ეს, სხვათა შორის, სრულიად არაა საშიში მოძრაობისათვის ჩვენი მუშების იმ განსაცვიფრებლად საღი აზროვნების პირობებში, რაც მათ ასე საუცხოოდ გამოიჩინეს სწორედ უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში, როცა წარმოებდა ბრძოლა სოციალისტების შესახებ გამოცემული კანონის წინააღმდეგ, პოლიციისა და მოსამართლეთა წინააღმდეგ. მაგრამ საჭიროა ნათლად გავერკვეთ იმაში, რომ ასეთი მიმართულება არსებობს. და თუ ეს მიმართულება შემდეგში ოდესმე უფრო მტკიცე ფორმას და უფრო გარკვეულ კონტურებს მიიღებს, რაც აუცილებელი და სასურველიც კია, მაშინ ის იძულებული იქნება თავისი პროგრამის ჩამოყალიბებისათვის თავის წინამორბედებს დაუბრუნდეს, და ამასთან არ მგონია პრუდონსაც გვერდი აუაროს.

«ბინის საკითხის» როგორც მსხვილბურჟუაზიული, ისე წვრილბურჟუაზიული გადაწყვეტის ძირითადი მომენტი ისაა, რომ მუშის ბინა მუშის საკუთრებას შეადგენდეს. მაგრამ ეს ის პუნქტია, რომელმაც უკანასკნელი 20 წლის მანძილზე გერმანიის სამრეწველო განვითარების წყალობით სრულიად თავისებური გაშუქება ჰპოვა. არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არის ასე დიდი რაოდენობით დაქირავებული მუშები, რომელთაც საკუთრებად აქვთ არა მარტო თავიანთი ბინები, არამედ ბოსტანიც ანდა მიწის ნაკვეთიც; ამასთანავე ერთად დიდი რაოდენობით არიან სხვა მუშებიც, რომელთაც, ფაქტიურად საკმაოდ უზრუნველყოფილი მფლობელობის პირობებში, აქვთ სახლი, ბოსტანი ან მიწის ნაკვეთი როგორც მოიჯარეებს. სოფლის შინამრეწველობა მებოსტნეობასა და წვრილ მემინდვრეობასთან ერთად ფართო საფუძველს შეადგენს გერმანიის ახალგაზრდა მსხვილი მრეწველობისათვის; დასავლეთში მუშები არიან უპირატესად მესაკუთრენი, აღმოსავლეთში კი — უმთავრესად თავიანთი საცხოვრებელი ბინების მოიჯარენი. შინამრეწველობის ეს კავშირი მებოსტნეობასა და მემინდვრეობასთან და, მაშასადამე, უზრუნველყოფილ ბინასთან ერთად, გვხვდება არა მარტო ყველგან, სადაც ხელით ქსოვა ჯერ კიდევ ებრძვის მექანიკურ საქსოვ დაზგას: ქვემო რაინსა და ვესტფალიაში, საქსონიის მადნეულის მთებსა და სილეზიაში; ამ კავშირს ვნახულობთ ყველგან, სადაც კი ამა თუ იმ სახის შინამრეწველობა დამკვიდრებულა რო-

გორც სოფლის სარეწი, როგორც, მაგალითად, ტიურინგიის ტყეესა და რაინის მთებში. თამბაქოს მონოპოლიის საკითხის განხილვისას გამოირკვა, რომ სიგარების დამზადებამაც კი უკვე სოფლის შინამრეწველობის ხასიათი მიიღო. და როცა წვრილ გლეხებს შორის თავს იჩენს რაიმე გაჭირვება, როგორც ეს, მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ აიფელში მოხდა, ბურჟუაზიული პრესა მაშინვე ხმაურს იწყებს და მოითხოვს დანერგილ იქნას შესაფერი შინამრეწველობა როგორც დახმარების ერთადერთი საშუალება. მართლაც, გერმანელი წვრილი გლეხების მზარდი გაჭირვება, ისევე როგორც გერმანიის მრეწველობის საერთო მდგომარეობა აუცილებლად იწვევს სოფლის შინამრეწველობის შემდგომ გაფართოებას. ეს გერმანიის დამახასიათებელი მოვლენაა. რაღაც ამის მსგავსს ვხედავთ საფრანგეთში მხოლოდ როგორც გამონაკლისს, მაგალითად, მეაბრეშუმეობის რაიონებში; ინგლისში, სადაც წვრილი გლეხები არ არიან, სოფლის შინამრეწველობა დამყარებულია მოჯამაგირეთა ცოლებისა და ბავშვების შრომაზე; მხოლოდ ირლანდიაში ვხედავთ, ისე როგორც გერმანიაში, ნამდვილ გლეხურ ოჯახებს, რომლებიც მზა ტანსაცმელის დამამზადებელ შინამრეწველობაში მუშაობენ. ჩვენ აქ, რასაკვირველია, არ ვლაპარაკობთ რუსეთსა და სხვა ქვეყნებზე, რომლებიც მსოფლიო სამრეწველო ბაზარზე არ არიან წარმოდგენილნი.

ამრიგად, გერმანიის ვრცელ ტერიტორიაზე მრეწველობა ამჟამად ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომელიც პირველი შეხედვით იმ მდგომარეობას წააგავს, რაც მანქანების შემოღებამდე ყველგან ბატონობდა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. წინანდელი დროის სასოფლო შინამრეწველობა, დაკავშირებული მებოსტნეობასა და მემინდვრეობასთან, საფუძველი იყო, ყოველ შემთხვევაში მრეწველობის მხრივ. განვითარებულ ქვეყნებში, მშრომელი კლასის მატერიალურად ასატანი, ხოლო ალაგ-ალაგ საკმაოდ უზრუნველყოფილი მდგომარეობისა, მაგრამ ამასთანავე ერთად იგი მისი გონებრივი და პოლიტიკური არარაობის საფუძველიც იყო. ხელით წარმოებული შრომის პროდუქტი და მისი დამზადების ხარჯები განსაზღვრავდნენ საბაზრო ფასს; და შრომის მაშინდელი ნაყოფიერების პირობებში, რაც მეტად მცირე იყო დღევანდელ ნაყოფიერებასთან შედარებით, გასაღების ბაზრები ჩვეულებრივ უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მოთხოვნა. ასეთი მდგომარეობა იყო გასული საუკუნის შუა წლებში ინგლისსა, და ნაწილობრივ, საფრანგეთში, განსაკუთრებით საფეიქრო მრეწველობაში. გერმა-

ნიაში კი, რომელიც იმ დროს უაღრესად არახელსაყრელ პირობებში ის-ის იყო გაჭირვებიდან თავს აღწევდა ოცდაათწლიანი ომით გამოწვეულ გაჩანაგებას, რა თქმა უნდა, საქმის ვითარება სრულიად სხვაგვარი იყო; ერთადერთი შინამრეწველობა, რომელიც აქ მსოფლიო ბაზრისთვის მუშაობდა, — სელის ქსოვა, — იმდენად შევიწროებული იყო გადასახადებით და ფეოდალური ბეგარებით, რომ მას ფეიქარი-გლეხის ცხოვრება სხვა დანარჩენ გლეხთა ცხოვრების მეტად დაბალ დონეზე უფრო მაღლა ვერ აჰყავდა. მაგრამ მაინც სოფლის შინამრეწველობის მუშას მაშინ რამდენადმე უზრუნველყოფილი არსებობა ჰქონდა.

მანქანური წარმოების შემოღებასთან ერთად ყოველივე ეს შეიცვალა. ფასი ახლა განსაზღვრული გახდა მანქანური წარმოების პროდუქტით და შინამრეწველობის მუშის ხელფასი ამ ფასთან ერთად დაეცა. მაგრამ მუშა იძულებული იყო ან დათანხმებულიყო ამ ფასზე ანდა სხვა სამუშაო მოეძებნა, ამას კი ის ვერ იზამდა, თუ პროლეტარი არ გახდებოდა, ე. ი. თუ იგი თავის პატარა სახლს, ბოსტანს და მიწის პატარა ნაკვეთს — საკუთარს თუ იჯარით აღებულს — არ მიატოვებდა. ამას კი ის მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ჩადიოდა. ამრიგად, სოფლად ხელით მომუშავე ძველი ფეიქრების შებოსტნეობა და მემინდვრეობა გახდა იმის მიზეზი, რომ ყველგან ასე ძლიერ გახანგრძლივდა ხელის საფეიქრო დაზგის ბრძოლა მექანიკური დაზგის წინააღმდეგ, ბრძოლა, რომელიც დღემდე ჯერ კიდევ არ დამთავრებულა გერმანიაში. ამ ბრძოლაში პირველად გამომჟღავნდა, განსაკუთრებით ინგლისში, რომ იგივე გარემოება, რომელიც უწინ ფეიქრის შედარებითი კეთილმდგომარეობის საფუძველს შეადგენდა — წარმოების საკუთარ საშუალებათა მფლობელობა მუშის მიერ — ახლა მისთვის დაბრკოლებად და უბედურებად გადაიქცა. მრეწველობაში მექანიკურმა საქსოვმა დაზგამ დაამარცხა მუშის ხელის დაზგა, სოფლის მეურნეობაში მსხვილმა მიწათმოქმედებამ გამარჯვა მის წვრილ მიწათმოქმედებაზე. მაგრამ მაშინ როდესაც წარმოების ორივე დარგში მრავალი ადამიანის გაერთიანებული შრომა და მანქანებისა და მეცნიერების გამოყენება საზოგადოებრივ წესად იქცა, — პატარა სახლის, ბოსტნის, პატარა მიწის ნაკვეთისა და საქსოვი დაზგის მეოხებით ფეიქარი ერთპიროვნული წარმოებისა და ხელით მუშაობის მოძველებულ მეთოდზე მიჯაჭვული რჩებოდა. სახლის და ბოსტნის მფლობელობა ახლა გაცილებით ნაკლებ ღირებულებას წარმოადგენდა, ვიდრე შეუზღუდველად თავისუფალი მოძრაობა (vogelfreie Beweglichkeit). ფაბ-

რიკის არც ერთი მუშა არ გაუცვლიდა ადგილს ხელით მომუშავე სოფლელ ფეიქარს, რომელიც ნელა, მაგრამ აუცილებლად შიმშილით კვდებოდა.

გერმანია გვიან გამოვიდა მსოფლიო ბაზარზე; ორმოციან წლებში აღმოცენებული ჩვენი მსხვილი მრეწველობის პირველი აღმავლობა გამოწვეული იყო 1848 წლის რევოლუციით და მისი მთლიანად გაშლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაშინ, როცა 1866 და 1870 წლების რევოლუციებმა მას გზიდან ჩამოაშორეს ყოველ შემთხვევაში ყველაზე სერიოზული პოლიტიკური დაბრკოლებანი. მას მსოფლიო ბაზარი უმეტესწილად დაკავებული დახვდა. მასობრივი მოხმარების საგნებს ინგლისი იძლეოდა, ფუფუნების რჩეულ საგნებს კი — საფრანგეთი. გერმანიას არ შეეძლო დაემარცხებინა პირველნი ფასით, მეორენი კი — ხარისხით. ამრიგად, მას მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ გერმანული წარმოების წინანდელ ნაცად გზას გაჰყოლოდა და უწინარეს ყოვლისა გამძვრალიყო მსოფლიო ბაზარზე ისეთი საქონლით, რომელიც ინგლისელებისათვის მეტად უმნიშვნელო იყო, ფრანგებისათვის კი — მეტად ცუდი. მატყუარობას ჩვეული გერმანული პრაქტიკა — პირველად კარგი ნიმუშების, შემდეგ კი ცუდი საქონლის გაგზავნა — სულ მალე, რა თქმა უნდა, სასტიკად დასჯილ იქნა მსოფლიო ბაზარზე და თითქმის ხმარებიდან გამოვიდა; მეორე მხრივ, კონკურენცია ჭარბწარმოების პირობებში დარბაისელ ინგლისელებსაც კი თანდათან ხარისხის გაუარესების მოლიპულ გზაზე აყენებდა ძალაუნებურად და ამრიგად დახმარებას უწევდა გერმანელებს, რომელთაც ამ სარბიელზე ბადალი არ ჰყავდათ. ასე მოვიპოვეთ ჩვენ, ბოლოს, მსხვილი მრეწველობა და დავიწყეთ მსოფლიო ბაზარზე როლის შესრულება. მაგრამ ჩვენი მ ს ხ ვ ი ლ ი მრეწველობა თითქმის მარტოოდენ შინაური ბაზრისათვის მუშაობს (გარდა რკინის დამამზადებელი მრეწველობისა, რომლის წარმოებაც მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის შინაგან მოთხოვნილებას), და ჩვენს მასობრივ ექსპორტს შეადგენს უამრავი წვრილმანი საქონელი, რომლებისათვისაც მსხვილი მრეწველობა მხოლოდ საჭირო ნახევარფაბრიკატებს იძლევა, თვითონ საგნების მომწოდებელი კი უმეტესწილად სოფლის შინამრეწველობაა.

სწორედ აქ ვლინდება სრული სიცხადით ის «მადლი», რომელსაც თანამედროვე მუშისათვის საკუთარი სახლი და მიწის ნაკვეთი შეადგენს. არსად, — არ მგონია ირლანდიის შინამრეწველობაც კი გამონაკლისს შეადგენდეს, — ისეთი უაღრესად დაბალი ხელფასი

არ არის, როგორც გერმანიის შინამრეწველობაში. მას, რასაც ოჯახი თავის ბოსტანსა და პატარა მიწის ნაკვეთზე გამოიმუშავებს, კაპიტალისტი, კონკურენციის წყალობით, სამუშაო ძალის ფასიდან ქვითავს; მუშები იძულებული არიან დათანხმდნენ ყოველგვარ სანარდო ხელფასზე იმიტომ, რომ სხვანაირად ისინი სრულიად ვერაფერს მიიღებენ, ხოლო მარტო თავიანთი მიწათმოქმედების პროდუქტებით ვერ იცხოვრებენ, დათანხმდნენ აგრეთვე იმიტომაც, რომ, მეორე მხრივ, ისინი მიჯაჭვული არიან ერთ ადგილზე სწორედ ამ მიწათმოქმედებისა და მიწის საკუთრების გამო, რაც მათ ხელს უშლის სხვა სამუშაო ეძიონ. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ გერმანია მთელი რიგი წვრილმანი საქონლის გასაღების დროს მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის უნარს ინარჩუნებს. კაპიტალის მთელი მოგების ამოქაჩვა ხდება ნორმალური ხელფასიდან გამოქვითვის გზით, მთელი ზედმეტი ღირებულება კი შეიძლება მყიდველს მიეცეს საჩუქრად. ასეთია გერმანიის საექსპორტო საქონლის უმეტესი ნაწილის განსაცვიფრებელი სიიაფის საიდუმლოება.

სწორედ ეს გარემოებაა, ყველა სხვა გარემოებაზე უფრო მეტად რომ აჩერებს მრეწველობის სხვა დარგებშიც გერმანელი მუშების ხელფასსა და ცხოვრების დონეს დასავლეთ ევროპული ქვეყნების მუშების დონეზე დაბლა. შემბორკავი ტვირთი შრომის ასეთი ფასებისა — ტრადიციულად სამუშაო ძალის ღირებულებაზე ბევრად უფრო დაბლა შეჩერებული ფასებისა — ამცირებს მუშების ხელფასსაც ქალაქებში, თვით დიდ ქალაქებშიც კი, და მას სამუშაო ძალის ღირებულებაზე უფრო დაბლა სწევს, — მით უმეტეს, რომ ქალაქებშიც ცუდად ანაზღაურებულმა შინამრეწველობამ ძველი ხელოსნობის ადგილი დაიკავა და აქაც ხელფასის საერთო დონეს დაბლა სწევს.

ჩვენთვის აქ ნათელია შემდეგი: ის, რაც უფრო ადრინდელ ისტორიულ საფეხურზე მუშების შეფარდებითი კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენდა — მიწათმოქმედების კავშირი მრეწველობასთან, სახლის, ბოსტნის, მიწის ნაკვეთის მფლობელობა, უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინა — დღეს, მსხვილი მრეწველობის ბატონობის პირობებში, მუშისათვის იქცევა არა მარტო უაღრესად მძიმე ბორკილებად, არამედ უდიდეს უბედურებადაც მთელი მუშათა კლასისათვის, იქცევა იმის საფუძვლად, რომ მოხდეს ხელფასის უმაგალითო შემცირება მის ნორმალურ დონესთან შედარე-

ბით, თანაც არა მარტო წარმოების ცალკეულ დარგებში და ცალკეულ რაიონებში, არამედ მთელ ქვეყანაში. გასაკვირი არაა, რომ მსხვილი და წვრილი ბურჟუაზია, რომელიც ხელფასიდან ამ დიდი გამოქვითების ხარჯზე ცხოვრობს და მდიდრდება, სოფლის მრეწველობაზე, საკუთარი სახლების მქონე მუშებზე ოცნებობს და სოფლად არსებული გაჭირვებული მდგომარეობის განკურნების ერთადერთ საშუალებას ახალ შინამრეწველობათა შემოღებაში ხედავს!

ესაა საქმის ერთი მხარე; მაგრამ მას მეორე მხარეც აქვს. შინამრეწველობა გერმანიის საექსპორტო ვაჭრობის და ამით მთელი მსხვილი მრეწველობის ფართო საფუძველი გახდა. ეს იყო კიდეც იმის მიზეზი, რომ იგი გერმანიის ბევრ რაიონში ფართოდ გავრცელდა და ყოველდღიურად სულ უფრო ფართოდ ვრცელდება. წვრილი გლეხის განადგურება, რაც გარდუვალი გახდა იმ მომენტიდან, როცა საკუთარი მოხმარებისათვის გამიზნული მისი შინამრეწველური შრომა მზა ტანსაცმელის დამამზადებელი და მანქანური წარმოების იაფმა პროდუქტმა, ხოლო მისი მესაქონლეობა, მაშასადამე, მისი სასუქის წარმოება, თემური წყობილების, თემური მარკისა და იძულებითი თესლბრუნვის რღვევამ მოსპო, — ეს განადგურება ნაძალადევად ერეკება მევახშეების კლანჭებში ჩავარდნილ წვრილ გლეხებს თანამედროვე შინამრეწველობისაკენ. როგორც ირლანდიაში მიწათმფლობელის მიწის რენტა, ისე გერმანიაში მევახშური იპოთეკის სარგებელი შეიძლება გასტუმრებულ იქნეს არა მიწის შემოსავლიდან, არამედ მხოლოდ შინამრეწველობაში მომუშავე გლეხის ხელფასიდან. მაგრამ შინამრეწველობის გაფართოებასთან ერთად წარმოებს სოფლის ადგილების ერთი მეორეზე ჩაბმა თანამედროვე სამრეწველო მოძრაობაში. სწორედ სოფლის ადგილების ეს გარევოლუციურება შინამრეწველობის მეოხებით ავრცელებს კიდეც სამრეწველო რევოლუციას გერმანიაში გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიაზე, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ინგლისსა და საფრანგეთში; ჩვენი მრეწველობის შედარებით დაბალი დონე მით უფრო საჭიროდ ხდის მის ფართოდ გავრცელებას. ამით აიხსნება, თუ რატომ მოხდა, რომ გერმანიაში, წინააღმდეგ ინგლისისა და საფრანგეთისა, რევოლუციურმა მუშათა მოძრაობამ ასე ფართო გავრცელება ჰპოვა ქვეყნის დიდ ნაწილში და იგი მარტოოდენ ქალაქთა ცენტრებთან დაკავშირებული როდი დარჩა. ამითვე აიხსნება მოძრაობის მშვიდი, მტკიცე, შეუჩერებელი წინსვლა.

ამიტომ გერმანიაში, თავისთავად გასაგებია, ძლევამოსილი აჯანყება დედაქალაქში და სხვა დიდ ქალაქებში შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა აგრეთვე პატარა ქალაქების უმრავლესობა და სოფლის ოლქების უმეტესი ნაწილი გადატრიალებისთვის მომწიფდება. ბევრად თუ ცოტად ნორმალური განვითარების პირობებში ჩვენ ვერასოდეს ვერ შევძლებთ გამარჯვების მოპოვებას მარტო მუშათა ძალებით, როგორც ეს პარიზელებმა ჩაიდინეს 1848 და 1871 წლებში, მაგრამ სწორედ ამიტომაც ჩვენ არ განვიცდით რევოლუციური დედაქალაქის ისეთ დამარცხებას რეაქციული პროვინციის მიერ, როგორიც პარიზმა განიცადა ორივე შემთხვევაში. საფრანგეთში მოძრაობა ყოველთვის გამომდინარეობდა დედაქალაქიდან, გერმანიაში კი — მსხვილი მრეწველობის, მანუფაქტურისა და შინამრეწველობის რაიონებიდან; დედაქალაქის დაპყრობა მხოლოდ შემდეგში მოხდა. ამიტომ შესაძლოა მომავალშიც ინიციატივის როლი ფრანგებს დარჩეთ, მაგრამ გადამწყვეტი გამარჯვება შეიძლება მოპოვებულ იქნეს მხოლოდ გერმანიაში.

მაგრამ სოფლის ეს შინამრეწველობა და მანუფაქტურა, რომლებიც თავიანთი გავრცელების გამო გერმანიაში წარმოების გადამწყვეტ დარგად იქცნენ, და რომლებიც ამასთანავე ერთად გერმანიის გლეხობას სულ უფრო და უფრო არევოლუციურებენ, თვითონ წარმოადგენენ შემდგომი გადატრიალების მხოლოდ პირველ საფეხურს. როგორც უკვე მარქსმა ცხადჰყო («კაპიტალი», ტ. I, მე-3 გამოც. გვ. 484 — 495), მათთვისაც განვითარების გარკვეულ საფეხურზე დადგება მანქანებითა და ფაბრიკული წარმოებით გამოწვეული დაღუპვის დრო. და ეს დრო უკვე მოახლოვებული ჩანს. მაგრამ სოფლის შინამრეწველობის და მანუფაქტურის მოსპობა მანქანებისა და ფაბრიკული წარმოების მივრ — ეს იქნება გერმანიაში სოფლის მწარმოებელთა მილიონებისათვის არსებობის საშუალებათა მოსპობა, გერმანელი წვრილი გლეხობის თითქმის ერთი ნახევრის ექსპროპრიაცია, არა მარტო შინამრეწველობის გადაქცევა ფაბრიკულ მრეწველობად, არამედ აგრეთვე გლეხური მეურნეობისა მსხვილ კაპიტალისტურ მიწათმოქმედებად და წვრილი მიწათმფლობელობისა მსხვილ მემამულურ მეურნეობად, ეს იქნება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რევოლუცია კაპიტალისა და მსხვილი მიწათმოქმედების სასარგებლოდ გლეხების ხარჯზე. თუ გერმანიას ხვედრად უწვრია ეს გადატრიალებაც ჯერ კიდევ ძველ საზოგადოებრივ პირობებში მოახდინოს, მაშინ ეს

გადატრიალება უეჭველად მობრუნების პუნქტი იქნება. თუ მანამდე სხვა რომელიმე ქვეყნის მუშათა კლასი ინიციატივას ხელთ ვერ იგდებს, მაშინ, უეჭველია, იერიშს დაიწყებს გერმანია და გლეხის შვილები «სახელოვანი მებრძოლი არმიისა» მას მამაცურ დახმარებას გაუწევენ.

ამრიგად, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული უტოპია, რომელიც მიზნად ისახავს ყოველ მუშას სრულ საკუთრებად პატარა სახლი მისცეს და ამით მიაჯაჭვოს იგი კაპიტალისტზე ნახევრადფეოდალური წესის შესაბამისად, ამჟამად სრულიად სხვა სახეს ღებულობს. მისი განხორციელება — ეს იქნებოდა სოფლის ყველა წვრილი სახლის მეპატრონის გადაქცევა სამრეწველო შინამუშებად, მოსპობა ძველი კარჩაკეტილობისა და ამით იმ წვრილი გლეხების პოლიტიკური არარაობისა, რომლებიც ახლა «სოციალურ ქარტეხილში» ჩათრეულნი ხდებიან, სამრეწველო რევოლუციის გავრცელება სოფელზე და ამით მოსახლეობის ყველაზე უმოძრაო, ყველაზე კონსერვატიული კლასის გადაქცევა რევოლუციის გამავრცელებელ კერად, ხოლო როგორც ყოველივე ამის დაგვირგვინება — ექსპროპრიაცია შინამრეწველობაში მომუშავე გლეხებისა მანქანის მიერ, რომელიც მათ ძალდატანებით აჯანყების გზაზე აყენებს.

ჩვენ შეგვიძლია ბურჟუაზიულ-სოციალისტურ ფილანთროპებს სიამოვნებით მივცეთ იმის უფლება, რომ პირადად დასტკბნენ თავისი იდეალით, სანამ ისინი თავიანთი საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით როგორც კაპიტალისტები განაგრძობენ ამ იდეალის შებრუნებულად განხორციელებას, სოციალური რევოლუციის სასარგებლოდ და საკეთილოდ.

ფრიდრიხ ენგელსი

ლონდონი, 10 იანვარი 1887 წ.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ მისი შრომის «ბინის საკითხისათვის» მეორე გამოცემისათვის, რომელიც გამოვიდა ციურიხში 1887 წელს.

ბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან.

ბინის საკითხისათვის

განყოფილება I

როგორ წყვეტს პრუდონი ბინის საკითხს

«Volksstaat»-ის № 10-ში და შემდგომ ნომრებში მოთავსებულია სერია ბინის საკითხზე დაწერილი იმ ექვსი სტატიისა, რომლებიც ყურადღების ღირსი არიან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორმოციანი წლების ზოგიერთ ნახევრად ბელეტრისტულ ნაწერს, რაც უკვე დიდი ხანია დავიწყებულია — წარმოადგენენ გერმანიაში პრუდონის სკოლის დანერგვის პირველ ცდას. ეს ისეთი დიდი ნაბიჯია უკან გერმანული სოციალიზმის განვითარების მთელ მსვლელობასთან შედარებით, სოციალიზმისა, რომელმაც უკვე 25 წლის წინათ სწორედ პრუდონის იდეებს გადამწყვეტი ლახვარი ჩასცა [1], რომ ღირს ამ ცდის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გალაშქრება.

ეგრეთწოდებული ბინის გაჭირვება, რომელსაც თანამედროვე პრესა ასე დიდ როლს უთმობს, იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მუშათა კლასი საერთოდ ცუდ, ხალხით გაჭედილ, არაჯანსაღ ბინებში ცხოვრობს. ეს ბინის გაჭირვება არ წარმოადგენს ახლანდელი დროის რაიმე დამახასიათებელ მოვლენას; იგი არ წარმოადგენს თუნდაც ერთ იმ ტანჯვათაგანს, რაც სწორედ დამახასიათებელია თანამედროვე პროლეტარიატისათვის, განსხვავებით ყველა წინანდელი ჩაგრული კლასისაგან; პირიქით, იგი თითქმის თანაბარი ხვედრი იყო ყველა დროის ყველა ჩაგრული კლასისა. ამ ბინის გაჭირვებას **რომ ბოლო** მოეღოს, ამისთვის მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: მოვსპოთ საერთოდ მშრომელი კლასის ექსპლოატაცია და ჩაგვრა გაბატონებული კლასის მიერ. ის, რასაც დღეს ბინის გაჭირვებაში გულისხმობენ, ეს არის მუშათა კლასის უიმისოდაც ცუდი საბინაო პირობების განსაკუთრებული გამწვავება იმის გამო, რომ მოსახლეობა ერთბაშად მიაწყდა დიდ ქალაქებს, რაც იწვევს ბინის ქირის კოლოსალურ გადიდებას, ცალკეულ სახლებში მობინადრეთა კიდევ უფრო გაძლიერებულ შეკუჭებას, ზოგიერთისათვის

[1] მარქსის წიგნში «ფილოსოფიის სიღატაკე», ბრიუსელი და პარიზი, 1847. (ენგელსის შენიშვნა).

საერთოდ თავშესაფარის შოვნის შეუძლებლობას. და ე ს ბინის გაჭირვება მხოლოდ იმიტომ გვაიძულებს ასე ბევრი ვილაპარაკოთ მასზე, რომ იგი მარტო მუშათა კლასის ხვედრი როდია, არამედ ამასთანავე წვრილი ბურჟუაზიის ხვედრიც გახდა.

ჩვენი თანამედროვე დიდი ქალაქების მუშებისა და წვრილი ბურჟუაზიის ნაწილის ბინის გაჭირვება ერთ-ერთია იმ აურაცხელ წ ვ რ ი ლ მ ა ნ, მეორეხარისხოვან ბოროტებათაგან, რომელნიც წარმოების თანამედროვე კაპიტალისტური წესიდან გამომდინარეობენ. იგი სრულიადაც არ არის პირდაპირი შედეგი იმისა, რომ კაპიტალისტი ექსპლოატაციას უწევს მუშას რ ო გ ო რ ც მუშას. ეს ექსპლოატაცია არის ძირითადი ბოროტება, რომლის მოსპობაც სურს სოციალურ რევოლუციას წარმოების კაპიტალისტური წესის მოსპობით. მაგრამ წარმოების კაპიტალისტური წესის ქვაკუთხედს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება კაპიტალისტს შესაძლებლობას აძლევს მუშის სამუშაო ძალა იყიდოს მისი ღირებულების მიხედვით, ხოლო ამ სამუშაო ძალიდან ამოქაჩოს მის ღირებულებაზე გაცილებით მეტი იმით, რომ იგი მუშას უფრო ხანგრძლივად ამუშავებს, ვიდრე ეს საჭიროა სამუშაო ძალაში გადახდილი ფასის რეპროდუქციისათვის. ამ გზით შექმნილი ზედმეტი ღირებულება ნაწილდება კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელთა მთელ კლასს შორის იმ მსახურებთან ერთად, რომლებსაც ისინი საფასურს უხდიან, დაწყებული პაპიდან და იმპერატორიდან და გათავებული ღამის დარაჯებითა და სხვებით. თუ როგორ ხდება ეს განაწილება, ეს ჩვენ აქ არ გვაინტერესებს; უეჭველია ერთი რამ: ყველა იმათ, ვინც არ მუშაობს, ცხოვრება შეუძლიათ მხოლოდ ამ ზედმეტი ღირებულების ნარჩენებით, რაც მათ ამა თუ იმ გზით წილად ხვდებათ (შეად. მ ა რ ქ ს ი ს «კ ა პ ი ტ ა ლ ი», სადაც ეს პირველადაა განხილული).

მუშათა კლასის მიერ შექმნილი და უსასყიდლოდ წართმეული ზედმეტი ღირებულების განაწილება არამშრომელ კლასებს შორის უაღრესად ჭკუის სასწავლო კინკლაობისა და ურთიერთ მატყუარობის პირობებში ხდება; რამდენადაც ეს განაწილება ყიდვა-გაყიდვის გზით ხორციელდება, მის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს წარმოადგენს მყიდველის მოტყუება გამყიდველის მიერ, და ეს მოტყუება ახლა წვრილ ვაჭრობაში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, გამყიდველისათვის ნამდვილ საარსებო პირობად გახდა. მაგრამ როდესაც მედუქნე ან მეპურე მუშას საქონლის ფასში და ხარისხში ატყუებს,

იგი ატყუებს მას არა როგორც სპეციფიკური თვისებების მატარებელ მუშას. პირიქით, რამდენადაც მოტყუების ერთგვარი საშუალო ზომა რომელიმე ადგილას საზოგადოებრივ წესად ხდება, მან დროთა ვითარებაში თავისი კომპენსაცია უნდა ჰპოვოს ხელფასის სათანადო გადიდებაში. მუშა უპირისპირდება მედუქნეს როგორც მყიდველი, ე. ი. როგორც ფულისა და კრედიტის მფლობელი და, მაშასადამე, არავითარ შემთხვევაში როგორც მუშის თვისების მატარებელი, ე. ი. არა როგორც სამუშაო ძალის გამყიდველი. შეიძლება ეს მოტყუება მას, როგორც საერთოდ ღარიბ კლასს, უფრო ძლიერად ეხებოდეს, ვიდრე საზოგადოების უფრო მდიდარ კლასებს, მაგრამ ეს მატყუარობა არ წარმოადგენს ისეთ ბოროტებას, რომელიც მარტოოდენ მუშის ხვედრი იყოს, დამახასიათებელი მხოლოდ მისი კლასისათვის.

სწორედ ასეთივეა ბინის გაჭირვების საქმეც. თანამედროვე დიდი ქალაქების ზრდა იწვევს ქალაქის ზოგიერთ უბანში, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში, მიწის ნაკვეთების ღირებულების ხელოვნურ, ხშირად კოლოსალურ ზრდას. ამ ნაკვეთებზე აგებული შენობები, ნაცვლად იმისა, რომ ეს ღირებულება გაადიდონ, პირიქით, მას უფრო დაბლა სწევენ, ვინაიდან ისინი უკვე აღარ შეეფერებიან შეცვლილ პირობებს; მათ ანგრევენ და ახალი შენობებით სცვლიან. ასე ემართება უწინარეს ყოვლისა ცენტრში მდებარე მუშათა ბინებს, რომელთა ქირაც, მაშინაც კი, როცა ისინი მობინადრეებით უაღრესად გაჭედილია, ვერას დროს ვერ ცილდება, ანდა ყოველ შემთხვევაში ძალიან ნელა თუ შეიძლება გაცილდეს გარკვეულ მაქსიმუმს. მათ ანგრევენ და მათ ადგილას აშენებენ მაღაზიებს, საწყობებს, საზოგადოებრივ შენობებს. ბონაპარტიზმმა, თავისი ოსმანის სახით, უდიდესი მოცულობით გამოიყენა პარიზში ეს ტენდენცია თაღლითობისა და პირადი გამდიდრებისათვის. მაგრამ ოსმანის სულმა გადაიარა აგრეთვე ლონდონზე, მანჩესტერზე, ლივერპულზე და, ეტყობა, ასევე შინაურულად გრძნობს თავს ბერლინშიც და ვენაშიც. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მუშებს ქალაქის ცენტრებიდან განაპირა ადგილებში აძევებენ; სადგომები მუშებისათვის და საერთოდ პატარა ბინები იშვიათი მოვლენა ხდება და თანაც ძვირდება, ხოლო ხშირად მათი შოვნაც კი შეუძლებელია, ვინაიდან ასეთ პირობებში საამშენებლო მრეწველობა, რომლისთვისაც ძვირი ბინები გაცილებით უფრო ხელსაყრელი სარბიელია სასპეკულაციოდ, მუშებისათვის ბინებს მუდამ მხოლოდ გამონაკლისის წესით აშენებს.

ეს ბინის გაჭირვება, მაშასადამე, უეჭველად მუშისათვის უფრო მკაცრი ხვედრია, ვიდრე ყოველი უფრო შეძლებული კლასისათვის; მაგრამ იგიც, მსგავსად მედუქნის მატყუარობისა, ასევე ნაკლებად წარმოადგენს მარტოოდენ მუშათა კლასის დამბეჩავებელ უბედურებას და მან, რამდენადაც ის მუშათა კლასის ხვედრია, გარკვეული დონისა და გარკვეული ხანგრძლივობის პირობებში ასევე გარკვეული ეკონომიური კომპენსაცია უნდა ჰპოვოს.

სწორედ ამ ტანჯვას, რომელიც საერთო ხვედრია მუშათა კლასისათვის სხვა კლასებთან ერთად, განსაკუთრებით წვრილ ბურჟუაზიასთან ერთად, იკვლევს უმთავრესად წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი, რომელსაც ეკუთვნის პრუდონიც. და სრულიადაც არაა შემთხვევითი ის გარემოება, რომ ჩვენი გერმანელი პრუდონისტი უწინარეს ყოვლისა ხელს ჰკიდებს ბინის საკითხს, რომელიც, როგორც დავინახეთ, სრულიადაც არ წარმოადგენს მარტოოდენ მუშათა საკითხს; შემთხვევითი არაა ისიც, რომ იგი, პირიქით, ბინის საკითხს ნამდვილ, მარტოოდენ მუშათა საკითხად აცხადებს.

«რაც დაქირავებული მუშაა კაპიტალისტის მიმართ, ისაა ბინის დამქირავებელი სახლმფლობელის მიმართ».

ეს მთლიანად შემცდარი აზრია.

ბინის საკითხში ორი მხარეა ერთიმეორისადმი დაპირისპირებული: დამქირავებელი და გამქირავებელი, ანუ სახლმფლობელი. პირველს სურს მეორისაგან იყიდოს ბინით დროებითი სარგებლობა; მას აქვს ფული ან კრედიტი, თუნდაც იგი იძულებული იყოს ეს კრედიტი კვლავ იმავე სახლმფლობელისაგან იყიდოს მევახშურ ფასში, ბინის ქირისადმი დანამატის სახით. ეს არის საქონლის უბრალო გაყიდვა; ეს არ არის გარიგება პროლეტარსა და ბურჟუას შორის, მუშასა და კაპიტალისტს შორის. დამქირავებელი — თუნდაც იგი მუშა იყოს — გამოდის როგორც მქონებელი ადამიანი; მან ან უკვე წინასწარ უნდა გაყიდოს თავისი საკუთარი საქონელი, სამუშაო ძალა, რათა ამ გაყიდვიდან მიღებული ამონაგებით შეეძლოს ბინით სარგებლობის უფლების მყიდველად გამოვიდეს, ანდა მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს წარმოადგინოს იმის გარანტია, რომ ეს სამუშაო ძალა გაიყიდება. ის თავისებური შედეგები, რაც კაპიტალისტზე სამუშაო ძალის მიყიდვას მოსდევს, აქ სრულიად არა გვაქვს. კაპიტალისტი აიძულებს მის მიერ ნაყიდ სამუშაო ძალას, ჯერ-ერთი, თავისი ღირებულების რეპროდუქციერებას, და, მეორე, შექმნას კიდევ ზედმეტი ღირებულება, რომე-

ლიც დროებით, ვიდრე იგი კაპიტალისტების კლასს შორის განაწილდება, მის ხელში რჩება. მაშასადამე, აქ იქმნება ჭარბი ზედმეტი ღირებულება; არსებული ღირებულების ერთობლივი ჯამი დიდდება. სულ სხვაგვარადაა საქმის ვითარება დაქირავების გარიგებისას. რამდენითაც უნდა მოატყუოს გამქირავებელმა დამქირავებელი, აქ მუდამ საქმე გვაქვს უკვე ა რ ს ე ბ უ ლ ი, წინათ წ ა რ მ ო ე ბ უ ლ ი ღირებულების გადაცემასთან, და იმ ღირებულების ერთობლივი ჯამი, რომელიც დამქირავებელსა და გამქირავებელს ე რ თ ა დ აქვთ, უცვლელი რჩება. მუშას მუდამ მოტყუებით ართმევენ მისი შრომის პროდუქტის ნაწილს — სულერთია ანაზღაურებს კაპიტალისტი მის შრომას ღირებულებაზე დაბლა, მაღლა თუ ღირებულების მიხედვით; დამქირავებელს კი ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ემართება, როცა ის იძულებულია ბინის ღირებულებაზე მეტი საფასური გადაიხადოს. მაშასადამე, მთლიანი დამახინჯებაა დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის არსებული ურთიერთობისა, როცა ცდილობენ ეს ურთიერთობა გაუთანაბრონ მუშასა და კაპიტალისტს შორის არსებულ ურთიერთობას. პირიქით, ჩვენ აქ საქმე გვაქვს სრულიად ჩვეულებრივ სავაჭრო გარიგებასთან ორ მოქალაქეს შორის, და ეს გარიგება წარმოებს იმ ეკონომიური კანონების თანახმად, რომელნიც აწესრიგებენ საქონელთა გაყიდვას საერთოდ, კერძოდ კი ისეთი საქონლის გაყიდვას, როგორიცაა «მიწათმფლობელობა». უწინარეს ყოვლისა სათვალავში მიიღება სახლის ან სახლის სათანადო ნაწილის აშენებისა და შენახვის ხარჯები; მეორე რიგში კი — მიწის ღირებულება, რომელიც გაპირობებულია სახლის ცოტად თუ ბევრად ხელსაყრელი ადგილმდებარეობით; დასასრულ, საქმეს წყვეტს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული თანაფარდობა მოცემულ მომენტში. ეს მარტივი ეკონომიური ურთიერთობა ჩვენი პრუდონისტის თავში შემდეგნაირად ისახება:

«რაკი სახლი აშენებულია, იგი წარმოადგენს მ ა რ ა დ ი უ ლ ი უ რ ი დ ი უ ლ ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს საზოგადოებრივი შრომის გარკვეული წილის მისაღებად, თუნდაც სახლის ნამდვილი ღირებულება უკვე დიდი ხნით ადრე საკმარისზე უფრო მეტი ოდენობით მიღებული ჰქონდეს მეპატრონეს ბინის ქირის სახით. ასე გამოდის, რომ სახლი, აშენებული, მაგალითად, 50 წლის წინათ, ფარავს ამ დროის განმავლობაში თავდაპირველ ხარჯებს საიჯარო გადასახდელთა შემოსავლიდან 2, 3, 5, 10-ჯერ და ა. შ.».

აქ ჩვენს წინაშე პრუდონი მთლიანად გამომზეურებულია. ჯერერთი, დავიწყებულია ის გარემოება, რომ ბინის ქირა უნდა ფარავდეს არა მარტო სახლის ასაშენებელი ხარჯების პროცენტებს, არა-

შედ რემონტსაც და უიმედო ვალებისა და გაუსტუმრებელი ბინის ქირის საშუალო თანხასაც, ისევე როგორც დროდადრო ბინის სიცარიელით გამოწვეულ ზარალსაც; ბოლოს, რამდენადაც სახლი დროთა განმავლობაში უვარგისი ხდება საცხოვრებლად და უფასურდება, ბინის ქირა ყოველწლიურად უნდა ფარავდეს ამ სახლის აშენებაზე დაბანდებული კაპიტალის სათანადო წილს. მეორე, მხედველობიდან გამოშვებულია ის, რომ ბინის ქირა უნდა ფარავდეს აგრეთვე იმ მიწის ნაკვეთის ღირებულების ნამატის პროცენტს, რომელზედაც სახლი დგას, რომ, მაშასადამე, ბინის ქირის ერთ ნაწილს მიწის რენტა შეადგენს. მართალია, ჩვენი პრუდონისტი მაშინვე განმარტავს, რომ ღირებულების ეს მატება, ვინაიდან იგი მიწის მესაკუთრის მონაწილეობის გარეშე ხდება, კანონით ამ მესაკუთრეს კი არ ეკუთვნის, არამედ საზოგადოებას; მაგრამ ის ვერ ამჩნევს, რომ ამით იგი სინამდვილეში მიწის საკუთრების გაუქმებას მოითხოვს; ამ საკითხზე ჩვენ აქ დაწვრილებით არ შევჩერდებით, რადგანაც ეს შორს წაგვიყვანდა. ბოლოს, იგი ვერ ამჩნევს, რომ მთელ ამ გარიგებაში სრულებით არაა ლაპარაკი მესაკუთრისაგან სახლის ყიდვაზე, არამედ ლაპარაკია მხოლოდ განსაზღვრული ვადით სახლით სარგებლობის უფლებაზე. პრუდონს, რომელსაც არას დროს არ შეუწუხებია თავი ჩაფიქრებოდა იმ ნამდვილ ფაქტიურ პირობებს, რომელშიც ესა თუ ის ეკონომიური მოვლენა ხდება, რასაკვირველია, არც შეუძლია ახსნას, თუ როგორ შეიძლება სახლის აშენებაზე გაწეული ხარჯების თავდაპირველი თანხა გარკვეულ პირობებში 50 წლის მანძილზე ქირის სახით გადახდილ იქნეს ათჯერ. ნაცვლად იმისა, რომ ეს სრულიად არა ძნელი საკითხი ეკონომიურად გამოეკვლია და მტკიცედ დაედგინა, როგორ და მართლა იმყოფება თუ არა იგი ეკონომიურ კანონებთან წინააღმდეგობაში, ის თავს შველის გაბედული ნახტომით ეკონომიკიდან იურისპრუდენციაში: «რაკი სახლი აშენებულია, იგი წარმოადგენს მ ა რ ა დ ი უ ლ ი უ რ ი დ ი უ ლ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს» განსაზღვრული ყოველწლიური გადასახადისთვისო. თუ როგორ ხორციელდება ეს, რ ო გ ო რ ხ დ ე ბ ა სახლი იურიდიული საფუძველი, ამაზე პრუდონი სდუმს. და ეს ხომ სწორედ ისაა, რაც მას უნდა აეხსნა. მას რომ ეს გამოეკვლია, ნახავდა, რომ ყველა იურიდიული საფუძველი ამ ქვეყნად, რაგინდ მარადიულიც იყოს იგი, ვერ მიანიჭებდა სახლს ისეთ ძალას, რომ ორმოცდაათი წლის განმავლობაში ამოეგო მას ქირის სახით ათმაგად მის აშენებაზე გაწეულ დანახარჯთა ფასი, და რომ ამის განხორციელება ძალუძთ მხოლოდ ეკონომიურ პირობებს (რო-

მელთაც საზოგადოებრივი აღიარება შეუძლიათ ჰპოვონ იურიდიული საფუძვლის სახით). მაგრამ აქ მას კვლავ თავიდან დაწყება მოუხდებოდა.

პრუდონის მთელი მოძღვრება დამყარებულია ამ მხსნელ ნახტომზე ეკონომიური სინამდვილიდან იურიდიულ ფრაზეოლოგიაში. ყოველთვის, როცა კი მამაცი პრუდონი მოვლენათა ეკონომიურ კავშირს მხედველობიდან ჰკარგავს — ეს კი მას ყოველ სერიოზულ საკითხში ემართება — ის თავს შველის სამართლის დარგში გაქცევით და მიმართავს მარადიულ სამართლიანობას.

«პრუდონი მარადიული სამართლიანობის, justice éternelle-ს, თავის იდეალს ჯერ იღებს იურიდიული ურთიერთობიდან, რომელიც საქონლის წარმოებას შეესაბამება, რითაც იგი— გაკვრით შევნიშნავთ — აგრეთვე ყველა ფილისტერისათვის ასე სანუგეშოდ ასაბუთებს იმ აზრს, რომ საქონლის წარმოების ფორმა ისევე მარადიულია, როგორც სამართლიანობა. შემდეგ, პირიქით, იგი ცდილობს გარდაქმნას ამ იდეალის შესაბამისად ნამდვილი სასაქონლო წარმოება და მისი შესაფერი ნამდვილი სამართალი. რას ვიტყოდით იმ ქიმიკოსზე, რომელიც მოისურვებდა ნივთიერებათა ცვლის გარდაქმნას «ბუნებრივი თვისების» და «თვისობის» «მარადიული იდეების» საშუალებით, ნაცვლად იმისა, რომ შეესწავლა ნივთიერებათა ცვლის ნამდვილი კანონები და მათ საფუძველზე გადაეჭრა გარკვეული ამოცანები? განა, როდესაც გვეუბნებიან, რომ მევახშეობა ეწინააღმდეგება «მარადიულ სამართლიანობას», «მარადიულ სამართლეს», «მარადიულ ურთიერთობას» და სხვა «მარადიულ ჭეშმარიტებას», მეტ ცოდნას ვიძენთ ჩვენ იმასთან შედარებით, რაც მევახშეობის შესახებ იცოდნენ ეკლესიის მამებმა, როდესაც ამბობდნენ, რომ იგი ეწინააღმდეგება «მარადიულ მოწყალებას», «მარადიულ სარწმუნოებას» და «ღვთის მარადიულ ნებას»? (მარქსი, «კაპიტალი,» ტ. I)[1].

ჩვენს პრუდონისტს თავის ბატონსა და მასწავლებელზე უკეთ როდი აქვს საქმე:

«დაქირავების ხელშეკრულება ერთ-ერთი გაცვლითი გარიგებაა იმ ათასიდან, რომელიც თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში ისევე აუცილებელია, როგორც სისხლის მიმოქცევა ცხოველთა სხეულში. რასაკვირველია, ეს საზოგადოება დაინტერესებულია, რომ ყველა ეს გარიგება გამსჭვალული იყოს სამართლის იდეით, ე. ი., რომ ის ყველგან სამართლიანობის მკაცრი მოთხოვნების

[1] იხ. კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. I, გვ. 50, ქართ. გამოც. 1930 წ.

მიხედვით ტარდებოდეს. ერთი სიტყვით, საზოგადოების ეკონომიურმა ცხოვრებამ უნდა აიწიოს, როგორც პრუდონი ამბობს, ეკონომიური სამართლის სიმაღლემდე. სინამდვილეში, როგორც ცნობილია, სწორედ საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი».

შეიძლებოდა თუ არა გვეფიქრა, რომ ხუთი წლის შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ, რაც მარქსმა ასე მოკლედ და სხარტად დაასურათა პრუდონიზმი სწორედ ამ გადამწყვეტი მხრივ, შესაძლებელი იქნებოდა გერმანულ ენაზე მსგავსი სისულელის დაბეჭდვა? რაღას ნიშნავს მთელი ეს აბდა-უბდა? არაფერს, გარდა იმისა, რომ იმ ეკონომიური კანონების შედეგები, რომელნიც თანამედროვე საზოგადოებას მარაბავენ, შეურაცხყოფენ ავტორის სამართლის გრძნობას და რომ მას ღვთისნიერი სურვილი აქვს საქმე ისე მოეწყოს, რომ ამ მდგომარეობას როგორმე ეშველოს. — დიახ, გომბეშოს რომ კუდი ჰქონდეს, ის გომბეშო აღარ იქნებოდა! და განა წარმოების კაპიტალისტური წესი არაა «გამსჭვალული სამართლის იდეით», სახელდობრ მუშათა ექსპლოატაციის თავისი საკუთარი უფლების იდეით? და როცა ავტორი ჩვენ გვეუბნება, რომ ეს არ არის მისი სამართლის იდეა, განა ჩვენ ამით თუნდაც ერთი ნაბიჯით წავიწიეთ წინ?

მაგრამ დავუბრუნდეთ ბინის საკითხს. აქ ჩვენი პრუდონისტი თავის «სამართლის იდეას» თავისუფალ გაქანებას აძლევს და ჩვენ შემდეგ მგრძნობიარე დეკლამაციას გვთავაზობს:

«ჩვენ უყოყმანოდ ვამტკიცებთ, რომ არ არსებობს იმაზე უფრო საშინელი ღაცინვა ჩვენი სახელგანთქმული საუკუნის მთელი კულტურისა, ვიდრე ის ფაქტი, რომ დიდ ქალაქებში მოსახლეობის 90 პროცენტს და კიდევ მეტს არ გააჩნია თავშესაფარი, რომელიც მათ შეეძლოთ თავის საკუთრებად ჩათვალონ. ზნეობრივი და ოჯახური არსებობის ნამდვილი ცენტრი, ოჯახის კერა, სოციალურ ქარტეხილს მიაქვს... ამ მხრივ ჩვენ ველურებზე გაცილებით უფრო დაბლა ვდგევართ. ტროგლოდიტს თავისი გამოქვაბული აქვს, ავსტრალიელს — თავისი ფაცხა, ინდოელს — თავისი საკუთარი კერა, თანამედროვე პროლეტარი კი ფაქტიურად ჰაერში ჰკიდია» და ა. შ.

ამ იერემიადაში პრუდონიზმი მთელი თავისი რეაქციული სახით მეღავნდება. თანამედროვე რევოლუციური კლასის, პროლეტარიატის, შესაქმნელად აბსოლუტურად აუცილებელი იყო იმ ჭიპლარის გადაჭრა, რომელიც წარსული დროის მუშას მიწასთან აკავშირებდა. ხელით მქსოველი, რომელსაც თავის საქსოვ დაზგასთან ერთად, ჰქონდა საკუთარი პატარა სახლი, პატარა ბოსტანი და პატარა მიწის ნაკვეთი, მიუხედავად მთელი მისი სიღატაკისა და მთელი პოლიტიკური ჩაგვრისა. წყნარი, კმაყოფილი ადამიანი

იყო, «აღსავსე ღვთისმოშიშობით და მოწიწებით», ქუდს იხდიდა მდიდრების, ხუცების და მოხელეების წინაშე და შინაგანად მთელი თავისი არსებით მონა იყო. სწორედ თანამედროვე მსხვილმა მრეწველობამ, რომელმაც მიწაზე მიჯაჭვული მუშა სრულიად საკუთრებას მოკლებულ, მემკვიდრეობით მიღებული ყოველგვარი ბორკილისაგან განთავისუფლებულ, კანონგარეშე დაყენებულ შიშველ პროლეტარად გადააქცია, — სწორედ ამ ეკონომიურმა რევოლუციამ შექმნა პირობები, რომელშიც მხოლოდ შესაძლებელია დამხობილ იქნეს მშრომელთა კლასის ექსპლოატაცია მისი უკანასკნელი ფორმით, კაპიტალისტური წარმოების ფორმით. და აი გამოდის მტირალა პრუდონისტი და წუწუნებს ოჯახის კერიდან მუშების გაძევებაზე, როგორც დიდ რეგრესზე, მაშინ როდესაც სწორედ ეს გაძევება იყო მუშების სულიერი განთავისუფლების პირველი პირობა.

27 წლის წინათ (წიგნში «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში») მე მოკლედ დავასურათე მუშების მათი სახლებიდან გაძევების სწორედ ეს პროცესი იმ სახით, როგორც იგი XVIII საუკუნეში ხდებოდა ინგლისში. იმ სისაძაგლემ, რასაც ამასთან მიწათმფლობელები და მეფაბრიკენი ჩადიოდნენ, მავნე მატერიალურმა და მორალურმა გავლენამ, რაც ამ გაძევებას უნდა მოეხდინა უწინარეს ყოვლისა მუშებზე, რომელნიც მას განიცდიდნენ, — ყოველივე ამან აგრეთვე სათანადო ასახვა ჰპოვა დასახელებულ წიგნში. მაგრამ შეიძლებოდა თუ არა აზრად მომსვლოდა ის, რომ ამ განვითარების ისტორიულ პროცესში, რომელიც არსებულ პირობებში სრულიად აუცილებელი იყო, დამენახა ნაბიჯი უკან — «ველურებზე დაბლა»? შეუძლებელია. 1872 წლის დროინდელი ინგლისელი პროლეტარი შეუდარებლად უფრო მაღლა დგას 1772 წლის დროინდელ სოფლელ ფეიქარზე, რომელსაც თავისი «ოჯახის კერა» აქვს. და განა ტროგლოდიტი თავისი გამოქვაბულით, ავსტრალიელი თავისი ფაცხით, ინდოელი თავისი კერით მოახდენს ოდესმე ივნისის აჯანყებას ანდა განახორციელებს პარიზის კომუნას?

ის გარემოება, რომ კაპიტალისტური წარმოების დიდი მასშტაბით შემოღების დროიდან მუშების მატერიალური მდგომარეობა საერთოდ გაუარესდა, საეჭვოდ მხოლოდ ბურჟუას მიაჩნია. მაგრამ განა ჩვენ ამის გამო სევდით უნდა გადავხედოთ წარსულს და მოვიგონოთ ეგვიპტელთა (ასევე მეტად მცირე) სახორცე ქოთნები, წვრილი სოფლის მრეწველობა, რომელიც მხოლოდ მონურ სულებს ზრდიდა, ანდა «ველურები»? პირიქით, მხოლოდ თანამედროვე

მსხვილი მრეწველობის მიერ შექმნილ პროლეტარიატს, განთავისუფლებულს მემკვიდრეობით გადმოცემული ყველა ბორკილისაგან, მათ შორის იმ ბორკილებისაგანაც, რომლებიც მას მიწაზე აჯაჭვავდნენ, და თავმოყრილს დიდ ქალაქებში, შეუძლია მოახდინოს დიადი სოციალური გადატრიალება, რომელიც ბოლოს მოუღებს ყოველგვარ კლასობრივ ექსპლოატაციას და ყოველგვარ კლასობრივ ბატონობას. წინანდელი სოფლად ხელით მომუშავე ფეიქრები, რომელთაც საკუთარი ოჯახის კერა ჰქონდათ, ვერას დროს ვერ ჩაიდენდნენ ამას, ისინი ასეთ რამეს ვერას დროს ვერ მოიფიქრებდნენ და თანაც უფრო ნაკლებადაც მოისურვებდნენ ამის განხორციელებას.

პრუდონისათვის, პირიქით, უკანასკნელი ასი წლის მთელი სამრეწველო რევოლუცია, ორთქლის ძალა, მსხვილი ფაბრიკული წარმოება, რომელიც ხელით შრომას მანქანებით სცვლის და შრომის საწარმოო ძალას აათასკეცებს, — უაღრესად არასასიამოვნო მოვლენაა, რაღაც ისეთი, რაც კაცმა რომ თქვას, არც კი უნდა ყოფილიყო. წვრილი ბურჟუა პრუდონი ისეთ სამყაროს მოითხოვს, სადაც თვითეული ამზადებს განსაკუთრებულ დამოუკიდებელ პროდუქტს, რომელიც მაშინვე მოიხმარება და ბაზარზე გაიცვლება; თანაც თუ თვითეული თავისი შრომის სრულ ღირებულებას კვლავ ინაზღაურებს სხვა პროდუქტის სახით, მაშინ დაკმაყოფილებულია «მარადიული სამართლიანობა» და საუკეთესო სამყაროც დამყარებულია. მაგრამ ეს პრუდონული საუკეთესო სამყარო უკვე ჩანასახშივე გასრესილ იქნა იმ აღმავალი სამრეწველო განვითარების ქუსლით, რომელმაც დიდ ხანია მოსპო განცალკევებული შრომა მრეწველობის ყველა დიდ დარგში და ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო სპობს მას წვრილსა და უწვრილეს დარგებში, სცვლის რა მას მანქანებსა და ბუნების დამორჩილებულ ძალებზე დამყარებული საზოგადოებრივი შრომით, რომლის მზა პროდუქტიც, დაუყოვნებლივი გაცვლისათვის ან მოხმარებისათვის გამოსადეგი, საერთო ნაწარმოებია იმ მრავალი ცალკეული ადამიანისა, რომელთა ხელშიც მას უნდა გაევლო. და სწორედ ამ სამრეწველო რევოლუციის მეოხებით ადამიანის შრომის საწარმოო ძალამ ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ შესაძლებელი გახდა — პირველად ადამიანთა არსებობის ისტორიაში — ყველას შორის შრომის გონივრული დანაწილების პირობებში არა მარტო ვაწარმოოთ ისეთი მოცულობით, რომელიც საკმარისი იქნება საზოგადოების ყველა წევრის უხვი მოხმარებისათვის და მდიდარი სათადარიგო ფონდისათვის,

არამედ მივცეთ აგრეთვე თვითეულს საკმაო თავისუფალი დრო, რათა ისტორიულად გადმოცემული კულტურიდან — მეცნიერებიდან, ხელოვნებიდან, საერთო ყოფაცხოვრების ფორმებიდან და სხვ. ავითვისოთ ყოველივე ის, რასაც ნამდვილად ღირებულება აქვს, და არა მარტო ავითვისოთ, არამედ გადავაქციოთ იგი გაბატონებული კლასის მონოპოლიიდან მთელი საზოგადოების საერთო კუთვნილებად და ხელი შევუწყოთ მის შემდგომ განვითარებას. ესაა სწორედ გადამწყვეტი პუნქტი. როგორც კი ადამიანის შრომის საწარმოო ძალა ამ უმაღლეს წერტილამდე განვითარდება, გაქრება ყოველგვარი საბაბი გაბატონებული კლასის არსებობისათვის. უკანასკნელი საფუძველი ხომ, რითაც კლასობრივ განსხვავებას იცავდნენ, მუდამ შემდეგი იყო: უნდა არსებობდეს კლასი, რომელსაც არ დასჭირდება ყოველდღიურად წვალება თავის საარსებო საშუალებათა წარმოებაზე და რომელსაც დრო ექნება მთელი საზოგადოებისათვის გონებრივი მუშაობა გასწიოსო. ამ ყბედობას, რომელიც დღემდე ცოტა ისტორიულ გამართლებას როდი პოულობდა, ერთხელ და სამუდამოდ გადაუჭრა ფესვები უკანასკნელი საუკუნის სამრეწველო რევოლუციამ. გაბატონებული კლასის არსებობა დღითი-დღე სულ უფრო დიდ დაბრკოლებად ხდება სამრეწველო საწარმოო ძალის განვითარებისათვის და ასევე მეცნიერების, ხელოვნების, განსაკუთრებით კი საერთო ყოფაცხოვრების კულტურული ფორმების განვითარებისათვის. იმაზე უფრო უმეცარნი, ვიდრე ჩვენი თანამედროვე ბურჟუები არიან, არასოდეს არ ყოფილან.

მაგრამ ყოველივე ამასთან მეგობარ პრუდონს არავითარი საქმე არა აქვს. მას სწყურია «მარადიული სამართლიანობა» და მეტი არაფერი. თვითეულმა უნდა მიიღოს თავისი პროდუქტის სანაცვლოდ შრომის სრული შემოსავალი, თავისი შრომის სრული ღირებულება. მაგრამ ამის გამოანგარიშება თანამედროვე მრეწველობის რომელიმე პროდუქტში ადვილი საქმე როდია. თანამედროვე მრეწველობა აბუნდოვანებს ყოველი ცალკეული ადამიანის სწორედ იმ განსაკუთრებულ მონაწილეობას ერთობლივ პროდუქტში, რომელიც წინანდელი ცალკეული ხელგარჯილობის დროს შექმნილ პროდუქტში თავისთავად გამოიხატებოდა. შემდეგ, თანამედროვე მრეწველობა სპობს სულ უფრო და უფრო ცალკეულ გაცვლას, რომელზედაც აგებულია პრუდონის მთელი სისტემა, სახელდობრ — უშუალო გაცვლას ორ მწარმოებელს შორის, რომელთაგან თვითეული გაცვლის გზით ღებულობს მეორის პროდუქტს, რათა იგი მოიხმაროს.

ამიტომ მთელ პრუდონიზმს წითელ ზოლად გასდევს რეაქციული ნიშანი: ზიზღი სამრეწველო რევოლუციისადმი და ხან აშკარად, ხან ფარულად გამოხატული მისწრაფება იმისადმი, რომ შორს გადაისროლოს თანამედროვე მრეწველობა, ორთქლის მანქანები, სართავი მანქანები და სხვა თაღლითობა და დაუბრუნდეს ძველ, საპატიო ხელით შრომას. რომ ამასთან ჩვენ საწარმოო ძალის ცხრაას ოთხმოცდა ცხრა მეათასედს დავკარგავთ, რომ მთელი კაცობრიობა უსაშინელესი შრომითი მონობისათვის გაწირული გახდება, რომ შიმშილით ტანჯვა საერთო წესად იქცევა, — რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას, თუ კი ჩვენ მოვახერხებთ გაცვლის ისე მოწყობას, რომ თვითეული მიიღებს «შრომის სრულ შემოსავალს» და «მარადიული სამართლიანობა» განხორციელდება?

Fiat justitia, pereat mundus!

დაე დაიღუპოს ქვეყნიერება, ოღონდ გაიმარჯვოს სამართლიანობამ!

და ქვეყნიერება დაიღუპებოდა ამ პრუდონული კონტრრევოლუციის პირობებში, მისი განხორციელება რომ საერთოდ შესაძლებელი იყოს.

თუმცაღა თავისთავად იგულისხმება, რომ თანამედროვე მსხვილი მრეწველობის მიერ გაპირობებული საზოგადოებრივი წარმოების დროსაც შესაძლებელია თვითეულისათვის უზრუნველყოფილ იქნეს «მისი შრომის სრული შემოსავალი», რამდენადაც ამ ფრაზას საერთოდ რაიმე აზრი აქვს. აზრი კი ამ ფრაზას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ მას ისე ფართოდ გავიგებთ, რომ ყოველი ცალკეული მუშა კი არ ხდება ამ «თავისი შრომის სრული შემოსავლის» მფლობელი, არამედ მთელი საზოგადოება, მარტოოდენ მუშებისაგან შემდგარი, წარმოადგენს მათი შრომის ერთობლივი პროდუქტის მფლობელს, პროდუქტისა, რომელსაც იგი ნაწილობრივ თავის თანაწევრებს შორის მოხმარებისათვის ანაწილებს, ნაწილობრივ თავის წარმოების საშუალებათა ანაზღაურებისა და გამრავლებისათვის იყენებს, ნაწილობრივ კი წარმოებისა და მოხმარების სარეზერვო ფონდის სახით აგროვებს.

* * *

ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ ჩვენ უკვე წინასწარ შეგვიძლია ვიცოდეთ, თუ როგორ გადაწყვეტს ჩვენი პრუდონისტი დიდ საკითხს — ბინის საკითხს. ერთი მხრივ, ის აყენებს მოთხოვნას, რომ ყოველ მუშას ჰქონდეს თავისი საკუთარი ბინა, რომელიც მას

ეკუთვნის, რათა ჩვენ უკვე აღარ ვიმყოფებოდეთ ვ ე ლ უ რ ე ბ ზ ე დ ა ბ ლ ა. მეორე მხრივ, იგი გვარწმუნებს, რომ სახლის აშენებაზე გაწეული თავდაპირველი ხარჯების ფასის ორჯერადი, სამჯერადი, ხუთჯერადი ან ათჯერადი ანაზღაურება ბინის ქირის სახით, როგორც ეს სინამდვილეში ხდება, დამყარებულია ი უ რ ი დ ი უ ლ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე და რომ ეს იურიდიული საფუძველი წინააღმდეგობაში იმყოფება «მ ა რ ა დ ი უ ლ ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ა ს თ ა ნ». საკითხი წყდება მარტივად: ჩვენ ვაუქმებთ იურიდიულ საფუძველს და მარადიული სამართლიანობის ძალით გასასტუმრებელ ბინის ქირას ვაცხადებთ თვით ბინის ფასის დაფარვის ანგარიშში შესატან გადასახდელად. თუ მიღებულია ისეთი წანამძღვრები, რომლებიც უკვე შეიცავენ საბოლოო დასკვნას, მაშინ რასაკვირველია, საკმარისია ის ხერხიანობა, რომელიც ყოველ შარლატანს გააჩნია, რათა ჯიბიდან ამოიღოს წინასწარ დამზადებული შედეგი და იყოყოჩოს ურღვევი ლოგიკით, რომლის პროდუქტიც ის არის.

ასე ხდება აქაც. ბინის დაქირავების გაუქმება გამოცხადებულია აუცილებლობად, სახელდობრ ისეთი ფორმით, რომ მოითხოვენ ყოველი დამქირავებელი გადავაქციოთ თავისი ბინის მესაკუთრედ. როგორ ვქნათ ეს? სულ მარტივად:

«ხდება დაქირავებული ბინის გამოსყიდვა... წინანდელ სახლმფლობელს უჭდიან მისი სახლის ღირებულებას უკანასკნელ გროშამდე. ნაცვლად იმისა, რომ გადასახდელი ბინის ქირა წარმოადგენდეს, როგორც უწინ იყო, ხარკს, რომლითაც დამქირავებელი კაპიტალის მარადიულ უფლებას იხდის, ამის მაგიერ, დაქირავებული ბინის გამოსყიდვის გამოცხადების დღიდან დამქირავებლის მიერ გადასახდელი, ზუსტად დადგენილი თანხა იქცევა ყოველწლიურ გადასახდელად, რომელიც მის მფლობელობაში გადასული ბინის ფასის დაფარვის ანგარიშში შედის... საზოგადოება... გადაიქცევა ამ გზით დამოუკიდებელ თავისუფალ ბინის მფლობელთა ერთობლიობად».

პრუდონისტი მარადიული სამართლიანობის წინააღმდეგ დანაშაულს იმაში ხედავს, რომ სახლმფლობელს შეუძლია უშრომლად ამოქაჩოს მიწის რენტა და პროცენტები სახლზე დაბანდებული თავისი კაპიტალიდან. ის ადგენს, რომ ეს უნდა შეწყდეს, რომ სახლებზე დაბანდებული კაპიტალი აღარ უნდა იძლეოდეს უკვე პროცენტს, ხოლო რამდენადაც ეს კაპიტალი ნაყიდ მიწის ნაკვეთს წარმოადგენს, იგი აღარც მიწის რენტას უნდა იძლეოდეს. მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ წარმოების კაპიტალისტურ წესს, დღევანდელი საზოგადოების საფუძველს, ეს სრულიად არ ეხება. საკვანძო პუნქტი რომლის გარშემოც მუშის ექსპლოატაცია ტრიალებს, ეს არის

სამუშაო ძალის მიყიდვა კაპიტალისტისათვის და ის, თუ როგორ იყენებს კაპიტალისტი ამ გარიგებას, როცა ის აიძულებს მუშას აწარმოოს გაცილებით იმაზე მეტი, რასაც სამუშაო ძალის გადახდილი ღირებულება შეადგენს. კაპიტალისტსა და მუშას შორის ეს გარიგება ჰქმნის სწორედ მთელ იმ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც შემდეგ კაპიტალისტებისა და მათ მსახურთა სხვადასხვა ნაირსახეობას შორის ნაწილდება მიწის რენტის, სავაჭრო მოგების, კაპიტალის პროცენტების, გადასახადებისა და სხვათა სახით. და აი აქ გამოდის ჩვენი პრუდონისტი და ფიქრობს, რომ თუ კაპიტალისტების მ ა რ ტ ო ე რ თ ა დ ე რ თ ს ა ხ ე ს ხ ვ ა ო ბ ა ს, — თანაც ისეთი კაპიტალისტებისა, რომელნიც უშუალოდ სრულიადაც არ ყიდულობენ სამუშაო ძალას, მაშასადამე, არც აიძულებენ მას ზედმეტი ღირებულება აწარმოოს, — აუკრძალავდნენ მოგების ანუ პროცენტების მიღებას, მაშინ ერთი ნაბიჯით წინ ვიქნებოდით! იმ გადაუხდელი შრომის მასა, რაც მუშებს წაართვეს, სრულიად უცვლელი დარჩებოდა, თუნდაც რომ სახლმფლობელებს ხვალავე წაართვან მიწის რენტისა და პროცენტების თავის სასარგებლოდ გადახდევინების შესაძლებლობა; მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჩვენს პრუდონისტს განაცხადოს:

«ბინების დაქირავების გაუქმება, ამრიგად, ერთ-ერთი ყ ვ ე ლ ა ზ ე ნ ა ყ ო ფ ი ე რ ი და ყ ვ ე ლ ა ზ ე დ ი ა დ ი მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა ა, რომელიც რევოლუციური იდეის წიაღში წარმოიშობა და რომელიც სოციალური დემოკრატიის პ ი რ ვ ე ლ ხ ა რ ი ს ხ ო ვ ა ნ მოთხოვნად უნდა გახდეს».

ეს მთლად თვით მაესტრო პრუდონის თაღლითობაა, რომელიც აგრეთვე მუდამ დადებული კვერცხის სიდიდისადმი უკუპროპორციულად კაკანებს.

მაგრამ წარმოიდგინეთ საუცხოო მდგომარეობა, როცა თვითეული მუშა, წვრილი ბურჟუა და ბურჟუა იძულებული იქნება ყოველწლიურ გადასახადთა მეოხებით თავისი ბინის ჯერ ნაწილობრივი, შემდეგ კი სრული მესაკუთრე გახდეს! ინგლისის სამრეწველო ოლქებში, სადაც მსხვილი მრეწველობაა, მაგრამ მუშათა პატარა სახლებია, და ყოველი ცოლშვილიანი მუშა ცალკე პატარა სახლში ცხოვრობს, — ამას კიდევ ერთგვარი აზრი ექნებოდა. მაგრამ პარიზის წვრილი მრეწველობა, ისევე როგორც კონტინენტის დიდი ქალაქების უმრავლესობისაც, შევსებულია დიდი სახლებით, სადაც ერთად ცხოვრობს ათი, ოცი, ოცდაათი ოჯახი. დაქირავებული ბინების გამოსყიდვის მაუწყებელი მხსნელი დეკრეტის გამოცხადების

დღეს ვინმე პეტრე მუშაობს, ვთქვათ, ბერლინის მანქანების ფაბრიკაში. ერთი წლის შემდეგ, დავუშვათ, ის მესაკუთრეა სადმე ჰამბურგის კარებთან მეხუთე სართულზე ერთი პატარა ოთახისაგან შემდგარი ბინის მეთხუთმეტე ნაწილისა. იგი ჰკარგავს სამუშაოს და მალე თავს ამოჰყოფს ასეთსავე ბინაში, რომელსაც საუცხოო ხედი აქვს ეზოსკენ, მესამე სართულზე, პოტჰოფში, ჰანოვერში, სადაც ის, ხუთი თვის ცხოვრების შემდეგ, საკუთრების სწორედ $^{1}/_{36}$ ნაწილს იძენს; ამ დროს მას უეცრად გაფიცვა მიუნხენში გადაისვრის და, თერთმეტი თვის ყოფნის შემდეგ, იგი იძულებული ხდება ობერ-ანგერგასის იქით მდებარე საკმაოდ ბნელი სასარდაფო სადგომის სწორედ $^{11}/_{180}$ ნაწილზე საკუთრების უფლება შეიძინოს. შემდგომი ადგილცვლა, რაც ასე ხშირად უხდება ჩვენს დროში მუშას, მას იძულებულს ხდის შეიძინოს: $^{7}/_{360}$ ნაწილი არა ნაკლებად წესიერი ბინისა ს. — გალენში, $^{23}/_{180}$ ნაწილი სხვა ბინისა ლიდსში და $^{347}/_{56223}$ ნაწილი — ზუსტად გამოანგარიშებული, ასე რომ «მარადიული სამართლიანობა» ვერ გვისაყვედურებს — კიდევ მესამე ბინისა სერენში. რა სარგებლობა აქვს ჩვენს პეტრეს ბინების ყველა ამ ნაწილისაგან? ვინ მისცემს მას ნამდვილ ღირებულებას ყოველივე ამაში? სად უნდა მოძებნოს მან თავისი სხვადასხვა წინანდელი ბინის დანარჩენი ნაწილების მესაკუთრე თუ მესაკუთრეები? და როგორი იქნება საკუთრების ურთიერთობის საქმე ყოველ დიდ სახლში, რომლის სართულებიც შეიცავენ, ვთქვათ, ოც ბინას და რომელიც — თუ გამოსყიდვის ვადა გასულია და ბინების გაქირავება გაუქმებულია — ეკუთვნის, შესაძლოა, სამას ნაწილობრივ მესაკუთრეს, რომლებიც მთელს ქვეყანაზე გაბნეულნი არიან? ჩვენი პრუდონისტი გვიპასუხებს, რომ იმ დროისათვის უკვე იქნება პრუდონული საცვლელი ბანკი, რომელიც ყოველ მომენტში გადაუხდის თვითეულს შრომის ყოველი პროდუქტისათვის შრომის სრულ შემოსავალს, მაშასადამე, გადაუხდის სრულ ღირებულებას ბინის თვითეული ნაწილისათვისაცო. მაგრამ ჯერ-ერთი, ჩვენ აქ არავითარი საქმე არა გვაქვს პრუდონულ საცვლელ ბანკთან, ვინაიდან ბინის საკითხზე დაწერილ სტატიებში იგი არსად ნახსენებიც კი არ არის; მეორე, იგი დამყარებულია გასაოცარ შეცდომაზე, რომ თუ ვინმეს საქონლის გაყიდვა სურს, ის აუცილებლად მუდამ მონახავს მყიდველსაც, რომელიც საქონელს მისი სრული ღირებულების მიხედვით იყიდისო; და, მესამე, სანამ პრუდონი აღნიშნულ ბანკს გამოიგონებ-

და, ამ უკანასკნელმა უკვე არა ერთხელ მოასწრო გაკოტრება ინგლისში მუშათა საცვლელი ბაზრის სახელწოდებით[1].

მთელი ეს შეხედულება, რომ მუშამ თავისთვის ბინა უნდა იყიდოს, კვლავ დამყარებულია უკვე ჩვენ მიერ ხაზგასმით აღნიშნულ რეაქციულ პრუდონულ პრინციპზე, რომ თანამედროვე მსხვილი მრეწველობის მეთხებით შექმნილი პირობები წარმოადგენენ მტკივნეულ ხორცმეტს და აუცილებელია საზოგადოება ნაძალადევად, — ე. ი. იმ მდინარების წინააღმდეგ, რომელსაც იგი მიჰყვება ასი წლის განმავლობაში, — დავუბრუნოთ ისეთ მდგომარეობას, რომელშიც განცალკევებული მწარმოებლის ძველი, დახავსებული ხელით შრომა საერთო წესს წარმოადგენს და რომელიც საერთოდ სხვა არაფერია, თუ არ დაღუპული და კიდევ დაღუპვის გზაზე მდგომი წვრილი ხელოსნური წარმოების იდეალიზებული აღდგენა. თუ მუშებს კვლავ გადავისვრიდით უკან ამ დახავსებულ მდგომარეობაში, თუ «სოციალურ ქარტეხილს» მშვიდობიანად მოვიშორებდით თავიდან, მაშინ მუშა, რასაკვირველია, შესძლებდა «ოჯახის კერის» საკუთრების კვლავ გამოყენებას და გამოსყიდვის ზემომოყვანილი თეორია ესოდენ უაზრო თეორიად აღარ მოგვეჩვენებოდა. მაგრამ პრუდონს ავიწყდება, რომ ამის განსახორციელებლად მას ჯერ მსოფლიო ისტორიის საათის ისარი ასი წლით უკან უნდა გადაეწია, და რომ ამით იგი თანამედროვე მუშებს კვლავ ისეთსავე შეზღუდულ, მლიქვნელ, პირმოთნე მონურ სულებად გადააქცევდა, როგორიც მათი მამა-პაპები იყვნენ.

მაგრამ რამდენადაც ბინის საკითხის ეს პრუდონული გადაწყვეტა რაციონალურ, პრაქტიკულად განსახორციელებელ შინაარს შეიცავს, იმდენად იგი ამჟამად უკვე ტარდება, და სახელდობრ, ეს გატარება გამომდინარეობს არა «რევოლუციური იდეის წიაღიდან», არამედ — თვით მსხვილი ბურჟუებიდან. მოვისმინოთ, რას წერს ამაზე საუცხოო ესპანური გაზეთი **«Emancipacion»**[1] მადრიდში 1872 წ. 16 მარტს:

---

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს რობერტ ოუენის ცდა — შეექმნა მუშათა ბაზრები პროდუქტების გაცვლისათვის იმ შრომითი ტალონების საშუალებით, რომელთა ერთეულს სამუშაო დროის საათი წარმოადგენდა. რ ე დ.

[2] «Emancipacion» («განთავისუფლება») — ყოველკვირეული გაზეთი, ორგანო I ინტერნაციონალის მარქსისტული სექციებისა ესპანეთში, გამოდიოდა მადრიდში 1871 წლის ივნისიდან 1873 წლამდე. რ ე დ.

«არსებობს ბინის საკითხის გადაჭრის სხვა საშუალებაც, პრუდონის მიერ წამოყენებული, რომელიც პირველი შეხედვით ბრწყინვალეა, მაგრამ უფრო ახლოს გასინჯვისას თავის სრულ უძლურებას ამჟღავნებს. პრუდონის წინადადება იყო გადაგვექცია დამქირავებელი მყიდველად, რომელიც გადასახადს განაწილვადებით გაისტუმრებდა, ასე რომ ყოველწლიურად გადასახდელი ბინის ქირა ჩაითვლებოდა ბინის ღირებულების ნაწილობრივ დაფარვად, დამქირავებელი კი განსაზღვრული დროის გავლის შემდეგ ამ ბინის მესაკუთრე გახდებოდა. ეს საშუალება, რომელიც პრუდონს დიდ რევოლუციურ საშუალებად მიაჩნდა, დღეს ყველა ქვეყანაში გამოყენებულია სპეკულანტთა კომპანიების მიერ, რომლებიც, ამრიგად, ბინის ქირის გადიდების გზით სახლების ორმაგ და სამმაგ ღირებულებას ახდევინებენ თავის სასარგებლოდ. ბ-ნმა დოლფუსმა და ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთის სხვა მსხვილმა მეფაბრიკეებმა განახორციელეს ეს სისტემა არა მარტო ფულის ამოგების მიზნით, არამედ, გარდა ამისა, ფარული პოლიტიკური აზრითაც.

გაბატონებული კლასების ყველაზე ჭკვიანი ბელადები თავიანთ ძალღონეს მუდამ იმას ახმარდნენ, რომ წვრილი მესაკუთრეების რიცხვი გაემრავლებინათ, რათა ამით პროლეტარიატის წინააღმდეგ თავისი არმია შეექმნათ. გასული საუკუნის ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა დააქუცმაცეს თავადაზნაურობისა და ეკლესიის მსხვილი მიწათმფლობელობა წვრილ პარცელურ საკუთრებად, — რის გაკეთებაც ჯერ კიდევ არსებული მსხვილი მიწათმფლობელობის მიმართ ამჟამად ესპანელ რესპუბლიკელებს სურთ, — და შექმნეს, ამრიგად, მიწის წვრილი მესაკუთრეთა კლასი, რომელიც მას შემდეგ საზოგადოების ყველაზე რეაქციული ელემენტი გახდა და მუდმივ დაბრკოლებად იქცა ქალაქის პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობისათვის. ნაპოლეონ III-ეს განზრახვა ჰქონდა სახელმწიფო ვალთა ცალკეული კუპიურების შემცირებით ასეთივე კლასი შეექმნა ქალაქებში, ბ-ნი დოლფუსი და მისი კოლეგები კი, რომელნიც თავიანთ მუშებს სასყიდლით აძლევდნენ პატარა ბინებს იმ პირობით, რომ მათ ყოველწლიური გადასახდელი ეხადათ, ცდილობდნენ ყოველგვარი რევოლუციური სულისკვეთება ჩაეხშოთ მუშებში და ამავე დროს მიეჯაჭვათ ისინი ამ მიწათმფლობელობის საშუალებით ფაბრიკაზე, სადაც მათ მუშაობა უკვე დაიწყეს. ამრიგად, პრუდონის გეგმამ არათუ ვერ მისცა მუშათა კლასს რაიმე შემსუბუქება, არამედ იგი პირდაპირ მის წინააღმდეგაც კი შეტრიალდა [1].

[1] იმას, თუ როგორ წარმოიშობა თავისთავად ბინის საკითხის ასეთი გადაჭრა მუშების მიჯაჭვით საკუთარ «სახლზე» ამერიკის დიდი ან მზარდი ქალაქების მახლობლად, მოწმობს ელეონორა მარქს-ეველინგის მიერ 1886 წ. 28 ნოემბერს ინდიანოპოლისიდან გამოგზავნილი ერთი წერილის შემდეგი ადგილი: «კანზასსიტიში, ანუ, უფრო სწორად, მის მახლობლად, ჩვენ ვხედავდით სულ რაღაც ორი-სამი ოთახისაგან შემდგარ უბადრუკ პატარა ხის ფარდულებს სრულიად მიყრუებულ ადგილას; მიწის ნაკვეთი ღირდა 600 დოლარი და სწორედ ისეთი სიდიდის იყო, რაც კმაროდა იქ აგებული პატარა სახლისათვის; ეს უკანასკნელი თვითონაც 600 დოლარი ღირდა, მაშასადამე, ამ უბადრუკი პატარა ქოხის ღირებულება სულ შეადგენდა 4 800 მარკას; ის იმყოფებოდა ქალაქიდან ერთი საათის სავალ მანძილზე, ჭაობიან უშენ ადგილზე». ამრიგად, მუშებმა უნდა აიღონ მძიმე იპოტეკური ვალი, რათა როგორმე ასეთი ბინები მიიღონ, და მაშინ კი ისინი

მაშ როგორ უნდა გადაწყდეს ბინის საკითხი? დღევანდელ საზოგადოებაში ეს საკითხი სწორედ ისე უნდა გადაწყდეს, როგორც ყოველი სხვა საზოგადოებრივი საკითხი: მოთხოვნისა და მიწოდების თანდათანობითი ეკონომიური გათანაბრებით, ხოლო ეს ისეთი გადაწყვეტაა, რომელიც მუდამ თვითონ წარმოშობს საკითხს ხელახლა, ე. ი. არავითარ გადაწყვეტას არ იძლევა. თუ როგორ გადაწყვეტს ამ საკითხს სოციალური რევოლუცია, ეს დამოკიდებულია არა მარტო დროისა და ადგილის გარემოებაზე, არამედ ეს დაკავშირებულია აგრეთვე ისეთ საკითხებთან, რომლებიც გაცილებით უფრო შორს მიდიან, და რომელთა შორის ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების მოსპობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ვინაიდან ჩვენ არავითარ სისტემებს არ ვთხზავთ მომავალი საზოგადოების მოსაწყობად, ამიტომ ამაზე შეჩერება ფუჭზე ფუჭი იქნებოდა. მაგრამ ერთი რამ უეჭველია, სახელდობრ ის, რომ უკვე ამჟამად დიდ ქალაქებში საკმაო საცხოვრებელი შენობებია, რათა ნამდვილ «ბინის გაჭირვებას» ახლავე ეშველოს, თუ კი ეს სახლები რაციონალურად იქნება გამოყენებული. ამის განხორციელება შეიძლება, რასაკვირველია, ახლანდელი მფლობელების ექსპროპრიაციის საშუალებით და მათ სახლებში უბინაო მუშების ან ისეთი მუშების ჩასახლებით, რომელნიც ახლა მეტისმეტად ჭარბდასახლებულ ბინებში ცხოვრობენ; და როგორც კი პროლეტარიატი პოლიტიკურ ძალაუფლებას დაიპყრობს, საზოგადოებრივი კეთილდღეობით ნაკარნახევი ასეთი ღონისძიება ისევე ადვილად შესასრულებელი იქნება, როგორც თანამედროვე სახელმწიფოს მიერ წარმოებული სხვა ექსპროპრიაციები და ბინებში ჩასახლებანი.

* * *

მაგრამ ჩვენი პრუდონისტი არაა კმაყოფილი თავისი მიღწევებით ბინის საკითხში. მან ეს საკითხი უნდა გადაიტანოს ცოდვილიანი დედამიწიდან უმაღლესი სოციალიზმის სფეროში, რათა დაგვანახოს, რომ იქაც ეს საკითხი არსებითი «ნაწილია სოციალური საკითხისა».

«ვთქვათ, კაპიტალის პროდუქტიულობა მართლაც დაძლეულია, — რაც ადრე თუ გვიან უნდა მოხდეს, — მაგალითად, გარდამავალი კანონის საშუალებით, რომელიც მტკიცედ აწესებს ყველა კაპიტალის სარგე-

---

თავიანთი ბატონების ნამდვილი მონები ხდებიან: ისინი მიჯაჭვული არიან თავიანთ სახლებზე, მათ არ შეუძლიათ იქიდან წასვლა და იძულებული არიან დათანხმდნენ შრომის ყველა პირობაზე, რასაც კი მათ წაუყენებენ. (ენგელსის შენიშვნა 1887 წლის გამოცემისადმი).

ბელს ერთი პროცენტის ოდენობით, თანაც აგრეთვე, ნუ დაივიწყებთ, პროცენტის ამ ოდენობის ნულამდე დაყვანის ტენდენციით, ასე რომ საბოლოოდ გადასახდელი აღარაფერი რჩება, გარდა კაპიტალის ტრიალისათვის საჭირო შრომისა. რა თქმა უნდა, სახლიც და ბინაც, ისე როგორც ყველა სხვა პროდუქტი, ამ კანონის მოქმედებას ექვემდებარება... თვით მფლობელი პირველი იქნება, რომელიც სახლის გაყიდვას შეეცდება, ვინაიდან სხვანაირად მისი სახლი გამოუყენებელი დარჩებოდა, ხოლო სახლის აშენებაზე დაბანდებული კაპიტალი პირდაპირ უსარგებლო გახდებოდა».

ეს დებულება შეიცავს პრუდონული კატეხიზმის სარწმუნოების ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოს და მასში გაბატონებული დომხალის ნათელ ნიმუშს იძლევა.

«კაპიტალის პროდუქტიულობა» უაზრობაა, რომელსაც პრუდონი წინდაუხედავად სესხულობს ბურჟუაზიული ეკონომისტებისაგან. მართალია, ბურჟუაზიული ეკონომისტებიც იმ დებულების მტკიცებით იწყებენ, რომ შრომა ყოველგვარი სიმდიდრის წყაროა და ყველა საქონლის ღირებულების საზომი; მაგრამ მათ უნდა განმარტონ აგრეთვე, თუ როგორ ხდება, რომ კაპიტალისტი, რომელიც კაპიტალს ინდუსტრიულ და ხელოსნურ საწარმოში აბანდებს, საბოლოოდ არა მარტო იბრუნებს ავანსებულ კაპიტალს, არამედ გარდა ამისა მოგებასაც ღებულობს. ამიტომ ისინი ძალაუნებურად ყოველგვარ წინააღმდეგობაში იხლართებიან და კაპიტალსაც გარკვეულ პროდუქტიულობას მიაწერენ. ყველაზე უკეთესი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, თუ როგორ არის პრუდონი ჯერ კიდევ აზროვნების ბურჟუაზიული წესით შებოჭილი, — ეს არის მის მიერ შეთვისებული კაპიტალის პროდუქტიულობაზე ლაპარაკის ეს მანერა. ჩვენ უკვე ვნახეთ დასაწყისში, რომ ეგრეთწოდებული «კაპიტალის პროდუქტიულობა» სხვა არაფერია, თუ არა მისი დამახასიათებელი თვისება (დღევანდელ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ურომლისოდაც იგი სრულიადაც არ იქნებოდა კაპიტალი) მიითვისოს დაქირავებული მუშების ფასგადაუხდელი შრომა.

მაგრამ ბურჟუაზიული ეკონომისტებისაგან პრუდონი იმით განსხვავდება, რომ იგი ამ «კაპიტალის ნაყოფიერებას» არ იწონებს, არამედ, პირიქით, მასში «მარადიული სამართლიანობის» დარღვევას ხედავს. სწორედ ეს პროდუქტიულობა უშლის მუშას ხელს იმაში, რომ თავისი შრომის სრული შემოსავალი მიიღოს. მაშასადმე, იგი უნდა მოისპოსო. მაგრამ როგორ? იმით, რომ პროცენტის ნორმა იძულებითი კანონებით შემცირდება და ბოლოს ნულამდე იქნება დაყვანილი. მაშინ, ჩვენი პრუდონისტის აზრით, კაპიტალი აღარ იქნება პროდუქტიული.

ფ უ ლ ა დ ი სასესხო კაპიტალის პროცენტი მოგების მხოლოდ ნაწილია; სამრეწველო თუ სავაჭრო კაპიტალის მოგება მხოლოდ ნაწილია იმ ზედმეტი ღირებულებისა, რომელიც კაპიტალისტების კლასმა მუშათა კლასს ფასგადაუხდელი შრომის სახით წაართვა. ეკონომიური კანონები, რომელნიც პროცენტის ნორმას აწესრიგებენ, იმდენად დამოუკიდებელი არიან იმ კანონებისაგან, რომელნიც ზედმეტი ღირებულების ნორმას აწესრიგებენ, რამდენადაც ამას საერთოდ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ერთი და იმავე საზოგადოებრივი ფორმის კანონებში. მაგრამ რაც შეეხება ამ ზედმეტი ღირებულების განაწილებას ცალკეულ კაპიტალისტებს შორის, ცხადია, რომ მრეწველებისა და ვაჭრებისათვის, რომელთა საწარმოებში სხვა კაპიტალისტების მიერ ბევრი კაპიტალია დაბანდებული, მოგების ნორმა — დანარჩენ თანაბარ პირობებში — იმავე ზომით უნდა გაიზარდოს, რა ზომითაც პროცენტის ნორმა ეცემა. მაშასადამე, პროცენტის ნორმის შემცირება და, ბოლოს, მისი გაუქმება სინამდვილეში სრულიადაც ვერ «დაძლევდა» ეგრეთწოდებულ «კაპიტალის პროდუქტიულობას», არამედ მხოლოდ სხვაგვარად მოაწესრიგებდა იმ ფასგადაუხდელი ზედმეტი ღირებულების განაწილებას ცალკეულ კაპიტალისტებს შორის, რომელიც მუშათა კლასს წაართვეს, და ხელსაყრელი იქნებოდა არა მუშისათვის მრეწველ კაპიტალისტთან შედარებით, არამედ მრეწველი კაპიტალისტისათვის რანტიესთან შედარებით.

პრუდონი, თავისი იურიდიული თვალსაზრისით, პროცენტის ნორმას ხსნის, ისევე როგორც ყველა ეკონომიურ მოვლენას არა საზოგადოებრივი წარმოების პირობებით, არამედ სახელმწიფო კანონებით, რომლებშიც ეს პირობები საერთო გამოხატულებას პოულობენ. ამ თვალსაზრისით, რომელსაც არ გააჩნია არავითარი წარმოდგენა სახელმწიფო კანონების კავშირზე წარმოების საზოგადოებრივ პირობებთან, ეს სახელმწიფო კანონები აუცილებლად გვევლინება სრულიად თვითნებურ ბრძანებებად, რომლებიც ყოველ მომენტში ასეთივე წარმატებით შეიძლება შეცვლილ იქნეს პირდაპირ საწინააღმდეგო ბრძანებებით. ამიტომ პრუდონისათვის ყველაზე უფრო იოლი საქმეა გამოსცეს — თუ კი მას ამისათვის ძალაუფლება ექნებოდა — დეკრეტი, რომლითაც პროცენტის ნორმა ერთ პროცენტამდე შემცირდება. მაგრამ თუ ყველა სხვა საზოგადოებრივი პირობები უცვლელი დარჩება, ეს პრუდონული დეკრეტი მხოლოდ ქაღალდზე იარსებებს. მიუხედავად ყოველივე დეკრეტისა, პროცენტის ნორმა წინანდებურად მოწესრიგებული დარჩება ეკონომიური

კანონების მიერ, რომლებსაც იგი ამჟამად ექვემდებარება. კრედიტუნარიანი ადამიანები, ისე როგორც უწინ, გარემოებისდა მიხედვით, ფულს ისესხებენ 2, 3, 4 და კიდევ მეტი პროცენტით და განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ რანტიები მეტად წინდახედულად მოიქცევიან და ფულს ავანსად მისცემენ ისეთ ადამიანებს, რომელთა მხრივ რაიმე სასამართლო პროცესი მოსალოდნელი არ იქნება. ამასთან ეს დიდი გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს კაპიტალს «პროდუქტიულობა» წაართვას, ადამის დროინდელია, ისეთივე ძველი, როგორც მ ე ვ ა ხ შ ე ო ბ ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი, რომელთა მიზანი მხოლოდ პროცენტის ნორმის შეზღუდვაა და რომელნიც ახლა ყველგან გაუქმებულია, იმიტომ რომ პრაქტიკაში მათ ყოველთვის არღვევდნენ ან გვერდს უვლიდნენ და სახელმწიფოც იძულებული იყო საზოგადოებრივი წარმოების კანონების მიმართ თავისი უძლურება ეღიარებინა. და აი ამ შუასაუკუნოებრივი, განუხორციელებელი კანონების ხელახლა შემოღებამ «უნდა დაძლიოს კაპიტალის პროდუქტიულობა!». როგორც ვხედავთ, რაც უფრო ახლოს ვიკვლევთ პრუდონიზმს, მით უფრო რეაქციული სახით გვევლინება იგი.

და როცა პროცენტის ნორმა ასეთი წესით ნულამდე შემცირებულია, მაშასადამე, კაპიტალის პროცენტი გაუქმებულია, მაშინ «აღარაფერი რჩება გადასახდელი, გარდა კაპიტალის ტრიალისათვის საჭირო შრომისა». ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ პროცენტის გაუქმება უდრის მოგების და თვით ზედმეტი ღირებულების გაუქმებასაც კი. მაგრამ შესაძლებელიც რომ იყოს დეკრეტის საშუალებით პროცენტის ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გაუქმება, — რა იქნებოდა ამის შედეგი? ის, რომ რ ა ნ ტ ი ე ბ ი ს კლასს უკვე არავითარი წამაქეზებელი საბაბი აღარ ექნებოდა იმისათვის, რომ თავისი კაპიტალი ავანსის სახით სესხად გაეცა, არამედ იგი მას საკუთარი რისკით თავის სამრეწველო საწარმოებში ანდა აქციონერთა საზოგადოებებში მოათავსებდა. ზედმეტი ღირებულების მასა, რომელიც მუშათა კლასს კაპიტალისტების კლასმა წაართვა, უცვლელი დარჩებოდა, შეიცვლებოდა მხოლოდ მისი განაწილება, და ისიც უმნიშვნელოდ.

სინამდვილეში ჩვენი პრუდონისტი მხედველობიდან უშვებს, რომ უკვე ახლა საქონლის ყიდვისას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საშუალოდ სწორედ აღარაფერი რჩება გადასახდელი, გარდა «კაპიტალის ტრიალისათვის (რაც ნიშნავს: გარკვეული საქონლის წარმოებისათვის) საჭირო შრომისა». შრომა არის ყველა საქონლის

ლირებულების საზომი, და თანამედროვე საზოგადოებაში — თუ ბაზრის რყევას მხედველობის გარეშე დავტოვებთ — სრულიად შეუძლებელია, რომ საერთოდ და მთლიანად საქონელში იმ შრომაზე მეტს იხდიდნენ, რაც მის დასამზადებლად არის საჭირო. არა, არა, საყვარელო პრუდონისტო, თავსატეხი გამოცანა სულ სხვა რამეშია: იგი იმაშია, რომ «კაპიტალის ტრიალისათვის საჭირო შრომას» (თქვენი გამოთქმების აბნეული მანერა რომ ვიხმაროთ) სწორედ რომ მ თ ლ ი ა ნ ა დ რ ო დ ი ი ხ დ ი ა ნ! თუ როგორ ხდება ეს, თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ მარქსის ნაშრომში («კაპიტალი», ტ. I გვ. 128 — 160) [1].

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. თუ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს პროცენტი (Kapitalzins) გაუქმებულია, ამით გაუქმებულია აგრეთვე ბინის ქირაც (Mietzins) [2]. ვინაიდან «სახლიც და ბინაც, ისე როგორც ყველა სხვა პროდუქტი, ამ კანონის მოქმედებას ექვემდებარება». ეს სავსებით იმ ძველი მაიორის ყაიდაზეა, რომელმაც მოხალისე ჯარისკაცს გამოუძახა და უთხრა: «ერთი მითხარით, ამბობენ, თქვენ დოქტორი ხართ, — შემოიარეთ ხოლმე ჩემთან დროგამოშვებით; როცა ცოლი და შვიდი ბავშვი გყავს, მუდამ გეყოლება კაცს ვინმე სამკურნალო».

მოხალისე ჯარისკაცი: «ბოდიში, ბატონო მაიორო, მე ფილოსოფიის დოქტორი გახლავარ!»

მაიორი: «ეს ჩემთვის სულერთია, დოქტორი დოქტორია».

ასე მოსდის ჩვენს პრუდონისტსაც: ბინის ქირაა (Mietzins) თუ კაპიტალის პროცენტი (Kapitalzins) — ეს მისთვის სულერთია, პროცენტი პროცენტია, დოქტორი დოქტორია. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ქირის ფასს (Mietpreis), რომელსაც ჩვეულებრივ ბინის ქირას (Mietzins) ეძახიან, შეადგენს: 1) მიწის რენტის ნაწილი, 2) სამშენებლო კაპიტალის პროცენტის ნაწილი, მშენებლობის მწარმოებლის მოგების ჩათვლით, 3) რემონტისა და დაზღვევის ხარჯების ნაწილი, 4) სამშენებლო კაპიტალის ყოველწლიურ გადასახდელთა დაფარვის (ამორტიზაციის) ნაწილი, მოგების ჩათვლით, იმისდა კვალად, თუ თანდათან როგორ უვარგისი ხდება სახლი.

ახლა უკვე ბრმისთვისაც ნათელი უნდა იყოს, რომ «თვით მფლობელი პირველი იქნება, რომელიც სახლის გაყიდვას შეეცდება, ვინაიდან სხვანაირად მისი სახლი გამოუყენებელი დარჩებოდა, ხო-

[1] იხ. კ. მ ა რ ქ ს ი. «კაპიტალი», ქართ. გამოც. 1930 წ., გვ. 161 — 168. რ ე დ.

[2] სიტყვასიტყვით — «ქირის პროცენტი». რ ე დ.

ლო სახლის აშენებაზე დაბანდებული კაპიტალი პირდაპირ უსარგებლო გახდებოდა». რასაკვირველია, თუ სასესხო კაპიტალის პროცენტს გავაუქმებთ, მაშინ ვერც ერთი სახლმფლობელი ვეღარ მიიღებს უკვე ვერც ერთ პფენინგ ქირას თავისი სახლისათვის უბრალოდ იმიტომ, რომ ქირას (Miete) შეიძლება აგრეთვე ეწოდოს ქირის პროცენტი (Mietzins), და იმიტომ, რომ ქირის პროცენტი შეიცავს ნაწილს, რომელიც კაპიტალის ნამდვილ პროცენტს შეადგენს. დოქტორი დოქტორად რჩება. რომ შესაძლებელი იყოს კაპიტალის ჩვეულებრივი პროცენტის მიმართ მევახშეობის კანონებს მოქმედების ძალა დავუკარგოთ მხოლოდ გვერდის აქცევით, მაშინ ისინი ბინის ქირის განაკვეთს ვერასდროს ვერ შეეხებოდნენ თუნდაც ძალზე დაშორებული სახითაც კი. პრუდონი პირველია, რომლის ხვედრიც იყო იმის წარმოდგენა, რომ მისი ახალი კანონი მევახშეობის შესახებ, სულ იოლად, მოაწესრიგებს და თანდათან გაუქმებს არა მარტო კაპიტალის მარტივ პროცენტს, არამედ ბინების რთულ ქირასაც (Mietzins). მაგრამ თუ რატომღა უნდა იყიდონ მაშინ სახლმფლობელისაგან ეს «უბრალოდ უსარგებლო» სახლი დიდ ფასში და რატომ არ უნდა გადაიხადოს სახლმფლობელმა ასეთ პირობებში დამატებით კიდევ ფული იმისათვის, რომ თავიდან მოიშოროს «უბრალოდ უსარგებლო» სახლი და უკვე აღარ გასწიოს მისი რემონტისათვის ხარჯები, — ეს ჩვენთვის საიდუმლოებად რჩება.

უმაღლესი სოციალიზმის (სუპრასოციალიზმის, როგორც ამას მაესტრო პრუდონი უწოდებდა) სფეროში ამ საზეიმო ღვაწლის შემდეგ ჩვენი პრუდონისტი ფიქრობს, რომ მას უფლება აქვს კიდევ უფრო მეტ აღმაფრენას მიეცეს.

«ახლა მხოლოდ ისღა დაგვრჩენია კიდევ რამდენიმე დასკვნა გავაკეთოთ, რათა ყოველმხრივ მთლიანად გავაშუქოთ ჩვენი გამოკვლევის ესოდენ მნიშვნელოვანი საგანი».

და როგორია ეს დასკვნები? ეს დასკვნები ისევე ნაკლებად გამომდინარეობენ ზემოთქმულიდან, როგორც საცხოვრებელი სახლების გაუფასურება გამომდინარეობს პროცენტის ნორმის გაუქმებიდან, და ისინი, თუ ჩამოვაშორებთ მათ ჩვენი ავტორის მედიდურ და ზეიმურ ფრაზეოლოგიას, მხოლოდ იმას ნიშნავენ, რომ საჭირაო ბინების გამოსყიდვის საქმის უკეთესად დამთავრებისათვის სასურველია: 1) საგნის ზუსტი სტატისტიკა, 2) კარგი სანიტარული პოლიცია და 3) მშენებელი მუშების ამხანაგობანი, რომლებ-

საც შეუძლიათ ახალი სახლების აშენება იკისრონ; ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი და მშვენიერი რამაა, მაგრამ მიუხედავად მთელი ამ ბაზრულ-მყვირალა ფრაზეოლოგიისა, მათ სრულიადაც არ ძალუძთ «მთლიანად გააშუქონ» პრუდონულ იდეათა დომხალის წყვდიადი.

ვინც ასეთი საგმირო საქმე, ჩაიდინა, მას უფლება აქვს გერმანელ მუშებს სერიოზული რჩევა-დარიგებით მიმართოს:

«ეს და მსგავსი საკითხები, ვფიქრობთ, სავსებით ღირსია სოციალური დემოკრატიის ყურადღებისა... დაე სოციალური დემოკრატია შეეცადოს ისეთივე სიცხადით, როგორც აქ ბინის საკითხია გარკვეული, გაარკვიოს სხვა არა ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა კ რ ე დ ი ტ ი, ს ა ხ ე ლ მწ ი ფ ო ვ ა ლ ე ბ ი, კ ე რ ძ ო ვ ა ლ ე ბ ი, გადასახადები და სხვ.» და ა. შ..

მაშასადამე, აქ ჩვენი პრუდონისტი «მსგავს საკითხებზე» მთელ რიგ სტატიებს გვპირდება, და თუ ის ყველა ამ საკითხს ისე დაწვრილებით განიხილავს, როგორც წინამდებარე «ესოდენ მნიშვნელოვანი საგანი» განიხილა, მაშინ «**Volksstaat**»-ი უზრუნველყოფილი იქნება ხელნაწერებით მთელი წლისათვის. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია წინასწარ მივხვდეთ, რომ ყველაფერი უკვე ნათქვამის განმეორება იქნება: კაპიტალის პროცენტი გაუქმდება, ამით მოისპობა სახელმწიფო და კერძო ვალებისათვის გადასახდელი პროცენტები, კრედიტი მუქთა იქნება და ასე შემდეგ. ასეთივე ჯადოსნური სიტყვაა გაძოყეხებული ყოველი სხვა საგნის ძიმართ და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ულმობელი ლოგიკით ვღებულობთ იმ განსაცვიფრებელ შედეგს, რომ თუ გაუქმებულია კაპიტალის პროცენტი, მაშინ ნასესხებ ფულზე უკვე აღარ უნდა ვიხადოთ პროცენტები.

თუმცაღა საუცხოოა საკითხებიც, რომლებითაც ჩვენი პრუდონისტი ჩვენ გვემუქრება. კ რ ე დ ი ტ ი! რომელი კრედიტი სჭირდება მუშას, გარდა კრედიტისა ხელფასის მიღებიდან მიღებამდე ანდა ლომბარდის კრედიტისა? მისცემენ მას ასეთ კრედიტს მუქთად თუ პროცენტებზე, თუნდაც ლომბარდის მევახშურ პროცენტებზე — დიდი იქნება კი მისთვის განსხვავება? და თუ მუშას, საერთოდ რომ ავიღოთ, აქედან სარგებლობა ექნებოდა, მაშასადამე, სამუშაო ძალის წარმოების ხარჯები უფრო გაიაფდებოდა, — განა სამუშაო ძალის ფასიც არ დაეცემოდა? მაგრამ ბურჟუასათვის, განსაკუთრებით კი წვრილი ბურჟუასათვის, კრედიტი მნიშვნელოვანი საკითხია, და წვრილი ბურჟუასათვის განსაკუთრებით კარგი საქმე იქნებოდა, თუ მას შესაძლებლობა ექნებოდა ყოველ მომენტში მიეღო

კრედიტი, თანაც უპროცენტო კრედიტი. — «სახელმწიფო ვალები»! მუშათა კლასმა იცის, რომ მას ეს ვალები არ აუღია, ხოლო როცა ის ხელისუფლებას დაეპატრონება, მათ გასტუმრებას იმათ დაუთმობს, ვინც ისინი აიღო. — «კერძო ვალები»! — იხილე კრედიტი.. — «გადასახადები»! ეს ისეთი რამაა, რაც ბურჟუაზიას მეტად აინტერესებს. მუშათა კლასს კი — ძალიან ნაკლებად: ის, რასაც მუშა გადასახადების სახით იხდის, საბოლოოდ სამუშაო ძალის წარმოების ხარჯებში შედის და, მაშასადამე, ანაზღაურებულ უნდა იქნეს კაპიტალისტის მიერ. ყველა ეს პუნქტი, წამოყენებული ჩვენს წინაშე როგორც მუშათა კლასისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები, სინამდვილეში არსებით ინტერესს წარმოადგენს მხოლოდ ბურჟუასათვის და კიდევ უფრო მეტად წვრილი ბურჟუასათვის, ჩვენ კი ვამტკიცებთ, წინააღმდეგ პრუდონისა, რომ მუშათა კლასი სრულიადაც არ არის მოწოდებული ამ კლასების ინტერესები დაიცვას.

ისეთ დიდ საკითხზე, რომელიც მართლა მუშებს ეხება, კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის არსებული ურთიერთობის საკითხზე, იმ საკითხზე, თუ როგორ შეუძლია კაპიტალისტს თავისი მუშების შრომით გამდიდრება, — ამაზე ჩვენი პრუდონისტი ერთ სიტყვასაც არ ამბობს. მისი ბატონი და მასწავლებელი, მართალია, არკვევდა ამ საკითხს, მაგრამ მასში სრულიადაც არ შეუტანია რაიმე გარკვეულობა და თავის უკანასკნელ ნაწარმოებებში ამ მხრივ არსებითად «სილატაკის ფილოსოფიაზე» უფრო შორსაც კი ვერ წავიდა, იმ ნაწარმოებზე უფრო შორს, რომლის არარაობაც ჯერ კიდევ 1847 წელს ესოდენ ბრწყინვალედ გამოამჟღავნა მარქსმა.

დიდად სამწუხაროა, რომ რომანულ ენაზე მოლაპარაკე მუშებს ოცდახუთი წლის განმავლობაში თითქმის არც ერთი სხვა სოციალისტური სულიერი საზრდო არ გააჩნიათ, გარდა ამ «მეორე იმპერიის სოციალისტის» ნაწერებისა. ორმაგი უბედურება იქნებოდა, თუ პრუდონისტული თეორია ახლა გერმანიასაც მოეფინებოდა. მაგრამ ამის საფრთხე არ არის. გერმანელი მუშების თეორიულმა დონემ ორმოცდაათი წლით გაუსწრო პრუდონიზმს და საკმარისი იქნება ეს მარტოოდენ ამ ერთი საკითხის — ბინის საკითხის მაგალითზე ნათელვყოთ, რათა შემდგომი ჯაფა ამ მხრივ თავიდან ავიცილოთ.

განყოფილება II

როგორ წყვეტს ბურჟუაზია ბინის საკითხს

I

ბინის საკითხის პრუდონისტული გადაწყვეტისადმი მიძღვნილ განყოფილებაში ნაჩვენები იყო, თუ რამდენად არის ამ საკითხით უშუალოდ დაინტერესებული წვრილი ბურჟუაზია. მაგრამ მსხვილი ბურჟუაზიისთვისაც იგი მეტად მნიშვნელოვან, თუმცაღა არა უშუალო, ინტერესს წარმოადგენს. თანამედროვე ბუნებისმეტყველებამ დაამტკიცა, რომ ეგრეთწოდებული «ცუდი უბნები», სადაც შექუჩებული არიან მუშები, ყველა იმ გადამდები სენის კერებს ჰქმნიან, რომელიც დროგამოშვებით ესტუმრება ხოლმე ჩვენს ქალაქებს. ხოლერა, ტიფი და ტიფოზური ხურვება, ყვავილი და სხვა გამანადგურებელი ავადმყოფობანი ავრცელებენ თავიანთ ბაქტერიებს მუშათა ამ უბნების მოწამლულ ჰაერსა და წყალში; ამ უბნებში ეს სხვადასხვა დაავადება თითქმის არასდროს არ ისპობა, არამედ ხელსაყრელ პირობებში მოარულ სენად ვითარდება და, სცილდება რა თავის კერათა ფარგლებს, ვრცელდება შემდეგ აგრეთვე ქალაქის უფრო სუფთაჰაერიან, უფრო ჯანსაღ ნაწილებში, სადაც ბატონი კაპიტალისტები ცხოვრობენ. კაპიტალისტების გაბატონებულ კლასს არ შეუძლია დაუსჯელად ისიამოვნოს იმით, რომ მუშათა კლასში ეპიდემიური დაავადებანი გავრცელდეს; შედეგები თვით კაპიტალისტებსაც უწევს და სიკვდილის ცელი ისევე დაუნდობლად ავლებს მუსრს თავის მსხვერპლს კაპიტალისტებს შორის, როგორც მუშებს შორისაც.

როგორც კი ეს მეცნიერულად დადგენილ იქნა, კაცთმოყვარე ბურჟუები აღიგზნენ კეთილშობილი სურვილით თავიანთი მუშების ჯანმრთელობისათვის ზრუნვაში ერთმანეთს შეჯიბრებოდნენ. არსდებოდა საზოგადოებები, იწერებოდა წიგნები, სწარმოებდა პროექტების შედგენა, კანონების განხილვა და გამოცემა იმ მიზნით, რომ ძირფესვიანად მოესპოთ იმ ეპიდემიათა წარმომშობი მიზეზი, რომელნიც მუდამ პერიოდულად მეორდებიან ხოლმე. იკვლევდნენ მუშათა საბინაო პირობებს და ცდილობდნენ ყველაზე აღმაშფო-

თებელ უბედურებათა თავიდან აცილებას. განსაკუთრებით ენერგიული მოქმედება გაჩაღდა ინგლისში, სადაც ყველაზე დიდი ქალაქები არსებობდა და სადაც, მაშასადამე, მსხვილ ბურჟუებს ყველაზე დიდი საფრთხე მოელოდათ; დანიშნულ იქნა მთავრობის კომისიები მშრომელი კლასის ცხოვრების სანიტარული პირობების გამოსაკვლევად; მათმა საანგარიშო მოხსენებებმა, რომლებიც დადებითად განსხვავდებოდნენ ყველა კონტინენტური წყაროსაგან თავისი სიზუსტით, სისრულით და მიუდგომლობით, საფუძველი მისცეს ახალ, ცოტად თუ ბევრად რადიკალურ კანონებს. რაგინდ არასრულყოფილი იყოს ეს კანონები, ისინი მაინც შეუდარებლად აღემატებიან ყოველივე იმას, რაც დღემდე ამ მიმართულებით კონტინენტზე გაკეთებულა. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილება მუდამ წარმოშობს იმ წყლულს, რომლის მკურნალობაზეც აქ ლაპარაკია, და წარმოშობს ისეთი აუცილებლობით, რომ ინგლისშიც კი ეს მკურნალობა, საეჭვოა, თუნდაც ერთი ნაბიჯით წინ წასულიყო.

გერმანიას, ჩვეულებისამებრ, გაცილებით უფრო ხანგრძლივი დრო დასჭირდა, ვიდრე იქაც მუდმივად არსებულ გადამდებ სნეულებათა წყაროები ისეთი სიმწვავით განვითარდებოდა, რაც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მთვლემარე მსხვილი ბურჟუაზია შეენძრია. თუმცაღა, ნათქვამია, შორი გზით მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო, და აი, ბოლოს, ჩვენშიაც წარმოიშვა საზოგადოებრივი სანიტარიისა და ბინის საკითხზე ბურჟუაზიული ლიტერატურა, რომელიც წყალ-წყალა ამონაკრეფია უცხოელი, განსაკუთრებით ინგლისელი, წინამორბედების ნაწარმოებებიდან, ამონაკრეფი, რომელსაც მყვირალა და მაღალფარდოვანი ფრაზების საშუალებით თაღლითურად აძლევენ უმაღლესი გაგების მოჩვენებით ხასიათს. ამ ლიტერატურას ეკუთვნის დ-რ ემილ ზაქსის წიგნი: «მშრომელი კლასების საბინაო პირობები და მათი რეფორმა». ვენა, 1869[1].

მე ეს წიგნი ბინის საკითხზე ბურჟუაზიული შეხედულების გადმოსაცემად მხოლოდ იმიტომ ავირჩიე, რომ იგი იძლევა ცდას მთელი ბურუაზიული ლიტერატურა ამ საგანზე შეძლებისამებრ შეჯამებულად წარმოგვიდგინოს. მაგრამ რა საუცხოოა ის ლიტერატურაც, რომელსაც ჩვენი ავტორი «წყაროდ» იყენებს! ინგლისის

[1] Sax E., Die Wohnungszustände der arbeitenden Klassen und ihre Reform. Wien, 1869. რედ.

პარლამენტის ანგარიშებიდან, რომლებიც მართლა ძირითადი წყაროებია, დასახელებულია მხოლოდ სამი და ისიც ყველაზე ძველი; მთელი წიგნი ამტკიცებს, რომ ავტორს არასოდეს ერთი მათგანიც კიარ უნახავს; სამაგიეროდ იგი იმოწმებს მთელ რიგ ბანალურ-ბურჟუაზიულ, კეთილმოაზრე-მეშჩანურ და ფარისევლურ-ფილანთროპულ ნაწერებს: დიუკპესოს, რობერტსს, ჰოლს, ჰუბერს, სოციალურ მეცნიერებათა (ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სოციალურ ჩმახვათა) ინგლისის კონგრესის შრომებს, მშრომელი კლასების კეთილდღეობისათვის მზრუნავი პრუსიული კავშირის ჟურნალს, ავსტრიის ოფიციალურ ანგარიშს პარიზში მოწყობილი მსოფლიო გამოფენის შესახებ, ოფიციალურ ბონაპარტისტულ ანგარიშებს იმავე გამოფენის ირგვლივ, «**Illustrated London News**»-ს [1], «**Über Land und Meer**»-ს [2] და, დასასრულ, «აღიარებულ ავტორიტეტს», «გონებამახვილი, პრაქტიკული მოსაზრების» ადამიანს, რომელიც აღჭურვილია «დამაჯერებელი, გულის სიღრმეში ჩამწვდომი მეტყველებით», სახელდობრ — იულიუს ფაუხერს! წყაროების ამ სიას აკლია კიდევ მხოლოდ «**Gartenlaube, Kladderadatsch**» და მსროლელი კუჩკე [3].

ბ-ნ ზაქსის თვალსაზრისის შესახებ რომ რაიმე გაუგებრობა არ შეიქმნას, იგი 22-ე გვერდზე აცხადებს:

«სოციალურ ეკონომიას ჩვენ ვუწოდებთ მოძღვრებას სახალხო მეურნეობის შესახებ სოციალური საკითხებისადმი მისი გამოყენებით, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმ საშუალებებისა და ხერხების ერთობლიობას, რომლებსაც ეს მეცნიერება გვაწვდის იმისათვის, რომ, მისი «რკინის» კანონების საფუძველზე ამჟამად გაბატონებული საზოგადოებრივი წყობილების ფარგლებში, ავამაღლოთ ეგრეთწოდებული (!) უქონელი კლასები მქონებელთა დონემდე».

---

1 «**Illustrated London News**» («დასურათებული ლონდონის ახალი ამბები») — გავრცელებული დასურათებული ყოველკვირეული ბურჟუაზიული ორგანო, დაარსებული 1842 წელს. რედ.

2 «**Ueber Land und Meer**» («ხმელეთზე და ზღვაზე») — დასურათებული ბელეტრისტული ჟურნალი, რომელიც 1858 წლიდან გამოდიოდა შტუტგარტში. რედ.

3 «**Gartenlaube**» («ტალავარი») იყო წვრილბურჟუაზიული საოჯახო ჟურნალი, «**Kladderadatsch**» («ტკაცანი») კი — იუმორისტული ჟურნალი. «**Füselier August Kutschke**» («მსროლელი ავგუსტ კუჩკე») ფსევდონიმია პოეტი გოტჰელფ ჰოფმანისა (1844 — 1924), რომელმაც 1870/71 წ. საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს მთელი რიგი პატრიოტული ლექსები შეთხზა. რედ.

ჩვენ არ შევუდგებით იმ აბნეული წარმოდგენის განხილვას, თითქოს მოძღვრება «სახალხო მეურნეობის შესახებ», ანუ პოლიტიკური ეკონომია, საერთოდ სხვა რაიმე საკითხებს იკვლევდეს, გარდა «სოციალურისა». ჩვენ ერთბაშად დავიწყებთ მთავარი პუნქტიდან. დ-რი ზაქსი მოითხოვს, რომ ბურჟუაზიული ეკონომიის «რკინის კანონები», «ამჟამად გაბატონებული საზოგადოებრივი წყობილების ფარგლები», სხვა სიტყვებით, წარმოების კაპიტალისტური წესი უცვლელი დარჩეს და რომ, მიუხედავად ამისა, «ეგრეთწოდებული უქონელი კლასების» მდგომარეობა ამაღლებულ იქნეს «მქონეთა დონემდე». მაგრამ წარმოების კაპიტალისტური წესის გარდუვალი წანამძღვარი ხომ ისაა, რომ არსებობს არა ეგრეთწოდებული, არამედ ნამდვილად უქონელი კლასი, რომელსაც სწორედ სხვა არაფერი გააჩნია გასაყიდი, გარდა თავისი სამუშაო ძალისა, და რომელიც ამიტომ იძულებულია ეს სამუშაო ძალა მრეწველ კაპიტალისტებს მიჰყიდოს. ბ-ნ ზაქსის მიერ აღმოჩენილი ახალი შეცნიერების — «სოციალური ეკონომიის» — ამოცანა, მაშასადამე, შემდეგია: გამოვნახოთ საშუალებანი და ხერხები იმისათვის, რომ არსებული საზოგადოებრივი წყობილების შიგნით, რომელიც დამყარებულია, ერთი მხრივ, ყველა ნედლი მასალის, წარმოების იარაღთა და საარსებო საშუალებათა მფლობელ კაპიტალისტებსა და, მეორე მხრივ, იმ უქონელ დაქირავებულ მუშებს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე, რომელთაც მხოლოდ თავიანთი სამუშაო ძალა გააჩნიათ და მეტი არაფერი, — რომ ამ საზოგადოებრივი წყობილების ფარგლებში ყველა დაქირავებულ მუშას შეეძლოს კაპიტალისტად გადაქცევა და თანაც დაქირავებულ მუშად დარჩენა. ბ-ნი ზაქსი ფიქრობს, რომ მან ეს საკითხი გადაწყვიტა. შეიძლება მან კეთილ ინებოს და გვიჩვენოს, თუ როგორ შეგვეძლო საფრანგეთის არმიის ყველა ჯარისკაცი, რომლებიდანაც თვითეული ნაპოლეონ I დროიდან თავის ჩანთაში ხომ მარშალის კვერთხს ატარებს, გადაგვექცია ფელდმარშლებად ისე, რომ ისინი უბრალო ჯარისკაცებიც დარჩენილიყვნენ! ანდა როგორ მოხერხდება, რომ გერმანიის იმპერიის 40 მილიონი ქვეშევრდომი გერმანიის იმპერატორებად გავხადოთ!

ბურჟუაზიული სოციალიზმის დედაარსი სწორედ ისაა, რომ მას სურს თანამედროვე საზოგადოების ყველა უბედურების საფუძველი შეინარჩუნოს და იმავე დროს ეს უბედურებანი მოსპოს. ბურჟუაზიულ სოციალისტებს სურთ, როგორც ეს უკვე ნათქვამია «კომუნისტურ მანიფესტში», «განკურნოს სოციალური სატკივრები, რათა მით განამტკიცონ ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობა»;

მათ სურთ «ბ ურ ჟ უ ა ზ ი ა უ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ო დ». ჩვენ დავინახეთ, რომ ბ-ნი ზაქსი სწორედ ასე აყენებს საკითხს; მის გადაწყვეტას იგი ბინის საკითხის გადაწყვეტაში ხედავს; ის იმ შეხედულებისაა, რომ «მშრომელი კლასების ბინების გაუმჯობესებით წარმატებით შეიძლებოდა გვეშველა აღწერილი ფიზიკური და სულიერი სიღატაკისათვის და ამით — ე. ი. მ ა რ ტ ო ო დ ე ნ საბინაო პირობების ფართო გაუმჯობესების გზით — ამ კლასების უდიდესი ნაწილი გამოგვეყვანა მათი ისეთი არსებობის ჭაობიდან, რომელიც ხშირად ძლივს თუ შეეფერება ადამიანის ღირსებას, და აგვეყვანა იგი მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის წმინდა სიმაღლემდე» (გვ. 14). გაკვრით შევნიშნავთ, რომ ბურჟუაზიის ინტერესს შეადგენს — მიჩქმალოს პროლეტარიატის არსებობის ფაქტი, პროლეტარიატისა, რომელიც ბურჟუაზიულმა წარმოებითმა ურთიერთობამ შექმნა და რომელიც ამ ურთიერთობათა შემდგომი არსებობის პირობას წარმოადგენს. ამიტომაც ბ-ნი ზაქსი ჩვენ მოგვითხრობს 21-ე გვერდზე, რომ მშრომელ კლასებად ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, ნამდვილ მუშებთან ერთად, «ყველა ხელმოკლე საზოგადოებრივი კლასი», «პატარა ადამიანები საერთოდ: ხელოსნები, ქვრივები, პენსიონერები (!), დაბალი მოხელეები და ა. შ.». ბურჟუაზიული სოციალიზმი ხელს უწვდის წვრილბურჟუაზიულ სოციალიზმს!

საიდანღა წარმოსდგება ბინის გაჭირვება? როგორ წარმოიშვა იგი? ბ-ნ ზაქსს, როგორც კეთილ ბურჟუას, არ მოეთხოვება იმის ცოდნა, რომ ბინის გაჭირვება საზოგადოების ბურჟუაზიული ფორმის აუცილებელი ნაყოფია; რომ ბინის გაჭირვების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს ისეთი საზოგადოება, სადაც მშრომელთა უდიდესი მასა იძულებულია იცხოვროს მხოლოდ და მხოლოდ ხელფასით, მაშასადამე, მთელი იმ საარსებო საშუალებებით, რაც აუცილებელია მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად და მოდგმის განსაგრძობად; სადაც მანქანებისა და სხვ. განუწყვეტელი ახალი გაუმჯობესებანი უამრავ მუშას სამუშაოს შოვნის შესაძლებლობას უსპობენ; სადაც მრეწველობის მძლავრი რყევა, რაც რეგულარულად მეორდება ხოლმე, განაპირობებს, ერთი მხრივ, უმუშევრად დარჩენილი მუშების მრავალრიცხოვან სარეზერვო არმიას, ხოლო, მეორე მხრივ, დროგამოშვებით უამრავ უმუშევარს ქუჩაში ისვრის; სადაც მუშები მასობრივად იყრიან თავს დიდ ქალაქებში და თანაც ეს უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე არსებულ პირობებში მათთვის ბინების აშენება; სადაც, მაშასადმე, ყველაზე საძაგელ საცხოვრებლებსაც კი ყოველთვის გამოუჩნდება დამქირავებელი; სადაც, ბოლოს,

სახლმფლობელს, როგორც კაპიტალისტს თავისი თვისებით, არა მარტო უფლება აქვს, არამედ, კონკურენციის ძალით, იგი ერთგვარად ვალდებულია კიდეც დაუზოგავად ამოიგოს თავის სახლიდან უაღრესად დიდი ბინის ქირა. ასეთ საზოგადოებაში ბინის გაჭირვება სრულიადაც არაა შემთხვევითი მოვლენა, იგი აუცილებელი ინსტიტუტია; მთელი მისი ზეგავლენით ჯანმრთელობაზე და ა. შ. იგი შეიძლება აღმოფხვრილ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა მთელი საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც მას წარმოშობს, ძირფესვიანად ფადატრიალდება. მაგრამ ბურჟუაზიული სოციალიზმი ვალდებული არაა ეს იცოდეს. ის ვერ გაბედავს ბინის გაჭირვება არსებული პირობებით ახსნას. მაშასადამე, მას მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ ეს გაჭირვება ზნეობრივი მოძღვრების ფრაზებით ადამიანთა გაფუჭებულობით, ასე ვთქვათ, საშვილიშვილო ცოდვით ახსნას.

«და აქ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, — მაშასადამე, არ შეიძლება უარვყოთ (რა გაბედული დასკვნაა!), — რომ ბრალი... მიუძღვის ნაწილობრივ თვით მუშებს, რომელნიც ბინის მოთხოვნას აყენებენ, ნაწილობრივ კი, და გაცილებით უფრო მეტად, იმათ, ვინც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას კისრულობს, ანდა იმათ, ვისაც, თუმცა საჭირო საშუალებანი თავის განკარგულებაში აქვს, მაგრამ მაინც ამ მოვალეობას არ კისრულობს, — შეძლებულ, მაღალ საზოგადოებრივ კლასებს. უკანასკნელთა დანაშაული... ისაა, რომ ისინი არ ზრუნავენ იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ რიგიანი ბინების საკმარისი მიწოდება».

როგორც პრუდონს გადავყევართ ეკონომიიდან იურისპრუდენციაში, ასევე აქ ჩვენი ბურჟუაზიული სოციალისტი ეკონომიიდან მორალის სფეროსაკენ გვეწევა. და ეს სავსებით ბუნებრივია. ვინც წარმოების კაპიტალისტურ წესს, თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების «რკინის კანონებს» ხელშეუხებლად აცხადებს და მაინც სურს მოსპოს მისი არასასიამოვნო, მაგრამ აუცილებელი შედეგები, მას მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ კაპიტალისტებს მორალი უკითხოს, მორალი, რომლის მგრძნობიარე ეფექტიც მაშინვე კვლავ ქრება პირადი ინტერესის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, კონკურენციის მეოხებით. მორალის ეს ქადაგება მთლიანად წააგავს ქათმის ქადაგებას ტბის ნაპირას, სადაც მის მიერ გამოჩეკილი იხვის ჭუჭულები ლაღად დაცურავენ. ჭუჭულები მოძრაობენ წყალში, თუმცა მასში მორები არაა, კაპიტალისტები კი ესწრაფვიან მოგებას, თუმცა ეს უკანასკნელი უსულგულოა. «ფულის საქმეში გულკეთილობა უადგილოაო», — ამბობდა უკვე ძველი ჰანზემანი, რომელმაც ეს ბ-ნ ზაქსზე უკეთ იცოდა.

«კარგი ბინები ისე ძვირია, რომ მუშების უდიდესი ნაწილისათვის სრულიად შეუძლებელია ასეთი ბინებით სარგებლობა. მსხვილი კაპიტალი... მშიშრულად თავს არიდებს მშრომელი კლასებისათვის ბინების აშენებას... ასე რომ თავიანთი ბინის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას ეს კლასები უმეტესწილად სპეკულაციის კლანჭებში ვარდებიან».

საძაგელი სპეკულაცია! მსხვილი კაპიტალი, რასაკვირველია, არასდროს არ ეწევა სპეკულაციას! მაგრამ არა ბოროტი სურვილი, არამედ მხოლოდ უცოდინარობა უშლის ხელს მსხვილ კაპიტალს მუშების ბინებზე სპეკულაცია გასწიოს:

«სახლმფლობელებმა სრულიად არ იციან, თუ რა დიდ და მნიშვნელოვან როლს... ასრულებს ბინის მოთხოვნილების ნორმალური დაკმაყოფილება, მათ არ იციან, რა ზარალს აყენებენ ისინი ადამიანებს, როცა მათ, რიგორც წესი, უპასუხისმგებლოდ სთავაზობენ ცუდ, მავნე ბინებს, და, ბოლოს, მათ არ იციან, როგორ ზიანს აყენებენ ამით თვით თავის თავს» (გვ. 27).

მაგრამ იმისათვის, რომ ბინის გაჭირვება წარმოიშვას, საჭიროა კაპიტალისტის უცოდინარობას მუშის უცოდინარობა დაემატოს. ბ-ნი ზაქსი აღიარებს, რომ მუშათა «ყველაზე დაბალი ფენები», «რათა უთავშესაფაროდ არ დარჩნენ, მუდამ იძულებულნი არიან (!) სადაც კი შეხვდებათ ღამისსათევი ეძიონ და ამ მხრივ სრულიად უმფარველო და უმწეონი არიან», და შემდეგს მოგვითხრობს:

«ხომ საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ ბევრი მათ შორის (მუშებს შორის) მოუფიქრებლობით, უმთავრესად კი უცოდინარობით, თითქმის — შეიძლებოდა გვეთქვა — ვირტუოზულად ართმევს თავის ორგანიზმს ბუნებრივი განვითარებისა და ჯანსაღი არსებობის პირობებს, არ გააჩნია რამდენიმე წარმოდგენაც კი რაციონალურ ჰიგიენაზე, განსაკუთრებით კი იმაზე, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ბინას» (გვ. 27).

მაგრამ სწორედ აქ ჩნდება ბურჟუას ვირის ყურები. მაშინ როდესაც კაპიტალისტების «ბრალი» უცოდინარობაში გაქრა, მუშების უცოდინარობა მხოლოდ საბაბია იმის ასაღიარებლად, რომ ბრალი მუშებს მიუძღვით. მოვუსმინოთ:

«ამრიგად, გამოდის (სწორედ უცოდინარობის წყალობით), რომ ისინი, ოღონდ ცოტა რამ დაზოგონ ბინის ქირის ხარჯზე, სახლდებიან ბნელ, ნოტიო, ვიწრო ბინებში, მოკლედ რომ ვთქვათ, ისეთ ბინებში, რომლებიც ჰიგიენის ყველა მოთხოვნის დაცინვას წარმოადგენენ..., რომ ხშირად რამდენიმე ოჯახი ერთად ქირაობს მხოლოდ ერთ ბინას, ერთ ოთახსაც კი, — და ყოველივე ეს იმისათვის ხდება, რომ რაც შეიძლება ნაკლები დახარჯონ ბინაზე, მაშინ როდესაც ამავე დროს ლოთობასა და ყოველგვარ სრულიად უმაქნის სიამოვნებაზე ისინი თავის შემოსავალს მართლა დანაშაულებრივად ფლანგავენ».

ფული, რასაც მუშები «არაყსა და თამბაქოზე ფლანგავენ» (გვ. 28), «მიკიტნური ცხოვრება მთელი მისი სავალალო შედეგებით, ცხოვრება, რომელიც ტყვიის საწონივით სულ ახლად და ახლად წუმპეში ითრევს მუშათა წოდებას», — აი ის, რაც მართლა ტყვიის საწონივით გაეჩხირა ყელში ბ-ნ ზაქსს. რომ არსებულ ურთიერთობაში ლოთობა მუშებს შორის ისეთივე აუცილებელი პროდუქტია მათი ცხოვრების პირობებისა, როგორც ტიფი, დანაშაული, პარაზიტები, სასამართლოს ბოქაული და სხვა საზოგადოებრივი სნეულებანი, — იმდენად აუცილებელი, რომ წინასწარ შეიძლება გამოვიანგარიშოთ იმ ადამიანთა საშუალო რიცხვი, რომელნიც ლოთობას ეძლევიან, — ამის ცოდნა ბ-ნ ზაქსს კვლავ არ ევალება. თუმცალა, ჯერ კიდევ ჩემი ძველი სკოლის მასწავლებელი იტყოდა ხოლმე: «მდაბიო ხალხი დადის სამიკიტნოში, ბატონები კი — კლუბში»-ო, და რადგანაც მე ორივე ადგილას ვყოფილვარ, ამიტომ შემიძლია ეს დავადასტურო.

მთელი ეს ყბედობა ორივე მხარის «უცოდინარობაზე» იგივეა, რაც გაცვეთილი ფრაზები კაპიტალისა და შრომის ინტერესების ჰარმონიის შესახებ. კაპიტალისტებს რომ თავისი ნამდვილი ინტერესები ესმოდეთ, ისინი მუშებს კარგ ბინებს მისცემდნენ და საერთოდ მათ უკეთეს პირობებში ჩააყენებდნენ; ხოლო მუშებს რომ თავისი ნამდვილი ინტერესები შეგნებული ჰქონდეთ, ისინი არ მოაწყობდნენ გაფიცვებს, არ გაჰყვებოდნენ სოციალ-დემოკრატიას, არ მიჰყოფდნენ ხელს პოლიტიკას, არამედ მორჩილად გაჰყვებოდნენ თავიანთ უფროსებს, კაპიტალისტებსო. მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ ორივე მხარე თავის ინტერესებს სრულიადაც არ ხედავს იმაში, რასაც მათ ბ-ნი ზაქსი და მისი უთვალავი წინამორბედნი უქადაგებენ. კაპიტალსა და შრომას შორის ჰარმონიის სახარებას უკვე 50 წელიწადია ქადაგებენ; ბურჟუაზიულ ფილანთროპიას ცოტა ფული როდი დაუჯდა იმის ცდები, რომ ეს ჰარმონია სანიმუშო დაწესებულებებით დაემტკიცებინა; მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დღეს ჩვენ სწორედ ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, როგორიც ორმოცდაათი წლის წინათ იყო.

ჩვენი ავტორი ახლა საკითხის პრაქტიკულ გადაწყვეტაზე გადადის. თუ როგორ ნაკლებად რევოლუციური იყო პრუდონის პროექტი — გაეხადა მუშები მათი ბინების მ ე ს ა კ უ თ რ ე ე ბ ა დ, ეს უკვე იქიდან ჩანს, რომ ბურჟუაზიული სოციალიზმი ჯერ კიდევ პრუდონამდე ცდილობდა, და ახლაც ცდილობს, ამ პროექტის პრაქტიკულად განხორციელებას. ბ-ნი ზაქსიც აცხადებს, ბინის საკით-

ხის მთლიანად გადაწყვეტა მხოლოდ იმით შეიძლება, თუ ბინის საკუთრება მუშების ხელში გადავაო (გვ. 58 და 59). კიდევ მეტი, იგი ამ აზრს ლირიკულ აღტაცებაში მოჰყავს და შემდეგ აღფრთოვანებულ ტირადას წარმოთქვამს:

«არის რაღაც თავისებურება მიწის საკუთრების იმ მხურვალე წადილში, რომელიც ადამიანს ახასიათებს, — მისწრაფებაში, რომლის შესუსტება თანამედროვე აღგზნებულად მფეთქავმა საქმოსნურმა ცხოვრებამაც კი ვერ შესძლო. ეს არის შეუცნობელი გრძნობა იმ სამეურნეო შენაძენის მნიშვნელობისა, რომელსაც მიწის საკუთრება წარმოადგენს. მიწის საკუთრებასთან ერთად ადამიანი იძენს მტკიცე მდგომარეობას, იგი, ასე ვთქვათ, მაგრად იდგამს ფესვებს მიწაში, და ყოველ მეურნეობას (!), ამავე მიწაზე წარმოებულს, მყარი საფუძველი აქვს. მაგრამ მიწის საკუთრების დალოცვილი ძალა ამ მატერიალური სარგებლობის ფარგლებს შორს სცილდება. ვისაც ბედნიერება აქვს მიწის ნაკვეთს თავისი უწოდოს, მან მიაღწია სამეურნეო დამოუკიდებლობის იმ უმაღლეს საფეხურს, რომლის წარმოდგენაც კი შეიძლება; მას აქვს სფერო, სადაც თავის შეხედულებათა მიხედვით შეუძლია სუვერენულად ითარეშოს. იგი თვითონ არის თავისი თავის ბატონ-პატრონი. მას აქვს გარკვეული ძალა და საიმედო საყრდენი შავი დღისათვის; იზრდება მისი თვითშეგნება და ამასთან ერთად მისი მორალური ძალა. აქედან გამომდინარეობს საკუთრების დიდი მნიშვნელობა წინამდებარე საკითხში... მუშა, რომელიც ამჟამად უმწეოდ ექვემდებარება კონიუნქტურის ცვალებადობას, რომელიც მუდმივად დამოკიდებულია სამუშაოს მიმცემზე, ამით რამდენადმე თავს დაალწევდა ამ მერყეე მდგომარეობას; იგი გახდებოდა კაპიტალისტი და უზრუნველყოფილი იქნებოდა უმუშევრობის ანდა შრომისუუნარობის საშიშროებათაგან უძრავი ქონების საგირავნო კრედიტით, რასაც იგი ამასთან დაკავშირებით თავისუფლად მიიღებდა. ამ გზით ის უქონელთა კლასიდან მქონებელთა კლასამდე ამაღლდებოდა» (გვ. 63).

ბ-ნი ზაქსი გულისხმობს, როგორც ჩანს, რომ ადამიანი არსებითად გლეხია; წინაალმდეგ შემთხვევაში იგი არ მიაწერდა ჩვენი დიდი ქალაქების მუშებს მიწის საკუთრებისადმი მისწრაფებას, მისწრაფებას, რომელიც მათში დღემდე სხვას არავის აღმოუჩენია. ჩვენი ქალაქის მუშებისათვის მოძრაობის თავისუფლება პირველი საარსებო პირობაა და მიწის საკუთრება შეიძლება წარმოადგენდეს მათთვის მხოლოდ ბორკილს. მიეცით მათ საკუთარი სახლები, მიაჯაჭვეთ ისინი მიწაზე და თქვენ გასტეხთ მათი წინააღმდეგობის ძალას, რასაც ისინი მეფაბრიკეების მიერ ხელფასის შემცირებას უწევენ. ცალკეული მუშა შესძლებდა შემთხვევის დროს თავისი სახლის გაყიდვას, მაგრამ სერიოზული გაფიცვის ანდა საყოველთაო სამრეწველო კრიზისის დროს ყველა სახლი — იმ მუშე-

ბის კუთვნილება, რომელთაც ეს მოვლენები შეეხებოდა — აუცილებლად ბაზარზე გასაყიდი შეიქნებოდა, მაშასადამე, ამ სახლებს ან სრულიად არ გამოუჩნდებოდა მყიდველები, ანდა მათი გაყიდვა მოხდებოდა თვითდირებულებაზე გაცილებით უფრო დაბალ ფასებში. ხოლო თუ ყველა ასეთ სახლს მყიდველი გამოუჩნდებოდა — მაინც ბ-ნ ზაქსის მთელი დიდი საბინაო რეფორმა კვლავ არარაობად გადაიქცეოდა და მას საქმის დაწყება ისევ თავიდან დაჭირდებოდა. მაგრამ პოეტები ოცნებათა სამყაროში ცხოვრობენ; და ასე მოსდის ბ-ნ ზაქსსაც, რომელსაც წარმოუდგენია, რომ მიწათმფლობელმა «სავეურნეო დამოუკიდებლობის უმაღლეს საფეხურს მიაღწია», რომ მას აქვს «საიმედო საყრდენი», რომ იგი ხ დ ე ბ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ი და «უზრუნველყოფილია უმუშევრობის ანდა შრომისუუნარობის საშიშროებათაგან უძრავი ქონების საგირავნო კრედიტით, რასაც იგი ამასთან დაკავშირებით თავისუფლად მიიღებს» და ასე შემდეგ. მაგრამ აბა ერთი დააკვირდეს ბ-ნი ზაქსი ფრანგ და ჩვენ რაინელ წვრილ გლეხებს; მათი სახლები და მინდვრები მეტისმეტად დამძიმებულია იპოტეკებით, მათი მოსავალი, ჯერ კიდევ მოუწეველი, მათ კრედიტორებს ეკუთვნის, და მათს «დარგში» თვითმპყრობელურად თარეშობენ თავისი შეხედულებით არა ისინი, არამედ მევახშე, ადვოკატი და სასამართლოს ბოქაული. ეს მართლაც და ეკონომიური დამოუკიდებლობის შესაძლებელი საფეხურებიდან უმაღლესი საფეხურია — მევახშისათვის. ხოლო იმისათვის, რომ მუშებმა რაც შეიძლება მალე გადასცენ თავიანთი პატარა სახლები მევახშის ასეთ სუვერენულ განკარგულებაში, კეთილმოსურნე ბ-ნი ზაქსი მზრუნველობით მიუთითებს მათ უ ძ რ ა ვ ი ქ ო ნ ე ბ ი ს ს ა გ ი რ ა ვ ნ ო კ რ ე დ ი ტ ზ ე, რომელიც მათ თავისუფლად შეუძლიათ მიიღონ და გამოიყენონ უმუშევრობისა და შრომისუუნარობის დროს, ნაცვლად იმისა, რომ ღარიბთათვის მზრუნველებს დააწვნენ ტვირთად.

ყოველ შემთხვევაში ახლა ბ-ნმა ზაქსმა გადაწყვიტა დასაწყისში დაყენებული საკითხი: მუშა «კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ი ხ დ ე ბ ა» საკუთარი სახლის შეძენით.

კაპიტალი არის მბრძანებლობა სხვების გადაუხდელ შრომაზე. მაშასადამე, მუშის სახლი კაპიტალად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა იგი მას მესამე პირს აქირავებს და ამ მესამე პირის შრომის პროდუქტის ნაწილს ქირის სახით ითვისებს. მაგრამ იმით, რომ მუშა თვით ცხოვრობს სახლში, იგი სწორედ ხელს უშლის სახლის კაპი-

ადაქცევას, ისევე როგორც სერთუკი აღარ წარმოადგენს
ტალს იმ მომენტიდან, როცა მე მას მკერავისაგან ვყიდუ-
ვიცვამ. მუშა, რომელსაც ათას ტალერად ღირებული სახ-
რა თქმა უნდა, უკვე პროლეტარი არაა, მაგრამ ბატონი
და იყო, რომ მას კაპიტალისტი უწოდო.

ჩვენი მუშის კაპიტალისტობას მეორე მხარეც აქვს. და-
რომ რომელიმე სამრეწველო ადგილას წესად იქცა, რომ
მუშას საკუთარი სახლი აქვს. ასეთ შემთხვევაში ამ ად-
მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი უ ფ ა ს ო ბ ი ნ ე ბ ი თ ს ა რ გ ებ-
ბინის ხარჯები აღარ შედის უკვე სამუშაო ძალის ღირებუ-
მაგრამ სამუშაო ძალის წარმოების ხარჯების ყოველგვარი
ა, ე. ი. მუშის საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფი-
საჭირო პროდუქტების ფასის ყოველი ხანგრძლივი შემ-
ლერის, «სახალხო მეურნეობის მოძღვრების რკინის კანო-
კუძველზე», სამუშაო ძალის ღირებულების შემცირებას
მ, საბოლოო ანგარიშით, იგი იწვევს ხელფასის სათანადო
ამრიგად, ხელფასი დაეცემოდა საშუალოდ დაზოგვილი
ის საშუალო ოდენობით, ე. ი. მუშა გადაიხდიდა ქირას
კუთარი სახლისათვის, მაგრამ არა ისე, როგორც უწინ,
ხით სახლის პატრონის სასარგებლოდ, არამედ გადაუხ-
ამის სახით მეფაბრიკის სასარგებლოდ, რომლისთვისაც ის
ამრიგად, მუშის დანაზოგი, სახლზე დაბანდებული, მარ-
გვარად კაპიტალი გახდებოდა, მაგრამ კაპიტალი არა მის-
მედ კაპიტალისტისათვის, რომელიც მას ამუშავებს.

დამე, ბ-ნი ზაქსი ქაღალდზედაც კი ვერ ახერხებს თავისი
ტალისტად გადააქციოს.

ით შევნიშნავთ, რომ ზემონათქვამი შეეხება ყველა ეგ-
ულ სოციალურ რეფორმას, რომელთა მიზანს შეად-
შის საარსებო საშუალებათა დაზოგვა ან გაიაფე-
ეს რეფორმები ღებულობენ საყოველთაო ხასი-
აშინ მათ ხელფასის შესაფერი შემცირება მოჰყვება, ანდა
ბიან სრულიად განცალკევებულ ექსპერიმენტებად, და
ტოდენ მათი არსებობა განცალკევებული გამონაკლისის
კიცებს, რომ დიდი მასშტაბით მათი განხორციელება არ
შეთავსებულ იქნეს წარმოების კაპიტალისტურ წესთან.

რომ რომელიმე ადგილას მოხერხდა სამომხმარებლო
ა საყოველთაო შემოღების გზით მუშების საარსებო სა-
ა 20%-ით გაიაფება; მაშინ იქ ხელფასი დროთა განმავ-

ლობაში დაახლოებით 20%-ით უნდა დაეცეს, ე. ი. იმავე პროპორციით, რა პროპორციითაც შედიან სათანადო საარსებო საშუალებანი მუშათა ბიუჯეტში. თუ, მაგალითად, მუშა საშუალოდ თავისი კვირეული ხელფასის სამ მეოთხედს ამ საარსებო საშუალებებზე ხარჯავს, მაშინ ხელფასი, საბოლოოდ $^3/_4 \times 20 = 15\%$-ით დაეცემა. ერთი სიტყვით, როგორც კი დაზოგვის ასეთი რეფორმა საყოველთაო ხდება, მუშა მიიღებს იმავე პროპორციით შემცირებულ ხელფასს, რა პროპორციითაც მისი დანაზოგი მას ცხოვრების გაიაფების შესაძლებლობას აძლევს. მეეცით თ ვ ი თ ე უ ლ მუშას დაზოგვის გზით დამოუკიდებელი შემოსავალი 52 ტალერის რაოდენობით და მისი კვირეული ხელფასი, ბოლოს, აუცილებლად ერთი ტალერით დაეცემა. მაშასადამე, რაც უფრო მეტს ზოგავს იგი, მით უფრო ნაკლებ ხელფასს ღებულობს. ამრიგად, იგი ზოგავს არა თავისი საკუთარი ინტერესებისათვის, არამედ კაპიტალისტის ინტერესებისათვის. მაშ რაღაა კიდევ საჭირო იმისათვის, რომ «მას უძლიერესი სტიმული მისცეს.... მომჭირნეობისათვის, ამ პირველი სამეურნეო სიკეთისათვის»? (გვ.64).

თუმცაღა ბ-ნი ზაქსიც იქვე დასძენს, რომ მუშები სახლმფლობელები უნდა გახდნენ არა იმდენად საკუთარი ინტერესებისათვის, რამდენადაც კაპიტალისტების ინტერესებისათვის:

«მაგრამ არა მარტო მუშათა წოდება, არამედ მთელი საზოგადოებაც უაღრესად დაინტერესებულია იმით, რომ მისი წევრებიდან რაც შეიძლება მეტი იყოს დაკავშირებული (!) მიწასთან (მინდოდა ერთხელ მაინც შემეხედნა ბ-ნ ზაქსისათვის ამ მდგომარეობაში)... მიწის საკუთრება... ამცირებს მათ რიცხვს, ვინც მჭონებელი კლასის წინააღმდეგ იბრძვის... მთელი საიდუმლო ძალები, რომლებიც აღვივებენ ჩვენს ფეხქვეშ გახურებულ ვულკანს, სოციალური საკითხი რომ ეწოდება, პროლეტარიატის გააფთრება, სიძულვილი..., გონების საშიში დაბნეულობა... — ყოველივე ეს ნისლივით უნდა გაიფანტოს მზის ამოსვლისას, თუ... მუშები ამ გზით თვით გადაკლენ მჭონებელთა კლასში» (გვ. 65).

სხვა სიტყვებით: ბ-ნი ზაქსი იმედოვნებს, რომ მუშები მათი პროლეტარული მდგომარეობის შეცვლით, რაც სახლის შეძენამ უნდა გამოიწვიოს, დაჰკარგავენ თავიანთ პროლეტარულ ხასიათსაც და კვლავ მორჩილი მონები გახდებიან, მსგავსად თავიანთი წინაპრებისა, რომელთაც ასევე საკუთარი სახლები ჰქონდათ. პრუდონისტებს მართებთ ამაზე დაფიქრება.

ბ-ნი ზაქსი ფიქრობს, რომ ამრიგად მან გადაწყვიტა სოციალური საკითხი:

«დ ო ვ ლ ა თ ი ს უ ფ რ ო ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა, — სფინქსის გამოცანა, რომლის ამოხსნასაც უკვე ბევრი ამაოდ ცდილობდა, — განა ეს

.ახლა ჩვენ თვალწინ არსებული ხელშესახები ფაქტი არაა, განა ეს ამით იდეალების სფეროდან გამოსული და სინამდვილის სფეროში გადასული არ არის? ხოლო თუ ეს განხორციელებულია, განა ამით მიღწეული არაა ერთ-ერთი უმაღლესი მიზანი, რომელსაც ყველაზე უკიდურესი მიმართულების სოციალისტებიც კი თავიანთი თეორიების მწვერვალად სახავენ?» (გვ. 66).

ნამდვილი ბედნიერებაა, რომ ჩვენ ამ ადგილს მოვაღწიეთ. ეს საზეიმო შეძახილი შეადგენს სწორედ ბ-ნ ზაქსის წიგნის «უმაღლეს მწვერვალს» და აქედან ავტორი ნელა კვლავ დაღმა ეშვება, «იდეალების სფეროდან» ულაზათო სინამდვილეში; ხოლო როცა ჩვენ დაბლა დავეშვებით, აღმოვაჩენთ, რომ იქ, ჩვენი არყოფნის დროს, არაფერი, სრულიად არაფერი შეცვლილა.

პირველ ნაბიჯს დაღმართისაკენ გვაკეთებინებს ჩვენი გამცილებელი, რომელიც გვასწავლის, რომ არსებობს მუშათა ბინების ორი სისტემა: კოტეჯების სისტემა, როცა ყოველ მუშის ოჯახს აქვს საკუთარი პატარა სახლი, შეძლებისამებრ კი პატარა ბაღიც, როგორც ეს ინგლისშია, და ყაზარმული სისტემა დიდი შენობებისა, სადაც მუშათა ბინები ბევრია, როგორც ამას ადგილი აქვს პარიზში, ვენაში და სხვ. შუალედი ადგილი ამ ორ სისტემას შორის უჭირავს ჩრდილოეთ გერმანიაში გავრცელებულ სისტემას. მართალია, მარტოდ-მარტო კოტეჯების სისტემაა სწორი და ერთადერთი, რომლის დროსაც მუშას შეეძლებოდა თავის სახლზე საკუთრების უფლება მოეპოვებინა; თანაც ყაზარმული სისტემა მეტად საზარალოა ჯანმრთელობისა, ზნეობისა და ოჯახური სიმშვიდისათვის, — მაგრამ ვაი რომ, სამწუხაროდ, სწორედ ცენტრებში, დიდ ქალაქებში, სადაც ბინის გაჭირვებაა, კოტეჯების სისტემა განუხორციელებელია მიწის სიძვირის გამო, და კმაყოფილიც კი უნდა ვიყოთ, თუ დიდი ყაზარმების მაგივრად იქ 4 — 6 ბინისაგან შემდგარი სახლების აშენებას მოვახერხებთ ანდა სხვადასხვა სახის სამშენებლო ხერხის საშუალებით ყაზარმული სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაკლოვანებებს მოვსპობთ (გვ. 71-92).

ხომ მართალია, რომ ჩვენ უკვე საკმაო მანძილით დავეშვით დაღმა? მუშების გადაქცევა კაპიტალისტებად, სოციალური საკითხის გადაწყვეტა, საკუთარი სახლი თვითეულ მუშას — ყოველივე ეს დარჩა ზემოთ, «იდეალების სფეროში»; ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ხელი მივჰყოთ სოფლებში კოტეჯების სისტემის შემოღებას, ხოლო ქალაქებში — შეძლებისამებრ მუშათა საკმაოდ რიგიანი ბინების მოწყობას.

მაშასადამე, ბინის საკითხის ბურჟუაზიულმა გადაწყვეტამ წინასწარვე განიცადა მარცხი, როგორც კი ქალაქისა და სოფლის დაპირისპირებას წააწყდა. და აქ ჩვენ საკითხის ცენტრალურ პუნქტს მივადექით. ბინის საკითხი შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოება უკვე იმდენად გარდაიქმნება, რომ შესაძლებელი იქნება შევუდგეთ ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების მოსპობას, დაპირისპირებისა, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების მიერ უკიდურესობამდეა მიყვანილი. კაპიტალისტური საზოგადოება, რომელსაც სრულიადაც არ შესწევს ამ დაპირისპირების მოსპობის უნარი, იძულებულია, პირიქით, ეს დაპირისპირება ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო გაამწვაოს. უკვე პირველმა თანამედროვე უტოპისტ-სოციალისტებმა, ოუენმა და ფურიემ, ეს სწორად გაიგეს. მათს საინმუშო სისტემებში უკვე აღარ არსებობს ქალაქისა და სოფლის დაპირისპირება. მაშასადამე, აქ ვხედავთ იმის საწინააღმდეგო მოვლენას, რასაც ბ-ნი ზაქსი ამტკიცებს: ბინის საკითხის გადაწყვეტა კი არ წყვეტს ამასთანავე ერთად სოციალურ საკითხს, არამედ მხოლოდ სოციალური საკითხის გადაწყვეტით, ე. ი. წარმოების კაპიტალისტური წესის მოსპობით, ხდება ამასთანავე ერთად შესაძლებელი ბინის საკითხის გადაწყვეტა. მოისურვო ბინის საკითხის გადაწყვეტა და თანაც თანამედროვე დიდი ქალაქების შენარჩუნება — ეს უაზრობაა. მაგრამ თანამედროვე დიდი ქალაქები მოისპობა მხოლოდ წარმოების კაპიტალისტური წესის მოსპობით, ხოლო როგორც კი ეს მოსპობა დაიწყება, მაშინ ლაპარაკი იქნება უკვე არა იმაზე, რომ თვითეულ მუშას საკუთარ კუთვნილებად მიეცეს სახლი, არამედ სულ სხვა რამეზე. 1

მაგრამ თავდაპირველად ყოველი სოციალური რევოლუცია იძულებული იქნება საგანი იმ სახით მიიღოს, რა სახითაც იგი მას ნახავს, და შეეცადოს ყველაზე აღმაშფოთებელი ბოროტება თავიდან აიშოროს არსებული საშუალებებით. და ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ ბინის გაჭირვებას შეიძლება დაუყოვნებლივ ეშველოს იმ მდიდრული ბინების ნაწილის ექსპროპრიაციით, რომლებიც შეძლებულ კლასებს ეკუთვნის, და დანარჩენი ნაწილის იძულებითი დასახლებით.

ხოლო როცა ბ-ნი ზაქსი შემდგომ-მსჯელობაში კვლავ დიდი ქალაქების არსებობიდან გამოდის და დიდხანს და ვრცლად ლაპარაკობს მუშათა კოლონიებზე, რომლებიც ქალაქების მახლობლად უნდა გაშენდეს, როცა იგი აგვიწერს ასეთი კოლონიების ყველა სიმ-

შვენიერეს, კოლონიებისას, რომელთაც ექნებათ საერთო «წყალსადენი, გაზით განათება, ჰაერით ან წყლით გათბობა, სამრეცხაოები, საშრობები, საბანაოები და ა. შ.», «საბავშვო ბაგები, სკოლა, სამლოცველო (!), სამკითხველო, ბიბლიოთეკა..., ღვინისა და ლუდის სარდაფი, ცეკვისა და მუსიკის დარბაზი ყოველგვარი მოწყობილობით», ორთქლის ძრავი, რომლის ძალა ყველა სახლს გადაეცემა და «შესძლებს განსაზღვრული მოცულობით წარმოების გადატანას ფაბრიკებიდან შინა სახელოსნოებში», — ყოველივე ეს სრულიადაც არ ცვლის საქმის ვითარებას. კოლონია, რომელსაც იგი აგვიწერს, უშუალოდ ნასესხები აქვს ბ-ნ ჰუბერს სოციალისტებისაგან — ოუენისა და ფურიესაგან და მხოლოდ ყოველივე სოციალისტურის წაშლით მიეცა მას მთლიანად ბურჟუაზიული ხასიათი. მაგრამ სწორედ ამის გამო ხდება კიდეც ეს კოლონია სავსებით უტოპიური. არც ერთი კაპიტალისტი არ არის დაინტერესებული ასეთი კოლონიების დაარსებით, და არც არსებობს იგი არსად მსოფლიოში, გარდა იმ კოლონიისა, რომელიც არსებობს გიუიზში — საფრანგეთში; მაგრამ ეს კოლონიაც დაარსებულია... ფურიერისტის მიერ არა შემოსავლიანი სპეკულაციის მიზნით, არამედ სოციალისტური ექსპერიმენტის სახით [1]. ასეთივე წარმატებით შეეძლო ბ-ნ ზაქსს თავისი ბურჟუაზიული პროექტორობის სასარგებლოდ მოეყვანა ოუენის მიერ 40-იანი წლების დამდეგს ჰემპშირში დაარსებული და უკვე დიდი ხანია დაღუპული კომუნისტური კოლონიის — «ჰარმონიის»! — მაგალითი.

მაგრამ მთელი ეს ლაპარაკი კოლონიების მოწყობაზე მხოლოდ უბადრუკი ცდაა «იდეალების სფეროში» კვლავ აფრენისა, ცდა, რომელსაც მაშინვე კვლავ ძირს დავარდნა მოსდევს. ჩვენ კვლავ მკვირცხლად ვეშვებით დაღმა. საკითხის უმარტივესი გადაწყვეტა ისაა, «რომ სამუშაოს მიმცემნი, ფაბრიკათა მეპატრონენი, დაეხმარებიან მუშებს შესაფერი ბინების მიღებაში, სულ ერთია, თავის ხარჯზე აუშენებენ მათ სახლებს, თუ წაახალისებენ და დახმარებას აღმოუჩენენ მუშებს მათს საკუთარ სამშენებლო საქმიანობაში იმით, რომ თავის განკარგულებაში გადასცემენ მათ მიწის ნაკვეთებს და ასესხებენ სამშენებლო კაპიტალს და ა. შ.» (გვ. 106). ამით ჩვენ კვლავ დიდი ქალაქების გარეთ ვრჩებით, სადაც ყოველივე ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, და ისევ სოფელში გადავდივართ. აქ

[1] და ეს კოლონიაც საბოლოოდ მხოლოდ მუშათა ექსპლოატაციის ადგილი გახდა. იხ. პარიზის «Socialiste», 1886 წ. (ენგელსის შენიშვნა 1887 წ. გამოცემისადმი).

ბ-ნი ზაქსი ამტკიცებს, რომ თვით მეფაბრიკენი არიან დაინტერესებული იმით, რომ დაეხმარონ თავიანთ მუშებს რიგიანი ბინების მიღებაში, ერთი მხრივ იმიტომ, რომ ეს კაპიტალის ხელსაყრელი დაბანდებაა, მეორე მხრივ კი იმიტომ, რომ აუცილებლად «მუშების აქედან გამომდინარე აღმავლობას... უნდა მოჰყვეს მათი ფიზიკური და გონებრივი სამუშაო ძალის ამაღლება, რაც, რასაკვირველია,... არანაკლებ... ხელსაყრელია სამუშაოს მიმცემისათვის. ამით კი დადგენილია სწორი თვალსაზრისიც ბინის საკითხის გადაწყვეტაში უკანასკნელთა მონაწილეობისათვის: ეს მონაწილეობა გვევლინება «ლატენტური ასოციაციის» შედეგად, მეტწილად ჰუმანიტარულ მისწრაფებათა საფარქვეშ დამალული იმ ზრუნვის შედეგად, რასაც სამუშაოს მიმცემნი იჩენენ მათი მუშების ფიზიკური და ეკონომიური, სულიერი და ზნეობრივი კეთილდღეობისათვის, ზრუნვისა, რომელიც ფულის მხრივ თავისთავად ნაზღაურდება თავისი შედეგებით, საქმიანი, დახელოვნებული, ბეჯითი, კმაყოფილი და ერთგული მუშების მიზიდვითა და შენარჩუნებით» (გვ. 108).

ფრაზა «ლატენტური ასოციაცია», რითაც ჰუბერი ცდილობდა ბურჟუაზიულ-ფილანთროპული ჩმახვისათვის «მაღალი აზრი» მიეცა, საქმის ვითარებას სრულიად არ ცვლის. მსხვილი მეფაბრიკეები სოფლად, განსაკუთრებით ინგლისში, ამ ფრაზის გარეშეც დიდი ხანია დარწმუნდნენ, რომ მუშათა ბინების აშენება არა მარტო აუცილებლობაა, არა მარტო ნაწილია თვით საფაბრიკო მშენებლობისა, არამედ იგი ძალიან კარგ შემოსავალსაც იძლევა. ინგლისში ამ გზით აღმოცენდა მთელი სოფლები, რომელთა ნაწილი შემდეგში ქალაქებად განვითარდა. მაგრამ მუშები იმის მაგივრად, რომ მადლობელი ყოფილიყვნენ კაცთმოყვარე კაპიტალისტებისა, იმთავითვე აყენებდნენ მეტად სერიოზულ მოსაზრებებს ამ «კოტეჯების სისტემის» წინააღმდეგ. საქმე მარტო ის როდია, რომ სახლებისათვის მათ მონოპოლიური ფასების გადახდა უხდებათ, რადგანაც მეფაბრიკეს კონკურენტები არა ჰყავს; ყოველი გაფიცვის დროს ისინი მაშინვე უსახლკაროდ რჩებიან, ვინაიდან მეფაბრიკე ულაპარაკოდ მათ ქუჩაში ისვრის და ამით ყოველგვარ წინააღმდეგობას უაღრესად აძნელებს. დაწვრილებით ამის შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩემს შრომაში «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში» (გვ. 224 და 228) [1]. მაგრამ ბ-ნი ზაქსი ფიქრობს, რომ მსგავსი არგუ-

[1] იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულ., ტ. III, რუს. გამოც. გვ. 530 და 534 — 535 რ ე დ.

მენტები «საეჭვოა დარღვევის ღირსი იყოს» (გვ. 111). მაგრამ განა მას არ სურს მიანიჭოს მუშას მისი პატარა სახლის საკუთრების უფლება? რა თქმა უნდა. ხოლო რადგანაც «სამუშაოს მიმცემსაც მუდამ უნდა შეეძლოს განკარგულება გასცეს ბინის შესახებ, რათა მუშის დათხოვნის შემთხვევაში მისი შემცვლელისათვის სადგომი ჰქონდეს», ამიტომ... რაღა თქმა უნდა, «ასეთი შემთხვევისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს ს ა გ ა ნ გ ე ბ ო შეთანხმებით საკუთრების გაუქმების შესაძლებლობა» [1] (გვ. 113).

ამჯერად ჩვენ მოულოდნელად სწრაფად დავეშვით ბოლომდე. პირველად ნათქვამი იყო: მუშას თავისი სახლის საკუთრების უფლება უნდა ჰქონდესო; შემდეგში ჩვენ ვგებულობთ, რომ ქალაქებში ეს შეუძლებელია და მისი განხორციელება მხოლოდ სოფელში შეიძლებაო; ახლა კი ჩვენ გვეუბნებიან: სოფლადაც საკუთრების ამ უფლების «საგანგებო შეთანხმებით გ ა უ ქ მ ე ბ ა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი უნდა იყოსო! მუშებისათვის ახლად აღმოჩენილი ამ სახის საკუთრებით, «საგანგებო შეთანხმებით გასაუქმებელ» კაპიტალისტებად მუშების ამ გადაქცევით ჩვენ კვლავ მშვიდობით დავბრუნდით ცოდვილიან დედამიწაზე და აქ უნდა გამოვიკვლიოთ, თუ რა გააკეთეს ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ კაპიტალისტებმა და სხვა ფილანთროპებმა ბინის საკითხის გადასაწყვეტად.

II

თუ დავუჯერებთ ჩვენს დ-რ ზაქსს, უკვე ახლაც ბატონი კაპიტალისტების მხრივ ბევრი მნიშვნელოვანი რამ არის გაკეთებული ბინის გაჭირვების შესამსუბუქებლად და იმის დასამტკიცებლად, რომ

[1] ამ მხრივაც ინგლისელმა კაპიტალისტებმა უკვე დიდი ხანია არათუ შეასრულეს ბ-ნ ზაქსის გულითადი წადილი, არამედ ბევრად გადააჭარბეს კიდეც მას. ორშაბათს, 1872 წლის 14 ოქტომბერს, ქალაქ მორპეტში პარლამენტის ამომრჩეველთა სიების დამდგენელ სასამართლოს მოუხდა გადაწყვეტილების გამოტანა 2 000 სამთამადნო მუშის შუამდგომლობაზე, რომელიც ითვალისწინებდა მათი სახელების შეტანას სიებში. გამოირკვა, რომ ეს ადამიანები მეტწილად, იმ მაღაროს წესდების თანახმად, სადაც ისინი მუშაობდნენ, მათ მიერ დაკავებული პატარა სახლების დ ა მ ქ ი რ ა ვ ებ ლ ა დ კი არ ითვლებოდნენ, არამედ მხოლოდ ს ა მ ა დ ლ ო დ ცხოვრობდნენ იქ და ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე ყოველ მომენტში შეიძლებოდა მათი ქუჩაში გაყრა (მაღაროების მფლობელი და სახლის მესაკუთრე, რასაკვირველია, ერთი და იგივე პიროვნება იყო). მოსამართლემ გადაწყვიტა: ეს ადამიანები დამქირავებელნი კი არა, არამედ მოჯამაგირენი არიან და როგორც ასეთებს უფლება არა აქვთ სიებში შეტანილ იქნენო («Daily News», 15 ოქტომბერი 1872 წ.). (ე ნ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

ბინის საკითხი შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს წარმოების კაპიტალისტური წესის საფუძველზე.

უწინარეს ყოვლისა ბ-ნ ზაქსს ჩვენ მივყავართ... ბონაპარტისტულ საფრანგეთში! ლუი ბონაპარტმა პარიზის მსოფლიო გამოფენის დროს, როგორც ცნობილია, კომისია დანიშნა ვითომდა ანგარიშის შესადგენად საფრანგეთში მშრომელი კლასების მდგომარეობის შესახებ, სინამდვილეში კი იმისათვის, რათა, იმპერიის მეტი განდიდებისათვის, ეს მდგომარეობა დაეხატა როგორც ჭეშმარიტად სამოთხისებრი. და აი ბატონი ზაქსი იმოწმებს ამ ანგარიშს კომისიისა, რომელიც ბონაპარტიზმის ყველაზე უფრო სინდისგარეცხილი მლიქნელებისაგან შედგებოდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამ კომისიის მუშაობის შედეგები, «ამისათვის უფლებამოსილი კომიტეტის საკუთარი სიტყვებით, საკმაოდ სრული შედეგებია საფრანგეთისათვის». და როგორია ეს შედეგები? 89 მსხვილი სამრეწველო საწარმოდან, ანუ აქციონერთა საზოგადოებიდან, მათ მიერ მოცემული ცნობების თანახმად, 31-ს სრულებით არ აუშენებია მუშათა საცხოვრებელი ბინები; აშენებულ საცხოვრებელ ბინებში, ბ-ნ ზაქსის საკუთარი გამოანგარიშებით, მოთავსებულია სულ დიდი-დიდი 50-60 ათასი კაცი, ხოლო ბინები თვითეული ოჯახისათვის თითქმის მარტოოდენ ორი ოთახისაგან შედგება!

თავისთავად ცხადია, რომ ყოველი კაპიტალისტი, რომელიც მისი წარმოების პირობების გამო — წყლის ძალის, ქვანახშირის მაღაროების, რკინისა და სხვა მადნეულის საბადოების და სხვ. განლაგების გამო — მიმაგრებულია სოფლის გარკვეულ ადგილზე, იძულებულია თავისი მუშებისათვის საცხოვრებელი ბინები ააშენოს, თუ ასეთები არ მოიპოვება. მაგრამ ამაში რომ დაინახო დამტკიცება «ლატენტური ასოციაციის» არსებობისა, «ცხადი დამოწმება საკითხის გაგების ზრდისა და მისი დიდი მნიშვნელობისა», დაინახო «მრავალიმთქმელი დასაწყისი» (გვ. 115), — ამისათვის საჭიროა გქონდეს თავის მოტყუების. ძალიან განვითარებული ჩვევა. თუმცაღა, ამ მხრივაც სხვადასხვა ქვეყნების მრეწველები ერთი მეორისაგან განირჩევიან თავიანთი ეროვნული ხასიათის მყარი ნიშნებით. მაგალითად, 117-ე გვერდზე ბ-ნი ზაქსი მოგვითხრობს:

«ინგლისში მხოლოდ უახლეს დროში ვამჩნევთ სამუშაოს მიმცემთა გაძლიერებულ საქმიანობას ამ მიმართულებით. განსაკუთრებით ამის ადგილი აქვს დაშორებულ სასოფლო დაბებში... ის გარემოება, რომ მუშებს ხშირად უახლოესი ადგილიდანაც კი დიდი მანძილის გავლა უხდებათ ფაბრიკამდე, სამუშაოზე უკვე დაქანცულნი ცხადდებიან და საკმაოდ ნაყოფიერად ვეღარ

მუშაობენ, — ეს გარემოება არის სწორედ ის მამოძრავებელი მიზეზი, რომელიც სამუშაოს მიმცემთ აიძულებს ააშენონ თავიანთი მუშებისათვის ბინები. ამასთანავე იზრდება იმ პირთა რიცხვიც, რომლებიც, იჩენენ რა ურთიერთობათა უფრო ღრმა გაგებას, მეტად თუ ნაკლებად აკავშირებენ საბინაო რეფორმასთან ლატენტური ასოციაციის ყველა სხვა ელემენტს; მათ უნდა უმადლოდნენ სწორედ თავის აღმოცენებას ეს აყვავებული კოლონიები... ამის წყალობით ისეთი სახელები როგორებიცაა აშტონი ჰაიდეში, აშვორტი ტერტონში, გრანტი ბიურიში, გრეგი ბოლინგტონში, მარშალი ლიდსში, სტრეტი ბელპერში, სოლტი სოლტერში, აკროიდი კოპლში და სხვ. მეტად პოპულარული არიან შეერთებულ სამეფოში»

წმინდა გულუბრყვილობა და კიდევ უფრო წმინდა უვიცობა! მხოლოდ «უახლეს დროში» ააშენეს ინგლისელმა სოფლის მეფაბრიკეებმა მუშათა ბინები! არა, მეგობარო ბ-ნო ზაქს, ინგლისელი კაპიტალისტები — მართლაც მსხვილი მრეწველნი არიან, არა მარტო ქისით, არამედ ჭკუითაც. დიდი ხნით ადრე, ვიდრე გერმანიაში ნამდვილად მსხვილი მრეწველობა გაჩნდებოდა, მათთვის გასაგები გახდა, რომ სასოფლო ფაბრიკულ წარმოებაში მუშათა ბინებზე გაწეული ხარჯები წარმოადგენენ მთელი დასაბანდებელი კაპიტალის აუცილებელ, პირდაპირ და არაპირდაპირ მეტად შემოსავლიან ნაწილს. დიდი ხნით ადრე, ვიდრე ბისმარკსა და გერმანელ ბურჟუას შორის წარმოებული ბრძოლა გერმანელ მუშებს კოალიციის თავისუფლებას აჩუქებდა, ინგლისელი მეფაბრიკენი, მაღაროების მფლობელნი და სამთამადნო ქარხნების მეპატრონენი პრაქტიკით დარწმუნდნენ, თუ როგორი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ მათ გაფიცულ მუშებზე, თუ ისინი იმავდროულად — ამ მუშების სახლის პატრონნი იქნებიან. «აყვავებული კოლონიები» რომელიმე გრეგისა, აშტონისა, აშვორტისა იმდენად მიეკუთვნებიან «უახლეს დროს», რომ უკვე 40 წლის წინათ ბურჟუაზია დიდად აქებდა მათ როგორც ნიმუშს, და მეც ეს უკვე 28 წლის წინათ ავწერე (იხ. «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში», გვ. 228 — 230, შენიშვნა [1]). დაახლოებით ასევე ძველია მარშალისა და აკროიდის (Akroyd — ასე იწერება მისი გვარი) მიერ დაარსებული კოლონიებიც, ხოლო კიდევ უფრო ძველია სტრეტის კოლონია, რომლის ჩანასახი გასულ საუკუნეს ეკუთვნის. და ვინაიდან მუშის ბინის არსებობის ხანგრძლივობა ინგლისში 40 წლით განისაზღვრება, ამიტომ თვითონ ბ-ნ ზაქსისათვის ძნელი არ იქნება თითებზე გამოითვალოს, თუ როგორ უბადრუკ მდგომარეო-

[1] იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. III, რუს. გამოც. გვ. 470 — 471. რედ.

ბაში იმყოფებიან ამჟამად ეს «აყვავებული კოლონიები». ამასთან ამ კოლონიათა უმრავლესობა ამჟამად უკვე სოფლად როდი იმყოფება; მრეწველობის კოლოსალური ზრდის გამო ამ კოლონიათა უმრავლესობა იმდენად გარშემორტყმული აღმოჩნდა ფაბრიკებითა და სახლებით, რომ ახლა ეს კოლონიები მდებარეობენ ჭუჭყიან და გაბოლილ ქალაქებს შორის, სადაც 20—30 ათასი და კიდევ მეტი მცხოვრებია, — რაც ხელს არ უშლის ბ-ნ ზაქსის სახით წარმოდგენილ გერმანულ ბურჟუაზიულ მეცნიერებას დღესაც მოწიწებით იმეოროს 1840 წ. ძველი ინგლისური სახოტბო სიმღერები, რომლებიც ახლა უკვე სრულიად აღარ შეეფერებიან სინამდვილეს.

განსაკუთრებით კი — მოხუცი აკროიდი! ეს მხნე ადამიანი, უეჭველია, წმინდა წყლის ფილანთროპი იყო. მას ისე ძლიერ უყვარდა თავისი მუშები, განსაკუთრებით კი თავისი მუშა ქალები, რომ მისი ნაკლებად კაცთმოყვარე კონკურენტები იორკშირში ამბობდნენ ხოლმე: მის ფაბრიკაში მარტოოდენ მიხი საკუთარი შვილები მუშაობენო! ბ-ნი ზაქსი ამტკიცებს, რომ ამ აყვავებულ კოლონიებში «ქორწინებისგარეშე შობილთა რიცხვი სულ უფრო ნაკლები ხდება» (გვ. 118). სავსებით მართალია, ქ ო რ წ ი ნ ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე შობილნი: ლამაზი ქალიშვილები ინგლისის საფაბრიკო ოლქებში მეტად ადრე თხოვდებიან.

ინგლისში მუშათა ბინების აშენება რომელიმე მსხვილი სასოფლო ფაბრიკის ახლოს და ფაბრიკასთან ე რ თ ა დ ჩვეულებრივი წესი იყო უკანასკნელი 60 წლისა და კიდევ მეტი ხნის განმავლობაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრი ასეთი საფაბრიკო სოფელი იმ ბირთვად გადაიქცა, რომლის გარშემო შემდეგში მთელი რიგი საფაბრიკო ქალაქები წარმოიშვა ყველა იმ უბედურებით, რაც საფაბრიკო ქალაქს თანსდევს. მაშასადამე, ამ კოლონიებმა ბინის საკითხი კი არ გადაწყვიტეს, არამედ პ ი რ ვ ე ლ ა დ შ ე ქ მ ნ ე ს იგი თავიანთი არსებობის ადგილზე.

პირიქით, იმ ქვეყნებში, რომლებიც მსხვილი მრეწველობის დარგში მხოლოდ კოჭლობით მისდევდნენ ინგლისს, და რომლებმაც, სწორედ რომ ვთქვათ, მხოლოდ 1848 წლიდან გაიგეს, თუ რა არის მსხვილი მრეწველობა, — საფრანგეთში და განსაკუთრებით გერმანიაში, საქმე სულ სხვაგვარადაა. აქ მხოლოდ გიგანტური მეტალურგიული ქარხნებისა და ფაბრიკების მფლობელებმა, — როგორც, მაგალითად, შნეიდერის ქარხნები კრეზოში და კრუპის ქარხნები ესენში, — დიდი ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტეს მუშებისათვის

რამდენიმე ბინის აშენება. სოფლის მრეწველთა დიდი უმრავლესობა აიძულებს თავის მუშებს პაპანაქებაში, თოვლსა და წვიმაში რამდენიმე მილი გაიარონ დილით ფაბრიკამდე მისასვლელად, ხოლო საღამოთი უკანდაბრუნებისას სახლამდე. ეს ხდება განსაკუთრებით მთიან ადგილებში — საფრანგეთისა და ელზასის ვოგეზებში, ვუპერზე, ზიგზე, აგერზე, ლენზე და რაინ-ვესტფალიის სხვა მდინარეებზე. არც მადნის მთებშია უკეთესი მდგომარეობა. როგორც გერმანელებთან, ისე ფრანგებთანაც ჩვენ ვხედავთ იმავე წვრილმან სიძუნწეს.

ბ-ნმა ზაქსმა მშვენივრად იცის, რომ არც მრავალაღმთქმელ დასაწყისს, არც აყვავებულ კოლონიებს სრულებით არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. ამიტომ ის ცდილობს დაანახოს კაპიტალისტებს, თუ როგორი საუცხოო შემოსავლის ამოღება შეუძლიათ მათ მუშათა ბინების მშენებლობიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ცდილობს მიუთითოს მათ მუშების მოტყუების ახალ ხერხზე.

პირველად მას მაგალითად მოჰყავს მთელი რიგი ლონდონის სამშენებლო საზოგადოებანი, ნაწილობრივ ფილანთროპული, ნაწილობრივ სპეკულაციური ხასიათისა, რომლებმაც 4-დან 6 პროცენტამდე და კიდევ მეტ წმინდა შემოსავალს მიაღწიეს. მუშათა ბინებში დაბანდებული კაპიტალი რომ კარგ შემოსავალს იძლევა, — ამის მტკიცება ბ-ნი ზაქსის მიერ ჩვენთვის საჭირო არაა. იმის მიზეზი, რომ ამ ბინებზე არ ბანდდება იმაზე მეტი, რასაც ამჟამად აქვს ადგილი, ის გარემოებაა, რომ ძვირი ბინები მესაკუთრეებს კიდევ უფრო დიდ შემოსავალს აძლევს. რჩევა-დარიგება, რომლითაც ბ-ნი ზაქსი კაპიტალისტებს მიმართავს, მაშასადამე, კვლავ უბრალო მორალური ქადაგება გამოდის.

რაც შეეხება ლონდონის ამ სამშენებლო საზოგადოებებს, რომელთა ბრწყინვალე წარმატებებზე ასე საქვეყნოდ გაიძახის ბ-ნი ზაქსი, მათ, მისივე საკუთარი გამოანგარიშებით, — მას კი ამ გამოანგარიშებაში ყოველგვარი სამშენებლო სპეკულაცია შეაქვს, — თავშესაფარი მისცეს სულ მხოლოდ 2132 ოჯახს და 706 მარტოხელა მამაკაცს, ე. ი. საერთოდ 15 000-ზე ნაკლებ კაცს! და დღეს გერმანიაში გამბედაობა ჰყოფნით მსგავსი საბავშვო გასართობები სერიოზულად დაგვიხატონ როგორც დიდი წარმატებანი, მაშინ როდესაც ლონდონის მარტო ერთ აღმოსავლეთ ნაწილში მილიონი მუშა უსაშინელეს საბინაო პირობებში ცხოვრობს! ყველა ეს ფილანთროპული მისწრაფება სინამდვილეში იმდენად უბადრუკი და უმნიშ-

ვნელია, რომ ინგლისის საპარლამენტო ანგარიშებში, რომლებიც მუშათა მდგომარეობას არკვევენ, მათ საერთოდ არც კი იხსენებენ.

ჩვენ აქ სრულიად არ ვილაპარაკებთ ლონდონის იმ კურიოზულ უცოდინარობაზე, რაც მთელს ამ განყოფილებაში მჭღავნდება. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს. ბ-ნი ზაქსი ფიქრობს, რომ მარტოხელა მამაკაცთა ღამისსათევმა სახლმა სოხოში თავისი არსებობა იმიტომ შეწყვიტა, რომ ამ ადგილას «მრავალრიცხოვანი კლიენტურის ვარაუდი არ შეიძლებოდა». საქმე ისაა, რომ ბ-ნ ზაქსს ლონდონის მთელი დასავლეთი ნაწილი ფუფუნების ერთადერთ ქალაქად წარმოუდგენია და არ იცის, რომ ელეგანტურ ქუჩებს მჭიდროდ ეკვრის უაღრესად ჭუჭყიანი მუშათა კვარტალები, რომელთაგან, მაგალითად, სოხო ერთ-ერთია. სანიმუშო ღამისსათევს სოხოში, რომელსაც ბ-ნი ზაქსი იხსენიებს და რომელიც ჩემთვის ჯერ კიდევ 23 წლის წინათ იყო ცნობილი, პირველად დიდძალი ხალხი აწყდებოდა, მაგრამ მან არსებობა შეწყვიტა იმიტომ, რომ იქ ცხოვრება ყოვლად აუტანელი იყო. ამასთანავე კიდევ ის ხომ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იყო.

კარგი და, მიულჰაუზენის მუშათა ქალაქი ელზასში — განა ეს წარმატება არ არის?

კონტინენტური ბურჟუებისათვის მიულჰაუზენის მუშათა ქალაქი სიამაყისა და თავმომწონეობის ისეთივე საგანია, როგორც ინგლისელი ბურჟუებისათვის — ოდესღაც აყვავებული კოლონიები აშტონისა, აშვორტისა, გრეგისა და კომპანიისა. სამწუხაროდ, ეს ქალაქი წარმოადგენს არა «ლატენტური» ასოციაციის პროდუქტს, არამედ სავსებით აშკარა ასოციაციას საფრანგეთის მეორე იმპერიასა და ელზასელ კაპიტალისტებს შორის. ეს იყო ლუი ბონაპარტის ერთ-ერთი სოციალისტური ექსპერიმენტი, ექსპერიმენტი, რომლისთვისაც სახელმწიფომ გაიღო სესხი ⅓ კაპიტალის რაოდენობით. 14 წლის განმავლობაში (1867 წლამდე) ამ ასოციაციამ ააშენა 800 პატარა სახლი ისეთი ცუდი სისტემით, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა ინგლისში, სადაც ეს საქმე უკეთ ესმით; ეს სახლები ეძლევათ მუშებს საკუთრებად გადიდებული ბინის ქირის 13 — 15 წლის განმავლობაში ყოველთვიურად გასტუმრების შემდეგ. საკუთრების შეძენის ეს ხერხი, რომელიც ინგლისის კოოპერაციულ სამშენებლო ამხანაგობებში, როგორც დავინახავთ, უკვე დიდი ხანია შემოღებულ იქნა, სრულიადაც არ საჭიროებს ელზასელი ბონაპარტისტების მიერ პირველად გამოგონებას. ბინის ქირის დანამატი სახლების გამოსასყიდად — შედარებით ინგლისში არსებულ ქირის დანამატთან —

საკმაოდ დიდია; თუ, მაგალითად, მუშა ნაწილ-ნაწილ გადაიხდის 15 წლის განმავლობაში 4500 ფრანკს, იგი მიიღებს სახლს, რომელიც 15 წლის წინათ 3300 ფრანკი ღირდა. იმ შემთხვევაში, თუ მუშა გადასვლას მოინდომებს ანდა ვადაზე არ გაისტუმრებს თუნდაც ერთადერთ თვიურ შესატანს (ამ შემთხვევაში ის შეიძლება გამოსახლებულ იქნეს), მას წლიურ ქირად ჩაეთვლება სახლის თავდაპირველი ღირებულების 6²/₃% (მაგალითად, 17 ფრანკი თვეში, თუ სახლის ღირებულება 3000 ფრანკს უდრის) და ნაშთს გადაუხდიან, მაგრამ ა რ ც ე რ თ ი გ რ ო შ ი ს ა რ გ ებ ე ლ ი არ მიეცემა. ამასთან თავისთავად გასაგებია, რომ საზოგადოებას შეუძლია, თუ არას ვიტყვით «სახელმწიფო დახმარებაზე», ჯიბე გაისქელოს; გასაგებია აგრეთვე, რომ ამ პირობებში მიცემული ბინები — უკვე იმიტომ, რომ ისინი ქალაქ გარეთ, სანახევროდ სოფლად არიან აგებული, — თვით ქალაქში მდებარე ძველ ყაზარმულ ბინებზე უკეთესია.

იმ ორიოდე უბადრუკ ექსპერიმენტზე გერმანიაში, რომელთა სავალალო შედეგებს ბ-ნი ზაქსიც აღიარებს, გვ. 157, ჩვენ არც კი ვილაპარაკებთ.

რას ამტკიცებს ყველა ეს მაგალითი? — მხოლოდ იმას, რომ მუშათა ბინების მშენებლობა, კიდეც რომ ფეხით არ იყოს გათელილი სანიტარიის ყველა კანონი, კაპიტალისტურ შემოსავალს იძლევა. მაგრამ ეს არასდროს არავის სადავოდ არ გაუხდია, ეს ჩვენ ყველამ დიდი ხანია ვიცოდით. ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი კაპიტალდაბანდება, რომელიც რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, საქმის რაციონალურად წარმოების პირობებში შემოსავალს იძლევა. საკითხი სწორედ ისაა, თუ რატომ არსებობს კიდევ, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ა მ ი ს ა, ბინის გაჭირვება; რატომაა, რომ, მიუხედავად ამისა, კაპიტალისტები არა ზრუნავენ უზრუნველჰყონ მუშები საკმარისი, ჯანსაღი ბინებით? და სწორედ აქ ბ-ნი ზაქსი იძულებულია კვლავ მარტო რჩევა-დარიგებით მიმართოს კაპიტალს, ხოლო პასუხს ის მაინც ვერ იძლევა. ნამდვილი პასუხი ამ საკითხს ჩვენ უკვე ზემოთ გავეცით.

კაპიტალს — ეს ახლა საბოლოოდ დადგენილია — არ ს უ რ ს მოსპოს ბინის გაჭირვება, კიდეც რომ შეეძლოს მას ამის გაკეთება. რჩება მხოლოდ ორი სხვა გამოსავალი: მუშების თვითდახმარება და სახელმწიფო დახმარება.

ბ-ნ ზაქსს, თვითდახმარების მხურვალე თაყვანისმცემელს, შესწევს უნარი ბინის საკითხის დარგშიც მოგვითხროს ამ თვითდახმარებაზე სასწაულები. სამწუხაროდ, იგი თავიდანვე იძულებულია აღიაროს, რომ თვითდახმარებას რაიმეს მოცემა შეუძლია მხოლოდ

იქ, სადაც ან არსებობს, ან შესაძლებელია შემოღებულ იქნეს კოტეჯების სისტემა, ე. ი. კვლავ მხოლოდ სოფლად; ხოლო დიდ ქალაქებში, ინგლისშიც კი, — მხოლოდ უაღრესად შეზღუდული მასშტაბით. შემდეგ, ოხრავს ბ-ნი ზაქსი, «რეფორმა მისი მეშვეობით (თვითდახმარების მეშვეობით) შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ შ ე მ ო ს ა ვ ლ ე ლ ი გ ზ ი თ, მაშასადამე, მ უ დ ა მ მხოლოდ არასრულყოფილი სახით, სახელდობრ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კერძო საკუთრების პრინციპი გამოდის როგორც ძალა, რომელიც ბინის ხარისხზე ზემოქმედებას ახდენს». ესეც საეჭვოა; ყოველ შემთხვევაში, «კერძო საკუთრების პრინციპს» არავითარი გარდამქმნელი ზეგავლენა ჩვენი ავტორის სტილის «ხარისხზე» არ მოუხდენია. მიუხედავად ყოველივე ამისა, თვითდახმარებამ ინგლისში ისეთი სასწაულები მოახდინა, «რომ მისი წყალობით დ ი დ ა დ გ ა დ ა ჭ ა რ ბ ე ბ უ ლ ი ა ყოველივე ის, რაც იქ ბინის საკითხის გადასაწყვეტად სხვა მიმართულებებით გაკეთდა». ლაპარაკია ინგლისის სამშენებლო საზოგადოებებზე (**building societies**), რომელთაც ბ-ნი ზაქსი ასე დაწვრილებით განსაკუთრებით იმიტომ განიხილავს, რომ «მათ დედაარსსა და მოქმედებაზე საერთოდ მეტად არასაკმაო ან მცდარი აზრებია გავრცელებული. ინგლისის სამშენებლო საზოგადოებები სრულიადაც არ არიან... სამშენებლო საზოგადოებანი ან სამშენებლო ამხანაგობანი, უფრო სწორი იქნებოდა მათთვის... გვეწოდებინა გერმანულ ენაზე «სახლების შემძენელი კავშირები»; ეს კავშირები მიზნად ისახავენ მათი წევრების პერიოდული შესატანის გზით დააგროვონ ფონდი და ამ ფონდიდან, სახსრების დაგროვებისდა მიხედვით, წევრებს მისცენ სესხი სახლების შესაძენად.... ამრიგად, სამშენებლო საზოგადოება წარმოადგენს თავისი წევრების ერთი ნაწილისათვის შემნახველ სალაროს, ხოლო მეორესათვის — გამსესხებელ სალაროს. ამრიგად, სამშენებლო საზოგადოებანი წარმოადგენენ საიპოთეკო კრედიტის დაწესებულებებს, რომლებიც ნავარაუდევი არიან მუშის მოთხოვნილებისათვის და რომლებიც უმთავრესად იყენებენ.... მუშათა დანაზოგს... იმისათვის, რომ დახმარება აღმოუჩინონ მათ ამხანაგებს მეანაბარეთა რიცხვიდან სახლის შეძენის ან აშენების დროს. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სესხის გაცემა წარმოებს სათანადო რეალური ღირებულების საწინდარით და იმგვარად წესდება, რომ მისი დაფარვა ხდება მოკლევადიანი ნაწილობრივი გადასახდელებით, რომლებიც პროცენტსა და ამორტიზაციას შეიცავენ... პროცენტები მეანაბარეთ არ ეძლევათ, არამედ ყოველთვის ე წ ე რ ე ბ ა თ მ ა თ ს ა ნ გ ა რ ი შ ებ ში რ თ უ ლ ი პ რ ო ც ე ნ-

ტ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ... ანაბართა მოთხოვნა გაზრდილ პროცენტებთან ერთად... დასაშვებია ყოველ მომენტში წინასწარი განცხადებიდან ერთი თვის შემდეგ» (გვ. 170 — 172). «ინგლისში 2 000-ზე მეტი ასეთი კავშირი არსებობს... მათში დაგროვილი კაპიტალი თითქმის 15 000 000 გირვანქა სტერლინგს აღწევს, და დაახლოებით უკვე 100 000 მ უ შ ა თ ა ოჯახმა შეიძინა ამ გზით საკუთარი კერა; ეს ისეთი სოციალური მონაპოვარია, რომლის ბადალის პოვნაც, ჭეშმარიტად, ადვილი არაა» (გვ. 174).

სამწუხაროდ, აქაც ამას კოჭლობით თან მოსდევს «მაგრამ»: «საკითხის სრული გადაწყვეტა, თუმცა, ამით ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ ა რ ი ს ჯ ე რ კ ი დ ე ვ მ ი ღ წ ე უ ლ ი, თუნდაც იმიტომ, რომ სახლის შეძენა... მისაწვდომია მხოლოდ უ კ ე თ ე ს ი ხ ე ლ ფ ა ს ი ს მქონე მუშებისათვის... განსაკუთრებით სანიტარულ პირობებს, ხშირად, ნაკლები ყურადღება ექცევა» (გვ. 176). კონტინენტზე «მსგავსი კავშირები... მხოლოდ მეტად შეზღუდულ ნიადაგს პოულობენ განვითარებისათვის». ისინი ვარაუდობენ კოტეჯების სისტემას, რომელიც აქ მხოლოდ სოფლად არსებობს; სოფლად კი მუშები ჯერ კიდევ არ არიან თვითდახმარებისათვის საკმაოდ განვითარებულნი. მეორე მხრივ, ქალაქებში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ნამდვილი სამშენებლო ამხანაგობების შექმნა, მათ წინ ეღობება «სხვადასხვა სახის მეტად მნიშვნელოვანი და სერიოზული სიძნელენი» (გვ. 179). მათ სწორედ მარტო კოტეჯების აშენება შეეძლოთ, ხოლო დიდ ქალაქებში ეს არ შეიძლება. ერთი სიტყვით, «ამხანაგური თვითდახმარების ამ ფორმას» შეუძლებელია «თანამედროვე პირობებში — და საეჭვოა ახლო მომავალშიც — წილად ხვდეს მთავარი როლის შესრულება ამ საკითხის გადაწყვეტაში». ეს სამშენებლო ამხანაგობანი ჯერ კიდევ მხოლოდ «პირველი, განუვითარებელი ჩანასახების სტადიაში» იმყოფება. «ეს ინგლისსაც კი შეეხება» (გვ. 181).

მაშასადამე: კაპიტალისტებს არა ს უ რ თ, ხოლო მუშებს არ შ ე უ ძ ლ ი ა თ. ჩვენ შეგვეძლო ამით დაგვემთავრებინა ეს განყოფილება, რომ უეჭველად აუცილებელი არ იყოს ზოგიერთი განმარტების მოცემა იმ ინგლისურ სამშენებლო საზოგადოებებზე, რომლებსაც შულცე-დელიჩის ყაიდის ბურჟუები მუდამ ნიმუშად უყენებენ ჩვენს მუშებს.

ეს სამშენებლო საზოგადოებანი არც მუშათა საზოგადოებებია და მათი მთავარი მიზანი არც ისაა, რომ მუშებს საკუთარი სახლები შეაძენინონ. პირიქით, ჩვენ დავინახავთ, რომ ეს მხოლოდ იშვიათი

გამონაკლისის სახით ხდება. არსებითად ეს სამშენებლო საზოგადოებანი სპეკულაციური ხასიათის ორგანიზაციებია, ამასთან პატარა საზოგადოებებს, — როგორებსაც ისინი თავდაპირველად წარმოადგენენ, — ეს არა ნაკლებად შეეხება, ვიდრე მათ დიდ წამბაძველებს. რომელიმე სამიკიტნოში, — ჩვეულებრივ მიკიტნის თაოსნობით, რომელთანაც შემდეგ ყოველკვირეული კრებები ეწყობა, — სამიკიტნოს მუდმივი სტუმრებისა და მათი მეგობრების, მედუქნეების, ნოქრების, კომივოიაჟორების, წვრილი ხელოსნების და სხვა წვრილი ბურჟუების რამდენიმე პირი, ხოლო ზოგან რომელიმე მანქანათმშენებელი ან სხვა მუშა, რომელიც თავისი კლასის არისტოკრატიას ეკუთვნის, — იკრიბებიან და სამშენებლო საზოგადოებას ადგენენ. ამის უახლოესი საბაბი ჩვეულებრივ ის არის ხოლმე, რომ მიკიტანი მიაგნებს იაფ-ფასებში გასაყიდ მიწის ნაკვეთს. მონაწილეთა უმრავლესობა თავისი საქმიანობით არ არის რომელიმე გარკვეულ ადგილთან დაკავშირებული; ბევრ მედუქნესა და ხელოსანსაც კი ქალაქში მხოლოდ თავისი საწარმო აქვს, მაგრამ ბინა არ გააჩნია; ვისაც კი შეუძლია, უმჯობესად მიაჩნია კვამლიანი ქალაქის კედლებს გარეთ ცხოვრება, ვიდრე შუაგულ ქალაქში. მშენებლობის მიზნით ყიდულობენ მიწის ნაკვეთს და ამ ნაკვეთზე შესაძლებელი რაოდენობით აშენებენ კოტეჯებს. უფრო შეძლებული წევრების კრედიტი ყიდვის შესაძლებლობას ჰქმნის; ყოველკვირეული შესატანი, ზოგიერთ მცირეოდენ სესხთან ერთად, ფარავს მშენებლობის ყოველკვირეულ ხარჯებს. ის წევრები, რომლებიც საკუთარი სახლების შეძენას ვარაუდობენ, წილის ყრით მზა კოტეჯებს ღებულობენ, და ქირის სათანადო დანამატი ფარავს ნაყიდობის ფასს. დანარჩენი კოტეჯები ქირავდება ან იყიდება. სამშენებლო საზოგადოება კი, თუ მისი საქმეები კარგად მიდის, აგროვებს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ქონებას, რომელიც მონაწილეთ ეკუთვნის მანამდე, სანამ ისინი თავიანთ შესატანს ისტუმრებენ, და რომელიც დროდადრო ანდა საზოგადოების დაშლისას მათ შორის ნაწილდება. ასეთია ინგლისურ სამშენებლო საზოგადოებათა ცხრამეათედის ისტორია. დანარჩენები კი უფრო დიდი საზოგადოებებია, დაარსებულნი ხშირად პოლიტიკური ან ფილანთროპული საბაბით; მაგრამ მათ მთავარ მიზანს საბოლოოდ მუდამ ის შეადგენს, რომ მიწის საკუთრების სპეკულაციის მეშვეობით წ ვ რ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს დანაზოგს მისცენ უკეთესი იპოთეკური დაბანდება კარგი სარგებლითა და დივიდენდების მიღების იმედით.

თუ რა სახის კლიენტებს ვარაუდობენ ეს საზოგადოებანი, ამას

ამტკიცებს პროსპექტი იმ საზოგადოების, რომელიც თუ ყველაზე დიდი არა, ერთი უდიდესთაგანია. «ბირბეკის, ჩენსერი ლეინის, სოუტამპტონ ბილდინგზის სამშენებლო საზოგადოება, 29 და 30», ლონდონში, რომლის შემოსავალიც მისი არსებობის დროიდან 10½ მილიონ გირ. სტერლინგზე (70 მილიონ ტალერზე) მეტს შეადგენს, რომელსაც დაბანდებული აქვს ბანკში და სახელმწიფო ქაღალდებში 416 000 გირ. სტერლინგზე მეტი და რომელიც ამჟამად 21 441 წევრსა და მეანაბარეს ითვლის, — ეს საზოგადოება თავის თავს რეკლამას უკეთებს შემდეგნაირად:

«ბევრისათვის ცნობილია ფორტეპიანოს მეფაბრიკეთა ეგრეთწოდებული სამწლიანი სისტემა, რომლის მიხედვით ყველა, ვინც ფორტეპიანოს სამი წლის ვადით ქირაობს, ამ დროის განვლის შემდეგ ფორტეპიანოს მესაკუთრე ხდება. ამ სისტემის შემოღებამდე შეზღუდული შემოსავლის მქონე ადამიანებისათვის კარგი ფორტეპიანოს შეძენა ისევე ძნელი იყო, როგორც საკუთარი სახლის შეძენა; ადამიანები წლითიწლობით ისტუმრებდნენ ფორტეპიანოს ქირას და ორ-ჯერ-სამჯერ უფრო მეტ ფულს ხარჯავდნენ, ვიდრე ფორტეპიანო ღირდა. ხოლო ის, რასაც ფორტეპიანოს მიმართ იყენებენ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახლის მიმართაც... მაგრამ რადგანაც სახლი ფორტეპიანოზე უფრო ძვირი ღირს..., ამიტომ ბინის ქირის საშუალებით ნაყიდობის ფასის დასაფარავად საჭიროა უფრო დიდი ვადა. ამის გამო დირექტორები ლონდონის სხვადასხვა ნაწილში და მის მიდამოებში სახლმფლობელებთან შევიდნენ შეთანხმებაში, რომლის ძალით დირექტორებს შეუძლიათ ბირბეკისა და სხვების სამშენებლო საზოგადოებათა წევრებს მისცენ სახლების დიდი ამორჩევის საშუალება ქალაქის სულ სხვადასხვა ნაწილში. სისტემა, რომლის დაცვაც დირექტორებს განზრახული აქვთ, ასეთია: სახლი ქირავდება 12½ წლის ვადით; ამ ვადის შემდეგ, თუ ქირის შეტანა წესიერად სწარმოებდა, სახლი დამქირავებლის აბსოლუტური საკუთრება ხდება ყოველგვარი შემდგომი გადასახდელის გარეშე... დამქირავებელს შეუძლია აგრეთვე შეთანხმება დასდოს გადიდებული ქირის დროს ვადის შემცირებაზე ან შემცირებული ქირის დროს ვადის გადიდებაზე... შ ე ზ ღ უ დ ულ ი შ ე მ ო-ს ა ვ ლ ი ს მ ქ ო ნ ე ა დ ა მ ი ა ნ ებ ს, დ უ ქ ნ ებ ი ს ა და მ ა ღ ა ზ ი ებ ი ს მ ო ს ა მ ს ა ხ ურ ე ებ ს და სხვებს შეუძლიათ დაუყოვნებლივ გახდნენ დამოუკიდებელნი ყოველგვარი სახლის მეპატრონისაგან, როგორც კი ბირბეკის სამშენებლო საზოგადოების წევრები გახდებიან».

ყოველივე ეს საკმაოდ ნათელია. მუშებზე ლაპარაკიც კი არაა, სამაგიეროდ ლაპარაკია შეზღუდული შემოსავლის ადამიანებზე, დუქნებისა და მაღაზიების მოსამსახურეებზე და სხვ.; ამასთან გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ კლიენტებს, როგორც წესი, ფ ო რ-ტ ე პ ი ა ნ ო უ კ ვ ე ა ქ ვ თ. მართლაც და, აქ ლაპარაკია არა მუშებზე, არამედ წვრილ ბურჟუებზე და ისეთ ადამიანებზე, რომლებსაც სურვილი აქვთ და შ ე უ ძ ლ ი ა თ კიდეც ასეთებად გახდომა, ადამიანებზე, რომელთა შემოსავალი, თუმცა შეზღუდულ ფარგლებში,

ჩვეულებრივ ნელ-ნელა იზრდება, როგორც ამას ვხედავთ სავაჭროს ნოქრებთან და მსგავს პროფესიის პირებთან; ხოლო მუშის შემოსავალი, რომელიც ნომინალურად საუკეთესო შემთხვევაში უცვლელი რჩება, სინამდვილეში მცირდება, მისი ოჯახის გადიდებისა და ამ ოჯახის მოთხოვნილებათა ზრდის გამო. ნამდვილად მხოლოდ ცოტა მუშას შეუძლია, გამონაკლისის სახით, მონაწილეობა მიიღოს ასეთ საზოგადოებებში. ერთი მხრივ, მათი შემოსავალი მეტად მცირეა, მეორე მხრივ, მეტად არასაიმედო იმისათვის, რომ შეიძლებოდეს ეს ვალდებულება მათ წინდაწინ — 12½ წლით ადრე იკისრონ. იშვიათ გამონაკლისებს, რომლებსაც ეს არ შეეხება, შეადგენენ ან საუკეთესო ხელფასის მქონე მუშები, ან ფაბრიკის ზედამხედველები[1].

თუმცაღა ყველასათვის ცხადია, რომ მიულჰაუზენის მუშათა ქალაქის ბონაპარტისტები ამ წვრილბურჟუაზიულ ინგლისურ სამშენებლო საზოგადოებათა მხოლოდ უბადრუკ მიმბაძველებს წარმოადგენენ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ბონაპარტისტები, მი-

---

[1] კიდევ ერთი პატარა დამატება სპეციალურად ლონდონის სამშენებლო კავშირების მოღვაწეობის შესახებ. როგორც ცნობილია, თითქმის მთელი ლონდონის მიწის ფართობი დაახლოებით თორმეტამდე არისტოკრატს ეკუთვნის, რომელთა შორის ყველაზე წარჩინებულნი არიან — ჰერცოგები ვესტმინსტერი, ბედფორდი, პორტლანდი და სხვ. ჯერ მათ ცალკეული სამშენებლო ნაკვეთები იჯარით გასცეს 99 წლის ვადით, ამ ვადის განვლის შემდეგ კი ისინი შედიან მიწის ნაკვეთის მფლობელობაში ყველა იმის ჩათვლით, რაც ამ ნაკვეთზეა. შემდეგ ისინი ამ სახლებს აქირავებენ უფრო მოკლე ვადით, მაგალითად, 39 წლით, ეგრეთწოდებული რემონტიანი იჯარის (**repairing lease**) პირობებში, რომლის ძალითაც დამქირავებელმა სახლი უნდა მოიყვანოს საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში და შეინახოს იგი ამ სახით. ასეთი კონტრაქტის დადებისთანავე მიწათმფლობელი აგზავნის თავის არქიტექტორს და სათანადო ოლქის სამშენებლო პოლიციის მოხელეს (**surveyor**) სახლის შესამოწმებლად და საჭირო რემონტის დასადგენად. რემონტი ხშირად ძალიან დიდია: განახლებას საჭიროებს ფასადის მთელი კედელი, სახურავი და ა. შ. მაშინ დამქირავებელი უზრუნველყოფის სახით საქირაო ხელშეკრულებას აძლევს სამშენებლო კავშირს და უკანასკნელისაგან სესხად იღებს საჭირო თანხას — 1 000 გირ. სტერლინგამდე და კიდევ მეტს. ყოველწლიურად 130 — 150 გირ. სტერლინგის გადახდის პირობით — თ ა ვ ი ს ი ხარჯით სამშენებლო სამუშაოთა საწარმოებლად. მაშასადამე, ეს სამშენებლო კავშირები მნიშვნელოვან მოსაშუალე რგოლად გახდნენ იმ სისტემაში, რომელიც მიზნად ისახავს უშრომლად და ხალხის ხარჯზე განაახლოს ხოლმე და საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში შეინარჩუნოს ლონდონის სახლები, რომლებიც მიწის მსხვილი არისტოკრატების კუთვნილებას შეადგენენ.

და ეს უნდა იყოს მუშებისათვის ბინის საკითხის გადაწყვეტა! (ენ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1887 წ. გ ა მ ო ც ე მ ი ს ა დ მ ი).

უხედავად მათ მიერ მიღებული სახელმწიფო დახმარებისა, თავის კლიენტებს გაცილებით უფრო მეტად ატყუებენ, ვიდრე ეს სამშენებლო საზოგადოებანი. მათი პირობები საერთოდ უფრო ნაკლებად ლიბერალურია, ვიდრე საშუალო პირობები ინგლისში; მაშინ როცა ინგლისში ყოველ შესატანზე პროცენტებსა და რთულ პროცენტებს ანგარიშობენ, და ყოველივე ამას უკან უბრუნებენ, როგორც კი განცხადების შემდეგ ერთი თვე გაივლის, — მიულჰაუზენის მეფაბრიკეები როგორც მარტივ, ისე რთულ პროცენტებს ჯიბეში იდებენ და უკან უბრუნებენ მხოლოდ ძირითად შესატანს, გადახდილს ხუთფრანკიანი ლითონის ფულით. არავის ეს განსხვავება არ გაუკვირდება უფრო მეტად, ვიდრე ბ-ნ ზაქსს, რომლის წიგნში ყველაფერი ეს მოცემულია, მაგრამ ისე, რომ მან ეს არ იცის.

მაშასადამე, მუშების თვითდახმარებიდანაც არაფერი გამოდის. რჩება სახელმწიფო დახმარება. რა შეუძლია ბ-ნ ზაქსს მოგვაწოდოს ჩვენ ამ მხრივ? სამი რამ:

«ჯერ ერთი, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ მის კანონმდებლობაში და მართველობაში აღმოფხვრილ ან შესაბამისად გაუმჯობესებულ იქნეს ყოველივე ის, რაც რაიმე **სახით მშრომელი კლასების ბინის გაჭირვების გაძლიერებას იწვევს**» (გვ. 187).

ამრიგად, საჭიროა: სამშენებლო კანონმდებლობის გადასინჯვა და სამშენებლო სარეწთა თავისუფლება, რათა მშენებლობა უფრო იაფი დაჯდეს. მაგრამ ინგლისში სამშენებლო კანონმდებლობა დაყვანილია მინიმუმამდე, სამშენებლო სარეწები თავისუფალნი არიან, როგორც ფრინველი ცაში, ხოლო ბინის გაჭირვება მაინც არსებობს. მასთან ინგლისში ამჟამად ისე იაფად აშენებენ, რომ ფორანის გავლისას სახლები ძაგძაგებენ და რომ ყოველდღიურად ნაწილი ამ სახლებისა ინგრევა. ჯერ კიდევ გუშინ, 1872 წ. 25 ოქტომბერს, მანჩესტერში ერთბაშად ექვსი სახლი დაინგრა და ექვსი მუშა მძიმედ დაშავდა. მაშასადამე, ვერც ეს შველის საქმეს.

«მეორე, სახელმწიფო ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას ის, რომ ცალკეულმა პირმა, თავისი შეზღუდული ინდივიდუალიზმით, გაავრცელოს ან კვლავ გამოიწვიოს ეს უბედურება».

მაშასადამე: მუშათა ბინების სანიტარული და სამშენებლო-პოლიციური ზედამხედველობა, ხელისუფალთათვის უფლების მინიჭება — დახურონ ჯანმრთელობისათვის საშიში და დაძველებული შენობები, როგორც ეს ინგლისში მოხდა 1857 წლიდან. მაგრამ როგორ მოხდა ეს იქ? პირველი კანონი 1855 წ. (კანონი გადამდები

სენის მოსპობის შესახებ), როგორც თვით ბ-ნი ზაქსი აღიარებს, დარჩა «მკვდარ ასოდ», ისევე, როგორც 1858 წ. მეორე კანონიც (კანონი ადგილობრივი მართველობის შესახებ) (გვ. 197). სამაგიეროდ ბ-ნი ზაქსი ფიქრობს, რომ მესამე კანონი, კანონი ხელოსანთა ბინების შესახებ, რომელიც მხოლოდ იმ ქალაქებზე ვრცელდება, სადაც მოსახლეობა 10 000-ზე მეტ კაცს შეადგენს, — «უეჭველად ხელსაყრელი მაჩვენებელია იმისა, რომ ბრიტანეთის პარლამენტს სოციალური მოვლენები ღრმად გაეგება» (გვ. 199); მაგრამ ეს მტკიცება კვლავ «ხელსაყრელი მაჩვენებელია» იმისა, რომ ბ-ნი ზაქსი ინგლისის «მოვლენებს» სრულიად არ იცნობს. ინგლისმა რომ საერთოდ «სოციალურ მოვლენებში შორს გაუსწრო» კონტინენტს, ეს თავისთავად გასაგებია; იგი — თანამედროვე მსხვილი ინდუსტრიის დედაა, იქ ყველაზე უფრო თავისუფლად და ფართოდ განვითარდა წარმოების კაპიტალისტური წესი, რომლის შედეგები აქ ყველაზე ნათლად მჟღავნდება და ამიტომაც ადრე პოულობენ კანონმდებლობაში გამოხმაურებას. ამის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს საფაბრიკო კანონმდებლობა. მაგრამ, როცა ბ-ნი ზაქსი ფიქრობს: საკმარისია მხოლოდ საპარლამენტო აქტმა კანონის ძალა მიიღოს, რათა იგი მაშინვე პრაქტიკულადაც განხორციელდესო, იგი სასტიკად სცდება. და არც ერთ საპარლამენტო აქტს (გარდა სახელოსნოების შესახებ მიღებული კანონისა) ეს ისე ძალიან არ ეხება, როგორც სწორედ ადგილობრივი მართველობის კანონს. ამ კანონის გატარება დაეკისრათ საქალაქო ხელისუფალთ, რომლებიც ინგლისში თითქმის ყველგან ყოველგვარ მექრთამეობის, ნათლიმამობისა და **jobbery** [1]-ის საყოველთაოდ ცნობილ ცენტრს წარმოადგენენ. ამ საქალაქო ხელისუფალთა აგენტებს, რომლებსაც თავიანთი თანამდებობანი ყოველგვარი ოჯახური გავლენით და ნაცნობობით აქვთ მიღებული, ან უნარი არ შესწევთ, ანდა განზრახვა არა აქვთ მსგავსი სოციალური კანონები შეასრულონ, მაშინ როცა სწორედ ინგლისში მთავრობის მოხელე-

[1] **Jobbery** ნიშნავს მოხელის ან მისი ოჯახის პირადი სარგებლობისათვის საზოგადოებრივი თანამდებობის გამოყენებას. თუ, მაგალითად, რომელიმე ქვეყნის სახელმწიფო ტელეგრაფის უფროსი რომელიმე ქაღალდის ფაბრიკის ფარული მონაწილე ხდება, ამ ფაბრიკას თავისი ტყეებიდან ხეს აწვდის, შემდეგ კი მას გადასცემს ქაღალდის მოწოდებას სატელეგრაფო ბიუროებისათვის, — ეს იქნება თუმცა საკმაოდ მცირე, მაგრამ მაინც იმდენად მართებული **job**-ი, რომ იგი **jobbery**-ის პრინციპების სრულ გაგებას იძლევა; ეს, სხვათა შორის, ბისმარკის დროს თავისთავად გასაგები და ბუნებრივი მოვლენა იყო. (ენგელსის შენიშვნა.)

ები, რომლებსაც სოციალური კანონმდებლობის მომზადება და გატარება ევალებათ, უმეტეს ნაწილად იმით გამოირჩევიან, რომ თავიანთ მოვალეობას ზუსტად ასრულებენ... თუმცაღა, ეს ახლა უკვე ნაკლებად ხდება, ვიდრე ოცი, ოცდაათი წლის წინათ. ჯანმრთელობისათვის მავნე და დაძველებული სახლების მესაკუთრეებს თითქმის ყველგან ქალაქის სამართველოებში პირდაპირ თუ არაპირდაპირ ძლიერი წარმომადგენლობა ჰყავთ. პატარა ოლქებში ქალაქის სამართველოთა წევრების არჩევნები არჩეულებს ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ ისინი დამოკიდებული არიან ადგილობრივ ინტერესებსა და გავლენაზე; ქალაქის სამართველოს ვერც ერთი წევრი, რომელსაც სურს კვლავ არჩეულ იქნეს, ვერ გაბედავს იმას, რომ ხმა მისცეს ამ კანონის გამოყენებას თავის საარჩევნო ოლქში. ამიტომ გასაგებია, თუ როგორ წინააღმდეგობას შეხვდა ეს კანონი თითქმის ყველგან ადგილობრივ ხელისუფალთა მხრივ; აქამდე მას მხოლოდ ყველაზე სასკანდალო შემთხვევებში იყენებდნენ, და ისიც მხოლოდ მეტწილად იმის გამო, რომ უკვე ეპიდემიამ იფეთქა, როგორც ეს გასულ წელს მანჩესტერსა და სალფორდში ყვავილის ეპიდემიის დროს მოხდა. შინაგან საქმეთა მინისტრისადმი მიმართვა მხოლოდ ამგვარ შემთხვევებში იძლეოდა დღემდე თავის შედეგს, ვინაიდან ყოველგვარი ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი მთავრობის პრინციპს ინგლისში ხომ ის შეადგენს, რომ სოციალური რეფორმის კანონები მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის ზეგავლენით წამოაყენოს, ხოლო უკვე არსებული კანონები, თუ კი ეს როგორმე შესაძლებელია, სრულიად არ შეასრულოს. ამ კანონს, ისევე როგორც მრავალ სხვას ინგლისში, მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ისეთი მთავრობის ხელში, რომელსაც მუშები განაგებენ ანდა რომელიც მუშების ზემოქმედებას განიცდის, მთავრობისა, რომელიც მას, ბოლოს ნამდვილად გამოიყენებს, — მძლავრი იარაღი გახდება იმისათვის, რათა თანამედროვე სოციალური წყობილების კედელი შეანგრიოს.

«მესამე», სახელმწიფო ხელისუფლებამ, ბ-ნ ზაქსის აზრით, უნდა გამოიყენოს «უდიდესი მოცულობით მის განკარგულებაში მყოფი ყველა დადებითი ღონისძიება, რათა არსებული ბინის გაჭირვება შეამსუბუქოს».

ეს იმას ნიშნავს, რომ მან უნდა ააშენოს ყაზარმები, «ჭეშმარიტად სანიმუშო შენობები», თავისი «დაბალი მოხელეებისა და მოსამსახურეებისათვის» (მაგრამ ეს ხომ მუშები არ არიან!) და «სესხი აძლიოს... სათემო დაწესებულებებს, საზოგადოებებს, და აგრეთვე კერძო პირებს მშრომელი კლასების ბინების გაუმჯობესების

ზიზნით» (გვ. 203), როგორც ეს ინგლისში ხდება თანახმად საზოგადოებრივ სამუშაოებზე სესხის გაცემის კანონისა და როგორც ამას აკეთებდა ლუი ბონაპარტი პარიზში და მიულჰაუზენში. მაგრამ საზოგადოებრივ სამუშაოებზე სესხის გაცემის კანონიც მხოლოდ ქაღალდზე არსებობს; მთავრობა კომისრებს აძლევს მათს განკარგულებაში სულ დიდი 50 000 გირ. სტერლინგს, ე. ი. სახსრებს მაქსიმუმი 400 კოტეჯის ასაშენებლად, მაშასადამე 40 წლის განმავლობაში — 16 000 კოტეჯისათვის ანუ ბინებს მაქსიმუმი 80 000 კაცისათვის, — წვეთი ზღვაში. დავუშვათ თუნდაც, რომ 20 წლის შემდეგ სესხის უკან დაბრუნების მეოხებით კომისიის სახსრები ორჯერ გაიზრდება, მაშასადამე დანარჩენი 20 წლის განმავლობაში ბინები დამატებით კიდევ 40 000 კაცისთვის აშენდება, ეს მაინც მხოლოდ წვეთი დარჩება ზღვაში. მაგრამ რადგანაც კოტეჯებს შეუძლიათ საშუალოდ მხოლოდ 40 წელი გაძლონ, ამიტომ 40 წლის შემდეგ აუცილებელი იქნება ყოველწლიურად ნაღდი ფულით 50 ან 100 ათასი გირვანქა სტერლინგის დახარჯვა ყველაზე დაძველებული კოტეჯების აღსადგენად. აი ამას უწოდებს ბ-ნი ზაქსი, 203-ე გვერდზე: გაატარო პრინციპი პრაქტიკულად სწორად და «შეუზღუდველი მოცულობით»! ამ აღიარებით, რომ სახელმწიფოს ინგლისშიაც კი «შეუზღუდველი მოცულობით», შეიძლება ითქვას, არაფერი გაუკეთებიაო, ბ-ნი ზაქსი ამთავრებს თავის წიგნს და მხოლოდ კიდევ ერთ მორალურ მოძღვრებას უქადაგებს ყველა დაინტერესებულ პირს[1].

დღესავით ნათელია, რომ თანამედროვე სახელმწიფოს არ შეუძლია და არა სურს საბინაო უბედურების თავიდან აცილება. სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა მქონებელი კლასების, მიწათ-

[1] უკანასკნელ დროს ინგლისის საპარლამენტო აქტებში, რომლებიც ლონდონის საშენებლო ხელისუფალთ ახალი ქუჩების გაყვანის მიზნით ექსპროპრიაციის უფლებას ანიჭებენ, ერთგვარი ყურადღება ექცევა მუშებს, რომლებიც ამასთან დაკავშირებით უსახლკაროდ რჩებიან. გამოაქვთ დადგენილება იმის შესახებ, რომ ახლად ასაგები შენობები გამოსადეგი უნდა იყოს საცხოვრებლად მოსახლეობის იმ კლასებისათვის, რომლებიც უწინ ამ ადგილზე ცხოვრობდნენ. კანონის სიტყვასიტყვითი შესრულებისათვის, ყველაზე უფრო იაფფასიან სამშენებლო უბნებზე, მაშასადამე, აშენებენ ხუთ-ექვს სართულიან გასაქირავებელ ყაზარმებს მუშებისათვის. თუ რა გამოვა ამ ახალი საქმიდან, რომელიც მუშებისათვის უჩვეულოა და ძველი ლონდონის პირობებისათვის სრულებით უცხო, — ამას მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ საუკეთესო შემთხვევაში საეჭვოა, რომ ამ ყაზარმებში მოთავსდეს მეოთხედი ნაწილიც კი მუშებისა, რომლებიც ქუჩების ხელახლა დაგებამის გამო ნამდვილად უსახლკაროდ არიან დარჩენილნი. (ენგელსის შენიშვნა 1887 წ. გამოცემისადმი).

მფლობელებისა და კაპიტალისტების, ორგანიზებული ერთობლივი ხელისუფლება, მიმართული ექსპლოატირებული კლასების, გლეხებისა და მუშების წინააღმდეგ. რაც ცალკეულ კაპიტალისტებს (და მხოლოდ მათზეა აქ ლაპარაკი, ვინაიდან ამ საქმეში მონაწილე მიწათმფლობელიც უწინარეს ყოვლისა კაპიტალისტის სახით გამოდის) არ სურთ, ის არ სურს მათ სახელმწიფოსაც. მაშასადამე, როცა ცალკეული კაპიტალისტები მართალია ნანობენ ბინის გაჭირვებას, მაგრამ ძნელად თუ თანხმდებიან იმაზე, რომ ამ გაჭირვების ყველაზე უფრო საშინელი შედეგები ზერელედ მაინც მიაფუჩეჩონ, — მაშინ ერთობლივი კაპიტალისტიც, სახელმწიფო, ამაზე მეტს არ გააკეთებს. საუკეთესო შემთხვევაში იგი იმისათვის იზრუნებს, რომ ზერელედ მიფუჩეჩების ჩვეულებრივი ხარისხი ყველგან თანაზომიერად გატარდეს. და ჩვენ დავინახეთ, რომ ეს ასეც ხდება.

მაგრამ გერმანიაში, შეიძლება ჩვენ გვიპასუხონ, ბურჟუები ჯერ არ ბატონობენ, გერმანიაში სახელმწიფო ჯერ კიდევ ერთგვარად დამოუკიდებელ, საზოგადოებაზე მაღლა მდგომ ძალას წარმოადგენს, რომელიც სწორედ ამიტომ საზოგადოების ერთობლივი ინტერესების და არა მარტო ერთი კლასის ინტერესების წარმომადგენელიაო. ასეთ სახელმწიფოს, რასაკვირველია, შეუძლია ისეთი რამ გააკეთოს, რის გაკეთებაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არ ძალუძსო; მისგან სოციალურ დარგშიც სულ სხვა რამეს უნდა ველოდეთო.

ეს არის რეაქციონერების ენა. სინამდვილეში კი გერმანიაშიც სახელმწიფო იმ სახით, რა სახითაც ის არსებობს, აუცილებელი პროდუქტია იმ საზოგადოებრივი საფუძვლისა, საიდანაც იგი აღმოცენდა. პრუსიაში — ხოლო პრუსიას ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს — ჯერ კიდევ მძლავრ მსხვილმემამულურ თავადაზნაურობასთან ერთად არსებობს შედარებით ახალგაზრდა და უაღრესად მხდალი ბურჟუაზია, რომელმაც აქამდე ვერ მოიპოვა ვერც პირდაპირი პოლიტიკური ხელისუფლება, როგორც საფრანგეთში, ვერც ცოტად თუ ბევრად არაპირდაპირი, როგორც ინგლისში. მაგრამ ამ ორი კლასის გვერდით არსებობს პროლეტარიატი, რომელიც სწრაფად იზრდება, ინტელექტუალურად მეტად განვითარებულია და ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ორგანიზებული ხდება. მაშასადამე, ძველი აბსოლუტური მონარქიის ძირითად პირობასთან ერთად — მემამულე თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის არსებულ წონასწორობასთან ერთად —

ჩვენ აქ ვხედავთ თანამედროვე ბონაპარტიზმის ძირითად პირობას: წონასწორობას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. მაგრამ როგორც ძველი აბსოლუტური მონარქიის დროს, ასევე თანამედროვე ბონაპარტისტული მონარქიის დროსაც ნამდვილი სახელმწიფო ხელისუფლება იმყოფება ოფიცერთა და მოხელეთა საგანგებო კასტის ხელში, რომლის შევსებაც პრუსიაში ხდება ნაწილობრივ საკუთარი წრიდან, ნაწილობრივ წვრილი სამაიორატო თავადაზნაურობიდან, უფრო იშვიათად — უმაღლესი თავადაზნაურობიდან და ფრიად უმნიშვნელო ოდენობით — ბურჟუაზიიდან. დამოუკიდებლობა ამ კასტისა, რომელიც საზოგადოების გარეშე და, ასე ვთქვათ, საზოგადოებაზე მაღლა მდგომად გვეჩვენება, სახელმწიფოს ანიჭებს მოჩვენებითს დამოუკიდებლობას საზოგადოების მიმართ.

სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც პრუსიაში (ხოლო მისი მაგალითის მიხედვით გერმანიის ახალ საიმპერიო წყობილებაში) ამ უაღრესად წინააღმდეგობრივი საზოგადოებრივი პირობებიდან აუცილებელი თანამიმდევრობით განვითარდა, მოჩვენებითი კონსტიტუციონალიზმია; ეს სახელმწიფოებრივი ფორმა წარმოადგენს როგორც ძველი აბსოლუტური მონარქიის დაშლის თანამედროვე ფორმას, ისე ბონაპარტისტული მონარქიის არსებობის ფორმასაც. პრუსიაში მოჩვენებითი კონსტიტუციონალიზმი 1848 წლიდან 1866 წლამდე მხოლოდ ფარავდა და ჩქმალავდა აბსოლუტური მონარქიის ნელ ლპობას. მაგრამ 1866 წლიდან და განსაკუთრებით 1870 წლიდან საზოგადოებრივი პირობების გადატრიალება, და ამით ძველი სახელმწიფოს დაშლა, ყველას თვალწინ და კოლოსალურად ზზარდი მასშტაბით წარმოებს. მრეწველობისა და განსაკუთრებით საბირჟო ყალთაბანდობის სწრაფმა განვითარებამ ყველა გაბატონებული კლასი სპეკულაციის მორევში ჩაითრია. 1870 წელს საფრანგეთიდან შემოტანილი მასობრივი კორუპცია გაუგონარი სისწრაფით ვითარდება. შტრუსბერგი და პერეირი ერთმანეთს ხელს უწვდიან. მინისტრები, გენერლები, თავადები და გრაფები საბირჟო თამაშში ყველაზე გაიძვერა მებირჟე-ებრაელებს ეჯიბრებიან, ხოლო სახელმწიფო აღიარებს მათ თანასწორობას, ანიჭებს რა მასობრივად ებრაელ-მებირჟეებს ბარონის ღირსებას. სოფლის თავადაზნაურობამ, რომელიც დიდი ხნიდან ეწეოდა მრეწველობას შაქრის ქარხნის მეპატრონეთა და სპირტის გამომხდელთა სახით, უკვე დიდი ხანია დაივიწყა დალოცვილი ძველი დრო და იგი თავისი სახელებით ყოველგვარ საიმედო და არასაიმედო სააქციო სა-

ზოგადოებათა დირექტორების სიებს ამშვენებს. ბიუროკრატია სულ უფრო და უფრო უყურადღებოდ ექცევა გაფლანგვას როგორც ჯამაგირის გადიდების ერთად-ერთ საშუალებას; იგი სახელმწიფოს სტოვებს ბედის ანაბარა და სამრეწველო საწარმოთა მართველობაში გაცილებით უფრო შემოსავლიან თანამდებობებს ეტანება; ის, ვინც ჯერ კიდევ სახელმწიფო სამსახურში რჩება, თავისი უფროსების მაგალითს მისდევს, აქციებით სპეკულაციას ეწევა ან რკინიგზებსა და სხვა ამგვარ საწარმოებში «მონაწილეობს». სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ლეიტენანტებიც უარს არ იტყვიან ხელი მოითბონ ზოგიერთ სპეკულაციაზე. ერთი სიტყვით, ძველი სახელმწიფოს ყველა ელემენტის გახრწნა, აბსოლუტური მონარქიის ბონაპარტისტულში გადასვლა სრული სიჩქარით მიმდინარეობს, და უახლოესი დიდი სავაჭრო-სამრეწველო კრიზისის დროს დაიმსხვრევა არა მარტო თანამედროვე თაღლითობა, არამედ ძველი პრუსიის სახელმწიფოც [1].

და აი ამ სახელმწიფომ, რომლის არაბურჟუაზიული ელემენტები ყოველდღიურად სულ უფრო გაბურჟუებული ხდებიან, უნდა გადაწყვიტოს «სოციალური საკითხი» ან თუნდაც მარტო ბინის საკითხი? — პირიქით. ყველა ეკონომიურ საკითხში პრუსიის სახელმწიფო სულ უფრო და უფრო ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ ექცევა. და თუ 1866 წლიდან კანონმდებლობა ეკონომიურ დარგში არ იყო ბურჟუაზიის ინტერესებთან კიდევ უფრო მეტად შეფარდებული, ვიდრე ეს სინამდვილეში აღმოჩნდა, ვინ არის ამაში დამნაშავე? უმთავრესად თვითონ ბურჟუაზია, რომელიც, ჯერ ერთი, მეტად მხდალია იმისათვის, რათა თავისი მოთხოვნები ენერგიულად დაიცვას, და რომელიც, მეორე, ეწინააღმდეგება ყოველგვარ დათმობას, თუ ეს დათმობა ამავე დროს ახალ იარაღს აძლევს ხელში მისთვის საშიშარ პროლეტარიატს. და თუ სახელმწიფო ხელისუფლება, ე. ი. ბისმარკი, ცდილობს თავისთვის საკუთარი ლეიბ-პროლეტარიატი ჩამოაყალიბოს, რათა მისი დახმარებით ბურჟუაზიის პოლიტიკურ მოღვაწეობას ლაგამი ამოდოს, რა არის ეს, თუ არა აუცილებელი და კარგად ცნობილი ბონაპარტისტული საშუა-

[1] ახლაც, 1886 წელს, მხოლოდ შიში პროლეტარიატის წინაშე, რომელიც 1872 წლიდან ვიგანტურად გაიზარდა როგორც რიცხობრივად, ისე კლასობრივი თვითშეგნებითაც, ამაგრებს და აერთიანებს კიდევ პრუსიის სახელმწიფოს და მის საფუძველს — მსხვილი მიწათმფლობელობისა და სამრეწველო კაპიტალის კავშირს, კავშირს, რომელიც განმტკიცებულია მფარველობითი ბაჟებით. (ენგელსის შენიშვნა 1887 წ. გამოცემისადმი).

ლება, რომელიც მუშების მიმართ არავითარ ვალდებულებას არ შეიცავს, გარდა რამდენიმე კეთილმოსურნე ფრაზისა და, უკიდურეს შემთხვევაში, სამშენებლო საზოგადოებებისადმი მინიმალური სახელმწიფო დახმარებისა ლუი ბონაპარტის მაგალითის მიხედვით?

იმის ყველაზე საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს, თუ რისი მოლოდინი შეიძლება ჰქონდეთ მუშებს პრუსიის სახელმწიფოსაგან, წარმოადგენს საფრანგეთის მილიარდების გამოყენება, რამაც პრუსიის სახელმწიფო მანქანის დამოუკიდებლობა საზოგადოების მიმართ ახალი, ხანმოკლე ვადით გააგრძელა. განა თუნდა ერთი ტალერი ამ მილიარდებიდან მოხმარდა იმას, რომ ქუჩაში გაგდებული ბერლინელი მუშების ოჯახები უზრუნველეყოთ თავშესაფარით? პირიქით. შემოდგომის დადგომისთანავე სახელმწიფომ განკარგულება გასცა დაენგრიათ ის რამდენიმე უბადრუკი ბარაკიც კი, რომლებიც ზაფხულში მუშებისათვის ერთად-ერთ თავშესაფარს წარმოადგენენ. ეს ხუთი მილიარდი საკმაო სისწრაფით და ნაცადი წესით იხარჯება ციხესიმაგრეებსა, ზარბაზნებსა და ჯარისკაცებზე; და მიუხედავად ვაგნერის ჩმახვისა, მიუხედავად ავსტრიასთან შტიბერის კონფერენციებისა[1], გერმანელ მუშებს ამ მილიარდებიდან არ მისცემენ იმდენსაც კი, რამდენიც ლუი ბონაპარტმა ფრანგ მუშებს მისცა იმ მილიონებიდან, რომლებიც მან საფრანგეთს მოჰპარა.

III

სინამდვილეში ბურჟუაზიას მხოლოდ ერთი მეთოდი გააჩნია იმისთვის, რომ ბინის საკითხი თ ა ვ ი ს ყაიდაზე გადაწყვიტოს, ესე იგი, ისე, რომ ეს გადაწყვეტა ყოველთვის ახლად აყენებს საკითხს. ამ მეთოდს სახელად «ოსმანი» ეწოდება.

სიტყვა «ოსმანში» მე აქ ვგულისხმობ პარიზელი ოსმანის არა მარტო სპეციფიკურ ბონაპარტისტულ მანერას — გასჭრას გრძელი, სწორი და ფართო ქუჩები მჭიდროდ გაშენებულ მუშათა კვარტალებში და ეს ქუჩები ორივე მხრიდან დიდი მდიდრული შენობებით მოაჩარჩოოს, რომელიც სტრატეგიულ მიზანთან — ბარიკადული ბრძოლის გაძნელებასთან — ერთად ითვალისწინებდა აგ-

[1] მხედველობაშია ავსტრიისა და პრუსიის იმპერატორებისა და მათი კანცლერების კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო გაშტეინში 1871 წლის აგვისტოს I-ლი ინტერნაციონალის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განსახილველად; კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საჭიროა ჯერ «შესწავლილ იქნეს» მუშათა კლასის სოციალური მდგომარეობა. რ ე დ.

რეთვე მთავრობისაგან დამოკიდებული სპეციფიკურ-ბონაპარტისტული სამშენებლო პროლეტარიატის შექმნას, და ამასთანავე ქალაქის გადაქცევას უმთავრესად ფუფუნების ქალაქად. სიტყვა «ოსმანში» მე ვგულისხმობ მუშათა კვარტალების, განსაკუთრებით ჩვენი დიდი ქალაქების ცენტრში მდებარე კვარტალების, გაჭრის საყოველთაოდ მიღებულ პრაქტიკას, სულერთია რა საბაბითაც უნდა იყოს იგი გამოწვეული: საზოგადოებრივი სანიტარიით თუ გალამაზებით, ქალაქის ცენტრში დიდი სავაჭრო სადგომების მოთხოვნილებით თუ მიმოსვლის საჭიროებით, როგორიცაა რკინიგზის, ქუჩების გაყვანა და ა. შ. შედეგი ყველგან ერთი და იგივეა, რა გინდ განსხვავებულიც იყოს საბაბი: უსაძაგლესი შუკები და ყრუ შესახვევები ქრებიან, რითაც ბურჟუაზია დიდად თავს იქებს, მიაჩნია რა ეს უდიდეს წარმატებად, მაგრამ... ისინი მაშინვე სადმე სხვაგან, ხშირად უშუალოდ მახლობელ ადგილას, კვლავ ჩნდებიან.

შრომაში «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში» მე ავწერე მანჩესტერი ისე, როგორც ის 1843 — 1844 წლებში გამოიყურებოდა. მას შემდეგ რკინიგზების გამო, რომლებიც ქალაქის შუაგულზე გადიან, ახალი ქუჩების გაყვანისა და დიდი საზოგადოებრივი და კერძო შენობების აგების გამო, — ჩემ მიერ აღწერილი ყველაზე ცუდი კვარტალებიდან ზოგიერთი გაჭრილია, გაწმენდილი და გაუმჯობესებული, ზოგიერთი კი მთლიანად მოსპობილია, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი მათგანი, — მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ სანიტარულ-პოლიციური ზედამხედველობა გაძლიერდა, — იმავე ან კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფება.

მაგრამ სამაგიეროდ, ქალაქის უდიდესი გაფართოების გამო, რომლის მოსახლეობაც მას შემდეგ ნახევარჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა, ის კვარტალები, რომლებიც იმ დროს ჯერ კიდევ ფართონი და სუფთა იყვნენ, ახლა ისევე გაშენებული, ისევე ჭუჭყიანი და მცხოვრებლებით გაჭედილია, როგორც ქალაქის ის ნაწილები, რომლებიც ოდესღაც ყველაზე ცუდი სახელით სარგებლობდნენ. დავასახელებ აქ მხოლოდ ერთ მაგალითს. ჩემს წიგნში, გვ. 80 და შემ.[1], მე ავწერე მდინარე მედლოკის ხეობაში მდებარე სახლების ჯგუფი, რომელიც მცირე ირლანდიის (Little Ireland) სახელწოდებით უკვე დიდი ხანია მანჩესტერის სამარცხვინო ლაქას წარმოადგენდა. მცირე ირლანდია დიდი ხანია გაქრა; მის ადგილზე, მაღალ საძირკველზე, ამჟამად აღმართულია ვაგზალი; ბურჟუაზია მცირე

[1] იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. III, გვ. 354 და შემ. რედ.

ირლანდიის კეთილად დამთავრებულ მოსპობას სიამაყით აღნიშნავდა როგორც დიდ ტრიუმფს. მაგრამ აი გასულ ზაფხულს საშინელი წყალდიდობა მოხდა, რადგანაც საერთოდ სრულიად გასაგები მიზეზებით შეგუებებული მდინარეები ჩვენს დიდ ქალაქებში წლითიწლობით სულ უფრო დიდ წყალდიდობას იწვევენ. აი აქ მეღავნდება სწორედ, რომ მცირე ირლანდია სრულებითაც არ მოსპობილა, არამედ იგი მხოლოდ გადატანილია ოქსფორდ-როდის სამხრეთ მხარიდან ჩრდილოეთ მხარეზე და უწინდებურად ჰყვავის. აი რას წერს ამის შესახებ მანჩესტერის რადიკალური ბურჟუების ორგანო, მანჩესტერის «Weekly Times» -ი 1872 წ. 20 ივლისს:

«უბედურება, რომელიც გასულ შაბათს მედლოკის ხეობის მცხოვრებლებს თავს დაატყდა, იმედია, ერთ კარგ შედეგს მოიტანს: საზოგადოებრივ ყურადღებას მიიქცევს სანიტარიის ყველა კანონის ის აშკარა დაცინვა, რასაც ასე დიდი ხანია ითმენდნენ იქ ქალაქის მოხელეებისა და ქალაქის სანიტარული კომიტეტის ცხვირწინ. მკვეთრმა სტატიამ, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელი დღის გამოშვებაში იყო მოთავსებული, კიდევ საკმაოდ ვერ გამოამეღავნა ჩარლზსტრიტსა და ბრუკსტრიტზე მდებარე იმ ზოგიერთი სასარდაფო სადგომების სამარცხვინო მდგომარეობა, რომლებსაც წყალდიდობა დაატყდათ თავს. ამ სტატიაში აღნიშნული ერთ-ერთი ეზოს გულდასმითი გამოკვლევა უფლებას გვაძლევს ყველა ქ მოყვანილი ცნობები დავადასტუროთ და განვაცხადოთ, რომ ამ ეზოში სასარდაფო სადგომები დიდი ხანია უნდა დახურულიყო; უფრო სწორად რომ ვთქვათ, არასდროს არ უნდა მოეთმინათ ისინი როგორც ადამიანის საცხოვრებელი ბინები. სკუაირზ-კორტი შედგება ჩარლზ-სტრიტისა და ბრუკსტრიტის კუთხეში მდებარე შვიდი ან რვა საცხოვრებელი სახლისაგან, რომელთა თავზე, ბრუკსტრიტის ყველაზე დაბალ ადგილშიც კი, რკინიგზის თაღის ქვეშ შეიძლება ყოველდღიურად გაიაროს მგზავრმა და ეშვიც არ მიიტანოს, რომ მის ქვეშ სიღრმეში მოთავსებულია სოროები, რომლებშიც ადამიანთა არსებანი ცხოვრობენ. ეზო, რომელიც საზოგადოების თვალისათვის დაფარულია, მისაწვდომია მხოლოდ იმათთვის, ვისაც გაჭირვება აიძულებს თავშესაფარი ასეთ სამარისებურად განმარტოებულ ადგილას ეძიოს. მაშინაც კი, როცა ჩვეულებრივ მედლოკის დაგუბებული, კაშხალით შეკრული წყალი თავის ჩვეულებრივ დონეზე მაღლა არ ადის, მაშინაც კი ამ ბინების იატაკი რაღაც რამდენიმე დუიმით თუ აღემატება წყლის ზედაპირს; ყოველ კოკისპირულ წვიმას შეუძლია სანაგვე ორმოებიდან ან ჩასადენი მილებიდან ამოტიეტივოს ზედაპირზე საძაგელი დამპალი წყალი და შხამიანი გაზებით მოწამლოს საცხოვრებელი ბინები — სამახსოვრო ნიშანი, რომელსაც ყოველი წყალდიდობა თავის შემდეგ სტოვებს... სკუაირზ-კორტი კიდევ უფრო დაბლაა, ვიდრე ბრუკსტრიტზე მდებარე სახლთა არასაცხოვრებელი სარდაფები... ქუჩაზე ოცი ფუტით დაბლა, და შაბათს სანაგვე ორმოებიდან ამოვარდნილმა მოწამლულმა წყალმა სახურავებამდე მიაღწია. ჩვენ ეს ვიცოდით და ამიტომ ვფიქრობდით, რომ ეზო ცარიელი იქნებოდა, ანდა რომ იქ შევხვდებოდით მხოლოდ სანიტარული კომიტეტის მოსამსახურეებს, რომლებიც მყრალი ბედლების გაწმენდასა და დეზინფექციაზე მუშაობდნენ. ნაცვლად ამისა ჩვენ დავინახეთ ადამიანი, რომელიც ერთი დალაქის სარდაფში... კუთხეში დაყრილი

დამპალი სიბინძურის გროვას ნიჩბით ურიკაზე სდებდა. დალაქმა, რომლის სარდაფი უკვე თითქმის გამოხვეტილი იყო, ჩვენ კიდევ უფრო ძირს გაგვგზავნა, მთელ რიგ ბინებში, რომლებზეც მან სთქვა: მე რომ წერა შემეძლოს, გაზეთში დავწერდი და დაჟინებით მოვითხოვდი ამ ბინების დახურვასო. ასე მივედით ჩვენ ბოლოს სკუაირზ-კორტში, სადაც ვნახეთ ლამაზი, შესახედავად ჯანსაღი ირლანდიელი ქალი, რომლის წინ გასარეცხი თეთრეულის გროვა ეწყო. მას და მის ქმარს, კერძო სამსახურში მყოფ ღამის ყარაულს, ამ ეზოში ექვსი წელიწადი უცხოვრიათ, მათ დიდი ოჯახი ჰყავდათ... იმ სახლში, რომელიც მათ ახლახან დასტოვეს, წყალი სახურავამდე ასულიყო, ფანჯრები ჩამტვრეული იყო, დგამი ნაფოტებად ქცეული. როგორც ბინადარმა გადმოგვცა, იგი ამ სახლში აუტანელ სუნს მხოლოდ იმით აღწევდა თავს, რომ ყოველ ორ თვეში კედლებს კირით ათეთრებდა... შიდა ეზოში, სადაც ჩვენმა რეპორტიორმა მხოლოდ ახლა მოახერხა შესვლა, მან ნახა სამი სახლი, უკანა კედლებით ზემოაწერილ სახლებზე მიშენებული; ორ მათგანში მობინადრენი იყვნენ. იქ ისეთი საშინელი სიმყრალე იყო, რომ ყველაზე ჯანსაღ ადამიანს რამდენიმე წუთის შემდეგ აუცილებლად ზღვის ავადმყოფობა შეეყრებოდა... ამ საზიზღარ ჯურღმულში შვიდი კაცისაგან შემდგარი ოჯახი ცხოვრობდა. ხუთშაბათ საღამოს (წყალდიდობის დაწყების დღეს) ყველას სახლში ეძინა. ანდა უკეთ რომ ვთქვათ, როგორც ეს ქალმა გვითხრა, მათ არ ეძინათ, რადგანაც მას და მის ქმარს ღამის უმეტესი ნაწილი ცუდი სუნისაგან გული ერეოდათ. შაბათს ისინი იძულებული გახდნენ, მკერდამდე წყალში ჩამდგართ, თავიანთი ბავშვები გამოეყვანათ. ისიც იმ აზრის იყო, რომ ეს ჯურღმული ღორისთვისაც კი უვარგისია, მაგრამ მან იგი სიიაფისათვის — კვირაში ერთნახევარ შილინგად დაიქირავა, ვინაიდან უკანასკნელ ხანებში მისი ქმარი ავადმყოფობის გამო ხშირად უმუშევრად რჩებოდა. ეს ეზო და მასში, როგორც წინასწარ სამარეში, ჩამარხული მობინადრენი ყველაზე უკიდურესი უმწეობის შთაბეჭდილებას ახდენენ. თუმცაღა, უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი დაკვირვებით სკუაირზ-კორტი მხოლოდ განმეორებაა — შესაძლოა რამდენიმედ გადაჭარბებული — ამ რაიონის იმ მრავალი სხვა ბინისა, რომელთა არსებობას ჩვენი სანიტარული კომიტეტი ვერაფრით ვერ გაამართლებს. და თუ შესაძლებლად დაინახავენ, რომ ეს ბინები შემდეგშიაც საცხოვრებლად გამოიყენონ, მაშინ ლაპარაკიც ზედმეტია იმ პასუხისმგებლობის მთელ სიმძიმეზე, რომელიც კომიტეტს ეკისრება, და გადამდებ ეპიდემიათა იმ საშიშროებაზე, რომელიც მეზობლებს ემუქრება».

ასეთია იმის ნათელი მაგალითი, თუ როგორ წყვეტს ბურჟუაზია პრაქტიკულად ბინის საკითხს. გადამდები სენის კერები, ყველაზე სამარცხვინო სოროები და ორმოები, სადაც ჩვენ მუშებს ყოველ ღამეს ერეკება წარმოების კაპიტალისტური წესი, — არ ისპობა, ხდება მხოლოდ მათი... გ ა დ ა ა დ გ ი ლ ე ბ ა! იგივე ეკონომიური

აუცილებლობა, რამაც ისინი ერთ ადგილზე წარმოშვა, მათ მეორე ადგილზეც წარმოშობს. და სანამ წარმოების კაპიტალისტური წესი არსებობს, მანამდე სისულელეა შეეცადოთ ცალკეულად გადავწყვიტოთ ბინის საკითხი ან რაიმე სხვა საზოგადოებრივი საკითხი, რომელიც მუშის ბედიღბალს ეხება. საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მოისპოს წარმოების კაპიტალისტური წესი, რომ არსებობისა და შრომის ყველა საშუალება თვით მუშათა კლასმა მიითვისოს.

ბანყოფილება III

I

ერთხელ კიდევ პრუდონისა და ბინის საკითხის შესახებ

«Volksstaat»-ის 86 ნომერში ა. მიულბერგერი თავის თავს აცხადებს იმ სტატიების ავტორად, რომლებიც მე 51 და შემდეგ ნომრებში გავაკრიტიკე. თავის პასუხში ის იმდენ საყვედურებს მაყრის და ამასთან იმ ზომამდე ურევს ყველა თვალსაზრისს, რომლებზედაც ლაპარაკია, რომ მე ძალაუნებურად უნდა ვუპასუხო ამაზე. მე შევეცდები ჩემს საწინააღმდეგო პასუხს — რომელიც, ჩემდა სამწუხაროდ, უმეტესწილად უნდა ეხებოდეს პირადი პოლემიკის დარგს, რაზეც მე მიულბერგერმა წინასწარ მიმითითა — საერთო ინტერესი მივცე იმით, რომ ერთხელ კიდევ და შეძლებისამებრ უფრო მკაფიოდ, ვიდრე უწინ, განვავითარებ ყველაზე მთავარ დებულებებს, თუნდაც კვლავ მეშუქრებოდეს მიულბერგერის საყვედურები, რომ ყველაფერი ეს «არსებითად არავითარ ახალს არ შეიცავს არც მისთვის, არც «Volksstaat»-ის სხვა მკითხველებისათვის».

მიულბერგერი უჩივის ჩემი კრიტიკის ფორმასა და შინაარსს. რაც შეეხება ფორმას, საკმარისია ვთქვა, რომ მე მაშინ სრულებით არ ვიცოდი, თუ ვის ეკუთვნოდა ჩემ მიერ განხილული სტატიები. მაშასადამე, ავტორის წინააღმდეგ პირადი «წინასწარაღებული» აზრის შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა; ხოლო ბინის საკითხის იმ გადაწყვეტის წინააღმდეგ, რომელიც ამ სტატიებში იყო მოცემული, მე, რასაკვირველია, «წინასწარაღებული» აზრი იმდენად მქონდა, რამდენადაც საკითხის ასეთი გადაწყვეტა მე დიდი ხანია პრუდონიდან ვიცოდი და ჩემი შეხედულება ამ საკითხზე მტკიცედ იყო დადგენილი.

ჩემი კრიტიკის «კილოზე» მეგობარ მიულბერგერთან მე დავას არ დავიწყებ. როდესაც მოძრაობაში იმდენ ხანს მონაწილეობ, როგორც მე, საკმაოდ სქელ ტყავს იძენ თავდასხმების წინააღმდეგ და ამიტომ ადვილად გგონია, რომ სხვებსაც ასეთივე ტყავი აქვთ. მიულბერგერის დასაკმაყოფილებლად, მე ამჯერად შევეცდები

ჩემი «კილო» მისი ეპიდერმისის (ტყავის ზედა ფენის) გრძნობიერებას შევუფარდო.

მიულბერგერი განსაკუთრებით მწარედ უჩივის იმას, რომ მას პრუდონისტი ვუწოდე, და გვეფიცება, მე პრუდონისტი არა ვარო. მე, რასაკვირველია, უნდა დავუჯერო მას, მაგრამ მაინც მოვიყვან იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ მოცემული სტატიები — და მე მხოლოდ მათთან მქონდა საქმე — წმინდა წყლის პრუდონიზმს წარმოადგენენ.

მაგრამ პრუდონსაც, მიულბერგერის აზრით, მე «მსუბუქად» ვაკრიტიკებ და მის მიმართ დიდ უსამართლობას ჩავდივარ: «თეორია პრუდონის წვრილბურჟუაზიულობის შესახებ ჩვენთან გერმანიაში დაწესებულ დოგმად იქცა, რომელსაც ბევრი აღიარებს ისე, რომ მისი ნაწარმოებებიდან ერთი სტრიქონიც კი არ წაუკითხავს». ჩემს სინანულზე იმის შესახებ, რომ რომანულ ენაზე მოლაპარაკე მუშებს უკვე 20 წელიწადია არავითარი სულიერი საზრდო არ გააჩნიათ, გარდა პრუდონის ნაწარმოებებისა, მიულბერგერი მიპასუხებს: რომანელ მუშებში «პრუდონის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები თითქმის ყველგან მოძრაობის ცოცხალ სულს შეადგენენო». ამას მე ვერ დავეთანხმები. ჯერ ერთი, მუშათა მოძრაობის «ცოცხალ სულს» არსად არ შეადგენენ «პრინციპები», არამედ ამის წყაროა ყველგან მსხვილი მრეწველობის განვითარება და მისი შედეგები: დაგროვება და კონცენტრაცია კაპიტალისა, ერთი მხრივ, და პროლეტარიატისა, მეორე მხრივ. მეორე, არ არის სწორი, რომ ეგრეთწოდებული პრუდონული «პრინციპები» რომანელი მუშებისათვის იმ გადამწყვეტ როლს ასრულებენ, რასაც მათ მიულბერგერი მიაწერს, რომ «ანარქიის, ეკონომიურ ძალთა ორგანიზაციის, სოციალური ლიკვიდაციისა და ა. შ. პრინციპები იქ... რევოლუციური მოძრაობის ჭეშმარიტი მატარებელი გახდნენ». თუ არაფერს ვიტყვით ესპანეთსა და იტალიაზე, სადაც პრუდონისტულმა ვითომდა ყოვლისგანმკურნებელმა საშუალებებმა რაღაც გავლენა მოიპოვეს მხოლოდ ბაკუნინის მიერ კიდევ უფრო დამახინჯებული სახით, — ყველასათვის, ვინც საერთაშორისო მუშათა მოძრაობას იცნობს, კარგად ცნობილია ის ფაქტი, რომ საფრანგეთში პრუდონისტები მცირერიცხოვან სექტას შეადგენენ, მაშინ როცა მუშათა მასები სავსებით უარჰყოფენ საზოგადოებრივ რეფორმათა პრუდონის მიერ წამოყენებულ გეგმას, რომელიც სოციალური ლიკვიდაციისა და ეკონომიურ ძალთა ორგანიზაციის სახელწოდებით არის ცნობილი. ამან, სხვათა შორის, თავი იჩინა კომუნის დროს. თუმცა ამ

კომუნაში პრუდონისტები ძლიერად იყვნენ წარმოდგენილი, მაგრამ მაინც მცირეოდენი ცდაც კი არ ყოფილა ჩატარებული იმისათვის, რომ პრუდონის პროექტების საფუძველზე ძველი საზოგადოების ლიკვიდაცია ან ეკონომიურ ძალთა ორგანიზება მოეხდინათ. პირიქით. კომუნისათვის დიდად სასახელოა ის გარემოება, რომ მისი ყველა ეკონომიური ღონისძიების «ცოცხალ სულს» რაიმე პრინციპები კი არ შეადგენდნენ, არამედ... უბრალო პრაქტიკული მოთხოვნილება. მაგრამ სწორედ ამიტომაც ეს ღონისძიებანი — პურის მცხობელთა ღამით მუშაობის გაუქმება, ფულადი ჯარიმების აკრძალვა ფაბრიკებში, დახურული ფაბრიკებისა და სახელოსნოების კონფისკაცია და მუშათა ასოციაციებისათვის მათი გადაცემა — სრულიადაც არ იყო პრუდონის ყაიდის, არამედ ისინი გერმანული მეცნიერული სოციალიზმის სულისკვეთებას გამოხატავდნენ. ერთადერთი სოციალური ღონისძიება, რომელიც პრუდონისტებმა ჩაატარეს, — ეს უ ა რ ი ს თ ქ მ ა იყო საფრანგეთის ბანკის კონფისკაციაზე, რაც კომუნის დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზი იყო. სწორედ ასევე ეგრეთწოდებულმა ბლანკისტებმაც, როგორც კი ისინი შეეცადნენ წმინდა პოლიტიკური რევოლუციონერებიდან გადაქცეულიყვნენ სოციალისტურ მუშათა ფრაქციად გარკვეული პროგრამით, — რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ბლანკისტ-ემიგრანტების მიერ ლონდონში გამოშვებულ მანიფესტში «ინტერნაციონალი და რევოლუცია»[1], — საზოგადოების ხსნის პრუდონული გეგმის «პრინციპები» კი არ გამოაცხადეს, არამედ გერმანული მეცნიერული სოციალიზმის შეხედულებანი (თანაც თითქმის სიტყვასიტყვით) პროლეტარიატის პოლიტიკური მოქმედებისა და მისი დიქტატურის, ე. ი. კლასების გაუქმებაზე და მათ გაუქმებასთან ერთად სახელმწიფოს გაუქმებაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ, როგორც ეს ჯერ კიდევ «კომუნისტურ მანიფესტში» იყო ნათქვამი და მას შემდეგ დაუსრულებლად მეორდებოდა. და თუ მიულბერგერს პრუდონისადმი გერმანელების უპატივცემლობიდან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ მათ რომანული მოძრაობა, «თვით პარიზის კომუნამდე», არასაკმაოდ ესმით, მაშინ ხომ მას ამ გაუგებლობის დასამტკიცებლად ისეთი რომანული ნაწარმოები უნდა დაესახელებინა, სადაც თუნდაც დაახლოებით მაინც ისე სწორად იქნებოდა გაგებული და გადმოცემული კომუნა, როგორც ეს ინტერ-

[1] ამ მანიფესტის ანალიზი ენგელსმა მოგვცა სტატიაში «კომუნის ბლანკისტ-ემიგრანტების პროგრამა». იხ. კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, თხზ., ტ. XV, გვ. 224 — 230. რ ე დ.

ნაციონალის გენერალური საბჭოს იმ მოწოდებაშია, რომელიც საფრანგეთის სამოქალაქო ომის შესახებ გერმანელმა მარქსმა დაწერა.

ერთადერთი ქვეყანა, სადაც მუშათა მოძრაობა უშუალოდ პრუდონული «პრინციპების» გავლენის ქვეშ იმყოფება, ეს არის — ბელგია, და სწორედ ამიტომაა, რომ ბელგიის მოძრაობა, ჰეგელის გამოთქმით, მიდის «არაფრიდან არაფრის გზით არაფრისაკენ».

თუ მე უბედურებად მიმაჩნია ის, რომ რომანელი მუშები, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ოცი წლის განმავლობაში სულიერად მხოლოდ პრუდონით საზრდოობდნენ, მე ამ უბედურებას ვხედავ არა რეფორმათა პრუდონული რეცეპტის, — რომელსაც მიულბერგერი «პრინციპებს» უწოდებს, — სრულ მითოლოგიურ ბატონობაში, არამედ იმაში, რომ არსებული საზოგადოების მათი ეკონომიური კრიტიკა მოშხამული იყო სრულიად ყალბი პრუდონული შეხედულებებით, ხოლო მათი პოლიტიკური მოღვაწეობა გაფუჭებული იყო პრუდონისტული გავლენით. კითხვაზე კი იმის შესახებ, თუ ვინ «უფრო მეტად იმყოფება რევოლუციაში», «გაპრუდონისტებული რომანელი მუშები» თუ გერმანელი მუშები, რომლებსაც ყოველ შემთხვევაში შეუდარებლად უკეთ ესმით მეცნიერული გერმანული სოციალიზმი, ვიდრე რომანელებს თავიანთი პრუდონი, — ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როცა გვეცოდინება, რას ნიშნავს: «რევოლუციაში ყ ო ფ ნ ა». გაგვიგონია ადამიანებზე, რომ ისინი «იმყოფებიან ქრისტიანობაში, ჭეშმარიტ სარწმუნოებაში, ღვთის წყალობაში» და ა. შ. მაგრამ «ყოფნა» რევოლუციაში, ყველაზე ძალმომრეობით მოძრაობაში! და განა «რევოლუცია» დოგმატიკური რელიგიაა, რომელიც უნდა გწამდეს?

შემდეგ მიულბერგერი მისაყვედურებს, თითქოს მე, წინააღმდეგ იმისა, რაც გარკვევით არის მის სტატიაში ნათქვამი, ვამტკიცებდე, რომ იგი ბინის საკითხს მხოლოდ და მხოლოდ მუშათა საკითხად აცხადებს.

ამჯერად მიულბერგერი უეჭველად მართალია. მე სათანადო ადგილი გამომრჩა. გამომრჩა ყოვლად შეუწყნარებელი მიზეზით, ვინაიდან ეს ადგილი მისი შრომის მთელი ტენდენციის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ადგილია. მართლაც მიულბერგერი ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე პირდაპირ ამბობს:

«ვინაიდან ჩვენ ხშირად და ბევრჯერ ს ა ს ა ც ი ლ ო საყვედურს გვეუბნებიან, რომ ვითომდა ჩვენ კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ პ ო ლ ი ტ ი კ ა ს ვეწევით, კ ლ ა ს ობ-

რივი ბატონობისაკენ მივისწრაფით და ა. შ., ამიტომ უწინარეს ყოველისა ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ბინის საკითხი სრულიადაც არ ეხება მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატს, არამედ, პირიქით, ეს საკითხი უაღრესად აინტერესებს ნამდვილ საშუალო ფენას, წვრილ ხელოსნებს, წვრილ ბურჟუაზიას, მთელ ბიუროკრატიას... ბინის საკითხი — ეს სწორედ სოციალური რეფორმების ის პუნქტია, რომელიც, როგორც ჩანს, სხვებთან შედარებით, ყველაზე შესაფერია იმისათვის, რომ გამოამჟღავნოს, ერთი მხრივ, პროლეტარიატის, მეორე მხრივ კი, საზოგადოების ნამდვილი საშუალო კლასების ინტერესთა აბსოლუტური შინაგანი იგივეობა. საშუალო კლასები ისევე ძლიერად იტანჯებიან, თუ გნებავთ, კიდევ უფრო ძლიერადაც, ვიდრე პროლეტარიატი, დაქირავებული ბინის შემაეიწროებელი ბორკილებისაგან... საზოგადოების ნამდვილი საშუალო კლასები ამჟამად შემდეგი საკითხის წინაშე დგანან: შესწევთ თუ არა მათ... საკმაო ძალა... იმისათვის, რომ ახალგაზრდული ძალითა და ენერგიით აღსავსე მუშათა პარტიასთან კავშირში აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების გარდაქმნის პროცესში, რომლის სასიკეთო შედეგები უწინარეს ყოველისა თვითონ მათ მოუტანს სარგებლობას».

ამრიგად, მეგობარი მიულბერგერი აქ შემდეგს ადასტურებს:

1) «ჩვენ» არ ვეწევით «კლასობრივ პოლიტიკას» და არ ვისწრაფით «კლასობრივი ბატონობისაკენ». გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია კი, სწორედ იმიტომ, რომ იგი მუშათა პარტიაა, აუცილებლად ეწევა «კლასობრივ პოლიტიკას», მუშათა კლასის პოლიტიკას· რადგანაც ყოველი პოლიტიკური პარტია ესწრაფვის სახელმწიფოში ბატონობა მოიპოვოს, ამიტომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია აუცილებლად ესწრაფვის თავის ბატონობას, მუშათა კლასის ბატონობას, მაშასადამე, «კლასობრივ ბატონობას». თუმცა, ყოველი ნამდვილად პროლეტარული პარტია, დაწყებული ინგლისელი ჩარტისტებიდან, ყოველთვის პირველ პირობად აყენებდა კლასობრივ პოლიტიკას, პროლეტარიატის დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბებას, ხოლო ბრძოლის უახლოეს მიზნად კი — პროლეტარიატის დიქტატურას. როცა მიულბერგერი ამას «სასაცილოდ» აცხადებს, იგი ამით თავის თავს პროლეტარული მოძრაობის გარეშე, წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის რიგებში აყენებს.

2) ბინის საკითხს ის უპირატესობა აქვს, რომ ის არ წარმოადგენს მარტოოდენ მუშათა საკითხს, არამედ ეს საკითხი «უაღრესად აინტერესებს წვრილ ბურჟუაზიას, რადგანაც «ნამდვილი საშუალო კლასები ისევე ძლიერად, თუ გნებავთ, კიდევ უფრო ძლიერადაც», იტანჯებიან ბინის გაჭირვებით, ვიდრე პროლეტარიატი. ვინც აცხადებს: წვრილი ბურჟუაზია, თუნდაც მხოლოდ ერთი მხრივ, იტან-

ჯება, თუ გნებავთ, კიდევ უფრო ძლიერადაც, ვიდრე პროლეტარიატიო», ის უეჭველია ვეღარ იტყვის საყვედურს იმის გამო, თუ მას წვრილბურჟუაზიულ სოციალისტებს მიაკუთვნებენ. მაშასადამე, აქვს თუ არა მიულბერგერს საფუძველი უკმაყოფილებისათვის, როცა მე ვამბობ:

«სწორედ ამ ტანჯვას, რასაც მუშათა კლასი სხვა კლასებთან, განსაკუთრებით წვრილ ბურჟუაზიასთან, ერთნაირად იზიარებს, არკვევს უპირატესად წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი, რომელსაც პრუდონიც ეკუთვნის. და სრულიადაც არაა შემთხვევითი ის გარემოება, რომ ჩვენი გერმანელი პრუდონისტი უწინარეს ყოვლისა ხელს ჰკიდებს ბინის საკითხს, რომელიც, როგორც დავინახეთ, არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მუშათა საკითხს».

3) «საზოგადოების ნამდვილი საშუალო კლასების» ინტერესებსა და პროლეტარიატის ინტერესებს შორის არსებობს «აბსოლუტური შინაგანი იგივეობა», და არა პროლეტარიატს, არამედ სწორედ ამ ნამდვილ საშუალო კლასებს «მოუტანს პირველ ყოვლისა სარგებლობას» საზოგადოების გარდაქმნის მომავალი პროცესის «სასიკეთო შედეგები».

მაშასადამე, მუშები «სწორედ უწინარეს ყოვლისა» წვრილი ბურჟუების ინტერესების სასარგებლოდ მოახდენენ მომავალ სოციალურ რევოლუციას. და შემდეგ, არსებობს აბსოლუტური შინაგანი იგივეობა წვრილი ბურჟუების ინტერესებსა და პროლეტარიატის ინტერესებს შორის. თუ წვრილი ბურჟუების ინტერესები შინაგანად გაიგივებულია მუშათა ინტერესებთან, მაშინ მუშათა ინტერესებიც გაიგივებულია წვრილი ბურჟუების ინტერესებთან. მაშასადამე, წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისი მოძრაობაში ისევე მართებულია, როგორც პროლეტარული. ხოლო ასეთი თანასწორუფლებიანობის მტკიცება არის სწორედ ის, რასაც წვრილბურჟუაზიულ სოციალიზმს უწოდებენ.

ამიტომ სავსებით თანამიმდევრულია მიულბერგერის მხრივ, როცა ის თავისი ბროშურის 25-ე გვერდზე თაყვანს სცემს «წვრილ წარმოებას» როგორც «საზოგადოების ნამდვილ ბ უ რ ჯ ს», «რადგანაც ეს წარმოება თავისი ბუნების მიხედვით სამ ფაქტორს შეიცავს: შრომას — შეძენას — მფლობელობას, და რადგანაც ამ სამი ფაქტორის შეერთებით იგი ინდივიდის განვითარების უნარს არავითარ ზღუდეს არ უქმნის»; თანმიმდევრულია, როცა ის თანამედროვე მრეწველობას განსაკუთრებით იმას უსაყვედურებს, რომ იგი

ნორმალურ ადამიანთა ამ სანერგეს სპობს და რომ «სასიცოცხლო ძალით აღსავსე, მუდამ თავისი თავის კვლავ ახლად წარმომქმნელი კლასი ადამიანთა შეუგნებელ გროვად გადააქცია, გროვად, რომელმაც არ იცის, საითკენ მიაპყროს თავისი მშიშარა თვალები». მაშასადამე, მიულბერგერისათვის წვრილი ბურჟუა ადამიანის ნიმუშია, ხოლო წვრილი ხელოსნობა — წარმოების სანიმუშო წესი. მაშ, განა მე მას ცილი დავწამე, როცა იგი წვრილბურჟუაზიულ სოციალისტებს მივაკუთვნე?

რადგანაც მიულბერგერი თავიდან იცილებს პრუდონისათვის ყოველგვარ პასუხისმგებლობას, ზედმეტი იქნებოდა განგვეგრძო აქ იმის განხილვა, რომ რეფორმის პრუდონული გეგმები მიზნად ისახავენ საზოგადოების ყველა წევრის წვრილ ბურჟუებად და წვრილ გლეხებად გადაქცევას. ასევე ზედმეტი იქნებოდა შევჩერებულიყავით მუშათა ინტერესებისა და წვრილ ბურჟუათა ინტერესების მოჩვენებითს იგივეობაზე. ყველაფერი, რაც საჭიროა, უკვე ნათქვამია «კომუნისტურ მანიფესტში» (ლაიფციგის გამოცემა 1872 წ., გვ. 12 და 21)[1].

მაშასადამე, ჩვენი გამოკვლევის შედეგი ისაა, რომ «წვრილ ბურჟუა პრუდონზე ზღაპართან» ერთად გვევლინება ნამდვილი ამბავი წვრილ ბურჟუა მიულბერგერზე.

II

გადავდივართ ახლა მთავარ პუნქტზე. მიულბერგერის სტატიებს მე ის ვუსაყვედურე, რომ მათში ეკონომიური ურთიერთობანი პრუდონის ყაიდაზეა გაყალბებული გამოთქმის იურიდიულ წესზე გადაყვანით. მაგალითის სახით მე ავიღე მიულბერგერის შემდეგი დებულება:

«რაკი სახლი აშენებულია, იგი წარმოადგენს მარადიულ იურიდიულ საფუძველს საზოგადოებრივი შრომის გარკვეული წილის მისაღებად, თუნდაც სახლის ნამდვილი ღირებულება უკვე დიდი ხნით ადრე საკმარისზე უფრო მეტი ოდენობით მიღებული ჰქონდეს მეპატრონეს ბინის ქირის სახით. ასე გამოდის, რომ სახლი, აშენებული, მაგალითად, 50 წლის წინათ, ფარავდა ამ დროის განმავლობაში თავდაპირველ ხარჯებს საიჯარო გადასახადთა შემოსავლიდან 2, 3, 5, 10-ჯერ და ა. შ.».

მიულბერგერი აი რას უჩივის:

«ეს უბრალო, საღი დადასტურება ფაქტისა ენგელსს საბაბს აძლევს ჩამაგონოს, რომ მე უნდა განმემარტა, თუ როგორ ხდება სახლი «იურიდიული საფუძველი», — რაც სრულებით არ შეადგენდა ჩემს ამოცანას...

[1] იხ. ამ ტომის გვ. 23 და 38 — 40. რედ.

ერთია — დასურათება, მეორე კი — განმარტება. თუ მე პრუდონის შემდეგ ვამბობ, რომ საზოგადოების ეკონომიური ცხოვრება სამართლის იდეით უნდა იყოს გამსჭვალული, ამით მე თანამედროვე საზოგადოებას ვასურათებ ისეთ საზოგადოებად, რომელიც მოკლებულია თუ ყოველგვარი სამართლის იდეას არა, რევოლუციის სამართლის იდეას მაინც, — ფაქტი, რომელსაც თვით ენგელსი დაეთანხმება».

უწინარეს ყოვლისა შევჩერდეთ ამ უკვე აშენებულ სახლზე. სახლი, რომელიც გაქირავებულია, მის ამშენებელს ქირის სახით აძლევს მიწის რენტას, რემონტის ხარჯებს და მის მიერ მშენებლობაზე დახარჯული კაპიტალის პროცენტს, ამ კაპიტალის მოგების ჩათვლით; თანდათანობით გასტუმრებულმა ქირამ, პირობებისდა მიხედვით, შესაძლებელია ისეთი თანხა შეადგინოს, რომელიც ორჯერ, სამჯერ, ხუთჯერ, ათჯერ აღემატება თავდაპირველ დანახარჯთა ფასს. ეს, მეგობარო მიულბერგერო, არის «უბრალო, საღი დადასტურება» «ფაქტისა», რომელსაც ეკონომიური ხასიათი აქვს და თუ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, თუ როგორ «ხდება ასე», რომ ეს ფაქტი არსებობს, მაშინ ჩვენ გამოკვლევა ეკონომიურ დარგში უნდა ვაწარმოოთ. მაშ განვიხილოთ ეს ფაქტი უფრო ახლოს, რათა იგი გასაგები გახდეს ყოველი ბავშვისათვის. საქონლის გაყიდვა, როგორც ცნობილია, იმაში მდგომარეობს, რომ მფლობელი აძლევს მის სახმარ ღირებულებას და ღებულობს მის საცვლელ ღირებულებას. საქონელთა სახმარი ღირებულებანი ერთი მეორისაგან, სხვათა შორის, იმითაც განსხვავდებიან, რომ მათი მოხმარება დროის სხვადასხვა მონაკვეთს მოითხოვს. მთელი პური იჭმება ერთ დღეს, შარვალი იცვითება ერთ წელიწადს, სახლი, ვთქვათ, — ას წელს. იმ საქონელთა მიმართ, რომელთა გაცვეთა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხდება, იქმნება, მაშასადამე, იმის შესაძლებლობა, რომ მათი სახმარი ღირებულება გაიყიდოს ნაწილ-ნაწილ, ყოველთვის განსაზღვრული ვადით, ე. ი. გაიცეს იგი ქირით. მაშასადამე, ნაწილ-ნაწილ გაყიდვა საცვლელ ღირებულებას მხოლოდ თანდათანობით ანაღდებს; იმისათვის, რომ გამყიდველი უარს აცხადებს ავანსებული კაპიტალისა და ამ კაპიტალის კუთვნილი მოგების დაუყოვნებლივ გადახდაზე, იგი ნაზღაურდება ფასისადმი დანამატით, პროცენტების გადახდით, რომელთა ოდენობაც განისაზღვრება პოლიტიკური ეკონომიის კანონებით, მაგრამ ეს განსაზღვრა სრულიადაც არაა თვითნებური. ასი წლის განვლის შემდეგ სახლი მოხმარებული, გაცვეთილი და საცხოვრებლად უვარგისია. თუ ჩვენ ამის შემდეგ ქირის მთელ გასტუმრებულ თანხას გამოვაკლებთ:

1) მიწის რენტას იმ ერთგვარი გადიდებით, რომელიც მან ამ ხნის განმავლობაში განიცადა, 2) მიმდინარე რემონტზე გაწეულ ხარჯებს, — ვნახავთ, რომ ნაშთი საშუალოდ შედგება: 1) სახლის მშენებლობაზე დახარჯული თავდაპირველი კაპიტალისაგან, 2) ამ კაპიტალის მოგებისაგან და 3) თანდათანობით დაფარული კაპიტალისა და მისი მოგების პროცენტებისაგან. მართალია, ამ დროის განვლის შემდეგ დამქირავებელს აღარა აქვს სახლი, მაგრამ იგი აღარც მფლობელსა აქვს. უკანასკნელს აქვს მხოლოდ მიწის ნაკვეთი (თუ იგი სახელდობრ მას ეკუთვნის) და ამ ნაკვეთზე არსებული საშენი მასალა, მაგრამ ეს საშენი მასალა უკვე სახლი აღარ არის. და თუ სახლმა ამ ხნის განმავლობაში «დანახარჯთა თავდაპირველი ფასი 5 ან 10 ჯერ დაჰფარა», ჩვენ დავინახავთ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მიწის რენტის ზრდის შედეგად მოხდა; ეს არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ისეთ ადგილებში, როგორიცაა ლონდონი, სადაც მიწათმფლობელი და სახლის პატრონი — უმეტეს ნაწილად ორი სხვადასხვა პირია. ქირის ასეთ კოლოსალურ გადიდებას ადგილი აქვს სწრაფად მზარდ ქალაქებში, და არა სადმე სოფლად, სადაც სამშენებლო ნაკვეთების მიწის რენტა თითქმის უცვლელი რჩება. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ, მიწის რენტის გადიდების გარეშე, ბინის ქირა სახლის პატრონს საშუალოდ ყოველწლიურად აძლევს დაბანდებული კაპიტალის (მოგების ჩათვლით) არა უმეტეს 7%-სა, ამასთან ამ თანხიდან უნდა მოხდეს აგრეთვე რემონტისა და მსგავსი ხარჯების დაფარვა. ერთი სიტყვით, დაქირავების ხელშეკრულება — ეს ყველაზე ჩვეულებრივი სასაქონლო გარიგებაა, რომელიც მუშისათვის თეორიულად ისეთსავე — არც მეტს და არც ნაკლებ — ინტერესს წარმოადგენს, როგორც ყოველი ხხვა სასაქონლო გარიგება, გარდა იმისა, სადაც საქმე ეხება სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვას; პრაქტიკულად კი დაქირავების ეს ხელშეკრულება მუშისათვის არის ბურჟუაზიული მატყუარობის ერთი ფორმათაგანი იმ ათასიდან, რომელთა შესახებ მე ცალკე გამოცემის[1] მე-4 გვერდზე ვლაპარაკობ და რომელიც აგრეთვე, როგორც მე იქ აღვნიშნე, გარკვეულ ეკონომიურ რეგულირებას ექვემდებარება.

მიულბერგერი კი, პირიქით, დაქირავების ხელშეკრულებაში ვერაფერს ხედავს, გარდა წმინდა «თვითნებობისა» (მისი შრომის გვ. 19), ხოლო როცა მე მას წინააღმდეგს ვუმტკიცებ, — იგი საყვედუ-

[1] იხ. ამ ტომის გვ. 645. რ ე დ.

რობს, რომ მე მას ვეუბნები «მთლად ისეთ რამეს, რაც მან, სამწუხაროდ, უკვე თვითონაც იცოდა».

მაგრამ ბინის ქირის ვერავითარი ეკონომიური გამოკვლევა ვერ მიგვიყვანს ჩვენ იქამდე, რომ ბინის გაქირავების გაუქმება გადავაქციოთ «რევოლუციური იდეის წიაღში აღმოცენებულ ერთ-ერთ უნაყოფიერეს და უდიდეს მისწრაფებად». ამის მისაღწევად, ჩვენ ეს უბრალო ფაქტი საღი პოლიტიკური ეკონომიის დარგიდან უნდა გადავიტანოთ იურისპრუდენციის გაცილებით უფრო იდეოლოგიურ დარგში. «სახლი წარმოადგენს მარადიულ საფუძველს» საიჯარო ქირისას; — «ა ს ე .გ ა მ ო დ ი ს», რომ სახლის ღირებულება შეიძლება გასტუმრებულ იქნეს ქირით 2, 3, 5, და 10 ჯერ. იმის შესწავლისას, თუ როგორ «გამოდის ასე» «იურიდიული საფუძველი» ჩვენ ერთი დუიმითაც ვერ დაგვძრავს ადგილიდან; ამიტომაც ვამბობდი, რომ მხოლოდ იმის გამოკვლევის გზით, თუ როგორ ხდება სახლი იურიდიული საფუძველი, შეეძლო მიულბერგერს გაეგო, რ ო გ ო რ «გამოდის ასე» ეს. ჩვენ ამას მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როცა გამოვიკვლევთ, როგორც მე მოვიქეცი, ბინის ქირის ე კ ო ნ ო მ ი უ რ ბუნებას, ნაცვლად იმისა, რომ გამოვთქვათ აღშფოთება იმ იურიდიული გამოთქმის მიმართ, რომლითაც გაბატონებული კლასი მას ადასტურებს. ვინც ბინის ქირის გაუქმებისათვის ეკონომიურ ღონისძიებებს გვთავაზობს, ის ხომ ვალდებულია ბინის ქირის შესახებ იცოდეს იმაზე მეტი, რომ ბინის ქირა «წარმოადგენს ხარკს, რომლითაც დამქირავებელი კაპიტალის მარადიულ უფლებას იხდის».

ამაზე მიულბერგერი გვიპასუხებს: «ერთია — დასურათება, მეორე კი — განმარტებაა».

მაშასადამე, სახლი, თუმცა იგი მარადიული როდია, გადაქცეულია ბინის ქირის მარადიულ იურიდიულ საფუძვლად. სულერთია, თუ როგორ «გამოდის ასე», მაგრამ ჩვენ ვნახულობთ, რომ ამ იურიდიულ საფუძველის მეოხებით სახლი ბინის ქირის სახით იძლევა შემოსავალს, რომელიც ბევრად აღემატება მის ღირებულებას. იურიდიულ ენაზე გადატანის წყალობით ჩვენ კეთილად შორს ჩამოვცილდით ეკონომიას და მხოლოდ იმ მოვლენას ვხედავთ, რომ სახლს ბრუტო-ქირით შეუძლია თანდათანობით მრავალგზის დაფაროს თავისი ღირებულება. ვინაიდან ჩვენ იურიდიულად ვაზროვნობთ და ვლაპარაკობთ, ამიტომ ამ მოვლენასაც ჩვენ სამართლის, სამართლიანობის მასშტაბს ვუფარდებთ და ვნახულობთ, რომ ეს მოვლენა უ ს ა მ ა რ თ ლ ო ა, რომ იგი არ შეესაბამება «რევოლუციის

სამართლის იდეას», — სულერთია, რასაც უნდა ნიშნავდეს ეს, — და რომ ამიტომ იურიდიული საფუძველი არაფრად არ ვარგა. შემდეგ ჩვენ ვნახულობთ, რომ იგივე ითქმის პროცენტების მომცემ კაპიტალზეც და იჯარით გაცემულ სახნავ მიწაზეც, და ეს გვაძლევს ჩვენ საბაბს საკუთრების ეს კატეგორიებიც გამოვყოთ სხვებიდან და საგანგებო განხილვის საგნად გავხადოთ. ეს განხილვა მოითხოვს შემდეგს: 1) ჩამოერთვას მესაკუთრეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, თავისი საკუთრების უკანვე მოთხოვნის უფლება, 2) გადაეცეს უსასყიდლოდ დამქირავებელს, მოვალეს ან მოიჯარეს იმ საგნით სარგებლობა, რომელიც მას მიეცა, მაგრამ რომელიც მას არ ეკუთვნის და 3) გასტუმრებულ იქნეს მესაკუთრის ქონება გადასახადის ხანგრძლივი განაწილვადებით და უპროცენტოდ. ამით ჩვენ ამოვწურეთ კიდეც «პრუდონული პრინციპები» ამ დარგში. ეს არის სწორედ პრუდონული «საზოგადოებრივი ლიკვიდაცია».

გაკვრით შევნიშნავთ. სავსებით ნათელია, რომ რეფორმათა მთელმა ამ გეგმამ თითქმის მარტოოდენ წვრილ ბურჟუებსა და წვრილ გლეხებს უნდა მოუტანოს სარგებლობა, რომ იგი მდგომარეობას გ ა ნ უ მ ტ კ ი ც ე ბ ს მათ როგორც წვრილ ბურჟუებსა და წვრილ გლეხებს. ამრიგად, მიულბერგერის აზრით, «წვრილი ბურჟუა პრუდონის» ლეგენდარული სახე აქ ერთბაშად მეტად ხელშესახებ ისტორიულ რეალობას ღებულობს.

მიულბერგერი განაგრძობს:

«თუ მე პრუდონის შემდეგ ვამბობ, რომ საზოგადოების ეკონომიური ცხოვრება ს ა მ ა რ თ ლ ი ს ი დ ე ი თ უნდა იყოს გამსჭვალული, ამით მე თანამედროვე საზოგადოებას ვასურათებ ისეთ საზოგადოებად, რომელიც მოკლებულია თუ ყოველგვარი სამართლის იდეას არა, რევოლუციის სამართლის იდეას მაინც, — ფაქტი, რომელსაც თვით ენგელსი დაეთანხმება».

სამწუხაროდ, მე მოკლებული ვარ შესაძლებლობას მიულბერგერს ეს სიამოვნება მივაყენო. მიულბერგერი მოითხოვს, საზოგადოება სამართლის იდეით უ ნ დ ა იყოს გამსჭვალულიო, და ამას დასურათებას უწოდებს. თუ სასამართლო მე სასამართლოს აღმასრულებლის საშუალებით ვალის გასტუმრების მოთხოვნას მიგზავნის, მიულბერგერის აზრით, სასამართლო ამით მხოლოდ იმას აკეთებს, რომ მე მ ა ს უ რ ა თ ე ბ ს ისეთ ადამიანად, რომელიც ვალებს არ ისტუმრებს! ერთია—დასურათება, მეორე კი — მოთხოვნა. სწორედ ამაშია გერმანული მეცნიერული სოციალიზმის მთავარი განსხვავება პრუდონისაგან. ჩვენ ვასურათებთ, — ხოლო ყოველგვარი ჭეშმარტი დასურათება, წინააღმდეგ მიულბერგერისა, იმავე დროს

საგნის განმარტებაც არის, — ეკონომიურ ურთიერთობებს ისე, როგორც ისინი არსებობენ და როგორც ისინი ვითარდებიან, და ვიძლევით, ზუსტი ეკონომიური თვალსაზრისით, იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ ეს მათი განვითარება ამავე დროს არის სოციალური რევოლუციის ელემენტების განვითარება: განვითარება, ერთი მხრივ, პროლეტარიატისა, კლასისა, რომელსაც მისი ცხოვრების პირობები გარდუვალად სოციალური რევოლუციისაკენ მიაქანებენ, ხოლო, მეორე მხრივ, განვითარება საწარმოო ძალებისა, რომლებმაც, როგორც კი ისინი თავის ზრდაში კაპიტალისტური საზოგადოების ჩარჩოებს გადააჭარბებენ, გარდუვალად უნდა ააფეთქონ ეს საზოგადოება და რომლებიც ამავე დროს იმის საშუალებას იძლევიან, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვსპოთ კლასობრივი განსხვავებანი თვით საზოგადოებრივი პროგრესის ინტერესების სასარგებლოდ. პრუდონი, პირიქით, თანამედროვე საზოგადოებას უყენებს მოთხოვნას — გარდაიქმნას იგი არა თავისი საკუთარი ეკონომიური განვითარების კანონების მიხედვით, არამედ სამართლიანობის რეცეპტების მიხედვით («სამართლის ი დ ე ა» ეკუთვნის არა მას, არამედ მიულბერგერს). იქ, სადაც ჩვენ ვამტკიცებთ, პრუდონი მხოლოდ ქ ა დ ა გ ე ბ ს და გოდებს, და მასთან ერთად მიულბერგერიც ამასვე სჩადის.

თუ რა არის «რევოლუციის სამართლის იდეა», — ეს მე აბსოლუტურად ვერ ამიხსნია. რა თქმა უნდა, პრუდონი «რევოლუციას» ხდის თავისებურ ღმერთად, რომელიც მისი «სამართლიანობის» მატარებელი და განმხორციელებელია; ამასთან იგი უცნაურ შეცდომაში ვარდება, როცა განურჩევლად ერთმანეთში ურევს 1789 — 1794 წ. წ. ბურჟუაზიულ რევოლუციას და მომავალ პროლეტარულ რევოლუციას. ამას იგი თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში აკეთებს, განსაკუთრებით 1848 წლიდან მოყოლებული; მაგალითის სახით ავიღებ თუნდაც მხოლოდ «რევოლუციის ძირითად იდეას», გამოც. 1868 წ., გვ. 39-40[1]. მაგრამ, ვინაიდან მიულბერგერი თავიდან იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას პრუდონისათვის, მე აკრძალული მაქვს მივმართო პრუდონს «რევოლუციის სამართლის იდეის» განმარტებისათვის, და მე კვლავ ეგვიპტურ წყვდიადში ვრჩები.

შემდეგ მიულბერგერი ამბობს:

---

[1] **Proudhon P. I., Idée générale de la Revolution du XIX siécle. Paris, 1868.** რ ე დ.

«მაგრამ არც პრუდონი და არც მე არ მივმართავთ «მარადიულ სამართლიანობას», რათა ამით ა ვ ხ ს ნ ა თ არსებული უსამართლო პირობები ანდა კიდევ, როგორც მე ამას ენგელსი მომაწერს, ამ პირობების გაუმჯობესებას მოველოდეთ ამ სამართლიანობისადმი მიმართვისაგან».

მიულბერგერს, ალბათ, იმის იმედი აქვს, რომ «პრუდონი თითქმის სრულებით უცნობია გერმანიაში». პრუდონი ყველა თავის თხზულებაში ყველა საზოგადოებრივ, იურიდიულ, პოლიტიკურ და რელიგიურ დებულებას «სამართლიანობის» მასშტაბით ზომავს, უარყოფს ან აღიარებს მათ, იმისდა მიხედვით, შეესაბამებიან თუ არ შეესაბამებიან ისინი მას, რასაც იგი «სამართლიანობას» უწოდებს. «ეკონომიურ წინააღმდეგობებში» [1] ამ სამართლიანობას ჯერ კიდევ უწოდებენ «მარადიულ სამართლიანობას», «**justice éternelle**». შემდეგში მარადიულობაზე სდუმს, მაგრამ არსებითად იგი რჩება. მაგალითად, შრომაში «სამართლიანობის შესახებ რევოლუციასა და ეკლესიაში», რომელიც გამოც. 1858 წ. [2], მთელი ამ სამტომიანი ქადაგების შინაარსს შემდეგი ნაწყვეტი გამოხატავს (ტომი I, გვ. 42):

«როგორია საზოგადოებათა ძირითადი პრინციპი, ორგანული, მმართველი, სუვერენული პრინციპი, პრინციპი, რომელიც, იმორჩილებს რა ყოველივე დანარჩენს, მართავს, იცავს, აძევებს, სჯის, საჭიროების შემთხვევაში კიდევაც თრგუნავს ყველა მეამბოხე ელემენტს? რა არის ეს? — რელიგია, იდეალი, ი ნ ტ ე რ ე ს ი?.. ამ პრინციპს ჩემი შეხედულებით, წარმოადგენს ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ობ ა. — რა არის სამართლიანობა? თ ვ ი თ კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს ა რ ს ი — რა იყო იგი სამყაროს დასაბამიდან? არაფერი. — რა უნდა ყოფილიყო იგი? ყველაფერი».

სამართლიანობა, რომელიც თვით კაცობრიობის არსს შეადგენს, — რა არის ეს სხვა, თუ არა მ ა რ ა დ ი უ ლ ი სამართლიანობა? სამართლიანობა, რომელიც საზოგადოებათა ძირითად, ორგანულ, მმართველ, სუვერენულ პრინციპს წარმოადგენს, სამართლიანობა, რომელიც, მიუხედავად ამისა, აქამდე არაფერი იყო, მაგრამ უნდა ყველაფერი გახდეს, — მაშ რა არის ეს, თუ არ მასშტაბი, რომლითაც ადამიანის ყველა საქმე უნდა განიზომებოდეს და, რომელსაც, როგორც უმაღლეს მსაჯს, უნდა მივმართოთ ყოველი კოლიზიის შემთხვევაში? და განა მე სხვა რაიმეს ვამტკიცებდი, გარდა იმისა, რომ პრუდონი თავის ეკონომიურ უმეცრებასა და თავის უმწეობას იმით ფარავს, რომ ყველა ეკონომიურ ურთიერთობაზე

[1] ლაპარაკია პრუდონის წიგნზე «ეკონომიურ წინააღმდეგობათა სისტემა ანუ სიღატაკის ფილოსოფია». რ ე დ.

[2] **Proudhon P. I., De la justice dans la revolution et dans l' église. T. 1 — 3, Paris, 1858.** რ ე დ.

მსჯელობს არა ეკონომიური კანონების მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, ეთანხმებიან თუ არა ეს ეკონომიური ურთიერთობანი მის წარმოდგენას ამ მარადიულ სამართლიანობაზე? და რით განსხვავდება მიულბერგერი პრუდონისაგან, როცა ის მოითხოვს, რომ «თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში ყველა ცვლილება... გამსჭვალული იყოს სამართლის იდეით, ესე იგი ყველგან სამართლიანობის მკაცრი მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდებოდეს»? იქნებ მე არ ვიცი კითხვა? ან იქნებ მიულბერგერმა არ იცის წერა?

შემდეგ მიულბერგერი ამბობს:

«პრუდონმა მარქსსა და ენგელსზე ნაკლებად არ იცის, რომ ადამიანთა საზოგადოების ნამდვილი მამოძრავებელია ეკონომიური და არა იურიდიული ურთიერთობანი; მან ისიც იცის, რომ ხალხის სამართლის იდეები ყოველ მოცემულ ეპოქაში მხოლოდ გამოხატულებაა, ანარეკლია, პროდუქტია ეკონომიური, განსაკუთრებით წარმოებითი ურთიერთობისა... ერთი სიტყვით, სამართალი პრუდონისათვის ისტორიულად განვითარებული ეკონომიური პროდუქტია».

თუ პრუდონმა ყოველივე ეს (მე გვერდზე ვტოვებ მიულბერგერის გამოთქმის ბუნდოვან ხერხს და ვკმაყოფილდები მისი კეთილი განზრახვებით) «მარქსსა და ენგელსზე ნაკლებად არ იცის», — მაშინ რაღაზე ვდავობთ? მაგრამ საქმეც ისაა, რომ პრუდონის ცოდნათა შესახებ საკითხი ცოტა სხვაგვარად დგას. ამა თუ იმ საზოგადოების ეკონომიური ურთიერთობანი უწინარეს ყოვლისა ინტერესების სახით ვლინდება. პრუდონი კი ახლახან ციტირებულ მის მთავარ ნაწარმოებში შავით თეთრზე წერს, რომ «საზოგადოებათა ძირითადი მმართველი, ორგანული, სუვერენული პრინციპი, რომელიც ყველა დანარჩენ» პრინციპს იმორჩილებს, — ეს არის არა ინტერესი, არამედ სამართლიანობა. და ის ამავეს იმეორებს ყველა თავის თხზულებაში და ყველა გადამწყვეტ ადგილას. ყოველივე ეს ხელს არ უშლის მიულბერგერს განაგრძოს:

«...ეკონომიური სამართლის იდეა, რომელიც პრუდონმა ყველაზე უფრო ღრმად განავითარა შრომაში «ომი და მშვიდობა», სავსებით ემთხვევა ლასალის იმ ძირითად აზრებს, რომლებიც ასე კარგად არის გადმოცემული მისი წიგნის: «შეძენილ უფლებათა სისტემა»-ს წინასიტყვაობაში».

«ომი და მშვიდობა»,[1] შეიძლება, პრუდონის ბევრ მოწაფურ ნაწარმოებს შორის ყველაზე უფრო მოწაფურია, მაგრამ მე არასგზით არ მოველოდი, რომ იგი მოყვანილი იქნებოდა იმის დამამტკიცებელ საბუთად, თითქოს პრუდონს ათვისებული ჰქონდეს ის-

[1] Proudhon P. I., La guerre et la paix, T. 1 — 2. Paris, 1869. რედ.

ტორიის გერმანული მატერიალისტური გაგება, რომელიც ყველა ისტორიულ მოვლენას და წარმოდგენას, ყველა პოლიტიკას, ფილოსოფიას და რელიგიას ამა თუ იმ ისტორიული პერიოდის ცხოვრების მატერიალური ეკონომიური პირობებით ხსნის. ეს წიგნი იმდენად ნაკლებად მატერიალისტურია, რომ მის ავტორს ომის შესახებ თავის მოსაზრებათა გადმოცემაც კი არ შეუძლია ისე, თუ დახმარებისათვის შ ე მ ო ქ მ ე დ ს არ მიმართა:

«მაგრამ შემოქმედს, რომელმაც ჩვენთვის ეს ცხოვრება აარჩია, თავისი მიზნები ჰქონდა» (ტ. II, გვ. 100, 1869 წ. გამოც.).

თუ როგორ ისტორიულ ცოდნას ემყარება ეს წიგნი, იქიდან ჩანს, რომ მასში ოქროს ხანის ისტორიული არსებობისადმი რწმენაა გამოხატული:

«თავდაპირველად, როცა კაცობრიობა ჯერ კიდევ ნაკლებად იყო მოფანტული დედამიწაზე, ბუნება უშრომლად აკმაყოფილებდა ადამიანის მოთხოვნილებებს. ეს იყო ოქროს ხანა, სიუხვისა და მშვიდობის ხანა» (იქვე, გვ. 102).

პრუდონის ეკონომიური თვალსაზრისი ყველაზე უხეში მალთუზიანელობის თვალსაზრისია:

«თუ წარმოება ორკეცდება, მაშინვე გაორკეცდება მოსახლეობაც» (გვ. 105).

მაშ რაღაში მდგომარეობს ამ წიგნის მატერიალიზმი? იმაში, რომ იგი ამტკიცებს ომის მიზეზი უხსოვარი დროიდან და დღესაც კიდევ «პაუპერიზმი» არისო (მაგალითად, გვ. 143). ძია ბრეზიგი[1] ასეთივე მოხერხებული მატერიალისტი იყო, როცა მან 1848 წ. თავის სიტყვაში დიადი აზრი გამოთქვა: «დიდი სიღატაკის მიზეზს დიდი სიღარიბე წარმოადგენს»-ო.

ლასალის მთელი შრომა «შეძენილ უფლებათა სისტემა» გაჟღენთილია არა მარტო იურისტის, არამედ ძველჰეგელიანელის მთელი ილუზიებით. VII გვერდზე ლასალი გარკვევით აცხადებს, რომ შეძენილი უფლების ცნება «ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი მხრივაც გამოსავალი პუნქტია, რომელსაც მთელი შემდგომი განვითარება მოძრაობაში მოჰყავს»; მას სურს დაამტკიცოს (გვ. IX), რომ «სამართალი არის გონიერი, თ ა ვ ი ს ი ვ ე თ ა ვ ი დ ა ნ (მაშასადამე, არა ეკონომიური წანამძღვრებიდან) განვითარებული ორგანიზმი»; მის ამოცანას შეადგენს ის, რომ სამართალი გამოიყვანოს არა ეკონომიური ურთიერთობიდან, არამედ «თვით ნებისყოფის ცნებიდან, რომლის განვითარებას და ასახულობას მხოლოდ სამართლის ფი-

[1] ძ ი ა ბ რ ე ზ ი გ ი — კომიკური პერსონაჟი გერმანელი ბურჟუაზიული იუმორისტისა და რომანისტის ფრიც რეიტერის ნაწარმოებებიდან. რ ე დ.

ლოსოფია წარმოადგენს» (გვ. X). მაგრამ რა შუაშია აქ ეს წიგნი? განსხვავება პრუდონსა და ლასალს შორის მხოლოდ ისაა, რომ ლასალი ნამდვილი იურისტი და ჰეგელიანელი იყო, ხოლო პრუდონი იურისპრუდენციაშიც და ფილოსოფიაშიც, ისევე როგორც ყოველივე დანარჩენში, წმინდა დილეტანტი იყო.

ის გარემოება, რომ პრუდონი, რომელიც, როგორც ცნობილია, მუდამ თავის თავს ეწინააღმდეგება, ხანდახან აქა-იქ ისეთ შენიშვნებსაც აკეთებს, რომლებიც ვითომდა ამჟღავნებს მის მისწრაფებას — ახსნას და გამოიყვანოს იდეები ფაქტებიდან, — ეს მე კარგად ვიცი. მაგრამ მსგავსი ცალკეული შენიშვნები სრულიად უმნიშვნელოა მისი აზრის ძირითად მიმართულებასთან შედარებით და სადაც კი ასეთი შენიშვნები გვხვდება, ისინი, გარდა ამისა, უაღრესად აბნეული და არათანმიმდევრული არიან.

საზოგადოების განვითარების გარკვეულ, მეტად დაბალ საფეხურზე ჩნდება მოთხოვნილება იმისა, რომ პროდუქტების წარმოების, განაწილებისა და გაცვლის აქტები, რომლებიც დღითი-დღე მეორდებიან, საერთო წესით შემოფარგლო, იზრუნო იმაზე, რომ ინდივიდი წარმოებისა და გაცვლის საერთო პირობებს დაემორჩილოს. ეს წესი, რომელიც დასაწყისში ზნეჩვეულებით გამოიხატება, მალე კანონად იქცევა. კანონთან ერთად აუცილებლად ჩნდება ის ორგანოებიც, რომლებსაც მისი დაცვა ევალებათ, — საჯარო ხელისუფლება, სახელმწიფო. შემდგომში საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაში კანონი ცოტად თუ ბევრად უფრო ვრცელ კანონმდებლობად ვითარდება. რაც უფრო რთულდება ეს კანონმდებლობა, მით უფრო დაშორებული ხდება მისი გამოხატულების წესი იმ წესისაგან, რომლითაც საზოგადოების ცხოვრების ჩვეულებრივი ეკონომიური პირობები გამოიხატება. კანონმდებლობა გვევლინება თითქოს თვითმყოფად ელემენტად, რომელსაც თავისი არსებობის გამართლება და თავისი შემდგომი განვითარების დასაბუთება გამოჰყავს არა ეკონომიური ურთიერთობიდან, არამედ საკუთარი შინაგანი საფუძვლებიდან, თუნდაც, ვთქვათ «ნებისყოფის ცნებიდან». ადამიანები ივიწყებენ, რომ მათი სამართალი წარმოშობილია მათი ცხოვრების ეკონომიური პირობებიდან, ისევე როგორც მათ დაივიწყეს თავიანთი საკუთარი წარმოშობა ცხოველთა სამყაროდან. კანონმდებლობის შემდგომ რთულ, ვრცელ მთლიანობად განვითარებასთან ერთად იქმნება აუცილებლობა შრომის ახალი საზოგადოებრივი დანაწილებისა: იქმნება პროფესიონალ სამართლის მცოდნეთა წოდება, ხოლო მათთან ერთად იქმნება სამართლის მეცნიე-

რებაც. ეს უკანასკნელი თავის შემდგომ განვითარებაში სხვადასხვა ხალხთა და სხვადასხვა ეპოქათა სამართლის სისტემებს ერთიმეორეს ადარებს არა როგორც სათანადო ეკონომიურ ურთიერთობათა ანარეკლს, არამედ როგორც ისეთ სისტემებს, რომლებიც თავიანთ დასაბუთებას თავის თავშივე შეიცავენ. შედარება გულისხმობს რაღაც საერთოს: ეს საერთო იმაში მჟღავნდება, რომ იურისტები ყველაფერს, რაც მეტად თუ ნაკლებად საერთოა ყველა ამ სამართლის სისტემაში, აერთიანებენ ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს სახელწოდებით. ხოლო მასშტაბს, რომლითაც იზომება ის, რაც მიეკუთვნება ბუნებრივ სამართალს და რაც არ მიეკუთვნება მას, წარმოადგენს სწორედ თვით სამართლის ყველაზე აბსტრაქტული გამოხატულება: ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ა. მაშასადამე, ამიერიდან, იურისტებისათვის და იმათთვის, ვინც მათ სიტყვიერად უჯერებს, სამართლის განვითარება მხოლოდ იმის მისწრაფებაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ცხოვრების პირობები, რამდენადაც ისინი იურიდიულ გამოხატულებას პოულობენ, სულ უფრო და უფრო დავუახლოვოთ სამართლიანობის იდეალს, მ ა რ ა დ ი უ ლ სამართლიანობას. ეს სამართლიანობა კი ყოველთვის წარმოადგენს არსებულ ეკონომიურ ურთიერთობათა მხოლოდ იდეოლოგიზებულ, ცამდე აყვანილ გამოხატულებას, ხან მათი კონსერვატიული, ხან მათი რევოლუციური მხრივ. ბერძნებისა და რომაელების სამართლიანობა მონობას სამართლიანად თვლიდა; 1789 წ. ბურჟუების სამართლიანობა ფეოდალიზმის გაუქმებას მოითხოვდა, ვინაიდან იგი უსამართლოა. პრუსიელი იუნკერებისათვის უბადრუკი კანონიც კი[1] მარადიული სამართლიანობის დარღვევას წარმოადგენს. მაშასადამე, წარმოდგენა მარადიულ სამართლიანობაზე იცვლება არა მარტო დროისა და ადგილის მიხედვით, არამედ ცალკეულ პიროვნებათა მიხედვითაც კი და ისეთ რამეს მიეკუთვნება, რაშიაც, როგორც მიულბერგერი სწორად შენიშნავს, «ყოველი რაღაც სხვას გულისხმობს». თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში, იმ ურთიერთობათა სიმარტივის დროს, რომლებთანაც იქ საქმე გვაქვს ხოლმე, ისეთ გამოთქმები, როგორიცაა სამართლიანი, უსამართლო, სამართლიანობა, სამართლის გრძნობა, საზოგადოებრივი მოვლენების მიმართაც კი გამოიყენება რაიმე გაუგებრობის გარეშე, — ეკონომიურ ურთიერთობათა მეცნიერულ გამოკვლევებში, როგორც ჩვენ დავინახეთ, ეს გამოთქმები ისეთსავე საშინელ

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს 1873 წ. ადმინისტრაციული რეფორმა პრუსიაში, რამაც თემებს მამასახლისების არჩევის უფლება მისცა, რომლებსაც უწინ მემამულეები ნიშნავდნენ. რ ე დ.

არევდარევას იწვევენ, როგორც შეიქმნებოდა, მაგალითად, თანამედროვე ქიმიაში, თუ იქ ფლოგისტონის თეორიის ტერმინოლოგიის შენარჩუნებას მოვინდომებდით. ეს არევდარევა კიდევ უფრო უარესია ხოლმე, როცა, მსგავსად პრუდონისა, სჯერათ სოციალური ფლოგისტონი, «სამართლიანობა», ან როცა მსგავსად მიულბერგერისა, გვარწმუნებენ, ფლოგისტონის თეორია არანაკლებ სწორია, ვიდრე ჟანგბადის თეორიაო[1].

III

მიულბერგერი შემდეგ საყვედურობს, რომ მე რეაქციულ იერემიადას ვუწოდებ მის «მაღალფარდოვან» მრავალსიტყვაობას იმის გამო, «რომ არ არსებობს იმაზე უფრო საშინელი დაცინვა ჩვენი სახელგანთქმული საუკუნის მთელი კულტურისა, ვიდრე ის ფაქტი, რომ დიდ ქალაქებში მოსახლეობის 90 პროცენტს და კიდევ მეტს არ გააჩნია თავშესაფარი, რომელიც მათ შეუძლიათ თავის საკუთრებად ჩათვალონ». მართლაც, მიულბერგერი რომ დაკმაყოფილებულიყო, როგორც ამას თვითონვე შენიშნავს, «თანამედროვეობის საშინელებათა» დასურათებით, მე, თავისთავად ცხადია, არც ერთ ცუდ სიტყვას არ ვიტყოდი «მის შესახებ და მის ზომიერ წერაზე». მაგრამ ის რაღაც სრულიად სხვას აკეთებს. იგი გვისურათებს ამ «საშინელებებს» როგორც შ ე დ ე გ ს იმისას, რომ მუშებს «ა რ გ ა ა ჩ ნ ი ა თ თ ა ვ შ ე ს ა ფ ა რ ი, რ ო მ ე ლ ი ც მ ა თ შ ე უ ძ ლ ი ა თ თ ა ვ ი ს ს ა კ უ თ რ ე ბ ა დ ჩ ა თ ვ ა ლ ო ნ». საყვედურობენ «თანამედროვეობის საშინელებებზე» იმის გამო, რომ გაუქმებულია მუშების საკუთრების უფლება საცხოვრებელ ბინაზე, თუ, როგორც ამას იუნკერები აკეთებენ, იმის გამო, რომ გაუქმებულია

[1] ჟანგბადის აღმოჩენამდე ქიმიკოსები სხეულთა წვას ატმოსფერულ ჰაერში იმით ხსნიდნენ, რომ ვარაუდობდნენ განსაკუთრებული წვადი ნივთიერების, ფლოგისტონის არსებობას, რომელიც წვის დროს ორთქლდება. ვინაიდან მათ ნახეს, რომ დამწვარ მარტივ სხეულებს დაწვის შემდეგ უფრო დიდი წონა აქვთ, ვიდრე მანამდე, ამიტომ გამოაცხადეს, ფლოგისტონს უარყოფითი წონა აქვსო, ასე რომ სხეული თავისი ფლოგისტონის გარეშე უფრო მეტს იწონის, ვიდრე მასთან ერთადო. ასე მიაწერეს ფლოგისტონს თანდათანობით ჟანგბადის ყველა უმნიშვნელოვანესი თვისება, მაგრამ ყველაფერი — შ ე ბ რ უ ნ ებ უ ლ ი გ ა გ ე ბ ი თ. იმის აღმოჩენამ, რომ წვა წარმოადგენს წვაში მყოფ სხეულთა შეერთებას სხვა სხეულთან, ჟანგბადთან, და ამ ჟანგბადის მიღებამ ბოლო მოუღო — თუმცა, ძველი ქიმიკოსების მხრივ დიდი ხნის წინააღმდეგობის შემდეგ — ამ ვარაუდს. (ე ნ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

ფეოდალიზმი და საამქროები, — ორივე შემთხვევაში სხვას ვერაფერს მივიღებთ, გარდა რეაქციული იერემიადისა, მწუხარე გოდებისა გარდუვალის, ისტორიულად აუცილებელის შემოჭრის შესახებ. რეაქციულობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მიულბერგერს სურს აღადგინოს მუშების ინდივიდუალური ბინის საკუთრება — საქმე, რომელსაც ისტორიამ დიდი ხანია ბოლო მოუღო; იგი მდგომარეობს იმაში, რომ მიულბერგერს მუშათა განთავისუფლება არ შეუძლია სხვაგვარად წარმოიდგინოს, თუ არა ისე, რომ ყოველი მუშა კვლავ თავისი ბინის მესაკუთრე უნდა გახდეს.

შემდეგ:

«მე სრულიად გადაჭრით ვაცხადებ: ბრძოლა წარმოებს სწორედ წარმოების კაპიტალისტური წესის წინააღმდეგ, და მხოლოდ ამ წესის გარდაქმნიდან გამომდინარე შეიძლება მოველოდეთ ბინის პირობების გაუმჯობესებას. ენგელსი ვერაფერს ამას ვერ ამჩნევს... მე ვგულისხმობ სოციალური საკითხის სრულ გადაწყვეტას, რათა შემდეგ დაქირავებული ბინების გამოსყიდვაზე გადასვლა შეიძლებოდეს».

სამწუხაროდ, მე დღესაც ჯერ ვერაფერს ამას ვერ ვამჩნევ. მე ხომ არ შემიძლია ვიცოდე, რას გულისხმობს თავისი ტვინის იდუმალ კუნჭულში ვიღაც, ვისი სახელი მე არც კი ვიცოდი. მე შემიძლია მიულბერგერის მხოლოდ დაბეჭდილი სტატიები დავიმოწმო. იქ კი მე ახლაც ვხედავ (მისი შრომის მე-15 და მე-16 გვერდებზე), რომ მიულბერგერი იმისათვის, რათა დაქირავებული ბინის გამოსყიდვაზე გადასვლა შეიძლებოდეს, სხვას არაფერს გულისხმობს, გარდა... თვით დაქირავებული ბინისა. მხოლოდ მე-17 გვერდზე «სძლევს» «კაპიტალის ნაყოფიერებას», რასაც ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. და თავის პასუხშიც კი ის ამას ადასტურებს, როცა ამბობს:

«საქმე უფრო იმას შეეხებოდა, რომ გვეჩვენებინა, თუ არსებული პირობებიდან გამომდინარე როგორ შეიძლებოდა ბინის საკითხის დარგში სრული გარდაქმნის მობდენა».

«არსებული პირობებიდან გამომდინარე» და «წარმოების კაპიტალისტური წესის გარდაქმნიდან (რაც უნდა ნიშნავდეს: მოსპობიდან) გამომდინარე» — ეს ხომ სრულიად საწინააღმდეგო ცნებებია.

საკვირველი არაა, რომ მიულბერგერი წუწუნებს, როცა მე ბ-ნ დოლფუსისა და სხვა ფაბრიკანტების ფილანთროპიულ მისწრაფებებში — დაეხმარონ მუშებს საკუთარი სახლის შეძენაში — მისი პრუდონისტული პროექტების ერთადერთ შესაძლებელ პრაქტიკულ

განხორციელებას ვხედავ. თუ მიულბერგერი გაიგებდა, რომ საზოგადოების ხსნის პრუდონული გეგმა ფანტაზიაა, რომელიც მთლიანად ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი საზოგადოების ნიადაგზე რჩება, მაშინ ის, რა თქმა უნდა, ამ გეგმას არ ირწმუნებდა. მის კეთილ განზრახვებში მე ხომ არასდროს და არსად არ დავეჭვებულვარ. მაგრამ მაშინ რატომღა აქებს ის დ-რ რეშაუერს იმისათვის, რომ იგი ვენის ქალაქის გამგეობას წინადადებას აძლევს ბ-ნ დოლფუსის პროექტებს მიჰბაძოს?

შემდეგ მიულბერგერი აცხადებს:

«რაც შეეხება კერძოდ ქალაქისა და სოფლის დაპირისპირებას, მისი მოსპობის სურვილი უტოპიათა დარგს ეკუთვნის. ეს დაპირისპირება ბუნებრივია, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ისტორიულად აღმოცენებულია... საქმე ის კი არაა, რომ ეს დაპირისპირება მ ო ვ ს პ ო თ, არამედ ის, რომ გამოვნახოთ ისეთი პოლიტიკური და სოციალური ფორმები, რომლებშიც იგი უ ვ ნ ე ბ ე ლ ი, ნ ა ყ ო ფ ი ე რ ი ც კი იქნებოდა. ასეთი გზით შეიძლება იმის მოლოდინი ვიქონიოთ, რომ მიღწეული იქნება ინტერესთა მშვიდობიანი შეთანხმება, თანდათანობითი გაწონასწორება».

მაშასადამე, ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების მოსპობა არის უტოპია, ი მ ი ტ ო მ რ ო მ ეს დაპირისპირება ბუნებრივია, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ისტორიულად აღმოცენებულია. მივუყენოთ ეს ლოგიკა თანამედროვე საზოგადოების სხვა დაპირისპირებებს და ვნახოთ სად მიგვიყვანს იგი. მაგალითად:

«რაც შეეხება კერძოდ» კაპიტალისტებისა და დაქირავებული მუშების «დაპირისპირებას, მისი მოსპობის სურვილი უტოპიათა დარგს ეკუთვნის. ეს დაპირისპირება ბუნებრივია, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ისტორიულად აღმოცენებულია. საქმე ის კი არაა, რომ ეს დაპირისპირება მ ო ვ ს პ ო თ, არამედ ის, რომ გამოვნახოთ ისეთი პოლიტიკური და სოციალური ფორმები, რომლებშიც იგი უ ვ ნ ე ბ ე ლ ი, ნ ა ყ ო ფ ი ე რ ი ც კი იქნებოდა. ასეთი გზით შეიძლება იმის მოლოდინი ვიქონიოთ, რომ მიღწეული იქნება ინტერესთა მშვიდობიანი შეთანხმება, თანდათანობითი გაწონასწორება».

ამით ჩვენ ისევ შულცე-დელიჩთან მივედით.

ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების მოსპობა ისეთივე უტოპიაა — არც მეტი და არც ნაკლები — როგორც კაპიტალისტებისა და დაქირავებული მუშების დაპირისპირების მოსპობა. იგი ყოველ დღე სულ უფრო პრაქტიკული მოთხოვნა ხდება როგორც ინდუსტრიული, ისე სამიწათმოქმედო წარმოებისა. არავინ არ მოითხოვს ამას იმაზე დაყინებით, ვიდრე ლიბიხი თავის თხზულებებში მიწათ-

მოქმედების ქიმიის შესახებ, სადაც ის პირველ მოთხოვნად ყოველთვის იმას აყენებდა, რომ ადამიანი მიწას უნდა უბრუნებდეს მას, რასაც მისგან ღებულობს, და სადაც გვიმტკიცებს, რომ ამას ხელს უშლის ქალაქების, განსაკუთრებით დიდი ქალაქების არსებობა. როცა ხედავ, თუ აქ, მარტო ლონდონში, დღითი-დღე, უდიდესი სახსრების დახარჯვის პირობებში, როგორ ჰყრიან... ზღვაში ნაკელის იმაზე მეტ რაოდენობას, რაც საქსონიის მთელ შეერთებულ სამეფოში იწარმოება, და როცა ხედავ, თუ როგორი კოლოსალური ნაგებობანი არის საჭირო იმისათვის, რათა ამ ნაკელმა მთელი ლონდონი არ მოწამლოს, — უტოპია ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების მოსპობის შესახებ საუცხოო პრაქტიკულ საფუძველს ღებულობს. შედარებით პატარა ბერლინიც კი უკვე ოცდაათი წელიწადი მაინცაა თავის საკუთარ სიბინძურეში იხრჩობა. მეორე მხრივ, წმინდა წყლის უტოპია იქნებოდა, თუ მოვისურვებდით, მსგავსად პრუდონისა, დაგვემხო თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება, ხოლო შეგვენარჩუნებინა გლეხი როგორც ასეთი. მხოლოდ მოსახლეობის რაც შეიძლება თანაზომიერ განაწილებას მთელ ქვეყანაში, მხოლოდ ინდუსტრიული და სამიწათმოქმედო წარმოების მჭიდრო შინაგან დაკავშირებას, სამიმოსვლო საშუალებათა გაფართოებასთან ერთად, რაც ამის გამო აუცილებელი ხდება, — თანაც, რასაკვირველია, წარმოების კაპიტალისტური წესის მოსპობის პირობებში, — ძალუძს სოფლის მოსახლეობა გამოიყვანოს იმ იზოლაციიდან და დაჩლუნგებიდან, რომელშიც ის ათასი წლების მანძილზე თითქმის უცვლელად იყინება. უტოპია არ არის იმის მტკიცება, რომ ადამიანთა განთავისუფლება მათი ისტორიული წარსულით გამოჭედილი ბორკილებიდან მხოლოდ მაშინ იქნება სრული, როცა ქალაქისა და სოფლის დაპირისპირება მოისპობა; უტოპია მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როცა ცდილობენ, «არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე», წინასწარ მიგვითითონ ის ფ ო რ მ ა, რომლითაც გადაწყვეტილ უნდა იქნეს არსებული საზოგადოების დამახასიათებელი ესა თუ ის წინააღმდეგობა. და სწორედ ამას აკეთებს მიულბერგერი, როცა ის ბინის საკითხის გადასაწყვეტად პრუდონულ ფორმულას ღებულობს.

შემდეგ მიულბერგერი საყვედურობს, რომ მე ერთგვარად მასაც პასუხისმგებლად ვთვლი «კაპიტალსა და პროცენტზე პრუდონის საოცარი შეხედულებებისათვის», და აცხადებს:

«წარმოებით ურთიერთობათა ცვლილებას მე ვგულისხმობ რ ო გ ო რ ც უ კ ვ ე წ ი ნ ა ს წ ა რ მ ო ც ე მ უ ლ ს, ხოლო პროცენტის ნორმის მარეგულირებელი

გარდამავალი კანონის საგანს შეადგენს არა წარმოებითი ურთიერთობანი, არამედ საზოგადოებრივი ტრიალი, მიმოქცევის ურთიერთობანი... წარმოებით ურთიერთობათა ცვლილება ანუ, როგორც ამას უფრო ზუსტად აყალიბებს გერმანული სკოლა, წარმოების კაპიტალისტური წესის მოსპობა ხდება, რასაკვირველია, არა იმ გარდამავალი კანონის მეოხებით, რომელიც პროცენტს აუქმებს, როგორც მე ამას ენგელსი მაწერს, არამედ მშრომელი ხალხის მიერ შრომის ყველა იარაღის, მთელი მრეწველობის ფაქტიური დაუფლებით. ამასთან იქნება მშრომელი ხალხი გამოსყიდვის თუ დაუყოვნებლივი ექსპროპრიაციის თაყვანისმცემელი (!), — ამის გადაწყვეტა არ ძალუძს არც ენგელსს, არც მე».

მე განცვიფრებული ვიფშვნეტ თვალებს. ხელახლა ვკითხულობ მიულბერგერის თხზულებას თავიდან ბოლომდე, რათა მოვნახო ის ადგილი, სადაც ის აცხადებს, რომ მის მიერ გამოყენებული გამოსყიდვა დაქირავებული ბინებისა წინასწარ გულისხმობს «მშრომელი ხალხის მიერ შრომის ყველა იარაღის, მთელი მრეწველობის, ფაქტიურ დაუფლებას». ამ ადგილს მე ვერ ვპოულობ. იგი არ არსებობს. «ფაქტიურ დაუფლებაზე» და სხვ. არსად არ არის ლაპარაკი. სამაგიეროდ მე-17 გვერდზე ნათქვამია:

«ვთქვათ, კაპიტალის ნაყოფიერება მართლა დაძლეულია — რაც ადრე თუ გვიან უნდა მოხდეს, — მაგალითად გარდამავალი კანონის საშუალებით, რომელიც მტკიცედ აწესებს ყველა კაპიტალის სარგებელს ერთიპროცენტის ოდენობით, თანაც აგრეთვე, ნუ დავივიწყებთ, ამ ოდენობის ნულამდე დაყვანის ტენდენციით... რა თქმა უნდა, სახლიც და ბინაც, ისე როგორც ყველა სხვა პროდუქტი, ამ კანონის მოქმედებას ექვემდებარება. მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მხრივაც დაქირავებული ბინის გამოსყიდვა საერთოდ კაპიტალის ნაყოფიერების მოსპობის აუცილებელ შედეგს წარმოადგენს.»

მაშასადამე, სრულიად წინააღმდეგ მიულბერგერის უახლესი შემობრუნებისა, პირდაპირ ნათქვამია, რომ კაპიტალის ნაყოფიერება — ხოლო ამ აბნეულ ფრაზაში მიულბერგერი შეგნებულად წარმოების კაპიტალისტურ წესს გულისხმობს — მართლა «იქნებოდა დაძლეული» პროცენტის გაუქმების კანონის მეშვეობით და რომ სწორედ ამ კანონის შედეგად «დაქირავებული ბინის გამოსყიდვა საერთოდ კაპიტალის ნაყოფიერების მოსპობის აუცილებელ შედეგს წარმოადგენს». ახლა მიულბერგერი ლაპარაკობს: ეს სრულიადაც არაა ასეთ. ამ გარდამავალი კანონის საგანია «არა წარმოებითი ურთიერთობანი, არამედ მიმოქცევის ურთიერთობანი».

ამგვარი სრული წინააღმდეგობისას, რომელიც, გოეთეს გამოთქმით, «ერთნაირად საიდუმლოა ბრძენთათვისაც და უგუნურთათვისაც», მე მხოლოდ ისღა დამრჩენია ვიფიქრო, რომ საქმე მაქვს ორ სხვადასხვა მიულბერგერთან, რომელთაგან ერთი სამართლიანად საყვედურობს, რომ მე მას «ვაწერ» იმას, რაც მეორემ დაბეჭდა.

მშრომელი ხალხი რომ არც მე შემეკითხება და არც მიულბერგერს იმას, იქნება ის ფაქტიური დაუფლებისას «გამოსყიდვის თუ დაუყოვნებლივი ექსპროპრიაციის თაყვანისმცემელი», — ეს სავსებით სწორია. უაღრესად სარწმუნოა, რომ ის ამჯობინებს საერთოდ არ იყოს «თაყვანისმცემელი». მაგრამ მშრომელი ხალხის მიერ შრომის ყველა იარაღის ფაქტიურ დაუფლებაზე ხომ სრულებით არ ყოფილა ლაპარაკი; ლაპარაკი იყო მხოლოდ მიულბერგერის მტკიცებაზე (გვ. 17), რომ «ბინის საკითხის გადაწყვეტის მთელი შინაარსი მოცემულია სიტყვაში გ ა მ ო ს ყ ი დ ვ ა». თუ ახლა მას ეს გამოსყიდვა უაღრესად საეჭვოდ მიაჩნია, — მაშინ რატომღა ვიწუხებთ ტყუილ-უბრალოდ თავს ორივენი და ვაწუხებთ მკითხველებსაც?

თუმცა, აუცილებელია დავადასტუროთ, რომ მშრომელი ხალხის მიერ შრომის ყველა იარაღის, მთელი მრეწველობის «ფაქტიური დაუფლება» პრუდონული «გამოსყიდვის» პირდაპირ საწინააღმდეგო მოვლენაა. გამოსყიდვის დროს ც ა ლ კ ე უ ლ ი მ უ შ ა ბინის, გლეხური მიწის ნაკვეთის, შრომის იარაღების მესაკუთრე ხდება; პირველ შემთხვევაში კი სახლების, ფაბრიკებისა და შრომის იარაღების ერთობლივ მესაკუთრედ რჩება «მშრომელი ხალხი», რომელმაც საეჭვოა, გარდამავალ ხანაში მაინც, ყოველივე ამით სარგებლობა ცალკეულ პირებს ან ამხანაგობებს ხარჯების აუნაზღაურებლად დაუთმოს. სწორედ ასევე მიწის საკუთრების მოსპობა არ გულისხმობს მიწის რენტის მოსპობას, არამედ, იგი გულისხმობს, თუმცაღა სახეშეცვლილი ფორმით, საზოგადოებისათვის მის გადაცემას. მაშასადამე, მშრომელი ხალხის მიერ შრომის ყველა იარაღის ფაქტიური დაუფლება არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს დაქირავება–გაქირავების ურთიერთობათა შენარჩუნებას.

საერთოდ ლაპარაკი არაა იმ საკითხზე, უბრალო ძალდატანების გზით დაიპყრობს პროლეტარიატი წარმოების იარაღებს, ნედლ მასალას და არსებობის საშუალებებს, როცა ის ხელისუფლებას დაეპატრონება, თუ მაშინვე ამისათვის სანაზღაუროს გადაიხდის ანდა ამ საკუთრებას თანდათანობით გამოისყიდის გადასახდელ-

თა განაწილვადებით. ამ საკითხზე და ყველა შესაძლო შემთხვევის შესახებ წინასწარ პასუხის გაცემის ცდა — ეს იქნებოდა უტოპიების შეთხზვა, და ეს კი მე სხვებისთვის დამითმია.

IV

აი რამდენი ქაღალდის დაწერა შეიქნა საჭირო იმისათვის, რათა მიულბერგერის ნაირნაირი ფანდებისა და ხვეულების გავლით მიგვეღწია, ბოლოს, თვით საქმის დედაარსისათვის, რომლის ხსენებასაც თავის პასუხში მიულბერგერი გულმოდგინედ გაურბის.

რა თქვა მიულბერგერმა დადებითი თავის სტატიაში?

ჯ ე რ - ე რ თ ი: «განსხვავება სახლზე, სამშენებლო ნაკვეთზე და ა. შ. გაწეულ თავდაპირველ დანახარჯთა ფასსა და ამ სახლის ახლანდელ ღირებულებას შორის» კანონით საზოგადოებას ეკუთვნის. ამ განსხვავებას ეკონომიურ ენაზე მიწის რენტა ეწოდება. ეს მიწის რენტა პრუდონსაც სურს საზოგადოებას მიაკუთვნოს, როგორც ეს შეიძლება ამოვიკითხოთ მის შრომაში «რევოლუციის ძირითადი იდეა», 1868 წ. გამოც., გვ. 219.

მ ე ო რ ე: ბინის საკითხის გადაწყვეტა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი დამქირავებელი თავისი ბინის მესაკუთრე ხდება.

მ ე ს ა მ ე: საკითხის ეს გადაწყვეტა ცხოვრებაში ტარდება იმ კანონის მეშვეობით, რომელიც ქირის გადასახდელს ბინის ნაყიდობის ფასის დასაფარავ გადასახდელად აქცევს. — ორივე ეს პუნქტი, მეორე და მესამე, ნასესხებია პრუდონიდან, როგორც ეს ყველას შეუძლია ამოიკითხოს «რევოლუციის ძირითად იდეაში», გვ. 199 და შემ., ხოლო 203-ე გვერდზე ამ კანონის სათანადო პროექტი გამზადებული რედაქციითაც კი არის მოცემული.

მ ე ო თ ხ ე: კაპიტალის ნაყოფიერებას სძლევენ გარდამავალი კანონის მეშვეობით, რომლის თანახმად პროცენტის ნორმა მცირდება პირველად 1%-მდე, მისი შემდგომი შემცირების მხედველობაში მიღებით. ესეც აგრეთვე პრუდონიდან არის ნასესხები, როგორც ეს დაწვრილებით შეგვიძლია ამოვიკითხოთ «ძირითად იდეაში», გვ. 182 — 186.

ყოველი ამ პუნქტის მიმართ მე დავიმოწმე პრუდონიდან ის ადგილი, სადაც მიულბერგერის ასლის ორიგინალი მოიპოვება, და აი მე გეკითხებით, მქონდა თუ არა უფლება პრუდონისტი მეწოდებინა მთლიანად პრუდონისტული სტატიის ავტორისათვის, სტატიისა, რომელიც სხვას არაფერს შეიცავს, გარდა პრუდონისტული შე-

ხედულებებისა? და მაინც მიულბერგერი არაფერს ისე მწარედ არ საყვედურობს, როგორც იმას, რომ მე მას ასე ვუწოდებ, ვუწოდებ ვითომდა იმიტომ, რომ მე «პრუდონის დამახასიათებელ ზოგიერთ გ ა მ ო თ ქ მ ე ბ ს წავაწყდი». პირიქით. «გამოთქმები» ყველანი მიულბერგერს ეკუთვნის, შ ი ნ ა ა რ ს ი კი პრუდონს ეკუთვნის. და როცა ამის შემდეგ პრუდონისტულ სტატიას მე პრუდონით ვავსებ, მიულბერგერი საყვედურობს, რომ მე მას პრუდონის «უცნაურ შეხედულებებს» ვაჩეჩებ!

რა მოსაზრებანი წამოვაყენე მე ამ პრუდონისტული გეგმის საწინააღმდეგოდ?

ჯ ე რ-ე რ თ ი: სახელმწიფოსათვის მიწის რენტის გადაცემა უდრის ინდივიდუალური მიწის საკუთრების მოსპობას.

მ ე ო რ ე: დაქირავებული ბინის გამოსყიდვა და უწინდელი დამქირავებლისათვის ბინის საკუთრების გადაცემა სრულებითაც არ ეხება წარმოების კაპიტალისტურ წესს.

მ ე ს ა მ ე: ეს წინადადება მსხვილი მრეწველობისა და ქალაქების თანამედროვე განვითარების პირობებში ისევე უაზროა, როგორც რეაქციული, და რომ აღდგენა ყოველი ცალკეული პირის ინდივიდუალური საკუთრებისა მის ბინაზე იქნებოდა ნაბიჯი უკან.

მ ე ო თ ხ ე: კაპიტალის პროცენტის იძულებითი შემცირება არავითარ შემთხვევაში არ ხელჰყოფს წარმოების კაპიტალისტურ წესს, არამედ, პირიქით, როგორც მევახშეობის კანონები გვიმტკიცებენ, იგი ისევე ძველისძველია, როგორც განუხორციელებელი.

მ ე ხ უ თ ე: კაპიტალის პროცენტის მოსპობა სრულებით არ სპობს სახლის ქირას.

მეორე და მეოთხე პუნქტს მიულბერგერი ახლა დაეთანხმა. დანარჩენი პუნქტების წინააღმდეგ ის ერთ სიტყვასაც არ ამბობს. და ეს ხომ სწორედ ის პუნქტებია, რომლებზეც კამათია. მაგრამ მიულბერგერის პასუხი არ არის შემოდავება; იგი გულდასმით უვლის გვერდს ყველა ეკონომიურ პუნქტს, რომლებიც აკი გადამწყვეტი პუნქტებია; ეს პასუხი — პირადი საჩივარია, და მეტი არაფერი. ასე, მაგალითად, ის საყვედურობს, როცა მე წინასწარ ვიძლევი მის მიერ დაპირებული სხვა საკითხების — სახელმწიფო ვალების, კერძო ვალების, კრედიტის — გადაწყვეტას, და ვლაპარაკობ, რომ საკითხის გადაწყვეტა ყველგან ისეთივე იქნება, როგორც ბინის საკითხში; პროცენტი უქმდება, პროცენტების გადასახდელები კაპიტალის დაფარვის გადასახდელებად იქცევა, ხოლო კრედიტი მუქთად ცხადდება.

მე კი მაინც სანაძლეოს ვდებ, რომ როცა მიულბერგერის ეს სტატიები გამოქვეყნდება, მათი შინაარსი არსებითად ისევე დაემთხვევა პრუდონის «ძირითად იდეას» (კრედიტი — გვ. 182, სახელმწიფო ვალები — გვ. 186, კერძო ვალები — გვ. 196), როგორც სტატიები ბინის საკითხზე ემთხვევიან იმავე წიგნიდან ციტირებულ ადგილებს.

მიულბერგერი ამის გამო ჭკუას მასწავლის: ეს საკითხები — გადასახადებზე, სახელმწიფო და კერძო ვალებზე, კრედიტზე, და დამატებით კიდევ საკითხი თემის ავტონომიის შესახებ — გლეხისათვის და სოფლად პროპაგანდისათვის უაღრესად მნიშვნელოვანიაო. მეტწილად თანახმა ვარ; მაგრამ 1) გლეხებზე აქამდე ლაპარაკი სრულებით არ იყო და 2) ყველა ამ საკითხის პრუდონული «გადაწყვეტა» ეკონომიურად ისევე უაზრო და არსებითად ისე ბურჟუაზიულია, როგორც ბინის საკითხის მისებური გადაწყვეტა. მიულბერგერის გადაკვრით ნათქვამის წინააღმდეგ, თითქოს მოძრაობაში გლეხების ჩათრევის აუცილებლობას არ ვაღიარებდე, მ ე თავდაცვა არ მჭირდება. მაგრამ მე მაინც სისულელედ მიმაჩნია ამ მიზნით გლეხებს პრუდონული ექიმბაშობა ვურჩიო. გერმანიაში ჯერ კიდევ ძალიან ბევრია მსხვილი მიწათმფლობელობა. პრუდონული თეორიის მიხედვით ყოველივე ეს უნდა დაქუცმაცებულიყო წვრილ გლეხურ კომლებად, რაც, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების დღევანდელი დონის პირობებში და პარცელური მიწათმფლობელობის დარგში საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის მიერ მიღებული გამოცდილების შემდეგ, პირდაპირ რეაქციული ნაბიჯი იქნებოდა. პირიქით, ჯერ კიდევ არსებული მსხვილი მიწათმფლობელობა ჩვენ სასურველ საფუძველს მოგვცემს იმისათვის, რათა გაერთიანებული მუშების დახმარებით დიდი მასშტაბით წარვმართოთ მიწათმოქმედება, რომელსაც ძალუძს მხოლოდ გამოიყენოს ყველა თანამედროვე დამხმარე საშუალებანი, მანქანები და ა. შ., და ამით წვრილ გლეხებს თვალსაჩინოდ დავანახოთ გაერთიანების საფუძველზე წარმართული მსხვილი მეურნეობის უპირატესობანი. დანიის სოციალისტებმა, რომლებმაც ამ მხრივ ყველა სხვას გაასწრეს, დიდი ხანია უკვე შეიგნეს ეს.

ასევე ნაკლებად მჭირდება მე თავის დაცვა იმ საყვედურის გამო, თითქოს მუშათა დღევანდელი საშინელი ბინის პირობები მე «უმნიშვნელო რამედ» მომეჩვენა. რამდენადაც ვიცი, მე პირველმა დავასურათე ეს პირობები გერმანულ ლიტერატურაში მათი იმ კლა-

სიკურად განვითარებული ფორმით, რა ფორმითაც ისინი ინგლისში არსებობენ; და ეს იმიტომ კი არა, როგორც ეს მიულბერგერს ჰგონია, რომ ისინი «შეურაცხყოფენ ჩემს სამართლისგრძნობას», — დიდი გარჯა მოუწევდა იმას, ვინც მოიწადინებდა წიგნად ექცია ყველა ის ფაქტი, რომლებიც მის სამართლის გრძნობას შეურაცხყოფენ, — არამედ, როგორც ჩემი წიგნის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, იმისათვის, რათა თანამედროვე მსხვილი მრეწველობის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი პირობების აღწერით ფაქტიური საფუძველი მიმეცა იმ დროს აღმოცენების პროცესში მყოფი გერმანული სოციალიზმისათვის, რომელიც ცარიელი ფრაზების წრეში ტრიალებდა. მაგრამ მე, მართლაც, აზრადაც არ მომდის გადავწყვიტო ეგრეთწოდებული ბინის საკითხი, სწორედ ისევე, როგორც მე არ მოვკიდებ ხელს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საასურსათო საკითხის გადაწყვეტის დეტალებს. მე კმაყოფილი ვიქნები, თუ შემიძლია დავამტკიცო, რომ ჩვენი თანამედროვე საზოგადოების წარმოება საკმაოდ დიდია, რათა საზოგადოების ყველა წევრი გამოკვებოს, და რომ არსებობს სახლების საკმაო რაოდენობა, რათა უკვე შესაძლებელი იყოს მშრომელ მასებს ტევადი და ჯანსაღი თავშესაფარი მიეცეს. ხოლო თუ როგორ მოაწესრიგებს მომავალი საზოგადოება საზრდოსა და ბინების განაწილებას, — ამაზე განყენებულ მსჯელობას პირდაპირ უტოპიის დარგში შევყავართ. სულ დიდი-დიდი, რაც ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ და დავადგინოთ წარმოების ყველა წინანდელი წესის ძირითადი პირობების გაგების საფუძველზე, — ეს ის არის, რომ კაპიტალისტური წარმოების დაცემასთან ერთად მითვისების გარკვეული ფორმები, დამახასიათებელნი დღემდე არსებული საზოგადოებისათვის, შეუძლებელი გახდება. გარდამავალი ღონისძიებანიც კი აუცილებლად ყველგან შეფარდებული იქნება მოცემულ მომენტში არსებულ ურთიერთობებთან; წვრილი მიწათმფლობელობის ქვეყნებში ისინი არსებითად სხვაგვარი იქნება, ვიდრე მსხვილი მიწათმფლობელობის ქვეყნებში და ასე შემდეგ. თუ რას ვღებულობთ შედეგად, როცა ვცდილობთ ცალკეულად გადავწყვიტოთ ეს ეგრეთწოდებული პრაქტიკული საკითხები, როგორიცაა, მაგალითად ბინის საკითხი და სხვ., ამას ყველაზე უკეთ გვიმტკიცებს თვით მიულბერგერი, რომელიც ჯერ 28-ე გვერდზე დაწვრილებით განმარტავს, რომ «ბინის საკითხის გადაწყვეტის მთელი შინაარსი მოცემულია სიტყვაში გამოსყიდვაო», ხოლო შემდეგ, როცა მას გასაქანს აღარ აძლევენ, დარცხვენით ბუტბუტებს: არსებითად ჯერ კიდევ დიდი საკითხია

სახლების ფაქტიური დაუფლებისას «მშრომელი ხალხი გამოსყიდვის თაყვანისმცემელი იქნება» თუ ექსპროპრიაციის რომელიმე სხვა ფორმისაო.

მიულბერგერი მოითხოვს, რათა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ნ ი გავხდეთ, რათა ჩვენ «ნამდვილ პრაქტიკულ ურთიერთობებს» არ «დავუპირისპიროთ მარტოოდენ მკვდარი, აბსტრაქტული ფორმულები», რათა ჩვენ «აბსტრაქტული სოციალიზმიდან გ ა რ კ ვ ე უ ლ, კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ურ თ ი ე რ თ ო ბ ე ბ თ ა ნ მივიდეთ». მიულბერგერი რომ ასე მოქცეულიყო, შესაძლებელია, ის დიდ სამსახურს გაუწევდა მოძრაობას. გარკვეული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი მიდგომის პირველი ნაბიჯი ხომ ისაა, რომ მათ სწავლობენ და ეცნობიან, რომ მათ იკვლევენ მათი არსებული ეკონომიური კავშირის მიხედვით. ხოლო რას ვნახულობთ ჩვენ მიულბერგერთან? მთელ ორ დებულებას, სახელდობრ:

1) «რაც დაქირავებული მუშა არის კაპიტალისტის მიმართ, ისაა ბინის დამქირავებელი სახლმფლობელის მიმართ».

მე ზემოთ, ცალკეული გამოცემის მე-6 [1] გვერდზე, დავამტკიცე, რომ ეს სრულიად არ არის სწორი და მიულბერგერს არაფერი აქვს სათქმელი...

2) «იმ ძირითადს, რომელიც (სოციალური რეფორმის დროს) დაძლეულ უნდა იქნეს, წარმოადგენს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა, როგორც ამას პოლიტიკური ეკონომიის ლიბერალური სკოლა უწოდებს, ნაყოფიერება, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს, მ ა გ რ ა მ, რ ო მ ე ლ ი ც თ ა ვ ი ს ი მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი ა რ ს ე ბ ო ბ ი თ საბურველია ყოველგვარი უთანასწორობისა, რაც მძიმე ტვირთად აწევს თანამედროვე საზოგადოებას».

მაშასადამე, ის ძირითადი, რომელიც დაძლეულ უნდა იქნეს, «სინამდვილეში არ» არსებობს, მაშასადამე, ის «დასაძლევიც» არაა. მთელი ბოროტება თვით მასში კი არაა, არამედ მის მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ს ა რ ს ე ბ ო ბ ა შ ი. მიუხედავად ამისა, «ეგრეთწოდებულ ნაყოფიერებას (კაპიტალისას) ძალუძს ჯადოსნურად აღმართოს დედამიწაზე სახლები და ქალაქები», რომელთა არსებობა უკვე სრულიადაც არ არის «მოჩვენებითი» (გვ. 12).

და ადამიანი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ «მისთვისაც კარგად ცნობილია» მარქსის «კაპიტალი», ასე უიმედო აბნეულობით რაღაცას ლუღლუღებს კაპიტალისა და შრომის ურთიერთობაზე, — ბედავს მიუთითოს გერმანელ მუშებს ახალი და უკეთესი გზა და თავის თავს აცხადებს «ხუროთმოძღვრად», რომლისთვი-

[1] იხ. ამ. ტომის გვ. 647. რ ე დ.

საც «ყოველ შემთხვევაში საერთოდ და მთლიანად ნათელია მომავალი საზოგადოების არქიტექტონიკა»!

იმაზე უფრო ახლოს არავინ არ «მისულა გარკვეულ, კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან», ვიდრე ეს მარქსმა გააკეთა «კ ა პ ი ტ ა ლ შ ი». ოცდახუთი წელი მოანდომა მან იმას, რომ ეს ურთიერთობანი ყოველმხრივად გამოეკვლია, და მისი კრიტიკის შედეგები ყველგან შეიცავენ აგრეთვე ეგრეთწოდებულ გადაწყვეტათა ჩანასახებსაც, რამდენადაც ეს გადაწყვეტანი ამჟამად საერთოდ შესაძლებელია. მაგრამ მეგობარ მიულბერგერს ეს არ აკმაყოფილებს. ყოველივე ეს აბსტრაქტული სოციალიზმია, მკვდარი აბსტრაქტული ფორმულებია. ნაცვლად იმისა, რომ შეისწავლოს «გარკვეული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობანი», მეგობარი მიულბერგერი კმაყოფილდება პრუდონის რამდენიმე ტომის წაკითხვით, რომლებიც მას სრულებით არაფერს ეუბნებიან გარკვეულ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, მაგრამ სამაგიეროდ მას მეტად გარკვეულ კონკრეტულ სასწაულთმოქმედ რეცეპტებს აძლევენ ყველა საზოგადოებრივი ბოროტების წინააღმდეგ; და სოციალური ხსნის ამ მზა გეგმას, ამ პრუდონულ ს ი ს ტ ე მ ა ს იგი გერმანელ მუშებს იმ საბაბით სთავაზობს, რომ მ ა ს სურს «გამოეთხოვოს ს ი ს ტ ე მ ე ბ ს», მაშინ როცა მე, ვითომდა, «საწინააღმდეგო გზას ვირჩევ»! რათა ეს გავიგო, უნდა ვიფიქრო, რომ მე ბრმა ვარ, მიულბერგერი კი — ყრუ, ასე რომ ყოველად შეუძლებელია ჩვენ ერთმანეთს გავაგებინოთ.

კმარა. თუ ეს პოლემიკა სხვა ვერავითარ სამსახურს გაგვიწევს, ყოველ შემთხვევაში იგი იმით მაინც არის სასარგებლო, რომ მან დაგვიმტკიცა, თუ რას წარმოადგენს იმ სოციალისტების პრაქტიკა, რომლებიც თავის თავს «პრაქტიკოსებს» უწოდებენ. ეს პრაქტიკული წინადადებანი ყველა სოციალური ბოროტების აღმოსაფხვრელად, ეს სოციალური ყოვლისგანმკურნავი საშუალებანი ყოველთვის და ყველგან ნახელავი იყო სექტათა დამფუძნებლებისა, რომლებიც იმ დროს გამოდიოდნენ, როცა პროლეტარული მოძრაობა ჯერ კიდევ თავისი ბავშვობის ასაკში იმყოფებოდა. პრუდონიც მათ რიცხვს ეკუთვნის. პროლეტარიატის განვითარება სულ მალე გვერდზე ისვრის ამ ბავშვის ჩვრებს და თვით მუშათა კლასში წარმოშობს იმის გაგებას, რომ არაფერია იმაზე ნაკლებად პრაქტიკული, ვიდრე ეს წინასწარ შეთხზული, ყველა შემთხვევისათვის გამოსადეგი «პრაქტიკული გადაწყვეტანი» და რომ, პირიქით, პრაქტი-

ული სოციალიზმი წარმოების კაპიტალისტური წესის სხვადასხვა მხარის სწორ გაგებაში მდგომარეობს. მუშათა კლასისათვის, რომელმაც ამ მხრივ კარგად იცის საქმის ვითარება, ა რ ა ს დ რ ო ს არ იქნება ძნელი ყოველ მოცემულ შემთხვევაში გადაწყვიტოს, თუ რომელი სოციალური დაწესებულებების წინააღმდეგ და რაგვარად უნდა წარმართოს მან თავისი მთავარი დარტყმები.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ 1872 წ. ივნისს — 1873 წ. თებერვალს.
პირველად დაიბეჭდა გაზეთ «Volksstaat»-ში 1872 — 1873 წ. წ.
მეორე გამოცემა, შემოწმებული ენგელსის მიერ, გამოვიდა 1887 წ.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით, რომელიც 1887 წ. გამოცემის ტექსტთან არის შეჯერებული.
თარგმანი გერმანულიდან.

ფ. ენგელსი

ავტორიტეტის შესახებ

ამ უკანასკნელ ხანში ზოგიერთმა სოციალისტმა ნამდვილი ჯვაროსნული ლაშქრობა გამართა იმის წინააღმდეგ, რასაც ისინი ა ვ ტ ო რ ი ტ ე ტ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ს ეძახიან. საკმარისია კაცმა უთხრას მათ, ესა თუ ის მოქმედება ა ვ ტ ო რ ი ტ ე ტ უ ლ ი ა ო, რომ ის დაჰგმონ. ამ გამარტივებულ ხერხს იმ ზომამდე ბოროტად იყენებენ, რომ საჭიროდ მიგვაჩნია საგანი დაწვრილებით განვიხილოთ. სიტყვა ავტორიტეტი იმ აზრით, რა აზრითაც აქ იხმარება, ნიშნავს: სხვისი ნება-სურვილის ჩვენს თავზე მოხვევას, — მეორე მხრივ, ავტორიტეტი გულისხმობს დაქვემდებარებას. მაგრამ, რამდენადაც ეს ორი სიტყვა უსიამოვნოდ ეღერს და მათ მიერ გამოხატული ურთიერთობა მძიმეა დამორჩილებული მხარისათვის, იბადება კითხვა: შეგვიძლია თუ არა გვერდი ავუაროთ ამ ურთიერთობას? შეგვიძლია თუ არა თანამედროვე საზოგადოების არსებულ პირობებში შევქმნათ სხვანაირი სოციალური წყობილება, როცა ამ ავტორიტეტს აზრი არ ექნება და, მაშასადამე, ამ წესწყობილებიდან უნდა გაჰქრეს? იმ ეკონომიური, სამრეწველო და სამიწათმოქმედო ურთიერთობების განხილვისას, რომლებიც საფუძვლად უდევს თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას, ვრწმუნდებით, რომ ამ ურთიერთობებს აქვთ ტენდენცია, ცალკეული მოქმედებანი უფრო და უფრო შესცვალონ ადამიანთა კომბინირებული საქმიანობით. ცალკეულ მწარმოებელთა პატარა-პატარა სახელოსნოების ადგილი დაიჭირა თანამედროვე მრეწველობამ თავისი უზარმაზარი ფაბრიკებითა და ქარხნებით, სადაც ასეული მუშები უძღვებიან ორთქლის საშუალებით მოძრავ რთულ მანქანებს; დიდი შარა-გზებით მავალ დილიჟანებისა და ურმების ალაგას გაჩნდა რკინიგზით მავალი მატარებლები, ხოლო იალქნიან ორ ანძიან ნავებისა და ნუშების ალაგას ვხედავთ

ორთქლით მავალ ხომალდებს. თვით მიწათმოქმედებაშიც კი უფრო და უფრო ბატონდება მანქანა და ორთქლი, რომელიც ნელა, მაგრამ განუხრელად ცვლის წვრილ მესაკუთრეებს მსხვილი კაპიტალისტებით, რომლებიც მიწის უზარმაზარ ფართობებს დაქირავებული მუშების საშუალებით ამუშავებენ. ამრიგად, კომბინირებული მოქმედება, გართულება პროცესებისა, რომლებიც ერთიმეორეზეა დამოკიდებული, კერძო პირთა დამოუკიდებელი მოქმედების ადგილს იჭერს. მაგრამ კომბინირებული მოქმედება გულისხმობს ორგანიზაციას, ხოლო შესაძლებელია რაიმე ორგანიზაცია ავტორიტეტის გარეშე?

ვთქვათ, სოციალურმა რევოლუციამ დაამხო კაპიტალისტები, რომელთაც დღესდღეობით წარმოება და სიმდიდრეთა მიმოქცევა ექვემდებარება. დავდგეთ სავსებით ანტიავტორიტარისტების თვალსაზრისზე და ვთქვათ, რომ მიწა და სამუშაო იარაღები იმ მუშათა კოლექტიურ საკუთრებაში გადავიდა, რომლებიც მას ხმარობენ. ისმება კითხვა, ამ შემთხვევაში ავტორიტეტის ხსენება სრულიად გაქრება თუ იგი მხოლოდ თავის ფორმას იცვლის? ვნახოთ.

მაგალითისათვის ავიღოთ ძაფსართავი. ბამბამ, სანამ იგი ძაფად დაირთვებოდეს, ექვსი ერთმანეთის მომდევნო ოპერაცია უნდა გამოიაროს. ეს ოპერაციები უმეტეს წილად სხვადასხვა სადგომებში ხდება. გარდა ამისა, მანქანის განუწყვეტლივ მოძრაობისათვის ყურის საგდებლად საჭიროა ინჟენერი, რომელიც თვალყურს ადევნებს ორთქლის მანქანას, ყოველდღიურ შეკეთებისათვის საჭიროა მექანიკოსები და ბევრი სხვა მუშახელი, რომელთაც პროდუქტები ერთი სადგომიდან მეორეში უნდა გადაიტანონ ხოლმე და სხვ. და სხვ. ყველა ეს მუშები — კაცები, ქალები თუ მოზარდი ბავშვები ვალდებულნი არიან დაიწყონ და გაათავონ თავიანთი სამუშაო იმ საათებში, რომელიც განსაზღვრულია ორთქლის ავტორიტეტის მიერ, და რომელსაც არაფერი ესაქმება პირად ავტონომიასთან. ამრიგად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მუშები შეთანხმდნენ, თუ რომელ საათზე მოჰკიდონ ხელი მუშაობას; რაკი მუშაობის საათი დადგინდება, იგი სავალდებულოა უკლებლივ ყველასათვის. შემდეგ, ყოველ სადგომში და ყოველ წუთს წამოიჭრება ესა თუ ის კერძო საკითხი წარმოების წესის, მასალის დანაწილებისა და სხვ. შესახებ, რომლებიც მთელი წარმოების დაუყოვნებლივ შეჩერების თავიდან ასაცილებლად ხელადვე გადაწყვეტას თხოულობენ; ეს საკითხები შეიძლება გადაწყვიტოს ამორჩეულმა პირმა, რომელიც მუშაობის რომელიმე

დარგს მეთაურობს, ანდა, თუ ეს შესაძლებელია, ხმის უმეტესობით, ორივე შემთხვევაში ცალკეულ პიროვნებათა ნება დაქვემდებარებულ უნდა იქნეს, ხოლო, ეს იმას ნიშნავს, რომ საკითხები სწყდება ავტორიტარულად. რომელიმე დიდი ფაბრიკის ავტომატური მექანიზმი ბევრად უფრო დესპოტურია, ვიდრე წვრილი კაპიტალისტები, რომლებთანაც მუშები მუშაობენ. ყოველ შემთხვევაში, მუშაობის საათების შესახებ ამ ფაბრიკების კარებზე ასეთი წარწერა უნდა გაკეთდეს: **Lasciate ogni autonomia voi che entrate** [1]. თუ ადამიანმა მეცნიერებითა და შემოქმედებითი გენიით ბუნების ძალები დაიმორჩილა, ეს ძალები შურს იძიებენ იმით, რომ თავად უმორჩილებენ მას — იმდენად, რამდენადაც ეს ადამიანი სარგებლობს იმ ძალებით, — ნამდვილ დესპოტიზმს, ყოველგვარი სოციალური ორგანიზაციის დამოუკიდებლად. მსხვილ მრეწველობაში ავტორიტეტის გაუქმების სურვილი ნიშნავს თვით ამ მრეწველობის გაუქმების სურვილს, ნიშნავს ორთქლით მოძრავი ძაფსახვევის მოსპობის სურვილს, რათა დავუბრუნდეთ ხელით სართავ ჯარას.

ავიღოთ მეორე მაგალითი — რკინიგზა. აქაც უეჭველად საჭიროა უამრავი ხალხის თანამშრომლობა; საჭიროა ეს თანამშრომლობა მოხდეს ზუსტად განსაზღვრულ საათებში, რათა თავიდან ავიცილოთ უბედური შემთხვევები. აქაც პირველი პირობა საქმის წარმატებისა — მბრძანებელი ნებაა, რომელიც სწყვეტს ყოველგვარ დაქვემდებარებულ საკითხს, სულერთია — ამ ნებას ვინ გამოხატავს: ერთი რომელიმე არჩეული პირი თუ მთელი კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს შეასრულოს დაინტერესებულ პირთა უმრავლესობის დადგენილებანი. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ჩანს მკაფიოდ გამოსახული ავტორიტეტი. კიდევ მეტიც: რა მოუვიდოდა პირველსავე წასულ მატარებელს, თუ ბ. ბ. მგზავრთა მიმართ რკინიგზის მოხელეთა ავტორიტეტი გაუქმდება?

მაგრამ ავტორიტეტის და ისიც ძალზე ძლიერი ავტორიტეტის აუცილებლობა განსაკუთრებით ცხადი ხდება შუაგულ ზღვაში მიმავალ ხომალდზე! გაჭირვების ჟამს აქ ყველას სიცოცხლე დამოკიდებულია ერთი კაცის ნებისყოფისადმი ყველას დაუყოვნებლივ და სიტყვაშეუბრუნებლივ დამორჩილებაზე.

თუ მე ამ არგუმენტებს წავუყენებ ავტორიტეტის ყველაზე მეტად გაშმაგებულ მოწინააღმდეგეთ, მათ ესღა შეუძლიათ მიპასუხონ: «ეს მართალი გახლავთ, მაგრამ აქ ლაპარაკია იმ ავტორიტეტზე კი

[1] აქ შემოსულმა ყოველგვარ ავტონომიაზე უნდა აიღოს ხელი. რ ე დ.

არა, რომლითაც ჩვენ ჩვენს არჩეულ დელეგატებს აღვჭურვავთ, არამედ გარკვეულ დავალებაზე!». ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ ვითომ სახელის გამოცვლით გამოცვალეს თვით საგანიც. ეს ღრმა მოაზროვნენი უბრალოდ დაგვცინიან!...

მაშასადამე, ჩვენ დავინახეთ, რომ ერთი მხრივ, საჭიროა გარკვეული ავტორიტეტი, მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ წარმოიშვა ეს ავტორიტეტი, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროა გარკვეული მორჩილება, — სულერთია, თუ რომელი სოციალური ორგანიზაციის მხრით იქნება ეს მორჩილება, — ორივე ეს, ავტორიტეტიც და მორჩილებაც ჩვენთვის სავალდებულოა იმ მატერიალურ პირობათა გამო, რომლებშიაც წარმოებს პროდუქტთა წარმოება და მიმოქცევა.

მეორე მხრივ, ჩვენ დავინახეთ, რომ მსხვილი წარმოებისა და მსხვილი მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად აუცილებლად რთულდება წარმოებისა და მიმოქცევის მატერიალური პირობები და იქითკენ მიიმართება, რომ უფრო და უფრო გააფართოოს ამ ავტორიტეტის სფერო, ამიტომ უაზრობაა ავტორიტეტის პრინციპი აბსოლუტურად ცუდად დავსახოთ, ხოლო ავტონომიისა აბსოლუტურად კარგ პრინციპად ვაღიაროთ. ავტორიტეტი და ავტონომია შეფარდებითი ცნებებია, რომლებიც იცვლებიან საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ფაზის მიხედვით. ავტონომისტებს მარტო იმის თქმა რომ სურდეთ, რომ მომავლის სოციალური ორგანიზაცია ავტორიტეტს დაუშვებს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებიც წარმოების პირობების აუცილებლობით არიან გამოწვეულნიო, მაშინ კიდევ შეიძლებოდა მათთან შეთანხმება; მაგრამ ისინი თვალებს ხუჭავენ ყველა იმ ფაქტის წინაშე, რომელნიც აუცილებლად ხდიან ავტორიტეტს, და გაშმაგებით ებრძვიან სიტყვას.

რატომ არა სჯერდებიან ავტორიტეტის მოწინააღმდეგენი ყვირილს პოლიტიკური ავტორიტეტისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ? ყველა სოციალისტი თანახმაა, რომ პოლიტიკური სახელმწიფო და მასთან ერთად პოლიტიკური ავტორიტეტი მოისპობა მომავალი სოციალური რევოლუციის შედეგად, ე. ი. საზოგადოებრივ ფუნქციებს ჩამოეცლება თავიანთი პოლიტიკური ხასიათი და გადაიქცევიან უბრალო ადმინისტრაციულ ფუნქციებად, რომლებიც დაიცავენ საზოგადოების ჭეშმარიტ ინტერესებს. მაგრამ ანტიავტორიტარისტები მოითხოვენ, რომ ავტორიტარული პოლიტიკური სახელმწიფო გაუქმებულ იქნეს დაუყოვნებლივ და იმაზე ადრეც, ვიდრე გაუქმდებოდეს ის სოციალური ურთიერთობანი, რომელთაც ეს სახელმწიფო

წარმოშვეს. ანტიავტორიტარისტები თხოულობენ, რათა სოციალური რევოლუციის პირველი აქტი ავტორიტეტის გაუქმება იყოს. უნახავთ თუ არა ამ ვაჟბატონებს ოდესმე რევოლუცია? უეჭველია, რომ რევოლუცია ყოველგვარ შესაძლებელ ავტორიტარულზე უფრო ავტორიტარულია. რევოლუცია ისეთი აქტია, რომლის დროსაც მოსახლეობის ერთი ნაწილი თოფების, ხიშტების, ზარბაზნების, ე. ი. უაღრესად ავტორიტარული საშუალებებით ახვევს თავს მოსახლეობის მეორე ნაწილს თავის ნებასურვილს. და თუ გამარჯვებულ პარტიას არ სურს დაჰკარგოს თავისი ბრძოლის ნაყოფი, მან უნდა სცადოს თავისი ბატონობა შეინარჩუნოს იმ შიშით, რომელსაც მისი იარაღი უნერგავს რეაქციონერებს. პარიზის კომუნა განა ერთ დღეზე მეტს გასძლებდა, რომ ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეიარაღებული ხალხის ავტორიტეტზე არ ყოფილიყო დაყრდნობილი? განა ჩვენ მართალი არ ვიქნებით, თუ იმას ვუსაყვედურებთ ამ კომუნას, რომ მან უფრო საკმაოდ არ გამოიყენა ეს ავტორიტეტი?

მაშასადამე, ორში ერთი: ან ანტიავტორიტარისტებმა თვითონაც არ იციან, რას ამბობენ, და ამ შემთხვევაში ისინი მხოლოდ აზრთა არეულობას თესავენ; ან კარგად იციან, რასაც იქმნენ, და ამ შემთხვევაში ღალატობენ პროლეტარიატის მოძრაობის საქმეს. ორივე შემთხვევაში ისინი რეაქციის მსახურებად გამოდიან.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ 1873 წ. იანვარსა და თებერვალში. დაბეჭდილია კრებულში «Almanacco Republicano» 1874 წ.

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით. თარგმანი იტალიურიდან.

ფ. ენგელსი

წინასიტყვაობა შრომისა «გლეხთა ომი გერმანიაში»

ეს შრომა ლონდონში დაიწერა 1850 წლის ზაფხულში, ახლად დამთავრებული კონტრრევოლუციის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ; იგი გამოქვეყნდა პოლიტიკურ-ეკონომიურ მიმოხილვაში, რომელსაც კარლ მარქსი რედაქტორობდა, «ახალ რაინის გაზეთში», მე-5 და მე-6 რვეულებში, ჰამბურგი 1850 წ. ჩემმა პოლიტიკურმა მეგობრებმა გერმანიაში მისი ხელახლა გამოცემა მოისურვეს და მეც ვასრულებ მათს სურვილს, რადგან ჩემდა სამწუხაროდ, იგი დღესაც დროულად შეიძლება ჩაითვალოს.

ამ წიგნს იმის პრეტენზია არა აქვს, რომ ახალი, დამოუკიდებელი კვლევა-ძიების მასალა გადმოსცეს. პირიქით, მთელი მასალა, რომელიც გლეხთა აჯანყებებსა და ტომას მიუნცერს ეხება, ციმერმანიდანაა ამოღებული. თუმცა მისი წიგნი ალაგ-ალაგ ნაკლოვანია, მაგრამ დღემდე მაინც ფაქტების საუკეთესო დალაგებას წარმოადგენს. ამას გარდა მოხუცი ციმერმანი ხალისით ეპყრობოდა თავის საგანს. იმავე რევოლუციურმა ალღომ, რომელიც მას უკარნახებდა, რომ თავის წიგნში ყველგან ჩაგრული კლასის მხარეზე გამოსულიყო, იგი შემდეგ უკიდურესი მემარცხენეების საუკეთესო წარმომადგენლად გახადა ფრანკფურტში. თუმცა, შემდეგ მისი შეხედულებანი რამდენადმე მოძველდა.

თუ, მეორე მხრივ, ციმერმანის მოთხრობას შინაგანი კავშირი აკლია; თუ იგი ვერ ახერხებს იმ ეპოქის რელიგიურ-პოლიტიკური საკამათო საკითხები იმდროინდელივე კლასობრივი ბრძოლის ასახვად წარმოგვიდგინოს; თუ იგი ამ კლასობრივ ბრძოლებში მხოლოდ

მჩაგვრელებსა და დაჩაგრულებს, ბოროტებასა და სიკეთეს და ბოროტების საბოლოო გამარჯვებას ხედავს; თუ მისი გაგება იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა, რომელთაც განსაზღვრეს როგორც დასაწყისი, ისე დასასრული ბრძოლისა, მეტად ნაკლოვანია, ეს იმ დროის ნაკლი იყო, რომელშიც ეს წიგნი წარმოიშვა [1]. პირიქით, თავის დროისთვის იგი მეტად რეალისტურადაა დაწერილი და სასიქადულო გამონაკლისს წარმოადგენს გერმანულ იდეალისტურ ისტორიულ ნაწარმოებთა შორის.

ჩემს გადმოცემაში, რომელიც ბრძოლის ისტორიული მსვლელობის მხოლოდ ზოგად ნარკვევს წარმოადგენს, მე შევეცადე გლეხთა ომის წარმოშობა, მისი მონაწილე სხვადასხვა პარტიების მდგომარეობა, პოლიტიკური და რელიგიური თეორიები, რომელშიც ეს პარტიები თავიანთ მდგომარეობის გარკვევას ცდილობენ, ბოლოს თვით ბრძოლის შედეგი ამეხსნა როგორც ამ კლასთა საზოგადოებრივი ცხოვრების იმდროინდელი ისტორიული პირობების აუცილებელი შედეგი. მაშასადამე, მე შევეცადე დამენახვებინა, რომ გერმანიის იმდროინდელი პოლიტიკური წესწყობილება, აჯანყებანი მის წინააღმდეგ, იმ დროის პოლიტიკური და რელიგიური თეორიები არა მიზეზებს, არამედ იმ განვითარების საფეხურის შედეგებს წარმოადგენენ, რომელზედაც მაშინ გერმანიაში სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, სახმელეთო და საზღვაო გზები, საქონლისა და ფულის ტრიალი იმყოფებოდა. ეს ერთადერთი მატერიალისტური გაგება ისტორიისა გამომდინარეობს არა ჩემგან, არამედ მარქსიდან და იგი საფუძვლად უდევს აგრეთვე იმავე მიმოხილვაში დაბეჭდილ მის შრომებს 1848 — 1849 წლის საფრანგეთის რევოლუციაზე და «ლუი ბონაპარტის თვრამეტ ბრიუმერს».

მსგავსება 1525 წლის გერმანიის რევოლუციასა და 1848-49 წლების რევოლუციას შორის იმდენად აშკარაა, რომ შეუძლებელი იყო იმ დროს იგი არ გამომეყენებინა. მაგრამ მსვლელობის ერთგვაროვნების მიუხედავად, იმისდა მიუხედავად, რომ იქაც და აქაც მთავრობის ჯარებმა სხვადასხვა ადგილობრივი ამბოხებანი ერთი მეორის მიყოლებით დაამარცხეს, იმისდა მიუხედავად, რომ ორივე შემთხვევაში მოქალაქეებმა ხშირად სასაცილო მსგავსება გამოააშკარავეს თავიანთ ყოფაქცევაში, განსხვავება მაინც ნათლად და აშკარად ჩანდა:

---

[1] ვ. ციმერმანის სამ ტომიანი შრომა «დიდი გლეხთა ომის ისტორია» პირველად 1840 — 1844 წ.წ. გამოიცა. რ ე დ.

«ვინ ნახა სარგებლობა 1525 წლის რევოლუციაში? მ თ ა ვ რ ე ბ მ ა. — ვინ ნახა სარგებლობა 1848 წლის რევოლუციაში? დ ი დ მ ა მ თ ა ვ რ ე ბ მ ა, ავსტრიამ და პრუსიამ. 1525 წელს პატარა მთავრების უკან წვრილი ბურჟუები იდგნენ, რომელნიც მათ ბოჭავდნენ გადასახადების შემწეობით. 1850 წელს დიდი მთავრების, ავსტრიის და პრუსიის უკან თანამედროვე მსხვილი ბურჟუები დგანან, რომელნიც მათ ჩქარა იმორჩილებენ სახელმწიფოებრივი ვალების შემწეობით. ხოლო მსხვილი ბურჟუების უკან პროლეტარები დგანან»[1].

სამწუხაროდ უნდა ვაღიარო, რომ ამ სიტყვებით გერმანელ ბურჟუაზიას ზედმეტი პატივისცემა მივუძღვენი. მას შემთხვევა ჰქონდა «სახელმწიფოებრივი ვალების შემწეობით მონარქია ჩქარა დაემორჩილებინა» როგორც ავსტრიასა, ისე პრუსიაში, მაგრამ არსად და არასოდეს **არ** გამოუყენებია ეს შემთხვევა.

ბატონობა ავსტრიაში ბურჟუაზიას საჩუქრად ერგო 1866 წლის ომის წყალობით. მაგრამ მას არ ძალუძს ბატონობა, იგი ყოვლად უილაჯო და უნიჭოა. მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ მუშებს შეუტიოს გააფთრებით, როგორც კი ისინი თავს ასწევენ. ავსტრიაში ბურჟუაზიას მხოლოდ იმიტომ უჭირავს საჭე, რომ ეს უ ნ გ რ ე ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს ა ა საჭირო.

რაღა ითქმის პრუსიაზე? მართალია, სახელმწიფოს ვალმა უზომოდ იმატა, დეფიციტი მუდმივ მოვლენადაა გამოცხადებული, სახელმწიფოს გასავალი წლიდან წლამდე იზრდება, ბურჟუაზიას უმრავლესობა ჰყავს პალატაში, უმისოდ შეუძლებელია როგორც გადასახადების გადიდება, ისე სესხის მიღება, მაგრამ სადაა მისი ბატონობა სახელმწიფოზე? ამ ორიოდე თვის წინათ, როცა ახალი დეფიციტი იყო მოსალოდნელი, ბურჟუაზიას საუკეთესო პოზიცია ჰქონდა. მას შეეძლო მნიშვნელოვანი დათმობანი მიეღო თუ ც ო ტ ა ო დ ე ნ გამძლეობას გამოიჩენდა. რა ქმნა მან? მან საკმაო დათმობად მიიჩნია ის, რომ მთავრობამ ნება მისცა მის ფეხთ ქვეშ ცხრა მილიონი დაედო არა ე რ თ ი წლით, არამედ ყ ო ვ ე ლ წ ლ ი უ რ ა დ მთელი მომავალი დროისთვის.

მე არ მსურს უფრო მეტად გავკიცხო პალატაში მსხდომარე საბრალო ნაციონალ-ლიბერალები, ვიდრე ეს მათ აქვთ დამსახურებული. ვიცი, რომ მათ უმუხთლა ბურჟუაზიის მასამ, რომელიც მათ

[1] ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში. იხ. კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ენ გ ე ლ ს ი, თხზ., ტ. VIII, გვ. 198. რ ე დ.

უკან დგას. ამ მასას არ ს უ რ ს ბატონობა. მას ჯერ კიდევ 1848 წლის ამბები აქვს ძვლასა და რბილში გამჯდარი.

თუ რად იჩენს გერმანელი ბურჟუაზია ასეთ გასაოცარ სიმხდალეს, ამის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

რაც შეეხება დანარჩენს, ზემოთმოყვანილი დებულება სავსებით დადასტურდა. 1850 წლის შემდეგ პატარა სახელმწიფოები თანდათან იჩქმალება, ისინი მხოლოდ ბერკეტს წარმოადგენენ პრუსიის და ავსტრიის ინტრიგებისთვის, ავსტრიასა და პრუსიას შორის თანდათან მწვავდება ბრძოლა ჰეგემონიისთვის, ბოლოს 1866 წ. ხდება ანგარიშის გასწორება ძალმომრეობის შემწეობით, ავსტრია ინარჩუნებს თავის საკუთარ პროვინციებს, პრუსია პირდაპირ ან არაპირდაპირ მთელს ჩრდილოეთს იმორჩილებს, ხოლო სამი სამხრეთ დასავლეთი სახელმწიფო ჯერჯერობით ჰაერში რჩება ჩამოკიდებული.

გერმანელი მუშათა კლასისთვის მთელ ამ მთავარ სახელმწიფოებრივ აქტში მხოლოდ შემდეგს აქვს მნიშვნელობა:

ერთი იმას, რომ მუშებმა საყოველთაო კენჭის ყრის უფლებით შესაძლებლობა მიიღეს უშუალო წარმომადგენლობა იყოლიონ საკანონმდებლო კრებაში.

მეორე იმას, რომ პრუსიამ კარგი მაგალითი გვიჩვენა და გადაყლაპა სამი სხვა გვირგვინი წყალობითა ღვთისათა. მას რომ ამ პროცედურის შემდეგაც იგივე წჭალობითა ღვთისათა შეუბილწავი გვირგვინი ჰქონდეს, რომელსაც წინათ იჩემებდა, ეს თვით ნაციონალ-ლიბერალებსაც კი არ სწამთ.

მესამე იმას, რომ გერმანიაში რევოლუციას მხოლოდ ე რ თ ი სერიოზული მოწინააღმდეგე ჰყავს — პრუსიის მთავრობა.

და მეოთხე იმას, რომ ავსტრიის გერმანელებმა ახლა ბოლოს ეს საკითხი უნდა დასვან და გადაწყვიტონ, რა სურთ მათ, გერმანელობა თუ ავსტრიელობა? რომელ მხარეზე ურჩევნიათ მათ ყოფნა — გერმანიისა თუ გერმანიის გარეშე მყოფი ტრანსლეიტანური მაჩანჩალების მხარეზე? მათ რომ ან ერთი უნდა დასთმონ ან მეორე, ეს დიდიხანია თავისთავად იგულისხმებოდა, მაგრამ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მიერ იგი მუდამ იჩქმალებოდა.

რაც შეეხება 1866 წელთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკამათო საკითხებს, რომელთაც მას შემდეგ დაუსრულებლად იხილავენ, ერთი მხრივ, «ნაციონალ-ლიბერალები», ხოლო, მეორე მხრივ, «სახალხო პარტია», უახლოესი წლების ისტორიამ დაამტკიცა, რომ ეს თვალსაზრისები იმიტომ ებრძვიან ერთმანეთს ასე

მძაფრად, რომ ისინი ერთი და იმავე შეზღუდულობის ერთიმეორის მოპირდაპირე პოლუსებს წარმოადგენენ.

გერმანიის საზოგადოებრივ ურთიერთობაში 1866 წელს თითქმის არაფერი შეუცვლია. ორიოდე ბურჟუაზიული რეფორმა, — ზომა-წონის ერთიანი სისტემა, მიმოსვლის თავისუფლება, სარეწაოების თავისუფლება და სხვ., და ეს ყოველივე ბიუროკრატიისთვის შესაფერ ჩარჩოებში გატარებული, — იმასაც კი ვერ აღწევს, რაც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ბურჟუაზიას უკვე დიდი ხანია აქვს და ხელუხლებლად ტოვებს მთავარ ბოროტებას, ბიუროკრატიული მეურვეობის სისტემას. პროლეტარიატისთვის ყველა ეს კანონი მიმოსვლის თავისუფლებისა, ქვეშევრდომობის, პასპორტის მოსპობის და სხვ. შესახებ სრულიად ილუზორული ხდება მოარული პოლიციური პრაქტიკის წყალობით.

ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე 1886 წლის სახელმწიფოებრივ აქტს, გერმანიაში 1848 წლის შემდეგ მრეწველობისა და ვაჭრობის, რკინიგზებისა, ტელეგრაფისა და ოკეანური ორთქლმავალი ნავოსნობის განვითარებას ჰქონდა. თუმცა ეს პროგრესი უკან რჩება იმავე დროს ინგლისში, თვით საფრანგეთში მიღწეულ პროგრესს, გერმანიაში იგი მაინც უბადლო მოვლენას წარმოადგენს და ოც წელიწადში მან მეტი მოგვცა, ვიდრე სხვა დროს მთელ საუკუნეს მოუცია. გერმანია მხოლოდ ახლა ჩაება სერიოზულად და უკანდაუხევლად მსოფლიო ვაჭრობაში. მრეწველთა კაპიტალები ჩქარა იზრდება, ხოლო ამის შესატყვისად ბურჟუაზიის საზოგადოებრივი მდგომარეობაც სათანადოდ ძლიერდება. ინდუსტრიული აყვავების უტყუარი ნიშანი, სპეკულაცია, ფართოდ გაიშალა და გრაფები და ჰერცოგები მიაბა თავის სატრიუმფო ეტლს. გერმანული კაპიტალი დღეს რუსეთის და რუმინიის რკინიგზებს აგებს — დაე მისთვის დედამიწა მსუბუქი იყოს! — მაშინ როცა ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინათ გერმანული რკინიგზები ინგლისელ მწარმოებლებს მოწყალებას სთხოვდნენ. როგორაა შესაძლებელი, რომ ბურჟუაზიამ პოლიტიკურადაც არ დაიპყრო ხელისუფლება, რომ იგი ასეთ სიმხდალეს იჩენს მთავრობის მიმართ?

გერმანელი ბურჟუაზიის უბედურება ისაა, რომ ჩვეულებრივი გერმანული მანერის მიხედვით მეტად იგვიანებს. მისი აყვავება იმ ხანაში მოხდა, როცა დასავლეთ ევროპის სხვა ერების ბურჟუაზია უკვე პოლიტიკური დაქვეითების გზას ადგას. ინგლისში ბურჟუაზიამ მხოლოდ მას შემდეგ შესძლო მთავრობაში თავისი ნამდვილი

წარმომადგენლის, ბრაიტის შეყვანა, როცა ხმის უფლება გაა-ფართოვა, რასაც შედეგად მთელი ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა უნდა მოჰყვეს. საფრანგეთში, სადაც ბურჟუაზიამ როგორც ასეთმა, როგორც მთლიანმა კლასმა რესპუბლიკაში მხოლოდ ორი წელიწადი, 1849 და 1850 წლები იბატონა, თავისი სოციალური არსებობა მხოლოდ იმით გაიხანგრძლივა, რომ თავისი პოლიტიკური ბატონობა ლუი ბონაპარტსა და ჯარს გადასცა. ხოლო სამ ყველაზე დაწინაურებულ ქვეყანას შორის დაუსრულებლივ მზარდ ურთიერთ ზემოქმედების პირობებში დღეს უკვე შეუძლებელია, რომ გერმანიაში ბურჟუაზიამ შეუშფოთებლად ამართოს თავისი პოლიტიკური ბატონობა იმ დროს, როცა ინგლისსა და საფრანგეთში ეს ბატონობა უკვე დრომოჭმული მოვლენაა.

ბურჟუაზიის განსაკუთრებული თავისებურება ყველა წინადროინდელ გაბატონებულ კლასთან შედარებით სწორედ იმაშია, რომ მის განვითარებაში არსებობს ერთი გარდატეხის პუნქტი, რომლის იქით ყოველი შემდგომი გაზრდა მისი ძლიერების საშუალებათა, მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა მისი კაპიტალებისა მხოლოდ იმას იწვევს, რომ იგი თანდათან ჰკარგავს პოლიტიკური ბატონობის უნარს. «მსხვილი ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს უ კ ა ნ პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ი დ გ ა ნ ». იმდენად, რამდენადაც ბურჟუაზია თავის მრეწველობას, თავის ვაჭრობას და თავის მიმოსვლის საშუალებათ ანვითარებს, იმდენად იგი პროლეტარიატსაც ჰქმნის. და განსაზღვრულ წერტილზე, არა ყველგან ერთსა და იმავე დროს და ერთი და იმავე განვითარების საფეხურზე, იგი ამჩნევს, რომ ეს მისი პროლეტარული ორეული მას წინ უსწრებს ზრდაში. ამ მომენტიდან იგი ჰკარგავს ძალას, მარტოდმარტო იბატონოს პოლიტიკურად; იგი მოკავშირეების ძებნას იწყებს, რომელთაც გარემოების მიხედვით ან თავის ბატონობას გაუნაწილებს ან სრულიად დაუთმობს.

გერმანიაში ამ გარდატეხის პუნქტს ბურჟუაზიამ უკვე 1848 წელს მიაღწია. მაშინ გერმანელ ბურჟუაზიას იმდენად გერმანელი პროლეტარიატისა არ შეშინებია, რამდენიც ფრანგი პროლეტარიატის შეეშინდა. პარიზში 1848 წლის ივნისში მომხდარმა ბრძოლამ მას დაანახვა, რის მოლოდინი უნდა ჰქონოდა მომავალში; გერმანელი პროლეტარიატი საკმაოდ აღელვებული იყო, რათა იმისთვის დაემტკიცებინა, აქაც მიწაზე თესლია გაბნეული იმავე სამკალის მისაღებადო; ამ დღიდან გერმანიის ბურჟუაზიის პოლიტიკურ მოქმედებას სიმძაფრე მოაკლდა. იგი მოკავშირეებს ეძებდა, იგი მათზე

თავის თავს ჰყიდდა რა ფასადაც გსურთ და დღემდე ერთი ნაბიჯით ვერ წასულა წინ.

ეს მოკავშირეები ყველანი რეაქციონური ბუნებისა არიან. აქაა მეფის ხელისუფლება თავისი ჯარითა და თავისი ბიუროკრატიით, აქაა მსხვილი ფეოდალური თავადაზნაურობა, აქ არიან წვრილი სოფლის აზნაურები და თვით ხუცები. ყველა მათ ბურჟუაზია უთანხმდებოდა და უკავშირდებოდა მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი ტყავი შეენარჩუნებია, სანამ მას ბოლოს არაფერი დარჩა გასაყიდი. და რამდენადაც უფრო ვითარდებოდა პროლეტარიატი, რამდენადაც უფრო კლასად გრძნობდა იგი თავის თავს და კლასივით მოქმედებდა, მით უფრო სულმოკლე ხდებოდნენ ბურჟუები. როცა სადოვასთან პრუსიელების გასაოცრად ცუდმა სტრატეგიამ ავსტრიელების კიდევ უფრო საოცრად ცუდი სტრატეგია დაამარცხა, ძნელი სათქმელი იყო, ვინ ამოისუნთქა უფრო თავისუფლად — პრუსიელმა ბურჟუამ, რომელიც აგრეთვე დამარცხებულ იქნა სადოვასთან, თუ ავსტრიელმა.

ჩვენი მსხვილი ბურჟუები 1870 წელს სწორედ ისე მოქმედებენ, როგორც საშუალო ბურგერები 1525 წელს მოქმედებდნენ. რაც შეეხება წვრილ ბურჟუებსა, ხელოსნებსა და მედუქნეებს, ისინი ყოველთვის უცვლელი დარჩებიან. იმათ იმედი აქვთ სხვადასხვა ოინებით მსხვილ ბურჟუაზიაში შევძვრებითო, მათ ეშინიათ პროლეტარიატში არ გადაგვაგდონო. ამ ქანაობაში შიშსა და იმედს შორის ისინი თავიანთ ძვირფას ტყავს იცავენ ბრძოლის დროს, ხოლო ბრძოლის შემდეგ გამარჯვებულს ემხრობიან. ასეთია მათი ბუნება.

მრეწველობის აყვავებას 1848 წლიდან ფეხდაფეხ მისდევდა პროლეტარიატის სოციალური და პოლიტიკური მოქმედება. მარტო ის როლი, რომელსაც გერმანელი მუშები დღეს თავიანთ პროფესიონალურ კავშირებსა, კოოპერატივებსა, პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და კრებებსა, არჩევნებსა და ეგრეთწოდებულ რაიხსტაგში ასრულებენ, ამქლავნებს, რა გადატრიალება განიცადა გერმანიამ შეუმჩნევლად უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში. ეს დიდად სასახელოა გერმანელი მუშებისათვის, რომ მ ა რ ტ ო დ მ ა რ ტ ო მათ შეძლეს მუშები და მუშათა წარმომადგენელები გაეგზავნათ პარლამენტში, მაშინ როცა ეს დღემდე ვერც ფრანგებმა მოახერხეს და ვერც ინგლისელებმა.

მაგრამ არც პროლეტარიატი გაზრდილა იმდენად, რომ შეუძლებელი იყოს მისი შედარება 1525 წელთან. კლასი, რომელიც მთელი

თავისი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ შრომის ხელფასით არსებობს, ჯერ კიდევ სრულიადაც არ წარმოადგენს გერმანელი ხალხის უმრავლესობას. მაშასადამე, იგიც მოკავშირეებისაგანაა დამოკიდებული. ამ უკანასკნელთა მოძებნა კი შეიძლება მხოლოდ წვრილ ბურჟუებსა, ქალაქების ლუმპენპროლეტარიატსა, წვრილ გლეხებსა და სოფლის მოჯამაგირეებს შორის.

წ ვ რ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ე ბ ი ს შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. ისინი მეტად არასაიმედონი არიან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამარჯვება მოპოვებულია, მაგრამ მაშინ მათგან ყურთა სმენა აღარაა ლუდხანებში. ამისდა მიუხედავად მათ შორის ძლიერ კარგი ელემენტებიც მოიპოვებიან, რომელნიც თავისთავად ემხრობიან მუშებს.

ლ უ მ პ ე ნ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი, ეს ყველა კლასის ნაძირალების ხროვა, რომელიც თავის უმთავრეს ბანაკს დიდ ქალაქებში შლის, ყველაზე უარესია შესაძლებელ მოკავშირეთა შორის. ეს ხროვა აბსოლუტურად გამყიდავი და აბსოლუტურად აბეზარია. თუ ფრანგი მუშები ყოველი რევოლუციის დროს სახლებზე წერდნენ: — Mort aux voleurs! — სიკვდილი ქურდებსო, და ზოგიერთს კიდეც ხვრეტდნენ, ეს ხდებოდა არა საკუთრების სიყვარულის შთაგონებით, არამედ იმ სწორი შეგნების ზეგავლენით, რომ უწინარეს ყოვლისა სწორედ ამ ბანდის თავიდან მოშორებაა საჭირო. ყოველი მუშათა ბელადი, რომელიც ამ გარეწარებს გვარდიად იყენებს ან მათ ეყრდნობა, ამით უკვე ამტკიცებს, რომ იგი მოძრაობის მოღალატეა.

წ ვ რ ი ლ ი გ ლ ე ხ ე ბ ი — მსხვილები ხომ ბურჟუაზიას ეკუთვნიან — სხვადასხვა გვარისანი არიან.

ისინი ან ფ ე ო დ ა ლ უ რ ი გ ლ ე ხ ე ბ ი არიან და ბეგარას უხდიან ბატონებს. რაკი ბურჟუაზიას დააგვიანდა ეს ადამიანები ბატონყმური ბეგარისაგან გაენთავისუფლებინა, რაც მისი ვალდებულება იყო, ძნელი არაა მათი დაჯერება, რომ მათი ხსნა მხოლოდ მუშათა კლასს შეუძლია.

ან კიდევ — მ ო ი ჯ ა რ ე ე ბ ი ა რ ი ა ნ. ამ შემთხვევაში უმეტეს ნაწილად იგივე ურთიერთობა არსებობს, როგორიც ირლანდიაში. საიჯარო გადასახადი ისეთი მაღალია, რომ გლეხს თავისი ოჯახით საშუალო მოსავლის დროს მხოლოდ გაჭირვებით შეუძლია თავის გატანა, ცუდი მოსავლის დროს თითქმის დამშეულია, იჯარის გადახდა არ შეუძლია და ამიტომ სავსებით მემამულის მოწყალებაზეა დამოკიდებული. ასეთი ადამიანებისთვის ბურჟუაზია მხოლოდ

იძულებით თუ აკეთებს რამეს. მაშ ვისგან უნდა ელოდნენ ისინი ხსნას, თუ არ მუშებისგან.

გვრჩებიან გლეხები, რომელნიც თავიანთ საკუთარ პატარა მამულებს ამუშავებენ. ისინი უმეტეს შემთხვევაში ისე დატვირთული არიან იპოთეკებით, რომ ჩარჩებისაგან არიან დამოკიდებული სწორედ ისე, როგორც მოიჯარეები მემამულეებისაგან. მათაც მხოლოდ მცირე და ცუდი და კარგი მოსავლის მიხედვით მეტად არასაიმედო შრომის ხელფასი რჩებათ. მათ ყველაზე ნაკლებ უნდა ჰქონდეთ ბურჟუაზიის იმედი, იმიტომ რომ სწორედ ბურჟუები, ჩარჩი კაპიტალისტები სწოვენ სისხლს. მაგრამ ისინი უმეტეს ნაწილად ძალიან ებღაუჭებიან თავიანთ საკუთრებას, თუმცა სინამდვილეში იგი მათ კი არ ეკუთვნის, არამედ ჩარჩს. ამისდა მიუხედავად მათ ის აზრი უნდა ჩაენერგოს, რომ მხოლოდ მაშინ განთავისუფლდებიან ჩარჩებისაგან, თუ ხალხისგან დამოკიდებული მთავრობა ყველა იპოთეკურ ვალს სახელმწიფოსადმი ვალად გადააქცევს და ამით პროცენტებს შეამცირებს. ამის განხორციელება კი მხოლოდ მუშათა კლასს შეუძლია.

ყველგან, სადაც საშუალო და მსხვილი მიწათმფლობელობა ბატონობს, სოფლის მეურნეობის მუშები ყველაზე მრავალრიცხოვან კლასს შეადგენენ სოფლად. ასეა მთელ ჩრდილო და აღმოსავლეთ გერმანიაში და აქ ქალაქის ინდუსტრიულ მუშებს ყველაზე მეტი და ყველაზე ბუნებრივი მოკავშირეები ჰყავთ. როგორც კაპიტალისტი ინდუსტრიული მუშის წინააღმდეგ, ისე მიწათმფლობელი ან მსხვილი მოიჯარე სოფლის მეურნეობის მუშის წინააღმდეგ დგას. იმავე ღონისძიებებმა, რომელნიც პირველთ შველიან, მეორეთაც უნდა უშველონ. ინდუსტრიულ მუშებს შეუძლიათ განთავისუფლდნენ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ბურჟუების კაპიტალს, ე. ი. ნედლ მასალას, მანქანებს, ხელსაწყოებს და საარსებო საშუალებებს, რომელნიც წარმოებისთვის არიან საჭირო, საზოგადოების ე. ი. თავიანთ საკუთრებად აქცევენ და საერთოდ გამოიყენებენ. აგრეთვე სოფლის მეურნეობის მუშებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ თავი დააღწიონ შემაძრწუნებელ სიღატაკეს, თუ უწინარეს ყოვლისა მათი შრომის მთავარი საგანი, თვით მიწა მსხვილ გლეხებისა და კიდევ უფრო მსხვილ ფეოდალ მებატონეების საკუთრებიდან საზოგადოებრივ საკუთრებად იქცევა და სოფლის მეურნეობის მუშების ამხანაგობათა მიერ დამუშავდება მათს საერთო ანგარიშზე. აქ ჩვენ ვადგებით ბაზელის საერთაშორი-

სო მუშათა კონგრესის ცნობილ გადაწყვეტილებას: საზოგადოების ინტერესი მოითხოვს, რომ მიწა საერთო, ნაციონალურ საკუთრებად იქცეს. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა უმთავრესად იმ ქვეყნებისთვის, სადაც მსხვილი მიწათმფლობელობა არსებობს და მასთან დაკავშირებით მსხვილი მამულების დამუშავება ხდება, ხოლო ამ მსხვილ მამულებში ერთი პატრონი და მრავალი დაქირავებული მუშაა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა საერთოდ დღემდე გერმანიაში ჯერ კიდევ გაბატონებული და ამიტომ ეს გადაწყვეტილება ინგლისის შემდეგ სწორედ გერმანიისთვის უაღრესად დროს შესაფერი იყო. მიწათმოქმედი პროლეტარიატი, სოფლელი დღიური მუშები სწორედ ის კლასია, საიდანაც მეფეების დიდი ჯარები იკრიფება. ეს ის კლასია, რომელიც ამჟამად საყოველთაო ხმის უფლების ძალით მრავალ ფეოდალ მებატონეს და იუნკერს გზავნის პარლამენტში; მაგრამ იგი აგრეთვე ის კლასია, რომელიც ყველაზე ახლო დგას ქალაქის ინდუსტრიულ მუშებთან, რომელიც მისი ცხოვრების პირობებს იზიარებს და მასზე კიდევ უფრო ღრმადაა ჩაფლული სიღარიბეში. ეს კლასი უილაჯოა, იმიტომ რომ გაფანტული და დაქსაქსულია; მის ფარულ ძალას მთავრობა და თავადაზნაურობა ისე კარგად იცნობს, რომ სკოლების საქმეს განზრახ აფერხებს, რათა იგი უმეცარი დარჩეს. გერმანიის მუშათა მოძრაობის უახლოესი და უსაჭიროესი ამოცანაა ეს კლასი გამოაცოცხლოს და მოძრაობაში ჩააბას. იმ დღიდან, როცა სოფლის მეურნეობის მუშათა მასა თავისი საკუთარი ინტერესების გაგებას ისწავლის, გერმანიაში შეუძლებელი გახდება ყოველგვარი რეაქციული მთავრობა, იქნება ის ფეოდალური, ბიუროკრატიული თუ ბურჟუაზიული.

* * *

ოთხ წელზე მეტია, რაც ზემოთ მოყვანილი სტრიქონები დაიწერა. მათ დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა. რაც სადოვასა და გერმანიის დანაწილების შემდეგ სწორი იყო, დასტურდება სედანისა და პრუსიის ერის საღმთო გერმანული იმპერიის შექმნის შემდეგაც. ასე ნაკლებ შეუძლიათ ეგრეთწოდებული დიდი პოლიტიკის «მსოფლიოს შემაზანზარებელ» სახელმწიფოებრივ მოქმედებათ ისტორიული მოძრაობის მიმართულება შესცვალონ.

მათ შეუძლიათ მხოლოდ დააჩქარონ ამ მოძრაობის მსვლელობა. ამ მხრივ ზემოაღნიშნული «მსოფლიოს შემაზანზარებელი მოვლენების» შემქმნელებმა ძალაუნებურად წარმატება მოიპოვეს, რაც

თვით მათთვის უეჭველად მეტად არასასურველია, მაგრამ რასაც ისინი ასე თუ ისე უნდა შეურიგდნენ.

ჯერ კიდევ 1866 წლის ომმა შეარყია ძველი პრუსიის დედაბოძნი. დიდი ძალღონის დახარჯვა გახდა საჭირო, რომ 1848 წლის შემდეგ ხელახლა დაეთრგუნათ დასავლეთი პროვინციების აჯანყებული ინდუსტრიული. ბურჟუაზიული და პროლეტარული ელემენტები; მაგრამ ეს მაინც მოხერხდა და სახელმწიფოში ხელახლა აღმოსავლეთ პროვინციების იუნკრების და აგრეთვე არმიის ინტერესები გაბატონდა. 1866 წელს თითქმის მთელი ჩრდილო დასავლეთი გერმანია პრუსიული გახდა. გარდა იმ გამოუსწორებელი ზნეობრივი ზიანისა, რომელიც თავის თავს შეწევნითა ღვთისათა პრუსიის გვირგვინმა მიაყენა იმით, რომ შეწევნითა ღვთისათა სამი სხვა გვირგვინი გადაყლაპა, ახლა მონარქიის სიმძიმის ცენტრმა შესამჩნევად დასავლეთისაკენ გადაინაცვლა. ხუთ მილიონ რაინისმხარელ და ვესტფალელ გერმანელს ჯერ პირდაპირ ანექსიით ოთხი მილიონი მიემატა, ხოლო შემდეგ ექვსი მილიონი, რომელთა ანექსია არაპირდაპირ მოხდა ჩრდილო გერმანიის კავშირის შემწეობით. 1870 წელს კი ამას ზედ დაემატა რვა მილიონი სამხრეთ დასავლეთელი გერმანელი, ისე რომ «ახალ იმპერიაში» თოთხმეტ მილიონ ნახევარ ძველ პრუსიელს (ექვსი ოსტელბური პროვინციიდან, მათ შორის ორი მილიონი პოლონელიც ურევია) დაუპირდაპირდა ოცდახუთი მილიონი სული, რომელიც დიდი ხანია გამოსული იყო ძველი პრუსიული იუნკერთა ფეოდალიზმის არტახებიდან. ამრიგად, სწორედ პრუსიის არმიის გამარჯვებამ სრულიად შეცვალა პრუსიის სახელმწიფოს შენობის საფუძველი; იუნკერთა ბატონობა თანდათან აუტანელი გახდა თვით მთავრობისათვის. მაგრამ ამავე დროს სწრაფად მოხეთქილმა ინდუსტრიულმა განვითარებამ იუნკრების და ბურჟუების ბრძოლა განდევნა ბურჟუების და მუშების ბრძოლით, ისე რომ შიგნითაც ძველი სახელმწიფოს საზოგადოებრივმა საფუძვლებმა სრული გადატრიალება განიცადა. იმ მონარქიის ძირითად პირობას, რომელიც 1840 წლის შემდეგ ნელა იხრწნებოდა, წარმოადგენდა ბრძოლა თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის, ამ ბრძოლაში მონარქია წონასწორობას იცავდა; მაგრამ იმ წუთიდან, როცა საჭირო გახდა უკვე არა თავადაზნაურობის დაცვა ბურჟუაზიის შეტევისაგან, არამედ ყველა შეძლებული კლასის დაცვა მუშათა კლასის შეტევისაგან, ძველი აბსოლუტური მონარქია სავსებით უნდა გადასულიყო საკუთრივ ამ მიზნით შემუშავებულ სახელმწიფოს ფორმაში — ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი ს ტ უ ლ მ ო ნ ა რ ქ ი ა ში. პრუსიის ეს გადას-

ვლა ბონაპარტიზმში მე უკვე განვიხილე სხვა ადგილას («ბინის საკითხისათვის», მეორე განყოფილება, გვ. 26 და შემდ)[1]. მაგრამ მე იქ შემეძლო ხაზგასმით არ აღმენიშნა ერთი ფაქტი, აქ კი მას არსებითი მნიშვნელობა აქვს; სახელდობრ ის, რომ ეს გადასვლა უ დ ი დ ე ს ი ნ ა ბ ი ჯ ი იყო, რომელიც პრუსიამ წინ გადადგა 1848 წლის შემდეგ, იმდენად ჩამორჩენილი იყო ეს სახელმწიფო თანამედროვე განვითარებას. იგი მანამდე ნახევრად ფეოდალური სახელმწიფო იყო, ბონაპარტიზმი კი ყოველ შემთხვევაში თანამედროვე სახელმწიფოებრივი ფორმაა, რომლის წინასწარ პირობას ფეოდალიზმის მოსპობა წარმოადგენს. მაშასადამე, პრუსია იძულებულია გაანადგუროს მრავალი ფეოდალური ნაშთი, მოსპოს იუნკრობა როგორც ასეთი. რა საკვირველია, ეს ურბილეს ფორმაში ხდება, საყვარელი მელოდიის მიხედვით: «Immer langsam voran»[2]. ეს ითქმის, მაგალითად, ცნობილ საოლქო განრიგებაზე. იგი სპობს ცალკე იუნკერის პრივილეგიებს მათს მამულში, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ხელახლა აღადგინოს მსხვილი მიწათმფლობელების პრეროგატივები მთელს ოლქში. საქმე არსებითად უცვლელი რჩება, მხოლოდ იგი ფეოდალური დიალექტიდან ბურჟუაზიულად ითარგმნება. ძველი პრუსიელი იუნკერი ძალდატანებით რაღაც ინგლისელი სკვაირის მსგავს არსებად იქცევა, და მას არაფერი უნდა ჰქონოდა ამის საწინააღმდეგო, იმიტომ რომ ერთიც ისევე სულელია, როგორც მეორე.

ამრიგად, პრუსიას უცნაური ბედი ეწვია, თავისი ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელიც მან 1808–1813 წელს დაიწყო და 1848 წელს რამდენიმედ წინ წასწია, ამ საუკუნის დამლევს ბონაპარტიზმის სასიამოვნო ფორმაში დაესრულებინა. და თუ საქმე კარგად წავიდა, ქვეყნიერებაზე მშვიდობა იქნა და ჩვენ ყველანი უდროოდ არ დავიხოცენით, შეიძლება 1900 წელს მოვესწროთ, რომ მთავრობამ პრუსიაში მართლაც ყველა ფეოდალური დაწესებულება მოსპოს, რომ პრუსიამ ბოლოს იმ პუნქტს მიაღწიოს, სადაც საფრანგეთი 1792 წელს იმყოფებოდა.

ფეოდალიზმის მოსპობა, პოზიტიურად რომ ვთქვათ, ბურჟუაზიული წყობის დამყარებას ნიშნავს. იმდენად, რამდენადაც თავადაზნაურობის პრივილეგიები ნადგურდება, კანონმდებლობა ბურჟუაზიული ხდება. და აქ ჩვენ ვეჯახებით მთავრობისადმი გერმანელი ბურჟუაზიის დამოკიდებულების ძირითად პუნქტს. ჩვენ დავინახეთ, რომ მთავრობა ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა ეს ნელი და უბადრუკი რე-

[1] იხ. ამ ტომის გვ. 702. რ ე დ.

[2] სულ წინ ნელი ნაბიჯით. რ ე დ.

ფორმები შემოიღოს. მაგრამ ბურჟუაზიას იგი თვითეულ დათმობას ისე აჩვენებს, თითქოს იგი ბურჟუებისადმი მიძღვნილი მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი იყოს, მეფის ხელიდან ტანჯვა-წვალებით გამოგლეჯილი დათმობა, რისთვისაც ბურჟუებმაც მთავრობას რაიმე უნდა დაუთმონ. და თუმცა ბურჟუები საკმაოდ იცნობენ საქმის ვითარებას, მაინც იტყუებენ თავს. აქედან წარმოდგა ის მდუმარე შეთანხმება, რომელიც რაიხსტაგის და პრუსიის პალატის კამათის ფარულ საფუძველს წარმოადგენს ბერლინში. ერთი მხრივ, მთავრობა ბურჟუაზიის ინტერესებისათვის კანონების რეფორმას ახდენს კუს ნაბიჯით, სპობს ინდუსტრიის ფეოდალურ და სახელმწიფოს დაქუცმაცებიდან წარმომდგარ დაბრკოლებათ, ახდენს ფულის, ზომის და წონის ერთიანობას, სარეწაოების თავისუფლებას და სხვ., მიმოსვლის თავისუფლებას აწესებს და კაპიტალის შეუზღუდველ განკარგულებაში აძლევს გერმანიის სამუშაო ძალას, ხელს უწყობს ვაჭრობას და სპეკულაციას; მეორე მხრივ, ბურჟუაზია მთავრობას უთმობს მთელ ნამდვილ პოლიტიკურ ძალას, ხმას აძლევს გადასახადების გაღებას, სესხის აღებას და ჯარისკაცების გაწვევას და ხელს უწყობს ახალი სარეფორმო კანონების ისე შედგენას, რომ ძველმა პოლიციურმა ხელისუფლებამ მთელი ძალა შეინარჩუნოს მისთვის არასასურველი პირების მიმართ. თავის თანდათანობითს საზოგადოებრივ განთავისუფლებას ბურჟუაზია ყიდულობს იმით, რომ ახლავე უარს ამბობს საკუთარ პოლიტიკურ ხელისუფლებაზე. რასაკვირველია, მთავარი მამოძრავებელი მოტივი, რომლის გამოც ბურჟუაზიისათვის ასეთი შეთანხმება მისაღები ხდება, არ არის შიში მთავრობის წინაშე, არამედ შიში პროლეტარიატის წინაშე.

მაგრამ რა რიგ უბადრუკადაც უნდა გამოდიოდეს ჩვენი ბურჟუაზია პოლიტიკურ ასპარეზზე, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ იგი მრეწველობასა და ვაჭრობაში ბოლოს თავის ვალდებულებას ასრულებს. მრეწველობის და ვაჭრობის აყვავებამ, რომელზეც მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში მივუთითე, შემდეგ კიდევ მეტი სიძლიერით იჩინა თავი. რაც ამ მხრივ 1869 წლის შემდეგ რაინ-ვესტფალიის სამრეწველო ოლქში ხდება, გერმანიისთვის პირდაპირ უბადლო მოვლენას წარმოადგენს და იმ აყვავებას მოგვაგონებს, რომელიც XIX საუკუნის დამდეგს ინგლისის საფაბრიკო ოლქებში მოხდა. იგივე მოხდება საქსონიასა და ზემოსილეზიაში, ბერლინსა, ჰანოვერსა და ზღვისპირა ქალაქებში. ჩვენ ბოლოს მსოფლიო ვაჭრობა, ნამდვილი მსხვილი მრეწველობა გვაქვს, ნამდვილი თანამედროვე ბურჟუაზია გვყავს; მაგრამ

სამაგიეროდ ნამდვილი კრახიც[1] გვქონდა და აგრეთვე ნამდვილი, ძალოვანი პროლეტარიატიც გაგვიჩნდა.

მომავალი ისტორიკოსისათვის გერმანიის მატიანეში 1869 წლიდან 1874 წლამდე შპიხერნის, მარს ლატურის და სედანის თოფზარბაზნების გრგვინვას და ყოველივეს, რაც ამასთანაა დაკავშირებული, ბევრად ნაკლები მნიშვნელობა ექნება, ვიდრე გერმანელი პროლეტარიატის უპრეტენზიო, წყნარი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მუდამ წინ შიმავალ განვითარებას. უკვე 1870 წელს გერმანელმა მუშებმა მძიმე გამოცდა ჩააბარეს. ეს იყო ბონაპარტისტული ომის პროვოკაცია და მისი ბუნებრივი შედეგი — საყოველთაო ნაციონალური აღფრთოვანება გერმანიაში. გერმანელი სოციალისტი მუშები ერთი წუთითაც არ მოტყუებულან. მათ ნაციონალური შოვინიზმის ნატამალიც არ გამოუჩენიათ. გამარჯვებით გამოწვეულ შმაგ ღრიანცელში მათ გულგრილობა შეინარჩუნეს, მოითხოვდნენ «სამართლიან ზავს საფრანგეთის რესპუბლიკასთან და ანექსიების უარყოფას», და თვით საალყო წესების შემოღებას არ შეეძლო მათი დაჩუმება. ისინი არ გაუტაცნია არც სამხედრო სახელს, არც ფრაზებს «გერმანიის იმპერიის დიდებაზე»; მათი ერთადერთი მიზანი მთელი ევროპის პროლეტარიატის განთავისუფლება იყო. თამამად შეიძლება ვთქვათ: ასეთი მძიმე გამოცდის ასე ბრწყინვალედ ჩაბარება დღემდე არც ერთი სხვა ქვეყნის მუშებს არ რგებია წილად.

ომის დროის საალყო მდგომარეობას მოჰყვა მშვიდობიანობის დროის პროცესები სახელმწიფოს ღალატსა, მეფის და მოხელეების შეურაცხყოფაზე, მშვიდობიანობის დროის პოლიციის გაბორტეებული აბეზარობა, რომელიც თანდათან მატულობდა. «Volksstaat»-ის რედაქციიდან ჩვეულებრივ სამი-ოთხი კაცი იჯდა სატუსაღოში, სხვა გაზეთებიდან შესაფერი რიცხვი. ყოველი მეტად თუ ნაკლებად ცნობილი პარტიული ორატორი იძულებული იყო ერთხელ მაინც წელიწადში სასამართლოს წინაშე წამდგარიყო, სადაც მას თითქმის ყოველთვის სასჯელს გადაუწყვეტდნენ ხოლმე. სეტყვასავით გახშირდა გაძევება, კონფისკაცია, კრებების დაშლა. მაგრამ ყოველივე ამაო აღმოჩნდა. თვითეული გაძევებულის ან დატუსაღებულის ადგილს მაშინვე მეორე იჭერდა; თვითეული დაშლილი კრების მაგივრად ორ ახალს იწვევდნენ და პოლიციის თვითნებობას გამძლეობითა და კანონების ზედმიწევნით დაცვით თანდათან ღლიდნენ. ყოველი დევნა განზრახული მიზნის საწინააღმდეგო შედეგს იწვევდა; იმის მაგივრად, რომ მას მუშათა პარტია გაეტეხა ან თუნდაც მოედრიკა, იგი მას მხო-

[1] იგულისხმება 1873 — 1874 წ. კრიზისი. რ ე დ.

ლოდ ახალ მიმდევრებს უძენდა და ორგანიზაციას უმაგრებდა. თავიანთ ბრძოლაში ხელისუფალთა და ცალკე ბურჟუების წინააღმდეგ მუშებმა ყველგან გონებრივი და ზნეობრივი უპირატესობა გამოიჩინეს და განსაკუთრებით თავიანთ კონფლიქტში ეგრეთწოდებულ «სამუშაოს მიმწოდებლებთან» დაამტკიცეს, რომ დღეს მუშები განათლებული ადამიანები არიან, ხოლო კაპიტალისტები უმეცრები. ამასთანავე ისინი ბრძოლას უმეტეს შემთხვევაში ჰუმორით აწარმოებენ, რაც იმის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს, რომ მათ სწამთ თავიანთი საქმე და შეგნებული აქვთ თავიანთი უპირატესობა. ასე წარმოებულმა ბრძოლამ ისტორიულად მომზადებულ ნიადაგზე კარგი ნაყოფი უნდა მოგვცეს. იანვრის არჩევნების შედეგები ჯერჯერობით უბადლო მოვლენას წარმოადგენს თანამედროვე მუშათა მოძრაობის ისტორიაში, და განცვიფრება, რომელიც მან მთელს ევროპაში გამოიწვია, სავსებით გამართლებულია.

გერმანელ მუშებს დანარჩენი ევროპის მუშების წინაშე ორი არსებითი უპირატესობა აქვთ. პირველი — ის, რომ ისინი ევროპის ყველაზე უფრო თეორეტიკოს ერს ეკუთვნიან და შენარჩუნებული აქვთ ის თეორიული გულისყური, რომელიც ეგრეთწოდებულ «განათლებულ» კლასებს სრულიად დახშული აქვთ გერმანიაში. გერმანული მეცნიერული სოციალიზმი, — ერთადერთი მეცნიერული სოციალიზმი, რომელიც კი ოდესმე არსებულა, ვერასოდეს ვერ შეიქმნებოდა, თუ მას წინამორბედად გერმანული ფილოსოფია, განსაკუთრებით ჰეგელის ფილოსოფია არ ჰქონებოდა. მუშებს რომ თეორიული გულისყური არ ჰქონოდათ, ეს მეცნიერული სოციალიზმი ვერასოდეს ვერ შეესისხლხორცებოდა მათ იმ ზომამდე, როგორც ამას ახლა ვხედავთ. ხოლო თუ რა განუზომლად დიდია ეს უპირატესობა, ამას გვიჩვენებს, ერთი მხრივ, ის გულგრილობა ყოველგვარი თეორიისადმი, რომელიც ერთი მთავარ მიზეზთაგანია იმისა, თუ ინგლისური მუშათა მოძრაობა რისთვის მიდის წინ ასე ნელა, მიუხედავად ცალკე პროფესიათა საუცხოვო ორგანიზაციისა, ხოლო მეორე მხრივ, ამას გვიჩვენებს ის არევდარევა და მერყეობა, რომელიც პრუდონიზმმა დათესა თავისი პირვანდელი ფორმით ფრანგებსა და ბელგიელებს შორის, ხოლო ბაკუნინის მიერ გაკარიკატურებული ფორმით — ესპანელებსა და იტალიელებს შორის.

მეორე უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ გერმანელები მუშათა მოძრაობაში თითქმის ყველაზე გვიან ჩაებნენ. როგორც გერმანული თეორიული სოციალიზმი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს, რომ იგი სენ-სიმონის, ფურიეს და ოუენის მხრებზე დგას, იმ სამი მოაზ-

როვნის მხრებზე, რომელნიც მიუხედავად მათ მოძღვრებათა მთელი ფანტასტიურობისა და მთელი უტოპიზმისა, ყველა დროის უდიდეს მოაზროვნეებს ეკუთვნიან და რომელთაც გენიალურად წინასწარ განჭვრიტეს მრავალი ისეთი ჭეშმარიტება, რომელთა სისწორეს ჩვენ ახლა მეცნიერულად ვამტკიცებთ, — ისევე გერმანიის პრაქტიკულმა მუშათა მოძრაობამ არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი განვითარდა ინგლისისა და საფრანგეთის მუშათა მოძრაობის მხრებზე, რომ მას შესაძლებლობა ჰქონდა უბრალოდ გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ ის გამოცდილება, რომელიც ასე ძვირად დაუჯდა ფრანგებსა და ინგლისელებს, და თავიდან აეცილებინა ახლა მათი შეცდომები, რომელთა აცილება უმეტეს შემთხვევაში მაშინ არ შეიძლებოდა. სად ვიქნებოდით ჩვენ ახლა, რომ ინგლისის ტრედ-უნიონთა და საფრანგეთის მუშათა პოლიტიკური ბრძოლის ნიმუშით არ გვესარგებლნა და ის კოლოსალური ბიძგი არ მიგვეღო, რომელიც განსაკუთრებით პარიზის კომუნამ მოგვცა!

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გერმანელმა მუშებმა იშვიათი ოსტატობით გამოიყენეს თავიანთი მდგომარეობის უპირატესობანი. პირველად მას შემდეგ, რაც მუშათა მოძრაობა არსებობს, ბრძოლა გეგმაშეწონილად წარმოებს სამივე მიმართულებით, ერთმანეთთან შეთანხმებულად და შეკავშირებულად: თეორიული, პოლიტიკური და პრაქტიკულ-ეკონომიური მიმართულებით (წინააღმდეგობა კაპიტალისტებისადმი). სწორედ ამ, ასე ვთქვათ, კონცენტრიულ თავდასხმაში მდგომარეობს გერმანიის მუშათა მოძრაობის სიძლიერე და უძლეველობა.

ერთი მხრივ, მათი ამ ხელსაყრელი მდგომარეობის გამო, და, მეორე მხრივ, ინგლისის მუშათა მოძრაობის კუნძულებრივ თავისებურებათა და საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ძალადობით დათრგუნვის გამო, გერმანელი მუშები ამჟამად პროლეტარული ბრძოლის სათავეში არიან მოქცეული. შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება, რამდენს ხანს დატოვებს მათ მოვლენათა განვითარება ამ საპატიო პოსტზე. მაგრამ სანამ მათ იგი უჭირავთ, იმედი უნდა ვიქონიოთ, ღირსეულად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებას, ამისთვის საჭიროა ძალღონის გაორკეცებული დაძაბვა ბრძოლისა და აგიტაციის ყოველ სფეროში. განსაკუთრებით ბელადების მოვალეობა იქნება სულ უფრო და უფრო გათვითცნობიერდნენ ყველა თეორიულ საკითხში, სულ უფრო და უფრო განთავისუფლდნენ ძველი მსოფლმხედველობის ტრადიციული ფრაზების გავლენისაგან და მუდამ მხედველობაში იქონიონ, რომ სოციალიზმი

მას შემდეგ, რაც ის მეცნიერებად იქცა, მოითხოვს, რომ მას სწორედ ისე უნდა მოექცნენ, როგორც მეცნიერებას, ე. ი. შეისწავლონ იგი. საჭიროა, რომ ამრიგად შეძენილი და სულ უფრო და უფრო გამორკვეული ცნობიერება სულ უფრო მეტი გულმოდგინებით გავავრცელოთ მუშათა მასებში და როგორც პარტიის, ისე პროფკავშირების ორგანიზაცია უფრო და უფრო მტკიცედ დავრაზმოთ.... თუ იანვრის არჩევნებში სოციალისტების სასარგებლოდ მიცემული ხმები უკვე მოზრდილ არმიას წარმოადგენენ, ისინი მაინც გერმანიის მუშათა კლასის უმრავლესობას არ გამოხატავენ; და რა რიგ გამამხნევებელიც არ უნდა იყოს იმ პროპაგანდის შედეგები, რომელიც სოფლის მოსახლეობაში სწარმოებს, აქ მაინც უსაზღვროდ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი. მაშასადამე, უნდა შევეცადოთ, რომ ბრძოლაში არ დავიქანცოთ, მტერს ერთი ქალაქი, ერთი საარჩევნო ოლქი წავართვათ მეორის მიყოლებით; მაგრამ უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ შევინარჩუნოთ ნამდვილი ინტერნაციონალური შეგნება, რომელიც ხელს უშლის ყოველივე შოვინისტური პატრიოტიზმის განვითარებას და სიხარულით მიესალმება ხოლმე ყოველივე ახალ ნაბიჯს პროლეტარულ მოძრაობაში, სულ ერთია რომელი ერიც უნდა სდგამდეს მას. თუ გერმანელი მუშები განაგრძობენ ასე წინსვლას, ისინი არამც თუ მოძრაობის სათავეში იქნებიან, — მოძრაობის ინტერესი სრულიად არ მოითხოვს, რომ ერთი რომელიმე ერის მუშები მის სათავეში მოხვდნენ, — არამედ საპატიო ადგილს დაიჭერენ მებრძოლთა მწკრივებში და ისინიც თავით ფეხებამდე შეიარაღებული იქნებიან, თუ მოულოდნელად მძიმე განსაცდელმა ან დიდმა ამბებმა მათგან უფრო დიდი ვაჟკაცობა, უფრო დიდი გამბედაობა და ენერგია მოითხოვა.

ლონდონი, 1 ივლისი 1874 წ.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ, პირველი ნაწილი 1870 წელს, მეორე ნაწილი 1874 წლის 1 ივლისს. დაბეჭდილია **შრომის «გლეხთა ომი გერმანიაში»** მეორე და მესამე გამოცემებში, **რომლებიც ლაიპციგში გამოვიდა** 1870 და 1875 წ. წ.

იბეჭდება მესამე გამოცემის ტექსტის მიხედვით. **თარგმანი გერმანულიდან.**

ს ა ძ ი ებ ლ ებ ი

მნიშვნელოვან სახელთა საძიებელი

ა

ა ი ი (Ailly), პ ი ე რ (1350—1420) — ფრანგი კარდინალი — 379.

ა ლ ბ ე რ ი — იხ. მარტენი, ალექსანდრე.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე ლ ი (356—323 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — 75, 259, 327.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე II (1818—1881) — რუსეთის მეფე (1855—1881) —477.

ა ურ ე ნ გ ზ ე ბ ი (1619—1707) — ინდოეთის იმპერატორი (1658—1707) «დიდ მოღოლთა» დინასტიიდან — 385.

ა ფ რ ი (Affre) (1793—1848) — პარიზის არქიეპისკოპოსი, რომელმაც ივნისის ბრძოლების დროს სცადა ჯარისკაცებისა და ბარიკადის მებრძოლების შერიგება; მოკლულ იქნა ერთ-ერთ ბარიკადთან მთავრობის ჯარისკაცების ტყვიით — 623.

ბ

ბ ა ბ ე ფ ი (Babeuf), ფ რ ა ნ ს უ ა ნ ო ე ლ (გრაკხი) (1760—1797) — ფრანგი რევოლუციონერი, კომუნისტ-უტოპისტი, ორგანიზატორი «თანასწორთა შეთქმულებისა», რომლის აღმოჩენის შემდეგ იგი დასჯილ იქნა — 45.

ბ ა ზ ე (Baze), ჟ ა ნ (1800—1881) — ფრანგი ადვოკატი და პოლიტიკური მოღვაწე, ორლეანისტი — 348, 365.

ბ ა ი ი (Bailly), ჟ ა ნ-ს ი ლ ვ ე ნ (1736—1793)—საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროის პოლიტიკური მოღვაწე, ჟირონდისტი — 269.

ბ ა კ უ ნ ი ნ ი, მ ი ხ ე ი ლ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს-ძ ე (1814—1876) — 3, 6, 633, 710, 758.

ბ ა ლ ზ ა კ ი (Balzac), ო ნ ო რ ე დ ე (1799—1850) — 383.

ბ ა რ ა გ ე დ' ი ლ ი ე (Baraguey d'Hilliers) ა შ ი ლ (1795 — 1878) — ფრანგი გენერალი, დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრებების დეპუტატი (1848—1851), ბონაპარტისტი — 214, 236, 350.

ბ ა რ ბ ე ს ი (Barbés) ა რ მ ა ნ (1809—1870) — ფრანგი რევოლუციონერი, წვრილბურჟუაზიული დემოკრატი — 190, 242, 402.

ბ ა რ ო შ ი (Baroche), პ ი ე რ-ჟ ი უ ლ (1802—1870) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე; ივლისის მო-

ნარჭიის დროს ზომიერ ლიბერალურ მონარქიულ ოპოზიციას ეკუთვნოდა, შემდეგ ბონაპარტისტი გახდა — 242, 319, 331, 337, 341.

ბარო (Barrot), ოდილონ (1791—1873) — მონარქიული ოპოზიციის ლიდერი ლუი ფილიპეს დროს; ლუი ბონაპარტეს პრეზიდენტობისას პირველ სამინისტროს მეთაურობდა — 134, 143, 170, 182, 191, 196, 206, 207, 214, 218, 219, 289, 291, 295, 310, 312, 322, 339, 341, 349, 350.

ბარტონი (Barton), ჯონ — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი; წერდა XVIII საუკუნის ბოლოს — 509.

ბასტია (Bastiat), ფრედერიკ (1801—1850) — ფრანგი ვულგარული ეკონომისტი — 138, 447.

ბასტიდი (Bastide), ჟიულ (1800—1879) — ფრანგი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი, 1830 წ. რევოლუციის მონაწილე, «National»-ის ერთ-ერთი რედაქტორი, საგარეო საქმეთა მინისტრი (1848) — 174.

ბებელი (Bebel), ავგუსტ (1840—1913) — ერთ-ერთი დამაარსებელი და გამოჩენილი მოღვაწე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა — 125.

ბედო (Bedeau), მარი-ალფონს (1804—1863) — ფრანგი გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე, დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრი (1848), დამფუძნებელი კრების ვიცე-პრეზიდენტი — 295, 337.

ბელე (Beslay). შარლ (1795—1878) — ფრანგი ინჟენერი, პარიზის კომუნის გამოჩენილი წევრი, მემარჯვენე პრუდონისტი — 581.

ბენუა დ' აზი (Benoist d' Azy), დენი (1796—1880) — ფრანგი ფინანსისტი და პოლიტიკური მოღვაწე, მონარქისტი — 342, 347.

ბერიე (Berryer), პიერ ანტუან (1790—1868) — ცნობილი ფრანგი ადვოკატი და პოლიტიკური მოღვაწე, ლეგიტიმისტი — 219, 300, 318, 339, 347, 349, 351, 356.

ბერიელი (Berry), ჰერცოგის ცოლი (1798—1870) — კარლოს X-ის მეორე ვაჟის ქვრივი, საფრანგეთის სამეფო ტახტის ლეგიტიმისტური პრეტენდენტის გრაფ შამბორის დედა — 577.

ბიიო (Billault), ოგიუსტ ადოლფ (1805—1863)— ფრანგი ადვოკატი და პოლიტიკური მოღვაწე, დამფუძნებელი კრების წევრი (1848—1849), მეორე იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი — 342.

ბისმარკი (Bismarck), ოტო ედუარდ (1815—1898) — 118, 122, 125, 134, 135, 542, 545, 559, 568, 575, 577, 580, 582, 584, 601, 609, 612, 616, 623, 624, 629, 687, 696, 701.

ბიუხნერი (Büchner), ლუდვიგ (1824—1899) — გერმანელი ექიმი, ბუნებისმეტყველების პოპულარიზატორი, ფილოსოფიაში ვულგარული მატერიალისტი — 418.

ბლანი (Blanc), ლუი (1811—1882) — ფრანგი წვრილ-ბურჟუაზიული სოციალისტი — 48, 144, 146, 151, 157, 160, 170, 185, 201, 240, 267.

ბლანკი (Blanqui), ლუი-ოგიუსტ (1805—1881) — ფრანგი რევოლუციონერი კომუნისტ-უტო-

პისტი — 159, 160, 190, 238, 240, 242, 275, 402, 549, 584, 587, 623.
ბ ლ ო კ ი (Block), მ ო რ ი ს (1816—1901) — ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი და სტატისტიკოსი — 518.
ბ ო გ უ ს ლ ა ვ ს კ ი (Boguslawski), ა ლ ბ ე რ ტ (1834—1905) — პრუსიელი გენერალი და სამხედრო მწერალი — 132, 134.
ბ ო მ ა რ შ ე (Beaumarchais), პ ი ე რ-ო გ ი უ ს ტ ე ნ (1732—1799) — ფრანგი მწერალი-სატირიკოსი — 190.
ბ ო ნ ა პ ა რ ტ ე — იხ. ნაპოლეონ III.
ბ რ ა ი ტ ი (Bright), ჯ ო ნ (1811—1889) — ინგლისელი ლიბერალი, ვაჭრობის თავისუფლების მომხრე; კობდენთან ერთად მეთაურობდა პურის კანონების წინააღმდეგ ბრძოლის ლიგას — 224, 748.
ბ რ ე ა (Bréa), ჟ ა ნ-ბ ა ტ ი ს ტ-ფ ი-დ ე ლ (1790—1848) — ფრანგი რეაქციონერი გენერალი; მოკლულ იქნა პარიზის პროლეტარიატის ივნისის აჯანყების დროს — 201.
ბ რ ი ს ო (Brissot), ჟ ა კ-პ ი ე რ (1754—1793)— საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროის პოლიტიკური მოღვაწე, ჟირონდისტების ბელადი — 442.
ბ რ ი უ ნ ე ლ ი (Brunel), ა ნ ტ უ ა ნ-მ ა გ ლ უ ა რ (1830—1871) — პარიზის კომუნის წევრი, ბლანკისტი, ნაციონალური გვარდიის ც. კ-ის წევრი — 627.
ბ რ ო ლ ი (Broglie), ა შ ი ლ-შ ა რ ლ (1785—1870) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ორლეანისტი — 318, 349.
ბ რ უ ტ უ ს ი მ ა რ კ უ ს ი უ ნ ი უ ს (85—42 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — რომაელი რესპუბლიკელი, კეისრის წინააღმდეგ შეთქმულების მეთაური — 268.
ბ უ ა გ ი ლ ბ ე რ ი (Boisguillebert), პ ი ე რ (1646—1714) — ფრანგი ეკონომისტი, ფიზიოკრატების წინამორბედი — 227.
ბ უ რ ბ ო ნ ე ბ ი — საფრანგეთის სამეფო დინასტია, რომელიც მეფობდა საფრანგეთში XVI საუკუნის დამლევიდან 1792 წლამდე და რესტავრაციის პერიოდში (1814—1830) — 197, 219, 227, 288, 297, 344, 345, 348, 373.

გ

გ ა ლ ი ფ ე (Gallifet), გ ა ს ტ ო ნ (1830—1909) — ფრანგი გენერალი, პარიზის კომუნის ჯალათი — 591, 593, 626.
გ ა მ ბ ე ტ ა (Gambetta), ლ ე ო ნ (1838—1882) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე; ემხრობოდა რესპუბლიკური პარტიის ზომიერ ფრთას; ნაციონალური თავდაცვის მთავრობის წევრი (1870) — 574.
გ ა ნ ე ს კ ო (Ganesco), გ რ ი გ ო რ ი (1830—1877) — ფრანგი პუბლიცისტი, წარმოშობით რუმინელი — 607.
გ ი ზ ო Guizot), ფ რ ა ნ ს უ ა პ ი ე რ (1787—1874) — ფრანგი ბურჟუაზიული ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, მონარქისტი — 10, 138, 142, 143, 165, 174, 182, 191, 214, 220, 268, 283, 348, 349, 369, 383, 407, 579.
გ ი ნ ა რ ი (Guinard), ო გ ი უ ს ტ-ჟ ო ზ ე ფ (1799—1874) — ფრანგი წვრილბურჟუაზიული დემოკრატი — 242.
გ ლ ა დ ს ტ ო ნ ი (Gladstone), ვ ი-ლ ი ა მ (1809—1898)—გამოჩენილი

ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, ლიბერალური პარტიის ლიდერი XIX საუკუნის მეორე ნახევარში — 427.

გოეთე (Goethe) იოჰან ვოლფგანგ (1749—1832) — 392, 731.

ვორჩაკოვი, ალექსანდრე მიხეილის-ძე (1798—1883) — რუსი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე, საგარეო საქმეთა მინისტრი (1856—1882) — 568.

გრაკხები, ძმები — ტიბერიუსი (162—133 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) და გაიუსი (153—121 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ბელადები აგრარულ-რევოლუციური მოძრაობისა, რომელშიც აისახა ძველი რომის წვრილი გლეხობის ინტერესები — 134, 268.

გრანდენი (Grandin), ვიქტორ (1797—1849) — ფრანგი ფაბრიკანტი და პოლიტიკური მოღვაწე ლუი ფილიპეს დროს, კონსერვატორი — 138.

გრანიე დე კასანიაკი (Granier de Casagnac), ბერნარ ადოლფ (1806—1880) — ფრანგი ჟურნალისტი, 1848 წ. რევოლუციამდე ორლეანისტი, შემდეგ აქტიური ბონაპარტისტი, საკანონმდებლო კორპუსის წევრი — 252—253, 383.

გრიუნი (Grün), კარლ-თეოდორ (1817—1887) — გერმანელი პუბლიცისტი, ეგრეთწოდებული «ჭეშმარიტი სოციალიზმის» ერთ-ერთი წარმომადგენელი — 43, 443.

გუდშო (Goudchaux), მიშელ (1797—1862) — საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი (1848) — 170.

დ

დანტე ალიგიერი (1265—1321) — 517.

დანტონი (Danton), ჟორჟ ჟაკ (1759—1794)—საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწე — 267.

დარბუა (Darboy), ჟორჟ (1813—1871) — პარიზის არქიეპისკოპოსი, რომელიც კომუნარებმა სიკვდილით დასაჯეს — 623.

დარვინი (Darwin), ჩარლზ (1809—1882) — 5.

დემოსთენე (დაახ. 384—322 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ძველი ბერძენი ორატორი — 219.

დემულენი (Desmoulins), კამილ (1760—1794) — საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწე, ჟურნალისტი, მემარჯვენე იაკობინელი — 268.

დეფლოტე (De Flotte), პოლ (1817—1860) — ფურიეს მიმდევარი, პარიზში 15 მაისის მოძრაობისა და 1848 წ. ივნისის აჯანყების მონაწილე, საკანონმდებლო კრების დეპუტატი (1851) — 240, 241, 318.

დიოკლეტიანე, გაიუს ავრელიუს ვალერიუს (დაახ. 245 — დაახ. 313 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — რომის იმპერატორი (284—305) — 135.

დიუვალი (Duval), ემილ (1841—1871) — ფრანგი მუშა, I ინტერნაციონალის წევრი, პარიზის კომუნის ერთ-ერთი გენერალი; დახვრეტილ იქნა ვერსალელების მიერ 3—4 აპრილის გამოხდომის დროს — 591.

დიუკლერი (Duclerc), შარლ-თეოდორ-ეჟენ (1812—1888) — ფრანგი ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე, გაზეთ «Na-

tional»-ის რედაქციის წევრი (1840—1846), 1848 წ. მაისიდან ივნისამდე ფინანსთა მინისტრი. შემდეგში ბანკის «Crédit Mobilier» ერთ-ერთი დირექტორი — 193.

დიუკპესიო (Ducpétiaux), ედუარ (1804—1868) — ბელგიელი პუბლიცისტი, ბურჟუაზიული ეკონომისტი, ბელგიის საპყრობილეებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების გენერალური ინსპექტორი — 671.

დიუნუაიე (Dunoyer), შარლ (1786—1862) — ფრანგი ეკონომისტი, ბურჟუაზიული ლიბერალი — 446, 447.

დიუპენი (Dupin), ანდრე მარი (1783—1865) — ფრანგი ადვოკატი, ორლეანისტი; 1848 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ საკანონმდებლო კრების პრეზიდენტი — 251, 326, 331, 332.

დიუპონ დელ'ერ (Dupont de l'Eure), ჟაკ შარლ (1767—1855) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, 1848 წ. რევოლუციის წინ საბანკეტო კამპანიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და დროებითი მთავრობის პრეზიდენტი — 144.

დიუპრა (Duprat), პიერ პასკალ (1815—1885) — დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრებების დეპუტატი (1848—1851), კავენიაკისათვის დიქტატორის უფლებამოსილობის მინიჭების შესახებ 1848 წ. 24 ივნისის დადგენილების ინიციატორი, ლუი ბონაპარტეს სასტიკი მოწინააღმდეგე — 333, 334.

დიუფორი (Dufaure), არმანჟიულ (1798—1881) — ფრანგი ადვოკატი, მინისტრი ლუი ფილიპესა და მეორე რესპუბლიკის დროს, იუსტიციის მინისტრი ტიერის მთავრობაში (1871) — 177, 180, 225, 584, 589, 613, 614.

დიუშატელი (Duchâtel), შარლ (1803—1867) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ორლეანისტი, შინაგან საქმეთა მინისტრი 1848 წ. რევოლუციის წინ — 348.

დუე (Douay), ფელიქს (1816—1879) — ფრანგი გენერალი; საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს სედანთან ტყვედ ჩაიგდეს ნაპოლეონ III ერთად — 618.

ე

ედი (Eudes), ემილ (1843—1888) — ბლანკისტი, პარიზის კომუნის წევრი; 4 აპრილამდე კომუნის სამხედრო დელეგატი — 548.

ენგელსი, ფრიდრიხ (1820—1895) — 2, 5, 9, 66, 266, 408, 643, 716, 719—722, 725, 727.

ესპარტერო (Espartero), ბალდომერო (1793—1879) — ესპანელი გენერალი, ლიბერალური პარტიის ლიდერი, ესპანეთის რეგენტი (1840—1843) და მინისტრი-პრეზიდენტი (1854—1856) — 578.

ვ

ვაგნერი (Wagner), ადოლფ (1835—1917) — ვერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, კათედერ-სოციალისტი, რეაქციული ქრისტიანულ-სოციალური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი — 705.

ვაიიანი (Vaillant), ედუარ (1840—1915) — ფრანგი ინჟენერი და ექიმი, ბლანკისტი, I ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს და პარიზის კომუნის წევრი, შემდეგში საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი მოღვაწე — 550.

ვაიტლინგი (Weitling), ვილჰელმ (1808—1871) — გერმანელი ხელოსანი, გერმანული უტოპიური გამათანაბრებელი კომუნიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი; იმყოფებოდა ფურიეს გავლენის ქვეშ — 8.

ვალანტენი (Walentin). მარიედმონ (1823—1879) — საფრანგეთის ეანდარმერიის გენერალი — 584, 612.

ვატიმენილი (Watimesnil), ანტუან (1789—1860) — რესტავრაციის დროის საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე — 342.

ვეიდემაიერი (Weydemeyer), იოსებ (1818—1866) — გერმანელი რევოლუციონერი. კომუნისტი, მარქსის მეგობარი; 1851 წ. ემიგრანტი ამერიკაში — 262.

ვესე (Waissé) კლოდ (1799—1864) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ბონაპარტისტი, შინაგან საქმეთა მინისტრი — 341.

ვიდალი (Widal), ფრანსუა (1814—1872) — ფრანგი წვრილ-ბურჟუაზიული ეკონომისტი, სოციალისტი, ლუი ბლანის მომხრე — 319, 240, 242, 249.

ვივიენი (Wivien), ალექსანდრ-ფრანსუა (1799—1854) — ფრანგი ადვოკატი და პოლიტიკური მოღვაწე, იუსტიციის მინისტრი ლუი-ფილიპეს დროს — 177.

ვილელი (Villéle), ეოზეფ (1773 — 1854) — რესტავრაციის დროის საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე, უკიდურესი მონარქისტი — 349.

ვილჰელმ I (1797—1888)—პრუსიის მეფე (1861—1888) და გერმანიის იმპერატორი (1871 — 1888) — 123, 564, 617.

ვინუა (Vinoy), ეოზეფ (1800—1880) — ფრანგი გენერალი, რომელიც პარიზის კომუნის დროს ვერსალის არმიის სარდალი იყო — 584, 587, 589, 591.

ვობანი (Vauban), სებასტიენ (1633—1707) — ფრანგი მარშალი, სამხედრო ინჟენერი და პუბლიცისტი — 227.

ვოლტერი (Voltaire), ფრანსუა-მარი (არუე) (1694 — 1778) — 217, 449, 592.

ვუდი (Wood), ჩარლზ, ვიკონტი ჰალიფაქსი (1800—1885) — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ლიბერალი, ინდოეთის საქმეთა მინისტრი (1859—1866) — 385.

ზ

ზაქსი (Sax), ემილ (1845—1927) — ავსტრიელი ბურჟუაზიული ეკონომისტი — 632, 670—692, 697—701.

ზიბერი, ნიკოლოზ ივანესძე (1844—1888) — რუსი ეკონომისტი, მარქსის ეკონომიური მოძღვრების ერთ-ერთი პირველი პოპულარიზატორი რუსეთში — 518.

თ

თემურ-ლენგი (თემური) (1336—1405) აღმოსავლეთელი დამპყრობელი, ძლიერი სახელმწიფოს დამაარსებელი შუა აზიაში — 392, 592.

ი

იური (Ure), ენდრიუ (1778—1857) — ინგლისელი ეკონომისტი — 431, 459.

კ

კაბე (Cabet), ეტიენ (1788—1856) — ფრანგი კომუნისტი-უტოპისტი, ავტორი წიგნისა «მოგზაურობა იკარიაში» — 8, 47, 159, 160, 446, 628, 629.

კავენიაკი (Cavaignac), ლუი-ეუენ (1802—1857) — ფრანგი გენერალი, რომელმაც დამფუძნებელი კრებისაგან დიქტატორული უფლებამოსილება მიიღო და სასტიკად ჩაახშო პარიზის პროლეტარიატის ივნისის აჯანყება (1848) — 164, 165, 168, 169, 173, 174, 177—179, 181, 182, 194, 195, 203, 209, 280, 285, 287, 295, 339, 354, 364, 623.

კალიგულა, გაიუს (12—41 ჩვ. წელთაღრიცხვით) — რომის იმპერატორი (37—41) — 291.

კალონი (Calonne), შარლ-ალექსანდრე (1734 — 1802) — ლუდოვიკო XVI ფინანსთა მინისტრი (1783—1787) — 612.

კამპბელი (Campbell), ჯორჯ (1824—1892) — ინგლისელი ჩინოვნიკი ინდოეთში, პარლამენტის წევრი, ლიბერალი — 398.

კამპჰაუზენი (Camphausen), ლუდოლფ (1803—1890) — რაინის ლიბერალური ბურჟუაზიის ერთ-ერთი ლიდერი, 1848 წ. მარტის რევოლუციის შემდეგ მეთაურობდა პრუსიის მინისტრთა საბჭოს — 52.

კანტი (Kant), იმანუილ (1724—1804) — 220, 418, 441, 443.

კაპფიგი (Capefigue), ჟან-ბატისტ (1802—1872) — მონარქიული მიმართულების ფრანგი პუბლიცისტი და ისტორიკოსი — 253.

კარლიე (Carlier), პიერ (1799—1858) — პარიზის პოლიციის პრეფექტი ლუი ბონაპარტეს პრეზიდენტობისას — 233, 313, 326, 333, 361.

კარლ-ალბერტი (1798—1849) — პიემონტის მეფე (1831—1849) — 195.

კარლოს X (1757—1836) — საფრანგეთის მეფე (1824—1830) — 241.

კარნო (Carnot), ლაზარე იპოლიტე (1801—1888) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, განათლების მინისტრი დროებით მთავრობაში (1848), საკანონმდებლო კრების წევრი; 1851 წ. 2 დეკემბრის გადატრიალების თავგამოდებული მოწინააღმდეგე — 240, 242.

კეისარი, გაიუს იულიუს (100—44 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — 268.

კელერი (Köller), ერნსტ მატიას (1841—1928) — პრუსიელი კონსერვატორი, პოლიციის პრეზიდენტი ფრანკფურტში (1887), შინაგან საქმეთა მინისტრი (1894—1895) — 136.

კიუბიერი (Cubiéres) ამედეუი (1786—1853) — ფრანგი გენერალი, ნაპოლეონის ომების მონაწილე, სამხედრო მინისტრი (1839—1840) — 225.

კლაივი (Clivé), რობერტ (1725—1774) — ოსტ-ინდოეთის ერთ-ერთი დამპყრობელი, ბენგალიის ინგლისელი გუბერნატორი (1765—1767) — 400.

კობდენი (Cobden), რიჩარდ (1804—1865) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ლიბერალი, ფრიტრედერი, პურის კანონების წინააღმდეგ ბრძოლის ლიგის დამაარსებელი — 224.

კოეტლოგონი (Coëtlogon), ლუი შარლ (1814—1886) — ფრანგი ჩინოვნიკი, პრეფექტი — 290.

კონსტანი (Constant) ბენჟამენ (1767—1830) — ფრანგი მწერალი და ლიბერალური პუბლიცისტი — 268.

კონსტანტინე I (დიდი), გაიუს ფლავიუს ვალერიუსი (დაახლ. 274—337 ჩვ. წელთაღრიცხვით) — რომის იმპერატორი (306—337) — 136.

კორბონი (Corbon), კლოდ ანტიმ (1808—1891)—ფრანგი ასოთამწყობი, უფრო გვიან რედაქტორი; 1870 წ. 4 სექტემბრის შემდეგ პარიზის ერთ-ერთი ოლქის მერი; ნაციონალური კრების დეპუტატი (1871) — 574.

კოსიდიერი (Caussidiére), მარკ (1809—1861) — ფრანგი წვრილბურჟუაზიული სოციალისტი, ლიონის აჯანყების მონაწილე (1834), პარიზის პოლიციის პრეფექტი დროებითი მთავრობის დროს (1848) — 151, 170, 201, 267.

კრემიე (Crémieux), ადოლფ (1796—1880) — ფრანგი ადვოკატი და ლიბერალური პოლიტიკური მოღვაწე, ნაციონალური თავდაცვის მთავრობის წევრი (1870—1871) — 144, 193.

კრეტონი (Creton), ნიკოლა (1798—1864) — ფრანგი ადვოკატი, დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრებების წევრი (1848—1851), ორლეანისტი — 226, 345.

კრომველი (Cromwell), ოლივერ (1599—1658) — 269, 364.

კუზენი (Cousin), ვიქტორ (1792—1867) — ფრანგი ლიბერალური პუბლიცისტი, სახალხო განათლების მინისტრი (1840) — 268.

ლ

ლავუაზიე (Lavoisier). ანტუან ლორან (1743—1794) — გამოჩენილი ფრანგი ქიმიკოსი — 538.

ლაიტი (La Hitte), ჟან ერნესტ (1789—1878) — ფრანგი გენერალი, ბონაპარტისტი, საგარეო საქმეთა მინისტრი და სამხედრო მინისტრი (1849—1851) — 241, 318.

ლაკროსი (Lacrosse), ბერტრან თეობალდ ჟოზეფ (1796—1865) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ლუი ბონაპარტეს პრეზიდენტობისას — 208.

ლამარტინი (Lamartine) ალფონს (1790—1869) — ფრანგი პოეტი, ლიბერალური ბურჟუა; 1848 წ. ფაქტიურად მეთაურობდა რა დროებით მთავრობას, უღალატა დემოკრატიული ელემენტების ინტერესებს — 144, 150, 160, 164, 342.

ლამორისიერი (Lamoriciére), კრისტოფ ლეონ (1806—1865) — ფრანგი გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე, ბურჟუაზიული რესპუბლიკელი; მონაწილეობას ღებულობდა ივნისის აჯანყების ჩახშობაში (1848) — 295, 364.

ლაროშჟაკლენი (La Rochejaquelein), ანრი ოგიუსტ ჟორჟ (1805—1867) — ფრანგი მონარქისტი ლეგიტიმისტი, დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრებების წევრი (1848—1851), ნაპოლეონ III დროს სენატორი — 146, 349.

ლასალი (Lassalle), ფერდინანდ (1825—1864) — 6, 125, 513, 722, 723.

ლაფიტი (Laffitte), ჟაკ (1767—1844) — ფრანგი ბანკირი — 138, 577.

ლედრიუ-როლენი (Ledru-Rollin), ალექსანდრ ოგიუსტ

(1807—1874) — ფრანგი ბურჟუაზიული რესპუბლიკელი, წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის ერთ-ერთი ბელადი — 48, 144, 155, 159, 160, 168, 170, 180, 189, 194—196, 202, 206, 210, 225, 242, 249, 280, 296, 302, 306.

ლ ე კ ლ ე რ ი (Leclérc), ფ რ ა ნ ს უ ა (დაიბ. 1800 წ.) — ზეინკალი, დამფუძნებელი კრების წევრი (1848)— 249.

ლ ე კ ო ნ ტ ი (Lecomte), კ ლ ო დ მ ა რ ტ ე ნ ი (1817—1871)— ფრანგი გენერალი, მონმარტრის წინააღმდეგ 1871 წ. 18 მარტის ღამის ექსპედიციის მონაწილე; მოკლულ იქნა ხალხის მხარეზე გადასული თავისი ჯარის ნაწილების მებრძოლთა მიერ. — 588, 589, 593, 613, 615, 617.

ლ ე მ უ ა ნ ი (Lemoinne), ჯ ო ნ ე მ ი ლ (1815—1892) — გაზეთ «Journal des Débats»-ის ინგლისელი კორესპონდენტი — 253.

ლ ე ნ გ ე (Linguet), ს ი მ ო ნ ნ ი კ ო ლ ა ა ნ რ ი (1736—1794) — ფრანგი პუბლიცისტი — 448.

ლ ე რ მ ი ნ ი ე (Lerminier), ჟ ა ნ ლ უ ი ე ჟ ე ნ (1803—1857) — ფრანგი პუბლიცისტი, შედარებითი სამართლის პროფესორი «Collége de France»-ში — 191.

ლ ე ს ი ნ გ ი (Lessing), გ ო ტ ჰ ო ლ დ ე ფ რ ა ი მ (1729—1781) — გერმანელი განმანათლებელი, პოეტი, კრიტიკოსი, დრამატურგი და ფილოსოფოსი — 522.

ლ ე ფ ლ ო (Le Flô), ა დ ო ლ ფ ე მ ა ნ უ ე ლ შ ა რ ლ (1804—1887) — ფრანგი გენერალი, მონარქისტი, დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრებების დეპუტატი (1848—1851), სამხედრო მინისტრი (1870—1871) — 292, 364, 589, 593.

ლ ი ბ ი ხ ი (Liebig), ი უ ს ტ უ ს (1803—1873) — გერმანელი მეცნიერი, აგრონომიული ქიმიის ფუძემდებელი — 728.

ლ ი ს ტ ი (List), ფ რ ი დ რ ი ხ (1789—1846) — გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, პროტექციონიზმის მომხრე — 412.

ლ ო კ ი (Locke), ჯ ო ნ (1632—1704) — ინგლისელი ფილოსოფოსი-სენსუალისტი — 269.

ლ უ დ ო ვ ი კ ო XIV (1638—1715) — საფრანგეთის მეფე (1643—1715) — 227.

ლ უ დ ო ვ ი კ ო XV (1710—1774) — საფრანგეთის მეფე (1715 — 1774) — 383.

ლ უ დ ო ვ ი კ ო XVI (1754—1793) — საფრანგეთის მეფე (1774 — 1792) — 548.

ლ უ დ ო ვ ი კ ო XVIII (1755—1824)— საფრანგეთის მეფე (1814 — 1824) — 268.

ლ უ თ ე რ ი (Luther), მ ა რ ტ ი ნ (1483—1546) — პროტესტანტიზმის (ლუთერანობის) დამაარსებელი გერმანიაში — 267.

ლ უ ი ბ ო ნ ა პ ა რ ტ ე — იხ. ნაპოლეონ III.

ლ უ ი ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი — იხ. ნაპოლეონ III.

ლ უ ი ფ ი ლ ი პ ე (1773—1850)— საფრანგეთის მეფე (1830 — 1848) — 138, 140, 143, 174, 177, 179, 182, 214, 218, 221, 225, 256, 273, 275, 278, 279, 287, 289, 295, 308, 310, 324, 347, 352, 371, 429, 544, 577, 579, 580, 588, 600, 614.

ლ უ ი-ფ ი ლ ი პ-ა ლ ბ ე რ ი, პარიზელი გრაფი (1838—1894)—ლუი ფილიპეს შვილიშვილი, ტახტის ორლეანისტული პრეტენდენტი ლუი ფილიპეს მიერ ტახტზე ხელის აღების შემდეგ 1848 წ. — 235, 347, 348.

მ

მ ა ზ ა ნ ი ე ლ ო (Masaniello), ტ ო მ ა ზ ო ა ნ ი ე ლ ო (1623—1647) — მეთევზე, ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ ნეაპოლის პლებეების 1647 წ. აჯანყების მეთაური — 363.

მ ა კ-მ ა ჰ ო ნ ი (Mac Mahon), მ ა რ ი ე დ მ-პ ა ტ რ ი ს-მ ო რ ი ს (1808—1893) — საფრანგეთის მარშალი, 1871 წ. სარდლობდა ვერსალელების ჯარებს კომუნის წინააღმდეგ; რესპუბლიკის პრეზიდენტი (1873—1879) — 123, 617, 623.

მ ა ლ ვ ი ლ ი (Maleville), ლ ე ო ნ (1803—1879) — საფრანგეთის დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრებების წევრი (1848—1851) — 342.

მ ა ლ თ უ ს ი (Malthus), ტ ო მ ა ს რ ო ბ ე რ ტ (1766—1834) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ხალხთმოსახლეობის რეაქციული თეორიის ავტორი — 441, 500.

მ ა ნ ი ა ნ ი (Magnan), ბ ე რ ნ ა რ პ ი ე რ (1791—1865) — ფრანგი გენერალი, ბონაპარტისტი, მონაწილეობდა ლიონის აჯანყების ჩახშობაში (1849) — 350, 361, 364.

მ ა რ ი (Marie), ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე (1795—1870) — 1848 წ. საფრანგეთის დროებითი მთავრობის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი, ე. წ. ნაციონალური სახელოსნოების ორგანიზატორი — 157.

მ ა რ ა ს ტ ი (Marrast), ა რ მ ა ნ 1801—1852) — ფრანგი ბურჟუაზიული პუბლიცისტი, მემარჯვენე რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი, დროებითი მთავრობის წევრი 1848) — 160, 169, 173, 175, 177, 193, 203, 269, 280, 292.

მ ა რ ტ ე ნ ი (Martin), ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე (ალბერ) (1815—1895) — მუშა, დროებითი მთავრობის წევრი (1848) — 144, 146, 162.

მ ა რ ქ ს ი, ე ლ ე ო ნ ო რ ა (ტუსი) (1855—1898) — კ. მარქსის უმცროსი ქალიშვილი, ე. ეველინგის ცოლი — 660.

მ ა რ ქ ს ი, კ ა რ ლ (1818—1883) — 2, 5, 6—9, 5, 7—61, 63, 113, 116, 120, 121, 124 264, 265, 410, 419, 422, 449, 517, 521, 523, 529, 532, 534, 536, 542, 551, 552, 634, 635, 642—645, 650, 665, 668, 712, 722, 736, 744, 745.

მ ა ტ ი ე დ ე ლ ა დ რ ო მ (Mathieu de la Drôme), ფ ი ლ ი პ ა ნ ტ უ ა ნ (1808—1865) — საფრანგეთის დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრებების წევრი (1848—1851), წვრილბურჟუაზიული დემოკრატი — 191.

მ ა უ რ ე რ ი (Maurer), გ ე ო რ გ ლ ი უ დ ვ ი გ (1790—1872) — გერმანელი ისტორიკოსი, ძველი და შუასაუკუნეების გერმანიის საზოგადოებრივი წყობის მკვლევარი — 11.

მ ე ნ დ ე ლ ს ო ნ ი (Mendelssohn), მ ო ს ე (1729—1786) — გერმანელი წვრილბურჟუაზიული ფილოსოფოსი, იდეალისტი — 522.

მ ე ნ ე ნ ი უ ს ი, ა გ რ ი პ ა (გარდაიც. 494 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — რომაელი პატრიცი — 454.

მ ე ტ ე რ ნ ი ხ ი (Metternich), კ ლ ე მ ე ნ ს ვ ე ნ ც ე ლ (1773—1859) — ავსტრიის რეაქციონერი მინისტრი, ევროპის სახელმწიფოთა საღვთო კავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორი — 10.

მ ე ფ ე-ყ უ მ ბ ა რ ა — იხ. ფერდინანდ. II.

მ ი ლ ი ე რ ი (Milliére), ჟ ა ნ-ბ ა ტ ი ს ტ (1817—1871) — მემარცხენე პრუდონისტი. ჟურნალისტი,

პარიზის კომუნის მონაწილე; 1871 წ. 26 მაისს დახვრიტეს ვერსალელებმა — 575, 629.

მიულბერგერი (Mülberger), არტურ (1847—1907) — გერმანელი ექიმი, პრუდონისტი — 632, 647, 649, 655, 656, 661, 664, 667, 709, 719, 721, 727, 729, 734.

მიუნცერი (Münzer), ტომას (დაახლ. 1490—1525) — რეფორმაციის დროის გერმანელი კომუნისტ - უტოპისტი, გერმანიაში 1525 წ. გლეხთა აჯანყების ბელადი — 744.

მოგენი (Mauguin). ფრანსუა (1785—1854) — ფრანგი ადვოკატი, დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრებების წევრი (1848 — 1851) — 331, 332.

მოლე (Molé), ლუი მატიე (1781—1855) — ნაპოლეონ I-ის, რესტავრაციისა და იულისის მონარქიის დროის ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე; რამდენიმეჯერ იყო მინისტრად, დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრებების წევრი (1848—1851) — 214, 215, 318, 349.

მოლეშოტი (Moleschott), იაკობ (1822—1893) — ფიზიოლოგი, წარმოშობით ჰოლანდიელი, ეულგარული მატერიალიზმის წარმომადგენელი — 418.

მოლი (Moll), იოსებ (1812 — 1849) — კელნელი მესაათე, კომუნისტთა კავშირის წევრი; მოკლულ იქნა ბადენის აჯანყების დროს — 100.

მონკი (Monk), გეორგ (1608—1669) — ინგლისელი გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე, იბრძოდა კრომველის ჯარებში; კრომველის სიკვდილის შემდეგ გამოვიდა რესპუბლიკის წინააღმდეგ და ხელს უწყობდა სტიუარტთა დინასტიის რესტავრაციას — 191, 327.

მონტალამბერი (Montalembert), შარლ (1810—1870) — ფრანგი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, კათოლიკური პარტიის ბელადი — 226, 227, 250, 339, 349, 378.

მონტესკიე (Montesquieu), შარლ (1689—1755) — ფრანგი ისტორიკოსი და მწერალი, კონსტიტუციური მონარქიის იდეოლოგი — 600.

მოპა (Maupas), ემილ (1808—1888) — ბონაპარტისტი, 1851 წ. 2 დეკემბრის გადატრიალების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე — 361.

მორგანი (Morgan), ლიუის ჰენრი (1818—1881) — ამერიკელი მეცნიერი, პირველყოფილი საზოგადოების ისტორიკოსი და ეთნოგრაფი — 11.

მორნი (Morny), შარლ ოგიუსტ (1811—1865) — ლუი ბონაპარტის დედითერთი ძმა, ბონაპარტისტი, 1851 წ. 2 დეკემბრის გადატრიალების აქტიური მონაწილე — 382.

მორტონი (Morton), ჯონ (1781—1864) — ინგლისელი აგრონომი — 461.

ნ

ნადირ-შაჰი (ხული-ხან) 1688—1747) — სპარსეთის შაჰი; წამოიწყო დამპყრობლური ლაშქრობა ინდოეთში (1738—1739) — 385.

ნაპოლეონ I (1769—1821) — 111, 140, 179, 181, 183, 184, 227, 232, 233, 258, 260, 263, 268, 270, 325, 327, 364, 370, 373, 375, 378, 380, 383, 448, 547, 552, 561, 567, 580, 606, 672.

ნაპოლეონ III (ლუი ბონაპარტე) (1808—1873) — საფრანგეთის იმპერატორი (1852—1870) — 116, 122, 123, 173, 179, 188, 191, 194, 196, 200, 201, 204, 207, 216, 218, 226, 228, 233, 234, 240, 241, 254, 261, 263, 267, 270, 278, 279, 287, 291, 295, 296, 299, 302, 307, 313, 317, 319, 322, 345, 349, 355, 359, 368, 371, 383, 448, 449, 541, 544, 556, 559, 563, 564, 567, 571, 573, 575, 580, 583, 586, 588, 596, 600, 606, 609, 611, 613, 615, 660, 685, 690, 700, 704, 749.

ნეი (Ney), ედგარ (1812—1882)— ნაპოლეონ I მარშალის მ. ნეის შვილი, პრეზიდენტ ლუი ბონაპარტეს ადიუტანტი — 218, 311.

ნეიმეიერი (Neumayer), მაქსიმილიენ ჟორჟ ჟოზეფ (1789—1866) — ფრანგი გენერალი — 260, 328.

ნერონი, კლავდიუს (37—68 ჩვ. წელთაღრიცხვით) — რომის იმპერატორი (54—68) — 428.

ნიკოლოზ II (1868—1918) — რუსეთის მეფე (1894—1917) — 132.

ნიუმანი (Newman), ფრენსის ვილიამ (1805—1897) — ინგლისელი მეცნიერი და ლიბერალური პუბლიცისტი — 459.

ნიუმარჩი (Newmarch), ვილიამ (1820—1882) — ინგლისელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი — 459.

ო

ოპული (Hautpoul), ალფონს ანრი (1789—1865) — ფრანგი გენერალი, სამხედრო მინისტრი ლუი ბონაპარტეს პრეზიდენტობის დროს — 220, 232, 239, 251, 259, 260, 312, 318, 327, 330.

ორელ დე პალადინი (Aurelle de Paladines), ლუი (1804—1877) — ფრანგი გენერალი, მონარქისტი — 584, 587.

ორლეანელი, ჰერცოგი — იხ. ლუი-ფილიპე.

ორლეანები — საფრანგეთის სამეფო დინასტია (1830—1848) — 198, 219, 288, 297, 344, 347, 348, 371, 381, 382, 608.

ოსმანი (Haussmann), ჟორჟ ეჟენ (1809—1891) — პარიზის პრეფექტი მეორე იმპერიის დროს; ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ განახორციელა დედაქალაქის რეკონსტრუქცია — 608, 622, 646, 704.

ოსე (Haussez), შარლ (1778—1854) — კარლოს X-ის საზღვაო მინისტრი პოლინიაკის სამინისტროში (1829) — 241.

ოუენი (Owen), რობერტ (1771—1858) — 45, 47, 432, 460, 528, 682, 683, 758.

პ

პალმერსტონი (Palmerston) ჰენრი ჯონ (1784—1865) — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ლიბერალური პარტიის უკიდურესი მემარჯვენე ელემენტების ლიდერი — 433.

პანიერი (Pagnerre), ლორანანტუან (1805—1854) — ფრანგი გამომცემელი, დამფუძნებელი კრების დეპუტატი (1848—1849), ბურჟუაზიული რესპუბლიკელი — 193.

პარიზის გრაფი — იხ. ლუი-ფილიპ ალბერი.

პასი (Passy), იპოლიტ ფილიბერ (1793—1880) — ფინანსთა მინისტრი (1848—1849) — 217, 225.

პეკერი (Pecqueur), კონსტანტენ (1801—1887) — ფრანგი სოციალისტ-უტოპისტი — 525.

პენ (Péne), ანრი (1830—1888) — ფრანგი ჟურნალისტი, ჯერ ლეგიტიმისტი, შემდეგ ბონაპარტისტი, გაზეთების «Gaulois» და «Petit Journal»-ის დამაარსებელი — 590.

პერეირი (Pereire), ისაააკ (1806—1880) — ფრანგი ბანკირი, თავის ძმასთან ემილ პერეირთან ერთად დაარსა საფრანგეთში აქციონერთა საზოგადოება «Crédit Mobilier» (1852) — 702.

პერსინი (Persigny), ჟან ჟილბერ ვიქტორ (1808—1872) — ფრანგი დიპლომატი, ბონაპარტისტი, 1851 წ. 2 დეკემბრის გადატრიალების აქტიური მონაწილე — 343, 360.

პეტრე I (დიდი) (1672—1725) — 448.

პიეტრი (Pietri), (1820—1902) — 1851 წ. 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალების აქტიური მონაწილე, პოლიციის პრეფექტი მეორე იმპერიის დროს — 559, 612.

პიკარი (Picard), არტურ (დაიბ. 1825 წ.) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და ჟურნალისტი, 1876 წლიდან დეპუტატთა პალატის წევრი — 576.

პიკარი (Picard), ერნესტ (1821—1877)—ფინანსთა მინისტრი ნაციონალური თავდაცვის მთავრობაში, შინაგან საქმეთა მინისტრი ტიერის მთავრობაში — 576, 584, 594, 625.

პლატონი (დაახლ. 428 — დაახლ. 348 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ბერძენი ფილოსოფოსი, იდეალისტი — 176.

პოლინიაკი (Polignac), ჟიულ ოგიუსტ (1780—1847) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, უკიდურესი ლეგიტიმისტი, კარლოს X მინისტრ-პრეზიდენტი — 349.

პრისტლი (Priestley) ჟოზეფ (1733—1804) — ინგლისელი ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოს-მატერიალისტი — 537, 538.

პრუდონი (Proudhon), პიერ ჟოზეფ (1809—1865) — 44, 247, 263, 306, 406, 440, 449, 550, 551, 633, 636, 644, 647, 650, 653, 654, 657, 659, 662, 663, 666, 667, 674, 676, 709, 715, 719, 723, 726, 729, 733, 734, 737.

პუიე-კერტიე (Pouyer-Quertier) ოგიუსტ თომა (1820—1891)— ფრანგი ფაბრიკანტი რუანიდან, ბონაპარტისტი, ფინანსთა მინისტრი ტიერის მთავრობაში (1871) — 584, 616.

ჟ

ჟირარდენი (Girardin), ემილ (1806—1881) — ფრანგი პუბლიცისტი, რამდენიმე დიდი გაზეთის რედაქტორი; ბურჟუაზიული რესპუბლიკელი, უფრო გვიან ბონაპარტისტი — 251, 334.

ჟირო (Giraud), შარლ (1802—1881) — ფრანგი იურისტი და პოლიტიკური მოღვაწე, სახალხო განათლების მინისტრი (1851) — 361.

ჟობერი (Jaubert), ფრანსუა (1798—1874) — ფრანგი მეცნიერი და ფილოლოგი. . საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ტიერის კაბინეტში (1840) — 625.

ჟუანვილი (Joinville), პრინცი (1818—1900) — ლუი ფილიპეს მესამე ვაჟი; 1848 წ. რევოლუციის შემდეგ ემიგრანტი ინგლისში — 348,349, 359.

რ

რამსეი (Ramsey), ჯორჯ (1800—1871) — ინგლისელი ეკონომისტი — 509.

რასპაი (Raspail), ფრანსუა ვენსან (1794—1878) — ფრანგი ექიმი და ბუნებისმკვლევარი, პუბლიცისტი, მემარცხენე რესპუბლიკელი, 1830 და 1848 წ. წ. რევოლუციების მონაწილე; შემდეგ მემარცხენე რადიკალი — 144, 160, 173, 180, 190, 402.

რატო (Rateau), ჟან პიერ (1800—1887) — დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრებების წევრი (1848—1851), ბონაპარტისტი — 187, 191, 192, 290.

რაუ (Rau), კარლ (1792—1870) — გერმანელი ვულგარული ეკონომისტი — 413.

რაუმერი (Raumer), ფრიდრიხ (1781—1873) — გერმანელი ბურჟუაზიული ისტორიკოსი, ფრანკფურტის კრების წევრი (1848—1849) — 448.

რაფლსი (Raffles), ტომას სტამფორდ (1781—1826) — ინგლისელი კოლონიური მოღვაწე, იავასა და სუმატრას გუბერნატორი, ავტორი ორტომიანი შრომისა «იავას ისტორია» — 385.

რემიუზა (Rémusat), ფრანსუა მარი შარლ (1797—1875) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი, ორლეანისტი — 338.

რესლერი (Rössler), კონსტანტინ (1820—1896) — პრუსიელი პუბლიცისტი, ბისმარკის პოლიტიკის მომხრე — 134.

რეშაუერი (Reschauer), ჰაინრიხ (დაიბ. 1838 წ.) — ავსტრიელი ჟურნალისტი, რედაქტორი რადიკალურ გაზეთ «Volksstimme»-სი გრაცში — 728.

რიკარდო (Ricardo), დავიდ (1772—1823) — 59, 63, 444, 472, 508, 539.

რილი (Riehl). ვილჰელმ ჰენრიხ (1823—1897) — გერმანელი რეაქციონული პუბლიცისტი — 413.

რიჩარდ III (1452—1485) — ინგლისის მეფე (1483—1485) — 345.

რობერტსი (Roberts), ჰენრი (გარდ. 1876 წ.) — ინგლისელი არქიტექტორი, ფილანთროპი; სწავლობდა ინგლისის, ბელგიისა და იტალიის მუშათა კლასის საბინაო პირობებს — 671.

რობესპიერი (Robespierre), მაქსიმილიენ (1758—1794)— 175, 268, 459.

როდბერტუსი (Rodbertus), იოჰან კარლ (იაგეცოვი) (1805—1875) — პრუსიელი მემამულე, ეკონომისტი, პრუსიულ-იუნკრული «სახელმწიფოებრივი სოციალიზმის» თეორეტიკოსი — 537, 540.

როზი (Rose), ჯორჯ (1744—1818) — ინგლისელი კონსერვატორი, ფინანსთა მინისტრი (1782—1783 და 1784—1801) — 506.

როსკო (Roscoe), ჰენრი ენფილდ (1833—1915) — ინგლისელი ქიმიკოსი, კ. შორლემერთან ერთად გამოუშვა ქიმიის ცხრატომიანი სახელმძღვანელო — 538.

რუაიე-კოლარი (Royer-Collard), პიერ (1763—1845) — ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე, ლიბერალური პარტიის ერთ-ერთი ბელადი რესტავრაციის პერიოდში — 268.

რუერი (Rouher), ეჟენ (1814—1884) — ფრანგი პოლიტიკური

მოღვაწე, ბონაპარტისტი — 331, 342.
რ უ ს ო (Rousseau), ჟ ა ნ ჟ ა კ (1712—1778) — 448, 449.

ს

ს ა ლ ა ნ დ რ უ ზ ი (Sallandrouze), შ ა რ ლ ჟ ა ნ (1808—1867) — ფაბრიკანტი, დამფუძნებელი კრების წევრი (1848—1849) — 364.
ს ა ლ ვ ა ნ დ ი (Salvandy), ნ ა რ ც ი ს ა შ ი ლ (1795—1856) — ფრანგი პუბლიცისტი, 1830 წ. რევოლუციის შემდეგ დეპუტატთა პალატის წევრი, ლუი ფილიპეს დროს სახალხო განათლების მინისტრის პოსტი ეჭირა — 347.
ს ა ლ ტ ი კ ო ვ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე დ ი მ ი ტ რ ი ს-ძ ე, თავადი (1806—1859) — რუსი მოგზაური; ავტორი «მოგზაურის შენიშვნებისა» ფრანგულ ენაზე — 399.
ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი (Sebastiani), ო რ ა ს ფ რ ა ნ ს უ ა ბ ა ს ტ ი ე ნ (1772—1851) — ფრანგი მარშალი და დიპლომატი, საგარეო საქმეთა მინისტრი ივლისის მონარქიის დროს — 165.
ს ე გ ი უ რ დ' ა გ ე ს ო (Ségur d' Aguesseau), რ ე მ ო ნ-პ ო ლ (1803—1889) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე — 241.
ს ე ი (Say), ჟ ა ნ-ბ ა ტ ი ს ტ (1767—1832) — ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი — 268.
ს ე ნ ი ო რ ი (Senior), ნ ა ს ო უ ი ლ ი ა მ (1790—1864) — ინგლისელი ეულგარული ეკონომისტი, კაპიტალიზმის აპოლოგეტი — 431, 459, 460.
ს ე ნ-პ რ ი ს ტ ი (Saint-Priest), ე მ ა ნ ი უ ე ლ ლ უ ი მ ა რ ი (1789—1887) — ფრანგი გენერალი და დიპლომატი, ლეგიტიმისტი — 347.
ს ე ნ-ჟ ა ნ დ' ა ნ ჟ ე ლ ი (Saint-Jean d' Angely), რ ე ნ ი ო (1794—1870) — ფრანგი გენერალი, სამხედრო მინისტრი 1851 წ. — 337.
ს ე ნ-ჟ უ ს ტ ი (Saint-Just), ლ უ ი ა ნ ტ უ ა ნ ლ ე ო ნ (1767—1794) — XVIII ს. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწე, რობესპიერის მეგობარი და თანამებრძოლი — 268.
ს ე ნ-ს ი მ ო ნ ი (Saint-Simon), ა ნ რ ი (1760—1825) — 45, 440, 528, 758.
ს ე ნ ტ-ა რ ნ ო (Saint-Arnaud), ა რ მ ა ნ ჟ ა კ (1801-1854) — ფრანგი მარშალი — 292.
ს ე ნ ტ-ბ ე ვ ი (Sainte-Beuve), ა ნ რ ი 1819—1855 — ფრანგი ფაბრიკანტი და მიწათმფლობელი, დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრებების წევრი (1848—1851) — 353.
ს ე ს ე (Saisset), ჟ ა ნ მ ა რ ი ჟ ო ზ ე ფ თ ე ო დ ო რ (1810—1879) — ფრანგი ეიცე-ადმირალი, მონარქისტ-რეაქციონერი — 591.
ს ი მ ო ნ (Simon), ჟ ი უ ლ (1814—1896) — ფრანგი პუბლიცისტი, სახალხო-განათლების მინისტრი ნაციონალური თავდაცვის მთავრობაში — 584.
ს ი ს მ ო ნ დ ი (Sismondi), ჟ ა ნ შ ა რ ლ ს ი მ ო ნ დ დ ე (1773—1842) — შვეიცარიელი ეკონომისტი, კაპიტალიზმის წვრილბურჟუაზიული კრიტიკოსი — 39, 264, 509, 525.
ს ი უ (Sue), ეჟენ (1804—1857) — ფრანგი მწერალი, სოციალურ თემებზე მრავალრიცხოვანი რომანების ავტორი — 234, 249, 251, 319.
ს ი უ ზ ა ნ ი (Susanne), ლ უ ი 1810—1876) — ფრანგი გენერალი, 1871 წ. თებერვლიდან სამხედრო მინისტრი — 575.

სმიტი (Smith), ადამ (1723—1790) — 422, 472, 480, 481, 509.

სმიტი (Smith), ედუარდ (დაახლ. 1818—1874) — ინგლისელი ექიმი, მშრომელთა კვების პირობების გამომკვლევი საიდუმლო საბჭოს სამედიცინო განყოფილების სანიტარული ინსპექტორი (1864) — 425.

სპინოზა (Spinoza), ბარუხ (ბენედიქტ), (1632—1677) — ჰოლანდიელი ფილოსოფოსი, მატერიალისტი — 522.

სულა, ლუციუს კორნელიუს (138—78 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — რომის დიქტატორი — 581, 618.

სულუკი (Soulouque), (1782—1867) — ზანგთა რესპუბლიკის ჰაიტის პრეზიდენტი, 1849 წ. თავისი თავი გამოაცხადა იმპერატორად ფაუსტინ I-ლის სახელწოდებით — 183, 233, 239, 382.

ტ

ტამიზიე (Tamisier), ფრანსუა ლორან ალფონს (დაბ. 1809 წ.) — ფრანგი პოლკოვნიკი და სამხედრო გამომგონებელი, მემარცხენე რესპუბლიკელი, ნაციონალური გვარდიის მთავარსარდალი — 588.

ტაციტუსი, პუბლიუს კორნელიუს (დაახლ. 55—120 ჩვ. წელთაღრიცხვით) — რომაელი ისტორიკოსი — 619.

ტესტი (Teste), ჟან ბატისტ (1780—1852) — ფრანგი ადვოკატი და პოლიტიკური მოღვაწე, ლიბერალი, იუსტიციის მინისტრი ლუი ფილიპეს დროს — 225.

ტიერი (Thiers), ლუი ადოლფ (1797—1877) — ფრანგი ბურჟუაზიული ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, პარიზის კომუნის ჯალათი — 123, 214, 218, 221, 235, 250, 253, 292, 300, 302, 306, 318, 339, 348, 350, 353, 356, 360, 363, 364, 446, 546, 549, 557, 573, 574, 577, 587, 589, 593, 595, 597, 604, 607, 609, 611, 622, 625.

ტოკვილი (Tocqueville), ალექსის-შარლ (1805—1859) — ფრანგი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, ლიბერალი — 349.

ტოლენი (Tolain), ანრი-ლუი (1828—1897) — ფრანგი მუშა, I ინტერნაციონალის საფრანგეთის სექციის ერთ-ერთი დამაარსებელი, პრუდონისტი; პარიზის კომუნის დროს გადავიდა ვერსალელების მხარეზე; უფრო გვიან სენატორი — 593.

ტომა (Thomas), კლემან (1809—1871) — ფრანგი სამხედრო პირი, ნაციონალური გვარდიის უფროსი (1848); მოკლულ იქნა პარიზის კომუნის დროს, ხალხის მხარეზე გადასული ჯარების მიერ — 588, 589, 593, 614, 615, 617.

ტორინი (Thorigny), პიერ ფრანსუა ელიზაბეტ (1798—1869) — ფრანგი ადვოკატი, 1834 წ. აწარმოვა გამოძიება ლიონის აჯანყების საქმის გამო; შინაგან საქმეთა მინისტრი და პრემიერ-მინისტრი ლუი ბონაპარტეს პრეზიდენტობის დროს — 361.

ტორნტონი (Thornton), ვილიამ ტომას (1813—1880) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ჯონ სტიუარტ მილის მიმდევარი — 506.

ტრელა (Trélat), ულის (1795—1879) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, დამფუძნებელი კრების ვიცე-თავმჯდომარე (1848—1849), საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი — 162.

ტრიმენჰირი (Tremenheere), ხიუზ სეიმურ (1804—1893) — ინგლისელი ჩინოვნიკი, მთავრობის კომისარი ფაბრიკებში შრომის პირობების გამოკვლევის დარგში — 428.

ტროშიუ (Trochu), ლუი ჟიულ (1815—1896) — ფრანგი გენერალი, ნაციონალური თავდაცვის მთავრობის მეთაური (1870), კომუნის ერთ-ერთი ჯალათი — 573, 574, 582, 586, 589, 621.

ტუკი (Tooke), ტომას (1774—1858) — ინგლისელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი — 460, 481.

ტუსენ-ლუვერტიური (Louverture dit Toussaint), ფრანსუა დომინიკ (1743—1803) — ჰაიტის ზანგების რევოლუციური მოძრაობის ბელადი XVIII ს. დასასრულის საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში — 183.

უ

უდინო (Oudinot), ნიკოლა შარლ ვიქტორ (1791—1863) — ფრანგი გენერალი, ორლეანისტი; 1849 წ. მეთაურობდა რომის რესპუბლიკის წინააღმდეგ გაგზავნილ ჯარებს — 196, 205, 291, 307, 311.

უეიდი (Wade), ბენჯამინ ფრანკლინ (1800—1878) — ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი — 517.

უესტონი (Weston), ჯონ — ინგლისელი მუშა, რობერტ ოუენის მიმდევარი, I ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს წევრი — 450, 453, 457, 459, 461, 465, 467, 468, 470, 471, 508.

ურკარტი (Urquhart), დეივიდ (1805—1877) — ინგლისელი დიპლომატი და პუბლიცისტი; იბრძოდა პალმერსტონის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ — 462.

ფ

ფავრი (Favre), ჟიულ (1809—1880) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ბურჟუაზიული რესპუბლიკელი, ნაციონალური თავდაცვის მთავრობის წევრი (1870) პარიზის კომუნის სისხლიანი ჩახშობის მონაწილე — 574, 575, 581, 584, 588, 609, 616, 628, 629.

ფალუ (Falloux), ფრედერიკ პიერ (1811—1886) — ფრანგი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, ლეგიტიმისტი და კლერიკალი, ნაციონალური სახელოსნოების გარეკვის ინიციატორი (1848), ივნისის აჯანყების სისხლიანი ჩახშობის სულის ჩამდგმელი — 183, 194, 207, 219, 295, 310, 311, 349, 351.

ფაუხერი (Faucher), იულიუს (1820—1878) — გერმანელი ვულგარული ეკონომისტი, ფრიტრედერი; 1861 წლიდან პრუსიის დეპუტატთა პალატის წევრი, პროგრესისტი — 671.

ფერდინანდ II (1810—1859) — ნეაპოლიტანიის მეფე; ზედმეტ სახელად უწოდეს «მეფე-ყუმბარა», ყუმბარების დაშენის გზით რევოლუციის ჩახშობის გამო პალერმოსა და მესინაში (1848) — 578.

ფერი (Ferry), ჟიულ (1832—1893) — ფრანგი ადვოკატი და პოლიტიკური მოღვაწე, კომუნის ერთ-ერთი ჯალათი, პრემიერ-მინისტრი (1880—1881 და 1883—1885), მთელი რიგი სამხედრო-კოლონიური ექსპედიციების ორგანიზატორი — 577.

ფერიე (Ferrier), ფრანსუა (1777—1861) — ფრანგი ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე — 412.

ფ ლ ო კ ო ნ ი (Flocon), ფ ე რ დ ი ნ ა ნ (1800—1866) — ფრანგი წვრილბურჟუაზიული პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე — 144.

ფ ლ უ რ ა ნ ს ი (Flourens), გ უ ს ტ ა ვ (1838—1871) — ფრანგი რევოლუციონერ-ბლანკისტი, პარიზის კომუნის სამხედრო კომისიის წევრი: მოკლულ იქნა 1871 წ. 3 აპრილს კომუნის ჯარების გამოხდომის დროს — 584, 588, 592.

ფ ო გ ტ ი (Vogt), (1817—1895) — გერმანელი ვულგარული მატერიალისტი, პროლეტარული და კომუნისტური მოძრაობის დაუძინებელი მტერი, ბონაპარტისტი — 418.

ფ ო ი ე რ ბ ა ხ ი (Feuerbach), ლ უ დ ვ ი გ (1804—1872) — 417, 418, 441.

ფ ო შ ე (Faucher), ლ ე ო ნ (1804—1854) — ფრანგი პუბლიცისტი, ზომიერი რესპუბლიკელი, შინაგან საქმეთა მინისტრი ლუი ბონაპარტეს პრეზიდენტობის დროს — 138,183, 189, 192, 319, 342, 349.

ფ რ ა ნ კ ლ ი ნ ი (Franklin), ბ ე ნ ჯ ა მ ი ნ (1706—1790) — ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერი, ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი — 475.

ფ რ ი დ რ ი ხ II (დიდი) (1712—1786) — პრუსიის მეფე (1740—1786) — 131, 630.

ფ უ კ ი ე-ტ ე ნ ვ ი ლ ი (Fouquier-Tinville), ა ნ ტ უ ა ნ-კ ა ნ ტ ე ნ (1746—1795) — რევოლუციური ტრიბუნალის პროკურორი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს — 196.

ფ უ ლ დ ი (Fould), ა შ ი ლ (1800—1867) — ფრანგი ბანკირი, ორლეანისტი, შემდეგში ბონაპარტისტი, დამფუძნებელი კრების წევრი (1848—1849), 1851 წ. 2 დეკემბრის გადატრიალების მონაწილე — 155, 173, 187, 221, 225, 226, 313, 337, 342, 352.

ფ უ რ ი ე (Fourier), შ ა რ ლ (1772—1837) — 45, 47, 440, 528, 682, 758.

ფ უ შ ე (Fouché), ჟ ო ზ ე ფ (1759—1820) — პოლიციის უფროსი ნაპოლეონ I-ის დროს — 233.

შ

შ ა მ ბ ო რ ი (Chambord), ა ნ რ ი შ ა რ ლ, გრაფი (1820—1883) — კარლოს X-ის შვილიშვილი, საფრანგეთის სამეფო ტახტის ლეგიტიმისტური პრეტენდენტი ჰენრიხ V-ის სახელით — 216, 256, 300, 324, 347, 351.

შ ა ნ გ ა რ ნ ი ე (Changarnier), ნ ი კ ო ლ ა ა ნ-თ ე ო დ ი ულ (1793—1877) — ფრანგი გენერალი, ორლეანისტი; მონაწილეობდა პარიზის ივნისის აჯანყების ჩაქრობაში (1848) — 183, 191, 204, 210, 215, 255, 259, 260, 290, 292, 295, 302, 308, 327, 328, 331, 335, 339, 343, 350, 353, 360, 362, 364, 590.

შ ა რ ა ს ი (Charras), ჟ ა ნ ბ ა ტ ი ს ტ ა დ ო ლ ფ (1810—1865) — ფრანგი პოლკოვნიკი და სამხედრო მწერალი, ზომიერი რესპუბლიკელი, ანტიბონაპარტისტი — 263, 364.

შ ე ლ ე (Scheele), კ ა რ ლ ვ ი ლ ჰ ე ლ მ (1742—1786) — შვედელი ქიმიკოსი — 537, 538.

შ ე რ ბ უ ლ ი ე (Cherbuliez), ა ნ ტ უ ა ნ ე ლ ი ზ ე (1797—1869) — შვეიცარიელი ეკონომისტი, კაპიტალიზმის წვრილბურჟუაზიული კრიტიკოსი — 509.

შ ე ქ ს პ ი რ ი (Shakespeare), ვ ი ლ ი ა მ (1564—1616) — 325.

შ ვ ა ი ც ე რ ი (Schweitzer), ი ო ჰ ა ნ ბ ა ტ ი ს ტ (1833—1875) — გერმანელი ჟურნალისტი; ლასალის სიკვდილის შემდეგ სათავეში ჩაუდგა გერმანიის მუშათა საყოველთაო კავშირს — 440.

შ ო რ ლ ე მ ე რ ი (Schorlemmer), კ ა რ ლ (1834—1892) — გამოჩენილი ქიმიკოსი, წარმოშობით გერმანელი, კომუნისტი, მარქსისა და ენგელსის მეგობარი; ცხოვრობდა და მუშაობდა მანჩესტერში — 538.

შ ტ ა ი ნ ი (Stein), ლ ო რ ე ნ ც (1815—1890) — გერმანელი სამართლის მცოდნე და ეკონომისტი, «სოციალური მონარქიის» მომხრე; ცნობილია როგორც ავტორი შრომისა «სოციალიზმი და კომუნიზმი თანამედროვე საფრანგეთში», რომელიც გამოვიდა 1842 წ. — 413.

შ ტ რ უ ს ბ ე რ გ ი (Strousberg), ბ ე ტ ე ლ ჰ ე ნ რ ი (1823—1884) — გერმანელი მსხვილი ფინანსისტ-სპეკულიანტი — 702.

შ უ ლ ც ე-დ ე ლ ი ჩ ი (Schulze-Delitsch), ფ რ ა ნ ც ჰ ე რ მ ა ნ (1808—1883) — გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, პროგრესისტი; ცდილობდა გერმანიის მუშათა მოძრაობა წაემართა საწარმოო-ხელოსნური კოოპერაციის გზით — 513, 728.

ჩ

ჩ ე პ მ ე ნ ი (Chapman), ჯ ო ნ (1801—1854) — ინგლისელი პუბლიცისტი და ფაბრიკანტი — 397.

ც

ც ი მ ე რ მ ა ნ ი (Zimmermann), ვ ი ლ ჰ ე ლ მ (1807—1878) — გერმანელი წვრილბურჟუაზიული ისტორიკოსი, ავტორი შრომისა «გლეხთა ომის ისტორია გერმანიაში» — 744.

ხ

ხ უ ლ ი-ხ ა ნ ი — იხ. ნადირ-შაჰი.

ჯ

ჯ ო ნ ს ი (Jones), რ ი ჩ ა რ დ (1790—1855) — ინგლისელი ეკონომისტი — 509.

ჰ

ჰ ა ი ნ ა უ (Haynau), ი უ ლ ი უ ს-ი ა კ ო ბ (1786—1853) — ავსტრიის ფელდმარშალი, რომელმაც სასტიკად ჩაახშო რევოლუციური მოძრაობა იტალიასა და უნგრეთში (1848—1849) — 216.

ჰ ა ნ ზ ე მ ა ნ ი (Hansemann), დ ა ვ ი დ ი უ ს ტ უ ს (1790—1864) — რაინის ლიბერალური ბურჟუაზიის ერთ-ერთი ლიდერი 1848 წ. — 51, 52, 674.

ჰ ა ქ ს ტ ჰ ა უ ზ ე ნ ი (Haxthausen), ა ვ გ უ ს ტ ი (1792—1866) — პრუსიელი ჩინოვნიკი და მწერალი, რომელმაც იმოგზაურა რუსეთში (1843—1844) და აღწერა რუსეთის თემური წყობილების ნაშთები მიწის საკითხებში — 11.

ჰ ე გ ე ლ ი (Hegel), გ ე ო რ გ-ფ რ ი დ რ ი ხ-ვ ი ლ ჰ ე ლ მ (1770—1831) — 267, 406, 416, 419, 441, 522, 712, 758.

ჰ ე ი დ ტ ი (Heydt), ა ვ გ უ ს ტ (1801—1874) — რაინელი ლიბერალი, პრუსიის ვაჭრობის მინისტრი

(1848); 1862 წლიდან ბისმარკის მთავრობაში შესვლამდე — ფინანსთა მინისტრი — 51.

ჰეილზი (**Hales**), ჯონ — ინგლისელი მუშა, ტრედ-უნიონისტი, I ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს წევრი (1866—1872) — 629.

ჰეკერენი (**Heeckeren**) (დანტესი), ჟორჟ შარლ (1812—1895) — ფრანგი აზნაური, ა. ს. პუშკინის მკვლელი; შემდეგ გახდა ბონაპარტისტი, 1851 წ. 2 დეკემბრის გადატრიალების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე — 590.

ჰელვეციუსი (**Helvétius**), კლოდ ადრიენ (1715—1771) — გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი მატერიალისტი, განმანათლებელი — 204, 446.

ჰენრიხ V — იხ. შამბორი.

ჰენრიხ VI (1421—1471)—ინგლისის მეფე (1422—1471) — 345.

ჰერვე (**Hervé**), ედუარ (1835—1899) — ფრანგი პუბლიცისტი მონარქისტი — 619.

ჰექსლი (**Huxley**), ტომას ჰენრი (1825—1895) — ინგლისელი ბუნებისმკვლევარი, დარვინის მეგობარი და მიმდევარი — 603.

ჰიუგო (**Hugo**), ვიქტორ (1802—1885) — 218, 253, 263, 311.

ჰობსი (**Hobbes**), ტომას (1588—1679) — ინგლისელი ფილოსოფოსი მატერიალისტი — 483.

ჰოლი (**Hole**), ჯემს — ინგლისელი პუბლიცისტი, ბურჟუაზიული ფილანთროპი — 671.

ჰოჰენცოლერნები — დინასტია, რომელიც მეფობდა ბრანდენბურგ-პრუსიაში (1415—1918) და გერმანიის იმპერიაში (1871—1918) — 559, 608.

ჰუბერი (**Huber**), ვიქტორ ემე (1800 — 1869) — კონსერვატული პუბლიცისტი და პროფესორი, გერმანული ქრისტიანული სოციალიზმის ერთ-ერთი დამაარსებელი — 484, 485, 671.

საგანთა საძიებელი

ა

აბსტრაქცია — 420—422, 513.
აგრარული საკითხი — 109, 734, 751—753.
ავსტრია — 120, 132, 142, 195—197, 222, 746—747.
ამერიკა — 3, 48, 277, 458, 462, 507—508, 515, 553, 660.
— ამერიკის პროლეტარიატი — 3.
ამქრული წყობა — 11, 12, 53.
ანარქია წარმოებისა — 39, 76—77, 603.
ანარქიზმი — 633, 739, 741—743.
ანტიკური საზოგადოება — 80, 408.
— ძველ რომში — 11, 264.
არმია — 79, 123—124.
აუცილებლობა და შემთხვევითობა — 59.
აქციონერული საზოგადოებანი — 245—246.
აღზრდა — 31, 35.
აღმოსავლეთი — 386, 389, 395—397.
«ახალი რაინის გაზეთი» — 57, 113, 165, 180, 409.
აჯანყება შეიარაღებული — 107—108, 127—131.

ბ

ბავშვთა შრომა — 20, 35.
ბაზარი — 12, 18, 91—92, 98, 664.
— მსოფლიო — 12, 13, 15, 32, 88, 94, 98, 148, 358, 400—401, 526.
ბაზისი და ზედნაშენი — 297—298, 407—408, 413—414, 699.
ბანკები — 153, 246—247, 352—353, 464.
ბატონყმობა — 72, 489, 532.
ბელგია — 68, 132, 633, 712.
ბინის გადასახადი — 644, 647—649, 656, 665—666, 679, 716—719.
ბინის საკითხი — 636, 647, 682, 713.
— კაპიტალიზმის დროს — 632, 644—648, 669, 673, 691, 701.
— ბინის საკითხის პრუდონისტული გადაწყვეტა — 647—652, 655—661, 666, 669, 676, 726—727, 730—732.

— ბინის საკითხის ბურჟუაზიული გადაწყვეტა — 643, 660—661, 669—673, 676—701, 704—708.
— პროლეტარული რევოლუცია და ბინის საკითხის გადაწყვეტა — 644, 661, 682, 708.
«ბინის საკითხისათვის» ენგელსისა — 632, 634, 754.
ბირჟა — 152—153.
ბლანკიზმი. ბლანკისტები — 123, 238, 550—552, 711.
ბონაპარტიზმი — 178—181, 195, 200, 287, 324—325, 368—369, 371—375, 377, 379—383, 545, 559, 595—597, 646, 703—704, 754—756.
ბუნება
— და ადამიანი — 79, 88, 91, 400.
ბურჟუაზია — 5, 11—23, 25, 36, 44, 52—53, 68, 78, 89, 90, 120, 147—149, 198, 243, 281, 298, 312—313, 398—399, 527, 543, 669, 673, 749.
— მისი წარმოშობა — 12, 13, 38.
— მისი როლი ფეოდალიზმის დანგრევისა და საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების საქმეში — 147—149.
— და პროლეტარიატი (მათი ბრძოლა) — იხ. პროლეტარიატი.
ბურჟუაზიული დემოკრატია — 281, 554, 599.
ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიები, პროლეტარიატის დამოკიდებულება მათთან — 48—50, 108—110.
ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური პარტია საფრანგეთში (პარტია «National») — 144, 145, 150, 161, 164—165, 168—171, 173, 177—178, 182, 183, 186, 189—190, 192—193, 197—198, 202—203, 209, 212, 279—280, 293.
ბურჟუაზიული საზოგადოება — 12, 17, 28, 29, 36, 38, 42, 65, 76, 80, 90; 141, 144—145, 147, 163, 167, 175, 192, 247—248, 265, 269, 278, 378—379, 405, 409, 411, 415, 420, 435, 513, 516—517, 522, 525, 561, 594, 596—597, 602—603, 617, 624, 625, 657, 660, 664, 673, 674, 682, 721, 728, 739.

გ

გადასახადები — 111, 124, 139, 176, 184, 223, 225, 231, 507, 531, 657, 667—668.
განუწყვეტელი რევოლუცია — 104, 113, 238.
გაღატაკება პროლეტარიატისა — 25, 39, 424—429, 526, 529, 533—535.
გაცვლა — 422, 423.
გერმანია — 38, 40—41, 42, 43, 49, 52, 69, 101—102, 110, 112, 118, 123, 124, 135, 411—413, 417, 515, 541—542, 559—560, 563, 565—567, 631—632, 634—643, 670, 688, 700—705, 734, 745—750, 752—757.
— პრუსაკობა, მისი რეაქციული როლი — 297, 564, 567—568, 624.
— გერმანიის გაერთიანება — 110—112, 753—755.
— გერმანიის პროლეტარიატი — 100, 112, 568, 636, 640, 702—703, 746, 750, 757—760.
— გერმანიის ბურჟუაზია — 42, 51—56, 100, 564, 702—703, 746—750, 756.
იხ. აგრეთვე მონარქია, რესპუბლიკა, ბურჟუაზია.
— გერმანიის გლეხობა — 636, 641, 753.
— გერმანიის იუნკრობა — 38, 702, 753—755.

— გერმანიის წვრილი ბურჟუაზია — 42, 750.
— მუშათა მოძრაობა გერმანიაში — იხ. მუშათა მოძრაობა.
«გერმანული იდეოლოგია» მარქსისა და ენგელსისა — 409.
«გლეხთა ომი გერმანიაში» ენგელსისა — 744—745.
გლეხობა — 20, 23, 27, 68, 372—373, 527, 597, 729.
— წვრილი — 678, 751.
— სოფლის პროლეტარიატი — 109, 752.
— და პროლეტარიატი — იხ. პროლეტარიატი —
— და პროლეტარული რევოლუცია — 231, 379, 643.

დ

დარვინიზმი — 5.
დაქირავებული შრომა — იხ. შრომა.
«დაქირავებული შრომა და კაპიტალი» მარქსისა — 57—58, 409.
დიალექტიკა — 522.
— მარქსის მატერიალისტური დიალექტიკა — დაპირისპირებული ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკასთან — 419—420, 421—422.
— დიალექტიკა საზოგადოებრივ ცხოვრებაში — 16—18, 23—25, 26, 29, 403, 407, 413—414, 484—485, 519—520, 525—526, 536, 640, 653, 749.
დიალექტიკური მატერიალიზმი — 420, 421—422.
დიქტატურა პროლეტარიატისა — 26, 32, 34, 35, 166, 238, 555, 601—602, 661, 711, 713.

ე

ეკონომიკა — 5, 67, 113—114, 266, 407, 414, 719, 722.
იხ. აგრეთვე ბაზისი და ზედნაშენი.
ეკონომისტები ბურჟუაზიული — 43, 59—60, 63, 65, 76, 79, 83, 90, 96, 412, 416, 421, 431, 445, 459—460, 471, 529, 538—540, 662.
ელზას-ლოტარინგია — 124, 542, 565, 569.
ექსპლოატაცია კაპიტალისტური — 14, 19—20, 27, 33—34, 96, 149, 231, 645, 651, 652—653, 656.
ექსპროპრიაცია
— წვრილი მესაკუთრეების — 484—485, 524—525, 527, 642, 652.
— ექსპროპრიატორების — 34, 525—527, 602, 661, 682.

ვ

ვაჭრობა — 12, 93, 400—401.

ზ

ზედმეტი ღირებულება — 486—488, 491—495, 529—532, 537—540, 640, 645, 647, 657, 662—665.
— ზედმეტი ღირებულების ნორმა — 488, 662.

თ

თავადაზნაურობა — 36—37, 38.
«თავისუფლება» ბურჟუაზიული — 28—29, 281—283.
თავისუფლება ვაჭრობისა — 12—13, 28—29, 32, 45, 224.

თემი
— სოფლის — 11.
— ინდური — 389—392, 394, 397.
— გერმანული (მარკა) — 641.
— რუსული — 4.
თეორია და მისი მნიშვნელობა — 26, 416, 759—760.
— თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა — 414.
«თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» მარქსის — 116, 262—267, 541, 745.

ი

•ideebi, maTi rola saZogadoebriv gaNviTarebaSi — 31, 33—34, 119—120.
ideologia — 407—408.
iX. agreTve mecniereba, religia.
•inglisi — 13, 68, 143, 148, 222, 223—224, 245, 247, 357—358, 386—388, 391, 393—396, 400, 411, 424, 426, 429—432, 447, 458—462, 464—466, 478, 500, 508, 513—515, 534—535, 599—600, 637—638, 641, 652, 657, 669—670, 683—684, 687—688, 697—698, 701; 749, 753.
— inglisis proletariati — 403, 424—428, 430, 434, 464, 533, 561, 571, 651—652, 657.
— inglisis burJuazia — 223, 395—396, 398—399, 686—687, 703, 748.
— inglisis miwaTmflobeli aristokratia — 38, 298.
— inglisis kolonialuri politika — 385, 387—388, 390—392, 393—401, 507.
— inglisis samrewveloo monopolia — 4, 68, 148, 411—412, 429, 549.
— mufaTa mozraoba inglisSi — iX. mufaTa mozraoba.
indoeTi — 384—401.
internaciionali pirveli damisi istoriuli mniSvneloba — 6, 7, 8, 123, 436—439, 450, 556—558, 559—562, 571, 625—626, 628.
— internaciionalis daarsebaa — 6, 7, 8, 433, 436, 628.
— generaluri sabWo — 436—439, 629, 634.
— jenevis kongresi — 8.
— baselis kongresi — 752.
— brZola prudonizmTan — iX. prudonizmi.
internaciionalizmi mufaTa klasisa — 26—27, 121, 433—434, 435—436, 558, 560—562, 759—760.
irlandia — 67, 424, 637, 641, 751.
istoria — 409,420—421.
istoriuli materializmi — 5, 113—114, 267, 268, 298, 407—408, 413—414, 516, 722, 745.
italia — 67, 132, 142, 174, 194—196, 287, 384.

კ

kanonzomierebaa bunebasa da istoriaSi — 266, 400, 515—516, 519, 526, 535, 650, 662.
kanoni energiis gardaqmnisa — 266.
kapitali — 25, 27—28, 79—84, 86—87, 89—90, 98, 231, 297—298, 400, 447, 492, 525, 528—529, 535, 539—540, 678.
— rogorc saZogadoebrivi urTierTobaa — 79—80.
— pirveldawyebiTi dagrovebaa — 484—485, 524—525.

— კაპიტალის ორგანული შედგენილობა — 509.
— მუდმივი და ცვალებადი — 493—495, 509, 539—540.
— კაპიტალის დაგროვება — 94, 509, 534—535, 539—540, 710.
— კაპიტალის კონცენტრაცია — 4, 39, 43, 94, 237, 479, 710.
— და დაქირავებული შრომა — 25, 27, 28, 44, 68, 72, 81—84, 86, 89—90, 96, 98, 116, 204, 301, 404, 483, 487, 492, 504, 506, 517, 528, 534, 594, 602, 662, 668, 672, 728.
«კაპიტალი» მარქსისა — 60, 63, 512—513, 516—517, 518—522, 528—536, 537—540, 634, 642, 645, 650, 665, 737.
კაპიტალიზმი — 12, 14—15, 376, 400, 409, 413, 511, 528, 536, 645, 670, 672.
— კაპიტალიზმის წარმოშობა — 12.
— კაპიტალიზმის წინაღმდეგობანი — 65—66, 403, 408, 414—415, 429, 514—515, 522—523, 527.
— მისი დაღუპვის აუცილებლობა და სოციალიზმი — 4, 25, 66, 408, 415, 527, 536.
კელნის პროცესი კომუნისტებისა — 6.
კლასები და კლასობრივი ბრძოლა — 5, 22, 23, 26, 67—68, 114, 117, 129, 133, 224, 263, 264—266, 297—298, 315—316, 321, 373, 594, 618, 624, 625.
«კლასთა ბრძოლა საფრანგეთში» მარქსისა — 113—117, 120, 745.
— კლასობრივი ბრძოლა როგორც ისტორიის მამოძრავებელი ძალა — 5, 11—12, 24, 36, 67.
— თანამედროვე კლასების წარმოშობა — 11.
— ანტაგონისტური კლასობრივი წინააღმდეგობანი — 11—12, 24, 26, 33, 46, 50, 199.
— პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიასთან — იხ. პროლეტარიატი.
— კლასების მოსპობა სოციალიზმის დროს — 35—36, 66, 104, 238, 435, 438, 602, 653, 654.
კომუნიზმი მეცნიერული — იხ. მეცნიერული სოციალიზმი.
კომუნისტები — 2, 26, 30, 49—50.
კომუნისტთა კავშირი — 1, 10, 99—100, 104—105, 108.
«კომუნისტური მანიფესტი» — იხ. «მანიფესტი კომუნისტური პარტიისა».
კომუნისტური საზოგადოება — 26, 35, 66, 655.
კონკურენცია — 17, 20, 21, 39, 55, 73—76, 77, 90—95, 268, 471, 533, 639.
კონსტიტუცია ბურჟუაზიული — 174—178, 193, 206, 244, 280—286.
კოოპერაციული მოძრაობა — 432.
კრედიტი — 139, 151—155, 172, 247, 352, 447, 667.
კრიზისები კაპიტალისტური — 17, 21, 39, 98, 115, 143, 245, 248, 356—359, 429, 503, 523, 603.

ლ

ლასალიანელობა — 6, 7.
ლეგიტიმისტები — 37, 146, 165, 168, 183, 190, 197—198, 205, 211, 222, 235, 256, 288, 295—298, 314, 345, 348, 351, 582—583.
ლუმპენპროლეტარიატი — 23, 141, 156, 275, 324, 378.

მ

მალთუსიანელობა — 441, 723.
მანუფაქტურა — 12.
«მანიფესტი კომუნისტური პარტიისა» მარქსისა და ენგელსის — 1—8, 10, 99, 113, 116, 127, 409, 527, 634, 672, 711, 715.
მანქანები — 19, 21, 39, 86, 88, 91—96, 403, 479, 509, 535, 643, 653, 739.
მატერიალიზმი
— ვულგარული მატერიალიზმი — 417—418.
მატერიალისტური გაგება ისტორიისა — იხ. ისტორიული მატერიალიზმი.
მატერიალური პირობები ცხოვრებისა — 42, 44, 297—298, 408.
მეცნიერება — 410, 479.
მეცნიერული სოციალიზმი — 5, 26, 29, 34—35, 116, 121, 410, 445, 634, 710, 719, 737, 757.
— ისტორიული წარმოშობა — 6, 406—409.
მეზები და შედეგი — 381.
მიწათმფლობელობა — 297—298, 602.
მიწის რენტა — იხ. რენტა.
მოგება — 75—76, 86—90, 482. 488, 491—496, 500, 506, 529—532, 640, 657, 662—663.
— მოგების ნორმა — 455—458, 471, 494—496, 503—504, 507, 511, 535.
— საშუალო მოგება — 491.
მოთხოვნა და მიწოდება — 73—77, 431, 455—457, 462, 468—469, 481, 503, 507.
მონათმფლობელური საზოგადოება — 11, 72.
მონარქია — 13, 161, 244, 553, 601.
— აბსოლუტური — 13, 370, 594, 703, 704, 705.
— კონსტიტუციონური — 54, 143.
მონობა — 264, 489—490, 532.
მორალი ბურჟუაზიული — 14.
მრეწველობა — 2, 12, 13, 15, 18, 21, 23—25, 39, 46, 74, 96, 120, 148, 398, 400, 500, 509, 527, 594, 652—655, 710, 733, 735, 739.
«მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში» ენგელსისა — 6, 409, 652, 684, 687, 705, 734—735.
მუშათა მოძრაობა — 4, 7, 511, 583, 760.
— მისი საერთაშორისო ხასიათი — 8—9, 120—122, 433—434, 435—436, 633, 710, 760.
— ინგლისში — 759.
— გერმანიაში — 642, 757—760.
— საფრანგეთში — 571, 633, 642, 710.
«მუშათა საერთაშორისო ასოციაცია» — იხ. ინტერნაციონალი I. მუშათა საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელი მანიფესტი და წესდება» — 6, 656, 628.

ნ

ნაციონალიზაცია
— მიწის — 35, 109, 733, 752.
— ბანკების — 35.
— ტრანსპორტის — 35, 111.
ნაციონალური საკითხი — 15—16, 32—33, 167.

ო

ომი — პროლეტარიატის დამოკიდებულება მასთან — 557—562, 568—659, 572, 757.
— სამოქალაქო — 164, 274—275, 579, 582—583, 587, 591, 604—605, 622—623, 624.
— თავდაცვითი — 564.
— დაპყრობითი — 565—567.
— ნაპოლეონის ომები — 567.
— ავსტრია-პრუსიის ომი 1866 წ. — 123, 545, 568, 746—747, 750, 753.
— საფრანგეთ-პრუსიის ომი 1870 წ. — 123—124, 541, 545, 557—558, 563—564, 582—583, 597, 616, 625, 757.
ორლეანისტები — 168, 183, 191, 197—198, 205, 214, 221, 235, 256, 288, 297—298, 314, 345, 347—349, 570, 582.
ოუენიზმი — 8, 47, 48, 432, 460.
ოჯახი და ქორწინება
— კაპიტალიზმის დროს — 14, 31—32.
«ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა» ენგელსისა — 11.

პ

პარიზის კომუნა, მისი ისტორიული მნიშვნელობა — 2, 123—125, 542, 545—555, 575, 587—593, 596—610, 612—615, 617—623, 625—627, 634, 711, 712, 743, 758—759.
— ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიებები — 546—548, 551—552, 596—598, 603, 607—608, 711.
— კომუნა და გლეხობა — 605—606.
— ბრძოლა მიმდინარეობათა შორის კომუნაში — 123, 550—551, 711.
— კომუნა როგორც სახელმწიფოს ახალი ტიპი — 548, 553—554, **596—603.**
— შეცდომები და დამარცხების მიზეზები — 123, 551, 589—591, 710—711.
პარტია პროლეტარიატისა — 2, 21—22, 26, 99—100, 102—105, 108—109, 115—116, 413, 433, 438, 713.
პარცელური მეურნეობა — 229—231, 268, 372—380, 751.
პირველყოფილი კომუნიზმი — 11.
პირველყოფილი საზოგადოება — 11.
პოლიტიკა და პოლიტიკური ბრძოლა მუშათა კლასისა — 21—22, 126, 131—132, 433, 438—439, 507, 712, 713.
პოლიტიკური ეკონომია — 58—59, 400, 411, 413, 417, 420—421, 442, 516, 538.
— კლასიკური — 58—63, 443, 472, 481, 509, 528—529, 538—539.
«პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» მარქსისა — 58, 60, 405, 413, 416, 423, 447, 512, 519.
პოლონეთი — 49, 67, 121, 142, 434.
პროლეტარიატი — 5, 11, 19—25, 31, 32—34, 45, 52, 65, 82, 83, 97, 99, 104, 117, 120, 123, 147—149, 180, 238, 510, 516, 526, 527, 535, 633, 653—654, 673, 720, 737, 749.
— მისი ისტორიული როლი — 5, 24, 25, 376, 403—404, 406, 416, 603—604.
— წარმოშობა — 651—652.
— მდგომარეობა კაპიტალიზმის დროს — 19—20, 21, 61, 84, 89—90, 96, 428—429, 640, 644, 673.
იხ. აგრეთვე გაღატაკება პროლეტარიატისა.

— ბრძოლა ბურჟუაზიასთან — 11, 18, 20—24, 26, 36, 45, 49, 67, 117—118, 120, 149, 166, 192, 204, 211, 265, 510, 544, 624—625, 753.
— და წვრილი ბურჟუაზია — 149, 166, 750.
— და გლეხობა — 109, 131, 149, 166, 750—753.
— სასოფლო სამეურნეო პროლეტარიატი — 103, 751—753.
პროლეტარული რევოლუცია — 24, 32—34, 35, 45, 49, 67, 116, 123, 147, 149, 152, 167, 224, 248, 271, 368, 380, 400, 403, 415, 438, 485, 587, 603, 634, 644, 645, 653, 661, 720. 729, 740.
პროფესიონალური კავშირები — 760.
იხ. აგრეთვე ტრედ-უნიონები.
პროცენტი — 98, 491—493, 657, 662—663.
პროცენტის ნორმა—662—663.
პუდონიზმი, პუდონისტები — 7, 123, 247, 276, 441, 443—448, 550—552, 633, 644, 649—655, 659, 662—668, 710—712, 715, 718—724, 726, 731—737, 758.
პრუსია, პრუსაკობა — იხ. გერმანია.

რ

«რაინის გაზეთი» — 406.
რევოლუცია — 117—119, 147, 232, 407, 413, 594, 743.
— ბურჟუაზიული — 44, 49, 52—53, 165, 271.
— პროლეტარული, სოციალისტური — იხ. პროლეტარული რევოლუცია.
რევოლუცია 1848 წ. — 114—115, 116, 120, 123, 402, 430.
რევოლუცია 1848 წ. გერმანიაში — 51—56, 67, 99—103, 128.
რევოლუცია 1848 წ. საფრანგეთში — 8, 67, 116, 119—120, 128, 137, 144—145, 164, 182, 267, 268—270, 280, 293—294, 369, 543, 579, 591, 594.
— ეტაპები — 272—273, 365—366.
— პროლეტარიატის ივნისის აჯანყება — 6, 67, 117, 148, 162—171, 204, 274—278, 288, 309, 365—366, 543, 589, 594.
— პროლეტარიატი რევოლუციაში — 118—119, 144—151, 159, 161—162, 165, 179—181, 188, 200, 203, 208—209, 239—240, 273—276, 320, 367—368, 597.
— ბურჟუაზია რევოლუციაში — 118—119, 160, 162, 165—171, 173, 177—179, 183, 186, 188, 197—200, 236, 240, 243—244, 256, 273—274, 278-279, 285—288, 302, 306, 309, 314—315, 321, 325, 330, 346—347, 351—356, 358—359, 363, 367, 543—545.
— წვრილი ბურჟუაზია რევოლუციაში — 153, 158, 160, 171—173, 180—181, 200, 203—204, 210—211, 240, 251, 273—274, 302, 309, 321.
— გლეხობა რევოლუციაში — 146, 155, 160, 174, 179, 200—203, 231—234, 288, 314—315, 380, 606.
— მთის პარტია — 168,181, 293.
— სოციალურ-დემოკრატიული პარტია (ახალი მთა) — 190, 192—193, 196—198, 200—204, 206—212, 235—237, 240, 248—251, 253, 296—297, 299—307, 319—320, 366.
— წესრიგის პარტია — 198—200, 204—206, 212—213, 220, 223, 233, 236, 239, 241—242, 249—261, 277, 288—292, 295—300, 302, 304—311, 315, 317—319, 321—324, 329, 332—333, 336—

354, 362, 365—366, 579, 590, 594—595, 606.
— თებერვლის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა— 144—146, 150—162, 170, 273, 280.
— ლუქსემბურგის კომისია — 146 — 147, 149, 157.
— დამფუძნებელი კრება (კონსტიტუანტა) — 160—163, 168—176, 178, 180, 183—197, 201—207, 226, 273—274, 278—280, 288—292, 295, 301—302, 310—311, 322—323, 365—366, 604.
— საკანონმდებლო კრება — 178, 197, 200, 204—208, 211—219, 226, 232—235, 239, 242, 249—251, 254—257, 261, 273, 282—283, 289—291, 292, 295, 309—311, 317—319, 322—323, 326—328, 331—336, 338, 342—344, 350, 359—366.
— შრომის უფლება — 116, 176.
რევოლუცია ბურჟუაზიული ინგლისში XVII ს. — 49, 52—53, 119, 269, 368.
რევოლუცია ბურჟუაზიულ საფრანგეთში XVIII ს. — 27, 49, 52—53, 109, 110, 155, 165, 267—268, 271, 293, 369, 594.
რევოლუცია ბურჟუაზიულ საფრანგეთში 1830 წ. (ივლისის) — 36, 128, 137, 146, 594.
რელიგია — 195, 548.
რენტა მიწის — 491—493, 531, 657, 665, 716—717, 732.
რესპუბლიკა ბურჟუაზიული — 68, 144—145, 160—162, 166, 175, 177, 185, 189, 197, 199, 204—205, 211, 220—221, 231, 233, 244, 253, 274—282, 288, 292—294, 300, 306, 315—316. 339, 345—346, 355, 366—367, 371, 374, 552, 554, 594—595.
რუსეთი — 3, 121, 132, 205, 434, 462, 542, 561, 569, 637.
— რუსეთის ცარიზმი. მისი რეაქციული როლი — 3, 561, 569.

ს

საარსებო საშუალებანი — 18, 19, 28, 61, 66, 71, 78, 79—83, 98, 372, 484—485, 498, 504—507, 530—532, 535, 752.
საზოგადოება — 79.
— საზოგადოებრივ ეკონომიური ფორმაციები — 79, 268, 408—409, 516.
— სამოქალაქო საზოგადოება — 311—312, 406.
იხ. აგრეთვე პირველყოფილი საზოგადოება, მონათმფლობელური საზოგადოება, ფეოდალიზმი, ბურჟუაზიული საზოგადოება, სოციალისტური საზოგადოება, კომუნისტური საზოგადოება.
საკუთრება — 50, 297, 442.
— თემური — 11, 110.
— ფეოდალური — 27.
— ბურჟუაზიული — 4, 17, 27, 29, 53, 442, 525—526, 602.
— მიწის — 4, 297—299, 375—376, 378, 752.
— კერძო — 30, 110, 524—527.
— საზოგადოებრივი — 27, 109, 527, 752.
— საკუთრების ურთიერთობანი — 17, 18, 27, 30, 34, 39, 109, 407, 414, 442, 516.
— კერძო საკუთრების მოსპობა სოციალიზმის დროს — 27, 30, 104.
სამართალი, მისი ეკონომიური ფესვები — 30, 406—407, 724—725.
«სამოქალაქო ომი საფრანგეთში» მარქსისა — 2, 541—542, 550, 551, 554, 563, 573, 629, 712.

სამრეწველო რევოლუცია— 12, 121, 402, 632, 641—643, 653—654.

სამუშაო დღე — 488, 498—502, 505—507, 532—534.

— მუშების ბრძოლა მისი შემცირებისათვის — 431—432, 500—502, 506—507, 532—534.

სამუშაო ძალა — 58, 63—65, 68—72, 77, 81—83, 85—86, 483—485, 500, 530, 535, 539, 645, 647, 657, 672.

— სამუშაო ძალის ღირებულება — 63—65, 70, 484—490, 497, 504—505, 530—532, 657, 679.

საფრანგეთი — 13, 40, 48, 52, 67, 115, 116, 117, 120, 123—124, 131, 142—145, 147—148, 167, 179—180, 183, 195, 222—225, 228—229, 244—249, 263—266, 268, 278, 283, 311, 356—358, 368, 371—375, 411, 462, 543—545, 556—557, 566, 569—571, 573, 579, 582—583, 587, 600—601, 624, 633, 638, 642, 686, 688, 702, 710, 749.

— საფრანგეთის პროლეტარიატი — 224, 543—544, 556—557, 571, 586.

— საფრანგეთის ბურჟუაზია — 55, 137—141, 204, 222, 223—224, 297, 300, 312, 345, 374—375, 583, 607—608, 702, 749.

— საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზია — 224, 604—605.

— საფრანგეთის გლეხობა — 40, 109, 226—231, 247, 371—379, 571, 605—606.

— ივლისის მონარქია საფრანგეთში — 137—144, 146, 153—154, 197—198, 220—225, 234, 275, 278—280, 297, 370, 545, 576—577.

— მეორე იმპერია საფრანგეთში — 122—123, 545, 556—561, 563, 568—569, 579, 584, 587, 596—597, 604—605, 606—607, 685.

— რესპუბლიკის გამოცხადება 1870 წ. 4 სექტემბერს და «ნაციონალური თავდაცვის» მთავრობა — 545—546, 563, 569—571, 573—577, 582—586.

— მუშათა მოძრაობა საფრანგეთში — იხ. მუშათა მოძრაობა.

იხ. აგრეთვე რევოლუცია 1848 წ. საფრანგეთში, პარიზის კომუნა.

საქონელი — 59, 65, 73, 75, 80, 421, 473—475, 513, 539, 716.

საყოველთაო კანონი კაპიტალისტური დაგროვებისა — 534—536.

საყოველთაო საარჩევნო უფლება — 125—127, 131, 145, 146, 160, 175, 177, 243, 244, 251, 272, 281, 534, 599, 717.

საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი — 14, 16—17, 31, 34, 35—36, 39, 44, 66, 79, 104, 148, 238, 248, 398—399, 400, 403, 407—409, 414, 429, 442—444, 451, 525—526, 536, 546, 592.

სახელმწიფო — 552—555, 593, 663, 700—701, 723.

— მისი კლასობრივი არსი — 35, 555, 594, 700—701.

— წარმოშობა — 552.

— ბურჟუაზიული — 13, 138, 144—145, 166, 221—223, 311—312, 369—371, 595—597, 599—600, 700—703.

— და პროლეტარული რევოლუცია, ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი მანქანის დამსხვრევის აუცილებლობა — 2, 378, 552—555, 593, 599, 742—743.

— სახელმწიფოს კვდომა — 742—743.

— პროლეტარული — იხ. დიქტატურა პროლეტარიატისა.
იხ. აგრეთვე მონარქია, რესპუბლიკა.
სექტანტობა — 737.
სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია გერმანიისა (აიზენახელები) — 560, 569.
სოციალ-დემოკრატიული პარტია გერმანიისა — 124, 133—134, 555, 635, 713.
— ს. დ. და კანონი სოციალისტების წინააღმდეგ — 124, 126, 542, 757.
სოციალიზმი
— მეცნიერული — იხ. მეცნიერული სოციალიზმი.
— ფეოდალური — 36—38, 116.
— წვრილბურჟუაზიული — 38—40, 116, 237, 445, 635, 647, 713—715.
— «ჭეშმარიტი» — 40—43.
— კონსერვატიული ანუ ბურჟუაზიული — 8, 43—45, 116, 236—237, 635, 672—676.
— კრიტიკულ-უტოპიური — 8, 45—48, 682, 758.
სოციალისტური საზოგადოება — 66, 562, 735, 740.
იხ. აგრეთვე კომუნისტური საზოგადოება.

ტ

ტაქტიკა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა — 26, 48—49.
ტრედ-უნიონები — 7, 511, 759.

უ

უმუშევრობა კაპიტალიზმის დროს (სარეზერვო არმია) — 534—535, 673.

ფ

ფასი — 59, 69, 73—78, 81, 87, 91—94, 423, 454—458, 463, 465, 470—471, 479—481, 496, 498, 503.
ფეოდალიზმი — 12, 14, 17, 80, 408, 524—526.
«ფილოსოფიის სიღატაკე» მარქსისა — 409, 443—445, 635, 644, 668.
ფული და ფულის მიმოქცევა — 423, 464—465, 467—468, 540.
ფურიერიზმი — 7, 47, 48.

ქ

ქალაქი და სოფელი — 13, 16, 35, 297, 601, 661, 682, 727—728.
ქალთა შრომა — 20.
ქრისტეანობა — 33, 38, 135—136.

ღ

ღირებულება — 59, 64, 346, 472—482, 491, 495—497, 503, 540.
— ღირებულების ფორმა — 513.
— სახმარი ღირებულება — 422—423, 716.
— საცვლელი ღირებულება — 70, 75, 80, 87, 422—423, 459, 471, 473—475, 477, 716.

ყ

ყოფიერება და ცნობიერება — 33—34, 407, 413—415.

შ

შემთხვევითობა — იხ. აუცილებლობა და შემთხვევითობა.

შ ვ ე ი ც ა რ ი ა — 49, 68, 111, 125, 132, 142.
შ რ ო მ ა — 27, 59—60, 71—72, 77, 477—479, 491, 496—497, 503, 528, 539, 653—654, 661, 664.
— საზოგადოებრივი — 474 — 477, 479—480, 526.
— აუცილებელი და ზედმეტი — 487—488, 491—492, 499—500, 531, 532.
— საზოგადოებრივად აუცილებელი— 59, 63, 65, 477—479, 483.
— დაქირავებული — 25, 27, 72, 84, 147, 432, 485, 488, 492, 504, 510.
შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა — 12, 19, 39, 91—95, 97, 370, 474, 479, 653, 724.
შ რ ო მ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი — იხ. წ ა რ მ ო ე ბ ი ს ი ა რ ა ღ ე ბ ი.
შ უ ა ს ა უ კ უ ნ ე ე ბ ი — 11—12.

ჩ

ჩ ა რ ტ ი ზ მ ი — 48, 713.

ძ

ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ა, მ ი ს ი რ ო ლ ი ი ს ტ ო რ ი ა შ ი — 35.

წ

წ ა რ მ ო ე ბ ა — 79, 93, 97.
— კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი — 61, 93, 400, 444, 488, 492, 503, 510—511, 514, 527, 536, 539—540, 603, 652.
— და განაწილება — 117.
წ ა რ მ ო ე ბ ი ს ი ა რ ა ღ ე ბ ი — 14, 16, 34, 35, 94, 229, 435, 477, 484, 491, 527, 534.
წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი — 17, 39, 61, 79, 91, 92—93, 98, 149, 479, 492, 525—527, 532.
— წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი ს გ ა დ ა ქ ც ე ვ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ს ა კ უ თ რ ე ბ ა დ — 35, 116—117, 176, 602, 634.
წ ა რ მ ო ე ბ ი ს წ ე ს ი — 15, 93, 407, 525, 526.
— კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი — 16, 120, 407, 514, 525—526, 534—535, 645, 651, 657, 672, 674, 682, 698, 708, 733.
წ ვ რ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა — 20, 23, 38, 168, 237, 300, 304, 448, 527, 636, 669, 713.
— წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა — 100, 102—107, 112, 118, 207, 211, 300, 303—304, 321.
წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი — 75—78, 88, 92—95, 223.

ჭ

ჭ ა რ ბ ი წ ა რ მ ო ე ბ ა — 18, 39, 358, 503.

ხ

ხ ე ლ ფ ა ს ი — 19, 21, 58, 61, 64, 68—72, 77—78, 84—90, 94—95, 97, 451—460, 463—473, 475, 486, 488, 490, 494, 496, 498—500, 501, 504, 506, 510—511, 529—530, 540, 640, 673, 679—680.
— მ უ შ ე ბ ი ს ბ რ ძ ო ლ ა მ ი ს ი გ ა დ ი დ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს — 450, 452, 497—504, 510.
— რ ე ა ლ უ რ ი დ ა ნ ო მ ი ნ ა ლ უ რ ი — 86—87, 89, 451.
— მ ი ს ი მ ი ნ ი მ უ მ ი დ ა მ ა ქ ს ი მ უ მ ი — 28, 78, 96—98, 507.
— და მ ო გ ე ბ ა — 85—90, 455—457, 470, 496, 506, 511.

ჰ

ჰ ე გ ე ლ ი ა ნ ე ლ ო ბ ა — 416—420, 522.

შინაარსი

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეული ნაწერების ორტომეულის ქართული გამოცემისათვის V

წინასიტყვაობა VII

კ. მარქსი და ფ. ენგელსი. კომუნისტური პარტიის მანიფესტი . . . . . 1—50

წინასიტყვაობა 1872 წ. გერმანული გამოცემისათვის 1

წინასიტყვაობა 1882 წ. რუსული გამოცემისათვის 3

წინასიტყვაობა 1883 წ. გერმანული გამოცემისათვის 5

წინასიტყვაობიდან 1890 წ. გერმანული გამოცემისათვის . . . 6

კომუნისტური პარტიის მანიფესტი

I. ბურჟუები და პროლეტარები 11

II. პროლეტარები და კომუნისტები 26

III. სოციალისტური და კომუნისტური ლიტერატურა . . . 36

1. რეაქციული სოციალიზმი 36

ა) ფეოდალური სოციალიზმი 36

ბ) წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი 38

გ) გერმანული ანუ «ჭეშმარიტი» სოციალიზმი . . . 40

2. კონსერვატიული ანუ ბურჟუაზიული სოციალიზმი . . . 43

3. კრიტიკულ-უტოპიური სოციალიზმი და კომუნიზმი. . . 45

IV. კომუნისტების დამოკიდებულება სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებთან 48

კ. მარქსი. ბურჟუაზია და კონტრრევოლუცია. სტატია ძველი 51

კ. მარქსი. დაქირავებული შრომა და კაპიტალი . . . 57—98

შესავალი ფ. ენგელსისა 57

დაქირავებული შრომა და კაპიტალი

I 67

II 73

III 79

IV 84

V 90

კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კომუნისტთა ქავშირისადმი 99
კ. მარქსი. კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე . . . . . 113—261

ფ. ენგელსის შესავალი 113

კლასთა ბრძოლა საფრანგეთში
1848 წლიდან 1850 წლამდე

I. 1848 წ. ივლისის დამარცხება 137
II. 1849 წლის 13 ივნისი 167
III. 1849 წლის 13 ივნისის შედეგები 204
IV. საყოველთაო საარჩევნო უფლების გაუქმება 1850 წელს . 244

კ. მარქსი. თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა. 262—383

კ. მარქსის წინასიტყვაობა მეორე გამოცემისათვის . . . 262
ფ. ენგელსის წინასიტყვაობა მესამე გერმანული გამოცემისათვის 264

თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა

I 267
II 278
III 292
IV 310
V 322
VI 343
VII 366

კ. მარქსი. ბრიტანეთის ბატონობა ინდოეთში . . 384
კ. მარქსი. მომავალი შედეგები ბრიტანეთის ბატონობისა ინდოეთში 393

კ. მარქსი. სიტყვა «სახალხო გაზეთის» იუბილეზე . 402

კ. მარქსი. წინასიტყვაობა «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» 405

ფ. ენგელსი. კ. მარქსი. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» . . . . . 411—42

I 411
II 416

კ. მარქსი. დამფუძნებელი მანიფესტი მუშათა საერთაშორისო ასოციაციისა 424

კ. მარქსი. მუშათა საერთაშორისო ასოციაციის საერთო წესდება 435

მ. ბაკუნინის ზღვასაბან (წერილი ი. ბ. შაიციერს) . 440

კ. მარქსი. ხელფასი, ფასი და მოგება . . . . . 450—511

[წინასწარი შენიშვნები] 450
1. [წარმოება და ხელფასი] 451
2. [წარმოება, ხელფასი, მოგება] 453
3. [ხელფასი და ფული] 463
4. [მიწოდება და მოთხოვნა] 467
5. [ხელფასი და ფასები] 470
6. [ღირებულება და შრომა] 472
7. სამუშაო ძალა. 482
8. ზედმეტი ღირებულების წარმოება 486
9. შრომის ღირებულება 488
10. მოგება მიიღება, როდესაც საქონელი მისი ღირებულების მიხედვით იყიდება 490
11. ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ნაწილი 491
12. მოგების, ხელფასისა და ფასების საერთო თანაფარდობა . . 495
13. უმნიშვნელოვანესი შემთხვევები, როცა მოითხოვენ ხელფასის მომატებას ან ებრძვიან მის შემცირებას 497
14. ბრძოლა კაპიტალსა და შრომას შორის და მისი შედეგები. . 504

კ. მარქსი. წინასიტყვაობა «კაპიტალის» პირველი ტომის პირველი გერმანული გამოცემისათვის 512

კ. მარქსი. გოლოსიტყვაობიდან «კაპიტალის» პირველი ტომის მეორე გერმანული გამოცემისათვის 518

კ. მარქსი. კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული ტენდენცია. «კაპიტალის» პირველი ტომის XXIV-ე თავიდან . 524

ფ. ენგელსი. მარქსის «კაპიტალი» . . . . . 528—53

I 528
II 532

ფ. ენგელსი. «კაპიტალის» მეორე ტომის წინასიტყვაობიდან 537

კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში . . . 541—630

ფ. ენგელსის შესავალი 541

მუშათა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური საბჭოს პირველი მოწოდება საფრანგეთ-პრუსიის ომის შესახებ . . . 550
მუშათა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური საბჭოს მეორე მოწოდება საფრანგეთ-პრუსიის ომის შესახებ 563
მუშათა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური საბჭოს მოწოდება 1871 წლის სამოქალაქო ომის შესახებ საფრანგეთში . 573
I 573
II 585

III 593
IV 612
დამატებანი 626
I 626
II 628

ფ. ენგელსი. ბინის საკითხისათვის . . . . . 631—738

წინასიტყვაობა მეორე გამოცემისათვის 631

ბინის საკითხისათვის

განყოფილება I. როგორ წყვეტს პრუდონი ბინის საკითხს 644

განყოფილება II. როგორ წყვეტს ბურჟუაზია ბინის საკითხს 669
I 669
II 685
III 704

განყოფილება III. ერთხელ კიდევ პრუდონისა და ბინის საკითხის შესახებ 709

I 709
II 715
III 726
IV 732

ფ. ენგელსი. ავტორიტეტის შესახებ 739
ფ. ენგელსი. წინასიტყვაობა შრომისა «გლეხთა ომი გერმანიაში» 744

ძნიშვნელოვან სახელთა საძიებელი 763

საგანთა საძიებელი 783

ილუსტრაციები:

მარქსის პორტრეტი (1867 წ.) . . . . . IV—V შორის
ენგელსის პორტრეტი (1879 წ.) . . . . . IV—V შორის

К. МАРКС, Ф. ЭНГЕЛЬС

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

В ДВУХ ТОМАХ

ТОМ I

(*На грузинском языке*)
Госиздат Грузинской ССР
Сектор политической литературы
Тбилиси 1950

პ/მგ. გამოშვებისათვის დ. ლაშქარაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IX-1950
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 51.
უე 05804. შეკვეთის № 1233.
ტირაჟი 8000.

*

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან
არსებული პოლიგრაფმრეწველობის,
გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სამმართველოს 1-ლი სტამბა,
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.